ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე
ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე

რუსული კოლონიალიზმი საქართველოში

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2008

UDC(უაკ)325.3(470)+94(470:479.22)
რ-948

წიგნში შესწავლილი და კრიტიკულ-ობიექტურად არის შეფასებული რუსული კოლონიალიზმის ორსაუკუნოვანი ისტორია. დასაბუთებულია, რომ მონარქიული და საბჭოურ-კომუნისტური იმპერიალიზმი ერთმანეთისაგან მხოლოდ გარეგნულად, იდეურ-პოლიტიკური მეთოდებით, განსხვავდებოდნენ. ორივე იმპერიას ერთი ძირითადი მიზანი ჰქონდა: საქართველოს გადაქცევა რუსეთის ეკონომიკურ დანამატად და ქვეყნის მოსახლეობის რუსიფიკაცია.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: პროფ. მაყვალა ნათმელაძე

რეცენზენტები: პროფ. დიმიტრი შველიძე
ი.მ.დ. ლერი ნანიკაშვილი

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური
მეცნიერებების ფონდი
რუსთაველის ფონდი
Rustaveli Foundation
for Georgian Studies, Humanities and Social Sciences

აღნიშნული პროექტის დაფინანსება დაიწყო ეროვნულ სამეცნიერო ფონდში და დასრულდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (RF-D-016-08). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია, არ ასახავდეს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

The designated project was launched at the Georgian National Science Foundation and was accomplished by the financial support of the Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation) (RF-D-016-08). Any idea in this publication belongs to the author and may not represent the opinion of the Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences itself.

www.rustaveli.org.ge

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარიამ ბუტიკაშვილისა
კორექტორი: ლუიზა ჯიქია

© ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი,
დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე. 2008

გამომცემლობა „უნივერსალი", 2008
[illegible], 0179, ი. [illegible]ის გამ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: [illegible]@internet.ge

ISBN 978-9941-12-395-5

შესავალი

კაცობრიობის ისტორიის ერთი ხანგრძლივი მონაკვეთი კოლონიალიზმის ეპოქადაა სახელდებული. კოლონიალიზმის გლობალური პროცესი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პარალელურად დაიწყო და XX საუკუნის 60-იანი წლებისათვის დასრულდა. მსოფლიო ხალხების არათანაბარმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა ზოგიერთ აღრე დაწინაურებულ ეთნოსს უფრო ჩამორჩენილები დაეპყრო და მათზე ხანგრძლივად გაბატონებულიყო.

კოლონიალიზმმა ძირფესვიანად შეცვალა და ახლებურად განსაზღვრა ასეულობით მილიონი ადამიანის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული იერსახე. განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ტროპიკული აფრიკის, კოლუმბამდელი ამერიკის, ავსტრალიისა თუ ახალი ზელანდიის გარდა, კოლონიური ხეედრი უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებს – ინდოეთს, ჩინეთს, ეგვიპტესა და სხვებსაც ხვდათ, რომლებიც ფეხს ვეღარ უწყობდნენ აღმავალი კაპიტალიზმის პროცესს და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მფლობელობაში მოექცნენ.

კოლონიური ექსპანსია მეტნაკლები სისასტიკით ხორციელდებოდა. დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიკურ ძარცვას ხშირად თან ახლდა აბორიგენი მოსახლეობის უკიდურესი შეეიწროება, ძალდატანებითი დამორჩილება, ჩაგვრა და ექსპლუატაცია, ფიზიკური განადგურებაც. ბევრს საკუთარი სამკვიდროდან რეზერვაციებში ერეკებოდნენ, მათ მიწა-წყალს კი უცხოელი კოლონისტები ეუფლებოდნენ.

ახალი სამეაროსაკენ გზები გაკვალეს და პირველი კოლონიები დააარსეს ესპანეთმა, პორტუგალიამ, ჰოლანდიამ, რომლებსაც შემდგომში ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხვები შეუერთდნენ. ბევრ კოლონიურ სამფლობელოში ევროპელი დამპყრობლები მოსახლეობის უმრავლესობად იქცნენ, ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები შექმნეს და, ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების იგნორირებით, საკუთარი ენა, ცხოვრების წესი, სოციალური ინსტიტუტები, სამართლის სისტემა თუ თავიანთი მოდელის ეკონომიკური ურთიერთობები გაადატონეს. ამასთან, რაც უფრო დაბალ კულტურულ დონეზე იდგა დაპყრობილი ქვეყანა, ევროპელები მით უფრო ადვილად ახერხებდნენ მათ ათვისებასა და ფართო კოლონიზატორული გეგმების ხორცშესხმას.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან კოლონიების მფლობელი ქვეყნების რიგში, მონღოლთა ხანგრძლივ ბატონობას თავდაღწეული, რუსეთიც ჩადგა. იგი თავდაპირველად ვოლგისპირეთსა და ციმბირში შეიჭრა, მერე შორეულ აღმოსავლეთში, წყნარი ოკეანის სანაპირომდეც მიაღწია და დროებით ალიასკასაც დაეპატრონა. ადვილად დაეუფლა ერთმორწმუნე უკრაინასა და ბელორუსიას. დაიპყრო ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და ფინეთი. რუსეთმა ექსპანსია წარმატებით გააგრძელა სამხრეთითაც: რომანოვთა იმპერიის ნაწილი გახდა მთელი კავკასია, შუა აზიის ერკელი მიწა-წყალი და ხალხები. რუსეთის (მეტროპოლიის) მმართველობა ამ ტერიტორიებს განიხილავდა როგორც იმპერიის ორგანულ, განუყოფელ ნაწილს, რომელთა დაპყრობა ნაკარნახევი იყო რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესებით და ამიტომაც მიზნად დასახეს არა მარტო მათი კოლონიურ-ეკონომიკური ათვისება, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია, მათი გარუსებაც.

რუსეთის დაპყრობით კოლონიურ პოლიტიკას ჩამორჩენილ ციმბირში დაბრკოლება თითქმის არ შეხვედრია, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო ვითარება იყო განვითარების დონით რუსეთზე მაღლა მდგომ იმპერიის ევროპულ პერიფერიაში. მეტროპოლია დიდ სირთულეებს წააწყდა აგრეთვე კავკასიასა და შუა აზიაში. ანტიკოლონიური ბრძოლის ავანგარდში აღმოჩნდა ქართველი ხალხი, რომელიც თავდადებით იცავდა მშობლიურ ენას, თვითმყოფად ეროვნულ კულ-

ტურას, ტრადიციებს, და მიზნად წართმეული თავისუფლების აღდგენას, საკუთარი სახელმწიფოებრიობის განახლებას ისახავდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიმართ ტერმინი „კოლონია" ოფიციალურად იშვიათად გამოიყენებოდა (თუმცა არაოფიციალურად ძალიან ხშირადაც), რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მეტროპოლია-კოლონიის ურთიერთობა იყო და საქართველო აბსოლუტურ-მონარქიული რუსეთის ტიპურ კოლონიას წარმოადგენდა იეანე ჯავახიშვილის სიტყვით, „რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ ნამდვილად რუსული პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი და მხოლოდ ნიღაბჩამოფარებული, მაგრამ ტლანქი ეროვნული ეგოიზმის განხორციელება იყო.... რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგ იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენიერად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ"[1].

სამწლიანი დამოუკიდებლობის (1918-1921 წწ.) შემდეგ ჩვენი ქვეყანა საბჭოურ-კომუნისტური რუსეთის ოკუპაციისა და ანექსიის მსხვერპლი გახდა. ეპოქები არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ რუსეთის იმპერიის დიდმპყრობელური და კოლონიური პოლიტიკის მიზანდასახულობა იგივე რჩებოდა, რამდენადმე შეიცვალა მხოლოდ მისი განხორციელების იდეოლოგიური საფუძვლები, ფორმები და მეთოდები.

რუსეთისა და სხვა იმპერიების კოლონიურ პოლიტიკას ბევრი რამ აქვთ საერთო და განმასხვავებელი, რაზედაც ამ წიგნის შესაბამის თავში ვრცლად იქნება საუბარი. აქ კი მხოლოდ ერთ პრინციპულ მომენტს აღვნიშნავთ: მას შემდეგ, რაც გასულ საუკუნეში მსოფლიო კოლონიური სისტემა წარსულს ჩაბარდა, დარჩა კოლონიების მფლობელი ერთი იმპერია – საბჭოთა კავშირი, რომელიც უკვე დაიშალა, მაგრამ მისი სამართალმემკვიდრე რუსეთი არ თმობს ამბიციებს, ცდილობს კვლავ აღადგინოს იმპერია და პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამს, რათა ყოფილი კოლონიური ქვეყნები თავის გავლენას დაუმორჩილოს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ჩრდილოეთის დიდი იმპერიის მიერ მცირე სამხრეთელი მეზობლის დაპყრობა, კოლონიადქცეულ საქართველოში გატარებული რუსიფიკატორული პოლიტიკა და სხვ. დიდი ხანია გახდა ისტორიკოსთა განსჯა-შეფასების საგანი. საკითხის ისტორიოგრაფიამ შიდაწინააღმდეგობათა შემცველი რამდენიმე ეტაპი გაიარა. ასევე რამდენიმე ეტაპი განელო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიოგრაფიამაც.

რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის პირველი შემფასებლები და კრიტიკოსები საქართველოში იყვნენ გიორგი XII-ის შვილები: დავითი, ბაგრატი, იოანე და თეიმურაზი. მაგრამ ისინი, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებაში ბრალს რუს მოხელეებთან ერთად, სრულიად გაუმართლებლად, ქართველ ელჩებსაც სდებდნენ, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ფლიდი განცხადებებისა კი გულუბრყვილოდ სჯეროდათ და მონარქს საქართველოს ავტონომიური სამეფოს აღდგენას სთხოვდნენ[2].

ამ გულუბრყვილობას პრინციპულად თავი დააღწიეს 1832 წლის შეთქმულების ლიდერებმა. ისინი ქართული სამეფოს ცბიერებით ლიკვიდაციაში რუსეთის ხელმწიფეს ადანაშაულებდნენ და მიზნად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდნენ.

თერგდალეულები (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.) პროფესიონალი ისტორიკოსები არ ყოფილან, მაგრამ თავიანთ პუბლიცისტურ ნააზრევსა თუ მხატვრულ შემოქმედებაში ახერხებდნენ ცარიზმის კოლონიურ-რუსიფიკატორული პოლიტიკის მხილებას, იცავდნენ ქართულ ენას, კულტურულ მემკვიდრეობას, ტრადიციებს, მაღლა სწევდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ თვითშეგნებას. მათვე სათავე დაუდეს და უწინამძღვრეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს.

საქართველოსა და საერთოდ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მართვა-გამგეობის სისტემის ჩამოყალიბება და მისი ევოლუცია შესწავლილის საგნად გაიხადა რომანოვთა იმპერიის ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამაც. გამოქვეყნდა ნ. დუბროვინის[3], ე. პოტოს[4], ჰ. ბუტკოვის[5], ვ. ივანენკოს[6], ს. ზიკოვის, ს. ტიმოფეევის, ი. სეგალის და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც რიგი საკითხებისა ცალმხრივად და მიკერძოებითაა განხილული. დაიბეჭდა მარი ბროსეს[7], ასევე ქართველი მკვლევრების ზურაბ ავალიშვილის[8], მიხეილ ხელთუფლიშვილის[9], სიმონ ესაძის[10], გრიგოლ ეგუშავლის[11] გამოკვლევები და სხვ. დასახელებულ ავტორთა ნაშრომები დიდძალ ემპირიულ მასალას შეიცავს და ზოგჯერ პირველწყაროთა როლშიც გვევლინება. მათში სათანადოდ აისახა ცარიზმის კავკასიური ადმინისტრაციის არაერთი ნაკლი, კურიოზული მომენტებიც კი, მაგრამ ოფიციალური ისტორიკოსები და ქართველი მკვლევრებიც ადგილობრივი მოსახლეობის საწინააღმდეგო ქმედებებს მხოლოდ რუს მოხელეთა თვითნებობას უკავშირებდნენ და მას საიმპერიო ხელისუფლების რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკისაგან მიჯნავდნენ.

XX საუკუნის დამდეგიდან რუსული ხელისუფლების ადგილობრივი ოპოზიცია გაცილებით რადიკალური გახდა. პროტესტანტული სულისკვეთება გაჟრკვლდა ისტორიოგრაფიაშიც. ამ დროს დაიბეჭდა ფრონელის (ალექსანდრე ეფიმოვიჩის) ნაშრომები, რომლებშიც აისახა 1804 და 1812 წლების ანტირუსული აჯანყების მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები[12]. ავტორი ოფიციალური და არაოფიციალური მასალის ანალიზის საფუძველზე აჩვენებს რუსი მოხელეებისა და ჯარისკაც-ოფიცრების აღვირახსნილ და ბოროტმოქმედებით დაღდასმულ საქმიანობას, საოკუპაციო რეჟიმის ყველა საშინელებას. ფრონელი არ მალავს შინაგან განწყობილებას, თავის მიზნად მიაჩნია მკითხველი საზოგადოების დამეხტეა ეროვნული სულისკვეთებით.

1912-1913 წლებში გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი მოაზროვნის არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა ხუთტომეული. ამ ნაშრომებში დიდი ადგილი უკავია რუსული ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკის მხილებას. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ რუსეთის ხაზინამ დაისაკუთრა საქართველოს მიწის ფონდის ნახევარზე მეტი, ექსპლუატაციის ობიექტად გადააქცია ქართველი გლეხობა, რუსეთის ხელისუფლების შორსგამიზნული პოლიტიკის წყალობით საქართველოს მიწა-წყალზე მომრავალდნენ რუსი, გერმანელი, სომეხი, ბერძენი, ოსი კოლონისტები და სხვ.[13].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, 1918-1920 წლებში დაწერილ გამოკვლევებში ქართველმა ისტორიკოსებმა მართებულად შეაფასეს რუსეთის დაპყრობითი და კოლონიური პოლიტიკა, ახლებურად წარმოაჩინეს ბევრი ფაქტი თუ მოვლენა, მაგრამ იმ დროს რუსული კოლონიალიზმის შესახებ კაპიტალური ნაშრომის შესაქმნელად არავის ეცალა.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობისა და გასაბჭოების შემდეგ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის კრიტიკა ფართოდ გაიშალა. განმტკიცდა თვალსაზრისი, რომ მეფის რუსეთი „ხალხთა საპყრობილე" იყო. რომ რომანოვთა იმპერიის ყოველგვარ უფლებას მოკლებული მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხი, რომელთაც ოფიციალურად "ინოროდცებს" უწოდებდნენ, განიცდიდნენ სასტიკ ჩაგვრა-დამცირებასა და სხვ. მაგრამ ახალი საბჭოური იმპერიის მხილებას ერთეულები თუ ბედავდნენ. მათგან აღსანიშნავია დამოუკიდებელი საქართველოს მოაერობის ყოფილი წევრი გრიგოლ ლორთქიფანიძე. საბჭოთა საპყრობილეში დაწერილ თავის თხზულებაში მან ერთმანეთს შეადარა ცარისტული და ბოლშევიკური რუსეთი და მივიდა დასკვნამდე. რომ „რუსეთის წითელი იმპერიალიზმი ყველგან და ყველაფერში საესებით იგივე მიზანს ემსახურებოდა საქართველოსა და კავკასიაში, რომელსაც წინათ ატარებდა მონარქისტული რუსეთი"[14].

გ. ლორთქიფანიძისაგან განსხვავებით, სრულიად საპირისპიროს „ამტკიცებდნენ" კომუნისტები და ბოლშევიკურ რეჟიმს დაქვემდებარებული ისტორიკოსები. მათი „კონცეფციით," საბჭოთა რუსეთს საქართველო არ დაუპყრია და არც მისი დამოუკიდებლობა გაუუქმებია. რუსეთი საქართველოში ადგილობრივი მშრომელი ხალხის თხოვნით შემოვიდა, ქვეყანა მენშევიკთა ბატონობისაგან გაათავისუფლა და ქართულ სახელმწიფოს ახალი, პროგრესული სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი შესძინა. ეს დებულება დოგმად იქცა და ამიტომაც წითელ ხაზად გასდევდა მთელ საბჭოთა, მათ შორის ქართულ ისტორიოგრაფიას. ამ ნიშნით საქართველოს ბოლშევიკ ლიდერთა (ფილიპე მახარაძე)[15] გარდა, გამორჩეულია მარქსისტი ისტორიკოსების გიორგი ხაჭაპურიძის[16], ნიკოლოზ მახარაძის[17], იური კაჭარავას[18], გრიგოლ ჟვანიასა[19] და სხვათა ნაშრომები.

საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, ივანე ჯავახიშვილმა[20], ნიკო ბერძენიშვილმა[21], იასე ცინცაძემ[22], მამია დუმბაძემ[23], აბელ კიკვიძემ[24], ირაკლი ანთელავამ[25], შალვა ვანიშვილმა[26], აკაკი სურგულაძემ[27], ლევან ალექსიძემ[28] და სხვ. დიდი ღვაწლი დასდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების კვლევას, ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული რუსეთის ექსპანსიისა და ხანგრძლივი ბატონობის ჭეშმარიტი ბუნების მეტნაკლები სიცხადით წარმოჩენას.

ცარისტული რუსეთის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის კვლევას ფართო ადგილი აქვს დათმობილი პაატა გუგუშვილის ნაშრომების ექვსტომეულში „საქართველო და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში"[29]. ავტორი არ ერიდება რუსეთის დაპყრობითი და კოლონიური პოლიტიკის მახინჯი მხარეების გამომზეურებას, იყენებს მდიდარ ფაქტობრივ მასალას და არაერთ პირველწყაროს, მაგრამ მისი მსჯელობა, განსაკუთრებით კი დასკვნა – „კოლონიალური ძარცვისა და ძალდატანებითი რუსიფიკაციის მიუხედავად, ცარიზმის მიერ ამიერკავკასიის ანექსია წარმოადგენადა აუცილებელ გზას ამიერკავკასიის ხალხთა საზოგადოებრივი განვითარების ახალ და მაღალ ეპოქაში გადასასვლელად"[30], – კრიტიკას ვერ უძლებს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების აღსანიშნავად, ი. ბ. სტალინის მიერ დიდი რუსი ხალხის სადღეგრძელოს წარმოთქმის დროიდან, ცარისტული რუსეთის კრიტიკა ერთგვარად შეიზღუდა, თითქმის აიკრძალა ანტირუსული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ მეცნიერული გამოკვლევების წერა. გასული საუკუნის 70-იანი წლებში ედუარდ შევარდნაძემ სტალინური „მცირე ბოროტების" თეორიის ნაცვლად სცადა აღორძინებინა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს გამოთქმული თვალსაზრისი, რომ „საქართველოში მზე ჩრდილოეთიდან ამოდის." კომუნისტურ მმართველობას სურდა საზოგადოებაში დაემკვიდრებინა სტერეოტიპი რუსი და ქართველი ხალხების განუყრელი მეგობრობის, საქართველოს ისტორიაში რუსეთის განსაკუთრებული როლის თაობაზე, რომ პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში ქართველი ხალხისათვის რუსეთის გარდა ალტერნატივა არ არსებობდა და სხვ.

ცვალებადი იდეოლოგიური კლიმატის ვითარებაში რუსული კოლონიალიზმის ისტორიოგრაფია ზიგზაგურად ვითარდებოდა და ტრანსფორმაციას პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად განიცდიდა. ნაშრომების დიდ უმრავლესობას ცალმხრივობა და ტენდენციურობა ახასიათებდა.

ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები და ნაკლოვანებები აისახა „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში," რომლის IV, V, და VI ტომებში გაშუქებულია 1801-1921 წლების ისტორია[31], მათ შორის რუსულ კოლონიალიზმთან დაკავშირებული მოვლენებიც და განხილულია ანტირუსული მოძრაობის პერიპეტიები. ავტორებს კრიტიკულად აქვთ გააზრებული საქართველოში რუსეთის კოლონიური ბატონობის პირველი ეტაპი. ამასთან, მიაჩნიათ, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა

ბურჟუაზიული რეფორმების მომდევნო ხანაში, თუმცა პროგრესის ბუნებრივ-ობიექტურ პროცესს, მეტროპოლიის ინტერესთა შესაბამისად, მიმართულებას უცელიდა ცარიზმის ფისკალური და ეკონომიკური პოლიტიკა.

XX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე გამოიკვეთა ისტორიოგრაფიის უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლის კონტურები. შეიქმნა რუსულ კოლონიალიზმთან დაკავშირებული მოვლენების ობიექტურად წარმომჩენი გამოკვლევები. ალექსანდრე ბენდიანიშვილმა დეტალურად გააშუქა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 120 წლიანი ისტორია[32], ხოლო უშანგი სიდამონიძემ საქართველოს დამოუკიდებლობის ხანის მოღვაწეთა ნააზრევის პირუთვნელი შეფასება სცადა[33]. ორივე მათგანმა ერთხანს კომუნისტური ხელისუფლების წერომა დაიმსახურა, მაგრამ მალე ტოტალიტარული რეჟიმის საყოველთაო კრიზისი დაიწყო და ქართული ისტორიოგრაფიაც იდეოლოგიური წნეხის დამორგუნველი ზეგავლენისაგან განთავისუფლდა.

საბჭოთა კომუნისტური იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულმა ეროვნულმა სახელმწიფოებმა სუვერენული უფლებები მეცნიერულ სფეროშიც მოიპოვეს. საქართველოს განვლილი გზის, რუსეთის მონარქიულ-კოლონიურ მპყრობელობასა თუ საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ცხოვრების ავ-კარგის შესწავლა და ანალიზი აუცილებელიც გახდა. ამ საკითხების კომპლექსურად გააზრებასა და კვლევას საფუძველი ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში ჩაეყარა. ემიგრაციაში გახსნილმა და საბჭოთა საპყრობილეებში გამოკეტილმა ქართველმა მოღვაწეებმა, რომელთაგან ორი-სამი თუ იყო პროფესიონალი ისტორიკოსი, სცადეს გამოეკვლიათ მეფისა და ბოლშევიკური რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ასეთ თხზულებათა ნიმუშად გამოდგება უკვე დასახელებული გრიგოლ ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველოზე." საყურადღებოა ავტორის დაკვირვება, რომელიც ეხება რუსეთის იმპერიის დამოკიდებულებას დაპყრობილი ისტორიული ერების ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკური უმცირესობებისადმი. გარეგნულად მეფის ხელისუფლება და მოხელეები „მფარველად" ევლინებოდნენ, „თავგამოდებით ზრუნავდნენ, მაგალითად, ოსებსა და აფხაზებზე, მეგრულ-სვანურ ენებსა და კულტურაზეც კი. ... ყველასათვის ცხადი იყო, რომ რუსულ კაციჭამია შოვინიზმს მართლა ის კი არ აინტერესებდა, რომ აფხაზური, ოსური და სხვა ეროვნული მწერლობა შეექმნა. მისი სანუკვარი მიზანი იყო საქართველოს ეროვნულ-კულტურულ ოჯახში შინაგანი გახრწნა შეეტანა"[34].

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია საქართველოს საბჭოურ სინამდვილესაც, ცარიზმის უღელქვეშ მისი ცხოვრების მსგავსად, კოლონიურ ყოფად გაიაზრებდა. 1925 წლის იელისში გამართულმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობამ თავის რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნა: „ჩვენი ქვეყანა დღეს საბჭოთა რუსეთის ნამდვილ კოლონიას წარმოადგენს"[35]. ამ, გარკვეულწილად, პოლიტიკური მოტივაციით ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს მხარს უმაგრებდა ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ სწავლულთა მეცნიერული არგუმენტაციაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დასავლეთში ცნობილი პოლიტოლოგისა და სოციოლოგის მიხეილ ახმეტელის პუბლიკაციები გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ასევე ისტორიკოს ალექსანდრე მანველიშვილის გამოკვლევები[36], ჩვენი თანამემამულის ელენ დ'ანკოსის (ზურაბიშვილი) მონოგრაფია[37], პუბლიცისტ ალექსანდრე ცომაიას სტატიები[38] და სხვ.

თვითმპყრობელობისა და ბოლშევიკური დიქტატის პირობებში ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარე, ზოგჯერ ფრაგმენტულად, მაგრამ სიმართლითაა გაანალიზებული ქართველ ემიგრანტ ავტორთა: ალექსანდრე ასათიანის[39], ისიდორე მანწკავას[40], ელისე პატარიძის[41], მიხეილ მესხელიშვილის[42], ვიქტორ ნოსაძის[43], კარლო ინასარიძის[44], ჯანრი კაშიას[45] წიგნებსა და საჟურნალო წერილებში.

XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში დიდი ყურადღება მიექცა ახალი საარქივო, ადრე გასაიდუმლოებული მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას (აღსანიშნავია ნესტან კირთაძის[46], მერაბ ეაჩნაძის, ეახტანგ გურულისა[47] და სხვათა წყაროთმცოდნეობითი საქმიანობა), გამოქვეყნდა ეთერ ორჯონიკიძის[48], აკაკი და პაატა სურგულაძეების[49], ალექსანდრე ბენდიანიშვილის[50], ლევან თოიძის[51], ედიშერ ხოშტარია-ბროსესა და როინ მეტრეველის[52], ავთანდილ მენთეშაშვილის[53], რევაზ გრძელიძის[54], ფარნაოზ ლომაშვილის[55], გერონტი გასეიანის[56], მაყვალა ნათმელაძისა და ალექსანდრე დაუშვილის[57], მიხეილ სამსონაძის[58], ვახტანგ გურულის[59], შოთა ვადაჭკორიას[60], ავთანდილ სონღულაშვილის[61], დოდო ჭუმბურიძის[62], ნესტან კირთაძის[63], პაატა ბუხრაშვილის[64], ოთარ ჯანელიძის[65] და სხვ. მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები თუ სამეცნიერო სტატიები. მათში მეტნაკლები სისრულით გაანალიზებულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის როგორც ზოგად პოლიტიკური, ისე კონკრეტულ-ისტორიული საკითხები, გაშუქებულია ცარისტული და საბჭოური იმპერიის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის ცალკეული მხარეები და სხვ.

რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობის აქტუალური პრობლემების მეცნიერულ შესწავლას, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ანტიქართული შინაარსის ჩვენებას, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიმართ ჩადენილი დანაშაულობების ობიექტურ მხილებას მიეძღვნა სერგო ვარდოსანიძის[66], გივი როგავას[67], ქეთევან პავლიაშვილის[68], ელდარ ბუბულაშვილის[69], ხათუნა ქოქრაშვილის[70], ირინა არაბიძის[71] გამოკვლევები. მოკლე დროში ქართული ისტორიოგრაფია მრავალი ახალი და საყურადღებო ნაშრომით გამდიდრდა, მაგრამ სპეციალური, მონოგრაფიული და თანაც განმაზოგადებელი კომპლექსური გამოკვლევა რუსული კოლონიალიზმის არსის, საქართველოში მისი გამოვლინების ფორმების შესახებ, დღემდე არ დაწერილა.

ცალკე უნდა აღინიშნოს იმპერიის თემატიკაზე მომუშავე რუსი ისტორიკოსებისა და პოლიტოლოგების ნაშრომები, რომელთა რიცხვი ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა. რუსეთის იმპერიული პოლიტიკის თანამედროვე მკვლევართა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია ა. მილერი. მის გამოკვლევებში თვითმპყრობელობის ასიმილატორული პოლიტიკა შეფასებულია არა როგორც განაპირა ხალხების რუსიფიკაცია, არამედ, როგორც სახელმწიფოებრივი სტაბილურობისაკენ მიმართული პოლიეთნიკური იმპერიის განვითარების კანონზომიერება[72].

მონოგრაფიაში, რომელიც იმპერიისა და ნაციონალიზმის ზოგადთეორიული საკითხების შესწავლას ეძღვნება[73], ყურადღება გამახვილებულია რუსეთის იმპერიის, ევროპულ კოლონიურ და ევრაზიულ კონტინენტალურ იმპერიათა შედარებით ანალიზზე. ავტორი იმპერიას ცენტრისა და პერიფერიათა ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებულ კომპოზიტურ პოლიტიკურ სივრცეს უწოდებს, ხოლო იმპერიულ ცენტრს განსაზღვრავს, როგორც პოლიტიკური და პოლიეთნიკური ელიტების ერთობას.

1997 წელს გამოქვეყნებულ მ. გელერის გამოკვლევაში[74] საინტერესოდაა გაშუქებული რუსეთის იმპერიის განვლილი გზა, წარმოჩენილია მისი განვითარების თავისებურებანი და სხვ. რუსეთის ისტორიის იმპერიული გაფართოების ასპექტებს განიხილავს ბ. შაპტალოვი[75], რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთის გადარჩენის ერთადერთი საშუალება კვლავ ექსპანსიის გზაზე დადგომაა.

რუსეთის იმპერიის დაპყრობებისა და კოლონიური პოლიტიკის ანალიზს ეძღვნება გ. ფედოტოვის ორტომიანი გამოკვლევა[76], ხოლო ლ. ბუროვსკის წიგნში[77] რუსეთის ისტორიული განვითარების აქამდე უცნობი ფურცლები და იმპერიის კრახის ისტორიაა გადმოცემული. გ. იაკოვენკო რუსეთის მაგალითზე იმპერიისა და ნაციონალური სახელმწიფოს ურთიერთმიმართებას შეისწავლის[78], ე. შტორჩაკის სადოქტორო დისერტაცია კი რუსეთის იმპერიის მესიანისტური იდეის სოციოკულტურულ ჭრილში განხილვის საინტერესო ცდაა[79].

რუსეთის იმპერიის ფენომენის კვლევას სოციოკულტურული, ეთნოფსიქოლოგიური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საყურადღებო პუბლიკაციები მიუძღვნა ს. ლურიემ. აღსანიშნავია მისი სტატიები: „Translatio Imperii," „რუსეთის ისტორია როგორც ეთნოკულტურული ფენომენი," „რუსეთის კოლონიური ცნობიერება და ამიერკავკასიის ეთნოკულტურული რეალობა"[80].

ცარიზმის კოლონიური მპყრობელობისათვის დამახასიათებელი ასპექტები მიმოხილულია ლ. ტიხომიროვის[81], ს. მაროჩკინის[82], მ. რომანოვის[83], ა. საველიევის[84] და სხვათა პუბლიკაციებში, რომლებიც დიდი ობიექტურობით არ გამოირჩევიან, მაგრამ ყურადღებას იპყრობენ საკითხების ახლებურად დაყენებითა და განსოგადებით.

2000 წლიდან ქ. ყაზანში გამოიცემა ძალზე საინტერესო ჟურნალი „Ab Imperio." რუსეთის კოლონიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით მათში საგულისხმო სტატიებია თავმოყრილი. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს 2003 წლის I ნომერი, რომლის თემატიკა ასევე გამოკვეთილი: „რუსეთის იმპერია: „განაპირები და საზღვრები"[85].

რუსეთის იმპერიის ექსპანსია უკრაინის მაგალითზე გაშუქებულია უკრაინელი ისტორიკოსების ს. კულჩიცკისა[86] და რ. შპორლიუკის[87] ნაშრომებში.

2005 წელს მოსკოვში დაიბეჭდა ფრიად საინტერესო წიგნი სათაურით „რუსეთის იმპერია უცხოურ ისტორიოგრაფიაში." ეს არის რუსეთის ისტორიის შესახებ უცხოელ აქტორთა მიერ ბოლო დროს გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი გამოკვლევების ანთოლოგია. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პუბლიკაციები, რომლებიც მიძღვნილია იმპერიის ზოგადი პრობლემატიკისა და მეთოდოლოგიისადმი (მარკ ფონ ხაგენი, „რუსეთის ისტორია, როგორც იმპერიის ისტორია;" მარკ ბასინი, „რუსეთი ევროპასა და აზიას შორის: გეოგრაფიული სივრცის იდეოლოგიური კონსტრუირება") და სტატიები რუბრიკით „იმპერია და ნაციონალიზმი" (ა. კაპელერი, „ერის წარმოშობა და ეროვნული მოძრაობა რუსეთის იმპერიაში;" ჯონ უ. სლოკუმი, „ვინ და როდის იყო „ინოროდეცი"? კატეგორია „უცხოთა" ევოლუცია რუსეთის იმპერიაში") და სხვ.[88].

უილიამ ალენისა და დევიდ ლანგის ცნობილი წიგნების შემდეგ, რომლებშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხები მოკლედაა მიმოხილული, უცხოეთში საქართველოს შესახებ, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი ნაშრომები აღარ შექმნილა. გამონაკლისია ამერიკელი მკვლევრის რონალდ სიუნის ერცელი მოხოგრაფია[89], რომელიც მიზნად ისახავს ქართველი ერის ფორმირების ისტორიის შესწავლას და რუსეთის როგორც ცარისტულ, ისე საბჭოურ იმპერიაში საქართველოს მდგომარეობასაც ასახავს. აქტორი აანალიზებს ქართული არისტოკრატიის იმპერიულ ელიტაში ინკორპორაციის პროცესს და გვიჩვენებს XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების გაკვლენას თავადაზნაურობის დეგრადაციაზე. აქვე ყურადღება გამახვილებულია ახალი ქართული იდენტობის ფორმირებაზე, ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაქანებაზე. ნაშრომში გაშუქებულია ბოლშევიკური რეჟიმისა და სტალინიზმის არსი და სხვ. რ. სიუნის ზოგიერთი მოსაზრება აშკარად ტენდენციურია, რასაც ქართულ ისტორიოფრაფიაში უკვე მიეცა შეფასება[90], მაგრამ მთლიანობაში წიგნი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ბუნებასა და ხასიათს, როგორც თვითმპყრობელობის, ისე საბჭოთა პერიოდში დამაჯერებლად წარმოაჩენს.

ბოლო დროს გამოქვეყნდა ამერიკელი მკვლევრის სტივენ ჯონსის საყურადღებო მონოგრაფია სახელწოდებით „სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა. 1883-1917." ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო არაერთი საკითხი სიმართლითაა გადმოცემული. ეს წიგნი 2007 წელს ქართულ ენაზეც ითარგმნა და გამოიცა[91].

გერმანელი მეცნიერი ა. კაპელერი ეხება რუსეთის იმპერიის პოლიეთნიკურ ხასიათს[92], იკვლევს მეტროპოლიისა და პერიფერიების ხალხთა ცხოვრების ცალკეულ მხარეებს და სხვ. მანვე სპეციალური სტატია უძღვნა რუსეთის კოლონიურ იმპერიაში უკრაინელთა ეთნიკური იერარქიის პრობლემას[93], რომელიც იმპერიის სხვა განაპირებთან მოკლე შედარებით ანალიზსაც შეიცავს.

განსახილველ საკითხთან მიმართებით მრავალ საყურადღებო მოსაზრებას, ანალიტიკურ განზოგადებასა და მნიშვნელოვან დასკვნებს ეხედებით რ. პაიპსის[94], ე. კარის[95], ჯ. ხოსკინგისა[96] და სხვ. გამოკვლევებში. მათში ქართული მასალა ნაკლებადაა გამოყენებული, მაგრამ დასახელებულ ავტორთა წიგნები ჩვენთვისაც ფასეულია, როგორც კომპეტენტურ სპეციალისტთა ობიექტური გამოკვლევები.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით გათვალისწინებული ნაშრომის მიზნად მისმა ავტორებმა ქართული საისტორიო მეცნიერების ზემოთ აღნიშნული ხარვეზის ამოვსება, დაშვებული უზუსტობა-შეცდომების გასწორება დაეისახეთ. გამოკვლევა დაწერილია ქართული და საზღვარგარეთული სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული გააზრების, უკვე გამოქვეყნებული პირველწყაროებისა თუ ჩვენს მიერ ახლადმოძიებული საარქივო დოკუმენტების ყოველმხრივი ანალიზის, ისტორიულ-შედარებითი და ობიექტივისტური მეთოდების გამოყენებით.

წინამდებარე წიგნზე მუშაობისას ავტორები ეიმედოვნებდით, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ორსაუკუნოვანი ისტორიის ობიექტური წარმოჩენა, ტრაგიკული წარსულის მეცნიერული გააზრება, დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინება ხელს შეუწყობდა ორივე ქვეყანას, ახლებურად განესაზღვრათ ურთიერთობა, დაესახათ ურთიერთსასარგებლო, კეთილმეზობლური, ნაყოფიერი თანამშრომლობის გზები. მაგრამ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებულმა რუსეთის ფედერაციის მასშტაბურმა აგრესიამ, რუსული სამხედრო შენაერთებით საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპირებამ, მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უკანონო აღიარებამ ეს ამოცანა შორეულ პერსპექტივაში გადაიტანა. მიუხედავად ამისა, ამ გამოკვლევას არ დაუკარგავს აქტუალობა. მეტიც, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით, წიგნის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. იმედი გვაქვს, მონოგრაფიას მოწონებით მიიღებს საქართველოს მკითხველი საზოგადოება, ხოლო უცხო ენაზე მისი თარგმნის შემთხვევაში გამოკვლევას ინტერესით გაეცნობიან ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმაც.

---

1. ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, თბ., 2007, გვ. 38.
2. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941; იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. I-II, თბ., 1936-1948; თეიმურაზ ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ლ. მიქიაშვილის გამოცემა, თბ., 1983.
3. П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч, I, II, III, СПб. 1869.
4. Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе. т. I-VI, СПб., 1866; მისივე, Георгий XII, посседный царь Грузии и присоединение ее к России, изд. II, СПб., 1897.
5. В. Потто, Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, тт. I-IV, СПб., 1888.

6. В. Иваненко, Гражданское управление Закавказьем от присоединения Грузии до наместничества великого князя Михаила Николаевича, Тифл., 1901.
7. ,ბ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. II, ნათარგმნი და განმარტებული ს. ღონღობერიძის მიერ, თბ., 1900.
8. З. Д. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб., 1901.
9. М. В. Хелтуплишвили, Вступление Грузии в состав Российской империи, „Юридический Вестник", 1891, №7-8.
10. С.Эсадзе, Историческая записка об управлении кавказом, т. I, Тб., 1907.
11. გ. ვეშაპელი, საქართველო და რუსეთი, თბ., 1919; მისივე, Единство Грузии и русский протекторат, Тб., 1917.
12. ა. ფურცხელი, მთიულეთი 1804 წ., თბ., 1896; მისივე, ამბოხება კახეთისა, თბ., 1907.
13. ა. ჯორჯაძე, თხზულებები, ტ. I-V, თბ., 1911-1914.
14. გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 242.
15. ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბ., 1927; მისივე, Грузия в XIX столетии (краткий исторический очерк), Тб., 1933.
16. გ. ხაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში, თბ., 1933; მისივე, История Грузии первой половины XIX в., Тб., 1950.
17. Н. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819-1820 г.г. (მსკი, ნაკვ. III), თბ., 1942.
18. ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1958.
19. გ. უვანია, ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეებისათვის, თბ., 1963.
20. ი. ჯაფარიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, თბ., 2007.
21. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტომები II, V, VI, თბ., 1965-1973.
22. ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960.
23. მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957.
24. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, თბ., 1954.
25. И. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX в., Тб., 1955.
26. შ. ეანიმელი, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ., თბ., 1957.
27. ა. სურგულაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა (ისტორიული ნარკვევი), თბ., 1968.
28. ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1983.
29. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. I-VI, თბ., 1949-1979.
30. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. I, 1949, გვ. 448-449.
31. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, V, VI, თბ., 1972-1973.
32. ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801-1921, თბ., 1980.
33. უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970.
34. გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, გვ. 240.
35. მ. ვანნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატია ემიგრაციაში (1925-1927 წ.წ.), კრებულში – გიორგი ჟორდანია-90, თბ., 2001, გვ. 52.
36. ა. მანველიშვილი, რუსეთი და საქართველო, პარიზი, 1951; მისივე, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984.
37. ელენ დ'ანკოსი (ხურაბიშვილი), უფროსი ძმა, პარიზი, 1983, იხ. ისტორია და ხელოვნებათმცოდნეობა. საბოგადოებრივი მეცნიერებანი საბლეარგარეთ, თბ., 1989.
38. ა. ცომაია, რჩეული თხზულებანი, თბ., 2000.

39. ა. ასათიანი, ძველი და ახალი მემკვიდრეობა, წიგნ. I, ეალენტინეი, 1928; მისივე, ქართული პოლიტიკის ძველი და ახალი გზები, პარიზი, 1934.
40. ი. მანწკავა, ქართული აზროვნების განვითარება XIX საუკუნეში, ნაწ. I, პარიზი, 1936.
41. მ. მუსხელიშვილი, საქართველო და ევროპა, ჟურნ. „ბედი ქართლისა," პარიზი, 1953, № 15; მისივე, რუსეთი არ არის ევროპა, ჟურნ. „ბედი ქართლისა," 1955, №18.
42. ე. პატარიძე, ევროპის დეკოლონიზაცია და რუსეთის კოლონიალიზმი, ჟურნ. „იევერია", პარიზი, 1961, №9.
43. ვ. ნოზაძე, პატარა „ოქროს ხანა." საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. რადიოდოკუმენტაცია. მიუნხენი, 1984.
44. კ. ინასარიძე, პატარა „ოქროს ხანა." საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. რადიოდოკუმენტაცია, მიუნხენი, 1984.
45. ჯ. კაშია, ტოტალიტარიზმის რეინკარნაცია, ჟურნ. „იევერია," პარიზი, 1990, № 31-35; მისივე, მიჯაჭვული საქართველო, ჟურნ. „იევერია," თბილისი-ბრიუსელი, 1993, №2-3.
46. ნ. კირთაძე, კაენ სად არის ძმა შენი?!.. თბ., 1998.
47. აჭარა რუსი დიპლომატის თვალით. კ. იუსტის მოხსენება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს მ. ვაჩნაძემ და ე. გურულმა, თბ., 1998.
48. ე. ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბ., 1992.
49. ა. და პ. სურგულაძეები, საქართველოს ისტორია. 1783-1990, თბ, 1991.
50. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია. 1801-1921, თბ., 1999; მისივე, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001.
51. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც: რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვის, თბ., 1991; მისივე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბ., 1999.
52. ე. ხოშტარია-ბროსე, აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2000. Е. Хоштария-Броссе, Р. Метревели, Россия и Грузия на пороге нового тысячелетия, Тб., 1999.
53. А. Ментешашвили, Из истории взаимоотношений грузинского, абхазского и осетинского народов (1918-1921 гг.), Тб., 1990. Из истории взаимоотношений Грузинской Демократической Республики с Советской Россией и страны Антаты. 1918-1921 гг., Тб., 2000.
54. რ. გრძელიძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1992.
55. ფ. ლომაშვილი, საქართველოს ისტორია. XI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1997.
56. გ. გასვიანი, აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998.
57. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ. 2004.
58. მ. სამსონაძე, საქართველო 1921-1991 წლებში, თბ., 2001.
59. ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა, თბ., 1998; მისივე, ერთმორწმუნე რუსეთი: მითი და რეალობა, თბ., 2008.
60. შ. ეადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001.
61. ა. სონღულაშვილი, ქართული კულტურა და ინტელიგენცია 1917-1937 წწ., თბ., 2008.
62. დ. ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში. 1918-1921 წლები, თბ., 2003.
63. ნ. კირთაძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996.
64. პ. ბუხრაშვილი, რუსული კოლონიალური ცნობიერება და ამიერკავკასიის ეთნოპოლიტიკური რეალობა, „ამირანი", II, 2000.
65. ო. ჯანელიძე, საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, თბ., 2005.
66. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში, თბ., 2001.
67. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX ს.ს.), თბ., 2002.

68. ქ. პაელიანშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბ., 1995; მისივე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბ., 2000.
69. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX ს-ის I ნახევარი), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, 2007.
70. ხ. ქოქრაშვილი, რუსეთის რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი), საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წ. I, თბ., 2007.
71. ი. არაბიძე, „განახლების მოძრაობა" საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 2005.
72. А.Ю. Бахтурина, Историографические интерпретации российской политики конца XIX - начала XX в. http://igh.ru/conf/tesis1/bakhturina.htm
73. А. Миллер, Империя Романовых и национализм: Эссе по методологии исторического исследования, М., 2006.
74. М. Геллер. История Российской империи, т. I-III, М., 1997.
75. Б. Шапталов, Русская экспансия, М., 2005.
76. Г. Федотов, Судьба империи. Судьба и грех России, т.I-II, СПб.-София, 1991.
77. Л. М. Буровский, Крах империи. Курс неизвестной истории, М., 2000.
78. Г. Яковенко, От империи к национальному государству, „Полис," 1996, №6.
79. В. М. Сторчак. Мессианство как социокультурный и идеологический феномен России, автореферат диссертации на сойскание ученой степени доктора философских наук, М., 2007.
80. http://svluric.nard.ru/biblio.htm
81. Л.Тихомиров, Русское дело и обруссение http://revs 904.chat.ru/book/tohomir/mitrfan/htm
82. С. Марочкин, Русские и империя, http:/www.netda.ru/sborniki/rustroj/rs- maroh.htm#a
83. П. Романов, Станет ли Россия снова империей http://www. rian.ru/authors/20070122/59469925-nrint.html
84. А. Савелиев, Нация и государство, http:/www.savelev.ru/book/?ch=93 rian.ru/authors/20070122/59469925-nrint.html
85. „Ab Imperio," 2003, №1.
86. С. Кульчицкий, Русская имперская экспансия. http://www.dav.kiev.ua/156240/
87. http://litopys.org.ua/sporl/sh.htm
88. Российская империя в зарубежной историографии, М., 2005
89. Suni, R. The Making of the Georgian Nacion. Bloomington: Indiana University Press, 1994.
90. გ. ალასანია, ქართველები ბ-ნ რონალდ სიუნის თვალსაზრისით, თბ., 1997.
91. სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა. 1883-1917, თბ., 2007.
92. А. Каппелер, Россия многонациональная империя, М.,2000
93. А. Каппелер, Мазепинцы, Малороссы, Хохлы: Украйнцы в этнической иерархии Российской империи. http://litopys.narod.ru/vzajmo/vz11.htm
94. Пайпс Р. Россия при старом режиме, М. 2006.
95. Э. Карр, История Советской России. Большевитская революция 1917-1923. т.1-2, М., 1990.
96. Д. Хоскинг, Россия и русские, кн. 1-2, М., 2003.

თავი I

საქართველოს ანექსია და რუსეთის კოლონიური პოლიტიკა XIX ს. I ნახევარში

რუსეთის ინტერესები საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში

იმ დროს, როდესაც ქართული სამეფო სამთავროები სამი მხრიე იქნეედნენ ხმალს და დიპლომატიურ სელებს მიმართავედნენ, რათა თავი გადაერჩინათ გარშემორტემული გარემოცეის შემოტეევებისაგან (ირანი, ოსმალეთი, დაღესტანი), ჩრდილოეთიდან მათ უახლოედებოდა ახალგაზრდა ქრისტიანული სამეფო — რუსეთი, რომელმაც თავისი საზღვრები კასპიის ზღვამდე და ჩრდილოეთ კაეკასიამდე მიიტანა.

პირველი ნაბიჯები ურთიერთისკენ რუსეთმა და კახეთის სამეფომ გადადგეს. ურთიერთმისწრაფება ერთნაირად ძლიერი იყო, ინტერესები კი რადიკალურად განსხვაეებული.

კახელი ხელისუფალნი მთიელთა (შამხალის) მტაცებლური თავდასხმების აღკვეთაში დახმარებას და სხვა ხელშეწყობას ითხოედნენ. რუსეთის მიზანი კი კახეთის ხელში ჩაგდება და შემდეგ იმგვარიეე დამოკიდებულების მთელ საქართველოზე გავრცელება იყო[1].

1587 წელს კახეთსა და რუსეთის ხელმწიფეს შორის გაფორმდა ე. წ. „жалованная грамота", რითაც კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შედიოდა და ალექსანდრე მეფე კისრულობდა ემსახურა რუსეთის მეფისათვის და არ ჩამოცილებოდა მას[2].

მრავალრიცხოვან ელჩობებსა და მიმოწერებში აშკარად ჩანდა, რომ რუსეთი საქართველოს თითქოს ურთიერთდახმარებას სთავაზობდა (თუმცა თვითონ ამ დახმარებისათეის თავის შეწუხებას არ აპირებდა) სანაცვლოდ კი კახეთს ყოველწლიურ ძღვენს (რომელიც, უფრო გეიან, აშკარად ხარკად მოიხსენიება) და ყმადნაფიცობას სთხოვდა.

დრო გადიოდა და რუსეთი კახეთის მიმართ არცერთ ვალდებულებას არ ასრულებდა (არ გამოუგზავნია ზარბაზნები, გადაუკეტა ევროპასთან ურთიერთობის გზა და ა. შ.). ამასთან ჩრდილოეთ კაეკასიის ხალხებთან ურთიერთობაში დახმარებას და სხვა ქართულ სამეფო სამთაეროებთან რუსული ორიენტაციის პროპაგანდას ავალებდა[3].

1590 წლისათეის მეფე ალექსანდრე უკვე რუსთაგან სრულიად იმედგაცრუებული იყო: ხარკის დაკისრების მეტი (რომელსაც არ ვიცით როგორ იხდიდა, ან იხდიდა თუ არა), ვერაფერი ვერ მიიღო, მაგრამ რუსეთთან კავშირი მაჰმადიანებთან ურთიერთობაში მისთვის ერთგვარი ფარის მაგივრობას ასრულებდა.

თავის მხრივ, რუსეთი იმით იყო კმაყოფილი, რომ კაეკასიაში მტკიცედ ჩადგა ფეხი და თავისი მფლობელობის გაფართოების საფუძველი შეიძინა.

ხელისუფლისა და ქვეშევრდომის ფაქტობრივად დამყარებულ ურთიერთობას სრულიად ესადაგება (მოგეიანებით) ქართველი ბატონიშვილის გაგზავნა რუსეთის ხელმწიფის კარზე. ამ აქტს კახეთისათეის არავითარი არსებითი შედეგი, გარდა ურთიერთდამოკიდებულის ხასიათის განსაზღვრისა, არ მოჰყოლია. რუსეთის სახელმწიფოსათვის კი შეიძლება მეტად დიდი არაპირდაპირი შედეგიც ჰქონდა, რადგან მკელევარები ამ ფაქტთან აკავშირებენ მომავალში ქვეყნად რუსეთის დიდი მეფის, პეტრე პირველის მოვლინებას[4].

მონღოლთა სამსაუკუნოვანი ბატონობისაგან თავდახსნილ რუსულ ეთნოსს მემკვიდრეობის მსგავსად გამოჰყვა ყოველგვარი შეთანხმებისა და პირობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება და მსოფლიო ბატონობისადმი დაუოკებელი მისწრაფება.

რიცა ალექსანდრე მეფის დესპანებმა, ეოველგვარი ეჭვების გასაფანტავად, ევროპასთან კავშირების თაობაზე, რუსეთის წარმომადგენლებს აუხსნეს, ჩვენს მეფეს მხოლოდ ის სურს, ღმერთს იმას ევედრება, რომ ქრისტიანებს მაჰმადიანებზე გაამარჯვებინოს და ის ქრისტიანი სახელმწიფოები იერუსალიმი და წმიდათა წმიდა აია სოფიას ტაძარი კონსტანტინეპოლში, დიდი ხელმწიფის შეიქნესო[5]. რუსმა დესპანებმა ამის საპირისპიროდ მთელი თავისი მედიდურობით და სარწმუნოებრივი მძულვარებით აღსავსე პოლიტიკური ამბიცია და გეგმა გადაუშალეს ქახთ ბატონს: „ჩვენს ხელმწიფესაცო, შეუთვალეს მათ ალექსანდრე მეფეს, თავის მხრივ, ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლა სხვა ქრისტიან სახელმწიფოებთან ერთად სწადია. მაგრამ თუ ღვთის წყალობა იქნება, თუ ჩვენი ხელმწიფის ხელქვეშ არა, მაშ ვის ხელში უნდა იყოს კონსტანტინეპოლი და იერუსალიმი? რადგან ყველა საქრისტიანო სახელმწიფოთა შორის ყველაზე დიდი ხელმწიფე ის არის და მასზე უდიდესი არ არსებობს“ და სხვ.[6]

მოგვიანებით XVIII საუკუნის დასაწყისში დიდი შეთანხმება მოხდა ქართლის მეფე ვახტანგ VI-სა და რუსეთის იმპერატორ, პეტრე პირველს შორის. მოლაპარაკების შინაარსი, როგორც ჩანს იმაში მდგომარეობდა, რომ ვახტანგი რუსეთის ამიერკავკასიასა და კასპიისპირეთში გაბატონებაში სამხედრო და იდეურ თანადგომას აღმოუჩენდა. რუსეთის იმპერატორი კი უზრუნველყოფდა ქართლის მეფის მფლობელობაში კავკასიის მთელი საქრისტიანო ნაწილის გადასვლას[7].

როგორც ცნობილია, ამ შეთანხმებიდან არაფერი გამოვიდა და ვახტანგი მთელი თავისი ოჯახით და დიდი ამალით რუსეთს გადასახლდა. ამ თითქოს და უწყინარმა ფაქტმა, მოგვიანებით რუსეთის ხელისუფლებას ამიერკავკასიაში (საქართველოში) თავისი ამბიციური პოლიტიკის გატარებაში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ამაზე ქვემოთ.

საქართველოსადმი რუსეთის ჯეშმარიტი მიზნები ნათლად გამოჩნდა რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომში ერეკლესა და სოლომონის მონაწილეობისას: რუსეთის ჯარის მეთაურს გენერალ ტოტლებენსა და ერეკლეს შორის უსიამოვნება ჩამოყარდა. ტოტლებენმა ერეკლეს ტახტიდან გადაყენება გადაწყვიტა და ეს გადაწყვეტილება ცენტრს აცნობა. საქმის გასარკვევად ნ. პანინმა საქართველოში კაპიტანი იაზიკოვი გამოგზავნა და ერეკლესადმი ორი წერილი გამოატანა: ერთი იმ შემთხვევისათვის თუ მეფე ტახტზე იჯდა, მეორე კი თუ იგი უკვე გადაყენებული იყო. ამასთან, მეორე ვარიანტს ადრესატი სრულიად ნორმალურად იღებდა. „გენერალი იძულებული იყო ასე მოგვც�dათო“[8].

სხვათა შორის, ტოტლებენისადმი მიწერილ წერილში, ერეკლეს ტახტზე დაბრუნებაც იყო დაშვებული (თუკი იგი გადაყენებული იქნებოდა), მაგრამ ეს საკითხი თვით რუსეთის გენერალს უნდა გადაეწყვიტა, თურქთა წინააღმდეგ წარმოებული მოქმედების ინტერესების შესაბამისად.

რუსეთი რომ საქართველოს ინკორპორაციისათვის ემზადებოდა და ეს დროის საკითხად მიანნდა, კარგად ჩანს გრაფ ნ. ი. პანინის 1770 წ. 16 ივლისის ტოტლებენისადმი მიწერილ წერილში: „... საქართველოს სიშორე და მიმოსვლის სირთულე ორი გარემოებაა, რომელიც ამ მიწის მითვისებას არამყარს ხდის. შეიძლება დროთა განმავლობაში აღმოჩნდეს საშუალება, რომლის ძალითაც ეს უხერხულობა ამგვარად აღარ მოგვეჩვენოს, მაგრამ ამჟამად მთავარი საჭიროებაა, რომ ქართველები ჩვენ ომში მოგვეხმაროს“.[9] უფრო ნათლად ძნელი სათქმელია, საქართველოს დაპატრონება რუსეთისათვის დროის საკითხი იყო.

რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების პერიოდში ერეკლე მეორეს და რუსეთის ჯარების მეთაურს გოტლიბ ფონ ტოტლებენს შორის ჩამოყარდნილი უთანხმოების გამო, რუსეთის ხელისუფლება ქართლ-კახეთის მეფეზე განაწყენებული იყო, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაცივდა.

ამ ფაქტს ერეკლეს პოლიტიკაზე უარყოფითად არ უმოქმედია. პირიქით, მან აღვილად მოაგვარა ურთიერთობა ირანთან და თურქეთთან, მორიგე ჯარის

შემოღებით კი მნიშვნელოვნად შეამცირა მეზობელ მთიელთა მტაცებლური თავდასხმები.

1770-1780 წლები ქართლ-კახეთის პოლიტიკური განმტკიცების ხანაა. ამ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს საქმეებისადმი რუსეთის ერთგვარად გულგრილმა დამოკიდებულებამ, ირანისა და თურქეთის ამ ფაქტით კმაყოფილებამ და შედარებითმა დასუსტებამ.

ქართლ-კახეთის მდგომარეობას ამბების თვითმხილველი და სახელმწიფო საქმეებში ჩახედული ავტორი, იესე ოსეს ძე ბარათაშვილი შექმნილ ვითარებას ასე ახასიათებს: „განცვიფრდა ყოველი სული და აღიდებდნენ ღმერთს (მეფისა), ამის ასეთს ბედნიერებას: – ხონთქარი, ესრეთ ყეენი, ესრეთ, რუსეთის იმპერატორი ესრეთ, შვილნი მორჩილნი ესრეთ, ყმა დამონებული ესრეთ, მეზობელნი მორჩილნი ესრეთ და სხვა მრავალი ბედნიერება აურაცხელი"[10].

ასეთ ვითარებაში გაცხოველდა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის 40-იან წლებში დამუშავებული საქართველოს გაერთიანების პროგრამა, რომელიც ქართლ-კახეთის შემდეგ ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეულის, იმერეთის შემოერთებით უნდა დაწყებულიყო და თურქეთთან შეთანხმებით განხორციელებულიყო. 1778 წლის გაზაფხულზე, როგორც ჩანს, თურქეთსა და ქართლ-კახეთს შორის ხელშეკრულება საბოლოოდ გაფორმდა. თუმცა იგი საიდუმლო იყო, მაგრამ მისი შინაარსი სოლომონისთვისაც ცნობილი გახდა და აშკარა შეიქნა თუ სასწრაფო ღონისძიებებს არ მიიღებდა, ტახტის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დადგებოდა. ხელშეკრულების შინაარსი, როგორც ვივარაუდეთ, იმაში მდგომარეობდა, რომ ერეკლე II უარს ამბობდა ირანის ქვეშევრდომობაზე, აღიარებდა სულთნის უზენაესობას, კისრულობდა თავის სამეფოში არ დაუშვა რუსეთის ფეხის მოკიდება. სამაგიეროდ სულთნის კარი მას „უომობდა" თავის უფლებებს დასავლეთ საქართველოზე, პირველ რიგში იმერეთის სამეფოზე. ე. ი. დასტურს აძლევდა ქართლ-კახეთის მეთაურობით საქართველოს გაერთიანებას.

რა უნდა მოემოქმედა ასეთ ვითარებაში სოლომონ I, რათა ტახტი გადაერჩინა? ცხადია, პირველ რიგში უნდა დაკავშირებოდა იმ ძალებს, რომელთა ინტერესების წინააღმდეგ აღნიშნული კავშირი იყო მიმართული (ირანი და რუსეთი).

1778 წლის აგვისტოში იმერეთის სამეფოდან რუსეთის გავლით ირანში გაიგზავნა ელჩობა, რომელსაც ბესარიონ გაბაშვილი მეთაურობდა.

იმავე წლის 11-14 ოქტომბერს იმერეთის ელჩობა ასტრახანიდან გაემგზავრა, ცხადია, რუსეთის ხელისუფალთა თანხმობით და ხელდასმით.

ავტორთა უმრავლესობა, რომელიც კი ამ საკითხებს შეხებია, მას ალექსანდრე ბაქარის ძის ჩამოყვანის საკითხს უკავშირებს[11]. აქ უნდა განიმარტოს, რომ ვახტანგ VI შვილიშვილი, ალექსანდრე ბაქარის ძე, რომელიც ვახტანგთან ერთად რუსეთში გაემგზავრა, იქ ცხოვრობდა და იმპერატორის სამსახურში იმყოფებოდა, 1766 წელს, ერთობ საეჭვო ვითარებაში, რუსეთიდან გამოაძევეს. იგი თავს ქართლის ტახტის მემკვიდრედ თვლიდა და ამის იურიდიული საფუძველიც ჰქონდა. ერეკლე მეფე, რომელმაც ფაქტობრივად მოახერხა ქართლ-კახეთის შეერთება, ოფიციალურად მხოლოდ სანახევროდ იყო მიჩნეული გაერთიანებული სამეფოს მეფედ და ამის გამო იგი მიღებული წესით მეფედ კურთხეული არ ყოფილა. ალექსანდრეს გამოშვება ისეთ ვითარებაში მოხდა და მასზე რუსეთის ხელისუფლება, გამოძევების შემდეგაც, ისეთ ყურადღებას იჩენდა, რომ იგი აქ უფრო რუსეთის აგენტის ფუნქციის შემსრულებელს ჰგავდა. მისი პირადი მიზანი ქართლის ტახტის დაბრუნება იყო, მაგრამ პირველი წარუმატებელი ცდის შემდეგ, ირანს შეაფარა თავი.

ახლა, როცა ერეკლემ რუსეთის და ირანის საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა და მათდამი დამოკიდებულება საეჭვო გახადა, ორივე სახელმწიფომ იგი (ალექსანდრე ბაქარის ძე) სასწრაფოდ გამოამგზავრეს იმერეთის მეფესთან, რა-

თა მათი დახმარებით ლეგიტიმური უფლების შესაბამისად, ქართლის მეფობის მოპოვებისათვის ებრძოლა. ეს მით უმეტეს ადვილი იყო, რომ მას, გარდა იმერეთის, ირანის და განსაკუთრებით რუსეთისა, ქართლის არაერთი დიდებულიც უჭერდა მხარს.

ალექსანდრე ბაქარის ძის იმერეთში გამოჩენამ და ერეკლეს საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაბმამ, მოსალოდნელი შედეგი გამოიღო. ერეკლის ხანის დასასჯელად გალაშქრებული ქართლ-კახეთის მეფე, სადაც განსაზღვრული შედეგის მოპოვებას იმერეთის საკითხის გადაწყვეტა უნდა მოჰყოლოდა, იძულებული შეიქნა წამოწყებული საქმე ნახევრად მიეტოვებინა და თბილისში დაბრუნებულიყო. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით: „... მეფემან ირაკლიმ ინება წასელა ერეკანს ზედა დასაპყრობად.

შეიკრიბნა თავისი მხედრობანი, წარმოემართა და მიადგა ერევნის ციხესა 4 თვე. ერევნის ხანი უსეინ-ალი მრავალჯერ შემოება, გარნა ძეულმა იწყო ციხეთა მაგრობაი. შეამჭირნა ფ-დ ციხე ერევნისა, ვნინდა ლამობდა დაპერობასა, რომლის გამო მეფემან სალომონ უბრა მეფესა ირაკლის, მოიყვანა ბაქარიშვილი ალექსანდრე, სპარსეთით და აღუდგინა შფოთი ქართლსა შინა. ამისი მსმენელი მეფე ირაკლი და უსეინ ალი დაზავდნენ... ხოლო მეფემ აპყარნა ხალხნი მუნებურნი სომეხნი და დაასახლა ყარაიასა და აელაბარსა და შემოიქცა გამარჯვებული. მსმენელი ალექსანდრე ბაქარისძე უ�იქცა იმერეთით უქმი"[12].

ქართლ-კახეთის მდგომარეობა სწრაფად გართულდა. საქართველოს მიმართ ერთგვარი ინდიფერენტულობაც, რომელიც, როგორც ითქვა, ერეკლეს გამაერთიანებელი ნაბიჯების საფუძველი იყო, მოჩვენებითი აღმოჩნდა. რუსეთი წინა აზიაში კასპიისა და შავ ზღვაზე გაბატონებას გეგმავდა, სადაც საქართველო მთავარი დასაყრდენი ძალა უნდა ყოფილიყო; თურქეთისა და ქართლ-კახეთის კავშირს, მით უმეტეს თუ იგი ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციის ხელყოფას ითვალისწინებდა, ეს უკანასკნელი არ დაუშვებდა. მას ქართლის სამეფო სამთავროები დაშლილნი, დასუსტებულნი, მისი ხელის შემყურენი და არა ძლიერნი და დამოუკიდებელნი, აინტერესებდა და საწინააღმდეგო ვითარების შექმნას არ მოითმენდა. ამიტომ საიმპერატორო კარი შესაბამისი ანტიქართული (შენიღბული) ზომების განხორციელებას არ აყოვნებს: არ ჯერდება ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ქართლში ჩატარებულ ღონისძიებებს, ცდილობს შეასუსტოს ერეკლეს სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი, რაცა მან რეგიონში ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან, განსაკუთრებით სოლომონ პირველთან შედარებით, გადამწყვეტ უპირატესობას არ მიაღწიოს. ყოველივე ამის გამო, რუსეთის ხელისუფლება ქართლ-კახეთისადმი თავის უარყოფით დამოკიდებულებას მარტო ალექსანდრე ბაქარის ძის მეშვეობით საქართველოს გაერთიანების ხელის შეშლაში როდი გამოხატავს. მან დაუყოვნებლად ანვეა მას თავისი ძალა და განწყობილება: დიპლომატიურად ჩაუყენა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების გზები. ნება არ მისცა რუსეთის გენერალ მედემის კორპუსს ჩრდილოეთ კავკასიაში ერეკლეს ინტერესების სასარგებლოდ ემოქმედა, ეკატერინე II-მ ქართლ-კახეთის არასანდოობასა და რუსეთის ძალების საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენების მისწრაფებაზე მიუთითა (თითქოს ასეთი მისწრაფება ქვეყნისგან რომელსაც მეგობარს უწოდებ და სულ ცოტა ხნის წინ მის ძალებს შენს სასარგებლოდ ომში იყენებდი, დიდი ცოდვა ყოფილიყო); ორჯერ ნაშალა ერეკლეს შორს გამიზნული ღონისძიება – ყაბარდოელთა საქართველოში გადმოსახლებას რომ ისახავდა მიზნად, აკრძალა ქართველ პოლიტიკოსთა მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარების დაქირაობა, რითაც არსებითი დარტყმა მიაყენა ქვეყნის სამხედრო პოტენციალს[13] და სხვ.

ამრიგად, ძირითადად რუსეთის ძალისხმევით, კიდევ ერთხელ ჩაიშალა საქართველოს გაერთიანების და ამიერკავკასიაში გაბატონების ქართული პროექტი.

სულ რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში ერეკლეს პოლიტიკამ არაერთი მნიშვნელოვანი დარტყმა და მოულოდნელი მარცხი განიცადა. 1781 წელს კი მოხდა ქართლ-კახეთის სამეფოს და საკუთრივ ერეკლეს დიდი პირადი ტრაგედია და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დანაკლისი: საეჭვო, დღემდე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფის რჩეული ვაჟი და პირველი დასაყრდენი ქვეყნის „გამოხსნისა" და „აღდგომის" გზაზე, ბატონიშვილი ლევანი.

მემატიანის გადმოცემით ეს უდიდესი ტრაგედია იყო სამეფოსათვის, რადგან მრავალრიცხოვან შვილთაგან ქვეყნის ნამდვილი ბურჯი და იმედი ლევანი იყო: „არამედ მოჰსცა ღმერთმან მეფესა ირაკლის ძე ერთი სახელად ლეონ რომელიც ემსგავსა მამასა თვისსა სიმხნითა". ერეკლეს უბედურების ამბავი რომ გაუგია ახალციხის სულეიმან ფაშას, რომელიც ქართლ-კახეთის მეგობარი არა, მაგრამ ვაჟკაცი კი იყო, სინანულით უთქვამს: „მოხუცების ჟამსა მეფეს ირაკლისსა, ერთი ფარდა აქვნდა საქართველოს, რომელიც ოთხ კერძოვე იგურდიე იფარებდა და აწ დიდი შემწე მოეშალა ირაკლი მეფესო"[14].

გეორგიევსკის ტრაქტატის არსი. ზედიზედ განცდილი რამოდენიმე მარცხის შემდეგ ქართლ-კახეთის მდგომარეობა შეირყა. ერეკლესათვის აშკარა შეიქნა, რომ მისი სამეფოს გართულებების ძირითადი მიზეზი რუსეთის პოლიტიკა იყო.

თავის მხრივ, რუსეთმაც დაინახა, რომ თუ აქტიურად არ იმოქმედებდა, შეიძლებოდა რეგიონში მთავარი დასაყრდენი, ქართლ-კახეთის სამეფო, დაეკარგა. იმპერიის საქართველოსადმი ახლებური პოზიციის ჩამოყალიბებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ მას გაუძლიერდა ინტერესი ყირიმის ნახევარკუნძულის მიმართ ისე, რომ საქმე თითქმის ოსმალეთთან ომამდე მიდიოდა. მაშასადამე ოსმალეთის ფაქტორი და მისთვის ანგარიშგაწევის არგუმენტი გამოირიცხა. ასეთ ვითარებაში ყირიმის პარალელურად, რუსეთმა მოქმედება საქართველოს მიმართულებითაც გააქტიურა; ურთიერთობის მოწესრიგების ინიციატივაც თვითონ აიღო. მით უმეტეს, რომ მას შემდეგ რაც იმპერიის ძალისხმევით, ერეკლეს დასავლეთ საქართველოში გავლენა შეუმცირდა, ამ მარცხის კომპენსაცია, მან ევროპასთან ურთიერთობის განახლებით და იქ შესაძლო დახმარების ძიებით გადაწყვიტა[15].

ბუნებრივია, რუსეთი ყოველმხრივ შეეცდებოდა საქმის ამგვარი განვითარება არ დაეშვა. პირიქით, იგი გეგმავდა, რომ თურქეთთან მოსალოდნელ ომში ქართველთა ძალებიც გამოეყენებინა[16].

ასეთ ვითარებაში, საიმპერატორო კარმა სასწრაფოდ „დაივიწყა" ერეკლეს „უმადურობა" „საკუთარი ინტერესებისადმი იმპერიის ინტერესების დაქვემდებარება" და სხვა ურჩი მოქმედებები, რომლებზეც მანამდე მიუთითებდა და განსაკუთრებული მონდომებით დაიწყო მასთან ურთიერთობის დათბობა და განახლება.

1781 წელს, კავკასიის ხაზის ჯარების მთავარსარდლად რომ ნიშნავდნენ, გენერალ პ. პოტიომკინს უპირველეს ამოცანად ძირითადად ერეკლესთან, აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა ქრისტიან მფლობელებთან დამოკიდებულების მოწესრიგებას უსახავდნენ და საამისო მეთოდებსაც კარნახობდნენ: „სხვადასხვა საბაბით ხშირი ურთიერთობა იქონიეთ მათთან, თავი გააცანით, რის მეშვეობითაც მოემზადეთ კიდეც მომავლისათვის გათვალისწინებული მიზნებისა და წამოწყებებისათვის"[17].

რუსეთის მთავარი მიზანი ის იყო, რომ ქართლ-კახეთს იმპერიის მფარველობაში შესვლა ეთხოვა და ყველაფერს აკეთებდა საამისოდ: პ. პოტიომკინმა ერეკლეს კარზე მყოფი ი. რეინეგსი, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში აქ კარის ექიმის მოვალეობას ასრულებდა და გარკვეული გავლენაც ჰქონდა, თავისთან გამოიძახა და 1782 წლის შემოდგომაზე რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ჩინით, კვლავ საქართველოში გამოისტუმრა, ვითარცა კომისიონერი და დააკალა, რათა წაექეზებინა ერეკლე, ფორმალურად ეთხოვა რუსეთის თვითმპყრობელის მფარველობა, „რაზედაც უმაღლესი სურვილი გამოთქვა"[18]. უფრო მეტიც, თვით გრიგოლ პოტიომკინის მონდომებით ერეკლეს გადმობირებასა და მფარველობის

თაობაზე თხოვნის გასაგზავნად დაყოლიებაზე დიდად გარჯილა სომეხი არქიეპისკოპოსი, იოსებ არღუთინსკი[19].

როგორც ეხედავთ, რუსეთთან ამგვარი კავშირი ამჯერად ერეკლე მეორეს თავის ქვეყნისათვის სასარგებლოდ არ ეზვენებოდა; საიმპერატორო კარი კი, ჩანს, ამას არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა და მის მისაღწევად პირდაპირ და შემოვლით გზებს ეძებდა. ამგვარ საშუალებად (ანუ ერეკლეს დასაყოლიებლად) ერთი მხრივ ფათალი ხანის, ხოლო მეორე მხრივ ალექსანდრე ბაქარის ძის გამოყენებასაც არ დაერიდა: 1781 წელს ერეკლესა და სოლომონის შეთანხმების საფუძველზე, ალექსანდრე ბაქარის ძემ იმერეთი დატოვა, რაჭის გზით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა და იქაურ მფლობელებს ერეკლეს საწინააღმდეგო მოქმედებისთვის აგულიანებდა, საბოლოოდ კი დარუბანდის ფათალი ხანს დაუკავშირდა, რომელმაც 1782 წლის "საფხულ"ში იგი თავისთან მიიღო და შეიყარა. ამრიგად, ერეკლეს ორი დაუძინებელი მტერი შეერთდა და მას მეტად სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

ერეკლე მეორისათვის ალექსანდრე ბაქარის ძის და ფათალი ხანის კავშირი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა: ერთის სამხედრო პოტენციალის და მეორეს ქართლის თავადებში გაელენის გამო. ამ საფრთხის უნებელყოფაში რეალური დახმარების აღმოჩენა მხოლოდ რუსეთს შეეძლო. უკანასკნელი კი საპირისპიროდ იყო დაინტერესებული და ქართველი მეფის განწყობილების შეცვლას ცდილობდა. რუსეთის მიერ ყოველმხრივ გაჩაღებულმა საქმიანობამ და ზეწოლამ თავისი "შედეგი გამოიღო. ნ. ბერძენიშვილი, აფასებს რა იმ ხანებში საქართველოში შექმნილ ვითარებას, ლაპიდარულად აჯამებს: „რუსეთის მთავრობამ სწრაფად და ენერგიულად სცადა შეცდომის გამოსწორება (საქართველოს რომ შემოსწყრა და თავის მიზნები გაამჟღავნა – მ. ს.) მან ორმხრივი იერიში მიიტანა ერეკლეზე. თავადები, აშენებული ალექსანდრეები, ფათალი ხანი, ჩერქეზთა გადმოსახლების ხელისშეშლა, იმიერკავკასიაში ჯარების დაქირავების შესაძლებლობის მოსპობა ერთი მხრივ, მეორე მხრივ აგენტები მრავალად ამოქმედდა ერეკლეს კარზე („ბროდიაგა" რეინეგსიც კი) უხვი დაპირებებით და ერეკლემ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება"[20].

ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთის მფარველობაში შესვლა ითხოვა.

საკურადღებოა, რომ ზოგიერთი რუსი მკვლევარიც კი ერეკლეს ამგვარ გადაწყვეტილებას, საერთოდ ალექსანდრე ბატონიშვილის ფაქტორით, და მისი ნეიტრალიზების სურვილით ხსნის. მაგალითად, ცნობილ რუს ისტორიკოსს პ. ბუტკოვს მიაჩნდა, რომ მეფე ერეკლემ შეიტყო რა, თუ რას უმზადებდნენ მას დარუბანდსა და დაღესტანში, თავისი შიში რუსეთის მთავრობას განუცხადა და თავისი სახლისათვის ქართლის მფლობელობა რომ შეენარჩუნებინა, რუსეთის მფარველობის ძიებისაკენ გადაიხარა"[21].

ყველა დროის ქართულ ისტორიოგრაფიაში, საერთოდ ქართულ ცნობიერებაში, მცირე გამონაკლისის გარდა, გეორგიევსკის ტრაქტატი მიჩნეულია ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ ისეთ დოკუმენტად, რომელიც ძირითადად მისაღები და სასურველიც კი იყო ქართველებისათვის. ასე მიიჩნევდნენ თანადროული პოლიტიკოსები, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, გვიან კი ამ დამოუკიდებლობის დაბრუნებისათვის მებრძოლნი, სხვადასხვა პოლიტიკური კლასები და პარტიები და წარმოიდგინეთ დღევანდელი მოაზროვნე საზოგადოების უდიდესი ნაწილიც კი.

ამ დოკუმენტში, მართლაც, ბევრია ქართველობისათვის მოსაწონი სიტყვა, ფრაზა, დაპირება, თუ დაიმედება, მაგრამ არც ერთი მათგანი, თუ არ მივიჩნევთ ობიექტურ შედეგს, ცხოვრებაში არ განხორციელებულა. ამასთან, აქ არა ერთი ქართველობის თვითმყოფადობის საწინააღმდეგო აზრია გატარებული, რომელიც ყველა განხორციელდა. ამიტომ ჩვენ, და ზოგიერთ სხვასაც, მიგვაჩნია, რომ ეს ხელშეკრულება არის უდიდესი ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფოებრივობის დაკარგვის გზაზე, ამიტომ ქართველობისათვის მიუღებელი.

არსებული გამოცდილების და ალღოს საფუძველზე ერეკლემ, როგორც ჩანს, ყველაფერი განჭვერიტა; ქართლ-კახეთის მეფე ამიტომ ეწინააღმდეგებოდა შესაბამის დასასრულს, მაგრამ რუსულმა დიპლომატიამ და საერთოდ პოლიტიკამ, იგი აიძულა საეალალო ნაბიჯი გადაედგა.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ხსენებული ტრაქტატის დაწერილებითი ანალიზი. ჩვენ გვინდა ეაჩვენოთ, მისი ჭეშმარიტი არსი, რამაც რამდენიმე წელიწადში სრულად იმუშავა და ნაეარაუდევი შედეგი გამოიღო:

პირველ პრობლემას უკეე შეეეხეთ. უპირატესად მიჩნეულია და ეს აზრი ისტორიოგრაფიაშიც იჩენს თავს, რომ ხელშეკრულების ინიციატორი საქართეელო იყო, რომელიც ეერ უმკლავდებოდა შემოსულ მტრებს და რუსეთის გარეშე გადაშენება ემუქრებოდა. ვნახეთ, რომ ეს აზრი სიმართლეს არ შეესაბამება. ფაქტობრივად ტრაქტატი იყო ერეკლე მეფისათვის რუსული ხელისუფლების მიერ თავს მოხვეული გადაწყვეტილება. ხელშეკრულების მიხედვით ქართლ-კახეთის სამეფო ფორმალურად რუსეთის მფარველობაში მყოფად[22] ცხადდებოდა, თუმცა ფაქტობრივად ეს იყო ქვეშევრდომობა: ა) ხელისუფლების ნებართვის გარეშე ტახტის მემკვიდრე, ან სხვა პრეტენდენტი მეფობას ეერ მიიღებდა[23]. ბ) მას ქვეყანა რუსეთის სურვილის შესაბამისად უნდა ემართა: თანამდებობაზე დანიშვნის დროს გაეთვალისწინებინა პრეტენდენტის რუსული ორიენტაცია. გ) ქართლ-კახეთის მეფეს მთლიანად აკრძალული ჰქონდა საგარეო საკითხების წარმოება[24]. დ) ფაქტობრივად უქმდებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია (ქართული მხარის მოთხოვნა იყო, რომ ქვეყანაში კათალიკოსობა უცელელად დარჩენილიყო, მაგრამ ამას ყურადღება არაეინ მიაქცია). რუსეთისაეე შემოთავაზებულ პროექტში ქართველი მღვდელმთავარი რუსეთის სამღვდელოების იერარქიაში მეოთხე ადგილს იკავებდა, თუმცა დამტკიცებულ ვარიანტში მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაემცრო და იგი მერეე ადგილზე აღმოჩნდა[25]. ე) მართალია, რუსეთის მხარე კისრულობდა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები, მაგრამ ამ მხრივ მას ყური არ გაუბერტყია, ვიდრე საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება და მისი ანექსია არ მოახდინა.

ამრიგად, აღნიშნული ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო ისეთ დაჩიხულ მდგომარეობაში მოექცა, რომ აქ მეფობის გაუქმება დროისა და რუსეთის კონკრეტული ინტერესების საკითხი იყო.

როგორც ჩანს, XVIII საუკუნის 80-იან 90-იან წლების დასაწყისში ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის გაუქმება და მისი ანექსია საიმპერატორო კარის დღის წესრიგში დადგა. ქართლ-კახეთის სამეფოს ძლიერი და პოპულარული მეთაურის სიცოცხლეში ეს ამოცანა რთული გადასაწყვეტი იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ ეკატერინეს „ბრწყინეალე" ხელისუფლება ეეროპაში დემოკრატიული იმიჯის დამკვიდრებას ესწრაფვოდა და სურდა საქმე ისე მოეწყო, ქართულ მხარეს მეფობის გაუქმება და რუსეთის შემადგენლობაში შესელა თვითონ ეთხოეა.

ამის მიღწეევა მრავალჭირნახული და დიდი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე ქართველებისაგან ერთობ რთული საქმე იყო, რასაც რუსი პოლიტიკოსები კარგად ხედებოდნენ, ამიტომ, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რომ ქართლ-კახეთის გაძლიერებისათვის და საქართველოს გაერთიანებისათვის კი არა, რასაც რუსეთი ტრაქტატით კისრულობდა, არამედ პირიქით, საქართველოს დასუსტებისათვის ემუშაეათ. ანუ ქართველობა ისეთ შავ დღეში უნდა ჩავარდნილიყო, რომ სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თხოვნისა.

გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთში (ფაქტობრივად საეროდ საქართველოში) მინისტრი რეზიდენტის სტატუსით პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვი გამოაგზავნა და თან ორი რუსული ბატალიონი გამოატანა. ოთხი წელი იდგნენ ეს ბატალიონები ქართლ-კახეთის სტრატეგიულ პუნქტებში, საქართველოს მტრების წინააღმდეგ (ლეკები, სახანოები) გარკვეულ ბრძოლას ეწეოდნენ, მაგრამ არსებით შედეგს ეერ აღწევდნენ; გარემომცველი

სამეარო საქართველოში რუსული ჯარების არსებობას თავის საწინააღმდეგო პოლიტიკის საფუძვლად მიიჩნევდა და მათ, ისევე როგორც საერთოდ ქართლ-კახეთის წინააღმდეგ პერმანენტულ ომს აწარმოებდა. რუსეთის მთავრობამ საქართველოში ბატალიონები კი გამოაგზავნა, მაგრამ ამით საქმე დაამთავრა; მათ შევსებაზე, მომარაგებაზე და ა. შ. თავი არ შეუწუხებია.

1787 წელს კი, თურქეთთან ომის დაწყების მომზესებით, ბატალიონები საქართველოდან დაუყოვნებლივ, გაუფრთხილებლად, გაიყვანეს. ამ დროს ისინი ერეკლეს განჯის დასასჯელად მოწყობილ ლაშქრობაში ეხმარებოდნენ და პირდაპირ ლაშქრობიდან გაუყვანეს რუსეთის გზას.

ბატალიონების გაყვანით რუსეთმა ფაქტობრივად უარი თქვა ტრაქტატის ერთ-ერთ ძირითად პუნქტზე, რომელიც თურქეთთან ომის შემთხვევაში ამ ქვეყნის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას შეეხებოდა.

თავის მხრივ, რუსეთის ჯარის საქართველოდან გაყვანით, ერეკლემ ერთგვარი შეღავათი მიიღო, რადგან ოსმალეთი და მისი სატელიტი სახანოები, ამ ეთთარებით ემაყოფილნი, მის წინააღმდეგ მოქმედებისაგან თავს იკავებდნენ.

მაგრამ ამასობაში მეორე მხრიდან გამოიკვეთა დიდი საფრთხე: ირანის ტახტის დაკავებისათვის ამტყდარ ბრძოლაში, საქართველოსათვის ყველაზე საშიში პრეტენდენტი — აღა-მაჰმად-ხანი მტკიცედ მიიკელვევდა გზას.

მისგან მოსალოდნელი საფრთხე ქართლ-კახეთის გამოცდილმა მეფემ თავიდანვე განჭვერიტა. ერეკლემ, როგორც კი ირანის ტახტის პრეტენდენტის განწყობილება და მისგან მოსალოდნელი საფრთხე იგრძნო — მაშინვე საშველად რუსეთს მიმართა, მაგრამ ყურიც არავინ გაიბერტყა. „მფარველმა" მხარემ ერეკლეს სასარგებლოდ არა თუ არაფერი გააკეთა, როგორც ჩანს, პირიქით, მოსალოდნელ თავდასხმას თითქოს კიდეც აქეზებდა.

ეტყობა რუსეთის მმართველ წრეებში მომწიფდა აზრი, რომ დადგა დრო საქართველოს ანექსიის და საამისოდ მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარებისა. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა ამ თვალსაზრისით რუსეთის პოლიტიკის წისქვილზე ასხამდა წყალს.

ამის გამო, ერეკლეს და მისი დიპლომატების არა ერთი თხოვნა და გაფრთხილება რუსეთის მიერ სრულიად უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

თუ საკითხს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, ნათელი გახდება 1795 წლის შემოტევის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში რუსეთის დიპლომატიის და სამხედრო უწყების მიზნები და მოქმედების ხასიათი.

რუსეთში მეოფი მირიან ბატონიშვილის ძალისხმევით კავკასიის ხაზის სარდალმა, გუდოვიჩმა მხოლოდ ერთხელ გააფრთხილა აღა-მაჰმად-ხანი, რომ საქართველოზე თავდასხმა არ გაებედა, მაგრამ თვით რუსი ისტორიკოსის პ. ბუტკოვის სიტყვით, ეს გაფრთხილებაც ისეთი ტონით იყო გაკეთებული, რომ მან თავდასხმის აღკვეთა კი არა პროვოცირება გამოიწვია[26].

წლების განმავლობაში გამუდმებული შეხსენებისა და თხოვნის მიუხედავად ქართლ-კახეთის სამეფომ ვერაფრით ვერ მიიღო, არა თუ რაიმე მხარდაჭერა, არამედ ეკატერინე II-ის მიერ ადრე ნაბუქარი ხარბაზნებიც კი[27]. უფრო მეტიც, ომის წინ ქართველებმა ორიოდე ბათმანი დენთი ითხოვეს და ისიც ვერ გამოიმეტა რუსმა გენერალმა. ერეკლემ ვერ მოახერხა დაღესტანში ჯარების ქირაობაც, რაშიც, როგორც ჩანს, კელაე რუსთა ვერაგი ხელი ერია.

ერთი სიტყვით, სათქმელი ბევრია, მაგრამ ეფიქრობთ, სადაეი არ არის, რომ სწორედ რუსეთის გამიზნული პოლიტიკის წარმატებული განხორციელება იყო იმის მიზეზი, რომ გადამწყვეტ მომენტში საქართველოს წინააღმდეგ განეწყო და დაირაზმა თითქმის ყველა მესობელი. რუსეთმა სრულად შეასრულა ის, რასაც გეგმაედა და თავისი პოლიტიკის გამარჯვებას ზეიმობდა, რადგან ხელის გაუსვრელად, ქართლ-კახეთის სამეფო დაცემის პირას მიიყვანა და მცირეოდენი ძალისხმევა იყო საჭირო, რათა იგი საბოლოოდ განადგურებულიყო და უსისხლოდ, რუსეთის ავტო-

რიტეტის არა მარტო შენარჩუნების, არამედ განმტკიცების პირობებში, მწიფე ნაყოფიეთი ჩავარდნოდა ხელში. რუსეთი ახლა ამისათვის ემზადებოდა.

რაც შეეხება სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობას, რომელიც რუსეთმა 1796 წელს ეითომდა სპარსეთის დასჯის მიზნით წამოიწყო, შესაბამისი სურვილი ეკატერინე II-ს ადრეე ჰქონდა და ქართლ-კახეთის განადგურებამ მას ამის განხორციელება მხოლოდ გაუადვილა.

ქართლ-კახეთის განადგურების, დასჯის საბაბით წამოწყებულმა ამ ექსპედიციამ სულით გატეხილ პატარა კახს კიდევ ერთხელ გაუღვიძა სამეფოს ფეხზე წამოყენების და ძველი გავლენის აღდგენის იმედი. მას უფლება და პრეტენზიაც ჰქონდა, ეფიქრა, რომ რუსეთი ახლა მაინც გაუწევდა დახმარებას მისი გამოისობით ასე გაცამტვერებულ, „მფარველობაში მყოფ" სამეფოს.

მაგრამ ერეკლე ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო და კარგად ხედებოდა, რომ რუსეთს საქართველოსთან დამყარებული მფარველობითი ურთიერთობის ფორმა არ აკმაყოფილებდა და მზად იყო კიდევ ერთ დათმობაზე წასულიყო და მას დამოკიდებლობის უფრო მძიმე ფორმა – ქვეშევრდომობა შესთავაზა, მაგრამ იმპერია საქართველოს სამეფოს სრული გაუქმებისათვის იღწვოდა და, ბუნებრივია, ეს შეთავაზება უარყო. მან არა თუ თვითონ არ აღმოუჩინა ფიზიკური თუ მატერიალური დახმარება მისი მიზეზით მოწამებრივად განადგურებულ საქართველოს, არამედ ზომები გაატარა, რათა ამგვარი დახმარება მას სხვა გზით არ მიელო: „ყველანაირად შეეცადეთ, რომ მან ეს სესხი სხვისაგან არ მიიღოს. დააიმედეთ, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს მის სასარგებლოდ". ავალებდნენ 1796 წელს რიმსკი-კორსაკოეს, რომელიც ჯარით განჯისკენ მიემართებოდა.

ვფიქრობთ ყველაფერი ნათელია. სადაც რუსეთის იმპერიის დამპყრობლური ინტერესები ბატონობს, იქ ადამიანური დამოკიდებულების, მორალისა და ღირსებისათვის ადგილი არ რჩება.

ეკატერინე II-ის გარდაცვალებამ აღა-მაჰმად-ხანის სასარგებლოდ იმუშავა და პავლე პირველმა ირანის წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობა მოშალა.

ეს ფაქტი აღა-მაჰმად-ხანმა თავის გამარჯვებად ჩათვალა. ერეკლეს მუქარის წერილები გამოუგზავნა და, რაკი პასუხი არ მიღო, საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრად გამოეშურა[28]. ქართლ-კახეთი საბოლოო განადგურების საშიშროების წინაშე დადგა. მაგრამ მის გადასარჩენად „მფარველმა" რუსეთმა კი არ იზრუნა, არამედ აღა-მაჰმად ხანის ორმა მონამ (როგორც ფიქრობენ ერთი ქართველი იყო), რომლებმაც საძულველი საჭურისი 1797 წ. 6 ივნისს თავისივე საწოლში სიცოცხლეს გამოასალმეს[29].

შეუპოვარ პატარა კახს კიდევ ერთხელ გაუცხოველდა მისწრაფება თავისი სამეფოს ძველებური სტატუსით აღდგენისა, რისთვისაც რუსეთს, რომლის გამოც ქვეყანამ ამდენი განსაცდელი და განადგურება იწვნია, მატერიალური და სამხედრო დახმარება მოსთხოვა. მაგრამ კიდევ ერთხელ (უკანასკნელად) გაუცრუვდა იმედი, რადგან რუსეთი ამ დროს უკვე ანექსიის და, შესაბამისად ამ შემთხვევაში, საქართველოს სათანადო მოწყობის გეგმებს ამუშავებდა[30], ანუ ახორციელებდა დიდი ხნით ადრე შედგენილ საქართველოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევის პროგრამას[31].

მანამდე ქვეყანაში საიმპერატორო კარისათვის ერთობ სასურველი ვითარება შეიქმნა: ერეკლე მეფის გადაწყვეტილებამ ქართლ-კახეთის ტახტზე ასელის ტრადიციული წესის შეცვლის შესახებ, რომელიც მეფობის მამიდან შვილზე კი არა, ოჯახში უფროს წევრზე გადაცემას ითვალისწინებდა: ანუ გიორგის შემდეგ ტახტი უნდა მის მომდევნო ძმას იულიონს დაეკავებინა და ა. შ. ქვეყანაში დიდი არეულობა გამოიწვია. დიდი მეფის ეს გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს გაერთიანების საკითხს უკავშირდება, ბატონიშვილებმა (ბუნებრივია გარდა გიორგისა და მისი შთამომავლობისა) მიიღეს და მისგან გადახვევას არ ფიქრობდნენ. რუსეთის გადაწყვეტილებამ ტახტის პირველი პრეტენდენტის გიორგის მემ-

კეიდრედ მისი ძმის იულიონის მაგიერად, მისი ვაჟი დაითი ელიარებინა ქვეყანაში ვითარება დაძაბა.

ერეკლეს სიცოცხლეში ეს დაძაბულობა ასე თუ ისე იჩქმალებოდა, მაგრამ 1798 წელს საქართველოს დიდმა და მრავალტანჯულმა მეფემ – ერეკლე II-მ ეს წუთისოფელი დატოვა და ბევრი (მათ შორის საქართველოს გამთლიანების) გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

ვიდრე ტახტს მისი უფროსი ვაჟი გიორგი დაიკავებდა, ერეკლე II ოჯახის წევრებმა და დიდებულების უმეტესმა ნაწილმა, რომლებიც შიშობდნენ რომ მეფობის კანდიდატი ერეკლეს ანდერძს არ შეასრულებდა, მას საამისოდ წერილობითი პირობა ჩამოართვეს. მაგრამ ამან დაძაბული ურთიერთობა არ დააცხრო. დიდი არეულობის და უმაყოფილების საფუძველი გახდა, ერეკლე მეორის, ასევე სადაო, გადაწყვეტილება ქვეყნის საუფლისწულოებად დაყოფის შესახებ. საუფლისწულოები თანაბრად არ განაწილდა. ბატონიშვილებს შორის უმაყოფილება დაპირისპირებაში გადაიზარდა და ვითარება აირია. ამხელა მარცხგადატანილი და დაულაგებელი ქვეყანა პოლიტიკურმა ქაოსმა მოიცვა.

შეიქმნა ისეთი ვითარება, რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარს აძლევდა ხელს და რომელსაც იგი დაბეჯითებით ამზადებდა.

ალექსანდრე I მანიფესტი გიორგი XII-ის მდგომარეობა საეჭვალო იყო. ქვეყანაში მას, ფაქტობრივად, თავისი ოჯახის გარდა დასაყრდენი არ ჰქონდა. ერთადერთ იმედად საიმპერატორო ხელისუფლება რჩებოდა, რომლის გულის მოგებასაც, მისი აზრით, შეეძლო იგი გადაერჩინა. ახალი მეფე, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ჯერ კიდევ ერეკლეს სიცოცხლეში იყო უმაყოფილო 83 წლის ტრაქტატის პირობებით და რუსეთისადმი სრულ მორჩილებასა და მეტ დამოკიდებულებას მიიჩნევდა საჭიროდ.

ახლა, როდესაც ასე თუ ისე ვითარებას იგი განაგებდა, შეეძლო თავისი შეხედულება ცხოვრებაში გაეტარებინა.

1799 წლის სექტემბერში გიორგიმ თავის ელჩებს რუსეთთან ახალი ხელშეკრულების მომზადება დაავალა, რომლის ძალითაც სამეფო მთლიანად რუსეთის იმპერატორს უნდა გადასცემოდა. ქართლ-კახეთი კი იმპერიაში გუბერნიის უფლებით შეეიდოდა ერთადერთი მოთხოვნით, რომ პაველ პირველს, მასა და მისი შთამომავლებისათვის ტახტის შენარჩუნებაზე წერილობითი გარანტია მიეცა. ყველა საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ნაბიჯი გიორგიმ რუსეთის კარნახით გადადგა, მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში რუსეთისაგან ჯარების მიღების გარანტიით. ამგვარი მტკიცებულების საფუძველს ის გარემოება იძლევა, რომ 1799 წ. 7 სექტემბრის ნოტის საფუძველზე, იმავე წლის 23 ნოემბერს პაველ იმპერატორსა და გიორგი XII შორის ხელმოსაწერი ახალი ტრაქტატი უკვე მზად იყო[32]. ასეთი ელვისებური სისწრაფე იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთში დოკუმენტის შესაბამისი პროექტი გამზადებული ჰქონდათ და მხოლოდ გიორგის მიერ ნოტაზე ხელის მოწერას ელოდნენ.

ახალი ხელშეკრულებით, რუსეთის იმპერატორი იღებდა საქართველოს მეფის ტიტულს. დაითი ცხადდებოდა ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრედ. საქართველოს მმართველად ინიშნებოდა სამეფო სახლის ერთი წევრთაგანი, იმპერატორის მოადგილის ხარისხით, ადგილობრივ, საქართველოში კი მეფის ტიტულით, რომელიც სამუდამოდ გიორგი XII შთამომავლობაში უნდა დარჩენილიყო; მასთან თანაშემწედ უნდა გამწესებულიყო რუსეთის დიდი მოხელე, რომელიც მოაწყობდა ქვეყნის მართვა-გამგეობას რუსეთის კანონების და პეტერბურგიდან მიღებული ინსტრუქციების მიხედვით. მეფეს ეკრძალებოდა ჯამაგირი და რუსეთში მიეცემოდა სოფლები, სამეფოს მთელი შემოსავალი კი რუსეთის ხაზინაში შეედიოდა. ქართლ-კახეთში დადგებოდა 6000-იანი რუსეთის ჯარი. თბილისში მოთავსებოდა ფული, რომელიც ერთ მხარეს რუსული ნიშნებით იქნებოდა შემკული, მეორე მხარეს ქართულით[33].

აღნიშნული დოკუმენტის კომენტირება საჭირო არ არის. ფაქტია, რომ საქართველო (ქართლ-კახეთი) ყველა თავის სახელმწიფოებრივ პრეროგატივას ჰკარგავდა, იტოვებდა მხოლოდ სამეფო ოჯახის მატერიალურ და მორალურ ამბიციების ზოგიერთ კომპონენტს.

გიორგი მეფის აღნიშნული გადაწყვეტილება უაღრესად საიდუმლოდ მზადდებოდა; მის შესახებ მხოლოდ მისმა უახლესმა მრჩეველებმა იცოდნენ. თვით დავით ბატონიშვილმაც კი მასზე გიორგის სიკვდილამდე 4-5 დღით ადრე შეიტყო და როგორც გადმოგვცემენ აღშფოთებულს წამოუძახია, „მამაჩვენმა ყელში დანა გამოგვისვაო"[33]. რუსეთის ხელისუფლება კი აღნიშნულ დოკუმენტებს განიხილავდა, როგორც უკანასკნელ ნაბიჯს ქართლ-კახეთის სრული ინკორპორაციის გზაზე.

აღნიშნულ ხელშეკრულებას ქართლ-კახეთის ანექსიის საქმეში რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს კარგად ჩანს მისდამი რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის დამოკიდებულებიდანაც. გიორგი მეფის გარდაცვალებიდან 12 წლის თავზე რუსეთის იმპერატორის განკარგულებით მის საფლავზე დაიდგა სპილენძის ფილა, სადაც ნათქვამია, რომ „მეფე გიორგიმ თავის ქვეშევრდომთა სიკეთისათვის, სურდა რა სამუდამო კეთილდღეობა მიენიჭებინა მათთვის, 1799 წელს, საქართველო რუსეთის იმპერიას დაუთმო"[34]. ყველაფერი, რაც ამის შემდეგ მოხდა: ქართლ-კახეთის ელჩების საქართველოში გამოგზავნა, გიორგი XII სახელით შედგენილი საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის პროექტით, რომელზედაც მომაკვდავ მეფეს ხელი უნდა მოეწერა, თუმცა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მასში არაფერი არ იყო ნათქვამი მისი სიკვდილის შემდეგ ტახტზე ახალი მეფის აყვანის თაობაზე. ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდა რადგან ელჩებმა გიორგის ცოცხალს ვეღარ მოუსწრეს.

ამიტომ 1799 წლის 18 დეკემბერს, ჯერ კიდევ გიორგი XII სიცოცხლეში, სახელმწიფო საბჭოს მიერ დადგენილების მიღება, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ[34]; 1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში პაველ პირველის მანიფესტის გამოქვეყნება, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო გუბერნიად იქნა გამოცხადებული, მხოლოდ მეორეხარისხოვანი, დამატებითი დოკუმენტებია.

საიმპერატორო ხელისუფლება დროს არ კარგავდა. 1801 წ. 6 მარტს შეიმუშავეს ქართლ-კახეთის ახალი მმართველობის წესები. 11 მარტს სახელმწიფო სენატმა გენერალ გუბერნატორად კნორინგი, ხოლო სამოქალაქო გუბერნატორად გარუსებული გენერალი ორბელიანი დანიშნა[35].

ამასობაში სიცოცხლე მოსწრაფებული პაველ I მისმა ვაჟმა, ალექსანდრე პირველმა შეცვალა. ერთ-ერთი პირველი დიდი გადაწყვეტილება, რომელიც მან ტახტზე ასვლის შემდეგ მიიღო, საქართველოს შეეხებოდა.

სახელოვანი დიდედის, ეკატერინე მეორის, კარზე აღზრდილი ალექსანდრე, სახელმწიფოს მეთაურად ახირებული და დესპოტი მამის წინააღმდეგ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, ლიბერალიზმის და რეფორმების ტალღაზე მოვიდა რუსეთის ტახტზე და ცდილობდა ეს პოზა საქართველოსთან დამოკიდებულებაშიც შეენარჩუნებინა.

ქართლ-კახეთის სამეფო მას რუსეთის მიერ ანექსირებული დახვდა. თუმცა ამ აქტით ბოლომდე კმაყოფილი არცერთი მხარე არ იყო. საქართველოს მხრიდან მას არავითარი ოფიციალური დოკუმენტი არ ამაგრებდა, თუ არ ჩავთვლით დეპუტაციის მიერ გარკვეულ წრეებში, წოდებებში შეგროვილ თხოვნებს, რომლებშიაც, მართალია, ქვეშევრდომობაზე იყო საუბარი, მაგრამ რა ქვეშევრდომობა იგულისხმებოდა აქ ვერავინ გაიგებდა. ამასთან, ეს თხოვნები ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის გაუქმებას არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობდა.

ჯერ კიდევ დეპუტაციის ჩამოსვლამდე, ახალმა იმპერატორმა საკითხი განსახილველად სახელმწიფო საბჭოს გადასცა. 11 აპრილს საბჭომ იმსჯელა. მასზე და იგი დადებითად გადაწყვიტა. საბჭო სრულიად უსაბუთოდ ამტკიცებდა ქართველების ქვეშევრდომობაში შესვლის ფაქტს და ამასთან ყოველმხრივ ცდი-

ლობდა ლამაზი ფერებით დაეხატა სარგებელი, რასაც ეითომ ამის შედეგად ორივე მხარე ნახავდა.

იმპერატორი აღნიშნული საბჭოს სხდომის არგუმენტაციამ არ დააკმაყოფილა. ოთხი დღის შემდეგ, ანუ 1801 წლის 15 აპრილს, საბჭო ხელახლა შეუდგა აღნიშნული საკითხის განხილვას, საკითხი_ფასდაც უფრო ღრმად და დასაბუთებულად შეისწავლა, მაგრამ ძირითადი პოზიცია არ შეცვლილა და ზოგადად იმაში მდგომარეობდა, რომ შეერთება ორივე მხარისათვის აუცილებელია.

რუსეთის იმპერიული ცნობიერებისათვის დამახასიათებელი იყო საკითხის დაყენება: ან საქართველოს მიტოვება ბედის ანაბარად, ან მისი სრული ინკორპორაცია. არავის არ სურდა გაეხსენებინა, რომ არსებობდა 1783 წლის ხელშეკრულება (სხვათა შორის რუსეთის ზეწოლის შემდეგ გაფორმებული), რომლითაც რუსეთი ყოველგვარ სიკეთეს სთავაზობდა ქართლ-კახეთის სამეფოს, თუმც მაშინ ეს ქვეყანა ამას დიდად არ საჭიროებდა; არსებობდა აღნიშნული ხელშეკრულების განახლებული ვარიანტი, რომელიც ქართველთათვის გაცილებით მძიმე ეითარებაში გაფორმდა, სადაც რუსეთი ქვეყანას კვლავ აუარებელ სიკეთეს სთავაზობდა, მაგრამ სახელმწიფოებრიობის გაუქმებაზე მასში საერთოდ არ ყოფილა საუბარი. არავინ ამას ეურადღებას არ აქცევდა; საბჭო საკითხს ხისტად და კატეგორიულად აყენებდა: ან – ან.

აქ არსებობდა სამართლიანობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ახალგაზრდა იმპერატორის ფაქტობრივი სულისკვეთების მაჩვენებელი გარემოება. იგი საქართველოს (ქართლ-კახეთის) შემოერთების მართლზომიერებას განიხილავდა იმით, თუ რამდენად კანონიერი იქნებოდა იგი სამეფო დინასტიასთან მიმართებაში, რადგან არ არსებობდა საბუთი, რომ რომელიმე ქართველ მონარქს, ხელი აეღო თავის უფლებებზე რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ. პირიქით, ალექსანდრეს ხელთ ჰქონდა ორი წერილი: ერთი დავით ბატონიშვილისა, მეორე იულიონ ბატონიშვილისა. ორივე ქართლ-კახეთის ტახტზე თავისი უფლებების განხორციელებას მოითხოვდა. და აქ გამოჩნდა, თუ რამდენად მეცოდე იყო რუსეთის ახალი იმპერატორის ლიბერალობაც და სამართლიანობაც. მან დაუშვა, რომ სახელმწიფო საბჭოს კონორინგისათვის დაევალებინა, რათა ადგილზე შეესწავლა: 1. შეუძლია თუ არა საქართველოს სამეფოს იყოს დამოუკიდებელი, თავისი ძალებით დაუპირისპირდეს მტრებს და არეულობებს (თითქოს არ არსებობდა ორი ხელშეკრულება, სადაც ამ საკითხების გადაწყვეტას რუსეთი კისრულობდა) და 2. თხოვნა ქვეშევრდომობის შესახებ მართლაც მთელი ხალხის სურვილს ემყარებოდა თუ არა. და აქაც ალეგიკურობა, რომელიც იმპერატორის ცალმხრივობაზე და საკითხის შესწავლის ზედაპირულობაზე მიუთითებს: ა) არაფერია ნათქვამი რა ქვეშევრდომობაზეა საუბარი. განა ყველა ქვეშევრდომობა სახელმწიფოებრიობის გაუქმებას ნიშნავს? და ბ) რამდენად ობიექტური შეიძლება ყოფილიყო დასკვნა პიროვნებისა, რომელმაც_კარგად_იცოდა_მისი_ზემდგომი ორგანოების განწყობა და სურვილი, რომელიც ფაქტობრივად გუბერნიად ქცეული ქართლ-კახეთის მთავარსარდლად (პირველი პირი) მოიხსენიებოდა. ამასთან, შეიძლებოდა კი მთელი სამეფოს ხალხის განწყობილების დადგენა სულ 2-ოდ დღეში? ან რა საჭირო იყო კონორინგისათვის დაევალებინათ ხალხის განწყობის (სურვილის) შესწავლა, რომლის დეპუტაცია, გამსჭვალული მეფობის, სახელმწიფოს შენარჩუნების საერთო სურვილით, იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა? იმიტომ ხომ არა, რომ ეს დელეგაცია საკითხის გადაწყვეტაში თავის მონაწილეობას მოითხოვდა, რაც, სავარაუდოა, მეფობის გაუქმების საკითხს გაართულებდა.

საკითხის „გადაწყვეტა" გაიწელა.

საბოლოოდ, 1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა ალექსანდრე პირველის მანიფესტი, რომელიც მიმართული იყო საქართველოს ყველა მცხოვრებლისადმი, ვისაც ჯერ არს, რომ მან შეისმინა მათი მდგომარეობის სირთულე და ის, რომ ერთადერთი იმედი მათთვის რუსეთი არის და ეს იმედი არ გაუმტყუნდებათ:

„არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა ქვეყნიერებაზე ყველაზე დიდი იმპერიის საზღვრების გაფართოებისათვის, ეკისრულობთ ჩვენ საქართველოს მმართველობის ტვირთს. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებენ ჩვენს საღმრთო მოვალეობას, ყურად ვიღებთ რა ტანჯულთა მუდარა, მათი ნაღველის განსაქარვებლად დავაწესოთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შეძლებს მართლმსაჯულების დამყარებას. უზრუნველყოფს პირად და ქონებრივ უშიშროებას და კანონით ყველას დაცვას“[36].

რუსეთის იმპერატორი ამ ლამაზ სიტყვებს რომ წერდა, გულწრფელი არ იყო. მართალია, საქართველოთი დაინტერესებაში მთავარი მნიშვნელობა იმპერიისათვის მატერიალურ კი არა სტრატეგიულ მხარეს ეჭირა, მაგრამ როცა ამ ტექსტს წერდა (თუ უწერდნენ), მას ხელთ ჰქონდა საქართველოში მადნების შესწავლისათვის მოელინებული მუსინ პუშკინის პატაკი, იმპერატორ პავლე პირველისადმი, სადაც იგი ამ ქვეყნის შეერთების უდიდეს ეკონომიკურ სიკეთეს და მნიშვნელობას ასაბუთებდა.

1802 წლის 12 აპრილს ალექსანდრეს მანიფესტი თბილისში, რუსული ჯარებით გარშემორტყმულ, სიონის ტაძარში იქნა წაკითხული. ხალხით გაჭედილ დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, ზოგმა ხმალზეც კი შეიელო ხელი, მაგრამ ცხადია წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. საბოლოოდ მანიფესტის წაკითხვას ტაძარში მყოფი ბატონიშვილების, კათალიკოსის და დიდებულების დაფიცება მოჰყვა.

მეორე დღეს იგივე მანიფესტი, სომხურ ტაძარში ადგილობრივი დიასპორის წარმომადგენლებს წაუკითხეს. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ ეს პროცედურა აღფრთოვანებულ შეძახილებში და ტაშის გრიალში ჩატარდა...

ასე დასრულდა საქართველოს ინკორპორაცია რუსეთის მიერ, რომელმაც მისი ფაქტობრივი ანექსია გაცილებით ადრე განახორციელა.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. ფაქტი ის არის, რომ საქართველოს მიმართ, რუსეთმა თავისი მიზნები იმ ნიღბით აღასრულა რაც მას საერთოდ ჩვეოდა: „ყოველგვარ დაპყრობას ტერიტორიისა, ყოველგვარ ძალადობას, ყოველგვარ ჩაგვრას, ცარიზმი ახორციელებდა მხოლოდ განათლების, ლიბერალიზმის, ხალხთა განთავისუფლების ნიღბით“[37].

საქართველოში კოლონიური მმართველობის დასაწყისი

რუსეთის ბატონობის პირველი წლების დახასიათება. გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ, რუსებმა ქართლ-კახეთის გამგებლობა მეფის მემკვიდრეს დავით ბატონიშვილს მიანდვეს[38], რომელსაც დაუმალეს, რომ მისი გამეფების საკითხი უკვე უარყოფითად იყო გადაწყვეტილი და ბატონიშვილის დროებითი მმართველობა კიდევ უფრო მორჩილი და რუსეთისათვის მაამებლური გახადეს.

მაგრამ, დავითის ილუზიები დიდხანს არ გაგრძელებულა. 1801 წელს საქართველოში ჩამოსულმა გენერალმა კნორინგმა ბატონიშვილი პოსტიდან გადააყენა და აქ დროებითი მმართველობა დააარსა, რომლის თავმჯდომარედ გენერალი ლაზარევი დაინიშნა, წვერებად კი რამდენიმე ქართველი თავადი და ერთი სომეხი, თბილისის ყოფილი მამასახლისი, შეიყვანა. კოლეგიის კომპეტენციაში ყველა იმ საქმის გაძღოლა შედიოდა, რასაც უწინ მეფე წყვეტდა, გარდა სისხლის სამართლის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეებისა, რომელიც კნორინგს ეგზავნებოდა.

ამ შემთხვევაში იმედგაცრუებული დავით ბატონიშვილი ობიექტურ წყაროდ არ გამოდგება, მაგრამ მაინც ინტერესს მოკლებული არ არის ე. წ. დროებითი

მმართველობის მისეული შეფასება: აღნიშნავდა რა, რომ დროებითი მმართველობა რამდენიმე „ბლუტი“ და „დურაკისაგან“ შედგებაო, იქვე ქვეყნის გაჭირვებასაც მიუთითებდა: „ვსთქვათ, რომ უბედურება სოფლისაგან დიდი ხანია ჩვეულებად შემოსულა, და ვითომ მეც ერთი გაეუბედურდი, მაგრამ ამ მთელმა ქვეყანამ, თვის შორის დამკვიდრებული ერით, რა დააშავეს და ან რას შესცოდნენ, რომ ამისთანას უკანონოს და უწესოს უბედურებაში მიაწვეს, რომ ოთხთ უწიგნოთა, უწვრთნელთა და უისტორიო გვამთაგან ეს მთელი სამეფო იტანჯებოდეს და ასე მოუელელად და მწუხარედ რჩებოდეს“[39].

კავკასიაში რუსეთის ბატონობა დამყარდა. მისი მიზანი იყო თავის სასარგებლო პოლიტიკა გაეტარებინა, თუნდაც იგი ხალხის ინტერესთა საწინააღმდეგო ყოფილიყო. ეს თითქოს ლოგიკურია, მაგრამ აღმაშფოთებელია, რომ ეს ხორციელდებოდა ყველაზე უხეშად, ყველაზე არაადამიანური, ყველაზე მდაბალი ფორმებით, რასაც რუსი დიდმოხელეები და ზოგიერთი ჩინოვნიკიც, მაგალითად, ადოლფ ბერჟე, აღიარებდა და იმით ხსნიდა, რომ „ცარიზმს თვით ცენტრალურ გუბერნიებშიც არ ჰყოფდა იმათზე უკეთესი შემსრულებელები, ვისაც საქართველოში აგზავნიდა“, მაგრამ ეს უცილობელი ისტორიული ფაქტი, „სულაც არ ამცირებდა კავკასიაში მოხელეების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს, რაიც ქვეყნის მოსახლეობას რუსეთის საწინააღმდეგოდ განაწყობდა“[40].

ჩვენ უნდა შევედავოთ რუსეთის წარმომადგენელთა შორის ერთ-ერთ ღირსეულ გამონაკლისს – ინტელექტუალურ აეტორს. მართალია, რუსი მოხელეები ცენტრალურ გუბერნიებშიც არ გამოირჩეოდნენ დიდი დახვეწილობით, მაგრამ კავკასიაში მათ შორისაც ყველაზე უარესებს აგზავნიდნენ და, რაც მთავარია, თემცა ხშირია რუსი აეტორების მიერ ჩინოვნიკების ნაკლსა და ულირსობებზე საუბარი, მაგრამ მეტად ძნელი გასახსენებელია ფაქტი, რომ რომელიმე მათგანი ადგილობრივ მცხოვრებლებისადმი უდიერი, ან უსამართლო მოქცევისათვის დასჯილიყო და, რაც მთავარია, ბერჟე ჩვის არა მოხელეთა მოსახლეობისადმი არაადამიანურ დამოკიდებულებაზე, არამედ იმაზე, რომ ასეთი მიდგომა რუსეთის საწინააღმდეგოდ განაწყობდა ადგილობრივებს.

აღნიშნულ საკითხზე მეტად მკაფიო რეაგირებას ახდენს ე. ძიუბენკო, რომელმაც საქართველოში მრავალი ათეული წელი გაატარა. მისი დაკვირვებით რუსი მოხელეები, რომლებიც კავკასიისკენ მოისწრაფოდნენ „...უმთავრესად მსმელი ხალხი ან თავაწყვეტილი ახალგაზრდობა იყო, რომლებიც ორმაგი სამგზავრო ფულისა და ნახევარი წლის ჯამაგირის წინასწარ მიღების შემდეგ, მთელი გზა არეისა და ლვინის სმას ანდომებდნენ და ძალიან ხშირად გვორგიევსკამდე ძლივს აღწევდნენ, სადაც ასეთი უმსგავსო საქციელის და ჰავის მკვეთრი ცვლილებების შედეგად, ციებ-ცხელება ემართებოდათ და მრავალი მათგანი აქვე ჰპოვებდა თავის აღსასრულს“[41].

თუკი რუსეთის ჩინოვნიკები ასეთები იყვნენ, მაშინ აღვილი წარმოსადგენია მორალური სახე და ინტელექტუალური დონე გაუნათლებელი რუსი სალდათისა, რომელმაც არც კი იცოდა ვინ იყვნენ ქართველები, რა რელიგია, რა რწმენა, ისტორია ჰქონდა მათ და საერთოდ, მათ თითქმის ადამიანებადაც არ თვლიდნენ და შესაბამისად ექცეოდნენ.

პირველი შეხება ქართველ გლეხებსა და რუს „სალდათებს“ საქართველოში დამპყრობთა შემოსვლისთანავე მოუხდათ და შემდეგ გრძელდებოდა, გზების მოწესრიგების, ტვირთის გადატანის, სერსათით დაკმაყოფილების, თუ სხვა საკითხების მოგვარების დროს. მათი კონტაქტები უმეტესად უსიამოვნებებით, ურთიერთშეტაკებებით, დასჯით (ცხადია, ქართველთა) და ბოლოს აჯანყებებითაც კი მთავრდებოდა.

რამდენიმე ფაქტს, უამრავთაგან, რომელსაც ქვეეთ მოეიყვანით, რითაც საქართველოში რუსთა ბატონობის დახასიათებას შევეცდებით, თითქოს ძნელია რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ვეწოდოთ, რადგან ცენტრი ადგილობრივ მო-

ხელეებს შესაბამის მითითებებს არ აძლეედა და ზოგჯერ გმობდა კიდეც. მაგრამ ასეთი მიდგომა სწორი არ იქნება, რადგან ცენტრალურმა კოლონიუმა მმართველობამ შეამზადა პირობები ამგვარი ფაქტებისათვის და თავიდანვე სასტიკად არ აღკვეთა ისინი, შეიძლება ითქვას, რომ (ხელისუფლებამ) თვითონვე მისცა საამისო მაგალითი, რადგან, როგორც უცერემონიოდ და უდიერად ეპყრობოდა ცენტრი ქართველი ერის უმაღლეს წარმომადგენლებს, დედოფლებს, ბატონიშვილებს, დიდებულებს, შესაბამის უდიერობას იჩენდნენ ჩინოვნიკები ქვედა ინსტანციის წარმომადგენლებისადმი, დაბალი წოდების ადამიანებისადმი.

დამახასიათებელია ჟამურელი გლეხების საჩივარი, იმის შესახებ თუ როგორ მიეიდა ანანურის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკი, ხელფეხი შეუკრა გლეხებს, ძაღლების სალაფავისთვის განკუთვნილ ჭურჭელში – შეამზადა ადამიანის გონებისათვის წარმოუდგენელი მასა, რომელშიც შედიოდა შრატი, დაკუწული კატები, ყოველივე ეს შეაზავა ადამიანის ფეინით და შეაჭამა გაბაწრულ ადამიანებს. თურმე ამასაც არ დასჯერდა გადაუწვა რვა სახლი, სადაც ყველაფერთან ერთად განადგურდა 300 კოდი ქერი და სხვა სარჩო-საბადებელი. მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა კაპიტან-ისპრავნიკი ნიჩბებით მოკლა, რისთვისაც სასჯელი, ცხადია, ვერ აიცილა[42].

ტიპიური და დამახასიათებელია მთიულეთის გლეხთა განცხადება, რომლებიც საგზაო ბეგარის სიმძიმეს და არაადამიანურ მოპყრობას აპროტესტებდნენ: „1. კაცისაგან თითქმის მოუთმენელ სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გაეწმინდეთ.

2. ჩვენგან გაკეთებულ ამავე გზაზე წვიმისაგან შეიქმნა ტალახი. გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს; ამ დაფენილს ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგედგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოგვიკლეს.

3. მოვიდა თოვლი და ამოიცსო ჩვენგან გაწმენდილი გზა; ისეთ დროს მიგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვარიდეს. წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ არ დაგვიტანა, მაგრამ ტიმოთემ ისევ ხმლის ცემით მიგვიყვანა; წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი კაცი იქ გაიჭყლიტა.

4. მოვიდა 80 სალდათი და 12 ცხენოსანი ყაზახი; ამათ უნდებოდათ დღეში სალდათებს 10 საკლავი, ყაზახებს – 2, ქათამს, ყველს, ერბოს ვინ იანგარიშებს?

5. ცხენს და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და ქირაც არ მოუციათ; ერთხელ მოგვცეს თითო მანეთი, ესეც მოვითმინეთ.

6. ორნი დედაკაცნი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები მათრახის ცემით მიერეკებოდნენ...

ჩვენ ერთობით აწ ეს ვარჩიეთ, თუ სხვა არ მოგვეველინა რა განსაცდელი ამ მოუთმენელი მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოვუკიდოთ, ცოლშვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენი ცოლების უწესოს საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ. მარტო მთიულეთში უცბათ 23 მომკვდარა სხვას გარდა"[43]. ამას აცხადებდნენ ამაყი მთიულები.

რუსების უმსგავსო საქციელს თვით გამორჩეულად დაუნდობელი გენერალი ლაზარევიც კი ვერ უარყოფდა (1802 წ.) „აფიცრები, მარტოოდენ ჟინიანობით გატაცებულნი, თხოულობენ საბეგრო ცხენებს და ურმებს, შაურს არ აძლევენ პატრონებს და ამით ოჯახს ულუპავენ; სალდათები პირად შეურაცხყოფას აყენებენ მცხოვრებლებს, სტაცებენ საქონელს, ფრინველს და ხილს, ანადგურებენ ბოსტან-ბაღჩებს, ვენახებს; ღვინოს რომ დალევენ და გაილეშებიან, ქვევრებს მიწით ავსებენ, იქამდე მიდის მათი უგუნურობა, ავზნიანობა"[44].

სასოწარკვეთილი ხალხი იარაღს ჰკიდებდა ხელს (1802 წ. კახეთის, 1803 წ. თიანეთის აჯანყება), მაგრამ აჯანყებულებისადმი „ცივილიზებულ" ხელისუფალთა დამოკიდებულება, სალდათებისაგან არ განსხვავდებოდა. ლაშქრობაში მყო-

ფი პ. ციციანოვი დირექტივას აგზავნიდა: „დაუნდობლად ჩეხეთ და აკუწეთ მეამბოხენი; გაანადგურეთ მათი სოფლები, ერთი სიტყვით მათ ბინებში შესვლის დროს ხელი უნდა აიღოთ შეწყალების ყოველგვარ აზრზე. მათ უნდა მოექცეთ — როგორც ბორიტმოქმედთ და ბარბაროსებს"[45].

ციციანოვის გაღიზიანება აღმაშფოთებელია, რადგან ქართველ უბრალო ხალხზე რომ ანთხევდა ღვარძლს, უპრიანი იყო მათზე ეფიქრა, ვინც ამ ხალხს ხელში იარაღი აიღებინა, რომელთა მორალი, უსამართლობა და გაუმაძღრობა სრულიად გაუგებარი იყო მათი სტატუსის ადამიანებისგან.

საერთოდ, მეტად ნიშანდობლივია თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ წარმოსახული ზოგიერთი მაღალი ჩინის, სხარტი და ლაკონური პორტრეტები; „ტორმასოვი კაცი მძვინვარე, ამპარტავანი და უწყალო", პაულუჩი „კაცი ელამი, რაგვარადაც თვალით, ეგრეთვე სულითა და მოქმედებით", რტიშჩევი „კაცი ეს იყო ფრიად მექრთამე, ვინც მისცემდის ქრთამსა, გაუშვებდის, ვინც არა — წარგზავნიდეს ციმბირსა და გარდა ამისა შტერიც". ერმოლოვი „კაცი ესე იყო არა უგუნური, არამედ იყო ქვეგანმხედველი, ქუებულანი, მცბიერი და ფიცხელი"[46].

რუსეთი საქართველოში შემოვიდა როგორც კოლონიზატორი, მას შესაბამისი მიზნები და ამოცანები ჰქონდა, რაც ქვეყნისათვის უმძიმესი ასატანი იყო, მაგრამ ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ის, რომ რუსეთს საქართველოში შემოჰყვა ათასობით და ათიათასობით ხელმოცარული, უზნეო და გაუნათლებელ პიროვნებათა მასა, რომელთაც არც თავიანთი სამშობლოს ბედი აწუხებდათ და მით უმეტეს, არც დაპყრობილი საქართველოსი. მათი ერთადერთი მიზანი საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის, კარიერის და ამბიციების დაკმაყოფილება იყო.

როდესაც დაპყრობილ საქართველოს მართვის საკითხი იხილებოდა, გათვალისწინებული იყო, რომ იგი უნდა განხორციელებულიყო ეახტანგის კანონების და ადგილობრივი ‘ხნე-ჩვეულებების გათვალისწინებით, მაგრამ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები გამოდგა, მით უმეტეს, როცა მომხვიანმა რუსული ენის არაფერი იცოდა, განმკითხავმა კი ქართულისა. მრავალინსტანციური სასამართლო, სადაც საკითხების გადაწყვეტა უსაშველოდ ჭიანურდებოდა, რუსულ ენაზე, დაწერილი სანიერის შეტანის აუცილებლობა, ასევე რუსულ ენაზე საქმეების ზეპირი განხილვა და ა. შ. რუს მოხელეებს ყოველგვარი მაქინაციების, უზნეობის და კორუფციისათვის უხსნიდა ხელებს. მაკონტროლებელი კი არაყინ იყო. უკიდურეს შემთხვევაში სახელგატეხილ მოხელეებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანდნენ, ან გაათავისუფლებდნენ. სხვა სასჯელი არ არსებობდა. ამის გარანტი ქვეყნის სამოქალაქო მმართველი ალექსანდრე იყო. ეს დიდმოხელე მხოლოდ საკუთარი გამდიდრებით იყო დაკავებული, და ქვეყნის მართვას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მან მომხვეჭელობით, ქრთამებით, სხვადასხვა მაქინაციებით, უსამართლობებით და ა. შ. უთვალავი ქონება დააგროვა და უამრავი სახელმწიფო დანაშაული ჩადინა. მაგრამ რა, ქვეყნის ახალმა მმართველმა პ. ციციანოვმა იგი მხოლოდ სახელმწიფო საქმიანობას ჩამოაშორა; კაცი რომელიც უმაღლეს სასჯელს იმსახურებდა, პოსტიდან გაათავისუფლეს, გაატანეს ჩინმეტლები, უამრავი ნაძარცვი ფული და სხვა აუარებელი სიკეთე[47].

ქართლ-კახეთის ანექსიის ფაქტის შემდეგ, რუსეთის კოლონიური ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის ყველაზე უსამართლო, ყველაზე უზნეო და არაადამიანური მეფის ოჯახის წევრთა სამშობლოდან გადასახლების ოპერაციის ჩატარება იყო.

მეფის ოჯახის წევრთა სამშობლოდან გადასახლება, რუსეთს საქართველოში შემოსვლამდე ჰქონდა გადაწყვეტილი. მაგრამ ქვეყნის შენარჩუნებისათვის გაწეულმა საქმიანობამ (შეთქმულებების, აჯანყებების სიხშირემ, მეზობელ სახელმწიფოებთან დაპირისპირებამ და ა. შ.). ამ საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად დაანელა.

რესკრიპტში, რომელიც პ. ციციანოეს კავკასიაში გამოგზავნის წინ მისცეს, ბაგრატიონთა სახლის წევრთა რუსეთში გადასახლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ საკითხის მოგვარება გარუსებულ გენერალს უპირველეს ამოცანად დაუსახეს, რადგან ბაგრატიონთა სახლის წევრთა საქართველოში ყოფნა ყოველგვარი „ბუნტებისა" და არეულობების საფუძვლად იყო მიჩნეული (ამ დებულებებით ბათილდება საქართველოში რუსეთის შემოსვლის ნებაყოფლობა, ხალხის საერთო სურვილი და სხვა ზღაპრები, რითაც ცარიზმის ხელისუფლება მსოფლიო საზოგადოებას კვებავდა). ციციანოვს ცენტრიდან ურჩევდნენ, რომ „ყოველმხრივ ცდილიყო, რათა ოპერაცია ნებაყოფლობით, დაყოლიებით, დაინტერესებით და ა. შ. ჩაეტარებინა; მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში მას ძალის გამოყენების ნებასაც აძლევდნენ[48]. ოპერაციის ნებაყოფლობით განხორციელება ცარიზმს იმისათვის კი არ სურდა, რომ უსამართლობისა და უკანონობისთვის აერიდებინა თავი, არამედ იმისათვის, რომ სამეფო სახლის წევრთა გაუბედურების შემყურე ამიერკავკასიის ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სახანოებს, რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სურვილი კიდევ უფრო არ განელებოდათ[49].

პ. ციციანოვი ენერგიულად შეუდგა მიღებული დავალების შესრულებას. საქმე დარეჯან და მარიამ დედოფლისაგან დაიწყო, მაგრამ ყველა შეგონებაზე მათგან გადაჭრილი უარი მიიღო. მაშინ, ერთობ ვერაგულ და თვითნებურ ხერხს მიმართა: დედოფლებს და ბატონიშვილებს ყმა მამული მოლიანად ჩამოართვა და ხაზინას გადასცა, რათა ისინი ეკონომიკურ გაჭირვებაში ჩაეგდო და ამ გზით გადასახლების თანხმობა გამოეძალა. მაგრამ არც ამ სასტიკმა ღონისძიებამ გაჭრა. ამის შემდეგ რუსეთის მეფის წარმომადგენელი ძალადობაზე გადავიდა და 1803 წლის სუსხიან 19 თებერვალს, სნეული ბაგრატ და დავით ბატონიშვილები, დამპყრობთა ძლიერი რაზმით გარშემორტყმულები, რუსეთს გაამგზავრეს[50]. მათთან არ იყო თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონი, რომელმაც გაქცევა მოახერხა და მალე სპარსეთში გადავიდა.

ეს საქმის მხოლოდ დასაწყისი იყო. ამის შემდეგ კელავ დედოფლებს მიუბრუნდნენ: დარეჯანი, როგორც ციციანოვი პირადად დარწმუნდა, მძიმედ იყო ავად. გიორგი XII ქვრივი, მარიამი კი არავითარ ეკონომიკურ სიძნელეებს არ უ'ფინდებოდა და სამშობლოში დარჩენას იხვეწებოდა. მაგრამ ციციანოვი უტეხი იყო და გადაწყვეტილებებს არ ცვლიდა. 1803 წლის 13 აპრილს რუსის სარდლებმა ალყა შემოარტყეს მარიამის სასახლეს. გენერალი ლაზარევი დედოფლის საწოლში შეიჭრა და მისი ძალით გამოყვანა სცადა. დედოფალმა უკანასკნელი არგუმენტი მოიშველია და განაცხადა, რომ ავად იყო. გენერალმა ძალის დატანება დაუპირა და დედოფლის სარეცელს დასწვდა. „ძალა დედოფალს"? გაისმა თურმე იქვე და მოძალადეს ფერდში ხანჯალი ჩასცეს. ლაზარევმა მალე სული განუტევა. მომაკვდავი ლაზარევის ყვირილზე საწოლში ხალხი შემოცვივდა და მათ მომაკვდავი ლაზარევი, მწოლიარე დედოფალი, იქვე კი მისი ორი უმცროსი შვილი (თითქმის ბავშვები) თამარი და ჯიბრაელი დაინახეს, რომლებიც ხანჯლებს იქნევდნენ და არავის იარებდნენ. მისუსტებულმა დედოფალმა განაცხადა, რომ გენერალი მან მოკლა ხანჯლით, რომელიც მას ბალიშის ქვეშ ჰქონდა დამალული, მაგრამ ვინ იყო ლაზარევის ფაქტობრივი მკვლელი დღემდე უცნობია[51]. მხარსა და ხელში დაჭრილი დედოფალი შეიპყრეს და მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად ძლიერი დაცვის თანხლებით რუსეთს გაამგზავრეს. „...დედოფალი დაკოდილი ბრალეულ ჰყვეს. მან მოჰკლა იგი (გენერალი – მ. ს.) და შვილებითურთ თვისით, რომელნიც იყვნენ მას ჟამსა ფრიად წვრილმანი ასაკითა წაიყვანეს რუსიად, რომლისა ჭვრეტა მჭვრეტელთათვის იყო საზარო"[52]. გაბოროტებულმა ციციანოვმა თურმე, ესეც არ იკმარა და ბრძანება გასცა, რომ გზაში დედოფალს ისე მოპყრობოდნენ, როგორც ბოროტმოქმედს და მკვლელს.

რუსეთში ჩასული დედოფალი ბელგოროდის მონასტერში გამოკეტეს. სადაც რეა წელი გაატარა, ვიდრე შვილების დაჟინებული თხოვნით ალექსანდრე I-

მა ნება არ დართო მოსკოვში, შეილებთან გადასულიყო საცხოვრებლად. გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული სატახტო ქალაქში, საიდანაც ქართველი თავადაზნაურების ძალისხმევით საქართველოში გადმოასვენეს და სვეტიცხოველში მეფეების ერეკლე II-სა და გიორგი XII-ს გვერდით დაკრძალეს"[53].

მარიამის გადასახლების შემდეგ 1803 წლის 25 ოქტომბერს, ციციანოვმა დარეჯან დედოფალიც გაუყენა რუსეთის გზას.

ამით ბატონიშვილების გასახლების პროცესის პირველი ეტაპი დასრულდა, რადგან რუსებს დანარჩენებისადმი ხელი აღარ მიუწვედებოდათ: იულონი და ფარნაოზს ბატონიშვილები სოლომონ II კარზე ელოდნენ მოვლენების განვითარებას, თეიმურაზ ბატონიშვილი კი ალექსანდრესთან ერთად ჭარ-ბელაქანში იმყოფებოდა.

ციციანოვი მაინც იხტიბარს არ იტეხდა და მათ გამოტყუებას ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა. წერდა გრძელ ეპისტოლეებს, სადაც ბატონიშვილებს ლამაზ ფერებში უხატავდა რუსეთში ცხოვრებას – დიდ ქონებას, მაღალ საზოგადოებას, იმპერატორის პატივს. მას გენერალს თეიმურაზ ბატონიშვილიც არ გამორჩენია, რომელიც სპარსეთში იყო და თითქოს დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა, ეპატიჟებოდა საქართველოში და უამრავ სიკეთეს სთავაზობდა. ბატონიშვილებთან რომ ეერაფერი გააწყო, ციციანოვმა ახლა ბედი მეუღლეებთან სცადა, რათა მათ ემოქმედათ თავიანთ ქმრებზე და რუსეთში გადასახლებაზე დაეყოლიებინათ. „მუხლმოდრეკილი ვეამბორები თქვენი უგანათლებულესობის, ჩემი საყვარელი დის ხელს, – სწერდა გენერალი იულიონ ბატონიშვილის მეუღლეს – ურჩიეთ იულიონს შეისმინოს ვედრება მისი ერთგულის მეგობრისა, დასტოვოს საქართველო და წავიდეს რუსეთს, სადაც მოელის სიკეთე და ბედნიერება".

ბატონიშვილები მას პასუხსაც კი არ აძლევდნენ.

რუსეთის ბატონობის დამყარება დასავლეთ საქართველოში. ყველა რუსულ დოკუმენტში, რომელიც ქართლ-კახეთთან არის დაკავშირებული, ეს რეგიონი საქართველოდ არის მოხსენიებული, ეს შემთხვევით არ ხდებოდა. რუსეთის დიპლომატიამ კარგად იცოდა, რომ ქართლ-კახეთის საკითხის გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესი გასაღები იყო მთელი საქართველოს ოკუპაციისა.

იმერეთის ახალგაზრდა მეფე, სოლომონ II, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოზე აცხადებდა პრეტენზიას და, როგორც სავარაუდოა, ერეკლე II და სოლომონ პირველის შეთანხმებით, გაერთიანებული საქართველოს მეფედაც კი იყარაუდებოდა (რომ დასცლოდა), ქართლ-კახეთში რუსეთის მიერ გატარებულ ეერაგვნულ პოლიტიკას აღშფოთებით შეხვდა. იგი გიორგი XII მოწინააღმდეგე ბანაკის აქტიური წევრი იყო, თვლიდა, რომ ერეკლე II კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ ცხოვრებაში ურეეველად უნდა გატარებულიყო. ქართლ-კახეთის ანექსიის შემდეგაც აგრძელებდა ანტირუსულ საქმიანობას: თავისთან იფარებდა ბატონიშვილებს იულიონს და ფარნაოზს, ურთიერთობა გააცხოველა თურქეთთან, კავშირი არ გაწყვიტა შაპის კარზე მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან და ერთგვარი ანტირუსული კოალიციის შეკერას შეეცადა, რათა საერთო ძალებით რუსები კავკასიიდან გაეყარათ და საქართველოში ბაგრატიონთა დინასტია აღედგინათ[54]. რაკი კოალიციისგან ჯერ რეალური შედეგი არ ჩანდა, სოლომონმა გადაწყვიტა ყოერმალურად მიეღო რუსეთის მფარველობა, მაგრამ რუსეთმა გარკვეული მოსაზრებებით და ქუსუ-კაინარჯის ზავზე მითითებით მას უარი შემოუთვალა.

ცოტა მოგვიანებით, აღნიშნულმა ზავმა რუსეთის ხელი არ შეუშალა სამეგრელოს საქმეებში ჩარეულიყო და იქ იმერეთის საწინააღმდეგო პოლიტიკა გაეტარებინა.

სოლომონი მიხვდა, რომ მისი საქმე რთულდებოდა და არა მარტო ლეჩხუმის, რომელსაც სამეგრელოს მთავარი ეცილებოდა, არამედ საკუთარი ტახტის დაკარგვაც ემუქრებოდა. მან უკვე კარგად იცოდა რუსეთის მოქმედების ტექნიკური ნიუანსები. იმერეთის მეფემ რუსეთში თავისი ელჩი სოლომონ ლეონიძე გააგზავნა, რათა უფრო დაბეჯითებით ეშუამდგომლა, რომ დასავლეთ საქართველო

რუსეთის მფარველობაში მიეღოთ, მაგრამ ციციანოვის მეშვეობით ალექსანდრე პირველმა კარგად იცოდა სოლომონ II ნამდვილი ზრახვები. ამიტომ მან იმერეთის ელჩი არ მიიღო, ციციანოვს კი მიუთითა, შესაფერისი საგარეო სიტუაციის დადგომისთანავე იმერეთის სამეფო დაეკავებინა[55].

ასეთ ვითარებაში დასავლეთ საქართველოსადმი იმპერიის დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და მისი შენიღბული ანექსიის მომზადება დაიწყო. ხედავდა რა რუსეთის ჭეშმარიტ განწყობას, და საერთაშორისო ვითარებას, როგორც ჩანს, სოლომონ II გაუნელდა რუსეთის მფარველობისკენ სწრაფვა, რადგან გრძნობდა ამის საბოლოო შედეგს. ახლა ციციანოვის წინაშე უფრო მკვეთრად დადგა სოლომონის დასუსტებისა და იმერეთის პრობლემის მოგვარების საკითხი. შექმნილ ვითარებაში საიმპერატორო ხელისუფლება ციციანოვისგან იმერეთის პირდაპირ შემოერთებას, ოკუპაციას მოითხოვდა. მაგრამ გენერალმა მაინც სიფრთხილე არჩია, რადგან თურქეთი კი გაჩუმებული ჰყავდა, მაგრამ შესაძლებელი იყო ირანს გამოეხატა პრეტენზია.

იცოდნენ რა იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს ქიშპი ლეჩხუმის საკითხზე, რუსებმა სამეგრელოს მხარე დაიჭირეს.

ამასობაში კონსტანტინეპოლში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების გადასასინჯად, რომელსაც რუსეთისათვის დასავლეთ საქართველოში მოქმედების თავისუფლება უნდა მიენიჭებინა. მოლაპარაკება რუსეთის ინტერესების შესაბამისად მიმდინარეობდა. მისი წარმომადგენელი იტალინსკი დარწმუნდა, რომ თურქეთი წინააღმდეგი არ იქნებოდა არათუ სამეგრელოს, არამედ საერთოდ იმერეთის რუსეთისათვის დათმობისაც. პეტერბურგში ეს განწყობა ცნობილი იყო და მათ იტალინსკის ინფორმაციისთვის არც კი დაუცდიათ და ციციანოვს მიუთითეს, რომ სამეგრელო დაეკავებინა. „არ გაგიჭირდებათ თქვენ – სწერდა ალექსანდრე I ციციანოვს – სამეგრელო რომ დაიკავოთ, ამისათვის ელჩის, იტალინსკის, ცნობას მოუცადოთ. ოტომანთა პორტა, რომელსაც სამეგრელოზე ასეთი მოჩვენებითი ხელისუფლება აქვს ისე, რომ ამას არაფერი სარგებლობა არ მოაქვს მისთვის, ამ შემთხვევაში... არ მოინდომებს დაარღვიოს რუსეთთან არსებული კეთილგანწყობა“[56]. ეს ამონაწერი ჩვენ იმისათვის მოვიტანეთ, რომ ხაზი გაგვესვა საიმპერატორო მთავრობის, და, რაც მთავარია, „ლიბერალი“ ალექსანდრე პირველის ჭეშმარიტი დამოკიდებულებისათვის, ტერიტორიების სრულიად თვითნებური ანექსიისადმი.

1803 წ. 4 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც სამეგრელო ავტონომიის უფლებით რუსეთთან შეერთებულად ცხადდებოდა.

ამის შემდეგ რუსეთის დიპლომატიამ ადვილად მიაღწია, რომ თურქეთს მოლიანად ხელი აეღო დასავლეთ საქართველოზე[57].

ცენტრი ციციანოვს გადამწყვეტ, მოურიდებელ მოქმედებას კარნახობდა, მაგრამ, გენერალმა ირანის ინტერესების ანგარიშის გაწევა მაინც მიზანშეწონილად მიიჩნია. სოლომონ მეორე კი მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა რუსეთის ქვეშევრდომობას, თუკი მას ლეჩხუმს დაუბრუნებდნენ და მის მეფობას ხელუხლებლად დატოვებდნენ.

იმპერია ყოველგვარი ულირსი ხერხებით მოქმედებდა, რათა იმერეთი დაეიდარაბის გარეშე ჩაეგდო ხელში, არ ერიდებოდა დიდებულთა მოქრთამვას, უხვად არიგებდა დაპირებებს და სხვ.

ამასთან, ციციანოვმა კარგად გათვლილი ეერაგული გეგმა შეიმუშავა: რომელიც გულისხმობდა, რომ რუსეთი ერთხანს მოითმენდა იმერეთის სამეფოს არსებობის ფაქტს, თუკი სოლომონი დათანხმდებოდა ხელი მოეწერა ციციანოვის მიერ შემოთავაზებულ სათხოვარ პუნქტებზე. პუნქტები კი ისე იყო შედგენილი, რომ იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის ნიშანწყალსაც კი არ ტოვებდა, გარდა მეფის ფორმალური არსებობის აღიარებისა.

სოლომონმა ამასვე უარი თქვა, მაგრამ ციციანოვმა გადაწყვიტა რუსეთის ძალა და შესაძლებლობები იმერეთის მეფისათვის კიდევ ერთხელ მოეგონებინა: ქართლის მოსახლეობა იმერეთის სოფლები იარაღით დაიკავა და მოსახლეობის რუსეთის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო.

იმერეთის მეფე წინააღმდეგობის გაწევისათვის მზად არ იყო, მით უმეტეს, რომ დამხმარე არავინ ჩანდა. მას ყველა გ'ხა მოეჭრა და იძულებული შეიქნა დანებებულიყო. 1804 წლის 25 აპრილს, სოფელ ელაზნაურში მოხდა ციციანოვის და იმერეთის მეფის შეხვედრა, სადაც იმერეთის მეფემ სასუიმოდ მიიღო ფიცი რუსეთის ხელმწიფის ერთგულებასე და ხელი მოაწერა სათხოვარ პუნქტებს[58]. ცხადია, არც ერთი მხარე გულწრფელი არ იყო და მომავალში შეთანხმების თავის სასარგებლოდ შეცვლას გეგმავდა.

სოლომონთან საკითხის მოგვარებას რუსებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ მდ. ხობის შესართავთან მცირე რედუტი ააგეს, რომლის საშუალებით იმერეთთან ზღვით კომუნიკაციის ახალი საშუალება გაუჩნდათ.

როცა იმერეთის საკითხი დადგა, გურიის მთავარმაც მოითხოვა, მსგავსი შეთანხმება მასთანაც გაფორმებულიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა – ციციანოვმა გურია იმერეთის ნაწილად ნათვალა და მისი საკითხიც გადაწყვეტილად მიიჩნია.

დასავლეთ საქართველოს პრობლემას რუსეთი მოგვარებულად თვლიდა. 1804 წლის 25 აპრილს, მაშინ როცა სათხოვარ პუნქტებზე სოლომონ მეორეს ხელი არ ჰქონდა მოწერილი და ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული რუსეთ-იმერეთის ხელშეკრულება, ციციანოვი ამაყად მოახსენებდა იმპერატორს: „იმერეთის სამეფო გადაიქცა რუსეთის პროვინციადო"[59].

დრო გადიოდა და საგარეო და საშინაო ვითარება იცვლებოდა. რუსეთისა და თურქეთის დროებითი ურთიერთ ლოიალური დამოკიდებულება ტრადიციული მტრობით შეიცვალა. რუსეთი შავიზღვისპირეთის ნაკადგურების დასაკავებლად იბრძოდა. ამ ბრძოლაში გურიის მთავარმა რუსეთის მხარე დაიკავა, ამიტომ იმპერატორისაგან ორდენი და იმერეთის მეფისგან დამოუკიდებლობა მიიღო. იმერეთის მეფეს კი ასე თუ ისე გულშემატკივარი (თურქეთი, ახალციხის საფაშო) გამოუჩნდა და რუსეთთან იძულებით დადებული, მიუღებელი, ხელშეკრულებისაგან განთავისუფლებას და დამოუკიდებლობის მოპოვებას შეეცადა. იგი უსაფრთხოების მი'ხნით ვარციხეში ცხოვრობდა და მოსალოდნელი გართულებებისთვის ემზადებოდა. შეუძლებელია მისთვის მინიშნებით მაინც ცნობილი არ ყოფილიყო, რომ 1808 წელს გუდოვიჩმა მიიღო იმპერატორის ბრძანება იმერეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმების და იქ დროებითი მმართველობის დაარსების შესახებ[60]. სოლომონს ასევე უტყუარი ცნობები ჰქონდა იმის თაობაზე, რომ რუსები, ხელსაყრელ მომენტში, მის მოცილებას გეგმავდნენ. ამის გამო იგი სასახლეში არ შედიოდა და, საერთოდ, ქუთაისს ახლოს არ ეკარებოდა[61]. იმერეთის მეფეს, თავის მხრივ, რუსებთან ის პრეტენზიაც ჰქონდა, რომ მათ არ შეასრულეს ელაზნაურის შეთანხმების საიდუმლო პუნქტი, რომლითაც ლეჩხუმი მას უნდა გადასცემოდა.

რუსები ნელელი ტაქტიკით მოქმედებდნენ და უხეად იყენებდნენ მოსყიდვას, ჩინ-მედლებს, დაპირებებს, მაგრამ ყველაფერი ეს, რუსეთის მოძულე დიდებულებზე ნაკარაუდევ შედეგს არ აღწევდა. თავის მხრივ თურქეთიც არ იშურებდა ძალისხმევას და სოლომონს ბრძოლისათვის აქეზებდა.

რუსეთმა ვერაფრით ვერ მოახერხა იმერეთში სოლომონის საწინააღმდეგო პარტია შეექმნა.

ამასობაში კი ტორმასოვმა ბრძანება მიიღო ლიად და უცერემონიოდ ემოქმედა. მან გორსა და სურამში ჯარებს მოუყარა თავი, რათა იმერეთში შეეჭრილიყო. სოლომონის მცდელობამ, მიმოწერით შეეფერცხა მტერი და დაგეგმილი შემოჭრა გაზაფხულამდე გაეჭიანურებინა, შედეგი არ გამოიღო.

1810 წლის 10 თებერვალს რუსებმა იმერეთზე ყოველი მხრიდან შეტევა დაიწყეს. რუსეთის მომხრე მთავარმა, ლევან დადიანმა, ცხენის წყალი გადალახა და სოფლების დაკავებას და ხალხის დაფიცებას შეუდგა[62].

ბრძოლა ერთ თვეს გაგრძელდა, რუსების კოლონიური რეჟიმის დაცემულ ავტორიტეტს და მასების განწყობას ის გარემოება ახასიათებს, რომ ოფიციალური ცნობით: „იმერეთის მცხოვრებლები ეზიდებოდნენ თავიანთ ქონებას და მიჰყავდათ თავიანი ოჯახები ტყეში, თვითონ კი დიდ გროვად შეკრებილნი სხვადასხვა მაგარ ადგილებზე ხერგილებს ქმნიდნენ“.

იმერეთის ყველა ფენა და წოდება თავის მოუდრეკელი მეფის, სოლომონ II, წინამძღოლობით გმირულად იბრძოდა. მაგრამ ჯარები, უკეთ შეიარაღებული და გაწვრთნილი ძალების შემოტევას ვეღარ გაუძლეს და საბოლოოდ დამარცხდნენ. 9 მარტს, ზეკარის უღელტეხილისკენ უკან დახეული მამაცი მეფე რუსებმა ფერსათის მთებში შეიპყრეს.

თბილისში ჩაყვანილი სოლომონი ტორმასოვმა პატივით მიიღო და შესანიშნავად მოათავსა, მაგრამ გაძლიერებული დაცვა დაუყენა. სოლომონმა და მისმა მომხრეებმა, დიდი მოხერხებით, 1810 წლის 10 მაისს მაინც შეძლეს მეფის ტყვეობიდან გაპარება, იმერეთში ჩაყვანა და ახალი აჯანყების ორგანიზება, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა დიდი დახმარების გარეშე, ცხადია, შეუძლებელი იყო. აჯანყებამ ოთხი თვე გასტანა და საბოლოოდ სოლომონ II-ის ახალციხეში გადასვლით დამთავრდა.

მთელი ამ მოძრაობის პოზიტიური შედეგი ის იყო, რომ მეფე დამპყრობთა ხელში არ აღმოჩნდა, სადაც მათი პოლიტიკის ძალაუნებური პროპაგანდისტობა ელოდა.

იმერლებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ დამოუკიდებლობა მათთვის ყველაზე მაღალი და წმინდა ღირებულებაა.

იმერეთის სამეფოს საკითხის გადაწყვეტის შემდეგ დასავლეთ საქართველოს ბედი გარკვეული ჩანდა. დარჩენილი სამთავროების გაუქმება რუსეთისადმი მათი დამოკიდებულების ფორმისა და დროის საკითხი იყო. XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის რუსებმა არსებითი გართულებების გარეშე გადაწყვიტეს სამეგრელოს, სვანეთის და აფხაზეთის სამთავროების ოკუპაციის საკითხიც.

ასე, რომ საქართველოს პოლიტიკური შეერთების პრობლემა დასრულდა, თუმცა ამას რუსული მმართველობისათვის სიმშვიდე არ მოუტანია.

რუსული კოლონიური მმართველობის დახასიათება. XIX საუკუნის პირველ ნახევარში არ ყოფილა დღე, რომ საქართველოში რაიმე აჯანყება, დაუმორჩილებლობა, გაქცევა, შეთქმულება და სხვა ამგვარი არ დაფიქსირებულიყო.

ქართველთა ანტირუსულ საბრძოლო განწყობილებას, ერთი მხრივ, სამშობლოს თავისუფლების დაკარგვის ნაღველი და მისი დაბრუნებისკენ სწრაფვა, მეორე მხრივ, კი ის არაადამიანური, ბარბაროსული კოლონიური რეჟიმი განაპირობებდა, რომელიც დამპყრობლებმა საქართველოს რეგიონებში დაამყარეს.

„თავისი ხასიათით საქართველოში დამყარებული მმართველობა იყო რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური სახელმწიფოს სამხედრო საოკუპაციო მმართველობა, რომელიც აქ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ეყრდნობოდა და რომლის შენახვა ხალხს ეკისრებოდა“[63].

რუსეთი საქართველოს აღმოსავლეთში რუსეთის ბატონობის გავრცელების დასაყრდენად განიხილავდა. აქ იგი გამუდმებულ ომებს აწარმოებდა, როგორც ირანის, ისე თურქეთის წინააღმდეგ, შესაბამისად ზრდიდა რუსული შენაერთების რაოდენობას და, უბედურება ის იყო, რომ მათი ყოველგვარი მომარაგება სურსათით, აღალით და სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა ქართველებს ევალებოდათ.

ხელისუფლება მიღებულ პურს და სხვა სურსათს თითქოს ყიდულობდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ფასს თვითონ თავის შეხედულების მიხედვით აწესებ-

და. ალ. ჭავჭავაძე თავის ცნობილ განცხადებაში აღნიშნავს, რომ ამ ფასს „აწესებდნენ სრულიად თვითნებურად მთავარმართველნი ან გუბერნატორები – აწესებდნენ ადგილობრივი ფასების ნახევარს ან მეოთხედს... ფასების დაწესებისა და განაწილების შემდეგ, რეკვიზიის წესით საშუალებათა და მოსაელის ანგარიშგაუწევლად – იგზავნებოდნენ პროვიანტ კომისიონერები, თითოეულ მათგანს ეახახთა რაზმი ახლდა... ფასის სიმცირით გამწარებული ხალხი, თავის საკუთრებას იცავდა და ისე არ ელეოდა მას, სანამ ძალით არ წაართმევდნენ და ფიზიკურად არ დასჯიდნენ. ხანდახან პროვიანტის გამოღება, გაწერის მიხედვით, ისეთ სოფლებს დაეკისრებოდა ხოლმე, რომელთაც რაიმე მიზეზით საკუთარი პური არ ჰქონდათ და იძულებული იყვნენ სხვებისგან შეესყიდათ იგი. ამისთანა შემთხვევაში კომისიონერები შემდეგ ოინს მიმართავდნენ: მათ მაგიერად პროვიანტს თვითონ იძენდნენ და მათგან ფულს ღებულობდნენ, მაგრამ არა სახაზინო არამედ საბაზრო ფასებით. გარდა ამისა, ისინი ფულს მცხოვრებთ მოტანასა და ჩაბარებაშიც ახდევინებდნენ, ხოლო როცა საუბედუროდ პროვიანტის გაღება გაეწერებოდა, ისეთ სოფლებს რომელთაც პური არც თვითონ ჰქონდათ და არც მეზობლებს, მოუსაელიანობის გამო, ამისთანა შემთხვევაში მცხოვრებნი კომისიონერების სრულ განკარგულებაში ვარდებოდნენ; კომისიონერი სახაზინო ფასების მიხედვით ფულს მიუყრიდა ხოლმე მათ და მრისხანედ უბრძანებდა სურსათი გაანინეთო"[64]. და ვაი მას ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა.

არანაკლებად (თუ უფრო მეტად არა) გლეხობისათვის აუტანელი იყო საბინაო ბეგარა, ანუ სახლებში ჯარის ნაყენება. ჯარის დაბანაკების ამგვარი წესი რუსებმა ეტყობა მემკვიდრეობით მიიღეს მონღოლებისაგან, ისევე როგორც საქციელის ბევრი თვისება. რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ამ ბეგარის სიმძიმე, უნდა გავიხსენოთ, რომ ქართველი გლეხი დარბაზის ტიპის შენობაში ცხოვრობდა, რომელიც ერთი საერთო სათავსოსაგან შედგებოდა. ასეთ ვითარებაში ბატონის სტატუსის მქონე პიროვნების ჩასახლება, ადვილი წარმოსადგენია, რა სიმძიმეს გამოიწვევდა. დამცირება, ძალადობა, ოჯახის პატიოსნების შელახვა, ამგვარი წესის, ყველაზე მსუბუქი შედეგი იყო. ლოთობა, მოსახლეობის აკლება, შეურაცხყოფა, ჩვეულებრივ მოვლენა იყო, ადვილი წარმოსადგენია რას განიცდიდა თავმოყვარე ქართველი გლეხი, რომელსაც ფაქტობრივად თვალწინ მეუღლეს უპატიურებდნენ.

თვით რუსი ისტორიკოსებიც კი არ მალავენ და გმობენ ამგვარ დამოკიდებულებას. ნ. მარკოვი თავის გამოკვლევაში, კახეთის 1812 წლის აჯანყებას რომ ეხება, ყურადღებას მიაქცევს რა რუსი სალდათების უსაქციელობას, არაადამიანურობას, მრუშობას, გარყვნილებას, მოურიდებლობას, აღნიშნავს, რომ ქვეყანაში სადაც ოჯახის სიწმინდეს და პატიოსნებას კანონი ისე იცავდა, რომ ამ სიწმინდის შემლახავის მკვლელობაც კი კანონით არ ისჯებოდა, რუსი სალდათების საქციელი განსაკუთრებით აუტანელი და გაუგებარი იყო"[65].

ქართველი გლეხის გამწარება იქამდე მისულა, რომ ისინი მზად იყვნენ თავისი ხარჯით აეშენებინათ ყაზარმები, ოღონდ ეს დამამცირებელი ბეგარა აეცილებინათ.

კიდევ უფრო მძიმე და გაუსაძლისი იყო სამხედრო ბეგარა. უკვე 1803 წელს დაწესდა საგანგებო ბეგარა, რომელიც ჯარისთვის სურსათისა და ღვინის გადაზიდვას ქართველ გლეხებს ავალებდა.

შეუძლებელია გარკვევა, რუსი კოლონიზატორების მიერ შეწერილი ბეგარა-გადასახადებიდან რომელი იყო ყველაზე მძიმე და აუტანელი. ისინი ყველა ასეთი იყო. მით უმეტეს, რომ ყოველივე ეს გლეხებს უნდა შეესრულებინათ საბატონო ბეგარა – გადასახადების პარალელურად. არავითარი შედეგადი. ისინი ხალხისთვის დამატებით ტვირთს შეადგენდა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეს ტვირთი ხორციელდებოდა წარმოუდგენელი სიმკაცრით, დაუნდობლობით, მოტყუებით, ყვრაგობით, ადამიანებისადმი არაადამიანური დამოკიდებულებით.

განსაკუთრებით რუსული ანექსიის პირველ 20-30 წლებში, დღე არ იყო, რომ ქეეყანა ომებისაგან, აჯანყებებისაგან და ა. შ. დასეენებული ყოფილიყო. რუსული ლაშქარი გამუდმებით მოძრაობდა შავსა და კასპიის ზღვებს შორის გადაჭიმულ, უგზო, გაუვალ ტერიტორიაზე და სადაც არ უნდა წასულიყო, მას უკან მიჰყვებოდა ურმების, საპალნიანი ცხენების უწყვეტი ქარავანი და მათ გამცილებელ დაჩაგრულ გლეხთა დიდი არმია. რომელთაც ეევალებოდათ მთელი სამხედრო ამუნიციის, სურსათისა, თუ აღალის გადაზიდვა დარსა თუ ავდარში, ყინვასა, ქარბუქსა და თოელ-ჭყაპში. ქართველებისგან შემდგარი ქარავანი ნაბიჯითაც არ უნდა ჩამორჩენოდა ჯარისკაცებს, რომლებიც უკეთესად ჩაცმულ-დახურული, მხოლოდ ერთთოფ გადაკიდებულები მოძრაობდნენ. გამყოლი გლეხები იძულებულნი იყენენ თავიანთი მეურნეობა უპატრონოდ მიეტოვებინათ, მომავალი წლის სარჩო ეჭვის ქვეშ დაეყენებინათ და ჯარს ხლებოდნენ. იმ ჯარს, რომლის ოფიცრობა მეორე წელს, მათიეე მიზეზით გაჩანაგებული მეურნეობიდან დაწესებულ სურსათს მოითხოვდა და არ არსებობდა ძალა, რომ მათთვის გარკეეული შეღავათი გაეწია.

უზომოდ დატვირთული ურმები გზაში იმტერეოდა, საქონელი მთაგორიან ადგილებში სიარულს ეეღარ უძლებდა და იეღლიტებოდა. თეით გამყოლი გლეხები, ან საერთოდ ეერ ბრუნდებოდნენ მიტოვებულ კარ-მიდამოში, ანდა გაძვალტყავებულნი, დასნეულებულნი ეცხადებოდნენ თავიანთ ოჯახებს.

მართალია, ტვირთის გადაზიდვაში ხელისუფლება მოჭრილ ფასს გამოყოფდა, მაგრამ იგი გაწეული შრომის საფასურის ერთ მეხუთედსაც კი არ შეადგენდა და ამ უმნიშვნელო თანხასაც, მოხელეთა ბოროტმოქმედებისა და განუკითხაობის გამო, გლეხებამდე არ უშვებდნენ. თეით ცარიზმის წარმომადგენელი ისტორიკოსებიც ვერ მალავდნენ იმ ფაქტს, რომ უკიდურესად გამანადგურებელი სამხედრო ბეგარა უკანასკნელ ძალას აცლიდა მოსახლეობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ქართლ-კახეთს 112-154 ათასი ულელი ხარ-კამეჩი თავისი ურმებით და გამცილებლებით და 99 ათასი საჩალავდრე ცხენი უნდა გამოეყვანა.

თუ თეალს გადავაველებთ განხილულ მასალას, აშკარად იკვეთება საქართველოსადმი რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ორი პერიოდი: 1) ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის მომზადება და ანექსია, და 2) საქართველო'ში რუსული კოლონიური პოლიტიკის დამყარება და მომდევნო ხანა. თუ მოკლედ დავახასიათებთ ამ პერიოდების არსს, გამოჩნდება, რომ პირველი არის რუსეთის მმართველი წრეების მოჩვენებითი კეთილგანწყობა, სინამდვილეში — სიცრუე და ეერაგობა, და მეორე, დაპყრობილი მხარის და მისი მოსახლეობის ინტერესთა სრული იგნორირება, მომთხოვნელობა და სისასტიკე.

არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იყო ამ პოლიტიკის გამტარებელი: პირველ შემთხვეევაში იმპერატორი, ხელისუფლება, დიპლომატია; მეორე შემთხვეევაში, ამათ ემატება რიგითი შემსრულებლები: გენერლები, ოფიცრები, სალდათები. ცხადია ორივე ეითარების მოკარნახე და პასუხისმგებელი ხელისუფლების მმართველი ძალებია.

ცნობილია, რუსეთი ყოველთვის ერიდებოდა თავისი სამფლობელოების გაფართოებას სამხედრო მოქმედებებით, დაპყრობებით ე. ი. ძალით შემუშავებული (ან გადაღებული) მეთოდით. იგი თანდათანობით, წლების განმავლობაში, უახლოვდებოდა მიზანში ამოღებულ რეგიონს. სხვადასხვა დაპირებებით, დაიმედებებით, ასე ახვევდა თავს მოჩვენებით მფარველობას, რომელიც თანდათან ქვეშევრდომობის რანგში გადაჰყავდა. მას მოყვებოდა ზომები, ქვეშევრდომი ქვეყნის გეგმაზომიერ დასუსტებას რომ ისახავდა მიზნად, რასაც იგი მოქნილად და ტექნიკურად ატარებდა, რომ საბოლოოდ ძალაგამოცლილი და სიკვდილის პირას მისული ქვეშევრდომები თავის გადასარჩენად იძულებული გაეხადა რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ეთხოვა. ასეთი გეგმის განხორციელებას აპირებდა იგი ქართლ-კახეთის მიმართაც, მაგრამ ბოლომდე ჩანაფიქრი არ გამოუვიდა და ანექსიის, დაპყრობის ელფერი მაინც ვერ გააქრო.

აღნიშნული პოლიტიკის გამო რუსეთი თავისი ინტერესების სფეროს სამხრეთით მიმართავდა, შავსა და კასპიის ზღვებს შორის გაბატონებას გეგმავდა და სამსხვერპლოს აუჩქარებლად უახლოვდებოდა. განხილული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა კიდევ ერთხელ მოვიგონოთ გრაფი პანინის მოსაზრება, რომელიც მან ტოტლებენს გაუზიარა ქართლ-კახეთის ოკუპაციასთან დაკავშირებით: „საქართველოს სიშორე და მიმოსვლის სირთულე ორი ის გარემოებაა, რომელიც ამ მიწის მითვისებას არამყარს ხდის. შეიძლება დროთა განმავლობაში აღმოჩნდეს საშუალება, რომლის ძალითაც ეს უხერხულობები ამგვარად აღარ მოგვეჩვენოს". და სხვ. XVIII-XIX სს. მიჯნაზე რუსებს ეს ნანატრი დრო დაუდგათ.

ფაქტი ის არის, რომ XIX ს. 30-იანი წლების დასაწყისში რუსეთი საქართველოს საბოლოოდ დაეუფლა და თავისი კოლონიური პოლიტიკის კიდევ უფრო დახვეწას შეუდგა.

---

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია IV, 1967, გვ. 305-306.
2. С. Белокуров, Сношения России с Кавказом... вып. 1. 1578-1613 гг. 1889, გვ. 29; ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 87.
3. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 311, 318, 321, 325.
4. Исторический лексикон XVIII век, М., 1996, გვ. 320.
5. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.
6. იქვე.
7. П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, часть первая, СПб. 1869, გვ. 31-32; М. Броссе, Переписка на иностранных языках Грузинских царей с российскими государями с 1739 г. по 1770 г., СПб, 1861, გვ. 194.
8. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы относящееся к Грузии, т. 1, СПб 1891 г., გვ. 134-139.
9. იქვე, გვ. 155.
10. იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, ქართული მწერლობა, ტ. 8., თბ., 1990, გვ. 191.
11. მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე გამოთქმული აქვთ ზაქარია ჭიჭინაძეს, მარი ბროსეს, ალექსანდრე ბარამიძეს, გიორგი ლეონიძეს, სარგის ცაიშვილს, ვალერიან მაჭარაძეს და სხვ.
12. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 56.
13. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1967, ტ. IV, გვ. 44.
14. საქართველოს ცხოვრება, ს. ჭიჭინაძის გამოც., თბ., 1913, გვ. 271, 274.
15. მ. თამარაშვილი, ისტორია, კათოლიკოსობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 398-403.
16. ი. ტაბაღუა, საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 102-103; 105-108; 109, 110.
17. ЦГВИА. Государственный архив, т. XXIII, д. 13, ч. 2, лл. 15-16.
18. П. Бутков, материалы для новой истории Кавказа, т. II, СПб., 1969, გვ. 118.
19. О. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966, გვ. 168.
20. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1966, გვ. 170.
21. ვ. ბუტკოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.
22. А. Цагарели, Грамоты... т. II, вып. II, გვ. 30.
23. ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 222.
24. იქვე, გვ. 222-223.
25. იქვე, გვ. 225.

26. პ. ბუტკოვი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 311-312.
27. ა. ცაგარელი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 80-81.
28. პ. ბუტკოვი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 429.
29. ზ. შარაშენიძე, ირანი XVIII საუკუნის II ნახ., თბ., 1968, გვ. 199.
30. პ. ბუტკოვი, დასახ. ნაშრ. Ш, გვ. 293. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973 წ., გვ. 772-773.
31. А. В. Фадсев, Россия и Кавказ в первой трети XIX в., М., 1966 г., გვ. 17.
32. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. I, Тиф., 1866, გვ. 189, გენ. ლაზარევის მოხსენება მთავარსარდალ ენორინგს.
33. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 808; Мих. М. Хелтуплишвили, Вступление Грузии в состав Российской империи, Кутаис, 1901, გვ. 42.
34. მ. ხელთუფლიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.
35. საქართველოს ისტორიის ნარკვევები IV, 1973, გვ. 816.
36. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. I, Тиф., 1866, № 547.
37. Маркс К. и Энгельс Ф. соч., изд. II, т. XXII, გვ. 259.
38. ბუტკოვი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 471.
39. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, 1910, ტ. III, გვ. 345.
40. Берже А., Присоединение Грузии к России 1799-1801 гг., Русская старина, 1880, т. XVIII-XIX, გვ. 153-177.
41. Воспоминание В. А. Дзюбенко, Полувековая гражданская служба в Закавказье 1829-1876 гг. Русская старина, т. XXV, 1979, май, август, გვ. 639; ე. ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ., 1992, გვ. 69.
42. ალ. ფრონელი მთიულეთის 1804 წლის აჯანყება, თბ., 1904 წ. გვ. 46. მ. მჭედლიშვილი იმპერიის მარწუხებში, თბ., 1991, გვ. 155.
43. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. III, Тиф., გვ. 311.
44. ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა, თბ., 1907, გვ. 39.
45. Н. Дубровин, Закавказье, გვ. 351.
46. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, თბ., 1983, გვ. 74-75, 78-79, 87; ე. ორჯონიკიძე, გვ. 16.
47. ე. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.
48. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. II, Тиф., 1868, №1.
49. ე. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 26.
50. აბელ კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX საუკუნე, თბ., 1954, გვ. 46.
51. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 69; ე. ორჯონიკიძე, გვ. 28.
52. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, IV, გვ. 73.
53. М. Хелтуплишвили, Вступление Грузии в состав российской империи, Кутаиси, 1901, გვ. 48.
54. ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54.
55. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, Ц, Тиф., 1868, №6-9, გვ. 903.
56. იქვე, გვ. 689. ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54.
57. ე. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 33.
58. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, II, Тиф., 1868, №748. ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56.
59. Чудинов В., Имеретинские неурядицы в 1808-1810 гг. Кавказский сборник т. XV, გვ. 277; ე. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.
60. იქვე.
61. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. IV, Тиф., 1870, №219.
62. ალ. ჭავჭავაძე თხზ. კრებული, თბ., 1940 წ., გვ. 248.

63. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 828.
64. ილ. ჭავჭავაძე, თხზ. კრებული, ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 248; ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 72.
65. Маркова О. П., Восстание в Кахети 1812 г. М., 1951 г., გვ. 149; ე. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

რუსეთის რელიგიური პოლიტიკა საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი)

რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობის ისტორიიდან. XVIII ს-ის II ნახევარში ანტიოსმალური ექსპედიციის წარმატებით დასრულების შემდეგ, 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავის თანახმად რუსეთი აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველად გამოცხადდა.[1] ამდენად, საერთაშორისო დოკუმენტით გაფორმდა რუსეთის ისტორიული ამბიცია, რომელიც რუსული მესიანიზმის ძირითად იდეას უკავშირდება. ამ იდეით, რომელიც ჯერ კიდევ XV ს-ში კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ გაჩნდა, ქრისტიანული აღმოსავლეთის რელიგიურ-კულტურულ ცენტრად მოსკოვი, ანუ "მესამე რომი" განიხილება; ხოლო რუსეთს, როგორც ბიზანტიის მემკვიდრეს, მართლმადიდებლობის დამცველისა და გამაერთიანებლის საპატიო ფუნქცია ეკისრება. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე არტიკულის დებულებით რუსეთმა დოკუმენტურად დაიდასტურა ის უპირატესობა, რომლითაც ქრისტიანულ აღმოსავლეთში, ბუნებრივია კავკასიის რეგიონშიც, დაპერობილ თუ დასაპერობ ქვეყნებში, მართლმადიდებლობის დაცვა მისი კოლონიური პოლიტიკის ნაწილი გახდა: იმპერიის საზღვრების გაფართოების იდეა ღვთის წინაშე დაკისრებული მისიის შესრულებით აიხსნა და ამ ტერიტორიებზე მართლმადიდებლობის გავრცელებით, განმტკიცებითა და მფარველობით გამართლდა.

XVIII საუკუნის განმავლობაში საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური კავშირების პარალელურად აქტიური ხასიათი ეძლევა საეკლესიო-რელიგიურ ურთიერთობებსაც. რუსეთის ქალაქებსა და სასულიერო ცენტრებში საქართველოდან სამოღვაწეოდ ან სასწავლებლად წარგზავნილ არაერთ სასულიერო პირს ეხვდებით. ზოგიერთ მათგანს რუსეთის დამოუკიდებელი საეკლესიო კათედრებიც კი ჩააბარეს. საკმარისია აღინიშნოს: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, რომელიც რუსეთში ელადიმირის საარქიეპისკოპოსო კათედრას განაგებდა; არქიეპისკოპოსი იოსებ სამებელი – იურიევის მონასტრის არქიმანდრიტი; ეპისკოპოსი იოანე მანგლელი – მოსკოვში ზნამენსკის მონასტრის არქიმანდრიტი; გაიოზ ბარათაშვილი – მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, შემდგომში მოზდოკის ეპისკოპოსი, მოგვიანებით ასტრახანის არქიეპისკოპოსი, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობდა ქართულ-რუსულ სასულიერო მისიას კავკასიის მთიელთა შორის მართლმადიდებლობის გავრცელებლად.[2] ამგვარად, რუსეთის სასულიერო ხელისუფლება ცდას არ აკლებდა ქართველ სასულიერო პირთა გარკვეული ნაწილი საქართველოს რუსეთთან ერთობის იდეის მხარდამჭერად ექცია.

კავკასიის რეგიონში გაბატონებისათვის რუსეთმა შესანიშნავად ისარგებლა ქართველ მეფეთა პრორუსული ორიენტაციით. საქართველოს მიერ რუსეთზე აღებული კურსი მნიშვნელოვანწილად კონფესიური მომენტით განისაზღვრა. "ერთმორწმუნეობა" – ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც XVIII ს-ის ბოლოს განაპირობა ისლამურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში საქართველოს ისტორიული არჩევანი: მისი პოლიტიკური ორიენტაცია რუსეთისაკენ.[3] აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის ქართული საეკლე-

სიო ისტორიოგრაფია იმთავითვე ხაზს უსვამდა ერთმორწმუნეობის ფენომენს, როგორც იდეოლოგიურ საფუძველს, რომელმაც გამოუვალ პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი საქართველო რუსეთთან ურთიერთობის გზაზე გაიყვანა.[4] რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში აღმსარებლობის ფაქტორის მნიშვნელობას ივანე ჯავახიშვილიც შეეხო. მან უჩვენა, რომ სარწმუნოებრივ მოტივს რუსეთის ხელისუფალნი და დიპლომატიური სამსახურები ძირითადად თავისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების სასარგებლოდ იყენებდნენ, მისი მფარველობის მოიმედე საქართველო კი თამაშში ყოველთვის წაგებული რჩებოდა.[5]

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური სტატუსისათვის მეტისმეტად შეუფერებლად გამოიყურება 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის VIII არტიკულით განსაზღვრული რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთმიმართების პირობები: საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრად გამოცხადდა_ და რუსულ სასულიერო იერარქიაში მე-8 ადგილი მიენიჭა. საგანგებო ვითარებაში უნდა შედგენილიყო დამატებითი მუხლი, რომელიც დაარეგულირებდა საქართველოს ეკლესიის მმართველობის ფორმებს და რუსეთთან საეკლესიო ურთიერთობებს.[6] ასეთი არტიკული რეალურად არ შემდგარა, საქართველოს ეკლესიის წეს-განგება ამ ეტაპზე უცვლელი დარჩა. აღსანიშნავია, რომ საერო ხელისუფლების მიერ კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულის იერარქიულად სინოდის წევრებთან გათანაბრება და ავტოკეფალური ეკლესიისათვის მართვის პრინციპების დადგენის მცდელობა საეკლესიო სამართლის ნორმებით გაუმართლებელი იყო.[7] ყოველივე ეს მიუთითებდა უწმინდესი სინოდის დაუძლეველ სურვილზე – საქართველოს ეკლესია ნელ-ნელა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია, დაემცირებინა მისი იერარქიული სტატუსი და თვითშეგნება.

XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა ქართულ ისტორიოგრაფიაში შეფასებულია, როგორც ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური გულუბრყვილობა, რუსეთისადმი სარწმუნოებრივ ნიადაგზე დამყარებული "დაუშრეტელი ნდობა." ამგვარი პოლიტიკის წყალობით მოელენები 1801 წლის მანიფესტით დასრულდა, რასაც შედეგად ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთის მხრივ საქართველოს ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა.[8] ეს აქტი გადამწყვეტი აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიისთვისაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ერთმორწმუნეობისა და საერთო აღმსარებლობისა, საქართველოს ეკლესია სრულიად განსხვავებული საეკლესიო წესგანგების მქონე რუსული ეკლესიის წინაშე აღმოჩნდა. ამან მნიშვნელოვნად განაპირობა რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ხასიათი საქართველოში.

1722 წელს პეტრე I-ის საეკლესიო რეფორმამ სათავე დაუდო რუსეთში მართლმადიდებლური ეკლესიის განეითარების ახალ, ე.წ. სინოდალურ პერიოდს. პატრიარქობის ინსტიტუტის გაუქმებამ, ხოლო მის ნაცვლად უმაღლეს სასულიერო იერარქთა მუდმივი კრების, – უწმინდესი სინოდის ჩამოყალიბებამ ეკლესიის მართვის სამართლებრივ-კულტურული ფორმები და პრინციპები ძირეულად შეცვალა. სასულიერო რეგლამენტით მონარქი გამოცხადდა ეკლესიის უმაღლეს განმგებლად. სამღვდელოება ერთგულების ფიცს უცხადებდა არა საეკლესიო დოგმატებს, არამედ მონარქსა და დინასტიას. უწმინდესი სინოდის შესაფერისი სტატუსის უზრუნველსაყოფად, სენატის მსგავსად, ის გამოცხადდა სამთავრობო, ანუ სახელმწიფო ძალაუფლების მფლობელ დაწესებულებად. ამგვარი რეფორმის შედეგად, საეკლესიო მმართველობის სადაველები, ფაქტობრივად, სახელმწიფო ხელისუფლების ხელში აღმოჩნდა. ეკლესიის მართვის საქმეს რუსეთის იმპერატორი უშუალოდ განაგებდა უწმინდესი სინოდის საშუალებით.

რუსეთის უწმინდეს სინოდზე მუდმივი სახელმწიფო კონტროლის მიზნით დაარსდა ობერ-პროკურორის თანამდებობა. მის კომპეტენციაში თავდაპირველად შედიოდა იმპერატორისათვის მოხსენებების, ხოლო სინოდისათვის წლიური

ანგარიშების წარდგენა; აგრეთვე, სინოდალური დაწესებულებებისა და უწყებების – კანცელარიის, სამეურნეო ნაწილის, სასწავლო კომიტეტის, სტამბის– მმართველობა. ობერ-პროკურორს სინოდის სამდივნოში ეჭირა საკვანძო პოზიცია, რაც მომავალში ამ ინსტიტუტის დაწინაურებასა და უფლებების ზრდას განაპირობებდა. პარადოქსულია, რომ პეტრე I-ის არსობრივად არაკანონიკური ხასიათის საეკლესიო რეფორმამ ოფიციალური აღიარება მიიღო კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის პატრიარქების მიერ.[9]

საეკლესიო მიწების სახელმწიფო მიზნებისათვის გამოყენება რუსეთში მიმდინარე საეკლესიო რეფორმების დამახასიათებელი მოვლენა იყო. ეს პროცესი დამთავრდა XVIII ს-ში, როდესაც 1784 წელს ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონება ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა.[10] საეკლესიო მამულების კონტროლის, ექსპლოატაციისა და შემოსავლების განკარგვის სრული უფლება სახელმწიფოს პრეროგატივა გახდა. სამღვდელოებას დაენიშნა ჯამაგირი. რეალურად, სასულიერო წოდების წარმომადგენლები სახელმწიფო ჩინოვნიკებად იქცნენ.

XIX ს-ის დასაწყისისათვის რუსეთში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია გარდაიქმნა აბსოლუტურ მონარქიად, ქვეყანაში არსებული ყველა სეგმენტი მაქსიმალურად დაექვემდებარა სახელმწიფოს და იმპერატორს. კაპიტალისტური ურთიერთობის ჩამოყალიბებამ ცვლილებები ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაშიც მოიტანა. ამ ფუნდამენტალურმა გარემოებებმა განსაზღვრეს პრინციპულად ახალი ურთიერთობები სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

XIX ს-ის დასაწყისისათვის სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობები რუსეთში შევიდა სრულიად ახალ ფაზაში. თუ XVIII ს-ში ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ეკლესიის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, XIX ს-ის I ნახევარში საერო ბიუროკრატიამ ხელში აიღო საეკლესიო საქმეთა განმგებლობის პროცესი. 1802 წელს ალექსანდრე I-ის მიერ სინოდს სახელმწიფო დაწესებულებებთან უშუალო ურთიერთობის უფლებამოსილება აეკრძალა. ასეთი ურთიერთობები ამიერიდან მხოლოდ ობერ-პროკურორის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. ობერ-პროკურორის ძალაუფლება მკვეთრად გაძლიერდა: მაკონტროლებელი ფუნქციის გარდა, მან შეიძინა ხელმძღვანელი და განმკარგავი ძალაუფლება.[11]

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ სახელმწიფოს ტერიტორიის მრავალმხრივმა გაფართოებამ. სხვადასხვა ეროვნებისა და კონფესიური აღმსარებლობის ხალხებით დასახლებული რეგიონების შემოერთების შედეგად, რუსეთი იქცა პოლიეთნიკურ და პოლიკონფესიურ იმპერიად. ბუნებრივია, სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად დაისვა რელიგიურ მიმდინარეობებსა და აღმსარებლობებთან დამოკიდებულების საკითხი. სხვადასხვა რელიგიების არსებობა და განვითარება იმპერიაში უნდა დამორჩილებოდა იდეურ ფორმულას „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ხალხურობა". ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მართლმადიდებლობას არ დაეკარგა წარმმართველი მნიშვნელობა, სახელმწიფო რელიგიის ფუნქცია, სახელმწიფო კანონმდებლობით განსაზღვრული გაბატონებული რელიგიის სამართლებრივი სტატუსი.

აბსოლუტური მონარქიის აყვავების პირობებში, ბუნებრივია, რუსეთის ხელისუფლება საქართველოში ვერ შეეგუებოდა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ, თვითმართვად საეკლესიო ორგანიზმს. როგორც აღინიშნა, 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველო რომანოვების იმპერიის ერთ-ერთ უუფლებო გუბერნიად გადაიქცა. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებით დაიწყო საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის პროცესი.

ქართული ეკლესიის სახელმწიფოსთან ურთიერთმიმართება ისტორიულად აგებული იყო ისეთ პრინციპზე, როგორიცაა: სარწმუნოების გავრცელებაში სრული თავისუფლება და ძალდაუტანებლობა; საეკლესიო წყობისა და შინაგანი მართვა-გამგეობის სრული დამოუკიდებლობა; საერო ხელისუფალთა მხრივ უმ-

აღლეს საეკლესიო იერარქთა უფლებამოსილებაში ჩაურეველობა; საეკლესიო ქონების ხელშეუხებლობა. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია სწორედ ეკლესიის მართვა-გამგეობის ამ პრინციპების საპირისპიროდ იქნა მიმართული.[12]

რუსეთის იმპერატორი პაველ I იმთავითვე აცხადებდა: "მე მინდა, რომ საქართველო იყოს გუბერნია, დაუყოვნებლივ დააყენეთ ის სენატთან კავშირში, ხოლო სასულიერო ხაზით სინოდთან, მათი პრივილეგიების ხელშეუხებლად."[13] ამგვარი განცხადებების პარალელურად, უწმინდესი სინოდი განსაკუთრებულ ინიციატივას იჩენდა აღმოსავლეთ საქართველოში ეპარქიათა და მონასტერთა რაოდენობის დასადგენად, ცდილობდა მოეპოვებინა ცნობები ეპარქიათა მმართველების, საეკლესიო-სასამართლო ორგანოების არსებობის, სასულიერო წოდების საკადრო მომზადების, სასულიერო სასწავლებლების, საეკლესიო შემოსავლების თაობაზე.[14] ყოველივე ეს მიუთითებდა, რომ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე იგეგმებოდა. განსაზღვრული იყო თბილისისა (ქართლის) და თელავის (კახეთის) ეპარქიების შექმნა; თითოეულ მათგანში დიკასტერიის, ხოლო სხვა ქალაქებში სასულიერო მმართველობების დაფუძნება. თბილისის ეპარქიაში აპირებდნენ კოადიუტორის თანამდებობის შემოღებას, გორის ეპისკოპოსის ხარისხში.[15]

პავლე I-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ელჩობა 1801 წლის აპრილში რუსეთის მთავრობისადმი წარდგენილ ნოტაში საეკლესიო საკითხის შესახებ მოითხოვდა: საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებში ჩაურეველობას, კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის, ასევე საქართველოს ეპარქიების ყველა სასულიერო პირის ტიტულისა და თანამდებობის შენარჩუნებას.

ავტოკეფალიის გაუქმება და რუსული საეკლესიო რეფორმა საქართველოში. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართველ სამღვდელოებას აღეთქვა: "ყველას ხელუხლებელი შერჩება უპირატესობანი თავისი მდგომარეობისა, თავისუფალი შესრულება თავისი სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებებისა და უფლება საკუთრებისა".[16] ფაქტობრივად, მანიფესტით აღიარებულ იქნა საქართველოს ეკლესიის შეუვალობა და ხელშეუხებლობა. საქართველოსთან დაკავშირებულ რელიგიურ სიმბოლოებს განსაკუთრებული დატვირთვა მივნიჭა. ალექსანდრე I-მა საქართველოს მიმართ გულმოწყალების ნიშნად, ინება ქართველი ხალხისათვის დაებრუნებინა მრავალსაუკუნოვანი სიწმინდე – წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი. ნიშანდობლივი ის იყო, რომ საქართველოში შემოსულ რუსეთის ჯარს ქართველთა წმიდათაწმიდა რელიქვია მოუძღოდა წინ.

ხელისუფლებას მეტად მოკლე მეხსიერება აღმოაჩნდა. ანტონ კათოლიკოსს შეუნარჩუნდა საეკლესიო ტიტული, მაგრამ მისი უფლებამოსილება მკვეთრად შეიზღუდა. საქართველოს ეკლესიის უფლებების შელახვისა და მისი მწყემსმთავრის ფუნქციებში უხეშად შეჭრის არაერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი რუსი მოხელეების – კნორინგის, ლაზარევის, ციციანოვისა და სხვების მხრიდან. ისინი აქტიურად ერეოდნენ საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებში, ითხოვდნენ საქართველოს ეკლესიის ქონებრივი მდგომარეობისა და გასავალ-შემოსავლების აღწერის მასალებს, დამოუკიდებლად გეგმავდნენ ეპარქიებისა და სამღვდელო პირთა რიცხვის შემცირებას, მოითხოვდნენ კათოლიკოს-პატრიარქს საერო ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე გადაწყვეტილება არ მიეღო.[17]

მთავარმართებელმა ტორმასოვმა დანიშვნისთანავე ქმედითი ღონისძიებები გაატარა საქართველოს ეკლესიის სტრუქტურული და ადმინისტრაციული გარდაქმნისათვის. მასობრივი უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით თავდაპირველად მთავრობამ რეფორმების ქართველთა ხელით გატარება განიზრახა. კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ II-ს წინადადება მიეცა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი შეედგინა. ანტონ II დათანხმდა საეკლესიო რეფორმის გატარებაზე, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობით. დაგეგმილი რეფორმა კი საქართველოს ეკლესიის რუსეთის საეკლესიო

სისტემაში ჩართვასა და სრულ შერწყმას ითვალისწინებდა, რაც მხოლოდ მისი აეტოკეფალიის გაუქმებით მიიღწეოდა. ბუნებრივია, პატრიარქის აღნიშნული პირობა რუსული მხარისათვის მიუღებელი იყო.

საქართველოში ეკლესია-მონასტრების აღრიცხვისა და სამღვდელოების რაოდენობის დასადგენად საქართველოს მთავარმართებელმა ტორმასოვმა 1809 წელს სინოდის ობერ-პროკურორის წინაშე დააყენა საკითხი საქართველოში სასულიერო დიკასტერიის, როგორც უმაღლესი სასულიერო მმართველობის ორგანოს, დაარსების შესახებ. საეარაუდოდ, მას სათაყვში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უნდა ჩადგომოდა, ხოლო მოადგილედ ეარლამ ერისთაი, რუსეთში გაზრდილი ქართველი, რუსული ეკლესიის მართვა-გამგეობის საკითხში ღრმად ჩახედული პირი, უნდა დაენიშნათ. ეს ინიციატივა, ზუსტად ზემოხსენებული გეგმის მიხედვით, ვერ განხორციელდა, რადგან ანტონ II საეკლესიო საქმეების მოგვარების საბაბით, იმპერატორის ალექსანდრე I-ის ნება-სურვილით, სანკტ-პეტერბურგში მიიწვიეს. 1910 წლის 3 ნოემბერს კათოლიკოს-პატრიარქი იძულებული გახდა გამგზავრებულიყო.[18]

აღსანიშნავია, რომ რუსეთში ჯერ კიდევ 1805 წლიდან, იმპერატორის სურვილის შესაბამისად, მაღალი სამღვდელობის წარმომადგენელთა გაცხობისა და საეკლესიო საქმეთა მოგვარების მოტივით, დაწესდა სასულიერო პირთა, სანკტ-პეტერბურგში სახელმწიფო ხარჯით მიწვევა, უწმინდეს სინოდში დასწრების უფლებით. მოსაწვევ პირთა ვინაობა საგანგებოდ შეირჩეოდა. იმპერატორის სურვილი პირადად გაეცნო სასულიერო უწყების უმაღლესი წარმომადგენლები გამოიყენებოდა პოლიტიკური მიზნებისათვის. ხშირ შემთხვევაში, ობერ-პროკურორ გოლიცინს ეს წესი საშუალებას აძლევდა ეპარქიის მმართველის იმპერატორთან სტუმრობით ესარგებლა და ადგილობრივად გაეტარებინა ის რეფორმები, რაც მის სისტემასა და ჩანაფიქრს შეესაბამებოდა.[19]

ამჯერადაც, შემთხვევითი არ იყო იმპერატორის მიერ ანტონ II-ის რუსეთში გაწვევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. პეტერბურგში ჩასულ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი მიმართული ალექსანდრე I-ის რესკრიპტი უკვე პირდაპირ მიუთითებდა რუსეთის ხელისუფლების მიზნების შესახებ: "საქართველოს სამეფოს რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთების შემდეგ საქართველოს ეკლესიაც უთუოდ უწმინდესისა და უმართებულესის სინოდის გამგეობას უნდა დაქვემდებარებოდა. ახალ მართვა-გამგეობასთან შეუთავსებელი იქნება საქართველოში კათოლიკოსის ყოფნა."[20] იმპერატორი ანტონ II-ს ეკლესიის მეთაურობაზე უარის სანაცვლოდ უწმინდესი სინოდის წევრობასა და ყველა სასულიერო უპირატესობის შენარჩუნებას დაპირდა. კათოლიკოს-პატრიარქის პროტესტის მიუხედავად, სახელმწიფო განჩინებით, ის საქართველოს ეკლესიას ჩამოაშორეს და რუსეთში დატოვეს.

XIX ს-ის I სახევარში რუსეთის მიერ საქართველოში გატარებული საეკლესიო რეფორმა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. ის გულისხმობდა საქართველოს ეკლესიის ძირეულ სტრუქტურულ-ადმინისტრაციულ რეორგანიზაციას, საეკლესიო გადასახადების კომუტაციას და საეკლესიო მამულების სეკულარიზაციას, საღვთისმსახურო განაწესის, დაბალი სამღვდელოების მდგომარეობის, სასულიერო განათლების სისტემის გარდაქმნას.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის შემუშავება დაეკალა ეარლამ ერისთავს. 1811 წლის 30 ივნისს მის მიერ წარმოდგენილი პროექტი იმპერატორის ხელმოწერით დამტკიცდა.[21] საეკლესიო გარდაქმნების I ეტაპი ამ პროექტს უკავშირდება: გაუქმდა საქართველოს ეკლესიის აეტოკეფალია. საკათალიკოსოს ნაცვლად ჩამოყალიბდა საქართველოს საეგზარქოსო. საქართველოს პირველ ეგზარქოსად ეარლამ ერისთავი დაინიშნა. ეპარქიათა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. აღმოსავლეთ საქართველოში არსებული 13 ეპარქიის ნაცვლად შეიქმნა 2 ეპარქია: მცხეთა-ქართლისა და ალავერდ-კახეთის. ორივე ეპარქიის

საეკლესიო საქმეების მართვისათვის დაწესდა სპეციალური ორგანო – დიკასტერია, რომლის თავმჯდომარედ ეგზარქოსი დაინიშნა. სასულიერო დიკასტერიის ფუნქცია იყო ეკლესიებისა და მონასტრების მდგომარეობის შესწავლა, საეკლესიო გადასახადების დადგენა, შემოსავლების აღრიცხვა, ქორწინება-განქორწინების საკითხები, საეკლესიო პირთა შორის წარმოშობილი სადავო პრობლემების მოგვარება.

კათოლიკოს-პატრიარქის ნაცვლად დაარსდა ეგზარქოსის თანამდებობა. ეს იყო სასულიერო ხარისხი მიტროპოლიტსა და პატრიარქს შორის. ეგზარქოსს მიენიჭა უპირატესობა – უწმინდეს სინოდში მუდმივად მეოთხე ადგილი დაეკავებინა. მართალია, რუსეთის უწმინდეს სინოდში ასეთი მაღალი ტიტულით არც ერთი მღვდელმთავარი არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ ფაქტობრივად საქართველოს ეგზარქოსს მათთან შედარებით ნაკლები პრივილეგიები ჰქონდა. უმეტეს შემთხვევაში იგი რუსეთის შიდა ეპარქიის მმართველებზე ნაკლები უფლებებით სარგებლობდა.[22]

საეგზარქოსოს დაარსებით საქართველოს ეკლესიის ისტორიაში დაიწყო ეკლესიის მმართველობის ახალი ხანა. ამგვარად, საეკლესიო სამართლის ნორმების უგულებელყოფის გზით, გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და იგი უშუალოდ რუსეთის უწმინდეს სინოდს დაექვემდებარა. შეიქმნა საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას იძლეოდა საქართველოს ეკლესია რუსეთის სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფოს სრული კონტროლით მართულიყო.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის II ეტაპი 1814 წელს, დასავლეთ საქართველოში საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ, ეთავარეპისკოპოსის დოსითეოს ფიცხელაურის მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით განხორციელდა. აღმოსავლეთ საქართველოს, იმერეთის სამეფოს, გურია-სამეგრელოს სამთავროების საეკლესიო მმართველობა გაერთიანდა ეგზარქოსის განმგებლობის ქვეშ. სასულიერო დიკასტერიის ნაცვლად 1815 წლის 8 მაისს დაარსდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. აღმოსავლეთ საქართველოში ორი ეპარქიის ნაცვლად გაიხსნა სამი: მცხეთის, თელავის და სიღნაღის. ამ უკანასკნელის მმართველად დაინიშნა დოსითეოს ფიცხელაური, რომელსაც დაევალა ახლად აღდგენილი „ოსეთის სასულიერო კომისიის" მეთაურობაც. ახალი დებულებით დასავლეთ საქართველოს ეკლესიების მართვის მიზნით ქუთაისში უნდა დაარსებულიყო სასულიერო დიკასტერია, მაგრამ შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო იგი არ გახსნილა. დიკასტერიის ნაცვლად აქ ეპარქიალური კანცელარია დაარსდა.[23] მალე რუსეთის სასულიერო ხელისუფლებამ ვარლამ ერისთავი და დოსითეოს ფიცხელაური არასაიმედო მოხელეებად მიიჩნია. 1817 წელს საქართველოში გამოგზავნეს რიაზანის ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი სპეციალური მისიით, საქართველოში დაწყებული სტრუქტურულ-ადმინისტრაციული რეფორმა ბოლომდე მიეყვანა. თეოფილაქტემ ეგზარქოსობის პირველსავე დღეებში ბრძანა, სიონის ტაძარში კვირაში სამი დღე ღვთისმსახურება რუსულ ენაზე შესრულებულიყო.[24] საქართველოში ჩამოსვლისთანავე მან წარმოადგინა საეგზარქოსოს ახლებურად გარდაქმნის პროექტი, რომელიც 1818 წლის 28 დეკემბერს იმპერატორის ხელმოწერით დადასტურდა.[25] თანამედროვე ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში ამ პროექტით გატარებული ცვლილებები საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის III ეტაპად არის შეფასებული.[26] თეოფილაქტე რუსანოვის პროექტით აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლისა და კახეთის ეპარქიები გაერთიანდა და დაერქვა ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქია, ხოლო იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში შეიქმნა ამავე სახელწოდებების თითო-თითო ეპარქია. რეფორმა ითვალისწინებდა საეკლესიო შტატის საგრძნობ შემცირებას, ნატურალური ბეგარის ფულადი გადასახადით შეცვლას, რამაც დასავლეთ საქართველოში პროტესტი გამოიწვია. აჯანყება დაიწყო იმე-

რეთში, გაერცელდა გურიაში, სამეგრელოსა და რაჭაში. "საეკლესიო ბუნტი" უმეცრესად ნაახშვეს. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ იმერეთის ეპარქიის მღვდელმთავრებს: ექვთიმე გენათელს და დოსითეოს ქუთათელს.

1819-1820 წლების აჯანყების გამო დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საეკლესიო რეფორმები ვერ გატარდა. ამბოხების სასტიკად ჩახშობისა და ხელისუფლების დიდი მცდელობის მიუხედავად, XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოში ვერ მოხერხდა ეკლესიის რეორგანიზაციის დასრულება.

საქართველოს ეკლესიის სტრუქტურულ-ადმინისტრაციული რეორგანიზაციის პარალელურად საეკლესიო რეფორმა ითვალისწინებდა საეკლესიო ქონებისა და შემოსავლების სრულ აღწერას. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო ქონების განკარგვის მხრივ საქართველოს ეკლესია საგრძნობლად განსხვავდებოდა რუსულისაგან. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა შემოწირული ყმა-მამულები, რის გამოც საქართველოს ეკლესიას დიდძალი ქონება დაუგროვდა. რუსეთში კი ეკატერინე II-ის დროს ეკლესიის ქონება სახელმწიფო ხაზინის კუთვნილება გახდა. სამღვდელოებას ჯამაგირი დაენიშნა. ამ ღონისძიებით რუსეთის ეკლესიას წაერთვა თავისი პირვანდელი დანიშნულება. მატერიალურად სახელმწიფოზე დამოკიდებული სასულიერო პირები რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამტარებლებად და ჩინოვნიკებად იქცნენ.

საეკლესიო ქონების განკარგვის თვალსაზრისით, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში დაგეგმილი რეფორმა ითვალისწინებდა საეკლესიო გადასახადების კომუტაციას (გადასახადების ფულად ნიშანზე გადაყვანა) და საეკლესიო მამულების სეკულარიზაციას (საეკლესიო მიწების სახელმწიფო ხაზინისათვის გადაცემა). ბუნებრივია, ეს პროცესი მიმართული იყო საქართველოს ეკლესიის ეკონომიკური ბაზის განსახელმწიფოებრიობისა და საეკლესიო შემოსავლების დაპატრონებისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს-ის I ნახევარში, საეკლესიო-სამონასტრო ქონების განკარგვის თვალსაზრისით, მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელო იყო. საეკლესიო ისტორიოგრაფიაში გადმოცემულია აღნიშნულ პერიოდში სამონასტრო-საეკლესიო მიწების დატაცების არაერთი შემთხვევა, თავადასნაურობისაგან საეკლესიო მამულების გლეხებიანად მითვისების მცდელობა, გადასახადების დაფარვის უამრავი მაგალითი და მრავალი ისეთი დარღვევა, რაც სახელმწიფოს მხრივ მოწესრიგებას მოითხოვდა.[27] სასულიერო დიკასტერიის, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისა და XIX ს-ის I ნახევარში ჩატარებული კამერალური აღწერების საშუალებით დადგინდა საეკლესიო-გლეხთა მიახლოებითი რაოდენობა და მათი შემოსავლები. 1818 წელს მეფის მთავრობამ საქართველოში ახალი საშტატო განრიგი დაამტკიცა, რითაც განისაზღვრა ეკლესიების და მსახურთა რაოდენობა, ამავე დოკუმენტით მოწესრიგდა სამრევლოების რიცხვიც. ყოველი 80-100 კომლი შეადგენდა ერთ სამრევლოს. XIX საუკუნის დასაწყისისათვის ეკლესიის სასარგებლოდ გლეხი იხდიდა საეკლესიო-საადგილმამულო (სურსათი, მახტა, ღალა, კულუხი) და საეკლესიო-სამწყსოს (დრამა, სახუცო) გადასახადს. საეკლესიო გლეხი ეკლესიისადმი თავის ვალდებულებას შრომითი ბეგარითაც გამოხატავდა. გარდა ამისა, აღსარების, ზიარების, ნათლობის, ჯვრისწერისას იხდიდნენ გადასახადს ფულადი სახით. საეკლესიო გადასახადების ძირითადი ნაწილის გადახდა ნატურალური ფორმით ხდებოდა. ეგზარქოსმა თეოფილაქტემ მოახდინა საეკლესიო გადასახადების კომუტაცია, ფულადი რენტის წილი საეკლესიო გადასახადებში გაიზარდა და 40-იანი წლებიდან საეკლესიო გლეხთა საგადასახადო ვალდებულებებში ძირითადი აღგილი დაიკავა. ამონაგები თანხები ხაზინას გადაეცა, რის შედეგადაც სახელმწიფო შემოსავალი საგრძნობლად გაიზარდა.[28]

რაც შეეხება საეკლესიო მამულების სახაზინო ფონდში გადასვლას (სეკულარიზაციას), ამ პროცესმა რამდენიმე საფეხური გაიარა: I. 1811-1841 წწ. – საეკლესიო აზნაურები თავიანთი ყმა-მამულით სახაზინო უწყებაში გადაირიცხნენ.

II. 1842-1852 წწ. – ხორციელდება საეკლესიო მამულების სახელმწიფო სახაზინო უწყებაში გადასვლა. III. 1853-1869 წწ. – ყველა დასახლებული და დაუსახლებელი საეკლესიო მიწები სამუდამოდ სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში გადაეცა. ქართლ-კახეთში საეკლესიო მიწების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა დამთავრდა 1869 წელს, იმერეთსა და გურიაში – 1871 წელს, სამეგრელოში – 1880 წელს. საეკლესიო გლეხებს მიეცათ სახელმწიფო გლეხთა თანაბარი უფლებები. სასულიერო უწყებას დაენიშნა ყოველწლიური ფულადი შემოსავალი. სასულიერო პირებს მიეცათ ჯამაგირი სახელმწიფო ხაზინისაგან, ანუ ისინი, რუსული ეკლესიის მსახურთა მსგავსად, სახელმწიფო მოხელეებად – ჩინოვნიკებად იქცნენ. ამრიგად, საქართველოს ეკლესიას მოესპო შემოსაელის ძირითადი წყარო. XIX ს-ის II ნახევარში საეკლესიო გლეხები და მამულები საქართველოში ფაქტობრივად აღარ არსებობდა. ისინი გადაიყვანეს სახაზინო უწყებაში.[29]

რუსეთის იმპერიაში მკაცრად იყო განსაზღვრული სამღვდელოების მოვალეობა, რომელიც 1721 წლის სასულიერო რეგლამენტით ისევ ძალაში რჩებოდა. სასულიერო პირი ვალდებული იყო იმპერატორის ერთგული მსახური ყოფილიყო, ამასთან, მოსალოდნელი საფრთხის შესახებ უნდა ეცნობებინა სათანადო ორგანოებისათვის. მას ევალებოდა დაერღვია აღსარების საიდუმლო, ქურდობის, ღალატის ან იმპერატორის წინააღმდეგ ბუნტისა და ამბოხის შემთხვევაში. სამღვდელოების პირდაპირი მოვალეობა იყო სახელმწიფოს მიმართ მრეველში ერთგულებისა და თავდადების გრძნობის დამკვიდრება. თავდაპირველად ამას იმპერატორის ხელისუფლების კულტის განმტკიცებით ცდილობდნენ, რაც საკუთრივ რუსეთში XVII-XVIII სს-ში იმპერატორის აპოთეოზის, განღმრთობის მცდელობით, კერძოდ, ტაძრებში იმპერატორთა გამოსახვით გამოიხატა. ამ ხერხმა პოპულარობა ვერ მოიპოვა და ხელისუფლების კულტის დამკვიდრება XIX ს-ის დასაწყისიდან გაგრძელდა სხვა მიმართულებით, ე. წ. ტაბელური ან "სამეფო დღეების" დადგინებით: ღვთისმსახურება ამ დღეებში სრულდებოდა განსაკუთრებული ლოცვებით, აკაფისტებით და კანონებით, იმპერატორისა და მისი ოჯახის სხვადასხვა წევრების სახელების ხსენებით. XIX ს-ში ეს ტრადიცია საეკლესიო ღვთისმსახურების ოფიციალურ წესად გარდაიქმნა და 1917 წლამდე შენარჩუნდა. ამ დღეების განსაკუთრებულ აღნიშვნას უფრო მკაცრად მოითხოვდნენ, ვიდრე საეკლესიო კულტმსახურებას.[30] საარქივო მასალები მოწმობენ, რომ საქართველოს ეპარქიებსა და სამრეველო ეკლესიებში წინასწარ მოდიოდა განაწესი ამგვარი დღეების აღნიშვნისა და სპეციალური ლოცვის შესრულების შესახებ. დანიშნულ დღეებში რუსეთის სამეფო ოჯახის საკეთილდღეოდ ლიტურგიის ჩატარება სავალდებულო იყო საქართველოში მოქმედი ყველა ეკლესისათვის.

ცვლილებები განიცადა საღვთისმსახურო ტრადიციამაც. ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება სლავური ტიპიკონის მიხედვით დადგინდა. ეთნიკურად შერეულ სამრეველოებში წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე სრულდებოდა, ხოლო ქართულ სამრეველოებში ქართულ ენაზე. მართლმადიდებლურ ტაძრებში საეკლესიო სლავურ-რუსული გალობის დამკვიდრებისა და შესრულების გაუმჯობესების მიზნით იმპერიის მასშტაბით გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები: 1804 წელს სინოდის მითითებით ეკლესიებში დაუშვეს მხოლოდ სანოტო წიგნებში გამოცემული საგალობლების შესრულება, 1815-1816 წლებში ლიტურგიაში აიკრძალა იმ საგალობლების გამოყენება, რომელიც დადასტურებული არ იყო სახელმწიფო კაპელის დირექტორის ტურჩანინოვის მიერ.[31] ამრიგად, საქართველოს ეკლესიებსა და მონასტრებში სულ უფრო იშვიათი გახდა ქართული გალობის შესრულება.

ქართული გალობის საუკეთო ჰარმონიის სათანადოდ შეუფასებლობის გამო რუსი მოხელეები მეტად უპატივცემულოდ ეპყრობოდნენ ქართულ საგალობო ტრადიციებს. მთავარმართებელი ციციანოვი თავს უფლებას აძლევდა ანტონ II-ის მიმართ მიწერილ წერილში მიეთითებინა სლავური გალობის უპირატესო-

ბის შესახებ ქართულთან შედარებით და ეთქვა: "აქაურ ეკლესიებში ქართული გალობა თხის კიკინს ჰგავს"-ო.[32] ქართულ გალობას არ სწყალობდა ეგზარქოსი თეოფილაქტე. თბილისის სასულიერო სასწავლებელში მან მხოლოდ სლავური გალობის კლასი დააარსა. თუმცა, მისივე სიტყვიერი მითითებით, მალევე გალობის სწავლება საერთოდ შეწყდა.[33] უნდა აღინიშნოს, რომ ეგზარქოსთა შორის ქართულ გალობას თაყვანისმცემლებიც ჰყავდა. არსებობს ცნობა, რომ 1839 წელს საქართველოს ეგზარქოსმა მოსემ სხვადასხვა ეპარქიებიდან შემოიკრიბა საუკეთესო ქართველი მგალობლები და ქართული საგალობლები ნოტებზე თავად ჩაიწერა. მოგვიანებით, ქართულ გალობას დიდ ყურადღებას უთმობდა ეგზარქოსი ევსევიც (1856-1877 წწ.), რომელმაც შემოიღო სასულიერო სემინარიაში ქართული საგალობლების სწავლება. სამწუხაროდ, მისი მოღვაწეობის ბოლო წლებში ქართული საგალობლების შესწავლა შეწყდა XIX ს-ის 80-იან წლებამდე.[34]

რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლება განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა სასულიერო ფენას, რომელიც სახელმწიფოს მხრივ იდეოლოგიურად რუსეთის ამიერკავკასიაში გაბატონების ერთგულ მოკავშირედ და საყრდენ ძალად აღიქმებოდა. მრევლის იდეოლოგიური დამუშავების, შემზადების მისია დაბალ სამღვდელოებას ეკისრებოდა. ამდენად, ხელისუფლება დაინტერესებული იყო მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით. 1807 წლის 7 ივლისს იმპერატორის ბრძანებით სამღვდელოება გათავისუფლდა ყმობისაგან და ბეგარა გადასახადებისაგან, ფიზიკური სასჯელისაგან. ცოტა უფრო მოგვიანებით, საეკლესიო სოფლებში გაუქმდა მოურავობის ინსტიტუტი,[35] სასულიერო პირთა ოჯახები გათავისუფლდნენ ჯარის ჩაყენებისაგან.[36]

სასულიერო განათლება. XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში სასულიერო განათლების სფეროში მთელი რიგი რეფორმები გატარდა. 1808 წელს დამტკიცდა სასულიერო სასწავლებლების რეფორმის პროექტი. სასულიერო სკოლების სისტემას სათავეში სინოდს დაქვემდებარებული „სასულიერო სასწავლებლების კომისია" ჩაუდგა. შემოიღეს სწავლების ოთხი საფეხური: აკადემია, სემინარია, სამაზრო სასწავლებელი და სამრევლო სკოლა. თითოეული საფეხურის სკოლა უშუალოდ წინა საფეხურის სასწავლებელს დაექვემდებარა. აკადემიები განაგებდნენ განსაზღვრულ სასწავლო ოლქს, რომელზედაც მიწერილი იყო ეპარქიათა გარკვეული რაოდენობა თავისი სასულიერო სასწავლებლებით. აკადემიები არა მარტო საღვთისმეტყველო სასწავლებლებად, არამედ საღვთისმეტყველო მეცნიერების ცენტრებად გადაიქცნენ. დაწესდა საღვთისმეტყველო მეცნიერების მაგისტრის, კანდიდატის, მოგვიანებით (1814 წ.) დოქტორის წოდება.[37]

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ქართული სკოლებისა და სასწავლებლების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ბევრი მათგანი, მათ შორის თბილისის სასულიერო სემინარია, დაიხურა და გაუქმდა. რუსული ყაიდის სასწავლებლების დაარსება კი თავდაპირველად შეფერხდა. 1804 წელს რუსეთის ხელისუფლების მიერ გახსნილი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, მრავალი წლის განმავლობაში დარჩა ერთადერთ სახაზინო დოტაციაზე მყოფ საერო სკოლად.

თბილისში სასულიერო სემინარიის დაარსების თაობაზე შუამდგომლობა რუსეთის უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების წინაშე ჯერ კიდევ 1809 წელს აღიძრა, მაგრამ სახსრების უქონლობის მომიზეზებით ის არ დაკმაყოფილდა. 1817 წელს საქართველოში სასულიერო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლების გახსნის მოთხოვნაზე ეგზარქოსმა თეოფილაქტემ უწმინდესი სინოდისაგან კვლავ უარი მიიღო, თუმცა საქართველოს საეგზარქოსოს უფლება მიეცა აღნიშნული მიზნისათვის საჭირო თანხა „ოსეთის სასულიერო კომისიისაგან" ესესხა. ამ ფინანსური უსრუნველყოფით, 1817 წლის 1 ოქტომბერს თბილისში, სასეიმოდ გაიხსნა რუსული სასულიერო სემინარია და სამაზრო სასწავლებელი სამრევლო სკოლით. იმავე წლის 10 ოქტომბერს სამაზრო სასულიერო სასწავ-

ლებელი და სამრეველო სკოლა დაარსდა თელავში, ხოლო 1817-1818 წლებში სამრეველო სასწავლებლები სიღნაღსა და გორშიც გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული ყველა სასულიერო სასწავლებელი, ადგილობრივი ბიუჯეტით, კერძოდ, საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო შემოსავლებით ფინანსდებოდა. მათი ძირითადი დანიშნულება ქართველი მრეველისათვის რუსული სულისკვეთების სულიერ მოძღვართა და სამღვდელო პირთა მომზადება, საქართველოს მოსახლეობაში თვითმპყრობელობის რეჟიმისადმი ერთგულების დანერგვა და მათი გარუსება იყო.[38]

თბილისის სასულიერო სემინარია დაარსებისას არ იყო სრული და მასში მხოლოდ რიტორიკის კურსი ისწავლებოდა. ფილოსოფიის კურსი სემინარიაში მხოლოდ 1823 წელს, ხოლო ღვთისმეტყველებისა კი 1927 წელს შემოიღეს. პედაგოგებად რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან მოწვეული პირები ინიშნებოდნენ. ბიუჯეტის სიმცირის გამო მათი ხელფასი საკმაოდ დაბალი იყო. საქართველოში ძირითადად წარუმატებელი, ნაკლებად კვალიფიცირებული სპეციალისტები მოდიოდნენ. XIX ს-ის I ნახევარში, თბილისის სასულიერო სემინარიაში პედაგოგთა კადრების დეფიციტის გამო, ხშირად ვერ მიიღწეოდა სემინარიების „დებულებით" გათვალისწინებული საეალდებულო კურსის შესაბამისი საგნების სწავლება. ბუნებრივია, ამის გამო თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა სასულიერო აკადემიაში გაგზავნა საგრძნობლად ფერხდებოდა.[39]

საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში მექანიკურად, ადგილობრივი მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე გადმოიღეს რუსულ სკოლებში არსებული წესები. სწავლების პროცესს შეერწყა რუსული როზგი. ხშირი იყო სასულიერო სასწავლებლების ადმინისტრაციის მხრივ მოსწავლეთა გვარების რუსულ ყაიდაზე გადაკეთების შემთხვევები. ახალი გვარის ფუძედ უმეტეს შემთხვევაში მოსწავლის მამის სახელი, საეკლესიო წოდება ან ქართული გვარის მნიშვნელობის რუსული თარგმანი გამოიყენებოდა. ხშირად ეს გვარები ადამიანებს მთელი ცხოვრების განმავლობაში რჩებოდათ და შთამომავლობასაც გადაეცემოდა.[40]

განათლების მიმართულება, ხასიათი, პროგრამები იცვლებოდა კავკასიაში რუსეთის სახელმწიფო ინტერესებისა და პოლიტიკის შესაბამისად. განათლების საკითხი მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შორსმიმართულ გეგმებს. აღსანიშნავია, რომ კავკასიის ხალხებს შორის ქრისტიანობის გავრცელებისა და სამისიონერო საქმის აქტივაციის მიზნით, ხელისუფლება ამ ეტაპზე ადგილობრივი ენების შესწავლას უჭერდა მხარს. მთავარმართებელი როზენი განათლების მინისტრის უვაროვისადმი 1834 წელს გაგზავნილ მოხსენებაში წერდა: „აუცილებელია დაევალოს ადგილობრივ სასწავლებელთა უფროსს მიიღოს ყოველგვარი ზომები აქაურ სკოლებში მოსწავლე რუს მოხელეთა შვილების წასაქეზებლად – საფუძვლიანად შეისწავლონ ადგილობრივი ენები... განსაკუთრებით თათრული, როგორც აუცილებელი ამიერკავკასიის უდიდეს ნაწილში."[41]

XIX ს-ის I ნახევარში საქართველოში მეტად მწირი განათლების ქსელის არსებობის პირობებში, სკოლების სრული რუსიფიკაცია ნაკლებად ეფექტური იქნებოდა. სანამ რუსეთის მიერ კავკასიის სრული დაპყრობა დასრულებული არ იყო, ადგილობრივ ენებს გარკვეული მისია უნდა შეესრულებინათ. ამ ეტაპზე, კოლონიურად ასათვისებელ ტერიტორიებზე, იქ სადაც მოსახლეობა წარმართული ან ისლამური რელიგიის მიმდევარი იყო, სწორედ ადგილობრივი ენების საშუალებით უნდა შესულიყო ქრისტიანული სარწმუნოება, რომელსაც რუსეთის იმპერია სახელმწიფო იდეოლოგიის, რუსული მენტალობის ძირითად გამოვლინებად თვლიდა. კავკასიაში ქრისტიანობის გაერცელების საქმეში საქართველო მუდამ მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა. ამიტომაც, მომავალი სასულიერო, საშოხელეო და მისიონერთა კადრების მომზადება ითხოვდა, საქართველოს

სასულიერო და საერო სასწავლებლებში ქართული და რუსული ენის გვერდით საეკლესიო საგნებად ოსური და თათრული ენების სწავლების შემოღებას.

სამისიონერო საქმიანობა. განსახილველი პერიოდის რუსეთის იმპერიის საშინაო პოლიტიკა, იმპერიის საზღვრების გაფართოების სურვილი მოითხოვდა სამისიონერო მოღვაწეობის განსაკუთრებულ გააქტიურებას.

ჯერ კიდევ XVIII ს-ში მოსკოვში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების ინიციატივით დაარსდა "ოსეთის სასულიერო კომისია", რომლის მიზანი იყო ოსებს შორის ქრისტიანობის გავრცელება. 1815 წელს იმპერატორის ალექსანდრე I-ის გადაწყვეტილებით ამ "კომისიის" საქმიანობა აღდგა, მისი მოღვაწეობის სფერო გაფართოვდა და დაეკისრა არა მხოლოდ ოსების, არამედ სხვა მთიელი ხალხის გაქრისტიანებაც. "ოსეთის სასულიერო კომისიის" საქმიანობა წარიმართა შემდეგი მიმართულებით: მთიელთა შორის ქრისტიანობის საქადაგებლად მისიების გაგზავნა, ეკლესიების მშენებლობა, სასულიერო სასწავლებლების დაარსება, ადგილობრივ ენებზე საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნა. მისიის ფუნქციონირებისათვის თავდაპირველად სახელმწიფომ გამოყო 14750 მანეთი, კაზაკთა ასეული და 30 გამცილებელი. "სასულიერო კომისიის" მუშაობა განახლდა თბილისში, მას საათავეში ჩაუდგა თელავისა და საქართველო-კავკასიის არქიეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური და დაექვემდებარა უშუალოდ რუსეთის უწმინდეს სინოდს. მისიის საქმიანობაში სხვადასხვა დროს თავი გამოიჩინეს ქართველმა მღვაწეებმა: ნიკოლოზ სამარღანოვმა, იოანე იალღუზიძემ, იოსებ ელიოზისძემ, პეტრე ავალიანმა, ბესარიონ ილურიძემ, ვასილ ცერცვაძემ, გიორგი ამირეიძემ, ზაქარია მამულაშვილმა, იაკობ ლომოურმა, გაბრიელ და მოსე სამაგლი'შვილებმა, იაკობ ზამთარაულმა.

1817-1820 წწ. "სასულიერო კომისიის" მოღვაწეობის შედეგად გაქრისტიანდა დაახლოებით 18592 ადამიანი. "ოსეთის სასულიერო კომისიის" მუშაობა განსაკუთრებული ეფექტურობით წარიმართა ეგზარქოსის თეოფილაქტე რუსანოვის დროს, როდესაც შემუშავდა ახალი ინსტრუქცია. ის გულისხმობდა, რომ მისიონერებს ემოქმედათ მეტი სულიერებით, არ მიეტოვებინათ თემი და ექადაგათ მოსახლეობაში ეკლესიის გახსნის სურვილის გაჩენამდე, საერო საქმეებში არ ჩარეულიყვნენ, არ გაემეღავნებინათ, რომ სახელმწიფოსაგან მოელენილი მოხელეები იყვნენ, თავი გაესაღებინათ მათთვის სიკეთის მოსურნე უბრალო მწირებად.[42] 1824 წლისათვის ოსების უმეტესი ნაწილი გაქრისტიანდა.

1812 წელს პეტერბურგში დაარსებული ბიბლიური საზოგადოების მოღვაწეობა რუსეთის პოლიკონფესიურ საზოგადოებაში ემსახურებოდა სამისიონერო და რელიგიურ-პროპაგანდისტულ საქმეს. ბიბლია და საღვთისმსახურო ლიტერატურა სხვადასხვა ენებზე არაჩვეულებრივი სისწრაფით ითარგმნებოდა. კავკასიურ ენებზე ამგვარი ლიტერატურის თარგმნა საკმაოდ გააქტიურდა "ოსეთის სასულიერო კომისიის" აღდგენის შემდეგ. ქართულიდან ოსურ ენა'ზე სახარების თარგმანი იოანე იალღუზიძეს შეუსრულებია[43]. მანვე ქართულიდან ოსურად თარგმნა ლოცვები, კატეხიზმო, საღვთისმსახურო ლიტურგია.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან "ოსეთის სასულიერო კომისიის" მისიონერები იგ'ზავნებიან აფხაზეთშიც. ამ მისიას მაჰმადიანთა მხრივ ძლიერი წინააღმდეგობის გამო წარმატება არ მოპყოლია. არქიმანდრიტს იოანიკის მიერ მოინათლა მხოლოდ 216 ადამიანი. თუმცა, XIX ს-ის II ნახევარში აფხაზეთში ქრისტიან მისიონერთა მოღვაწეობა უფრო წარმატებული აღმოჩნდა. "ოსეთის სასულიერო კომისია" ასევე ზრუნავდა საინგილოს და ახლადშემოერთებული სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებისათვის, თუმცა ამ რეგიონებში მისიის მოღვაწეობას თვალსაჩინო შედეგი არ მოპყოლია.[44]

აქვე უნდა აღინი'შნოს, რომ XIX ს-ის I ნახევარში უწმინდეს სინოდ'ში არ არსებობდა სამისიონერო მოღვაწეობის ერთიანი გეგმა. მისიის საქმიანობის მთელი ტვირთი ადგილობრივ იერარქებს დააწვათ.[45] მისიონერებს უხდებოდათ მე-

ტად მძიმე პირობებში მუშაობა, ხშირ შემთხვევაში ხელფასი დროულად არ ეძლეოდათ. ამასთან, რუსულ სასულიერო წრეებში მისიონერობა ნაკლებად პოპულარული და არაპრესტიჟული იყო. ამდენად, "ოსეთის სასულიერო კომისიის" მოქმედება ოსების გარდა სხვა მთიელ მოსახლეობაში საკმაოდ წარუმატებელი გამოდგა. მართლმადიდებლობის დამკვიდრებისათვის მიმართულმა საქმიანობამ, სახელმწიფოს მხრივ რელიგიური ორიენტაციის ფორმირების პროცესში უხეშმა ჩარევამ, რომლის უკან ტერიტორიების ხელყოფის სურვილი იმალებოდა, კავკასიის მთიელ მოსახლეობაში უდიდესი წინააღმდეგობა გამოიწვია, რაც საღვთო ომში გადაიზარდა.

საეკლესიო ქონების ძარცვა. საქართველოს ეკლესიის კულტურული მემკვიდრეობის ძარცვა, ადგილობრივი წესჩვეულებების აბუჩად აგდება, ეროვნული ფასეულობებისა და ეკლესია-მონასტრების კუთვნილი ქონების თვითნებურად განკარგვა ეგზარქოსების პოლიტიკის ნაწილი გახდა. ხშირ შემთხვევაში ამ საგანძურის დატაცება მათი შემოსაელის არაოფიციალურ წყაროდაც იქცა. გაუქმებულ ეკლესია-მონასტრებში მიტოვებული ძვირფასეულობის ძარცვის საქმეში რუს სასულიერო პირებთან ერთად ქართველი რენეგატი სამღვდელოებაც იყო ჩაბმული. 1818 წელს საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტე რუსანოვის მითითებით შეადგინეს აღმოსავლეთ საქართველოში იმდროისათვის მოქმედი და გაუქმებული ეკლესია-მონასტრების სია, ძვირფასეულობისა და აღჭურვილობის აღწერა. საგანძური თბილისში ჩამოტანის შემდეგ უკვალოდ გაქრა. 1820 წელს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ თვითნებურად გაყიდა თბილისის სიონის ქარვასლა, გაასხვისა სხვადასხვა ეკლესიის კუთვნილი მამულები. ეგზარქოს იონას დროს დაიკარგა 1844 წელს თბილისში ჩამოტანილი გარეჯის მონასტრის ძვირფასეულობა. მისივე განკარგულებით, სინოდის მოთხოვნის საფუძველზე, ეკლესია-მონასტრების კუთვნილი უძველესი დროშები, თოფ-იარაღი სამხედრო გუბერნატორს გადაეცა. ამ სამხედრო აღჭურვილობის ბედი დღემდე გაურკვეველია.[46]

ამრიგად, რუსეთის უმაღლესმა საერო და საეკლესიო ხელმძღვანელობამ XIX ს-ის I ნახევარში საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა საბოლოოდ გააუქმა და იგი რუსეთის ეკლესიის ერთ-ერთ უმნიშვნელო ნაწილად აქცია. ეს მან გააკეთა საუკუნეობით განმტკიცებული მსოფლიო საეკლესიო კანონების დარღვევით და უგულებელყოფით. ამა თუ იმ დამოუკიდებელი ეკლესიის ავტოკეფალობის გაუქმება და სხვა ეკლესიებზე მისი მიწერა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, თვით ამ ეკლესიის ნებაყოფლობით და არა მისი სურვილის წინააღმდეგ. საქართველოში მსოფლიო საეკლესიო კანონების და სამართლიანობის უხეში დარღვევით გაუქმდა კათოლიკოსის თანამდებობა, შეიცვალა ეკლესიის სტრუქტურულ-ადმინისტრაციული წყობა, შეილახა ეკლესიის ქონებრივი დამოუკიდებლობა, მრევლთან და ხალხთან მჭიდრო კავშირი, შეიცვალა საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან.

საეგზარქოსოს დაარსების შემდეგ, საქართველოს ეკლესია ძალდატანებით დაექვემდებარა სხვა ქვეყნის ეკლესიის ადმინისტრაციულ ორგანოს – რუსეთის უწმინდეს სინოდს, ადგილობრივი საეკლესიო მმართველობა გადაეცა სინოდალურ კანტორას, ეკლესია და სამღვდელოება პირდაპირ დამოკიდებული გახდა სახელმწიფო ხაზინაზე; ეკლესია საქართველოში გარუსების პოლიტიკის განხორციელების საშუალებად იქცა, რამაც ხალხისა და სამღვდელოების ურთიერთდაშორება, ხშირ შემთხვევაში მათ შორის დაპირისპირება და სარწმუნოებრივი გრძნობის განელება გამოიწვია.

ქრისტიანული სექტები საქართველოში. XIX ს-ის I ნახევარში რუსეთის ხელისუფლებამ ქმედითი ღონისძიებები გაატარა რუსულ ეკლესიებში გავრცელებული სექტების წინააღმდეგ. სახელმწიფო მათ აფასებდა როგორც პოლიტიკურად და სოციალურად საშიშ მოვლენას. ის აღიქმებოდა საზოგადოებრივი

პროტესტის რელიგიურ ფორმად. დასავლეთ ევროპაში რევოლუციური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, ნიკოლოზ I-ის დამოკიდებულება სექტების მიმართ მკვეთრად გაუარესდა. საშიშროების ხარისხის მიხედვით რუსეთში არსებული ყველა სექტა დაიყო 3 ჯგუფად. ხელისუფლებისათვის ყველაზე სახიფათოდ აღიარეს ის სექტანტური ჯგუფები, რომლებიც არ ცნობდნენ სახელმწიფოს, მეფისათვის ლოცვას, ქორწინებას. მათ რიგში აღმოჩნდნენ დუხობორები, ხლისტები, მოლოკნები და სხვა. ხელისუფლება ამ სექტებს მკაცრად ებრძოდა: ეკრძალებოდათ ახალი სამლოცველო სახლების მშენებლობა, ძველის შეკეთება, სამრეკლოებიდან უხსნიდნენ ჯვრებს, რიტუალების შესრულებისას ეკრძალებოდათ ზარების დარეკვა, იყო სექტანტური და რასკოლნიკური თემების სასულიერო ცენტრების დარბევის შემთხვევები. XIX ს-ის 20-30-იანი წლებიდან აქტუალური გახდა რუსეთის სამხრეთი და ცენტრალური რეგიონებიდან იმპერიის განაპირა მხარეებში სექტანტების გასახლების პროგრამა.

ქრისტიანული სექტები საქართველოში ადგილობრივ ნიადაგზე არ წარმოშობილა. მათი გაჩენა საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს. ერთ-ერთი პირველი სექტანტური ჯგუფი, რომელიც საქართველოში, კერძოდ რელტ-კალესა და სოხუმში დასახლდეს, სკოპცები იყვნენ.[47] XIX ს-ის 30-იანი წლებიდან რუსეთის ცალკეული რეგიონებიდან იწყება სხვადასხვა სექტანტური ჯგუფების დუხობორების, სკოპცების, მოლოკნების, სტარაობრიადცების მიზანმიმართული ჩამოსახლება. ამ პროცესს ხელი შეუწყო 1835 წლის 27 მაისის ბრძანებულებამ: განსაკუთრებით მაინც სექტებს ნება დაერთოთ ჩაწერილიყვნენ ამიერკავკასიის მხარის საქალაქო საზოგადოებაში.[48]

XIX ს-ის 30-იან წლებში გადაწყდა ყველა აქტიური დუხობორის კავკასიის კორპუსში ჯარისკაცებად გაგზავნა, ხოლო სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარი პირების ამიერკავკასიის პროვინციებში გადასახლება. ამიერკავკასიაში პირველი დუხობორები 1831 წ. თბილისისა და ელიზავეტოპოლის გუბერნიებში, ყარსის ოლქში გამოჩნდნენ. თბილისის გუბერნიაში ისინი განამწესეს ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში. გადმოსახლების პროცესი გაგრძელდა 1845 წლის ჩათვლით.[49] საქართველოში გადმოსახლებულ დუხობორებს ხელისუფლება განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა. 1843 წლის 2 მაისის ინსტრუქციით მათ ხელსაყრელი პირობებით მიიღეს სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები.[50]

მოლოკნების გადმოსახლება ამიერკავკასიაში იწყება 1830 წლიდან. თბილისის გუბერნიაში მათი შემოსვლა 1839-1847 წლებში აღინიშნა. ისინი დასახლდნენ საქართველოს, როგორც შიდა, ასევე სასაზღვრო რეგიონებში. მათი საერთო რელიგიური ცენტრი ბორჩალოს მაზრაში სოფ. ვორონცოვკაში იყო. კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა წინადადებები მოლოკნების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათ დასაფუძნებლად: მოლოკნებს მიეცათ მიწები ოჯახზე 30-60 დესეტინა, სახელმწიფოსაგან სესხად ეძლეოდათ სათესლე მასალა და თანხები დასახლებისათვის, გარკვეული დროით გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან; ხელისუფლებამ დააწესა ზედამხედველობა, რომ არ შეექმნათ სამლოცველო სახლები, არ შეეყვარებინათ უპასპორტო პირები, არ დაექირავებინათ მუშებად მართლმადიდებლები ანდა პირიქით; გადაადგილების უფლება აქვთ ამიერკავკასიის პროვინციებში, თუმცა ქალაქებში არა.[51]

1842 წელს საქართველოში დაფიქსირდა, მოლოკნების სექტის ერთ-ერთი მიმართულების, პრიგუნების არსებობაც. მათ თბილისში პესკოვის ქუჩაზე სამლოცველო სახლი აქვთ.[52]

ამგვარად, მეფის ხელისუფლება ქრისტიანულ სექტებს იყენებდა ამიერკავკასიის კოლონიზაციის საქმეში და ხელს უწყობდა ამ რეგიონში მათ დაფუძნებას. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, ამგვარი ღო-

ნისძიებით რუსეთის ხელისუფლება რამდენიმე ამოცანას ერთდროულად წყვეტდა: რუსეთის შიდა რაიონებიდან იშორებდა სექტანტურ დაჯგუფებებს და აგზავნიდა მათ განაპირა პროვინციებში. რამდენადაც ეს ჯგუფები ხელისუფლების ოპოზიციად აღიქმებოდა, მათი გადასახლებით რუსული ეკლესია ასუსტებდა შიდა წინააღმდეგობრივ ძალებს. მხარის ასათვისებლად ამიერკავკასიაში ქმნიდა თავის დასაყრდენ კოლონიურ სოციუმს. სექტანტების ამიერკავკასიაში მიგრაცია და დამკვიდრება ცვლიდა მოსახლეობის დემოგრაფიულ ბალანსს რუსული ელემენტის სასარგებლოდ. საქართველოს საზღვრისპირა რეგიონში ჩასახლებული სექტანტები იმპერიის მხრივ ანტითურქულ ძალადაც აღიქმებოდა.

კათოლიკური ეკლესია საქართველოში. რუსეთის რელიგიური პოლიტიკის შედეგად შეიცვალა ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაც. ჯერ კიდევ, 1735 წელს მთელს რუსეთში აიკრძალა მართლმადიდებლების მხრივ კათოლიკური აღმსარებლობის მიღება. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ეს კანონი საქართველოზეც გავრცელდა. რუსეთის იმპერიაში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას ეჭვის თვალით უყურებდნენ. მათ ევროპულ სახელმწიფოთა ჯაშუშებად მიიჩნევდნენ, რის გამოც ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა აღმოსავლეთის კათოლიკური მისიები შეევიწროვებინა. მთავარმართებელმა კნორინგმა აკრძალა ევროპიდან კათოლიკე მისიონერთა საქართველოში სამოღვაწეოდ შემოსვლა, ჩამოსულებს გაძევებით ემუქრებოდა. ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში აღიკვეთა ლათინურ ენაზე ღვთისმსახურება და ტიპიკონი. 1844 წელს ოფიციალურად აიკრძალა კათოლიკე მისიონერების საქართველოში მოღვაწეობა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ შევიდოდნენ მოგილოვის კონსისტორიის ქვეშევრდომობაში. ეს მოთხოვნები საქართველოში კათოლიკური მისიის წარმომადგენლებმა არ მიიღეს და საქართველო დატოვეს.[53] ხოლო, საქართველოში მყოფი კათოლიკური მრევლი მოგილოვის კონსისტორიას დაექვემდებარა, რომელიც სომხურ-კათოლიკური ტიპიკონით ხელმძღვანელობდა. ცნობილია, რომ ისტორიულად ქართველი კათოლიკეები ლათინური ტიპიკონის მიხედვით ასრულებდნენ ღვთისმსახურებას. თვითიდენტიფიკაციის შენარჩუნების მიზნით ისინი საქართველოდან გაიხიზნენ და ეკლესიები კონსტანტინოპოლსა და მონტობანში (საფრანგეთი) დააარსეს.

სამშობლოში დარჩენილ ქართველ კათოლიკეთა მრეველი იძულებული გახდა სომხური ტიპიკონით ესარგებლა. სომეხი კათოლიკე მოძღვრები ქართველებს ნათლავდნენ, უცელიდნენ გვარებს სომხური ჟღერადობით. დაიწყო კათოლიკური აღმსარებლობის ქართველთა არმენიზაციის პროცესი.

ამრიგად, XVIII-XIX საუკუნების მიჯნაზე რუსეთის იმპერიაში განსაკუთრებით გაძლიერდა სახელმწიფო ინტერესების მიზნით რელიგიური ფაქტორის პოლიტიკაში გამოყენება. ფაქტობრივად, მართლმადიდებლობა ამ ქვეყანაში იქცა მეზობელი ტერიტორიების ათვისებისა და კოლონიური პოლიტიკის წარმართვის საშუალებად.

საქართველოს ანექსიის შემდეგ XIX ს-ის I ნახევარში რუსეთის მიერ საქართველოში გატარებული საეკლესიო რეფორმა რუსული ყაიდის საღვთისმსახურო წესგანგების, სახელმწიფოსგან მაქსიმალურად კონტროლირებადი საეკლესიო ორგანიზაციის შექმნის მიზანს ისახავდა და ეტაპობრივად რამდენიმე მიმართულებით განვითარდა. ის გულისხმობდა საქართველოს ეკლესიის ძირეულ სტრუქტურულ-ადმინისტრაციულ რეორგანიზაციას, საეკლესიო გადასახადების კომუტაციას (ფულად ნიშანზე გადაყვანა) და საეკლესიო მამულების სეკულარიზაციას (სახელმწიფო ხაზინისათვის გადაცემა); საღვთისმსახურო განაწესის, დაბალი სამღვდელოების მდგომარეობის, სასულიერო განათლების სისტემის გარდაქმნას. რუსეთის იმპერიის საეკლესიო და რელიგიური პოლიტიკის შედეგად საქართველოში გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, დაწესდა ეგზარქოსის თანამდებობა, შეიცვალა ეკლესიის სტრუქტურულ-ადმინისტრა-

ციული წყობა, ის უწმინდეს სინოდს დაექვემდებარა. შეილახა ეკლესიის ქონებრივი დამოუკიდებლობა, ეკლესია და სამღვდელოება პირდაპირ დამოკიდებული გახდა სახელმწიფო ხაზინაზე; დაირღვა ეკლესიის მრევლთან მჭიდრო კავშირი; შეიცვალა საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან. ეკლესია საქართველოში გარუსების პოლიტიკის განხორციელების საშუალებად იქცა.

საქართველოში რელიგიური სექტების გაჩენა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს. ხოლო რუსეთის მიერ კათოლიკური ეკლესიის მიმართ გატარებულმა ღონისძიებებმა განაპირობა კათოლიკური აღმსარებლობის ქართველთა არმენიზაციის პროცესი.

რუსეთის იმპერიის ძალმომრეობითმა საეკლესიო პოლიტიკამ, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ ეკლესიის ჩაყენებამ, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის დევნამ, მრევლსა და ეკლესიას შორის კავშირის შესუსტებამ უკუპროცესი გამოიწვია, როგორც ქრისტიანული, ასევე არაქრისტიანული აღმსარებლობის მოსახლეობაში. ამგვარმა პოლიტიკამ მართლმადიდებლურ საზოგადოებაში რელიგიური ინდიფერენტულობა, გულგრილობა წარმოშვა, ხოლო სხვა კონფესიურ ჯგუფებში მკვეთრი ანტიმართლმადიდებლური რეაქცია გამოიწვია.

---

1. А. Цагарели, Акты и другие исторические документы XVIII века, относящиеся к Грузии. т. I, СПб, 1898, გვ. 413.
2. Епископ Кирион, Двенадцативековая религиозная борьба Грузии с исламом, Тиф., 1899. გვ. 81-83.
3. მ. ეანნაძე, ვ. გურული, რუსეთის ისტორია XX საუკუნე, თბ., 2003, გვ. 70; გ. რეხილაძე, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საგარეო პოლიტიკა და რელიგიური ფაქტორი, ჟურნ. „რელიგია", 1999, №3-4, გვ. 54-55. თ. ფანჯიკიძე, რელიგიური ფაქტორი საქართველოს საგარეო პოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბებაში, წიგნში: რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 2003, გვ. 69-71.
4. Е. К. Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, გვ. 6-8.
5. იე. ჯაჯანიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 1919, გვ. 49-57.
6. ქართული სამართლის ძეგლები, თბ. 1965, ტ. 2, გვ. 469.
7. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2006, გვ. 12.
8. იე. ჯაჯანიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 1919, გვ. 57-64; შდრ.: ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ., თბ., 1980, გვ. 8.
9. Р. Дубоправин, Очерк истории русской церкви, Спб., 1863, გვ. 192; История религии в России, под общей ред. Трофимчука, М., 2002, გვ. 135-146.
10. История религии в России, под общей ред. Трофимчука. М., 2002, გვ. 141-142.
11. იქვე, გვ. 131-133.
12. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს., თბ., 2002, გვ. 33.
13. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. I, ч. II, Тиф., 1866, გვ. 413.
14. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. 2, Тиф., 1868, გვ., 269.

15. Е. К. Краткий очерк истории Грузинской Церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, გვ. 11; Н. Дубровин, Георгий XII , последний царь Грузии и присоединение ее к России, СПб., 1897, გვ. 200-201.
16. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII века относящиеся к Грузии, т. II, вып. I, Спб., 1898, გვ. 201; აგრეთვე, გ. როგავა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ჟურნ. "რელიგია", 1998, №5-6, გვ. 14.
17. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე, თბ., 2002, გვ. 27-32.
18. Е. К. Краткий очерк истории Грузинской Церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, გვ. 35.
19. История Христианской церкви в XIX века, изд. А. П. Лопухина, т. 2, ч. II, Петроград, 1901, გვ. 571-572.
20. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში, თბ., 2002, გვ. 20-21.
21. Всеподданейший доклад Синода, 1811, გვ. 2.
22. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2006, გვ. 17-18.
23. Е. К. Краткий очерк истории Грузинской Церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, გვ. 54.
24. გ. როგავა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ჟურნ. "რელიგია", 1998, №5-6, გვ. 20.
25. История Христианской церкви в XIX века, изд. А. П. Лопухина, т. 2, ч. II, Петроград, 1901, გვ. 573
26. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2006, გვ. 19.
27. თ. შაკიაშვილი, საქართველოს ეკლესია XIX ს-ის I ნახევარში, სამონასტრო მეურნეობები, კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 132-148.
28. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში, თბ., 2002, გვ. 29-30; აგრეთვე: მ. თადუმაძე, საეკლესიო მიწათმფლობელობა საქართველოში, XIX ს-ის I ნახევარი, თბ., 2006, გვ. 86.
29. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში, თბ., 2002, გვ. 31-32. აგრეთვე: მ. თადუმაძე, საეკლესიო მიწათმფლობელობა საქართველოში, XIX ს-ის I ნახევარი, თბ., 2006, გვ. 17-18, 87.
30. Н. М. Никольский, История русской церкви, изд. III, М., 1983, გვ. 220-221.
31. История Христианской церкви в XIX века, изд. А. П. Лопухина, т. 2, ч. II, Петроград, 1901. გვ. 567.
32. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. II, Тиф., 1868, გვ.. 268.
33. იქვე, გვ. 268.
34. Е. К. Краткий очерк истории Грузинской Церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, გვ. 185.
35. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქ. №160, ფურც. 7-8.
36. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქ. №84, ფურც. 5.
37. Очерки истории русской церкви СПб., 1863, გვ. 174; История религии в России, под общей ред. Трофимчука, М., 2002, გვ. 148.
38. მ. ალექსიძე, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა თბილისის სასულიერო სემინარიაში (ბრძოლა ქართული ენისათვის), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ავტორეფერატი), თბილისი, 1998, გვ. 20.

39. ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX ს.), თბ., 1957, გვ. 183.
40. იქვე, გვ. 187.
41. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. VIII, Тиф., 1881, გვ. 99.
42. Е. К. Краткий очерк истории Грузинской Церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, გვ. 97.
43. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქ. №621.
44. იქვე, გვ. 102-103; აგრეთვე: ვ. წვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003, გვ. 100-101.
45. История религии в России, под общей ред. Трофимчука, М., 2002, გვ. 152.
46. ე. ბუბულაშვილი, რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX საუკ. I ნახევარი), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, 2007, გვ. 246, 247, 250.
47. ა. სონღულაშვილი, რელიგიური სექტების ისტორიიდან საქართველოში, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, 2007, გვ. 230. აგრეთვე: ლ. ჭანჭალეიშვილი, საქართველოში მცხოვრები სტაროვერები (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა), ჟურნ. "კლიო", №13, თბ., 2001.
48. გ.როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში, თბ., 2002, გვ. 279.
49. იქვე, გვ. 257-259.
50. იქვე, გვ. 260.
51. იქვე, გვ. 280.
52. იქვე, გვ. 287.
53. მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995, გვ. 310-314.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში

რუსეთის იმპერატორის მიერ საქართველოს მთავარმმართველად დანიშნული გენერალი კნორინგი და მისი ხელქვეითი მოხელეები თბილისში 1802 წლის 9 აპრილს შემოვიდნენ. რუსული მმართველობა ოფიციალურად და საზეიმოდ გახსნეს 12 მაისს. როგორც უკვე აღინიშნა, სიონის ტაძარში მიწვეულ სახოგადოებას წაუკითხეს რუსეთთან საქართველოს შეერთების მანიფესტი. მისი შინაარსის გაცნობამ მსმენელი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქართველ ერს საზეიმო არაფერი ჰქონდა. აღშფოთებულ თავადაზნაურთა საგრძნობმა ნაწილმა ხმალზე გაიკრა ხელი, მაგრამ პროტესტანტები მყისვე დააპატიმრეს. რუსეთის საქართველოში ბატონობა ძალადობითა და რეპრესიებით დაიწყო. რუსულ ხელისუფლებასა და ქართველ ხალხს შორის ანტაგონიზმი თანდათან გაძლიერდა.

ანტირუსული მოძრაობის პირველი ეტაპი. უკვე 1802 წლის იულისში გენ. ლაზარევი მთავარმმართველს კნორინგს აუწყებდა, რომ შინაპოლიტიკური ვითარება გამწვავდა, ხალხის დაუმორჩილებლობის მოძრაობა გაფართოვდა. ისიც აცნობეს, რომ ბატონიშვილი დავით გიორგის ძე შეურიგდა იულიონ ერეკლეს ძის პარტიას და ეხმარება მას სამეფო ტახტის დაკავებისათვის ბრძოლაში. ლაზარევის სხვა პატაკებიდან ჩანს, რომ ღელავდა თბილისის მოსახლეობა, საბრძოლველად შემართულა აპირებდნენ ქართველი მთიელები. მასობრივი მოძრაობა აგორდა კახეთში.

კახეთში შექმნილი დაძაბული სიტუაციის შესახებ უფრო დაწვრილებითაა ლაპარაკი გენერალ გულიაკოვის პატაკებში. ერთ-ერთ მათგანში სინანულით წერდა, რომ თითქმის არავინ შეხვედრია სიამოვნებით საქართველოს მოქცევას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, თითქმის ყველა კახელმა დაარღვიეთ რუ-

სეთის იმპერატორისადმი მიცემული ერთგულების ფიცი. „კახეთის თავადაზნაურობა და ხალხი შფოთავს... თავყრილობაზე შეიკრიბა 40 ათასი კაცი. შეთქმულების მეთაურები იმედოენებდნენ, რომ ირანსა და იმერეთში გადახიზნული ალექსანდრე, იულიონი და ფარნაოზი თავიანთი რაზმებით ბრძოლას დაიწყებდნენ და რომ სამართლიანობის აღდგენისათვის დაწყებული მოძრაობა საერთო ქართულ მასშტაბებს მიიღებდა[1]. სახალხო ყრილობის მონაწილეებმა, თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და ხალხის წარმომადგენლებმა გენერალ გულაკოეს მოახსენეს, რომ მათი მიზანი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ქართლ-კახეთის მეფედ იულიონ ერეკლეს ძის გამოცხადება. მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ რიგით გენერალთან მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა და რუსეთის იმპერატორისათვის მისართმევად ასეთი თხოვნა შეადგინეს: „უმოწყალესო ხელმწიფევ! როდესაც ეროგულებისა ზედა თქვენსა დაგვაფიცეს გამოგვიცხადეს მანიფესტი, რომ ვითომც ჩვენ მოგვეხსენებინოს... მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოესულვართ მფარველობასა ქვეშე. ეს ფრანციელთა მსგავსი რესპუბლიკანობა იქნებოდა ჩვენგან. ჩვენს მეფეებს რა დაუშავებიათ, რომ უარეყოთ... ეს ჩვენი აზრი არ არის, მაცდურთა ყაცთაგან მოგონილია. ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩვენზე მრავალგვარად გარჯილის და ღვაწლდადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენი მეფით თქვენს მფარველობის ქვეშ გვამყოფოთ და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს, ისე გვიმსახუროთ"[2]. ეს თხოვნა მონარქისტული ლეგიტიმიზმის პრინციპის საფუძველზეა შედგენილი. მოძრაობის მონაწილენი იმპერატორისათვის წერილის გაგზავნას, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ქართლ-კახეთის ავტონომიური სამეფოს აღდგენის მოთხოვნას ნორმალურ მოვლენად, ღვთის ნების გამოხატულებად მიიჩნევდნენ. საერთაშორისო სამართალიც მათ მხარეზე იყო. რუსმა მოხელეებმა კი ეს მშვიდობიანი მოძრაობა ანტირუსულ მოელენად აღიქვეს, უმძიმეს დანაშაულად გამოაცხადეს და სულაც არ ეთაკილებოდათ მის მონაწილეთა წინააღმდეგ უმკაცრესი რეპრესიების გამოყენება.

რუსეთის იმპერატორმა, რომელიც ძალიან უფრთხილდებოდა ღვთისაგან ბოძებულ თავის ხელმწიფურ უფლებას, ბაგრატიონებს ანალოგიური უფლების დაბრუნებაზე უარი უთხრა, ქართლ-კახეთის ავტონომიური სამეფოს აღდგენა დაუშვებლად მიიჩნია. ქართველი პატრიოტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მშვიდობიანი მოძრაობით მიზანს ვერ მიაღწევდნენ და ამიტომ საომრად შეიმართნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ პატარა საქართველოს მცირერიცხოვან ქართველ ხალხს ვეებერთელა იმპერიის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა გაუჭირდებოდა და ბუნებრივია, დაიწყეს პოტენციურ მოკავშირეთა ძებნა.

რუსეთი ოსმალეთის იმპერიას უკვე XVII-XVIII საუკუნეებში ეომებოდა, სპარსეთს კი მტრულად დაუპირისპირდა სამხრეთ კავკასიაში შემოჭრის შემდეგ. ირანსა და ოსმალეთს კავკასია თავიანთ გაელენის სფეროდ მიაჩნდათ. ერთმანეთსაც ებრძოდნენ მისი დაუფლებისათვის. რუსეთის სამხრეთისაკენ აგრესია მათ ინტერესებს ლახავდა. ამიტომ ურთიერთს შორის ომები შეწყვიტეს და მთავარ მიზნად რუსეთის შეჩერება მიიჩნიეს. საერთაშორისო ძალთა განლაგებაში მომხდარი ეს ცვლილებები კარგად შეამჩნიეს საქართველოს პოლიტიკურმა ძალებმა. ქართველებმა ისიც გაიგეს, რომ ამ დროიდან რუსეთს აღარ აკმაყოფილებდა ქართველ მეფე-მთავართა სიმბოლური მორჩილება, მათი იმპერიის „მფარველობაში" მოქცევა. იგი სამხრეთ კავკასიას და კერძოდ საქართველოს დაპყრობას ისახავდა მიზნად. დასუსტებული ირან-ოსმალეთი კი ასეთ ამბიციებს უკვე აღარ იჩენდნენ. ქართველებისაგან სულთნისა და შაპის უზენაესი ხელისუფლების ფორმალურ აღიარებას, სიმბოლურ ვასალობას სჯერდებოდნენ, მათი სახელმწიფოებრივი ერთეულების საშინაო საქმეებში ჩარევას არ გეგმავდნენ. ასე რომ ქრისტიანული რუსეთის აგრესია განაპირობებდა მუსლიმანური ირან-ოსმალეთისა და ქრისტიანული საქართველოს მომენტალურ ანტირუსულ კავშირს.

სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ შეუდრეკელმა მებრძოლმა, ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონმა, სპარსეთს შეაყარა თავი და მის მთავრობას სთხოვდა დახმარებას. რუსეთისაგან შეეიწროვებული იმერეთის მეფე სოლომონ მეორე კი ოსმალეთის სულთნისაგან ელოდა შემწეობას.

1804 წელს რუსეთ-ირანის ომი დაიწყო. 1806 წელს კი ოსმალეთიც ამხედრდა ჩრდილოეთის იმპერიის წინააღმდეგ. ამან შედარებით ხელსაყრელი პირობები შექმნა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებისათვის. ალექსანდრე ერეკლეს ძემ საჯარისო მოწოდებები გამოგზავნა საქართველოში. ბაგრატიონთა ერთგულ პირებს დარიალის გზის გადაკეტვა დაავალა. იმედი დათესა, რომ რუსეთის საოკუპაციო არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველები სპარსეთისაგან მიიღებდნენ დახმარებას.

ალექსანდრე ერეკლეს ძემ და სხვა ბაგრატიონმა უფლისწულებმა კარგად იცოდნენ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში მოსახლეობის ზედაფენები (თავადაზნაურობა, სამღვდელოება) იდგნენ, მაგრამ გადამწყვეტი როლი გლეხობას უნდა შეესრულებინა. ბუნებრივია, ისინი ცდილობდნენ ამ მასის რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებას. მათ ამაში თავისდაუნებურად რუსი მოხელეები, ოფიცრები და ჯარისკაცები დაეხმარნენ. როგორც უკვე აღინიშნა ქართველ გლეხობას მძიმე ტვირთად დააწვა სასურსათო გადასახადი, საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა. დაუკანონებელი ძარცვა-გლეჯა. ომების დროს ბეგარა-გადასახადები კიდევ უფრო იზრდებოდა, მოხელეთა თვითნებობა-ალვირახსნილობა მატულობდა. 1804 წელს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ არაგვისა და დარიალის ხეობათა მკვიდრი მთიულები. ალ. ფრონელი საისტორიო მასალებზე დაყრდნობით წერს, რომ რუსი მოხელეები და ოფიცრები მთიულებს „გზებს აწმენდინებდნენ, ფოსტის ცხენებიეთ ბარგს აზიდვინებდნენ კავკაზიდან დუშეთამდე. მთიელებს ესეც არ აკმარეს..., მათრახის ცემით ზურგსა და გვერდებს უჭრელებდნენ. როგორ უნდა აეტანა თავმოყვარე მთიელს, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარს, მის თვალწინ რომ დედაკაცებს მარხილში აბამდნენ და მათრახით ერეკებოდნენ"[3]. მოთმინებადაკარგული მთიელები ხელსაყრელ დროსა და მეთაურს ელოდებოდნენ.

ალ. ბაგრატიონის მოწოდებით, იულიონისა და ფარნაოზის ანტირუსული საქმიანობით გამხნევებულმა მთიელებმა, მათი ნების შემსრულებელმა ხევისბერებმა სახალხო კრებაზე დაადგინეს „იარაღით დაეცვათ თავის ადამიანური უფლებები, ეროვნული თავისუფლება, თავდადებული ბრძოლა გაემართათ თავიანთ სათაყვანებელ მეფე ერეკლეს მემკვიდრეთა დინასტიური უფლებების დაცვის, ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის". 1804 წლის იელის-აგვისტოში მთიელთა ლაშქარმა დაიკავა არაგვისა და დარიალის ხეობებში განლაგებული ციხე-სიმაგრეები, თითქმის მთლიანად გაწყვიტა იქ დაბანაკებული რუსთა რაზმები. აჯანყებულთა ლაშქარი ჩრდილოეთით სტეფანწმინდას გასცდა, ხოლო სამხრეთით მცხეთამდე ჩამოაღწია. რუსთა შეიარაღებულ ძალთა კავკასიური კომუნიკაციები შუაზე გადაიკვეთა. ხევისბერებმა მაცნენი გაგზავნეს იმერეთში, იულიონი და ფარნაოზი თავის მეთაურად მიიწვიეს.

რუსთა ჯარებმა იულიონი დაატყვევა. ფარნავაზმა გზა გაიკაფა, ბამბაკს მივიდა, თავის ძმის, ალექსანდრეს სამხედრო ბანაკში გამოცხადდა. მალე ალექსანდრემ მთიულებს, მოხევეებსა და ფშავ-ხევსურებს აუწყა, რომ თქვენკენ მოდის ფარნაოზ ბატონიშვილი, ის გაგაცნობთ ქართველთა საერთო მიზანს, დაგისახავთ სამოქმედო გეგმას, გვევალებათ მაგრად ჩაკეტოთ დარიალის გზა, აღარ გამოუშვათ რუსები, მოკლე ხანში ჩვენს დასახმარებლად სპარსეთიდან ჯარი შემოვა.

ფარნავაზ ერეკლეს ძე ჯერ კახეთში ჩავიდა, 120-მდე თავადაზნაური იახლა და არაგვის ხეობაში გადავიდა. მისი მეთაურობით მთიულთა ლაშქარმა რუსთა ჯარი ორგზის დაამარცხა, მას 700 კაცი მოუკლა. უფლისწულმა ანტირუ-

სული აჯანყების არეალი რამდენადმე გააფართოვა, ახალ წარმატებასაც მიაღწია. მაგრამ სპარსეთიდან დამხმარე ჯარი არ შემოსულა და საქმე გაძნელდა. რუსმა გენერლებმა შესძლეს თაეის ძალთა მობილიზაცია-კონცენტრაცია. ჩრდილოეთიდან დარიალის ხეობაში გენერალი ნესვეტაევი შემოიჭრა, სამხრეთიდან კი მთიელთა ლაშქარს ოვით მთავარმართებელმა ციციანოვმა შეუტია. ფარნავაზ ბატონიშვილი და აჯანყებულთა რაზმები ორცეცხლს შუა აღმოჩნდნენ, დიდხანს ვერ გაუძლეს რუსეთის რეგულარული ჯარის მეთოფეებსა და არტილერიას. გენერალურ ბრძოლაში მთიელთა ლაშქარი დამარცხდა. ფარნავაზი მცირე რაზმით გაუსხლტა რუსთა ჯარს, სამხრეთისაკენ აიღო გეზი, მაგრამ ყაზახის მიდამოებში იგი რუსთა რაზმმა დაატყვევა[4].

მიხეილ ერისთავმა უფლისწულ ფარნაოზის დატყვევების ამბავი წერილობით შეატყობინა მთიულებს და მათ იარაღის დაყრა, რუსული ხელისუფლებისათვის მორჩილობის გამოცხადება ურჩია. ბაგრატიონთა მუხანათს მთიელთა მეთაურებმა ასეთი პასუხი გაუგზავნეს: ფარნავაზის დატყვევების ამბავმა „გული და გონება ჩვენი განგმირა,... მთელი ხეობა ბაგრატიონთა ერთგულებაზეა დაფიცებული". უნდა იცოდეთ, რომ რუსეთის ჯარის არ გეეშინია. თუ ტყვიას გვესვრიან, ჩვენც ვესვრით. რუსეთის ჯარი რომ ერთ ადგილზე დაგვეცემა თავს, მეორე ადგილზე გადაეინაცვლებთ. ფარნაოზის დატყვევება ჩვენთვის დიდი უბედურებაა, მაგრამ ღმერთს მადლობას ვწირავთ, რომ ალექსანდრე, თეიმურაზი და ლევანი თავისუფალნი არიან. მათი მეთაურობით შეგვიძლია ბრძოლის გაგრძელებაო[5].

ეს წერილი იმის ნათელი ილუსტრაციაა, რომ ქართველ მთიელთა გულსა და გონებაში (შეიძლება ითქვას იმ დროის თითქმის ყველა ქართველის შემეცნებაში) ღრმად იყო გამჯდარი მონარქიული ლეგიტიმიზმის პრინციპები. ისინი მზად იყვნენ ღვთისაგან კურთხეული ბაგრატიონთა სამეფო სახლის უფლებათა დასაცავად და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის თავდადებული ბრძოლა კელავაც გაეგრძელებინათ.

მთავარმმართველი ციციანოვი და არაერთი რუსი მოხელეც კარგად ამჩნევდნენ, რომ ქართველი ხალხი ბაგრატიონთა გვარს ეთაყვანებოდა, ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდ და თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშად მიაჩნდა. 1804 წ. 13 დეკემბრით დათარიღებულ და იმპერატორისათვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ციციანოვი ხაზგასმით წერდა ამის შესახებ და იმასაც აღნიშნავდა, რომ ბატონიშვილ ფარნაოზს რომ არ შეეღწია კახეთსა და მთიანეთში, აჯანყება ასეთ შეუპოვარ და ფართო მასშტაბებს არ მიიღებდა, არ დაეკარგვოდით კაზაკთა პოლკს, აუარებელ ცხენს და, რაც მთავარია, საქართველოში მომხდარი დიდი აჯანყება თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობას ესოდენ მღელვარებას არ განაცდევინებდაო[6]. ციციანოვი თავიდანვე ერთგულად ასრულებდა იმპერატორის დავალებას. 1802-1803 წლებში რუსეთს გადაასახლა დავითი, იოანე, ვახტანგი, მირიანი და სხვ. უფლისწულები.

ალექსანდრე ერეკლეს ძემ კატეგორიულად უარყო რუსეთში ნებაყოფლობითი გადასახლების წინადადება. ციციანოვმა უფრო ადვილ მოსათვინიერებლად მიიჩნია თეიმურაზ გიორგის ძე, მას ჯერ კიდევ 1804 წლის 31 ივლისს შესთავაზა რუსეთს პატიეითა და დიდებით დასახლება. საპასუხოდ 22 წლის თეიმურაზი მთავარმმართველს სწერდა: ერთ დროს საქართველო ბრწყინავდა ძლიერებითა და სიდიადით. მოვიდა დრო, როცა მტერი გეჯაბნიდა, საქართველო თითქოს სულს ღაფავდა, მაგრამ ეს პატარა წალკოტი ღვთის შეწევნითა და ქართველთა გმირული თავდაცვითი ბრძოლის მეშვეობით არსებობას განაგრძობდა, აღდგომა-განახლების უნარს ინარჩუნებდა. მეფე ერეკლემ იმედის თვალი ერთმორწმუნე დიდ რუსეთს მიაპყრო. მაგრამ რუსებმა არ გაამართლეს ჩვენი ნდობა და იმედი. რუსეთი არ დასჯერდა საქართველოს მფარველობაში მიღებას, ჩვენი სამეფო გააუქმა და იმპერიის ჩვეულებრივ პროვინციად გადააქცია. თუ გსურთ ჩვენი ხალხის გული თქვენკენ კელავ შემოაბრუნოთ, წარმოაგზავნეთ თქვენთვის უფრო მი-

სალები რომელიმე ბაგრატიონი უფლისწული, გამოაცხადეთ იგი საქართველოს მეფედ. თუ ეს მისანი არ შეგეისრულდება, „ჩვენც არ ძალგეიძს მოსელა მანდა (რუსეთში), ეინაიდან ჩვენ (ბაგრატიონები) არ ვართ მხოლოდ გლახაკებრივეისა პერისა ჭამისანი, არამედ ყოველთეის სისხლდანთხეეით მცდელნი ბაგრატიონთა ოჯახის აღდგენისა", საქართველოს სამეფოს განახლებასაო[7].

შაპის ყარზე მეოფი ალექსანდრე და თეიმურაზი ახერხებდნენ კონტაქტების დამყარებას ოსმალეთსა, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებთან, მათი მეშეეობით სთხოვდნენ დახმარებას ხსენებულ სახელმწიფოთა მთავრობებს რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში. გვაქვს ინფორმაცია, რომ უფლისწულმა თეიმურაზმა ნაპოლეონ ბონაპარტსაც კი მიმართა დახმარების თხოვნით. მართალია დასავლეთ ევროპის ამ იმპერატორებს ძალიან აშინებდათ რუსეთის ექსპანსია სამხრეთ კავკასიისა და წინააზიისაკენ, მაგრამ იმ დროს ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო ვერ შეიქმნა მძლავრი ანტირუსული კოალიცია, რომელზეც ალექსანდრე, თეიმურაზი და სხვა ბაგრატიონი უფლისწულები დიდ იმედს ამყარებდნენ[8].

სოლომონ II-ის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ, ქვეყნის უშუალოდ იმპერიასთან მიერთებამ იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, ბუნებრივია, ძლიერ შეაშფოთა. იგი აშკარად დადგა თავის დიდი პაპის ერეკლე მეორის მემკვიდრეთა მხარეზე და არაერთხელ სთხოვა იმპერატორს იულიონ ეკრეკლეს ძის ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცება. თუ მისი თხოვნა შეწყნარებული იქნებოდა, სოლომონი პირობას დებდა, რომ იმერეთიც შეეიდოდა რუსეთის მფარველობაში. ალექსანდრე პირველმა მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. სოლომონი მალე დარწმუნდა, რომ რუსეთს დასავლეთ საქართველოს ანექსიაც სურდა და ხმას აღარ იღებდა იმპერატორის საფარველქვეშ შესვლაზე. მაგრამ ამ მიმართულებით ალექსანდრე პირველის სატრაპი ციციანოვი გააქტიურდა. 1804 წ. 25 აპრილს იმერეთის მეფეს ძალდატანებით მოაწერინეს ხელი ელაზნაურის ტრაქტატზე. ამ ხელშეკრულებით იმერეთი რუსეთს დაუკავშირდა არა მფარველობა-ხელდებულობის, არამედ ქვეშევრდომობის სტატუსით, რაც მინიმალურამდე ზღუდავდა სოლომონ მეორის ხელმწიფურ უფლებებს. ალექსანდრე პირველმა ეს ხელშეკრულება აღიქვა როგორც იმერეთის რუსეთთან მიერთება და მაღლობა გადაუხადა ციციანოვს ამ საქმის კეთილად დაბოლოებისათვის.

მაგრამ სოლომონ მეორე ბრძოლას განაგრძობდა. 1806 წელს მან ციციანოვის შემცველელს, გენერალ გუდოვიჩს წარუდგინა ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატზე გაცილებით ფართოდ მოიხაზავდა ქართველი მეფის და მისი ქვეყნის (სახელმწიფოს) სუვერენულ უფლებებს. ეს კი რუსეთის დაპერობით მიზნებს ეწინააღმდეგებოდა და გუდოვიჩმა კატეგორიული უარი თქვა მის მიღებასა და იმპერატორისათვის გადაგზავნაზე. ასეთ სიტუაციაში სოლომონ მეორემ წინაპარ მეფეთა ტრადიცია გააგრძელა, სცადა რუსეთ-ოსმალეთის ინტერესთა წინააღმდეგობის თავის სასარგებლოდ გამოყენება, სულთანს სთხოვა სამხედრო-პოლიტიკური დახმარება. რუსეთის იმპერატორმა და მისმა მოხელეებმა იმერთა ხელმწიფეს „ღალატი" არ აპატიეს. 1810 წლის თებერვალში რუსთა ჯარმა საკმაოდ ფართო მასშტაბიანი ომი დაიწყო, ბრძოლით აიღო ციხე-სიმაგრეები, მოახდინა მთელი ქვეყნის ოკუპაცია. ასეთ პირობებში სოლომონ მეორემ მიიღო რუს გენერალთა წინადადება დამორჩილების შესახებ, იმპერატორს ანდო თავისა და ქვეყნის ბედი. მაგრამ ეს ბედი უკეღმა დატრიალდა. როცა სოლომონს საუბარი გაუბეს რუსეთში გადასახლების შესახებ, მიზნად დაისახა ტყეეობისათვის თავის დაღწევა და უერთგულეს თანამებრძოლთა დახმარებით კიდეც შესძლო. სოლომონი თბილისიდან ახალციხეში ჩავიდა და იმერეთის მოსახლეობას საჯაბანებო მოწოდებები გაუგზავნა.

არაერთი საისტორიო დოკუმენტი ცხადყოფს, რომ სოლომონი, მისი თანამებრძოლები, მღვდელმთავრები და საერთოდ ხალხის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ

შესაძლებლად მიიჩნეოდა რუსეთ-საქართველოს ინტერესთა შეთანწყობას. ამის ერთი მთავარი წინაპირობა იყო საქართველოსათვის შინაგანი ავტონომიის მინიჭება, ბაგრატიონთა დინასტიის ლეგიტიმური უფლებების აღდგენა, ქართული კულტურის, ხალხის ზნე-ჩვეულებების და ადათწესების პატივისცემა. ამ პრინციპზე დამყარებული დიდი რუსეთისა და პატარა საქართველოს კავშირი ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ რუსეთის მთავრობა არ იწყნარებდა ქართული სამეფოების ავტონომიას, საჭირო გახდა იარაღის ამოქმედება. 1802-1804 წლებში ბრძოლას აწარმოებდა ქართლ-კახეთის მოსახლეობა. 1810 წელს მას აგრძელებდა იმერეთის მოსახლეობა, რომელიც მყისვე გამოეხმაურა ყოფილი მეფის მოწოდებას, „ქუდზე კაცი" გამოვიდა და საომრად შეიმართა. ივნისიდან ოქტომბრამდე იმერეთში საყოველთაო ანტირუსული აჯანყების ცეცხლი გიზგიზებდა. თავისუფლებაში დარჩენილი ქართლ-კახელი ბაგრატიონები შეეცადნენ ეროვნული მოძრაობისათვის საერთო ქართული მასშტაბი მიეცათ. ალექსანდრე ერეკლეს ძემ თავისი ძმისწული, 19 წლის ლევანი გაგზავნა შიდა ქართლში, იქაც გახსნა ანტირუსული ფრონტი. ამან საქართველოს რუსი მთავარმმართველი ტორმასოვი შეაშფოთა. მან ლევანის თავი 2 ათას მანეთად შეაფასა. ათჯერ მეტს ჰპირდებოდა სოლომონის მკელელს. მაგრამ ამაოდ. ტორმასოვი გაოცებული შლიდა ხელებს, ვერ გაეგო რატომ არ აღმოჩნდა მთელ იმერეთში ისეთი კაცი, რომელიც ამ დიდ თანხას დახარბდებოდა, სოლომონს სიცოცხლეს გამოასალმებდა და ამით რუსეთის მთავრობას დიდ დახმარებას გაუწევდა.

სექტემბრის ბოლოს სოლომონი ფრიად შეთხელებული სახალხო ლაშქრით ხანისწყლის ხეობაში გადავიდა. რუსეთის ჯარი, რა თქმა უნდა, იქაც აედევნა ყოფილ მეფეს, დაამარცხა, მაგრამ მისი ვერც მოკვლა შეძლო და ვერც დატყვევება. ამ საომარი ოპერაციის მეთაური გაწბილებული გენერალი სიმონოვიჩი მთავარმმართველს აუწყებდა: თავი არ დაგვიზოგავს, ხანგრძლივი ბრძოლითა და შიმშილით განაწამები ოფიცრები და ჯარისკაცები ჩონჩხებს დაემსგავსნენ, მაგრამ ბრძანება ვერ შეასრულეთ, მეამბოხე სოლომონი ვერ დავატყვევეთ. არც ისეთი პირი აღმოჩნდა, მისი მოკვლა რომ ეკისრა. საყოველთაო „რევოლუციის" პირობებში ვერავინ გაბედა იმ ფულისა და პატივის მიღება, რასაც ჩვენი მხარდაჭერით მოიპოვებდაო. იმერეთის დროებითმა მმართველმა ტორმასოვს გამოსთხოვა ნებართვა თავადაზნაურთა ოჯახებიდან აეყვანა მძევლები, ამით ავიცილებთო თავიდან იმერელთა ახალ აჯანყებას[8].

იმერეთიდან კვლავ ახალციხეს გადასული მეფე, მართლაც, ცდილობდა ანტირუსული მოძრაობის გაგრძელებას და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში გარეშე ძალის გამოყენებას. მან ელჩები გაგზავნა ოსმალეთის სულთანთან და საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონთან. მაგრამ ამას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. რუსულმა ხელისუფლებამ იმერეთში დაამყარა უმკაცრესი საოკუპაციო რეჟიმი. ხალხი დროებით დავმორჩილა უხეშ ძალას.

ტრაგიკულ-გმირული 1810 წლის შემდეგ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მხოლოდ მცირე ხნით შენელდა. ბაგრატიონ უფლისწულებს არც ამ მომენტში შეუწყვეტიათ ანტირუსული საქმიანობა. მთავარმმართველმა და მისმა ხელქვეითებმა შეამჩნიეს, რომ რუსეთის მიერ იმერეთის იარაღით დაპყრობამ და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ (1811 წ.) კიდევ უფრო აამაღლა ქართველთა პროტესტანტული განწყობილება. გაფართოდა განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალური ბაზა. ათიოდე წელში რუსული ხელისუფლების შოვინისტურ-კოლონიური პოლიტიკის შედეგად მეტნაკლებად მოსახლეობის ყველა ფენა დაზარალდა. უკმაყოფილების მიზეზი თითქოს სხვადასხვა იყო, მაგრამ რუს მოხელეთა ძალმომრეობის პირობებში კი არ შესუსტდა, არამედ ამაღლდა ეროვნული თვითშეგნება. თითქმის ყველა ქართველს თანაბრად ამშვენებდა ეროვნული თავისუფლების დიადი განცდა. სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ საქართველოს მოსახლეობის სოციალურად დაპირის-

პირებული ძალები რუსეთის დაპყრობით-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ მხარდამხარ იბრძოდნენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საუკუნეთაო სახალხო ხასიათს იტარებდა XIX ს-ის პირველ ათწლეულში. ასეთად რჩებოდა მომდევნო 20 წლის განმავლობაშიც.

ანტირუსული აჯანყება კახეთში. 1812 წლის დამდეგს კახელთა აჯანყების უშუალო მიზეზი გახდა სოფლებში საგზაო-ეკონომიკური სამხედრო რაზმების ჩაყენება, მომატებული სასურსათო გადასახადის ძალის გამოყენებით აკრეფა, რუს მოხელეთა სხვადასხვაგვარი თვითნებობა-უსამართლობა. მაგრამ დოკუმენტური მასალა ცხადყოფს, რომ მის მომზადებასა და მიზნის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბაგრატიონმა უფლისწულებმა და თავადაზნაურთა ლიდერებმა. საქართველოს მთავარმმართველი გენერალი პაულიჩი იმპერატორს მოახსენებდა: ეს „რევოლუცია" კარგახნის განმავლობაში მზადდებოდა. მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ბაგრატიონები, რომელნიც ერთგულ თავადთა დახმარებით ყოველთვის ცდილობდნენ ხალხის აჯანყებას, რათა დაკარგული სამეფო ტახტი დაიბრუნონო.

ამ მომენტშიც ნათლად გამოიკვეთა საქართველოს ეროვნულ ლიდერთა მცდელობა ანტირუსული მოძრაობისათვის მიეცათ საერთო ქართული და საერთო კავკასიური მასშტაბი. იგივე პაულიჩი ზემდგომ ინსტანციას აუწყებდა: მთელი კახეთი და არაგვის ხეობის მოსახლეობა აჯანყდა. აჯანყებულებმა უპირველეს მიზნად დაისახეს ანანურის აღება, რათა სამხედრო გზით დაემყარებინა კავშირი ჩრდილო კავკასიელ მთიელებთან. აჯანყებები დაიწყო დაღესტანში, შირვანსა და შაქში. ცხადია, საქმე გვაქვს ფართო შეთქმულებასთან, რომლის მეთაურები მიზნად ისახავენ ჩვენი ჯარის განადგურებას და კავკასიის რუსეთის იმპერიისაგან ჩამოცილებას. მაგრამ ჩვენი ჯარების გამარჯვებამ დაღესტანსა და შირვანში ჩაშალა ეს საერთო შეთქმულება. ახლა მე დამრჩა ერთი ამოცანა — ჩავახშო ანტირუსული აჯანყება კახეთში[9].

კახელთა აჯანყების ჩახშობა არც ისე იოლი აღმოჩნდა. პირველი ანტირუსული რაზმები თიანეთსა და ახმეტაში ჩამოყალიბდა. მოძრაობის ტალღა აღმოსავლეთის მიმართულებით დაიძრა. ქიზიყელმა მეამბოხეებმა 5 თებერვალს ქ. სიღნაღი აიღეს. აჯანყებულთა ერთმა რაზმმა კოდალოს ციხე მოაქცია ალყაში. მეორე რაზმმა დაამარცხა ბოდბის ხევში მდგარი ყაბარდოს პოლკი. 6 თებერვალს სახალხო ლაშქარმა გაანადგურა რუსთა მცირე საგარნიზონო რაზმები ანაგაში, კაკაბეთსა და მანავში. მომდევნო დღეს კი დაამარცხა საგარეჯოში მდგარი კახეთის ოლქის უფროსი გენერალი პორტნიაგინი, აიძულა იგი თავის ჯარის ნაშთებთან ერთად თბილისს გაქცეულიყო.

კახელებს არც არაგვის ხეობის მთიულები ჩამორჩნენ. 10 თებერვალს მათ დაიკავეს დუშეთისა და ფასანაურის რუსული საგუშაგოები, ალყაში მოაქციეს ანანური. აჯანყებაში მოხვეულებიც ჩაებნენ. სამხედრო გზა ფაქტიურად გადაკეტეს. ოფიციალურ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ქართველმა აჯანყებულებმა გამოიჩინეს საშინელი სიმკაცრე, ამოხოცეს ბევრი რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი.

ანტირუსული აჯანყება, როცა ზენიტს მიუახლოვდა, მისმა ხელმძღვანელებმა გამაერთიანებელ მეთაურად მიიწვიეს და მეფედ გამოაცხადეს გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი, რომელმაც შეძლო სახალხო ლაშქრის რიცხობრივი გაზრდა, მოძრაობის არეალის რამდენადმე გაფართოვება. ქართველი მეფის გამოსვენამ რუსული ხელისუფლება ძლიერ შეაშფოთა. აჯანყების ჩასახშობად თვით მთავარმმართველი ამხედრდა, საკმაოდ დიდი ჯარით. ხაშმის მიდამოებში მისულმა გენერალმა პაულიჩიმ თავდაპირველად მშვიდობიანი მიმართვით სცადა აჯანყებულთა მოთვინიერება, აღუთქვა მათ, რომ მოხელეთა უსამართლობას და თქვენს ჩაგვრა-შეურაცხყოფას ბოლო მოეღებაო, მაგრამ მისი დაპირება არავინ ირწმუნა. ვერც მუქარამ შეაშინა სახალხო ლაშქარი. ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. კახელები ისევე მამაცურად ებრძოდნენ რუსებს, როგორც წინა საუკუნეებში ყიზილბაშებს და ოსმალებს. მაგრამ რუსეთის თოფ-ზარბაზნებით შეიარა-

ღებულ და კარგად გაწვრთნილ პოლკებთან გამართულ გენერალურ ბრძოლაში მარცხი განიცადეს. სახალხო ლაშქარმა უკან, შიდა კახეთისაკენ დაიხია. ტყეეთ აყვანილები, პაულიჩის ბრძანებით, საჯაროდ ჩამოახრჩვეს.

პაულიჩი უღელტეხილით არ გაპყვა უკან დახეულ კახელებს. საგარეჯო დალაშქრა, შემდეგ ქიზიყი გაწმინდა აჯანყებულთა რაზმებისაგან. თელავისაკენ მიბრუნებული რუსთა ჯარის სარდალი 1-2 მარტს ჩუმლაყის მიდამოებში შეება აჯანყებულთა მთავარ ძალებს. სახალხო ლაშქარი თავდადებით იბრძოდა, დიდი ზარალი მიაყენა მტერს, მაგრამ რუსული არტილერიის ზალპს ვერ გაუძლო. გენ. პაულიჩს გამარჯვება ძვირი დაუჯდა, მისი ჯარი შეთხელდა. შეიერთა არაგვის ხეობაში ომგადახდილი უშაკოვის რაზმები და გააგრძელა დამსჯელი ექსპედიცია. 1812 წ. 6 აპრილს საქართველოს მთავარმმართველმა დაიმორჩილა კახეთის მომენტალური მეფე გრიგოლ ბაგრატიონი და რუსეთს გადაასახლა. გენერალმა პაულიჩიმ უზენაეს ხელისუფლებას აუწყა, რომ კახელთა ამბოხი ჩაახშო.

რუსთა ჯარმა თითქოს გაიმარჯვა. მაგრამ სტაბილურობის გახანგრძლივების წინაპირობად გენერალმა პაულიჩიმ მიიჩნია ზოგიერთ დათმობებზე წასვლა, რუსულ მმართველობაში ზოგიერთი კორექტივის შეტანა. მის მიერ ჩაფიქრებული „რეფორმა" ითვალისწინებდა ქართველთა საძულველ კაპიტან-ისპრავნიკთა თანამდებობის გაუქმებას. კახეთის ოლქის სათავეში, მართალია, რუსი მოხელე რჩებოდა, მაგრამ საგრძნობლად იზრდებოდა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის უფლებამოსილება. უნდა მომხდარიყო აგრეთვე მოურავობის ინსტიტუტის აღორძინება. საჭიროდ იყო მიჩნეული სასამართლოში ქართველთა წარმომადგენლობის გაზრდა და მართლმსაჯულების ქართულ ენაზე წარმოება. მაგრამ ქართველ საზოგადოებას ამ დაწესებულებათა რეალიზაციის იმედი არ ჰქონდა. კახეთი ნაცარგადაყრილ ნაკვერცხალს დაემსგავსა. აჯანყების ყველაზე აქტიური მონაწილენი ტყეებში გაიხიზნენ. პაულიჩიმ რამდენიმე არაკეთილსაიმედო თავადის დაპატიმრება სცადა. მისმა შემცველელმა, გენერალმა რტიშჩევმა კი უკან წაიღო რუსული ხელისუფლების დაპირებები. აჯანყების ცეცხლი აპრილ-მაისში კელავ გაღვივდა. ამჯერად კახელთა წინააღმდეგ გენერალი რტიშჩევი ამხედრდა, აჯანყებულებმა კი თავის მეთაურად განმეორებით ალექსანდრე ერეკლეს ძე მიიწვიეს.

უფლისწულმა ალექსანდრემ 1812 წ. თებერვალში ვერ მოახერხა კახეთში ჩამოსვლა, მაგრამ მისი სახელის ხსენებაც კი მორალურად ამხნევებდა აჯანყებულებს. ერეკლეს ძე შორიდან ეხმაურებოდა თავისუფლებისათვის თავდადებით მებრძოლთ, ხოტბას ასხამდა კახელთა გმირობას: „თქვენმა ეგეთმა სახელგანთქმულმან და ნამუსიანმა სიმხნემან ოთხსავე მხარეს მიაღწია... რა ქება მოგიძღვენათ, უმაღლეს ღირსებისა და პატივის ღირსნი ხართ... მეფე ერეკლეს ამაგი გადამეტებით გადაიხადეთ, განსვენებული მეფეც ადიდეთ და მის შვილებსაც თავისუფლებისა გიხაროდენისა ხმასა გვცემთ"[10].

1812 წლის ზაფხულს საერთაშორისო ვითარება არნახულად დაიძაბა. ნაპოლეონის ნახევარმილიონიანი არმია რუსეთში შემოიჭრა, ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ მოსკოვს დაეუფლა. ქართველმა პატრიოტებმა გაიხარეს. ალექსანდრე ერეკლეს ძემ სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია, ერთხელ კიდევ სცადა იგი თავის სანუკვარი მიზნის განხორციელების, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის გამოეყენებინა. ამასვე ისახავდა მიზნად ოსმალეთში გადახვეწილი იმერეთის ყოფილი მეფე სოლომონიც. ამ ორივე ეროვნული გმირის საბრძოლო გეგმები ერთმანეთს ემთხვეოდა.

ალექსანდრე ბაგრატიონმა ყველა მიმართულებით გაგზავნა სააჯანყებო მოწოდებები, თანამებრძოლად მიიწვია რევაზ ერისთავიც. მაგრამ ამ უკანასკნელმა პრორუსული პოლიტიკა გააგრძელა, მიღებული წერილი რუს ხელისუფალთ გადასცა, სრული თანადგომა აღუთქვა მათ. მალე ასევე მოიქცნენ მისი ნათესავებიც. შანშე და ელიზბარ ერისთავებმა რუს გუბერნატორს აცნობეს, რომ ალექსანდრე ერეკლეს ძე არ ეტევა კახეთში, დაჟინებით ცდილობს ქარ-

თლში შემოჭრას. მცხეთისა და გორის ციხეების დაკავებას. იმასაც აუწყებდნენ, რომ შიდა ქართლის თავადთა დიდი ნაწილი იმედის თვალით შესცქერის მეფე ერეკლეს მეამბოხე ვაჟს. არცოუ შორს, აწყურის მიდამოებში გამოჩნდა იმერეთის ყოფილი მეფე სოლომონი, რომელიც ქართლში აჯანყების დაწყებას ელოდება, რათა საქართველოს საზღვრებში შემოვიდეს და ალექსანდრე ერეკლეს ძის მხარდამხარ დიდი ომი გაუმართოს რუსებს. რუსული ხელისუფლებისათვის მოწოდებული ეს ინფორმაცია დიდად როდი სცილდებოდა ჭეშმარიტებას. ანტირუსული აჯანყების მასშტაბი საგრძნობლად გაფართოვდა. მასში კახელებთან და მთიელებთან ერთად ქართლის ბევრი თავადაზნაურიც ჩაება. ალექსანდრეს ამოუდგნენ მხარში ციციშვილები, ავალიშვილები, ამილახვრები, კაკაბაძეები, ანდრონიკაშვილები, ბაბალეთელი ანდრონიკაშვილები, ბაბალეთელი ანდრონიკაშვილები, ბაბალეთელი

ხოდა, მაგრამ ეს მოსმენილი იმპერატორის ყურამდე არ მიიტანეთ. სამართლიანობისათვის მებრძოლი ხალხი გაანადგურეთო; მიკიკინებ ღმერთი არ გწყალობს და მიზანს ვერ მიაღწევთ. თუ ღმერთი არ მწყალობს, მაშ რამ აამოძრავა ხალხი ჩემი სამართლიანი საქმის წარმატებისათვის. ღმერთი, ხალხი და სამართალი ჩემს მხარეზეა. რაგინდ ძლიერი არ უნდა იყოს ბოროტება, მის წინააღმდეგ ბრძოლა გამართლებულია. ქართველები თავისუფლებისა და ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის იბრძვიან. ეს კი წმინდა საქმეა, ყველა ქართველის საპატიო მოვალეობაა. პატრიოტი, რომელიც სამშობლოსათვის თავს დასდებს, მას მსხვერპლად შეეწირება დიდების ღირსია. ქართველებმა მეთაურად მიმიწვიეს და მეც ცხენი შემოვაგელვე ხალხისა და სამშობლოს თავისუფლებისათვის საბრძოლველადო[11].

ალექსანდრე ერეკლეს ძე იმედოვნებდა, რომ იმ დიდი ომის შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა რუსეთის მთავრობას გაუმართა, შესაძლებელი გახდებოდა ყოფილ მფარველთან მორიგება. ვარაუდობდა, რომ რუსეთი განაახლებდა გეორგიევსკის ტრაქტატს, საქართველოს გამოაცხადებდნენ იმპერიაში შემავალ ავტონომიურ სამეფოდ, მაგრამ უფლისწულის ოპტიმიზმმა არ გაამართლა. გამარჯვებული რუსეთისათვის გეორგიევსკის ტრაქტატი – რუსეთ-საქართველოს მფარველობით სამოკავშირეო ხელშეკრულება გავლილი ეტაპი იყო. ახლა უკვე რუსეთი მიზნად ისახავდა მთელი კავკასიის დაპყრობას, იმპერიის განუყოფელ ნაწილად გადაქცევას, ამ რეგიონის ხალხების გარუსებას.

რუსეთის დაპყრობითი, შოვინისტურ-კოლონიური მიზანდასახულობის პირობებში ქართველი მეფე-მთავრებისა და მუსულმანი ხანების კომპრომისულ პოლიტიკას დადებითი შედეგი არ მოსდევდა. კიდევ უფრო ნაკლებ გავლენას ახდენდა რუსეთის მთავრობაზე კავკასიელთა ხალხური დიპლომატია. რუსეთი ახალ ტერიტორიებს იარაღით იპყრობდა და განმათავისუფლებელ მოძრაობას ცეცხლითა და მახვილით ახშობდა.

1813 წლის მაისში რუსეთის ჯარის ნაწილები თითქმის ოთხივე მხრიდან შეიჭრნენ ფშავ-ხევსურეთში. ააოხრეს ბევრი სოფელი. ალყაში მოაქცივეს ციხესოფელი შატილი. ქართველი ხალხის ღირსებისა და მეფე ერეკლეს ძის სიცოცხლის დაცვას 600 ხევსური შეეწირა. მართალია, რუსებმა შატილი აიღეს, მაგრამ უფლისწული ხევსურთა თავდადების წყალობით გაუსხლტა მტერს, ჩეჩნეთ-დაღესტანს შეაფარა თავი.

ალექსანდრე ერეკლეს ძემ თითქმის ოთხი წელი გაატარა ამ რეგიონში და საგრძნობლად აამაღლა აქაური ხალხის ანტირუსული განწყობილება. მალე ამის შემდეგ დაღესტანსა და ჩეჩნეთში, აგრეთვე ყაბარდო-ბალყარეთში დაიწყო ფართო ანტირუსული, მიურიდიული მოძრაობა, რომლის დათრგუნვისათვის რუსეთს რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა და რასაც ათიათასობით რუსი ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე შეეწირა.

დავით ბაგრატიონის თხოვნა-პროექტი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ. დიდი მიზნის განსახორციელებლად სხვაგვარი მეთოდით იბრძოდა უფლისწული დავითი. რუსეთს გადასახლების შემდეგ, პეტერბურგში დაწერა წარსულის ამსახველი და სამომავლოდ გამოსადეგი თხზულება. „საქართველოს სიმართლისა და კანონების მიმოხილვა". მასში ახლებურადაა გააზრებული თვითმპყრობელი მეფისა და უფლისწულთა მოვალეობა, პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რამდენადმე განსხვავებული შინაარსია ჩადებული ტრადიციულ დარბაზში, რომელსაც ავტორი სამეფო საბჭოს" უწოდებს. მის ფუნქციაში, საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად უნდა შესულიყო სახელმწიფო სარწმუნოებისა და ეკლესია-მოძღვრეთა ქონების გამგებლობა, საბაჟო-საგადასახადო სისტემა, ადმინისტრაციულ თანამდებობის პირთა (მოურავები და სხ.) კონტროლი. დავით ბაგრატიონი სამეფო საბჭოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვალეობად აცხადებდა არ დაეშვა შინა აჯანყებანი, სხვა დანაშაულებრივი ქმედებანი, დაემყარებინა წესრიგი და ყველა კანონიერი საშუალება გამოეყენებინა სახელმწი-

ფო ბიუჯეტის (შემოსავლის) გასალიდებლად. ავტორს კანონთა მიმოხილვაში შემოაქვს საოლქო ინსპექტორის ცნება და თანამდებობა. მეფისა და საბჭოს მიერ ინსპექტორად შერჩეულ პირს უნდა შეემოწმებინა მოურავებისა და სხვა მოხელეთა საქმიანობის ავ-კარგი, გაეგოთ ხომ არ არღვევდნენ კანონებს, ხომ არ აიწროვებდნენ ხალხს, ხომ არ არცხვენდნენ თავის წოდებას. თუ დადგინდებოდა, რომ მოხელე ბოროტად, ანგარებითი მიზნით იყენებდა თანამდებობას, გადაყენებულ-დასჯილი იქნებოდა. იქვე დავითი აფიქსირებს მუხლს, რომლის მიხედვით სამხედრო სამსახურისათვის თავის ამრიდებელი და დეზერტირი სათანადო სასჯელს მიიღებდა, ხოლო მტრის მხარეს გადასული მოღალატე სიკვდილით დაისჯებოდა[12].

დ. ბაგრატიონმა ამ ერცელ ნაშრომზე გასართობად როდი იმუშავა. ვარაუდობდა მის პრაქტიკულ გამოყენებას აღდგენილ-განახლებულ ქართულ სახელმწიფოში. აღინიშნა, რომ ნაპოლეონ ბონაპარტეს შემოჭრის დროს, როცა რუსეთს გაუჭირდა, ალექსანდრე ერეკლეს ძემ იარაღით სცადა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა, ხოლო დავით გიორგის ძემ სწორედ ამ მომენტ'ში წარუდგინა ალექსანდრე პირველს თხოვნა სამეფოს აღდგენის შესახებ. უფლისწული ჩამოთვლის რუსეთის მიერ მიერთებული საქართველოს მოსახლეობის უმაყოფილებისა და ქვეყნის ადმინისტრაციული მოუწყობლობის მიზეზებს: 1) მთავარმმართველ ციციანოეს არ უნდა ჩამოერთმია ბაგრატიონებისათვის საუფლისწულოები. შეცდომა იყო მათი რუსეთს გადასახლება. ამან გააძლიერა ქართველებში ანტირუსული განწყობილება; 2) თუ ანგარი'შს გაუწევდნენ ადგილობრივ პირობებს და ხალხის სულისკვეთებას, მიხვდებოდნენ, რომ მიზანშეწონილი იყო ერთ-ერთი ბაგრატიონი უფლისწულის იმპერატორის მოადგილედ (ნამესტნიკად) გამოცხადება; 3) გაუმართლებელი აღმოჩნდა საქართველოში რეგულარული ჯარის იმაზე მეტი რაოდენობით შემოყვანა, რომლის შენახვა-გამოკვება ადგილობრივი სურსათით შეიძლებოდა. მიზანშეწონილი იყო დრაგუნთა და კაზაკთა პოლკების შეცვლა ქართული ლაშქრით, რომელიც „მორიგის" წესით შეიკრიბებოდა. დავითის პროექტი ითვალისწინებდა ქვედა ინსტანციის ადმინისტრაციული დაწესებულებებისა და ე. წ. საერობო პოლიციის გაუქმებას, საქართველოს მაზრებსა და სოფლებში მოურავ-მამასახლისების ინსტიტუტთა აღდგენას. მათვე უნდა შეესრულებინათ მომრიგებელ მოსამართლეთა ფუნქციები. ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის ყოფილ მემკვიდრეს სურდა რუს-ქართველთა წინააღმდეგობის აღმოფხვრა, რუსეთის იმპერატორს ურჩევდა რუსეთში ძალდატანებით გადასახლებული ბაგრატიონებისათვის მიეცა სამშობლო'ში დაბრუნების ნება, აღედგინა მათი საკუთრების უფლება საუფლისწულო მამულებზე. არ დაესაჯათ ანტირუსული მოძრაობის მონაწილე თავადაზნაურნი, თავი შეეკავებინა მათი ყმა-მამულის სახაზინოდ გამოცხადებისაგან.

დავით ბაგრატიონის წინადადება – პროექტი დასკვნისათვის გადასცეს საქართველოს ყოფილ მთავარმმართველს პაულუჩის. მან აღიარა, რომ საქართველოში შექმნილ მმართველობის რუსულ სისტემას ნაკლი გააჩნდა, კორექტივები სჭირდებოდა, მაგრამ აღნიშნა, რომ უფლისწულისაგან შემოთავაზებული პროექტი რუსეთის ინტერესებს ზიანის მეტს არაფერს მოუტანსო. არ შეიძლება ბაგრატიონების დაშვება რუსულ მმართველობაში. საქართველოში მათი მიბრუნება მიზანშეუწონელია. კიდევ მეტი, ბაგრატიონთა პეტერბურგს დატოვებაც სა'შიშია. მათ შეუძლიათ შექმნან თავისი პარტია (დასი) და ზიანი მიაყენონ რუსეთს. ამას ცხადყოფს დავით ბაგრატიონის პროექტი, მისი ოცნება აღადგინოს საქართველოს სამეფო, რაც არსებითად ეწინააღმდეგებაო რუსეთის ინტერესებს[13].

რუსეთის უზენაესმა ხელისუფლებამ განხილული წინადადება-პროექტი უარეო. მაგრამ მის ავტორს ფარ-ხმალი არ დაუყრია. როცა გაეცნო ევროპის სახელმწიფოთა ვენის კონგრესის (1815 წ.) მასალებს, დავით ბაგრატიონმა რუსეთის იმპერატორს ახალი, გაცილებით დამაჯერებლად დასაბუთებული პროექტი წარუდგინა. იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიური სამეფოს აღდგე-

ნა შესთხოეა. მისი ძირითადი შინაარსი ასეთი იყო: საქართველო შორეული წარსულიდანვე არცთუ იშეიათად ექცეოდა მეზობელი დიდი სახელმწიფოების გავლენაში, ჰკარგავდა თავის სუვერენულ უფლებათა ნაწილს, მაგრამ მას ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან ყოველთვის ჰყავდა საკუთარი მეფე, ჰქონდა თავისი კონსტიტუცია (მართვა-გამგეობის საკუთარი სისტემა — ა. ბ.), რომელსაც მფარველები არ არღვევდნენ. პაპა ჩემი, ერეკლე II ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის მფარველობაში. გეორგიევსკის ტრაქტატის მეექვსე მუხლით რუსეთის იმპერატორმა თავისი და მემკვიდრეთა სახელით პირობა დადო დაეცვა საქართველოს სამეფო ტახტის მიმართ ერეკლესა და მის მემკვიდრეთა ღვთიური უფლება. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მე საესებით კანონიერად დავიკავე საქართველოს გამგე-მმართველის თანამდებობა და თქვენი უმაღლესობისაგან ვეღლოდი მეფედ დამტკიცების სიგელს. მაგრამ გენერალმა ცნორინგმა მართვა-გამგეობის სადავეებს ჩამომაშორა, მეფობა გააუქმა და თბილისში შექმნა რუსული მმართველობა. დიდო ხელმწიფევ! თქვენი სახელი ცნობილია მთელ მსოფლიოში. სამართლიანი ბრძანდებით, ზრუნავთ არა მარტო რუსეთზე, არამედ გარეშე სახელმწიფოთა და მათი ქვეშევრდომობის კეთილდღეობაზეც. თქვენ აღადგინეთ სამეფო ტახტზე საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, ავსტრიისა და პრუსიის მეფენი. ყველა თქვენი მადლობელია. ქართველ ბაგრატიონთა დინასტია კი, რომელიც 1266 წელი მეფობდა, ახლა დაკნინებულია. ჩვენი გვარი, რომელმაც ნებაყოფლობით დაუქვემდებარა თავისი სკიპტრა და გვირგვინი რუსეთის იმპერატორებს, წმინდა უფლების საფუძველზე ელოდება თავის ღვთაებრივ უფლებათა აღდგენას. თუ ეს აღსრულდა, საქართველო ცრემლს მოიწმენდს და იზეიმებს. მადლობის ნიშნად მუხლს მოიყრის თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე[14].

ღმერთი, სიმართლე და ლოგიკა — ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის მხარეს იყო. მაგრამ ისტორიული ფაქტების შეხსენება, მონარქიული ლეგიტიმიზმის პრინციპთა მოშველიება ყურადღების მიღმა დარჩა. ალექსანდრე I, რომელიც თავგამოდებით ეხმარებოდა დასავლეთ ევროპის მონარქებს ღვთისგან ბოძებულ მეფურ უფლებათა აღდგენაში, ბაგრატიონთა გვარის თხოვნა-ვედრებისადმი ყრუ აღმოჩნდა. მისი ნება-სურვილის შესაბამისად გააგრძელეს ქართველი ხალხის შევიწროვება, მიზნად დაისახეს მათი ქვეყნის კოლონიური ათვისება. დავითს კი მის თხოვნაზე ოფიციალური უარი 1817 წლის 20 ნოემბერს გამოუცხადეს. რუსმა დიდმოხელეებმა საკითხი ცალმხრივად განიხილეს. გაკვირვება-გაოცება გამოთქვეს იმის გამო, რომ მამულებითა და პენსია-დახმარებებით უხვად უზრუნველყოფილი ქართველი უფლისწულები კვლავ საქართველოს სამეფოს აღდგენას მოითხოვდნენ. ისინი განგებ გვერდს უვლიდნენ საკითხის მეორე, უფრო მნიშვნელოვან მხარეს: უგულებელყოფდნენ ბაგრატიონ უფლისწულთა და საერთო ქართველი ხალხის პატრიოტულ გრძნობებს, არაფრად აგდებდნენ ერის ბუნებრივ მოთხოვნილებას — დაეცვა თავისუფლება, აღედგინა საკუთარი სახელმწიფოებრიობა. ერთი წლის შემდეგ, როცა დავით ბაგრატიონმა კვლავ გაიმეორა თხოვნა, დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმის ბურჯმა არაკრეტემა გამოუცხადა სამეფო ტახტის მემკვიდრეს, რომ თუ იგი თავს არ დაანებებდა უნიადაგო ოცნებას, უსაფუძვლო ბარათების შეთხზვას და იმპერატორისათვის წარდგენას, გამოიცემოდა უმაღლესი ბრძანება მისი სამსახურიდან გადაყენებისა და პეტერბურგიდან გადასახლების შესახებ.

დავით ბაგრატიონმა, ბუნებრივია, განიცადა წარუმატებლობა, იმედების დამსხვრევა. არაკრეტეის მკაცრი გაფრთხილებიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მაგრამ ამ ქვეყნად დარჩენილი ბაგრატიონებისა და ქართველი ხალხის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა გრძელდებოდა.

ანტირუსული აჯანყება დასავლეთ საქართველოში. 1819 წ. დასავლეთ საქართველოში დაიწყო კიდევ ერთი ანტირუსული აჯანყება. მისი მიზეზიც იყო რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკა, რაც ჯერ ქართული სამეფო-სამთავროების გა-

უქმებით გამოიხატა, 1814 წელს კი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით გაგრძელდა. ე. წ. საეკლესიო რეფორმა მთელ საქართველოს შეეხო. როგორც უკვე აღინიშნა, ეკლესია-მონასტრების გამგებლობა, ქართველი სამღვდელოების „ხელმძღვანელობა" რუსეთის სინოდმა თაეის მოხელე ეგზარქოსს დააკისრა. 1815 წელს ჩამოაყალიბეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. 1818 წელს ეგზარქოსად დაინიშნა პირწავარდნილი რუსიფიკატორი თეოფილაქტე რუსანოვი, რომელმაც ენერგიულად გააგრძელა ქართული საეკლესიო წყობის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა. იმავდროულად დაიგეგმა საქართველოს ეკლესიის მამულებისა და ყმა გლეხების რუსეთის ხაზინის უწყებაში გადაცემა და ეპარქიების (საეკლესიო კათედრების) მინიმუმამდე შემცირება. ბევრი ეკლესია გაუქმდა. დაიწყო საეკლესიო ყმა-მამულის აღწერა. უკმაყოფილება საერთო ქართული იყო. მან ყოფილ იმერეთის სამეფოში ფართომასშტაბიანი აჯანყების ფორმა მიიღო. სამღვდელოება, თავადაზნაურობა და გლეხთა წარმომადგენლები თაყვრილობაზე შეიკრიბნენ, მოქმედების გარკვეული გეგმა შეადგინეს და ადგილებზე მოწოდებები დააგზავნეს. საბრძოლველად უკვე შემაროულმა რაჭველებმა მიიღეს ასეთი შინაარსის მოწოდება: ეგზარქოს თეოფილაქტესა და მის ხელქვეითებს განზრახული აქვს ბევრი ჩვენი წმინდა ეკლესია დახურონ და დაანგრიონ, წმინდანთა ნაწილები და სახელგანთქმული ჯვრები ჩამოგვართვან. ჩვენთვის მლოცველი ეპისკოპოსები და მღვდლები წაგვართვან, საშუალებას გვისპობენ ვადიდოთ ქრისტე. აგარიანთა ბატონობის დროს არ მოუყენებიათ ჩვენთვის ასეთი შეურაცხყოფა. თუ ჩვენს ქრისტიანულ წესებს არ დაგვირღვევენ, ერთგული ვიქნებით რუსეთისა. მაგრამ იმპერატორისათვის სულის შეწირვა არ შეგვიძლია. იგი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. ამიტომ ერთად შეკრებილი მღვდელმთავრები, თავადები, აზნაურები და გლეხები შეეთხოვთ უფროსებს (რუსულ ხელისუფლებას – ა. ბ.) ეგზარქოს თეოფილაქტეს მიერ ჩვენსა სამწუხაროდ მოფიქრებული საქმე უარყონ. მოიქეცით თქვენი ქებული პატიოსნების შესაფერისად; ნუ მისცემთ პასუხს გამოგზავნილ აღმწერლებს, გაისტუმრეთ უკან განწბილებული, როგორც ჩვენ გაგვისტუმრეთ. ნუ მიუშვებთ თეოფილაქტეს მოხელეებს ნურც მღვდლებამდე და ნურც ხალხამდე. საჭიროა ამ წმინდა საქმეში ერთად ვიმოქმედოთო[15].

რაჭველებმა ფიცი დადეს საერთო და შეთანხმებულ მოქმედებაზე. მღელვარება გურიას და ნაწილობრივ სამეგრელოსაც მოედო. იმერეთის რუსმა მმართველმა ზემდგომ ინსტანციას აუწყა: „აჯანყება საყოველთაოა. ჩვენს მხარეს არავინ დარჩა: გურულები და მეგრელები მზად არიან იმერლებთან ერთად იმოქმედონ. აფხაზებიც ალბათ ამ გზას დაადგებიან. მთაელების ერთგულებაც საეჭვოა. მათ საიმისო ძალა არ გააჩნიათ, რომ წინ აღუდგნენ საერთო მოძრაობას"[16].

მოძრაობის მიზანი გაფართოდა. წინ წამოიწია ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრობლემამ. აჯანყებულთა ბანაკში ბჭობა გაიმართა მომავალი მეფის ვინაობაზე. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ალექსანდრე ერეკლეს ძის გამეფებას. დელეგაციაც გაიგზავნა სპარსეთში, მაგრამ ეროვნული მოძრაობის გამოცდილმა ლიდერმა ვერ შეძლო დასავლეთ საქართველოში ჩამოსვლა. ამიტომ მეფედ გამოაცხადეს სოლომონ პირველის ასულის, დარეჯანის ვაჟი იოანე აბაშიძე. დაიწყო მზადება შეტევისათვის რუსულ გარნიზონთა წინააღმდეგ.

საქართველოს მთავარმმართველად დანიშნულმა გენერალმა ერმოლოვმა დასწრება ამჯობინა. მისი ბრძანებით შეიპყრეს ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტები, შეეპზადნენ იოანე აბაშიძის, ბეჟან წერეთლის, სეხნია წულუკიძის, დავით მიქელაძის და მოძრაობის სხვა მეთაურთა დასატყვევებლად. რეპრესიებმა ცეცხლზე ნავთი დაასხა. საბოტაჟი და პროტესტი შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა. რაჭველებმა ბლოკადაში მოაქციეს რუსული გარნიზონი. ქაიხოსრო გურიელის რაზმმა შემოქმედთან დაამარცხა რუსთა ბატალიონი, ბრძოლაში დაიღუპა იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი პუზირევსკი. ერმოლოვის მიერ ბრძოლის ველზე გაგზავნილმა ჯარმა ცალ-ცალკე გაანადგურა აჯანყების კერები იმერეთში, რაჭაში, გურიაში.

რუსთა ჯარმა დაანგრია სოფლები, აჩეხა ბაღ-ვენახები, გაჟლიტა ხალხი. მარტო რაჭაში ტყვედ ჩაიგდეს 70 კაცი. საიდანაც ათი ადგილზე საჯაროდ ჩამოახრჩეს. გენ. ერმოლოვი და მისი ხელქვეითნი იმპერატორისათვის გაგზავნილ წერილში თავს იქებდნენ იმით, რომ შიშის ზარი დასცეს ხალხს, რომ აოხრებული რეგიონების მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში ვერ აღიდგენდა ადრინდელ კეთილდღეობას. უიდურესი სიღატაკე იქნებოდა მისი სასჯელი[17].

ამგვარად, XIX ს-ის პირველი ოცეულის აჯანყებებში პირველ ეტაპზე ნათლად ჩანდა სტიქიურობის ელემენტები. რუს მოხელეთაგან გაძარცულ-დაჩაგრული ხალხი იწყებდა ბრძოლას, რომელსაც ზედაფენები აძლევდნენ პოლიტიკურ მიმართულებას, ძირითად მიზნად აცხადებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ქართველმა ხალხმა გამოაელინა ამოუწურავი ეროვნული ენერგია, თავდადებით იბრძოდა თავისუფლებისათვის. განცდილი მარცხის, დამსჯელი ექსპედიციების აღვირახსნილი თარეშის მიუხედავად, ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX ს. 20-30-იან წლებშიც გრძელდებოდა. მაგრამ მომენტალური იმპულსი და სტიქიურობა თითქმის აღარ ჩანდა. ზედაფენამ შექმნა ფარული საზოგადოება, დაიწყო გააზრებული და წინასწარ დაგეგმილი მოძრაობა, რომელშიც ხალხის ფართო მასის ჩაბმას ბოლო ეტაპზე, შეიარაღებული აჯანყების დაწყების მომენტში ვარაუდობდა.

1832 წლის შეთქმულება. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ შეთქმულთა ფარული საზოგადოების ფუძემდებლები, მისი იდეოლოგები ბაგრატიონ უფლისწულთა ახალი თაობა და მათი თანამოაზრე თავადაზნაურთა არცთუ მრავალრიცხოვანი დასი იყო. რუსეთის დედაქალაქში გარკვეული საქმიანი მიზნით ჩასულ ახალგაზრდა ქართველ ოფიცრებს თავის გარშემო დიმიტრი იულონის ძე ბაგრატიონი რაზმავდა. მან გააღვიძა ახალგაზრდებში მთელემარე ეროვნული თვითშეგნება, ჩანერგა პატრიოტიზმის, ეროვნული თანასწორობისა და თავისუფლების განმანათლებლური გაგება. 1826 წ. პეტერბურგში ჩამოყალიბდა ქართველ პატრიოტთა წრე, ჩამოყალიბდა ფარული საზოგადოების ბირთვი, რომელმაც სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ორგანიზება დაისახა მიზნად. მოსკოვში ანალოგიურ საქმიანობას ეწეოდა ოქროპირ გიორგის ძე ბაგრატიონი, მანაც შექმნა ფარული საზოგადოების ფრაქცია. 1829 წელს ოქროპირი საქართველოში ჩამოვიდა. ბევრი ღირსეული ქართველი ნახა. გაიცნო ელიზბარ ერისთავი და ალექსანდრე ორბელიანი, რომლებიც სოლომონ დოდაშვილთან ერთად ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ თბილისის უკვე ჩამოყალიბებულ შეთქმულთა საზოგადოებაში. უფლისწულ ოქროპირის დახმარებით ფილადელფოს კიენაძემ შეადგინა „აქტი გონიერი" – ფარული საზოგადოების წესდება, რომელიც მოითხოვდა დიდ სიფრთხილეს საზოგადოების ახალ-ახალი წევრების შერჩევა-მიღებაში.

ქართველ შეთქმულთა საზოგადოება განსაკუთრებით გააქტიურდა პოლონელთა ანტირუსული აჯანყების დაწყებისა და მათი რაზმების მიერ ვარშავის აღების შემდეგ. ფიცხი ელიზბარ ერისთავი წინადადებას იძლეოდა დაუყოვნებლივ მიებაძოთ პოლონელ პატრიოტებს, რუსულ ხელისუფლებას შეეუტიოოთ. სოლომონ დოდაშვილმა კიდევ შეადგინა მოწოდება-პროკლამაციის ტექსტი, რომელიც აჯანყების დაწყებისთანავე მთელ საქართველოში გავრცელდებოდა. შეთქმულნი ცდილობდნენ კონტაქტები დაემყარებინათ ანტირუსულ გარეშე ძალებთან, იმედოვნებდნენ, რომ სამართლიან ბრძოლაში სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას მიიღებდნენ არა მარტო ინგლის-საფრანგეთისაგან, არამედ ირან-ოსმალეთისგანაც. ფარული საზოგადოების წევრთაგან თითქმის არავინ ყოფილა რუსეთის მთავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების, იმპერიისათვის საქართველოს ავტონომიური სამეფოს აღდგენისათვის თხოვნა-ვედრების გაგზავნის მომხრე. ამ აზრს დიმიტრი და ოქროპირ ბაგრატიონებიც უარყოფდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ რუსეთის მთავრობას საქართველოს სამეფოს აღდგენაზე ლაპარაკიც კი დიდ დანაშაულად მიაჩნდა. თითქმის ყველა შეთქმულის აზრით

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზა შეიარაღებულ აჯანყებაზე გადიოდა.

პოლონეთის განმათავისუფლებელ ომში დამარცხების შესახებ ინფორმაციის მიღებამ ქართველთა პატრიოტულ შემართებას თითქოს ციები წყალი გადაასხა, მაგრამ პასიურობა დიდხანს როდი გაგრძელდა. 1832 წელს საჯანყებო სულისკვეთება კელავ განახლდა. შეთქმულებმა დაადგინეს რუსი მოხელეებისა და ჯარისათვის ცეცხლი გაეხსნათ 20 ნოემბერს, როცა უნდა ჩატარებულიყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლების (მარშლების) და საკრებულოს დეპუტატია არჩევნები. აქტუალური საკითხი გახდა მჭიდრო კონტაქტის დამყარება ალექსანდრე ბაგრატიონთან, რომლის მეშვეობით უნდა უზრუნველყოთ რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში გარეშე პოლიტიკურ ძალთა გამოყენება. შეთქმულთათვის, კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ წარმატებით მიმდინარეობდა ანტირუსული კოალიციის შექმნა. აღარ ეჭვობდნენ, რომ რეალურ დახმარებას მიიღებდნენ ირანის შაჰისა და ეგვიპტის ფაშის მუჰამედ ალისაგან. რუსეთის წინააღმდეგ უკვე ამხელრებული ჩეჩნეთ-დაღესტანი კი ქართველთა ბუნებრივ მოკავშირედ გაიაზრებოდა.

რაკი ანტირუსული ომის გამარჯვებით დაგვირგვინების შანსი იზრდებოდა, ფარული საზოგადოების სხდომებზე განიხილებოდა თავისუფალი საქართველოს მართვა-გამგეობის ფორმისა და შინაარსის საკითხები. უმრავლესობა ტრადიციული მონარქიის მომხრე იყო, იმედოვნებდა, რომ მოხერხდებოდა ერთმეფობის აღდგენა. არაერთი შეთქმული პოლონური ყაიდის წოდებრივ მონარქიას ამართლებდა. საქართველოში უნდა შექმნილიყო ორპალატიანი სეიმი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იქნებოდა შინადინასტიური შეღლის აღკვეთა და საქართველოს მეფედ ყველაზე უფრო ღირსეული ბაგრატიონი უფლისწულის არჩევა. მასვე აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო კანონშემოქმედებით საქმიანობაში. მაგრამ კონსტიტუციურ მეფეს დამსგავსებული ქართველი მეფის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება არსებითად არ იზღუდებოდა. საისტორიო წყაროებიდან ისიც ჩანს, რომ შეთქმულთა ერთი ნაწილი მიზანშეწონილად თვლიდა ინგლისური ყაიდის კონსტიტუციურ მონარქიას, უფრო ნაკლები კი რესპუბლიკური წყობის შექმნაზე ოცნებობდა.

შეთქმულთა საზოგადოებამ კიდევ შეადგინა „პირველი ღამის განკარგულება", რუსეთის ადგილობრივ ხელისუფალთა დატვირთვა-მოკვლის, საოკუპაციო ჯარის განადგურების კონკრეტული გეგმა. მაგრამ ვიდრე ის ამოქმედდებოდა, შეთქმულთა „დანაშაულებრივი" გეგმების შესახებ რუსულ ხელისუფლებას საკმაოდ სრული ინფორმაცია მიაწოდეს ნიკოლოზ და იასე ფალავანდიშვილებმა. რამდენიმე დღეში თითქმის ყველა შეთქმული დააპატიმრეს. შეთქმულთა საზოგადოებამ დიდი ეროვნული მისია ვერ შეასრულა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საშვილიშვილო მიზანი ვერ განახორციელა. ფარული საზოგადოების განადგურების შემდეგ კარგა ხნით შეწყდა ქართველ პატრიოტთა სამხედრო-პოლიტიკური შინაარსის განმათავისუფლებელი მოძრაობა. ყურადღება გამახვილდა ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის დაცვაზე. სწავლა-განათლების სისტემის სრულყოფის, ქართული ცხოვრების წესის, დადებითი ტრადიციების და, რაც მთავარია, ქართული ენისა და კულტურის დაცვის საკითხებზე.

რუსული ხელისუფლება თანდათან დარწმუნდა იმაში, რომ ბაგრატიონები და მოსახლეობის ზედაფენა (თავადაზნაურობა, სამღვდელოება) პოლიტიკურ ხელისუფლებას და სულიერ მეთაურობას უბრძოლველად არ დათმობდა. რუსმა მოხელეებმა ისიც შეამჩნიეს, რომ ქართველი გლეხიც იბრძოდა საერთო ეროვნული თავისუფლებისა და პიროვნული ღირსების დაცვისათვის. ამიტომ მიზნად დაისახეს მოძრაობის ლიდერთა უჯარო გენერლებად გადაქცევა.

რუსმა მოხელეებმა და ოფიციალურმა ისტორიკოსებმა საქართველოს წარსულშიც გადაიხედეს. თავიდანვე შეამჩნიეს, რომ თავადაზნაურობა დიდ როლს ასრულებდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, სამეფო დარბაზის ფუნქციონირებაში, სასამართლოსა და მართლმსაჯულებაში და მაღალ წოდებას მისი რაღაც ანალოგი (სუროგატი) რუსულ მართვა-გამგეობის სისტემაში შესთავაზეს.

აღინიშნა, რომ 1802 წელს ახლად მიერთებული ქართლ-კახეთის უმაღლეს ხელისუფლად გამოაცხადეს კავკასიაში მდგარი რუსეთის ჯარის სარდალი, რომელსაც მთავარმართებელი უწოდეს. მას დაუქვემდებარეს ე. წ. „საქართველოს უზენაესი მთავრობა". ამ ვითომდა საქართველოს მთავრობის ექსპედიციათა უფროსებად რუსი მოხელეები დასვეს, მათ „მრჩველებად" ქართველი თავადები დანიშნეს. თავადაზნაურთა წარმომადგენლები დაუშვეს აგრეთვე პოლიციასა და სამაზრო სასამართლოებში. რუსულ ადმინისტრაციულ-სამოსამართლეო აპარატში შეყვანილ ქართული მოდგმის მოხელეებს მეტ-ნაკლები ოდენობის ჯამაგირი დაენიშნათ და ამდენად მათ რამდენადმე აინაზღაურეს სამეფოს დროინდელი თანამდებობის გაუქმებით გაწცდილი ზარალი. მაგრამ ამაყი ქართველები ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ რუსული დებულებით ნაგულისხმები კოლეგიური მმართველობა, პრაქტიკაში მთლიანად რუსულ მმართველობად რჩებოდა. ქართველი მრჩეველ-მსაჯული კი თითქმის ყველა უფლებას მოკლებული იყო, ეს თავისებური პენსიონერი „გასამრჯელოს" იმისათვის იღებდა, რომ რუსი მოხელის თვითნებობისათვის ხელი არ შეეშალა[18].

რუსულმა ხელისუფლებამ ფორმალურად ქართველი თავადაზნაურობა რუსეთის მაღალწოდებას გაუთანაბრა. ციციანოვის დავალებით შედგა კომისია, რომელიც დაეარდნო იმპერატორის ეკატერინე მეორის მიერ 1785 წელს რუსი თავადაზნაურებისათვის ნაბოძებ „წყალობის სიგელს" და შეადგინა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობის წესდება, რომლის მიხედვით თავადაზნაურობა ირჩევდა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლებს (მარშლებს) აგრეთვე წოდებრივი საკრებულოს დეპუტატებს. მათს უფლება-კომპეტენციაში და მოვალეობაში შედიოდა პრივილეგიური ზედაფენის ყოფა-ცხოვრების მეთვალყურეობა, საადგილმამულო დავების გარჩევა-გადაწყვეტა. ქართლ-კახეთის თავადაზნაურობასა და რუსულ ხელისუფლებას შორის საშუამავლო ფუნქციის შესრულება, მაღალი წოდებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე უზენაესი მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა. წოდებრივი თვითმმართველობის ფუნქციას შეადგენდა აგრეთვე მთავრობის განკარგულებათა მიღება, ცენტრიდან შემოსულ საკითხებზე პასუხის გაცემა, მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის დახმარების გაწევა გადასახადების გაწერა-აკრეფასა და ჯარისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის იაფად შესყიდვაში.

წოდებრივ თვითმმართველობას დაეკისრა „საქართველოს უზენაესი მთავრობის" ექსპედიციათა და პოლიცია-სასამართლოს ქართველ მოხელეთა (მრჩეველთა) არჩევა და თავადაზნაურობა ყველაზე მეტად ამას აფასებდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ქართული ხელისუფლების რაღაც ელემენტები არსებობას განაგრძობდა. რუსეთთან მიერთებულ ქვეყნის მართვა-გამგეობაში ქართველი მოსახლეობაც მონაწილეობდა. წოდებრივი თვითმმართველობის ლიდერები ცდილობდნენ ეს ინსტიტუტი ქვეყნისა და ხალხის საერთო ინტერესების დაცვისათვისაც გამოეყენებინათ. 1810 წელს საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლები იმპერატორს მოახსენებდნენ: მზად ვართ ერთგულად გემსახუროთ, მაგრამ აქ გამოგზავნილი რუსი მოხელეები თვითნებობენ, ჩვენს გლეხებს ძალიან ავიწროებენ: ხარ-ურმის ქირა თვეში 40-50 მანეთს შეადგენს, ჩვენს გლეხებს კი მხოლოდ 2-3 მანეთს უხდიანო. სამართლიანობა მოითხოვეს მათ ნორმალური ფასი გადაუხადონ, რადგან გლეხობის ესოდენ გადამეტებული დაბეგვრა ზიანს სახელმწიფოს და თავადაზნაურობასაც აყენებსო. ცდილობდნენ უცხოეთში გაქცეულთა ინტე-

რესების დაცვასაც. მათ ოჯახებს მიწებს ნუ ჩამოართმევთ, ხელუხლებელი დატოვეთ საეკლესიო მამულებიცო[19].

ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება არც უზენაესი მთავრობის ინტერესებში შედიოდა და არც ადგილობრივი რუსი მოხელეებისა. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ აღეკვეთათ წოდებრივი თვითმმართველობის გადამეტებული პრეტენზიები. საქართველოს რუსი მთავარმართებელი გუდოვიჩი უზენაეს მთავრობას შესჩიოდა, რომ საერობო პოლიციის ქართველი მოხელეები მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებდნენ და ამიტომ აუცილებელიაო მათ ხარჯზე რუსი ჩინოვნიკების რიცხვის გაზრდა. რუსეთის მთავრობა, მართალია, ანგარიშს უწევდა ქართველ თავადაზნაურთა პოზიციას, თვითდანვე ცდილობდა გადაეჭრა იგი თავის სოციალურ დასაყრდენად, მაგრამ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება მთავრობის ინტერესებს და პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. რუსეთის ცარიზმი ოპოზიციონერი თავადაზნაურებისა და სამღვდელოების მამულებს ითვისებდა. თანდათან აფართოებდა სახაზინო მიწის ფონდს. გლეხობას კი თანდათან მზარდი ბეგარა-გადასახადების ტვირთს აკისრებდა. რუსული ხელისუფლება სოციალურ სფეროშიც იყენებდა „დაყავი და იბატონეს" დოქტრინას. თავდაპირველად მაღალ წოდებას მისცა ყმა-გლეხობის ადრინდელზე მეტად დაკაბალების საშუალება, შემდეგ კი თითქოს გლეხობას გამოესარჩლა. უფლება უბოძა მას სასამართლოში სარჩელის შეტანით დაეხსნა თავი მებატონისაგან, თავისუფლება მოეპოვებინა. ამის შედეგი ის იყო, რომ XIX საუკუნის 40-50-იან წლებში არნახულად გამწვავდა ორი წოდების ანტაგონიზმი, ფართო მასშტაბი მიიღო ანტიბატონყმურმა მოძრაობამ.

რუსულმა ხელისუფლებამ თანდათან წაიღო უკან ადრინდელი დათმობები, რუსულ მმართველობაში ძალიან შეამცირა თავადაზნაურთა რიცხვი და მინიმუმამდე შესდგა წოდებრივი თვითმმართველობის უფლება-კომპეტენცია. 1840 წლის ადმინისტრაციულმა რეფორმამ, ეს ორგანო არსებითად გუბერნიისა და მაზრების მიღმა დატოვა, რამაც თითქმის მთელ წოდებაში უკმაყოფილება გამოიწვია. თავადაზნაურთა ლიდერებმა იმპერატორს გაუგზავნეს მოხსენებითი ბარათი, რომლის ძირითადი შინაარსი ასეთი იყო: რუსეთის მთავრობის მიერ თავადაზნაურთათვის XIX ს-ის დამდეგს ნაბოძები უფლებებიდან მთავარი იყო ამ წოდებიდან ყველაზე ღირსეულთა მთავრობის სხვადასხვა ინსტანციების მოხელეებად არჩევა. ასეთი პრივილეგიით ქართველი თავადაზნაურობა თითქმის შეუსწლდავად სარგებლობდა საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა მას ცოტა პყავდა რუსული ენისა და რუსული კანონების მცოდნე პირები. ამჟამად მაღალ წოდებაში განათლებული პირები გაცილებით მეტია. მაგრამ 1840 წლის კანონ-დებულებამ აღნიშნული უფლება არსებითად მთლიანად გააუქმა. ჩვენ შეურაცხყოფილ – დამცირებულად ვთვლით თავს. ყოველად მოწყალე იმპერატორს უმორჩილესად ვთხოვთ აღგვიდგინოს ადრინდელი უფლება – ჩვენი წოდებიდან აკირჩიოთ ღირსეული მოხელეები ადრინდელი კანონით გათვალისწინებულ ყველა თანამდებობაზე. იმპერიის ცენტრიდან ეს ბარათი დასკვნისათვის საქართველოს მთავარმმართველ გოლოვინს გადმოუგზავნეს. იგი სიტუაციის ობიექტური შემფასებელი არ აღმოჩნდა, ზემდგომ ინსტანციას აუწყა: ქართველ თავადაზნაურობისაგან არჩეულ პირთა საქართველოს რუსული მმართველობიდან გამოდევნა-გვიკარნახა წარსულის თითქმის ორმოცწლიანმა გამოცდილებამ. დაერწმუნდით, რომ ქართველი თავადაზნაურობა ამ დიდი საქმისათვის მოუმზადებელია და მათი თხოვნის დაკმაყოფილება გაუმართლებლად მიმაჩნიაო[20].

დიდმპყრობელური შოვინიზმით გაჟღენთილი გოლოვინი ყარაულს რუსული მმართველობის სისტემიდან ქართველი თავადაზნაურობის გამოდევნის მოტივს. არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ წოდებრივი თვითმმართველობის ბევრი წევრი სამი ათეული წლის განმავლობაში იბრძოდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და ამიტომ ვერ მოიპოვა რუსეთის მთავრობის ნდობა. არ

ამჟღავნებს იმ ფაქტს, რომ მაღალ წოდებისაგან არჩეული პირები აფერხებდნენ რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის გატარებას და ამიტომ გამოდევნეს ქართველი მოხელეები რუსული მმართველობის სისტემიდან. მართალია, თავადაზნაურთა ცალკეულმა წარმომადგენლებმა ინდივიდუალური დამსახურების საფუძველზე შეინარჩუნეს კარიერისტულ კიბეზე აღმასვლის შესაძლებლობა, მაგრამ თავადაზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითი თვითმმართველობის უფლება-კომპეტენცია არსებითად შეიკვეცა. თავადაზნაურთა პროტესტანტული განწყობილება იმით გამოიხატა, რომ უარი თქვეს გუბერნია-მაზრების წინამძღოლთა და საკრებულოს დეპუტატთა არჩევნების ჩატარებაზე 1838, 1841 და 1844 წლებში. წოდებრივი თვითმმართველობა აღარ ფუნქციონირებდა. ამ პროტესტმა დიდი თუ არა მცირე ნაყოფი მაინც გამოიღო. მეფის ნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა შეცვალა 1840 წლის კანონ-დებულების ორიოდე მუხლი: აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას უფლება მისცეს აერჩიათ თბილისის საგუბერნიო სასამართლო პალატის ორი მსაჯული და სამაზრო სასამართლოების თითო მსაჯული. ეს უფლება გაერცელდა ქუთაისის გუბერნიაში 1850 წელს ჩამოყალიბებულ თავადაზნაურთა წოდებრივ თვითმმართველობაზეც. მსაჯულების ძირითად ფუნქციად, მართალია, გამოცხადდა თავადაზნაურთა ინტერესების დაცვა, მაგრამ საისტორიო წყაროები ცხადყოფს, რომ ეს მსაჯულები მოხელეთა თვითნებობა-ძალადობისაგან, არც თუ იშვიათად, იცავდნენ გლეხობის ინტერესებსაც.

რუსული ხელისუფლების სამსახურში დაწინაურებული ქართველი მოღვაწეებიც კი ცდილობდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის მმართველობაში გზა გაეკაფათ თანამემამულეებისათვის. ფაქტია, რომ ორიოდე ქართველი თითქმის ყოველთვის შედიოდა საქართველო-ამიერკავკასიის მთავარმმართველთან არსებულ სათათბირო ორგანო საბჭოში, რომელსაც 1845 წელს მეფის ნაცვლის საბჭო უწოდეს. მეფის ნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა ამ საბჭოში შეიყვანა ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანსკი, გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი, რომელნიც გარკვეულ გავლენას ახდენდნენ საქმის მსვლელობაზე საერთოდ და კერძოდ საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტაზე. ბარიატინსკის მეფისნაცვლის საბჭოს ახალი დებულება შეადგინა, კავკასიის მმართველობის გარდაქმნა დაიწყო. ამ გარდამავალ პერიოდში კავკასიის მთავარსამმართველოს განსაკუთრებული დანიშნულების მოხელედ მუშაობდა ირაკლი მუხრანბატონი. მხარის სამოქალაქო მოწყობის დროებით განყოფილებაში დიდი თანამდებობა ეკავა თავად მიხეილ თუმანიშვილს. სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტში საქმიანობდნენ ავთანდილოვი, დოდაევ-მაგარსკი და სხვები. მაგრამ გენერალმა და პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა ყველას გაასწრო. ბარიატინსკის დროს მას თბილისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა ეკავა, ხოლო მისი გაწვევის შემდეგ 1860-1861 წლებში (მიხეილ რომანოვის ჩამოსვლამდე) ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას.

გრიგოლ ორბელიანმა შეაჯამა ბარიატინსკისა და მის მიერ შექმნილ ექსპერიმენტულ დაწესებულებათა მუშაობის შედეგები. ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა მეფისნაცვლის საბჭოს ფუნქციებზე. გ. ორბელიანი არსებითად დათანხმდა ბარიატინსკის მისამართით დ. ყიფიანისა და ავთანდილოვის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს და მხარი დაუჭირა მათ წინადადებას სათათბირო საბჭოს უფლება-კომპეტენციის გაფართოების შესახებ. აღნიშნა, რომ ამიერკავკასიას აქვს ადმინისტრაციული ავტონომია. მეფისნაცვალი, მისი უმაღლესობა რუსეთის იმპერატორის „ნამესტნიკი" არის უდიდესი თანამდებობის პირი, არ ემორჩილება მინისტრებს და თავის საქმიანობის ანგარიშს უშუალოდ იმპერატორს უგზავნის. ამის გათვალისწინებით უნდა გარდაქმნილიყო მეფისნაცვლის საბჭო. ამ სათათბირო ორგანოს არსებითი მონაწილეობა უნდა მიეღო ამიერკავკასია-საქართველოს შესახებ საკანონმდებლო და განმკარგულებელი ხასიათის დადგენილება-გადაწყვეტილებათა მიღებაში.

კონკრეტული მასალის ანალიზი, მოვლენების შედარებითი შესწავლა ნათელყოფს, რომ რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკა – არსებითად არც XIX ს-ის 50-60-იანი წლების მიჯნაზე შეცვლილა. მაგრამ უკეთესობა მიანიც შეიმჩნეოდა. არა მარტო რუსული მმართველობის ქართველი მოხელეები (გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, მ. თუმანიშვილი) არამედ ქართველი საზოგადო მოღვაწეებიც (ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი და სხვ.) მეფისნაცვლობის ხანას აღრინდელ და მომდევნო პერიოდებ'ხე წინ აყენებდნენ. მიაჩნდათ, რომ ადმინისტრაციული ავტონომიის არსებობის წლებ'ში რამდენადმე იზღუდებოდა რუსული დიდმპყრობელურ-კოლონიური პოლიტიკა. შედარებით მეტი გასაქანი ეძლეოდა ქართველთა საზოგადოებრივ აზროვნებას და მოღვაწეობას. გარკვეული პირობები მზადდებოდა ეროვნულ-პოლიტიკურ ავტონომიაზე მსჯელობისა და მისი მოთხოვნის წამოყენებისათვის. პატრიოტები ეარაუდობდნენ, რომ თუ საოცნებო ეროვნული ავტონომია რეალობად გადაიქცეოდა, რუსულ მმართველობა'ში საქმიანობით ცოდნა-გამოცდილება მიღებული ქართველი მოხელეები დადებით როლს შეასრულებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების საქმე'ში.

---

1. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. I, Тиф., 1866, გვ. 368-369, 562.
2. იქვე, გვ. 387.
3. ალ. ფრონელი, მოიულეთი 1804 წელი, თბ., 1896 წ., გვ. 107.
4. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. II, Тиф., 1868, გვ. 167-168.
5. იქვე, გვ. 145.
6. იქვე, გვ. 143-144.
7. იქვე, გვ. 184-185.
8. შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, 1982 წ., გვ. 12-15.

8ᵃ. ალ. ბენდიანიშვილი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, თბ., 2006, გვ. 197-207.

9. აქტები... ტ. V, გვ. 67-68.
10. ე. ორჯონიკიძე, ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, ალ. ბატონიშვილის წერილები, თბ., 1999, გვ. 78-81.
11. ალ. ბენდიანი'შვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 214-221.
12. დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, გამოცემა აპოლონ როგავასი, 1959 წ.
13. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვეთი I, გვ. 128-137.
14. იქვე, გვ. 160-165.
15. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. VI, Тиф., 1874, ч. I, გვ. 391.
16. იქვე, გვ. 536-537.
17. Ермолов, Записки, ч. II, 1868 г.
18. ნ. ბერძენი'შვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 266-267.
19. ალ. ბენდიანი'შვილი, საქართველოს ისტორია (1801-1921), გვ. 46-49.
20. Санкт-Петербургский Архив, ф. 1268, оп. 1, д. 247, გვ. 26-28.

თავი II

რუსეთის კოლონიალურ-ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში XIX ს-ის I ნახევარში

რუსეთის საგაჭრო ინტერესები საქართველოში. მართალია ცნობილ მანიფესტში, რომლითაც მან საქართველოს ანექსია დაადასტურა, ალექსანდრე პირველი ამტკიცებდა, რომ მის ამ გადაწყვეტილებას არაეითარი სხვა ინტერესი არ ასაზრდოებდა, გარდა ქართველი ხალხის კეთილდღეობისა და სიკეთისა, მაგრამ იგი გულწრფელი არ იყო. რუსეთს საქართველოში იზიდავდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა: კასპიისა და შავ ზღვას შორის ტერიტორიების დაუფლება და ამით ინდოეთის და ჩინეთის ვაჭრობის გაკონტროლება; საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებით სარგებლობა; საქართველოს სახით ნედლეულის ბაზის და გასაღების ბაზრის მოპოვება.

ყოველივე ზემოთქმულის გასაღები რუსეთის მიერ აღმოსაველეთის ვაჭრობაში მდგომარეობის განმტკიცება, შემდეგ კი გაბატონება იყო. ხელისუფლება ცდილობდა ყოველმხრივ წაეხალისებია რუსი კომერსანტები, რომ მათ საქართველოს ვაჭრობაში ჩაბმის მეტი მონდომება და სურვილი გამოეჩინათ, უქმნიდა მათ საქონლის დეპოებს აღმოსაველეთ და დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ამ მხრივ რაიმე წარმატება არ ჩანდა. რუსეთის ახლადფეხადგმულ ბურჟუაზიას საკუთარი, აუთვისებული ბაზრის შეესებაც უჭირდა და არავითარი სურვილი არ ჰქონდა ჩაბმულიყო ეკონომიკურ ბრძოლაში ქართულ (ძირითადად სომხურ) საეაჭრო ბურჟუაზიასთან, რომელიც არა თუ საკუთარ ბაზარს უვლიდა, არამედ ფართო კომერციებს აწარმოებდა მეზობელი ქვეყნების და თვით რუსეთის ბაზარზეც კი.

უკვე XVIII საუკუნეში საქართველოში დამზადებული საქონლის რუსეთის ბაზარზე გატანას ისეთი დონისათვის მიუღწევია, რომ იგი თანადროულ რუსულ ლიტერატურაშიც აისახა. მაგალითად, რუსეთის ვაჭრობის ცნობილი მემატიანე მ. ჩულკოვი ფუნდამენტალურ ნაშრომში: „რუსეთის კომერციის ისტორიული აღწერა" (რუს. ენაზე), რუსეთში სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოტანილ პროდუქციათა შორის თბილისიდან მიღებულ ნარმას და ხამხალსაც ასახელებს[1].

1792 წელს დიდი მიმოწერა გაიმართა საქართველოს სამეფო კარსა და რუსეთის ხელისუფალთა შორის იმის გამო, რომ საბაჟოს რუსმა მოხელეებმა ხუთი ქართველი ვაჭარი დააკავეს, რომლებსაც რუსეთიდან ოქროს ფული გაჰქონდათ, რაც რუსული კანონმდებლობით აკრძალული იყო; ვაჭრებს ჩამოერთვათ 3750 ბაჯაღლო და 100 იმპერიალი[2]. ერეკლე II და დარეჯან დედოფლის უშუალო ჩარევით საკითხი მოგვარდა. ვაჭრებს ჩამორთმეული თანხა დაუბრუნეს, მაგრამ აქ ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ რაკი ნაღდი ფული აღმოაჩნდათ, ჩანს რუსეთის ბაზარზე მათ გაცილებით დიდი ღირებულების საქონელი გაეიღეს, ვიდრე შეიძინეს.

1780 წლის 25 აპრილს დარიალის გზით მოზდოკში საქართველოდან 3 ვაჭარი ჩავიდა სხვადასხვა საქონლით. იმავე წლის 27 აპრილს აქ ჩავიდა დიდი ქარავანი საბარგო ცხენებითა და 22 ურმით, რომელმაც 19 ვაჭრის კუთვნილი დიდძალი საქონელი ჩაიტანა. 1785 წლის 5 აპრილს მოზდოკში ხუთმა ვაჭარმა 4 ურემი საქონელი ჩაზიდა. მასში, სხვათა შორის, შედიოდა საფეიქრო საქონელი (ნარმა, თავთა და ა. შ.). აგრეთვე საფეიქრო მზა ნაწარმი (თავსაფრები, სუფრები, ქისები და სხვ.)[3]. ს. ბრონევსკის აღნიშვნით საქართველოდან მოზდოკში, ხოლო **იქედან რუსეთში** (ხაზი ჩვენია – ავტ.) მიდის ქართული საქონელი: შალები, აბრეშუმი და სხვ.[4]

საქართველოსთან რუსეთის ვაჭრების ძირითადი ცენტრები მოზდოკი და ყიზლარი იყო. აქედან საქონელი გაჰქონდათ ასტრახანში, ხოლო შემდეგ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც დარიალის გზაზე მიმოსვლა შედარებით უსაფრთხო გახდა, საქართველოდან რუსეთის მიმართულებით გატანილი საქონლის რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა და ამ საქონელში ძირითადი ადგილი საფეიქრო პროდუქციას ეკავა.

ჩვენი გამოანგარიშებით, 1803-1815 წლებში მოზდოკის კარანტინში გატარებულმა ქართულმა საქონელმა თითქმის 136000 თოფი შეადგინა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თოფი ქსოვილი საშუალოდ 15 არშინს შეადგენდა, აგრეთვე იმას, რომ მოზდოკის გარდა საქართველოდან საქონელი ყიზლარის კარანტინშიც იწმინდებოდა გამოდის, რომ ამ პერიოდში უშუალოდ რუსეთის გუბერნიებში საქართველოდან 5 მილიონამდე არშინი ქსოვილი შესულა[5]. თითქმის ამდენივე შედიოდა საბაჟოების გვერდის აღლით, და უშუალოდ კავკასიის მთიანეთში, სადაც საქართველო ბამბის ქსოვილის ერთადერთი ძირითადი მიმწოდებელი იყო. თავისი ბატონობის პირველ ხანებში რუსეთი არ ეწინააღმდეგებოდა (კიდეც ახალისებდა) საქართველოს ამ ექსპორტს.

მაგრამ კავკასიაში ფეხის მომაგრების შემდეგ, კოლონიურმა რეჟიმმა არსებული დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა.

პირველი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთმა, სადაც აქამდე თითქმის არ არსებობდა ბამბეულის საფეიქრო წარმოება, მისი განვითარება გადაწყვიტა და ამის ხელშესაწყობად ქვეყანაში ბამბეულის შემოტანაზე უაღრესად მაღალი (ფაქტობრივად აკრძალვები) ტარიფი დააწესა, რაც ცხადია ქართულ პროდუქციასაც შეეხო.

მეორე კი ის, რომ რუსულმა კოლონიურმა ხელისუფლებამ განიზრახა ღონისძიებების გატარება, რათა საქონლის მოძრაობა ევროპასა და აზიას შორის, საქართველოზე გადმოეტანა, ამისათვის კი ამ გზის გაწმენდა და მომზადება იყო საჭირო.

შელავათიანი ტრანზიტი და მისი ადგილი რუსეთის კოლონიურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში. საქართველოს ანექსიის პირველმა ორმა ათეულმა წელმა რუსეთის ხელისუფლება დაარწმუნა, რომ ამიერკავკასია მას ვერ აძლევდა წინასწარნაკარაუდევ და დაგეგმილ სარგებელს. რუსული საგაჭრო კაპიტალი ამიერკავკასიით დაინტერესებას ნაკლებად იჩენდა. მართალია, ვაჭრობა ახალ რეგიონთან ინტენსიურად მიმდინარეობდა და ბალანსიც თითქოს რუსეთის სასარგებლო ჩანდა, მაგრამ ეს შეხედულება მოჩვენებითი იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ ვაჭრობით მოგებას ძირითადად ადგილობრივი ვაჭრები ნახულობდნენ. მეორეც იმიტომ, რომ ამ კომერციის საშუალებით საქართველოდან რუსეთში სულ რაღაც 250000 მანეთი შედიოდა, დანარჩენი ოდენობის რუსული საქონლის შეძენა, ადგილობრივი საქონლის საფასურით ხდებოდა. ამავე დროს, მართალია რუსეთიდან საქართველოში დიდი რაოდენობის პროდუქცია შემოდიოდა, მაგრამ ბუნებრივია, იგი მოლიანად რუსული ვერ იქნებოდა. რუსეთი საქართველოში (კავკასიაში) ევროპული საქონლის ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორი იყო. მაგრამ ამავე დროს, ხაზინას საქართველოში დაბანაკებული რუსული ნაწილების შესანახად ყოველწლიურად 600.000 მან. ვერცხლით და 187.000 მან. ასიგნაციით თანხის შემოტანა უხდებოდა. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი შინავაჭრობის მეშვეობით, ადგილობრივი საგაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა ხელში გადადიოდა და, იმის გამო, რომ საქართველოს ვაჭრებს უცხოეთთან ვაჭრობის ბალანსი თანაბარი არ ჰქონდათ, ხოლო აღმოსაველეთის ქვეყნებში ვაჭრობა მხოლოდ ლითონის ფულით წარმოებდა, საქართველოდან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვანი რაოდენობის ლითონის ფულის იმპერიის გარეთ დენადობას[6].

ეს მონაცემები ამოკრეფილია ოფიციალური წყაროებიდან, ე. ი. შედგენილია ოფიციალურად დადგენილი ცნობების საფუძველზე. ამდენად მასში ვერ აისახებოდა მალულად (უბაჟოდ) შემოტანილი საქონლის ღირებულება. ამის გამო უნდა ვიფარაუდოთ, რომ სურათი რუსეთის ვაჭრობისათვის გაცილებით საეალალო იყო.

რუსეთმა ირანის ბაზარზეც მარცხი განიცადა. ოსტ-ინდოეთის კომპანია, არათუ იქ ავიწროებდა რუსულ საქონელს, არამედ გიულისტანის ზავის საფუძველზე, ირანის საქონლის რუსეთში შეღავათიანი ვაჭრობის დაშვების გზით, თვით რუსეთშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით ინგლისური ფაბრიკატი შედიოდა, რომელიც საგანგებოდ ირანისთვის მზადდებოდა და შენიღბულად რუსეთში ირანული პროდუქციის მარკით საღდებოდა[7].

მაგრამ ირანსა და საერთოდ აღმოსაელეთში, ინგლისის კაპიტალის წარმატებები მარტო რუსეთს არ აღიზიანებდა. ევროპის დიდი სახელმწიფოები, გერმანია და განსაკუთრებით საფრანგეთი, უკვე XVIII საუკუნიდან მოყოლებული ეძებდნენ გზებს (მშვიდობიანს თუ საომარს), რათა აღმოსაელეთის ბაზარზე ინგლისის ბატონობა შეეზღუდათ. ამ თვალსაზრისით მათი ყურადღება, XIX ს. II ათეულში, სულ უფრო მეტად ამიერკავკასიაზე, როგორც ირანთან და საერთოდ აღმოსავლეთთან, საეაჭრო ტრანზიტის ხელსაყრელ რეგიონზე ჩერდებოდა.

ასეთ ვითარებაში რუსეთის საეაჭრო კაპიტალის მესვეურებში, როგორც ჩანს, თანდათან ყალიბდებოდა, აღმოსაელეთის ბაზარზე ინგლისის ჰეგემონიის წინააღმდეგ ბრძოლაში ფრანგული და გერმანული კაპიტალის აქტიური გამოყენების აზრი.

რუსეთი საქართველოს დაუფლების პირველ წლებშივე გეგმავდა შავსა და კასპიის ზღვებს შორის სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებას, მაგრამ იმ დროს, როცა ამიერკავკასიის ბევრი პოლიტიკური ერთეული, მეტნაკლებად, დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, როცა რუსეთს ჯერ კიდევ მყარად არ ჰქონდა ამ რეგიონში პოლიტიკური ბატონობის პოზიციები, როცა მას ჯერ კიდევ არ შეეძლო არსებითად ყურადღება ეკონომიკურ საკითხებზე გადაეტანა, როცა თვით რუსეთის ბურჟუაზიის განვითარების მოთხოვნები ჯერ არ აყენებდა აქტიური კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, ეს გეგმა სათანადოდ მომწიფებული არ იყო.

20-იანი წლებისათვის მდგომარეობა შეიცვალა: რუსეთმა შემოიერთა ამიერკავკასიის პროვინციების დიდი ნაწილი. მისი მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპი ახალი ბაზრების ათვისების საჭიროებას სახავდა. იმპერიის აღმავალი მრეწველობისათვის ამიერკავკასია ნედლეულის ბაზაც უნდა გამხდარიყო. მაგრამ ეს მაშინ მოხდებოდა, როცა ნედლეულის მოპოვება და დამუშავება ამ მრეწველობისათვის მისაღები ფორმის გახდებოდა. შემოერთებული რეგიონები ნედლეულის დამუშავების დონის ამაღლებას საჭიროებდა. ამისათვის წარმოების და მოპოვების ევროპული მეთოდების შემოტანა (დანერგვა) იყო აუცილებელი.

ყოველივე ამან, დღის წესრიგში ახალი ძალით დააყენა შავი და კასპიის ზღვებს შორის საეაჭრო მაგისტრალის მოწყობის და ამ მაგისტრალზე ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობის გადმობირების საკითხი.

რა ზემოქმედებას მოახდენდა ეს ღონისძიება ამ კავკასიის, და, კერძოდ, საქართველოს უკვე არსებულ მრეწველობაზე, ეს რუსეთს იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც მას თავისი პოლიტიკისათვის ხელისშემშლელად თელიდა და დანგრევას ესწრაფვოდა[8].

ასეთი იყო ვითარება, როდესაც (1821 წლის ოქტომბერში) კოლონიურმა ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში ვაჭრობის შეღავათიანი ტრანზიტი დააწესა. იგი ეარაუდობდა, რომ აღნიშნული ღონისძიების მეშვეობით, ამიერკავკასიის გზით მოახერხებდა კონტინენტური ევროპის ფაბრიკული საქონლის ირანში მოზღვავებას, კონკურენტულ ბრძოლაში ინგლისური საქონლის დამარცხებას, ადგილობრივი და აღმოსაელური საქონლისაგან ამიერკავკასიის ბაზრის გაწმენდას, ევროპული საქონლით ვაჭრობის გაფართოებას და შესაბამისი გემოვნების განვითარებას, ნედლეულის პირველადი დამუშავების (ნახევარფაბრიკატის) მრეწველობის დანერგვას. ერთი სიტყვით, ქვეყნის ეკონომიკურ მომზადებას ახალი ტიპის კოლონიური პოლიტიკის გასატარებლად.

კანონი ტრანზიტის შესახებ 1822 წლიდან შეეიდა ძალაში. ამ კანონით უცხოეთიდან საქართველოში შემოტანილი ყოველგვარი საქონელი შელავათიანი 5 პროცენტიანი ბაჟით იბეგრებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ აღნიშნული საქონელი საფინანსო კონტროლს არ ექვემდებარებოდა, გაცილებით ნაკლები გამოსაღებით შემოდიოდა[9].

ვაჭრებს, რომლებიც ათი წლის განმავლობაში საქართველოში საეკლესიო სახლებს მოაწყობდნენ და ბითუმად ვაჭრობას აწარმოებდნენ, პირველი გილდიის ხარისხი ენიჭებოდათ და ტრანზიტის ვადის განმავლობაში შესაბამისი გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ. უცხოელებს უფლება ეძლეოდათ საქართველოში შეეძინათ მამულები, მოეწყოთ საწარმოები და ა. შ.

ამგვარ პირობებს არ შეიძლებოდა ევროპელი საქმოსნების ყურადღება არ მიექცია, მით უმეტეს, რომ აღნიშნული კანონის სარგებლობისა და სიკეთის შესახებ აგიტაციას ეწეოდნენ ევროპული კაპიტალის გამოცდილი წარმომადგენლები[10].

ამის საფუძველზე, უკვე 1822 წელს საქართველოში უცხოური საქონლის შემოტანა 12% გაიზარდა, ხოლო 1823 წელს 1821 წელთან შედარებით 217 პროცენტით.

მაგრამ ჩქარა უცხოელ კომერსანტებს საქართველოს სატრანზიტო მაგისტრალისადმი გული აუცრუვდათ. რუსეთის ხელისუფლებამ ვერ შეასრულა საზეიმოდ მიცემული დაპირებები ამიერკავკასიის საეკლესიო გზის უსაფრთხოების შესახებ. 1828 წელს ირანში მიმავალ ფრანგი ვაჭრის – ზიგფრიდის დიდი ქარავნის გაძარცვის ამბავი ჩქარა მთელს ევროპაში გავრცელდა. უცხოელ ვაჭრებს არც ის დაპირება შეუსრულეს, რომლითაც 5% გარდა ყველა სხვა გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ. ქვეყანაში კერძო ბაჟები ჯერ კიდევ მოქმედებდა[11].

საერთოდ, შელავათიან ტრანზიტს რუსეთის ხელისუფლებაშიც სასტიკი მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ.

1824 წელს რუსეთის ფინანსთა მინისტრის პოსტი კანკრინმა დაიკავა, რომელიც ტრანზიტის სასტიკი წინააღმდეგი იყო. იმავე წელს იგი საქართველოს მთავარსარდალს – ერმოლოვს აცნობებდა იმ უკმაყოფილების შესახებ, რასაც შელავათიანი ტრანზიტი რუსეთის კომერციულ წრეებში იწვევდა[12].

ასეთ ვითარებაში, მთავრობა ფაქტობრივად უყურადღებოდ ტოვებდა უცხოელი ვაჭრების პროტესტებს იმის შესახებ, რომ მათ მიერ შემოტანილი საქონელი გამოცხადებულზე გაცილებით მაღალი ბაჟით იბეგრებოდა.

შელავათიანმა ტრანზიტმა რუსი ვაჭრების სასტიკი პროტესტი გამოიწვია. როგორც აღნიშნეთ, ამიერკავკასიის ვაჭრებისადმი რუსებს ორმხრივი დამოკიდებულება ჰქონდათ: ისინი ინიციატივას არ იჩენდნენ თვითონ, უშუალოდ ეწარმოებინათ ეს ვაჭრობა, მაგრამ ქართველი ვაჭრები რუსეთის ბაზრობებზე, მეტად სასურველი პარტნიორები, საქონლის გამსაღებლები იყვნენ. ტრანზიტმა ან საერთოდ ჩამოაცილა ადგილობრივი ვაჭრები რუსეთის ბაზრებს, ან მათ მიმოსველას ცალმხრივი ხასიათი მისცა. ე. ი. ქართველი ვაჭრები რუსულ ბაზრებზე საკუთარ საქონელს ყიდდნენ, ხოლო ამოღებული თანხით რუსულ პროდუქციას კი არ იძენდნენ, არამედ ლითონის ფული საზღვარგარეთ გაქონდათ და იქიდან ევროპული ნაწარმი შემოქონდათ[13].

შელავათიანმა ტრანზიტმა რუსული და განსაკუთრებით ქართული ეკონომიკისათვის ბევრი დადებითი და უარყოფითი შედეგი გამოიღო. რუსეთის კოლონიურ რეჟიმს, ცხადია, პირველი უფრო აინტერესებდა და 1831 წელს, რუსეთის საეკლესიო-სამრეწველო ბურჟუაზიის მოთხოვნის საფუძველზე, შელავათიანი ტრანზიტი ვადაზე 6 თვით ადრე გააუქმეს. მან მეტროპოლიის ხელისუფლების მთავარი იმედი, ირანის ვაჭრობიდან ინგლისის გამოძევება, ვერ გაამართლა.

მაგრამ ტრანზიტს მეორე, არაოფიციალური, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაც ჰქონდა. ეს იყო ახლადშემოერთებული მხარის -- ამიერკავკასიის (უპირატესად საქართველოს). ბაზრის დაპყრობა რუსული საქონლის მიერ და,

საერთად, ქვეყნის ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად მომზადება.

საქართველოს და ამიერკავკასიის ბაზრის სრული დაპყრობა ადვილი საქმე არ იყო. ამ რეგიონში არსებობდა საუკუნეთა განმავლობაში განვითარებული მეურნეობის დარგები, ტრადიციულად განმტკიცებული საშინაო და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, ხალხის ჩამოყალიბებული გემოვნება და ცხოვრების ყაიდა. ყველაფერი ეს უნდა შერყეულიყო. ტრანზიტმა ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მაგრამ ახალი გემოვნების გაღვივებას ლოგიკურად ძველი ყაიდის წარმოების შეცვლა და მისი ახალი პროდუქციით ჩანაცვლება უნდა მოჰყოლოდა.

საქართველოსათვის შეღავათიანი ტრანზიტის მნიშვნელობის შესახებ თავიდანვე ორი საპირისპირო აზრი ჩამოყალიბდა: ერთნი მას მხოლოდ დადებითად აფასებდნენ, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლების ყველაზე გაელენიანი წარმომადგენლები: ერმოლოვი, სიპიაგინი და სხვები არიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შეხედულებას ემხრობა ქართველ ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილიც.

საწინააღმდეგო აზრს, რუსული ბურჟუაზიის ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე, იმდროინდელ პრესაზე დაყრდნობით, იმპერიის ეკონომიკური ცხოვრების მესვეურნი ავითარებდნენ, ფინანსთა მინისტრის კანკრინის მეთაურობით.

უკანასკნელ შეხედულებას იზიარებდა ცნობილი რუსი პოეტი ა. ს. გრიბოედოვი. ზაილეისკისთან ერთად შედგენილ პროექტში „საქართველოს უკეთ მოწყობის შესახებ" ეკითხულობთ: „ეაჭრობა რამდენადმე გამოცოცხლდა 1821 წლის ბრძანებულებით – ზოგიერთი თბილისელი ვაჭარი ამ დროიდან მიემგზავრება ხოლმე საქონლისათვის ლაიპციგში, წარმატებით ასაღებენ მას აქაც და სპარსეთშიც და მნიშვნელოვან კაპიტალს იხვეჭენ. მაგრამ სახაზინო ვალდებულებებით ყველაზე მეტად დამძიმებული მემამულეთა და მიწათმოქმედთა კეთილგანწყობაზე ამან სულაც არ იმოქმედა, სრულიად არ წაახალისა შინაგანი მრეწველობა, არ წარმოშვა არც ერთი ფაბრიკა, არ აყვავედა არც მიწათმოქმედება, არც მებაღეობა. რამდენიმე წლის განმავლობაში უცხოეთის ორ-სამ ხომალდზე მეტი არ მისდგომია სამეგრელოს სანაპიროებს და არც თავისი საქონლის გასაღების სანაცვლოდ არ მოითხოვდნენ ადგილობრივ მკვიდრთა ნაწარმებს, რადგან ისინი ევროპელთათვის გამოსადეგნი არ არიან, მათი მცირე მნიშვნელობის და არასრულფასოვნების გამო და მაშინაც, როცა თბილისის ბაზარი აჭრებულია შემოზიდული საქონლით, მეთვალყურის თვალი ამაოდ დაუწყებს ძებნას შინაურ ნაკეთობას ან პროდუქციას, რომელზეც მისი გაცვლა შეიძლებოდეს"[14].

ცხადია, ავტორები საღებავებს რამდენადმე ამუქებდნენ. შეღავათიან ტრანზიტს ქართველთათვის გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მან გამოაცოცხლა ქვეყნის საქალაქო ცხოვრება, ხელი შეუწყო საეაჭრო კაპიტალის ზრდას, გააფართოვა ვაჭართა კომერციები, მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ქვეყნის საერთო ევროპიზაციას, გააძლიერა ცხოვრების ახალი ყაიდა. ამ საფუძველზე კატალიზატორის როლი შეასრულა თავადაზნაურული, ფეოდალური მეურნეობის შემდგომი დაშლის პროცესში და ა. შ.

მაგრამ, ამასთან ერთად, ტრანზიტმა უარყოფითად იმოქმედა ადგილობრივ ხელოსნურ და შინამრეწველურ წარმოებაზე, რომელიც თანდათანობით ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვის გზით ვითარდებოდა, დასცა ისინი და ბიძგი მისცა, ტრანზიტის შემდგომ პერიოდში, ქართული დამმუშავებული მრეწველობის მნიშვნელოვან დაკნინებას და სახეცვლილებას. დააქვეითა მისი როლი საქართველოს, და არა მარტო მის ეკონომიკაში.

ყველა ისტორიული მოვლენა დადებითი და უარყოფითი შედეგების ერთობლიობაა. ამდენად მისი შეფასება, გარკვეული მიმართულებით ამ დადებითი და უარყოფითი შედეგების შეჯერების მიხედვით უნდა მოხდეს. ამ კრიტერიუმით, ჩვენი აზრით, შეღავათიანმა ტრანზიტმა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ

განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. ასეთი შეფასება სრულიად ლოგიკურია: ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილი, მაგრამ აღმავლობის გზაზე მდგარი ქვეყნისათვის (როგორადაც ჩვენ XIX საუკუნის პირველი მესამედის საქართველო მიგვაჩნია), ამ თვალსაზრისით, გაცილებით მაღლა მდგარ ქვეყანასთან თავისუფალი ეკონომიკურ შეჯიბრს მხოლოდ უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

შედავათიან ტრანზიტს, როგორც ითქვა, არაერთი დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ დადებით შედეგებს შეიძლებოდა მართლაც დიდი, პროგრესული როლი შეესრულებია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ეს ქვეყანა კოლონიური, დაპყრობილი კი არა, თავისუფალი, დამოუკიდებელი რომ ყოფილიყო, შედავათიანი ვაჭრობა ჩვენში მფარველობითი პოლიტიკით რომ შეცვლილიყო. ეს ასე არ მოხდა. მისი აღკვეთის შემდეგ საქართველოში იგივე შედავათები ერცელდებოდა აზიურ საქონელზე, ხოლო აზიურის სახით დიდი რაოდენობით შემოდიოდა საგანგებოდ აზიურს მიმსგავსებული, შენიღბული, ინგლისური პროდუქცია. რაც მთავარია, ქართულ პროდუქციას არათანაბარ პირობებში უხდებოდა ბრძოლა რუსულ და ევროპულ ფაბრიკატთან, რომელიც, საქართველოსთან შედარებით, გაცილებით მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველზე იყო დამზადებული. ცხადია, მარცხი გარდაუვალი იყო და ასეც მოხდა.

ტრანზიტის მოქმედება ჩვენში იმ პერიოდში მიმდინარეობდა, როცა ქართველ ვაჭართა დიდი ნაწილი წარმოებასთან იყო დაკავშირებული და ამით, ფაქტობრივად სამრეწველო კაპიტალად იქცეოდა. ტრანზიტმა ვაჭართა ეს ნაწილი მოწყვიტა ჩვეულ საქმიანობას და უცხოურ ბაზართან დაკავშირებით მოგების გაცილებით ფართო შესაძლებლობები გადაუშალა. შემდგომში ქართველი ვაჭრები ძველ საქმიანობას აღარ დაუბრუნდნენ. მათ კომერციის ახლადგაკაფული, გაცილებით იოლი და მომგებიანი გზა აირჩიეს. ქართველ ვაჭართა წარმოებისგან ჩამოცილებას მოჰყვა კავკასიაში უცხოური ფაბრიკული იაფი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის შემოდინება. საქართველოდან ეს პროდუქცია კავკასიის რეგიონსაც მოედო და ხშირად, აკრძალვის მიუხედავად, რუსეთის ბაზარსაც კი აღწევდა. საქართველომ კავკასიისათვის საფეიქრო, განსაკუთრებით ბამბეულის ქსოვილების, მიმწოდებლის, ფუნქცია დაკარგა.

ტრანზიტმა დასახული ამოცანებიდან ერთ-ეროი წარმატებით შეასრულა: ქართული და, შესაბამისად კავკასიური ბაზარი ევროპული და რუსული საქონლისათვის გაიწმინდა.

საქართველოში საფეიქრო წარმოება უცხოური ნაწარმის შემოდინების კვალდაკვალ თანდათან მცირდებოდა და მის პროდუქციაში წინა პლანზე ნახევარფაბრიკატის წარმოება გადმოვიდა. ეს კარგად ჩანს საქართველოდან გატანილი პროდუქციის დინამიკის მაგალითზე.

მაგალითად, 1822 წელს ეელისკიხელ ვაჭარს რუსეთში დიდი რაოდენობით (რამდენიმე ასეული თოფი) ბამბის ნართი მიაქვს[15]. ამვვარი საქონლის გადატანა მატულობს კახეთის სხვა ადგილებიდანაც[16], გორიდან[17] და ა. შ.

მიუხედავად უცხოური ნაწარმის უხვად შემოსელისა რუსეთის სასაზღვრო ზოლებში, საფეიქრო წარმოების განვითარების შესაბამისად, საქართველოდან გატანილ საქონელში წამყვან ადგილს ბამბა და ნართი იკავებს[18].

ამრიგად, რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ, რაც ამჯერად შედავათიანი ტრანზიტის მოქმედებაში გამოიხატა, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ქართულ საფეიქრო და სხვა წარმოებას და, შესაბამისად, ადგილობრივ ნიადაგზე ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებას.

პროექტები კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განსახორციელებლად. 20-იანი წლების ბოლოსათვის რუსეთმა ძლევამოსილად დაამთავრა ომები კავკასიაში თავის ძირითად მოწინააღმდეგეებთან – ირანთან და თურქეთთან, რითაც არსებითად დაასრულა ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობა. ახლა დადგა დრო მისი ეკონომიკური დაპყრობისთვისაც ეზრუნა. აქ საჭირო იყო

განსაზღვრულიყო მკაფიო პოზიცია – რა მიმართულებით და რა საშუალებებით უნდა განხორციელებულიყო ეს. თანაც, თუ შეერთებამდე ამას ერთგვარად შენიღბულად, არა აშკარად, მიანიშნებდნენ, ახლა ცარიზმის მესვეურებმა ნიღაბი ჩამოიხსნეს და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვეს.

ზემოთ უკვე გაკერით აღინიშნა ის ძირითადი კოლონიური მიზნები, რასაც რუსეთი საქართველოს მიმართ გეგმავდა. ახლა საკითხი ამ გეგმის პრაქტიკულ განხორციელებას შეეხო.

„ქარხნებისა და ფაბრიკების დამაარსებელთათვის, ზოგიერთი პრივილეგიის მინიჭება საეჭვოა რომ საჭირო იყოს, რადგან მე გადაწყვეტილად მიმაჩნია საკითხი – საქართველოში ფაბრიკების და ქარხნების... წახალისების სარგებლიანობის შესახებ. განა არ უნდა ეუყურებდეთ საქართველოს როგორც კოლონიას? რომელიც ჩვენს ფაბრიკებს მიაწვდიდა ნედლ მასალას (აბრეშუმს, ბამბას და სხვ.), ხოლო რუსეთიდან მიიღებდა მანუფაქტურულ ნაკეთობას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში ასეთი მანუფაქტურების დაარსებით ბუნებრივად ხომ არ შესუსტდება მისი კავშირი რუსეთთან?“[19]. წერდა მთავარმართებელი პასკევიჩი 1830 წელს ფინანსთა მინისტრს კანკრინს.

ამ პოზიციას ეხმაურებოდა და გარკვეულად აზუსტებდა სენატორი განი. იგი ეთანხმებოდა რა საქართველოს კოლონიურ სტატუსს რუსეთის შემადგენლობაში, რეკომენდაციას იძლეოდა მეურნეობის რა დარგების ხელშეწყობა იქნებოდა აქ მიზანშეწონილი. სენატორი განი ფიქრობდა, რომ „საქართველოში, და საერთოდ ამიერკავკასიაში, უნდა განვითარდეს მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობა. ფაბრიკების და მანუფაქტორების დაარსება აქ ძალას წაართმევს და შეასუსტებს სოფლის მეურნეობის განვითარებას... ზიანს მიაყენებს რუსეთის მრეწველობას და ვაჭრობას. რაც შეეხება ამიერკავკასიაში მოყვანილ ნედლეულს, მისი გამოყენება და გადამუშავება მხოლოდ რუსეთის მრეწველობას შეუძლია“, ხოლო იქ გადამუშავებული ნედლეული, ანუ ფაბრიკატი როგორც ავტორი ფიქრობდა, უნდა მიეღო საქართველოს და ამიერკავკასიას[20].

პროექტი არაერთი იყო. მათი უმრავლესობა ხელისუფლებას ურჩევდა მთავარი ყურადღება სოფლის მეურნეობის, ანუ კოლონიაში ცხელი ქვეყნების (ტროპიკული) მცენარეების გაშენებისათვის მიექცია.

საკითხზე თავისი შეხედულება გამოკვეთა ცნობილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ა. ჭავჭავაძემ თავის ნაშრომში „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-1831 წლამდე“. აქ აღნიშნულია ის უდიდესი სარგებელი, რაც რუსეთმა საქართველოს შემოერთებით მიიღო. ამასთან, ის უმწვავესი ტკივილი, რაც რუსეთის სამხედრო ანექსიის შედეგად, ქართველმა ხალხმა განიცადა. აღნიშნავს რა, რომ „კავკასია ფრიად მნიშვნელოვანია რუსეთისათვის საფინანსო მხარით, თავის უზომო სტატისტიკური საშუალებებით და ვაჭრობის დარგებით“[21]. შემდეგ (ნაშრომის ბოლოს) ავტორი ცდილობს გააქარწყლოს ის მოარული აზრი, რომ ქვეყნის კოლონიზაცია აუცილებელია დასახული სასოფლო სამეურნეო ამოცანების განსახორციელებლად. „კავკასიაში, აღნიშნავს ა. ჭავჭავაძე – ფრიად ნაკლებია დასამუშავებლად გამოუსადეგარი მიწები, მათ უმრავლესობაზე შესაძლებელია ტროპიკულ მცენარეთა გაშენებაც კი. მაგრამ მის ნაყოფიერ სიერცესთან შედარებით, მუშახელის ნაკლებობა ფრიად გასაოცარია. რუსეთიდან მიწათმოქმედთა გადმოსახლება ვერ დააკმაყოფილებს უმთავრეს მიზანს, ვინაიდან ისინი ვერ შეძლებენ ტროპიკულ კულტურათა დამუშავებას, რომლებიც ხარობენ ჩრდილოელ მცხოვრებთათვის დამლუპველ, ფრიად სიცხიან ადგილებში. ამ სასარგებლო საქმისათვის ადგილობრივი მცხოვრებლები უნდა გამოვიყენოთ“. შემდეგ კი იმედს გამოთქვამს, რომ „მრეწველობა, რომლის კვალიც კი გამქრალია, გამუდმებული ომიანობის გამო, საბოლოო მშვიდობიანობის დამყარებისთანავე ველავ აღორძინდება“[22] და სხვ. ავტორის მოსაზრებებისათვის მთავრობას, ფაქტობრივად, ყურადღება არ მიუქცევია.

საქართველოს კოლონიალური მოწყობის თაობაზე პროექტების და მოსაზრებების სიმრავლეში, ერთგვარი დემოკრატიულობით გამოირჩევა გრიბოედოვისა და ზავილეისკის პროექტი. მასში, მეტნაკლებად, თითქოს გათვალისწინებულია არა მარტო მეტროპოლიის, არამედ ქართველი ხალხის ინტერესებიც. პროექტის ზუსტი სახელია „რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის" დაფუძნების პროექტი"[23], თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რუსეთის ფაბრიკების სანედლეულო ბაზად გადაქცევას გრიბოედოვ-ზავილეისკის პროექტიც ითვალისწინებდა: „რუსებმა – წერდნენ ავტორები – რომლებმაც გადალახეს კავკასიონი, უპირატესად ი'სრუნეს იმაზე, რომ მაგრად მოეკიდათ ფეხი საქართველოში, რომელმაც თვით ითხოვა ჩვენი მონარქების მფარველობა და სახანოებში, რომლებიც მოპოვებულნი არიან იმპერიის იარაღით ... შეიძლება თუ არა, რომ ბუნებრივმა სიმდიდრემ დააყენოს ეს მხარე განათლებისა და კეთილდღეობის საპატიო საფეხურზე და ამით სარგებლობა მოუტანოს მთელ სახელმწიფოს?

ამაზე შეიძლება დაბეჯითებით დადებითი პასუხი იყოს. ამიერკავკასიის ბუნებრივი ნაწარმი იმდენად მრავალფეროვანი და მდიდარია, რომ ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ამოვირჩიოთ ისინი, რომელთა დამუშავება ყველაზე სასარგებლო იქნება. მათგან უმრავლესს შეადგენენ: ღვინო, აბრეშუმი, ბამბა, ენდრო, ბუღენდი და სხვ. საღებავები, აგრეთვე, სამკურნალო მცენარეები და თამბაქო. ამასთანავე შაქრის ლერწამის და ძველთაგანვე აქ ცნობილი ზეთის ხილის გაშენებამ და ბოლოს ქიშმირის მატყლმა შეიძლება დაბადონ მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები. ცხელი ჰავის ყველა ნაწარმი უდიდესი წარმატებით შეიძლება აქ შეითვისოს მხარემ[24]".

რუსული კოლონიური პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში

კოლონიური პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის სირთულეები. საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის მიერ თავის ძირითად საბატონო ეალდებულებებზე დამატებითი, სამხედრო ბეგარა-გადასახადების სრულიად თვითნებურად შეწყვეტამ, მნიშვნელოვნად დაამძიმა ქართველი გლეხობის მდგომარეობა. განადგურდა სასოფლო მეურნეობა, ტრანსპორტი, საჭაპანო საშუალებები; მნიშვნელოვნად შემცირდა თვით გლეხობის რაოდენობა. გაუთავებელ ბეგარა-გადასახადებში, არაადამიანურ მოპყრობაში, ქვეყნის ერთი ნაწილიდან მეორეში განუწყვეტელ მოძრაობაში, ნადგურდებოდა ადამიანური რესურსები. ომი სოფლის მეურნეობის პლანტაციებსაც ანადგურებდა. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ გლეხობას საშუალება არ ჰქონდა ხვნა-თესვის ჩვეული დონე შეენარჩუნებინა და წლიური მინიმალური შემოსავალი მაინც მიეღო.

ასეთ ვითარებაში, რუსეთის სამხედრო ნაწილების გაუთავებელი ზრდის პირობებში, ხელისუფლებას ვერაფრით ვერ დააკმაყოფილებდა პურის ის მოსავალი, რასაც ქართველი გლეხობა იღებდა. სამხედრო ბეგარით კი პურს საბაზრო ფასებზე გაცილებით იაფად ართმევდნენ. ამის გამო, როგორც აღინიშნა, წინააღმდეგობა მოსახლეობასა და გადასახადების ამკრეფთა შორის უკიდურესად იძაბებოდა.

1801-1805 წლებში საქართველოში შეგროვდა 16 ათასამდე ჩეტვერტი ანუ დაახლოებით 112 ათასამდე ფუთი პური. ჯარის მესანახად კი 282000 ჩეტვერტი ანუ დაახლოებით ორ მილიონამდე ფუთი პური და ბურღული იყო საჭირო. როგორც ირკვევა, 83.000 ჩეტვერტი ანუ 581 ათასი ფუთი კავკასიიდან და რუსეთიდან შემოდიოდა. რაკი ეს ყველაფერი საკმარისი არ იყო, მოსახლეობისგან რეკ-

ვიზიციის წესით, შეზღუდვით, ძალადობით და რეპრესიებით დამატებით მილიონ ორასოთხმოციათასი ფუთი პური და ბურღული გროვდებოდა.

შემდეგ, 1806-1809 წლებში რუსეთის ჯარის რაოდენობა საქართველოში ორჯერ გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა შეწერილი მარცველეულის რაოდენობა. ეს ოდენობა შემდგომ წლებში სულ უფრო მატულობდა, რისი დაკმაყოფილებაც გაჩანაგებულ ქართულ სოფლის მეურნეობას არ შეეძლო. ნათესების გაფართოების მატერიალური შესაძლებლობა არ არსებობდა, წლების განმავლობაში კი ერთი და იმავე კულტურის თესვით, ნიადაგი იფიტებოდა, მოსავლიანობა ეცემოდა.

მაგრამ ეს გარემოება კოლონიურ ხელისუფლებას ნაკლებად აღელვებდა. მისთვის მთავარი იყო საქართველოს წარმატებით შეესრულებინა კოლონიური მისია: ჯარის სურსათით მომარაგებასთან ერთად მეტროპოლიის მეურნეობისთვის ნედლეულის მიწოდებისა და რუსული მზა პროდუქციის გასაღებისა. ხელისუფლება ამ მიმართულებით გეგმებს სახავდა და პროექტებს ამუშავებდა.

თბილისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ სიკიაგინის აზრით, საქართველო და საერთოდ ამიერკავკასია, იმ დროს უკვე რუსეთის პროვინციები, „შეადგენენ ნედლ მასალათა ამოუწურავ წყაროს და ჩვენ (რუსეთს – ავტ.) ამ მხრივ არასოდეს არ დაგჭირდება უცხო ქვეყნები, თუ მათ აღმოჩენას სათანადო ყურადღება მიექცევა. საქართველოს საუცხოო კლიმატი, ჩინებული ნიადაგი და ბუნების მდიდარი ნაყოფი აქ უხვად აჯილდოვებს შრომას“.

ამ აზრს უფრო გახსნილად და შეუნიღბავად აცხადებდა იმპერიის ფინანსთა მინისტრი კანკრინი: „ამიერკავკასიის პროვინციები, არაუსაფუძველოდ, შეიძლება იწოდოს ჩვენს კოლონიად, რომელმაც სახელმწიფოს სამხრეთის პავის ნაყოფებით ფრიად მნიშვნელოვანი სარგებელი უნდა მოუტანოს. თუმცა აქამდე ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა, რამდენადაც დროის ამდენადვე, სხვა მიზეზების (ანუ ომების, აჯანყებების და სხვ. სირთულეების – ავტ.) გამოც“.

რაკი უდავო იყო, რომ საქართველოს ფუნქცია მეტროპოლიის ეკონომიკაში ძირითადად თბილი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ნედლეულის მიწოდებით უნდა განსაზღვრულიყო, ბუნებრივია, წინა პლანზე წამოიწია სოფლის მეურნეობამ. თუმცა ხშირად აქვე იგულისხმებოდა ნედლეულის პირველადი გადამუშავება, ანუ ნახევარფაბრიკატის დამზადებაც.

რუსული მრეწველობისათვის საჭირო კულტურათა სიმრავლეში მთავარი ყურადღება იმ დარგებს მიექცათ, რომელთა მოყვანისა და გადამუშავების ტრადიცია საქართველოში, მეტნაკლებად, არსებობდა. ეს იყო ღვინო, აბრეშუმი, ბამბა, საღებავი კულტურები, თამბაქო და ა. შ. ძირითადი ყურადღება უნდა მიქცეოდა არა მოყვანილ ცალკეულ კულტურათა რაოდენობას, არამედ მის ხარისხს, რაც ევროპული ნაწარმისათვის საჭირო კონდიციებს უნდა შესაბამებოდა.

წამყვანი პოზიცია ამ საქმეში გამოცდილების მქონე, ინიციატივიან ქართველ მემამულეებს და საკმაო გამოცდილებისა და ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე გლეხებს უნდა დაეკავებინათ.

მეღვინეობა. მეტროპოლიის ეკონომიკის მესვეურთა მიერ საქართველოსადმი რეკომენდირებულ კულტურათა შორის ყველაზე ადვილად განსახორციელებელი და აპრობირებული მეღვინეობა იყო.

ქართველი კაცისათვის ღვინო საუკუნეთა მანძილზე რაციონის ძირითად შემადგენლად ითვლებოდა. ამიტომ ქართველი გლეხი და მევენახეობა განუყრელი იყო. პირად მოხმარებასთან ერთად, მევენახეობის პროდუქციას სასაქონლო მნიშვნელობა ოდითგანვე ჰქონდა.

მაგრამ ახლა, კოლონიური მიზნების გათვალისწინებით, მეღვინეობის განვითარება რამდენადმე განსხვავებული მიმართულებით უნდა წასულიყო; რუსული და უცხოური ბაზარი წარმატებით რომ აეთვისებინა, ქართული ღვინო გან-

სხვეებული, ევროპული, წესით უნდა დამზადებულიყო. შესაბამისად უნდა წარმართულიყო ვენახის მოვლის საქმეც.

ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ამ საქმის აქტუალობა დაინახა და მას ევროპულად მიუდგა ცნობილი ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე და პროგრესისტი, ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო[25].

ქართველმა თავადაზნაურობამ ადვილად როდი აიტაცა მოწინავე მეურნეთა მაგალითი. ხშირად ამგვარი სულისკვეთება დაცინვის საგანიც კი იყო (მაგალითად, გ. ერისთავის შემოქმედება). მაგრამ პროგრესული ნაწილი საქმეს შემოქმედებითად მიუდგა. მათ'ში ერთ-ერთი პირველი იყო ახალი თავადი სოლომონ გურგენიძე, რომელმაც უკვე 1832-33 წლებში, თავის მამულ'ში უკანასკნელი მოთხოვნის დონეზე გააშენა ზერები. მის მიერ გაშენებული ვენახიდან იგი დიდებულ ღვინოს აყენებდა. მოწვეული ოსტატების მეშვეობით, დაამზადა სხვადასხვა ზომის კასრი[26]. იგი დაუკავშირდა რუსეთის კომერციულ წრეებს, რათა იქ თავის ღვინის უწყვეტი გასაღება უზრუნველყო[27].

ღვინის დაყენების საქმე თავის სოფელ კარდანახში მაღალ დონეზე განავითარა დიმ. აფხაზმა. მისი დაყენებული ღვინო ხშირად მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენებში და წარმატებასაც აღწევდა.

ყურადღებას იქცევს დიმ. აფხაზის მეურნეობის ივ. კერესელიძისეული აღწერა: „აფხაზის ჩამომაველის თ. დიმიტრის თავისი მეცადინეობით და მხნეობით ისეთი ზვარი გაუკეთებია თავისის მცირე ვენახითგან, სხვა მხრით **მიმატებულ მამულთაგან** (ხაზი ჩვენია – მ. ს.), რომ მთელს წინა მხრის კუთხეში კაცი უკეთესს ვერას ნახავს"[28]. ყურადღებას იქცევს ავტორის მინიშნება, რომ აფხა'ზმა თავის მცირე ვენახს სხვაც მიუმატა – საინტერესოა მან სხვა მემამულეებიც (ან გლეხები?) ხომ არ შეიამხანაგა და ერთგვარი კოოპერატივი მოაწყო? ამ აზრის გასამაგრებლად ჩვენ სათანადო მასალა არ გვაქვს. ის კი აშკარაა, რომ ივ. კერესელიძე უკმაყოფილოა იმით, რომ სხვა მემამულეები აფხაზის მაგალითს ნაკლებად იზიარებენ: „ძალიან კარგი იქნებოდა – წერს იგი, რომ ზოგიერთს გარემო სოფლების მებატონეებს მიებაძათ ამ მამულის მაგალითისათვის"[29].

ვენახის პროგრესული წესით გაშენებას ხელი მიჰყო ბარონმა ნიკოლაიმ და მნიშვნელოვანი წარმატებაც მოიპოვა[30].

როგორც ივ. კერესელიძის შენიშვნიდან ჩანს, მემამულეთა უმეტესი ნაწილი არ ჩაერთო ღვინის ახლებურ წარმოებაში. ჩვენი ფიქრით, ამის ერთ-ერთი (შეიძლება მთავარიც) მიზეზი ის იყო, რომ კოლონიური ხელისუფლება ნაკლებად ახალისებდა მეღვინეობას საქართველოში, რადგან ეს მეურნეობა მიმართული იყო არა ნახევარფაბრიკატის, არამედ დასრულებული პროდუქციის წარმოებისკენ, რომელსაც რუსული ბაზარი უნდა დაეკავებინა. ეს კი არ შეღიოდა ხელისუფლების პროგრამა'ში. ჩვენ ეფიქრობდით, რომ სწორედ ამის მი'ზეზი იყო ის, რომ მთავრობამ მეურნეობის გაფართოებისათვის მოთხოვნილი სესხი არ მისცა სოლომონ გურგენიძეს[31]. ისიც არაა შემთხვევითი, რომ სოლომონ გურგენიძეს, რომელსაც უჭირდა დიდი რაოდენობით ღვინის რუსეთის ბაზარზე გასაღება, მხარს უჭერდნენ (ეხმარებოდნენ) თელავის მაზრის მემამულეები და გლეხები (რაც თავისთავად სოლომონ გურგენიძის წამოწყებასთან მათ კავშირზე მიუთითებს) და მთავრობას სთხოვდნენ, დახმარებოდა მას, რათა რუსეთში ღვინის „მუდმივი გასაღება" მოეწყო, მაგრამ უშედეგოდ[32].

ღვინის დაყენების საქმეში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია შორაპნელმა მემამ'ულემ კონსტანტინე ერისთავმა, მაგრამ მთავრობის ყურადღება ვერც მან მიიქცია, ისევე როგორც ო'სურგეთელმა მემამულემ მებურიშვილმა.

აბრეშუმის კულტურა. განსხვავებული ვითარება იყო აგრეთვე კოლონიური ხელისუფლების მიერ რეკომენდებული კულტურის – აბრე'შუმთან დაკავშირებით. ამ კულტურის მ'ხა პროდუქციის წარმოებას საქართველო'ში მეტად ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. განსახილველ ეპოქაში XVIII-XIX სს. დასაწყის'ში მან სასაქონ-

ლო ხასიათი მიიღო და წარმატებით საღდებოდა როგორც ქვეყნის შიდა ბაზარზე, ისე მის გარეთაც. კერძოდ, საქართველოს მეზობელ პროვინციებში და რუსეთის შიდა გუბერნიებშიც კი მნიშვნელოვანი რაოდენობით გადიოდა აბრეშუმის მზა ნაწარმი: ტაფტა, დარაია, იმერული ნახევარტაფტა და ა. შ. ცხადია გარკვეული რაოდენობით პარკი და ძაფიც.

კავკასიაში გატარებულმა რუსეთის სავაჭრო ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელშიც შეღავათიან ტრანზიტს წამყვანი ადგილი ეჭირა, და რომელმაც გზა გაუხსნა ქვეყანაში უცხოური, ფაბრიკული მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პროდუქციის თავისუფალ შემოდინებას, ფაქტობრივად ჩაკლა აღნიშნული მზა პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანის მიზნით წარმოება და მეურნეობა მთლიანად ნედლეულის დამზადებაზე გადაიყვანა.

ასეთ ვითარებაში ადგილობრივმა მეურნეებმა ადვილად აიტაცეს კოლონიური ხელისუფლების რეკომენდაცია ნედლი აბრეშუმის დამზადების თაობაზე.

ახლებურად მოწყობილი დიდი მეურნეობები, აღ. ჭავჭავაძის იქნებოდა ეს სოლომონ გურგენიძის თუ სხვათა, ჩვეულებრივ არ ემაყოფილდებოდნენ მონო კულტურების გაშენებით და ცდილობდნენ მრავალდარგოვანი მეურნეობები ჰქონოდათ. ასეთი მეურნეობები უფრო საინტერესო სამართავი იყო და, რაც მთავარია, მოსავლიანობის თვალსაზრისით უფრო გარანტირებულიც.

აღინიშნა, რომ აბრეშუმის მოყვანა ხორციელდებოდა სოლომონ გურგენიძის მეურნეობაშიც. სხვათა შორის, როგორც ამ, ისე სხვა შემთხვევაში, საბუთებიდან არ ჩანს ამა თუ იმ კულტურების მოცულობა (მოსავლიანობა) სამაგიეროდ ვიცით, რომ აბრეშუმის ძაფის გამოსაყვანად მას მეურნეობაში ორი მანქანა ჰქონდა.

1839 წელს სიღნაღელმა მეურნემ დავით აფხაზმა 400 დესეტინა მიწის გადაცემა მოითხოვა. ფაქტობრივად მას მხოლოდ 70 დესეტინა მისცეს, ისიც, ეფიქრობთ, იმის გამო, რომ იგი აქ აბრეშუმთან ერთად ინდიგოს მოყვანასაც გეგმავდა, რისთვისაც პლანტაციები გააშენა[33].

აბრეშუმის მეურნეობას, როგორც ჩანს, ფართოდ ეწეოდა შორაპნელი მემამულე კონსტანტინე ერისთავი, რომელსაც 2000 ძირი თუთის ხე ჰქონდა.

ჩვენ არ ვიცით, მიიღო თუ არა მთავრობისაგან რაიმე ხელშეწყობა კონსტანტინე ერისთავმა, ასევე ოზურგეთელმა მემამულე ბებურიშვილმა, რომელიც თავისი მეურნეობის გასამართავად, სადაც წამყვანი პოზიცია მეაბრეშუმეობას ეკავა, 4000 მან. სესხს ითხოვდა და ამ კულტურის გასაფითარებლად, 1500-2000 თუთის ხის დარგვას გეგმავდა[34].

მეურნეობის ახლებურად წარმართვით გამოირჩეოდნენ კახელი მემამულეები: ზაქარია, მიხეილ და დონიკ ანდრონიკაშვილები. თითოეული მათგანი სხვა კულტურებთან ერთად აბრეშუმის პარკის მოწევითაც იყო დაკავებული და საამისოდ სესხსაც იღებდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალები საშუალებას არ იძლევა თითოეულის მეურნეობის მასშტაბი განვსაზღვროთ. ამის ერთად-ერთ მეთოდად თუთის პლანტაციების გაერცელება და მოცულობა შეიძლება გამოდგეს.

არსებობს ცნობა, რომ ჩამოთვლილთაგან ზაქარია ანდრონიკაშვილს თუთის 2500 ხე ჰქონდა გაშენებული. ეს მას საკმარისად არ მიაჩნდა და დამატებითი პლანტაციის გასაშენებლად 3000 მანეთის სესხს ითხოვდა 12 წლით.

გაზეთი „გუთნის დედა" დიდ ყურადღებას უთმობდა ქვეყანაში კოლონიური კულტურების განვითარების პროცესს და, ბუნებრივია, აქ აბრეშუმი წამყვან პოზიციას იკავებდა. გაზეთი აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებამ, ხელი შეუწყო, აბრეშუმის, ისევე როგორც სხვა კულტურების, განვითარებას[35].

ქართველი მემამულეები აბრეშუმის მოყვანაში საქმეს შემოქმედებითად უდგებოდნენ. ითვისებდნენ ამ კულტურის მოყვანის განსხვავებულ წესებს. მაგალითად ნუხაში დამკვიდრებული წესის გადმოღებას აპირებდნენ დიმიტრი აფხაზი, სოლომონ და იოანე ანდრონიკაშვილები. ამავე წესით ხელმძღვანელობდა კახე-

თის გალმა მხარეში სვიმონ ანდრონიკაშვილი, რომელსაც 30000 თუთის ხე ჰქონდა დარგული. ე. ი. საკმაოდ ერცელ მეურნეობას უძღვებოდა[36].

სოლომონ იეანეს ძე ანდრონიკაშვილს მეაბრეშუმეობის ამხანაგობის შექმნაც კი უცდია, რისთვისაც რამდენიმე მემამულეს დაკავშირებია. თუმცა საბოლოოდ საქმე ჩაიშალა.

ამგვარი მაგალითების მოძიება არაერთის შეიძლება. აშკარაა, რომ ქართველი მემამულეები დაინტერესდნენ აბრეშუმის, ისევე როგორც სხვა კულტურების, მოყვანით და ენერგიულად მოჰკიდეს საქმეს ხელი. ჩვენ საშუალება არა გვაქვს დავადგინოთ რა წელილი შეჰქონდა ქართული აბრეშუმის მწარმოებლებს აღნიშნული კულტურით მეტრიპოლიის მრეწველობის მომარაგებაში, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ეს საქმის დასაწყისი იყო და იგი თანდათან მეტ გაერცელებას მოითხოვდა.

როდესაც ნედლი აბრეშუმის და მისი პროდუქციით, კოლონიურ დაინტერესებასა და რუსეთში გატანაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ პროცესს ადგილი ჰქონდა არაუგიანეს XVIII ს. II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში.

ამასთან, ეს ვაჭრობა ხორციელდებოდა საოჯახო პირობებში დამზადებული (შინაური) აბრეშუმით, მისი გატანა კი ვაჭართა შესყიდვების მეშვეობით წარმოებდა. ანუ უკანასკნელნი, ან მათი აგენტები დადიოდნენ გლეხურ მეურნეობებში, ყიდულობდნენ ნაწარმს (შეიძლება ეს წინასწარი შეკვეთითაც ხდებოდა), აგროვებდნენ მას და შემდეგ გაჰქონდათ შინაურ თუ გარე ბაზარზე.

როგორც ენახეთ, ვაჭართა მნიშვნელოვანი ნაწილი შეღავათიანი ტრანზიტის და მის მომდევნო პერიოდში, ევროპული ვაჭრობის მომსახურებაზე გადავიდა, რაც მზა ნაწარმის შემოტანასა და რეგიონში თუ მის ფარგლებს გარეთ გატანაშიც გამოიხატა.

გასარკვევია ამ ფაქტმა დაახშო თუ არა ოჯახური წარმოებისათვის აღგილობრივი ბაზრები. ეს კითხვა მით უფრო კანონსომიერია, რომ აღნიშნულ პროდუქციის გატანა, ცხადია ნახევარფაბრიკატების ფორმით, ანუ პარკისა და ამოხვეულისა, უფრო გვიან პერიოდშიც ხორციელდებოდა. მაშასადამე აშკარაა, რომ გლეხურ მეურნეობებში აბრეშუმის დამზადებას ადგილი ჰქონდა არა მარტო საკუთარი მოხმარებისათვის, არამედ გასატანადაც. გასარკვევი მხოლოდ ის არის, თუ, კოლონიური პოლიტიკის ზეგავლენით, რამდენად განიცადა აღნიშნულმა წესმა ცვლილება მისი გაუმჯობესების თვალსაზრისით, რამდენად ინტენსიური იყო ამ საქმეში ვაჭარ შემსყიდველთა მონაწილეობა.

სამწუხაროდ, ამ პრობლემაზე ჯერჯერობით მასალა ნაკლებად მოგვეპოვება. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან რუსული ფაბრიკულ ნაწარმზე არსებითი გავლენა რომ მოეხდინა, ცალკეულ მემამულეთა მიერ გამომუშავებული პროდუქცია მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ არა საკმარისი იქნებოდა, მასში გლეხობის დიდ ნაწილის აქტიური მონაწილეობის გარეშე.

მეთამბაქოეობა. ლვინოსა და აბრეშუმთან ერთად ქართველ მემამულეთა საქმიანობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა თამბაქო, რასაც ჩვენს ქვეყანაში ამ კულტურის კარგი ხარისხი და მოსავლიანობა განაპირობებდა, რა თქმა უნდა, შესაბამისი აგროკულტურების მეცნიერული გამოყენების საფუძველზე.

კახელი მემამულეები ზაქარია, მიხეილ და დონიკ ანდრონიკაშვილები პოლიკულტურის მოყვანას რომ ეწეოდნენ, მათ მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი თამბაქოსაც ეჭირა და საამისოდ მთავრობისგან სათანადო დახმარებას ითხოვდნენ. მიხეილ ანდრონიკაშვილს თურმე პირველს უცდია და წარმატებითაც, კახეთში თურქული ჯიშის თამბაქოს გაშენება[37]. როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, ტრაპიზონის ჯიშის თამბაქო, ალაზნის პირას დონიკ ანდრონიკაშვილსაც გაუშენებია და როგორც თქვამდნენ, მისი პროდუქცია არაფრით არ ჩამოუვარდებოდა თურქულს. ამასთან მიიჩნევდნენ, რომ ჩარს ვაჭრების ჩარეკვის გამო, მემამულე იძულებული იყო თავისი პროდუქცია შედარებით იაფად (ფუთი მანე-

თად) გაეყიდა; თამბაქოზე დიდი მოთხოვნილების გამო ვაჭარ გადამყიდველებს უცდიათ. ამ საქმეზე კონტროლი დაეწესებიათ. ისინი შეძენილ პროდუქციას წერილ გადამყიდველებზე ყიდდნენ და ამით ფასს კიდევ უფრო ზრდიდნენ. 50-იან წლებში ქართველ მემამულეებს 5000 ფუთი თამბაქო დაუმზადებიათ, ამასთან წინა წელთან შედარებით უკეთესი ხარისხისა[38].

იმავე ხანებში განსაკუთრებით მაღალი ხარისხის თამბაქო სოლომონ ანდრონიკაშვილს მოუყვანია, მას ეს საქმე ჯერ კიდევ 1848 წელს დაუწყია და თანდათან აუმჯობესებდა.

სხვა მემამულეთაგან განსხვავებით მიხეილ ანდრონიკაშვილი თურმე უფრო დაბალი ჯიშის თამბაქოს – ე. წ. „მახორკას" აშენებდა და კარგ შემოსავალსაც ნახულობდა. მეურნეობის წარმატებისათვის მას, ისევე როგორც სხვებსაც, თურქეთიდან ჩამოყვანილი სპეციალისტები ეხმარებოდნენ. მეთამბაქოეობაში მანქანების გამოყენების საკითხიც იდგა[39].

თამბაქოს გაშენება გავრცელებული ყოფილა დასავლეთ საქართველოშიც, სადაც, სხვა კულტურებთან ერთად, მის მოყვანას ინტენსიურად და წარმატებით ალექსანდრე ნაკაშიძე ეწეოდა. აღნიშნულ მეურნეობას მნიშვნელოვნად აფერხებდა თავისუფალი მუშახელის ნაკლებობა. 1864 წლის საგლეხო რეფორმამ ეს საკითხი გადაწყვიტა[40].

წარმატებული და საიმედო მეურნეობის ჩამოყალიბებისათვის ამ მემამულეს ჯერ კიდევ 1861 წელს მისცეს სესხი, 10000 მან., რაც მან რაციონალურად გამოიყენა.

მეურნეობის სხვა დარგები. ჩვენ შევეცადეთ დაგვეფიქსირებია ისეთი სამეურნეო ცდები, თუ წამოწყებები, საქართველოს სოფლის მეურნეობაში, რომელმაც მეტ-ნაკლებად კოლონიური ხელისუფლების ყურადღება მიიქციეს და გარკვეული მხარდაჭერაც მოიპოვეს. შესაბამისად, ფეხი მოიკიდეს საქართველოს სოფლის მეურნეობაში, რაზეც გარკვეული გაელენა მათი განვითარების ტრადიციულობამაც იქონია.

ჩამონათვალი იმ დარგებისა, რომელზეც კოლონიურმა მთავრობამ ყურადღება გაამახვილა ზემოთ აღწერილთან შედარებით, გაცილებით ერცელია. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ენდროს და ინდიგოს. ენდროს მოყვანა საქართველოში (ყოველ შემთხვევაში ისტორიულ საბუთებში) დაფიქსირებული არ არის. ფიქსირდება ენდროს (უნდა ვიფიქროთ ველური) კუსტარული მოპოვება.

ჯერ კიდევ 1845 წელს ენდროს მოშენება დაიწყო ა. ჭავჭავაძის სიძემ ბარონმა ნიკოლაიმ. ამ საქმეში გერმანელი სპეციალისტი დაიხმარა და მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა. 1851 წელს მან ახალი წესით დაიწყო ამ კულტურის მოშენება, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მიიღო და სხვა ნაკვეთზე გადაიტანა, სადაც წარმატებული შედეგი ჰქონდა[41]. ენდროს მოყვანის ცდები სოლ. ანდრონიკაშვილმაც ჩაატარა.

ოზურგეთელი მემამულე ბებურიშვილი სხვა კულტურებთან ერთად ენდროს და ინდიგოს მოყვანასაც ცდილობდა. 50-იან წლებში გორელი მემამულე სულხანიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საღებავი კულტურების მოყვანას[42].

მნიშვნელოვანი იყო წამოწყებები მებამბეობის, მეფუტკრეობის და სხვა კულტურების განვითარების საქმეში.

აქ მოტანილი მასალები, როგორც ვნახეთ, ხშირად თბილი ქვეყნების, ზოგჯერ საქართველოსათვის ნაკლებად ცნობილ კულტურებს ეხება. აქ მემამულეთა წარმატების ხარისხი განსხვავებული იყო. ზოგმა მათგანმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოს სოფლის მეურნეობაში და წამყვანი ადგილიც დაიჭირა.

რაც შეეხება კოლონიურ მთავრობას, სიტყვიერად იგი უხვი დაპირებებით კვებავდა კოლონიური კულტურების მოყვანისათვის გარჯილ საქმოსნებს, მაგრამ მიიჩნეოდა, რომ წამოწყება მათ ძირითადად საკუთარი ხარჯით უნდა წარემართათ და დახმარებას მხოლოდ იმას აღმოუჩენდა ხოლმე, ვინც საქმით დაამტკიცებდა წამოწ-

ების სიცოცხლისუნარიანობას. ჩვენ აქ ყველა წამოწყებას არ შეეხეთ, რადგან უმრავლესობა უდღეური გამოდგა, თუმცალა შეეცადეთ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება და მისი შედეგები გვეჩვენებინა.

---

1. М. Чулков, Исторические описание Российской комерции..., т. VII, кн. II, ч. 3. СПб., 1788 г., გვ. 282.
2. Документы по взаимоотношению Грузии с Северним Кавказом в XVI в. Тб., 1962, გვ. 255-256, 258, 259.
3. იქვე, გვ. 222, 227-228.
4. С. Броневский, Новейшие географические и статистические сведения о Кавказе, М., 1923 г., გვ. 213.
5. მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, თბ., 1980, გვ. 132.
6. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. V, №296, გვ. 238.
7. ე. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. I, თბ., 1949 წ., გვ. 143.
8. მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 155.
9. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 214.
10. ე. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 144-145.
11. მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.
12. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, VI, Тиф., 1874, №280.
13. Комерческая газета, 1829 г., №31.
14. რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, შედგენილი ვ. შადურის მიერ, თბ., 1949 წ., გვ. 76.
15. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 95, ფურც. 266-267.
16. იქვე, ფურც. 238.
17. იქვე, ფურც. 60.
18. М. Чулков, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 458.
19. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. VII, გვ. 140. დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830-1864 წწ.), თბ., 1959, გვ. 8.
20. Колониалная политика Российского царизма в Азербайджане в 20-60-х гг. XIX в., ч. I, М.-Л., 1936 г., გვ. 232-236.
21. ალექსანდრე ჭაეჭაეაძე, თხზულებები, თბ., 1940, გვ. 253-254.
22. იქვე.
23. რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, თბ., 1949, გვ. 67-90.
24. Записка об учреждении Российско-Закавказской торговли – სცსსა, ფ. 1105, საქმე 205, ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.
25. ი. ანთელავა, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, საქართველოს მოამბე, 1950 წ., №5, გვ. 209-231, 304.
26. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 9141, ფურც. 2; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.
27. სცსსა, ფ. 16, საქ. 6774, ფურც. 16, 110-111; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.
28. „ცისკარი", 1861, №11, გვ. 234.
29. იქვე.
30. დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

31. ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 258, л. 8; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.
32. სცსსა, ფ. 26, აღწ. 6, საქ. 26, ფურც. 5; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, იქვე; „ცისკარი", 1861, №11.
33. ნ. ნაცვლიშვილი, მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1971, გვ. 12-13; გაზ. „გუთნის დედა", 1862, №28.
34. ნ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
35. სცსსა, ფ. 240, საქ. №1291; ნ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.
36. ნ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.
37. იქვე.
38. ნ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
39. სცსსა, ფ. 26, აღწ. 2, საქმე 28, ფურც. 148, დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.
40. სცსსა, ფ. 241, აღწ. 3, საქ. 4, ფ. 20-21; ნ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.
41. სცსსა, ფ. 2, საქ. 5565, ფ. 1.
42. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. X, Тиф., 1885, გვ. 604, №520; სცსსა, ფ. 19, აღწ. 3, საქ. 103. ფურც. 337.

ქართული ხელოსნობა და რუსული კოლონიური ხელისუფლება

ქართული ხელოსნობა უხსოვარ წარსულში იღებს სათავეს და, მიუხედავად გადატანილი ქარტეხილებისა, საქართველოს ანექსიის დროისთვისაც კი მაღალ განვითარებას აღწევდა, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი თვალსაზრისითაც. იგი თავისი პროდუქციით ამარაგებდა არა მარტო საკუთრივ საქართველოს, არამედ მნიშვნელოვან წილად მთელ კავკასიას და მისი პროდუქცია მეზობელ ქვეყნებშიც (მათ შორის რუსეთში) გადიოდა. ამის საფუძველი კი ხელოსანთა რიცხობრივი სიჭარბე, ოსტატობის მაღალი დონე და მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მათი მაღალი ხვედრითი წილი იყო.

მაგალითად, 1805 წლის კამერალური მონაცემებით თბილისში სულ 3200-მდე ოჯახი ითვლებოდა, აქედან 890 ხელოსნური იყო, რაც საერთო რაოდენობის 30.6% შეადგენდა. 1804 წლის იმავე მონაცემებით გორში სულ 411 ოჯახი ითვლებოდა, აქედან 121 ანუ საერთო რაოდენობის 29,4% ხელოსნური. იმავე პერიოდში თელავში 312 ოჯახია აღნიშნული, აქედან 185 ანუ საერთო რაოდენობის 59,3% ხელოსნურია. სიღნაღში 203 ხელოსნური ოჯახი ითვლებოდა და თუმცა ოჯახების საერთო რაოდენობაზე ცნობა არ გაგვაჩნია, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ ხელოსანთა პროცენტი საერთო რაოდენობაში ასევე მაღალი იყო[1].

ერთი თანამედროვის ცნობით: „არა მარტო თბილისი და მთლიანად საქართველო, არამედ ამიერკავკასიის ბევრი სხვა მხარე და ოლქი გამოირჩევა ხელოსნური ოსტატობით და მანუფაქტურული წარმოებებით... და ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილი არა მარტო საოჯახო ყოფაში კმაყოფილდება, არამედ თავისი ნაწარმით არამცირე მნიშვნელობის ვაჭრობას ეწევა ქვეყნის გარეთ, რომელთაგან ბევრი თავისი მაღალი ხარისხით რუსეთშიც ცნობილი არის, ზოგიერთს კი სხვადასხვა გარემოებასთან დაკავშირებით მთავრობამაც კი მიაქცია ყურადღება"[2]. ცნობილია და, ეფიქრობ სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის, რომ იმპერიის ხელისუფლების წარმომადგენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია მაღალხარისხოვანი ფოლადის (ჯავარდენის) დამზადების ქართულმა მეთოდმა. ამიტომ ამ საქმის გამოჩენილი ოსტატები, ძმები ელიზარაშვილები რუსეთში მიიწვიეს, რათა ზლატოუსტის ცნობილ ქარხანაში წრთობის თავისებური ხელოვნება და-

ენერგათ. ქართველმა სპეციალისტებმა ეს საქმე წარმატებით შეასრულეს და სათანადო აღიარება, ჯილდოები და პრემიებიც დაიმსახურეს.

საქართველოს და კავკასიის კულტურული და ეკონომიკური ცენტრი, საერთო აღიარებით, თბილისი იყო. იგი აძლევდა მიმართულებას ხელოსნობის საერთო განვითარებას მთელს რეგიონში.

შესაბამისად, ბუნებრივია, ცარიზმის კოლონიური ხელისუფლების, როგორც საერთო ისე ხელოსნობის განვითარების ყურადღების ცენტრში თბილისი ექცეოდა. თბილისის შესახებ მონაცემები გაცილებით მეტი და საყურადღებოა. ჩვენც იძულებულნი ვართ კოლონიური რეჟიმის ხელოსნობისადმი დამოკიდებულება ძირითადად თბილისის მაგალითზე გავაშუქოთ.

თბილისელი ხელოსნები ამქარში იყვნენ გაერთიანებული. თბილისური ამქარი, ისევე როგორც საერთოდ აღმოსავლური, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მსგავსი ევროპული ინსტიტუტებისაგან. ამ განსხვავებების და მათი მიზეზების ჩამოთვლას ჩვენ საჭიროდ არ მივიჩნევთ. ეროს კი აუცილებლად უნდა გაეუსვათ ხაზი: თბილისური ამქარი ხასიათდებოდა ხელისუფლებისადმი ლოიალური, ეთილგანწყობილი დამოკიდებულებით. ეს სულისკვეთება გავრცელდა რუსული რეჟიმის მიმართაც. ასე იყო, ყოველ შემთხვევაში, ანექსიის პირველ ხანებში.

რუსული მმართველობის პირველ წლებში ამქარი დიდ მორჩილებას, პატივისცემასა და ერთგვარ მაამებლობასაც კი იჩენდა ახალი ხელისუფლებისადმი. ეს გამოხატულება უნდა ყოფილიყო ძველი, გვიანფეოდალური ტრადიციისა, როდესაც ამქარი, და საერთოდ ქალაქის მოსახლეობა, სამეფო ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა, ხოლო ვაჭარ-ხელოსნები ცენტრალური ხელისუფლებისაგან ელოდნენ დაცვას აღვირახსნილი ფეოდალური ჩაგვრისაგან.

ამქარი მზად იყო ყოველგვარი დახმარება გაეწია მთავრობისათვის არა მარტო ფიზიკურად და მორალურად, არამედ ეკონომიკურადაც: ელაბრის ოქრომჭედლების წესდებაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ: „თუ ქალაქის ყველა ამქარს სამეფო კარიდან ბრძანება მოუვა ეკლესია-მშენებლობის, ღარიბთა განსაკითხავად ან სხვა რაიმე საჭიროებისათვის ფულის გამოღებაზე (ეს ფული — მ. ს.), უნდა მიეცეს (საერთო) განძიდან, რადგან დიდი სირცხვილი იქნება კარიდან კარზე სიარული შეწირულობათა შესაგროვებლად“[3].

ცნობილი იყო ამქრის გულმოდგინება როგორც საეკლესიო, ისე საზოგადო სამშენებლო საქმეებში: „როცა თბილისში ეკლესიის აგება ივარაუდება, ძველი ადათის შესაბამისად, ყველა ხელოსანი იღებს მშენებლობაში მონაწილეობას და ერთი დღით ყველა მიდის და მუშაობს. სხვა სამუშაოს ხარჯებსაც თვითონ კისრულობენ. თბილისელებს ამ ადათის აღსრულება ეხლაც შეუძლიათ ნახონ, როცა ყველა ამქარი თავისი დროშებით, ზურნებითა და დოლით, სისხამ დილით მიემართება სოლოლაკის ხევში, რათა მთაზე ახალი გზის გაყვანაში დაეხმარონ, რომელიც მანგლისის გზას უნდა შეუერთდეს“[4]. ეკითხულობთ გაზეთ „კავკაზის“ ერთ-ერთ ნომერში. მსგავსი მასალის მოტანა კი უამრავის შეიძლება. ამქარი, და ხელოსნები საერთოდ, მთავრობის დასაყრდენი იყვნენ ქალაქის დაცვის საქმეშიც. ქალაქის დაცვაზე ზრუნვა საერთოდ დამახასიათებელია ფეოდალური ხელოსნური ორგანიზაციებისათვის. ერთ-ერთი ანონიმური ავტორი იგონებს, რომ რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის 1826-1829 წლების ომების დროს, თბილისის ამქრებს მზადყოფნა გამოუთქვიათ მეტად აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სახალხო ლაშქრის შედგენაში[5].

ყოველივე აქედან გამომდინარე, ახალი მმართველობა, პირველ ხანებში, ქალაქში თავისი პოლიტიკის გატარებისათვის, ამქრის სახით საკმაოდ საჭირო და სასარგებლო ორგანიზაციას ხედავდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ჯერ კიდევ კავკასიის სამხედრო პოლიტიკური დაპყრობითა და მისი შემომტკიცებისათვის ზრუნვით გართულ ცარიზმის ხელისუფლებას, არ ეცალა სპეციალური ყურადღება მიექცია ამქრისა და მისი კანონმდებლობისათვის. ამის გამო, ყოველ შემ-

თხეეეაში, გასული საუკუნის პირველი სამი ათეული წლის მანძილზე, რუსეთის კანონმდებლობა არ შეხებია ამქრის მოწყობის საკითხებს; ვიდრე რიგმა ფაქტორმა ამქრის მდგომარეობა და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკა მნიშვნელოვნად არ შეცვალა და იგი, ნებით თუ იძულებით, კოლონიური მთავრობის პოლიტიკას დაუპირისპირა.

კოლონიური ხელისუფლების და ადგილობრივი ხელოსნების ინტერესთა დაპირისპირება. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი იყო შეღავათიანი ტრანზიტი (1821-1831 წწ.) და მისი შედეგები; საერთოდ კოლონიური ხელისუფლების ხელშეწყობით რუსული და უცხოური საქონლით ეაჭრობის ფართო გაქანება საქართველოში, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავდა თბილისის ამქრულ ხელოსნობას, ხელიდან აცლიდა მას საშინაო, მით უფრო, საგარეო ბაზარს.

შეღავათიანი ტრანზიტის პირველ ნახევარში (1822-26 წწ.) საქართველოში 14.708.084 მანეთის, ე. ი. წლიურად საშუალოდ 2.941.617 მანეთის პროდუქცია შემოდიოდა. ტრანზიტის II ნახევარში (1826-31 წწ.) შემოტანილი საქონლის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 27.852.042 მანეთს ვერცხლით მიაღწია. წლიურმა პროდუქციამ კი 5.570.408 მანეთი შეადგინა. პროფ. პ. გუგუშვილის გამოანგარიშებით, აღნიშნული საქონლის 25% ადგილზეეე რჩებოდა[6]. მაშასადამე, შეღავათიანი ტრანზიტის II ნახევარში საქართველოში წლიურად იყიდებოდა 1.392.802 მან., ვერცხლით, ღირებულების უცხოური ნაწარმი; ეს ძირითადად პირველი მოხმარების საგნები იყო. ამ საქონლის დიდი ნაწილი თბილისში საღდებოდა.

შეღავათიანი ტრანზიტის პერიოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია მე-19 საუკუნის საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. მისი შედეგები მეტად მრავალნაირია. იგი, როგორც უკეე აღინიშნა, ერთი მხრივ აფერხებდა ახალი ეკონომიკური წყობის შემოჭრას ჩვენში, მეორე მხრივ ფართოდ უხსნიდა მას გზას. მან საქართველოში ეაჭართა კლასი ჩამოაცილა ქეეყნის სამრეწველო განეითარებას, ახალი სული შთაბერა თბილისის საქალაქო მეურნეობას, გააძლიერა უკეე გაღვიძებული, ცხოვრების ევროპული ყაიდა და მრავალრიცხოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ისტორიულ მოვლენათა კომპლექსში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქეეყნის სამრეწველო განეითარების ახალი გზით წარმართვაში.

მაგრამ ჩვენ აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ შეღავათიანმა ტრანზიტმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ადგილობრივი ხელოსნობის მრავალ დარგს. მაგალითად, თუ ხელოსანთა რაოდენობას 1825 და 1835 წლის მონაცემებს შევადარებთ დაეინახავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში, თუმცა ხელოსანთა რაოდენობა თბილისში საერთოდ იზრდება, მაინც, მთელ რიგ დარგებში, იგი მნიშვნელოვნად შემცირებულია; მაგალითად: 1815 წელს თბილისში 207 ბამბეულის მქსოველი ხელოსანია აღნიშნული, 1835 წელს კი მხოლოდ 45; აბრეშუმის ამომხვეეი 1825 წ. – 64, 1835 წ. – 12, მექუდე 1825 წ. – 79, 1825 წ. 37; ხილის მკეთებლები 1825 წ. – 32, 1835 წ. – 12; მეუნაგირე 1825 წ. – 48, 1835 წ. – 27 და ა. შ.[7].

ხელოსნების რაოდენობრივი შემცირება ორი მიზეზით იყო განპირობებული: ერთი მხრით, შემოზიდული საქონლის კონკურენცია ხელოსნებს საშუალებას არ აძლეედა ნაწარმი შესაფერისი მოგებით გაეყიდათ და, ამდენად, აუარესებდა მათ ეკონომიკურ მდგომარეობას, მეორე მხრით, კი რუსული და უცხოური საქონლით ეაჭრობა მათ გაცილებით დიდ და ადეილ მოგებას ჰპირდებოდა და ხელოსანთა შედარებთ შეძლებული ნაწილი თავს ანებებდა თავის ძველ საქმიანობას და მთლიანად ეაჭრობაში ებმებოდა.

გასაგებია, ეოფილ ხელოსნებს, პირველ რიგში, იმის საშუალება არ ექნებოდათ, რომ საქონელი საზღვარგარეთიდან ან რუსეთიდან შემოეტანაათ, მაგრამ უკეე შემოზიდული საქონლის ადგილზე რეალიზაციის საქმეში კი, როგორც ჩანს, საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ; ეს კიდეე უფრო ადეილი გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ შეღავათიანი ტრანზიტის ხანებში უცხოე-

ლებს საქართველოში ცალობით ვაჭრობა აკრძალული ჰქონდათ და მხოლოდ ბითუმად ვაჭრობა შეეძლოთ ეწარმოებინათ. და აი, ადგილობრივი მოქალაქეების უფრო მოხერხებულმა ნაწილმა ტრანზიტის პირობებში მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი მოქმედების ასპარეზი.

ალბათ ამ დროს ჩაუყარეს საფუძველი თავიანთ კაპიტალს მეწვრილმანე ბეჟან ბასტამოვმა, მექურქეებმა: ნათახოვმა, თომა და ფარსადან ნაზარბეგოვებმა და სხვა; მეტყავეებმა აკეტიკ თამამშევმა და ივანე იზმაროვმა, მეხექმეებმა არტემ და აკეტიკ ხარაზოვებმა, მკერავებმა სტეფანე ამიროვმა და მოსე მელიქოვმა და მრავალმა სხვამ, რომლებიც შემდეგში ცნობილი დიდვაჭრები, მეეახშეები, მოიჯარადრეები და მრეწველები გახდნენ. მაგრამ ასეთი მხოლოდ ერთეულები იყვნენ, ხელოსანთა ძირითადი მასა კი შექმნილ ვითარებაში სულ უფრო და უფრო ლატაკდებოდა. თუ რა ყოველმხრივი იყო ადგილობრივი ხელოსნების შეეიწროება შემოტანილი საქონლის კონკურენციით, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მისი გაელენა ვერც ოქრომჭედლებს აუცდენიათ. მათი მდგომარეობა იმით არის სამაგალითო, რომ ოქრომჭედლობა ერთ-ერთი ყველაზე უკეთ განვითარებული დარგი იყო თბილისში; მათი ამქარი ერთ-ერთი უმდიდრესი და გაელენიანი იყო; თვითონ ხელოსნებიც სხვაზე მაღლა აყენებდნენ თავიანთ ხელობას და ამით ამაყობდნენ. მართალია, შელავათიანი ტრანზიტის დროს ოქრო-ვერცხლის ნივთები საზღვარგარეთულ საქონელში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამაგიეროდ ისინი რუსეთიდან შემოდიოდა. მეორე მხრივ, ადგილობრივ ოქრომჭედლებს მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდნენ მოსული რუსი და უცხოელი ხელოსნები[8].

ამიტომ 1835 წელს თბილისელი ოქრომჭედლები მწარედ ჩივიან თავიანთი მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებაზე: „ჩვენი სარეწის დაცემის მიზეზი, – აღნიშნავდნენ ისინი, – რუსეთიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით და ჩვენზე უკეთესი ხარისხის ვერცხლის ნაკეთობათა შემოტანაა. ამის გამო ჩვენ გადავედით ამ ნაკეთობების სპილენძით დამზადებაზე. ვერცხლის ნაკეთობებს კი მხოლოდ შემთხვევით, შეკვეთებით ვამზადებთ. ვერცხლის მარაგს კი ამის საშუალებაც (ფული), რომ გვქონდეს, რაც არ გვაქვს, ვერ ვაკეთებდით იმის შიშით, რომ მოთხოვნილება ამ ნაწარმზე, დღითი დღე რომ კლებულობს, საბოლოოდ საერთოდ შეწყდება. ვერცხლის მჭედლობის ხელობის შესაბამისად სხვადასხვა ფულად გადასახადებს რომ ვიხდით, ჩვენი წარმოების დაცემის გამო, უკიდურეს მდგომარეობამდე ვართ მისული და მხოლოდ ჩვენი შრომის ჩვევა და ის, რომ ჩვენ სხვა საქმე არ გვეხერხება, გვაიძულებს საერთოდ უარი არ ვთქვათ ვერცხლის ნაკეთობების დამზადებაზე“[9]. აი რა მდგომარეობაში ჩავარდნენ ამაყი ოქრომჭედლები, რომლებიც თავის დარგს „ხელობათა ხელობას“ უწოდებდნენ.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ადგილობრივი ხელოსნები მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას დაუპირისპირა, იყო რუსი უცხოელი ხელოსნების მოღვაწეობის წახალისება და გავრცელება თბილისში და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრებში.

რუსეთთან შეერთებამ ბევრი რამ შეცვალა თბილისის, ამ ტიპიური აღმოსაველური ქალაქის, ცხოვრებაში. თბილისი ამიერკავკასიის ცენტრი იყო და იგი თანდათან იესებოდა რუსი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებით და ჯარის ნაწილებით, ოფიცრებით, რუსი და უცხოელი მოგზაურებით, ვაჭრებითა და ყოველგვარი ჯურის აკანტურისტებით. ჯარს და რუსის მოხელეობას ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ათასგვარი წვრილმანი სახელოსნო ნაწარმი სჭირდებოდა. ევროპული გემოვნება თანდათან იჭრებოდა თბილისის მაღალ საზოგადოებაში. თბილისი მოდას აყოლილი ქალაქი იყო. მაღალ წოდებას საშუალო ბაძავდა... და თბილისის მოსახლეობაში თანდათან ძლიერდებოდა მოთხოვნილება ევროპულ ნაწარმზე. ქალაქს აზიური ხელოსნობა ეეღარ აკმაყოფილებდა, მას ევროპული ყაიდის ხელოსნობა ესაჭიროებოდა; რუსეთთან დაახლოებისა და ევროპული

თანაცხოვრების მიღების გამო, წლიდან წლამდე ადგილობრიეების ცხოვრების ყაიდის შეცვლა, რომელიც ახალ ჩვეულებებს და ახირებებს შობს, უკვე ეელარ კმაყოფილდება ადგილობრიეი უხეში ნაკეთობებით, ითხოვდნენ რა უფრო სრულყოფილთ და ამ მიმართებით ამიერკავკასიის მხარე ჯერ კიდეე ვერაფერს ვერ აწარმოებს, შემოაქეს რა საჭირო საქონელი შიდა რუსეთიდან ან საზღვარგარეთიდან"[10].

მაგრამ რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი ყველას ვერ დააკმაყოფილებდა და ეს ნაკლებობა პირველად რუსის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებმა და ჯარის ნაწილებმა იგრძნეს. ამიტომ რუსეთის ხელისუფლება იმთავითვე ცდილობდა ყოველგვარი საშუალებით მოეზიდა თბილისში და სხვა ქალაქებში რუსი და უცხოელი ხელოსნები, ათასგვარი შეღავათებით ახალისებდა, რის გამოც მათი რაოდენობა თანდათანობით საგრძნობლად იზრდებოდა; მაგრამ იგი საკმარისი მაინც არ იყო და მთავრობა ახალ-ახალ ღონისძიებებს ეძებდა აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ 20-იანი წლების ბოლოს საქართველოს განმგებელს ფინანსთა მინისტრისათვის უთხოვია: დაგვეხმარეთ, რომ საქართველოში სასჯელის სახით გადმოასახლონ დამნაშავე ხელოსნებიო. ეს პროექტი არ განხორციელდა, რადგან შიში გამოთქვეს, რომ დამნაშავეებს სპეციალური თვალყურის დევნება დასჭირდებოდათ და ეს საქმეს გაართულებსო, მაგრამ თვით ფაქტი ასეთი აზრის არსებობისა, მდგომარეობის სიმწვავეზე მიუთითებს.

ევროპული ხელოსნობის გაერცელების მიზნით საქართველოს რუსული ხელისუფლება სხვადასხვა გეგმებს ადგენდა სახელოსნო სასწავლებლის დაარსებისა, თუ ხელოსნობის შესასწავლად ადგილობრივი ყმაწვილების რუსეთში გაგზავნით[11]. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ საქმეში რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან საქართველოში სხვადასხვა დარგის ოსტატების მოზიდვას უნდა ეთამაშა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ევროპული ყაიდის ხელოსანთაგან თბილისს ეწვივნენ, ებრაელები იყვნენ.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან და საზღვარგარეთიდანაც კი, მრავალმა ებრაელმა იწყო დენა ამიერკავკასიისაკენ. 20-იანი წლების ბოლოს ებრაელი ხელოსნები თბილისში საკმაოდ მომრავლებულან. უმეტესობა მკერავები, მექუდეები, მეჩექმეები, ოქრომჭედლები და სხვ. იყვნენ. მათი ნაწარმი დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა სამოქალაქო მოხელეებსა და სამხედრო ჩინებში[12]. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ მიეკუთვნებოდა რუსეთის იმ გუბერნიათა რიცხვს, რომლებშიც ებრაელებს ცხოვრების ნება დართული ჰქონდათ, ადგილობრივი ხელისუფლება ამას ყურადღებას არ აქცევდა და რიგ შეღავათებსაც აძლევდა ებრაელ ხელოსნებს.

1827 წელს ებრაელთა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც რეკრუტის შეკრებასთან დაკავშირებით, ებრაელები, იმ გუბერნიებიდანაც კი, სადაც მათი დროებითი ცხოვრება დაშვებული იყო, დაუყოვნებლივ თავიანთი მუდმივი ცხოვრების ადგილებში უნდა დაბრუნებულიყვნენ[13].

ადგილობრივი ხელისუფლება ამან მეტად შეაწუხა და 1827 წლის 8 დეკემბერს თბილისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-ადიუტანტ სიპიაგინს, უმაღლეს მთავრობაში, გამონაკლისის სახით, ხელოსანი ებრაელების თბილისში დატოვების ნებართვის მიცემის შესახებ უშუამდგომლია. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა[14]. ამრიგად 1828 წლისათვის, ადგილობრივი კოლონიური ხელისუფლების სურვილის საწინააღმდეგოდ მოსული, ებრაელები თბილისიდან გაასახლეს.

ებრაელების გასახლებამ ძალიან გაართულა ევროპული ტანსაცმლით სამოქალაქო მოხელეებისა და განსაკუთრებით ოფიცრების უზრუნველყოფის საქმე: „რამდენიმე ხნის წინ სავაჭრო საქმეებზე თბილისში რომ ვიმყოფებოდი, მე შევძელი კარგად შემეგნიშნა, ადგილობრივ მოხელეებს, განსაკუთრებით ბატონ

ოფიცრებს, არა თუ კარგი, ჩვეულებრივი თერძების არ არსებობის გამო, რამდენად უძნელდებათ ფორმის ტანსაცმლით, ყველასე ჩვეულებრივი საგნებით შემოსვა და სამუშაოსათვის აქაურ ოსტატებს იმდენად ძვირ ფასს უხდიან, რომ იგი თითქმის უტოლდება მთელ ღირებულებას" (ყურადღება გაეამახვილოთ, რომ ტექსტში ხელოსნობის არარსებობაზე კი არა სიძვირეზეა საუბარი), წერდა ებრაელი ვაჭარი დავით ანტელი პასკევიჩს და თან წინადადებას აძლევდა: ჩემი ოდესაში და ტაგანროგში ცხოვრების გამო, მყავს რა ებრაული წოდების ამხანაგები, რომლებიც გაწაფული თერძი ოსტატები არიან და გამოყავთ ოქრისა და ვერცხლის სამხედრო მოსართავი საგნები, შეუძლიათ გადმოვიდნენ თბილისში, გამოადგნენ აქაურ კორპუსს და სამოქალაქო ჩინებს და მნიშვნელოვნად დაწიონ ახლანდელი ფასები, რომლებიც აქაური ჩინოვნიკებისათვის ასე მძიმე გადასახდელია"[15].

აღნიშნული ვაჭარი თბილისში ხელოსნების გამოწერის ნებართვას ითხოვდა. საბუთიდან არ ჩანს, მისცეს თუ არა მას ამის ნებართვა; ალბათ არ მისცეს, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება ოფიციალურად ებრაელი ხელოსნების მფარველობას ერიდებოდა; მაგრამ ამ პერიოდიდან, თანდათან თბილისში ისევ იწყებს გაძლეებულმა ხელოსნებმა დაბრუნება და, თუმცა კანონით მათ ამის უფლება არ ჰქონდათ, ადგილობრივი უფროსობა არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა. ამრიგად 1830-31 წლისათვის თბილისში ებრაელი ხელოსნები საკმაოდ მომრავლებულან.

დაპირისპირება ადგილობრივ და უცხოელ ხელოსანთა შორის. ამ დროისათვის ადგილობრივ მკერავ ხელოსანთა საზოგადოება საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. იგი 100 კაცს (ოსტატს) აღემატებოდა. მკერავებს ორი ამქარი უნდა ჰქონოდათ, რადგან მათ თხოვნებზე, როგორც წესი, ორი უსტაბაში აწერს ხელს – შიო ილურიძე და იაგორ მანთაშოვი. თერძობა საკმაოდ შემოსავლიანი ხელობა იყო: „თბილისში ბევრს აქვს სამკერვალო ოსტატობის სარეწი; ზოგიერთი მათგანი შეკვეთით მუშაობს, სხვები კი ამზადებენ მამაკაცისა და ქალის სხვადასხვა ტანსაცმელს, მაგალითად: ჩოხებს, შარვლებს და ახალუხებს უბრალო ხალხზე გასაყიდად"[16] – აღნიშნავდა ერთი თანამედროვე. ახალმა პირობებმა მათ ხელობას მეტად შეუმცირა გასავალი. ისინი თუმცა ცდილობდნენ ევროპული ტანსაცმლის კერვას დაუფლებოდნენ და კიდეც ახერხებდნენ ამას, მაგრამ მათი ნაწარმი ვერც სილამაზითა და ვერც სიიაფით ახლოს ვერ მიეიდოდა ებრაელ ოსტატთა ნახელავთან, რომლებიც არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც ამ ხელობის საუკეთესო სპეციალისტებად ითვლებოდნენ. წარმოების ახლებურად დაყენებით კი ებრაელებმა ხელში ჩაიგდეს მთელი სახაზინო დაკვეთები, მუშტარს ართმევდნენ ადგილობრივ ხელოსნებს და უკეთეს პირობებს უქმნიდნენ რა მუშებსა და მოწაფეებს, თავისკენ იბირებდნენ მათ.

ასეთ პირობებში, თბილისელმა თერძებმა მოსული ებრაელების სახით მეტად საშიში მტერი დაინახეს, რომელიც მათ ლუკმა-პურს აცლიდა, საბოლოო განადგურებით ემუქრებოდა და დაიწყეს ბრძოლა საშიში კონკურენტის ჩამოსაცილებლად. როგორც ჩანს, ისინი კარგად იცნობდნენ რუსეთის კანონმდებლობას, იცოდნენ, რომ კანონით ხელოსნებს არა აქვთ საქართველოში ცხოვრების უფლება და ამით ისარგებლეს.

1830 წელს თბილისელ თერძებს საჩივარი შეუტანიათ – ებრაელები თბილისში უკანონოდ ცხოვრობენ და გადაასახლეთო. მათი თხოვნა უყურადღებოდ დატოვეს და 1831 წლის 18 ნოემბერს თბილისელმა თერძებმა ახალი უქმეშეურდომილესი თხოვნით მიმართეს ბარონ როზენს (თხოვნას ხელს აწერენ არა მარტო ქართველები და სომეხი ხელოსნები, არამედ რუსებიც). თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ ებრაელები კანონის საწინააღმდეგოდ ადრეც ცხოვრობდნენ თბილისში და სამართლიანად გაასახლეს აქედან, ახლა კი ისევ მოგვეძალნენ და ხელს გვიშლიან ჩვენი ხელობა ვაწარმოოთ; როგორც ვიცით, კანონით მათ აქ

ცხოერების უფლება არ აქვთ. ჩვენ კი მათი აქ ყოფნა არ გვინდა. მით უმეტეს რომ თვითონაც შეგვიძლია სრულად დავაკმაყოფილოთ ევროპული ტანსაცმლით არა თუ თბილისის მცხოერებია მოთხოვნილება, არამედ სხვა ქალაქებიდანაც კი მივიღოთ შეკვეთები. ჩვენ იძულებული ვართ მოგვემართა ქალაქის პოლიციისათვის მათ გასახლებაზე, რათა მათი გამოისობით ჩვენ ლუკმა-პური და სახელმწიფო გადასახადების გადახდის საშუალება არ დაგვეკარგა. მაგრამ პოლიციამ ზომები არ მიიღო. ამიტომ იძულებული გავხდით თქვენთვის მოგვემართა აღნიშნული თხოვნითთ როზენი თვითონ დიდი მომხრე იყო ებრაელი ხელოსნების თბილისში ჩამოსახლებისა და გამრავლებისა. იგი თვითონ მოითხოვდა კანონის შეცვლას, რომელიც ებრაელებს თბილისში ცხოვრებას უკრძალავდა[17]. ამიტომ, ბუნებრივია, თბილისელი თერძების თხოვნა მან არ დააკმაყოფილა. მომჩივრებს აცნობა, რომ მართალია კანონით ებრაელების საქართველოში ყოფნა დაშვებული არ არის, მაგრამ „ქვეყანაში რუსული და გერმანული ხელობის მკერავების ნაკლებობის გათვალისწინებით, ასევე მომავალშიც აქ ჩამოსულ ებრაელებს, რომლებიც სხვადასხვა ოსტატობას ეწევიან, როდესაც მთავრობა განსაზღვრავს – რომელი მათგანი უფრო საჭირო და სასარგებლოა, ნება დაეროთოთ ყოფნისა როგორც თვითონ თბილისში, ისე სხვა მაზრებშიც, მაგრამ მხოლოდ ჩამოყალიბებული წესების საფუძველზე"[18].

მკერავი ებრაელების რიცხვი არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მათ ასეთი დიდი შვეიწროება მიეყენებიათ თბილისელი თერძების მრავალრიცხოვანი საზოგადოებისათვის. მაგრამ ეს იყო თვისობრივად ახალი სარეწი არა მარტო ნაწარმის ხარისხის, არამედ თვით წარმოების ორგანიზაციის მხრივაც.

ებრაელი მკერავების რაოდენობა არ განსაზღვრავდა მათი წარმოების გაქანებასა და მასშტაბს, რადგან ისინი ფართოდ ქირაობდნენ ადგილობრივ ხელოსნებს, მუშებს, აყავდათ მოწაფეები.

თუ რა ფართოდ გაუშლიათ მათ თავიანთი საქმიანობა, ამაზე ნათლად მეტყველებს სოლომონ სალმანის, მოისეი კრინსკის და მოისეი მოგილევსკის მაგალითი. ამათგან პირველ ორს (სალმანს და კრინსკის) ერთი სახელოსნო ჰქონდათ, მოისეი მოგილევსკის ცალკე. პირველ სახელოსნოში 30 მარტო ქრისტიანი მუშა მუშაობდა, მეორეში 15[19]. მოსალოდნელია, რომ გარდა ქრისტიანებისა, მათ კიდევ ეყოლებოდათ ებრაელი თუ სხვა ეროვნების მუშები და ხელოსნები. მაშასადამე ამ ორ წარმოებაში დასაქმებულ ხელოსან მუშათა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა. მათ წარმოება საკმაოდ ფართო შენობაში ჰქონდათ მოწყობილი, რომელიც სამუშაო და საცხოერებელ ადგილებად იყო დაყოფილი (მუშები იქ არა მარტო მუშაობდნენ, არამედ ცხოერობდნენ კიდეც). შენობები აბრებით იყო გაფორმებული[20].

მათ სპეციალური აგენტები ჰყავდათ გამოყოფილი რომლებიც სახლებში დადიოდნენ და შეკვეთებს იღებდნენ. მუშებს ისინი ეტყობა, უკეთეს პირობებს უქმნიდნენ, რადგან უკანასკნელნი სიამოვნებით ტოვებდნენ თავიანთ ძველ ოსტატებს და მათთან გადადიოდნენ სამუშაოდ: „ქრისტიანული რწმენის ოსტატები როგორც კი შეაჩვევენ მოწაფეებს თავის ხელობას, ებრაელები მაშინვე ითრევენ თავისთან ასეთ მოწაფეებს და ამით ყოველგვარ შესაძლებლობებს აცლიან ამქრულ ოსტატებს საქმისათვის გამოსადეგი შეგირდები თავისთან იყოლიონ" – ჩიოდნენ ადგილობრივი თერძები.

აღნიშნული სახელოსნოები ძირითადად სამხედრო შეკვეთებზე მუშაობდნენ (თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ისინი ფართოდ იღებდნენ კერძო შეკვეთებსაც)[21].

ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები იმის განსასაზღვრავად, თუ რამდენად შორს იყო წასული შრომის დანაწილება აღნიშნულ საწარმოებში, მაგრამ რაღაც ზომით რომ ასეთი დანაწილება უნდა ყოფილიყო, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ გაღმობირებული ხელოსნების დიდი ნაწილი ახალბედა, გამოუცდელი პირები იყვნენ, რომელთაც ყველა ოპერაციის მაღალხარისხოვნად შესრულება, ცხადია, არ შეეძლოთ. შრომის განაწილების გარეშე ისინი ვერაფრით ვერ შეძლებდნენ ასეთი

ფართო სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულებას. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს მანუფაქტურის ტიპის საკმაოდ განვითარებულ კაპიტალისტურ სახელოსნოებთან, სადაც შრომის ნაყოფიერება და ხარისხი გაცილებით მაღალი იქნებოდა ამქრულ ხელოსნებთან შედარებით და ამიტომ გასაგებია, რომ კონკურენციაში ისინი ყოველთვის ჯობნიდნენ ადგილობრივ ხელოსნებს.

მიუხედავად წარუმატებლობისა, ამქარს ბრძოლა არ შეუწყვეტია. 1836 წელს იგი უკვე იმპერატორს უგზავნის თხოვნას, სადაც აღწერილია, თუ როგორ ავიწროებენ ებრაელები მას, რომ ისინი კანონის საწინააღმდეგოდ ექსპლუატაციას უწევენ ქრისტიან მუშებს, რომ მათ გამო ქრისტიანი ხელოსნები განიანგდნენ და სახელმწიფო გადასახადს ეღარ გადაიხდიან და სხვ.[22] არც ამან გამოიღო შედეგი: სენატმა მათი დაკმაყოფილება მიზანშეწონილად არ სცნო და ჯარიმაც კი გადაახდევინეს იმისათვის, რომ თხოვნა ღერბიან ქაღალდზე არ იყო დაწერილი[23].

რაკი კანონიერი გზით ვერაფერს გახდა, ამქარს ებრაელების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაც უცდია. სახელდობრ რაში გამოხატა ეს, არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ ამის თაობაზე თერძების ორივე უსტაბაში 1836 წლის აგვისტოში ციხეში ჩასვეს. როგორც ჩანს, თავისი დანაშაული მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რადგან წერენ: „ამ თვის 24 რიცხვში თბილისის პოლიცმეისტერმა ინება ჩვენთვის მოელვადიანი პატიმრობა მოესაჯა, რაზეც ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ"... ოღონდ ჩვენ რომ ციხეში ვიჯექით, ფანჯრიდან ებრაელები გვაბრაზებდნენ, უწმაწურ სიტყვებს გვეძახდნენ და შეურაცხყოფისათვის მათ დასჯას ვითხოვთო...[24]. დასამშვიდებლად უბრალო საყვედურიც არ უთხრეს ებრაელებს. ამქარს კი უპასუხეს, ასეთი საჩივრით სასამართლოს უნდა მიმართოთო.

ასე დამარცხდნენ თბილისელი თერძი ხელოსნები ებრაელებთან ბრძოლაში, ჩვენ არ გვაქვს ცნობები თუ ამ დაპირისპირებაში რა მონაწილეობას იღებდნენ სხვა ამქრები, მაგრამ სრული საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, ისინი ყოველ მხრივ ეხმარებოდნენ თავიანთ თანამოძმეებს, მაგრამ უშედეგოდ. კავკასიაში მაგრად ფეხმოკიდებული ცარიზმის აღგილობრივი ხელისუფლება თბილისში თავის კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა და რა გასაკვირია, რომ იგი აინუნშიც არ ჩააგდებდა მშრომელი მოსახლეობის გაჭირვებასა და სურვილებს.

რაც შეეხება ებრაელებს, ისინი 1839 წლიდან ბრძოლას იწყებენ, რათა საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლება მიიღონ. ეს საქმე ცოტა გაჭიანურდა, მაგრამ 50-იან წლებში, ეორონცოვის ჩარევით, ესეც თითქმის ებრაელთა სასარგებლოდ გადაწყდა.

დაპირისპირება ქართველ და კოლონისტ ხელოსანთა შორის და კოლონიური მთავრობის პოლიტიკა. თბილისელ ხელოსნებს გარკვეულ კონკურენციას თბილისის გერმანელთა კოლონიაში მცხოვრები ხელოსნებიც უწევდნენ. ისინი ბევრი არ იყვნენ: 5 მეხეკმე, 3 მკერავი, 3 მჭედელი და ა. შ. მაგრამ მკერავები და მეხეკმეები, როგორც ევროპული ხელობის სპეციალისტები, ქვეოსტატებისა და მოწაფეების ექსპლუატაციით, საკმაოდ ფართო სამუშაოებს ასრულებდნენ; მაგალითად, მკერავ გუბლერს ქალაქის მცხოვრებლებისაგან მნიშვნელოვან შეკვეთებთან ერთად იჯარით ჰქონდა აღებული თბილისის გიმნაზიისათვის ტანსაცმლის დამზადება, საიდანაც დიდ შემოსავალს იღებდა[25]; ხოლო კოლონისტი მაღერი საკმაოდ ფართო სახელოსნოს მფლობელი იყო, ექსპლუატაციას უწევდა შეგირდებსა და ქვეოსტატებს და ქალაქში საუკეთესო მეხეკმედ და მეტად შეძლებულ კაცად ითვლებოდა[26].

1832 წლიდან თბილისელი თერძები კატეგორიულად თხოვენ კოლონისტებს ან ქალაქიდან შეკვეთებს ნუ აიღებთ, ანდა შესაბამისი გადასახადები გადაიხადეთო. თავის მხრივ როგორც მკერავი, ისე მეხეკმე კოლონისტები, ყოველნაირად ცდილობდნენ თავი აერიდებინათ გადასახადებისათვის. ისინი განგებ არ

ამხელდნენ ხელოსანთა რაოდენობას და გადასახადების გამწერ მოქალაქეებს მთელი რიგი ეშმაკობისათვის მიმართავ სჭირდებოდათ, რათა დაეზუსტებინათ თუ რამდენი ხელოსანი მუშაობდა გერმანელთა კოლონიაში[27].

თავის მხრივ, არც მოქალაქეები რჩებოდნენ ვალში და, გამოხატავდნენ რა თბილისის ამქრული ხელოსნების ინტერესებს, გაზრდილი, მძიმე გადასახადებით ავიწროვებდნენ ხელოსან კოლონისტებს, რაზედაც ამ უკანასკნელთ საჩივარი შეუტანიათ და კიდევაც მიულწევიათ იმისათვის, რომ აღნიშნული გადასახადები გადასინჯული და შემცირებული ყოფილიყო[28].

ასეთი დამოკიდებულება შეიქმნა ადგილობრივ და უცხოელ ხელოსნებს შორის მე-19 საუკუნის 30-იან წლებში. სოლო ადგილობრივი კოლონიური მთავრობა გამოდიოდა რა რუსი ჩინოვნიკებისა და სამხედრო მოხელეების ინტერესებიდან, მოსული ხელოსნების მხარეს იჭერდა და ყოველმხრივ ცდილობდა ამქრული ხელოსნობის პოზიციების შემცირების ხარჯზე გაეძლიერებია ისინი.

რუსი და უცხოელი ხელოსნების საქართველოში მოზიდვის პოლიტიკა, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ჩაისახა, 30-იან წლებიდან უკვე ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. ამ მხრივ ჯერ კიდევ პასკევიჩის მთავარმართებლობის პერიოდში დგებოდა ვრცელი პროექტები, მაგრამ ეს პროექტები მაშინ ვერ განხორციელდა, რადგან მთელი რიგი წინააღმდეგობები გადაელობა; მთავარი კი ის იყო, რომ რუს გლეხს, თუ ხელოსანს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა კავკასიაზე, სიშორეზე, კლიმატზე და ასე ადვილად ვერ ბედავდა აქეთ გამომგზავრებას. ეტყობა მთავრობას ამ შიშის გაფანტვაც უცდია და ამ ცდამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ცნობილ შრომაში: „ამიერკავკასიაში რუსეთის მფლობელობათა მიმოხილვა" (რუსულ ენაზე)..., რომლის ავტორი რუს ახალმოსახლეებს საქართველოში ფუფუნებით ცხოვრებას ჰპირდებოდა: „რუსეთისგან დაშორება და მიმოსვლის სიძნელე, ჩვენს სამშობლოში საქართველოს კლიმატის შესახებ გავრცელებულ მცდარ შეხედულებასთან ერთად, რუს მომუშაველებს აქამდე აკავებს თბილისში გამომგზავრებისაგან, სადაც მათ თავისი შრომით დიდი სარგებლის მიღება შეუძლიათ. სიადვილე, როგორითაც აქ ფული გამოიმუშავება, ხელოსნებს მათ ქონებასთან შედარებით ლაღი და მდიდრული ცხოვრების საშუალებას უქმნის"[29].

სხვა ადგილას იგივე წყარო მიუთითებდა რომ „თბილისის მრეწველობის არც ერთი დარგი არ არის აყვანილი სრულყოფილებამდე".

მიუხედავად ამისა ყოველი ხელობა დიდ სარგებელს იძლევა, რადგან არაფერი იქ ისე ძვირად არ ფასობს, როგორც შრომა"[30].

„მიუხედავად ადგილობრივი ამქრული ხელოსნების დიდი უკმაყოფილებისა, ადგილობრივმა მთავრობამ 1843 წელს მოსული ხელოსნების მოსაწყობად სპეციალური კომიტეტი დააარსა – „თბილისში ჩამოსული ხელოსნების გამგებლობის სამეურვეო კომიტეტი"[31], რომელსაც სათავეში თბილისის სამუშაოთა უფროსი, ინჟინერ-პოლკოვნიკი სონინი ჩაუყენა, ხოლო თავდაპირველ სარეზერვო კაპიტალად 2000 მანეთი გამოუყო[32].

ყოველივე ამის შედეგად თბილისისკენ წამომსველელ უცხოელ და რუს ხელოსანთა რაოდენობა თანდათან მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოს მთავარმართებლის უკვე 1843 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „შევამჩნიე რა ამიერკავკასიის ქალაქებში ოსტატებისა და ხელოსნების დიდი ნაკლებობა, მთავარი მმართველობა დაუკავშირდა პეტერბურგისა და მოსკოვის გენერალ-გუბერნატორებს, დედაქალაქებიდან პირველ რიგში თბილისში კეთილსაიმედო ხალხის ამისთვის მოწვევის შესახებ; ხოლო მათთვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ ხელოსნების და ოსტატების ერთი ნაწილი უკვე ჩამოვიდა, ადგილზე აღმოუჩინა ყოველგვარი დახმარება და ამჟამად ისინი თავისი ოსტატობით საქმიანობენ"[33].

1844 წლისათვის, ამიერკავკასიის საქმეთა კომიტეტის წარდგინებით, იმპერატორმა მთავარმართებელს დაავალა მიეღო ზომები იმპერიის სხვადასხვა ადგილებიდან თბილისში აუცილებლად საჭირო ხელოსნების მოსაზიდად[34].

იმავე 1844 წელს საქართველოს ადგილობრივი მთავრობა შეკეთას გზავნის ორივე დედაქალაქში, რომ თბილისში ყველაზე მეტად საჭირო 20-მდე დარგის 40-ზე მეტი ხელოსანი გამოგზავნონ.

ევროპული ხელოსნობის მოზიდვის საქმეს დიდ ყურადღებას უთმობდა მეფისნაცვალი მ. ს. ვორონცოვი. მაგრამ სხვა დაბრკოლებებთან ერთად, საქმის წარმატებით დაგვირგვინებას ისიც უშლიდა ხელს, რომ რუს ოსტატებს თბილისში სალდათ ხელოსანთა საკმაოდ დიდი არმია დახვდათ; მათი კონკურენცია ახალი, ჯერ კიდევ ფეხმოუკიდებელი, მწარმოებლებისათვის მეტად მძიმე გადასატანი იყო, ამაზე მიუთითებდნენ თავიანთ თხოვნაში რუსი დურგლები 1845 წლის აპრილში[35]. ჩანს მდგომარეობა საკმაოდ მწვავე ყოფილა. ამას სხვა მიზეზებიც დაემატა და ვორონცოვმა თბილისში სალდათი ხელოსნების საქმიანობა აკრძალა. მისი ბრძანებით მწყობრში დააბრუნეს 700-მდე ჯარისკაცი ხელოსანი. ვორონცოვის ეს ღონისძიება ორ მიზანს ისახავდა: ერთის მხრივ არბილებდა ამქრის უკმაყოფილებას, მეორე მხრივ კი თბილისში რუს და უცხოელ მაღალკვალიფიცირებულ ოსტატებს გზას უხსნიდა[36].

ამგვარი ღონისძიების წყალობით თბილისში თანდათან ძლიერდებოდა ახალი, ევროპული ყაიდის ხელოსნობა. 1846 წლის თბილისის გუბერნატორის ანგარიშში აღნიშნულია, რომ თბილისში გამრავლდნენ კარგი ხელოსნები – ადგილობრივი, რუსი და უცხოელი (მესაათე, მეხელთათმანე, მეჩექმე, მეეპოლეტე და სხვ.), რომელთა მოქმედების არე შორს სცილდება მაზრის და გუბერნიის ფარგლებსო[37], მაგრამ თბილისისაკენ მომავალ ხელოსანთა ნაკადი არ წყდებოდა.

ადგილობრივი მთავრობა და მისი ოფიციოზი, მარტო ხელოსანთა მოზიდვაზე და მოწყობაზე კი არ ზრუნავდნენ, არამედ ფაროთ რეკლამასაც უკეთებდნენ მათ. თუ ადგილობრივი ხელოსნები ტრადიციულად ძველ უბნებში, ხელოსნურ რიგებად ცხოვრობდნენ, სადაც ერთი დარგის ხელოსნებს ცალკე ქუჩა ეკავათ და ამდენად ერთ ადგილას იყვნენ კონცენტრირებულნი, მოსული ხელოსნები იკავებდნენ ძირითადად ქალაქის ახლად გაშენებულ ნაწილებს. მომხმარებლისთვის მათი მიგნება რომ გაეადვილებინათ „Кавказский календарь"-ის ნომრებს დართული ჰქონდა რუსი და ევროპელი ხელოსნების საკმაოდ სრული სიები, ადგილმდებარეობის ჩვენებით.

თბილისში მოდიოდნენ მეტად მრავალი დარგის ხელოსნები, ძირითადად კი ისეთი დარგებისა, რომლებიც აქ არ იყო გავრცელებული (მებუზმენტეები, მეკარეტეები, მეხელთათმანეები და სხვა), აქ გავრცელებული აზიური ყაიდის ხელოსნობა, განეითარებულ მოთხოვნილებებს ეველარ აკმაყოფილებდა.

ახალი დარგები ქართულ ხელოსნობაში. ჩვენს მიერ შედგენილ ცხრილიდან ჩანს თუ როგორ ეცვლოდა თბილისის ხელოსნობის ადგილობრივი დარგები, ახალი, ევროპული ყაიდის ხელოსნური დარგების გამრავლების გამო:

ხელოსანთა რაოდენობა ქ. თბილისში 1845-1865 წწ.

	1845 წ.	1848 წ.		1865 წ.		
		ოსტატი	საერაუდო რაოდენობა	ოსტატი	მეშვა	მოწაფე
1	2	3	4	5	6	7
მეპურე	150	44	40	122		
მეფუნთუშე	1	-	37	14		
კონდიტერი	-	1	1	10	8	8
ყასაბი	-	-	-	110		
მკერავი	62	231	121	168	-	176
მოდისტიკა	-	-	-	15	22	20
მეკუდე	43	138	68	85	-	95
მეკურქე	-	36	16	-	-	-
მეპოლეტე	-	3	-	-	-	-
ფეხსაცმლის მკერავი	169	175	65	120	-	140
მეწალე	-	74	42	53	-	62
მქსოველი	-	44	55	-	-	-
აბრეშუმის ამომხვევი	-	73	45	-	-	
მჩითავი	-	9	10	-	-	-
ქსოვილების მღებავი	15	30	25	43	-	50
ყაზაზი (მეყაითნე)	36	-	-	-	-	-
მენაბდე	11	15	7	2	-	-
მებაწრე	8	5	1	-	-	6
მეხელთათმანე	-	-	-	-	-	94
მეღუმელე	-	-	-	61	-	-
კალატოზი	182	181	72	312	400	353
დურგალი	55	156	39	43	-	58
ხარატი	11	-	-	-	-	-
ხურო	85	139	33	214	-	159
მღებავი	-	45	13	21	-	49
შპალერის გამკერელი	-	-	-	19	-	-
მეჩუქურთმე	-	93	35	-	-	-
მეაგურე	110	26	10	-	-	-
თოქმაჩი	294	27	14	25	30	29
მჭედელი	39	112	70	159	80	200
ზეინკალი	8	-	-	-	-	-
მხურავი	-	-	-	13	-	-
მკალავი	46	30	10	44	-	59
მომვარაყებელი	41	33	-	-	-	-
მენალე	-	15	20	-	-	-
ოქროიმჭედელი და იუველირი	180	26	1	91	-	120
მებრილიანტე	-	4	4	-	-	-

მესაათე	-	4	1	21	-	45
მეიარაღე	82	66	32	38	-	49
მექოთნე	-	2	-	69	80	-
მექვაბე	-	32	24	-	-	-
მეტიკე	-	14	11	-	-	-
მეკარეტე	-	1	-	32	-	59
მეეტლე	-	1	-	352	-	-
მეტქაფე	178	83	66	116	150	140
დალაქი	93	89	30	128	-	170
მექისე	-	24	-	-	-	-
მეწისქვილე	-	20	3	-	-	-
მელამფე	-	9	3	9	-	-
მხატვარი	-	2	1	-	-	-
ამკინძაი	-	3	-	12	-	-
მეპაპიროსე	-	1	1	70	-	-
ფორტეპიანოს ოსტატი	-	-	-	3	-	-
მესაპნე	-	48	31	8	-	-
თულუხჩი	-	13	-	-	-	-
მუშები	-	237	129	-	-	-
სხვადასხვა	197	102	38	-	-	-
ჯამი	2082	2609	1264	2642	770	2158
		3873		5570		

1848-1865 წლებში მეტიკეების რიცხვი 14-დან 0-მდე შემცირდა, ამავე დროს, როგორც სხვა ცნობებიდან დგინდება, მრავლდებიან მეკასრეები[38]. მეეთრად იზრდება რიცხვი მეფუნთუშეებისა (1-14), კონდიტერებისა (1-26), მესაათეებისა (5-66), მეეპოლეტეებისა, მეკარეტეების, მებუზმენტეებისა და სხვ. სამაგიეროდ მცირდება რაოდენობა მქსოველების, მესაპნეების, მენაბდეების, თოქმაჩებისა და იარაღის მკეთებლებისაც კი (1845 წ. – 82; 1865 წ. – 38).

მასალების სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს დავადგინოთ წლების მიხედვით მოსულ ხელოსანთა რაოდენობა თბილისში და სხვა ქალაქებში, მაგრამ მათი რიცხვი რომ საკმაოდ მოზრდილი იყო, ამის ვარაუდი მტკიცედ შეიძლება. საერთოდ 1845-1865 წლებში თბილისის და სხვა ცენტრების ხელოსნობა კვლავ ჩქარი ტემპით იზრდება. როგორც რაოდენობრივად, ისე დარგობრივად (იხ. ცხრილი) 1845 წელს თბილისში 24 დარგის 2082 ხელოსანია (ალბათ ოსტატი) აღნიშნული; 1848 წელს – 33 დარგის 2609 ოსტატი ხელოსანი, ხოლო ქვეოსტატებისა და მოწაფეების საერთაულო რიცხვი 1264-ს უნდა უდრიდეს, ე. ი. მთლიანი საერთაულო რაოდენობა 3873 კაცს შეადგენს. 1865 წლისათვის ჩვენი ცხრილის მონაცემების ცნობით თბილისში 53 დარგის 5570-მდე ხელოსანი ითვლებოდა.

ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ თბილისის ხელოსნობა ძირითადად მოსული ხელოსნობის ხარჯზე ი'სრდებოდა[39]. ჩვენი ფიქრით ამ ზრდაში ძირითადი ადგილი მაინც ადგილობრივ ელემენტს ეკავა. და ეს რომ ნამდვილად ასე იყო იქიდან ჩანს, რომ უკვე 1865 წლისათვის ხელოსნობის ისეთ დარგებშიც კი, რომელებსაც მანამდე საქართველოში საერთოდ არ იცნობდნენ, ადგილობრივი ხელოსნები რაოდენობრივად უტოლდებიან და ზოგჯერ კიდეც აჭარბებდნენ მოსულ ხელოსნებს. მაგალითად: კონდიტერებში 1865 წელს დასაქმებული იყო უცხოელი 5 ოსტატი 16 მოწაფით, ადგილობრივი კი 8 ოსტატი 6 მოწაფით; მეძეხვეებში უცხოელი 2 ოსტატი 6 მოწაფით და ადგილობრივი 4 ოსტატი 4 მოწაფით; გადამკერელები რუსი და უცხოელი 4 ოსტატი 7 მოწაფით, ადგილობრივი 9 ოსტატი 6 მოწაფით; მებუზმენტეები და ოქრომჭედლები – უცხოელები 4 ოსტატი, 13 ქვეოსტატი, 1 მოწაფე, ადგილობრივი 22 ოსტატი და ქვეოსტატი, 19 მოწაფე და ა. შ.[40].

ახალ პირობებში იცელებოდა ადგილობრივი ხელოსნური დარგების ხასიათი. მათში თანდათან მცირდებოდა აზიური და ძლიერდებოდა ევროპული გაელენა. მაგალითად, 1866 წლისათვის ფეხსაცმლის წარმოებაში თბილისში დასაქმებული იყო 637 ოსტატი, ქვეოსტატი და მოწაფე. აქედან ევროპულ მეჩექმეობაში ჩაბმული იყო 179 კაცი (108 ოსტატი და ქვეოსტატი 71 მოწაფე) აქედან 114 კაცი თავისუფალ ხელობას მისდევდა, 64 კი ამქარში იყო გაერთიანებული), ქართულ, აზიურ, სპარსულ და თურქულ ფეხსაცმელების კერეაში მთლიანად ჩაბმული იყო 167 ოსტატი და ქვეოსტატი და 126 მოწაფე, შემდეგი შეფარდებით:

აზიური მეჩექმე ოსტატი და ქვეოსტატი	54	მოწ.	62
თურქული ფეხსაცმლის მკერავი	45	„	19
ქართული მეწაღლეები	48	„	16
გარდა ამისა იყენენ ფეხსაცმლის შემკეთებლები	40	„	9
მექალამნეები	21	„	8

როგორც ეხედავთ, ევროპული ტიპის ხელოსნები ყველა მათგანზე ცალკეულწილად მეტია და საერთო რაოდენობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს[41].

აღნიშნული მდგომარეობა უფრო თვალნათლივ მკერავების მაგალითზე ჩანს: ამავე პერიოდისათვის ტანისამოსის სამკერვალო ხელოსნობა აერთიანებდა 432 ოსტატს და მოწაფეს (მუშების რაოდენობა არაა დადგენილი), აქედან ევროპული ტანსაცმლის კერეაში ჩაბმული იყო 294 კაცი – 181 ოსტატი და ქვეოსტატი და 113 მოწაფე (აქედან 121 ოსტატი, ქვეოსტატი და 63 მოწაფე თავისუფალ ხელობას მისდევს, ხოლო 60 ოსტატი და ქვეოსტატი და 50 მოწაფე ამქარშია გაერთიანებული); ხოლო აზიური ტანსაცმლის კერეაში მხოლოდ 138 კაცი იყო ჩაბმული – 63 ოსტატი და ქვეოსტატი და 75 მოწაფე[42].

მსგავსი შედარებების გაგრძელება შეიძლებოდა, მაგრამ ეფიქრობ ნათელია, რომ **მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თბილისი და სხვა ქართული პუნქტები თანდათანობით ევროპული ხელოსნობის ცენტრებად იქცეოდნენ.**

ეს იყო ჩვენში ხელოსნობის სრულიად ახალი დარგების გაჩენისა და განვითარების რთული პროცესი. ცხადია, ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა; მას წინ აღუდგა და, როგორც აღვნიშნეთ, წლების განმავლობაში მედგარ წინააღმდეგობას უწევდენ ამქარში გაერთიანებული ადგილობრივი ხელოსნები. ისინი ხედავდნენ, რომ თანდათან მათ ძალა ეკარგებოდათ. მოსული ხელოსნები სულ უფრო და უფრო აცლიდნენ ასპარეზს. ადგილობრივ ბაზარზე მათი ნახელავი ევროპული ყაიდის ნაკეთობებს უთმობდა გზას. კოლონიური მთავრობა აშკარად მოსული ხელოსნების მხარეს იჭერდა.

ქართველ ხელოსანთა ბრძოლის ფორმები და მოსულ უცხოელთა კონტრდონისძიებები. შექმნილ ვითარებაში თბილისელ ხელოსნებს გაერთიანება და შეკავშირება მიაჩნდათ ერთადერთ პირობად, რომ ხელიდან არ გაეშვათ მოქმედების ასპარეზი, შეეჩერებინათ დაშლის პროცესი თავის შიგნით, წინააღმდეგობა გაეწიათ მოსული ხელოსნებისათვის და წინ აღდგომოდნენ კოლონიურ მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ხედავდა რა ადგილობრივი ხელოსნების დამოკიდებულებას მოსული ხელოსნებისადმი, თანდათან ამქრული ხელოსნობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. და აი, XIX ს. 40-იანი წლებიდან მოყოლებული, თბილისში სწრაფად იზრდებოდა ამქრების რიცხვი. ამქარში ერთიანდებიან არა მარტო ხელოსნები: არამედ საქალაქო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის წარმომადგენლები – თულუხჩები, მებაღეები, მეწვრილმანეები[43]. და, ასე გასინჯეთ, მათხოვრებიც კი. ჩქარა ადგილობრივი ხელოსნები შეერთებული ძალებით უკვე აშკარად იწყებდნენ შეტევას მოსულთა წინააღმდეგ.

რუსი და უცხოელი ხელოსნები უკვე 40-იანი წლების დასაწყისში ჩივიან ადგილობრივთა მიერ მათ შეეიწროებაზე[44]. და არა მარტო ხელოსნები. მსგავსი მდგომარეობა იყო ვაჭრების მიმართაც; მეტად დამახასიათებელია რუსი ვაჭრების: ვასილ იაკიმოვის, გაბრიელ ეოლოდინის და ივანე ველიკანოვის თხოვნა იმპერატორისადმი (1837-1842 წწ.): „ჩვენ ჩამოვედით საქართველოში და აქ ვაჭრობას ვეწევით... რომლის წარმოების დროს, საქართველოს საყაჭრო საზოგადოება, სადაც გილდიების მიხედვით დაყოფა ჯერ კიდევ არ არის, გვაიეწროებს იმით, რომ ჩვენ აქ მოქმედი წესის საწინააღმდეგოდ, საზოგადოებრივ მოსაკრებლებს ერთობ გაზრდილი ოდენობით გვართმევენ ისე, რომ ისინი ათჯერაც კი აღემატებიან აქაური მაცხოვრებლებისას; სახელდობრ: კრებენ რა ადგილობრივ მცხოვრებთაგან არა უმეტეს 3 მანეთისა ვერცხლით, ჩვენგან იღებენ: ჩემგან – პროსიაკინისაგან 220 მანეთს, ეოლგინისაგან კი – 140 მანეთს. ასეთი უსამართლო მოკრება, არა მარტო წარმოებული ვაჭრობის პროცენტს გვისპობს, არამედ საქართველოში თავის რჩენის საშუალებასაც“[45].

ხოლო მთხოვნელები რომ განგებ არ აზეიადებენ საქმეს, იქიდან ჩანს, რომ პოლიციმეისტერს შეუმოწმებია მდგომარეობა, დარწმუნებულმა სანიერის საფუძველიანობაში, რაღაც ზომებიც მიულია და აღნიშნავდა, რომ მომჩივნები ახლა დაკმაყოფილებულები არიანო.

მოსული ხელოსნობაზე გაზრდილი გადასახადის გაწერა, ჩანს, საკმაოდ გავრცელებული ხერხი იყო: 1852 წელს რუსი ხელოსნები ხუროები, დურგლები, მხატვრები, მღებავები, მეთუნუქეები, მხურვალეები, მხერხავები და სხვ. მიმართავდნენ მეფისნაცვალ ვორონცოვს, რომ ჩვენ სადაც არ გვიმუშავია, ყველგან ერთნაირ გადასახადს ვიხდიდ: ოსტატი 4 მანეთს, მუშა 1 მანეთს ვერცხლით. აქ კი აუტანელი გადასახადი დაგვადეს: ოსტატი 10-25 მანეთამდე, მუშა 1-6 მანეთამდეო[46].

უეჭველია, რომ მოსული ხელოსნების წინააღმდეგ ამქარი ბრძოლის სხვა საშუალებებსაც მიმართავდა. იგი რუს და ევროპელ ხელოსნებთან შედარებით უკეთ იყო ორგანიზებული და უკანასკნელთ, კოლონიური მთავრობის მხარდაჭერითაც კი, უჭირდათ გამკლავებოდნენ მათ. მოსული ხელოსნები ან ადგილობრივ ამქრებში უნდა შესულიყვნენ, ან კი მათი შეეიწროება განეცადათ. თუ ზოგიერთი რუსი ხელოსანი მაინც შედიოდა ადგილობრივ ამქარში და ზოგჯერ საკმაო გაელენასაც აღწევდა იქ, უცხოელები ამის წინააღმდეგნი იყვნენ და საკუთარი ინტერესების დასაცავად შეკავშირებასა და დამოუკიდებელი, საკუთარი, ამქრის შექმნას იწყებდნენ. ჯერ კიდევ 1846 წელს ამქარს ქმნიან უცხოელი (ევროპელი) მეხეიქმეები; ადგენენ საკუთარ წესდებას და მამასახლისად (უსტაბაშად) ირჩევენ კარლ ბემლერს[47].

60-იანი წლების დასაწყისში თბილისში ამქარს პქმნიან უცხოელი მეფუნთუშეები, ამქრის მამასახლისად აურჩევიათ გერმანელი ქრისტოფორე კლოტცი. ჩვენ ხელთ გვაქვს აღნიშნული ამქრის წესდება. იგი ადგილობრივი ამქრების წესდების გაელენითაა შედგენილი. 1 პარაგრაფში პირდაპირაა მითითებული, რომ: „თბილისელ მეფუნთუშე ოსტატთა საზოგადოება, რომელიც სხვადასხვა ეროვნების და წოდების პირთაგან შედგება, ვალდებულია სხვათა მაგალითისამებრ თავისი წრიდან საერთო წესით აირჩიოს მამასახლისი, ანუ უსტაბაში, ორი ოანაშემწით“[48].

წესდება არ განსაზღვრავს არც ქარგლების და არც შეგირდების რაოდენობას, ხოლო დაქირავებული მუშები კი, რამდენიც სურდათ იმდენი შეეძლოთ პყოლოდათ. საბუთი პირდაპირ მიუთითებს: „მცხოვრებთა მოხერხებულობისათვის თითოეულ მეფუნთუშეს შეუძლია ქალაქში გაგზავნოს დამტარებლების განუსაზღვრელი რაოდენობა“[49].

აღნიშნული ამქარი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, არ არის გამორიცხული, რომ მასში ადგილობრივი ხელოსნებიც ერივნენ, მაგრამ უმრავლესობა მოსული რუსი და ევროპელი ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ: როცა წესდებაში ლაპარაკია იმაზე თუ როგორ და რაში უნდა იქნას გამო-

ყენებული ამქრის სალარო, იქ ერთ-ერთი მთავარი პუნქტია ის, რომ მან ფულადი დახმარება უნდა გაუწიოს ამქრის წევრებს სამშობლოში მგზავრობისათვის. მოსული, უმეტესად უცხოელი, ხელოსნების მიერ ცალკე ამქრის შექმნა 40-იანი წლებიდან უკვე გავრცელებულ სახეს იღებს. ეს პროცესი, როგორც ეხედავთ, 60-იან წლებამდე გრძელდებოდა.

ქართული ამქრის ტრანსფორმაცია. ცხადია, ასეთი მკვეთრი გარდაქმნების ვითარებაში, უცვლელად არც ადგილობრივი ხელოსნები დარჩნენ, კერძოდ ახალ პირობებში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა მათი შეკავშირების ფეოდალური ინსტიტუტი – ამქარი.

ახალმა ვითარებამ შეარყია ამქრის პატრიარქალური სტატიურობა. უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისიდან შეიმჩნევა მკვეთრი დიფერენციაცია ამქრის წევრებს შორის. აელაბრის ოქრომჭედლების წესდება არაერთხელ იხსენებს „საპატიო" პატიოცემულ ოსტატებს. ხოლო „საპატიოდ" იმ ოსტატს თვლის, რომელიც მთელი წლის გადასახადს წინდაწინ შეიტანდა[50]. აღნიშნული წესდებით უმცროს-უფროსობა ამქარში მეტად შორსაა წასული. უმცროს-უფროსობას კი განსაზღვრავს არა წლოვანება, არც თავისი ხელობის უკეთ ცოდნა, არამედ ის, თუ ვინ უფრო ადრეა ნაკურთხი ოსტატად[51]. ხოლო ოსტატად კურთხევა ეკონომიურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული და სხვა ადგილას იგივე წესდება მიუთითებს, რომ, სამწუხაროდ, ოსტატად კურთხევა მარტო ხელობის ცოდნით არ ხდებაო. ამრიგად, ქონებრივი განსხვავება თანდათან არღვევდა ამქრის შინაგან-მოკრატიულ სტრუქტურას. მართალია, უსტაბაშის არჩევის დროს წესდება ითვალისწინებდა არაფერს არ მიქცეოდა ყურადღება, გარდა კანდიდატის პირადი ღირსებისა[52] მაგრამ, ჩანს მაინც ყოფილა არჩეული პირის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების საშიშროება, რადგან სხვა ადგილზე იგივე წესდება აფრთხილებს არჩეულ პირებს არ გაამპარტავნდნენ, არ გაყოყოჩდნენ და თავი ამქრის პატრონებად არ წარმოადგინონ. ხოლო, რომ ასეთი საშიშროება მართლა არსებობდა, ამაზე ერთი უცნობი ავტორი მიგვითითებს: იგი მოგვითხრობს, რომ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ ქალაქის მცხოვრებნი, წარჩინებული გვარის წარმომადგენლები, სიღარიბის გამო ხელოსნობას ჰკიდებდნენ ხელს, აი სწორედ ისინი, მიაღწიეს რა 1815-1820 წლებში სრულ წლოვანებას, მოექცნენ ამქრის სათავეშიო[53]. ავტორის პრიმიტიული თხრობა იმას მიგვანიშნებს, რომ უსტაბაშად ჩვეულებრივი ხელოსანი კი არ მიაჩნდათ, არამედ წარჩინებული, დიდგვარიანი.

ამქრის რღვევის ნიშანია ისიც, რომ უკვე „მე-19 ს. დამდეგიდანვე ამქართა ცხოვრებაში ვაჭრული და მეავაჭური კაპიტალის როლი სულ უფრო იზრდებოდა და 1840-1850-იან წლებში მას უკვე გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდა მოპოვებული"[54].

მასალების სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს თვალი გავადევნოთ ამ მეტად საინტერესო პროცესს უწყვეტლივ მთელი მე-19 საუკუნის I ნახევრის მანძილზე. ჩვენთვის ცნობილი არ არის თუ რაში გამოიხატა ვაჭრების მიერ ამქრული ხელოსნების დამორჩილება, გაიხადეს თუ არა ვაჭრებმა ისინი თავის დაქირავებულ მუშებად, ე. ი. იქცნენ თუ არა ვაჭრები შემსყიდველ კაპიტალისტებად. უნდა ვიფიქროთ, რომ ცალკეულად ასეთ პროცესს ადგილი ჰქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან საყოველთაოდ გავრცელებული ხასიათი ვერ მიიღო სწორედ იმ ორგანიზებული წინააღმდეგობის გამო, რომელსაც მას ამქარი უწევდა, რათა თავი გადაერჩინა. თუმცა ეს პროცესი მთლიანად არ შეწყვეტილა, ხოლო მას შემდეგ, რაც, ახალი ვითარების შესაბამისად, თბილისში ოფიციალურად დაუშვეს თავისუფალი ხელოსნობა, იგი კიდევ უფრო განვითარდა. მაგრამ ამქარი ახლაც არ წყვეტდა წინააღმდეგობას და ბრძოლას ვაჭარი შემსყიდველების თუ გაკაპიტალისტებული ყოფილი ოსტატების წინააღმდეგ. აი ამის ერთ-ერთი მაგალითი: 1854 წელს თბილისის მცხოვრებს ხეჩო ყაზაროვს საჩივარი შეუტანია თბილისის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელთან, კოლუბიაკინთან, იმ

შეეიწროებასა, რომელსაც მას აყენებდნენ მეტყველთა ამქრის უსტაბაში მოსეს ხითაროვი და აღსაკლები – ივანე ყოროჯაევი და ოქიმ აევტიკოვი.

როგორც მეტყველთა ამქრის წევრების განმარტებიდან ირკვევა, ყაზაროვი ადრე ამქრის ოსტატი ყოფილა, გარკვეული სიმდიდრე შეუგროვებია, დაუქირავებია მუშები, რომლებიც მისთვის მირსოევის „ქარხანაში" ამუშავებდნენ ტყავს[55]. თვითონ ყაზაროვი ხელობას აღარ ეწევა, მას გახსნილი აქვს სპეციალური ფარდული და აღნიშნული დაქირავებული მუშების მიერ დამზადებული მასალის რეალიზაციით არის დაკავებული. მისი ნაწარმი, ჩანს, მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდა ამქრულ ხელოსნებისას. მაგრამ, ესეც რომ არ ყოფილიყო, ამქარი ვერ შეურიგდებოდა თავისი ყოფილი წევრის განდგომისა და ასეთი ფართო მოღვაწეობის თვით ფაქტს, რადგან ყაზაროვის მაგალითი ამქრის სიკვდილის სერიოზული სიმპტომი იყო და ამქარს ბრძოლა გაუწაღებია მის წინააღმდეგ: ხელს უშლიდა ნედლეულის შესყიდვაში და ნორმალური მუშაობის საშუალებას არ აძლევდა მის დაქირავებულ მუშებს.

თბილისის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა, ბუნებრივია, კოლონიური პოლიტიკის შესაბამისად, ყაზაროვის მხარე დაიჭირა და ქალაქის თვითმმართველობას დაავალა მიეღო ზომები ამქრის თვითნებობის აღსაკვეთად. მეტყველთა უსტაბაშებს ხელწერილები ჩამოართვეს[56] და ისინიც ერთხანს თითქოს მიწყნარდნენ. მაგრამ ჩქარა ახალი კომპანია წამოიწყეს ყაზაროვის წინააღმდეგ, რაც იმაში გამოიხატა, რომ სხვა დარგების უსტაბაშების დახმარებით, ყველა ხელოსანს აეკრძალა ყაზაროვისაგან ტყავის შესყიდვა[57]. საქმეში კვლავ ხელისუფლება ჩაერია, დამნაშავენი ადმინისტრაციული წესით დასაჯეს. მაგრამ, როგორც ჩანს, საქმეს არც ამან უშველა და 1862 წელს ყაზაროვი კვლავ ამქრული ხელოსნების მიერ მის შევიწროებაზე ჩივის[58].

40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში მეპურეთა ამქარი მწვავე ბრძოლას აწარმოებდა ხელოსან გიგია ომიაძის წინააღმდეგ. 1848 წელს ანდრონიკაშვილის ყმას გიგია ომიაძეს თბილისში პურის საცხობი გაუხსნია, ამაზე მას ნებართვა აუღია ქალაქის მმართველობაში[59].

ამქრის წესდებით მას ფარდულის გახსნაზე ამქრისათვის 20 მანეთი უნდა გადაეხადა ვერცხლით. მან ეს არ ისურვა. ცოტა ხნის შემდეგ ომიაძეს მეორე საცხობის მოწყობა განუზრახავს. ამქარს ამის ნება არ მოუცია, მას მაინც არ დაუშლია და მეპურეთა ამქრის უსტაბაშის ხოსია სულაძის განკარგულებით ხელოსნები შეეარდნენ საცხობში და თონე დაუმტვრევიათ. საქმეში ხელისუფლება ჩაერია. ბუნტის მოთავე 8 კაცი დააპატიმრეს. მათ შორის უსტაბაში სულაძე. იგი 15 როზგით დასაჯეს, რასაც მეპურეებმა გაფიცვით უპასუხეს. ფარდულები დაიკეტა. მაშინ პოლიციამ ძალას მიმართა, ფარდულები ძალით გააღებინეს და 31 კაცს თითო თუმანი ჯარიმაც დააკისრეს.

ამის შემდეგ ამქარს კვლავ არ მოუსვენია. ამქრის მეთაურები სხვა ამქრებს უკავშირდებიან და მათი მხარდაჭერით ბოიკოტს უცხადებდნენ ომიაძეს. ამის თაობაზე უსტაბაში ხოსია სულაძე თანამდებობიდან მოხსნეს[60]. როცა ოფიციალურ წრეებში ვერას გახდნენ, ამქარს ომიაძის ბატონისათვის, არმიის პოლკოვნიკ ევსეი ანდრონიკაშვილისთვის მიუმართავს თხოვნით: თქვენი გლეხი, თქვენი იმედით ამქრის საწინააღმდეგო მოქმედებას სჩადის და გთხოვთ დაარიგოთ, ჭკუაზე მოიყვანოთ, თორემ მას ყველა ამქარი განდევნის და ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი ადგილს ვერ იპოვის, არც ერთი ხელოსანი მასთან არა თუ საქმეს არ იქონიებს, არამედ არც კი დაელაპარაკება, მას საშინელი სასჯელი ელის, რადგან იგი არღვევს 16 ასნაფის გადაწყვეტილებასო[61].

ომიაძე არც ამ მუქარამ შეაშინა და კოლონიური ხელისუფლების წარმომადგენელთა მხარდაჭერით იგი აქტიურად აგრძელებდა წინააღმდეგობას.

ის, რაც გაბედა გ. ომიაძემ 1848 წელს, 10-20 წლის წინათ წარმოუდგენელი რამ იყო. ამქრის ნება-სურვილის წინააღმდეგ წასვლა თვითმკვლელობას უდრი-

და, მაგრამ გ. ომიაძეს კარგად ესმოდა კოლონიური მთავრობის პოლიტიკა და მისი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. მთავრობამ, როგორც დავინახეთ, აქტიურად დაუჭირა მას მხარი, თუმცა იგი ადგილობრივი ხელოსანი იყო და ადგილობრივი ხელოსნობის წინააღმდეგ იბრძოდა. აქტიურად დაუჭირა მხარი იმიტომ, რომ იგი პასუხობდა ხელოსნებისადმი მისი დამოკიდებულების გენერალურ ხაზს — შეეზღუდა ამქრის მონოპოლია.

მართალია, მსგავსი მასალა ჩვენ ბევრი არ მოგვეპოვება, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ვივარაუდოთ, რომ ყაზაროვისთანა ეაჭარი მწარმოებლები, 50-60-იან წლებში მაინც, თბილისში იშვიათი არ იყო დასტურად კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: თბილისის ამქრის 1867 წლის წესდების პროტესტში, რომელიც ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად იყო შედგენილი, ყურადღებას იპყრობს ოსტატის განსაზღვრა: „ოსტატად იწოდება ის, რომელიც ან თვითონ მოქმედებს ხელობით ცალკე დუქანში, ან უჭირავს საოსტატო სახელი, რომელშიც ჰყვანან მოჯამაგირე ქარგლები და შეგირდები"[62]. როგორც ეხედავთ, წესდება თვლიდა, რომ ამქრის წესით ოსტატი სულაც არ იყო ვალდებული თვითონ ემუშავნა, იგი შეიძლება იყოს სახელოსნოს პატრონი, რომელშიც დაქირავებული შრომის ექსპლუატაციით იღებს მოგებას. როგორც ეხედავთ, აქ ისეთი მდგომარეობაა გათვალისწინებული, რომელიც სრულიად უცხოა ორთოდოქსალური ამქრისათვის. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამსაირი განსაზღვრება პროექტის შემდგენის ფანტაზიის ნაყოფი იყოს. ეტყობა მას თბილისის სინამდვილეში საფუძველი ჰქონდა; მაშასადამე, თბილისში მრავლად ყოფილა მსხვილი კაპიტალისტური სახელოსნოები, რომლის მფლობელნიც, ძველი ტრადიციის მიხედვით, ჯერ კიდევ ოსტატებად იწოდებოდნენ. ასეთი სახელოსნოების გაჩენა ჩვენ უფრო მრავლად მოსულ ხელოსნებში აღვნიშნეთ. მაგრამ მსგავსი მდგომარეობა არაიშვიათად არც ადგილობრივი ხელოსნებისათვის უნდა ყოფილიყო უცხო. მოსალოდნელია, რომ მსგავსი სახელოსნოს მეპატრონე ხელოსნები ამქრული ორგანიზაციებიდან თავისუფლები იყვნენ, მაგრამ არც ის იქნება უჩვეულო, რომ ისინი ამქარშიც კი ყოფილიყვნენ გაერთიანებულნი.

ამქრული ორგანიზაციის რღვევაზე და მასში შეჭრილი ახალი ურთიერთობის სიძლიერეზე მიუთითებს თბილისის ხელოსნობაში დაქირავებული შრომის სულ უფრო მზარდი გამოყენება. დაქირავებული შრომის გამოყენების საქმეში ყველაზე წინ იყვნენ წასული დამმუშავებელი ხელოსნობის ისეთი დარგები, როგორიცაა: მეაგურეები, მეტყავეები, საპნისა და სანთლის მკეთებლები და სხვ. მაგრამ დაქირავებული შრომის გამოყენების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა ხელოსნობის თითქმის ყველა დარგში. არა თუ კვალიფიციური ხელოსნები, დაქირავებული შრომის ექსპლუატაციას თულუხჩეებიც კი ეწეოდნენ: 1865 წლისათვის 95 თულუხჩს 25 დაქირავებული მუშა ჰყავდა[63].

ამქრის დაშლისა და მისი სიმტკიცის შერყევას თან სდევდა ამქრის ეკონომიკური დასუსტებაც. თანდათან ცარიელდებოდა ამქრის სალარო და ჩქარა იგი მხოლოდ ფიქტიურადღა არსებობდა. 1865 წელს თბილისის 122 ამქრიდან მხოლოდ 9-ს ჰყავდა სპეციალურად მოლარე[64]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოლარის არ ყოლა სალაროს სიმცირეს ან სრულიად არ არსებობას შეიძლება არც ნიშნავდეს, რადგან მოლარის მოვალეობა მოსალოდნელია რომელიმე აღსაჰკალს ჰქონოდა დაკისრებული, მაგრამ ცნობიდან ჩანს, რომ ეს ასე არ ყოფილა. პირიქით, უმეტესი ამქრის სალაროები ცარიელი იყო და, ბუნებრივია, ხაზინადარის ყოლას აზრი აღარ ექნებოდა: „სირაჯების, მებაყლეების, დაბაღების, მარკიტანტების და სხვა საპატიო ამქრების სალაროებში ყოველთვისაა 100-დან — 500 მანეთამდე (მივაქციოთ ყურადღება, რომ ძირითადად საუბარია საეჭვო ამქრებზე — მ. ს.), სხვებში კი არასოდეს არაფერი არაა"[65].

ამქრებისადმი კოლონიური ხელისუფლების დაპირისპირება. ადგილობრივი კოლონიური მთავრობა კარგად აფასებდა შექმნილ ვითარებას და ხედავდა, თუ

რა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ადგილობრივი ხელოსნობა. მაგრამ განუხრელად აგრძელებდა თბილისსა და საერთოდ საქართველოში, ევროპული ხელოსნობის გავრცელების პოლიტიკას და ამით თავის წინააღმდეგ განაწყობდა ამქარს.

მთავრობას შესანიშნავად ესმოდა თუ რა მწვავე ბრძოლა გამოიწვია მოსულ ხელოსნების მომრავლებამ თბილისსა და საერთოდ საქართველოში, მაგრამ იგი დაბეჯითებით აგრძელებდა თავის გეზს. ეხლა მას უკვე შესაძლებლობა ჰქონდა ანგარიში არ გაეწია ამქრისათვის. პირიქით, იგი თავის დასაყრდენს კი არა, უკვე ხელის შემშლელ ძალას ხედავდა.

თავის მხრივ თბილისის ხელოსნებიც ხედავდნენ, თუ როგორ მეთოდურად აძლიერებდა მთავრობა მათ საწინააღმდეგო პოლიტიკას. ამიტომ ირღვევა მათი ურთიერთ კეთილგანწყობა. ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოდან კანტიკუნტად იწყება ამქრების მღელვარება[66]. თანდათანობით ამქარი სულ უფრო მეტ ურჩობას იჩენს. ყოველივე ამან კანონზომიერად მიიყვანა იგი აჯანყებამდე 1865 წელს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ყალიბდებოდა კოლონიური მთავრობის დამოკიდებულება ამქრისადმი. მას სურდა ჩამოეცილებია ამქრისათვის მონოპოლიისადმი მისწრაფების ძალა და დაეტოვებინა ამქარი, როგორც მხოლოდ საქველმოქმედო ორგანიზაცია და საგადამხდელო ერთეული. ამ მიზანს ისახავდა ეორონცოვის პროექტი თბილისში „სახელოსნო მმართველობის" დაარსების შესახებ, რომელიც 1852 წ. დამტკიცდა[67]. აღნიშნული პროექტი ცხოვრებაში მეტად კუდშეკვეცილად გატარდა. 1854 წელს მთავრობა კვლავ დაუბრუნდა ამქრის საკითხის გადაწვეტას, მაგრამ უშედეგოდ. 1859 წელს ბევრი შესწორება შეიტანეს 1852 წლის პროექტში, მაგრამ „სახელოსნო მმართველობის" სრული ფორმით მოწყობა მაინც შეუძლებელი შეიქმნა.

60-იანი წლების დასაწყისში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მთავრობის წრეების აზრი ამქარზე, რომელსაც ისინი თვლიდნენ თბილისში ხელოსნობის წარუმატებლობის, სიძვირისა და მრავალი სხვა უბედურების მიზეზად[68]. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამქრის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. თბილისის ამქრის 1856 წლის გამოსვლა მხოლოდ საბაბი იყო მთავრობისათვის, რათა ახალ კანონმდებლობით საბოლოოდ შეეყარა ამქრული ორგანიზაციის საფუძველი.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა თუ როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება კოლონიურ მთავრების წრეებსა და ამქრულ ხელოსნებს შორის. ეს ორი ძალა ისე დაუპირისპირდა ურთიერთს, რომ საბოლოოდ საქმე იარაღამდეც კი მივიდა. ასეთია საქართველოში ხელოსნობის განვითარების ძირითადი მომენტები მე-19 საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, რომელსაც საფუძვლად რუსული კოლონიური პოლიტიკა დაედო.

---

1. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 76.
2. სცსსა, ფ. 2, საქ. 3565, ფ. 1.
3. ჟურ. „ლუმა" (სომხურ ენაზე), 1998 წ. №1, §17.
4. Газ. „Кавказ", 1846 г., №42.
5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ROSD 268.
6. პ. გუგუშვილი, შეღავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თსუ შრომები, 1936 წ., III, V.
7. ЦГВИА, ВУА, საქ. 18481, ფურც. 5, სცსია ფონდი 16, საქმე 5259.
8. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ROSD 110, ფ. 21.
9. სცსსა, ფ. 2, საქ. 3864, ფურც. 12-13.

10. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. IX, Тиф., 1884, გვ. 604, №520.
11. პ. გუგუშვილი, საქართველო და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. IV, გვ. 145.
12. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 2051, ფურც. 47.
13. იქვე, ფ. 27.
14. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 2051, ფურც. 26.
15. იქვე, ფურც. 27.
16. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 2254, ფურც. 26.
17. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 2059, ფურც. 48.
18. სცსსა, ფ. 26, აღწ. 1, საქ. 2682, ფურც. 3-4; იქვე, საქ. 2051, ფურც. 48.
19. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1. საქ. 4458, ფურც. 17.
20. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 5682, ფურც 36.
21. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 5658, ფურც. 17.
22. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 4458, ფურც. 17; იქვე, საქმე, 4925, ფურც. 58.
23. სცსსა, ფ. 26, აღწ. 1, საქ. 5682, ფურც. 35-38;
24. იქვე, ფურც. 47.
25. იქვე, ფურც. 55.
26. სცსსა, ფონდი 16, საქმე 4883, ფურც. 4.
27. სცსსა, ფონდი 16, საქმე 4883, ფურც. 19.
28. იქვე, ფ. 1731.
29. Обозрение русских владении за Кавказа, ნაწ. I, 1836, გვ. 17, 31, 287.
30. დასახ. ნაშრომი, იქვე, გვ. 234
31. პ. გუგუშვილი, დასახ ნაშრომი, ტ. V, გვ. 146.
32. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. IX, Тиф., 1884, გვ. 59, №514.
33. იქვე, ტ. IX, გვ. 604, №520.
34. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. X, Тиф., 1885, გვ. 625, №528.
35. სცსსა, ფონდი 4, აღწ. 5, საქ. 19.
36. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. X, Тиф., 1885, გვ. 833.
37. სცსსა, ფონდი 8, საქ. 129, გვ. 147.
38. სცსსა, ფონდი 16, საქ. №5255.
39. გ. ბაქრაძე, კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობა და განვითარება საქართველოში XIX საუკუნეში (რუსულ ენაზე), თბ., 1958, გვ. 23.
40. სცსსა, ფ. 7, აღ. 1, საქმე 22, ფურც. 29.
41. სცსსა, ფ. 7, აღ. 1. საქ. 22, ფურც. 29.
42. იქვე.
43. სცსა, ფონდი 414, აღწ. 1, საქმე 213, ფურც. 132-133.
44. სცსსა, ფონდი 16, საქმე 5612, ფურც. 31.
45. სცსსა, ფონდი 2, აღწ. 1, საქმე 4842, ფურც. 18.
46. სცსსა, ფ. 26, აღწ. 4, საქმე 839, გვ. 3-4.
47. სცსსა, ფ. 16, საქმე 9015, ფურც. 17.
48. სცსსა, ფ. 26, აღ. 2, საქმე 1854, ფურც. 4.
49. იქვე, ფ. 10.
50. ჟურ. „ლუმა", სომხურ ენაზე, 1898 წ., 1, §13.
51. იქვე, 11, §25.
52. იქვე, §34.
53. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ROSD 268, გვ. 1.
54. პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 275-276.
55. სცსსა, ფონდი 26, აღწ. 4, საქ. 1212, ფურც. 15.
56. იქვე, ფურც. 11.

57. იქვე.
58. იქვე, ფურც. 4, 7.
59. იქვე, ფურც. 2.
60. იქვე, ფურც. 3.
61. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ROSD 291, ფურც. 106.
62. სციალ, ფ. 1287, აღ. 38, საქმე 696, ფურც. 49.
63. სცსსა, ფონდი 414, აღ. 1, საქმე 213, ფურც. 132-133.
64. სცსსა, ფონდი 414, აღ. 1, საქმე 13, ფურც. 103-131.
65. სცსსა, ფონდი 414, აღწ. 1, საქმე 13, ფურც. 104-105.
66. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ROSD 268, ფურც. 1.
67. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. X, Тиф., 1885, გვ. 51. №49.
68. სცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 651, ფურც. 8.

კოლონიური რეჟიმის ძალისხმევა ახალი ყაიდის, შედარებით მოზრდილი სამრეწველო საწარმოთა დასანერგად

საქართველოს ხელოსნობისადმი კოლონიური რეჟიმის დამოკიდებულებას რომ ვიხილავდით, აშკარად გამოჩნდა მისი მისწრაფება ადგილობრივი აზიური ხელოსნობის შეეიწროების ხარჯზე განვითარებინა რუსული და უცხო ელემენტისათვის მისაღები ევროპული ხელოსნობა.

ცარიზმის მთავარ ამოცანას ქვეყნის ეკონომიკური დაპყრობა შეადგენდა, რისი ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო საქართველოს მეურნეობის გადაქცევა რუსული ეკონომიკის დანამატად, ანუ აქ თბილი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ნედლეულის წარმოების გაფრცელება, მისი პირველადი დამუშავება – გაწმენდა, დახარისხება და ევროპული ყაიდის მრეწველობისათვის გამოსადეგი ნახევარფაბრიკატის დამზადება.

ახლა საჭიროა განვიხილოთ თუ რა სახით მუშავდებოდა ეს ნედლეული ახალი ტიპის, ახლად დანერგილ სამრეწველო საწარმოებში.

საჭირო იყო მრეწველობის იმ დარგების ხელშეწყობაც, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ის კომერციული სტრუქტურები ჩაენაცვლებინათ, რომლითაც ევროპული ყაიდის პროდუქცია, სხვადასხვა მიზეზით, მიუღებლობის, ან საერთოდ არარსებობის გამო გარედან შემოჰქონდათ, რაც დიდ სირთულეებთან და სახსრების ხარჯვასთან იყო დაკავშირებული.

ცდები ნედლი აბრეშუმის ახლებურად გადამამუშავებელი საწარმოების დასანერგად. XVIII-XIX სს. მიჯნაზე რუსეთში ძლიერდება აბრეშუმის დამამუშავებელი მრეწველობა. ამ ფაქტორითაც იყო განპირობებული ის გარემოება, რომ კოლონიური ხელისუფლება განსაკუთრებით უწყობდა ხელს ნედლი აბრეშუმის დამზადებას, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვ�აუბრეთ.

საიმპერატორო მთავრობა დიდად იყო დაინტერესებული ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარებით, რომელსაც ნედლეულით უნდა მოემარაგებინა რუსეთის ფაბრიკები. რეგიონის მეაბრეშუმეობის ოლქებში ხაზინამ თავიდანვე ნატურით სახელმწიფო გადასახადი დააწესა და აქედან დიდი რაოდენობით პარკს იღებდა. მაგრამ აბრეშუმის მოყვანისა და დამუშავების ადგილობრივი დონის გამო, იგი გაცილებით დაბალი ხარისხისა იყო იტალიურ ნედლეულთან შედარებით, რომელსაც რუსეთის მრეწველობა მოიხმარდა. ამას ერთოდა გზის სიშორე და მიუწვდომლობა, აგრეთვე პარკის სპეციფიურობა, რომელიც ვერ ეგუე-

ბოდა შორ მანძილზე გადატანას, რაც კიდევ უფრო აქეთებდა მის ხარისხს და თითქმის აზრს უკარგავდა რუსეთში მის გადაზიდვას.

ჯერ კიდევ 1810 წ. კალაგირში და ლაბაჯანში არსებობდა სახაზინო აბრეშუმსახვევი საწარმოები. მაგრამ, რიგი მიზეზების გამო, ისინი იმედებს ვერ ამართლებდნენ. სახელისუფლო წრეებში საგონებელში ჩავარდნენ, არ იცოდნენ რა ექნათ ხაზინაში შემოსული უამრავი აბრეშუმის ნედლეულისათვის.

ასეთ ვითარებაში, ასპარეზზე გამოჩნდა ფრანგი ნეგოციანტი, ედუარდ ჰენრიხ კასტელი და მთავრობას თავისი სამსახური შესთავაზა. შექმნილი რთული ვითარების გამო, მასაც ბევრი არ უფიქრია და შედარებით ადვილად დათანხმდა ფრანგ საქმოსანს მიეცა მისთვის მნიშვნელოვანი პრივილეგიები და სახაზინო სესხი იმ პირობით, რომ უკანასკნელი ამიერკავკასიაში მოაწყობდა აბრეშუმის მექანიკურად ამოხვევის ერცელ წარმოებას, გააშენებდა თუთის პლანტაციებს და ამით აბრეშუმის ევროპული წესით მოყვანისა და პირველადი გადამუშავების მეურნეობას მოაწყობდა[1].

მთავრობის პრივილეგიები და სესხი კასტელის წამოწყებას მნიშვნელოვან ავტორიტეტს უქმნიდა და მან ადვილად მოახერხა ადგილობრივი და უცხოელი მემამულეების, ვაჭრებისა და ბიზნესმენებისაგან შეედგინა მრავალრიცხოვანი კომპანია, რომელმაც მას დიდძალი კაპიტალი ანდო.

ამის შემდეგ კასტელი სწრაფად იწყებს მოქმედებას: საფრანგეთიდან ჩამოაქვს საჭირო მანქანები, შემოუყავს ოსტატები და უკვე 1826 წელს აბრეშუმის პირველ საცდელ ამოხვევას აწყობს[2], მაგრამ ჩქარა, 1825 წლის დასაწყისიდან, ადგილობრივ ხელისუფლებას ბიზნესმენის კეთილსინდისიერებაში ეჭვი შეეპარა[3].

ამან, და კიდევ სხვა გარემოებებმა, პასკევიჩს გადააწყვეტინა შეედგინა სპეციალური კომიტეტი, რომელსაც უნდა გაეკონტროლებინა თუ რაში და როგორ ხარჯავდა კასტელი მთავრობისაგან მიღებულ სესხს[4].

მაგრამ ჩანს, ამ დროისათვის, ნეგოციანტს თავისი საქმე უკვე „გაკეთებული" ჰქონდა. ამავე წლის ნოემბერში იგი გარდაიცვალა. შემოწმებამ კი ცხადყო, რომ მან სასტიკად მოატყუა როგორც ხაზინა, ისე კომპანიონები. მის ხელში არსებული კაპიტალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოახმარა წარმოებას, დანარჩენი კი გაფლანგა.

იმის გამო, რომ საქმეში დიდი სახაზინო თანხა იყო ჩადებული (რომ არაფერი ვთქვათ კომპანიონებზე) ხელისუფლებამ დაიწყო ფაბრიკის მშენებლობის დასამთავრებლად და წარმოების ასამოქმედებლად საშუალებების ძიება.

რაკი კასტელის ყოფილ კომპანიონებთან, წარმოების გაგრძელების თაობაზე საერთო ენა ვერ გამოინახა, მთავრობა იძულებული შეიქნა ფაბრიკა ხაზინის სახსრებით აამოქმედებინა.

1833 წელს საწარმო ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა[5] და მას სათავეში საფაბრიკო კომიტეტი ჩაუდგა.

1834 წელს საფაბრიკო კომიტეტი გააუქმეს, ხოლო ფაბრიკის საქმეებს 1837 წლამდე უცხოელი ტესერი განაგებდა და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ საეჭვო მაქინაციებით და სახაზინო ქონების გაფლანგვით გამოიჩინა თავი, რასაც სასამართლო პროცესიც მოჰყვა[6].

ამის შემდეგ ფაბრიკის მთავარ მმართველად ემერიხი ჩანს. მან მთელი რიგი ღონისძიებები ჩაატარა წარმოების რენტაბელობის მისაღწევად, მაგრამ ამაოდ.

ხაზინის ხელში არსებობის შემდგომ პერიოდში მთავრობამ მასზე მთელი რიგი ახალი ხარჯი გაიღო, როგორც წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის გასაუმჯობესებლად, ისე მშენებლობის დასასრულებლად და ნედლეულით უზრუნველსაყოფად. ყოველივე ამის შედეგად ფაბრიკის სახაზინო ვალმა 1841 წლისათვის 1000 000 მანეთს მიაღწია და ამ წელს იგი დაიხურა.

კასტელის საეალალო მაგალითმა კოლონიურ ხელისუფლებას ერთგვარი სიფრთხილე შემატა. ამის შემდეგ იგი უწინდებურად ხელგაშლილად აღარ არი-

გებდა სესხებს და პრივილეგიებს. მაგრამ ხაზინაში უამრავი ნედლი აბრეშუმი შემოდიოდა, მას მოელა უნდოდა.

40-იან წლებში თბილისში აბრეშუმის წარმოების ორიოდე წარუმატებელ ცდას პქონდა ადგილი: 1843 წ. მინას იაკუბოვმა[7], 1847 წ. მაიორმა შემიოტმა წარმოების მოწყობა.[8] 1857 წელს კი სახაზინო ექსპედიციამ კონტრაქტი გააფორმა უცხოელ ოტო პროპიუსთან, რომლითაც უკანასკნელს აელაბრის საცდელ ფერმაში აბრეშუმის მსხვილი საწარმო უნდა მოეწყო[9]. რა ბედი ეწია ამ საწარმოს უცნობია, თუმცა 1870 წელს თბილისში მოხსენიებული აბრეშუმის ამომხვევი წარმოება, რომელსაც 100 000 მანეთი წლიური შემოსავალი პქონდა[10] სავარაუდოა, რომ აღნიშნული საწარმო პროპიუსს ეკუთვნოდა.

მიუხედავად განცდილი რამდენიმე მარცხისა, რაკი საქართველოში აბრეშუმის ნედლეული არსებობდა და ხაზინას მისი მნიშვნელოვანი მარაგიც უგროვდებოდა, ხოლო რუსეთში, ისევე როგორც ევროპაში მასზე დიდი მოთხოვნილება იყო, ამასთან არსებობდნენ შესაბამისი წარმოების მოწყობის მსურველები, კოლონიური ხელისუფლება ფრთხილად, მაგრამ მაინც, აგრძელებდა ამ დარგის წახალისებას, სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების აღმოჩენასაც კი.

1840 წელს საფრანგეთიდან ჩამოვიდა ეაჯარი ალფრედ როზმორდიუკი, რომელმაც 1847 წელს, სამეგრელოს მთავრის დიდი დახმარებით, ზუგდიდში ევროპული ტიპის აბრეშუმსახვევი საწარმო მოაწყო[11]. როგორც ჩანს, წარმოება კარგად იყო ორგანიზებული, პროდუქციაც კარგად საღდებოდა და, შესაბამისად, კოლონიური ხელისუფლებაც დიდად აფასებდა მას[12]. იგი თურმე, იმ ცნობის საფუძველზე რომ მეწარმის მიერ ფაბრიკაში საფრანგეთიდან გამოწერილი რამდენიმე ახალგაზრდა ქალი, ადგილობრივ მცხოვრებთ მისთხოვდა, იმედოვნებდა რომ, ეს გარემოება ხელს შეუწყობდა სამეგრელოში მეაბრეშუმეობის მაღალ დონეზე განვითარებას. ამ ფაბრიკის ნაწარმს 1852 წ. მოსკოვის გამოფენაზეც კი უსახელებია თავი–

რუსეთ-თურქეთის ომმა წარმოება დასცა, მაგრამ მოგვიანებით მეფისნაცვალმა ფაბრიკის გასაუმჯობესებლად 4000 მან. სესხი გამოყო[13].

1864 წელს გაზ. „გუთნის დედაში“ ვკითხულობთ: „ყველაზე უკეთესი აბრეშუმი გამოდგა უ. ალექსიევის და ვორონინისა ნუხიდან, მეორე გრაფი როზმორდიუკისა და კნიაზ ანდრონიკოვისა. ჩვენთვის ამ ორის შრომა უფრო შესანიშნავია, რადგან ერთმა იმათგანმა ცოტა თანხით შემოიტანა აბრეშუმის ევროპული ამოხვევა საქართველოში და მეორემ კახეთში“[14]. ჩვენ კი იმას გვინდა მივაქციოთ ყურადღება, რომ სოლომონ ანდრონიკაშვილის ევროპულად მოწყობილი მამულის შესახებ ამ შრომის წინა თავში ვისაუბრეთ, თუმცა მას თავის მამულში აბრეშუმსახვევი წარმოება რომ პქონია, ამაზე არაფერი გვითქვამს.

1850 წელს სოფელ საბეკაში (ქუთაისის მაზრა) მემამულე თ. ჩიჯავაძეს სანიმუშო აბრეშუმის სახვევი საწარმო დაუარსებია, მეორე ასეთივე კი სოფელ ლაჩინოშიც მოუწყვია.

1858 წ. საქმოსანმა ვარიანცმა ცხენისწყლის შესართავთან მოაწყო აბრეშუმსახვევი საწარმო. 1858 წელს ამგვარივე საწარმო ქუთაისში აამუშავა ფრანგმა კარლ დიუფურიემ, რომელმაც მეფისნაცვალ ბარიათინსკის განკარგულებით წარმოების გასაუმჯობესებლად 10000 მან. სესხიც კი მიიღო[15]. 1860 წ. მსგავსი „ფაბრიკა“ ორპირში მოაწყო ნეგოციანტმა გოხსშტრაზენმა. მას ევროპული მანქანა-იარაღებით გაწყობილი საწარმო პქონდა. მეპატრონე ცდილობდა მარტო ადგილობრივი ნედლეულით არ შემოფარგლულიყო და პარკი მიეღო გურიიდან, სამეგრელოდან, ნუხიდან და ა. შ.

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ, შედარებით მცირე მასშტაბის საწარმოების ჩამოთვლას. ფაქტია, რომ ამ დროს მეაბრეშუმეობა ქართული მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო: კოლონიურ ხელისუფლებას კარგად ესმოდა მისი მნიშვნელობა იმპერიის მრეწველობისათვის და მას ყოველმხრივ დახმარებას უწევდა.

ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება. ქვეყანაში რუსული და უცხოური ელემენტის, განსაკუთრებით კი ჯარის ნაწილების, არნახულმა მომრაველებამ, მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნილება ალკოჰოლიან სასმელებზე.

არყის წარმოების მოწყობის ცდებს თბილისში ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი. 1823 წელს ვინმე არშაკოეს დაუპირებია ასეთი საწარმოს მოწყობა, მაგრამ შეშის და წყლის სიძვირის შიშით, წარმოება კარაკალისში გადაუტანია. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

1826 წელს არყის ქარხნის მოწყობას ხელი მოჰკიდა მეტად ენერგიულმა ქართველმა აზნაურმა ქალმა ბარბალე იმერლიშვილმა. მან შეაგროვა იმ დროისათვის საკმაოდ მოზრდილი კაპიტალი (25.000 მანეთამდე) და ორ კომპანიონთან ერთად, რომელთა წელილი წარმოებაში შედარებით მოკრძალებული იყო, საქმე წამოიწყო[16]. წარმოება დაიგეგმა მტკვრის ნაპირას, იმ მიდამოებში, სადაც მდინარე ვერე მტკვარს უერთდებოდა, ბებუთოვების კუთვნილი მიწის ნაკვეთზე. მიწის მეპატრონესთან გაფორმდა 12 წლიანი კონტრაქტი, რომლის ძალითაც მომწყობს მათთვის ყოველწლიურად ოთხმოცი მანეთი უნდა ეხადა[17].

თავიდანვე განსაზღვრული იყო, რომ წარმოება მექანიკური ხასიათისა იქნებოდა. რაკი თბილისში შესაფერისი სპეციალისტების შოვნა შეუძლებელი შეიქნა, იმერლიშვილმა ისინი რუსეთიდან გამოიწერა. ესენი იყვნენ წარმოშობით ებრაელები ელკინი და ედელსონი.

1827 წელს საქმოსანი ქალბატონი მათთან კონტრაქტს დებს, რომლის ძალითაც ედელსონს ევალებოდა ქარხნის მოწყობილობისათვის ადგილზე თვალყურის დევნება, ელკინი კი რუსეთში უნდა გამგზავრებულიყო ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობის, მათ შორის ორთქლის მანქანის შესაძენად და ჩამოსატანად[18].

ქარხნისათვის საჭირო მანქანა-იარაღები ხარკოვიდან ჩამოიტანეს[19]. ეს ალბათ 1828 წელს მოხდა. 1829 წელს კი საწარმოს მოწყობა ძირითადად დასრულდა. ახლა უკვე მეპატრონე ახალ კონტრაქტს დებს ედელსონთან, რომელსაც, ჩანს, ქარხნის მთავარი ოსტატობა დაეკისრა. მთლიანად ქარხნის მოწყობა 30000 მანეთი დაჯდა.

თავიდან ნაკარაუდები იყო, რომ ქარხანაში უნდა დამზადებულიყო ჩვეულებრივი ღვინო, არაყი, ლიქიორი, უნდა მომხდარიყო ლუდის ხარშვაც.

მოგვიანებით, როგორც ჩანს, პროდუქციის ასორტიმენტი მნიშვნელოვნად შეიცვალა. აქ მზადდებოდა: 7-8 გრადუსიანი არაყი, არყის ნაყენი, I და II ხარისხის კონიაკი, ტკბილი არაყი, ლიქიორი, სხვადასხვა ნაყენები და აგრეთვე ლუდი და ძმარი.

წარმოებაში ნედლეულად იყენებდნენ ხორბალს, ალაოს, ქერს, ჭაჭას, თუთის ნაყოფს, სხვადასხვა ხილეულის წვენებს, შაქრის ფხვნილს, ლიმონისა და ნარინჯის ქერქებს[20] და ა. შ.

ქარხანაში გამომუშავებული პროდუქციის ოდენობის შესახებ ცნობები არ გვაქვს. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ეს იქიდან ჩანს, რომ გათვალისწინებული იყო ნედლეულის დიდი რაოდენობის გამოყენება. ამაზე ისიც მიუთითებდა, რომ თურმე სწორი ექსპლუატაციის პირობებში ქარხანას შეეძლო საგულისხმო მოგება მოეცა. არაპირდაპირი ცნობებით დგინდება, რომ ქარხნის წლიური მოგება შეიძლება 5000 მ. ყოფილიყო[21]. გამომუშავებული პროდუქციის საგულისხმო რაოდენობაზე და, საერთოდ, წარმოების მასშტაბზე მიანიშნებს გასაღების საკმაოდ კარგი ორგანიზაციული სისტემა: სპეციალურად ამ ქარხანაში გამოშვებული პროდუქციის გასასაღებლად მეპატრონეებს თბილისში დუქანი მოუწყვიათ, სადაც მათი დაქირაებული ნოქრები ვაჭრობდნენ[22]. პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქის გარეთაც გაჰქონდათ. კერძოდ, იგი კარგად იყიდებოდა დუშეთში, სადაც რუსული ნაწილები იდგა[23].

წარმოებაში, სავარაუდოდ, 15-20 კაცი იყო დასაქმებული. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ იმერლიშვილის აღნიშნული ქარ-

ხანა იმ დროისათვის საკმაოდ კეთილმოწყობილი მექანიკური წარმოება იყო, რაზეც აქ ორთქლის მანქანის გამოყენების ფაქტიც მიუთითებს. ამას ისიც მოწმობს, რომ ქარხანაში ყოფილა ცდები სპირტის ქიმიური საშუალებებით გამოხდისა, რაც უმაღლესი ტექნოლოგიის არსებობას გულისხმობდა.

იმერლიშვილის ქარხანამ დაახლოებით 7-8 წელი იარსება შემდეგ კი, სხვადასხვა გარემოებათა გამო, დაიხურა, ეს მოხდა 1837-1838 წლებში[24].

ჩვენ არ გვაქვს ცნობა წარმოებისადმი ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ მისი არსებობა კოლონიურ პოლიტიკას რომ არ პასუხობდა, აშკარაა.

იმერლიშვილის ქარხნის დახურვის შემდეგ მოთხოვნილება სპირტიან სასმელებზე არ შემცირებულა.

1863 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ კოსტნათში, ეინმე კუზმინსკიმ საკუთარ მიწაზე მოაწყო არყის ქარხანა, რომელიც საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და პროდუქციას ქუთაისში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებს აწვდიდა.

1835-1836 წლებში ცნობილი თბილისელი კაპიტალისტი ი. ზუბალაშვილი უცხოელ ვატმანთან ერთად, დიდუბეში, გერმანელთა კოლონიასთან არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც თბილისის გიმნაზიის მასწავლებლის ემერიხის საკუთრებას შეადგენდა, აწყობს მსგავს წარმოებას[25], რომელშიც საკმაოდ სოლიდურ კაპიტალს აბანდებს[26].

თავდაპირველად ნავარაუდები იყო, რომ ქარხანაში სხვადასხვა ნედლეულს გამოიყენებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ზუბალაშვილმა თავისი ცნობილი შაქრის ქარხანა აამუშავა, მნიშვნელოვანი რაოდენობით შაქრის ნარჩენებსაც მოიხმარდნენ.

1836-1840 წლებში ქარხანა წარმატებით მოქმედებდა, ნავარაუდებ მოგებასაც იძლეოდა[27].

1840-1842 წლებში მიმდინარეობდა გაუთავებელი დავა ზუბალაშვილს, ვატმანსა და ემერიხს შორის. ეს დავა 1845 წლამდე გაგრძელდა, წარმოება კი 1842 წელს დაიხურა.

მას შემდეგ, რაც ვატმანთან ურთიერთობა ვერ მოწესრიგდა, იმისათვის, რომ შაქრის ნარჩენები გამოუყენებელი არ დარჩენოდა, ზუბალაშვილმა უკვე თბილისელ მოქალაქე პეპინოვთან დადო ხელშეკრულება და შაქრის ქარხანასთან რომი-არყის წარმოება დააარსა. როგორც ირკვევა, ეს უფრო მაღალი დონის მექანიკური საწარმო იყო, ქარხანა მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებდა. ითვლებოდა, რომ აქ დამსადებული რომი „ცოტათი თუ ჩამოუვარდებოდა იამაიკურს"[28]. მისი პროდუქცია ადგილზე წარმატებით საღდებოდა და რუსეთში გატანის ცდებიც კი აღინიშნა. როგორც ირკვევა, რუსეთში მსგავსი წარმოება ნაკლებად განვითარებული ყოფილა. ამიტომ ქარხნის მთავარი ოსტატი პეპინოვი მთავრობას თავისი პროდუქციის 2000 ფუთი რომის რუსეთში უბაჟოდ შეტანის ნებას რომ თხოულობდა, სამაგიეროდ პირობას იძლეოდა – თუ რუსეთის ქარხნებისათვის საჭირო იქნებოდა რომის გამოხდის ტექნოლოგიის ახსნა, ის ამას უსასყიდლოდ, სიამოვნებით გააკეთებდა[29].

აღნიშნულ საწარმოზე სხვა ცნობები არ არის, უნდა ვიფარაუდოთ, რომ ზუბალაშვილის შაქრის ქარხნის დახურვის შემდეგ, მანაც შეწყვიტა არსებობა.

სამაგიეროდ 40-იან წლებში დაფიქსირებულია ანდრიეევსკის კეთილი არყის ქარხანა. ნედლეულად ხილეული იყო გამოყენებული. მის დასასრულად კი საგანგებო მექანიკური სასრესი ჰქონდათ, რომელიც ცხენის ძალით მოდიოდა მოძრაობაში და საათში 20 ფუთამდე ნაყოფს ჭყლეტდა. ქარხნის საღღელამისო წარმადობა 500 ფუთს აღწევდა. მასზე, ჩვენ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. ვიცით, რომ ქარხანა მთამბეჭდავი ზომისა და შესანიშნავად მოწყობილი იყო[30].

50-იანი წლების დასაწყისში თბილისში საყურეველი ჩაეყარა სოლომონოვის კონიაკის წარმოებას[31]. მასზე ჩვენ განსახილველ პერიოდისათვის სხვა მონაცემე-

ბი არ გვაქვს. ის კი ცნობილია, რომ რეფორმის შემდგომ ხანაში სოლომონოეი, სარაჯიშვილის შემდეგ, საქართველოში კონიაკის უმსხვილესი მწარმოებელი იყო.

1854 წელს თბილისში ლიქიორის და სხვა დასპირტული სასმელების წარმოებას უცხოელი კლაინი ხსნის. როგორც წყაროები ირწმუნებიან, მისი პროდუქცია არაფრით არ ჩამოუვარდებოდა უცხოურს და მეტად იაფად იყიდებოდა[32].

1857 წელს კლაინი თავის წარმოების გაფართოებას გეგმავს. მთავრობას ლიქიორის დამზადების პრივილეგიას თხოვს და არწმუნებს, რომ მას შეუძლია აღნიშნულ ნაწარმზე მხარის მოთხოვნილებები სრულად დააკმაყოფილოს. ამ დროს მას თბილისში უკვე იცნობდნენ, როგორც გამოცდილ და თავისი საქმის შესანიშნავად მცოდნე ოსტატს[33].

მიუხედავად ასეთი მაღალი რეპუტაციისა, ამ მეწარმეს მაინც საჭიროდ მიუჩნეია თავისი პროდუქციის ხარისხის დახვეწა. 1862 წელს კლაინი შეუამხანაგდა ფაბრიკანტ ზინჩენკოს (რომლის წარმოების შესახებ მასალები არ არსებობს) და მასთან ერთად იმოგზაურა უცხოეთში (ევროპაში), რათა შეესწავლა საქმის იქაური ორგანიზაცია, შეესყიდა სხვადასხვა მასალა და შეეკვეთათ წარმოებისათვის საჭირო მანქანები[34].

ამავე წელს კომპანიონებს სახაზინო მიწაზე ლიქიორის საწარმო აუშენებიათ, ნაწარმის გასასაღებლად კი ერევნის მოედანზე დეპო მოუწყვიათ.

იმასთან დაკავშირებით, რომ მეწარმეებმა 1863 წელს მთავრობის სესხი ითხოვეს, საწარმო დაათვალიერა და მოკლედ აღწერა ინჟინერ-ტექნოლოგმა ბიხოლდმა. იგი აღნიშნავს, რომ წარმოებაში ამზადებენ: არაყს, ლიქიორს და სხვადასხვა ნაყენებს. საწარმო თურმე პატარა ზომის, მაგრამ კარგად მოწყობილი ყოფილა. ნედლეულად იყენებდნენ შაქარს, თაფლს, სპირტს და სხვადასხვა ბალახეულს, მცენარეთა ქერქებს, სურნელოვან ზეთებს და ა. შ. „ქარხანა" მთლიანად 4000 მანეთად იქნა შეფასებული[35]. მიიღეს თუ არა მეწარმეებმა მთავრობისაგან სესხი უცნობია, ისევე როგორც მისი შემდგომი ბედი.

როგორც ვნახეთ, XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში სპირტიანი სასმელების არაერთი საწარმო გაჩნდა. თუმცა ყველა მათგანი დღეგრძელი არ აღმოჩნდა. მხოლოდ 50-იანი წლებიდან დგება ეს დარგი მყარ საფუძველზე. 1853 წელს შექმნილი სოლომონოვის წარმოება რეფორმის შემდგომ ხანაში მსხვილ მანქანურ წარმოებად გვეელინება.

მთავრობა ამ ტიპის საწარმოებს სესხებითა და დახმარებებით დიდად არ ანებივრებდა, რადგან ისინი უამისოდაც ასე თუ ისე, არსებობდნენ. მაგრამ წარმოების დიდი აქტუალობა საქართველოში რუსული ჯარის ნაწილების და, საერთოდ, არაქართული წარმომაელობის პირთა მომრაელების შედეგია. მაშასადამე, იგი საბოლოო ჯამში, რუსული კოლონიური პოლიტიკის გამოხატულება იყო.

შაქრის წარმოება. რუსეთის იმპერია შემოზიდულ შაქარს, ან უფრო იშვიათად ნედლეულს, მოიხმარდა. ამ გარემოებამ კოლონიური ხელისუფლება შაქრის ნედლეულის იმპერიის ფარგლებში მოყვანის ხელშესაწყობად დააინტერესა.

ძირითადად ამ იმედით იხელმძღვანელა კომპანიამ ი. ზუბალაშვილის მეთაურობით, როცა ხელისუფლებას ქარხნის მოწყობისათვის გარკვეული შეღავათები სთხოვა.

აღნიშნული კომპანია საქართველოში პირველი არ ყოფილა, რომელმაც ამ სახის წარმოების მოწყობა გადაწყვიტა, მაგრამ 1834 წელს ძმები შადინოვების მოწადინება, თბილისში შაქრის ქარხნის მოსაწყობად, წარუმატებელი გამოდგა.

შაქრის მოხმარების დიდი სისწრაფით ზრდამ, შესაბამისად საქმის მოსალოდნელმა დიდმა სარგებლიანობამ უკარნახა კომპანიას, ცნობილ ვაჭრებსა და საქმოსნებს: იაკობ ზუბალაშვილის, დავით თამამშვილის, დავით ტერ-გუკასოვის, ტარიელ ლორის-მელიქოვის და სხვ. შემადგენლობით, მთავრობისათვის ნებართვა და გარკვეული პრივილეგიები ეთხოვათ შესაბამისი წარმოების მოსაწყობად.

1837 წელს კომპანიამ რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, სადაც ასაბუთებდა თავის გადაწყვეტილებას შაქრის ქარხნის მოწყობის თაობაზე და მის სარგებლობას იმითაც ხსნიდა, რომ ამიერკავკასიის კლიმატი ხელსაყრელია შაქრის ლერწმის მოსაყვანად. აცნობებდა, რომ კომპანიონები მზად არიან ამ საქმეს მოჰკიდონ ხელი, რისთვისაც ითხოვდნენ ამიერკავკასიის მხარისათვის 1834 წელს გამოცემული დებულების თანახმად, კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროზე გამოეყო 1000 დესეტინა მიწა შაქრის ლერწმის პლანტაციების გასაშენებლად.

მხარის კოლონიური ათვისებით დაინტერესებულმა მთავრობამ კომპანიის ეს თხოვნა დაუყოვნებლად დააკმაყოფილა[36].

ამის გარდა, ხელისუფლებამ მათ მნიშვნელოვანი შეღავათები და პრივილეგიები მიანიჭა: უფლება მიეცათ საზღვარგარეთიდან უბაჟოდ 120000 ფუთი შაქრის ფხვნილი, ამდენივე კი სანახევრო ბაჟით შემოეტანათ[37]. აღნიშნული პრივილეგიები მათ შედარებით გვიან 1838 წელს დაუზუსტეს. მანამდე ნედლეულის შემოსატანად გარკვეული ვადა ჰქონდათ განსაზღვრული — 6 წელი. ისე, რომ პირველი 3 წლის განმავლობაში შემოზიდვა უბაჟოდ უნდა განეხორციელებინათ, შემდეგ 3 წელს კი სანახევრო ბაჟით.

კომპანიამ, გარეუბან კუკიის ბოლოს, თუმანიშვილებისაგან ნაყიდ მიწაზე[38], რომელიც ზემოთ აღწერილ, ხუბალაშვილისა და ვატმანის არეის ქარხანასა და თბილისის მოქალაქე ისრალოვის ბაღს შორის მდებარეობდა და 3500 კვადრატულ საჟენ ფართობს შეადგენდა, ააგო 4 სართულიანი შენობა, პეტერბურგიდან ჩამოიტანა ძირითადი მოწყობილობა, იქიდანვე ჩამოიყვანა საქმის მცოდნე ოსტატი. ადგილზე დაამზადეს ოთხის ყორმები და სხვა მოწყობილობა და 1839 წელს ქარხანამ პირველი პროდუქცია გამოუშვა.

კომპანიონების განცხადებით მათ საწარმოს მთლიანი მოწყობა 200000 მანეთი დაუჯდათ[39]. 1839 წლის მარტიდან ივნისამდე ქარხანამ ინტენსიურად იმუშავა და 3000 ფუთამდე საკმაოდ კარგი ხარისხის პროდუქცია დაამზადა, რომელიც შედარებით დაბალ ფასებში იყიდებოდა, რის გამოც ბაზარზე შაქრის ფასმა შესამჩნევად დაიკლო[40].

მთავრობა კმაყოფილი იყო: ამ წელს 1839 წლის 24 იელისს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი, მთავარმართებელ გოლოვინს მოახსენებდა: გადალახეს რა ყველა დაბრკოლება, კომპანიამ თბილისის გუბერნიაში ააგო ქვის ოთხსართულიანი შენობა შაქრის ქარხნისათვის, რომელმაც მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის მარტის თვიდან, შაქრით ამარაგებდა ამიერკავკასიის ფართო მომხმარებლებს და რომ თბილისის ქარხნის შაქარი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა რამდენიმე წლის წინათ მოწყობილ შაქრის ქარხნების პროდუქციას.

წარმოების მიერ გამოშვებული ნაწარმის რაოდენობა 1841 წლამდე მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ამ წელს მან 186600 მანეთის პროდუქცია გამოუშვა. პროდუქციის ხარისხიც მაღალი იყო. მაგრამ მეპატრონეებს, ჩანს იგი მაინც არ აკმაყოფილებდა. 1842 წელს კომპანიამ პეტერბურგიდან უცხოელი ოსტატი ბურმეისტერი მოიწვია[41], რომელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო, რომ პირველივე ხარშვაზე მას ისეთი პროდუქცია უნდა მიეღო, რომელიც პეტერბურგელ ოსტატების ნაწარმზე უკეთესი ყოფილიყო[42].

1841 წლის შემდეგ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა თანდათან კლებულობს. 1845 წელს იგი ფაქტობრივად შეწყდა. 1846 წელს კი წარმოება დაიხურა.

ამგვარი დასასრული სრულიად მოულოდნელი იყო. აღნიშნულ ობიექტს თითქოს ყველა პირობა ჰქონდა იმისათვის, რომ შემდგომი აყვავებისათვის მიეღწია.

ეროგვარმა შეშფოთებამ მთავრობის წრეებშიც იჩინა თავი. დაიწყეს ამგვარი დასასრულის მიზეზის ძიება. თვით მეპატრონეები კი თავის კრახს იმით ხსნიდნენ, რომ მთავრობა ვერ დაეხმარა მათ შაქრის ლერწმის გასაშენებლად შესაფერისი მიწების გამოყოფაში და, რომ მათი გაკოტრება გამოიწვია ქვეყანაში უცხოური და

რუსული შაქრის დიდი რაოდენობით შემოდინებამ, რის საწინააღმდეგოდ ისინი მაღალი ბაჟების დაწესებას ითხოვდნენ, რაც მთავრობამ არ შეასრულა.

კოლონიური ხელისუფლების ამგვარი მოქმედება სრულიად გასაგებია. მას ადგილზე მრეწველობის განვითარება იმისათვის უნდოდა, რომ მეტროპოლიის მრეწველობისათვის ხელი შეეწყო და, ცხადია, რუსული პროდუქციის გავრცელების შეზღუდვას არ დაუშვებდა. ხელისუფლებისათვის მთავარი დაინტერესების საგანი ქვეყანაში შაქრის ლერწმის კულტურის დანერგვა იყო. ერთ ოფიციალურ დოკუმენტში პირდაპირაა მითითებული, რომ „თბილისის შაქრის ქარხნის დამმუშავებლებმა ივალდებულეს ამიერკავკასიის მხარეში გაეშენებინათ შაქრის ლერწმის პლანტაციები და მთავრობამ, წახალისების სახით, ისინი უზრუნველყო პრივილეგიებით და შეღავათებით"[43].

რასაკვირველია, როგორც საკითხზე მომუშავე მკვლევრები მიიჩნევენ, შაქრის წარმოების დახურვის ერთ-ერთი მიზეზი იყო კომპაროიდული ბურჟუაზიის მცდელობა, რათა უცხოური საქონლის მაღალ ფასებში გასაღებით საკუთარი მოგება გაეზარდათ, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ კამპანიის მარცხის მთავარი მიზეზი შაქრის ლერწმის პლანტაციების ვერ გაშენება იყო.

კატასტროფის მთავარი მიზეზი ყველაზე უკეთ თვით მეპატრონისათვის იყო ნათელი და ცდილობდა მის მიერ პირობის შეუსრულებლობა მთავრობისათვის გადაებრალებინა, რაზეც მთავრობის წარმომადგენლებმა სრულიად მკაფიოდ უპასუხეს: მთავრობამ, შეპირდა რა ამხანაგობას 1000 დესეტინა მიწა, არაერთხელ შესთავაზა სხვადასხვა ნაკვეთი, მაგრამ ამხანაგობამ მათზე უარი განაცხადა წყლის ნაკლებობის გამო. რასაკვირველია, ამიერკავკასიაში წყლის არსებობა მცენარის აღმოცენებისათვის მთავარ პირობას წარმოადგენს, მაგრამ რაკი ყველა გაწყლიანებული მიწა დასახლებული იყო, ამხანაგობას შეღავათების მიღების პირობებში შეეძლო მათი ნაწილი შეთავაზებული ნაკვეთების გაწყლიანებისათვის გამოეყენებინა, მაგრამ ჩაატარა რა რამდენიმე უმნიშვნელო ცდა, რომლებმაც ამიერკავკასიაში შაქრის ლერწმის გაშენების ვერც შესაძლებლობა და ვერც სარგებლობა ვერ დაამტკიცეს, აირჩია და თავისთვის ისეთი ნაკვეთები მოითხოვა, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებლები საუკუნეების განმავლობაში ამუშავებდნენ, მათი არსებობის და სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების ერთადერთ წყაროს წარმოადგენდნენ[44].

თუ თვალს გადავავლებთ შაქრის ქარხნის მთელ ისტორიას, აშკარა ხდება, რომ მის მარცხში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მოქიშპეების ღონისძიებებმა. ისევე თვით მწარმოებელთა შეცდომებმა და სხვ. მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც აღებული პირობის შეუსრულებლობა იყო. მათ შაქრის ლერწამი, რისთვისაც ისინი პრივილეგიებით აღჭურვეს, ვერ გააშენეს,. როგორც ჩანს, ამ პირობის შესრულების შეუძლებლობაში თვით მწარმოებლებიც ჩქარა დარწმუნდნენ. ხოლო კავკასიის კლიმატი შაქრის ლერწმის მოყვანისათვის რომ შეუფერებელი იყო, ეს დღესაც აშკარაა, რადგან მისი მოყვანა ვერ ხერხდება თანამედროვე აგროქიმიისა და აგროტექნიკის პირობებშიც კი.

თავისთავად ამ საწარმოს ისტორია ტიპიურია რუსეთის კოლონიური პოლიტიკისათვის: იგი მზად იყო ყოველგვარი შეღავათები გაეცა და ზარალიც კი ენახა, ოღონდ ანექსირებულ მხარეში მეტროპოლიისათვის სასურველი და საჭირო *კულტურა დაენერგა.*

მინის წარმოება. კოლონიური რეჟიმი საქართველოში სხვადასხვა საწარმოების ევროპულ დონეზე განვითარებას რომ ესწრაფოდა, რაშიც მას როგორც ვნახეთ მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა, ბუნებრივია, მიღებული პროდუქციის რუსეთის და ევროპის ბაზარზე გატანის და შესაბამისი მოგების მიღებასაც გეგმავდა.

მაგრამ ღვინის და საერთოდ სითხის გატანის საქართველოში არსებული ტრადიცია — ტიკუბით ძალიან მოხერხებული კი იყო, მაგრამ ტიკი გარკვეული დროის განმავლობაში ღვინის სპეციფიურ გემოს აძლევდა — აუარესებდა. რაც ევროპული მომხმარებლისათვის მიუღებელი იყო.

მაშასადამე, საჭირო ხდებოდა მინის ჭურჭელი, რომელსაც ღვინის და სხვა სასმელების გადასხმის გარდა, სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა. მისი დიდი რაოდენობით შემოზიდვა კი, გზებისა და ტრანსპორტის იმდროინდელი მდგომარეობის პირობებში, ერთობ მძიმე და ზარალიანი საქმე იყო.

ამიტომ მინის ადგილზე დამზადების ორგანიზება ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესის საგანს შეადგენდა.

მინის ქარხნის მოწყობის საკითხი ჯერ 1811 წელს მარკიზმა პაულიჩიმ, შემდეგ კი გენერალმა ერმოლოვმა (1816 წ.) დააყენა.

გენერალი ერმოლოვი ფინანსთა მინისტრ გურიევს აცნობებდა, რომ საქართველოში მინის ქარხნის მოწყობა მიზანშეწონილია და საამისო საშუალებებიც არსებობს, რომ ქართველი მეფეების დროს იყო ამგვარი საწარმოს მოწყობის ცდები, მაგრამ ოსტატების არყოლის გამო ეს აზრი ვერ განხორციელდა. ამ საქმისათვის საჭირო მასალა საქართველოში საკმარისად მოიპოვება, ქვანახშირიც ბევრია. საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში მინა-ბროლის მოთხოვნილება დიდია. საქართველოში უბრალო ბოთლი 20-25 კაპ. ღირს. დიდია მოთხოვნა სარკეებზეც, რომლებიც აქ სახლების მორთულობის მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენდნენ. მომხმარებლები დაკვეთას პეტერბურგში აძლევდნენ. კარგი იქნება თუ აქ შესაბამისი სახახნო საწარმო მოეწყობა, ან კერძო ინიციატივა წახალისდება[45].

საქმემ იმჯერად შემდგომი გაგრძელება ვერ მიიღო. 20-იან წლებში მინის წარმოების მოწყობა თავადმა ქსნის ერისთავმა სცადა. საამისოდ ოსტატები და მოწყობილობაც გამოიწერა, მაგრამ საქმე ვერ აეწყო[46], რის ერთ-ერთ მიზეზად მთავრობის მხრიდან მხარდაჭერის არარსებობას ასახელებდნენ[47].

1828 წელს მთავრობის წახალისებით ლევაშოვი საქართველოში მინის ქარხნის ადგილს ეძებდა, მან საამისოდ ყველაზე მიზანშეწონილად ბორჯომის ხეობა მიიჩნია და შესაბამისად ხარჯთაღრიცხვაც შეადგინა. აქ ლევაშოვმა ააგო მინის ქარხანა, მაგრამ 1830 წელს იგი გარდაიცვალა და საწარმოს საქმე უკან წავიდა; შემდეგ კი დაიხურა[48]. ვინაიდან ქარხანა სახაზინო იყო, მისი გამგებლობა ჩქარა ზავილევსკის ხელში გადავიდა, რომელმაც ხაზინიდან საგანგებო სუბსიდია მიიღო, მაგრამ წარმოება სათანადო დონეზე მაინც ვერ მოაწყო. მინა მეტად დაბალი ხარისხის გამოდიოდა.

საქმის გამოსასწორებლად წარმოება ახალციხის მაზრაში გადაიტანეს, მაგრამ შედეგი იგივე იყო.

აღნიშნული საწარმოს მოწყობა ხაზინას სულ ცოტა 30000 მანეთი დაუჯდა. მაგრამ მისანს ვერ მიაღწია. კოლონიური ხელისუფლება შეეცადა საქმეში აკადემიკოსი აბახიც ჩაერთო, რათა საჭირო ნედლეულის ადგილსამყოფელი მოეძებნა. 1839 წელს სახაზინო წარმოება საბოლოოდ დაიხურა.

მინის წარმოების მოწყობის არაერთი მარცხის გამოცდილება გაითვალისწინა თავადმა ელიზბარ ერისთავმა და თავის მამულში, გორის მაზრის სოფ. ღვარებში, სადაც საჭირო ნედლეული შეიგულა, ქარხნის მშენებლობა დაიწყო, რომელიც 1841 წელს ამუშავდა[49].

1848 წელს ქარხანა ბოთლებისა და სხვა ჭურჭლის დამზადებას შეუდგა. ქარხნის პირველი შემკვეთი საინჟინრო უწყება იყო, რომელმაც 1842 წელს 20514 მანეთის მინა შეიძინა. შემდეგ წლებში სახაზინო შეკვეთებმა იმატა, 1844 წელს მისმა რაოდენობამ 40470 მანეთს მიაღწია. იმავე წელს ქარხანამ თბილისის აფთიაქის შეუზღუდავად მომარაგების პრივილეგია მიიღო. ამასთან მას დასახმარებლად 3000 მან. სესხი გამოეყო[50].

1845 წლიდან ხაზინა საწარმოს ყოველმხრივ უწყობდა ხელს დასახმარებლად სხვადასხვა პრივილეგიებით.

1847 წელს მთავრობამ მეწარმეს სთხოვა სტავროპოლის სახაზინო აფთიაქისათვის დაემზადებინა მინის ჭურჭელი, რასაც შეთანხმება მოხდა.

1846 წელს დიმიტრი ერისთავმა ფაიფურის წარმოების ორგანიზებაც განიზრახა, რისთვისაც მთავრობას სათანადო 10 წლიანი პრივილეგია სთხოვა, მაგრამ საქმე ჩაიშალა[51].

1849 წლის ცნობით, ერისთავის წარმოება მთელ მხარეს ამარაგებდა მინის ნაწარმით[52].

ქარხნის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაართულა ყირიმის (1853-1855 წწ.) ომის დროს ელიზბარ ერისთავის ჯარში გაწვევამ, შემდეგ კი საშინელმა ხანძარმა, რომელმაც ქარხანა მთლიანად გაანადგურა, მაგრამ მომწყობმა მისი აღდგენა 1857 წელს მაინც მოახერხა[53].

1864 წელს ელიზბარ ერისთავმა წარმოების გაფართოების მიზნით ხელისუფლებას 25000 მან. უპრეცენდენტო სესხი სთხოვა. თხოვნა დააკმაყოფილეს[54]. წარმოება მართლაც გაფართოდა და გაუმჯობესდა, მაგრამ 1872 წელს მისი მომწყობი და სულის ჩამდგმელი, გენერალ-მაიორი ელიზბარ ერისთავი გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრეებმა კი საწარმო უცხოელ სპეციალისტს ეპშტეინს გადასცეს. (უნდა ვიფარაუდოთ, რომ მიჰყიდეს)[55], რომლის ხელშიც წარმოება შემდეგაც წარმატებით მოქმედებდა, მინით, ბოთლებით, სააფთიაქო ჭურჭლით და სხვ. მთელ კავკასიას ამარაგებდა მაგრამ, მიუხედავად თითქოს წარმოების წარმატებით მოქმედებისა (1847 წელს მან 7500 მანეთის პროდუქცია გამოუშვა), წარმოებამ, აუხსნელი მიზეზების გამო, უნდა ვიფარაუდოთ ხელისუფლების არა საკმარისი დახმარების გამო, 70-იან წლებში არსებობა შეწყვიტა.[56]

ლონისძიებები ტყავის ევროპული წარმოების დასანერგად. ტყავის წარმოება საქართველოში იმდროინდელი აღმოსავლეთის პირობაზე, მაღალგანვითარებული იყო. თბილისში, რომელიც ამქრულ ქალაქს წარმოადგენდა, სხვა ამქართა შორის მეტყაველთა ამქარი პირველობდა. ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ მეტყაველთა პროდუქცია აუცილებელ ნედლეულს წარმოადგენდა სხვა, არაერთი დარგის ხელოსნებისათვის. ამით იყო განპირობებული მისი მრავალრიცხოვნებაც.

მიუხედავად მეტყაველთა ამქრის სიძლიერისა, უკვე XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში ჩნდებიან ამქარგარეშე, ანუ თავისუფალი ხელოსნები. მათი გაჩენის თვით ფაქტი ხელისუფლების მხრიდან ძლიერ მხარდაჭერაზე მიუთითებს. სხვაგვარად ამქარი მათ არსებობას არ დაუშვებდა. ამქრული შეზღუდვებისაგან თავისუფალ სახელოსნოებს აარსებდნენ, როგორც მოსული რუსი და უცხოელი, მაგალითად ბერნარდ კრაუსი, ისე კოლონისტები (ფრიდრიხ რიხერის სახელოსნო).

მასალებიდან ირკვევა, რომ კრაუსი 1842 წელს ჩამოსულა თბილისში, ერთხანს ოსტატთან ქირით მუშაობდა, ფული შეაგროვა, ზოგი ინსტრუმენტი და მოწყობილობა იყიდა და პატარა სახელოსნო მოაწყო, სადაც ერთ დამხმარე მუშასთან ერთად საქმიანობდა და „მეტად საშუალო ხარისხის ტყავებს" ამზადებდა. შემდეგ სახელოსნოს გაფართოება დაიწყო და მთავრობას სესხი სთხოვა. მიიღო თუ არა სესხი უცნობია, მაგრამ სახელოსნო რომ გააფართოვა აშკარაა.

უნდა ვიფარაუდოთ, რომ ახლად მოსული ხელოსნები ადგილობრივი ყაიდის ტყავს კი არ ამუშავებდნენ, არამედ სამხედრო ნაწილებისათვის გამოსადეგს. ამიტომ ეხმარებოდა მათ მთავრობა. მაგრამ, ერთეული ხელოსნების მიერ გამოშვებული ტყავის ნაწარმი სამხედრო ნაწილებს არ აკმაყოფილებდა. ამიტომ ჯარის ფეხსაცმლით უზრუნველყოფის მიზნით, ჯერ კიდევ საქართველოს ანექსიის პირველ წლებშივე დაისვა საკითხი თბილისში სახაზინო ტყავის ქარხნის მოწყობის თაობაზე[57]. მაგრამ ამ მხრივ ციციანოვის მეცადინეობა უშედეგოდ დასრულდა. თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, რადგან ადგილობრივი ყაიდის ტყავის ნაწარმი სამხედრო უწყებას არ აკმაყოფილებდა ვერც რაოდენობით და ვერც ხარისხით. რუსეთიდან მისი შემოზიდვა კი ძვირი ჯდებოდა, ამიტომ უფრო გვიან მთავარსარდალ ერმოლოვსაც უცდია თბილისში ასეთი ქარხნის დაარსება[58], მაგრამ არც ეს ცდა დასრულდა წარმატებით.

რაკი სახაზინო წარმოების დაარსება ვერ მოხერხდა, მთავარსარდალი ერმოლოვი დაეხმარა ეაჭარ მოიჯარადრეს მიხეილ სარაჯიშვილს სამხედრო უწყების მომარაგებისათვის თბილისში ტყავის წარმოება მოეწყო[59].

უნდა ვიფიქროთ, რომ მ. სარაჯიშვილს სამხედრო ნაწილების ტყავით მომარაგება ჰქონდა იჯარით აღებული. ეს საკმაოდ რთული საქმე ყოფილა, რადგან კავკასიის მთელი კორპუსისათვის დიდი რაოდენობით პროდუქცია იყო შემოსაზიდი. ამიტომ ამ საქმეში 1809 და 1814 წლებში გაწეული მნიშვნელოვანი შრომისათვის მოიჯარადრის ღვაწლი ხელისუფლებამ სპეციალური მოწმობით აღნიშნა[60].

მ. სარაჯიშვილის ტყავის ქარხნის მოწყობა ჯერ კიდევ 1814 წელს უცდია. რისთვისაც ქალაქგარეთ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სახაზინო მიწის ნაკვეთი გამოეყო, რაც ამ პრობლემით ხაზინის დაინტერესებაზე მიუთითებს. სხვადასხვა მიზეზების გამო საქმე გაჭიანურდა და მისი მოგვარებისათვის პირადად მთავარსარდალ ერმოლოვის ჩარევა გახდა საჭირო. საბოლოოდ 1820-1824 წლებში ქარხანა ამოქმედდა[61].

1835 წელს საწარმო გამართულად მუშაობდა. იმ დროს ეს იყო საკმაოდ დიდი მოცულობის (75X30 საჟენ'ხე) ორსართულიანი ნაგებობა. საკმაოდ მაღალ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დონეზე მოწყობილი[62]. მისი გამართვა საკმაოდ ძვირი დამჯდარა. მასში დაბანდებული იყო მთავრობის სესხი 60000 მანეთი და სარაჯიშვილის თითქმის მთელი ქონება.

წარმოება რომ ახალი ტიპის ტყავის დამზადებას ვარაუდობდა, ეს უკვე მისი მომწყობის საქმიანობითაც ადვილი მისახვედრია, მაგრამ იქ რუსეთიდან ჩამოყვანილი ოსტატებიც მუშაობდნენ[63].

არაპირდაპირი მონაცემები ქარხნის მოცულობის შესახებ მიუთითებდნენ, რომ მასში შეიძლება დასაქმებული ყოფილიყო 300-მდე მუშა. ქარხანა წარმატებით მუშაობდა. თავის ნაწარმით აკმაყოფილებდა კავკასიის არმიის ნაწილებს. საყვარულია, რომ სწორედ ეს გარემოება, სხვებთან ერთად, უნდა ყოფილიყო ქარხნის მოქმედების შეწყვეტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. საქმე ის არის, რომ ქარხნის ამოქმედების შემდეგ კავკასიაში რუსული ტყავის შემოტანა შეწყვეტილა. ამაში, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი მიზეზი უნდა ყოფილიყო შედავათიანი ტრანზიტის მოქმედებაც.

რუსი ფაბრიკანტები პროტესტის გარეშე არ დატოვებდნენ თავიანთი პროდუქციის კოლონიაში გატანის აღკვეთას. 1830 წელს, შედავათიანი ტრანზიტის გაუქმებასთან ერთად, ქარხანამ არსებობა დაასრულა.

სარაჯიშვილის საწარმოს მარცხმა საქმოსანთა გულგატეხილობა არ გამოიწვია. 1840-1841 წლებში ქალაქის ბოლოს, თითქმის საბაჟოსთან, იქ სადაც თამამშვილს მინერალური აბანო ჰქონდა, მან ტყავის საკმაოდ სოლიდური ქარხანა მოაწყო.

ამ საწარმოს შესახებ ჩვენთვის საინტერესო მასალა მწირია. ვიცით მხოლოდ, რომ ამ ხანებში თამამშვილი იბრძვის მე-4 კლასის ცვეიხდინერის, ეროვნებით პოლონელის, ალექსანდრე სტრაშინსკის სამხედრო სამსახურიდან გასათავისუფლებლად, რაც მას დიდი შრომა და მნიშვნელოვანი თანხა დაუჯდა.

იმის გამო, რომ ამ დროისათვის თბილისში ტყავის ევროპულად გამოყვანის მცოდნე ოსტატების არსებობა არც ისე იშვიათია, გვაფიქრებინებს, რომ სტრაშინსკი მანქანური წარმოების ოსტატი იყო და ამით იყო მიმზიდველი მეპატრონისათვის. ამ ვარაუდს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ მოგვიანებით აღნიშნული პიროვნება ჩანს ანდრეევსკის მიერ სოფელ დრეში მოწყობილი ტყავის ქარხანაში, რომელიც მანქანების გამოყენებით მოქმედებდა[64].

აშკარაა, რომ წარმოება აღგილობრივი ხელისუფლების მნიშვნელოვანი მხარდაჭერით და დახმარებით სარგებლობდა, რადგან მისი მეპატრონე მ. ეორონცოვის პირადი ექიმი და მაღალ წრეებში მეტად გავლენიანი პიროვნება იყო. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქარხანა წარმატებით მოქმედებდა და ზრდის ტენდენციას ამჟღავნებდა[65].

60-იანი წლებიდან ტყავის წარმოება მკვეთრად იზრდება, როგორც საწარმოთა ისე, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობით.

თბილისის გარდა, ამ ხანებში, მსგავსი ობიექტები ჩნდება და მათი რაოდენობა იზრდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც. მაგალითად, 1851-1852 წლებში გორში 2 ტყავის საწარმოა, 1856 წელს სიღნაღში ვხედავთ ტყავის მცირე საწარმოს, 1857 წელს მათი რაოდენობა 3-მდე გაიზარდა. 60-იან წლებში თელავში 2 ტყავის წარმოება არსებობდა[66] და ა. შ.

იმის გამო, რომ საბუთები აღნიშნულ საწარმოთა შესახებ მცირეა, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მოცულობა მათ ხელოსნურ არსზე მიუთითებს, ბუნებრივია ხელისუფლების დაინტერესება მათით ნაკლები იქნებოდა. შესაბამისად რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ჩარჩოებში ისინი არ თავსდებოდნენ.

საერთოდ, ტყავის წარმოება ის დარგია, რომელიც ახალი ყოფისა და ცხოვრების ახალი წესის შემოსვლასთან დაკავშირებით რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდა. ქართული წუღა-მესტები და საცვეთები, რუსულმა „ბათინკებმა", ან უფრო თანამედროვე სამოქალაქო ფეხსაცმელებმა შეცვალა, რომლის დასამზადებლად ქართული რბილი და მსუბუქი ტყავი მიუღებელი იყო. თუკი მოსახლეობაში გემოვნების ცვლილება და ახალ ყაიდაზე გადასვლა თანდათანობით, აუჩქარებლად ხდებოდა, რუსული ჯარის ნაწილები, ბიუროკრატია და მოხელეები სასწრაფო ცვლილებებს მოითხოვდნენ. ამან განაპირობა მთავრობის პოლიტიკაც: რადიკალური დამოკიდებულება ამ დარგის განვითარებისადმი.

კოლონიური ხელისუფლების დამოკიდებულება სამთო და მექანიკური წარმოებისადმი. როდესაც ქართლ-კახეთის ანექსიის ვერდიქტს აფორმებდა, რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I წინ ედო მუსინ პუშკინის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც მეცნიერი რუსეთისათვის საქართველოს მიმზიდველ მრავალ სიკეთეს რომ ჩამოთვლიდა, იმპერიის დაინტერესების ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრე და სარგებლიანობა იყო ხაზგასმული.

საქართველოში სპილენძის და ოქრო-ვერცხლის მადნების არსებობა ცნობილი იყო, მაგრამ მისი დამუშავება დიდ სირთულეებს უკავშირდებოდა. პირველი და უმთავრესი ის იყო, რომ საქართველოში დავიწყებული იყო მადნის ამოღების და დამუშავების ტრადიცია.

ენერგიული ღონისძიების შედეგად, დიდი ძალისხმევით ერეკლემ 1763 წელს მოახერხა თურქეთიდან 800 კომლი ანუ 2000 სული ბერძენი მემადნის (გადანჩი) ჩამოყვანა: ააშენა ვერცხლის სადნობი ქარხანა ახტალაში, სპილენძისა კი ალავერდსა და შამბლუღში, 1770 წელს კიდევ ორი ქარხანა ამუშავდა ალავერდსა და დაბლუღში.

მადნიდან მიღებული შემოსავალი სამეფო ხაზინის ერთ-ერთი მთავარი შემავსებელი ნაწილი იყო. მისი მოცულობა 60 ათას მანეთს აღემატებოდა.

80-იან და მომდევნო წლებში სპილენძისა და ოქრო-ვერცხლის მადნების დამუშავება, მტერთა შემოსევების გამო, ფაქტობრივად შეწყდა, ამიტომ, რუსთა ბატონობის დამყარების შემდეგ, ამ საწარმოთა აღდგენა ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი გახდა.

გიორგი XII სიკვდილის შემდეგ სამთამადნო შემოსავალი საქართველოს სამოქალაქო მმართველმა იჯარით გასცა.

1799 წელს კი, უმაღლესი ბრძანებულებით, კავკასიის მთებში ლითონის მადნების საძებნად მუსინ-პუშკინი გამოგზავნეს. მან შეისწავლა ვითარება და ხელისუფლებას აცნობა, რომ სპილენძისა და ოქრო-ვერცხლის ცნობილი საბადოების გარდა დიდ შულავერში და ბოლნისში არის რკინის მადანიც და იქვე აუწყა აღნიშნული მადნის დამუშავების პირობები.

1801 წლის 15 ნოემბრის ბრძანებულებით საქართველოში სამთო წარმოება დაარსდა, ხოლო სამთო ექსპლუატაციის უფროსად ბერგკოლეგიის წევრი მუსინ პუშკინი დაინიშნა. გენერალ კნორინგს კი დაევალა მისთვის ყოველმხრივი დახ-

მარება აღმოეჩინა[67], უსრუნველყო ხე-ტყით, დაცვით, დაემყარებინა პოლიციური წესრიგი მოემზადებინა მუშათა საცხოვრებლები, მოემარაგებინა ისინი სურსათით და ა. შ.[68] საქმის დასაწყებად რუსეთიდან გამოიგზავნა ოსტატები, საქმის მწარმოებელი და მასალები. წინასწარი ხარჯებისათვის საქართველოს შემოსავლიდან 12000 მანეთი გამოიყო. ხოლო 1802 წელს საერთო სახელმწიფო შემოსავლიდან მუსინ პუშკინს განკარგულებაში გადაეცა 80000 მანეთი.

სამთო ექსპლუატაციის ხელმძღვანელობის ადგილსამყოფლად ქალაქი თბილისი განისაზღვრა. მას გაუხსნეს მაღაზია, ლაბორატორია, კანცელარია და ა. შ.

ლაბორატორიაში შემოწმებამ აჩვენა, რომ როგორც დამბლუღისა, ისე ახტალის მადნები შეიცავდნენ ოქროსა და ვერცხლს. ახტალის მადანი უფრო მდიდარი იყო, თუმცა დამბლუღის მადანსაც სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა[69].

რუსებმა ქარხანა მოაწყვეს იქ, სადაც ბერძენი მემადნეები მუშაობდნენ. 1803 წ. მათ ნიშანსვეტად მიიჩნიეს გიორგი XII დროინდელი გამომუშავების პიკი – წელიწადში 30 ფუთი ვერცხლი. მაგრამ ეს გეგმა არარეალური გამოდგა. ამიტომ 1805 წელს წელიწადში 25 ფუთი ვერცხლის მიღებაც საკმარისად ჩათვალეს, თუმცა ვერც ეს გეგმა შეასრულეს[70].

ამასობაში ბერძენმა მემადნეებმა კოლონიზატორთა პირობები მიუღებლად ჩათვალეს და 1816 წელს მუშაობაზე უარი განაცხადეს.

ბერძნების ბოიკოტის შემდეგ, მათივე პირობებით წარმოების განახლება (რომელიც მცირე მოცულობით მაინც მუშაობდა), ბერძნებისავე პირობების შესაბამისად, ახალერდოვმა იკისრა. მაგრამ მთავრობამ მიზანშეუწონლად მიიჩნია მთელი წარმოება კერძო პირისათვის გადაეცა[71].

ამის შემდეგ, ხაზინა ოქროსა და ვერცხლს კერძო დამმუშავებელთაგან ღებულობდა სინჯების მიხედვით, დათქმულ ფასად[72].

ხაზინისათვის, თავისი რაოდენობისა და ხარისხის გამო, მთავარ ინტერესს სპილენძის მოპოვება წარმოადგენდა. გიორგი XII დროს იგი იჯარით იყო გაცემული წელიწადში 12000 მანეთად. ამასთან, ხაზინას მემადნეების სასარგებლოდ გარკვეული პირობები უნდა შეესრულებინა (მენახშირეების, მესაბერველეების მიცემა და სხვ.).

მუსინ-პუშკინმა 1802 წლის 1 ივლისიდან 1803 წლის 1 იანვრამდე ოსტატებთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლითაც მას შემსყიდველთაგან იჯარის სანაცვლოდ 6 თვეში 1600 მანეთი უნდა მიეღო. ხელშეკრულება ორივე მხარისაგან გარკვეული პირობების შესრულებას ითვალისწინებდა (მაგალითად, მთავრობა ვალდებული იყო მოიჯარადრეებისათვის 150 მენახშირე ოსტატი და 5000 კუბური საჟენი შეშა გამოეყო, საბერველის მუშებს კი მოიჯარადრე თვითონ დაიქირავებდა და სხვ.).

ბერძნები უშუალოდ მადნის გამოდნობას ეწეოდნენ, მაგრამ წარმოება მოსამზადებელი სამუშაოებისათვის 3661 მუშით და 2508 ცხენით – ხაზინას უნდა უზრუნველეყო. მოსამზადებელი სამუშაოების შეფერხება საიჯარო გადასახადს ავტომატურად (12000 მ.) ამცირებდა[73].

პირველივე წლებში ხელისუფლებას სპილენძის რეალიზაციის პრობლემა გაუჩნდა, რადგან ადგილზე სპილენძის მოთხოვნილება შემცირდა, ქვეყნის გარეთ კი მისი გატანა აკრძალული იყო. ამის გამო ხაზინას დიდი რაოდენობით სპილენძი დაუგროვდა და დაისვა საკითხი მისი საზღვარგარეთ გატანის დაშვების შესახებ. აკრძალვის არგუმენტი ის იყო, რომ სპილენძისაგან, თუკი მას ირანში გაიტანდნენ, რუსეთის პერსპექტიული მტრები მისგან ზარბაზნებს დაამზადებდნენ, მაგრამ იმ დროს ირანში ინგლისიდან იმდენი ზარბაზანი შემოჰქონდათ, რომ სპილენძის გატანის აკრძალვას აზრი ეკარგებოდა[74]. თვით ირანშიც მისი გატანა კომერციის თვალსაზრისით მაინცდამაინც მომგებიანი არ ჩანდა.

ამ გარემოების გამო, მთავარსარდალმა გენერალმა რატიშჩევმა მიიჩნია, რომ აღნიშნული ქარხნები ხაზინისათვის უსარგებლო იყო და აჯობებდა მათი თავიდან მოშორება.

1813 წლისათვის ხაზინას გაუყიდავი ჰქონდა 24430 ფუთი სხვადასხვა ხარისხის სპილენძი.

ქარხნების შენახვა კი საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა ჯდებოდა. 1803 წლიდან 1814 წლამდე მათზე დაიხარჯა: ვერცხლის 1108813 მანეთი, 2023 ჩერვონეცი, 6765 მან. ასიგნაცია და 8599 სპილენძის მანეთი. ეს დამაფიქრებელი თანხა იყო.

ამან უბიძგა მთავრობას გამოცხადებულიყო მადნის ძიების და მოპოვების სრული თავისუფლება: პიროვნების მიერ ნაპოვნი მადანი მის საკუთრებაში გადადიოდა. ამას გარდა ჯილდოც ეძლეოდა. თუ მას აღმოჩენილი მადნის დამუშავების საშუალება არ ჰქონდა, ამას ხაზინა კისრულობდა.

ყველას ეძლეოდა უფლება. მემამულეებთან შეთანხმებით, გამოყოფოდა მიწა, რომელზედაც მოაწყობდა ქარხანას ან სახელოსნოს. სამუშაოები უნდა შეესრულებინათ სამთო და საქარხნო სპეციალისტებს. ყველა სახაზინო გლეხი, რომელიც საბადოებს და ქარხნებს ეკუთვნოდა, რეკრუტისაგან თავისუფლდებოდა. მადნის მრეწველები ყოველგვარი ბეგარისაგან თავისუფლდებოდნენ, გარდა სამთო ბეგარისა. ეს კანონი შეეხებოდა უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულებსაც. მემამულეები, რომლებიც მიწებს და ტყეებს მადნის მაძიებლებს დაუთმობდნენ, სანაცვლოდ სხვა ადგილს იღებდნენ. გარდა ამისა, მათ სამთო-საქარხნო მოგების 1% ეძლეოდათ. აღნიშნული წესი მოქმედებდა პირველი წლიდანვე, თუმცა მადნის აღმომჩენი და მექარხნეები პირველი ხუთი წლის განმავლობაში სახაზინო გადასახადს არ იხდიდნენ. მრეწველებსა და მეშადნეებს სახელმწიფო სესხებით დახმარებას ჰპირდებოდა.

ქარხანაზე მიწერილი გლეხები აქ წელიწადში ორი თვე მუშაობდნენ და ამ ხნის გადასახადებისაგან თავისუფლდებოდნენ. გამომუშავებული სპილენძის თავისუფალი გაყიდვა დაშვებული იყო. სურვილის შემთხვევაში მეპატრონეს მისი ხაზინისათვის ჩაბარებაც შეეძლო: ფუთი 6 მან და 25 კაპიკად და ა. შ.[75].

1816 წელს ალაევერდისა და ახტალის ქარხნები მთავრობამ ბერძნებს გადასცა, რომლებიც ხაზინას გამომუშავებული ლითონის 10%-ს უხდიდნენ, მიწერილი გლეხები კი დამატებით 2%-ს[76].

ის ელრძო ქარხნები, რომლებიც მემამულის მიწაზე გაიმართებოდა, შესაბამის გამოსაღებს მემამულესაც უხდიდნენ.

დაშვებული იყო სამთამადნო მუშების უცხოეთიდან შემოყვანა. 1830-იანი წლებისათვის სპილენძის საერთო ამოღებამ 36327 ფუთი შეადგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ განხილული დარგის განვითარებაში, ისევე როგორც სხვა დარგებშიც (მაგ. მაუდის წარმოებაში და სხვ.), თავს იჩენდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ორმაგი ბუნება: ერთი მხრივ იგი ახალისებდა სამთამადნო მრეწველობას, რათა აქედან სახაზინო მოგება მიეღო, მეორე მხრივ კი, აფერხებდა მის მაღალ ტექნოლოგიების მიხედვით აღჭურვას, რათა არ მისცემოდა მეტროპოლიის მსგავსი საწარმოების კონკურენციის საშუალება[77].

როგორც ითქვა, სახაზინო სპილენძის რეალიზაცია საკმაოდ რთული საქმე გახდა. მემადნეები ნატურით დაგროვილ სპილენძს ადგილზევე ყიდდნენ ხაზინის მიერ დაწესებულ ფასზე ნაკლებადაც კი (7 მან. 50 კაპ. – 8 მან.). მათ მიერ მოპოვებული და გაყიდული სპილენძი ადგილობრივ მოთხოვნილებებს თითქმის მთლიანად აკმაყოფილებდა. საქართველოს გარეთ კი მისი გატანა რთულდებოდა.

მაგალითად, ასტრახანში სახაზინო სპილენძის გაყიდვა ვერ მოხერხდა, რადგან იქაური ვაჭრები იწუნებდნენ ქართულ სპილენძს. შესაბამისად სახაზინო სპილენძი საჯარო ვაჭრობის წესით იყიდებოდა. შემსყიდველებად კი თბილისელი ვაჭრები: ავთ. კეზერელი, დავით ბიბილური, თომა შატირნოვი, გიორგი ქართველიშვილი და სხვები გამოდიოდნენ[78].

მიუხედავად სპილენძის მადნის გასაღების სირთულეებისა, მეტროპოლია დიდ იმედებს ამყარებდა კავკასიის მთებზე და ადგილობრივ ხელისუფლებას წინადადებას აძლევდა არ შეეჩერებინათ საძიებო სამუშაოები, რისთვისაც კავკასიის ბიუჯეტში ყოველწლიურად 20000 მანეთი ასიგნაცია იყო ჩადებული[79].

ირანთან და თურქეთთან წარმოებულმა ომებმა მადნების მოპოვება შეამცირა. მთაერობის დახმარების მიუხედავად, სპილენძის მოპოვება შემდგომ წლებში 4500 ფუთს ვერ ასცდა. მიზანი იყო მოპოვების აყვანა ომამდელ დონეზე. ამისათვის ერთ-ერთ პირობად მრეწველებისათვის სახელმწიფო სესხის მიცემის გააქტიურება მიიჩნიეს, რათა მემადნეებისათვის მეეახშეები ჩამოეცილებინათ[80].

ამ ხანებში, ამოღებული მადანი სპილენძის შემცველობით ღარიბი იყო: დაახლოებით 100 ფუთზე 20 ფუთი. მადნის გვირაბებში წყალი გროვდებოდა და ამის გამო ბერძნებმა გვირაბები დააშრეს, რაც მათ სოლიდური თანხა დაუჯდათ, მაგრამ შედეგიც საეურადღებო მიიღეს: წამოვიდა მადანი, რომელიც 100 ფუთზე 50 ფუთ სპილენძს შეიცავდა. როგორც მეწარმეთა, ისე ხაზინის მოგება მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1842 წლისთვის საერთო ამოღებამ 533 ფუთი შეადგინა. ტექნიკის დაბალი ხარისხის მოუხედავად რეფორმამდელ ხანაში ალაევერდისა და დამბლუღის სახაზინო ქარხნებმა მოპოვება დაახლოებით 15000 ფუთამდე აიყვანეს.

ამრიგად, რეფორმამდელ ხანაში ხაზინამ დიდი ძალისხმევით მიაღწია ამოღების 1800 წლის დონეს. ცხადია, უფრო აქტიური მოქმედების შედეგად წარმადობა მეტი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ კოლონიური ხელისუფლება რთულ (ორმაგ) მდგომარეობაში აღმოჩნდა: ერთი მხრივ, მას მეტი მოგება უნდა მიეღო და შესაბამისად ამოღება გაეზარდა, მეორე მხრივ, უნდა ეფიქრა რათა ქართული მადანს ზიანი არ მიეყენებინა რუსული კომერციული წრეებისათვის.

ლითონდასამუშავებელი და სამსხმელი მექანიკური წარმოებები. რკინა დამოუკიდებელ საქართველოში საკმაოდ დეფიციტური საქონელი იყო. მართალია, არსებობდა მისი ეუსტარული მოპოვების კერები, ზოგჯერ კი პროდუქცია საზღვარგარეთაც კი გაჰქონდათ (წედისი), მაგრამ ძირითადად, იგი ქვეყანაში იმპორტის საგანი იყო.

კოლონიური ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოთხოვნილება რკინაზე, ფოლადზე და სპილენძის ნაკეთობებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამავე დროს, საქართველოში მაღალ განვითარებას აღწევდა ხელოსნობის ის დარგები, რომლებიც ლითონის დამუშავებას ეწეოდნენ. აღნიშნული დარგების წარმოებითი ურთიერთობის შემდგომმა განვითარებამ განაპირობა თბილისში საკმაოდ მსხვილი საწარმოს გაჩენა, რომელიც მე-8 კლასის ჩინოვნიკს ზავრიევს ეკუთვნოდა. 1835 წელს მან მოაწყო წარმოება, რომელიც „სპილენძ-ჭურჭლის ქარხნის" სახელითაა ცნობილი. იგი ზავრიევის კუთვნილ შენობაში იყო მოწყობილი და მასში 54 დაქირავებული ოსტატი და მუშა მუშაობდა. პროდუქცია კი მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით ერცელდებოდა[81].

1847 წელს თბილისში დაფიქსირებულია ანალოგიური წარმოება, რომლის მეპატრონე დასახელებული არ არის, მაგრამ სავარაუდოა, რომ იგი ზავრიევის დასახელებული ქარხანა უნდა იყოს[82]. წარმოება ამზადებდა სხვადასხვა სახის საოჯახო ჭურჭელს და წელიწადში 18492 მან. პროდუქციას უშვებდა[83].

1851 წელს თბილისში დაფიქსირებულია 2 საწარმო – სპილენძსასხმელი და ჭურჭლისა. პირველი წელიწადში 3200 მან. პროდუქციას უშვებდა, მეორე 20000 მანეთისას[84].

პირველი საწარმო რუს ოსტატს ილინს ეკუთვნოდა, მეორე კი ჩვენს მიერ აღნიშნული ზავრიევის უნდა ყოფილიყო. ამ ქარხანამ, როგორც ჩანს, რეფორმამდელ ხანაში (ყოველ შემთხვევაში 1860 წელს იგი მოქმედებს) იარსება. 1849-1850 წლებში, სასულიერო უწყების შეკვეთის შესასრულებლად (სიონის ტაძრისათვის 500 ფუთიანი ზარის დამზადება) სტაროპოლელი ვაჭარები ეფიმოვი და ილინი, რომლებსაც ჩვენ ზევითაც შევეხეთ, სპილენძსასხმელ წარმოებას აარსებენ. 1852 წელს იქვე თუჯსასხმელი საწარმოც მოეწყო[85], თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების უყურადღებობის გამო ორივე საწარმომ ჩქარა შეწყვიტა არსებობა.

მცირე ზომის თუჯსასხმელი საწარმოები თბილისში 40-იანი წლებიდან ჩანს. 1854 წელს კი სარბიელზე გამოვიდა მეტად ენერგიული პიროვნება, არტი-

ლერიის პოლკოვნიკი, გაბრიელ ივანეს ძე ყორღანოვი. ამ დროს მან ქალაქის სუფთა წყლით მომარაგების მიზნით წყალსადენის მოწყობა გადაწყვიტა. აღნიშნული გეგმის განხორციელების ისტორია თვალნათლივი მაგალითია იმისა, თუ რა დიდი სიძნელეების გადალახვა იყო საჭირო იმ დროს, რათა ადამიანს რაიმე წამოწყება განეხორციელებინა: ყორღანოვს წყალსადენისათვის საჭირო მანქანა რუსეთიდან გამოუწერია, მაგრამ გადმოტანის დროს იგი ეოლგაში ჩაძირულა. მეტად დიდი სახსრების გაღება გამხდარა საჭირო მის ამოსაღებად, შემდეგ კი სამხედრო გზით თბილისამდე ჩამოსატანად. რუსეთშიეე შეუძენია წყლის მილებიც, მაგრამ აქაც განსაცდელი გადაღობებია: მის მოურავს აღნიშნული მილები როსტოვში დაუგირავებია და დაუკარგავს.

აქ ყორღანოვს საქართველოს ანექსიის ისტორიაში, ყველაზე კეთილშობილი და ლიბერალი კოლონიზატორი, მ. ს. ვორონცოვი დახმარებია, რომელმაც კარგად იცოდა კავკასიის ცენტრალური ქალაქის სუფთა წყლით მომარაგების მნიშვნელობა და საქმოსანს 25000 ფუთი თუჯი აჩუქა, ჩამოწერილი ზარბაზნებისა და სხვა ჯართის სახით.

აღნიშნული ჯართის გადასამუშავებლად 1848 წელს ყორღანოვმა საქართველოში ერთ-ერთი პირველი, სერიოზული თუჯსასხმელი წარმოება დააარსა, რომელშიც თურმე ორთქლის მანქანასაც კი იყენებდა.

აღნიშნულ წარმოებაში ასხამდნენ როგორც წყლის მილებს, ისე სხვადასხვა მექანიკურ მოწყობილობას ორთქლის სახერხისათვის, რომელსაც ყორღანოვი პარალელურად აშენებდა.

თუჯსასხმელი საწარმოს მუშაობით „ჰუმანისტი" კოლონიზატორი ქმაყოფილი დარჩენილა და ფახალისების მიზნით ყორღანოვისათვის იმერეთის (ტყიბულის) ქვანახშირის საბადოებით სარგებლობის ნება მიუცია.

1849 წელს წყალსადენის პირველი წარმატებული გამოცდა ჩატარდა.

ქვანახშირით წარმოების მომარაგების საქმე კი ეტყობა სათანადოდ ვერ მოგვარდა და მწარმოებელი თუჯსადნობში ადგილზე შეძენილ შეშას იყენებდა. ამასობაში „მფარველი" ვორონცოვი ბარიათინსკიმ შეცვალა. „ბოროტმა ენებმა" ახალ მეფის ნაცვალთან ჩივილი დაიწყეს: ყორღანოვი ქალაქში დიდი რაოდენობით შეშას ყიდულობს და ქალაქში საწვავი გაძვირდაო.

ყორღანოვი, რომელსაც ქალაქში შეშის ყიდვა აუკრძალეს, სხვა გზას დაადგა: მან ბორჯომის ხეობიდან ჩინარის მორების დაცურება და მისი შეშად გამოყენება დაიწყო.

1859 წლამდე ყორღანოვის საწარმოები წარმატებით მოქმედებდნენ. ამ წლის 23 აგვისტოს, საშინელმა ხანძარმა გაანადგურა როგორც წყალსადენი, ისე თუჯსასხმელი და სახერხი წარმოებაც. ზარალმა 100 ათასი მანეთი შეადგინა.

გაჭირვებაში ყორღანოვს ეხლა უკვე მეფისნაცვალი ბარიათინსკი დაეხმარა და 32 წლით 20000 მან. სახელმწიფო სესხი მისცა. ეს მეტად მცირე თანხა იყო, რადგან მარტო ორთქლის მანქანის შეძენა ჯდებოდა 20000 მანეთი. საქმოსანს თანხები მაინც უშოვია და წარმოება აღუდგენია[86].

ყორღანოვის წარმოების მოცულობის გასაგებად, ერთ საინტერესო გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. მკელლეარ ა. კოჭლაეაშვილს მოშველიებული აქვს საარქიეო საბუთი, რომ ყორღანოვის სამსხმელო სახელოსნომ 1860 წელს (ე. ი. ხანძრიდან 1 წლის შემდეგ) 40000 მანეთის პროდუქცია გამოუშვა[87]. ჩვენ ვიცით, რომ აღდგენის შემდეგ ყორღანოვის საწარმო გაცილებით ნაკლები ინტენსიეობით მოქმედებდა. ამასთან ა. კოჭლავაშვილის მიერ მოხმობილ საბუთში საუბარია მხოლოდ თუჯსასხმელ წარმოებაზე. შესაბამისად აშკარაა, რომ ხანძრამდე ამ საწარმოთა გამომუშავება გაცილებით მეტი იყო.

1863 წელს კავკასიაში ახალმა მეფისნაცვალმა დიდი ყურადღება მიაქცია თბილისის წყლით მომარაგების საქმეს და საამისოდ ყორღანოვს 30000 მანეთი სესხი გამოუყო.

როგორც ჩანს, ამ დროიდან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი სამსხმელო მექანიკური წარმოებაც. მეფისნაცვალს წარმოებისათვის რუსეთიდან გამოუწერია კვალიფიცირებული მუშები: 2 თუჯის ჩამომსხმელი, 2 – მექალიბე და სხვა.

ამ დროს წარმოება უშვებდა, როგორც სამხედრო დანიშნულების პროდუქციას (უმთავრესად ყუმბარებს), ისე რთულ ნაწილებს წყალსადენისათვის[88].

როგორც ვნახეთ, ყორღანოვის საწარმოებმა მრავალი განსაცდელი გადაიტანეს და რეფორმის შემდგომ ხანაშიც წარმატებით მოქმედებდნენ, რაშიც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით რუსეთის კოლონიურ ხელისუფლებას, საკუთრივ მეფისნაცვლებს.

1850-იანი წლების დასაწყისში მიხეილ ვორონცოვის განკარგულებით შვეიცარიელ მექანიკოსს იოანე შტიუსეს, თბილისის გარეუბან მირზასაბადში, სასხმელ მექანიკურ წარმოების მოსაწყობად 4819 კვ. საჟენი მიწის ნაკვეთი გამოეყო და 15 000 მანეთი სახელმწიფო სესხი მიეცა[89].

მან წარმოებისათვის საჭირო მანქანა-იარაღები ევნიდან გამოიწერა, რომლებიც 1851 წელს უკვე თბილისში ჩამოვიდა. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ააგო ერთი ორსართულიანი შენობა, რომლის ქვემო სართულში მოთავსებული იყო სადურგლო, საზეინკლო და სახარატო განყოფილებები. მეორე სართული კი საცხოვრებელ ოთახებს და სამზარეულოს ჰქონდა დათმობილი; ორი ქვის ერთსართულიანი ფლიგელი, სადაც მოთავსებული იყო საწყობი, თავლა, ცხენით ამძრავი მოწყობილობა დაზგების მოძრაობაში მოსაყვანად, მექანიკური საბერველი და სამჭედლო, რომელშიც ერთი დიდი ქურა იდგა[90].

1852 წელს საწარმო მთლიანად დასრულდა და ამოქმედდა, იგი რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა; სახარატო, თუჯის სასხმელი, სადურგლო, საზეინკლო და სამხერხაო. წარმოება მოწყობილი იყო „მეტად ზუსტი ნაკეთობების მანქანებზე“.

დაზგები მოქმედებაში ცენტრალური ამძრავი საშუალებებით მოდიოდნენ, რომელთაც 4 ცხენი ამუშავებდა.

როგორც ეხედავთ, წარმოების ყველაზე რთული და შრომატევადი სამუშაოები მექანიკური საშუალებებით სრულდებოდა. ობიექტი თანდათან უმჯობესდებოდა და ძლიერდებოდა, 1852 წელს მან 5675 მან. პროდუქცია გამოუშვა, 1854 წელს კი 16164 მანეთისა.

ყირიმის ომის პერიოდში ქარხნის მუშაობა შეფერხდა. 1855 წლისათვის მისი მდგომარეობა იმდენად დამძიმებულა, რომ ხელისუფლება იძულებული გამხდარა შტიუსესათვის სახაზინო სესხის გადახდა გადაევადებინა 1858 წლამდე[91].

წარმოება როგორც სახაზინო, ისე კერძო შეკვეთებსაც ასრულებდა.

ვალის გადახდა რომ გაადვილებოდა და ამასთან სახაზინო მოთხოვნილებაც დაეკმაყოფილებინა, 1858 წელს შტიუსემ გადაწყვიტა წარმოებასთან მექანიკური საფქვავი მოეწყო. ამ წელს მეფისნაცვალმა მას ნება დართო ვალი სახაზინო ხორბლის დაფქვით გაექვითა. შტიუსემ ამგვარი წისქვილი 1861 წელს აამოქმედა.

წარმოების ყველა მიმართულება მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში წარმატებით მუშაობდა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საქართველო რკინის ნაკლებობას განიცდიდა და რაჭაში არსებული რკინის მომპოვებელი წარმოება, მისი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, პრობლემას ვერ გადაჭრიდა. საქართველო ამ მასალის შემოტანილი პროდუქციით კმაყოფილდებოდა, რაც გარდა დიდი მატერიალური ხარჯებისა, ტრანსპორტირების დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

1860 წელს უცხოელმა ერნესტ ლიბმა ბოლნისის ხეობაში, იქ სადაც რკინის მადანი იყო დაფიქსირებული (ბორჩალო) სოფელ ჩათახთან, რკინის და თუჯის ქარხნის მოწყობა გადაწყვიტა.

ვინაიდან კოლონიური მთავრობა ერთობ დაინტერესებული იყო ამგვარი საწარმოს არსებობით, მან აღნიშნულ პიროვნებას გაუყორმა ხელშეკრულება,

რომლის ძალითაც მას მიეცა სახაზინო სესხი 20000 მან. 10 წლით[92]. ლიბს უნდა დაემუშავებინა არსებული მადანი და მოეწყო ქარხანა რკინის მისაღებად. საწყაოად მას სახაზინო 2069 დესეტინა ტყე გამოეყო. დამატებით მეწარმემ 1861-1862 წლებში კონტრაქტით 1500 დესეტინა ტყე მემამულე შანშიაშვილისაგან მიიღო[93]. იმავე შანშიაშვილმა კუთვნილ ტერიტორიაზე გამოიყენანა არხი, ქარხნისათვის წყლის მისაწოდებლად. აღებული სესხი არასაკმარისი აღმოჩნდა და მთავრობა იძულებული გახდა მისთვის დამატებით სახსრები გამოეყო. ლიბმა სესხი კერძო პირებისაგანაც აიღო და 1862 წელს გარდაიცვალა. როცა დაითვალეს გამოვიდა, რომ მას 182086 მან. სესხი ჰქონდა დახარჯული. აქედან 88019 მან ხაზინისა, 94067 მან კი კერძო პირებისა. ქარხანა კი დამთავრებული არ იყო. ლიბის ქვრივმა, როგორც ჩანს, ქარხნის დამთავრება გადაწყვიტა და მთავრობას დამატებით 5000 მან სესხი სთხოვა. თხოვნა დაკმაყოფილეს.

იმავე წელს (1862) ქარხანა ვიტესა და ბერნულის ხელში გადავიდა. მათ დაამთავრეს ქარხნის მოწყობა, რაზეც საბოლოო ჯამში 217076 მანეთი დაიხარჯა. აქედან 108009 ხაზინის სესხი იყო, 109067 მანეთი კერძო პირებისა (ამ ცნობის მიხედვით ქარხნის მომწყობებს საკუთარი თანხა საქმეში სრულიად არ ჩაუდიათ). სხვა ცნობით ქარხნის საბოლოო მოწყობა 677753 მან. დაჯდა, აქედან ხაზინის ვალი იყო 190271 მან, ხოლო სხვადასხვა კერძო პირებისა 486910 მან. ქარხანა ამუშავდა და საგრძნობი შედეგებიც სახეზე იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მადნის ამოღება გარკვეული შეფერხებებით წარმოებდა. ყველაზე მაღალი შემოსავალი ქარხანამ 1874 წელს მიიღო — 9157 ფუთი თუჯი.

ქარხნის მთავარი დამკვეთი ხაზინა იყო, და იგი განუწყვეტლად აგრძელებდა მის დახმარებას, მაგრამ ვალების გასტუმრებას წარმოების გაფართოება სჭირდებოდა, ამისათვის კი მეპატრონეებს სახსრები აღარ ჰქონდათ[94]. ამის გამო 1875 წ. ქარხანა დაიხურა[95].

მნიშვნელოვანმა ძვრებმა, რასაც XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის სოფლის მეურნეობაში ჰქონდა ადგილი, რაზეც წინამდებარე ნაშრომშიც გამახვილდა ყურადღება და ბურჟუაზიულ ყაიდაზე მოწყობილ მეურნეობათა გაჩენაში გამოიხატა, დაბადა მოთხოვნილება ახალი ტიპის, გაუმჯობესებულ, სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე.

ამ გარემოებამ უკარნახა ინჟინერ-ტექნოლოგ ფონ ბიხოლდს, გაეფართოებინა თავისი სადურგლო სახელოსნო, რომელიც 1856 წელს არქიტექტორ ბრაუნმილერთან ერთად მოაწყო ისე, რომ მას შეძლებოდა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღის დამზადება. ამასთან, ისეთი რაოდენობით, რამდენიც საჭირო იქნებოდა ადგილობრივ მიწათმოქმედთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ვინაიდან საკმარისი თავისუფალი კაპიტალი არ ჰქონდა, მან დახმარებისათვის მეფისნაცვალ ბარიათინსკის მიმართა. ამ უკანასკნელმა ჩათვალა, რომ მსგავსი წარმოების მოწყობა, ხელს შეუწყობდა ქვეყანაში ახალი ტიპის მეურნეობების გაერცელებას, ე. ი. პასუხობდა მთავრობის კოლონიურ ინტერესებს და 1858 წელს უყოყმანოდ გამოუყო ნათხოვნი სესხი, 5000 მანეთი 10 წლის ვადით, თან პირობაც გაუფორმა: 1. აღნიშნული თანხა უნდა დახარჯულიყო თბილისში ისეთი სახელოსნოს აშენებაზე, რომელშიც მხარისათვის საჭირო სხვადასხვა მოწყობილობა: გუთანი, წყლის ამწე და ა. შ. დამზადდებოდა. 2. საწარმოს შეკვეთები უნდა მიეღო როგორც ხაზინისაგან, ისე კერძო პირებისაგან, ზომიერ ფასებში. 3. მთავრობას უფლება ჰქონდა გაეკონტროლებინა მის მიერ გაცემული სესხის ხარჯვა. 4. თანხის გაღახდა უნდა დაწყებულიყო 1868 წლიდან და 10 წლის განმავლობაში დაფარულიყო (წელიწადში 500 მან.). გადაუხდელობის შემთხვევაში მთავრობას შეეძლო მომწყობი წარმოებისაგან ჩემოეცილებინა და ეს უკანასკნელი თავის განკარგულებაში მიეღო[96].

სანამ ბიხოლდისათვის სესხის მიცემის საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა, სამშენებლო წარმოებაში მისი კომპანიონი ბრაუნმილერი გარდაიცვალა.

ბიხოლდი იძულებული შეიქნა მის მიერ ბრაუნმილერთან ერთად აღებული სამშენებლო იჯარისათვის მიექცია მთავარი ყურადღება, რაშიც მას მნიშვნელოვანი ზარალი უნახავს[97]. აღნიშნული ზარალი ბუნებრივია სასოფლო-სამეურნეო იარაღის დამამზადებელ საწარმოზეც უარყოფითად იმოქმედებდა. 1860-1861 წლებში ბიხოლდს გადაუწყვეტია აღნიშნული საწარმოს მოწყობა ახალთში თ. ანდრონიკოვის მამულში გადაეტანა[98]. მისი შემდგომი ბედი უცნობია. არ არის გამორიცხული რომ ამ ხანებში ბიხოლდი გაკოტრდა.

ჩქარა თბილისში კიდევ ერთი, მსგავსი დანიშნულების საწარმო ყალიბდება, ოღონდ არა ისეთი ფართო პროფილის.

1860 წელს პრუსიელ ერნსტ ზომმერის საზეინკლო საწარმო ჰქონდა გამართული, რომელშიც საოჯახო და სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა იარაღს, ლითონის სამშენებლო მოწყობილობებს, აივნის მოაჯირებს და ა. შ. ამზადებდა[99]. ამ ხანებში თანდათან გაიზარდა მოთხოვნილება ადგილობრივ სიმინდზე. იგი დიდი რაოდენობით გაქონდათ საზღვარგარეთ, დიდი რაოდენობით იყენებდნენ არეის წარმოებაში და ა. შ.

სიმინდის დაფშვნა ხელით ხორციელდებოდა და მეტად შრომატევადი სამუშაო იყო. აღნიშნული შრომის გასაადვილებლად სოფლის მეურნეობის სამმართველომ საზღვარგარეთიდან გამოიწერა წვრილი ფერმერული მეურნეობებისათვის გათვალისწინებული სიმინდის ხელით საფშვნელი მანქანა-მოწყობილობა. მისმა გამოცდამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ მანქანით ერთ მოზრდილ მამაკაცს ერთი ბავშვის დახმარებით შეეძლო 14 მოზრდილი მამაკაცის შრომა შეეცვალა და დღეში 100 ფუთი სიმინდი დაეფშვნა.

მაგრამ ამ მანქანების საზღვარგარეთიდან ჩამოტანა მეტად ძვირი ჯდებოდა. ასეთ ვითარებაში სოფლის მეურნეობის სამმართველომ გადაწყვიტა მისი ადგილზე დამზადება ეცადა. ეს საქმე სწორედ ერნსტ ზომერმა ითავა[100]. 1862 წლის 4 ივნისს მან იკისრა დაემზადებინა 50 ცალი აღნიშნული მანქანა, თითო 30 მანეთად (უცხოეთიდან შემოტანილი 56 მანეთი ჯდებოდა) აქედან 25 ცალი მას 15 აგვისტოს უნდა ჩაებარებინა, მეორე 25 ცალი კი – 25 ოქტომბერს.

აღნიშნული ვალდებულება წარმოებამ დროზე და მაღალხარისხოვნად შეასრულა. მისი დამზადებული მანქანა 1862 წელს საშემოდგომო გამოფენაზე იქნა წარმოდგენილი და საერთო მოწონება დაიმსახურა[101].

თავისი კარგი თვისებებისა და გაზ. „კავკაზის" რეკლამის შედეგად მანქანამ ჩქარა მოიპოვა პოპულარობა და მასზე მოთხოვნილება კავკასიის ყველა კუთხიდან მოდიოდა.

მნიშვნელოვანმა წარმატებებმა ზომმერს საშუალება მისცა წარმოება გაეფართოებინა, რისთვისაც ხელისუფლების ნებართვით მას 36000 მან. სესხი გამოუყვეს.

1863 წელს წარმოება მთლიანად მწყობრში იყო.

საწარმოს შესახებ ცნობები ერთობ მცირეა. მაგალითად, 1863 წ. გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებული იყო განცხადება, რომ მექანიკოს ზომმერთან მსურველს შეუძლია შეიძინოს 3-4 ცხ. ძალიანი ორთქლის მანქანა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ზომერი კარგად იცნობდა ორთქლის მანქანის მნიშვნელობას და მოსალოდნელია, მას თავის წარმოებაშიც იყენებდა. მაგრამ იგივე განცხადება უფრო საინტერესო ცნობას გვაწვდის, რომ ზომმერის მექანიკურ ქარხანაში შეიძლებოდა შეკეთებათ ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანა თბილისში მანამდე არნახულად იაფ ფასებში.

პროდუქციის ეს სიიაფე კი იმით იყო გამოწვეული, რომ ქარხანაში მოუხეშავი ხელით შრომა შეიცვალა უახლესი ამერიკული სისტემის მანქანების შრომით. მაშასადამე აღნიშნული წარმოება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საშუალო ზომის ფაბრიკული ტიპის მანქანური წარმოება.

აღნიშნული წარმოება რეფორმის შემდგომ ხანებში წარმატებით მოქმედებდა. მაგალითად 1869 წელს მას 15000 მანეთის პროდუქცია გამოუშვია.

სამშენებლო მასალების წარმოება. ამიერკავკასიის ცენტრის, მეფისნაცელის რეზიდენციის, მოლიანად – თბილისის სათანადო სახით წარმოჩენა კოლონიური ხელისუფლების ღირსების საქმე იყო. მართალია, ქართლ-კახეთის მოხუცმა მეფემ ძალა და ენერგია არ დაიშურა აღა მაჰმად ხანის მიერ აოხრებული დედაქალაქისათვის პირვანდელი სახის დასაბრუნებლად, მაგრამ ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა მას არ დასცალდა. ფიზიკურად დასუსტებულმა და ფინანსურად გაჩანაგებული ქვეყნის მეთაურმა ამ საქმისათვის მხოლოდ საფუძვლის ჩაყრა მოახერხა და საოკუპაციო ხელისუფლება ფაქტობრივად მტრის მიერ გაჩანაგებულ დედაქალაქში შეეიდა. როგორც გადმოგვცემენ, 1820 წლისთვისაც კი თბილისის ქუჩები ნანგრევებით ყოფილა სავსე[103].

მართალია, გასაგები მიზეზების გამო, ყურადღების ცენტრში თბილისი იყო, მაგრამ მიხედვა და თანდათანობით ევროპული იერსახის მიღება ქვეყნის სხვა ქალაქებსაც სჭირდებოდა.

ამ დროიდან, განსაკუთრებით მთავარსარდალ ერმოლოვის წამახალისებელი ღონისძიებების შედეგად, მშენებლობის ენთუზიაზმი მნიშვნელოვნად გაცხოველდა და 30-იანი წლების დასაწყისში აღდგენითი სამუშაოები ძირითადად დამთავრდა.

ის ამბავი, რომ 1820-1831 წლებში დედაქალაქი თითქმის არ გაზრდილა, იმის შედეგი იყო, რომ მშენებლობა ჯერ კიდევ აღდგენით ხასიათს ატარებდა და, შესაბამისად, ძველი ქალაქის ფარგლებში წარმოებდა.

ამის პარალელურად, ენერგიულად წარმოებდა სამხედრო და ადმინისტრაციული მშენებლობა. ყოველივე ამან განსაზღვრა ქვეყანაში სამშენებლო მასალათა წარმოების გამოცოცხლება.

ვინაიდან თბილისსა და მის შემოგარენში არ არსებობდა სამშენებლო ქვის რამდენადმე მნიშვნელოვანი კარიერი, აგურის მრეწველობის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ წარმოებას საქართველოში უძველესი ტრადიცია ჰქონდა.

XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ქალაქის ფარგლები ჯერ კიდევ სოლოლაკის ხევს არ იყო გასული, გარეუბანში ბევრი სააგურე და სამეთუნეო სახელოსნო მოქმედებდა.

როდესაც ქალაქის გარეუბნის მხარის გაფართოების საკითხი დადგა, ამ საწარმოებს გაუქმების საშიშროება დაემუქრათ. ეს პროცესი არაერთ მეაგურე ხელოსანს გაუსაძლის მდგომარეობაში აყენებდა, მაგრამ კოლონიურ ხელისუფლებას ეს არ ანაღვლებდა. მსგავსი საშიშროება გლახა გაბაევის სააგურესაც დაემუქრა, რომელიც 1816 წელს მეფისნაცვალ ერმოლოვს ასეთი თხოვნით მიმართავდა: „ვარ მოხუცი და ღარიბი. ერთი მოსწრებული შვილიც მყვანდა, მივართვი, ხელმწიფის სამსახურში გახლავს, მე ვალით ჩემს მამულში სააგურე გავაკეთე, რომელიც არის მოწყვეტილს ალაგს, აგრეთვე ხევს გაღმა. ნება მომეცით ერთი წელი ვიმუშაო, რომ ვალი გავისტუმრო და შემდეგ, თუ ისურვებთ, დავანგრევო"[104].

1826 წლიდან მოყოლებული საბუთებში სისტემატიურად არის მონაცემები აგურის საწარმოთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც ქარხნებად მოიხსენიებიან, თუმცა ფაქტობრივად სახელოსნოებთან უნდა გვქონდეს საქმე. 1826 წელს თბილისში 31 აგურის საწარმო ითვლება[105]. შემდგომ მათი რაოდენობა მცირდება: 1830 წ. – 28[106]. 1835 წ. – 26[107], 1838 წ. – 14[108].

აგურის საწარმოების ამგვარი შემცირება რეალურ სურათს არ უნდა ასახავდეს. თუმცა სამოქალაქო მშენებლობის გარკვეული შემცირება ერთგვარად ახსნადია. მას შემდეგ, რაც ძირითადი აღდგენითი სამუშაოები დასრულდა, მოსახლეობა, საბინაო ბეგარის მოქმედების გამო, თავისი საცხოვრებლის გაფართოებაზე არ ზრუნავდა. 1829 წელს მთავარსარდალი პასკევიჩი მიუთითებდა, რომ „ბევრი შემთხვევით დამტკიცებულია, რომ აქაური მცხოვრებლები, ყველა შესაძლებლობებისა და ახალი შენობების აგების საკუთარი სურვილის მიუხედავად,

ამას ყურ ბუდავენ. ერთადერთი იმის შიშით, რომ სახლები დაუყოვნებლივ იქნება დაკავებული ჩადგომით და გადაეღვენ პოლიციის განკარგულებაში[109].

1840-იანი წლებიდან კოლონიურმა ხელისუფლებამ ნატურით საბინაო ბეგარა საბინაო გადასახადით შეცვალა. ამან გამოიწვია მშენებლობის ინტენსიური განვითარება არა მარტო გარეუბანში, არამედ კუკიაში, ჩულურეთში, აღლაბარში, ნაძალადევში და სხვ.

ამ ხანებში კოლონიური მთავრობა, რომელმაც საბოლოოდ მტკიცედ მოიკიდა ფეხი კავკასიაში, მეტ ყურადღებას აქცევდა კავკასიის ცენტრალური ქალაქის უკეთ მოწყობის საკითხებს და მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებდა რომ თბილისს ევროპული ქალაქის იერი მიეცა. შესაბამისად სამშენებლო საქმიანობა ქალაქის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი გახდა. ყოველივე ამან ახალი ევროპული ტიპის აგურის ქარხნების მშენებლობის დაჩქარება გამოიწვია.

40-იანი წლებიდან, დოკუმენტების თანახმად, აგურის საწარმოთა და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა განუხრელად იზრდება. მაგრამ საბუთები საშუალებას არ იძლევიან განვაცალკევოთ, რომელია მათ შორის ტრადიციული ქართული და რომელი ახალი რუსული ტიპის. ამასთან, გაურკვეველია მათდამი კოლონიური ხელისუფლების დამოკიდებულება, რადგან სახაზინო მშენებლობები ქართულ აგურს არ იყენებდნენ, მიიჩნევდნენ რა არასტანდარტულად და დაბალ ხარისხიანად.

ერთი თანამედროვის აზრით, თბილისში აგურს ამზადებდნენ დაუდეერად, არათანაბარი სისქისა და არასწორის სიბრტყისას, რის გამოც წყობაში ხაზი არათანაბარი გამოდიოდა, რასაც გაელენა ჰქონდა შენობის სიმტკიცესა და სიმყარეზე. თბილისში შესაძლებელი იყო აგურის მტკიცე და გულდასმითი გამოყენა, რაც დაამტკიცეს დროებით მოწყობილმა აგურის ქარხნებმა[110].

ბუნებრივია, ასეთი აზრის არსებობის ვითარებაში ხაზინა ქართული ტიპის აგურის გამოყენებას ხელს არ შეუწყობდა და არ წაახალისებდა.

ახალი ტიპის აგურის საწარმოს მოწყობა პირველად ხაზინამ ითავა. 1840 წელს თბილისში სამშენებლო უწყების აგურისა და კრამიტის ქარხანა მოქმედებდა. საწარმო, სადაც დაბალი ჩინის ოსტატები და მუშები საქმიანობდნენ, აგურს მხოლოდ სამხედრო მშენებლობისათვის ამზადებდა. აღნიშნული საწარმოების გამგე პორუჩიკი ყორღანოვი ყოფილა[111].

1858 წელს დიდი სამშენებლო საწარმოს მოწყობას იწყებს არქიტექტორი რაისი, რომელსაც ეს საქმე მეფისნაცვალმა ურჩია და მისი მხარდაჭერით სარგებლობდა[112].

მომწყობი კისრულობდა აეყვანა ადგილობრივი ყმაწვილები და მათთვის სამშენებლო სპეციალობა შეესწავლა[113].

აღნიშნულ ობიექტში ყველა სამშენებლო სამუშაო უნდა ჩატარებულიყო და, ამასთან, ქალაქი აგურით, კრამიტით და სხვადასხვა ზომის თიხის მილებით უნდა მოემარაგებინა[114].

წარმოებასთან იყო სამხერხაო და სხვა სახელოსნოები, რომლებიც მოძრაობაში საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ლოკომობილით მოდიოდა.

1858 წელს მეფისნაცვლის სახსრებიდან რაისს 10 წლით 20000 მანეთი სესხი გამოუცვეს.

1859 წელს ობიექტი დასრულდა და მისი პროდუქცია ერთობ მრავალფეროვანი იყო. მათ შორის მსადღებოდა იატაკის მოზაიკის ფილებიც.

რაისი იმედოვნებდა, რომ წელიწადში 4-5,5 მილიონ აგურს გამოუშვებდა.

1859 წელს წარმოების მეთაურს დამატებით 17000 მან. სესხი მისცეს. 1861 წელს კიდევ 10000 და საბოლოოდ მისმა სახაზინო ვალმა თითქმის 50000 მან. შეადგინა.

1863 წელს რაისი საყვედურობდა, რომ ხაზინამ იგი შეკვეთებით ვერ უზრუნველყო და ვალის გადახდის გაგრძელებას ითხოვდა[115].

ამ წელს წარმოება თბილისის ფაბრიკა-ქარხნების უწყისში 15 ათასი წლიური პროდუქციით იქნა შეტანილი და აღნიშნულია, როგორც „რაისის სადურგლო წარმოება, მანქანებისათვის ორთქლის ამძრავით"[116]. უნდა ვიფიქროთ, რომ აღმწერმა წარმოება, რომელიც მრავალპროფილიანი იყო და წელიწადში 5 მილიონი აგურის გამოშვებას გეგმავდა, მისი ერთ-ერთი საამქროს დანიშნულების მიხედვით სადურგლო წარმოებად მიიჩნია ან, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რაისის სხვა საწარმოზეა საუბარი. მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარი ისაა, რომ რაისის წარმოება ახალი ტიპის დაწესებულება იყო, რომელიც კოლონიური ხელისუფლების ინტერესებს პასუხობდა და მისი მხურვალე მხარდაჭერით სარგებლობდა.

ეს კიდევ ერთხელ მაშინ დადასტურდა, როცა აღნიშნული საწარმო საშინელმა ხანძარმა გაანადგურა. ზარალი 72000 მანეთზე მეტად შეფასებულა[117]. მთავრობამ გაითვალისწინა მეწარმის მდგომარეობა და ქარხნის აღსადგენად კვლავ გამოყო 20000 მანეთი სესხი. წარმოება თითქოს აღდგა. მეფისნაცვლის ბორჯომის სასახლის მშენებლობისათვის აქ 15000 აგური დაამზადეს. მაგრამ საბოლოოდ წარმოება წელში ვერ გასწორდა. მან ვალები დროზე ვერ დაფარა და დაიხურა. მანქანა მოწყობილობები ხაზინის ხელში გადავიდა[118].

თითქმის რაისის პარალელურად, 1860 წელს მთავრობის წახალისებით ჰანოვერის მკვიდრმა ტანერმა, კომპანიასთან ერთად, სამშენებლო მასალების (აგური, კრამიტი, თიხის ნაწარმი) დიდი მანქანური საწარმოს მოწყობა წამოიწყო. ამ წელს ტანერსა და სამხედრო უწყებას შორის გაფორმდა შემდეგი შინაარსის ხელშეკრულება: კომპანია კისრულობდა მოეწყო წარმოება საუკეთესო ხარისხის მასალის დასამზადებლად. ხაზინას მისთვის უნდა გამოეყო მიწა. კომპანია მოაწყობდა წარმოებას, რომელსაც დღიდან მოქმედების დაწყებისა, უნდა დაეკმაყოფილებინა სამხედრო უწყების ყველა მოთხოვნილება აღნიშნულ ნაწარმზე, გარკვეული პირობების დაცვით[119].

ქარხანას მოქმედება 1862 წელს უნდა დაეწყო. კომპანიას უფლება ჰქონდა უწყების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ ნაწარმი ბაზარზე გაეყიდა.

თავდაპირველად ნავარაუდევი იყო, რომ მეფისნაცვალი კომპანიას, რომელშიც ტანერთან ერთად პოლკოვნიკი ბიკოვიც შედიოდა, მიეცა 100000 მან. სესხი[120]. შემდეგ, რაღაც მიზეზების გამო, სესხის მიღება არ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, კომპანიონებმა ქალაქის IV ნაწილის II კვარტალში 1861 წელს საკუთარი სახსრებით მოაწყვეს წარმოება, რაც მათ 120000 მანეთი დაუჯდათ.

მაგრამ საბრუნავი კაპიტალი აღარ დარჩათ. ისინი იმაზეც აცხადებდნენ პრეტენზიას, რომ ხაზინა შეპირებული 5 მილიონის ნაცვლად წელიწადში 2 მილიონ აგურს ძლივს უკვეთავდა.

ამიტომ კვლავ მოითხოვეს 100000 მან. უპროცენტო სესხი 10 წლით.

ჩვენ არ ვიცით, მიიღეს თუ არა მათ რაიმე სესხი, მაგრამ ერთი ცხადია, რომ განსახილველ პერიოდში ქარხანა წარმატებით ფუნქციონირებდა.

1863-1865 წლებში ეს ქარხანა თბილისში ერთ-ერთ საუკეთესო მანქანურ წარმოებად ითვლებოდა[121].

ამიერკავკასიაში თბილისი მრეწველობის ცენტრიც იყო. ქართული ტიპის აგურის დამამზადებელი სარეწები საქართველოში ყველა კუთხეში არსებობდა, სადაც საამისო თიხა მოიპოვებოდა.

მაგალითად, 1860 წელს ქუთაისში 6 აგურის ქარხანა მოქმედებდა. აგურის საწარმოები არსებობდა გორში, ახალციხეში, სიღნაღში (3), თელავში, დუშეთში (4), კარდანახში (2), ანაგაში (2), ჯუგაანში (3) ქვედა მაჩხაანში (1) და ა. შ. მაგრამ ჩვენთვის მათზე ყურადღების გამახვილებას აზრი არა აქვს, რადგან ისინი რუსული კოლონიური ინტერესების სფეროში არ ხედებოდნენ.

რაკი საქართველოს მთავარი ქალაქის განვითარება ევროპული დონის შესაფერისად იყო ჩაფიქრებული, საჭირო იყო შესაბამისი სამშენებლო (დეკორატიული) მასალების და სათანადო ოსტატების მოძიება. ამ მხრივ ბევრი სირთულე არ-

სებობდა. კერძოდ, თბილისში (მით უმეტეს სხვა ქალაქებში) არ იყენენ ოსტატები, რომელთაც შეეძლებოდათ სხვადასხვა არქიტექტურული დეტალების დამზადება[122].

ამ ნაკლის გამოსასწორებლად 1840 წელს ხელისუფლების ინიციატივით თბილისში მოეწყო საწახნაგო და ქვა-მუყაოს სახახინო წარმოება, მაგრამ იგი მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა და 1849 წელს ეორონცოვმა ახალი საწახნაგო წარმოება გახსნა[123] კაუკასიური მარმარილოს, ობსიდიანის და სხვა ქვების დასამუშავებლად. 1850 წელს კი მწყობრში ჩადგა მუყაო-ქვის მასის ფაბრიკა, სამოქალაქო და საეკლესიო არქიტექტურის სხვადასხვა ნაკეთობების დასამზადებლად. ეს უკანასკნელი 1855 წელს დაიხურა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ კვლავ განაახლა მუშაობა და საწახნაგო ფაბრიკას შეუერთდა[124]. წარმოება იძულებით შრომაზე იყო დამყარებული, აქ სამხედრო ჩინები და კოლონისტები მუშაობდნენ, თუმცა მათ მინიმალური გასამრჯელო მაინც ეძლეოდათ.

რაკი სახაზინო იყო და სახაზინო შეკვეთებს ასრულებდა, „ფაბრიკა" სარალის მეტს ვერაფერს მოიტანდა. ამის გამო, ხაზინამ იგი კერძო პირს ვინმე პერმიკინს მიჰყიდა.

აღნიშნულ წლებში თბილისში იყო ცდები ახალი ტიპის საწარმოების მოსაწყობად. მაგალითად, 1847 წელს მაიორი დემინკაგი ახალ კუკიაში მიწის ნაკვეთის გამოყოფას ითხოვს შორენკეკის (კაფელის) საწარმოს მოსაწყობად. მიწა გამოეყოს, მაგრამ წარმოების შემდგომი ბედი უცნობია[125].

მშენებლობის ეტაპების შესაბამისად თბილისში იზრდება სახერხი ქარხნების რიცხვი და წარმადობა. 60-იან წლებში მათში აღგილი აქვს ორთქლის მანქანის გამოყენებას. რა ბედი ეწია აღნიშნულ საწარმოს უცნობია.

ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასაწყისში ლუდვიგ შეეალეს კუსტარული საწარმო ჰქონია, სადაც ამზადებდნენ შუშას, ფანერას, ასანთს, ფანქრებს და სხვ.[126].

მშენებლობის ტემპების შეესაბამოდ იზრდებოდა სახერხი ქარხნების რიცხვიც და წარმადობაც. 50-იან წლებში თბილისში 2 სახერხი ქარხანა მოქმედებდა 3000 მან. წლიური პროდუქციით, 1863 წელს კი ასეთი 19 საწარმოა 27000 მან. წლიური პროდუქციით[127].

უმჯობესდებოდა აღნიშნულ საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობაც. კერძოდ, მათში ამძრავის ფუნქციას წყლის ნაცვლად ხშირად ორთქლის მანქანა ასრულებდა.

ამრიგად, კოლონიური ხელისუფლება დაინტერესებული იყო დაჩქარებული ქვეყნის სრული ათვისებით, ცდილობდა ეს ტენდენცია ყველა მიმართულებით გაეძლიერებინა. ამ თვალსაზრისით სამშენებლო საქმეს და მის ახლებურად, ევროპული სტილით, წარმართვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და, როგორც დავინახეთ, ყოველმხრივ ახალისებდა და ხელს უწყობდა შესაბამის საწარმოებს, აღგილობრივი ტიპის საწარმოების წინააღმდეგ. ყველაფერთან ერთად ამაშიც ელინდებოდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა.

საპნის და თამბაქოს წარმოება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსახილველ ხანაში საქართველოში არაერთი ისეთი სარეწი არსებობდა, რომელთაც დიდი ხნის ტრადიციები ჰქონდათ. მაგრამ, კოლონიური ხელისუფლება მათ ახალ ევროპულ ყაიდაზე მოწყობას ესწრაფოდა.

საპნის წარმოება თავისუფალ საქართველოში ოჯარა შესყიდვის წესით გაიცემოდა და ხაზინა მისგან გარკვეულ შემოსავალს იღებდა, მაგრამ საპონს კუსტარულად, ოჯახებშიც ამზადებდნენ, რასაც მოიჯარადრე ხელისუფლების მხარდაჭერით ებრძოდა.

1834 წელს ნულურეთში საპნის ქარხანას აარსებს ამთუნი, მაგრამ თვითონ არ მეწარმეობს. შენობას მოიჯარადრეებზე აქირავებდა[128].

ამავე ხანებში იაგორ ლორის-მელიქოვი უკვე გაუმჯობესებულ საწარმოს აწყობს. იგი ერთხანს მოიჯარადრეობას ეწეოდა, 1841 წლის ცნობით კი სათაევში ედგა სოლიდური მოცულობის საპნის წარმოებას.

იმავე 1841 წელს თბილისში მეორე კაპიტალისტური ტიპის საპნის საწარმოც არსებობდა, რომელიც თბილისის მოქალაქეს სტეფანე მელეინოვს ეკუთვნოდა[129].

1843 წელს კი საპნისა და სანთლის საწარმოს მოწყობას იწყებს უცხოელი ფრანც შულცი, რომელთანაც 1845 წელს კომპანიონად შედის იაგორ ხატისოვი. წარმოება გერმანელთა კოლონიის მახლობლად მოეწყო. XIX საუკუნის I ნახევარში ხატისოვის საწარმო, რომელმაც ლამფის ზეთის დამზადება დაიწყო, თბილისში ერთ-ერთ საუკეთესო საწარმოდ ითვლებოდა, შულცი კი თავის ძველ საწარმოს დაუბრუნდა[130].

1846 წელს სანთლისა და საპნის წარმოების კომპანია შეადგინეს თბილისის მოქალაქეებმა გ. რამიზოვმა, სტ. მანთაშოვმა, დანილ ჯანჯიხაძემ, დავით მატინოვმა, როსტომ კოსტანოვმა, ასლამაზოვმა და სხვებმა.

იგი ყოველ შემთხვევაში 1850 წლამდე წარმატებით მოქმედებდა და გამოშვებული პროდუქციის მოცულობას ზრდიდა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ შულცისა და ხატისოვის საქმიანობა საჯარგებლად მიიჩნია. 1845 წელს ფინანსთა მინისტრმა შესაძლებლად ცნო შულცისათვის 5 წლიანი პრივილეგიები მიეცა, ხოლო მომდევნო, 1846 წელს ვორონცოვმა მას წარმოების მოსაწყობად მიწის ნაკვეთი გამოუყო, კასტელის ყოფილი აბრეშუმის ქარხნის მახლობლად.

საპნის კუსტარული საწარმოები თითქმის საქართველოს ყველა, ასე თუ ისე მნიშვნელოვან ცენტრში არსებობდა, მაგრამ ისინი ძველებური ყაიდის იყენენ და ხაზინის ყურადღებას ნაკლებ იმსახურებდნენ.

საქართველოში აქციზური სისტემის შემოღებამდე (1873 წ.), თბილისის გუბერნიაში და უპირატესად თბილისში, მრავალი წვრილი თამბაქოს საწარმო არსებობდა. ამ საქმიანობას ოჯახებშიც კი ეწეოდნენ და ამდენად იგი კუსტარულ ხასიათს ატარებდა და შესაბამისად, მათი ნაწარმი ხარისხით არ გამოირჩეოდა. ამის გამო საქართველოში არაერთი შეღარებით მსხვილი თამბაქოს ფაბრიკა გაიხსნა, მაგრამ მათი უმეტესობა სხვადასხვა მიზეზის გამო დღეგრძელი არ აღმოჩნდა.

მაგალითად, 1848 წელს მაიორმა შემიოტმა გახსნა სიგარების საკმაოდ მოზრდილი საწარმო, რომელშიც მრავალნაირი ასორტიმენტის სიგარა და დაფხვნილი თამბაქო მზადდებოდა[131].

1850 წელს თამბაქოს დამუშავებას კოლონისტი ზალცმანიც ეწეოდა.

ერთ-ერთი პირველი თამბაქოს სერიოზული და, სხვათა შორის, დღეგრძელი ფაბრიკა დააარსა კარაპეტ და ბენიამინ ენფიანჯინცებმა. ჩქარა მათ სიახლოვეს ნ. ბოზარჯიანცმა მესამე თამბაქოს ქარხანა გახსნა[132].

1865 წელს თბილისში 10 თამბაქოს საწარმო მოქმედებდა, მაგრამ მათმა უმრავლესობამ დროის გამოცდას ვერ გაუძლო, განსხვავებით ენფიანჯინცების საწარმოსაგან, რომელიც რეფორმის შემდგომ ხანებშიც წარმატებით ფუნქციონირებდა.

როგორც აღვნიშნეთ, კოლონიური ხელისუფლება დიდ ყურადღებას იჩენდა თამბაქოს, ისევე როგორც სხვა თბილი კულტურების საქართველოში გავრცელებისადმი, ახალისებდა მას, აძლევდა სესხებს, დახმარებებს და ა. შ.

მაგრამ რაც შეეხება თამბაქოს ფაბრიკებს, მათ ფაქტობრივად არაფითარ ყურადღებას არ აქცევდა, მიუხედავად იმისა, ვინ იყვნენ აღნიშნული წარმოებების მომწყობნი — ადგილობრივი საქმოსნები, რუსები თუ უცხოელები. ეს აშკარად ტიპიურია კოლონიური ხელისუფლების პოლიტიკისათვის. მას აინტერესებდა ნედლეული, რომელიც მეტროპოლიების წარმოებებში უნდა გადამუშავებულიყო და არა ადგილზე დამზადებული პროდუქცია.

ნაფთობის და ქვანახშირის ამოღება. განსახილველ პერიოდში საქართველოში ნაფთობის ამოღებაც ხდებოდა: ნაფთლუღში, შირაქში, მირსაანში, ელდარის ველზე. საბადოები ხაზინის საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მიერ ცალკეულ უწყებათა საკუთრებაში იქნა გადაცემული. ეს უკანასკნელნი კი მათ იჯარით გასცემდნენ.

აღნიშნულის გარდა, ნაეთობის საბადოები სხვა ადგილებშიც იყო დადგენილი, მაგრამ მათი ექსპლუატაცია არ ხდებოდა.

ეიდრე ბაქოს ნაეთობის დამუშავება პირველყოფილი წესით ხდებოდა, თბილისის ნავთობი გარკვეულ ინტერესს წარმოადგენდა. ბაქოს ნაეთობის თანადროული ტექნიკის დონეზე დამუშავების დაწყებამ ქართული ნავთობისადმი ინტერესი გააქრო[133].

ქვანახშირის წარმოება ჩვენში XIX საუკუნის 10-იანი წლებიდანაა დაფიქსირებული. 1820 წელს ტყიბულის საბადოს ყურადღება მიაქცია სამთო ინჟინერმა კრეიჟანოვსკიმ. ხოლო 1846 წელს მიხეილ ვორონცოვის ინიციატიეით გადაწყდა ტყიბულში ამოეღოთ 1000 ფუთი ქვანახშირი, რათა მისი ვარგისობა რედუტკალეში ორთქლის გემებზე გამოეცადათ[134]. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. მ. ვორონცოეი ერთობ დაინტერესდა ამ საკითხით, რადგან ხომალდების საწვავით მომარაგების საქმე ერთობ აქტუალური იყო. ტყიბულის მიმზიდველობას კი ის გარემოებაც ზრდიდა, რომ იგი დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა და წყლის ტრანსპორტამდე მისი მიტანა შედარებით მარტივი საქმე იყო.

ვინაიდან საბადო კერძო პირის კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარეობდა, ხაზინამ მეპატრონეს დაუდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც იგი 36 წლის განმავლობაში აწარმოებდა ამოღებას, ხოლო მიწის მეპატრონეს ყოველ ამოღებულ ფუთ ნახშირზე კაპიკს გადაუხდიდა[135].

ამოღება 1847 წელს დაიწყო და 1854 წლამდე სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა, ამ წელს კი იგი რუსეთ-თურქეთის ომმა შეაფერხა.

შემდგომ წლებში ინტერესი ტყიბულის საბადოსადმი არ განელებულა. მის ინტენსიურ შესწავლაში მონაწილეობდნენ აკად. აბიხი, სამთო ინჟინრები: ანტიპოეი, ბაცეევიჩი, სიროკინი, პერნოლე, გეოლოგი სიმონოეიჩი და სხვ. თუმცა შესწავლის შედეგები საბოლოო ჯამში დადებითი იყო, მაგრამ ტყიბულის ქვანახშირის მნიშვნელოვანი დამუშავება მხოლოდ 80-იანი წლებიდან დაიწყო.

მრეწველობის მიმართ რუსული კოლონიური პოლიტიკის არსის შეფასებისათვის. XIX საუკუნის საქართველოს სამრეწველო განვითარების ხასიათს რუსეთის კოლონიური პოლიტიკა განსაზღვრავდა.

ამ თვალსაზრისით ქვეყნის ეკონომიკაში პირველი სერიოზული ნაბიჯი მეტროპოლიამ 1821 წელს, შეღავათიანი ტარიფის შემოღებით გადადგა, რამაც მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა ადგილობრივ მრეწველობის არავერთ დარგს, ფაქტობრივად ჩაახშო ისინი და მათი პროდუქცია როგორც ადგილობრივ, ისე საგარეო ბაზარზე ევროპული საქონლით ჩაანაცვლა.

1830 წელს შეღავათიანი ტარიფის მოქმედება დასრულდა. ამ დროისათვის რუსეთმა ძირითადად დაამთავრა საქართველოს პოლიტიკური დაპყრობა და ღღის წესრიგში მისი ეკონომიკური დაკაბალების საკითხი რეალურად პრიორიტეტული გახდა.

ეკონომიკური დაპყრობა გულისხმობდა იმ დარგებისა და იმ ყაიდის საწარმოთა მოწყობის წახალისებას და ხელის შეწყობას, რომლებიც მეტროპოლიის მრეწველობის განვითარების ინტერესებს პასუხობდნენ, მისთვის ნედლეულის ბაზას და გასაღების ბაზარს შექმნიდნენ, აგრეთვე კოლონიებში გარკვეულად ხელს შეუწყობდნენ იმ რუსული თუ უცხოური ყაიდის პროდუქციის ხელოსნურ თუ ფაბრიკულ წარმოებას, რომელიც მოსული ელემენტისათვის აუცილებელ და კომფორტულ მოხმარების საგნებს დაამზადებდნენ. მათი ქვეყნის გარეგან შემოსიდვა კი გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

კოლონიალური ხელისუფლებისათვის ასევე საინტერესო იყო ალკოპოლიანი სასმელების წარმოების განვითარება, რომელზედაც მოთხოვნილება, რუსის ჯარისა და უცხოტომელების შემოსელასთან ერთად, სწრაფად იზრდებოდა, თუმცა მისდამი დახმარების აღმოჩენას ხელისუფლება არ ჩქარობდა, რადგან აღნიშნული დარგი უამისოდაც ფართოედებოდა.

განსხვავებული ეითარება იყო მაუდის წარმოების მიმართ, რომელსაც უნდა გადაეწყვეტა ხაზინაში არსებული მატყლის დიდი რაოდენობის ბედი და ამასთან ჯარის ნაწილების საფარაჯო მაუდით მომარაგების საქმეც. აქ დახმარება ფაქტობრივად შეუზღუდავი იყო, თუმცა ნახსენები მიზეზების გამო, განსახილველ ხანაში, ამ დარგმა მაინც ვერ მიაღწია სასურველ შედეგს.

სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, მსგავსი დამოკიდებულება იყო სხვა დარგებისადმიც: ერთი მხრივ სრული უყურადღებობა, მეორე მხრივ, კი საოცარი ხელგაშლილობა. ხაზინა არა მარტო ეხმარებოდა მისთვის სასურველ საწარმოო დაწესებულებებს, არამედ თვითონაც აწყობდა მას საკუთარი ხარჯებით, როგორც ეს აგურის სახაზინო ქარხნის მაგალითზე გამოჩნდა.

ასევე სამაგალითოა არქიტექტურული სახელოსნოს ბედიც. 1868 წელს ხაზინა სესხს აძლევს არქიტექტორ რაისს (20.000 მან.), რომელსაც სამხარეო და სხვა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტები უნდა მოეწყო. მოგვიანებით მას დამატებით 17090 მან სესხი მისცეს. შემდეგ კიდევ 10.000 მან. საბოლოოდ მისმა ვალმა 50.000 მ. გადააჭარბა. ხოლო როცა წარმოება ხანძარმა გაანადგურა ხაზინამ მას კიდევ 20 ათასი მან. გამოუყო.

ჩვენ შეეცადეთ გვეჩვენებინა კოლონიური ხელისუფლების პოლიტიკა და ტენდენციები ახალი ტიპის შედარებით მსხვილი საწარმოების მოწყობისადმი. ვნახეთ რა დარგებს აქცევდა იგი ყურადღებას, მაგრამ არსებითად მიგვაჩნია, რომ საწარმოთა მოწყობისას დიდი უპირატესობა უცხოელებს და რუსებს ეძლეოდათ (რუსებს ნაკლები, რადგან ისინი ამ თვალსაზრისით ნაკლებ ინიციატივას იჩენდნენ).

ხელისუფლების პროტეჟეთა შორის მხოლოდ ორიოდე სომეხი, ისიც რუსეთის სამსახურში მყოფი და არც ერთი ქართველი არ არის თუ არ ჩავთვლით ზუბალაშვილებს, რომლებმაც მთაერობას ერთობ მიმზიდველი პროდუქტები შესთავაზეს, შაქრის ლერწმის გაშენების თვალსაზრისით მასაც მხოლოდ ნაკვეთების გამოყოფა და ზოგიერთი შეღავათი აკმარეს და არც ერთი კაპიკი ფულად არ დახმარებიან.

ტენდენცია ნათელია: კოლონიური ხელისუფლება ესწრაფვის, მისთვის საჭირო დარგების ხელშეწყობით, ქვეყნის საწარმოო განვითარებას გარკვეული მიმართულება მისცეს, და ამ საქმეში ჩართოს არა აბორიგენი მოსახლეობა, არამედ ძირითადად ახალი (მოსული), მისი ერთგული ელემენტი.

---

1. სცსსა, ფ. 2, აღ. 1, საქმე 3530, ფურც. 9.
2. იქვე, ფურც. 10.
3. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. VII, №120.
4. სცსსა, ფ. 3, საქ. 4700, გვ. 59.
5. იქვე, ფურც. 15.
6. სცსსა, ფ. 4, აღ. 1, საქ. 3071.
7. სცსსა, ფ. 3, საქ. 4701.
8. სცსსა, ფ. 4, აღწ. 5, საქმე 69, ფურც. 11.
9. სცსსა, ფ. 239, საქმე 717, ფურც. 8.
10. Сборник матералов для описания Тифлисской Губернии, т. I, вып. I, 1870 г., გვ. 72-73.
11. Кавказский календарь, 1853, стр. 318.
12. П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения. т. I,. Тб., 1942 г., გვ. 16.
13. სცსა, ფ. 10, საქმე 496, ფურც. 65.
14. გაზ. „გუთნის დედა", 1864 წ., №2.
15. სცსსა, ფ. 10, საქ. 507, ფურც. 20.

16. სცსია, ფ. 26, აღწ. 1, საქმე 4162, ფურც. 9.
17. სცსსა, ფ. 209, აღწ. 1, საქმე 58, ფურც. 1-3.
18. სცსსა, ფ. 26, აღწ. 1, საქ. 4162, ფურც. 9-10.
19. იქვე.
20. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 4925, ფურც. 63.
21. სცსსა, ფ. 26, აღწ. 1, საქ. 4162, ფურც. 11.
22. იქვე.
23. იქვე. ფურც. 23.
24. სცსსა, ფ. 16, საქმე 5679, ფურც. 125.
25. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 9579, ფურც. 1.
26. იქვე.
27. სცსსა, ფ. 26, აღწ. 3, საქ. 5751, ფურც. 6.
28. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 8520, ფურც. 7.
29. იქვე, საქმე 10219.
30. Газ. „Кавказ", 1849 г., №43.
31. სცსსა, ფ. 317, აღ. 1, საქმე 298, ფურც. 127.
32. სცსსა, ფ. 4, აღწ. 4, საქ. 349, ფურც. 2.
33. Газ. „Кавказ", 1860 г., №8.
34. სცსია, ფ. 4, აღწ. 4, საქმე 349, ფურც. 5.
35. Документы по истории Грузии (1862-1917 гг.), т. II, под. ред. Ш. Чхетия, Тб., 1960 г., გვ. 415.
36. დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830-1864 წწ.), თბ., 1959 გვ. 131.
37. ЦГИЯАЛ, д. 1268, оп. I, д. 881, л. 78. აღნიშნული წარმოების პერიპეტიები საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში. იხ. პროფ. ჰ. გუგუშვილის, პროფ. გ. ბაქრაძის, პროფ. ე. ხოშტარიას, პროფ. დ. გოგოლაძის და სხვ. ნაშრომები.
38. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 49000, ფურც. 7-8.
39. დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.
40. სცსსა, ფ. 1287, აღწ. 2, საქ. 544, ფურც. 1.
41. სცსია, ფ. 4, აღწ. 1, საქმე 158, ფურც. 27.
42. იქვე, ფურც. 24.
43. სცსსა, ფ. 26, აღწ. 2, საქმე 549, ფურც. 3.
44. სცსსა, ფ. 11, საქმე 7395, ფურც. 6.
45. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. V, გვ. 38; ტ. VI, გვ. 256.
46. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 932, ფურც. 157.
47. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. VII, გვ. 163.
48. სტ. გულიშამბაროვი, თბილისის გუბერნიის ფაბრიკა-ქარხნების მიმოხილვა, თბ., 1988 წ., (რუს. ენაზე), გვ. 135-136.
49. იქვე.
50. სცსსა, ფ. 4, აღ. 5, საქ. 18, ფურც. 7; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.
51. სცსსა, ფ. 4, აღწ. 5, საქ. 57, ფურც. 10; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.
52. Газ. „Кавказ", 1849 г., №20.
53. დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.
54. სცსია, ფ. 10, საქმე 2786, ფურც. 42.
55. სტ. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.
56. სცსსა, ფ. 4, აღწ. 2, საქმე 2717, ფურც. 1.
57. სცსსა, ფ. 398, აღწ. 14, საქმე 4522, ფურც. 22-23.
58. სცსსა, ფ. 17, აღ. 1, საქმე 93, ფურც. 8.
59. სცსსა, ფ. 2, საქმე 6893, ფურც. 4.
60. სცსსა, ფ. 16, საქმე 6001, ფურც. 7.
61. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 11596, ფურც. 1.
62. სცსსა, ფ. 209, აღწ. 1, საქმე 506, ფურც. 32.

63. სცსსა, ფ. 2, საქმე 6893, ფურც. 4-5.
64. დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი; ე. ხოშტარია, დამშუშავებული მრეწველობის განვითარება საქართველოში, XIX ს. 30 წლებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1958 წ. და სხვ.
65. სცსსა, ფ. 4, აღწ. 5, საქმე 125, ფურც. 28.
66. დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 170-171.
67. ვ. ჩანტლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 288.
68. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. I, Тиф., 1866, გვ. 516-518; გულიშამბაროეი, გვ. 168.
69. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. VI, Тиф., 1874, გვ. 69-71; ჩანტლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 291.
70. სტ. გულიშამბაროეი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171-172.
71. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. II, Тиф., 1866, ფ. 205-208, 211.
72. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. IV, Тиф., 1870, ფურც. 68; ტ. V, გვ. 28, 289, 293; ე. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში 1801-1864 წწ., თბ., 1975, გვ. 296.
73. სცსსა, ფ. 254, საქ. 306, ფურც. 36-38, საქ. 18981; ფურც. 24-29; ე. ჩანტლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 298-299.
74. История горной промышленности Закавказья в документах, т. I, Грузия, Тб., 1932, საბ. 414; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.
75. ე. ჩანტლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 300.
76. სცსსა, ფ. 164, საქ. 39.
77. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. VII, გვ. 70-71.
78. იქვე, გვ. 120-122.
79. სცსის, ფ. 16, საქმე 6351, ფურც. 27.
80. ამ აზრს იზიარებს მკვლევარი ა. კოჭლავაშვილი, იხ. მისი „საქართველოში მეტალურგიული წარმოების განვითარება XIX საუკუნეში", თბ., 1967, გვ. 102.
81. სცსსა, ფ. 26, აღწ. 2, საქმე 723, ფურც. 257.
82. სცსსა, ფ. 1268, აღწ. 1, საქმე 1426, 1854, ე. დამატება, 1697, ოქტომბერი.
83. იქვე, აღწ. 8, საქმე 21, ფურც. 114.
84. Газ. „Кавказ", 1879 г., №181.
85. ა. კოჭლავაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.
86. Газ. „Кавказ", 1879 г., №181.
87. სცსსა, ფ. 249, აღწ. 1, საქმე 445, ფურც. 2.
88. სცსსა, ფ. 4, აღწ. 5, საქმე 458, ფურც. 9.
89. სცსსა, ფ. 10, საქმე 5439, ფურც. 5.
90. სცსსა, ფ. 10, საქმე 220, ფურც. 20.
91. იქვე.
92. იქვე, ფურც. 11-12.
93. Газ. „Кавказ", 1860 г., №79.
94. Газ. „Кавказ", 1862 г., №42.
95. სცსსა, ფ. 240, საქმე 853, ფურც. 11.
96. Газ. „Кавказ", 1862 г., №93.
97. სცსსა, ფ. 240, საქმე 853, ფურც. 11.
98. Газ. „Кавказ", 1862 г., №50.
99. სცსსა, ფ. 16, საქმე 1829, ფურც. 4.
100. ცსიალ. ფ. 1263, აღ. 11, საქმე 142, 1866-67, ფურც. 70.
101. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წწ., ნაწ. 1, თბ., 1960, გვ. 25.
102. იქვე.
103. სცსსა, ფონდი 16, საქმე 1829, ფურც. 4.
104. ЦГВИА, ВУА,1856, д. 1841,. л. 56.

105. სცსსა, ფ. 205, საქმე 1262, ფურც. 15.
106. იქვე, საქ. 5255, ფურც. 56-60.
107. ცსიალ ფონდი 1268, აღწ. 1, საქ. 625-ა, ფურც. 73.
108. ПСЗРИ, т. IV, 1829, გვ. 549, №3049.
109. სცსსა, ფ. 205, საქმე 1262, ფურც. 15.
110. სცსსა, ფ. 1105, საქმე 377, ფურც. 9.
111. სცსსა, ფ. 10, საქმე 169, ფურც. 2629.
112. იქვე, საქმე 164, ფურც. 15-16.
113. იქვე, ფურც. 45-46.
114. იქვე,
115. სცსსა, ფ. 414, აღწ. 1, საქმე 164, ფურც. 75.
116. იქვე, ფურც. 91.
117. სცსსა, ფ. 10, საქმე 1254, ფურც. 6.
118. იქვე, საქმე 1914, ფურც. 2.
119. სცსსა, ფ. 26, აღწ. 2, საქ. 1801, ფურც. 5.
120. ე. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.
121. დაწერილებით იხილეთ პ. გუგუშვილის, დ. გოგოლაძის, ე. ხოშტარიას, ა. კოჭლა-ეაშვილის და სხვათა ნაშრომები.
122. სცსსა, ფ. 4, აღწ. 4, საქმე 28, ფურც. 1.
123. სცსსა, ფ. 4, აღწ. 2, საქმე 474, ფურც. 18.
124. სცსსა, ფ. 2, საქმე 8950, ფურც. 6, 10-31.
125. იქვე.
126. სცსსა, ფ. 26, აღ. 1, საქმე 2452, ფურც. 31.
127. სცსსა, ფ. 16, საქმე 6351, ფურც. 26.
128. სცსსა, ფ. 4, აღწ. 6, საქმე 102, ფურც. 15.
129. ცსიალ, ფ. 39, აღ. 14, საქმე 4522, ფურც. 12.
130. Газ. „Кавказ", 1852 г., №27.
131. სტ. გულიშაიბაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.
132. Кавказский вестник, 1901, №11, стр. 94.
133. სცსსა, ფ. 164, საქმე 208, ფურც. 23, დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.
134. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954 წ., გვ. 41.
135. ცსიალ. ფ. 17, აღწ. 1, საქ. 855.
136. Дубровин, Закавказье от 1803-1806 года, Сб., 1866, стр. 12.
137. ცსიალ. ფ. 561, აღწ. 1, საქ. 158, (1835 წ.), ფ. 9.
138. სცსსა, ფ. 1165, საქმე 89.
139. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. X, Тиф., 1885, №802.
140. ЦГВИА, ВУА, ф. 169, д. 4, стр. 25-26.
141. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. X, Тиф., 1885, №802.
142. იქვე.
143. ცსიალ. ფ. 1268, 1853 წ., აღწ. 26, საქმე 16, ფურც. 455.
144. იქვე, გვ. 450.
145. სცსსა, ფ. 10, აღწ. 1, საქმე 3684, ფურც. 13.
146. იქვე, ფ. 28.
147. სცსსა, ფ. 10, აღწ. 1, საქმე 3684, ფურც. 13.
148. სცსსა, ფ. 4, აღწ. 8, საქმე 451, ფურც. 106.
149. იქვე, ფურც. 12.

თავი III

რუსული პოლიტიკური და კოლონიურ-ეკონომიკური სისტემის განმტკიცება საქართველოში (1864-1904)

რუსეთის დივერსიული პოლიტიკა საქართველოში

ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ დაწყებულ და მალევე განხორციელებულ აღმოსაელეთ საქართველოს ტერიტორიულ ანექსიას რუსეთის მიერ საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული ექსპანსიაც დაემატა. რუსეთს აწყობდა საქართველოს გარუსება, მრავალმილიონიან რუს ერთან მისი შერწყმა. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დამხობას თან მოჰყვა იმდროინდელი მოწინავე ქართველი თავად-აზნაურობის ნაწილის იძულებითი გასახლება. ინტელექტის გადინებამ შეაფერხა ქვეყნის განვითარება, თუმცა ქართველებმა რუსეთშიც განაგრძეს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, მაგრამ მისი შედეგები ან ვერ აღწევდა ჩვენს ქვეყნამდე, ან ნაწილობრივ და იმდენად დაგვიანებით, რომ საზოგადოებრივ პროგრესს ვეღარ აჩქარებდა. ქართველი ერის მიმართ განხორციელებულ ექსპანსიაში, მისი სრული ასიმილაციის მიზნით განხორციელებულ საქმეში დიდი როლი ითამაშა: დაპყრობილი კავკასიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გადამიჯვნის რუსულმა მოდელმა, ქართული ენის სრულმა განდევნამ სახელმწიფო დაწესებულებებიდან და სკოლებიდან, ქვეყნის დაჩქარებულმა კოლონიზაციამ უცხო ეთნოსით, მთავრობის მხრიდან ჩამოსახლებულთათვის პრივილეგირებული, ხელსაყრელი პირობების შექმნამ, სამოხელეო შტატის, ძირითადად, ამ გარუსებული უცხო ელემენტებისაგან დაკომპლექტებამ და სხვა ანტიქართულმა ღონისძიებებმა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ხშირად იყენებდა გამოთქმას, რომ რუსეთმა ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა ქართველი ხალხი, რომ ქართველთა რიცხვი, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. თუ რუსეთის იმპერიის დემოგრაფიულ პოლიტიკას გაეცნობით, ცხადად წარმოჩნდება, რომ ქართული მოსახლეობის ზრდა XIX საუკუნეში ბუნებრივად მოხდა, საქართველოში სხვა ერთა ჩამოსახლება და მათი რიცხვის მატება კი — ხელოვნურად, თანაც, ეს უკანასკნელი, პროცენტულად აჭარბებდა პირველს. მაგალითად: XIX საუკუნეში ქართველთა რაოდენობა 670 ათასიდან 1314 ათასამდე გაიზარდა, ეროვნული უმცირესობისა კი 180 ათასიდან — 533 ათასამდე. ე. ი. ქართველების რიცხვი გაორმაგდა, სხვა ეთნიკური ჯგუფების — გასამმაგდა. შემცირდა ქართველთა ხვედრითი წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში და მან რვა მეათედის ნაცვლად, შვიდი მეათედი შეადგინა, რაც რუსეთის აგრესიულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ გამოიწვია.

მდგომარეობა ამ მხრივ კიდევ უფრო გაუარესდა XX საუკუნეში. საქართველომ რუსეთთან მეგობრობა სწორედ ფიზიკურად გადარჩენისა და მშვიდობიანი განვითარებისათვის, სპარსეთ-თურქეთის აგრესიისაგან თავის დასაღწევად აირჩია, მაგრამ იმპერიის საზღვრების გაფართოებისათვის დაუმცხრალად მებრძოლი რუსეთი მუდმივ ომებში ჩაება როგორც ამ ქვეყნებთან, ასევე საქართველოს მეზობელ სახანოებთან, რის გამოც ჩვენი ქვეყანა ან ომის მთავარ მონაწილედ, ანდა ომის ველად იყო ქცეული. ამ ომებში ქართველი ხალხი წინა საუკუნეებზე ნაკლებ ზარალს როდი განიცდიდა. ამ დანაკლისს დაკარგული ტერიტორიების შემოერთებითაც კი ვერ ანაზღაურებდა, რადგან რუსეთი შემოერთებულ საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალს საკუთარი ინტერესებით აწყობდა, ქართველ ხალხს მისი ბუნებრივი ათვისებისა და გამოყენების საშუალებას არ აძლევდა. ქართველთა დიდი დემოგრაფიული დანაკარგები დაკავშირებულია XIX-XX საუკუნეების აღმოსაელურ და მსოფლიო ომებთან. როგორც მეფის რუსეთისა თუ

საბჭოთა იმპერიის ნაწილი, საქართველო ებმებოდა დიდ ომებში, პროცენტულად, ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ხალხებზე გაცილებით მეტ მსხვერპლს იღებდა, კარგავდა ეროვნული რეგენერაციის სრულფასოვან უნარს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, რუსეთის ძალმე კოლონიურმა პოლიტიკამ გამოიწვია ქართველი ხალხის ანტირეციმული აჯანყებები XIX საუკუნის I მეოთხედში, რის გამოც უამრავი ქართველი ან ბრძოლაში დაიღუპა, ან გადასახლებასა და პატიმრობაში. ქართველთა ერთმა ნაწილმა სამშობლო მიატოვა და უცხოეთში წავიდა. ამ დროს დაიცალა თრიალეთ-ლორე, წალკის მიდამოები და სხვა ის ტერიტორია, სადაც შემდეგ უცხო ეთნოსის ჩასახლება მოხდა.

დოკუმენტური მასალებით, 1802, 1804, 1810-1812, 1819-1820 წლების აჯანყებებში მოსახლეობის დიდი მასა მონაწილეობდა. აჯანყებათა ჩახშობას თან სდევდა რეპრესიები, ქართველ თავადაზნაურთა ნაწილის ემიგრაცია სპარსეთსა და ოსმალეთში, მთავრობა კი მათ მიწებს სახაზინო ფონდში რიცხავდა. დაუნდობელმა რუსმა სამხედრო მოხელემ, გარუსებულმა ქართველმა პაველ ციციანოვმა 1802 წლის აჯანყებულებს დანაშაულის პატიებისა და მიწების უკანვე გადაცემის ყალბი დაპირება მისცა, თუკი ისინი ორ თვეში დაბრუნდებოდნენ საქართველოში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს მოღალატეებად გამოაცხადებდნენ და ციმბირში გადაასახლებდნენ[1]. მთავარმართებელი გუდოვიჩიც მართავდა სამშვიდობო მოლაპარაკებებს ალექსანდრე ბატონიშვილთან, ჩუმად კი რუსეთის ჯარის სარდალს კავკასიაში – გენერალ როსენს წერდა – ხელი შეეწყო ყაზახის მოურავის – იოსებ ბებუთოვისათვის ალექსანდრეს თბილისში ჩამოყვანაში. საამისოდ სომეხ დიდებულს დიდ ფულად ჯილდოს პირდებოდა. 1806 წლის 9 სექტემბერს ალექსანდრე ბატონიშვილი გენერალ ნესვეტაევისადმი მიწერილ წერილში სამშობლოში დატოვებას სთხოვდა რუსეთს, იმპერატორის ქვეშევრდომობაზე თანხმდებოდა, თუკი ხელს არ ახლებდნენ და რუსეთში არ გადაასახლებდნენ: „...თუ რუსეთში გამიპატიჟებთ, რამდენიც უნდა საუნჯე მამცეთ, რათ მინდა, მარტოდ ჩემ მშობელ ქვეყანაში ვიქნები მდიდარი და ბედნიერიო“[2]. მაგრამ რუსეთს სწორედ ეს არ აწყობდა; საქართველოდან უნდა წასულიყო ყველა, ვინც ქართველი ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით იყო განმსჭვალული და საჭირო შემთხვევაში ერის წინამძღოლად იქცეოდა. რუსულ ტერორს გაქცეული ქართველი თავადების – ჩოლოყაშვილების, ამირეჯიბების, თუმანიშვილების, თარხნიშვილებისა და სხვათა მიწები ხაზინის საკუთრებად იქცა და შემდგომში მათზე სხვა ეთნიკური კუთვნილების ხალხი ჩამოასახლეს[3].

რუსეთის ნაწილად გამოცხადებულ საქართველოში კანონები მსამართლოებულად იქნა რუსეთიდან გადმოტანილი. მაშინდელი სამოხელეო აპარატი ოვით იმპერიის ცენტრშიც დაბალ დონეზე იყო, კავკასიაში კი კიდევ უფრო დაბალი განათლებისა და ზნეობის მოხელეები მოდიოდნენ. რუსული დოკუმენტებიც კი ვერ ალამაზებენ სინამდვილეს და ნათლად აჩვენებენ ამ მოხელეთა სისასტიკეს ქართველი ხალხის მიმართ.

გენერალური შტაბის კაპიტანი ნ. ს. ანოსოვი შექმნილი ვითარების მიზეზად იმას თვლიდა, რომ „კავკასიაში მოდიოდნენ მომტეტებულ ნაწილად ისინი, ვინც ცხოვრებას გაერიყა, ვისაც აღარ ედგომებოდა შორეულ რუსეთში, საეჭვო ზნეობისანი, ხარბნი და გაუმაძღარნი, ვერცხლისმოყვარენი და ანგარებით საესენი, შებღალულის სახელისა და რეპუტაციისა. ხალისით მოდიოდნენ ესენი კავკასიაში იმ იმედით, რომ დაეკმაყოფილებთ ქვენა გრძნობებსა და ალღოს ამ მოუწყობელ ქვეყანაში, საიდანაც ღმერთი ძალიან მაღლა იმყოფება და მეფე მიუწვდომელ სიშორეზეო“[4]. ანოსოვის ბოლო სიტყვები ქიზიყში წარმოთქვამს პირველად რუს მოხელეს – კაპიტან-ისპრავნიკსა და კახეთის ოლქის უფროსს – გენერალ პორტნიაგინს. მას უკმაყოფილო გლეხებისათვის უთქვამს: რას ჩვენით, ვინ გაგიგონებთ, ღმერთი ძალიან მაღლაა და მეფე ძალიან შორსო. უსულგულო მოხელის ეს გამონათქვამი გამოიყენა პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის მოხ-

სენებით ბარათში, რომელიც 1837 წელს წარუდგინა საქართველოში ჩამოსულ ნიკოლოზ I-ს; დოკუმენტურ მასალებში, მათ შორის რუსულშიც, იმდენი საშინელებაა აღწერილი, ეჭვი აღარ რჩება, რომ ქართველმა ხალხმა რუსეთისაკენ სწრაფვით უკუშედეგი მიიღო. „ჯარი ისე იქცეოდა, თითქოს ამ ქვეყნის საპატრონოდ კი არა, ასაოხრებლად იყო მოსული", – წერს ალექსანდრე ფრონელი მთიულეთის აჯანყებისადმი მიძღვნილ ნაშრომში და კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებს იმოწმებს. მართლაცდა, ეს აქტები, მასში მოტანილი რაპორტები და ათასგვარი სახის მასალა, ნათლად აელენს იმ ძალადობას და დაუნდობლობას, რასაც საქართველოში შემოსული რუსი იჩენდა ძირძველი მოსახლეობის მიმართ. მოსახლეობისა, რომელიც მსოფლიოს დიდ იმპერიებს ებრძოდა ათასწლეულთა მანძილზე და ისე შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა და თავისთავადობა.

რუსული აქტებიდანაა ეს სიტყვებიც: „–მთავარმართებელი რტიშჩევი ისე უყურებდა კახელებს, როგორც მეომარ მოწინააღმდეგეს, ე. ი. სხვა სახელმწიფოს მკვიდრთ და რაკი გაიმარჯვა, ადგა და კახელებს კონტრიბუცია დაადო, თითო კომლს სამი კოდი პური, ერთი კოდი ქერი და სამი მანეთი შეაწერა, სოფლის ნაცველებს – ორჯერ და სამჯერ მეტი. ხალხს გადაახდევინა ასევე დანაკლისი ჯარისა"– იმდენად მძიმე იყო ეს ბეგარა, რომ იმპერატორიც გაუჯავრდა თავის მოხელეს, აუკრძალა დასჯის ამგვარი მეთოდის გამოყენება, მაგრამ მაშინდელი გზავნილები იმპერიის დედაქალაქიდან დიდი დაგვიანებით აღწევდა საქართველომდე, ეს ბრძანებაც მაშინ მოსულა, კახეთი უკვე ტყავგამძარალი რომ იყო.

რუსეთის ომებსა და ანტირუსულ აჯანყებებში დაღუპულ ქართველთა რიცხვი არცერთ სტატისტიკას არა აქვს დაზუსტებული, მაგრამ ის რომ მძიმე იყო და მნიშვნელოვანი დანაკარგი ჩვენნაირი პატარა ერისათვის, კარგად ჩანს თელაველი მეურმეების განცხადებიდან, სადაც ეკითხულობთ: „საითაც კი დაიძვრებოდა ხელმწიფის მხედრობა, ჩვენც უკან მივსდევდით ურმებით, დაგვქონდა სურსათი ერევანს, გუმბრს, განჯასა და სხვაგან. გავდიოდით სადარაჯოდ და საომრად, ასე რომ, თუ სალდათები ანთხვევდნენ სისხლსა, ჩვენც მათთან ვიყლიტებოდით"[5].

ასეთ ღღეში იყო მთელი საქართველო.

უამრავი ადამიანი შეეწირა რუსი გენერლის – სიმონოვიჩის სამხედრო ავანტიურას იმერეთში. თავისუფლებისმოყვარე ქართველთა ათეულობით ათასები დაიღუპნენ იმ რუსული დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც თავმოკრულ ტომარაში სვამდა მართლმადიდებელ მღვდელმთავრებს, ბარბაროსული მეთოდებით უმასპინძლდებოდა ერს, რომელმაც სწორედ რელიგიური თანამოაზრეობისათვის აირჩია რუსეთი მოკავშირედ.

ის, რაც ასე მძაფრად ასახა ქართულმა ლიტერატურამ, კერძოდ, ალექსანდრე ყაზბეგის რომანებმა, აქტებმაც შემოგვინახა, ოღონდ უფრო სქოლასტიკური ენით. საქართველოს სამხედრო გზისპირა მოსახლეობას არა მარტო გზები უნდა შეეკეთებინა, არამედ უნდა მიეცა ტრანსპორტი, საკვები ჯარისათვის, ზავებისაგან გაეწმინდა დარიალის გზა, რაც ხშირად მსხვერპლთან იყო დაკავშირებული. ურჩ გლეხებს ჯარისკაცები და მოხელეები აწიოკებდნენ, შეურაცხყოფდნენ ქალებს[6].

აქტების მიხედვით – მთიულეთში ულელში გააბეს და ცემით მოკლეს 23 კაცი[7].

აქვე წერია, მთიულეთში, სოფელ მლეთასთან როგორ დაიღუპა ასობით გლეხი, გადაწვეს ყველა აჯანყებული სოფელი, გადარჩენილი მოსახლეობის დიდი რაოდენობა გორის ციხეში მოათავსეს და რადგან საკმარის საზრდოს არ აძლევდნენ, ისინიც შიმშილითა და სიცივით დაიხოცნენ. საქართველოდან გაასახლეს უამრავი ადამიანი.

დავით ბატონიშვილის ახალ ისტორიაში, კახეთის აჯანყების აღწერისას, მარკიზ პაულიჩის მიერ ქართველთა ნამდვილი გენოციდის სურათი იხატება. აღწერილია სოფელ ხაშმში, სამების მონასტერში შეხიზნული 100 ბავშვის რუსების მიერ ცხენების ქუსლქვეშ გასრესის ამბავი, *„მსგავსად იროდისა"*- ო, ხოლო

80 წლის მონაზონი მარიამ აბაშიძე რუსის სალდათს ხიშტზე აუგია. თიანეთში რეა ქაცი აიყვანეს ტყეედ და სოფლის შუაგულში ჩამოახრჩეეს[8].

ჯარი ანადგურებდა ბალ-ეენახებს, რასაც შემდეგში მოსახლეობის სოციალური დონის დაცემა, სიკვდილიანობის ზრდა და დემოგრაფიული დამცრობა მოსდევდა. 1813 წლის მაისში ხეესურეთში რუსეთის სამ ათასიანმა ჯარმა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეტაკებისას იმსხეერპლა 600 ხეესური. რუსის ჯარმა შატილთან ერთად კიდეე ოცი სოფელი გადაწვა, საიდანაც მხოლოდ ასი ხეესური გადარჩა. ხეესურეთის ექსპედიცია იმდენად მძიმე იყო, რომ 1855 წელს გაზეთმა „კავკაზმა" გენერალ რტიშჩეევის 1813 წლის ექსპედიციაზე მასალა ეერ გამოაქვეყნა, რადგან კავკასიის სამხედრო შტაბმა ის პოლიტიკურად მიზანშეუწონლად ჩათვალა[9].

კახეთის აჯანყების მოთავეების სასტიკად გაუსწორდნენ. ნაწილი საქართველოდან გაასახლეს, ნაწილს ჯარისკაცობა მიუსაჯეს საქართველოს გარეთ, ბევრი სიკვდილით დასაჯეს. განსაკუთრებული იყო აჯანყების მონაწილე ორი ქართველი ქალის ბედი, რომლებიც სამუდამო მონაზენებად გაგზავნეს კურსკის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში. ესენი იყვნენ ეკატერინე ჩოლოყაშვილი და გულქან ნოთალიშვილი[10].

1819 წელს აჯანყებულ იმერეთსა და რაჭაშიც დიდი იყო რუსული ჯარის მსხვერპლი ადგილობრივი მოსახლეობის რიცხვი. აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნილმა გენერალმა ველიამინოვმა მთავარმართებელ ერმოლოვისაგან დავალება მიიღო — სასტიკად გასწორებოდა აჯანყებულებს, მოესპო აჯანყებული სოფლები, ადგილზე ჩამოესრჩო ამბოხებულნი[11]. თუ რუსეთის სამხედრო ისტორიკოსი ი. პოტო ვერ მალავს, რომ რუსებმა ცეცხლს მისცეს რაჭა, დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს სოფლები, დაიატიმრეს აჯანყების 70 მოთავე[12]. რაჭის დამორჩილების შემდეგ, რუსთა 3200-იანი ჯარი გურიაში შეეიდა. ადამიანურთან ერთად, დიდი იყო მატერიალური დანაკარგი: გადაიწვა სახლები და ბალ-ეენახები. ამ ბარბაროსულ ქმედებებთან დაკავშირებით, თავად ერმოლოვი წერდა რუსეთის იმპერატორს: „ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავუგეთ, ბალები და ვენახები ძირფესვიანად ამოვაგდეთ. მოღალატენი მრავალი წლის შემდეგაც ეერ აღიდგენენ პირვანდელ მდგომარეობას"[13]. ეს სიტყვები იმ დოკუმენტშია, რომელსაც Записки Алексея Петровича Ермолова ეწოდება და მის ნამდვილობაში ეჭვს ეერ შეეიტანთ. აჯანყებულთა ნაწილი გადაასახლეს და რუსეთის ციხეებსა და კატორღებში დაიღუპა. ქართველი დემოგრაფების გამოანგარიშებით [შ. თეთვაძე, ა. თოთაძე, კ. ანთაძე და სხვ.] ანტირეჟიმული აჯანყებების დროს დაღუპულთა რიცხვი 60 ათასს აღემატებოდა, მაგრამ საქართველოს დემოგრაფიული დანაკარგები ამით არ შემოფარგლულა. ისეთი მძიმე სოციალური ფონი და ეკონომიკური შედეგები ჰქონდა ამ მოვლენებს, რომ მოსახლეობის დიდი რიცხვი კარგა ხანს ამ უსამართლობის მსხვერპლი ხდებოდა. ამასთან, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რუსეთის ადმინისტრაციის შიშით, სამშობლოს ტოვებდა, რამაც ქართველთა გენოფონდზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

ქართველთა დემოგრაფიულ დანაკარგს ზრდიდა ქართული მილიციის მონაწილეობა აღმოსავლურ ომებში. მაგ.: 1804 წელს ერევნის ექსპედიციაში 1020 ცხენოსანთა შორის 370 ქართველი მოხალისე იყო, თბილისიდან დამატებით გაიგზავნა 300 კაციანი რაზმი.

ფოთისთვის ბრძოლაში, 1828-1829 წლებში, გენერალ პესეს რაზმში 1500 კაციანი სამეგრელოს მილიცია მონაწილეობდა, ხოლო ბათუმისთვის ბრძოლაში 1315 გურული მილიციელი იყო[14]. დიდი იყო ქართველთა დემოგრაფიული დანაკარგები ყირიმის ომსა და 1877-1878 წლების ომებში. თურქეთთან ომის დროს, აღმოსავლეთის ფრონტზე, რუსეთს ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული წარმატებები, რაშიც საგრძნობი იყო ქართული ლაშქრის წვლილი. ქართველები ეწირებოდნენ რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობას.

რუსეთის ანტიქართული პოლიტიკა ათქმევინებდა დიდ ქართველ მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს 1865 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში – „ბლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ ასეთ მწვავე, იმ დროისათვის პროგრესულ და თამამ სიტყვებს: „ქართველი ხალხი დღითი დღე და უფრო მეტად იმსჭვალება თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით. მცირეოდენათაც არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ რუსეთის მთავრობას საქართველოში მეგობრები და კეთილის მსურველები არ ყავს, გარდა დიდი მთავრის კარის ერთი მუჭა კლევრეტებისა და ბობოლა მოხელეებისა“[45].

რუსი მოხელეების უსულგულობას აბრალებდა დიდი ილია ჭავჭავაძეც ქართველ ხალხში გაჩენილ ანტირუსულ განწყობილებას: „უეიცი მოხელეების მოქმედების შედეგი იყო ის, რომ რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აშენებულიყო სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილდღეობა და წარმატება“[16].

ამავე აზრს ახმიანებდა იაკობ გოგებაშვილიც: „საუბედუროდ, ის, რაც ჩვენმა ერმა XVIII საუკუნის დამლევს სასურველ ნაესადგურად მიიჩნია, დახავებული ჭაობი აღმოჩნდა, რომელშიაც ლამის ჩაიხრჩო“, – წერდა დიდი პედაგოგი. სამწუხაროდ, რუსი მოხელეების უსულგულო ქმედების სათავე საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიული სახელმწიფო პოლიტიკა იყო.

დემოგრაფიული დივერსიის გაძლიერება. ანტირეჟიმული აჯანყებებით დაწყებული ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთება, როგორც დავინახეთ, თანდათან იზრდებოდა. ცარიზმმა მას აგრესიული დემოგრაფიული პოლიტიკა დაუპირისპირა. ქართველი ერის კონსოლიდაციას ხელი უნდა შეშლოდა ქვეყნის ეთნიკური აჭრელებით, ეროვნებათა ურთიერთდაპირისპირებით, ქართველი ერის ასიმილაციითა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის რუსული მეთოდებით. დემოგრაფიული დივერსია საქართველოს წინააღმდეგ XIX საუკუნის დასაწყისშივე განხორციელდა. გენერალმა ტორმასოვმა სამცხე-ჯავახეთიდან 1807-1808 წლებში 1500 ქართული ოჯახის გასახლება ბრძანა[17]. მან შეამცირა ამ მხარეში ქრისტიან ქართველთა რიცხვი. მას შემდეგ, რაც ახალქალაქთან გენერალი გუდოვიჩი დამარცხდა, ტორმასოვმა აყარა ქართული სოფლის – კოთელიის მკვიდრი მოსახლეობა, ზოგი ბორჩალოში, ზოგი დიდ ლილოსა და ლორეში გადაასახლა. ლორეში ჩასახლებული 500 სული ქართველი, შოთა ლომსაძის ცნობით, შემდგომში აქ სომეხთა კომპაქტურად ჩამოსახლების გამო, ჯერ გაგრიგორიანდა, შემდეგ კი სრულიად გასომხდა[18]. სომეხთა ჩასახლებას და ქართული ელემენტის გახლეჩას რუსეთი მთელ XIX საუკუნეში წარმატებით აგრძელებდა და ამის საუკეთესო მაგალითია 1828-1829 წლები. ახალციხის აღებას, რუსი სამხედრო ისტორიკოსის, პოტოს ცნობით, უამრავი ქართველი შეეწირა. ქართველი მაჰმადიანები დაუნდობლად იქნენ გაუსტეტილნი; ხანძარში ჩაინთქა ახალციხე. რუსმა მეომრებმა მარტო ერთ მეჩეთში შეფარებული 400 კაცი ამოწვეს. არზრუმიდან შემოსულ ჯარს მოჰყვა შავი ჭირი, რამაც, შიმშილთან ერთად, მუსრი გააელო მოსახლეობას. ქალაქის ქუჩებში 3000 ახალციხელის გვამი აკრიფეს. ამის შემდეგ, ცარიზმმა მაჰმადიანი ქართველები არასანდოდ მიიჩნია, ისინი ოსმალეთში გაასახლა, სანაცვლოდ კი, იქედან სომხები შემოასახლა. რუს გენერლებზე მეტად, ახალციხის ამბებში სომეხი დიდებულები აქტიურობდნენ. რუსებისაგან ახლად დაკავებული ახალციხის მმართველად დანიშნულ ვასილ ბებუთოვს მიწერ-მოწერა ჰქონდა ეჩმიაძინისა და არზრუმის სომეხ ეპისკოპოსებთან, პასკევიჩთან შეთანხმებით, რომელმაც უფლება მისცა ქართველ ბეგებს მამულებისა და ქონების გაყიდვისა, ბებუთოვმა ეს ქონება არზრუმელ და ეჩმიაძინელ სომხებს შეაძენინა. იქ მცხოვრები ქართველები თურქეთში გაასახლეს[19].

უცხო ეთნოსის შემოსახლებამ მოსპო ქართული მეურნეობის ტრადიციული ფორმები, ბაქან-ტერასების სისტემა. რუსულმა მმართველობამ ეს მხარე ეთნიკურად და რელიგიური ნიშნით ააჭრელა[20].

როდესაც გადმოსახლებული სომხების დიდი ტალღის დაბინავება გაჭირდა, უბრალოდ, გამაჰმადიანებული ახალციხელები აიძულეს, შეეფარებინათ სომხური ოჯახები, რომლებმაც შემდეგ ადგილობრივები ისე შეაიწროვეს, იძულებული გახადეს საკუთარი სახლები მიეტოვებინათ და სხვაგან გადასახლებულიყვნენ (ან იმერეთში, ან თურქეთში). როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, სომეხი მღვდელთმთავარი კარაპეტა გენერალ პასკევიჩს კარნახობდა: „ადგილობრივი რამდენიმე ოჯახი ერთად შეუშვით, გამოთავისუფლებულ სახლებში კი სომხები ჩაასახლეთო"[21]. ამ თავხედური თხოვნის განხორციელება, რაც ალბათ, შესრულდა კიდეც, ქართველ მაჰმადიანთა აყრას, ათწლეულობით ნაჯაფარი და ნაგროვები ქონებისა და სახლ-კარის დაკარგვას ნიშნავდა. ამავე საარქივო მასალების ცნობით, სოფელ ბარალეთის მოსახლეობა ისე შეუვიწროვებიათ რუსების მიერ ჩამოსახლებულ სომხებს, რომ თვით ითხოვდნენ გადასახლებას.

მაშინ, როდესაც თურქეთიდან ჩამოყვანილ სომხებსა და ბერძნებს უსიტყვოდ აძლევდნენ საცხოვრებელს, ამას არ აკეთებდნენ ქართველების მიმართ. რუსულ სამხედრო ხელისუფლებას რამდენჯერმე თხოვნით მიმართეს ქართველმა მაჰმადიანებმა, გაქრისტიანების პირობაც დადეს, ოღონდ მამულები შეენარჩუნებინათ. სხვა შემთხვევაში, აქედან აყრილმა და საქართველოს სხვა კუთხეებში გადასახლებულმა მესხმა თავადებმა – ქრისტიანმა ციციშვილებმა, აღალიშვილებმა, მუსხელიშვილებმა და სხვებმა – მთავრობას წარუდგინეს ქართველ მეფეთა წყალობის სიგელები და მამა-პაპეული მიწები ითხოვეს. ორივე შემთხვევაში, ქართველებმა უარი მიიღეს. აქედან ნათელი იყო, რომ რუსეთი ამ რეგიონში, ანტიქართულ, მკვეთრად გამოკვეთილ პროსომხურ პოლიტიკას აწარმოებდა. დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ქართველების მიმართ გატარებული პოლიტიკის მიზეზად მათდამი ხელისუფლების უნდობლობას მიიჩნევდა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დემოგრაფიული სურათის ხელოვნურ დამახინჯებაში რუსეთს სდებდა ბრალს. მისი აზრით, თუ აქამდე მოსახლეობის 95% ამ რეგიონში ქართველობა იყო, 1832 წელს უმრავლესობა სომხები გახდნენ[22]. შოთა ლომსაძის მონაცემებით, 60 ათასი ქართველი მაჰმადიანი დაიღუპა და გასახლებული იქნა ამ პერიოდში სამცხე-ჯავახეთიდან. რუსეთის ამ პოლიტიკას პაველ ინგოროყვა ასე ახასიათებდა: „რუსეთის პოლიტიკა აშკარად იყო მიმართული იქითკენ, რომ საქართველოს ტერიტორია, ყველაზე კომპაქტურად და ეროვნულად ერთგვაროვანი ერთეული ამიერკავკასიის სამფლობელოებში, ეთნოგრაფიულად აეჭრელებინათ და ამით გამოეწვიათ დასუსტება ქართველობისა, როგორც ყველაზე კულტურული და სახელმწიფოებრივი ერისა კავკასიაში"[23].

ასეთივე დემოგრაფიული პროცესები თვალში საცემი იყო ლორეში. 1827-1829 წლებში ლორეში ოსმალეთიდან 100 ათასი, სპარსეთიდან კი – 30 ათასი სული სომეხი გადმოუსახლებიათ, რის შემდეგაც გაჩნდა აქ სომეხთა კომპაქტური დასახლება[24]. მსგავსი ჩამოსახლებები სომხებისა, მოხდა 1854-1856, 1876-1879 წლებში. 1897-1902 წლებში საქართველოში დაახლოებით 55 ათასი სული სომეხი შემოვიდა, მარტო თბილისელ სომეხთა რიცხვი 46700-დან 127 ათას სულამდე გაიზარდა, საიდანაც 66800 ახალმოსული იყო. ამიტომ აღიზიანებდა ქართულ საზოგადოებას სომეხთა ტერიტორიული პრეტენზიები XX საუკუნის დასაწყისში ამ რეგიონის მიმართ, რადგან იგი არც ისტორიულ, არც სამართლებრივ საფუძველს არ ემყარებოდა. სომეხთა ჩამოსახლება საქართველოში, როგორც სწორად შენიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, არ მომხდარა მარტო თურქთა აგრესიისაგან მათი გამორიდების მიზნით, არამედ ეს იყო შორსმიმავალი პოლიტიკური მიზნები, რასაც რუსეთის იმპერიული წრეები, სომეხ ზედაფენასთან კავშირში და მისი თხოვნით, ახორციელდება. პრორუსული სომხეთი ყოველთვის (მათ შორის, დღესაც) აწყობდა და აწყობს რუსეთის მმართველ ელიტას. ეს გამოვლინდა 1904-1906 წლებშიც, როდესაც სომხებმა რეგიონული ნიშნით მოითხოვეს

ერობების შექმნა, რაც მათ დაკავებული ტერიტორიების დაკანონებას და სასურველი ტერიტორიული ერთობის ჩამოყალიბებას გაუადვილებდა[25].

თუ როგორ იყენებდა სომხებსა და საქართველოში მათ მსგავსად შემოსახლებულ და გაძლიერებულ ეთნიკურ უმცირესობებს რუსეთი, კარგად ჩანს გენერალ რტიშჩევის წერილიდან ალექსანდრე პირველისადმი, სადაც სომხები დახასიათებულნი არიან, როგორც რუსეთის მოკავშირე, ქართველები კი — რუსთა მტერი ერი; ნათქვამია, თუ როგორ ებრძოდნენ, ასმენდნენ, კლავდნენ სომხები აჯანყებულ ქართველებს[26]. ეს წერილი დასტურია, როგორ დივერსიულ დავალებებს აძლევდნენ რუსეთის ხელისუფალნი ქართველების წინააღმდეგ საქართველოს არაქართულ მოსახლეობას, რომ არა ქართული შემწყნარებლობა (ხასიათი), ეთნიკური შეტაკებები შეიძლებოდა მომხდარიყო ჩვენს ქვეყანაშიც, როგორც ეს ხდებოდა რუსეთისაგან ინსპირირებულ სომეხ-მაჰმადიანთა შორის.

რუსეთი მიმართავდა ხელოვნურ მიგრაციებს. ეახტანგ ჯაოშვილის გამოანგარიშებით, ხელოვნური მიგრაციით სომხური მოსახლეობის ზრდა XIX საუკუნეში საქართველოში 79% იყო, მაშინ, როდესაც ქართული მოსახლეობა 9%-ით გაიზარდა[27]. იგივე აზრს ავითარებენ მეცნიერები ანზორ თოთაძე[28] და კოტე ანთაძე[29].

რუსეთის დემოგრაფიული დივერსია ვლინდებოდა ქართული მოსახლეობის, ეთნიკური ქართველების დაშლა-დანაწევრებაშიც. შუასაუკუნეებში გაღვივებულ პარტიკულარიზმს ცარიზმი კიდევ უფრო ამძაფრებდა და ხელს უწყობდა. იგი ცალკე პეოფდა სვანურ, მეგრულ, ქართულ მოსახლეობას, მათ ენებს, ცდილობდა ტომობრივ-კუთხური კუთვნილების მიხედვით დაეყო მოსახლეობა. 1886 წლის რუსული ოფიციალური სტატისტიკით საქართველოს ფარგლებში მცხოვრები ქართული მოსახლეობა — 1188 ათას 400 სული — ასე იყო დაქუცმაცებული: ქართველები (თბილისის გუბერნიაში) 31,72%, თუშები — 0,47%, ფშაველები — 0,78%, ხევსურები — 0,56%, მთიულები — 0,19%, იმერლები (ქუთაისის გუბერნიის მკვიდრნი) — 35,59%, მეგრელები — 17,97, გურულები — 6,40, აჭარლები — 2,92, სვანები — 1,26, სამურზაყანოელები — 2,14%.

ქართველი პატრიოტები ამხელდნენ რუსეთის ამგვარ პოლიტიკას, მათ მისწრაფებას, ჩაეთვალათ ჩვენი ერი თემების დონეზე მცხოვრებ პირველყოფილ ხალხად[30].

ქართველთა ამგვარი დანაწევრების გარდა, ხდებოდა ქართველთა ჩაწერა სომხებად, თათრებად თუ თურქებად სტატისტიკურ ცხრილებში — რელიგიური ნიშნით. არადა, რელიგიური კუთვნილება, ხშირად ძალით ეძლეოდა ან ერთმეოდა ქართველობას. სამცხე-ჯავახეთში ქართველ კათოლიკეებს სომხურ ენაზე უნდა ესმინათ წირვა-ლოცვა, რაც მათ ეთნიკურ გადაგვარებას იწვევდა. ხდებოდა ასევე მოსახლეობის გაგრიგორიანელება სხვადასხვა მიზეზით, რის გამოც აღწერებში ქართველთა რიცხვი ხელოვნურად მცირდებოდა. ასე მაგალითად: 1894 წლის აღწერით, ქართველები სამცხე-ჯავახეთში 4,1%-ით შემცირდნენ, რაც მხოლოდ იმის შედეგი იყო, რომ ისინი სხვა ეროვნების კუთვნილებად გამოაცხადეს. ე. ი. ქართველთა რიცხვის შემცირება ამ რეგიონში მთლიანად ხელოვნური პროცესი იყო. სომხური ენის დაწესების გამო, ქაროული კათოლიკური ეკლესიები სომხურად გამოცხადდნენ, რასაც ამაოდ შეებრძოლნენ ქართველი მამულიშვილები — მიხეილ თამარაშვილი და იეანე გვარამაძე[31].

სომხურ ექსპანსიას და მის პოლიტიკურ მიზნებს ქართველი მოწინავე საზოგადოება ყოველთვის უარყოფითად აღიქვამდა. განსაკუთრებით გათამამდა სომეხი ინტელიგენცია რუსეთის მფარველობითა და ხელშეწყობით. სომეხთა პრეტენზიები შეეხო საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალს, ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, რამაც დააწერინა დიდ ქართველ მწერალს, ილია ჭავჭავაძეს „ქვათა ღაღადი", რომლის ყველა სტრიქონი დღესაც აქტუალურია და მტკივნეული. სომხების მიერ თბილისის მოსახლეობის ხელოვნურ შეესებაზე წერდა ფრანგი დიპლომატი გამბა — 1820-იან წლებში; რუსი ავტორი

– ანადპაევი 1900-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომში – „ამიერკავკასიის ცხოვრების ნარკვევები", კეთილსინდისიერად აღწერდა სომეხთა დემოგრაფიული და ეკონომიკური ექსპანსიის უკანონობას საქართველოში, ლაპარაკობდა ქართველებისაგან მევახშეობით, მოტყუებით წართმეულ ქონებაზე, სახლებსა და მიწებზე, ქართველების ძალით გაგრიგორიანელებაზე[32].

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მოხდა სომხების დიდი ნამოსახლება შავიზღვისპირეთში. ამ პროცესს აღწერს ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც კიდევ ერთხელ სცადა აეხსნა ჩვენში სომხური კოლონიზაციის უკანონობა და მათი პოლიტიკური პრეტენზიების უსაფუძვლობა.

გარდა სომხებისა, საქართველოში აქტიურად მიმდინარეობდა ოსების, რუსების, აზერბაიჯანელებისა და სხვა ეროვნების ადამიანთა ჩამოსახლება. თავდაპირველად რუსეთი აქ პოლიტიკურ დამნაშავეებს, არასანდო ელემენტებს, მისთვის საშიშ რელიგიურ სექტებს ასახლებდა. ასე მოხვდნენ საქართველოში დუხობორები, სკოპცები, გერმანელები და სხვები. იქმნებოდა რუსული სამხედრო სოფლები, რამაც, მართალია ვერ გაამართლა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება მაინც ცდილობდა რუსული და გარუსებული მცირე ეთნიკური ჯგუფების ჩამოსახლებას საქართველოში, ისეთი ტიპის ადმინისტრაციულ მოწყობას, როდესაც ქართველები და სხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ერთმანეთში აირეოდნენ, დაკარგავდნენ ეროვნულ სახეს და ნიშანს.

1861 წელს კავკასიის მეფისნაცვალი ბარიატინსკი წერდა: „უნდა გავათავისუფლოთ კავკასიის ზეგანი მოსახლეობისაგან და ამ მშვენიერ და ნაყოფიერ ადგილებში უნდა შევქმნათ ყაზაკთა დასახლებები". ამ აზრს ის იმეორებდა კავკასიის ომის დამოავრების შემდეგაც, იმპერატორ ალექსანდრე II-ისადმი გაგზავნილ წერილში. რუსულ დოკუმენტებს, რომელიც მუსავჯირობას, რუსეთის ანტიჰუმანურ და კოლონიურ პოლიტიკას ეხება, მრავალად იყენებს აფხაზი ისტორიკოსი გ. ძიძარია, თუმცა დღევანდელი აფხაზური ისტორიოგრაფია, ამ დოკუმენტთა სწორი ანალიზის ნაცვლად, აფხაზეთში შექმნილ დემოგრაფიულ პრობლემებს ისევ ქართველებს აბრალებს და გული კვლავ იმ რუსეთისაკენ მიუწევს, რომელთა წინაპრები და მემკვიდრენიც ამ მიწა-წყალს სათავისოდ მიიჩნევენ, აფხაზთა ასიმილაციას ახდენენ და საბოლოოდ მის გარუსებას უწყობენ ხელს[33]. თურქეთმა და რუსეთმა, ამ დროს სათავისოდ საჭირო ალიანსი გამოძებნეს: თურქეთი საქართველოდან გაყვანილი მაჰმადიანებით ასახლებდა თავისი იმპერიის ცარიელ და ნაკლებად მისადგომ ადგილებს, რუსეთი კი გადასახლებულთა ადგილზე, საკუთარი შეხედულებით განათავსებდა მოსახლეობას. შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის აუცილებლობაში, ბარიატინსკამდე პასკევიჩი არწმუნებდა ნიკოლოზ I-ს. XIX საუკუნის II ნახევარში, აპრილი მაჰმადიანი აფხაზების ნაცვლად ნასახლებული რუსებისა და გარუსებული მოსახლეობისაგან აქ შეიქმნა სოფლები: ბაკლანა, პეტროპავლოვსკოე, მიხაილოვსკოე, ესტონსკოე, პოლტავსკოე, ჩერნოგოვსკოე, ეკატერინოვკა, პილენკოვო, პერეინკა, მოლდავანკა, ვისოკაია და სხვა. აქ ნამოყვანილი მოსახლეობა, ქართველებთან ერთად უნდა გარუსებულიყო, ასეთი იყო რუსული დემოგრაფიული კოლონიური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის აპოლოგეტი აფხაზი ისტორიკოსები მალავენ იმ ფაქტსაც, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული დემოგრაფიული ექსპანსიის მიუხედავად, XIX საუკუნის ბოლოს ქართველები და ქართულ ენაზე მოსაუბრე აფხაზები მაინც სჭარბობდნენ რუსულენოვან მოსახლეობას. ასე მაგალითად: სოხუმის თვითმმართველობის არჩევნებში 1896 წელს არსებული 26 ხმოსნიდან 19 ქართველი იყო, 4 ბერძენი და რუსი მხოლოდ 3. შოკინისტმა რუსებმა იერიში მიიტანეს ქართველებზე. ერთ-ერთი მათგანი, ვინმე რიბინსკი, პირდაპირ აცხადებდა, რომ მეგრელები უნდა გაეყარათ აფხაზეთიდან. ამის შემდეგ ქართველებს აფხაზეთში დასახლებას უკრძალავდნენ. ამის შესახებ წერდა ჟურნალ „მოამბეში" ცნობილი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია[34].

აფხაზეთიდან თურქეთში გასახლებულთა შორის ბევრი ქართველი ერია. ამ ფაქტს ადასტურებდა 1877 წელს გაზეთ „კავკაზ"-ში ა. ეედინსკი[35].

რუსეთი მხარს უჭერდა და აქეზებდა აფხაზურ სეპარატიზმს XIX საუკუნიდანვე; რუსეთის დემოგრაფიული დიეერსია ამ რეგიონში იმითაც გამოხატა, რომ მათ სამურზაყანო, რომლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრაველესობა ქართული იყო, აფხაზეთს მიაწერეს, მოსახლეობა კი აფხაზებად ჩაწერეს. აფხაზეთში მიმდინარე დემოგრაფიულ მოვლენებს არასწორად აშუქებდნენ როგორც აფხაზი ისტორიკოსები – შ. ინალიფა, ს. ლაკობა, ბ. აშუბა, და სხეები, ასევე მათი თანამოაზრე რუსი მეცნიერები. ზოგიერთი მათგანის, კერძოდ, პ. ფლორენსკის, ტ. შუტოეას და მათი თანამოაზრეების თვალსაზრისს აკრიტიკებს მეცნიერი ანზორ თოთაძე[36]. მის მიერ მოტანილი ცხრილის მიხედვით, აფხაზთა და ქართველთა თანაფარდობა ასეთი იყო აფხაზეთში 1886-1939 წლებში: 1886 წელს – ქართველი – 34806; აფხაზი – 28320; 1897 წელს: ქართველი – 44882; აფხაზი – 39600; ქართული მოსახლეობის მატება, თოთაძის აზრით, ბუნებრივი იყო. რაც განაპირობა მუჰაჯირობის დროს სამურზაყანოს ტერიტორიაზე სიმშეიდემ, აფხაზთა ნელი მატება კი მუჰაჯირობის დროს დარღვეული ღემოგრაფიული ბალანსის შედეგი იყო.

ოსური სეპარატიზმის სათავეებთან. საქართველოს ბუნებრივი საზღვარი ყოველთვის იყო კავკასიონი, საზღვრის მიღმიდან ხდებოდა როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური მიგრაციები, მაგრამ ეს პროცესი ქართულ სახელმწიფოს ეერაფერს ვნებდა, პირიქით, ხდებოდა მიგრირებულთა ადაპტაცია ქართულ სამყაროში, მათი კულტურული გასთავსება ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ოსები, მისი აღწერის დროს, საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთში, მთიან სოფლებში ცხოერობდნენ, სადაც ადრე ქართველები ესახლენ, მაგრამ მათ ბარში გადაინაცელეს[37].

მკვლეეარ ზ. ქირიას აზრით, ნატურალური მეურნეობის პირობებში, მიგრაცია ნელა მიმდინარეობდა და XIX საუკუნის დამდეგს საქართველოს თითქმის ყველა პროეინციაში ადგილობრივი მოსახლეობა ჭარბობდა მოსულს[38]. საქართველოს სამეურნეო თუ სულიერი კულტურა ისეთ მაღალ დონეზე იყო, რომ შედარებით დაბლა მდგომი მიგრირებული მოსახლეობა მას საფრთხეს ეერ შეუქმნიდა. ასეთი საფრთხე მხოლოდ რუსეთმა შექმნა, როდესაც, როგორც სპეციალური კანონებით, ასევე სახელმწიფოებრივი ღონისძიებებით, ხელი შეუწყო ჩრდილო კაეკასიის პრორუსული ოსების გადმოსახლებას ქართლში და მათ ხელოვნურ მიბმას ქართლის მთიანეთში მცხოერებ ოსებზე, ხელოვნურად გააფართოეა მათი დასახლების არე, გაზარდა მათი უფლებები, დაამკვიდრა „სამხრეთ ოსეთის" ცნება, მაშინ, როდესაც არ არსებობდა ჩრდილოეთ ოსეთი, მოახდინა ქართლის დენაციონალიზაცია და XIX საუკუნეშიეე ჩაუყარა საფუძველი ოსურ სეპარატიზმს. აქეთკენ მიმართულ რამდენიმე მომენტს დავასახელებ: 1. 1842 წელს ცალკე შეიქმნა ოსეთის ოკრუგი, მაშინ, როდესაც აქაური მოსახლეობა მანამადე გორის მაზრაში იყო გაერთიანებული; მოხდა მათი გამიჯვნა ქართული სამყაროდან. 2. ხიზანთა კანონით მოხდა საქართველოში შემოსული ოსი ეროვნების ხიზნებისათვის მიტაცებული, უკანონოდ დაკავებული მიწების და ქონების დაკანონება. 3. მთავრობის 1905 წლის კანონით, „გადმოსახლებულთა შესახებ" – საქართველოში თავისუფლად გადმოსახლების უფლება მიეცათ ჩრდილოკავკასიელ ოსებს. დემოგრაფიული ცხრილები მოწმობენ, ოსთა ხელოვნურ მიგრაციებს. ასე მაგალითად: თუ 1860 წელს საკუთრივ ოსეთში 47 ათასი ოსი ცხოერობდა, საქართველოში კი –19 ათასი, 1880 წელს ეს ციფრები ასე განაწილდა: ოსეთში ოსთა რიცხვი 59 ათასი გახდა, საქართველოში – 52 ათასი[39]. ქართველი დემოგრაფები სამართლიანად ეჭვობენ მოსახლეობის ზრდის ამგვარი ტემპის ხელოვნურობას და მას ხიზანი გლეხობის ინსტიტუტის შექმნას უკავშირებენ. 1873-1886 წლების ქართული პრესა ოსური მიგრაციის მაგალითებითაა სავსე. ამავე პერიოდის მასალებით 1865-1872 წლებში ქართლის რეგიონში გაჩნდა ახალი ოსური

სოფლები. ამ დროს ოსები თითქმის არ სახლებულან ცხინვალის საბოქაულოს ბარის სოფლებში. არც XIX და არც XX საუკუნის პირველ ორ ათწლეულში ოსებს არ უცხოვრიათ ცხინვალში.

ამრიგად, XIX–XX საუკუნეებში რუსეთის დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში აგრესიულთან ერთად, დივერსიულიც იყო. მან დაარღვია ქართული სახელმწიფოს ტრადიციული დამოკიდებულება ქვეყანაში მცხოვრები არაქართველებისადმი, შექმნა მათი კომპაქტური დასახლებები ქართველთა გასახლების ხარჯზე, ეთნიკურ უმცირესობებს გაუღვივა სეპარატისტული მისწრაფებები, რაც დღემდე გრძელდება.

ამასთანავე, რუსეთის იმპერიულმა წრეებმა საქართველოს მიმართ, ქართველი ხალხისაგან ფარულად, ისეთი დემოგრაფიული პროექტები განახორციელეს, რაც მომავალში ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და სრულყოფილ არსებობას ხელს შეუშლიდა.

ბევრი ქართველი შეეწირა რუსეთის აღმოსავლურ ომებს, ანტირეციმულ აჯანყებებს, ორ მსოფლიო ომსა და პოლიტიკურ რეპრესიებს. მცირერიცხოვანი ერისთვის ეს დიდ დემოგრაფიულ დანაკარგს იწვევდა და მისი სრულყოფილი რეგენერაციის უნარს აქვეითებდა. ისტორიული მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსეთის დემოგრაფიული პოლიტიკა ყველაზე მკაცრი იყო საქართველოს, როგორც კავკასიის ცენტრალური ქვეყნის მიმართ. სპეციალურად შექმნილი „გადასახლებულთა კომიტეტები" ხელმძღვანელობდნენ საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების ადამიანთა დასახლებას, სახელმწიფო მათ ფულით ეხმარებოდა, ქართველ უმიწო გლეხებს კი ამის საშუალებას არ აძლევდა.

---

1. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. II, Тиф., 1868, გვ. 44.
2. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. III, Тиф., გვ. 67-68.
3. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. II, Тиф., 1868, გვ. 44.
4. იქვე, გვ. 341.
5. იქვე.
6. იქვე, გვ. 311.
7. ვ. ტოგონიძე, „ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება 1804 წ.", თბ. 1951, გვ. 140.
8. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გვ. 43.
9. შ. თეთვაძე, ანტირეციმული აჯანყებები, რუსეთის აღმოსავლური ომები და საქართველოს დემოგრაფიული დანაკარგები XIX ს-ის პირველ ნახევარში; ჟურნალი „დემოგრაფია", 2000 წ. №1, გვ. 78-85.
10. ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 487.
11. აქტები... ტ. VI, с. 94.
12. И. Потто, Утверждение русского владычества на Кавказе, т. 11, Тифлис, 1901, გვ. 527.
13. Записки Алексея Петровича Ермолова, ч. 11, გვ. 112.
14. შ. ლეჟავა, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974, გვ. 11.
15. ნიკო ნიკოლაძე, თხს. ტ. 1, თბ., 1962, გვ. 173.
16. ილია ჭავჭავაძე, თხს. ტ. 4, თბ., 1928, გვ. 105-106.
17. აქტები... ტ. IV, გვ. 953.

18. შოთა ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 327.
19. შოთა თეთვაძე, სომხები საქართველოში, თბ., 1998, გვ. 21.
20. ლაერენტი ჯანიაშვილი, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნოისტორიული პრობლემები, თბ., 2006, გვ. 27.
21. სცსსა, ფ. 7, აღწ. 3, საქმე 5, ფ. 8-9.
22. იეანე ჯავახიშვილი, დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.), თბ., 1998, გვ. 9.
23. პაელე ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიული საზღვრების შესახებ, თბ., 1990, გვ. 34.
24. იეანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ტფ., 1919 წ. გვ. 31.
25. იეანე ჯავახიშვილი, დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.), თბ., 1998, გვ. 13.
26. აქტები... ტ. V, გვ. 222.
27. ე. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII სს.-ში, „მეცნიერება", თბ., 1984, გვ. 68-77.
28. ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბ., 1993, გვ. 225.
29. კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1973, გვ. 110.
30. იაკობ გოგებაშვილი, ქართველი ერის დაქუცმაცება, „საქართველოს კალენდარი", თბ., 1904, გვ. 246-254.
31. ეაჟა ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი, XIX-XX სს., დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1994, გვ. 38.
32. И. Канадпаев, Очерки Закавказской жизни, Баку, 1990 г., გვ. 66-67.
33. Г.А.Дзидзария, Мухаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1982 г.
34. ჟ. „მოამბე", 1896 წლის ოქტომბერი, გვ. 112-116.
35. Газ. „Кавказ", 3 ნოემბერი, 1877.
36. ა. თოთაძე, საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათწლეულების მიჯნაზე, თბ., 1998, გვ. 235-238.
37. ეახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, წიგნი: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 363-364.
38. ზ. ქირია, ოსთა საკითხი და ქართული სინამდვილე, 1921-1940 წლებში, თბ., 2003, გვ. 11.
39. ა. თოთაძე, საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათწლეულების მიჯნაზე, თბ., 1998, გვ. 77.

რუსული მმართველობის სისტემაში ჩადებული კოლონიურ-რუსიფიკატორული კოდი

მონარქიული რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ იმპერიის ამ განაპირა პროვინციაში მეტროპოლიის ხელისუფალთაგან შექმნილმა მართვა-გამგეობის სისტემამ გარდაქმნა-ევოლუციის სამი პერიოდი განვლო. ქრონოლოგიური ჩარჩოებია: 1) 1801-1842; 2) 1843-1883; 3) 1883-1917 წლები. სამივე პერიოდში მეტროპოლიის მიზანი იყო ქვეყნის კოლონიურ-ეკონომიკური ათვისება, მისი ბუნებრივი სიმდიდრისა და მეურნეობის თავის სამსახურში ჩაყენება, იმავდროულად კი ქართველი ხალხის რუსიფიკაცია. რამდენადმე იცვლებოდა მხოლოდ კოლონიურ-რუსიფიკატორული პოლიტიკის გარეგნული ფორმა და რეალიზაციის მეთოდი.

რუსული მმართველობის პირველი პერიოდი. საქართველოს მართვა-გამგეობისათვის აბსოლუტური მონარქიისაგან გამოგზავნილმა რუსმა მოხელეებმა, როგორც უკვე აღინიშნა, თითქმის მყისვე შეამჩნიეს, რომ ბაგრატიონი უფლისწულები სამეფო ტახტზე ნებაყოფლობით არ ამბობდნენ უარს, თავადაზნაურთა წოდება თავის პოლიტიკურ ძალა-გავლენაზე ხელს არ აიღებდა, ხოლო სამღვდელოება ერის სულიერ მეთაურობას არ დათმობდა. ისიც დაინახეს, რომ არც ქართველი გლეხი შეხვედრია მშვიდად ახლად მოვლენილ დამპყრობელს, აღსდგა საერთო ეროვნული თავისუფლებისა და პიროვნული ღირსების დაცვისათვის საბრძოლველად. ამიტომ რუსულმა ხელისუფლებამ თავიდანვე მიზნად დაისახა ქართველთა საერთო ეროვნული ფრონტის დაშლა, ბაგრატიონთა საგვარეულოს ხალხისაგან იზოლაცია, ყველა ოპოზიციურ ძალთა ან განადგურება, ან მორჩილებაში მოყვანა.

რუსეთის დიდმა მოხელეებმა და ოფიციალურმა ისტორიკოსებმა საქართველოს წარსულშიც გადაიხედეს. შეამჩნიეს, რომ თავადაზნაურობა და სამღვდელოება დიდ როლს ასრულებდა საქართველოს სამეფო-სამთავროთა მართვა-გამგეობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ზედაფენებს წარსული დიდების რაღაც ანალოგი (სუროგატი) რუსულ მართვა-გამგეობაში შესთავაზეს.

რუსეთის იმპერატორისაგან დამტკიცებული კანონმდებლობის შესაბამისად, 1802 წელს ქართლ-კახეთის უმაღლეს ხელისუფლად კავკასიაში განლაგებული რუსთა ჯარის სარდალი გამოცხადდა. იგი ჩააყენეს საოკუპაციო რეჟიმის სათავეში და მთავარმართებლის სტატუსით შეამკეს. მას დაუქვემდებარეს ე. წ. „საქართველოს უსენაესი მთავრობის“ ყველა დაწესებულება და მოხელე. ამ მთავრობის „ექსპედიციების“ აღმასრულებელი, სახაზინო საქმეთა, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა უფროსებად რუსი მოხელეები დასვეს, მათ მრჩევლებად ქართველი თავადები დანიშნეს. მაღალი წოდების ქართველები დაუშვეს პოლიციაში, აგრეთვე სამაზრო სასამართლოებში, სადაც სისხლის სამართლის საქმეები რუსული კოდექსის საფუძველზე, ხოლო სამოქალაქო სამართლის შედარებით უმნიშვნელო საქმეები ქართული დაწერილი სამართლის (ვახტანგ VI-ის კანონების) და ადათ-წესების შესაბამისად უნდა გარჩეულიყო[1].

„საქართველოს უზენაესი მთავრობა“, რომლის უფლებამოსილება ქართლ-კახეთზე ვრცელდებოდა (რუსული მოხელეების „აზრით“, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი სხვა ქვეყნები იყო და არა ქართული ტომებით დასახლებული), რა თქმა უნდა, ფიქცია იყო. ის არსებითად რუს მოხელეთა კრებულს წარმოადგენდა. ქართველ „მრჩეველებს“, „მსაჯულებსა“ და პოლიციელებს, მართალია, მეტ-ნაკლები ხელფასი დაუნიშნეს, მაგრამ ამაყი თავადები ძნელად ეგუებოდნენ იმას, რომ კანონ-დებულებებით ნაგულისხმები კოლეგიალური რუსულ-ქართული მმართველობა პრაქტიკაში რუსული მმართველობა იყო. ყველა საქმეებს რუსი მთავარმმართველი, ექსპედიციათა უფროსები, აგრეთვე გორის, დუშეთის, ლორეს, თელავის და სიღნაღის მაზრების სათავეში ჩაყენებული კაპიტან-ისპრავნიკები განაგებდნენ. ქართველ მრჩეველ-მსაჯულთაგან მხოლოდ გარ-

�ინფორმაციას ღებულობდნენ. ამ თავისებურ პენსიონერებს გასამრჯელოს იმისათვის აძლევდნენ, რომ რუსი უფროსების თვითნებობა-განუკითხაობისათვის ხელი არ შეეშალაო[2].

1810 წელს რუსეთმა იარაღით დაიპყრო იმერეთი და რაჭა, გააუქმა მეფობა, დაამყარა საოკუპაციო რეჟიმი და უწოდა იმერეთის დროებითი მმართველობა. მას საკანონმდებლო ბაზა არც ჰქონია. ქვეყანას განაგებდა იმერეთის მმართველი, მისდამი დაქვემდებარებულ მოხელეთა ჯგუფი. რუსი ხელისუფალნი აქაც იყენებდნენ თავადაზნაურთა წარმომადგენლებს ზოგიერთი საკითხების გარკვევა-გადაწყვეტის საქმეში, მაგრამ იმერეთის მაღალი წოდება ქართლ-კახეთის თავადაზნაურობაზე გაცილებით უფრო მეტად შეაეიწროეს. რუსეთმა დაიქვემდებარა სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები, თუმცა დადიანს, გურიელსა და შერვაშიძეს ფორმალურად შეუნარჩუნა მთავრის სტატუსი და ფრიად შეკვეცილი შინაგანი თვითმმართველობა. მოგვიანებით ასევე გადაწყვიტა რუსეთმა სვანეთის საკითხი.

საქართველოში შემოღებული მმართველობა, მიუხედავად იმისა, რომ მასში რაღაც ადგილი დაუთმეს ადგილობრივი მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენლებს, უცხო, გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხის 99 პროცენტისათვის. რუსეთის მთავრობას, მის მიერ გამოგზავნილ მოხელეებს არაეითარი სურვილი არ გააჩნდათ რაიმე ანგარიში გაეწიათ ქართველი ერის კულტურის, ზნე-ჩვეულებისა და ყოფითი თავისებურებისათვის. ახლადმოყვანილი მმართველები და მცირე მოხელეებიც კი ზემოდან დასცქეროდნენ დაპყრობილ-დაქვემდებარებულ ხალხს და მისი ქვეყნის ღირებულებას მხოლოდ საკუთარი ინტერესების პრიზმაში ხედავდნენ. რუსეთთან კავშირის მოიმედე ძალებმა 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული ავტონომიური სახელმწიფოებრიობა ვერ შეინარჩუნეს. მფარველის სახით შემოსულმა იმპერიამ არაფრად ჩააგდო საერთაშორისო სამართალი და ორმხრივი ხელშეკრულება ცალმხრივად დაარღვია. ქართველი ერი რუსეთის აბსოლუტური მონარქიის მიერ შექმნილ „ხალხთა საპყრობილეში" აღმოჩნდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ქართველი ხალხის ანტირუსულმა მოძრაობამ უკვე 1802 წელს მიიღო ფართო მასშტაბი. კელმენჩურის მიდამოებში შეკრებილმა 40 ათასიანმა ყრილობამ პროტესტი გამოთქვა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო და რუსეთის იმპერატორს გეორგიევსკის ტრაქტატის განახლება და იულონ ერეკლეს ძის ქართლ-კახეთის მეფედ აღიარება მოსთხოვა. რუსულმა ხელისუფლებამ საპროტესტო ყრილობა იარაღის გამოყენებით დაარბია, მაგრამ მთავარმმართველმა ციციანოვმა იმპერატორს ურჩია მცირე დათმობაზე წასვლაც. ციციანოვმა, 1785 წლის რუსული დებულების გათვალისწინებით, შეადგინა საქართველოს (ქართლ-კახეთის) თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობის წესდება, რომელიც იმპერატორმა 1803 წელს დაამტკიცა. ამ წესდების მიხედვით თავადაზნაურობა ირჩევდა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლებს (მარშლებს). აგრეთვე სათავადაზნაურო საკრებულოს დეპუტატებს. მათ მოვალეობას შეადგენდა მაღალი წოდების პირთა ყოფა-ცხოვრების მეთვალყურეობა; მემამულეთა შორის აღმოცენებული საადგილმამულო დავების გარჩევა-გადაწყვეტა, მთავრობასა და ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა შორის შუამავლის როლის შესრულება, წოდებისათვის დიდმნიშვნელოვან ეკონომიკურ-სოციალურ საკითხებზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა. რაც მთავარი იყო, წოდებრივ თვითმმართველობას დაეკალა რუსეთის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის დახმარების გაწევა შიდაგადასახადების გაწერა-აკრეფასა და ჯარისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის იაფად შესყიდვაში. წოდებრივი თვითმმართველობის, როგორც თავადაზნაურთა წინამძღოლების, ისე, საკრებულოს დეპუტატთა ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად გადაიქცა რუსული ხელისუფლების ქართველი მოხელეების (მრჩეველების და მსაჯულების) არჩევა.

ქართველი თავადაზნაურობა ფიქრობდა, რომ სულ არარაობას შეხლეულ-ული წოდებრივი თვითმმართველობაც კი სჯობდა, უფრთხილდებოდა მას და იმა-საც კი ცდილობდა, რომ რუსეთის მთავრობა მეტ დათმობაზე წაეყვანა. ციცია-ნოვის მემკვიდრე მთავარმმართველები კი პირიქით, მიზნად ისახავდნენ კიდევ უფრო მიზერული გაეხადათ წოდებრივი თვითმმართველობის უფლება, მინიმუ-მამდე დაეყვანათ ქართველი თავადაზნაურობის როლი თავის ქვეყნის მართვა-გამგეობაში. გენერალი გუდოვიჩი (1806-1809 წწ.) რუსეთის უზენაეს მთავრობას შესჩიოდა, რომ აქაურ პოლიციაში ჩარიცხული ქართველი თავადაზნაურნი, კა-ნონების უცოდინარობის გამო, რეს კაპიტან-ისპრავნიკებს ვერ ეხმარებიანო. მი-სი წინადადების თანახმად, ადგილობრივ პოლიციაში რუსების რიცხვი გაიზარ-და, ქართველებისა კი შემცირდა. 1820 წელს სახაზინო საქმეთა ექსპედიციის უფროსმაც მოითხოვა ქართველი მრჩეველების ხარჯზე რუსი მოხელეების რაო-დენობის გაზრდა. თავადაზნაურთა წინამძღოლებმა კი განაცხადეს, რომ ქართვე-ლები მოწოდების სიმაღლეზე დგანან, ამიტომ ადგილობრივ რუსულ მმართვე-ლობაში ქართველი მოხელეების რიცხვი არ უნდა შემცირდეს. პირიქით, მიზან-შეწონილია მათი რაოდენობის გაზრდაო[3].

ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობა ზოგჯერ ყმა გლეხთა გამოსარჩლებასაც ბედავდა. უფრო თავგამოდებით კი ზედაფენების ინ-ტერესებს იცავდა. 1810 წელს წინამძღოლები და დეპუტატები რუსეთის მთავრო-ბას სთხოვდნენ უცხოეთში სხვადასხვა მიზნით გაქცეულ თავადაზნაურთა მემ-კვიდრეებს მამულებს ნუ ჩამოართმევო, ხელუხლებელი დატოვეთ ქართული მარ-თლმადიდებელი ეკლესიის მამულებიო. ამგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილე-ბა ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მთავრობის კოლონიალურ პოლიტიკას და იმპე-რატორის სატრაპები აგრძელებდნენ რეპრესიებს, თანაც ზრდიდნენ სახაზინო მიწის ფონდს ქართველი თავადაზნაურებისა და სამღვდელოების ხარჯზე. რო-გორც დავინახეთ, რუსული ხელისუფლება გლეხობასაც ავიწროვებდა, თანდა-თან მზარდი რაოდენობით აღებდა ღალა-გადასახადებსა და საგზაო-სატრან-სპორტო ბეგარას. ყოველივე ეს იყო იმის მიზეზი, რომ 1812 წლისა და 1819-1820 წლების ანტირუსული აჯანყებები საყოველთაო სახალხო ხასიათს ატარებდა. ასეთივე აჯანყებას გეგმავდნენ 1832 წლის შეთქმულნიც და მიზნად ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ისახავდნენ.

შექმნილმა სიტუაციამ მოითხოვა და მეტროპოლიის ხელისუფლებამ დასახა სამხრეთ კავკასიის საოკუპაციო რეჟიმისა და უხეირო მმართველობის კოლონიურ-რუსიფიკატორული პოლიტიკის ახალი ამოცანების შესაბამისად გარდაქმნა.

1801 წლის მმართველობის დებულებაში და საოკუპაციო რეჟიმის ფუნქციო-ნირების ფორმებში, მართალია, ადრეც შეჰქონდათ მცირე კორექტივები, მაგრამ უკეთესობას ხალხი ვერ ამჩნევდა. ჯერ საქართველოში და შემდეგ მთელ სამ-ხრეთ კავკასიაში შექმნილი რუსული მმართველობა უცხო, შემავიწროვებელი და ამდენად მიუღებელი აღმოჩნდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისათვის. თვით რუსი მოხელეები აღიარებდნენ ამას და მიაჩნდათ, რომ სახალხო აჯან-ყებების ძირითადი მიზეზი მართვა-გამგეობის მოუწყობლობა და მოხელეთა ძალა-დობა-ბოროტმოქმედება იყო. „მმართველობის გარეგნული კეთილმოწყობა — წერ-და მთავარმმართველი პასკევიჩი — ფარაეს შინაგან უწესრიგობას. დაწესებულე-ბები ყველგან დროებითია. საოცარი აღრევაა მმართველობის რუსული წესისა ქართულ და მუსლიმურ წესებთან. არაა ერთიანობა არც კანონებში, არც მმარ-თველობის ფორმებში და არც ფინანსებში". 1831 წელს პასკევიჩმა ნიკოლოზ პირველს წარუდგინა სამხრეთ კავკასიის მართვა-გამგეობის წმინდა რუსულ ყაი-დაზე გარდაქმნის პროექტი.

1833 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოსთან შეიქმნა კავკასიის კომიტეტი, რომელსაც დაევალა ამ მხარისათვის ერთიანი ადმინისტრაციული კანონ-დებუ-ლების მომზადება. 1837 წელს თბილისში ჩამოვიდა სპეციალური კომისია სენა-

ტორ განის მეთაურობით. მან მცირე კორექტივი შეიტანა პასკევიჩისეულ პროექტში და დასამტკიცებლად უზენაეს ინსტანციას გადასცა. 1840 წ. 10 აპრილს ეს პროექტი კანონად იქცა და მომდევნო წლის იანვარში ამოქმედდა. დაიწყო სამხრეთ კავკასიის ერთიანი ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბება. დებულება თითქოს ითვალისწინებდა საოკუპაციო რეჟიმიდან სამოქალაქო მმართველობაზე გადასელას, მაგრამ მხარის მთავარმმართველის პოსტი შეუთავსეს კავკასიაში მდგარი რუსეთის ჯარის სარდალს. კანონი მას აკისრებდა საშუამავლო ფუნქციას სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციასა და რუსეთის მთავრობის სამინისტროებს შორის. მთავარმმართველის ძირითად მოვალეობად, ფუნქციად გააზრებული იყო ამ განაპირა პროვინციის ადმინისტრაციული შერწყმა რუსეთთან, რასაც უნდა გავადვილებინა მხარის კოლონიურ-ეკონომიკური ათვისება და ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაცია.

1840 წლის კანონის შესაბამისად, სამხრეთ კავკასია გაიყო ორ ადმინისტრაციულ ერთეულად, ჩამოყალიბდა საქართველო-იმერეთის გუბერნია (რომელიც აერთიანებდა 11 მაზრას) და კასპიის ოლქი (7 მაზრა). შეიქმნა საოლქო და სამაზრო სამმართველოები — ე. ი. მხარეში იქმნებოდა სამსაფეხურიანი ინსტანცია: 1) მთავარი სამმართველო, რომელსაც განასახიერებდნენ მთავარმმართველი და მასთან არსებული საბჭო; 2) საგუბერნიო-საოლქო და 3) სამაზრო სამმართველოები.

სამხრეთ კავკასიის მთავარმმართველი თავის უფლებებით დაემსგავსა რუსეთის შიდა გუბერნიების გენერალ-გუბერნატორს, მაგრამ იმის გამო, რომ ქვეყანა სხვადასხვა ტომებით იყო დასახლებული, ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა და ხალხი ჯერ კიდევ არ იყო მოყვანილი სრულ მორჩილებაში, მთავარმმართველი რამდენადმე გადამეტებული უფლება-კომპეტენციით აღჭურვეს; მას შეეძლო გაეუქმებინა საგუბერნიო დაწესებულებათა დადგენილებანი, სხვაგვარი ბრძანება გაეცა, თავის შეხედულებისამებრ გადაეყენებინა თანამდებობებიდან არაკომპეტენტური და არასასურველი მოხელეები, რთული სიტუაციის შექმნის დროს არ დალოდებოდა ზემო ინსტანციებიდან მითითებებს და ყველა ზომა ეხმარა სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად. მთავარსამმართველოსთან არსებულ საბჭოს (რომლის წევრებს მთავარმმართებლის წარდგინებით იმპერატორი ნიშნავდა) ევალებოდა საგუბერნიო დაწესებულებათა მუშაობისათვის თვალყურის დევნება, ცენტრიდან მოსული კანონ-განკარგულებათა მხარეში გატარების დროს წარმოშობილი სიძნელე-გაუგებრობათა აღმოფხვრა.

საქართველო-იმერეთის გუბერნიის მმართველობას სათავეში თითქოს სამოქალაქო გუბერნატორი ჩაუყენეს, მაგრამ ამ თანამდებობაზე თითქმის ყოველთვის გენერალი ინიშნებოდა. გუბერნიაში შეიქმნა სახელმწიფო ქონებათა პალატა, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პალატა. საზოგადოებრივი მეურნეობის საგანგიო (ე. წ. „პრიკაზი"), საპროკურორო ნაწილი. იქვე მიუჩინეს ადგილი თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს.

რუსი დიდმოხელენი იმედოვნებდნენ, რომ ახლად შემოღებული „სამოქალაქო მმართველობა" კიდევ უფრო განამტკიცებდა რუსეთის ბატონობას მხარეში, კიდევ უფრო გაადიდებდა სახელმწიფო ხაზინის შემოსავალს. მმართველობის სისტემიდან ადგილობრივი ელემენტის გამოდევნა, მართლმსაჯულების სფეროდან ქართული, სომხური და მუსლიმანური სამართლის ამოღება, ადმინისტრაციისა და სასამართლოს საქმიანობაში რუსული კანონისა და რუსული ენის სრული გაბატონება გააადვილებდა მეტროპოლიის კოლონიალურ-რუსიფიკატორული პოლიტიკის რეალიზაციას, მაგრამ მისი დიდმოხელენი დარწმუნდნენ, რომ ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო სამხრეთ კავკასიის რუსეთის ორგანულ ნაწილად გადაქცევა.

მეფისნაცვალი კავკასიის მართვა-გამგეობის სათავეში. ნიკოლოზ პირველმა გადაწყვიტა კავკასიის განსაკუთრებული ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა, მისი მმართველობის საღაველების თავის ნაცვლისათვის გადაცემა. 1844 წელს მეფისნაცვლად კავკასიაში მიხეილ ვორონცოვი დაინიშნა. იგი წინა მთავარმმარ-

თეელებზე უფრო განათლებული, გამოცდილი და მოქნილი მმართველი იყო. მ. ვორონცოვმა ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილა ქართველი თავადაზნაურობის მოთხოვნილებანი. გარკვეული ადგილი დაუთმო მათ ადმინისტრაციასა და სასამართლოში. სამოქალაქო სამართლის სფეროში ერთხანს კიდევ დაუშვეს ქართული კანონები და ადათ-წესები. მ. ვორონცოვმა წოდებრივ საქმეთა თვითმმართველობის უფლება მისცა დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობასაც. მათზეც გავრცელდა ზემოაღნიშნული პრივილეგიები.

მ. ვორონცოვმა სამხრეთ კავკასია დაყო ხუთ გუბერნიად. ჩამოყალიბდა თბილისის, ქუთაისის, განჯის, ბაქოსა და ერევნის საგუბერნიო სამმართველოები. მეფისნაცვალი არაფერს ეკითხებოდა რუსეთის მინისტრებს, თავის შეხედულება-პრინციპებისამებრ განაგებდა მხარეს და თავის საქმიანობის ანგარიშს მხოლოდ იმპერატორს აბარებდა. მ. ვორონცოვი ავტონომიური მმართველი გახდა. სამხრეთ კავკასიამ მიიღო ადმინისტრაციული ავტონომიის სტატუსი. 1857 წელს მეფისნაცვლად დაინიშნა ფელდმარშალი ბარიატინსკი. მის დროს მთავარმმართველობა შედგებოდა საერთო საქმეთა, საფინანსო საქმეთა, სახელმწიფო ქონებისა და სასამართლო საქმეთა დეპარტამენტებისაგან. ამ თავისებურ სამინისტროებს გარდა, ცალკე დაწესებულებათა სახით ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობისა და კოლონისტთა საგანგებო სამმართველოები, საერობო ბეგარათა საგანგიო. 1859 წ. შეიქმნა საკონტროლო დეპარტამენტი, რომლის ძირითად ფუნქციას შეადგენდა მეფისნაცვლისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ფუნდადი ანგარიშების კონტროლი და რევიზია.

1862 წელს მეფისნაცვლად კავკასიაში მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი დაინიშნა. ეს ის დროა, როცა რუსეთის ახალი იმპერატორი, მეფე „გამათავისუფლებელი" ალექსანდრე მეორე დაჩქარებული ტემპით ატარებდა ლიბერალურ-ბურჟუაზიული შინაარსის რეფორმებს. მისი ექო კავკასიაშიც გაისმა და მეფისნაცვალმა თავის მოხელეთა ერთი ნაწილი სარეფორმო საქმიანობაში ჩაბა. ადრინდელი კანონები და მათ შორის 1840 წ. ადმინისტრაციული რეფორმის კანონ-დებულება კრიტიკის საგანი გახდა. მიზნად დაისახა მმართველობის სისტემის სრულყოფა.

1864 წლის მარტში მთავარ სამმართველოს უფროსმა ბარონმა ნიკოლაიმ მეფისნაცვალ მ. რომანოვს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი სამხრეთ კავკასიის სამოქალაქო დაწესებულებათა დაუყოვნებლივი, ერთდროული და საერთო რეორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ. დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთის მთავრობა 1801 წლიდან დღემდე მხარის მართვა-გამგეობის სფეროში იყენებდა ორ მეთოდს — მნიშვნელოვან პერიოდებში ახდენდა მმართველობის საერთო, სისტემურ გარდაქმნას, უფრო ხშირად კი მმართველობაში შეპქონდა არაარსებითი ცალკეული კორექტივები. პირველი მეთოდი გამოყენებულ იქნა 1801 და 1840 წლებში. ყველა სხვა შემთხვევაში, როცა მიმდინარეობდა ახალი ტერიტორიების დაპყრობა, ახალი გუბერნია-მაზრების შექმნა, პრაქტიკაში იყო ცალკეულ ცვლილებათა მეთოდი. ბარონი ნიკოლაი აღიარებს, რომ ასეთი მომენტალური ცვლილება-გარდაქმნები არ მომდინარეობდა მხარის ჭეშმარიტი საჭიროებიდან და მართვა-გამგეობას დაასვა უფრო მეტი უარყოფითი დადი, ვიდრე დადებითი და ამჟამად ვერ პასუხობდა დროის მოთხოვნილებას. ასეთი გარდაქმნები იწვევდა ფინანსების გადახარჯვას, მის არასწორ განაწილებას. სამოცი წლის განმავლობაში, აღნიშნული იყო მოხსენებით ბარათში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალური მმართველობის დაფინანსება გაიზარდა 106-ჯერ, საგუბერნიო მმართველობისა 80-ჯერ, სამაზრო, საოკრუგო და საქალაქო მმართველობისა 54-ჯერ. მაღალი რანგის მოხელეებს ძალიან მაღალი ხელფასი აქვთ, დაბალი თანამდებობის პირებს კი მეტისმეტად მცირე. ამიტომ დაბალი რანგის მოხელეები უფრო ხშირად მიმართავენ ქრთამის აღებას, სხვა სახის გამოძალვას, ძალიან აწუხებენო ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას.[4]

ამიერკავკასიის მმართველობის სისტემის ეს ნაკლი ცნობილი გახდა რუსეთის უზენაესი მთავრობისათვის. იმპერატორმა თავის ნაცვალს უბრძანა დაეჩქარებინა სამხრეთ კავკასიაში სხვაგვარი ადმინისტრაციული რეფორმის გატარება. მ. რომანოვმა სათანადო პროექტის შედგენა დაავალა ბარონ ნიკოლაის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბებულ კომისიას, რომლის საქმიანობა თითქმის ორ წელს გაგრძელდა. პროექტი კავკასიის კომიტეტმა იმპერატორს გადასცა და კანონად გადაიქცა 1867 წლის 9 დეკემბერს.

კანონ-დებულების პირველ თავში განსაზღვრული იყო მეფისნაცვლის უფლებამოსილება. იგი გამოცხადდა კავკასიის უმაღლეს ხელისუფლად, რომლის მეშვეობითაც რუსეთის იმპერატორი ატარებდა თავის ნება-სურვილს და პოლიტიკას მხარეში. იგი ანგარიშვალდებული იყო მხოლოდ იმპერატორის წინაშე. მეფისნაცვალი ნიშნავდა ყველა მოხელეს. თუ იგი მიიჩნევდა, რომ ამა თუ იმ პერსონის კავკასიაში ყოფნა საფრთხეს უქმნიდა მშვიდობასა და წესრიგს, უფლება ჰქონდა იგი გადაესახლებინა იმპერიის სხვა შორეულ მხარეში – მეფისნაცვალი კავკასიას მართავდა მთავარსამმართველოს დამხარებით, რომელშიც შედიოდა საბჭო (სათათბირო ორგანო), სახელმწიფო ქონებათა და სოფლის მეურნეობის სამმართველოები, სასწავლო ოლქი, საფოსტო, სამთო, სამედიცინო, საკარანტინო-საბაჟო ნაწილები. აგრეთვე საერობო ბეგარათა განსაკუთრებული საგანგიო, გლეხთა მიწათმოწყობის კომიტეტი, საგზაო, სამშენებლო, სტატისტიკური, საცენზურო კომიტეტები და ზოგი სხვა მთავრობისათვის ნაკლებმნიშვნელოვანი დაწესებულება.

რუსეთის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას შეადგენდა გადასახადების განსაზღვრა, გაწერა და აკრეფა. განსაკუთრებულ დაწესებულებას უნდა შეედგინა მხარის ბიუჯეტი, განესაზღვრა მისი შემოსავლისა და გასავლის ნაწილები. იგივე ადგენდა მოსახლეობის მიერ ფულად და ნატურალურ საერობო ვალდებულებათა შესრულების მეთოდსა და საშუალებებს. არ გამორიცხავდა ძალდატანებასა და იძულებას.

იმავდროულად დამტკიცდა ადმინისტრაციულ და სხვა დაწესებულებებში მოხელეთა დანიშვნის წესები. განისაზღვრა შტატების რაოდენობა და მოხელეთა ჯამაგირები. ნაწილობრივ გამოასწორეს აღრინდელი შეცდომა. გაზარდეს დაბალი რანგის მოხელეთა ხელფასები, მაგრამ არ შეუმცირებინათ დიდმოხელეთა ხელფასები. გადაწყდა სამხრეთ კავკასიის მთავარსამმართველოს მოხელეებზე ყოველწლიური ხელფასებისა და სხვა სარგოების სახით მიეცათ 375 ათასი მანეთი, საგუბერნიო სამმართველოებისათვის გამოეყოთ 183 ათასი მანეთი, სამაზრო სამმართველოთა მოხელეებისათვის – 341 ათასი მანეთი. გარკვეული თანხები გადაიდო სასამართლოსა და პოლიციის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.[5]

კანონ-დებულებების სათანადო მუხლებისა და შტატების ანალიზი ცხადყოფს, რომ არ შესრულდა რეფორმატორთა დაპირება მმართველობის ხარჯების საგრძნობლად შემცირების შესახებ. როგორც ჩანს, რუსეთის ცარიზმი, მის მიერ კავკასიაში დასაქმებული დიდმოხელენი ფინანსურ სახსრებს არ იშურებდნენ ადმინისტრაციული აპარატის გასაძლიერებლად, რომელსაც ეევალებოდა სამხრეთ კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა კოლონიურ-ეკონომიკურად ათვისება და ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაცია.

მეფისნაცვლის მიერ მთავარსამმართველოს უფროსად დანიშნული ბარონი ნიკოლაი დარწმუნებული იყო, რომ 1867 წლის ადმინისტრაციულ რეფორმას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფოებრივი ცხოვრების რუსულ ყაიდაზე მოწესრიგება, ამ მხარის ადმინისტრაციულად რუსეთთან შერწყმა. თითქმის იმავდროულად გატარებულ სასამართლო რეფორმას, მისი აზრით, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა „ტუზემცების" რუსიფიკაციაში.

რეფორმამდე მთელ რუსეთის იმპერიაში სასამართლო მთავრობის ადმინისტრაციასა და პოლიციაზე იყო დამოკიდებული. მოსამართლეები ზემოდან ინიშნებოდნენ და საქმის გამოძიებაში გადამწყვეტ როლს პოლიციის მოხელეები ას-

რულებდნენ. რუსულ გუბერნიაში სასამართლოს რეფორმირება 1864 წელს მოხდა. სასამართლო დამოუკიდებელი გახდა. მთავრობის მოხელეებს აეკრძალა მართლმსაჯულებაზე ზემოქმედება და პოლიციაც განთავისუფლდა საქმის გამოძიების მოვალეობისაგან. ჩამოყალიბდა საგუბერნიო და სამარზო სასამართლოები. ძალაში შეეიდა მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა განათლებული საზოგადოებისაგან არჩეეის პრინციპი. ადმინისტრაციული წესით მათი გადაყენება აიკრძალა. დაწესდა სასამართლო პროცესის საჯაროობა. ახალი რუსული სასამართლო დაუახლოვდა დასავლეთ ევროპულს, რომელიც რამდენადმე პასუხობდა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის პრინციპს.

იმპერიის განაპირა მხარეებში და კერძოდ საქართველოში, რომელიც ცენტრის მიერ კოლონიად აღიქმებოდა, სასამართლო რეფორმა შეიკეეცა. ამის მიზეზად „მოსახლეობის მოუმზადებლობას" და ადგილობრიე „სპეციფიკურ პირობებს" ასახელებდნენ. რეალობა კი სხეაგვარი იყო. მეფის მთავრობას დაუშვებლად მიაჩნდა ამ განაპირა მხარეში თავის ადმინისტრაციის ყოველისშემძლეობის შესუსტება, სასამართლოს წარმოების გადაცემა ადგილობრიეი მოსახლეობის (თუნდაც მხოლოდ ზედაფენის) მიერ არჩეული მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულებისათეის.

1868 წლის დამდეგს საქართველოში თითქოს გაუქმდა მართლმსაჯულების არქაული წესი. ამოქმედდა მოსახლეობის ყველა ფენისათეის საერთო სასამართლო დაწესებულებანი. გუბერნიებში ჩამოყალიბდა საოლქო სასამართლოები. მაზრებში დაარსდა მომრიგებელი სასამართლოს განყოფილებანი. თბილისში შექმნილი სასამართლო პალატა თავის უფლება-კომპეტენციას მთელ სამხრეთ კაეკასიაზე ავრცელებდა, იყო უმაღლესი ინსტანცია, რომლის დადგენილების გასაჩივრება მხოლოდ რუსეთის იმპერიის სენატში შეიძლებოდა.

საქართველოში არ გადმონერგილა ბურჟუაზიული სასამართლოს ძირითადი პრინციპები. აქ არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩეისა და სამართლის წარმოებაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის წესი. მოსამართლეებს წინანდებურად რუსეთის მეფისნაცვალი ნიშნავდა და ისინი თითქმის მთლიანად ადმინისტრაციის დიდმოხელეებზე რჩებოდნენ დამოკიდებული. ბარონი ნიკოლაი, რომელმაც შეადგინა მეფისნაცველის, მ. რომანოვის კაეკასიაში აიწლიანი „წარმატებული" მოღეაწეობის ანგარიშში, მართალია, წერდა, რომ რეფორმის შედეგად სასამართლო გამოეყო ადმინისტრაციას, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი დაწესებულების სახით, მაგრამ იგი ჭეშმარიტებას ღალატობს. ეს იყო წმინდა ფორმალური, უწყებრიეი დამოუკიდებლობა. ფაქტიურად კი სამხრეთ კაეკასიაში, კერძოდ კი საქართველოში ჩამოყალიბდა მეფისნაცველის, მთავარსამმართველოსა და გუბერნატორისადმი დაქვემდებარებული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლო ორგანოები, რომელნიც ასრულებდნენ დიდმოხელეთა ნებას. რაკი სამხრეთ კაეკასიაში არ დაუწესებიათ მოსამართლეთა არჩეეითობა, არ შეუქმნიათ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რუსი დიდმოხელენი ამ მხარეში უფრო ადვილად ახერხებდნენ სამართლის წარმოებაში ჩარეკვას, მთავრობისათეის სასურველი განაჩენის გამოტანას, სასამართლო ორგანოების რუსიფიკატორულ-კოლონიალური მიზნებისათეის გამოყენებას. ამას ადეილებდა ისიც, რომ სასამართლოდან გამოდეენილი იყო ადგილობრიეი ენები, საქმის წარმოება და სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რაც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრაველესობას არ ესმოდა.

XIX ს. 70-იან წლებში სამხრეთ კაეკასიის მართვა-გამგეობის სისტემაში გარკეეული კორექტიეები შეეიდა. დასრულებული სახით 1876 წელს ის შეიტანეს რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში. დაფიქსირდა, რომ კაეკასიის უსენაესი ხელისუფალი იყო რუსეთის მეფის (იმპერატორის) ნაცვალი, რომელიც მეთაურობდა მხარის სამოქალაქო მმართველობის მთელ აპარატს და იმავდროულად ასრულებდა კაეკასიაში მდგარი ჯარის მთავარსარდლის მოვალეობას. აღიარებდნენ, რომ მეფისნაცვალი აერთიანებდა სამოქალაქო და სამხედრო მმართველობას. მისდამი დაქვემდებარებულ მოხელეთა დიდ ნაწილს სამხედრო ჩინებით აღ-

ჭურეილი პირები შეადგენდნენ. ამდენად, რეფორმამ მთლიანად ვერ გამიჯნა სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა. საოკუპაციო რეჟიმი, ნაწილობრივ მაინც ძალმოსილებას ინარჩუნებდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო დაუმორჩილებლობის მოძრაობის აღმოფხერა, უზენაესი მთავრობის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის რეალიზაცია.

კავკასიაში გატარებული ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმა არ შეხებია ახლად დაპყრობილ-შემოერთებულ ტერიტორიებს, მხარის მთიან რეგიონებს. იქ შეურყეველი დარჩათ ეგრეთწოდებული „სამხედრო-სახალხო" (სახალხო აქ ზედმეტია – ა. ბ.) მმართველობა, რასაც წარმატებით იყენებდა ბარიატინსკი დაღესტანში. ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და ზოგ სხვა რეგიონში. მ. რომანოვმა მმართველობის სამხედრო წესი (საოკუპაციო რეჟიმი) გააერცელა ჩერქეზეთ-ბალყარეთზე. მასვე დაუქვემდებარა 1864 წელს გაუქმებული აფხაზეთის სამთავროს ტერიტორია, 1877 წელს შემოერთებული ბათუმისა და ყარსის ოლქები. დამტკიცდა სპეციალური ღებულება – „კავკასიის მთიელთა მმართველობის შესახებ". ასეთი სამხედრო-საპოლიციო და ფისკალური მიზანდასახული მმართველობა თითქოს ნაკარაუდევი იყო დროებითი ფუნქციონირებისათვის, მაგრამ რამდენიმე ათეული წელი გახანგრძლივდა.

სამხედრო-სახალხო მმართველობის სათავეში ყოველთვის გენერალი იდგა, რომელსაც ექვემდებარებოდნენ ცალკეული ოლქებისა და ოკრუგების უფროსი ოფიცრები. თითქოს დატოვეს ძველი ადათ-წესების საფუძველზე მოქმედი ზეპირსიტყვიერი სახალხო სასამართლოები (სრულიად უმნიშვნელო სამოქალაქო საქმეთა განსახილველად), მაგრამ განსაკუთრებით ფართო უფლებამოსილება მიანიჭეს სამხედრო სასამართლოებს, რომელთაც გადაეცემოდნენ სახელმწიფო ღალატში, მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებაში, ძარცვა-ყაჩაღობაში და სახაზინო ქონების მითვისებაში ბრალდებული ადამიანები.[6]

ცნობილია, რომ პეტრე პირველის მიერ 1722 წელს დამტკიცებული კანონი „ტაბელი რანგების შესახებ" საფუძველად დაედო რუსეთში მოხელეთა განსაკუთრებული კატეგორიის, თავისებური ბიუროკრატიული კლასის ჩამოყალიბებას. დაკანონდა მოხელეთა 14 „კლასის" არსებობა. სამსახურებრივი კარიერა იწყებოდა მეთორმეტე კლასის ჩინით და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ღებულობდა IV-I კლასის ჩინს, ხდებოდა დიდმოხელე. ტაბელი რანგების შესახებ იმპერიის განაპირა ქვეყნებშიც ამოქმედდა. მნიშვნელოვან თანამდებობებს აქაც IV-I კლასის ჩინიანი მოხელეები იკავებდნენ. პატიემოყვარე ქართველი თავადაზნაურებიც ცდილობდნენ მმართველი ბუროკრატიისაკენ გზის გაკაფვას, მაღალი ჩინისა და თანამდებობის მიღებას. მათი ასეთი მისწრაფება რუსული ხელისუფლებამ წაახალისა, თავადაზნაურობისა და საერთოდ ოპოზიციურ ძალთა მოთვინიერების საუკეთესო საშუალებად მიიჩნია. საკმაოდ ბევრმა ქართველმა მიიღო მაიორის, პოლკოვნიკის, გენერლის წოდება: კოლეგიის რეგისტრატორის, ტიტულარული და სამოქალაქო მრჩეველის ჩინი, მათი შესაფერისი თანამდებობა. ქართველ ჩინოსნებს, ძირითადად თავადაზნაურებს, არც თუ იშვიათად ეკავათ გუბერნატორის, პოლიცმეისტერის, კანცელარიის უფროსის თანამდებობა. გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა ყველას გაასწრო, თბილისის გუბერნატორად დაინიშნა, თითქმის ერთი წელი (1861) მეფისნაცვლის მოვალეობასაც კი ასრულებდა.

ადმინისტრაციული რეფორმის გატარების შემდეგ, როცა ადგილობრივი ფულადი შემოსავლების განსაზღვრა-განკარგვაში საგრძნობლად გაფართოვდა კავკასიის ცენტრალური მმართველობის უფლებამოსილება, მეფისნაცვალმა და მთავარმმართველობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბაჟო-საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის წყაროები იყო: 1) ხაზინისაგან მისაკუთრებული კულტურული მიწები, ტყეები, საძოვრები, სამთამადნო მრეწველობა, ფოსტა-ტელეგრაფი,

ნაესადგურები, რკინიგზები. 2) მოსახლეობაზე შეწერილი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები.

რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში დაბეგვრის ობიექტი იყო ყველა მცხოვრები, მოქმედებდა სულადობრივი გადასახადი, საქართველოში კი არსებობდა კომლობრივი გადასახადი. თანდათან მრავლდებოდა გადასახადთა გამღები მოსახლეობა. დამოუკიდებელ საქართველოში მთიელები გადასახადებისაგან თავისუფალი იყვნენ, მხოლოდ სამხედრო-სალაშქრო მოვალეობას ასრულებდნენ. რუსეთის მთავრობამ 1865 წელს დაბეგრა თუშები და ფშავ-ხევსურები; 1869 წელს მეგრელები, აფხაზები და სვანები, 1876 წელს ახლად შემოერთებული ბათუმის ოლქის მცხოვრებლები. თუ 1862 წელს გადასახადებმა შეადგინა 1,2 მლნ, 1872 წელს 1,5 მლნ მანეთს გადააჭარბა. ათიოდე წლის შემდეგ პირდაპირი გადასახადები გაორმაგდა. უფრო სწრაფად იზრდებოდა არაპირდაპირი გადასახადები; იბეგრებოდა შემოტანილი და გატანილი საქონელი. ალკოჰოლურ სასმელებზე დაწესდა საქციზო გამოსაღები. სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე დუქნები და რესტორნები იხდიდნენ ე. წ. საპატენტო გამოსაღებს. იზრდებოდა ნავთის, მარილის, თეზის, თამბაქოს და სხვა საქონლით ვაჭრობაზე დადებული ტარიფების მოცულობა.

1863 წელს რუსული ხელისუფლების ინსპექტორებმა სამხრეთ კავკასიაში აკრიფეს და სახელმწიფო ხაზინაში შეიტანეს ყველა სახის გადასახადი 3,1 მლნ მანეთის ოდენობით. 1870 წელს კი 6,8 მლნ მანეთი. მხარის საშემოსავლო ბიუჯეტი გაიზარდა ორჯერ და მეტად. შესაბამისად იზრდებოდა საგასაელო ბიუჯეტი, რომლის მთავარი მუხლი იყო არა მწარმოებლური და მოსახლეობის დასახმარებლად გაწეული ხარჯები, არამედ ადმინისტრაციული აპარატისა და სასამართლო დაწესებულებათა დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები. 1872 წელს მხარის ცენტრალურ მმართველობაზე დაიხარჯა 660 ათასი მანეთი, საგუბერნიო მმართველობაზე – 570 ათასი, სამაზრო მმართველობაზე, სასამართლოსა და პროკურატურაზე 1,1 მლნ მანეთი. 1881 წელს რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთ კავკასიურმა შემოსავლებმა შეადგინა 8,8 მლნ მანეთი, ადგილობრივმა ხარჯებმა, გასაველმა კი 8,7 მლნ მანეთი შეადგინა. გასაველში კელავ მთავარი იყო ადმინისტრაციული აპარატისა და სასამართლოს ხარჯები. ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიის შემოსავლები თითქმის მთლიანად ადგილზე იხარჯებოდა.[7] 20 წლის შემდეგ კი ადგილობრივი შემოსავლების 20-30%, სახელმწიფო ხაზინას რჩებოდა წმინდა შემოსავლის, მოგების სახით.

იმპერიის რუსულ გუბერნიებში 1864 წელს, ადმინისტრაციული რეფორმის პარალელურად გატარდა ეგრეთ წოდებული „ზემსკაია რეფორმა" (იგი ქართველმა საზოგადოებამ აღიქვა როგორც საერობო რეფორმა). ალექსანდრე მეორის მიერ დამტკიცებული კანონ-დებულების მიხედვით საგუბერნიო და სამაზრო თვითმმართველობის ხმოსანთა არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო მოსახლეობის ყველა ფენას. საკრებულოებისა და გამგეობის საქმიანობაში ყველა ფენის წარმომადგენლებს. საერობო თვითმმართველობის დაწესებულებები შეიქმნა ევროპული რუსეთის 33 გუბერნიაში და მათში შემავალ მაზრებში. პირველ წელს სულ აირჩიეს სამაზრო საერობო კრების 13024 ხმოსანი (დეპუტატი). აქედან თავადაზნაურობის წარმომადგენელი იყო 6204, გლეხთა – 5171, ქალაქის მცხოვრებთა – 1643. თავადაზნაურთა წარმომადგენლობა პროცენტულად კიდევ უფრო სჭარბობდა საგუბერნიო საერობო კრებებში. რაც შეეხება ერობათა გამგეობებს (აღმასრულებელ ორგანოებს), მათში თითქმის მონოპოლიურად გაბატონდა თავადაზნაურობა და მისი წრიდან გამოსული ინტელიგენცია.

რუს მოღვაწეთა და მათ შორის ისტორიკოსთა საქმაო ნაწილი ერობას (ზემსტვოს) საერთო სახალხო დაწესებულებად აცხადებდა, საერობო თვითმმართველობას თვითმპყრობელური სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატის საპირისპირო ძალად მიიჩნევდა და ბედავდა იმის თქმას, რომ მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაცია და საერობო თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის გაფართოება

რუსეთის იმპერიის უკეთესი მომავლის საწინდარი იყო. ერობის ასეთი შეფასება გაიზიარეს ქართველმა მოღვაწეებმა. მათ კიდეე მეტი იმედი დაამყარეს საერობო რეფორმაზე, საერთო სახალხო შინაარსის ადგილობრივ თვითმმართველობაზე.

მაგრამ რუსეთის მთავრობამ ქართველი ხალხი მოუმზადებლად მიიჩნია ამგვარი სახის თვითმმართველობისათვის. საქართველოში საერობო რეფორმა არ გაუტარებია. ქართველი ერის დაბალ კულტურულ დონეზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ბოროტი სიყალბე იყო. მას თვითმმართველობის საკმაო ტრადიციაც გააჩნდა. თერგდალეულებმა და სხვა მიმართულების მოღვაწეებმა სწორედ გაიაზრეს ამგვარი დისკრიმინაციის რუსიფიკატორულ-კოლონიური მოტივი, პროტესტი გამოთქვეს და არაერთხელ მოითხოვეს საქართველოში საერობო რეფორმის გატარება, ქართველი ხალხისათვის თვითმმართველობის უფლების მინიჭება, მაგრამ ამაოდ.

რუსულმა ხელისუფლებამ გააგრძელა ნაცადი პოლიტიკა, XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც იყენებდა მცირე დათმობების პრაქტიკას; თუ 1803 და 1848 წელს ქართველ თავადაზნაურობას უბოძა შეზღუდული თვითმმართველობა, მისცა შიდაწოდებრივ საქმეთა თვითმართვის უფლება, XIX ს-ის 60-70-იან წლებში მოჯანყე გლეხებსა და ქალაქის მცხოვრებლებს დაუთმო – ბატონყმობა გააუქმა, გლეხებს საზოგადოებრივი მმართველობის შექმნის უფლება მისცა, მაგრამ მოიწადინა გლეხთაგან არჩეული მამასახლისები და მოსამართლეები პოლიციის აგენტებად გადაექცია, ცდილობდა ისინი რუსული ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალთა დათრგუნვისათვის გამოეყენებინა. რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა თბილისის, ქუთაისის, გორის, ახალციხის, ფოთისა და ბათუმისათვის (უფრო სწორად მოქალაქეთა ზედაფენისათვის) შეზღუდული თვითმმართველობა ებოძებინა, მაგრამ მათი კონტროლისათვის მყისვე შექმნა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საგანგიო, რომელიც რუს მოხელეთა საიმედო კადრებით დაკომპლექტდა. მათ უნდა აღეკვეცათ ოპოზიციურ ძალთა ანტირუსული და დემოკრატიული მისწრაფებანი.

ფაქტია, რომ რუსეთის მთავრობა და მისი კავკასიური ადმინისტრაცია ცდილობდა, და არცთუ წარუმატებლად, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური ფენების ერთმანეთისაგან იზოლირებას; წოდებრივ საქმეთა თვითმართვის უფლება მისცა ცალკე თავადაზნაურობას, ცალკე გლეხობას, ცალკე ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას, ყოველნაირად აფერხებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების გაერთიანებას, უარს ამბობდა თვითმმართველობის საერთო სახალხო ორგანოების შექმნაზე.

რუსული მართვა-გამგეობის მესამე პერიოდი. მეფის თვითმბყრობელობა, მისი ადმინისტრაციის თვითნებობა უკმაყოფილებას მხოლოდ იმპერიის განაპირა ქვეყნებში როდი იწვევდა. ანტიმონარქიული ოპოზიცია XIX ს-ის 20-იან წლებში თვით ევროპულ რუსეთში ჩაისახა და მომდევნო ათწლეულებში თანდათან გაფართოვდა. 1881 წელს ნაროდოვოლცებმა ტერორს მიმართეს, სიცოცხლეს გამოასალმეს იმპერატორი ალექსანდრე II. ამას მყისვე მოჰყვა კონსერვატიულ ძალთა რეაქცია. 60-იანი წლების რეფორმატორთა საქმიანობა საბედისწერო შეცდომად გამოაცხადეს. დღის წესრიგში დააყენეს კონტრეფორმების გატარება. აუცილებელ საჭიროებად მიიჩნიეს არა მარტო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლება-კომპენტენციის შეზღუდვა, არამედ ცენტრის მკაცრი კონტროლის დამყარება მთავრობის საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაციაზეც.

ამ ასპექტში დაისვა კავკასიის ადმინისტრაციული ავტონომიის და მეფისნაცვლის ინსტიტუტის გაუქმების საკითხი. 1881 წ. 22 ნოემბერს გამოქვეყნდა ალექსანდრე მესამის შესაბამისი ბრძანება. მეფისნაცვალი კავკასიაში მ. რომანოვი პეტერბურგს გაიწვიეს. მთავარმმართველად გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი დანიშნეს. მას დაავალეს სამხრეთ კავკასიის მართვა-გამგეობის ახალი კანონდებულების შედგენა. გამოიყო სპეციალური კომისია, რომელმაც შეადგინა მმართველობის რეორგანიზაციის პროექტი.

კომისიის შემოქმედების ეს ნაყოფი საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა მკითხველისათვის უკვე ნაცნობმა, ყოფილი მეფისნაცვალის მარჯვენა ხელმა ბარონმა ნიკოლაიმ. მან ცენტრს წარუდგინა „ბარათი კავკასიის ცენტრალურ მმართველობის რეორგანიზაციის საკითხზე". იქ ნათქვამი იყო, რომ იმპერია ორი განსხვავებული ნაწილისაგან შედგება. პირველია რუსული – სლავური მოსახლეობით დაკავებული ტერიტორია, მეორე, სხვადასხვა დროს შემოერთებული სხვატომელთა მიწა-წყალი. სახელმწიფოს ძლიერებისა და ურღვევობის ინტერესი მოითხოვდა ამ განსხვავებული ნაწილების შერწყმას, მაგრამ ეს არ იყო ადვილი საქმე. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტომობრივ-ეროვნული თავისებურებანი არ შეიძლება ხანგრძლივი ცდისა და ბრძოლის გარეშე წაიშალოს. ამას ანგარიში უნდა გაეწიოთ. ზოგჯერ სხვატომელთა მიმართ დათმობებზეც კი უნდა წავიდეთ. კონკრეტულად კავკასიის საკითხთან დაკავშირებით ნიკოლაი წერდა, რომ ამ მხარის რუსეთთან შერწყმას წინ უნდა უსწრებდეს თვით მისი გაერთიანება. კავკასია არის ეთნოგრაფიული მოზაიკა, საჭიროა ტომობრივ განსხვავებათა ნიველირება, ერთსახეობის მიღწევა, რადგან ზემოქმედება უფრო ადვილია ერთიან მთელზე, ვიდრე დანაწევრებულ ელემენტებზე. სწორედ ამიტომაა მიზანშეწონილი კავკასიაში ისეთი ცენტრალური ხელისუფლების შექმნა, რომლის უპირველესი ამოცანა იქნება ამ ხალხების ჯერ ნიველირება, შემდეგ კი გარუსება.

ბარონი ნიკოლაი იმასაც აღნიშნავდა, რომ ნიკოლოზ პირველს განაპირა ქვეყნების რუსეთთან შერწყმის წინაპირობად სულაც არ მიაჩნდა საკმარისად მთელს იმპერიაში ერთტიპიური მმართველობის შექმნა. მისი აზრით, კავკასიის რუსეთთან შემომტკიცება – შერწყმის იარაღად უნდა გადაქცეულიყო რუსეთის უზენაესი მთავრობის მიერ იქ ფაროო უფლებამოსილებით აღჭურვილი ადგილობრივი ცენტრალური ხელისუფლება. და ნიკოლოზ პირველის ბრძანებით კიდეც დაინიშნა კავკასიაში მეფისნაცვალი. ბარონი ნიკოლაი იქვე შენიშნავს, რომ ბევრ სახელმწიფო მოღვაწეს არ მოეწონა კავკასიის ადმინისტრაციული განკერძოება, რადგან მათ ერთმანეთში აურიეს მოელენის გარეგნული ფორმა და შინაარსი. სწორად ვერ გაიაზრეს ამ ღონისძიების მიზანი და საბოლოო შედეგი. თვით ნიკოლაის მიაჩნდა, რომ მეფისნაცვლის ინსტიტუტმა და ადმინისტრაციულმა ავტონომიამ ხელი შეუწყო რუსეთთან კავკასიის დაახლოება-შერწყმის პროცესის გაღრმავებას და თუ თბილისის და ქუთაისის გუბერნიები არ დაემსგავსა კალუგის, ეორონეჟისა და რიაზანის გუბერნიებს, ამაში ადმინისტრაციულ ავტონომიას როდი მიუძღვის ბრალი, ეს ეროვნებათა შინაგანი გამძლეობის გამო ხდება.[8]

ერთი სიტყვით, რუსეთის მთავრობის ეს არარუსი მოხელე მეფისნაცვლის ინსტიტუტის და კავკასიის ადმინისტრაციული ავტონომიის თავგამოდებული მომხრე იყო. მაგრამ მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო უსენაესი ბრძანების წინააღმდეგ ხმის ამაღლება. მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ მეფისნაცვალის უფლება-კომპეტენციის დიდი ნაწილი მთავარმმართველს შერჩენოდა. ბარონ ნიკოლაის ამგვარ პოზიციას მხარი დაუჭირა მთავარმმართველად უკვე დანიშნულმა დონდუკოვ-კორსაკოვმა და მისმა გარემოცვამ. ცენტრი გარკვეულ დათმობაზე წავიდა და კავკასიის უმაღლესი ხელისუფალი რუსეთში მოქმედ გენერალ-გუბერნატორებზე შედარებით მეტი უფლება-კომპეტენციით აღჭურვა.

1883 წ. უმაღლესად დამტკიცდა შესაბამისი კანონ-დებულება, რომელიც 1885 წელს შეიტანეს რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში.

კანონის მიხედვით, კავკასიის მმართველობას ქმნიდნენ: 1) კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველი და მისი თანაშემწე, აგრეთვე მთავარმმართველის საბჭო და ცალკეული სამმართველოები; 2) ადგილობრივი ადმინისტრაციული დაწესებულებები (საგუბერნიო-საოლქო, სამაზრო-საოკრუგო და საქალაქო და სასოფლო); 3) ცალკე ფორმალურად იყო გამოყოფილი სასამართლო დაწესებულებები.

დებულების მიხედვით, ყველა დაწესებულება და მოხელეები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ იმპერიის საერთო კანონებით და ანგარიშს უწევდნენ მხარის იმ თავისებურებებს, რაც ჩამოყალიბებული იყო ადგილობრივ დებულებებში.

კავკასიის მთავარმმართველს ნიშნავდა იმპერატორი. მხარის შინაგანი მმართველობის სფეროში მისი მოვალეობა და ფუნქციები, აგრეთვე ურთიერთობების ფორმები ცენტრალურ ხელისუფლების ორგანოებთან განისაზღვრებოდა საერთო საიმპერიო წესებით. თუ მმართველი ცენტრის საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბის ბრძანება-დადგენილებაში არ იქნებოდა აღნიშნული, რომ ისინი ერცელდებოდა კავკასიაზეც, მთავარმმართველს უნდა გადაეწყვიტა გატარებულიყო თუ არა ისინი კავკასიაშიც და თავის დასაბუთებული აზრი ეცნობებინა შესაბამისი სამინისტროსათვის. მინისტრთა საბჭოს ბრძანება-განკარგულებათა ასლები კავკასიის მთავარმმართველსაც ეგზავნებოდა, თუ ეს უკანასკნელი მათს კავკასიაში გატარებას, რაიმე მიზეზით, დაუშვებლად მიიჩნევდა, ამის შესახებ აცნობებდა ზემდგომ ინსტანციას და ამ ბრძანება-განკარგულებათა შესრულებას შეაჩერებდა. თუ ცენტრი არ დათანხმდებოდა, მთავარმმართველს ეს თავისებური „ვეტო" უნდა მოეხსნა.

ანტისახელმწიფოებრივი და დანაშაულებრივი ქმედების განსაკუთრებით გაძლიერების შემთხვევაში, მთავარმმართველს უფლება ჰქონდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში ბრალდებული პირები 5 წლამდე ვადით გადაესახლებინა კავკასიიდან რუსეთის შორეულ გუბერნიებში. მთავარმმართველის ფუნქციებში შედიოდა მხარის პერიოდული შემოვლა, საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებათა შემოწმება, ფინანსური ანგარიშების რევიზია.

კავკასიის მთავარსამმართველოს საბჭო, მართალია, არ ერეოდა აღმასრულებელი ნაწილის საქმეებში, მაგრამ დიდ როლს ასრულებდა ცენტრიდან მოსული და ადგილზე შედგენილ კანონპროექტების განხილვასა და ზოგჯერ დამტკიცების საქმეში. საბჭოს ჰქონდა უფლება, რაღაც მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივისა. მთავარმმართველს ეხმარებოდა იმის გარკვევაში, გავრცელებულიყო თუ არა კავკასიაზე ცენტრიდან მოსული კანონი. რაც მთავარია, მონაწილეობდა მთავარმმართველის მიერ შედგენილ კანონ-დებულებათა სრულყოფაში.

რუსეთის სახალხო განათლების უწყებაში მყოფ სასწავლებლებს კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში განაგებდა ადგილობრივი სასწავლო ოლქი, რომლის სათავეში მყოფი ე. წ. მზრუნველი, მიზნად ისახავდა ადგილობრივ სკოლებში რუსული სასწავლო პროგრამის დამკვიდრებას, თავის ძირითად მოვალეობად მიაჩნდა ქართული ენისა და ქართველი მასწავლებლის სკოლიდან განდევნა, სწავლა-განათლების სისტემის გამოყენება რუსიფიკატორული პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის სფეროში.

კანონ-დებულებაში განსაზღვრული იყო ადგილობრივ დაწესებულებათა მოწყობის წესი და უფლება-მოვალეობა. საერთო წესიდან გამონაკლისად იყო მიჩნეული დაღესტნის და ყარსის ოლქების, შავი ზღვის, სოხუმის, ბათუმის, ართვინის ოკრუგთა მმართველობის წესი, რომლებიც შემუშავებული იყო სხვადასხვა დროს (1860, 1866, 1870, 1874, 1878 წლებში). ეს ტერიტორიები რჩებოდნენ ე. წ. სამხედრო-სახალხო მმართველობის უწყებაში და ძირითადად ექვემდებარებოდნენ სამხედრო წესებს, რაშიც თითქმის არაფერი იყო ხალხური.

დახასიათებული ადმინისტრაციული კანონი, ავად თუ კარგად ფუნქციონირებდა XIX ს-ის ბოლომდე, მაგრამ დაგროვდა პრობლემები, რომელთა გადაჭრა მეტნაკლებად აქტუალურად იყო მიჩნეული. მოხელეებმა საჭიროდ ჩათვალეს მმართველობის დაწერილერთეულება, მიახლოვება მოსახლეობასთან, მეამბოხე ელემენტების და საეჭვო პირების საქმიანობაზე უფრო ეფექტური კონტროლის დამყარება.

სამხრეთ კავკასიის გუბერნატორები შინაგან საქმეთა სამინისტროს შესჩიოდნენ საპოლიციო ძალების სიმცირის შესახებ. ქუთაისის გუბერნატორი იმას

აცხადებდა, რომ საპოლიციო უბნის ბოქაულის (პრისტაევის) თანამდებობა მრავალმხრივ საქმიანობას და მძიმე შრომას მოითხოვს. ამისათვის კი მას წლიურად მხოლოდ 1200 მანეთ ხელფასს აძლევდნენ. რუსეთიდან ამ მცირე გასამრჯელოსათვის არაერთ ჩამოდისო. იგი და სხვა გუბერნატორებიც მოითხოვდნენ საპოლიციო უბნის უფროსისათვის ხელფასის საგრძნობლად გაზრდას. 1903 წელს კავკასიის ახალმა მთავარმმართველმა, გენერალმა გოლიცინმა იმპერატორის წინაშე აღძრა კიდევ სათანადო შუამდგომლობა. რუსეთის მონარქმა მასვე უბრძანა პროექტის შედგენა. დავალება შესრულდა. პროექტი ითვალისწინებდა საპოლიციო უბნების გაზრდას და ბოქაულთათვის ხელფასის მომატებას. იგი დამტკიცდა და მისი რეალიზაციისათვის ბიუჯეტში ახალი შტატების დაფინანსებისათვის შეიტანეს 683 ათასი მანეთი.[9] მალე დებულება რამდენიმე ახალი მუხლით გაამდიდრეს. დებულების ახალი ვარიანტის მიხედვით, მაზრები იყოფოდა უბნებად, ყველგან ინიშნებოდა საპოლიციო უბნის უფროსი. იგი გუბერნატორის დავალებით ან თავის ინიციატივით ატარებდა სასოფლო თვითმმართველობის რევიზიას. პირადად არჩევდა მამასახლისებსა და სოფლის მოსამართლეებზე შემოსულ საჩივრებს. მას უფლება ეძლეოდა შეეჩერებინა გლეხთა ყრილობის დადგენილება, თუ არ შეესაბამებოდა კანონს, ზიანს აყენებდა „საზოგადოებრივ წესრიგს". უბნის უფროსი (ბოქაული) განსაკუთრებული სიმკაცრით აკონტროლებდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის იმ ფუნქციას, რომელიც ითვალისწინებდა საკრედიტო კოოპერატივების გახსნას, სასურსათო ფონდების შექმნას. ბოქაულს უფლება ჰქონდა კანონის დარღვევაში შენიშნული პირები დაეჯარიმებინა, დაეპატიმრებინა კიდეც. მოხელეები აღიარებდნენ, რომ ამ ცვლილებათა შედეგად კიდევ უფრო იზღუდებოდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა, მაგრამ ამართლებდნენ, რადგან ხელს უწყობდა წესრიგის დაცვასა და სტაბილური მდგომარეობის განმტკიცებას.

პირველმა რევოლუციამ ძალიან შეაშფოთა რუსეთის იმპერატორი, მისი მთავრობა და რეგიონალური ადმინისტრაციის მოხელენი. ისინი ერთხელ კიდევ დადგნენ პროტესტანტულად განწყობილი საზოგადოების წინაშე დათმობის, მმართველობის სისტემის ლიბერალიზაციის აუცილებლობის წინაშე. განაახლეს რეფორმატორული საქმიანობა. შექმნეს არსებითი გარდაქმნების ილუსია.

1905 წ. 25 თებერვალს გამოქვეყნდა ნიკოლოზ მეორის ბრძანება კავკასიის ადმინისტრაციული აეტონომიის აღდგენისა და ამის შესაბამისად მხარის მართვა-გამგეობაში კორექტივების შეტანის შესახებ. მეფისნაცვლად დაინიშნა გენერალი ი. ეორონცოვ-დაშკოვი. იმპერატორი ბრძანებდა: 1) ჩვენს ნაცვალს (ნამესტნიკს) კავკასიაში ებოძოს უმაღლესი ხელისუფლება სამოქალაქო მმართველობის ყველა ნაწილში. 2) თავის წოდება-თანამდებობის შესაბამისად იგი გახდება სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კომიტეტის წევრი, კავკასიაში განლაგებული ჯარის სარდალი. 3) მეფისნაცვალს ევალებოდა შეედგინა ახალი კანონპროექტი, დროის შესაფერისად გარდაექმნა მმართველობის სისტემა. პროექტის დამტკიცებამდე მეფისნაცვლის უფლებამოსილება განისაზღვრა 1876 წლის კანონ-დებულების 9-19 მუხლების შესაბამისად.[10]

მეფისნაცვალმა ი. ეორონცოვ-დაშკოვმა, თბილისში ჩამოსელისთანავე, ჩამოაყალიბა სპეციალური კომისია. მის თავმჯდომარედ დანიშნულმა ე. მიცკევიჩმა 25 ოქტომბერს მეფისნაცვალს წარუდგინა ვრცელი წინასწარი მოხსენება. აქ აღნიშნული იყო, რომ მეფისნაცვლის ინსტიტუტის გაუქმებიდან გავიდა 23 წელი. მთავარმმართველობის დროს კი ბევრი რამ შეიცვალა. ადგილზე ამოქმედდა არაერთი განსაკუთრებული კანონი, დებულება და ინიციატივა, რომელნიც მთავარმმართველს ანიჭებდა უფლებას დიდი სიმკაცრით ებრძოლა სახელმწიფოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. დგება საკითხი – საჭიროა რევოლუციის ამ აღმაელობის პერიოდში განსაკუთრებული, მკაცრი რეჟიმის შენარჩუნება,

თუ მიზანშეწონილია მისი შერბილება. ხალხისა და განათლებული საზოგადოების მოთხოვნილებებისათვის ანგარიშის გაწევა, დათმობებზე წასვლა.[11]

იმ შფოთიან ხანაში კომისიამ სწრაფად იმუშავა, მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი, რომლის მიხედვით მხარის ცენტრალურ მმართველობას შეადგენდა: მეფის ნაცვალი და მისი მოადგილე, მეფისნაცვლის საბჭო, მეფის ნაცვლის კანცელარია, სხვადასხვა უწყების სამმართველოები. მეორე და მესამე ინსტანციას ქმნიდნენ საგუბერნიო, საოლქო, სამაზრო და საოკრუგო, საქალაქო და სასოფლო დაწესებულებანი. აგრეთვე სხვადასხვა დონის სასამართლო ორგანოები.

კანონპროექტის მიხედვით, მეფისნაცვალი უშუალოდ იმპერატორის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. დამნაშავეობის ზრდის პირობებში (მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა, ტერორი, ყაჩაღობა-მძარცველობა) მეფისნაცვალს უფლება ეძლეოდა დამნაშავედ შერაცხული პიროვნებანი, სასამართლოს დადგენილების გარეშე, გადაესახლებინა სხვადასხვა ვადით რუსეთის შორეულ გუბერნიებში, მას შეეძლო მხარეში ცხოვრება აეკრძალა საეჭვოდ მიჩნეულ კავკასიელებისათვის, თანამდებობიდან მოეხსნა არასაიმედო მოხელეები, სასოფლო საზოგადოებისათვის ჩამოერთმია მამასახლისისა და სხვა თანამდებობის პირთა არჩევის უფლება, საჭიროების შემთხვევაში გამოეცხადებინა სამხედრო მდგომარეობა და გაეტარებინა საგანგებო ღონისძიებანი.

კანონი კელავ ადასტურებდა მეფისნაცვალთან სათათბირო საბჭოს არსებობას. მასში უპირატესობას ანიჭებდა რუს მოხელეებს, მაგრამ საბჭოს სხდომებში მონაწილეობის უფლებას აძლევდა საქალაქო თვითმმართველობათა წარმომადგენლებს, თავადაზნაურთა წინამძღოლებს და ყოველი გუბერნიის სოფლის მამასახლისთაგან თითო წარმომადგენელს. პროექტის ავტორთა აზრით, საბჭოს მუშაობაში მოსახლეობის წარმომადგენელთა მონაწილეობა განსაკუთრებით საჭირო იყო ისეთი საკითხების განხილვა-გადაწყვეტის დროს, რომელიც ადგილობრივი პირობების ცოდნას მოითხოვდა (მცხოვრებთა გადასახადის გაღების უსარიანობა, გადასახადთა გაწერა-აკრეფა, საადგილმამულო დავა და სხვ.).

პროექტის განხილვა-ჩასწორება ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა. ადგილობრივი პერიოდული პრესის პუბლიცისტებიც გამოთქვამდნენ თავის აზრს. მათმა ოპოზიციურმა და პროტესტანტულმა სულისკვეთებამ ძლიერ გააღიზიანა რუსი დიდმოხელენი, რომლებმაც განხილვის საგნად გაიხადეს პრესის საკითხიც. მეფისნაცვლის საბჭოს 1907 წ. 19 თებერვლის სხდომაზე განსახილველ პროექტში ბეჭდვითი საქმის მარეგულირებელი ნაწილი ასე ჩამოყალიბდა: 1) მეფისნაცვალს კავკასიის მასშტაბით ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა განხილვა-გადაწყვეტაში ენიჭება რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თანაბარი უფლება-მოვალეობანი. 2) ბეჭდვით სიტყვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწვეტა ევალება ბეჭდვითი სიტყვის კავკასიის კომიტეტს. 3) ასეთი კომიტეტები შეიძლება ჩამოყალიბდეს გუბერნიებსა და ცალკეულ ქალაქებშიც. 4) კავკასიის საცენზურო კომიტეტი, დროებითი კომიტეტები და ინსპექტორები თავიანთი ფუნქციების შესრულების დროს სახელმძღვანელოდ იყენებდნენ საერთო სარუსეთო კანონებს და მეფისნაცვლის ინსტრუქცია-განკარგულებებს.[12]

იმავე ხანებში, თვით მეფისნაცვალმა იმპერატორს გაუგზავნა თავისებური განმარტებითი ბარათი. აღნიშნა, რომ ამჟამად მეფისნაცვლის უფლება-კომპეტენცია არ შეიძლება იქნეს ისეთივე ფართო, როგორც მიხეილ რომანოვის დროს იყო. ახლა, როცა მთელი სახელმწიფო-ადმინისტრაციული ხელისუფლება მოქცეულია თქვენდამი დაქვემდებარებული მინისტრთა საბჭოს ხელში, კავკასიის უმაღლესი ხელისუფალის მოღვაწეობა მჭიდროდ უნდა ერწყმოდეს და უთანხმდებოდეს ცენტრალური მთავრობის პოლიტიკას. აუცილებელია მეფისნაცვალი შედიოდეს მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში, მეფისნაცვალთან კი უნდა დაინიშნოს მინისტრთა საბჭოს ყველა უწყებათა წარმომადგენელი. ბოლოს ვორონცოვ-დაშკოვი ასკვნიდა: არ შეიძლება დავმალოთ, რომ მეფისნაცვლობის ფორმა

კავკასიის გარკვეული ადმინისტრაციული განცალკევების ნიშანია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს მიერ შემოთავაზებული ფორმით კავკასიის მართვა-გამგეობა საფრთხეს არ შეუქმნის იმპერიის მოლიანობას. კავკასიის მმართველობის ასეთი ფორმა დააკმაყოფილებს კავკასიელებს, რომელთაც კარგად იციან, რომ ნაციონალური აუტონომიები ფუჭი ოცნებაა და მხოლოდ მეფისნაცვლის საბჭოში და მომავალ ერობებში გამოამჟღავნებდნენ თვითმოქმედების უნარს.

ბოლოს, მეფისნაცვალი იმასაც წერდა, რომ კავკასიაში აბორიგენებთან ერთად რუსებიც ცხოვრობდნენ. „ახლოს მიმაქვს რა გულთან კავკასიის რუსული მოსახლეობის ინტერესები, – აღნიშნავდა მეფისნაცვალი, – დარწმუნებული ვარ დაპროექტებული ღონისძიებანი საგადასახლებლო, მიწათმოქმედების, საგადასახადო სისტემის სრულყოფისა და სხვა სფეროში, ხელს შეუწყობს რუსთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. **ადგილობრივი რუსების დახმარებით კავკასია განსაკუთრებული რუსიფიკატორული მეთოდების გამოუყენებლად (რაც პრაქტიკაში იყო და ჩვენი მიზნების საწინააღმდეგო შედეგები მოგვცა) თავისუფალი ეკონომიკური განვითარებისა და თვითმოქმედების ამაღლების მეშვეობით, სწრაფად წავა წინ რუსეთთან დაახლოებისა და შერწყმის გზაზე**[13].

ფიოდორ არაფერი უშლიდა ხელს პროექტი სახელმწიფოს უმაღლეს ინსტანციებში გაგზავნილ-დამტკიცებულიყო, მაგრამ რეფორმაციის მარცხისა და რეაქციულ ღონისძიებათა მომძლავრების პირობებში, რუსმა დიდმოხელეებმა საჭიროდ მიიჩნიეს მასში სიტუაციის შესაბამისი კორექტივების შეტანა. კელავ წინა პლანზე წამოსწიეს ადგილობრივი პოლიციის გაძლიერება, მისი მეთაურებისათვის ხელფასების მომატება. კანონპროექტში ერობის შემოღების მუხლიც დაფიქსირდა. 1905 წელს მეფისნაცვალმა საქართველოს მოსახლეობას სრულფასოვანი საერობო თვითმმართველობა აღუთქვა, მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ კელავ ეჭვი შეიტანეს ქართველი ხალხის საამისო უნარში. დიდმპყრობელი შოვინისტები ერობის დაწესებულებათა დაარსების წინააღმდეგ იმ მოტივით ილაშქრებდნენ, რომ ყველა წოდებისათვის საერთო საგუბერნიო და სამაზრო თვითმმართველობანი გადაიქცეოდნენ ეროვნული მოძრაობის და სეპარატიზმის კერებად. პროექტის აუტორებმა კი ის აღნიშნეს, რომ ქართველები, მართალია, ჯერ არ არიან მზად ფართო საერობო, ადგლობრივი თვითმმართველობისათვის, მაგრამ შეძლებენ გამარტივებული საუბნო საერობო თვითმმართველობათა მუშაობის წარმართვას. ამაში მათ დაეხმარებაო საპოლიციო უბნის განათლებული რუსი უფროსი. ერობის ამ წერილი ერთეულის თანამშრომლები რუსი ბოქაულის ხელშეწყობით, შესძლებდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაკეთა-შეკეთებას, საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის მოწყობას, მცირე სარწყავი არხების გაყვანას, სკოლებისა და საავადმყოფოების გახსნას.

პროექტის აუტორები წინადადებას იძლეოდნენ ახალი კანონ-დებულება შეხებოდა მთელ კავკასიას, გაერკვევლებულიყო სამხედრო-სახალხო მმართველობის უწყებაში მყოფ რეგიონებზეც (ყარსისა და ბათუმის ოლქები, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგები, დაღესტანი და სხვ.), რადგან ისინი უკვე აღარ განსხვავდებოდნენ, მათი აზრით, სამხრეთ კავკასიის ხუთი გუბერნიიდან. ბათუმის ოლქი ან გუბერნიად უნდა გარდასახულიყო, ან შეერთებოდა ქუთაისის გუბერნიას. სოხუმის ოკრუგი ქუთაისის გუბერნიას უნდა შერწყმოდა, ზაქათალის ოკრუგი კი თბილისის გუბერნიას. დაპროექტებული მმართველობა დეტალებსა და წერილმანებში, მართალია, განსხვავდებოდა შიგა რუსულისაგან, მაგრამ დისონანსი არ შეჰქონდა მასში. ახლო მომავალში, როცა რუსეთისა და პერიფერიის დაახლოება უფრო ცხადი გახდებოდა, აუტორთა აზრით, ამ განაპირა მხარისათვის დაპროექტებული დაწესებულებები ადვილად შეერწყმებოდნენ შიგა რუსეთში არსებულ მართვა-გამგეობის სისტემას. სამხრეთ კავკასიის მართვა რუსი ბიუროკრატი მოხელეების მონოპოლიად დარჩებოდა, ადგილობრივ ელემენტს კელავ მეტისმეტად უმნიშვნელო ასპარეზი ეთმობოდა.

კავკასიის მართვა-გამგეობის გარდაქმნის პროექტი მეფისნაცვალმა 1913 წლის დამდეგს გადაუგზავნა რუსეთის უზენაეს ხელისუფლებას. მისი განხილვა გაჭიანურდა, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კი შეწყდა. ი. ეორონ-ცოვ-დაშკოვის ზეობის წლებში მხოლოდ ერთი კანონპროექტი დამტკიცდა, რომელიც კიდევ უფრო აფართოებდა და აძლიერებდა პოლიციას.

ახალი კანონ-დებულების მიხედვით, კავკასიის პოლიციის გამგე იყო მეფისნაცვლის თანაშემწე საპოლიციო ნაწილში. იგი პრაქტიკულად ახორციელებდა სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცების და მთავრობისათვის სასურველი საზოგადოებრივი წესდების დაცვის ყველა ღონისძიებას. კავკასიის პოლიციის შეფს, მეფისნაცვლის წარდგინებით, ნიშნავდა იმპერატორი და იგი ირიცხებოდა კორპუსის უმაღლეს მოხელეთა შემადგენლობაში, ემორჩილებოდა საერთო საიმპერიო ჟანდარმთა კორპუსის უფროსს. კავკასიის პოლიციის გამგეს კი ექვემდებარებოდა საგუბერნიო, საოლქო, სამაზრო, ციხე-საპყრობილეების, რკინიგზის საპოლიციო სამმართველოს ყველა მოხელე.

კავკასიის პოლიციის უზენაეს შეფს უფლება ჰქონდა, აუცილებლობის შემთხვევაში, დროებით გაეძლიერებინა ერთი საპოლიციო სამმართველოს პირადი შემადგენლობა სხვათა ხარჯზე, შეემოწმებინა მის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა მიერ პოლიტიკური ხასიათის საქმეთა წარმოების მიმდინარეობა, გამოძიების საქმის მდგომარეობა, დამნაშავეთათვის გამოტანილი სასჯელის შესრულება. აშკარაა, რომ მეფის მთავრობას და კავკასიის ადმინისტრაციას პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდა არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების დაცვა-განმტკიცება, რევოლუციური და ოპოზიციური ძალების დათრგუნვა. ამიტომაც უხვად აფინანსებდნენ ჟანდარმერიის მოხელეებს. კავკასიის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულებში ბოლომდე (1917 წლამდე) დარჩა სამხედრო მმართველობის სისტემა. ბათუმის ოლქს განაგებდა სამხედრო გუბერნატორი. სამხედროები იდგნენ სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგების სათავეში.

რუსეთის იმპერატორმა და მისმა მთავრობამ კავკასიის და კერძოდ საქართველოს არ აღირსეს საერობო თვითმმართველობა. ბოლომდე შეზღუდული რჩებოდა თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობა, მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ საქალაქო თვითმმართველობები, სოფლის საზოგადოებრივი მმართველობანი. სასამართლოში, ეკლესიასა და სკოლაში რუსული ენა ბატონობდა, მშობლიური ქართული ენის გამოყენების არეალი მაქსიმალურად იზღუდებოდა.

დასკვნა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ იმპერიის ამ განაპირა პროვინციაში მეტროპოლიის ხელისუფალთაგან შექმნილმა მმართველობის სისტემამ გარდაქმნა-ევოლუციის სამი პერიოდი განვლო. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოებია: 1) 1801-1840, 2) 1841-1882, 3) 1883-1917 წლები. სამივე პერიოდში რუსეთის მთავრობის და მისი კავკასიური ადმინისტრაციის მიზანი იყო ქვეყნის კოლონიური ეკონომიკურად ათვისება: მისი ბუნებრივი სიმდიდრისა და მეურნეობის მეტროპოლიის სამსახურში ჩაყენება. იმავდროულად კი ქართველი ერის და სხვა კავკასიელი ხალხების რუსიფიკაცია. რამდენადმე იცვლებოდა მხოლოდ კოლონიალურ-რუსიფიკატორული პოლიტიკის რეალიზაციის მეთოდი.

პირველ პერიოდში საქართველოს საოკუპაციო რეჟიმის სათავეში რუსი მთავარმმართველი და მისდამი დაქვემდებარებული მოხელეები იდგნენ. ე. წ. „საქართველოს უზენაესი მთავრობა" ფორმალურად არსებობდა. ქართველ მოხელეებს – მრჩეველებსა და მსაჯულებს მხოლოდ ინფორმაციის მისაღებად, აღგილობრივ თავისებურებათა გასაშიფრად იყენებდნენ. მათგან საკითხების მოსახლეობის ინტერესთა შესაბამისად გადაწყვეტა გამორიცხული იყო.

მეორე პერიოდში საქართველო სამხრეთ კავკასიის საერთო ადმინისტრაციული ერთეულის ნაწილი გახდა, თბილისის და ქუთაისის გუბერნიებად გაიყო. საოკუპაციო რეჟიმი თითქოს სამოქალაქო მმართველობით შეიცვალა, მაგრამ ძირითადი თანამდებობანი, ისევ რუსმა გენერლებმა, ოფიცრებმა და პოლიციის მო-

ხელეებმა შეინარჩუნეს. ადგილობრივი, კერძოდ ქართული ელემენტი მთლიანად იგნორირებული აღმოჩნდა. კაეკასიის მმართველობის სათავეში მოექცა რუსეთის მეფის (იმპერატორის) ნაცვალი. მხარემ მიიღო ადმინისტრაციული ავტონომიის სტატუსი. ხელისუფლების მთავარი ამოცანა გახდა კაეკასიელ ხალხთა კულტურის, ადათ-წესებისა და ეროვნულ თავისებურებათა ნიველირება, ყველასი ერთად გარუსება. ამისათვის გამოიყენებოდნენ გუბერნია-მაზრათა მოხელეები და ნახევრად რეფორმირებული სასამართლოს თანამშრომლები, ქართველები და სხვა კაეკასიელები ამ ძალადობას წინააღმდეგობას უწევდნენ, დიდმპყრობლურ-შოვინისტურ პოლიტიკას არსებითი წარმატება არ მოჰყოლია.

მმართველობის მესამე პერიოდი იმით დაიწყო, რომ რუსეთის იმპერატორმა გააუქმა მეფისნაცვლის ინსტიტუტი და კაეკასიის ადმინისტრაციული ავტონომია. ამ მხარის რუსი მთავარმმართველი და გუბერნატორები დაუქვემდებარეს სახელმწიფოს მინისტრთა საბჭოს. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა იძულებითი აპარატის სრულყოფას. საქართველოში საერობო რეფორმის გატარებაზე კელავ უარს ამბობდნენ, სასოფლო და საქალაქო თვითმმართველობათა უფლება-კომპეტენციას მინიმუმამდე კვეცავდნენ. პირველი რევოლუციის მიმდინარეობის ორიოდე წელს რუსული ხელისუფლება, მართალია, კვლავ ალაპარაკდა მმართველობის ლიბერალიზაციის და ადგილობრივი პროგრესული საზოგადოებისათვის მეტი გასაქანის მიცემის შესახებ, მაგრამ ცვლილება თითქმის მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ კელავ აღდგა მეფისნაცვლის ინსტიტუტი და კაეკასიის ადმინისტრაციული ავტონომია. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობას ნორმალური თვითმმართველობა არც ამჯერად აღირსეს. მეფისნაცვალმა ი. ვორონცოვ-დაშკოვმა ფართო რეფორმატორული საქმიანობის ილუსია შექმნა. რეალურად გატარდა მხოლოდ პოლიციის რეფორმა. შეიქმნა პოლიტიკური პოლიცია — ჟანდარმერია. ძირითადად მას ღაეკისრა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, რუსიფიკაციის პროცესისათვის ხელის შეწყობა. ამავე მიზანს ემსახურებოდა სამხედრო მმართველობა, რომლის უწყებაში 1917 წლამდე რჩებოდა საქართველოს რამდენიმე რეგიონი.

---

1. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. I, Тиф., 1866, გვ. 437-438.
2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, გვ. 266-267.
3. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, ტ. II, Тиф., 1868, გვ. 6, 21.
4. საქართველოს სცსა, ფ. 219, ანაწ. 1, საქ. 90, ფურც. 9-14.
5. საქართველოს სცსა, ფ. 5, საქ. 275, ფურც. 1-3; საქ. 263, ფურც. 19-20; С. Элиаде, Историческая записка об управлении Кавказом, т. II, გვ. 38-39, 47.
6. С. Эсадзе, Историческая записка об управленнии Кавказом, т. II, 1907 г., გვ. 81-83.
7. ს. ესაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 300-303.
8. Николаи А. П., Записка по вопросу о преобразовании центрального управления на Кавказе, 1908 г., გვ. 3-6, 12-14.
9. საქართველოს სცსა, ფ. 10, საქ. 737, ფურც. 5-8, 15-18.
10. საქართველოს სცსა, ფ. 13, ანაწ. 1, საქ. 748, ფურც. 75.
11. იქვე, ფ. 13, ანაწ. 22, საქ. 1, ფურც. 54-55.
12. საქართველოს სცსა, ფ. 13, ანაწ. 1, საქ. 748, ფურც. 76-86, 94-99.
13. იქვე, ფურც. 161-164.

რუსეთის მიერ საქართველოს მიწის ფონდის მითვისება და დემოგრაფიული ექსპანსია

რუსეთის იმპერატორებმა ქართველ ერს წაართვეს სუვერენული უფლებები და საქართველოს მეფეებს – ღვთისგან ბოძებული ხელმწიფობა. რუსულმა ხელისუფლებამ თავიდანვე მიზნად დაისახა სახაზინო მიწის ფონდის შექმნა, რათა ოპოზიციაში ჩამდგარ უფლისწულებსა და თავადაზნაურობას მემამულეობითაც დაპირებოდა, საქართველოს უშუალო მწარმოებელი მოსახლეობა ექსპლუატაციის ობიექტად გადაექცია.

რუსმა მოხელეებმა ქართლ-კახეთის მიერთების მანიფესტის გამოცხადების მეორე დღესვე დაიწყეს ქვეყნის მიწა-წყლის აღწერა: ტყეების, საძოვრების, სახნავ-სათესი მიწებისა და ბაღ-ენრახების რუსეთის სახელმწიფო ხაზინის უწყებაში მოქცევა. რუსული ხელისუფლება იმთავითვე დაეუფლა ქართლ-კახეთის მეფისა და უფლისწულების მიწებს. მალე ამას მიემატა ანტირუსულ აჯანყებებში მონაწილეობისათვის დასჯილ თავადაზნაურთა მამულები. მითვისებულ მიწა-წყალზე მცხოვრები, მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიმდევარი სახასო და საბატონო გლეხები რუსეთის სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებად გამოაცხადეს და დაბეგრეს. იმერეთის ოკუპაციის შემდეგ ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა ამ კუთხის მოსახლეობის ზედაფენა და გლეხობა. XIX ს-ის 20-30-იანი წლების მიჯნაზე რუსულმა ხელისუფლებამ თავის ექსპლუატაციის ობიექტად გადააქცია გურიის მოსახლეობის დიდი ნაწილი. 50-60-იან წლებში კი რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ მითვისა გაუქმებული სამთავროების – სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის მიწა-წყლის დიდი ნაწილი, თავის კაბალაში მოაქცია აქაური გლეხობა. რუსმა მოხელეებმა ქართველ მთიელთა სათემო მფლობელობაში მყოფი მიწები უპატრონოდ მიიჩნიეს, ფაქტობრივად მოახდინეს თავისუფალი სვანეთის, მთა რაჭის, მთიულეთის, ხევის, ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის მოსახლეობის ექსპროპრიაცია, თავისუფალი მთიელები რუსეთის ხაზინის ყმა-გლეხებად გამოაცხადეს. ამ ძალადობას მთიელებმა პროტესტით უპასუხეს. 1875-1876 წლებში სვანებმა აჯანყების ცეცხლიც დაანთეს, მაგრამ რუსულ ხელისუფლებას დაპყრობით-კოლონიური პოლიტიკის მიმართულება არ შეუცვლია, ბარის ქართველი გლეხების მსგავსად, მთიელებიც თავის საექსპლუატაციო ობიექტად გადააქცია, სახელმწიფო გადასახადებით დაბერგა.

რუსულმა ხელისუფლებამ ქართველ თავადაზნაურთა დიდი ნაწილი დაინდო, ყმა-მამული საკუთრებაში დაუტოვა, მიზნად დაისახა მათი გადაქცევა თავის საყრდენ სოციალურ ძალად. გარკვეულ იმედს ამყარებდა მეტროპოლია – აგრეთვე ქართველ სამღვდელოებაზე, მაგრამ მისი მოთვინიერება-დაქვემდებარების სხვაგვარი მეთოდი შეარჩია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1811 წელს რუსეთის იმპერატორმა ბრძანა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, მისი რუსული სინოდისადმი დაქვემდებარება. ერთხანს რუსული ხელისუფლება ურიგდებოდა ქართველი სამღვდელოების საკუთრების უფლებას. 1837 წელს კი რუსეთის სინოდმა იმპერატორის წინაშე დასვა საქართველოს ეკლესიის მამულებისა და ყმა-გლეხების ხაზინის გამგებლობაში გადაცემის საკითხი. ამ ღონისძიების გატარება თითქოს იმიტომ მიაჩნდათ საჭიროდ, რომ ქართველი სამღვდელოება გაეთავისუფლებინათ ყმა-მამულის მართვაზე ზრუნვისაგან, გაეადვილებინათ მისთვის სარწმუნოებრივ-სულიერი მოვალეობის შესრულება. მეტროპოლიის ხელისუფლების ნამდვილი მიზანი კი იყო – მოექცია ქართველი სამღვდელოება თავის ეკონომიკურ დამოკიდებულებაში, გადაექცია იგი რუსეთის სინოდისა და ადმინისტრაციული აპარატის მორჩილ იარაღად. მაგრამ იმ მომენტში გაიხსენეს იმერეთში 1819-1820 წლებში აგორებული „საეკლესიო ბუნტი". კოლონიზატორებმა იეარაუდეს, რომ ამგვარი „რეფორმის" გატარება ქართველი სამღვდელოების უკმაყოფილება-პროტესტს გამოიწვევდა და სინოდის

წინადადების განხილვა-რეალიზაცია ხელსაყრელ მომენტამდე გადადეს. ბრძანება-დადგენილება აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მამულების ხაზინის გამგებლობაში გადაცემის შესახებ ძალაში შეეიდა 1852 წელს. ამ დროიდან ხსენებული მამულების შემოსავალი ხაზინაში შედიოდა, ხოლო სამღვდელოებას ხელფასის სახით ყოველწლიურად ეძლეოდა 72053 მანეთი.

ამგვარმა „რეფორმამ" რუს მოხელეთა აზრით, მთავრობისათვის სასურველი ნაყოფი გამოიღო; ქართველი ეპისკოპოსები, მღვდლები და ბერები რუსული ხელისუფლების სრული კონტროლის ქვეშ აღმოჩნდნენ. მაგრამ რუსეთის იმპერატორმა მიზანშეწონილად მიიჩნია 1852 წ. 5 ნოემბრის აქტის შემდგომი გაგრძელება-განვითარება, საქართველოს ეკლესიის მამულების სახელმწიფო ხაზინის სრულ საკუთრებად გადაქცევა. ბატონყმობის გაუქმებისა და სხვა ბურჟუაზიული რეფორმების გატარების შემდეგ, რუსულმა ხელისუფლებამ საეკლესიო მამულებისა და ამ მიწაზე მოსახლე გლეხთა საკითხი თავის სასარგებლოდ, კოლონიურ-რუსიფიკატორული გეგმის შესაბამისად გადაწყვიტა.

1869 წ. 13 ნოემბრის უმაღლესი ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის დასახლებული და დაუსახლებელი მამულები – 136 ათასი დეს. ტყე, საძოვრები, სახნავ-სათესი მიწები, წისქვილები და სხვა ქონება რუსეთის სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა. საეკლესიო გლეხებს საზეიმოდ გამოუცხადეს, რომ ისინი განთავისუფლებული არიან „ეკლესიის ყმობისაგან" და ენიჭებათ სახელმწიფო გლეხთა უფლებები. ყველა საეკლესიო გლეხი დაიბეგრა სახელმწიფო საკომლო გამოსაღებით. მაგრამ მათ მუდმივი სამფლობელო მიწა არ გამოეყოფოდათ. გლეხთა ფაქტიურ მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთები შეიტანეს ე. წ. საღალად გასაცემი მიწების კატეგორიაში და მათსავე სარგებლობაში დატოვეს უვადო საიჯარო პირობებით[1]. ასე, რომ ყოფილი საეკლესიო გლეხებს ერთი და იგივე მიწის ნაკვეთებით სარგებლობისათვის ახლა ეინებდნენ როგორც სახელმწიფო საკომლო გამოსაღებს, ისე საიჯარო ქირას. ორმაგმა რენტა-გადასახადმა, ბუნებრივია, გლეხთა უკმაყოფილება გამოიწვია, ადმინისტრაციული დაწესებულებები საჩივრებით აივსო. მთავრობის მოხელეები იძულებული გახდნენ „აღმოეხილათ დაშვებული შეცდომა". ძალიან დაგვიანებით რუსულმა ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება, რომ ყოფილ საეკლესიო გლეხებს მათ სარგებლობაში მყოფი მიწები მიმაგრებოდა ნადელებად, ხოლო უკანონოდ, 35 წლის განმავლობაში აკრეფილი ღალა, ნათელოდათ მომავალ გადასახადებში[2].

რუსულ ხელისუფლებას არც დასავლეთ საქართველოს სამღვდელოება და გლეხობა დაუტოვებია „უყურადღებოდ". სპეციალურად გამოყოფილმა კომისიამ დაადგინა, რომ იმერეთისა და გურიის სამღვდელოების საკუთრებაში იყო 6600 კომლი გლეხი, 13800 დეს. სახნავი მიწა, 9420 დეს. ტყე, 1704 დეს. ბაღ-ვენახი და მრავალი დაუსახლებელი მიწის ნაკვეთი, რომელიც იჯარით გაიცემოდა ხოლმე. ალექსანდრე მეორემ ყოველივე ეს არქაულ მოელენად მიიჩნია და 1871 წ. 4 მარტს ბრძანა: 1) იმერეთისა და გურიის საეკლესიო მამულები გადაეცეს სახელმწიფო ხაზინას; 2) საეკლესიო გლეხებს მიენიჭოთ სახელმწიფო გლეხთა უფლებები და გადაეცეს მიწის ნაკვეთები; 3) იმერეთისა და გურიის სამღვდელოებას ხაზინის მიერ დასაკუთრებული მამულების საზღაურათ დაენიშნოს ყოველწლიური 30.000 მანეთი[3].

1880 წელს მოხდა სამეგრელოს სამღვდელოების მამულთა ხაზინისათვის გადაცემა. სამეგრელოს ეპარქიას საზღაურის სახით ყოველწლიურად ეძლეოდა 20 ათასი მანეთი[4].

რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ დაისაკუთრა საქართველოს მიწის ფონდის ნახევარზე მეტი, თითქმის 3 მლნ დესეტინა სახნავ-სათესი, ტყე, საძოვარი და სხვა საკარგულები. მის ეკონომიკურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა 70-80 ათასი კომლი გლეხი.

სახელმწიფო-სახაზინო მიწებისა და გლეხობის ექსპლოატაციის ფორმები. XIX ს-ის 40-იან წლებამდე სახელმწიფო ქონებას განაგებდა მთავარმმართველის კანცელარია და სპეციალურად შექმნილი სახაზინო ქონებათა ექსპედიცია. 1841 წელს ამიერკავკასიაში სახაზინო ქონების მართვა-გამგეობისათვის დაარსდა სახაზინო ქონებათა ორი პალატა – თბილისისა და შემახის. 1848 წ. სახაზინო მიწები გადავიდა საგუბერნიო სამმართველოთა გამგებლობაში. 1868 წელს კავკასიის სამეფისნაცვლოში დაარსდა სახელმწიფო ქონებათა სამმართველო. 1883 წ. ამიერკავკასიაში მდებარე სახელმწიფო მიწები გადავიდა რუსეთის მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მართვა-გამგებლობაში. მხარეში დაინიშნა მინისტრის რწმუნებული, ხოლო გუბერნიებში ჩამოყალიბდა სახაზინო ქონებათა სამმართველოები. ამ საერთო წესიდან გამონაკლისს შეადგენდა ბათუმ-ყარსის ოლქებისა და სოხუმ-ზაქათალის ოკრუგებში არსებული მიწები, რაც დროებით დატოვეს ადგილობრივ ადმინისტრაციათა გამგებლობაში.

რუსეთის მთავრობას სახელმწიფო გლეხები თავის საექსპლუატაციო ობიექტად მიაჩნდა. სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა საჭიროდ ჩათვალა სამხრეთ კავკასიაში დადგენილ-გარკვეულიყო: სახელმწიფო გლეხთა რაოდენობა, მათი მიწათუზრუნველყოფის მდგომარეობა, გლეხთა უფლება სახაზინო საძოვრებსა და ტყეებზე, თავისუფალი სახაზინო მიწის ფართობი; და რაც მთავარია, წესრიგში მოეყვანათ საგადასახადო სისტემა, გაეზარდათ სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი. ამ მიზნით გამოიყო ფინანსები, შედგა კომისიები. მდგომარეობა შეისწავლეს ადგილებზე – მაზრებში. დაიწერა კონკრეტული გამოკვლევები. ამ მასალებში დაფიქსირდა, რომ საქართველოში ითვლებოდა 70 ათას კომლამდე სახელმწიფო გლეხი, მათ გამოყოფილი ჰქონდათ 956 ათასამდე დესეტინა მიწა, მაგრამ რამდენიმე ათას კომლს სულ არ გააჩნდა სახაზინო მიწა, ხოლო ბევრი ულობდა კომლზე მხოლოდ 1-2 დესეტინა ნაკვეთებს.

სახელმწიფო გლეხები იბეგრებოდნენ სახელმწიფო, საერობო და საზოგადოებრივი ხასიათის გადასახადებით. თბილისის გუბერნიის მკვიდრი გლეხები კომლზე იხდიდნენ 13,75 მანეთს, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი – 10,36 მანეთს. მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფო გლეხებს საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა. 1889-1897 წწ. სახელმწიფო გლეხები გზების შეკეთებასა და ტვირთების გადაზიდვაზე ყოველწლიურად ეწეოდნენ 400-500 ათასი მანეთის შრომასა და ხარჯს[5].

კომუნისტური რეჟიმის ბატონობის დროს ქართველი ისტორიკოსები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ლენინის მიერ ჩამოყალიბებული დებულება იმის შესახებ, რომ რუსეთის ცარიზმმა სამხრეთ კავკასია და კერძოდ საქართველო პოლიტიკურად დაიპყრო XIX ს-ის პირველ ნახევარში, ხოლო მომდევნო ხანაში შესძლო მისი ეკონომიკური დაპყრობა. ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებული სტატისტიკური ცნობები და სხვა მასალა ცხადყოფს, რომ რუსეთი, მეტროპოლია საქართველოს და მთელ სამხრეთ კავკასიას თავიდანვე იპყრობდა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად, მიზნად ისახავდა მის კოლონიურ-ეკონომიკურად ათვისებას, რუსეთის მრეწველობის ნედლეულის ბაზად და მეტროპოლიის საქონლის გამსაღებელ ბაზრად გადაქცევას. რუსეთის სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში რომ აღმოჩნდა საქართველოს მიწის ფონდის ნახევარზე მეტი, მის სოციალურ დაქვემდებარებაში კი გლეხური მოსახლეობის თითქმის ნახევარი, ეს მარტო ქვეყნის ტერიტორიის კოლონიურ ათვისებას კი არ აადვილებდა, ხელს უწყობდა აგრეთვე რუსეთის დემოგრაფიულ ექსპანსიას და ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ასიმილაციას, რუსიფიკაციის პოლიტიკის რეალიზაციას.

საქართველოს მოსახლეობა უბრძოლველად როდი თმობდა თავის საცხოვრის ტერიტორიას, თავგამოდებით იცავდა ეროვნულ ნიშან-თვისებებს, ტრადიციულ ცხოვრების წესს. რუსი მოხელეები უფრო ხშირად შიშველი ძალით თრგუნავდნენ პროტესტანტულ ძალებს, ზოგჯერ მშვიდობიან მეთოდებს იყენებდნენ, კომპრომისული ხასიათის რეფორმებს ატარებდნენ. არც იმას ერიდებოდნენ, რომ

„დაჩყვე და იბატონეს“ დოქტრინა მარტო ეროვნებათა დარიბისპირების კი არა, სოციალური ურთიერთობის სფეროშიც გამოეყენებინათ.

როგორც აღვნიშნეთ, 1802-1820 წლებში ოთხი ფართო მასშტაბიანი ანტირუსული აჯანყება მოხდა. საქართველოს მოსახლეობის ყველა კლასი და სოციალური ფენა მხარდამხარ იბრძოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. რუსმა მოხელეებმა ეს კარგად შეამჩნიეს და მიზნად დაისახეს ქართველთა ერთიანი ბანკის დაშლა, მაღალ და დაბალ სოციალურ ფენებს შორის წინააღმდეგობათა ჩვეულებრივზე მეტად გამწვავება. ჯერ ქართველ თავადაზნაურობას მოეფერნენ. მისცეს მას ყმა-გლეხთა გადამეტებით დაბეგვრის, ურჩი ყმების გარეზგვისა და ციმბირს გადასახლების უფლება. 1832 წელს შეთქმულთა საზოგადოების განადგურების შემდეგ თითქოს გლეხობას გამოესარჩლნენ, ნება დართეს მებატონეთა წინააღმდეგ საჩივარი აღეძრათ. რუსული სასამართლოს მეშვეობით დაეღწიათ თავი ყმობისათვის, მოეპოვებინათ თავისუფლება. მალე ისევ თავადაზნაურობის მხარეს გადაეიდნენ. XIX ს-ის 60-იან წლებში კი კომპრომისული რეფორმა გაატარეს. გლეხობას, მართალია პირადი თავისუფლება მიანიჭეს, მაგრამ მემამულეთა ეკონომიკურ დამოკიდებულებაში დატოვეს. აგრარული რეფორმის შედეგად შექმნილი „დროებითვალდებულების ინსტიტუტი“ ნაბატონევთა და ნაყმევთა გამწვავებულ ურთიერთობათა საფუძვლად გადაიქცა, რაც რუს მოხელეთა აზრით, ძირს უთხრიდა ქართველთა ეროვნულ ერთიანობას, ასუსტებდა გამათავისუფლებელ მოძრაობას.

რუსული ხელისუფლება სხვაგვარად მოქმედება აფხაზეთში. მართალია, მან აფხაზეთის ავტონომიური სამთავრო გააუქმა, რამაც არა მარტო შერეაშიძეთა, სხვა თავადაზნაურთა, არამედ, საერთოდ, აფსუათა ტომის უკმაყოფლება გამოიწვია და მუჰაჯირთა პირველი ნაკადი გადატყორცნა ოსმალეთში. მაგრამ რუსმა მოხელეებმა მიზნად დაისახეს აფსუათა მოთვინიერება, მათი ქართველებისადმი დაპირისპირება. ამ მიზანს დაუქვემდებარეს აფხაზეთში გატარებული აგრარული რეფორმა. 1870 წ. 8 ნოემბრის კანონ-დებულების ძალით მიწა საკუთრებაში ეძლეოდა როგორც თავადაზნაურობას, ისე მათზე პირადად დამოკიდებულ გლეხობას. მაგრამ კომლთათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და საკუთრებაში დამტკიცების პროცესი რამდენიმე წელი გაჭიანურდა. ამასობაში დაიწყო (1877 წ.) რუსეთ-ოსმალეთის ომი. ამ დროს აფსუები ჯერ კიდევ არ იყვნენ მოთვინიერებული რუს მოხელეთა მიერ და ისინი ოსმალურ ორიენტაციაზე დადგნენ, ანტირუსული აჯანყების ცეცხლი დაანთეს. რუსულმა ხელისუფლებამ რეპრესიებს მიმართა. აფსუათა ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა (მუჰაჯირთა მეორე ნაკადი). აღგილზე დარჩენილ აფსუებს რუსულმა ხელისუფლებამ კარგა ხნით მიაკერა „დამნაშავის“ იარლიყი და 1880 წლის 16 ივნისის ბრძანებით ჩამოართვა მიწაზე საკუთრების უფლება. გუდაუთის, გუმისთისა და კოდორის საპოლიციო უბნის გლეხობა ფაქტიურად რუსეთის ხაზინის ეკონომიკურ-სოციალურ დაქვემდებარებაში მოაქცია, ყოველწლიურად არომეედა სახელმწიფო გამოსაღებსა და მიწის რენტას 40-50 ათასი მანეთის ოდენობით[6].

1883 წელს სოხუმის ოლქში მდებარე სახაზინო მიწები ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის გამგებლობიდან გადავიდა რუსეთის სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უწყებაში. სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს გამგებლობაში მოექცა, კერძოდ, სოხუმის ოკრუგის მთატეიანი და მთასაძოვრიანი ტერიტორია – 367711 დესეტინის ოდენობით. მასვე გადაეცა წებელდის უბნის სხვადასხვა საკარგულებისაგან შემდგარი 66 ათასი დესეტინა მიწა. ამ სავარგულებით სარგებლობის საზღაურად გლეხობას მძიმე გადასახადები დააკისრეს[7].

ხაზინის ხელში დაუსახლებელი და გაუკაცრიელებელი მიწებიც ბევრი აღმოჩნდა. ასევე ნაკვეთებზე რუსი მოხელეები საჯარო ეაჭრობას აცხადებდნენ, იჯარით სცემდნენ მსურველებზე და თანდათან ზრდიდნენ სახელმწიფო ხაზინის

შემოსავალს. სახაზინო მიწის იჯარით აღების მსურველთა შორის ბევრნი იყვნენ მეგრელი უმიწაწყლო გლეხები. 1879 წელს მარტო ოჩამჩირის უბანში აღირიცხა 800 კომლი მოიჯარე გლეხი. მალე ამის შემდეგ მთავრობამ შეიმუშავა აფხაზეთის რუსული ელემენტით კოლონიზაციის პროექტი და ქართველ გლეხებზე მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა და მათ მკვიდრ მცხოვრებლებად აღიარება აკრძალა.

მიუხედავად აღმოცენებული დიდი სიძნელეებისა, მეგრელი გლეხები მიწისათვის ბრძოლას აგრძელებდნენ. აფხაზეთის მკვიდრი და ზუგდიდი-სენაკის მაზრებიდან ჩამოსულნი იჯარით იღებდნენ ხაზინისა და მემამულეთა მიწებს. 1883 წელს ასეთი გადმოსახლებული 109 ოჯახის რწმუნებული ბიტყუ ფაჩულიამ კავკასიის მთავარმმართველ დონდუკოვ-კორსაკოვის სახელზე გაგზავნა ასეთი თხოვნა: „მე და ჩემი მარწმუნებლები დიდი ხანია ვემუდარებით მთავრობას დაგვასახლოს სოხუმის ოკრუგში, სადაც თავისუფალი მიწები ბევრია, ჩვენი მდგომარეობა კი აუტანელი. ადრე თხოვნით მივმართეთ მეფისნაცვალს (მიხეილ რომანოვს), თქვენს აღმატებულებას, სამხედრო-სახალხო მმართველობის უფროსს და სოხუმის ოკრუგის უფროსსაც, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ. ერთხელ კიდევ და უკანასკნელად ვბედავთ თქვენს შეწუხებას. გთხოვთ დააკმაყოფილოთ ჩვენი თხოვნა და გადაგვარჩინოთ შიმშილით სიკვდილისაგან"[8].

1901 წლისათვის სოხუმის ოკრუგში ითვლებოდა რუსული ხელისუფლებისაგან არაღიარებული, ე. წ. დროებითი მცხოვრები: გუდაეის სასოფლო-საზოგადოებაში – 76 კომლი, რეპოშოშილეთში – 117 კომლი, გალში – 178 კომლი, ნაბაკევში – 184 კომლი[9]. ეს ოჯახები უკვე დაბეგრილი იყვნენ სახელმწიფო გადასახადებით, იხდიდნენ მიწის საიჯარო ქირასაც, მაგრამ რუსი მოხელეები არ აღიარებდნენ მათ სოხუმის ოკრუგის მკვიდრ მაცხოვრებლად. ამგვარ მოიჯარე გლეხებს ისინი დროებით მოსულებად სთვლიდნენ. შავიზღვისპირეთის ნაყოფიერ მიწებზე კი ეპატიჟებოდნენ რუს კოლონისტებს, მზად იყვნენ ისინი გადაეჭციათ აფხაზეთის მკვიდრ მაცხოვრებლად. რუსი მოხელეები ქართველებზე გაცილებით მეტ პრივილეგიებს ანიჭებდნენ დასავლეთ ევროპელ ბიზნესმენებს, არაფრით არ აბრკოლებდნენ მათ მიერ შავიზღვისპირეთში და სხვაგან მიწების შესყიდვას, მეურნეობის გამართვას. რუს მოხელეებს აფხაზეთში შემოსელა არც ოსმალეთიდან დაძრულ ბერძენი და სომეხი მეთამბაქოებისათვის გაუძნელებიათ. ისინი საიჯარო ხელშეკრულებათა საფუძველზე ჰკიდებდნენ ხელს თამბაქოს პლანტაციათა გაშენების საქმეს.

1905 წელს სოხუმის ოკრუგის (აფხაზეთის) მოსახლეობა შეადგენდა 113240 სულს. აქედან აფსუა იყო 40978, რუსი – 3419, ბერძენი – 4946, სომეხი – 6313, თურქი – 935, ესტონელი, ლატვიელი და ბულგარელი – 800, ქართველი (ძირითადად მეგრელი) – 53700 სული, საიდანაც 9097 აფხაზეთში ჩამოსახლებული იყო 1879 წლის შემდეგ და რომლებსაც რუსი სტატისტიკოსები დროებით შემოსულის სტატუსით აფიქსირებდნენ.

1877-1878 წწ. ომში რუსეთის იმპერიამ ოსმალეთი დაამარცხა. სანსტეფანოს საზავო ხელშეკრულების ძალით გამარჯვებულის ხელში გადმოვიდა აჭარა, შავშეთი, იმერხევი, არტაანი, ოლთისი. ქართველი მაჰმადიანებით დასახლებულ ამ ტერიტორიაზე უკვე განმტკიცებული იყო მიწათმფლობელობისა და საადგილმამულო ურთიერთობების თურქული წესები. ყურანის თანახმად მიწის ფონდის უზენაესი მესაკუთრე იყო სულთანი. სახელმწიფოს ეს მეთაური, ლენური სისტემის შესაბამისად, სამსახურის პირობით მიწებს აძლევდა ფაშებს, ბეგებსა და სხვა მაღალი წოდების მოხელეებსა და ქვეშევრდომებს. თავის მხრივ ლენის მფლობელი, საშინაო საბუთის – თაფუს საფუძველზე, მიწის ნაკვეთებს იჯარით სცემდა უშუალო მწარმოებელ გლეხებზე. XIX ს-ის 50-იან წლებში ოსმალეთის მთავრობამ გაატარა აგრარული რეფორმა. ახალი კანონ-დებულების თანახმად თურქ მოხელე ფეოდალებს ჩამოერთვათ სამხედრო ლენები (მამულები) და მას-

თან ერთად თაფუს გაცემის შესაძლებლობაც. ამის შემდეგ უძრავ ქონებაზე მფლობელობის უფლების გასცემდა მხოლოდ სულთანი და მისი მთავრობა. მიწის მფლობელობის აქტს ის მიიღებდა, ვინც საჯარო ვაჭრობის დროს ყველაზე მეტ თანხას გაიღებდა. ოსმალეთში, თაფუს უფლებით, მიწას ეპატრონებოდნენ თითქმის მხოლოდ მოსახლეობის ზედაფენები. გლეხობას თაფუს შეძენისა და სამფლობელო მიწის ნაკვეთის დაპატრონების საშუალება არ გააჩნდა. როგორც წესი, უშუალო მწარმოებელნი მიწის საკარგულებს იჯარით იღებდნენ თაფუს მფლობელისაგან[10].

რუსეთის ცარიზმმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა მუსლიმანური ოსმალეთის იმპერიის ოფიციალური კანონი სულთნის, ვითარცა უზენაესი მესაკუთრის შესახებ და ახლად შემოერთებულ მიწებზე სულთანის მემკვიდრედ რუსეთის იმპერატორი და სახელმწიფო ხაზინა გამოაცხადა. მკვიდრ მოსახლეობას მიწის ნაკვეთები, მართალია, მფლობელობა-სარგებლობაში დაუტოვეს, მაგრამ აკრძალეს მიწის ყიდვა-გაყიდვა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. განაწყენებულნი 1888 წელს ალექსანდრე მესამეს სწერდნენ: „უკვე ათი წელი გავიდა, რაც შემოგვედით რუსეთის ქვეშევრდომობაში და აქამდე მიწათმფლობელობის წესებში თითქმის არაფერი შეცვლილა. მხოლოდ ერთ რამეში ეხედვით დაბრკოლებას, კერძოდ ძალიან გვაწუხებს მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა. მამულები და მიწის ნაკვეთები ან მემკვიდრეობით გვაქვს მიღებული, ან ყიდვის გზით. ვთხოვეთ თქვენს უზენაესობას ნუ შელახავენ ჩვენს უფლებებს. შეგვინარჩუნდეს მიწა და მოგვეცეს მისი ყიდვა-გაყიდვის უფლება“[11].

ასეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მთავრობის პოლიტიკას, სამოქმედო გეგმას. იგი ბათუმის ოლქშიც მიზნად ისახავდა სახაზინო მიწის ფონდის გაზრდას. 1888 წ. 14 ივნისის კანონი ამ რეგიონზეც გავრცელდა. კიდევ მეტი, 1893 წელს მოვიდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ახალი ბრძანება, რომლის მიხედვითაც რუსეთის სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში უნდა გადასულიყო მოსახლეობის მფლობელობა-სარგებლობაში მყოფი ყველა ის მიწის ნაკვეთები, რომელზეც მათ არ გააჩნდათ საკუთრების დოკუმენტები. იმის გამო, რომ დიდ უმრავლესობას არა თუ საკუთრების, არამედ მფლობელობის დოკუმენტებიც კი არ გააჩნდა, ზემოთ ნახსენებმა ბრძანებამ და საადგილმამულო კომისიების მუშაობამ მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ამიერკავკასიის მთავარმმართველმა იკარაუდა, რომ მიწათმფლობელთა უკმაყოფილება ანტირუსულ მოძრაობაში გადაიზრდებოდა და უსენაეს ხელისუფლებას დათმობაზე წასვლა ურჩია. იგი აღნიშნავდა, რომ 1893 წლის ბრძანების საფუძველზე აგრარული საკითხის გადაწყვეტა დაუშვებელია. ბათუმის ოლქში, მიწისმფლობელობის წესები საკმაოდ ზუსტად რეგულირდება ადგილობრივი ადათწესებით, რასაც ანგარიშს უწევდა თურქეთის მთავრობა და რუსული ხელისუფლებაც. ახლა ჩვენ ვარღვევთ ამ ადათწესებს და მის საფუძველზე არსებულ მიწათმფლობელობას, რაც ბუნებრივია, იწვევს მოსახლეობის პროტესტს. ადგილობრივი მოსახლეობის მფლობელობაში მყოფი მიწების რუსეთის სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში გადაცემა სიტუაციას უკიდურესად გაამწვავებსო[12].

ამიერკავკასიის მთავარმმართველის ეს გაფრთხილება არაფრად ჩააგდეს რუსული უსენაესი ხელისუფლების მოხელეებმა. საკითხის მოსახლეობისათვის არასასურველად გადაჭრის საქმეში კიდე უფრო აქტიურობდა სახაზინო ქონებათა ქუთაისის საგუბერნიო სამმართველო. მისი უფროსი არ დაემორჩილა მთავარმმართველის ნებას და მოუწოდებდა უსენაეს მთავრობას „დაეცვა სახელმწიფო მიწის ფონდი მიმტაცებლებისაგან“. ეს მიწები შენარუნჩებული უნდა იქნესო სახელმწიფოს საკუთრებაში, როგორც მხარის მოსახლეობაზე ‘სემოქმედების საუკეთესო საშუალება[13].

ეს ზეწოლა კი ხშირად მთავრობისათვის სასურველ შედეგს როდი იძლეოდა, უკმაყოფილება, სანიერები და ექსცესები გრძელდებოდა. მიუხედავად ამისა,

მთავრობა აგრძელებდა ამ სფეროში აშკარა დიდმპყრობელურ-შოვინისტურ და კოლონიურ პოლიტიკას. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ხაზინამ ჩაიბარა დაუსახლებელი მიწები – ალპური ტყეები და საძოვრები, დაიწყო დასახლებული მამულების გადარიცხვა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უწყებაში. ბათუმისა და ართვინის ოკრუგთა მკვიდრ მცხოვრებთა საკუთრების უფლება ხელუხლებელი დატოვეს მხოლოდ ორი კატეგორიის (მულქი და ვაყუფი) მიწაზე. მულქის კატეგორიაში შედიოდა ეზო და ბაღ-ენახები. ვაყუფის კატეგორიას კი განეკუთვნებოდნენ მუსლიმანური ეკლესიის მიწები, რასაც რუსული ხელისუფლება არ შეეხო და მუსლიმანურ სამღვდელოებას დაუტოვა საკუთრებაში, რათა იგი გამოეყენებინა მართლმადიდებელ ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში, „დაჰყვე და იბატონეს" დოქტრინის მეშვეობით განემტკიცებინა რუსული ხელისუფლება ამ რეგიონში. ყველა დანარჩენი მიწები მოაქციეს ერაზი მირიეს კატეგორიაში, რომელიც სახაზინოდ გამოცხადდა და დაუქვემდებარეს სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს მოხელეთა გამგებლობას.

XIX ს-ის მიწურულს ართვინის ოკრუგის 50 ათასიანი მოსახლეობის სარგებლობასა და საკუთრებაში რჩებოდა 74125 დეს. მიწა, 231487 დეს. უკვე გადასული იყო რუსეთის სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში. ბათუმის ოკრუგში აღრიცხეს 345594 დეს. მიწა, რომლის უდიდესი ნაწილი სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად იყო გამოცხადებული, მცირე რჩებოდა გლეხობის სარგებლობაში და მხოლოდ 13500 დეს. დამტკიცებული ჰქონდა საკუთრებად სხვადასხვა (უპირატესად რუსებსა და უცხოელებს) პირებს[14].

რუსეთის სახელმწიფო ბანკის აგრარულ-საკრედიტო ოპერაციები საქართველოში. ქართველი საზოგადოება გარკვეული იმედით შეხვდა რუსეთის სახელმწიფო საგლეხო ბანკის დაარსებას და მხარი დაუჭირა მისი საკრედიტო ოპერაციების ამიერკავკასიაზე გავრცელებას. კახეთის მევენახეთა ყრილობაზე განაცხადეს, რომ რეგიონის მიწათმოქმედებაში შრომის ნაყოფიერება ძალიან დაბალია. ამის მიზეზი საკმარისზე მეტია, მაგრამ მდგომარეობას უკეთესობისაკენ შეცვლისო გლეხობისათვის იაფი საიპოთეკო კრედიტის გახსნა. ბანკებში ბევრი მამულებია დარჩენილი. მიზანშეწონილია ამ მიწების წვრილ ნაკვეთებად დაყოფა და ბანკის მეშვეობით მიწების გლეხებზე განვადებით გაყიდვა. მესაკუთრე გლეხები კი რეგიონს აავსებენ ვენახებით, ბაღებით, ბამბის პლანტაციებით. ცოტა მოგვიანებით იმავე საკითხზე ცნობილი საზოგადო მოღვაწე ე. გოგიჩაიშვილი წერდა: „ყოველი ზომა ანუ საშუალება, რომელიც ხელს უწყობს საიჯარო ქირის დაწევას და მიწათმოქმედის მესაკუთრედ გადაქცევას, უნდა ჩაითვალოს ხალხის უმრავლესობისათვს სასარგებლოდ. ერთ ასეთ საშუალებად მიმაჩნია საგლეხო ბანკის განყოფილების დაარსება ჩვენში, მიზანი საგლეხო ბანკისა, რომელიც 20 წელია რუსეთში არსებობს, მდგომარეობს იმაში, რომ გლეხს მიწის შეძენაში დაეხმაროს. ამისათვის იგი აძლევს მას სესხს მცირე სარგებლით მიწის საყიდლად"[15].

ფ. გოგიჩაიშვილმა სწორედ მიუთითა რუსეთში არსებული სახელმწიფო საგლეხო ბანკის დანიშნულების და მოქმედების დადებით მხარეზე, მაგრამ ის არ იცოდა, რომ რუსეთის მთავრობა და მოხელეები ამ ბანკის ამიერკავკასიაში გახსნილ განყოფილებას კოლონიურ მიზნებს უსახავდნენ; 1898 წ. 6 აგვისტოს ამიერკავკასიის მთავარმმართველი გოლიცინი რუსეთის ფინანსთა მინისტრს მოახსენებდა: „ვცდილობ რა შევასრულო უმაღლესი მითითება ამიერკავკასიაში რუსული ელემენტის გამრავლება-გაძლიერების შესახებ, მე ვაწყდები დაბრკოლებას იმ მხრივ, რომ თავისუფალი მიწების მარაგი აქ მეტისმეტად მცირეა, ... მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ რუსების დასასახლებლად გამოვიყენოთ კერძო მფლობელთა მიწები. ამ საკითხის გადაჭრა იმით ადვილდება, რომ მიწა თანდათან გადადის თავადაზნაურთა ხელიდან ვაჭარ-მრეწველთა ხელში. ამ პროცესის შესაჩერებლად, მართალია, გაიხსნა სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის გან-

ყოფილება, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. დაგირავებული მიწების სომეხ ეკჰართა ხელში გადასვლა გრძელდება".

ამიერკავკასიის პრივილეგიურ წოდებას, რაკი არ შეუძლია მამულების შენარჩუნება, – აგრძელებს შემდეგ მთავარმმართველი, – სახელმწიფოებრივი აუცილებლობა ითხოვს, რომ მათი მიწები გადავიდეს რუსების ხელში, აქაურ თავადაზნაურთა მამულებზე შეიქმნას რუსთა კოლონიები. ამ გეგმის განხორციელების ყველაზე მოხერხებული ფორმა იქნებოდა გახსნა სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილებისა, რომელიც თავის სახსრებით შეისყიდდა თავადაზნაურთა მიწებს და შემდეგ გაყიდდა აქ ორგანიზებულად ჩამოსახლებულ რუსებზე – გოლიცინის აზრით, შესყიდეთი ოპერაციებისათვის თავდაპირველად გამოყენებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკში დაგირავებულ-დარჩენილი მამულები, რომელიც გადაეცემოდა საგლეხო ბანკის ახლად გახსნილ განყოფილებას კოლონიზაციის საჭიროებისათვის. ეიმედოვნებ თქვენო აღმატებულებავ, – წერდა ბოლოს მთავარმმართველი, – რომ აღძრავთ შეამდგომლობას იმპერატორის წინაშე, რათა ამიერკავკასიაში გაიხსნას სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილება მხოლოდ და მხოლოდ რუსული კოლონიზაციის მიზნებისათვის[16].

სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილება ამიერკავკასიაში გაიხსნა 1906 წელს, როცა პირველი რევოლუცია ისევ გრძელდებოდა და ამიტომ შეუძლებელი იყო მისი გამოყენება მხოლოდ რუსული კოლონიზაციის მიზნებისათვის. რუსული ხელისუფლება იძულებული გახდა მცირე კრედიტები გაეცა ადგილობრივ გლეხებზე. მიუხედავად ამისა ბანკის ძირითად ამოცანად რუს კოლონისტებისათვის საჭირო მიწის შესყიდვა რჩებოდა.

ქართველ თავადაზნაურობას იმედი მიეცა, რომ სახელმწიფო საგლეხო ბანკის მეშვეობით მაღალფასებში გაყიდდა ადგილმამულს. მათ თხოვნა-განცხადებით ააცილეს განყოფილების გამგეობა, 1906-1908 წლებში მას შესთავაზეს ეყიდა 560 ათასი დესეტინა მიწა. ბანკის გამგეობამ დაადგინა თავისთვის შეესყიდა 492 ათასი დესეტინა, ადგილობრივ გლეხობას კი დახმარებოდა 62 ათასი დეს. მიწის შეძენაში[17]. „ამირანის" რედაქციამ გამოიცნო რუსეთის მთავრობისა და რუსი ბანკირების მიზანი. აღნიშნა, რომ ბანკი ცდილობს თავის ხელში დააგროვოს მიწა და მოუცადოს სასურველ მყიდველს. ბანკისა და მთავრობის სურვილი კი ამ მიწებზე რუსი კოლონისტების დამკვიდრება არისო. კორესპონდენტი იმასაც წერდა, რომ ქართველები ბანკის ამ აგრესიულ კოლონიურ პოლიტიკას ინდივიდუალურ-დაქსაქსულად უწევენ წინააღმდეგობას. ამას კი დიდი შედეგი არ შეიძლება მოჰყვესო. საჭიროა ქართული ეროვნული ბანკის დაარსება. მისი მეშვეობით გაადვილდებაო ქართველების მიერ გაყიდული მიწების ქართველების ხელში შენარჩუნება[18].

ქართული საზოგადოებრიობა, მართალია, ებრძოდა რუსეთის ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას, რამდენადმე აფერხებდა მის პრაქტიკულ რეალიზაციას, მაგრამ ხელისუფლებამ მაინც შესძლო 1906-1910 წლებში საქართველოსა და აზერბაიჯანის მიწაზე შეექმნა 261 რუსული დასახლება. აქედან 139 სოფელი დაარსდა სახაზინო და 122 საოფელი საგლეხო ბანკის მიერ შესყიდულ მიწაზე[19].

სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს რუსი მოხელეები ამ დროსაც აგრძელებდნენ საადგილმამულო დავას. თითქმის ყველა მფლობელ-მესაკუთრეს სასამართლოში უჩიოდნენ, სადავოდ უხდიდნენ ნაკვეთს, ეოველნაირად ცდილობდნენ სახაზინო მიწის ფონდის კიდევ უფრო გაფართოებას. 1905 წელს ერისთავ-შერვაშიძე წერდა, რომ მიწის გამიჯვნის მსელელობაში სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამჟღავნებდა მისწრაფებას მთელი კავკასია გადაექცია ხაზინის სამფლობელოდ. არ არის არც ერთი დიდი მამული და გლეხის მცირე ნაკვეთი, რომელზეც დავა არ იყო აღძრული სამინისტროს მხრიდან. მისი მოხელეები არაფრად აგდებენ სასამართლოს დადგენილებას, ნოტარიალურ ცნობას და კვლავ განაგრძობენ სხვისი მიწების უკანონოდ ფლობას[19ა].

რომანოვთა საუფლისწულო მამულები საქართველოში. XVIII ს-ის ბოლომდე რუსეთის საიმპერატორო საგვარეულოს ოჯახები და ცალკეული წევრები სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე ცხოვრობდნენ. 1797 წ. იმპერატორმა პაველმა რომანოვთა საგვარეულოს საკუთრებაში გადასცა 4,2 მლნ დესეტინა მიწა და 460 ათასი სული გლეხი. ბურჟუაზიული რეფორმის წინ კი რომანოვთა საგვარეულოს საკუთრებაში და საუფლისწულო უწყების გამგებლობაში იყო 10 მლნ დეს. მიწა და 826 ათასი სული გლეხი. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საუფლისწულო უწყების ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო. თუ ადრე მთავარი ამოცანა იყო ყმა-გლეხების მართვა-გამგეობა და საგადასახადო სისტემის მოწესრიგების გზით მზარდი შემოსავლების მიღება. გლეხთა განთავისუფლების შემდეგ, ძირითადი ფუნქცია გახდა რომანოვთა საგვარეულოს საკუთარი მეურნეობის ორგანიზება და მართვა[20].

რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო ხაზინის შემდეგ უდიდეს მიწათმფლობელსა და მეურნეს – საუფლისწულო უწყებას, რომელსაც დიდი ფულადი სახსრებიც გააჩნდა, შესაძლებლობა ჰქონდა ჩაეტარებინა ძვირად ღირებული მწარმოებლური სამუშაოები საერთოდ, სამხრეთის რეგიონში კი დაენერგა სოფლის მეურნეობისა და გადამუშავებითი მრეწველობის ახალი დარგები, დახმარებოდა სახელმწიფოს დაპყრობილი ტერიტორიების კოლონიურ-ეკონომიკურ ათვისებაში.

1865-1897 წწ. საუფლისწულო უწყებამ იყიდა 1 მლნ დესეტინაზე მეტი მიწა, აქედან დაახლოებით 100 ათასი დეს. საქართველოში. რომანოვთა საგვარეულოს საკუთრებაში გადავიდა დ. ჭაეჭავაძის, ივ. მუხრანბატონის, ორბელიანის მამულები. აგრეთვე ჩაქვის რაიონის მცხოვრებთა და სხვა მფლობელთა მიწები. შეძენილ ტერიტორიებზე ხელსაყრელი პირობები არსებობდა მევენახეობა-მეღვინეობის, მებამბეობის, მეჩაიეობა-მეციტრუსეობისა და სხვა დარგების განვითარებისათვის.

ღაეთ ჭაეჭავაძისეული მამულის გამგებლობისათვის შეიქმნა სპეციალური სამმართველო, რომელმაც წინანდალში, ნაფარეულსა და მუკუზანში ხელი მიჰყო ძველი ვენახების განახლებას და ახლის გაშენებას. 1890 წელს ვენახების ფართობი შეადგენდა 264 დეს., 1896 წელს – 337 დესეტინას. ათიოდე წლის შემდეგ ვენახების ფართობმა 400 დესეტინას გადააჭარბა[21]. სოფ. მუხრანში ამ დროს საუფლისწულო უწყების ვენახების ფართობი 117 დეს. უდრიდა. საუფლისწულო უწყებამ წინანდალში გამართა ყურძნის გადამუშავების ქარხანა-სარდაფი. XIX ს. ბოლოს წლიურად, საშუალოდ, ევროპული წესით აყენებდნენ 100 ათას ვედრო ღვინოს, ათიოდე წლის შემდეგ ღვინის წარმოება გაიზარდა 140-150 ათას ვედრომდე[22]. თითქმის მთელი პროდუქცია რუსეთში იგზავნებოდა და სახელმწიფოს ნაწილობრივ მაინც ათავისუფლებდა ფრანგულ-იტალიური, მეტისმეტად ძვირი, ღვინოების იმპორტისაგან.

XIX ს-ის 90-იან წლებში საუფლისწულო უწყებამ საფუძველი ჩაუყარა ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების დიდ მეურნეობას აჭარაში. ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეისყიდეს 2228 დეს. მიწა. 1897 წელს რომანოვთა საგვარეულოს გადაეცა ჩაქვისა და მის მიდამოებში განლაგებული სახელმწიფო სახაზინო მამული 10225 დეს. ფართობით[23]. გადაცემის აქტში ნათქვამი იყო, რომ საადგილმამულო საკითხის გადაწყვეტამდე ადგილობრივი მოსახლეობა ინარჩუნებდა ჩაქვის მამულის ტყითა და საძოვრით სარგებლობის უფლებას. მაგრამ საუფლისწულო უწყების მოხელეები ამის საშუალებას არ აძლევდნენ გლეხობას, რის გამოც ატყდა საადგილმამულო დავა, რომელიც ხშირად შეიარაღებულ ბრძოლამდე მიდიოდა. სახაზინო დეპარტამენტი საუფლისწულო უწყებას ურჩევდა გაემიჯნა ჩაქვის მამული, 2 ათასი დეს. ტყე დაეთმო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, დანარჩენი კი თავისთვის შემოეყარგლა[24]. მაგრამ რომანოვთა საგვარეულოს ეშინოდა აღნიშნული ფართობის გლეხებისათვის გადაცემა და ამიტომ საადგილმამულო დავა გლეხებთან 1917 წლამდე გრძელდებოდა.

საუფლისწულო უწყებამ ჩაქების მამულში დააბანდა, ე. ი. მიწის კოლონიურ-ეკონომიკური ათვისებისათვის 1902 წლამდე დახარჯა თითქმის ერთი მლნ მანეთი. აქედან, მიწის ყიდვაზე – 282 ათასი მან, ჩაის პლანტაციების გაშენებასა და მოვლა-დამუშავებაზე – 346 ათასი მან., ციტრუსთა გაშენებაზე – 66 ათასი მან., საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა აშენებაზე – 187 ათასი მან., გზების, ხიდების შეკეთებასა და ჭაობების ამოშრობაზე – 47 ათასი მანეთი და სხვ. 1913 წლის ბოლოს ჩაის პლანტაციების ფართობი უდრიდა 300 დეს. მოსავლის სახით მოკრიფეს 1 მლნ. გირვანქაზე მეტი ჩაის ფოთოლი[25]. ჩაის მზა პროდუქცია თითქმის მთლიანად რუსეთში იგზავნებოდა. საუფლისწულო უწყების მოხელეები და სხვა კოლონიზატორები იმედოვნებდნენ, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთში მოწეულ-დამზადებული პროდუქცია რუსეთს გაათავისუფლებდა ჩინურ-ინდურ-ცეილონური ჩაის იმპორტისაგან, რაც დიდი რაოდენობის ვალუტის დახარჯვასთან იყო დაკავშირებული.

1871 წელს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ თავის ნაცვალს კავკასიაში მიხეილ რომანოვს სანუქრად მიუძღვნა ბორჯომის ხეობის დიდი ნაწილი – 69881 დესეტინა მიწა – ტყეები, საძოვრები, სათიბები და სახნავ-სათესი ნაკვეთები. მ. რომანოვმა ბორჯომის მამულის ათვისებისა და მეურნეობის წარმართვისათვის ჩამოაყალიბა საამმართველო, რომლის უპირველეს ამოცანას შეადგენდა თითქმის გაუკაცრიელებელი ადგილების დასახლება (უპირატესად რუსი კოლონისტებით). ათიოდე წელში შეიქმნა 8 ახალი დასახლება. 1887 წელს ბორჯომის მამულში ითვლებოდა 397 კომლი, რომელთაგან 277 ჩაბმული იყო ხე-ტყის სარეწებში. XIX ს-ის 80-იან წლებში დაიწყო ბორჯომის მინერალური წყლის ექსპლუატაცია. მალე წყლის ჩამოსხმა-გატანის საჭიროებისათვის გაიმართა მინის ქარხანა. ბორჯომის წყალმა დიდი მოწონება დაიმსახურა. 1913 წელს გაიტანეს (ძირითადად რუსეთში) 8,5 მლნ ბოთლი ბორჯომის წყალი[26].

1891 წელს ალექსანდრე მიხეილის ძე რომანოვმა აფხაზეთის ტერიტორიაზე შეისყიდა მამული „სინოპი", რამდენიმე წლის შემდეგ კი მამულები „დიოსკურია" და „კოლხეთი". მეურნეობის რაციონალურად დაყენების წყალობით, მოკლე ხანში „სინოპი" გადაიქცა დეკორატიულ და სამრეწველო დანიშნულების მცენარეთა გაშენება-აკლიმატიზაციის მნიშვნელოვან ცენტრად, მამულ „დიოსკურიაში" 90 დესეტინაზე გაშენდა ხეხილის ბაღი, 100 დესეტინაზე კი თამბაქოს პლანტაცია. მამულ „კოლხიდაში" ყურადღებას იქცევდა მანდარინის ერცელი ბაღი[27].

რუსი ბიზნესმენები საქართველოს სოფელში. საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრებას და მიწის მფლობელ-მესაკუთრედ გადაქცევას რუს თავადაზნაურთა და ვაჭარ-მრეწველთა გარკვეული ნაწილიც ცდილობდა. იმპერატორები რუსეთის მონარქიული სახელმწიფოს წინაშე ღვაწლმოსილ მოხელეებს მიწებს უფასოდ ურიგებდნენ. სხვები ამას ყიდვის გზით ახერხებდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ისინი შავიზღვისპირეთში. რუსი მიწათმფლობელები აფხაზეთში თანდათან მომრავლდნენ სამთავროს გაუქმების (1864 წ.) შემდეგ, აჭარაში კი – XIX ს-ის 80-90-იან წლებში. რუსული ხელისუფლება ხელს კი არ უშლიდა, არამედ აქეზებდა ადგილობრივი მოსახლეობის თურქეთში გადასახლებას (ე. წ. მუჰაჯირობას). აფხაზეთიდან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გახიზნულთა მიწებს ძირითადად სახელმწიფო ხაზინა დაეპატრონა. ამ მომენტით ისარგებლეს კერძო პირებმაც. რუსი მიწათმფლობელ-მესაკუთრენი თანდათან მომრავლდნენ აჭარა-აფხაზეთში.

XIX ს-ის მიწურულს ბათუმის ოლქში უკვე საკმაო რაოდენობით იყვნენ მიწის ახალი მფლობელები (ძირითადად რუსები), რომლებსაც ადგილობრივ მცხოვრებთაგან საკმაოდ ერცელი ნაკვეთები ჰქონდათ შესყიდული. მაგრამ იმის გამო, რომ ამ მხარის თითქმის მთელი მიწის ფონდი სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად იყო გამოცხადებული, ნასყიდობის აქტები მთავრობამ არაკანონიერად ჩათვალა და ამ ახალ მფლობელთა წინააღმდეგ სასამართლო ძიება აღძრა. და-

ვა ყარგახანს გაჭიანურდა, ბოლოს და ბოლოს მთავრობამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მოსულ მფლობელთა დიდი ნაწილი წარმოშობით რუსი იყო და მათ მეურნეობას „კულტურული" მნიშვნელობა ჰქონდა, 1902 წ. 7 ივნისს მიიღო დადგენილება (კანონი) რომლის თანახმადაც მახინჯაურის, აჩკუას, ჩაქვის, ქობულეთის, სოუსკუს, ახალშენის, სალიბაურის, ურეკის, ხუცუბნის და ზოგი სხვა სოფლის თუ დასახლების მიწის ნაკვეთთა ახალმფლობელები აღიარებულ იქნენ ნაყიდი მიწების მემკვიდრეობით მფლობელებად და მათ მიეცათ სიმბოლურ ფასად (დესეტინა 6 მანეთად) მიწის გამოსყიდვის და ოფიციალური ნასყიდობის დოკუმენტის მიღების უფლება, მაგრამ 1902 წლის შემდეგაც ბევრმა იყიდა მიწა. ბუნებრივია, ისინიც მოითხოვდნენ ამ ნაკვეთებზე კანონიერი მესაკუთრის უფლებას. 1909 წ. 18 იანვარს ასეთმა მფლობელებმა ბათუმის ოლქის უფროსს წარუდგინეს შემდეგი შინაარსის თხოვნა: 1902 წლის კანონის გამოცემის შემდეგ ბევრმა პირმა ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან შეისყიდა მათი უფლება „ერაზი მირიეს" კატეგორიის მიწის ნაკვეთებზე და ამით მიიღო უდავო მამული. მაგრამ ახლა ჩვენ გვინდა თურქული ტერმინები შეიცვალოს რუსულით. ამიტომ შემოვიტანეთ თხოვნა-განცხადება ჩვენს მიწებზე 1902 წლის კანონის გავრცელების შესახებ, რომლის ძალით დაწესებულია გამოსასყიდი თანხა – 6 მანეთი დესეტინაზე. ამ კანონით შეღავათი ეძლევათ რუსებს, რათა მათ უფრო ადვილად დაიკავონ ადგილი თურქული (სინამდვილეში ქართული – ა. ბ.) ელემენტისა, რომელსაც არ აღმოაჩნდა კულტურული მეურნეობის წარმოების უნარი. არავითარ შემთხვევაში არ მოველით 1902 წლის კანონისაგან გვერდის ავლას, რასაც ზოგიერთნი ხაზინისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევენ, სინამდვილეში კი შეაფერხებს ამ მხარეში რუსთა მიწათმფლობელობის გაფართოებას. ბოლოს განცხადებათხოვნის ავტორები წერდნენ, რომ „მხოლოდ რუს მიწათმფლობელთა წამახალისებელ ღონისძიებას შეუძლია დააჩქაროს ბათუმის ოლქის მიწების ადგილობრივ მცხოვრებთაგან კულტურის ადამიანთა ხელში გადასვლა". თქვენო აღმატებულებავ, იმედი გვაქვს, რომ აღძრავთ შუამდგომლობას მეფისნაცვალთან, რომ ჩვენზე გავრცელდეს 1902 წლის კანონი[28].

ეს დოკუმენტი, როგორც ვხედავთ, დიდმპყრობელურ-შოვინისტური სულითაა გაჟღენთილი. მხარეში ახლად ჩამოსახლებული რუსი მიწათმფლობელ-მეურნენი ზემოდან დასცქერიან მკვიდრს მცხოვრებლებს, გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომლებსაც თურქებად ნათლავენ და მოითხოვდნენ უფრო აქტიურ მხარდაჭერას ადგილობრივ მიწათმფლობელთა შეეიწროების საქმეში. რუსეთის მთავრობა და კავკასიის რუსული ადმინისტრაცია თავისთავად, რა თქმა უნდა, მიესალმებოდა მხარეში რუსული ელემენტის გაძლიერებას. მაგრამ თუ ახალ მიწათმფლობელთა ნასყიდობის აქტები არაკანონიერად იქნა გამოცხადებული, ამით მთავრობა სადაოდ ხდიდა ადგილობრივ მცხოვრებთა უფლებას მიწის გასხვისების საქმეში. საბაზინო ქონებათა სამინისტროსა და მისი ადგილობრივი სამმართველოს ღონისძიებანი იქითკენ იყო მიმართული, რომ მთელი მიწა თავის უწყების საკუთრებაში მოექცია. შემდეგ კი თავის შეხედულებისამებრ გაეცა იჯარით, ან გაეყიდა ძირითადად რუს კოლონისტებზე. ამ გზით სახელმწიფოს შემოსავალიც გაეზარდა და კოლონიაში პოლიტიკურად საიმედო ელემენტებიც მოემრავლებინა.

ზემოთ დაფიქსირებული განცხადება-თხოვნა მეფისნაცვალმა 1910 წლის ოქტომბერში დააკმაყოფილა. მემკვიდრეობითი მფლობელისა და მესაკუთრის უფლება მოიპოვეს: მ. ბერტუსონმა, ო. დზიუბენკომ, ე. ლენცმა, გ. მარკოვმა, ო. შტიუმბერგმა, ა. იაკობსონმა, გ. დიადიუშამ, მ. კოხმა და ორიოდე ქრისტიანმა ქართველმა. 1903 წლისათვის ბათუმის ოლქის ახალმფლობელებს საკუთრებაში ჰქონდათ 23500 დეს. მიწა. მათი საკუთარი მიწის ფართობი, როგორც ზემოთმოტანილი საბუთიდან ჩანს, შემდეგაც იზრდებოდა, მაგრამ ზუსტი სტატისტიკა არ გაგვაჩნია.

რუსეთის საეკლესიო მიწათმფლობელობა საქართველოში. რუსეთის მთავრობას (რომელიც თავის ერთგულ მოხელეებს ერცელ მამულებს ურიგებდა სა-

ქართველოში), არც რუსი სამღვდელოება დარჩენია ყურადღების მიღმა. მან სხვადასხვა ადგილას მიწა გამოუყო „ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას", რათა უფრო ერთგულად ემოღვაწა ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიცირების სფეროში. რუს ბერებს აფხაზეთის მიწაზე მკვიდრთაგან მიტოვებული სოფ. ფსხირცის მიდამოებში 4 ათას დესეტინამდე მიწა აჩუქეს, სადაც დაფუძნდა ახალი ათონის მონასტერი და მისი ერცელი მრავალდარგოვანი მეურნეობა. XX საუკუნის დამდეგს რუსი ბერების მამულში ვენახებს ეკავა 40 დეს., ხილის ბაღებს – 107 დეს., ბოსტანს – 15 დეს., სახნავ-სათესს – 143 დეს., სათიბს – 210 დეს., საძოვრებს – 380 დეს., ტყეს 2926 დესეტინა. ბერებმა დანერგეს ზეთისხილის კულტურა, რომლის ბაღი 56 დესეტინაზე იყო გადაჭიმული. მის მეზობლად გაშენებული იყო სუბტროპიკული მცენარეები – 6500 ძირი ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი. პირველი მსოფლიო ომის წინ ათონის მონასტრის ფერმა'ში ითელებოდა 500 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ცხენი.

ახალი ათონის მონასტრის მესვეურები თავიდანვე ბევრს ზრუნავდნენ მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებისათვის. რუსული ხელისუფლების დახმარებით მათ მდინარე ფსხირცაზე ააგეს 165 ცხენისძალიანი ელსადგური, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა მეურნეობის ელექტრიფიკაციისათვის. ელექტროენერგიით მუშაობდა საჰაერო-საბაგირო გზა. ეიწროლიანდაგიანი რკინიგზა ზღვისპირს აერთებდა მთის ძირთან, საიდანაც ტყის სიღრმეში იჭრებოდა ელექტროწვეზე გადაყვანილი დაკიდული რკინიგზა. ეს ტექნიკური სიახლე მნიშვნელოვნად აიაფებდა ტყიდან დამზადებული მასალის გამოზიდვას, რომლის გაყიდვით მონასტერი დიდ შემოსავალს ღებულობდა[29]. მართალია, ბერების 450 კაციან კრებულიდან ნაწილი ფიზიკურად შრომობდა მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, მაგრამ საერთოდ ისინი მეტწილად ხელმძღვანელ-კონტროლიორთა ფუნქციას ასრულებდნენ. ძირითად სამუშაოებს კი ასობით სალოცავად მოსულნი (თითქმის უფასოდ) და დაქირავებული მუშები ასრულებდნენ. რუსმა ბერებმაც შეასრულეს გარკვეული როლი აფხაზთა რუსიფიცირების საქმეში.

აფხაზეთს ახალ მიწათმფლობელად მოეელინა ნ. ვ. იგუმნოვი, რომლის მამული გაგრიდან 18 ვერსის დაცილებით მდებარეობდა და 416 დეს. მიწას მოიცავდა. მანაც შეასრულა თავისი როლი ამ რეგიონის კოლონიური ათვისების საქმეში: 50-60 დესეტინაზე გააშენა ხეხილის ბაღი, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ახალ კულტურებს: ლიმონს, მანდარინს, ფორთოხალს[30].

აფხაზეთის მსხვილ მემამულედ გადაიქცა ნ. სმეცკოვი, რომელმაც XIX ს. 80-90-იანი წლების მიჯნაზე შეისყიდა 1724 დეს. მიწა. მან საკმაოდ დიდ ფართობზე გააშენა ვენახი და ხეხილის ბაღი, რომელშიც ყველაზე მეტი ადგილი ეჭირა მანდარინს (7900 ძირი). იქვე იყო ლიმონის, ფორთოხლის, ეაშლისა და მსხლის ნარგაევები. თხილი გაშენებული იყო 36 დესეტინაზე[31]. ამ რეგიონში საკმაოდ ერცელი მამული შეიძინა და ახალი კულტურები გააშენა ვ. მაკაროვმაც. იგი თავის ბაღების პროდუქციას – ციტრუსებსა და თხილს თითქმის მთლანად რუსეთში გზავნიდა[32].

მოსულმა მიწათმფლობელებმა და მეწარმეებმა საკმაოდ დიდი კაპიტალი დაბანდეს მეთამბაქოეობა'ში, რომლის სპეციალიზებულ რეგიონად გადაიქცა აფხაზეთი. 1913 წელს აფხაზეთში ითელებოდა 7 ათასი პლანტაცია. შედარებით მსხვილი მეწარმენი იყვნენ ახლად ჩამოსახლებული რუსები, ბერძნები და სომხები.

რუსეთის მთავრობა სახაზინო გლეხებს „თავისუფალ მხვნელმთესველთა" იარლიყს აკერებდა და მათზე არ გაუვრცელებია ბატონყმობის გაუქმების კანონმდებლობა. საქართველოში კი სახელმწიფო გლეხები მთელი გლეხური მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ. მათ არ აკმაყოფილებდათ სახაზინო მიწით სარგებლობის პირობები და მოითხოვდნენ მესაკუთრეთა კატეგორიაში გადარიცხვას. სახელმწიფო გლეხთა ამ მისწრაფებას მხარს უჭერდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. რუსეთის ცარიზმი, რომელსაც სურდა გლეხთა განმა-

თავისუფლებელი ბრძოლის შენელება და ამოძრავებდა ფისკალური ინტერესებიც, იძულებული იყო ემუშავა არა მარტო საბატონო, არამედ სახაზინო გლეხთა მიწათმოწყობის პრობლემაზეც ან ასეთი მუშაობის ილუზია შეექმნა. 1892 წელს თბილისში ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია (თავმჯდომარე მედვედეევი), რომელსაც დაეკალა ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა „მიწათმოწყობა". ამ დროისათვის რუსეთში სახაზინო გლეხებს მიწა უკვე საკუთრებაში ჰქონდათ დამტკიცებული და ღალის ნაცვლად მიწის გამოსასყიდ გადასახადებზე იყვნენ გადაყვანილი. ამ კანონის გავრცელება ამიერკავკასიაზე მედვედევის კომისიამ ნაადრევად მიიჩნია იმ მოტივით, რომ ამ მხარეში მიწათმოქმედების კულტურა და გლეხობის საზოგადოებრივი ცხოვრება მეტისმეტად დაბალ დონეზე იდგა, ეს წოდება არ იყო მომზადებული კერძო და ინდივიდუალური საკუთრებისათვის. მას მიზანშეწონილად მიაჩნდა მიწაზე სახელმწიფო ხაზინის უზენაესი უფლების დაცვა, გლეხებისათვის ნადელების მუდმივ სარგებლობაში (ყიდვა-გაყიდვის უფლების გარეშე) მიმაგრება და უმიწაწყლო გლეხებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა[33].

ამიერკავკასიის მთავარსარდალმა შერემეტიევმა და მთავარი სამმართველოს საბჭოს დიდმა უმრავლესობამ დაიწუნა ასეთი პროექტი, ზედმეტად მიიჩნია გლეხთა ნადელების ნორმირება და უარყო ადგილობრივი უმიწაწყლო მხენელ-მთესველთათვის თავისუფალი (დაუსახლებელი) ნაკვეთების დარიგება, რადგან მიწის ეს ფონდი მომავალი რუსი კოლონისტებისათვის ჰქონდათ შემონახული. რუსული ადმინისტრაციის აშკარა დიდმპყრობელურ-კოლონიურმა პოზიციამ ქართველი ინტელიგენციის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ გ. თუმანიშვილმა არა მარტო ადგილობრივ გლეხთათვის დამატებითი ნაკვეთების გადაცემა მოითხოვა, არამედ გადაუდებელ საქმედ გამოაცხადა ყველა სახელმწიფო-სახაზინო გლეხის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანა[34].

ყველა ქართველი მოღვაწე და პატრიოტი როდი უერთდებოდა ამგვარ პოზიციას. „ივერიის" ერთ-ერთი პუბლიცისტი აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო-სახაზინო გლეხთა სარგებლობაში 864 ათასი ჰექტარი მიწაა და ეს არისო მათი კეთილდღეობის მკვიდრი საფუძველი. არჩილ ჯორჯაძემ მყისვე ამხილა ამ პუბლიკაციის არაკომპეტენტურობა: „ჩვენ დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ მიწის დასახელებულ ფართობებს, რადგან მხედველობაში ვღებულობთ, ჯერ ერთი გლეხების მძიმედ დაბეგვრას და მეორეც იმას, რომ ამ მიწის პატრონი ხაზინაა, მიწით მოსარგებლე გლეხის უფლება ფრიად შეზღუდულია. სახელმწიფოს კი შეუძლია ისე მოიხმაროს მამული, როგორც საჭიროდ მიიჩნევს (არჩილი თავს იკავებს იმის განცხადებისაგან, რომ ამ მიწებზე მთავრობა თანდათან მზარდი რაოდენობით ასახლებდა რუს კოლონისტებს – ა. ბ.). ერთი მილიონი დესეტინა მიწაც რომ მეჭიროს, თუ ვერ აუვალ ხარჯს, ჩემი სიმდიდრე, სიმდიდრედ ვერ ჩაითვლება. სახელმწიფო გლეხობა წელში უფრო გამაგრებულია, მაგრამ ყველა ეს შედარებითია". ზოგი ვინმე, განაგრძობს არ. ჯორჯაძე, სახაზინო მიწის მფლობელობა-სარგებლობის არსებულ წესს, როცა გლეხს აკრძალული აქვს ნადელის დაგირავება-გაყიდვა, სასარგებლოდ თვლის უშუალო მწარმოებლისათვის. ჩემი აზრით კი გაცილებით უკეთესი იქნება, თუ რუსეთის მსგავსად, საქართველოს სახაზინო გლეხებიც გადაყვანილ იქნებიან მესაკუთრეთა კატეგორიაში.

რუსულმა ხელისუფლებამ არც გლეხობის მისწრაფებას გაუწია ანგარიში და არც ინტელიგენციის მოთხოვნას. 1900 წ. 1 მაისს დამტკიცდა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის კანონი, რომელიც ახდენდა რუსეთის ხაზინის ეკონომიკური ბატონობის იურიდიულ გაფორმებას – მართალია, მიზომილი ნაკვეთები (ნადელები) რჩებოდა გლეხთა მუდმივ სარგებლობაში, მაგრამ მათ ეკისრებოდათ მკაცრი ვალდებულება – დროულად და სრულად გადაეხადათ შეწერილი ღალა და გამოსაღებები. ადრინდელის მსგავსად ეს ახალი კანონი აკონსერვებდა საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური წყობის ნაშთებს[35].

რუსეთის ცარიზმის დიდმპყრობელურ-კოლონიური პოლიტიკა და მისიერ სოციალური კონსერვატიზმი იყო განმაპირობებელი იმ მოვლენისა, რომ საქართველოს მოსახლეობა 1905-1907 წწ. რევოლუციის ავანგარდში აღმოჩნდა. ქართველი ხალხის მიზანი იყო როგორც ეროვნული, ისე სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლება. აბსოლუტური მონარქიის სატრაპებმა სახალხო რევოლუცია სისხლში ჩაახშვეს, მაგრამ იძულებული გახდნენ ზოგიერთ დათმობაზე წასულიყვნენ და პროგრესული შინაარსის რეფორმებზე მუშაობის იდეაზია შეექმნათ.

რუს მოხელეთა მეხსიერებაში რჩებოდა ის ფაქტი, რომ ქართველი გლეხები პირველი რევოლუციის წლებში განსაკუთრებული შემართებით იბრძოდნენ მიწათმფლობელობა-სარგებლობის სახელმწიფო კანონდებულებათა კაბალური მხარის წინააღმდეგ. მთავრობისაგან მოითხოვდნენ არა მარტო 1864-1867 წწ. დაკანონებულ დროებით ვალდებულების ინსტიტუტის გაუქმებას, არამედ 1901 წელს დამტკიცებული სახელმწიფო სახაზინო გლეხთა შემავიწროებელი კანონისა და 1903 წლის დებულების ანულირებას. მათი მიზანი იყო მიწის ნაკვეთების სრულფასოვან მესაკუთრეებად გადაქცევა. რევოლუციის მომდევნო ხანს შედგენილ კანონპროექტებში სწორედ ეს საკითხები იყო წინა პლანზე წამოწეული.

1907 წელს თბილისის გუბერნატორმა ოფიციალურად დააყენა ხსენებულ კანონმდებლობათა გადასინჯვის საკითხი, რადგან მათ არათუ დააკმაყოფილეს გლეხობა, არამედ კიდევ უფრო გაზარდეს ამ უშუალო მწარმოებელთა უკმაყოფილება. გუბერნატორმა უნდობლობა გამოუცხადა სახაზინო მიწების გამგებელ მოხელეებს და მიზანშეწონილად გამოაცხადა სახაზინო გლეხთა მიწათმოწყობის საკითხის საერთო საგლეხო დაწესებულებებისათვის დაქვემდებარება. მის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში ისიცაა აღნიშნული, რომ 1903 წლის მიწათმოწყობის წესები იმეორებდა უფრო ადრე ციმბირისათვის შედგენილ დებულებას და სრულიად უვარგისი იყო სამხრეთ კავკასიისათვის. გუბერნატორს მიაჩნდა, რომ დროსა და სიტუაციის მოთხოვნილებას წარმოადგენდა თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხებისათვის მიზომილ მიწებზე (ნადელებზე) საკუთრების უფლების მინიჭება[36].

ამ წინადადებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ჯერ კიდევ 1900 წელს დასვა საკითხი – შემუშავდეს და თავის დროზე სახელმწიფო საბჭოს განსახილველად გადაეცეს სათანადო პროექტი – სამხრეთ კავკასიის სახაზინო გლეხებისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ. მაგრამ იმპერატორის დადგენილების ეს ნაწილი 1900 წ. არ. გამოქვეყნებულა იმ მოტივით, რომ ნაადრევად დაძაბავდა გლეხთა მოლოდინს. მეფის მთავრობის კავკასიელმა მოხელეებმა მეფის ბრძანება-განკარგულებიდან გამოტოვებული ეს ნაწილი გაიხსენეს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე რევოლუციის ალში გაეხვია და კანონპროექტში პირველად ჩაწერეს 1907 წელს.

1909 წელს მეფისნაცვლის კანცელარიაში შემუშავდა ახალი პროექტი სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფო მოხალისეთა (გლეხობის) მიწათმოწყობის შესახებ. იქ საკმაოდ დეტალურადაა წარმოდგენილი საკითხის წინა ისტორია. აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა მიიჩნია საჭიროდ სამხრეთ კავკასიაში არსებული სახაზინო მიწის გამიჯვნა კერძო საკუთრებაში მყოფი მამულებისაგან. 1867 წლის კანონის შესაბამისად დაიწყო მიწების გამიჯვნა. ეკუთვნოდა სახაზინო მამულები ერთად იყარგლებოდა, ხშირად მის საზღვრებში აქცევდნენ კერძო მესაკუთრეთა მიწებსაც. რაც იწვევდა გაუთავებელ სასამართლო საადგილმამულო დავებს. ცალკე იმიჯნებოდა სახელმწიფო სოფლები, საჭიროდ არ ითვლებოდა ცალკეულ კომლთა ნადელების გამიჯვნა.

პროექტში ისიცაა აღნიშნული, რომ 1900 წლის 1 მაისს უსენაესი ბრძანების თანახმად, სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ევალებოდა მოემზადებინა და წარედგინა კანონ-დებულება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო გლეხების მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანისა იმ მოტივით, როგორც ეს მოხდა გაცილებით ადრე რუ-

სეთის ცენტრალურ გუბერნიაში. მაგრამ ამ მხარის მოხელეებმა ეს ღონისძიება სამომავლოდ გადადეს და 1903 წელს, სამხრეთ კავკასიას მიუსადაგეს ციმბირისათვის 1896 წელს შედგენილი წესები, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა.

პროექტის ბოლო ნაწილში გადასაჭრელად დასმულია საკითხი – გამიჯვნის დებულების მიხედვით სახაზინო გლეხებისათვის გამოყოფილი ნაკვეთები (ნაფელები) მათ საკუთრებად დამტკიცდეს, თუ დაეჯერდეთ სახაზინო გლეხთათვის მემკვიდრეობით მფლობელ-მოსარგებლის სტატუსის მინიჭებას. მისი გადაწყვეტის დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ 1900 წლის 1 მაისის უზენაესი ბრძანების გამოუქვეყნებელი ნაწილით და სამხრეთ კავკასიაზე გავავრცელოთ რუსეთის შიდა გუბერნიებში ადრე გატარებული ღონისძიება, შევიმუშაოთ აქაური სახელმწიფო გლეხების მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანის კანონ-წესები. კანონპროექტის ავტორებმა, როგორც იქნა, აღნიშნეს რომ საქართველოს სახელმწიფო გლეხები ამისათვის მომზადებული არიან და საკითხის ამგვარ გადაწყვეტას დიდი ხანია მოუთმენლად ელოდებიან. ამ მხარის მცხოვრებნი მიწის ნაკვეთს, რომელშიც მეტ-ნაკლებად ჩადებულია შრომა და ხარჯი, თავისად თვლიან. სათემო სარგებლობაში რჩება მხოლოდ დაუმუშავებელი მიწები – ტყეები და საძოვრები. სახნავ-სათესი მიწების თემური მფლობელობისა და პერიოდული გადანაწილების წესს იცავენ მხოლოდ რუსეთიდან ჩამოსახლებული გლეხები. ამ ბოლო დროს, მართალია, ადგილობრივი მკვიდრი გლეხებიც მოექცნენ სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის გავლენაში, წარადგინეს სახნავ-სათესი მიწების გადანაწილება-გათანასწორების მოთხოვნა, მაგრამ მისი რეალიზაცია თითქმის არ სდება. სადაც ეს მოხდა, იქაც კი მოსახლეობა უბრუნდება მიწათმფლობელობა-სარგებლობის ძველ წესებს. იქვე აღნიშნულია, რომ სამხრეთ კავკასიაში უკვე ბლომად არიან კერძო მესაკუთრე გლეხები. მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება დროებითვალდებულების ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ. სახელმწიფო გლეხთაშორისაც არიან მესაკუთრენი. აფხაზეთის გლეხობის დიდი ნაწილი იხდის საადგილმამულო გადასახადს. ასეთ პირობებში ყველა სახელმწიფო გლეხისათვის გამოყოფილ მიწაზე საკუთრების უფლების მინიჭება დროული და აუცილებელიაო. მაგრამ პროექტის ავტორთა მიერ შემუშავებული ღონისძიების გატარების რთული, ბიუროკრატიული წესები კვლავ აძნელებდა და აგვიანებდა მის რეალიზაციას. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, თავდაპირველად, მთელ სახაზინო სოფელს ერთად ეძლეოდა მიმაგრებული მიწის გეგმა. ოფიციალური გადაცემის წერილის შედგენა საჭიროდ არ ითვლებოდა. ბოლო, 32-ე მუხლში ნათქვამია: „სოფლები და ცალკეული გლეხები, რომლებმაც ნაფელი დაიმტკიცა, ამ წესების საფუძველზე გააგრძელებდნენ ძველებურ საღალო გამოსაღების გადახდას, ვიდრე იგი არ შეიცვლება სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადით". იქვე შენიშვნაში აღნიშნულია, რომ თუ ნაფელის გადაცემისთანავე შეიცვლებოდა საღალო-გამოსაღები საადგილმამულო გადასახადით, ეს გამოიწვევდა სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის მკვეთრ შემცირებას. ბოლოს დაბოლოს ასეთი შემცირება უნდა მოხდეს, მაგრამ მანამდე უნდა გაიზარდოსო საადგილმამულო გადასახადის ნორმა[37].

კანონპროექტის დასკვნითი ნაწილი და კერძოდ 32-ე მუხლისათვის გაკეთებული შენიშვნა ცხადყოფს, რომ რუსული ადმინისტრაცია კვლავ აბრკოლებდა ამ „აუცილებელი" კანონის რეალურად ამოქმედებას და უმთავრესად იმაზე ზრუნავდა, რომ ამ სიახლეს სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის შემცირება არ მოჰყოლოდა. სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ 1909 წელს შედგენილი კანონპროექტი 1912 წელს ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული და რეალიზებული.

1912 წლის ივნისში გაიმართა ე. წ. საუწყებათაშორისო თათბირი, რომელსაც უნდა შეესწავლა კავკასიის სინამდვილეში მოსახლეობის მიწათმოწყობისათვის შედგენილი კანონპროექტების ავკარგი. თათბირს უძღვებოდა სენატორი ნიკოლსკი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ იუსტიციის, ფინანსთა და შინაგან

საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები. აგრეთვე მიწათმოწყობის სახელმწიფო სამმართველოს კავკასიაში დასაქმებული რუსი მოხელეები.

თათბირის მონაწილეთა მიერ ხელმოწერილ ჟურნალში აღნიშნულია, რომ 1909 წელს კავკასიის ადმინისტრაციის მეთაურმა, მეფისნაცვალმა რუსეთის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინა კანონპროექტი სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის წესთა შეცვლის შესახებ. გარდა ტექნიკური და პროცესუალური მხარის გაუმჯობესებისა, კანონპროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე სახელმწიფო გლეხთათვის სანადელო მიწაზე საკუთრების უფლების მინიჭებას. ამ კანონპროექტს ჯერ არ მიუღია სათანადო მსჯელობა, რადგან რამდენიმე უწყებას ჯერაც არ წარმოუდგენია საჭირო დასკვნები. ამასობაში კი კავკასიის ადმინისტრაციამ შეადგინა და წარმოადგინა სხვა მნიშვნელოვანი კანონპროექტები კავკასიის სხვადასხვა რეგიონთა სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივი ყოფის მოწესრიგებისა და მიწათმოწყობის შესახებ, რომლებიც ემყარებიან ამ პერიოდში მიღებული საერთო საიმპერატორო კანონებს. ამიტომ მოთათბირეებმა საჭიროდ მიიჩნიეს მიწათმოწყობის კანონპროექტებისა და სხვა წინადადებების საბოლოო რედაქციათა შემუშავება-დამტკიცება გადაიდოს მანამდე, ვიდრე ადგილზე არ იქნება შესწავლილი უკვე ჩატარებულ ღონისძიებათა ხარისხი და დაგროვილი მასალის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობანი[38].

იმავდროულად რუსეთის იმპერიის უზენაეს ინსტანციაში ერცელი მოხსენებითი ბარათი წარადგინა კავკასიაში დასაქმებულმა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულმა არხიპოვმა. მან დაიწუნა და უარყო კანონპროექტთა ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდა კავკასიელ სახელმწიფო გლეხებისათვის გამოყოფილ მიწებზე საკუთრების უფლების მინიჭებას. მისი აზრით, ჯერ კიდევ საჭირო და აუცილებელი იყო სახელმწიფო ხაზინას გლეხთათვის გამოყოფილ ნაკვეთებზეც შეენარჩუნებია უზენაესი მესაკუთრის უფლება. სახელმწიფო ხაზინის ფისკალურ ინტერესთა ამ დამცველსა და დიდმპყრობელურ-კოლონიური პოლიტიკის ამ რუპორს საჭიროზე მეტი მომხრენი აღმოაჩნდა. ამიტომ იყო, რომ კავკასიელ გლეხთა მიწათმოწყობის ახალი კანონდებულებანი, რომელნიც სახელმწიფო სათათბიროში გაიგზავნა 1913 წელს, მსჯელობა-განხილვის საგნად კი არ გადაქცეულა, 1917 წლამდე დარჩა ძალაში 1900 და 1903 წლების კანონდებულებანი, რომელთა ამოქმედებას გლეხობა თავიდანვე პროტესტით შეხვდა.

ამგვარად, რუსეთის მთავრობა პირველი რევოლუციის შემდეგაც ინარჩუნებდა თავის უზენაეს უფლებას მიწაზე. უარს ამბობდა საქართველოს გლეხობა უფლებრივად გაეთანაბრებია მეტროპოლიის მხვნელ-მთესველთათვის. სახაზინო მიწის ერთი ნაწილი გლეხთა ექსპლუატაციის, სახელმწიფო შემოსავლის გაზრდის საშუალება იყო. მცირე ნაწილზე კი თანდათან ამრავლებდა რუს კოლონისტთა სოფლებს. რაკი ამისათვის ხაზინის საკუთრებაში მყოფი მიწები ეკოტანებოდა, სამხრეთ კავკასიაში აამოქმედა სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილება, რომლის მიერ ქართველ თავადაზნაურთაგან ნაყიდ მიწებს იყენებდა კოლონისტთა ახალი ნაკადის დასამკვიდრებლად.

მიწის საკითხი, წარმოების ამ ძირითადი საშუალების ფლობა-დასაკუთრების პრობლემა რუსული ხელისუფლებისა და ქართველი საზოგადოების დაპირისპირება-ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. მთელი XIX საუკუნე რუსული ხელისუფლება შემომტანის პოზიციაზე იდგა, ქართველი ერი თავის ბუნებრივი უფლების დაცვას ცდილობდა, მაგრამ უპირატესობა აგრესორის მხარეს იყო, მეტროპოლიის დემოგრაფიული ექსპანსია თანდათან ფართოვდებოდა.

1874 წლის კამერალური აღწერით დადგინდა, რომ თბილისს-ბორჩალოს მაზრებში აღმოცენებული იყო 49 ახალი დასახლება, რომლებშიც ითვლებოდა 852 კომლი მცხოვრები. აღნიშნულ წლამდე შექმნილია სოფლები: ივანოვკა, ვასილიევკა, კოხნარა, პატარა ირაგა, იფანრა, პატარა დმანისი, თხილნარა, ტაბარუკი,

ეარხუნა, კილიგორა და სხვა, სადაც დიდ უმრაველესობას შეადგენდნენ რუსები, აზერბაიჯანელები და სომხები[39].

XIX-XX სს. მიჯნაზე უმიწაწყლო ქართველმა გლეხობამ ადრე თითქმის გაუკაცრიელებული ალაზანგაღმა მხარისაკენ აიღო გეზი. თავადებთან – ანდრონიკაშვილთან, აფხაზთან და ჯორჯაძესთან გაფორმებულ გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებათა საფუძველზე აღმოცენდა შემდეგი სოფლები: ლელიანი, ბაისუბანი, ქართუბანი, ქალქაჯა, ხოშატიანი, ფიჩხის ბოგირი, არეშფერანი, ციხიანი, ფონა და სხვ.[40]. დასავლეთ საქართველოდან გადმოსულ გლეხთა ერთი ნაწილი დამკვიდრდა ლაგოდეხის და ჭიაურის მამულში. რადგან კერძო პირებისაგან იჯარით აღებული მიწის ქირა თანდათან გაიზარდა, ახალმოსახლეებმა რუსული ხელისუფლებისაგან მოითხოვეს სახაზინო მამულში მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

მაგრამ რუსული ხელისუფლება არა თუ სამოსახლო ნაკვეთებისა და სახნავ-სათეს მიწებს აძლევდა ქართველ გლეხებს თავისუფალი სახაზინო მიწის ფონდიდან, არამედ ამ ნაკვეთების – გრძელვადიანი იჯარით გაცემისაგანაც კი თავს იკავებდა. ცნობილია, რომ რუსეთში მოქმედებდა 1884 წლის კანონი და მისი 1895 წლის დამატება, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო გლეხთა სასოფლო საზოგადოებისათვის დაუსახლებელი მიწის, საჯარო ვაჭრობის გარეშე, იჯარით მიცემას. 1902 წელს განიხილებოდა ამ კანონის სამხრეთ კავკასიაზე გავრცელების საკითხი. რუს მოხელეთა მცირე ნაწილმა მხარი დაუჭირა ამ იდეას. თბილისის გუბერნატორმა კი მოითხოვა გრძელვადიანი იჯარით არ გაცემულიყო სახაზინო მიწის ფონდის ის ნაკვეთები, რომელიც განკუთვნილი იყო რუს დასახლებათა შექმნისათვის. მოტივაცია ასეთი იყო: შემჩნეულია, რომ სახაზინო მიწის იჯარით ამღებნი ვადის გასვლამდე ახერხებდნენ იქ დამკვიდრებას, ახალ დასახლებათა შექმნას, რაც აძნელებს ამ ადგილების სხვა დანიშნულებისათვის გამოყენებას. ამიტომ საჭიროა ამიერკავკასიაზე აღნიშნული კანონის გავრცელების შემთხვევაში დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები, რაც აუცილებელია მხარის კოლონიზაციის წარმატებით გაგრძელებისათვის. თბილისის გუბარნატორის ეს „სახელმწიფოებრივი" მნიშვნელობის წინადადება გაეიდა. შეზღუდვა დაწესდა[41].

საქართველოს, ქართველი ერის მიწის ფონდის დაცვის პრობლემა ჯერ კიდევ XIX ს-ის 60-იან წლებში დაისვა აქტუალურად. ამაზე მსჯელობდნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი და სხვა მოღვაწენი. ერის მოჭირნახულე პატრიოტები კარგად ხედავდნენ რომ ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის პირობებში საქართველოს ტერიტორიაზე თანდათან მრავლდებოდა არა მარტო რუსული სოფლები, იქმნებოდა აგრეთვე იმპერიის მორჩილი სხვა ეთნოსთა წარმომადგენლების დასახლებანი. ერცელი მამულები გადადიოდა სომეხი ვაჭრების და უცხოელ მრეწველთა ხელში. XX ს-ის დამდეგიდან ეს არასასურველი, საშიში ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ დროს თერგდალეულთა საქმის გამგრძელებელმა არჩილ ჯორჯაძემ ატეხა საგანგაშო ზარი.

არჩილ ჯორჯაძემ ჩამოაყალიბა და „ცნობის ფურცელში" გამოაქვეყნა ეკონომიკური პროგრამა, რომლის მესამე მუხლში შეიტანა ქართული მიწა-წყლის საკითხი. არ. ჯორჯაძე წერდა: „ამ კითხვას უმეტესი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან ენასთან და გვარტომობასთან ერთად მიწაა ერთი უპირველესი ფაქტორი ეროვნული ცხოვრებისა". იქვე არ. ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის რაციონალურად წარმოებას ვერ ახერხებს, მაგრამ მას ჯერ კიდევ საკუთრებაში აქვს 2 მლნ დეს. მიწა. სამწუხაროდ მათი მამულების უმეტესობა ბანკებშია დაგირავებული და მასზე დადებული ვალის გადახდას თავადაზნაურობა ვერ ახერხებს. დღეს თუ არა, ხვალ თავადაზნაურობა, ეკონომიკური ცხოვრების კანონების ძალით, თავის მამულებს გამოეთხოვება. შეგნებული საზოგადოება გულგრილი ვერ დარჩება იმ დროს, როცა ქართული მიწის დაკარგის საფრთხე რეალურად დგება. არჩილი გულისწყრომით აღნიშნავდა, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს ეს საკითხი არ

ადარდებს; იმ მოძღვრების მიმდეარეთ, რომელნიც საქართველოში კაპიტალისტებისა და მუშების შეტაკების მეტს ეერაფერს ხედაეენ, არ ესმით საკითხის სიმწვავე. მათთვის სულ ერთია ეინ დაეპატრონება საქართველოს მიწა-წყალს. მაგრამ უნდა შეიგნონ, რომ ეს დიდი და შეიძლება ითქვას საბედისწერო შეცდომაა. მიუხედავად ჩვენი მემამულისა და გლეხის წინააღმდეგობისა, მთელი ქართველი ერის კეთილდღეობა მოითხოეს, რომ მიწა ქართველს დარჩეს. რაკი თავადაზნაურთა უმეტესობა მიწის შენარჩუნებას ეერ ახერხებს, მისი მამულები ქართველი გლეხობისა და ბურჟუაზიის ხელში უნდა გადავიდეს. არ. ჯორჯაძემ წამოაეენა წინადადება ეროვნული ბანკის გამართვის შესახებ, საერთო ქართული საადგილმამულო ბანკი მოახერხებდა, არჩილის აზრით, მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესის დარეგულირებას, გაუადვილებდა ქართველებს კონკურენციაში გამარჯვებას, მშობლიური მიწის ნაკვეთების შეძენას[42].

არ. ჯორჯაძის თვალსაზრისი გაიზარა თავადაზნაურობის საგრძნობმა ნაწილმა და ქარიშხლიანი 1905 წლის შემდეგ სცადა გლეხობასთან საერთო ენის გამონახვა, აგრარული საკითხის სიმწვავის განელება. პრივილეგიურ წოდებას, ბუნებრივია, აშინებდა სისხლიანი რეეოლუცია, მიწათმფლობელობა-საკუთრების ძველი ფორმების ლიკვიდაცია ძალდატანებითი მეთოდებით. თავადაზნაურთა ლიდერების აზრით, საკუთრების ფორმების შეცვლა უნდა მომხდარიყო მკვეთრ შერეევათა გარეშე, არა კონფისკაცია-ჩამორთმევით, არამედ ეეოლუციის გზით. მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების გაფართოებით. ისინი ცდილობდნენ ეკონომიკურ ცხოვრებაში გაეტარებინათ ისეთი ღონისძიებები, რომელნიც უზრუნველყოფდნენ ქართველი თავადაზნაურობის მიერ გაყიდული მიწის ქართველი გლეხობის ხელში გადასვლას. პატრიოტი თავადაზნაურობა მოითხოვდა აგრეთვე, რომ თავისუფალ სახაზინო მიწებზე რუსი კოლონისტები კი არ ჩამოესახლებინათ, არამედ იგი გამოეყენებინათ მცირემიწიან ქართველ გლეხთათვის დამატებითი ნაკვეთების გამოსაყოფად.

1907 წელს აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ ჩამოაყალიბა საადგილმამულო კომისია, რომელსაც დაეკასრა ერთგვარი საშუამავლო მისია მემამულეებსა და გლეხთა ურთიერთობაში. ამ კომისიის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და, „საერთო ნიადაგის" თეორიის მომხრე მიხეილ მაჩაბელმა სპეციალური მოხსენება წაიკითხა თავადაზნაურთა საკრებულოში. „ობილისის გუბერნიის ძირძველი მოსახლეობისათვის მიწის შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ". მან აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორიიდან (3.681510 დეს.), თავადაზნაურობას, რომანოვთა საგვარეულოს წევრებს და სხვა კერძო მფლობელებს ეკუთვნის 1.664428 დეს., სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში კი არის 2 მლნ დესეტინაზე მეტი მიწა. მომხსენებლის აზრით, იმ დროს, როცა ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობის დიდ ნაწილს უმიწაწყლობა და მცირემიწიანობა სტანჯავდა, რუსეთიდან აქ კოლონისტთა გადმოსახლება წარმოადგენდა ანტისახელმწიფოებრივ და ანტიხალხურ აქტს. მან თავადაზნაურობას მოუწოდა მთავრობისაგან მეეთხოვა საქართველოში რუსების ჩამოსახლების შეწყვეტა[43].

ობილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულომ, მისგან ჩამოყალიბებულმა აგრარულმა კომისიამ და ქართველ თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკმა, ნაწილობრივ მაინც, შეკვეცეს რუსეთის მთავრობისა და სახელმწიფო საგლეხო ბანკის კოლონიზატორული საქმიანობა. 1907-1914 წლებში აგრარული კომისიის შუამავლობით განხორციელდა მიწის ყიდვა-გაყიდვის 188 აქტი, რომელშიც მონაწილეობდა 10730 გლეხური კომლი. მათ საკუთრებაში შეისყიდეს 46478 დეს. მიწა, რაშიც გადაიხადეს 2,3 მლნ მანეთი[44].

ქართველი მოღვაწეები, მართალია, მთლიანად არ უარყოფდნენ მიგრაციის პროცესის სტიქიურ-ობიექტურ ხასიათს, მაგრამ კარგად ხედავდნენ, რომ მთელი XIX ს-ის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნოსთა წარმომადგენლების განსახლებაში მთავარი ფაქტორი იყო რუსეთის ცარიზმის

კოლონიური პოლიტიკა და „დაჭყავ და იბატონეს“ დოქტრინა. მათ კარგად იცოდნენ, რომ 1828-1829 წწ. ომში თურქებზე გამარჯვების შემდეგ, რუსმა მოხელეებმა „საშუალება მისცეს“ მაჰმადიან ქართველებს სამცხე-ჯავახეთიდან „მშობლიურ“ თურქეთში გადასელისა, ხოლო მათ ადგილზე სომხები ჩამოასახლეს. არ. ჯორჯაძე წერდა, რომ „ახალქალაქის მაზრაში მთავრობამ შექმნა ეკონომიკური უთანასწორობა გადმოსახლებულ და ადგილობრივ ქართველ გლეხთა შორის. სოფ. ხერთვისში, მაგალითად, იქ დარჩენილ ქართველებს კომლზე აქვთ 3 დესეტინა, სომხებს კი ამ მაზრაში უჭირავთ 40-50 დეს. კომლზე“. ძველად ამ ტერიტორიაზე ქართული მეურნეობა და კულტურა ჰყვაოდა. XIX საუკუნეში კი ქართველები დაუძლურდნენ და ჩამორჩენენ. ასეთივე მდგომარეობაა, განაგრძობს არჩილი, ბორჩალოს მაზრაში. იქ რუსებს, თათრებს, სომხებსა და ბერძნებს ქართველებზე 5-10-ჯერ მეტი მიწები აქვთ[45].

XX ს-ის დამდეგს მცირემიწიანობით შეწუხებულმა ქართველ მთიელთა ერთმა ნაწილმა არაერთხელ სთხოვა რუსულ ხელისუფლებას შირაქის ველზე დასახლების ნებართვა. რუსი მოხელეები თითქოს იცავდნენ მომთაბარე მეცხვარეთა ინტერესებს და უარს ამბობდნენ ამგვარი თხოვნების დაკმაყოფილებაზე. სინამდვილეში კი ეს უარი განპირობებული იყო იმით, რომ მეტროპოლიას სურდა შირაქისაკენ დაეძრა რუს კოლონისტთა კიდევ ახალი ტალღა. 1903 წ. 26 ნოემბერს სიღნაღის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს მოახსენებდა: ჩემზე მინდობილი რეგიონის გარუსების წინაპირობაა შირაქში საგადასახლებო ნაკვეთების გამოყოფა. რუსულ დასახლებათა შექმნა-მოწყობისათვის გამოდგება 112 ათასი დესეტინა მიწა. ჩემთვის ცნობილია, რომ შირაქში საკმარისი რაოდენობითაა სასმელი წყლის წყაროებიც. მაგრამ ბევრ მათგანს მალავენ მეცხვარეები (მთებში დაბრუნების წინ აფარებენ მიწას და ფიჩხს), რადგან ფიქრობენ, რომ თუ წყაროების არსებობის ფაქტს გაიგებს მთავრობა, შირაქში ჩამოასახლებს რუსებს. ჩემს მიერ რუსული სოფლების დასაფუძნებლად გათვალისწინებული ველის დიდი ნაწილი, განაგრძობს მაზრის უფროსი, მართალია, იმყოფება ქართველ მთიელ მეცხვარეთა სარგებლობაში, რომელნიც მისი დაკარგვით გაღარიბდებიან, მაგრამ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის მათ უნდა გავაღებინოთ ეს მსხვერპლი[46].

მალე სპეციალური მისიით შირაქში ჩამოვიდა საგადასახლებო სამმართველოს განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე, რომელიც ტერიტორიის შემოვლა-გაცნობის შემდეგ, 1904 წ. 10 ივლისს ეინმე ანდრეი აფანასევიჩს აუწყებდა: „შირაქმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. საკვირველია რატომ თავიდანვე აქედან არ დავიწყეთ. საჭიროდ მიმაჩნია შირაქში ჩამოვიდეს ბალიკლეისკი და დააპროექტოს რამდენიმე ერცელი ნაკვეთი, რომელთა რუსი კოლონისტებით დასახლება დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ“. ამის შემდეგ შირაქის ველის სანახავად რუს კოლონისტთა წარმომადგენლებიც მოიწვიეს. 1904 წ. 7 ოქტომბერს სიღნაღის მაზრის უფროსი აცნობებდა საკოლონიზაციო სამმართველოს უფროსს, რომ რუსეთიდან მოვლინებულ „ხოდოკებს“ დასასახლებლად ყველაზე მეტად მოეწონათ „რუსის წყალი“, „ქედი“, „არხილოსკალო“ და „შავი მთა“[47].

რუსიფიკატორ-კოლონიზატოროა საქმიანობამ, ბუნებრივია, ფრიად შეაშფოთა ქართველი საზოგადოება, ყველაზე მეტად კი მთიელები. ამ უკანასკნელთა სულისკვეთება კარგად გამოხატა ვაჟა-ფშაველამ, რომელიც გაზ. „ცნობის ფურცლის“ მეშვეობით მკითხველს აუწყებდა: „ერთი ჩემი მეგობარი ჩობანი შირაქიდან ძალიან გულდაწყვეტილი შემდეგსა მწერს: ჩვენი მთის ხალხის ცხოვრება მორჩომილია. კარგად იცი ფშაველებსა და თუშებს შირაქიდან გვედგა სული. მაგრამ აქ სხვა ხალხი სახლდება, მეკომურობას მართავს და ჩვენ კი ვრჩებით როგორც მდინარისაგან გარიყული თევზები... ვისაც რა გესმით, ვისაც ცოტა მაინც გისწავლიათ, რატომ არ გვიპატრონებთ. თუკი ათას მთას იქიდან მოსულს

ეკუთვნის შირაქი, ჩვენ რატომ არლარ. არა გვყავს პატრონი, თორემ ესე უდიერად ვერავინ მოგვეპყრობოდა"[48].

ეაჯას ამ კორესპონდენციას გამოეხმაურა რამდენიმე ქართველი პუბლიცისტი. ყველა შეუერთდა მთიელებისა და ქისიყელების გულისწყრომას. სიტუაციის განმუხტვის ფუნქცია თითქოს იკისრა ოფიციალურმა „კავკაზმა". აქ დაიბეჭდა სტატია „По поводу слухов о лишении грузино-горцев пастбиш в Ширакской степи" ავტორი უარყოფს შირაქის რუსებით დასახლების განზრახვას. იგი აცხადებს, რომ ქართველი მთიელები შირაქის საზამთრო საძოვრებით სარგებლობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იწყებენ, რადგან ადრე გამუდმებული ომების და ლეკიანობის გამო, ეს ტერიტორია მთიელებისათვის მიუწვდომელი იყო. ამით რუს ჟურნალისტს იმის თქმა უნდოდა, რომ რაკი ეს საძოვრები რუსეთმა გახადა ხელმისაწვდომი, რუსეთის მთავრობას უფლება აქვს შირაქის ველს თავის შეხედულებისამებრ განაგებდეს და თუ საჭიროდ იქნა ცნობილი იქ რუსების ჩამოსახლება, მთიელებს სხვა საძოვრები გამოეყოფათო[49].

ამ შენიშვნის საპასუხოდ „ნოვოე ობოზრენიეს" ქართველმა კორესპოდენტმა დოკუმენტური მასალებით ცხადყო, რომ ქართველი მთიელები შირაქის საზამთრო საძოვრებით სარგებლობდნენ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში (ჩვენ შეგვიძლია ეს თარიღი ძალიან შორს გადავწიოთ) და ამდენად მათ საჭიროზე მეტი ხანდაზმულობა ჰქონდათ. წერილის ავტორს მკითხველი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ რუსეთის მთავრობას უფლება არ ჰქონდა შირაქი ჩამოერთმია მთიელებისათვის და იქ უცხო ხალხი ჩამოესახლებინა[50].

ქართველთა საზოგადოებრივმა აზრმა და სახალხო რევოლუციის აზვირთებამ აიძულა მთავრობა ამჯერად დათმობაზე წასულიყო, გადაეადებინა შირაქის ველზე რუსების ჩამოსახლება. 1905 წ. 27 ივნისს კოლონისტთა ჩამოსახლების სამმართველო სწერდა ვალუევის სამაზრო პოლიციას ეცნობებინა პოდგორნის სასოფლო საზოგადოების გლეხებისათვის, რომ მათ ჩამოსახლებისათვის შირაქის ველზე ტერიტორია არ გამოეყოფილა[51].

იმ დროს, როცა პრესაში ცხარე კამათს ჰქონდა ადგილი და რუსეთის მთავრობის ინსტანციებს შორის ინტენსიური მიმოწერა მიმდინარეობდა, ქართველი მთიელები თვითნებურად ესახლებოდნენ შირაქში. დუშეთის მაზრის სოფლების – სნოს, ქარქუჩასა და ახალციხის გლეხებმა, დააყენეს რა მთავრობა მომხდარი ფაქტის წინაშე, ყველაე შეიტანეს თხოვნა მიწის ნაკვეთების ოფიციალურად გამოყოფის შესახებ. რუსული ხელისუფლების ბიუროკრატიული აპარატის მოხელეები არ ჩქარობდნენ ამ თხოვნის განხილვას. სნოელები კი თანდათან მეტი რაოდენობის ესახლებოდნენ არხილოსკალოს ტერიტორიაზე. სახელმწიფო მიწებისა და ქონების თბილისის სამმართველო 1906 წ. 20 დეკემბრის ზემდგომ ინსტანციას აუწყებდა: ადგილი, სადაც დასახლდნენ სნოელები, საძოვარია მთიელი მეცხვარეებისა. სნოელების ჩამოსახლება საშიშროებას უქადის მომთაბარე მეცხოველეობას (როცა რუსების შირაქში ჩამოსახლების გეგმას ადგენდნენ, მაშინ არაფრად მიაჩნდათ მომთაბარე მეცხვარეთა ინტერესები – ა. ბ.). სნოელებს რომ მივცეთ მათ მიერ უკვე დაკავებულ მიწებზე დარჩენის უფლება, ეს შექმნის საშიშ პრეცედენტს და სამმართველოს არ ექნება მყარი საფუძველი შირაქში ჩამოსახლებაზე უარი უთხრას სხვა სოფლის მთიელებს. მალე ამის შემდეგ გაიცა ბრძანება სნოელების შირაქიდან დაუყოვნებლივ გასახლების შესახებ[52].

სნოელების შირაქიდან განდევნა არ გამოდგა ადვილი. კიდევ მეტი, მათ მაგალითს სხვა სოფლებმაც მიბაძეს და შირაქის ველზე ჩამოსახლდნენ მთიელები ლობიდან, სიონიდან, ყაზბეგიდან, ფშაველი რამდენიმე სოფლიდან. „იმერეთის" კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ რუსული ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დავალებული ჰქონდათ თვითნებურად ჩამოსახლებულთა შირაქიდან განდევნა, მთიელები გაბედულად შეელაპარაკნენ: „ჩვენ აქედან მკვდრებს თუ წაგვიღებთ, თორემ ცოცხლები წ. მსვლელები არ ვართ... ძლიეს პურის გემო გა-

ეიგეო, სადღა უნდა წაეიდეთო, ... ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეთმო. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება – მამული მხოლოდ იმას რჩება, ეისაც მისთვის თავის განწირვა შეუძლია". მეფისნაცვალი ი. ვორონცოვ-დაშკოეი იძულებული გახდა თავის ქვეშევრდომი მოხელეებისათვის დაევალებინა შირაქში ჩამოსახლებული მთიელებისათვის მიწის ნაკვეთების ოფიციალურად გამოყოფა.

მთიელებმა შირაქში სამი ახალი სოფელი დააარსეს. 1907 წელს ზემო ქედში ითელებოდა 237 კომლი, ხოლო ქვემო ქედისა და არხილოსკალოში – 265 კომლი. ახალმოსახლეებს თეითნებურად ჰქონდათ დაკავებული 3016 დესეტინა მიწა. ახალმოსახლეთა მიწათმოწყობისათვის გაიგზავნა სამუშაოთა უფროსი ზედამხედველი მ. სკიბიცკი. 1908 წ. 11 ივნისს იგი თავის უშუალო უფროსს აცნობებდა, რომ შირაქში თითქმის უკვე დამკვიდრებულია 491 კომლი (3010 ს.) ასეთივე სურვილი აქვს სულ ახლახან მოსულ 130 კომლსაც, მაგრამ მათი მიწათმოწყობა არ მოხდა. ისინი უნდა დაუბრუნდნენ მთას. თუმცა ზემოდან მიღებული მითითების გამო მიწათმომწყობი ამ უკანასკნელთა მიმართაც დათმობაზე წაეიდა. 1908 წ. 10 დეკემბრის აქტით, ზემო ქედის, ქვემო ქედის და არხილოსკალოს ახალმოსახლეებს – აფციაურებს, წიკლაურებს, კობიაშვილებს, ჩიტაურებს, ღუდუშაურებს, ბუჩუკურებს, კამარაულებს, ჩოხელებს, ბურდულებს, ნადიბაიძეებს და სხვებს ნადელებათ დაუმკვიდრდა 4423 დესეტინა მიწა[53].

შიდა მიგრაციის მსხვილი ფაქტები, გაუკაცრიელებულ ადგილებში ახალი სოფლების აღდგენა-აღმოცენება, შედარებით კარგად აისასა არქივისა და პრესის მასალებში. მაგრამ, ამის გარდა, მიმდინარეობდა ადგილმონაცველობის თითქმის შეუმჩნეველი პროცესი, რაც გამოიხატებოდა ცალკეული ოჯახების ერთი კუთხიდან მეორეში, ერთი სოფლიდან მეორეში გადასახლებით. მცირემიწიანობით შეწუხებული რაჭველი გლეხები სტოვებდნენ მშობლიურ კარმიდამოს, საცხოვრებლად გადადიოდნენ ქართლისა და, უფრო მეტად, კახეთის სოფლებში. ზემო იმერეთის გლეხები ესახლებოდნენ მეზობელ ქართლსა და ბორჯომის ხეობაში. ისინი საიჯარო ხელშეკრულებას აფორმებდნენ აუთვისებელი მიწების მფლობელებთან, არც თუ იშვიათად თეითნებურად იკავებდნენ „თავისუფალ" სახაზინო ნაკვეთებს. ასეთ მიგრაციას გლეხური კომლების წასვლა-მოსვლას ადგილი ჰქონდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში[54].

ქართველ გლეხთა ერთი ნაწილი იძულებული ხდებოდა სამშობლოს საზღვრებს გაცილებოდა. რუსული ხელისუფლება არ აფერხებდა ქართველთა ჩრდილო კავკასიასა და იმპერიის სხვა რეგიონებში გადასახლებას, რადგან ეს თავსდებოდა „დაპყავ და იბატონეს" პრინციპის ჩარჩოებში. ფ. გოგიჩაიშვილმა გამოიკვლია, რომ 1904 წელს ჩრდილო კავკასიაში უკვე ითელებოდა 1600 კომლი ქართველი გლეხი[55]. სხვა წყარო გვეუბნება, რომ 1907 წელს ყუბანის ოლქში საცხოვრებლად თითქმის ერთდროულად გადასულა 1500 სულზე მეტი რაჭველი გლეხი. მომდევნო ორ წელიწადს დარიალის ხეობის მთიელებს თერგის ოლქში დაუარსებიათ სამი სოფელი[56]. საქართველოს შვილების სხვა მხარეში „დაკარგვა" აწუხებდა ქართველ საზოგადოებას. „იმერეთის" კორესპოდენტი გულისწყრომით წერდა: „უმიწობით შეწუხებული რაჭველები ასობით და ათასობით ესახლებიან კავკასიის მთებს გადაღმა. ამ დროს კი საქართველოს მიწა-წყალზე ფეხს იკიდებენ უცხოელები. ამგვარი მოვლენა არანორმალურია და ფრიად მავნე საქართველოსთვის". იქვე წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაში ქართველი ხალხისათვის გარკვეული დახმარების გაწევას შესძლებს ეროვნული ბანკი და უმიწაწყლო ქართველების სამშობლოს ჯერ კიდევ აუთვისებელ მიწებზე დამსახლებელი კომიტეტი, რომელთა შექმნა გადაუდებელი საქმეაო"[57].

არ. ჯორჯაძის მიერ ადრე დასმულ ამ პრობლემას, იგივე არჩილი 1912 წელსაც გამოეხმაურა. აღნიშნა, რომ XIX-XX საუკუნეების სიგრძეზე საქართველოში ქართველთა მიწათმფლობელობა იკვეცებოდა, სხვა ტომებისა კი ფართოვდებოდა. ამ დროს ჩამოსახლდაო მაჩაბლებისა და სხვა თავადთა მიწებზე ათა-

სობით ოსი, დაიკავა ათი ათასობით დესეტინა მიწა. მცირემიწიანობით შეწუხებულ ქართველებს ჩვენი ქვეყნის თავისუფალ ადგილებში გადასახლების ნებას არ აძლევდნენ, შიდა ქართლში ოსების ჩამოსახლებას კი არა თუ აფერხებენ, აქეზებენო. ასევე ხდება შაციზლეისპირეთში.

იქ ქართველებს დამკვიდრებას უკრძალავდნენ, რუსებს კი ორგანიზებულად ასახლებდნენ[58]. არჩილის აზრით, რუსეთის მთავრობის შოვინისტურ-კოლონიური პოლიტიკის შედეგი ის იყო, რომ საქართველოს ბევრ რეგიონში მიწის ფონდზე ქართველთა უფლება შეზღუდულია, რუსებისა და სხვა ეთნოსთა წარმომადგენლების მიწათმფლობელობა გაფართოვდა.

საქართველოში ჩამოხიზნული ოსები, ქართველი ხიზნების მსგავსად, მიწის ნაკვეთებს უვადო სარგებლობის უფლებით ამუშავებდნენ. 1911 წ. 11 მაისს ქართველმა დეპუტატებმა კ. ჩხეიძემ და ე. გეგეჭკორმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს კანონპროექტი ხიზანთა მიწათმოწყობის შესახებ. იგი ითვალისწინებდა ამ კატეგორიის გლეხებისათვის მათ სარგებლობაში მოქცეულ მიწაზე საკუთრების უფლების მიცემას გამოსასყიდი ფასის გადახდის გარეშე. სოციალ-დემოკრატები ქართველ და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულ ხიზნებს ერთ ტაფაში ათავსებდნენ, ხიზნობის ინსტიტუტს აგრარულ-სოციალური ურთიერთობის შემადგენელ ნაწილად აცხადებდნენ და თავს იქებდნენ რადიკალური კანონპროექტის სახელმწიფო სათათბიროში წარდგენით. ქართველმა თავადაზნაურობამ დაგმო ჩხეიძე-გეგეჭკორის პროექტი და დაიწუნა რუს ხელისუფალთაგან კორექტირებული მისი ვარიანტიც, პროტესტი გამოთქვა მამა-პაპურ მიწაზე მისი საკუთრებით უფლების დარღვევის გამო.

აღნიშნულ საკითხზე ფაროო მასშტაბიანი დებატები გაიმართა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სოციალური და ეროვნული იდეის მოღვაწენი. არ. ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზრეებმა, იმის გამო რომ ხიზანთა სამი მეოთხედი ჩრდილოეთიდან თეთრებურად ჩამოსახლებული ოსები იყვნენ, ხიზანთა საკითხი ეროვნებათაშორისო ურთიერთობისა და ეროვნული პრობლემების გადაჭრის ნაწილად მიიჩნიეს და ქართული ტერიტორიების ქართველთა საკუთრებაში დატოვება მოითხოვეს. 1913 წელს, როცა არ. ჯორჯაძე უკვე გარდაცვლილი იყო, მისი თვალსაზრისის დამცველად გამოვიდნენ მიხეილ მანაბელი და ალექსანდრე ყიფშიძე. მათ დაწერეს და გამოაქვეყნეს პოლემიკური ხასიათის ნაშრომი, რომელშიც ის ძირითადი აზრია გატარებული, რომ ხიზანთა ინსტიტუტის ლიკვიდაციის კანონპროექტი ეწინააღმდეგება ხიზნური ურთიერთობების ადათ-წესებს, მიწათმოწყობის პრაქტიკას და სამართლიანობის პრინციპს. იგი თუ დამტკიცდა და კანონად იქცა, მხარეებს კი არ შეარიგებს, არამედ მხარეთა შეიარაღებულ დაპირისპირებას გამოიწვევესო[59].

დებატებში ჩაება რევაზ გაბაშვილიც. მან გაილაშქრა არ. ჯანაშვილის წინააღმდეგ, დაიცვა არ. ჯორჯაძის პოზიცია. ისიც აღნიშნა, რომ რუსულ ხელისუფლებას პოლიტიკური მიზანი აქვს. მას უნდა დაარღვიოს ქართველთა ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობა. ქართველი სოციალ-დემოკრატები კი ნებსით თუ უნებლიეთ რუსეთს ეხმარებიანო. „ჩვენთვის ახალი აღმოჩენაა ის, რომ ფორმულა „საქართველო ქართველებისათვის" თურმე რეაქციონერულ გაბატონებულ ერთა ასროვნებაა და ეს მთელ საქართველოს სამხედრო ბანაკად გადააქცევს". გააჩნია როგორ შინაარსს ჩადებთ ამ ფორმულაში. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ როგორც დეკინილ ერს, არავითარი საშუალება არ გაგვაჩნია და არც გვსურს გექონდეს სხვა პატარა მოსახლე ერთა დასაჩაგრავად, ან გასაღვენად. ჩვენ პირიქით, თავს ვიცავთ იმ პოლიტიკისაგან, რომელიც ძალმომრეობით სარგებლობს და ჩვენი კისრიდან ასუქებს უცხო ელემენტს. ჩვენს ოსებს კი არ ვებრძვით, არამედ პროტესტს ვაცხადებთ ბიუროკრატიის პოლიტიკის წინააღმდეგ... ჯანაშვილი იმედოვნებს, რომ შეცვლილი პოლიტიკური პირობები საშუალებას მისცემს ქართველებს უპირატესობა შეინარჩუნოს თავის ტერიტორიაზე, მაგრამ მანამდე გულხელდაკრეფილი ხომ არ უნდა ვიყოთ. „საღ გონებიან პოლიტიკოსს

როგორ ეპატიება იმის არცოდნა, რომ მთლიანი ტერიტორია, ეროვნული ერთიანობაა ფუძე შემდეგში პოლიტიკური პირობების შექმნისათვის (წაიკითხე – პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის – ა. ბ.) და როდესაც დაგვამარცხებენ, როცა ცალკე ოსობა, ცალკე სომხობა, ცალკე შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულნი დაგვიპყრობენ... მაშინ გვიანღა იქნება[60].

ქართველი ინტელიგენციის, ყველა სოციალური ფენის ფარული თუ აშკარა პროტესტის მიუხედავად რუსეთის დემოგრაფიული ექსპანსია გრძელდება. 1913 წელს გაზ. „იმერეთის" პუბლიცისტი მკითხველ საზოგადოებას აუწყებდა, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში რუსი კოლონისტების ჩამოსახლებამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო. საქართველოს ზოგიერთმა რეგიონმა საგრძნობლად იცვალა სახე. „დღეს ეს კუთხეები საქართველოს ნაწილს კი არ გაეს, არამედ რუსეთის გუბერნიის რომელიმე ნაწილს". ამჟამად რუს კოლონისტებმა სამიზნედ გაიხადეს „ბორჩალოს, თბილისის და სიღნაღის მაზრა... ამ მხარეში სახაზინო ადგილების დაჭერას არ დაჯერდნენ, რაც ერთიანი დაუსახლებელი ადგილები იყო ყველა შეისყიდეს და შიგ ჩასახლდნენ. უკანა მხარის სოფლებს აჟდარი დაუდგათ. მათ მხარეს ზეავიეით მიაწყდა რასკოლნიკთა ტალღა და მათი კეთილდღეობა წალეკა. თბილის-სიღნაღის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, სოფელ მალხაზოეკიდან დაწყებული მაღარომდე, რუსეთის გუბერნიას მოაგონებს კაცს. ამ რაიონში ჯერჯერობით გაშენებულია შემდეგი სოფლები: მალხაზოეკა, ალექსანდროეკა, დიმიტროეკა (გალაური), ბრატსკოე, თამარა-მაკაეესკაია (ადგილი იყიდეს თამარ მაყაშვილისაგან)". სოფ. ზელიანოე პოლეში უკვე დასახლებულია რუსთა 100 ოჯახი, ნოვოტროიცკოეში – 130, პერეი უჩასტკაში – 60, ჯერ უსახელოში – 20 ოჯახი. ეს სოფლები ძირითადად გაშენდაო ანდრონიკაშვილის, მაყაშვილების და სხვა თავადთა მიწებზე.

ხსენებული გაზეთის კორესპონდენტი, შემდეგ წერს, რომ მთავრობამ რუსების ჩამოსახლება დაიწყო ჭიაურის ტყეშიც, რომლის ფართობი 30 ათას დესეტინას შეადგენს. ქიზიყელებმა განგაში ასტეხეს – ეს ჩვენი სასერეიტუტო (სარგებლობის უფლებით გადმოცემული) ტყე არისო, მთავრობამ თითქოს უკან დაიხია, მაგრამ ქიზიყელ გლეხებს ჭიაურიდან დაათმობინა 5 ათასი დესეტინა და დაუმტკიცა იგი ახალმოსახლე რუსებს. მალე კი ჭიაურის დანარჩენ ფართობზე დაიწყო რუსების ჩამოსახლება. ამჟამად, არსებობსო რუსთა შემდეგი სოფლები: ნოეო მიხაილოესკოე, ნოეო ალექსანდროესკოე, გრაფსკოე, დაშკოეო, ილარიონოესკოე, ელიზავეტინსკოე და რომანოესკოე ხუტორა. ამ სოფლებში მცხოვრებთა რიცხვი 2 ათას კომლზე მეტია. წერილის ავტორი სინანულით აღნიშნავს, რომ რუსების მიერ ჭიაურის მიტაცების გამო პროტესტის გამოთქმა ვერც ქიზიყელებმა გაბედეს და ვერც ქართველ თავადაზნაურთა საადგილმამულო კომისიამო.

რუსის მოხელეთა თვითნებობა-ძალადობის დასახასიათებლად პუბლიცისტს მოჰყავს ერთი საგულისხმო მაგალითიც: ამ ოთხი წლის წინათ ჭიაურში დასახლდა 64 კომლი ქიზიყელი, 19 წლის ვადით იჯარით აღებულ მიწაზე შექმნა სოფელი ცოდნა. 2 წლის შემდეგ ეს ადგილი ნახეს რუსმა კოლონისტებმა და ძალიან მოეწონათ. მყისვე ამოქმედდნენ მოხელენი, დაიწყეს ქიზიყელთა შევიწროება, თუ არ აიყრებოდნენ, შეიარაღებული ძალის გამოყენებითაც კი ემუქრებოდნენ. შეშინებული ქართველი გლეხები გაიფანტნენ, ალბათ თავის ადრინდელ საცხოვრისს დაუბრუნდნენ. რუსმა კოლონისტებმა ცოდნის „ოკუპაცია" მოახდინეს. შექმნეს „რომანოვსკოე ხუტორა".

„იმერეთის" კორესპონდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ გადმოსახლების სამმართველოს არც შირაქი დაუტოვებია ყურადღების მიღმა. იქ უკვე სამი რუსული სოფელია შექმნილი (ნოეონიკოლოევსკოე, სვეჩინო, მეფის წყარო), სადაც 1900 მცხოვრები ითვლება. იმავე სამმართველომ თბილისის მაზრაში დააფუძნაო სოფლები – პაველოესკოე, ალექსეეეკა, გეორგიეესკოე, მიხაილოესკოე, ტატიანოესკოე[61].

ასეთი ფაქტობრივი მასალის თავმოყრა და მისი ანალიზი საფუძველს აძლევდა „იმერეთის“ რედაქციას კრიტიკული შენიშვნები გამოეთქვა თავადაზნაურთა საადგილმამულო კომისიის მისამართით. მან მართალია, შეისყიდა წერილ-წერილი ნაკვეთები, საერთო ანგარიშით 40 ათასი დესეტინა მიწა და განვადებით ქართველ გლეხებზე გაყიდა, მაგრამ თავის საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია, ხელი ვერ შეუშალა რუსულ ხელისუფლებას და მის ბანაკს ფართო დაუსახლებელი ტერიტორიების მითვისება-კოლონიზაციაში. ამ კომისიამ ვერ მოახერხა „ვერც სახაზინო და ვერც საბატონო მიწის შენარჩუნება ადგილობრივ ქართველ მკვიდრთათვის იქ, სადაც ამას ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები მოითხოვდა“. დასავლეთ საქართველოს უმიწაწყლო გლეხთა გარკვეულმა ნაწილმა შესძლო თბილისის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრაში დამკვიდრება, მაგრამ იქ გაცილებით მეტი მიწები რუსმა კოლონისტებმა დაიკავეს[62].

ცარიზმის მიერ საქართველოს მიწის ფონდის მითვისება, ქართველ მფლობელ-მეურნეთა ექსპროპრიაცია და რუსეთის დემოგრაფიული ექსპანსია შენელებული ინტენსივობით პირველი მსოფლიო ომის წლებშიც გრძელდებოდა. ეს ის დროა, როცა ქართველი ხალხის ანტირუსული აჯანყება თითქმის საყოველთაო იდეად გადაიქცა. მაგრამ საერთაშორისო მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქართველმა ერმა უსისხლოდ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ორიოდე წლით მაინც აღკვეთა კოლონიზატორთა თარეში.

---

1. С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. II, 1907 г., გვ. 176-185.
2. იქვე, გვ. 97-99.
3. სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივი, ფ. 1268, ანაწ. 16, საქ. 28, ფურც. 1-5, 53-56.
4. ს. ესაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 202-206.
5. И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, Тб., 1962, გვ. 135-140.
6. სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივი, ფ. 396, ანაწ. 3, საქ. 1089, ფურც. 18-21.
7. საქართველოს სცსა, ფ. 231, საქმე 318, ფურც. 7-8.
8. საქართველოს სცსა, ფონდი 231, საქ. 35, ფურც. 2-3.
9. იქვე, ფ. 243, ანაწ. 5, საქ. 674, ფ. 1-15.
10. ამირან აჟალიანი, მიწის მფლობელობის წესები აჭარაში XIX ს. 40-70-იან წლებში, თბ., 1962, გვ. 62-70.
11. საქართველოს სცსა, ფ. 231, საქ. 62, ფურც. 42-48.
12. საქართველოს სცსა, ფ. 243, ან. 4, საქ. 88, ფურც. 44-47.
13. იქვე, ფურც. 30.
14. Материалы по вопросу о распространении действии крестьянского поземельного банка на Кавказский край. 1906, გვ. 58-59.
15. Труды съезда виноградовладельцев и виноградарей Кахетии, Тб., 1901 г. გვ. 195-201, „ცნობის ფურცელი“, 1903, №2113.
16. სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივი, ფ. 391, ანაწ. 2, საქ. 532, ფურც. 2-5.
17. გაზ. „ამირანი“, 1908, №196.
18. იქვე, №207.
19. Кавказское хозяйство, 1910 г. №18, გვ. 9.
19^. Эристав-Шервашидзе, Памятная записка о нуждах грузинского народа, М., 1906 г., გვ. 55-60.
20. История уделов, С-Пб., 1897, გვ. 6-7, 22-29.
21. История уделов, т. 1, გვ. 587.
22. სანკტ-პეტერბურგის სახ. არქივი, ფ. 515, ანაწ. 81, საქ. 909, ფურც. 85-90.

23. იქვე, ფ. 515, ანაწ. 81, საქ. 800, ფურც. 143.
24. საქართველოს სცსა, ფ. 351, საქ. 16, ფურც. 54-58, 118-120.
25. სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივი, ფ. 560, ანაწ. 26, საქმე 1993, ფურც. 4-5.
26. საქართველოს სცსა, ფ. 1915, ანაწ. 1, საქ. 1928, ფურც. 8-9.
27. საქართველოს სცსა, ფ. 1915, ანაწ. 1, საქ. 2037, ფურც. 202; საქ. 616, ფურც. 56; საქ. 1356, ფურც. 1-8.
28. საქართველოს სცსა, ფ. 242, ანაწ. 1, საქ. 15, ფურც. 123-126.
29. საქართველოს სცსა, ფ. 1915, ანაწ. 1, საქ. 1300, ფურც. 2-64.
30. იქვე, საქ. 2374, ფურც. 104-115.
31. იქვე, საქ. 952, ფურც. 7-8; საქ. 1329, ფურც. 11-14.
32. იქვე, საქ. 1275, ფურც. 3-4.
33. И. Антелава, Реформа поземельного устройства гос. крестьян Закавказья, Сухуми, 1952 г. გვ. 4-5.
34. Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, 1900 г. გვ. 97-99.
35. И. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, Т. II, გვ. 216-217.
36. სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივი, ფ. 396, ანაწ. 7, საქ. 157, ფურც. 89-91.
37. იქვე, ფურც. 132-146.
38. სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივი, ფ. 396, ანაწ. 7, საქ. 157, ფურც. 194-198.
39. საქართველოს სცსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 8724, ფურც. 1-9.
40. იქვე, ფ. 242, ანაწ. 1, საქ. 189, ფურც. 1-3.
41. იქვე, საქმე 69, ფურც. 1-2.
42. არ. ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 37-38.
43. საქართველოს სცსა, ფ. 215, ანაწ. 1, საქ. 17, ფურც. 1-2, 3-5.
44. Отчет о деятельности земельной комиссии... за 1919-1915 гг., გვ. 12.
45. არ. ჯორჯაძე, თხზ., ტ. I, გვ. 47-48.
46. საქართველოს სცსა, ფ. 292, საქ. 65, ფურც. 9-11.
47. იქვე, ფურც. 40-43, 73.
48. ცნობის ფურცელი, 1905 წ., №2685.
49. Газ. «Кавказ», 1905, №61.
50. Газ. «Новое обозрени», 1905 г., №77.
51. საქართველოს სცსა, ფ. 242, საქ. 65, ფურც. 42-43.
52. საქართველოს სცსა, ფ. 243, ანაწ. 5, საქ. 713, ფურც. 10, 23, 28, 31.
53. იქვე, ფურც. 90, 104, 133.
54. ისტორიის ინსტიტუტის კაპიტალისტური ხანის განყოფილების 1960 წლის ექსპედიციის მასალები.
55. ჟურ. „მოამბე", 1904 წ. №1, გვ. 73-74.
56. გაზ. „დროება", 1909 წ., №52.
57. გაზ. „იმერეთი", 1913 წ. №1, ან. №6.
58. არ. ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 48-49, 62-63.
59. Прекрашение Хизанских отношении в Грузии, 1914, გვ. 29-30, 33-35.
60. ჟურ. „კლდე", 1913, №18, გვ. 11-12.
61. გაზ. „იმერეთი", 1913 წ., №32, გვ. 2-3.
62. იქვე.

რუსული დასახლებები საქართველოში (XIX-XX სს.) და „გადმოსახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება“

რუსეთის იმპერიულ-კოლონიური დემოგრაფიული პოლიტიკის შესწავლით ირკვევა:

1. რუსეთის დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში, ისტორიულად მის კუთვნილ მიწა-წყალზე, იყო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთი მიმართულება, რომლის მიზანს ქართველი ერის სრული ასიმილაცია, რუსულ სახელმწიფოში მისი ინტეგრირება წარმოადგენდა;

2.რუსეთის დემოგრაფიული პოლიტიკა იყო აგრესიული და დივერსიული. ამას განაპირობებდა მისი ფარული მიზნები, ის რომ რუსეთმა შეცვალა საქართველოს ბუნებრივი დემოგრაფიული პოლიტიკა ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველების მიმართ;

3. რუსეთის დემოგრაფიული პოლიტიკა გათვლილი იყო არა მარტო აწმყოს, არამედ მომავლის შედეგებზე. ის კიდევ უფრო მეტი ძალით უნდა ამოქმედებულიყო ხანგრძლივი დროის შემდეგ და რუსული იმპერიალისტურ-კოლონიური ჩანაფიქრი განეხორციელებინა.

4.დღევანდელი საქართველოს სეპარატისტული რეჟიმები, კომპაქტური არაქართული რეგიონების უსაფუძვლო პრეტენზიები ქართული სახელმწიფოს მიმართ შედეგია იმ დემოგრაფიული პოლიტიკისა, რასაც რუსეთი ატარებდა XIX-XX საუკუნეებში, მის მიერ დაპყრობილ საქართველოში.

კარგადაა ცნობილი, თუ როგორ ითვისებდა რუსეთი დაპყრობილ კავკასიურ ტერიტორიას, როგორ აჭრელებდა მას ეთნიკურად და არუსებდა. XIX საუკუნის ბოლოს მან მტკიცედ გადაწყვიტა ყველაზე ბარბაროსული გეგმის განხორციელება: კავკასია „ინოროდცებისა“ და „ტუზემცების“ გარეშე, კავკასია რუსებისათვის, როდესაც საკვლევ თემასთან დაკავშირებულ საარქივო დოკუმენტებსა და იმდროინდელი პრესის მასალებს გავეცანით, ნათელი გახდა ეს გეგმა: ჩნდება შთაბეჭდილება, თითქოს მთელი რუსეთი დაძრულა აქეთკენ, რათა გოჯი მიწაც აღარ დარჩენილიყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მისი გამრავლებარეგენერაცია ქართულ მიწაზე შეჩერებულიყო, შეწყვეტილიყო. ჩამოსახლებულთა საბუთებში მთავარი ნიშანი ახალმოსახლისა იყო დახასიათება, სადაც ხაზი ესმებოდა მის რუსულ ეროვნულ კუთვნილებას, სამშობლოში უმიწობას, მის სამეურნეო თვისებებს. სახელმწიფო ჩამოსახლებულებს იმდენად ეხმარებოდა, რომ ადგილობრივი გლეხები მათთან შედარებით, ღატაკებად გამოიყურებოდნენ.

სამხედრო-პოლიტიკური ათვისების შემდეგ რუსეთმა კავკასიის ეკონომიკური ათვისება სცადა. გარდა იმისა, რომ რუსეთის ხელშეწყობით ხდებოდა სომხების დასახლება საქართველოში, XVIII ს-ის 80-90-იანი წლებიდან დაწყებული XX საუკუნის 10-იან წლებამდე (ეს პროცესი არც საბჭოთა პერიოდში შეწყვეტილა), მიმდინარეობდა სხვა ეთნოსის ჩამოსახლებაც, რაც დაკავშირებული იყო იმპერიულ-კოლონიურ მიზნებთან. 1817 წელს ერმოლოვმა ჩამოასახლა გერმანელები. ქართველები რუსებს ზარმაც, მეურნეობის უცოდინარ ხალხად მიაჩნდა, ფიქრობდნენ, რომ გერმანელები თავიანთი სამეურნეო გამოცდილებით „გამოასწორებდნენ“ მათ, თუმცა, როგორც საკითხის მკვლევრები აღნიშნავენ, მათ ბევრი ვერაფერი შეამატეს საუკუნეთა სიღრმიდან წამოსულ და მტკიცე ქართულ სამეურნეო ტრადიციას, პირიქით, ბევრი გადაიღეს ქართველებისაგან[1].

გერმანელების ჩამოსახლებას რუსი სექტანტების – დუხობორების, სკოპცების, მოლოკნების ჩამოსახლება მოჰყვა. ესეც ერთგვარი დისკრიმინაციული პოლიტიკა იყო ქართველების მიმართ, რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა რუს მოსახლეობაზე სექტანტთა მაგნე ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით, ისინი კავკასიაში ჩაესახლებინა. სექტანტებმა ვერ შეასრულეს ხელისუფლების იმედი, ვერ მოახდინეს ვერავითარი მაგნე ზეგავლენა ვერც ქართველებზე, ვერც მათ

სარწმუნოებაზე, ამის შემდეგ მთავრობამ სამხედრო ბანაკების შექმნაზე გადაიტანა იმედი. იქმნებოდა სამხედრო-სტრატეგიული პუნქტები. სამხედროების ჩამოსახლება ჯერ კიდევ პაველ ციციანოვმა (1802-1806) დაიწყო. მდ. ენგურზე მის დროს ჩამოსახლდა დონელი კაზაკების დიდი ჯგუფი, ჩეხი სექტანტები გამოჩნდნენ იმერეთში, 1806 წელს 4 ათასზე მეტი რუსი გადმოსახლდა კავკასიაში. უკვე 1806 წელს შეიქმნა კავკასიის გუბერნიებში დასასახლებლად ჩამოსული გლეხობის მომწყობი კომისია. მას ჰქონდა დებულება, სადაც განსაზღვრული იყო დახმარების ის ფორმები, რითაც უნდა დაეკმაყოფილებინათ ჩამოსახლებულები.

თადარიგის ჯარისკაცების ჩამოსახლება გააქტიურდა გენერალ ერმოლოვის (1816-1827) დროს. გადმოსახლებულ სამხედროებს აძლევდნენ ბინას, მიწას, ანიჭებდნენ გარკვეულ შეღავათებს და ასახლებდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში. ასეთი დასახლებები იყო: გორში, ბაშიჩეთში, მანგლისში, თეთრიწყაროში, დედოფლისწყაროში, გომბორში, მუხრანში. ამ წამოწყებამაც ვერ ჰპოვა გასაქანი. ეს პროექტიც ვერ განახორციელა რუსეთმა, სამხედროები ვერ დაამაგრა საცხოვრებელ ადგილებზე. პროექტის გაგრძელება და განხორციელება სცადა იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა, როდესაც მან 1837 წელს მანგლისში, ელიზავეტოპოლში, წალკაში, თეორიწყაროსა და ლაგოდეხში შექმნა ე. წ. სამკვიდრო კოლონიები. მიზანი იყო რუსული მოსახლეობის რიცხვის გაზრდა საქართველოში, საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიის ამ რეგიონში.

იმავე 1837 წელს სამხედრო დასახლება შეიქმნა დასავლეთ საქართველოში, წებელდაში. 1860 წლამდე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე 10 სამხედრო დასახლება იყო: კოდორის ხეობაში, ფსხუში, წებელდაში და ა. შ. ეს იყო სამხედრო კოლონიები, სადაც სახლდებოდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის, ორენბურგის, დონის, ურალის ჯარების კაზაკები, კავკასიის ომის მონაწილე ჯარისკაცები ოჯახებით. იყვნენ სხვადასხვა გუბერნიის გლეხებიც, ძირითადად არამეურნენი. ეს სამხედრო დასახლებები უნდა გამხდარიყო მთავრობის დასაყრდენი ამ რეგიონში, მისი პოლიტიკის გამტარებელი და უნდა უზრუნველყო ადგილობრივი მოსახლეობის სრულ მორჩილებაში ყოფნა.

ვინაიდან ამ კოლონიებმა თავიანთი დანიშნულება ვერ შეასრულეს (რუსი გადმოსახლებულები ვერ დამაგრდნენ ადგილებზე, ვერ შეეწყვნენ კლიმატს და ა. შ.). 1857 წელს მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ (1856-1862) ისინი სახაზინო უწყებას გადასცა და სახელმწიფო ქონების ექსპედიციას დაუქვემდებარა.

რუსი სექტანტების გადმოსახლების ინტენსიური ეტაპი დაიწყო 1830 წლის 20 ოქტომბრის კანონით და XIX ს-ის ბოლომდე მიმდინარეობდა, თუმცა უკვე შენელებული ტემპით. აქაც იგივე მოხდა: ვერც სექტანტების ჩამოსახლებამ გაამართლა მთავრობის იმედი: ისინი ვერ იქცნენ ღია საზოგადოებად, ვერ დაამყარეს ისეთი კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც მავნე ზეგავლენას მოახდენდა ქართულ ეთნოკულტურულ და ისტორიულ ტრადიციებზე, დაარღვევდა ერის სულიერ წყობას. ისინი მშვიდობიანად თანაარსებობდნენ „კავკასიის ციმბირის" „ტუზემცებთან". ქართველი თავადები აქტიურობდნენ კიდეც, რათა სექტანტები ჩასახლებინათ მათ მიწებზე. ასეთი უფლება 1842 წელს მოიპოვა „ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ", ხოლო შემდეგ იგივე უფლება მოიპოვეს – ორბელიანებმა და დადიანებმა. მსგავსი მოთხოვნა ჰქონდა თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლს – ჭავჭავაძეს, მაგრამ ვერ განახორციელა, რადგან 1844 წელს, კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის მაშინდელმა უფროსმა პ. ი. ნეიდგარტმა (1842-1844) არ მიიღო მოლოკნები. მან მიზეზად სახაზინო მიწების ნაკლებობა დაასახელა, რუსეთის სახელმწიფო ქონების მინისტრს პ. დ. კისელევს ურჩია ისინი კერძო პირთა მიწებზე დაესახლებინა, მათ შორის თავადი ჭავჭავაძეც იყო,

მაგრამ მინისტრმა, სახელმწიფო ქონების ინტერესების დაცვით, ამ იდეაზე კატეგორიული უარი თქვა.

ქართველი თავადების ინტერესი იმაში მდგომარეობდა, რომ: 1. ხაზინას შეესყიდა მათი მიწები სექტანტებისათვის; 2. თუ ვერ შეისყიდდა, მაშინ ჩამოსახლებულებს გარკვეული ვალდებულებებით სარგებელი მოეტანათ მათთვის, ხელი შეეწყოთ მეურნეობის აღორძინებისათვის. 1858 წლის 28 მაისის ბრძანებულებით, სექტანტებმა მიიღეს მთელი რიგი შეღავათები, რაც უკვე აღარ აწყობდათ ქართველ თავადებს.

რუსი გლეხების კოლონიზაცია გაძლიერდა საგლეხო რეფორმისა და კავკასიის ომის დასრულების შემდეგ. რუსეთის სახელმწიფომ, რეგიონში მტკიცედ ფეხმოკიდების მიზნით, გადაწყვიტა თავისი ერთგული ხალხის გადმოსახლება, იმ მებრძოლთა დაჯილდოება, რომელთაც „სისხლი დაღვარეს" მხარის დაპყრობისათვის. ამ პოლიტიკით, 1873 წლისათვის, ჩრდილოეთ კავკასიაში, მკელევარ ისმაილ-ზადეს მონაცემებით, მოსახლეობის უმეტესობა რუსი იყო[2].

მკელევრები, მათ შორის ქართველებიც, ამ პროცესის გაძლიერებას გლეხთა მცირემიწიანობასა და სოციალურად დაბალ დონეზე ყოფნას უკავშირებენ, ვფიქრობ, ეს რუსული ისტორიოგრაფიის გავლენაა და არასწორი, რადგან უპირველესი მიზანი რუსული კოლონიზაციისა პოლიტიკური იყო. ამიერკავკასიის რეგიონი რუსეთთან შედარებით, განსაკუთრებულად მცირემიწიანი იყო და თავის მკვიდრ მოსახლეობასაც ვერ აკმაყოფილებდა. ხსნიდა რა ევროპული რუსეთის სიმჭიდროვეით და ჭარბმოსახლიანობით, რუსულ ისტორიოგრაფიას მოჰქონდა სტატისტიკა, რომლის მიხედვით, რუსეთის მოსახლეობამ მართლაც არაჩვეულებრივი ზრდის კოეფიციენტი აჩვენა: 1897 წლის აღწერიდან I მსოფლიო ომის დაწყებამდე ამ კოეფიციენტმა 33,7% შეადგინა, რაც საკმაოდ დიდი მონაცემი იყო. აქედან 3/4 მთელი მოსახლეობისა, რუსეთის ევროპულ ნაწილში ცხოვრობდა. მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს ეს ციფრი, ის მაინც ვერ ეწეოდა ამიერკავკასიისა და შუა აზიის მოსახლეობის საერთო მონაცემებს, მიუხედავად ამისა, რუსეთმა მაინც გააგრძელა აქტიური კოლონიზაციის პოლიტიკა კავკასიაში.

კანონი „გადასახლებულთა" შესახებ. 1889 წლის 13 იულისს გამოვიდა კანონი გადასახლების შესახებ, რომელიც ერცელდებოდა ევროპულ რუსეთზე, ტომსკისა და ტობოლის გუბერნიებ'ზე, ეს კანონი 1897 წლის 31 მარტის ახალი კანონით შეიცვალა, სადაც უკვე ჩასმული იყო შაიზღვისპირეთი და ამიერკავკასია. მთავრობამ მოიმიზეზა მოსახლეობის მოთხოვნა ამ რეგიონში დასახლებაზე, ევროპული ნაწილის გადატვირთვა და კავკასიის საბოლოოდ ათვისება-გარუსება დაიწყო. ვინაიდან მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა (1882-1890 წწ.) უარი თქვა ნრდილო კავკასიაში რუსი გლეხების გადმოსახლებაზე (რადგან იქ კა'საკები უკვე ცხოვრობდნენ და რუსეთს დასაყრდენი ჰქონდა, მათი შეკიწროვება-წყენინება კი მთავრობას აღარ აწყობდა), ძირითადი გადმოსახლების ცენტრად ამიერკავკასია და შაიზღვისპირეთი იქცა. 1898 წლის 15 აპრილის კანონი კავკასია'ში გადმოსახლებაზე დამტკიცდა და თბილისში დაფუძნდა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული „გადასახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება", შედგა მისი წესდება, სადაც გათვალისწინებული იყო გადმოსახლებულთა ინტერესების დაცვა, სახელმწიფოსაგან მათი დახმარების ფორმები.[3] წესდების შედგენისა და გადმოსახლებულთა სამმართველოს დაარსება'ზე რუსეთის იმდროინდელ შ.ს. მინისტრის მოადგილეს ა. ობოლენსკის აცნობებდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი სამოქალაქო დარგ'ში. წესდება 34 პარაგრაფისაგან შედგებოდა. მისი მიზანი იყო ეთანამშრომლა ხელისუფლების ორგანოებთან და ეზრუნა კავკასიაში გადმოსახლებულ პირთა დასახმარებლად. ამიერკავკასიის გადასახლებულთა პუნქტებ'ში მისი შემწეობით უნდა დაარსებულიყო დროებითი თავშესაფრები, ღამის გასათევი ადგილები, სასადილოები და სამედიცინო პუნქტები.

მისი მოვალეობა იყო გადმოსახლებულთა დასახლება, საჭირო ნივთებითა და ფულით დაკმაყოფილება. სამმართველოს უნდა დაემყარებინა კავშირი ამიერკავკასიის იმ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან, რომელთაც შეეძლოთ გადასახლებულთა დახმარება, ეთანამშრომლათ მათთან და ახალმოსახლეთათვის ეკლესიებისა და სკოლების აშენება უზრუნველეყოთ. გადასახლებულთა ამიერკავკასიის სამმართველოს ბეჭედზე, იყო წარწერები: „Закавказский отдел общества вспомоществования нуждающимся переселенцам". იგი ექვემდებარებოდა რუსეთის შ.ს. სამინისტროს.

ამიერკავკასიის გადმოსახლებულთა სამმართველოს ჰყავდა დამფუძნებელი და საპატიო წევრები. დამფუძნებელს ერთდროულად შეჰქონდა საზოგადოებაში 25 მანეთი, რაც შეადგენდა მის ძირითად კაპიტალს. კავკასიის მთავარმართებელი თავისთავად ხდებოდა საპატიო წევრი და კრების დროს, თუკი დაესწრებოდა, თავმჯდომარის ადგილს იჭერდა. საზოგადოების მოქმედ წევრებად შეეძლოთ შესულა ორივე სქესის სრულწლოვან მოქალაქეებს, რომელთაც არანაკლებ 3 მანეთისა უნდა შეეტანათ ყოველწლიურად საზოგადოების სალაროში, ყოველი წლის დასაწყისში, თუ არ შეიტანდნენ, წლის მეორე ნახევარში გაირიცხებოდნენ. მთავარი ორგანო იყო საზოგადოების წევრთა საერთო კრება და ამიერკავკასიის განყოფილების კომიტეტი.

საერთო კრება იყო ჩვეულებრივი და საგანგებო, სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოსული მთავარი გადასახლების სამმართველოს წევრები სარგებლობდნენ ამიერკავკასიის განყოფილების წევრთა ყველა უფლებით.

ჩვეულებრივი კრება წელიწადში იმართებოდა არანაკლებ სამჯერ, საგანგებო კომიტეტის შეხედულებისამებრ, ანდა საზოგადოების წევრთა 1/5-ის მოთხოვნით. კრებას უძღვებოდა კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც ეალდებული იყო წინასწარ ეცნობებინა ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელობისათვის კრების მოწვევის რიცხვი, დღე და საათი, ასევე კრებაზე განსახილველი საკითხები. კრების კომპეტენცია იყო: კომიტეტის წევრთა არჩევა, იმ კანდიდატურების განხილვა, რომელთაც სურდათ მოქმედ წევრად არჩევა ან ექვემდებარებოდნენ საპატიო წევრად არჩევისათვის წაყენებულ მოთხოვნებს; კომიტეტში შესული საქმეების განხილვა და სათანადო დადგენილებების გამოტანა; კომიტეტის ანგარიშების და სარევიზიო კომისიის მოხსენებების მოსმენა ფულადი შეწირულობებისა და მისი განკარგვის დადგენა; კომიტეტის წლიური ანგარიშების მოსმენა; მომდევნო წლის გასაყალ-შემოსავლის დამტკიცება; იმ საკითხებზე მსჯელობა, რომელიც საზოგადოების საქმიანობას ეხებოდა; შუამდგომლობა ხელისუფლებასთან პეტერბურგის ძირითადი საზოგადოების საშუალებით; მოქმედი წესდების შეცვლა და საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტაზე დადგენილების გამოტანა.

თუ საერთო კრებას წევრთა 1/5 მაინც არ დაესწრებოდა, ის ვერ შედგებოდა, მაშინ მოიწვევდნენ განმეორებით კრებას, რომელიც უფლებამოსილი იყო შემდგარიყო, თუგინდ წევრთა საჭირო რაოდენობა აღარ გამოცხადებულიყო. განმეორებითი კრების მოწვევამდე მის უფლებამოსილებას იღებდა დამფუძნებელი ჯგუფი, არანაკლებ 6 კაცისა. კრების განსახილველ საკითხებს ან კომიტეტი, ან თვით საბჭოს წევრები განსაზღვრავდნენ. საკითხები წყდებოდა ხმის უმრავლესობით, არა უმცირესი 2/3-ისა. კომიტეტის წევრთა არჩევა ხდებოდა ხმის მიცემით, წერილობით. კომიტეტის წევრები უნდა ყოფილიყვნენ თბილისში მუდმივად მცხოვრებნი, კომიტეტი თავის შემადგენლობიდან ირჩევდა თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, ხაზინადარსა და მდივანს. კომიტეტის წევრები უხელფასოდ მუშაობდნენ. კომიტეტი ფულად სახსრებს განკარგავდა საერთო კრების ნებართვით, საკუთარი შეხედულებით მხოლოდ 200 მანეთამდე შეეძლო გაეცა, ოღონდ ანგარიში უნდა წარედგინა საერთო კრებისთვის.

ყოველი წლის დასაწყისში კომიტეტი წარმოადგენდა წინა წლის მუშაობის ანგარიშს, რომელსაც სარევიზიო კომისია ამოწმებდა. გუბერნატორის ნებარ-

თვით ეს ანგარიში იბეჭდებოდა ადგილობრივ პრესაში, მას ეცნობოდა შ.ს. მინისტრი და მისი ნებართვით იგი შესაძლოა დაბეჭდილიყო სახელისუფლებო ცენტრალურ პრესაშიც. კომიტეტის სხდომები თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩატარებულიყო. კომიტეტის დადგენილებები წყდებოდა ხმის უმრავლესობით, მაგრამ თუ ხმები თანაბარი იყო, თავმჯდომარის ხმა გადაწონიდა მეორე მხარეს. თავმჯდომარის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებდა მისი ამხანაგი, ხოლო კომიტეტის წევრთა არყოფნისას – წევრობის კანდიდატები. კომიტეტს ჰყავდა მდივანი და ყველა წერილობით დოკუმენტს ის ადგენდა.

ამიერკავკასიის გადმოსახლებულ გლეხთა კომიტეტი შემდეგი სახსრებით არსებობდა: საწევრო შენატანებით, ქველმოქმედებით, პეტერბურგის კომიტეტის მიერ მისთვის გამოყოფილი თანხებით, კერძო წრეებიდან, კულტურული ორგანიზაციებიდან, იმ საქველმოქმედო დაწესებულებებიდან შენატანებით, რომლებიც საზოგადოების მიერ იყო დაარსებული: ეს იყო სიმღერის, ცეკვის, ხელსაქმის, წერა-კითხვის შემსწავლელი და სხვა ტიპის სკოლები, მათი დაარსებისა და შემოსული თანხის გამოყენებაზე ადგილობრივ ხელისუფალთა ნებართვა უნდა ყოფილიყო. ბიუჯეტი ასევე ივსებოდა საჯარო კონცერტებიდან, ლიტერატურული საღამოებიდან, სპექტაკლებიდან, გასართობი შეკრებებიდან, წიგნების გამოცემიდან შემოსული თანხებით. ეს შემოსავალი ტარდებოდა წიგნებში, რომელსაც არ უნდა ჰქონოდა საჯარო ხასიათი.

მთავარმართებელ გოლიცინის საგადასახლებო დროებითი წესები. 1896-1905 წლებში კავკასიის მთავარმართებელი იყო ვ. ს. გოლიცინი. გოლიცინი რეაქციონერი, ანტიქართველი, ნამდვილი რუსიფიკატორი და კოლონიური რეჟიმის ტიპიური ხელისუფალი იყო. მან კარგად დაინახა რუსული კოლონიალიზმის ინტერესები ამ პროექტში და აქტიურად შეუდგა მის განხორციელებას. დაგზავნა ცირკულარი ამიერკავკასიის გუბერნატორებთან, დაავალა მათ – შეედგინათ „ჭარბი მიწების" სიები და დაეწყოთ მზადება რუს გადმოსახლებულთა სოფლების დასაარსებლად[4].

გოლიცინის ცირკულარს საფუძვლად დაედო რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის – ი. კ. გორემიკინის შესაბამისი მითითება, რაც კავკასიელმა მოხელემ ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა. გოლიცინის უხეში პოლიტიკა იმდენად აღიზიანებდა ხალხს, რომ მას თავს დაესხნენ და დაჭრეს, რის შემდეგაც წავიდა კავკასიიდან, მაგრამ სანამ ეს ფაქტი მოხდებოდა, მან მოელი რიგი ისეთი ღონისძიებები გაატარა, რითაც მთლიანად უკუაგდო ადგილობრივი მცირემიწიანი მოსახლეობის უფლებები და ინტერესები.

1898 წლის 28 სექტემბერს გოლიცინმა დაამტკიცა კავკასიაში საგადასახლებო საკითხებზე „დროებითი წესები". გოლიცინის მიერ შედგენილი დოკუმენტები მოწმობს რუსული საგადასახლებო პოლიტიკის რეაქციულ არსს. მოვიტანთ, მცირე შემოკლებით, ერთ დოკუმენტს: „საგადასახლებო საქმე კავკასიაში შეადგენს ჩვენი დროის გადაუდებელ მოთხოვნას, ვინაიდან გადმოსახლებულნი ჩამოდიან მხარეში, რათა იპოვონ რაიმე საფუძველი საგადასახლებო საქმის კარგად გადაწყვეტისათვის. ვიღებთ მხედველობაში, რომ რუსეთის ინტერესებშია ამ მხარის კოლონიზაცია რუსული წარმოშობისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების ადამიანებით, და რომ სხვა ხალხის, სხვა სარწმუნოებისა და სექტანტების ჩამოსვლა აქ არ უნდა დაეუშვათ. ...მთელი თავისუფალი სახელმწიფო მიწა... უნდა გამოყენებულ იქნას რუსული კოლონიზაციისათვის, საგადასახლებო საქმის სწორად წარმართვისათვის კავკასიაში, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პირველი გადმოსახლებულები მყარად მოეწყონ, რადგან წინაალმდეგ შემთხვევაში, გადასახლება შემდგომში წარუმატებლად წავა. ამიტომ, ძალზე აუცილებელია, რომ მოიჯარეებს, რომელთაც სურთ აქ საბოლოოდ ჩასახლება, უნდა მიეცეს ყველა შეღავათი, იაფი საგადასახლებო ტარიფით სიარულის უფლება... კოლონიზაციის საქმის სრული გადაწყვეტისათვის, პირველ რიგში დაგ-

ეჭირდება საგადასახლებო ნაკვეთები, არა უბრალოდ თავისუფალი სახელმწიფო მიწები, რომლებიც გამოდგება მიწის სამუშაოებისათვის და ცხოვრებისათვის, არამედ მიწები, რომლებზეც განსაზღვრული იქნება ადგილები მომავალი დასახლებისათვის, საძოვრებისათვის, ხვნა-თესვისათვის... ასეთ სამუშაოს ყველგან ასრულებენ სპეციალური საგადასახლებო ჯგუფები. ბუნებრივია, რომ კავკასიის მხარეშიც ამ სამუშაოს წარმატებით შეასრულებენ მხოლოდ ეს ორგანოები...[5].

წარმოდგენილი დოკუმენტის შინაარსი და პათოსი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

1.კავკასიის კოლონიზაცია XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში რუსული პოლიტიკის მთავარი მიმართულება იყო;

2.რუსეთი ამ მხარის კოლონიზაციას რუსი, მართლმადიდებლური მოსახლეობით აპირებდა, რადგან სხვა სარწმუნოების ხალხი, მათ შორის რუსი სექტანტებიც კი ვერ ახდენდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე, მათ რელიგიასა და კულტურაზე ზეგავლენას; ქართველები თავიანთი ტოლერანტული ბუნებით, არც უპირისპირდებოდნენ და არც წეს-ჩვეულებებს იღებდნენ მათგან;

3.გადმოსახლებულებს თავი ისე კარგად უნდა ეგრძნოთ, რომ პროცესი შემდგომში უფრო დიდი მასშტაბით წარმართულიყო, რისთვისაც ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიათ კოლონისტი რუსი გლეხებისთვის, მიეცათ მათთვის ის შეღავათები, რაც ადგილობრივ გლეხობას არ ჰქონდა;

4.საგადასახლებო ნაკვეთები ისე უნდა შერჩეულიყო, რუსული სოფლების გაშენება იმგვარად უნდა დაეგეგმათ, რომ ბევრი თავისუფალი მიწა ყოფილიყო. სადაც განსაზღვრული იქნებოდა კოლონისტთა შემდგომი ტალღების მიღება. ამ დროს არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის მატების შემთხვევაში საჭირო სამოსახლოებიც კი.

5.გადმოსახლების მთელ პროცესს სათავეში ედგა ხელისუფლების მიერ შექმნილი სპეციალური საგადასახლებო ჯგუფები. არცერთ ამ ჯგუფში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები არ შედიოდნენ. ისინი მხოლოდ ხელისუფლების რუსი წევრებით კომპლექტდებოდა. ეს ფაქტი მოწმობს რუსეთის რეაქციულ ჩანაფიქრს, მის მიერ დაპყრობილი მოსახლეობის ინტერესთა უგულებელყოფას.

მთავარსამმართველოში ცალკე არსებობდა გლეხთა განყოფილება, რომელიც ეხმარებოდა გადმოსახლებულ რუს გლეხებს. ამიერკავკასიის გადმოსახლებულთა სამმართველოს ჰქონდა ფილიალები: ბაქოში, ერევანში, ელიზავეტპოლში, შავი ზღვის გუბერნიაში. ყველა მათგანს თავისი წესდება ჰქონდა.

გლეხთა დახმარების მიზნით შექმნილმა კომიტეტებმაც შეადგინეს საკუთარი წესდებები და პროგრამები.

1898 წლის 16 ოქტომბერს რუსეთის შ.ს. სამინისტრომ დაამტკიცა საზოგადოების წესდების პროექტი, სადაც განსაზღვრული იყო გადმოსახლებულთა საჭიროებანი და თვით საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობანი[6].

რუსული დასახლებები და ხელისუფლების როლი მათ შექმნაში. როგორც საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, სამმართველოს დაარსებიდან ორ წელიწადში ამიერკავკასიაში იყო რამდენიმე რუსული დასახლება: აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში – 12: ელიზავეტპოლში – 6, თბილისის გუბერნიაში – 6. გაიზარდა რუსული დასახლებების რიცხვი დასავლეთ ამიერკავკასიაშიც. მარტო სოხუმის ოლქში XX ს-ის დასაწყისში შემდეგი რუსული სოფლები გაჩნდა: ალექსეევსკოე I, ანდრეევსკოე, დმიტროვსკოე, მიხაილოვსკოე, პეტრო-პავლოვკა, ბაკლანკა, ევსიოლაია, ალექსეევსკოე II, მატროსსკაია, ვორონცოვკა, ვასილევკა, როჟდესტვენსკოე, პოლტავსკოე, პეტროვსკოე, პავლოვსკოე, მარინსკოე, ოლგინსკოე, ეკატერინსკოე, ჩერნიგოვსკოე, იურევსკოე, ალექსანდროვსკოე, სუვოროვსკოე, დუბროვკა, დრანდა, ივანოვკა, კონსტანტინოვკა და ა. შ. მხოლოდ 1900 წელს აქ უკვე 35 რუსული სოფელი იყო[7].

გაჩნდა რუსული ტოპონიმიკა, ჭრელი გახდა საქართველოს შავიზღვისპირეთის ეთნიკური შემადგენლობა. როდესაც მუხაჯირობა დაიწყო და თავისუფალი მიწის ფონდი გაჩნდა ამ მხარეში, მთავრობამ მოითხოვა ადგილობრიელთა გასახლება, რათა შეექმნა მისთვის უფრო საიმედო, წმინდა რუსული სოფლები[8].

აფხაზეთში რუსული კოლონიზაცია სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა:

1.არენდული, როდესაც ადგილობრივი მემამულეებისაგან საგადასახლებო ჯგუფები რუსი გლეხებისათვის იღებდნენ არენდით მიწებს, რის უფლებასაც ქართველ გლეხებს არ აძლევდნენ. ხშირად უკან აბრუნებდნენ აქ ჩამოსულ მთიანი რაჭა-იმერეთის და სამეგრელოს მოსახლეობას[9].

2.აფხაზეთში მიმდინარეობდა სამონასტრო კოლონიზაცია, როდესაც რუსეთის მიერ აღდგენილ თუ ახლად დაარსებულ ეკლესია-მონასტრებს მიწების დიდი ფონდი ეძლეოდა. მთავრობა ამ მონასტრებს მიიჩნევდა რუსეთის თვითმპყრობელობისა და კოლონიური მეურნეობის მნიშვნელოვან დასაყრდენად აფხაზეთის სანაპიროზე. მაგალითად, ახალი ათონის მონასტერს – 270 დესეტინა მიწა მიეცა, დრანდის მონასტერს – 300.

3.საკურორტო და სათაეადაზნაურო კოლონიზაცია. რუსეთში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც ათამაშებდა ლატარეას აფხაზეთში მიწის ნაკვეთების მოსაგებად და გასაყიდად.

რუსი მოსახლეობა ისე დაიძრა კავკასიისაკენ, როგორც აღთქმული ქვეყნისკენ. იყო მთავრობისაგან ორგანიზებული და სტიქიური ჩამოსახლებებიც. საარქიეო დოკუმენტებში მრავლადაა ფაქტი, როდესაც თბილისში ჩამოვიდნენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გლეხთა ოჯახები, მთავრობა მათ აბინავებდა გადასახლებულთა სამმართველოსთან არსებულ გამანაწილებელ პუნქტში მანამ, სანამ მათთვის საჭირო მიწებს და სახლს არ გამოძებნიდა. ერთი დოკუმენტით, თბილისის გადასახლებულთა პუნქტში მოხვდა პენზიდან თავისით ჩამოსული 3 რუსული ოჯახი, რომელთაც სამოსახლო გამოუყვეს თბილისის გუბერნიის რუსულ დასახლებაში. „უკან დაბრუნება მათ არ სურთ, – წერია დოკუმენტში, – რადგან სამშობლოში მიწა არ გააჩნიათ“[10].

1901 წელს ამიერკავკასიის კომიტეტმა მიიღო რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მომართვა კიევის გუბერნატორის თხოვნაზე, რომლის მიხედვით 100 ოჯახი უნდა გადმოსახლებულიყო თბილისის გუბერნიაში[11]. სამწუხაროდ, უკრაინიდან ჩამოსახლებულების პირად საქმეებში ყველგანაა აღნიშნული, რომ ისინი ეროვნებით რუსები და სარწმუნოებით მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, თუმცა გვარები მათ უკრაინულ წარმოშობაზე მიუთითებს. ამას მთავარსამმართველოს უფროსის – სტანკევიჩის თხოვნაც მოწმობს თბილისის გუბერნიაში პოლტაველი გლეხების დასახლების თაობაზე[12].

გადმოსახლებულებს დიდი რაოდენობით მიწა ეძლეოდათ როგორც საკუთრებაში, ისე იჯარით. ჩამოსახლებიდან ორი წლის მანძილზე ისინი თავისუფლდებოდნენ როგორც საიჯარო, ასევე სხვა ყოველგვარი გადასახადისაგან, შემდგომი სამი წელი გადასახადების ნახევარს იხდიდნენ, თუმცა ამ შეღავათებს ხშირად მათ სასარგებლოდ ცვლიდა ხელისუფლება. იჯარით მიწის აღების უფლება მათ 12 წლის მანძილზე ჰქონდათ, შემდეგ კი – სრულ მფლობელობაში ეძლეოდათ იგი.

ჩამოსახლებული მამაკაცები 2 წელი ჯარიდან თავისუფლდებოდნენ, სარგებლობდნენ შეღავათებით ვაჭრობასა და მრეწველობაში, მიწის დასამუშავებელი იარაღების შეძენაში, მგზავრობაში, ხე-ტყის მოჭრაში, მთავრობისაგან გაღებული დახმარებით იძენდნენ რქოსან პირუტყვს და სხვ. გადმოსახლებულ გლეხთა პირადი ანკეტებიდან ჩანს, რომ ბევრ მათგანს გაცილებით დიდი ქონება ჰქონდა, ვიდრე აღგილობრიელებს. ბევრ გადმოსახლებულს 5-6 ცხენი, ხარი, ძროხა და სხვა პირუტყვი ჰყავდა.

ამიერკავკასიის გადმოსახლებულთა სამმართველოს ფულადი დახმარება გაუწია იმპერატორ ალექსანდრე III-ის ეაჟმა, დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ, მან თავის პირად მფარველობაში აიყვანა საზოგადოება[13]. სამმართველოს თავმჯდომარე კონფიდენციალურად აცნობებდა რუსეთის შ. ს. მინისტრს დიდ მთავართან შეხვედრებზე აბასთუმანში, ასევე სენატორ გორემიკინთან წარდგენილ თხოვნაზე, რომ მის უმაღლესობას – დიდ მთავარს გაეგრძელებინა ასეთი მფარველობა კავკასიაში გადმოსახლებულების მიმართ[14].

ამიერკავკასიის გადმოსახლებულთა სამმართველო და გადმოსახლებულ გლეხთა დამხმარე კომიტეტის დამფუძნებელი საბჭო იმდროინდელი რუსეთის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებისაგან შედგებოდა, ესენი იყვნენ: საიდუმლო მრჩეველები – ვასილ გავრილის ძე ბუტირკინი, კირილ პეტრეს ძე იანოვსკი, კონსტანტინ ვასილის ძე იაკიმოვი, გენერალ-ლეიტენანტი პიოტრ გრიგორის ძე ტარანოვსკი, მოქმედი სამოქალაქო მრჩეველები – ლევ ლეონის ძე მარკოვი, იოსიფ ფეოდორის ძე დრბოგლოვი, ლეონიდ პორფირის ძე მასტიცკი, ფიოდორ ალექსანდრეს ძე ბიკოვი[15].

900-იანი წლების დასაწყისში კვლავ დაისვა რუსეთიდან სამხედროების გადმოსახლების საკითხი. 1903 წლის 30 ოქტომბერს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გადმოსახლებულთა კომიტეტს თხოვდა ყირიმის ომის მონაწილეთა ოჯახებისათვის მიწების გამოყოფას. მიმართვა ერცელი იყო და მთლიანად ასახავდა კავკასიაში რუსი სამხედრო დასახლებების ისტორიას XIX ს-ში. ერცელი წერილის ბოლოს შტაბის უფროსი, სევასტოპოლის დაცვის 50 წლისთავთან დაკავშირებით ამ კამპანიაში მონაწილე ჯარისკაცებთან ერთად, ითხოვდა უნგრეთის კამპანიაში, პოლონეთის აჯანყების ჩაქრობასა და სხვა სამხედრო ოპერაციების მონაწილეთა დასახლებას თბილისის გუბერნიაში. „მითუმეტეს, ამტკიცებდა შტაბის უფროსი, ზოგჯერ ისეთ ადამიანებს ეძლევათ მიწები, რომელთაც არც არსად უმიათ და არც არაფერი გაუკეთებიათ სამშობლოსთვისო"[16].

*„თავისუფალი მიწები" თუ ქართველი ხალხის დემოგრაფიული დისკრიმინაცია?*_ ამიერკავკასიის გადასახლებულთა სამმართველო და მისი კომიტეტები წინასწარ აღწერდნენ თავისუფალ მიწებს, ხდებოდა მათი აზომვა, მეპატრონეთა გარკვევა. თუ მემამულე ფლობდა ამ მიწებს და ვერ ამუშავებდა, მიმდინარეობდა მასთან მოლაპარაკებები; გადასახლებულთა სამმართველო მათ გაცილებით დიდ თანხას უხდიდა, ვიდრე ეს მიწა ღირდა საქართველოში. ამით კი ადვილად აღწევდა მიზანს და ხელში იგდებდა საუკეთესო ტერიტორიებს.

1902 წლის აღრიცხვით თავისუფალი მიწის ფონდი შავიზღვისპირა გუბერნიაში, რომელშიც შედიოდა ქართული ტერიტორიები, აფხაზეთის სანაპიროზე იყო 257815 დესეტინა[17].

თბილისის გუბერნიაში ასე იყო აღრიცხული ასათვისებელი ფონდი: ჭიაურის დასახლება სიღნაღის მაზრაში – 3597,40 დესეტინა; გეორგიევსკის დასახლება თბილისის მაზრაში – 335,00 დესეტინა, დასახლება ნახალოვკა – 348,60 დესეტინა, ბათუმის ოლქში: დონგუ აღასა და კიზილ-ტოპრაკის დასახლებისთვის – 872,20 დესეტინა. სიღნაღის მაზრის ჭოტორისა და ნუკრიანის რუსული დასახლებებისთვის – 2320 დესეტინა. მუღანის ველზე დასახლების პროექტით სულ 14887,50 დესეტინა მიწა გამოეყო. მუღანის ველი 5 ნაწილად, 5 სექტორად დაიყო. I-ს 5822,90 დესეტინა გამოეყო, II-ს 3300,50 დესეტინა, III-ს 3449,00 დესეტინა, IV-ს – 5116,70 დესეტინა, V-ს 815,50 დესეტინა[18].

სოჭის ოლქში აღრიცხული იყო თავისუფალი 1780 ნადელი. საარქივო ფონდი №242-ის პირველი აღწერის 21-ე საქმე, რომელიც სოჭისა და ტუაფსეს რაიონის კოლონიზაციას ეხება, ცხადყოფს თუ რა ნაძალადევი იყო ამ რეგიონის დენაციონალიზება, როდესაც 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ პრეტენზია გამოაცხადა ამ რეგიონებზე, რუსეთმა მას აქაური დემოგრაფიული ვითარება შეახსენა და უარყო ქართველთა პრეტენზიები. ჯერ ერ-

თი, ამ დროს ჯერ კიდევ მრავლად ცხოვრობდნენ აქ ქართველები, მეორეც, რუსეთს კარგად უნდა ხსომებოდა რუსული დასახლებების შექმნის ისტორია[19], თუ 1902-1903 წლებში ჯერ კიდევ არსებულ თავისუფალ მიწებზე მისცემდნენ ქართველებს ჩასახლების უფლებას, მაშინ ვითარება სხვაგვარი იქნებოდა. თუ ქართველი უმიწო გლეხების ისტორიულ მიწებზე ჩასახლებას ხელს უშლიდა, ხელისუფლება სამაგიეროდ აქცევდა მათ სამხრეთ რუსეთსა და ჩრდ. კავკასიაში დასასახლებლად. ამის მიზეზი ის იყო, რომ გადასახლებულთა ორგანიზაციებმა წინასწარვე იცოდნენ როგორ მოხდებოდა რუსეთში ქართველთა ასიმილაცია. მართლაც, ქართველები ალაგირსა თუ სხვა რუსულ დასახლებებში ინტეგრირებულნი აღმოჩნდნენ ადგილობრივებთან. იმდენად დიდი იყო რუსების სწრაფვა შავიზღვისპირეთში, რომ ხშირად ისინი საკუთარი ხარჯით ესახლებოდნენ აქ, სახაზინო მიწებს ყიდულობდნენ სათანადო ორგანოებისაგან, ან მათი ხელშეწყობით ადგილობრივ მემამულეთაგან[20].

კავკასიაში შექმნილი საგადასახლებო რაზმები არა მარტო გადმოსახლებულთა სოფლებს ქმნიდნენ, არამედ წინასწარ სწავლობდნენ მიწის ფონდს, ითვალისწინებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის თავისებურებებს; არჩევდნენ გლეხებს ჩამოსასახლებლად, რომელთაც უნდა შეძლებოდათ იმ სამეურნეო კულტურების მოყვანა, რაც კავკასიაში იყო. მაგ.: პოლტავის გუბერნიის გლეხები თავიანთ განცხადებებში წერდნენ, რომ შეეძლოთ პურის მოყვანა, მებაღეობა, მევენახეობა და ხეტყის დამუშავება[21].

რაზმების მიერ აღრიცხული თავისუფალი მიწები, პირობითად იყვნენ ასეთნი, სინამდვილეში, საქართველოში, მითუმეტეს მთიან ქუთაისის გუბერნიაში თავისუფალი მიწა არ იყო, რადგან თუკი იგი გადანაწილდებოდა, თვით გუბერნიის მოსახლეობას მინიმალურადაც კი ვერ დააკმაყოფილებდა. თანაც, აღრიცხული მიწები ყველა როდი გამოდგებოდა დასამუშავებლად. ზოგი ქვიანი და მთიანი იყო, ზოგი მორწყვას საჭიროებდა. ბარის პირობებს შესეული რუსებს უჭირდათ როული მთიანი რელიეფის შეგუება, სრულიად განსხვავებული სამეურნეო ტრადიციის სწრაფად ათვისება, მაგრამ მიმდინარეობდა დაპყრობილი მიწების კოლონიზაციის პროცესი და ამაში სამხრეთ კავკასიაც უნდა ჩართულიყო. XX საუკუნის დასაწყისში ჩრდ. კავკასიის მოსახლეობის 25-30% რუსი იყო, ამიერკავკასიაში კი ეს პროცენტი 2,59-ს უდრიდა.

1897 წლის აღწერით, რუსი მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტი ბაქოს გუბერნიაში ცხოვრობდა – 8,9%; ყარსის ოლქში – 7,7%, თბილისის გუბერნიაში – 7,5%, ქუთაისის გუბერნიაში – 1,9%, ელიზავეტპოლის გუბერნიაში – 1,6%, ერევნის გუბერნიაში – 1,6%. მიუხედავად ამისა, რუსული მოსახლეობის ზრდის ტემპი უსწრებდა ადგილობრივი მოსახლეობის ზრდას, რადგან ეს იყო ხელოვნური პროცესი, რომელიც რუსეთის კავკასიური ადმინისტრაციის საკოლონიზაციო საქმიანობას უკავშირდებოდა.

საკოლონიზაციო პროცესმა შეცვალა დემოგრაფიული სურათი ბევრ რეგიონში. მაგ.: 1886 წელს სოხუმში 3 აფხაზი ცხოვრობდა, ონამჩირეში არცერთი, ძირითადი აქ ქართველები იყვნენ, მათ მოსდევდა სომხები, რუსები, ბერძნები[22]. XX საუკუნის დასაწყისიდან დემოგრაფიული სურათის შეცვლისათვის დაიწყო ბრძოლა, რომლის წარმმართველი ხელისუფლება იყო. ეს პროცესი აფხაზეთში არა მარტო ქართველთა, აფხაზთა საზიანოდაც მიმდინარეობდა, ხდებოდა მთლიანი გარუსება. მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი აფხაზეთის კოლონიზაციაზე საუბრისას აცხადებდა: „ეარგისი მიწის ყოველი მტკაველი, რომლებიც მჭიდროდაა დაკავებული გადმოსახლებულებით, წარმოადგენს ამ მხარეში რუსეთის საყრდენს“[23].

ცხრაასიანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა, რევოლუციურმა სიტუაციამ დააჩქარა ამიერკავკასიის კოლონიზაცია. გადმოსახლებულთა სოფლების სახით მთავრობა მდგომარეობას თითქოს განმუხტავდა, ხელისუფლების საიმედო დასაყრდენად მიიჩნევდა ამ სოფლის მკვიდრთ. ამ დროს გაკრცელდა ხმები რუსეთ-

ში – კავკასიის სიმდიდრეზე, უხვმოსავლიანობაზე, რასაც მოჰყვა რუსი გლეხების აქეთკენ სწრაფვა, რა თქმა უნდა, ხმის გავრცელებასა და კოლონიზაციის დაჩქარებულ პოლიტიკაში ხელისუფლების ორგანოები მონაწილეობდნენ. გადმოსახლებული გლეხი ანკეტის 10 პუნქტს აესებდა, სადაც ყველა მონაცემი იყო მასა და მისი ოჯახის წევრებზე[24]. ეკატერინოსლავიდან ჩამოსული გერასიმე გორბის ანკეტაში ყურადღება გამახვილებულია ოჯახის შემადგენლობაზე, შრომისმოყვარეობაზე, ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებაზე, ქონებაზე, რითაც დასაბუთებულია მისი დასახლება ყიზლარში[25].

ნადელის ფართობი გადმოსახლებულთათვის ასე იყო განაწილებული: მაღალმთიან რეგიონში – 12 დესეტინა, საშუალო ზოლში – 8, დაბალ, თბილ - ზოლში – 4 დესეტინა მამრობითი სქესის მოსახლეობის თითო სულზე. ნადელის გაზრდა შეიძლებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებში[26]. მთავრობამ ერთხანს დიდი პრივილეგიები მისცა ჩამოსახლებულებს, მაგ.: გერმანელებს, რამაც კავკასიის მაშინდელი მმართველი ბარიატინსკიც კი შეაშფოთა და აალაპარაკა ქართველ გლეხთა საკალალო მდგომარეობაზე მაშინ, როდესაც გერმანელ კოლონისტებს სახნავ-სათესი მიწებიდან ალექსანდროვკის დასახლებაში – 37 დესეტინა ეჭირათ, მარიენფელდის კოლონიაში – 35, ეკატერინეფელდში – 28 დესეტინა.

რუსი კოლონისტების სწრაფვა „კავკასიის სამოთხისაკენ". რუსი კოლონისტების სწრაფვას ველარაფერი აკავებდა. გადმოსახლებულებს მხარს უჭერდნენ ანტიქართული ძალები, იმპერიული პოლიტიკის მხარდამჭერი წრეები. რუს კოლონისტებს დასახლებაში ეხმარებოდა რუსეთის საგლეხო-საადგილმამულო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილება. ბანკის საქმიანობა რუსეთმა მხარის სამეურნეო ათვისების სამსახურში ჩააყენა. ბანკის მიერ შეძენილ მიწებზე, მისი დაარსებისთანავე, 35 რუსული ოჯახი დასახლდა. კავკასიაში ამ ბანკის გარდა, რუსებს დასახლებაში ეხმარებოდნენ სხვადასხვა რუსული ორგანიზაციები, რომლებიც ცენტრალურ რუსეთსა თუ თბილისში იყვნენ დაფუძნებულნი.

საბედნიეროდ, რუსეთ-იაპონიის ომმა დროებით შეაფერხა გადმოსახლების ტალღა. სახელმწიფოს აღარ შეეძლო ხაზინიდან იმდენი თანხის გამოყოფა, რაც გადმოსახლების აქტიურად გაგრძელებას უზრუნველყოფდა, რადგან ეკონომიკა მთლიანად ომის ინტერესებისათვის მუშაობდა. საარქივო დოკუმენტი, რომელიც 1904 წელსაა შედგენილი და რომელსაც გადასახლებულთა სამმართველოს უფროსი სტანკევიჩი უგზავნიდა ამავე უწყების ჩინოვნიკს – თავად ნიკალაი პეტრეს ძე ურუსოეს, ავლენს თუ რა დიდი ტალღა მიიღო სამმართველომ სამხრეთ კავკასიაში დასასახლებლად 1903 წელს. ეს იყო 1753 ოჯახი, 7321 სულით, მარტო პოლტავის გუბერნიიდან. 1904 წელს 734 ოჯახი ითხოვდა იმავე გუბერნიიდან ჩამოსახლებას. სტანკევიჩი მხარს უჭერდა ამ ტალღის შეჩერებას, რადგან საიმისო სახსრები სამმართველოს არ პქონდა, რომ ისინი კარგად მოეწყო, ცხოვრების ნორმალური პირობები შეექმნა რუსი გლეხების ოჯახებისათვის. სტანკევიჩი ითხოვდა, თუ არ შეწყვეტდა რუსეთის მთავარი საგადასახლებო სამმართველო კავკასიაში ჩასახლების პროცესს, დროებით მაინც შეენელებინა იგი, რათა მანამდე ჩამოსულებს დაბინავება მოესწროთ[27].

რუსებს ასახლებდნენ პროვოკაციის შედეგად თურქეთში გაქცეული მუსულმანი ოჯახების ადგილზე. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტით ელიზავეტპოლის გუბერნიიდან აყრილი 51 ოჯახის ადგილზე ჩაასახლეს რუსი ახალმოსულები[28]. ასევე ხდებოდა აჭარასა და აფხაზეთში.

გადასახლებულთა სამმართველო და მისი ორგანიზაციები მიწის ფონდების მოპოვებას მრავალი ხერხით ცდილობდნენ: ატყუებდნენ თავადებსა და მათ მამულში მცხოვრებ გლეხებს მცირე კომპენსაციის ნაცვლად აიძულებდნენ მიწის დატოვებას, ან უჩიოდნენ სასამართლოში, სადაც ქართველები აგებდნენ

საქმეს. პირველ ბრალდებად ქართველ თავადებს უყენებდნენ მიწების გაცდენას. ერთ ამგვარ დოკუმენტში ეწერა: „Хотя Тархановы им никогда не пользовались"[29].

ხშირი იყო ქართველი თავადებისაგან იჯარით მიწის გაცემის შემთხვევა რუსებზე. მაგ.: თავადმა ანდრონიკაშვილმა სიღნაღის მაზრაში, ცხრაწლიანი ვადით მისცა მიწა ყუბანის ოლქიდან ჩამოსახლებული რუს გლეხებს. პირველ ორ წელს მოიჯარეებს დესეტინაზე 3 მანეთი, ბოლო 7 წელს კი – 6 მანეთი უნდა გადაეხადათ[30]. თავადების ამგვარ საქციელს სამშობლოს ღალატად თელიდა იმდროინდელი ქართული პრესა. ქართველ გლეხებს მიწას არ აძლევდნენ, რადგან რუსები მეტს იხდიდნენ, უფრო სწორად, მთავრობა იხდიდა მათთვის, ხშირად ქართველებიც თანახმა იყვნენ ამ თანხის გადახდაზე, მაგრამ ხელისუფლება აიძულებდა მემამულეებს საქმე რუსი გლეხების სასარგებლოდ გადაწყვეტათ. იჯარის პირობები სახიფათო იყო: ჩამოსახლებულები 9 წლის მანძილზე სურვილისამებრ მოაწყობდნენ აღებულ მიწებს, ააგებდნენ სახლებს, გაიყვანდნენ გზებს, შექმნიდნენ საკოლონიო უბნებს, ააგებდნენ წისქვილებს, გააშენებდნენ ბაღებს, ტყეებს და ა. შ. ქართულ საზოგადოებას ეშინოდა, რომ ისინი აღარასოდეს დააბრუნებდნენ ამ მიწებს. რა თქმა უნდა ადამიანებს, ვინც ამდენ შრომას გაიღებდა, გაუჭირდებოდათ მიწის დათმობა.

მოიჯარადრეები ყველა იმ საშუალებით სარგებლობდნენ, რაც მემამულეებს ჰქონდათ, მემამულეს მათი ინტერესები უნდა დაეცვა, თუკი ადგილობრივ გლეხებთან რაიმე კონფლიქტური შემთხვევა მოხდებოდა, მამულში არავინ უნდა შეჭრილიყო დაკავების მიზნით და ა. შ., თორემ თავად მემამულეებიც და შეჭრილებიც დიდ ჯარიმებს გადაიხდიდნენ არენდატორთა სასარგებლოდ. დასახელებული ანდრონიკაშვილის მამულში ჩასახლებულ რუს გლეხებს დავა ჰქონდათ მოსაზღვრე მიწების მესაკუთრეებთან. დავა იყო საძოვრების, ტყეების, წყაროების და სხვა სათემო საკუთრების მოხმარებაზე. თავად ივანე აბაშიძის განცხადება მიწათმოქმედების სამმართველოს სახელზე ავლენს დავის კონკრეტულ შემთხვევას. აბაშიძე წერს, რომ მისი მამული – „მელაანის ბოლო" ანდრონიკაშვილის მამულს ესაზღვრება და აწუხებენ მისი არენდატორები. გადასახლებულთა კომიტეტს მალხაზ ანდრონიკაშვილის იჯარით გაცემული მამული – ბადიაურში, 1910 წლის მარტში კიდეც შეუსყიდია 59 რუსული ოჯახისთვის, რომელთა სულადობა 324 კაცს შეადგენდა. 174 იყო მამაკაცი, 180 ქალი, 200 ადამიანი სამუშაოდ ვარგისი – ასე გვამცნობს საარქივო დოკუმენტი ამ რუსული დასახლების შემადგენლობას. ყველა გლეხი ყუბანიდან იყო ჩამოსული. მალხაზ ანდრონიკაშვილის მიწა 1105 დესეტინა იყო, ჩამოსახლებულთა სამმართველოს სპეციალურმა კომისიამ სახნავ-სათესისთვის ვარგისად 1060 ჩათვალა, ხოლო ჩამოსახლებულებს 801 დესეტინა მიაკუთვნა. დოკუმენტში აღწერილია მამულის განლაგება, ნაკვეთებად დაყოფა სხვადასხვა კულტურებისათვის, ჭების გასაკეთებლად და სხვ. ჩანს, რომ ადგილობრივებთან ჩამოსულებს ჰქონიათ დავა მიწის გამო. ანდრონიკაშვილის მამულის დასაკუთრება მოხდა ამიერკავკასიის საგლეხო ბანკის საშუალებით. ბანკის მმართველმა – მ. მ. უსტინოვმა, წევრებმა: ეოინიკოვმა, ზერცალოვმა, ივანოვმა, მატვეევმა, შნენგერმა, მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების კომიტეტის თანამშრომლებმა – არხიპოვმა, გუბერნატორის კანცელარიის წარმომადგენელმა – ა. რიდელმა, გადასახლებულთა სამმართველოს განსაკუთრებული რწმუნების მქონე ჩინოვნიკებმა ა. ე. მულინმა და ე. ე. მულინმა, კავკასიის გადასახლებულთა რაზმის გადაღების უფროსმა ე. ნ. ვოლჩანეცკმა – ბევრი გააკეთეს ამ მამულის დასაკუთრებისათვის. სპეციალურ სხდომის ოქმში, სადაც ამ ადამიანების თვალსაზრისი ერცლადაა გამოხატული, საუბარია ანდრონიკაშვილის მამულის მეორე ნაწილის შესყიდვაზე კონშინეცკის ამხანაგობისათვის. ბადიაურის მამულის დასახლებას „სვიატენკოვის" ამხანაგობა ერქვა[31]. ეს სახელი მამულს შეერქვა ყუბანელი გლეხების ხელმძღვანელის, მეშჩანინ დიმიტრი სვიატენკოს გამო, რომელიც უკან გაბრუნდა ყუბანში და გლეხთა ახალი

ჯგუფი ჩამოიყვანა, რათა მალხაზ ანდრონიკაშვილის მთელი მამული დაეკავებინა. საარქივო დოკუმენტი ნათლად გვაცნობს ადგილობრივი ქართველების მდგომარეობას, თუ როგორ ცდილობდნენ ისინი ამ მამულებიდან რაიმე შეეძინათ, ან უკიდურეს შემთხვევაში ძალით დაეკავებინათ. კიევის გუბერნიიდან ჩამოსულ კიშნევსკის ამხანაგობის წევრებს ვერ მოუსწრიათ სათანადო საბუთების გაფორმება, რითაც უსარგებლიათ ქართველ გლეხებს („ტუზემცებს", როგორც მათ დოკუმენტი მოიხსენიებს), შეჭრილან მამულში, ღამით მოუხნავთ და დაუთესავთ. დოკუმენტში ჩანს, როგორ ცდილობდნენ რუსული ორგანიზაციები ქართული მიწების იმგვარ კოლონიზაციას, რომ განეჭვრიტათ მომავალში მათი როლი და მნიშვნელობა კავკასიის გარუსებაში.

1910 წლის დეკემბერში მეფისნაცვალი წერდა რუსეთის გადასახლებულთა კომისიის მაღალ მოხელეს კოკოვცევს, ბადიაურის მამულის, აგარაკ „შიბლიანის" შესყიდვის პროცესზე, თხოვდა, რომ დაეჩქარებინა მთელი მამულის შესყიდვა[32].

რუსეთის ფინანსთა მინისტრის მოწერილობიდან მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისადმი ირკვევა ამ მამულის მთელი ისტორია. პირველად ანდრონიკაშვილის მამული 1891 წელს დაგირავებულა ბანკში, საბოლოოდ კი მთელი მამული: ბაღებით, ვენახებით, ბოსტნებით, წისქვილებით, სარწყავი მინდვრებით – 1895 წელს ჩადებულა ბანკში. მაშინ მისი ღირებულება ყოფილა 70 მანეთი დესეტინაზე. შემდეგში გაზრდილა მიწის ფასი. თუმცა საგლეხო ბანკის ამიერკავკასიის ფილიალმა 1909 წელს დაადგინა ფასები სიღნაღის მაზრაში – დესეტინაზე 26-დან 43 მანეთამდე, ანდრონიკაშვილს საკუთარი ფასი – 104 მანეთი მოუთხოვია. მინისტრი აცხადებდა, რომ ამ თანხას ბანკი ვერ გადაიხდიდა, მაგრამ ბანკი დათანხმდა გადავიხადა, „რადგან ასე მნიშვნელოვანია ამ მიწის შესყიდვაო, – წერდა ფინანსთა მინისტრი მეფისნაცვალს, 93 მანეთს გადავიხდით დესეტინაშიო". ეს თანხა მართლაც დიდი იყო და მას ვერ შესწედებოდნენ ქართველი გლეხები, ისინი კონკურენციის გარეშე დარჩნენ. კარგად რომ მოწყობილან რუსები და მთავრობას საკმარისი ფულიც გაუღია მათ დასასახლებლად, ჩანს ოჯახურ სიებში, სადაც თითო ოჯახს 5 ცხენი, 6 ძროხა და დიდი რაოდენობის სხვა პირუტყვი თუ შინაური ფრინველი ჰყავს, რაც ადგილობრივებთან შედარებით მათ მაღალ მატერიალურ მდგომარეობაზე მიუთითებს.[33]

სიღნაღის მაზრაში იყო რუსული სოფელი ილარიონოვკა, სადაც მეთამბაქოებას ეწეოდნენ, რაც მძიმე სამუშაო იყო რუსი გლეხებისათვის. ილარიონოვკა 1909-1910 წლებში დასახლდა. საარქივო საქმეში ჩანს რუსი მცხოვრებლების ოჯახური შემადგენლობა და საქმიანობა, დაბადების წლები და სქესი, წარმომაელობა და ის რეგიონი, საიდანაც ჩამოვიდნენ. გლეხები – აფანას ნეუმივაკი და ეგორ პეტროვი ახტალის მიწებს ითხოვდნენ იჯარით, რადგან არ აკმაყოფილებდათ მიღებული მიწის ოდენობა[34]. შელაპარაკების დროს, ილარიონოვკაში მცხოვრებ კლიმენკოებს მოუკლავთ ლეკი და დროებით მცხოვრები ოჯახის წევრი – 18 წლის გადმოსახლებული ივან ბერდიჩევსკი – სოფელს დაუყენებია საკითხი კლიმენკოების გასახლებაზე, მაგრამ პრისტავმა მისწერა მეფისნაცვალს – ვორონცოვ-დაშკოვს – დაეტოვებინა ისინი სოფელში, რადგან ოჯახის უფროსები 70-68 წლის ასაკიანი ადამიანები იყვნენ, ორი მცირეწლოვანი ვაჟი ჰყავდათ, დიდი შრომა გაიღეს დასასახლებლად, მათი აზრით, არ იქნებოდა სწორი მათი დასჯა, მითუმეტეს, უფროსი ვაჟები – დამნაშავენი, უკვე იყვნენ დაპატიმრებულნი და სოფლიდან წასულები[35]. მეფისნაცვალი დათანხმდა. ასე უფროხილდებოდა ხელისუფლება რუსული სოფლების მცხოვრებთა ადგილზე დამაგრებას, ცდილობდა რუსული ოჯახების შენარჩუნებას.

სიღნაღის მაზრაში, ჭიაურის ნაწილში იყო ასევე რუსული დასახლებები: დაშკოვის, რომანოვის ხუტორი, ალექსეევკა, გრაფსკი, ნოეოეორონცოვკა. გლეხთა ტალღები რუსეთიდან ამ სოფლებისაკენ I მსოფლიო ომის დაწყებამდე მოე-

დინებოდნენ. 1912-1914 წლების დოკუმენტებში დიდი რაოდენობა ახალმოსული ჩანს – ირკვევა თუ რა ჭრელი, არასტაბილური საზოგადოება მოდიოდა კავკასიაში, მიუხედავად ხელისუფლების კონტროლისა. ჩამოსულები ხშირად მიცემულ თანხებს ფლანგავდნენ, რის გამოც გარკვეული სასჯელი ედებოდათ. მაგ.: ნოეოორონცოეკის რუს მცხოვრებლებს, კურსკის გუბერნიიდან ჩამოსულ მიხაილ სტეპანოვს მთელი დახმარება დაუხარჯავს და არაფერი გაუკეთებია[36]. რუსული დასახლება იყო სოფელ ჯანდარში. ყარაიაზში რუსულ დასახლებას მიხაილოვსკოე ეწოდა. აქ 1905 წელს უკვე 80 რუსული ოჯახი ცხოვრობდა. 1905 წლის 18 თებერვალს გადმოსახლებულთა საქმეების ერთ-ერთი ჩინოვნიკი – ავილოვი თბილისის გენერალ-გუბერნატორს ატყობინებდა, რომ შემოდგომისათვის ყარაიაზს მთლიანად რუსებით დაეასახლებთო. აქედან გაეყრით თბილისის ახლომდებარე მიწებზე მცხოვრებ თათრებს, იაღლუჯიდან და სოღანლუღიდანო[37]. ავილოვი თათრების დასახლების ადგილზე რუსული სოფლების შექმნას ვარაუდობდა. თუ გავითვალისწინებთ ისტორიული წარსულის გამოცდილებას, რუსული კოლონიზაცია ამ სოფლებში უფრო მძიმე შედეგის მომტანი იყო, ვიდრე აქ არსებული მაჰმადიანების დასახლებები. ისინი შემდეგში გაქართველდნენ, ხოლო რუსული სოფლები რომ ბოლომდე დარჩენილიყო, კომპაქტური დასახლებითა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, არათუ შეინარჩუნებდნენ ეთნიკურ სახეს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობაზეც იქონიებდნენ გაელენას.

რუსული სოფლების მოწყობაში თვით მეფისნაცვალი მონაწილეობდა.

გადმოსახლების ტალღა რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ. 1906 წელს, რევოლუციის პირობებში, გადასახლებულებისათვის გამოყოფილი თანხები გაიზარდა, ვინაიდან გადასახლების პოლიტიკა მთავრობის პრიორიტეტი გახდა. მაგრამ სახელმწიფოს მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, ზემდგომმა ორგანოებმა ამიერკავკასიის გადასახლებულთა სამმართველოს მოსთხოვეს სრული გამჭვირვალობა ამ სფეროში. საქმე ის იყო, რომ ხშირად ხდებოდა როგორც თანხების არამიზნობრივი ხარჯვა, ასევე ფულის მიტაცება[38]. ამიტომ იყო, რომ დაწერილებითი ანგარიშების გაგზავნას ითხოვდა დახარჯულ თანხებზე რუსეთის სამმართველოს უფროსი გ. გლინკა და საქმისმწარმოებელი ა. ტატიშჩევი.

დახმარების სახსრების გაზრდის პარალელურად, გადმოსახლებულებისათვის მისაცემი მიწის ნაკვეთების ოდენობა შეიზღუდა. გადმოსახლებული რუსი გლეხები და ხოდოკები 1907 წლის 28 თებერვლის ცირკულარით, რომელიც მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს გადასახლებულთა განყოფილებამ დაუგზავნა რუსეთის გადასახლებულთა კომიტეტებს, ვეღარ მიიღებდნენ მიწის ძველებურ რაოდენობას. შესაღუდვები იქნებოდა საერთო თუ პირად შეღავათებშიც, ამით სამმართველო იმედოვნებდა გადასახლებულთა საქმეებში მეტი წესრიგის დამყარებას. ცირკულარს ხელს აწერდა სამმართველოს უფროსი – ვასილჩიკოვი[39].

1905-1907 წლების რევოლუციით ისარგებლეს ქართველმა გლეხებმა და მათაც მოახერხეს სიღნაღის მაზრაში, ჭიაურში და ლაგოდეხში ჩასახლება – ქართველ გლეხთა ნაწილმა, ნათქვამია ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში, 1905 წელს, „ერთობის“ პერიოდში, თვითნებურად დაიკავეს ჭიაურის ტყის საგარაკო ადგილები, აიშენეს სახლები, შექმნეს ქართული დასახლება „შრომა“. 76 ოჯახი ჩასახლდა ჭიაურში, 42-ლაგოდეხში. ეს რიცხვი თანდათან იზრდებოდა, თანაც ჩასახლებულნი სრულიად უქონელი და უმიწო ქართველები იყვნენ. როდესაც ასე გამალებით ასახლებდა რუსებს და სხვა ეთნოსის მოსახლეობას საქართველოს მიწაზე, ქართველი გლეხების ამ საქციელმა ხელისუფლებას დიდი თავსატეხი გაუჩინა[40].

1908 წელს „შრომის“ დასახლების ქართველ გლეხებს ჭიაურის ტყის აგარაკიდან 1168,80 დესეტინა მიწა გამოეყო.[41]

ასეევ მოხდა ლაგოდეხშიც. აქ ჩასახლებულ გლეხთა სიებით თუ ეიმსჯელებთ პირველი ტალღა ჩასახლებულებისა, მთლიანად უმიწო კახელი გლეხებისგან შედგებოდა[42].

90-იანი წლებიდან დაიწყო და 900-იან წლებში დასრულდა რუსული დასახლების შექმნა სართიჭალაში, რომელსაც ნოეო-პაელოეკა ეწოდა. ასეთივე დასახლება იყო მალხაზოეკა[43]. ამ დასახლებებში ძირითადად ჩერნიგოვის გუბერნიიდან ჩამოსულები ცხოვრობდნენ.

რეგიონების თაეისებურებათა გათვალისწინებით, გადმოსახლებულთა სამმართველო, საერთო წესდების საფუძველზე, ხშირად ადგენდა ახალ წესდებას ერთი რომელიმე ოლქისათეის. მაგალითად: ქუთაისის გუბერნიაში ბათუმის ოლქისთეის განსხვაეებული წესდება შედგა, სადაც გათვალისწინებული იყო ამ რეგიონის ისტორიული და სამეურნეო თაეისებურებანი. ბათუმის ოლქში რუსული დასახლებების შექმნას ხელმძღვანელობდა კომისია, რომელშიც შედიოდნენ: ქუთაისის გუბერნიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების უფროსი, კოლეგიის მრჩეველი სნეგიროვი, V კლასის განსაკუთრებულ დაეალებათა ჩინოვნიკი, მოქმედი სამოქალაქო მრჩეველი – მარკოვი, გადმოსახლებულთა უბნების დამპროექტებელი, ბათუმის საოლქო ექიმი, სამოქალაქო მრჩეველი – სოკოლოვსკი, ბათუმის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი სლაეოჩინსკი, საგადასახადო ინსპექტორი ბათუმის ოლქში, კოლეგიის ასესორი მულინი და ბათუმის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველი, გუბერნიის მდივანი მუატი. კომისიამ მონაწილეობა მიიღო გონიოს უბანში – რუსული დასახლებების – დუნგუზაღასა და ყიზილ-ტოპრაკის შექმნაში[44]. მანვე, ბათუმის ოლქიდან თურქეთში გადასახლებული მუხაჯირების ყოფილი მიწები აღწერა და ისინი გადასახლებულთა სამმართეელოს გადასცა[45]. ბათუმის ძირძველ ქართულ სოფლებს თურქული სახელები ამჯერად რუსულით ეცვლებოდათ. მაგ.: სმეკალოეკა, რომლის დასახლება 1884 წლიდან თვითნებურად დაუწყიათ რუს ახალმოსახლეებს და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ღახმარებით შემდეგში დაუკანონებიათ[46].

კიზილ-ტოპრაკს ქართული სახელი ავგა ერქვა, აქ მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს დოკუმენტი თურქებად მოიხსენიებს, სოფელში 2 აფხაზური ოჯახიც ცხოვრობდა. მაჰმადიან ქართველებს აიძულებდნენ ამ რუსული სოფლებიდან სხვა ადგილებში გადასულიყვნენ, ან თურქეთში გადახეეწილიყვნენ[47].

შიგადაპირისპირება მაჰმადიან ქართველებსა და ჩამოსახლებულებს შორის გამოწვეული იყო იმით, რომ მაჰმადიანებს თურქული მიწისმფლობელობით, რუსების სახელმწიფოს კანონიერი საბუთების გარეშე ეპყრათ მიწები, თუმცა ეს მიწები მათი მამა-პაპების მკვიდრი მამულები იყო. როდესაც რუსეთმა მათთვის მიწის წართმეეა მოინდომა, რა თქმა უნდა, ქართველმა მაჰმადიანებმა გააპროტესტეს ეს და განაცხადეს, რომ ჩამოსახლება თაეისუფალ მიწებს ითვალისწინებდა და არა მკვიდრთათეის მის წართმეეას. ბათუმის ოლქის სამხედრო ოლქის უფროსი მეფისნაცვალს ერცელ პროტოკოლს უგზავნიდა შექმნილ მდგომარეობაზე, თანაც დასძენდა, რომ „უნდა შეეგნო ყველას, თუ რა დიდი საქმე იყო განაპირა რაიონების კოლონიზაცია წმინდა რუსული მოსახლეობით, რაც, წარმატებით განხორციელების შემდეგ უდიდეს სამსახურს გაუწევდა სამშობლოს“[48].

გონიოს რუსულ დასახლებებში იმდენად მძიმე პირობები იყო, რომ ეს განსჯის საგნად იქცა რუსულ პრესაში. თვით აქაური რუსი მცხოვრებლები ითხოვდნენ ზღვისპირა მიწების დამატებას, რომლითაც სარგებლობდნენ ქურთები და ბათუმელი ხორცით მოვაჭრე კაკაბაძე[49]. კიზილ-ტოპრაკის მოსაწყობად ბათუმის სამხედრო ოლქის უფროსი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დამატებით თანხებს თხოვდა აქაურ მცხოვრებთა დასახმარებლად. ეს იყო 100 მანეთი ოჯახზე, პროცენტიანი 300 მანეთის კრედიტი, რასაც 5 წლის მანძილზე გადაიხდიდა გლეხობა[50]. ასეთივე დახმარებას ითხოვდა ბათუმის სამხედრო ოლქის უფროსი სოხუმის ოლქის გუდაუთის ზონის რუსული სოფლის – ეესიოლოეესათვის. დო-

კომენტის მიხედვით, ეს იყო უწყლო, უნაყოფო ადგილი, სადაც დაიხოცებოდნენ ადამიანები, თუ ხელისუფლება არ დაეხმარებოდა[51].

1907 წლისთვის ამიერკავკასიის გადასახლებულთა სამმართველოს შტატები შეიცვალა. ამ სამმართველოს უფროსი გახდა მოქმედი სამოქალაქო მრჩეველი – არხიპოვი, სამოქალაქო მრჩეველი – დედულოვი, რომელსაც საქართველოსა და კავკასიის კოლონიზაციაში დიდი წელილი ჰქონდა და ანტიქართველობითაც გამოირჩეოდა. სამმართველოში მუშაობდნენ: VI კლასის ჩინოვნიკები: კოლეგიის მრჩეველი ნესტერენკო, სასახლის კარის მრჩეველი – მულინი, კოლეგიის ასესორი – ივანოვი, კოლეგიის ასესორი – დანილევსკი, VII კლასის ჩინოვნიკები – ტიტულარული მრჩეველი, გრაფი სივერსი, ტიტულარული მრჩეველები – ფონ ბერგი, ალექსეევი, ბულგარეევი, კოლეგიის მრჩეველები – ვალიკლეისკი, ლინკუსი, კოზლოვი, ‘მნე, კოლეგიის მდივანი – საპოენიკოვი, გადამღები განყოფილების უფროსი, კოლეგიის ასესორი – ვოლჩანეცკი[52].

რუსული სოფლები და ქართული სამეურნეო ტრადიციები. რუსული დასახლებები, დასაწყისში ცდილობდნენ მეურნეობის საკუთარი ტრადიციით მოწყობას. თესავდნენ ხორბლის საკუთარ ჯიშებს, მაგრამ შემდეგში გადავიდნენ ადგილობრივ ტრადიციებზე: დაიწყეს ყვითელი ჯიშის ხორბლის თესვა, უარი თქვეს თავიანთ ჯიშებზე და წარმატებაც ნახეს. ძირითადად ქართულ კულტურებს თესავდნენ, მაგრამ შემოიტანეს თავიანთი ჯიშებიც, თუმცა ჭარხალი, კომბოსტო, სტაფილო, კარტოფილი მანამდეც იყო დანერგილი ქართულ სოფელში, მაგრამ მათ უფრო ფართოდ დაიწყეს მათი მოყვანა, თესდნენ მზესუმზირას, შეეგუენ მევენახეობასა და მესიმინდეობას, მოჰყავდათ სელი, კანაფი, ჭვავი, ქერი, შვრია. მისდევდნენ მეფუტკრეობას. მკვიდრთაგან გადაიღეს მწვანილების, ნივრის, ხახვის კულტურები[53]. თავდაპირველად ხმარობდნენ საკუთარ ევროპული ტიპის გუთნებს, რომელიც შემოიტანეს, მაგრამ შემდეგში ქართულ გუთანზე გადავიდნენ, რომელიც მიწაში უფრო ღრმად ჩადიოდა და ქვა-ღორღს უძლებდა. ამ იარაღებს ისინი თავადაც ამზადებდნენ სოფლის სამჭედლოებში. დასავლეთ საქართველოს რუსი კოლონისტები მისდევდნენ მეაბრეშუმეობასაც. აღმოსავლეთ საქართველოში ისინი გამწვანებად ცხენსა და ხარს გამოიყენებდნენ, დასავლეთ საქართველოში კი ჭარბობდა კამეჩებისა და ძროხების მოშენება[54].

ქართველი გლეხებისაგან რუსებმა ითვისეს მეთამბაქოეობა, თუმცა ამ დარგის წარმოება უჭირდათ. რუს გლეხებს ჰქონდათ თამბაქოს მეურნეობები ლაგოდეხისა და სიღნაღის მაზრის სოფლებში, ასევე შავიზღვისპირეთში, აფხაზეთისა და აჭარის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებებში. ისინი მუშაობდნენ ტყეარჩელის ქვანახშირის საბადოებში, კავკასიის გზების მშენებლობებზე, რის გამოც ნოეოროსიისკი – სოხუმის გზას „გოლოდნოე შოსეც“ დაერქვა, სახელწოდება დაუკავშირდა მშიერი ჩამოსახლებულების მუშაობას გზის გაკეთებაზე. რუსი გლეხები იყენენ ხელოსნები, მისდევდნენ მეთევზეობას[55].

მასალებიდან ჩანს არა მარტო რუსული კოლონიზაციის ანტიქართული ხასიათი, არამედ იმპერიული ხელისუფლების მიერ საკუთარი მოსახლეობის განწირვის ფაქტიც. როდესაც მიზანმიმართულად ასახლებდნენ ამ ადამიანებს კავკასიაში, მთავრობა არ ითვალისწინებდა აქაურ კლიმატს, სამეურნეო პირობებს, რუსულ ხასიათსა და ეთნოისტორიულ გამოცდილებას, მხოლოდ იმპერიული მიზნებისათვის იყენებდა მათ. გზაში უამრავი ადამიანი ავადდებოდა, კვდებოდა შიმშილისა და მძიმე პირობებისაგან. ადგილზე ჩამოსულები იხოცებოდნენ მალარიით, ქოლერით, სხვადასხვა ინფექციური ავადმყოფობით. მაგალითად: სოფელ ყარაიაზის რუსული დასახლების ფელდშერის ლისკინის ანგარიშში ჩანს, რომ ჩამოსულთა დიდი ნაწილი რამდენიმე თვეში დახოცილა. მალარიით 1904 წლის იელისში 1 ბავშვი მომკვდარა, აგვისტოში – 2, გზაში გარდაცვლილა 47 წლის მამაკაცი პუშკარიოვი და ა. შ. კავკასია მათთვის უბედურების ადგილად იქცა, ევრაფრით შეეგუენ ჭაობებს, უწყლობას, მთიან რეგიონს, წვალდებოდნენ

კანცელარიული წერილმანებით, დაპირებები, რომელთაც მთავრობა აძლეედა წამოსელის წინ, აქაურ სამოთხეზე გავრცელებული ხმები – საწინააღმდეგო რეალობით ეცვლებოდათ. ხშირად, გაუბედურებული ოჯახი უკანვე ბრუნდებოდა. ამ მდგომარეობის გამო საქართველოში რუსული დასახლებების შექმნის პროექტმა ვერ გაიმარჯვა. რუსეთმა, ისევე როგორც თადარიგის სამხედროები, ვერც რუს გლეხთა ოჯახები დაამაგრა ადგილებზე, ვერ მიაღწია კავკასიის სრულ გარუსებას, თუმცა ეს პოლიტიკა განხორციელდა აფხაზეთში, ხოლო მთლიანად დაპყრობილ კავკასიაში ზოგადად მოახერხა დემოგრაფიული ასიმილაცია, ეთნიკური აჯარლები, ფეთქებადი რეგიონების კომპაქტური დასახლებების ხელოვნურად ჩამოყალიბება. რუსეთის ხელისუფლება, სათათბირო, რეაქციული პრესა შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ საქაროველოს ტერიტორიაზე ყველა სხვა ერის წარმომადგენლები კარგად ეწყობოდნენ, რუსები კი ვერა და ვერ დამკვიდრდნენ.

ამიერკავკასიის რუსული დასახლებების საკითხი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში. თუ რა დატვირთვას აძლეედნენ და რა იმედებს ამყარებდნენ კავკასიის რუსულ დასახლებებზე რუსეთის შავრაზმელი მოხელეები და მოღვაწენი, კარგად ჩანს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში 1908 წლის 29 მარტს, III მოწვევის I სესიაზე გამართული კამათით.

ბაქოს, ერევნისა და ელიზავეტპოლის გუბერნიების დეპუტატმა – ხასან მამედოემა ისაუბრა კავკასიაში მიმდინარე რუსული კოლონიზაციის უკანონობაზე, რუსებისათვის მიწების მიცემაზე მაშინ, როდესაც ეს მიწები ადგილობრივებსაც არ ჰყოფნიდათ.

კრიტიკული იყო, თუმცა მამედოეთან შედარებით ნაკლებად, ასტრახანის გუბერნიის დეპუტატის – ვინოგრადოვის გამოსელაც. მისი აზრით, კოლონიზაციას 2 მიზანი ჰქონდა: გლეხთა მცირემიწიანობის გამოსწორება და მყარი რუსული კოლონიების დაარსება იმპერიის სასაზღვრო აზიურ რაიონებში. ამის საშუალება ამდროინდელ ხელისუფლებას არ გააჩნდა დაბალი ეკონომიკური პოტენციის გამო. თუკი დასახული მიზნები შესრულდებოდა, ეს კეთილშობილური განზრახვა იყო, მაგრამ დეპუტატის აზრით, ამ მიზანს ასრულება არ ეწერა და თანხები ტყუილად იფანტებოდა.

ამიერკავკასიის რუსმა დეპუტატმა ტიმოშკინმა ნამდვილი რეაქციული სიტყვა წარმოთქვა და გაამყარა რუსი შოვინისტების დამოკიდებულება და პათოსი კოლონიზაციის საკითხში.

ვიღაცეებს არ აწყობთ რუსული კოლონიზაცია კავკასიაში – თქვა მან, – სურთ გადასახლების პროცესის შეფერხება. რუსმა ხალხმა სისხლი დაღვარა კავკასიისათვის, 100 წელია, რაც იგი შევიერთეთ, 1877-1878 წლებში უზარმაზარი სისხლისღერის ფასად გამოეტაცეთ თურქეთს ის მიწები, რომლებიც ახლა შედის ყარსის ოლქში, ერევნისა და ქუთაისის გუბერნიებში. რისთვის ვომობდით და ვკვდებოდით? იმიტომ ხომ არა, რომ ბოლოს მიგვეტოვებინა ეს მიწები და დაგვეთმო იგი მცირე აზიიდან გადმოსული სომეხ-თათრებისა და სხვებისათვის? თუ ამ საკითხს ასე შევხედავთ, მაშინ ვეღარასდროს ვიომებთ (სწორს ამბობს, ყოჩაღ! – აყვირდნენ დეპუტატები). მომეწონა ხასან-მამედოემა რომ დაიწყო ლაპარაკი და თქვა, რომ რუსებს უჭირთ ადგილობრივ პირობებს და სამეურნეო გამოცდილებას შეეწყონო, მაგრამ ხელისუფლების კრიტიკასა და ჩვენი ხალხის კავკასიაში დასახლების შეწყვეტაზე რომ გადავიდა, რა თქმა უნდა, აღარ მომეწონა. იცით, თქვენ, რომ ამიერკავკასიაში ისეთი ადგილებია, სადაც ერთ სულზე 100-200 დესეტინა მოდის და არ მუშაედება? ჩვენს გლეხებს კი 3-4 დესეტინა აქვთ. რატომ? ტიმოშკინმა მოიტანა კავკასიის ნამესტნიკის მოხსენებიდან ადგილები, სადაც გაკრიტიკებული იყო რუსი მოხელეები, გადასახლებულთა კომიტეტის ჩინოვნიკები, რომლებიც უვიცობითა და უმოქმედობით აფერხებდნენ პროცესს – ისაუბრა მუღანის ველზე ბამბის პლანტაციების გაშენების პროექტის შესახებ, რუსების იქ ჩასახლებას მაენე მოქმედება უწოდა, გააკრიტიკა „ტუზემ-

ცი" ქართველები, თუ სომხებზე 3 მანეთად ყიდიან ნადელს, რუსს 10-ად აძლევენ. ამიერკავკასიის გადასახლებულთა სამმართველოს ასიათასობით მანეთი აქვს ჩარიცხული. თუ არ იცით რას აკეთებთ, რატომ აძლევთ ამ ფულებს ხაზინიდანო. გაიმეორა ფაქტები რუსების ჩაგვრაზე თბილისის გუბერნიაში, ჭაობებში ასახლებენ, კლავენ საწყლებს, ქართველები, ბერძნები, სომხები, თათრები, გერმანელები აყვავებულ ადგილებზე ცხოვრობენ, რუსები კვდებიან, აავადმყოფდებიან და უკანვე გამორბიანო. თბილისის გადასახლებულთა სამმართველოს საქმიანობას თუ გაეცნობით, აქ გადასახლებულთა 143 უბანია, ეს უბნები მოუწყობელია, საჭიროა რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან შეიესოს ისინი, აშენდეს სკოლები, ეკლესიები, მაგრამ უკვე 3 წელია შეწყდა გადასახლება კავკასიაში, არავინ იცის, რატომ (ეორონცოვმა იცის! – დაიძახეს ადგილებიდან). მე არ ვიცი, დუმას აქვს მორალური უფლება, გაიგოს ამის მიზეზი... ასეთი იყო ტიმოშკინის ერცელი გამოსვლის შინაარსი.

დაღესტნისა და ზაქათალის სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა – გაიდაროვმა გააკრიტიკა მთავრობის საკოლონიზაციო პოლიტიკა, თქვა, რომ ხელისუფლება ამწვავებდა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დამოკიდებულებას კავკასიის ხალხთა შორის. საუკუნეები ეს გლეხები ცხოვრობდნენ აქ, ესმოდათ ერთმანეთის და ეგუებოდნენ გარემოს. რუსებმა კი ვერ მოახერხეს აკლიმატიზაცია, ბუზებიეით იხოცებიან ციებისა და მალარიისაგან. მთავრობა ამ პოლიტიკას მემამულეებისათვის აკეთებს, არა გლეხებისთვისო.

ბაქოს, ელიზავეტპოლის და ერევნის გუბერნიის სახელით გამოვიდა სომეხი დეპუტატი სადათელიანი. მან გააკრიტიკა ტიმოშკინი, ამიერკავკასიის პრობლემებს ასტრახანიდან ხედავს და არა იქიდან, ვისი სახელითაც ლაპარაკობსო. ამიერკავკასია'ში თავისუფალი მიწები არაა, – თქვა მან, – იქ ერთ კვადრატულ მიწაზე 22 ადამიანი ცხოვრობს, ერევნის გუბერნიაში – 23, რუსეთში კი – 5 ადამიანიო. ბათუმში ვნახე რუსული დასახლება, სადაც კვდებოდნენ რუსები და ივედრებოდნენ უკან დაბრუნებასო. სად და რისთვის მიგვაეთ რუსი გლეხი. როცა თავისუფალი მიწები იყო, ამიერკავკასიაში დუხობორები ჩაასახლეს, იქიდან ვინც გამოყარა ისინი, კარგადაა ცნობილი, ნამდვილი ფაქტებით ისაუბრეთო[56].

რაც შეეხება ქართველ დეპუტატებს, ისინიც აკრიტიკებდნენ რუსეთის აგრარულ პოლიტიკას, რასაც საგადასახლებო, რუსული კოლონიზაციის ეს პროცესი უკავშირდება.

ამიერკავკასიის გადმოსახლებულთა სამმართველოს მუშაობა გააკრიტიკა პეტერბურგ'ში 1909 წლის 8 მარტს შემდგარმა საბიუჯეტო კომისიის სხდომამაც. არაეფექტურად ჩათვალეს სამმართველოს მუშაობა – გლინკამ, სვენიცკიმ, შინგაროვმა, უსპენსკიმ, გოდნევმა, გადასახლებულთა საქმის კომისიის თავმჯდომარემ – სუეჩინსკიმ, სახელმწიფო ხაზინის ეიცე-დირექტორმა ნიკოლაევსკიმ, კომიტეტის თავმჯდომარის თანა'შემწემ იახტონოვმა, შენიშვნები და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს ჩინოვნიკებმა იახტონოვმა, ოსტროგრადსკიმ და სხვ.

გლინკამ წამოჭრა საკითხი მულანის ველზე ჩრდ. კავკასიიდან 800 ათასი კაცის ჩასახლების, ამისთვის კრედიტების გამოყოფაზე. ისაუბრა გზებზე, ნამესტნიკის მოვალეობაზე, თქვა რომ საჭიროა მან უფრო ნათელი გახადოს ამ მიმართებით ჩატარებული მუშაობა, უნდა აგვეხსნას ზოგიერთი რამო, როდესაც ამ დოკუმენტს წაიკითხავ, ცხადი გახდება რევაზ გაბაშვილის ცხარე პათოსი მულანის რუსულ პროექტთან დაკავშირებით 1912 წელს ეროვნულ-დემოკრატიულ ჟურნალ „ალდეში".

გადმოსახლებულია სამმართველოს საქმიანობა შეწყდა I მსოფლიო ომის წლებში, რადგან ამიერკავკასია ფრონტისპირა რეგიონად იქცა. მთავრობა XX ს. 10-იან წლებში რუსი გლეხების ნაცვლად სომხურ კოლონიზაციას მფარველობდა საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა სომხების ჩამოსახლებას მთელი XIX-XX საუკუნეები უჭერდნენ მხარს რუსეთის იმპერიული წრეები, მაგრამ 1915-1917

წლებში ამ მოვლენამ მასიური სახე შეიძინა და საქართველოს ტერიტორიას ახალი საფრთხით დაემუქრა. რაც შეეხება რუსულ კოლონიებს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაწყებულმა ნაციონალიზაციის პოლიტიკამ ბევრი რუსი აიძულა დაეტოვებინა საქართველო, ბევრი კი შეეგუა, 1921 წლიდან ტოტალიტარული საბჭოური რეჟიმის მიერ დამკვიდრებულ ინტერნაციონალურ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას, გახდა მისი გამტარებელი და ნაწილი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში.

რუსული კოლონიზაციის შეფასება ქართულ პრესაში. მიმდინარე რუსული კოლონიზაციის პროცესს სხვადასხვა შეფასებას აძლევდა ქართული და რუსული პრესა. ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ჟურნალ-გაზეთები ამ მოვლენას უარყოფითად აფასებდნენ, მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო ახალი დემოგრაფიული აგრესია საქართველოს მიმართ, რასაც მძიმე შედეგების მოტანა შეეძლო მისი მომავლისათვის. ამიტომ გამოიწვია ქართველ მოღვაწეთა შეშფოთება რუსული კოლონიზაციის მასშტაბმა, რასაც პრესაში გამოქვეყნებული მათი პუბლიკაციები გამოხატავდა. რუსული პრესა, საქართველოში გამომავალიც კი, ამ პროცესს დადებითად აფასებდა, კავკასიის კოლონიზაციას სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით გამართლებულად, ხელისუფლების მხრიდან კავკასიის რეგიონზე ზრუნვად მიიჩნევდა.

პრესა დაუფარავად აქვეყნებდა შემაშფოთებელ სტატისტიკას, — მისი აზრით, უკვე XX ს-ის დასაწყისში 121 ათასი რუსი ცხოვრობდა საქართველოს შავიზღვისპირეთში, ქუთაისის გუბერნიის მაზრებში, ქართლსა და კახეთში. რეოლუციის შემდეგ ეს პროცესი გააქტიურდა, თუმცა ოდნავ შეყოვნდა რუსეთ-იაპონიის ომის გამო. გაზეთი „დროება" წერდა: „უმაღლესმა მთავრობამ უკვე შეიმუშავა გეგმა ამიერკავკასიაში რუსი ელემენტის გასაძლიერებლად. იმისთანა ადგილებს არჩევენ, სადაც რუსების დასახლებას დიდი მნიშვნელობა ექნება მერმისისათვის. დასასახლებლად არჩეულია შავი ზღვის ნაპირები და სხვა ადგილები. პეტერბურგში უმაღლეს მთავრობას უკვე გადაუწყვეტია მომავალი სამი წლის განმავლობაში ნახევარი მილიონი რუსი გლეხი ჩამოასახლოს ამიერკავკასიაში. შავი ზღვის პირად და მუღანში უკვე დაამზადეს ადგილები. მეორე წელიწადია ამ ადგილებში მუშაობს მთელი ჯგუფი ინჟინრებისა, აგრონომებისა და სხვა სპეციალისტებისა, ჰგეგმავენ ადგილებს და გაჰყავთ სარწყავი წყალი. აზრად აქვთ მტკვრიდან დიდი წყალი გადააგდონ მუღანის სარწყავად. ასეთი მეცადინეობაა ამჟამად რუსების ჩამოსასახლებლად[57].

ქართული პრესა ეარაუდით, ინტუიციით წედებოდა იმ მოვლენებს, რასაც დოკუმენტურად აფორმებდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, მის დაქვემდებარებაში მყოფი რუსეთის გადასახლებულთა სამმართველო, მისი ამიერკავკასიის ფილიალი, ასევე სხვა განყოფილებები: თბილისის, ბაქოს, ელიზავეტპოლის, შავიზღვისპირეთის და სხვა რეგიონების გადასახლებულთა კომიტეტები. საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტი თავისუფალი მიწა რუსი გლეხების კავკასიაში გადმოსახლების ორგანიზატორებმა აღმოსავლეთ საქართველოში, სიღნაღის მაზრაში მონახეს. „დროება" ამ მოვლენას დაწვრილებით აღწერდა და არც ქართველი თავადების უარყოფით როლს მალავდა ამ ანტიქართულ საქმეში. წერილში „გარეთ კახეთი გაიყიდა" — გაზეთი ავლენდა მოვლენის დრამატულობას: „გარეთ კახეთში, — წერდა „დროება", — იერის ხეობაზე, რუსის გლეხები ბევრს ადგილებს იძენენ. ეხლა უკვე დასრულდა აქ ადგილების გაყიდვა და თავისუფალი მიწა თითქმის აღარ მოიპოვება. ეჭვი არ არის, რუსის გლეხებს ვიღაც-ვიღაცეები ეხმარებიან მამულის შეძენაში და ფულს აძლევენ. რუსებმა ხელში ჩაიგდეს ის ადგილები, რომელსაც კახეთის მომავალი რკინიგზა გადასჭრის. სულ მცირე ხნის განმავლობაში ნავთლუღის სადგურის მახლობლადაც იყიდეს რუსებმა მამული და დასახლდნენ. სადგურ კაკაბეთთან 26500 დესეტინა მიწა გაყიდა ამას წინათ სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა მარშალმა.

ესეც რუსებმა შეიძინეს და მალე იქ დიდი სოფელი გაიშლება. აქედან წერილ მემამულეთა ადგილებია, შემდეგ მდებარეობს მამული თაეად ნიკოლოზ აბაშიძისა, რომელმაც ასევე რუსებზე გაასაღა ეს მამული. თაეადმა ნ. აბაშიძემ არამარტო თაეისი ადგილები გაასაღა, არამედ აგენტობასაც კი ეწეეა მემამულეთა და რუს გლეხთა შორის. თაეად აბაშიძის ადგილების გაგრძელებაა გენერლის, თაეად იეანე მაყაშვილის ადგილი – 1000 დესეტინამდე. თაეადმა მაყაშვილმაც ეს ადგილი რუსებს მიჰყიდა. დარჩა კარგი ადგილი სადგურ კაჭრეთის მიდამოებში თაეად ლეეან ანდრონიკაშვილისა, 2000 დესეტინამდე, რადგან თაეადაზნაურთა საადგილმამულო კომისიამ ყურადღება არ მიაქცია თაეად ლ. ანდრონიკაშვილის მუდარას ამ ადგილის გაყიდეაში დახმარების შესახებ, აღგა და ანდრონიკაშვილმაც რუსებთან დაიჭირა საქმე, დესეტინას გაურიგდა 100 მანეთად. საბუთის ქაღალდებზე საგლეხო ბანაკში რუსის გლეხები და თაეადი ანდრონიკაშვილი 10 იანვრამდე მოაწერენ ხელს"[58].

თაეადები თაეიანთი ეკონომიკური გასაჭირის მოგვარებას მიწების გაყიდეით აპირებდნენ. ქართველ გლეხებს არ შეეძლოთ იმ თანხის გადახდა, რასაც, რუსეთის ხელისუფლების დახმარებით, რუსი გლეხები იხდიდნენ. თაეადებიც მიწებს მათზე ყიდდნენ. ისინი მიდიოდნენ თბილისსა და გუბერნიაში შემაეალ მაზრებში არსებულ „გადასახლების პუნქტებში" და ითხოვდნენ გასაყიდი მამულების რეალიზაციაში დახმარებას. პრესა მათ ასეთ საქციელს დიდი აღშფოთებითა და კრიტიკით ხვდებოდა. საქართველოში დატრიალებულ კოლონიზაციას გულმტკეენეულად აღწერდა „საქართველოს მოამბე", ქართველი ერის უმომაელოდ დარჩენას უწოდებდა გაზეთი ამ პროცესს. ეს პუბლიკაცია „დროებამაც" გადაბეჭდა. მასში მრაელად იეო აღწერილი რუსი აგენტების, „ხოდოკებისა" და დალალების საქმიანობა. „როგორც შაეი ყორნები მინდორში დაგდებულ ლეშს, ისე დასტრიალებენ ჩვენს ტერიტორიას უცხო ტომის ადამიანები, „ხოდოკები" „კომისიონერები", „აგენტები" (ამ უკანასკნელთა შორის ბევრი ქართველი თაეადია). დაძრწიან სოფელ-სოფელ, მემამულეთა ოჯახებში და სადაც კი დაინახაეენ ისეთ ველსა და მინდორს, სადაც ქართველი გლეხის ქოხი არა სდგას, ხოლო მარტო ჰხნავს და თესაეს და თაეისი წლიური სარჩო მოჰყაეს, დაადებენ ზედ ფეხს და მიელენ გაჭირვებულ მემამულესთან: მამული უნდა მოგვყიდო, თე ფული ბლომად გინდაო და ჩვენებურ მემამულეს, ოღონდ კი მამულის გაყიდეა გაუხსენე, ჩოხას არც კი ჩაიცმეეს, ისე გარბის „გადასახლებულთა პუნქტებში"; ან კიდეე ნოტარიუსთან. რაღაც ციებ-ცხელება დაემართათ როგორც მყიდველებს, ისე გამყიდველებს, ქართველ გამყიდველებს და უცხო ტომის მყიდველებს. დღე არ გაეა, რომ ათასობით დესეტინა მიწა არ გაიყიდოს. დღე არ გაეა, რომ ახალი „ხოდოკები" არ გაჩნდნენ ტფილისში, დღე არ გაეა ისე, რომ გაყიდვის პირობა არ იწერებოდეს, და როგორ გგონიათ, რამდენი დღეა საჭირო რომ ქართველი ერის „თაეისუფალი" მიწები სრულიად გაიყიდოს? მგონი, რომ ორი კეირაა საკმარისი და ასეც მოხდა კახეთ'ში და ბორჩალოს მაზრა'ში. მთელი ივრის ხეობა, სადაც ქართველი გლეხი ხნავდა და თესაედა, თაეის საქონელს ბალახს აძოვებდა, მთლად გადაეიდა უცხო ტომის ხალხის ხელში... დღეს ჩვენს სოფლებს მუდმივ ეგზეკუციას უკენებენ, მიწა-წყალს ართმეეენ, სულს უხუთაეენ, სიცოცხლის ნებას მხოლოდ 10-12 წლით აძლეეენ და ჩვენ ეკომისიონერობთ, ყალალობთ...

ხელიდან წაეიდა და მიდის ალაზნის ხეობა, ივრის ხეობა, მთელი ბორჩალოს მაზრა, გორის მა'ხრის საუკეთესო ნაწილები, „ტირიფონა", დუ'შეთის მა'ხრის საუკეთესო ველ-მინდორი, შაეი ხლეის ნაპირებზე სათქმელიც აღარაფერი გეაქვს. ასეთია საქმის ვითარება დღეს და ამ დროს რას შერება დეპუტატთა საკრებულოსთან არსებული საადგილმამულო კომისია, რომლის დამაარსებლებმაც ყურები გამოგვეიჭედეს, ეროენულ საქმეს ვაკეთებთო?[59]...

გაზეთი აკრიტიკებდა კომისიას, მის უგულო მუშაობას, საზოგადოებას თხოულდა საჯაროდ განხილულიყო საქართველოში მიმდინარე მიწების ყიდვა-გაყიდვის, რუსული სოფლების დაარსების პროცესი.

რუსი გლეხებისათვის 500 დესეტინა მიწა შეიძინა „გადასახლებულთა კომიტეტმა" სოფელ გლდანში. „დროება" აღნიშნავდა, რომ ეს იყო მემამულე აკიმოვის მამული, რომელსაც მიწა გიორგი XII-ისგან ჰქონდა მიცემული, რადგან მისი მეუღლის – დედოფალ მარიამის პირადი ექიმი იყო. აკიმოვმა (იგივე ალიაშვილმა) ლაზარევის მოკელის დროს დაჭრილ დედოფალს ჭრილობები შეუხვია, გაზეთის აზრით, მისმა შთამომავალმა – თათულა აკიმოვმა მიჰყიდა რუსებს ეს მამული[60].

„დროება" ქართულ საზოგადოებას ინერტულობაში, საკითხისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში ადანაშაულებდა. მისი აზრით, სპეციალური ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებდნენ რუსი კოლონისტების დასასახლებლად, ქართველი ხალხი კი არაფერს აკეთებდა პროცესის ჩასაშლელად; მალე მიწებზე ფასი აიწევდა, რადგან რუსული კოლონიზაცია უწყობდა ხელს მის გაძვირებას, ქართველებისათვის კიდევ უფრო მიუწვდომელი აღმოჩნდებოდა ქართული მიწა[61].

ქართული პრესა ერის გამოფხიზლებას ცდილობდა, სურდა ეჩვენებინა მისთვის რუსული კოლონიალიზმის საფრთხე, საკუთარი ტერიტორიის დაცვისა და ერის მომავლის გადარჩენისათვის ბრძოლისკენ მოეწოდებინა.

კოლონიზაციის დიდ მასშტაბს შავიზღვისპირეთში აკრიტიკებდნენ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთები: „იმერეთი", „ერი", „კოლხიდა", სოციალისტურ-ფედერალისტური „ცნობის ფურცელი", „შრომა", „ამირანი", „ისარი", იწერებოდა თამამი, მთავრობის პოლიტიკის უარყოფითად შემფასებელი წერილები; ქართველ გლეხებს რუსეთის სამხედრო ექსპედიციებით აწიოკებდნენ, კლავდნენ, იჭერდნენ, კატორღაში ასახლებდნენ, საქართველოში კი რუსულ დასახლებებს ქმნიდნენ, ეხმარებოდნენ რუსულ ოჯახებს. ქართველი ხალხის სისხლით მორწყული მიწა, საუკუნეების მანძილზე შენარჩუნებული ტერიტორიები ახლა სხვებზე მშვიდობიანად გადადიოდა. გაზეთი „იმერეთი" გულისტკივილს ვერ ფარავდა და კითხულობდა: რა უჭირს ამოდენა მიწის მფლობელ რუსეთს, პატარა საქართველოში არ ეძებოს თავისი ხალხისთვის სამოსახლო, თუ ამაში გარკვეული პოლიტიკა არაა ჩადებული. ეს მაშინ, როდესაც ბევრი ქართველი, უმიწობის გამო, ტოვებს ქვეყანას და უცხო მხარეში მიდისო – გაზეთი საუბრობდა თერგის ოლქის – ალაგირის ქართველობაზე, მათ საშინელ პირობებზე, რუსებისა და ოსების მხრიდან შევიწროებაზე.

გაზეთი „ერი" აღწერდა რუსეთის შიდაგუბერნიებიდან შავიზღვისპირეთში ჩამოსახლებული რუსული მოსახლეობის ცხოვრებას, ქართველების განდევნას ამ რეგიონიდან, მიწების იჯარით მიცემაზე მათთვის უარის თქმას. წერილის ავტორი – ნიკო თავდგირიძე სოხუმში მცხოვრები, პატრიოტი ქართველი შიშობდა საბოლოოდ არ დაეკარგა ქართველ ხალხს ძირძველი ქართული მიწა-წყალი. ის კონკრეტულ შემთხვევას ასახელებდა, როგორ წაართვეს 200 ქართველს 711 დესეტინა მიწაზე იჯარის უფლება, როგორ გადასცეს ეს მიწა რუსებს, სომხებსა და ბერძნებს. „ერი" რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას, მის ჩამორჩენილობასა და დაპყრობილი ქვეყნებისადმი უსულგულობას აბრალებდა ცუდ მოხელეებს, აღნიშნავდა მათი მხრიდან ადგილობრივი ხალხის ენისა და კულტურის არა მარტო უცოდინარობას, არამედ უარყოფას. ხალხს სამართლიანად არ უყვარდა ისინი, არ ენდობოდა. მიზეზად გაზეთი ასახელებდა იმას, რომ წერილი თუ მსხვილი მოხელის დანიშვნისას უმაღლესი ხელისუფლება ყურადღებას არ ამახვილებდა მოხელის „ფიზიკურ და გონებრივ სიმრთელეზე", მის ადმინისტრაციულ თუ სამართლებრივ ნიჭზე, კანონიერების სიყვარულზე, ზნეობრივ სიმტკიცეზე, რაც საშუალებას მისცემდა – მიუდგომლად ეწარმოებინა ადმინისტრაციული

გამგებლობა, ხოლო შესაფერი ცოდნა და გამოცდილება საქმის კეთების საშუალება და ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის საყუძველი გახდებოდა[62].

საინტერესო იყო გაზეთ „სა ქართველოს“ წერილი „ქართველ-სომეხთა მისწრაფებანი“, სადაც საუბარი იყო 1908-1914 წლებში მიმდინარე რუსულ კოლონიზაციაზე. სიღნაღის მაზრის სოფელ ჭიაურში ჩასახლებას ითხოვდა 204 ქართველი კომლი, რომელთა ადგილკატი – გიორგი სპირიდონის ძე გრიგოლაშვილი მათი ჩასახლების თხოვნით მიმართავდა ხელისუფლებას, რუსეთის მთავრობა წლების მანძილზე ეუბნებოდა მას უარს პასუხით: „თავისუფალი მიწები არ არისო“. „ამავე დროს კი, ჩვენს თვალწინვე რუს გადმოსახლებულთა სოფლებს აშენებდნენ და აშენებენ, – წერდნენ ქართველი გლეხები. ე. წ. „ატამის“ მამულში, ჭიაურის საგარაკოში, სიღნაღის მაზრაში, ჩვენ გამოგვრეკეს და რუსები კი ჩასახლეს. თავისუფალი მიწა სოფელ „ეარანცოვკასა“ და ხოლოკაშვილის მამულთა შუაც რუსებით ჩასახლეს. ჩვენ კი სახაზინო მამულის ახლოსაც არ გვაკარებენ“[63].

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთს კვლავ გაახსენდა გერმანელების დასახლების საკითხი ამიერკავკასიაში. საარქივო მასალები გერმანელთა მასიური დასახლების შთაბეჭდილებას ქმნის საქართველოში. გაზეთი „დროება“ ამ ფაქტს ასე ხსნიდა: „დღითი-დღე ძლიერდება ჩვენში გერმანელთა კოლონიზაცია, როგორც ვიცით, მესამოცე წლებშიც და ადრეც მრავალი გერმანელი დასახლეს ჩვენს ქვეყანაში. ყველაფრით ეხმარებოდნენ, ფულს აძლევდნენ და ამის წყალობით გერმანელთა სოფლები მშვენიერად მოეწყო. უკვე მოლონიერებულ სოფლებს ეხლა აღარ უჭირთ გაშლა-გაფართოება და ახლი ადგილების შეძენა. თრიალეთში მრავალი ადგილი იყიდეს და ყველის ქარხანა გამართეს გერმანელებმა. გერმანელთა კოლონიზაციის გაძლიერებას, როგორც გაიგეთ, ძალიან დიდად ხელს უწყობს თურმე ტფილისში არსებული გერმანელთა საზოგადოება. ტფილისის მაზრაში, თელავის მახლობლად თავად სუმბათაშვილის ადგილი ამ დღეებში დაათვალიერეს გერმანელებმა, მათ გადაუწყვეტიათ შეიძინონ რამდენიმე ათასი დესეტინა და გააშენონ ახალი სოფელი“[64].

საქართველოში გამომაკალი რუსული პრესა კი ადიდებდა და ხოტბას ასხამდა ამ მოვლენას, მომავლისთვის ეს სულ შეცველის ამ მხარეს, ძლიერ და მტკიცე ნიადაგზე დააყენებს და ააღორძინებსო. ქართველებსაც ულოცავდა: თქვენი მდგომარეობა გაუკეთესდება, რუსებისაგან კულტურას შეითვისებთ, განათლების სხივი შემოგაშუქებთო.

„დროება“ რუსული გაზეთის ამ სტატიებს შემაშფოთებელს უწოდებს: „ეს გამაფრთხილებელი საყვირია, – წერდა იგი, – სიკვდილის მოელინებაა და ვაი იმ ერს, რომელიც არ ისმენს და ყურად არ იღებს ამ გაფრთხილებას. ისტორიამ არ იცის სიბრალული და ცხოვრების ჩარხი რაკი შეტრიალდება, მისი უკან დაბრუნება აღარაკის ძალუძს – ცრემლები, გოდება და მწარე მოთქმა ვერ მოგვეტანს დაკარგულს... როცა ქართველი ერი დაკარგავს თავის ტერიტორიას, ის დაამთავრებს თავის ისტორიას, მოისპობა, მოისპობა ყოველი ისტორიული ცხოვრებისათვის... ვეღარ გაიგებთ მშობლიური სიმღერის პანგებს. ტკბილად იმღერებს მგოსანი: „ცა მშვენიერი, და მშობლიური, მარად ბრწყინვალე მზე დაგვნათოლეს“. ამაოდ გვეტყვის: „ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი, დამაფიქრეველნი, ვერანანი და უდაბურნი“.. არავინ დაუგდებს ყურს პოეტის აღტაცებულს სიტყვებს: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“, არავის გულს მისწვდება: ჩვენო არაგვო, რარიგ მიყვარხარ, ქართლის ცხოვრების მოწამე შენ ხარ“, ყოველივე ეს უცხო იქნება ჩვენთვის ისე, როგორც მთაწმინდა, არაგვი და მთელი საქართველო“.[65]

ამგვარი იყო ქართული პრესის ტკივილი და აღშფოთება, თუკი ასე გაგრძელდებოდა, პუბლიცისტი ქართველი ხალხის ბედს ისრაელისა და ებრაელი ხალხის ბედის მსგავსად, ტრაგიკულად წარმოიდგენდა.

„სამშობლო განსაცდელშია" – ასე მიმართავდნენ ქართული პრესის ორგანოები თავიანთ მკითხველს, „სამშობლო განსაცდელშია" – ხმას აწვდიდნენ მშობელ ხალხს უცხოეთში სასწავლებლად წასული – ქართველი ახალგაზრდები.

„ეს ყველაფერია, ეს ჩვენი ყოფნა და არყოფნაა, – წერდნენ ახალგაზრდები, სამშობლო განსაცდელშია, ითელება, მაშასადამე, ვიღუპებით ჩვენც, იღუპება ჩვენი დედა, რომლითაც ვარსებობთ და ურომლისაოდ შეწყდება ჩვენი მაჯისცემა და მოკვდება სული".[66]

„დროებაც"ბეჭდავდა აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე ნიკო თავდგირიძის წერილს. პარნაუთელი 400 ქართველის ბედი მართლაც რომ უსამართლო და სასტიკი იყო, სხვა სახელმწიფოში რომ ასეთი რამ მოხდეს, მთელი დუნია ალაპარაკდებოდა და გაზეთის მთელ სვეტებს დაუთმობდნენ ამ საქმეს, ჩვენ კი ჩუმად ვართო. თავდგირიძე მიმართავდა სახელმწიფო საათბიროს ქართველ დეპუტატებს – დაეცვათ საკუთარი ერის ინტერესები. პუბლიცისტი ამხელდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის დამღუპველობას, ააშკარავებდა მის დანაშაულებრივ მხარეებს ქართულ პრესაში.[67]

პარნაუთელ გლეხებსა და აფხაზეთში მიმდინარე კოლონიზაციაზე წერდა გაზეთი „ფონიც". პუბლიცისტი – ჰამუთ-ბეის ფსევდონიმით აღწერდა დალის ხეობაში მიმდინარე ჩასახლებას და ყველაფერს უგულო რუსეთის ადმინისტრაციას აბრალებდა. „ფონის" ეს მასალა „დროებამაც გადაბეჭდა.[68]

პუბლიცისტი „ღებელი" – ეხებოდა უმიწაწყლო რაჭველი გლეხების მდგომარეობას. მთელი ზემო რაჭა აიყარა და ალაგირსა თუ ნალჩიკში გადასახლდა, სადაც მათ უჭირდათ ადგილობრივ პირობებსა და ხალხთან შეთვისება, ამიტომ ისინი გარეკახეთში ითხოვენ დასახლებასო. „დროება" წერდა: „გაჭირვება რომ არ აიძულებდეთ, რა უნდათ იმ შორეულ ადგილებში, სადაც დიდი დრო უნდა, რომ შეეთვისონ ადგილმდებარეობას და ხალხს, დიდის სიამოვნებით გადმოსახლდებოდნენ კახეთში ან საქართველოს სხვა კუთხეებში, სადაც თავისუფალი ადგილებია. რაჭველებმა არაფერი იციან ამ ადგილების შესახებ. საჭიროა ხელმძღვანელი, დამხმარებელი; ურიგო არ იქნება ეს საქმე იკისროს საადგილმამულო კომისიამ ან სხვა ვინმემ..."

იგი ეხებოდა „დროების" 249-ე ნომერში გამოქვეყნებულ ტყავაძის ინფორმაციას ივრისპირად 2000 დესეტინა მიწის გაყიდვაზე, რომელიც თავად მალხაზ ანდრონიკაშვილს ეკუთვნოდა. დესეტინა მიწა 4-5 თუმნად ფასობდა, რასაც რაჭველებიც გადაიხდიდნენ. პუბლიცისტი ითხოვდა „დროების" რედაქციისაგან, რომ გაეწია პროპაგანდა, რათა ღების, ჭიორას, უწერას, ნაკიეთის და ონის გლეხებს მიეღოთ ინფორმაცია ამ მამულის გაყიდვაზე".[69]

რუსული პრესა კავკასიაში რუსული დასახლებების შესახებ. ქართული გაზეთებისგან სრულიად განსხვავებულ თვალსაზრისზე იდგნენ რუსული გაზეთები. ამიერკავკასიაში გადმოსახლებულთა შესახებ წერდნენ გაზეთები: „მოსკოვსკიე ვედომოსტი", „ნოვოე ერემია", „რუსსკოე ზნამია", „გოლოს მოსკვა", „პეტერბურგსკიე ვედომოსტი" და სხვ. აი, რას წერდა „რუსსკოე ზნამია" 1911 წლის 13 მარტის წერილში, რომლის სათაური იყო „Тревожное успокоение". ის აკრიტიკებდა საჰელმწიფო სათათბიროში ბათუმისა და სოხუმის ოლქის წარმომადგენელს, დეპუტატ შერვაშიძეს ანტირუსული გამოსვლებისათვის.

სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ შერვაშიძის სიტყვაში იყო ბრალდება, რომ რუსეთმა ხელოვნურად შექმნა თავადაზნაურთა წოდება საქართველოში. ბოდა, ახლა ნუ საყვედურობთ ხელისუფლებას, რუსების ჩამოსახლება რატომ არ გინდათ კავკასიაში, იმ ადამიანების მამულში, რომელთაც, აგერ 40 წელია, უკანონოდ აქვთ მიკუთვნებული მამულებიო. ჩვენ გვეგონა, რომ კავკასიელი ავტონომისტები მოიწონებდნენ რუსების ჩასახლებას, ისინი ხომ რუსეთმა იხსნეს, განა თავიანთი სისხლის ფასად არ გაათავისუფლეს რუსმა ჯარისკაცებმა სოხუმი და ბათუმი და იმ სისხლის ფასად ვერ დაიმსახურეს, რომ იქ იცხოვრონო.[70]

„მოსკოვსკიე ვედომოსტი“ წერდა მუღანის პროექტზე, სადაც რუსები უნდა დასახლებულიყვნენ, მიწაზე ფასის ზრდასა და რუსული კოლონიზაციის შეზღუდვაზე საქართველოში. ყველა ზომა უნდა მიღებულიყო, რომ ის მცირე მიწაც, რაც ამერიკაკავკასიაში იყო, რუსულ კოლონიზაციას მოხმარებოდა, არ უნდა დაეშვათ მათი გადასვლა ინოროდცების ხელში. მებამბეობა, რასაც მუღანელი კოლონისტები მისდევდნენ, თვითონ გლეხებს მოხმარებოდა და არა სხვა კომპანიებს.[71]

გაზეთი „კუბანის კურიერი“ წერდა კავკასიის რუსულ დასახლებებზე, მათ შორის, მუღანის, ეორონცოვკას, ბადიაურის რუსულ სოფლებზე, აღნიშნავდა, რომ გადასახლებულებს ხშირად არ ჰყოფნიდათ მიწა და იჯარით იღებდნენ მას, განსაკუთრებით მძიმე დღეში იყვნენ შუა რუსეთიდან, პენზიდან და ორლოვსკიდან გადმოსახლებულები. მათ თავიანთი მიწები და ქონება აქ გაყიდეს, იქ კი ისე უჭირთ, ხშირად კაცები ცოლებს უშვებენ სამუშაოდ და ბავშვებს ამათხოვრებენო.[72]

გაზეთი „ნოვოე ერემია“ წერდა გადასახლებულებისათვის სკოლების აუცილებლობაზე, საჭიროდ თვლიდა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური სკოლების დაარსებას, მებაღეობის, მევენახეობის, მეფუტკრეობის და სხვა სასოფლო დარგების დაუფლებას, რაც გადასახლებულებს გამოადგებოდათ შემდგომი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.[73]

„მოსკოვსკიე ვედომოსტი“ განიხილავდა კავკასიის მეფისნაცვლის, გრაფ ეორონცოვ-დაშკოვის მიერ 1910 წელს სათათბიროში გაკეთებულ ხუთწლიან ანგარიშს (1905-1910 წწ.). გაზეთი ამ მოხსენების იმ ნაწილს ეხებოდა, რომელიც გადასახლებულთა საკითხს იხილავდა. გაზეთი აკეთებდა მთელ რიგ დასკვნებს, ის აკრიტიკებდა მეფისნაცვლის გამოსვლას, მის აზრს გადასახლებულთა შეუგუებლობაზე კავკასიის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან. მათ უცხოობას, სამეურნეო გამოცდილების ნაკლებობას, გადამდები სენით მათ დაავადებას და ა. შ. და წერდა: „ამრიგად, გამოდის, რომ შიდაგუბერნიებიდან გამოსულები ითვლებიან ყოველმხრივ „გამოუსადეგარ“ და მიუღებელ ელემენტებად კოლონიზაციისათვის და მათთვის კავკასია დახურულად ცხადდება“. გაზეთის აზრით, რუსული კოლონიზაციის საკითხი ამიერკავკასიაში, ეს იყო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, კავკასიური ხელისუფლება კი ამ პროცესს არ აწარმოებდა ჯეროვნად, თითქოს ინიღბებოდა და აცხადებდა, რომ ამიერკავკასიაში რუსების დასახლება არ შეიძლება. აქ 2000 კაცი კი არ უნდა ესახლებოდეს ყოველწლიურად, არამედ ათჯერ მეტი. რუსეთის შიდაგუბერნიებიდან მუღანში, ამ უსიცოცხლო ადგილზე კი არ უნდა გადაესახლებინათ რუსები, არამედ ნოიერ ადგილებზე. პუბლიცისტი აღნიშნავდა ბამბის პლანტაციებში მუშაობის სიმძიმეს, კითხვას სვამდა – ამის შემდეგ თუ შეიძლება ლაპარაკი რუსი მოსახლეობის შეგუებაზეო. მას მოჰქონდა სტატისტიკა, რითაც ამტკიცებდა, რომ ელიზავეტპოლის გუბერნიაში 60-70 წლამდე ასაკის მცხოვრებთა შორის გაცილებით მეტი რუსი იყო, ვიდრე „ტუსემცი“. ასევე ასახელებდა ყარსის ოლქს, წერილს იმით ამთავრებდა, რომ რუსები ამიერკავკასიის პირობებს ძალიან კარგად უძლებენ, მაგრამ ვილაცას არ აწყობს და არ სურს, რუსული კოლონიზაცია ამ მხარეშიო.[74]

იგივე გაზეთი ცალკე სტატიას უძღვნიდა მუღანის ველზე ბამბის პლანტაციების გაშენებისა და რუსული დასახლების შექმნის თემას. წერილს სათაურად ჰქონდა „Русские на Мугани“, მასში აღწერილი იყო ის მძიმე საცხოვრებელი პირობები, რაც აქ ჩამოსახლებულ რუს გლეხებს ჰქონდათ. წერილის პათოსი იქით იყო მიმართული, რომ რუსებს განგებ აგდებდნენ ამ მდგომარეობაში, რადგან „ვილაცას არ აწყობდა მათი ცხოვრება ამიერკავკასიაში“.[75]

გაზეთი „გოლოს მოსკვი“ წერდა საქართველოში არსებული რუსული კოლონიების ბედზე. ერთ-ერთ წერილში საუბარი იყო ქობულეთიდან 8 ვერსტით დაშორებული ჩურუკ-სუს რუსულ დასახლებაზე, სადაც კავკასიაში ცნობილი ჭაობი და მალარიის კერაა, აქ ჩაასახლეს რუსები და სამუდამო ტანჯვისათვის გაწირესო. აყროლებული წყალი, უნაყოფო მიწა, მალარიის გამომწვევი პაპა –

ასეთი პირობებია აქო. თეთიმხილველი კორესპონდენტი დაწერილებთ აღწერდა დასახლების მდებარეობასა და პირობებს, რუსი გლეხების ცხოერებას, იმდენად მძიმე სურათს ხატავდა, თითქოს ქართველებს ჩამოესახლებინოთ ისინი და თეთონ კი მათი საუკეთესო მიწები დაეჭიროთ, რუსული პრესა მართლაც აპროტესტებდა იმას, რომ ქართველები (ტუზემცები) საუკეთესო მიწებზე ესახლენ, რუსებს კი ცუდი მიწები მისცეს. რუსი გადმოსახლებულებიც თავიანთ მდგომარეობას ადგილობრივ პირებს აბრალებდნენ, კორესპონდენტს მათ უთხრეს, რომ ჩამოსახლებას ხელმძღვანელობდა აჭარაში თურქი ხიმშიევი, ჯემალ-ბეგი, ორთაბათუმში ყარა-ბექირი, ისიც თურქიო. ესენი მოღალატე ქართველებია, რომლებმაც ისლამი მიიღეს და თავიანთ სამშობლოდ თურქეთს თვლიან, სულთანს – ხელმწიფედო. ჩამოსახლებულმა რუსმა გლეხებმა იქნებ მართლაც არ იცოდნენ ამ ქართველების გამაჰმადიანების ისტორია, ძალით მიტაცებული აჭარისა და იქ მცხოერებ ქართველთა ბედი, მაგრამ გაზეთ „გოლოს მოსკვას" რედაქტორმა კი უეჭველად იცოდა, თუმცა კორესპონდენციაში ამ აზრს არ განმარტავდა.[76]

რუსების გადმოსახლებაში არსებულ ინერტულობას და მეტი ქმედების აუცილებლობას ქადაგებდა „პეტერბურგსკიე ვედომოსტიც", ითხოვდა კავკასიაში გზების გაუმჯობესებას, შავიზღვისპირეთში რუსების ინტენსიურ დასახლებას, კავკასიის მეფისნაცვლის მეტ ძალისხმევას რუსების დასამაგრებლად ჩასახლებულ ადგილებზე და მათი პირობების გაუმჯობესებას.[77]

როგორც ვნახეთ, ქართული პრესა რუსულ კოლონიზაციას საქართველოს დიდ უბედურებად, მისი მომავლის ხელეოფად, ხალხის წინააღმდეგ მიმართულ დემოგრაფიულ აგრესიად მიიჩნეედა. რუსული პრესა, მისგან განსხვავებით, აკრიტიკებდა კოლონიზაციის ნელ ტემპს, თვლიდა, რომ რუსების სისხლით მოპოვებულ კავკასიაში ისინი უნდა ყოფილიყვნენ მოსახლეობის უმეტესობა. რუსული კოლონიური პოლიტიკის არსს ორივე თვალსაზრისი კარგად გამოხატავდა.

დასკვნა. საარქიეო, ისტორიოგრაფიული და პრესის მასალის შესწავლით ირკვევა:

1. ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს კოლონიზაცია XIX საუკუნეში მიმდინარეობდა რამდენიმე მიმართულებით: გერმანელთა ჩამოსახლებით, სექტანტების გადმოსახლებით, რუსული სამხედრო დასახლებების შექმნით, სომეხთა დასახლებით, მთლიანად, რეგიონის ეთნიკური აჭრელებით.

2. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა სცადა, ჩრდილო კავკასიის მსგავსად, სამხრეთ კავკასიაშიც მოსახლეობის უმეტესობად რუსები გადაექცია, რისთვისაც დაიწყო რუსული დასახლებების შექმნა.

3. მხარის კოლონიზაცია, რუსული დასახლებების შექმნის ორგანიზაცია დაევალა რუსეთის შ. ს. სამინისტროსთან არსებულ „გადასახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილებას", რომელიც 1898 წელს დამტკიცდა. სამმართველოს ჰქონდა თავისი ფილიალები ამიერკავკასიის მთელ რეგიონში, ასევე გადასახლებულ გლეხთა დამხმარე კომიტეტები, ჰყავდა სპეციალური საგადასახლებო რაზმები, რომლებიც საზოგადოების წესდების მიხედვით მუშაობდნენ.

4. ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში შექმნილ რუსულ სოფლებს დაერქვა რუსული სახელები, შეიცვალა ქართული ტოპონიმები, გადმოსახლებულებს ეხმარებოდნენ არა მარტო სამთავრობო დაწესებულებები, არამედ საქართველოში არსებული რუსული ბანკები და საქველმოქმედო საზოგადოებები.

5. რუსული სოფლები თავიანთი ადმინისტრაციით, კულტურული, საეკლესიო, სამედიცინო დაწესებულებებით, წარმოადგენდა რუსული ადმინისტრაციის დასაყრდენ პუნქტებს, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ ძალას. ამიტომ მათ ჰქონდათ განსაკუთრებული ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა ხელისუფლების მხრივ.

6. „გადასახლებულთა სამმართველოს" საქმიანობა იყო რუსეთის რეაქციული კოლონიური პოლიტიკის განხორციელების საშუალება: მის მიერ მოპოვებუ-

ლი ე. წ. „თავისუფალი მიწები“ სინამდვილეში ქართველ ხალხსაც არ ჰყოფნიდა, თუკი მისცემდნენ მისი მოხმარების საშუალებას – რუსები ამ მიწებზე სახლდებოდნენ, ქართველების ნაწილი კი რუსეთში მიდიოდა, იქ ითქვიფებოდა და კარგავდა ეროვნულ სახეს.

7. „გადასახლებულთა სამმართველოს“ მიერ მოხდა საქართველოს შავიზღვისპირეთის დენაციონალიზაცია, რამაც შემდეგში მწვავე დაღი დაასვა აფხაზეთის ეროვნულ სახეს, გამოიწვია ამ ქართული კუთხის გარუსება, შექმნა სეპარატისტული რეჟიმის ჩამოყალიბებისათვის რეალური საფუძველი.

8. რუსი გლეხები ტრადიციული მეურნეობიდან და იარაღებიდან გადავიდნენ ადგილობრივი სამეურნეო გამოცდილების გადაღებაზე, შეეჩვევნენ კავკასიაში გავრცელებული კულტურების მოყვანას; ადგილობრივებთან ურთიერთობაში გაიმდიდრეს ცოდნა და მიწის დამუშავების ხერხები.

9. ქართველი მემამულეები იძულებულნი ხდებოდნენ სამმართველოს მიერ მოწყობილ ეშმაკურ ხერხებს დამორჩილებოდნენ და თავიანთი მამულები ამიერკავკასიის საგლეხო ბანკის საშუალებით რუსი გადმოსახლებულების ხელში ჩაეგდოთ, რაც ქართულ საზოგადოებას ძალზე აღაშფოთებდა.

10. ამიერკავკასიის მოსახლეობის ინტერესებს სახელმწიფო სათათბიროში იცავდნენ, „გადასახლებულ გლეხთა ამიერკავკასიის სამმართველოს“ მუშაობას, კავკასიის მეფისნაცვლის საქმიანობას აკრიტიკებდნენ ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი დეპუტატები, რუსი დეპუტატები კი თვლიდნენ, რომ რუს ხალხს, რომელმაც „სისხლით მოიპოვა“ კავკასია, უფლება ჰქონდა დასახლებულიყო იქ და ადგილობრიეებთან შედარებით რიცხობრივი უპირატესობა მოეპოვებინათ.

11. საქართველოდან ასახლებდნენ ან აიძულებდნენ გადასახლებას მაჰმადიან ქართველებს, მათ ადგილზე კი რუსებს ასახლებდნენ. ეს ხდებოდა აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ საქართველოში.

12. მიუხედავად მთავრობის მცდელობისა, საქართველოში რუსული დასახლებების შექმნამ ვერ ჰპოვა ის მასშტაბი, რაც მთავრობას ჰქონდა ჩაფიქრებული, რუსული სოფლები ვერ განმტკიცდნენ, მოსახლეობამ ვერ მოახდინა აკლიმატიზაცია, ვერ შეეგუა ადგილობრივ პირობებს.

13. კოლონიზაციის პროცესი დამღუპველი იყო საქართველოსთვის, რადგან მისი სრულად განხორციელების შემთხვევაში საქართველო მთლიანად გარუსდებოდა, ვერ მოხერხდებოდა დემოგრაფიული წინსვლა-რეგენერაცია, ქართულ მიწაზე ქართველები ვერ გაჩოავსდებოდნენ.

ეს პროცესი თავად რუსი გლეხებისათვისაც ტრაგედიად იქცა. მთავრობა მათ პოლიტიკურ იარაღად იყენებდა კავკასიის დასაუფლებლად, მოსახლეობა კი ვერ ეგუებოდა ახალ პირობებს, ან იღუპებოდა, ან უკანვე გარბოდა და სოციალური კატასტროფის მსხვერპლი ხდებოდა.

14. ქართული და რუსული პრესა სხვადასხვა პოზიციიდან აფასებდა ამ პროცესს – ქართული დამღუპველად თვლიდა, რუსული პრესა კი მიიჩნევდა, რომ მეფისნაცვალიც და გადასახლებულთა ამიერკავკასიის სამმართველოც განგებ აჭიანურებდა რუსების დასახლებას, ცუდ პირობებს ჰქმნიდა ჩამოსახლებულთათვის, სპეციალურად უყოფდა მათ ჭაობიან და უნაყოფო მიწებს, რაც სრული ცილისწამება იყო.

15. რუსული კოლონიზაცია გააქტიურდა საგლეხო რეფორმისა და კავკასიის ომების დამთავრების შემდეგ, მისი მასშტაბი გაიზარდა XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში, შეფერხდა რუსეთ-იაპონიის ომის გამო, ხოლო 1907 წლიდან ყველავ მასშტაბური გახდა სტოლიპინის რეფორმით გათვალისწინებული საგადასახლებო პროექტით. საბოლოოდ მისი დასრულება I-მა მსოფლიო ომმა განაპირობა. თუმცა რუსული კოლონიზაცია არ შეწყვეტილა არც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მიმდინარე მშრომელთა ინტერნაციონალური კოლექტივებისა და დამკერელური საკავშირო მშენებლობების ხანაში.

რუსული კოლონიალიზმი იმპერიული დემოგრაფიული პოლიტიკის აგრესიულ და დიევრსიულ ფორმას წარმოადგენდა.

---

1. სცსსა, ფონდი 242. აღწ. 1, საქმე 1, გვ. 2
2. Исмаил-Заде Д. И., Русское крестьянство в Закавказьс (30-ые годы XIX – нач. XX в.), М., 1982.
3. სცსსა, ფონდი 12, აღწ. 3, საქმე 1, ფ. 3.
4. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 10, ფ.24.
5. სცსსა, ფონდი 12, აღწ. 3, საქმე 13, ფ. 34ᵃ.
6. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 1, ფ. 5.
7. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 1, ფ. 3.
8. სცსსა, ფონდი 231, საქმე 417, ფ. 75.
9. სცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 129, ფ. 8; Тифлисский вестник, №249, 1877 წლის 13 ნოემბერი.
10. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 1, ფ. 20.
11. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 1, ფ. 33.
12. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 47, ფ. 10-24.
13. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 1, ფ. 62.
14. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 1, ფ. 71.
15. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 1, ფ. 58.
16. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 2, ფ. 168-169.
17. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 16, ფ. 74.
18. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 16, ფ. 8.
19. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 21, ფ. 24-25, 62, 64.
20. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 47, ფ. 177.
21. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 47, ფ. 433.
22. ანზორ თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია და თანამედროეეობა, თბილისი, 1895, გვ. 87.
23. Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова, 1907, გვ. 81.
24. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 3, ფ. 6.
25. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 3, ფ. 44.
26. სცსსა, ფონდი 12, აღწ. 3, საქმე 13, ფ. 47.
27. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 47, ფ. 38.
28. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 16, ფ. 227.
29. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 16, ფ. 233.
30. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 342, ფ. 9.
31. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 342, ფ. 9-67.
32. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 342, ფ. 129-132.
33. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 342, ფ. 180-182.
34. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 335, ფ. 22.
35. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 335, ფ. 48-49.
36. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 336, ფ. 76-82.
37. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 172, ფ. 1-3.
38. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 172, ფ. 18-19.
39. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 189, ფ. 43-45.
40. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 189, ფ. 64-65.
41. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 189, ფ. 16-24.

42. სცსსა, ფონდი 26, აღწ. 3, საქმე 3015, ფ. 23.
43. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 15. ფ. 6.
44. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 15, ფ. 23.
45. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 15, ფ. 34.
46. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 15, ფ. 49-50.
47. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 15, ფ. 81-82.
48. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 15, ფ. 83.
49. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 164, ფ. 39.
50. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 164, ფ. 80.
51. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 171, ფ. 55.
52. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 170, ფ. 12.
53. სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 171, ფ. 25.
54. Вермишев Х. А., Земледелие у госуд. крестьян Закавказского края, გვ. 178.
55. სცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 222, ფ. 22.
56. „Черноморский вестник", 1 января. 1898. №1
57. Стенографический отчет Государственная дума, II созыв, I сессия, заседание 44, 1908 წლის 29 მარტი, სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 282, ფ. 40-69.
58. „რუსების ჩამოსახლება", გაზეთი „დროება", №247, 1909 წ. 6 ნოემბერი.
59. „გარეთ კახეთი გაიყიდა", გაზეთი „დროება", №288, 1909 წლის დეკემბერი.
60. გაზეთი „დროება", №290, 1909 წლის 30 დეკემბერი.
61. გაზეთი „დროება", №, 1910.
62. „რუსების დასახლება", გაზეთი „დროება", №263, 1909 წ.
63. „შინაური კოლონიზაციის მოგვარების საჭიროება", გაზეთი „საქართველო", №35, 1916 წ.
64. „ქართველ-სომეხთა მისწრაფებანი", გაზეთი „საქართველო", №17, 1916 წ.
65. „გერმანელთა კოლონიზაციის გაძლიერება", გაზეთი „დროება", №14, 1910 წლის 20 იანვარი.
66. გაზეთი „დროება", №215, 1910 წლის 21 იანვარი.
67. „სამშობლო განსაცდელშია", გაზეთი „დროება", №21, 1910 წლის 28 იანვარი.
68. გაზეთი „დროება", №24, 1910 წლის 31 იანვარი.
69. ჰამუთ-ბეი, აფხაზთა და აფხაზების შესახებ, გაზეთი „დროება", №№270-282, 1909 წელი.
70. ლებელი, „რაჭველებს მიწა უნდა", გაზეთი „დროება", №267, 1909 წ.
71. Газета «Русское знамя», 1911, №2 от 13 марта, «Тревожное успокоение», სცსსა, ფ. 242, აღწ. 1, საქმე 533, ფ. 1.
72. Русская колонизация в Закавказье; გაზეთი „Московские ведомости" 1911 წლის 1 მაისი, სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 533, ფ .2
73. გაზეთი „ქუბანის კურიერი", 1911 წლის 12 ივნისი, „По Кавказу" სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 533, ფ. 4.
74. გაზეთი „Новое время" 1911 წლის 17 ივნისი, „Какая школа нужна в Закавказье", სცსსა, ფ. 242, აღწ. 1, საქმე 533, ფ. 6.
75. გაზეთი „Московские ведомости" 1911 წლის 1 სექტემბერი, „Кавказская колонизация" სცსსა, ფონდი 242, აღწ. 1, საქმე 533, ფ. 8.
76. გაზეთი „Московские ведомости", 5 დეკემბერი, 1911 წ. „Русские на Мугани", სცსსა, ფ. 242, აღწ. 1, საქმე 522, ფ. 9.
77. „Судьба русских поселков" გაზეთი „Голос Москва", 1911 წლის 16 დეკემბერი, სცსსა, ფ. 242, აღწ. 1, საქმე 533, ფ. 11.

XIX ს. 60-70-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური რეფორმების კოლონიური არსი

იმპერიაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, ხალხის დიდი ნაწილის ბრძოლა სოციალურ-პოლიტიკური ჩაგვრის ამა თუ იმ ფორმის წინააღმდეგ რუსეთის ცარიზმს აიძულებდა გარკვეულ დათმობაზე წასულიყო, დაეწყო დრომოჭმული ინსტიტუტების რეფორმირება, გზა გაეხსნა ახალი მწარმოებლური ძალებისათვის, შედარებით ნორმალური პირობები შეექმნა კაპიტალიზმის განვითარებისათვის.

1861 წელს რუსეთში გაუქმდა ბატონყმობა, მომდევნო ხანებში გატარდა ადმინისტრაციული, სასამართლო, საერობო, საქალაქო და სხვა რეფორმები. გლეხთა ანტიბატონყმური აჯანყებები და სხვა ფენების ანტირეჟიმული მოძრაობა კიდევ უფრო ფართო მასშტაბს იძენდა იმპერიის განაპირა მხარეებში. მათ შორის კოლონიურ საქართველოში და ამიტომ რუსული ხელისუფლება იძულებული გახდა ხსენებული რეფორმები, გარკვეული კორექტივით, განაპირა ქვეყნებშიც გაეტარებინა, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხებისათვის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების შედარებით ნორმალური პირობები შეექმნა და ამ საშუალებითაც შეესუსტებინა კოლონიურ უღელში გაბმულ ხალხთა გამათავისუფლებელი მოძრაობა.

საგლეხო რეფორმა. 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტის გამოქვეყნებისა და რუსეთის შინაგუბერნიებში ბატონყმობის გაუქმებისთანავე მეფისნაცვალმა კავკასიაში ბარიატინსკიმ ბრძანება გასცა შესაბამისი საქმიანობის ამ განაპირა მხარეშიც დაწყების შესახებ. რუსულ ხელისუფლებას, რაკი ქართველი თავადაზნაურების მოთვინიერება სურდა, მეფისნაცვალმა ამ პრივილეგიურ წოდებას დაავალა თავისთვის მისაღები რეფორმის პროექტის შემუშავება. თავადაზნაურობამ კი ბატონყმობის გაუქმების დებულების შედგენა დიმიტრი ყიფიანს მიანდო. ამ უკანასკნელმა მოითხოვა მიწის ფონდზე თავადაზნაურთა სრული საკუთრების უფლების შენარჩუნება და ყმა გლეხთა ხიზანთა კატეგორიაში გადაყვანა. თავადაზნაურული ლიბერალიზმის წარმომადგენლებმა (დ. ჯორჯაძე, რ. ჯორჯაძე, კ. მამაცაშვილი) მიზანშეწონილად მიიჩნიეს ყმობიდან გათავისუფლებული გლეხებისათვის უვადო სარგებლობაში მიწის ნაკვეთების დატოვება და მისი გამოსყიდვის უფლების დაკანონება.

აგრარული ურთიერთობის საკითხზე დავა-კამათი სამი წელი გაგრძელდა. მეფისნაცვალ მ. რომანოვის მიერ გამოყოფილმა მთავარმა კომისიამ გამოიყენა დაგროვილი მასალა და თვით შეადგინა გლეხთა გათავისუფლების დებულება, რომელიც თერგდალეულთა კრიტიკის საგანი გახდა.

1864 წ. 6 აპრილის კომისიის დებულებაზე „კრიტიკული შენიშვნები" წარადგინა ი. ჭავჭავაძემ. თერგდალეულთა ლიდერმა დაგმო ის მუხლები, რომლებიც განგებ ართულებდა და ამწვავებდა ნაბატონარისა და ნაყმევის ურთიერთობას. მთავრობისეულ კანონპროექტში ისიც იყო აღნიშნული, რომ მემამულის დასტურის გარეშე გლეხს არ ჰქონდა სანადელო მიწის გამოსყიდვის უფლება. ილია კი ლიბერალური პრინციპის მომხრე იყო და მთავრობისაგან მოითხოვდა მიწის ყიდვა-გაყიდვის სრული თავისუფლების დაკანონებას. რაკი ახლავე არ აძლევთ გლეხს მიწაზე საკუთრების უფლებას, იმის იმედი მაინც მიეცით, რომ ახლო მომავალში მიწის გამოსყიდვის გზით მოიპოვებს ამ უფლებას. თუ ყმობიდან გათავისუფლებული გლეხი მესაკუთრედ არ გადაიქცევა, იგი კელავ მემამულის თვითნებობაზე დარჩებაო დამოკიდებული.

მაგრამ ილია ჭავჭავაძისა და სხვა ლიბერალთა კრიტიკა რუსულმა ხელისუფლებამ არ მიიღო. იმპერატორმა 1864 წ. 13 ოქტომბერს დაამტკიცა თბილისის გუბერნიისათვის შედგენილი ბიუროკრატიული ფორმისა და შინაარსის კანონი, რომელიც მომდევნო 6 წლის განმავლობაში ოდნავი კორექტივებით გავრცელდა

ქუთაისის გუბერნიაზე, სამეგრელოს, აფხაზეთსა და სვანეთზე. მის საფუძველზე მოხდა ბატონყმობის გაუქმება და აგრარულ ურთიერთობათა ახალი ფორმების დაკანონება, რაც არსებითად აკონსერვებდა ფეოდალიზმის ნაშთებს, ბატონყმობის ახალ რუსულ მოდელს.

რუსეთის ცარისტული ხელისუფლებისაგან გატარებული „საგლეხო რეფორმა" თავიდანვე მოექცა კრიტიკის ცეცხლ'ში. ნიკო ნიკოლაძემ ცენზურაგაუვლელ ჟ „კოლოკოლ'ში" გამოაქვეყნა სტატია – „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში". ახალგაზრდა აეტორმა ამხილა რუს კანონმდებელთა უსამართლობა, რომლებმაც ყველა უფლება-პრივილეგია მემამულეებს უბოძეს, მოვალეობა კი გათავისუფლებულ გლეხებს დააკისრეს. „ერთი მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, მოკოვება თუ არა რაიმე აზრი თქვენს ე. წ. რეფორმას, როდესაც მემამულეს გლეხობის მთელი მიწის მესაკუთრედ აცხადებთ, როცა გლეხს ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, ტყე და საძოვარი". ყოველივე ამის გამო ნ. ნიკოლაძე გაოცებას გამოთქვამდა, იმის გამო, რომ მელანმა აიტანა და სირცხვილისაგან არ გაწითლდა დღის სინათლეზე რომ გამოჰქონდა სიყალბისა და მძარცველობის ეს დაკანონება[1].

უფრო მოგვიანებით „საგლეხო რეფორმის" ფორმასა და შინაარსს აკრიტიკებდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალ-დემოკრატები და სხვა მემარცხენე პარტიები, მაგრამ აღიარებდნენ ობიექტურად მის დადებით მნიშვნელობასაც. იგი მიანიდათ რუსეთის იმპერიაში ფეოდალური და კაპიტალისტური ფორმაციების წყალგამყოფად, რამდენადაც რეფორმამ პირადად თავისუფალი, წარმოების საშუალებებისაგან მნიშვნელოვანწილად გაძარცვულ ადამიანთა მასის შექმნით, დაჩქარა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება.

საგლეხო რეფორმის კანონში გარკვეული ადგილი ეკავა დებულებას სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შექმნის, გლეხთა მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების გაღების შესახებ. ამ კონკრეტული კანონ-დებულების თანახმად, სასოფლო საზოგადოებაში უნდა გაერთიანებულიყო ყველა კატეგორიის გლეხობა. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის განმკარგულებელ ორგანოდ ნავარაუდევი იყო გლეხთა ყრილობა. აღმასრულებელი ხელისუფლება ეძლეოდა ყრილობის მიერ არჩეულ მამასახლისს, ხოლო მართლმსაჯულება – სოფლის სასამართლოს.

საქართველოს პროგრესული საზოგადოება, მართალია, მიესალმა სოფლის საზოგადოებრივ მმართველობის შემოღებას, მაგრამ მაისვე შეამჩნია მისი დიდი ნაკლი. დებულება თითქოს დიდ უფლებას აძლევდა საზოგადოებრივი მმართველობის ორგანოებს, მაგრამ ნაკლებად უწევდა ანგარიშს გლეხობის ინტერესებს. საქმეები ძირითადად წყდებოდა მთავრობისა და პრივილეგიური კლასების ინტერესთა შესაბამისად. მაზრის უფროსი თითქმის ყოველთვის ახერხებდა სოფლისათვის თავს მოეხვია მთავრობისათვის სასარგებლო მამასახლისი, რომელიც არსებითად გამოდიოდა პოლიციის აგენტის როლში და იმას აკეთებდა, რასაც მაზრის უფროსი უბრძანებდა. კანონ-დებულების მთავარი უარყოფითი მხარე მაინც ის იყო, რომ იგი სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის კონტროლსა და ძალდატანებას გლეხებზე ავრცელებდა, იცავდა მოსახლეობის ზედაფენების ინტერესებს. აკრიტიკებდა რა კანონის ამ ცალმხრივობას, ი. ჭავჭავაძე წერდა, რომ სოფლის მმართველობას და სასამართლოს „წესდების ძალით ხელი მიუწედებოდა მარტო გლეხკაცზე. თუ გლეხკაცმა დააშავა რამე, წაეხდინა რამე ვისმე... თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს ნება აქვს უხარჯოდ, მოუცდენლად, სოფლის სასამართლოს შემწეობით დაადოს გლეხს სასჯელი; თუ არა გლეხმა გლეხს დაუშავა რამე... საწყალი გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოცდაათ ვერსზე გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში დაკარგოს. მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს... ყველა ეს იმისთანა რამ არის გლეხისათვის, რომ იძულებულია თავის და-

ჩაგერა არა გლეხებისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზე, გული აიყაროს კანონზეც".

დიდი ილიას მიერ აღნიშნული ამ უბედურების ნაწილობრივ მაინც თავიდან აცილება შეიძლებოდა ყველა წოდებისათვის საერთო ადგილობრივი მმართველობის შემოღებით, რომელიც უფლებასაც და მოვალეობასაც თანაბრად, სამართლიანად გაანაწილებდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენაზე. მაგრამ ეს არ ჯდებოდა „დაპყავ და იბატონეს" დიდმპყრობელურ დოქტრინაში და ამიტომ. რუსული ხელისუფლება ბოლომდე აგრძელებდა თავადაზნაურობის, ბურჟუაზიის, სამღვდელოებისა და გლეხობის შეზღუდულ თვითმმართველობათა იზოლირების პოლიტიკას, უარს ამბობდა ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო-სახალხო ფორმის ჩამოყალიბებაზე.

სასამართლოს „რეფორმა". იმპერიის რუსულ გუბერნიებში სასამართლოს რეფორმა 1864 წელს გატარდა. კანონის თანახმად აიკრძალა მთავრობისა და ადმინისტრაციის მოხელეთა ზემოქმედება მართლმსაჯულებაზე. სასამართლოს დამოუკიდებლობა მიენიჭა. ძალაში შეეიდა მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა არჩევის პრინციპი. ადმინისტრაციული წესით მათი გადაყენება აიკრძალა. ახალი რუსული სასამართლო დაუახლოვდა დასავლეთ ევროპაში არსებულს, რამდენადმე პასუხობდა „კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპებს".

იმპერიის განაპირა მხარეებში და, კერძოდ საქართველოში, სასამართლო რეფორმა შეიკეეცა. რუსი რეფორმატორები ამის მიზეზად „მოსახლეობის მოუმზადებლობასა" და ადგილობრივ „სპეციფიკურ პირობებს" ასახელებდნენ. სინამდვილეში კი ამ სფეროშიც იჩინა თავი კოლონიურ-რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ. რუსეთის მთავრობას დაუშვებლად მიაჩნდა კოლონიებში თავისი ადმინისტრაციის ყოველისშემძლეობის შეზღუდვა, სამართლის წარმოების სფეროს გადაცემა ადგილობრივი მოსახლეობის (თუნდაც მხოლოდ ზედაფენის) მიერ არჩეულ მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულებისათვის.

1868 წლის იანვრიდან საქართველოში თანდათან ჩამოყალიბდა საოლქო (გუბერნიებში) სასამართლოები. მაზრებში შეიქმნა მომრიგებელი სასამართლოს განყოფილებანი. საქართველოში არ გადმონერგილა ბურჟუაზიული სასამართლოს ძირითადი პრინციპები. აქ არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩევითობა, სამართალწარმოებაში არჩეულ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის წესი. მოსამართლეებს წინანდებურად მთავრობა ნიშნავდა და ისინი თითქმის მთლიანად ადმინისტრაციის დიდმოხელეებზე დამოკიდებული რჩებოდნენ. დამოუკიდებელი სასამართლოების ნაცვლად საქართველოში ჩამოყალიბდა ახალ ყაიდაზე გამართული მთავრობის მოხელეთაგან დაკომპლექტებული სასამართლოები, რომლებსაც უნდა შეესრულებინათ იმპერატორის ნება-სურვილი. ამ სასამართლოს ყველაზე დიდი ნაკლი ის იყო, რომ საქმის წარმოება ხდებოდა რუსულ ენაზე, რომელიც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არ ესმოდა[2].

საქართველოში ხალხსა და სასამართლოს შორის კელავ რჩებოდა ხრამი, ისინი ერთმანეთს ევრაფერს უგებდნენ. მათ შორის ხიდად უნდა გადებულიყო მოსამართლეთა მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ენისა და ყოფის შესწავლა, ადგილობრივი საზოგადოების წრიდან ნაფიც მსაჯულთა არჩევა. ამგვარი შუამდგომლობა ქართველმა თავადაზნაურობამ კიდეც აღძრა უმაღლესი მთავრობის წინაშე, მაგრამ ამაოდ. საქართველოსა და ქართველ ხალხს 1918 წლამდე არ ღირსებია დემოკრატიული პრინციპებზე დამყარებული სასამართლო.

საქალაქო რეფორმა. XIX საუკუნეში განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვან კერებად გადაიქცნენ ქალაქები. აქ თანდათან ფართოვდებოდა როგორც სოციალურ-განმათავისუფლებელი, ისე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაკადები. ქალაქელები ხმას იმაღლებდნენ თვითმპყრობელური რეჟიმისა და ადგილობრივ ფეოდალთა პრივილეგიების წინააღმდეგ. ცარისტული

ხელისუფლება ამ ახალ ძალას ანგარიშს უწევდა როგორც იმპერიის ცენტრში, ისე პერიფერიებში.

პირველად ამიერკავკასიის მოადგილე გოლოვინი ალაპარაკდა თბილისის მართვა-გამგეობის ზოგიერთ სფეროში მოქალაქეთა ჩართვის მიზანშეწონილობაზე. 1840 წლის დებულების თანახმად თბილისის მოსახლეობის ზედაფენას უფლება მიეცა აერჩია საქალაქო სათათბირო ქალაქის თავისა და ექვსი ხმოსნის შემადგენლობით. მის ძირითად ფუნქციად გამოცხადდა გადასახადების გაწერა-აკრეფა და თბილისში განლაგებული ჯარის ნაწილების ბინებით უზრუნველყოფა. ამდენად, თბილისის მოსახლეობის ზედაფენამ მიიღო არა თვითმმართველობა, არამედ მხოლოდ თვითდაბეგვრისა და გადასახადების აკრეფის უფლება, მაგრამ ამასაც ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა. ქალაქელები რამდენადმე გათავისუფლდნენ პოლიციის თვითნებობა-ბოროტმოქმედებისაგან.

ოცი წლის განმავლობაში თბილისი გაიზარდა. ქალაქის საზოგადოებრივ მმართველობასაც ხარჯები მიემატა. რაკი არსებული გადასახადების აკრეფით მიღებული თანხა თითქმის მთლიანად ჯარსა და პოლიციას ხმარდებოდა, საზოგადოებრივმა მმართველობამ სხვაგვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მთავრობის ნებართვით დააწესა ახალი გადასახადები, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. მეფისნაცვალმა მ. რომანოვმა არ დააკმაყოფილა ქალაქელების თხოვნა ახალი გადასახადების გაუქმების შესახებ, ამიტომ 1865 წ. 26 ივნისს თბილისელებმა გამართეს საერთო კრება, გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა და ბოიკოტი. ათი ათასამდე კაცი ამქრის დროშების ფრიალით შეიკრიბა ერევნის მოედანზე (ახლანდელი თავისუფლების მოედანი) და მოითხოვა საფინანსო პოლიტიკის შეცვლა, თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის უფლება-კომპეტენციის გაფართოება. მშვიდობიანი მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. მთავრობამ ურჩთა წინააღმდეგ იარაღი გამოიყენა. 1865 წ. 28 ივნისს ბრძოლის ველზე დარჩა სამ ათეულამდე მოკლული და დაჭრილი თბილისელი.

თბილისელთა მცირემასშტაბიანი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმაცია მართალია დამარცხდა, მაგრამ მას ობიექტურად დადებითი შედეგი მოჰყვა; მთავრობა გარკვეულ დათმობაზე წავიდა, მნიშვნელოვნად გააფართოვა საზოგადოებრივი მმართველობის შემადგენლობა და რამდენადმე მისი უფლებამოსილებაც. 1866 წ. 11 აგვისტოს დებულებით თბილისის მოსახლეობის ზედაფენამ მიიღო შეზღუდული თვითმმართველობა.. მას უფლება მიეცა აერჩია 100 ხმოსნიანი საქალაქო კრება, რომელიც თავის მხრივ აირჩევდა ქალაქის თავს და განმკარგულებელ სამმართველოს 8 წევრის შემადგენლობით. ამ ფორმით იგი საქმიანობდა 8 წელი.

1870 წელს საერთო საიმპერიო მასშტაბით გატარდა საერთო-საქალაქო რეფორმა, დიდმა და საშუალო მოცულობის ქალაქებმა მიიღეს თვითმმართველობა. ეს დებულება თბილისში ამოქმედდა 1874 წელს, ქუთაისში – 1875 წელს. მალე ამის შემდეგ საქალაქო თვითმმართველობის ორგანოები შეიქმნა გორში, ახალციხეში, ფოთში, ბათუმში. საქალაქო თვითმმართველობანი არც დემოკრატიული იყო და არც ფართო უფლება-კომპეტენციით აღჭურვილი. ქართველი ინტელიგენცია ბოლომდე იბრძოდა თვითმმართველობის დემოკრატიზაციისა და უფლებამოსილების გაფართოებისათვის, მაგრამ არსებული ფორმითაც იგი დადებით როლს ასრულებდა. ნ. ნიკოლაძეს ინტელიგენციის მოვალეობად მიაჩნდა ცარისტული ადმინისტრაციის კრიტიკა და იმავდროულად თვითმმართველობის პრინციპის დაცვა-გაფართოება, რამეთუ მასთან იყო დაკავშირებული საქართველოსა და ქართველი ხალხის უკეთესი მომავალი[3].

მიუხედავად უფლება-კომპეტენციის სიფიწროისა და ხელისუფლების შეზღუდულობისა, საქალაქო თვითმმართველობებმა კოლონიურ საქართველოში დადებითი როლი შეასრულეს. ამგვარ თვითმმართველობაში ორგანიზებული საზოგადოებრივი ძალები ახერხებდნენ რამდენადმე მაინც შეეკავებათ რუსეთის მთავ-

რობის ადმინისტრაციული აპარატის მოხელეთა თეითნებობა, გაეუმჯობესებინათ კომუნალური მეურნეობა და ქალაქელთა ყოფა-ცხოვრება. მაგრამ 1870 წლის საქალაქო დებულება ყველა ქალაქში როდი გატარდა. XX ს-ის დამდეგამდე საპოლიციო მმართველობის ქვეშ დარჩა თელავი, სიღნაღი, ახალქალაქი, დუშეთი, სოხუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი და ყველა დაბა.

საერობო რეფორმა რუსეთში და ქართველი საზოგადოებრიობის ბრძოლა ერობისათვის. 1864 წელს რუსეთში გატარდა ე. წ. „ზემსკაია რეფორმა", რომლის შესატყვისად ქართველმა მოღვაწეებმა მიიჩნიეს „საერობო რეფორმა". ალექსანდრე მეორის მიერ დამტკიცებული კანონ-დებულების შესაბამისად რუსულ გუბერნიებსა და მაზრებში ჩამოყალიბდა ადგილობრივი თეითმმართველობის ორგანოები. განმკარგულებელი ხელისუფლება გადაეცა ხალხისაგან არჩეულ ხმოსანთა (დეპუტატთა) საკრებულოს, აღმასრულებელი კი ხმოსანთაგან არჩეულ გამგეობას და მის თავმჯდომარეს. ადგილობრივი თეითმმართველობის ამ ორგანოთა ფუნქციებს შეადგენდა: საერობო ქონების გამგებლობა, გადაცემული მიწის ნაკვეთების, კაპიტალის, ადგილობრივი მნიშვნელობის გადასახადთა აკრეფით დაგროვილი თანხის კანონის შესაბამისად გამოყენება, გზების კეთილმოწყობა, ეაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, მონაწილეობა სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, ადგილობრივი რესურსების შესწავლა, რეგიონის საჭიროების შესაბამისად მთავრობის წინაშე სათანადო შუამდგომლობების აღძვრა. მაგრამ ცენტრალური ხელისუფლება თავის კონტროლქვეშ ტოვებდა ადგილობრივ თეითმმართველობების საქმიანობას. დააწესა ადგილობრივი ბიუჯეტის განკარგვა-გამოყენების გარკვეული წესი; ერობას, პირველ რიგში, თანხები უნდა გამოეყო რეგიონში არსებული სახელმწიფო დაწესებულებებისა და სასამართლოს დაფინანსებისათვის, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების კეთილმოწყობისათვის. დანარჩენი თანხა ერობას შეეძლო თავის შეხედულებისამებრ დაეხარჯა. მაგალითად, 1871 წელს მთავრობის მითითებით დაიხარჯა ერობის ბიუჯეტის 58%. დარჩენილი თანხა ადგილობრივ საჭიროებათა დაფინანსებას მოხმარდა[4].

1864 წელს საერობო დაწესებულებები დაარსდა, ადგილობრივი თეითმმართველობის ორგანოები ჩამოყალიბდა რუსეთის 33 გუბერნიაში. ყველა სამაზრო საკრებულოებში აირჩიეს 13024 ხმოსანი, აქედან თავადაზნაურობის წარმომადგენელი იყო 6204, გლეხობის – 5171 და ქალაქის მცხოვრებთა – 1649. კიდევ უფრო მეტი იყო თავადაზნაურთა წარმომადგენლობა საგუბერნიო საკრებულოებში. რაც შეეხება ერობათა გამგეობებს (აღმასრულებელ ორგანოებს), მათში თითქმის მონოპოლიურად გაბატონდა თავადაზნაურობა[5]. მიუხედავად ამისა, რუს ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ერობას საერთო-სახალხო დაწესებულებად თვლიდა. საერობო თეითმმართველობას სახელმწიფო ხელისუფლება (აბსოლუტური მონარქია) ანტაგონისტურად აცხადებდა და ადგილობრივ თეითმმართველობების უფლება-კომპეტენციის გაფართოება რუსი ხალხის უკეთესი მომავლის საწინდრად მიაჩნდა. ერობის ამგვარი შეფასება გაიზიარეს ქართველმა ლიბერალებმა. მათ პროტესტი გამოთქვეს იმის გამო, რომ რუსულმა ხელისუფლებამ ქართველი ხალხი მოუმზადებლად მიიჩნია ერობისათვის, საქართველოში საგუბერნიო და სამაზრო თეითმმართველობების ორგანოები არ შეუქმნია. ქართველმა მოღვაწეებმა იმთავითვე დაიწყეს მშვიდობიანი ბრძოლა საერობო თეითმმართველობის მოპოვებისათვის

1871 წელს ე. „კრებულში" ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა სტატია – „ერობა (ზემსტვო), მისი დანიშნულება და წესდება". იქ აღნიშნულია, რომ ამ ბოლო დრომდე რუსეთში მართვა-გამგეობის ყველა ინსტანცია თეითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ თარგზე იყო გამოჭრილი. მაზრისა და სოფლის მოსახლეობას არაევინ არაფერს ეკითხებოდა. ამ ბოლო დროს ღვთის მადლით, მდგომარეობა შეიცვალა, ხელმწიფე იმპერატორმა საჭიროდ ჩათვალა გუბერნიებისა და მაზრების ადგილობ-

რიე მნიშვნელობის საქმეთა მართვა-გამგეობის თვით მოსახლეობისაგან არჩეული პირებისათვის გადაცემა. ნ. ნიკოლაძე იქვე წერს, რომ 1864 წლის კანონში არის ერთი მუხლი, რომელიც რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ავალებს გამოარკვიოს, თუ რა ფორმით შეიძლება საერო დებულების გატარება იმპერიის განაპირა მხარეებში (პოლონეთი, ფინეთი, ციმბირი, კავკასია). მაშასადამე შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ აღრე თუ გვიან ჩვენც გველირსება ეს ბედნიერება.

ქართველი საზოგადოება მალე დარწმუნდა, რომ რუსეთის მთავრობისა და მისი კავკასიური ადმინისტრაციის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მოხელეები შეცდომად თვლიდნენ საერობო თვითმმართველობის მინიჭებას თვით რუსული მოსახლეობის ზედაფენისათვის და ადგენდნენ კონტრრეფორმის პროექტებს. პროგრესისტები გმობდნენ ამგვარ ცდებს, იმას ცდილობდნენ, რომ კიდევ უფრო გაეფართოებინათ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილება. ამ ბრძოლაში ქართველი ლიბერალებიც მონაწილეობდნენ, თავგამოდებით იცავდნენ ადგილობრივი თვითმმაროველობის იდეას. მოითხოვდნენ საერობო რეფორმის გატარებას საქართველოში.

1882 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულომ დაადგინა უსენაესი მთავრობის წინაშე აღეძრა კარგად დასაბუთებული შუამდგომლობა საქართველოში ერობის დაწესებულებათა დაარსების შესახებ. მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ. გავიდა ამის შემდეგ 12 წელი და თბილისის თავადაზნაურთა საკრებულოს ერთ-ერთ სხდომაზე გიორგი თუმანიშვილმა განაცხადა, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი; უკვე დამთავრდა ახალი დებულების საფუძველზე საერობო დაწესებულებათა რეორგანიზაცია. თანაც ფაქტია, რომ მთავრობამ კვლავ წინა პლანზე წამოსწია თავადაზნაურთა ინტერესების დაცვა. ახლა თავადაზნაურობას შეუძლია იმედიანი შუამდგომლობა აღძრასო საქართველოში ერობის დაწესებულებათა დაარსების შესახებ. თავადაზნაურთა წინამძღოლებმა და დეპუტატებმა აღიარეს საკითხის დიდი მნიშვნელობა და სათანადო პროექტის შედგენა დაავალეს გ. თუმანიშვილს, რომელმაც კეთილსინდისიერად შეასრულა მინდობილი საქმე. იგი თავის მიერ შედგენილ ბარათში აღნიშნავდა, რომ საერობო თვითმმართველობა მოიცავს ადგილობრივ ინტერესთა ფართო სფეროს, რომლის დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი საზოგადოების აქტიური მონაწილეობით. თუ ჩვენი ქალაქები 30 წლის წინათ მიიჩნიეს მზად თვითმმართველობისათვის, მთავრობას ეჭვი არ უნდა შეეპაროს იმაში, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დღეს განვითარების მაღალ დონეზე დგას და შესძლებს საერობო დაწესებულებათა ნაყოფიერად გამოყენებასო[6].

გ. თუმანიშვილისა და სხვათა არგუმენტაციის საფუძველზე დაიწერა ოფიციალური დოკუმენტები. 1897 წელს ერობის შემოღების შესახებ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ. 1899 წელს კი — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ. მაგრამ მათი განხილვა-უზენაეს მთავრობაში დიდხანს გაჭიანურდა. ამით უკმაყოფილო ქართველი საზოგადოება ბრძოლას აგრძელებდა. ერობის შემოღების თაობაზე ორგზის აღძრა შუამდგომლობა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ. 1901 წელს ანალოგიური თხოვნა გაგზავნეს ცენტრში მიწათმოქმედთა, მერძევეთა და კუსტარულ მრეწველთა მიმდინარე ყრილობებმა. 1904 წელს ამ საერთო მშვიდობიან მოძრაობას შეუერთდნენ და სათანადო შუამდგომლობები აღძრეს მებამბეთა ყრილობამ, კავკასიელმა მეფიკოსებმა და სოხუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების წევრებმა[7].

ერთი სიტყვით, საქართველოს საზოგადოებრივი ძალები ერთსულოვნად მოითხოვდნენ საქართველოში ერობის დაწესებულებათა დაარსება-ამოქმედებას. რუსული ხელისუფლება თითქოს არ იყო წინააღმდეგი თვითმმართველობის უფლება მიენიჭებინა საქართველოს გუბერნია — მაზრების მოსახლეობისათვის. მაგრამ ბიუროკრატია, სხვადასხვა მოტივით, ყოველთვის ახერხებდა საქმის გა-

ჭიანურებას, მხოლოდ 1905 წელს, როცა მშვიდობიანი ადრესების ნაცვლად, რუსეთის მთავრობას რევოლუციურად შემართული ხალხის საბრძოლო შეძახილები მოესმა, იმპერატორის ნაცვალი კავკასიაში ი. ეორონცოვ-დაშკოვი თვით გამოეცხადა ერობის შემოღების „ინიციატორად", რათა მიზერული დათმობებით ლიბერალური საზოგადოება დაეკმაყოფილებინა და რევოლუციის ჩახშობისათვის ბრძოლაში ამა თუ იმ ფორმით გამოეყენებინა.

მეფისნაცვალმა სპეციალური ცირკულარი გაუგზავნა გუბერნატორებს და მაზრის უფროსებს, დაავალა მათ ჩაეტარებინათ მოსახლეობის წარმომადგენელთა საერობო თათბირები. რუსი მოხელეები აღიარებდნენ, რომ სამხრეთ კავკასიაში ერობის დაწესებულებათა შექმნის ყველა პირობა არსებობდა. თათბირზე მხოლოდ ის უნდა დაედგინათ – ამ მხარისათვის განსაკუთრებული დებულება შეედგინათ, თუ რუსეთისათვის ადრე შექმნილი კანონი აემოქმედებინათ. 1905 წლის 16 იელისს შედგა მეფისნაცვლის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რუსმა მოხელეებმა და ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებმა. ი. ეორონცოვ-დაშკოვმა განაცხადა: შევიკრიბეთ რათა მკეიდრი საფუძველი ჩაეუყაროთ ერობის შემოღების საქმეს. თათბირები ღია იქნება, მაგრამ იმედი მაქვს იქ არ დაუშვებთ საეჭვო რეპუტაციის პირებს. ჩვენი უახლოესი მიზანია საერობო თათბირების ორგანიზება და მხოლოდ ამ საკითხზე ვიმსჯელოთო.

ამგვარი გაფრთხილების მიუხედავად, სხდომაზე სიტყვით გამოსულთა ერთმა (ოპოზიციურმა) ნაწილმა არ იკმარა ასეთი ვიწრო სფერო. აღნიშნეს, რომ საერობო რეფორმის გატარების დიდი მნიშვნელობა აქვს, მოსახლეობა მასზე დიდი ხანია ოცნებობს, მაგრამ ერობა უკვე აღარაა საკმარისი მხარის მშვიდობისა და ნორმალური განვითარებისათვის. საჭიროა დაეაჩქაროთ აგრეთვე აგრარული, სასამართლო, სასკოლო და სხვა რეფორმების გატარება, რათა ჩვენი მხარე უფლებრივად და ეკონომიკურ-სოციალურად გაუთანაბრდესო ცენტრალური რუსეთის გუბერნიებს. დელეგაციებმა წარადგინეს კონკრეტული წინადადებებიც: 1) აქამდე ერობა იყო წმინდა სამეურნეო დაწესებულება, ახლა კი მას უნდა მიეცეს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც; 2) ერობების ნაყოფიერი მუშაობის წინაპირობა იქნება მისი სრული დამოუკიდებლობა ადმინისტრაციისაგან; 3) საერობო დაწესებულებათა ფუნდამენტად უნდა გადაიქცეს წერილი საერობო ეროეული; 4) საარჩევნო ცენზი გასაუქმებელია, მიზანშეწონილია საყოველთაო საარჩევნო უფლების დაკანონება[8].

1905 წ. სექტემბერ-ოქტომბერში საერობო თათბირები ცალ-ცალკე ჩატარდა ქუთაისის და თბილისის გუბერნიებში, ბათუმ-სოხუმის ოლქებში და ზოგიერთ მაზრებშიც კი. დაგროვდა კონკრეტული მასალა. განისაზღვრა რეფორმის მიმართულება. რადიკალური სულისკვეთებით გამოირჩეოდა ქუთაისის გუბერნიასა და ბათუმის ოლქში შედგენილი კანონპროექტები, რომელთა მიხედვით ახლად დაარსებულ საერობო დაწესებულებათა უფლება-კომპეტენციაში უნდა შესულიყო: უძრავ-მოძრავი ქონების გამგებლობა, სასურსათო საქმე, ჯანმრთელობის დაცვა, ვეტერინარია, მოსახლეობის იურიდიული დახმარება, წერილი კრედიტის ორგანიზება, გლეხთა მიწათმოწყობის საკითხი, მიწის მორწყვა და ჭაობების ამოშრობა, შრომის ბირჟის ჩამოყალიბება – კონტროლი, ნორმალური სამუშაო დღის დაწესება, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა. პროექტი ითვალისწინებდა რუსეთის ხაზინის მიერ დასაკუთრებული მიწების ადგილობრივი თვითმმართველობის ხელში გადასვლას, პოლიციის ერობისათვის დაქვემდებარებას. საერთოდ პროექტის ავტორები არსებითად მოითხოვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების თითქმის მთლიანად ხალხისაგან თავისუფლად არჩეული ერობის ხელში გადაცემას და ამდენად რუსეთის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის ლიკვიდაციას[9].

პროექტის ავტორებს იმის რწმენა ჰქონდათ, რომ ერობა გახდებოდა საქართველოს საერთო-სახალხო ადგილობრივი მმართველობის ორგანო, მისი სუბიექ-

ტები – თავადაზნაურობის, ქალაქელების, სამღვდელოებისა და გლეხთა წარმომადგენლები შეთანხმებულად იმოქმედებდნენ, მოამზადებდნენ ნიადაგს ეროვნული თავისუფლებისათვის. რუსეთის მთავრობა ამას ითვალისწინებდა და ამიტომ თვითმმართველობის მინიჭებაზე წინასწარ პქონდა გამზადებული უარის თქმა.

რუსულმა ხელისუფლებამ ასეთ რადიკალურ კანონპროექტებს რევოლუციის პერიოდში დუმილით უპასუხა. რეაქციის ამოქმედების შემდეგ კი ისინი არქივში გადაისროლა. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის მთლიანად უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა და 1909 წელს მეფისნაცვალმა განაახლა საერობო თათბირის საქმიანობა და იგი მკაცრი კონტროლის ქვეშ მოაქცია. მსჯელობა ერობის ტიპის ზოგად, მთავრობისათვის მისაღებ განსა'ხღვრას არ გასცილებია. პირველი მსოფლიო ომის წლებში ლიბერალურმა ინტელიგენციამ ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ ამაოდ. რუსეთის მთავრობამ საქართველოს მოსახლეობას შეზღუდული საერობო მმართველობაც კი არ აღირსა. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა საქართველოში დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ გატარდა და ქვეყანა 1918-1920 წლებში ადგილობრივ თვითმმართველობათა ფართო ქსელით მოიფინა.

---

1. ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 132.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 312-320.
3. იქვე, გვ. 320-327.
4. Земство, Политико-экономический сборник, СП., 1864, გვ. 7-51.
5. Б. Веселовский, История земство..., т. 3, გვ. 680-681.
6. Заметки и статьи о введения Земских учреждении в Тифлисской Губернии, сост. Г. М. Тумановым, 1897 г., გვ. 18-19.
7. საქართველოს სცსა, ფონდი 13, ანაწერი 10, საქ. 22, ფურც. 8-10.
8. К сведению на Кавказе земского самоуправления, Тб., 1905, გვ. 60-66.
9. საქართველოს სცსა, ფონდი 13, ანაწერი 10, საქ. 22, ფურც. 6-11.

რუსეთის კოლონიურ-ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია

ნატურალურიდან სასაქონლო ფულად მეურნეობასა და კაპიტალურ წარმოებაზე გადასელა, ამ მოელენებთან დაკავშირებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია ბუნებრივ-ეკონომიკური პროცესია, ასევე უნდა ყოფილიყო საქართველოში, მაგრამ რუსეთს (მეტროპოლიას) ამ მოელენაში თავისთვის სასურველი კორექტივები შეჰქონდა. როგორც აღინიშნა, იგი იმ დარგების განვითარება-გაფართოებას აქცევდა გაცილებით მეტ ყურადღებას, რომლის პროდუქცია სჭირდებოდა რუსეთის მოსახლეობას როგორც სურსათ-სანოვაგე, ხოლო მრეწველობას – როგორც ნედლეული. ეს გაელენა სუსტად შეინიშნებოდა XIX ს-ის პირველ ნახევარში და ცხადი გახდა ბურჟუაზიული რეფორმების მომდეენო ხანაში.

ფეოდალურ საქართველოში ბატონყმობა მისი ორი ფორმით – საბეგრო და საღალო მეურნეობის სახით იყო წარმოდგენილი. XIX ს-ის პირველ ნახევარში ქართველი თავადაზნაურობა თავის მამულების ერთ ნაწილზე ეწეოდა ყმა გლეხთა მუქთა შრომაზე დამყარებულ მეურნეობას. დანარჩენი მიწა გადაცემული ჰქონდა იმავე ყმა-გლეხებზე მუდმივ სარგებლობაში და საზღაურს იღებდა ღალა-კულუხის სახით.

XIX ს-ის 50-იან წლებში ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ფეოდალურ-ბატონყმური სოციალურ-ეკონომიკური წყობა აფერხებდა საერთოდ ქვეყნის პროგრესულ განვითარებას, იწვევდა გლეხობის თანდათან მზარდ უკმაყოფილებას და საპროტესტო გამოსელებს. რუსეთის მთავრობამ იგრძნო საშიშროება და იგი თავიდან რომ აეცილებინა, ზეპოდან გააუქმა ბატონყმობა. მეფის მთავრობა და მისი მოხელეები ვარაუდობდნენ, რომ რეფორმა აიძულებდა თავადაზნაურობას შეეცვალა მეურნეობის წარმართვის წესი, მოეწყო იგი რაციონალურ ყაიდაზე. მაინ აზრით, პირადად გათავისუფლებული გლეხებიც შესძლებდნენ თავიანთი მეურნეობის გაუმჯობესებას.

გლეხთა განთავისუფლება, წერდა თბილისის გუბერნატორი 1867 წლის ანგარიშში, უკვე განეკუთვნება მომხდარ ფაქტთა სფეროს, რომელსაც მოჰყვება მატერიალური და ზნეობრივი სიკეთე. ახალი ეპოქის მაუწყებელ ნიშანთა შორის მთავარია ის, რომ „მწარმოებლურ ძალებში გაიღვიძა აქამდე უნახავმა ენერგიამ". გლეხი ხედავს, რომ ახლა ის შრომობს თავისთვის და საკუთარი ოჯახისათვის, ღებულობს გაწეული შრომის საზღაურს. მართალია, ამ ენერგიას არ აქვს გამოყენების საკმარისი სფერო, გლეხთა მცირემიწიანობის გამო, მაგრამ მიუხედავად ამისა სოფლის მეურნეობა უკვე იწყებსო აღმავლობას[1].

მეფისნაცვალი კავკასიაში მიხეილ რომანოვი 1871 წელს იმპერატორს აუწყებდა: „ახალი ურთიერთობანი დამყარდა მტკიცედ, ახალი ცხოვრება მიმდინარეობს წყნარად, აუღელვებლად... კეთილდღეობა იზრდება თავისუფალი შრომის კეთილმყოფელი ზეგავლენით"[2].

მეფის მთავრობის მოხელეები, რა თქმა უნდა, გადაჭარბებით აფასებენ „დიდი" რეფორმის მნიშვნელობას და კეთილმყოფელ გავლენას სახალხო მეურნეობაზე. ლაპარაკი თავისუფალ შრომაზე გადასვლის შესახებ საკმაოდ შეიცავდა დემაგოგიის ელემენტებს. კუდმოკვეცილი რეფორმა, რომელიც ხელუხლებლად სტოვებდა ხაზინისა და თავადაზნაურთა მონოპოლიას მიწის საკუთრებაზე, გლეხობას არ აძლევდა სრულ თავისუფლებას. დროებით ვალდებულებანი (რაც ათეული წლები გაგრძელდა) მემამულეთა წინაშე გლეხობაში ჰკლავდა მეურნეობის გაუმჯობესების სტიმულს. მიუხედავად ამისა, 60-იანი წლების რეფორმებმა გარკვეულ ფარგლებში მოსპო ზედა და ქვედა ფენების წინააღმდეგობანი, ხელი შეუწყო ქვეყნის პროგრესულ განვითარებას საერთოდ და საკაჭრო მიწათმოქმედების დაწინაურებას კერძოდ.

საქართველო ბუნებრივი პირობებით მეტად მრავალფეროვანია, რაც ადრიდანვე იძლეოდა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას. XIX ს-ის 60-70-იან წლებში იგი ძირითადად იყო მარცვლეული მეურნეობის, მეეფნახეობა-მელვინეობის და მეცხოველეობის ქვეყანა. მაგრამ ამ დროიდან, გამსაღებელი ბაზრების გაფართოების და მიმოსვლა-გადაზიდვის საშუალებათა (რკინიგზის) გაუმჯობესების წყალობით, ამ ტრადიციული დარგების პროდუქტთა საქონლიანობა საგრძნობლად გაიზარდა. შეიქმნა ახალი დარგების განვითარების პირობებიც. სასაქონლო მეურნეობის საფუძველზე თანდათან ღრმავდებოდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და დარგობრივი სპეციალიზაციის პროცესი.

ბაზარი და ფულად-სასაქონლო ურთიერთობა, ბუნებრივია, უკუგავლენას ახდენდა თვით წარმადობის პროცესზე. ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილების წინაპირობა იყო სოფლის მეურნეობის რენტაბელობის გაზრდა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. სოფლის მეურნეთა წინაშე თანდათან მეტი სიმწვავით დგებოდა წარმოების აგრო-ტექნიკური დონის ამაღლების პრობლემა.

კაპიტალიზმის წინარე ხანაში საქართველოს სოფლის მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების დონეზე იდგა. გამოიყენებოდა ხელით სამუშაო იარაღები – თოხი, ბარი, წერაქვი, ნამგალი, ცული და სხვა. მიწის სახვნელი იარაღები იყო კავი, აჩაჩი, ორხელი, ჯილღა და, რაც მთავარია, მთელს კავკასიაში გავრცელებული ქართული გუთანი, რომელიც საკანე მიწას დიდ სიღრმეზე ხნავდა. ქართულ გუთანს იყენებდნენ აგრეთვე საევნახე ადგილების გასატეხად და სარწყავი არხების გასაყვანადაც კი. ასეთი შემთხვევისთვის გუთანი ჩვეულებრივზე დიდი ზომის კეთდებოდა და მას ერთი მეტრი სიღრმისა და ერთი მეტრი სიგანის კვალი გაჰქონდა. ჩვეულებრივ გუთანში 6-8 უღელი, ხოლო დიდ გუთანში 16-20 უღელი ხარი იბმებოდა[3].

ქართულმა გუთანმა უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის სამეურნეო ყოფა-ცხოვრებაში. იგი ქარხნული გუთნის წინამორბედთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაუმჯობესებული სახვნელი იარაღი იყო. მაგრამ XIX ს-ის 50-იანი წლებიდან ცხადი გახდა მისი კონსტრუქციული ნაკლოვანებანი და დაიწყეს კიდეც მათი გამოსწორება. ქართველმა ოსტატებმა შექმნეს, მაგალითად, ე. წ. მუხრანული გუთანი, რომელსაც უფრო მეტი ჰქონდა რკინის ნაწილები და ნაკლები გამწვეი ძალა სჭირდებოდა. კონსტრუქციული სიახლით გამოირჩეოდა აგრეთვე ჯიმითული, სამგორული და კაკაბეთური გუთნები, რომელთაც გამწვე ძალად 3-4 უღელი ხარი ეოფნიდა[4].

ქართველმა ინტელიგენციამ და მეურნეთა უმრავლესობამ აღიარა ქართული გუთნის კონსტრუქციული შეცვლა-გაუმჯობესების დროულობა. მხარი დაუჭირა აგრეთვე უცხოური, ქარხნული გუთნებისა და მანქანა-იარაღების შემოტანას.

1865 წელს მეფისნაცვალი მ. რომანოვი თავის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ რამდენიმე მემამულემ უკვე გამოიწერა უცხოეთიდან გაუმჯობესებული გუთნები და სალეწი მანქანები. ზოგი კი თვით გაკეთებულ სასღვარგარეთ, რათა ადგილზე შეარჩიოს და იყიდოს აქაურ პირობებში უფრო გამოსადეგი იარაღ-მანქანები[5]. მალე საქართველოში გაიხსნა მანქანა-იარაღთა საწყობები. XIX ს-ის ბოლოს სიღნაღისა და მაჩხაანის საწყობებიდან ქიზიყის მოსახლეობა ყოველწლიურად ყიდულობდა 200-მდე ქარხნულ გუთანს. 1895 წლისთვის ბორჩალოს მაზრის ბეერ სოფელში სახნავი იარაღების მესამედს შეადგენდა უცხოური გუთანი.

გაცილებით ნელა ერცელდებოდა სათესი, სამკალი, სალეწი, სათიბი და სხვ. მანქანები. 1862 წელს იოანე მუხრანბატონს უკვე ჰქონდა სალეწი და სანიავებელი მანქანები, რომელიც მოძრაობაში მოდიოდა წყლის ძალით. მალე საქართველოში გამოჩნდა ორთქლის ამძრავიანი სალეწებიც. XIX-XX სს. მიჯნაზე გავრცელდა სიმინდისა და ბამბის მწკრივზე სათესი მანქანები, დაინერგა მწკრივთა შორის ნიადაგის დასამუშავებელი კულტივატორებიც. ამავე პერიოდიდან გამოჩ-

ნდა გაუმჯობესებული სისტემის ეურძნის საწნეხელები, მერძეველობის რაიონებში კი სეპარატორები და სხვა უახლესი ტიპის მანქანა-იარაღები[6].

პირველი მსოფლიო ომის წინ საქართველოში უკვე დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული ქარხნული გუთნები. ბევრ მეურნეობაში იყენებდნენ სათეს, სამკელ, სალეწ, სათიბ და სხვა მანქანებსაც. მაგრამ ახალი ტექნიკა ხელმისაწვდომი იყო მემამულეებისა და შეძლებული გლეხებისათვის. მეურნეთა დიდ ნაწილი კელავ მამა-პაპურ იარაღებს იყენებდა.

აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოება თითქმის შეუძლებელი იყო მიწის სავარგულთა მორწყვის გარეშე. XII საუკუნეში გაყვანილი ალაზნის არხი ასი ათას ჰექტარ მიწას რწყავდა. ბევრი იყო უფრო მომცრო არხები და რუები. XVIII საუკუნეში სარწყავი არხებით სარგებლობის წესი განსაზღვრული იყო ვახტანგ მეექვსის კანონებით. რუსულმა ხელისუფლებამ ეს კანონები გააუქმა და საირიგაციო სისტემა კარგახანს მოშლილი იყო. თვით რუსი მოხელეები აღიარებდნენ, რომ XIX ს-ის განმავლობაში სარწყავი არხები არა ოუ ფართოედებოდა არამედ პირიქით, უარესდებოდა მათი მდგომარეობა და მწვავდებოდა სარწყავი წყლით მოსარგებლეთა ურთიერთობა.

XIX ს. 50-იან წლებში მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ ინგლისიდან გამოიწვია ორი გამოცდილი ჰიდროინჟინერი ბელი და გაბა, რომლებსაც დაავალა ამიერკავკასიის წყლის რესურსების შესწავლა და ახალი სარწყავი არხების პროექტების შედგენა. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობას, შეიძლება შემატებოდა 2 მილიონი დესეტინა სარწყავი მიწა, რომელზეც მიზანშეწონილი იქნებოდა რუსი კოლონისტების დასახლება. მაგრამ 60-70-იან წლებში გაყვანილ იქნა მხოლოდ ერთადერთი სარწყავი არხი — ყარაიაზში, რომელიც რწყავდა 24 ათას დეს. მიწას. ამ ფართობს ჯერ ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება ფლობდა, 1885 წლის შემდეგ კი იგი გადავიდა ხაზინის უწყებაში და იყენებდნენ რუსული სოფლების მოსაწყობად. მოგვიანებით მოირწყა მუღანის ველი, (აზერბაიჯანი), სადაც დიდი რაოდენობით ჩამოასახლეს რუსი კოლონისტები.

1890 წლის 3 დეკემბრის კანონ-დებულების შესაბამისად ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის გამგებელი დაწესებულება, რომლის ფუნქციას შეადგენდა სარწყავი არხების მდგომარეობის შესწავლა, ზრუნვა საირიგაციო სისტემის გაფართოებისათვის და სარწყავი წყლით მოსარგებლეთა დავა-საჩივრების განხილვა. აღმოსავლეთ საქართველო დაიყო წყლის ოკრუგებად შეიქმნა, კერძოდ, ახალციხის, აწყურის, სურამის, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ქსნის, არაგვის, ალაზნის, იორის, ძამის, ტანას, კუმისის, ალგეთის, ხრამის, მაშავერის და სხვა ოკრუგები. ყოველი ოკრუგი ძირითადად ერთი მდინარის აუზს აერთიანებდა, მაგრამ ამიერკავკასიის წყალთა ინსპექციას 10 წლის განმავლობაში არსებითად არაფერი გაუკეთებია. ამ ახალი დაწესებულების ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი, წყლით სარგებლობისათვის შემოღებული უჩვეულო გადასახადი ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა, ამუხრუჭებდა მოსახლეობის თვითმოქმედებას ამ სფეროში და ამდენად აფერხებდა საირიგაციო სისტემის გაფართოებას. თვით უმაღლესი ინსტანციიდან მოვლინებულმა რევიზორმა დინგელ შტენტმა დააფიქსირა წყალთა მეურნეობის მოხელეთა უხეირო მუშაობა, აღნიშნა, რომ ბევრი სოფლის მოსახლეობა უარს ამბობდა წყალთა მეურნეობის ადმინისტრაციაზე და მის მიერ შემოღებულ ახალ გადასახადებზე.

1899 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 1186 სარწყავი არხი და რუ, რომლითაც სარგებლობდა თავადაზნაურთა და გლეხთა 47508 მეურნეობა. ირწყვებოდა 106495 დეს. მიწა. სარწყავი არხების სიმცირის გამო მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელი რჩებოდა. დასავლეთ საქართველოში კი მწვავედ იდგა ჭაობების ამოშრობის პრობლემა. კოლხიდის დაბლობის 100

ათას დესეტინაზე მეტი მიწა მალარიის ბუდეს წარმოადგენდა და მოსახლეობას შემოსავალს არ აძლევდა.

მთაგორეულდაბლობიან საქართველოს პირობებში უძველესი დროიდანვე დამკვიდრდა ვერტიკალური ზონალობა, შეიმჩნეოდა ურთიერთისაგან განსხვავებული ბუნებრივ-სამეურნეო ზონების გამოყოფის ტენდენცია. ამ პროცესში თვისობრივი გარდატეხა ხდება XIX ს. 50-60-იანი წლებიდან, როცა სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების ბაზაზე კიდევ უფრო ღრმავდება სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია.

XIX ს-ის 80-იანი წლების სპეციალისტი დამკვირვებლები აღმოსავლეთ საქართველო'ში მკვეთრად მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან მთის, ბარისა და მთა-ბარის შუა ზონებს მათთვის დამახასიათებელი სოფლის მეურნეობის დარგებით. რუსმა მოხელეებმა, ფისკალური მოსაზრებით და მეურნეობის შემოსავლიანობის მიხედვით დაბეგვრის გაადვილების მიზნით, ამ ზონების ფარგლები დესეტინობრივადაც კი შემოსაზღვრეს. XX ს-ის დამდეგს ეარაუდობდნენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზონა'ში სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწების ფართობი შეადგენდა 1 მლნ. დესეტინაზე ოდნავ მეტს, შუა ზონაში – 656 ათას დესეტინას, ბარ'ში კი – 817 ათას დესეტინას[7]. სოფლის მეურნეობის საჭიროებათა გამომკვლევი ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მასალებში დასავლეთ საქართველო წარმოდგენილია სამი ბუნებრივ-სამეურნეო ზონის სახით: შავი ზღვისპირეთის სწორი დაბლობი, ბორცვ-გორაკებიანი ვაკე (ზღვის დონიდან 600-700 მეტრამდე) და მთა[8].

სრულიად საქართველოს მთაში წამყვანი დარგი იყო მეცხოველეობა, მაგრამ სხვადასხვა რეგიონებში მეტნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მარცვლეულ კულტურებსაც. აღმოსავლეთ საქართველოს შუა ზონაში თანაბარი შესაძლებლობანი არსებობდა მარცვლეული მეურნეობის, მეხილეობის და მეცხოველეობის განვითარებისათვის, მაგრამ აქაც გამოიყოფოდა ამათუ იმ დარგში სპეციალიზებული სოფლები. ბარის ზონაში წამყვანი იყო მეენახეობა-მეღვინეობა, მაგრამ დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებდა მემინდვრეობაც. ამ ზონაში თანდათან იზრდებოდა აგრეთვე მეთამბაქოეობის, მებამბეობის, მეაბრეშუმეობის და სხვა დარგების როლი. დასავლეთ საქართველოს სწორ დაბლობზე, ზღვისპირა და მდინარეთა ქვემო წელში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეკავა სიმინდის ნათესებს, რომლის გვერდით ინერგებოდა და თანდათან მეტ როლს ასრულებდა ხალხის ეკონომიკურ ყოფა'ში თამბაქოს, რამის, თხილის, ცხოველთა საკვები ბალახის, ბოსტნეულისა და ბამბუკის კულტურები. დასავლეთ საქართველოს სწორი დაბლობი შეუმჩნეველად გადადის ბორცვებსა და გორაკებში, სადაც უკვე XIX ს. 60-70-იან წლებში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ ჩაისა და სხვა სუბტროპიკულ კულტურებს. ზღვიდან უფრო მოშორებით თანდათან გამოიყოფოდა მეენახეობა-მეღვინეობაში დასპეციალებული რაიონები.

მარცვლეული კულტურები. საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგთა შორის ყველაზე მეტი იყო პურეულის კულტურების ხვედრითი წილი. XIX საუკუნეში ყანების ფართობი თანდათან იზრდებოდა ტყეებისა და სათიბ-საძოვრების ხარჯზე. აღმოსავლეთ საქართველო'ში წამყვანი იყო ხორბალი და ქერი. მეტნაკლები რაოდენობით თესავდნენ აგრეთვე სიმინდს, შვრიას, ჭვავს, ლობიოს, ფეტვს, ასლს, ბრინჯს და სხვა კულტურებს. დასავლეთ საქართველო'ში სახნავ-სათესი მიწების უდიდესი ნაწილი ეკავა სიმინდს, რომელიც თითქმის მონოკულტურას წარმოადგენდა გურია-სამეგრელო-აფხაზეთსა და ქვემო იმერეთში. სიმინდის ყანებში ჩვეულებრივ ლობიოც ითესებოდა. პურსა და ქერს შედარებით მეტი ფართობი ეკავა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში და ზემო იმერეთ'ში.

XIX საუკუნეში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები თანდათან ფართოვდებოდა და პურეულის მეურნეობათა სასაქონლო ნაწილი იზრდებოდა. გამსაღებული ბაზრების გამრავლება სტიმულს აძლევდა ამ დარგის მიმდევარ მოსახლე-

ობას გაეუმჯობესებინა მეურნეობის აგროწესები და ტექნიკური აღჭურვილობა, მაგრამ რუსული ხელისუფლებისაგან ბედის ანაბარად მიტოვებული (მეტროპოლიას ჩვენი პურეული არ სჭირდებოდა) მწარმოებელთა მასა ვერ ახერხებდა ფეხი აეწყო ახალი დროის მაჯისცემისათვის. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა თითქმის არ იზრდებოდა. 1891 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ყველა სახის მარცვლეულის მოსავალმა შეადგინა 2,6 მლნ. ჩეტვერტი (1 ჩეტვერტი უდრის 7 ფუთს). მოსავლიანობა იყო ხუთჯერადი ე. ი. ერთი ფუთი თესლიდან მიიღეს 5 ფუთი პურეული. იმავე წელს დასავლეთ საქართველოში აიღეს 2 მლნ ჩეტვერტი მარცვლეული, საიდანაც სიმინდის წილად მოდიოდა 1,7 მლნ ჩეტვერტი. მოსავლიანობა იყო ცამეტ ჯერადი (სიმინდის ყანას გაცილებით ნაკლები თესლი სჭირდებოდა).

1903-1913 წწ. საქართველოს მარცვლეულის მეურნეობათა მასშტაბებზე და მის საშუალო წლიურ შემოსავლიანობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა მომდევნო ცხრილი[9].

კულტურების დასახელება	ნათესების ფართობი	მოსავალი ერთ დესეტინაზე ფუთი	მთელი მოსავალი ფუთებში	მთელი შემოსავალი მანეთებში
შემოდგომის სორბალი	165000	50	8.250000	7.425000
გაზაფხულის სორბალი	80300	46	3.693800	3.324400
ქერი	99300	63	6.255900	3.440700
ჭვავი	3600	61.7	186000	111700
შერია	900	44.1	39700	31800
სიმინდი	350600	80	28.048000	11.219200
ფეტვი და ღომი	5100	36.1	18670	93400
ასლი	3000	73	219600	186700
ლობიო	-	-	2.00000	1.300000
ბარდა	300	38.1	11400	199900
	708100	-	48.891200	26436900
ჩალა-ბზე	-	-	59.256100	3.600000

ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალა საშუალებას იძლევა მიახლოებით მაინც განისაზღვროს სხვადასხვა ფენის როლი მემინდვრეობაში. სტატისტიკა გვაუწყებს, რომ 1888 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მიიღეს 2,7 მლნ ჩეტვერტი მარცვლეული. აქედან სახელმწიფო გლეხთა წილად მოდიოდა 45%, დროებითვალდებულ, ხიზან და მესაკუთრე გლეხთა მიწებზე – 23%, მემამულეთა მიწებზე – 31%. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკაში მითითებულ მემამულეთა მიწები მემამულურ მეურნეობებს როდი ემთხვეოდა. თავადაზნაურთა მიწებზე არსებული ყანების ორი მესამედი დროებითვალდებულ, ხიზან და სხვა მოიჯარეებს ეკუთვნოდა. ერთ მესამედზე კი მემამულეები ეწეოდნენ საკუთარ მეურნეობას შრომავალდებული გლეხებისა და დაქირაველებული მუშების გამოყენებით[10].

XIX ს-ის 90-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა ხვედრითი წილი ამ მხარის მარცვლეულის წარმოებაში შეადგენდა 12-15%-ს, მაგრამ ისინი ეპატრონებოდნენ ვალდებული გლეხებისა და მოიჯარეთა მეურნეობებში მიღებული მოსავლის მეოთხედ ნაწილსაც. XX ს-ის დამდეგს მემამულეები ყოველწლიურად თავის განკარგულებაში ღებულობდნენ 2,5-3 მლნ. ფუთ მარცვლეულს. მათ საკუთარ შინამოხმარებაზე მაქსიმუმიც რომ ვიანგარიშოთ, თავადაზნაურობას, ძირითადად მსხვილ მემამულეებს ბაზარზე, შეეძლოთ გაეტანათ 1,5-2 მლნ. ფუთი მარცვლეული.

აღმოსავლეთ საქართველოს ყანების მოსავლიანობა საკმაოდ მაღალი იყო უკვე XIX ს-ის 50-იან წლებში. 1850 წელს ეინმე ო. კონსტანტინოვი წერდა: „1802 წელს საქართველომ ვერ შესძლო საკმარისი სურსათი მიეწოდებინა რუსეთის ჯარის 3 ათასიანი კაციისათვის. ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა ორნახევარჯერ გაიზარდა, იგი იკვებება საკუთარი პურით და მარტო თბილისში გასაყიდად გააქვს 150 ათასი კოდი პური, სამხედრო ნაწილებს კი ყოველწლიურად აწვდის 40 ათას კოდ ქერს[11].

XIX ს-ის 80-იან წლებში გარდამეტი პურის ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოდან საზღვარგარეთაც გადიოდა. 1886 წელს მაგალითად, ექსპორტირებული იქნა 1,2 მლნ ფუთი პური. მიმდევნო ხანაში პურის ექსპორტი შეწყდა. ამის მიზეზი იყო არა მარტო ევროპის ბაზარზე საკონკურენციო ბრძოლაში განცდილი მარცხი, არამედ უფრო მეტად ის, რომ ქართული წარმოების პური ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებასაც კი ეეღარ აკმაყოფილებდა. 1896 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მწარმოებლებმა ქალაქებსა და სავაჭრო-სახელოსნო დაბებში გაიტანეს 276 ათასი ჩეტვერტი მარცვლეული 1,7 მლნ. მანეთისა[12]. XIX-XX სს. მიჯნაზე ბაზარზე გადიოდა მთელი პროდუქციის 15-18%.

უფრო მკვეთრად გამოხატული სასაქონლო-საეაჭრო ხასიათი მიიღო მარცვლეულის მეურნეობამ, კერძოდ – მესიმინდეობამ დასავლეთ საქართველოში. სიმინდი იყიდებოდა შინაბაზარზე და მიდიოდა ექსპორტში. 1862 წელს ინგლისელმა ვაჭრებმა გურია-სამეგრელოში იყიდეს და უცხოეთში გაიტანეს 1 მლნ. ფუთი სიმინდი. XIX ს-ის 80-იან წლებში ყოველწლიურად დასავლეთ ევროპაში გადიოდა 5-6 მლნ. ფუთი სიმინდი, ერთი ფუთი 70 კაპიკად იყიდებოდა. სიმინდის გაყიდვა წარმოადგენდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფულადი შემოსავლის მთავარ წყაროს.

1891 წელს რუსეთმა მწვავედ განიცადა მოუსავლიანობა-შიმშილობა. მთავრობამ აკრძალა პურეულის, მათ შორის სიმინდის ექსპორტი საზღვარგარეთ. ქართული სიმინდის რუსეთში ორგანიზებული გატანა ვერ მოხერხდა, რის გამოც სიმინდის ექსპორტის აკრძალვამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საქონელმწარმოებელი მოსახლეობა. შეწყდა სახელმწიფო გადასახადების დაფარვა, ბანკებში ვადიანი გადასახდელების შეტანა. შეფერხდა ვაჭრობა. ადგილობრივი ადმინისტრაციის დაწესებულებები და ზედა ინსტანციები ოხოვნა-საჩივრებით აივსო. 1892 წ. 23 თებერვალს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ მიიღო სიმინდის ექსპორტის ნებართვა. სასაქონლო სიმინდი კი მეტ-ნაკლები რაოდენობით აღმოაჩნდა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას. საილუსტრაციოდ მივმართოთ სტატისტიკურ მონაცემებს, რაც შეკრებილ იქნა შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. გლეხობას აღმოაჩნდა 3,8 მლნ. ფ. სასაქონლო სიმინდი, მემამულეებს – 2 მლნ. ფ., შემსყიდველ ვაჭრებს – 280 ათასი ფუთი. ისიც გაირკვა, რომ სასაქონლო სიმინდის ძირითადი მწარმოებელი იყო სამეგრელო და აფხაზეთი. დიდი რაოდენობით ყიდდა სიმინდს აგრეთვე ქვემო იმერეთისა და გურიის მოსახლეობა. ბაზრის მოთხოვნილება წარმოების მასშტაბის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. სამეგრელო და სოხუმის ოლქის სამურზაყანოს უბანი სიმინდის წარმოების სპეციალიზებულ რაიონებად გადაიქცა. თანდათან ფართოვდებოდა სიმინდის ყანები გურიასა და ქვემო იმერეთში. XIX ს. 90-იან წლებში სიმინდის ნათესებს დასავლეთ საქართველოში ეკავა 200 ათასი დეს. ფართობი. საშუალო წლიური მოსავალი უდრიდა 15-18 მლნ ფუთს. ბაზარზე გადიოდა 5-6 მლნ. ფუთი, მიღებული პროდუქციის 30-35%.

XX ს. დამდეგს დასავლეთ საქართველოში სიმინდის ყანებს ეკავა 243 ათასი დესეტინა. საშუალო წლიური მოსავალი შეადგენდა 25 მლნ. ფუთს, საიდანაც 8 მლნ. ფუთი გადიოდა საზღვარგარეთ და სასაქონლო პროდუქციის ნაწილი საღდებოდა შინაბაზრებზეც. ქართველ მესიმინდეებს წარმოების გაფართოება-გაუმჯობესების სტიმული რამდენადმე დაუკარგა ამერიკული საქონლის კონკურენ-

ციამ და საერთაშორისო ბაზარზე სიმინდის ფასის დაცემამ. ქართული სიმინდის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მოსახლეობას საჭიროდ მიაჩნდა ერთი ელევატორის მოწყობა ფოთის ნავსარგურში და რამდენიმე ელევატორისა რკინიგზის სადგურებზე. ამასთან ერთად, მესიმინდეები მოითხოვდნენ შარაგზების კეთილმოწყობას, რკინიგზის ტარიფების შემცირებას, საზღვარგარეთული ბაზრების კონიუნქტურის შესწავლას და საჭირო ცნობების მოსახლეობისათვის მიწოდებას. მაგრამ რუსეთის მთავრობას ქართული სიმინდი და პური არაფერში სჭირდებოდა და მარცვლეული მეურნეობის გაუმჯობესების, მისი სასაქონლო პროდუქციის ექპორტის მოწესრიგებისათვის არაფერი გაუკეთებია. იგი ხელს უწყობდა მხოლოდ მეტროპოლიისათვის საჭირო დარგების განვითარებას. მარცვლეულის მეურნეობას XX ს-ის დამდეგიდან აღმასვლა არ ეტყობოდა. სასაქონლო პროდუქცია მცირდებოდა.

1909-1913 წლების სტატისტიკა ცხადყოფს, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს გარესამყაროსთან მარცვლეულითა და ფქვილით ვაჭრობის ბალანსი პასიური იყო. საქართველოდან საზღვარგარეთ გადიოდა 5,5 მლნ ფუთი მარცვლეული და ფქვილი (ძირითადად სიმინდი), საზღვარგარეთიდან საქართველოში ეს საქონელი არ შემოპქონდათ. საქართველოდან რუსეთში გადიოდა 1,3 მლნ ფუთი მარცვლეული და ფქვილი. რუსეთიდან საქართველოში კი შემოდიოდა 9,4 მლნ. ფუთი. ე. ი. საქართველო დასავლეთ ევროპას უკავშირდებოდა, როგორც მარცვლეულის (სიმინდის) მწარმოებელ-გამყიდველი ქვეყანა, რუსეთს კი როგორც პურეულის (ძირითადად პურის ფქვილის) მომხმარებელი მხარე.

ბაზრის არახელსაყრელმა კონიუნქტურამ და რუსეთის მთავრობის კოლონიურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ შეაფერხა პურეულის სასაქონლო წარმოების ზრდის, ამ დარგში კაპიტალისტური მეურნეობის აღმოცენება-განვითარების პროცესი. პურეულის წარმოება ბაზრისათვის აღარ იყო ხელსაყრელი და შედარებით მსხვილი მესაკუთრენი თანდათან ამცირებდნენ ნათესების ფართობს, გადადიოდნენ სოფლის მეურნეობის უფრო რენტაბელურ დარგებზე, რომელთა განვითარებისათვის საქართველოში მეტ-ნაკლებად კარგი ბუნებრივი პირობები არსებობდა და რომელთა პროდუქციაზე მეტ მოთხოვნილებას აყენებდა მეტროპოლია და მისი ბაზარი.

მევენახეობა-მეღვინეობა. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მევენახეობა-მეღვინეობას ძველიდანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დაყენებული ღვინის საკმაო ნაწილი შუა საუკუნეებშიც გაჰქონდათ ბაზარზე, მაგრამ სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის ამ დარგმა სავაჭრო-სასაქონლო ხასიათი მიიღო XIX საუკუნეში.

XIX ს. 40-50-იან წლებში მევენახეობაში თითქმის პირველ ადგილზე იყო გურია-სამეგრელო. ეს მხარე წარმოადგენდა მაღლარი ვაზების არეალს. ყოველ თავადაზნაურს და ყოველ გლეხს, რომელთაც გააჩნდათ იმდენი მიწა, რომ მასზე რამდენიმე ხე დატეულიყო, მრავალწლიან მცენარეებზე აშვებული ჰქონდათ ოჯალეშისა და ჩხავერის ჯიშის ვაზები და აყენებდნენ ღვინოს. მაღლარი ვაზების, ვენახის გაშენება დიდ შრომა-ხარჯს არ საჭიროებდა. ხის ძირას დარგული ვაზი თითქმის თავისთავად იზრდებოდა. მაღლარ ვენახებს 2-3 და 5 წელიწადსაც კი მხოლოდ ერთხელ სხლავდნენ. მოსავლიანობა მაღალი იყო. მაღალხარისხოვან ღვინოს იძლეოდა შემაღლებულ ადგილებზე გაშენებული მაღლარი ვენახები. სამეგრელოში განთქმული იყო ოჯალეშური ღვინო, გურიაში კი – ჩხავერი. მეგრელმა მევენახე-მეღვინეებმა მაღლარი ვაზის კულტურა დანერგეს აფხაზეთშიც. მიხეილ შერვაშიძემ თავის მამულში გაახარა 100-120 ათასი ძირი მაღლარი ვაზი. მაღლარი ვენახების ფართობის დადგენა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ფაქტობრივი მასალებიდან ჩანს, რომ XIX ს-ის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს მევენახეები ყოველწლიურად აყენებდნენ 1,5-2 მლნ. ვედრომდე ღვინოს.

რუსეთის მთავრობა, რომელიც დაინტერესებული იყო საქართველოში მელვინეობის განვითარებით და მისი პროდუქციის გამოყენებით, ეჯექე'მ აყენებდა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო უნარს და იწუნებდა ვაზის ქართულ ჯიშებსაც. მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მითითებით საქართველოში შემოიტანეს ევროპული და ყირიმული ვაზის ჯიშები, მაგრამ ამის საჭიროება არ არსებობდა. ვაზის ადგილობრივი ჯიშები, როგორც მოგვიანებით აღიარა რუსეთის მელვინეობის ოფიციალურმა მემატიანემ მ. ბალასმა, უკეთესი იყო უცხოურზე, მ. ვორონცოვის და სხვა რუს მოხელეთა ინიციატივას, უცხოურის წინაშე მონურ ქედმოხრილობას საქართველოს მეღვინეობისათვის იმ დროს მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოჰყვა. სწორედ უცხოურ ჯიშებს შემოჰყვა ვაზის აავადმყოფობა იოდიუმი, ცოტა მოგვიანებით მილდიუ და ფილოქსერაც.

გურია-სამეგრელოში, ხელ'შემწყობი პირობების წყალობით (სინესტე და სითბო ერთდროულად) იოდიუმი ძალიან სწრაფად გაერცელდა, რამაც შეიწირა ძველი მაღალხარისხიანი ჯიშები. ოჯალეშისა და ჩხავერის ადგილი დაიკავა გაცილებით მდარე იზაბელამ. გურია-სამეგრელოს ღვინოების წინანდელი მაღალი რეპუტაცია დაეცა. მელვინეობის მნიშვნელობამ ამ რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკაში თითქმის უკანასკნელ ადგილზე გადაინაცვლა[13].

სოკოვანმა დაავადებებმა იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მეღვინეობასაც მიაყენა ზარალი, მაგრამ ამ სენის გავრცელების დროს იქ უკვე სჭირდებოდა დაბლარი (რომლის მეურნალობა გაცილებით ადვილი იყო) და მოსახლეობამ მოახერხა ძველი ქართული ჯიშებისა და მეღვინეობის გადარჩენა. XIX ს. 70-იან წლებში იმერეთის მოსახლეობას ჰქონდა 12320 დეს. დაბლარი და 7250 დეს. მაღლარი ვენახი. ლეჩხუმში აღირიცხა 1000 დეს. დაბლარი და 800 დეს. მაღლარი, რეჭაში – 1274 დეს. დაბლარი. გურია-სამეგრელოში – 15500 დეს. დაკნინებული მაღლარი. იმერეთში წლიურად აყენებდნენ საშულოდ 1.907000 ვედრო ღვინოს, ლეჩხუმში – 450000, რაჭაში – 317800, გურია-სამეგრელოში – 25000 ვედროს[14].

საქართველოს მეღვინეობა-მეღვინეობის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონი კახეთი იყო. XIX ს. 30-იან წლებში იქ დაყენებული ღვინის ნახევარი ბაზარზე გადიოდა, ძირითადად თბილისში. ქართლ'ში ამ დარგს შედარებით ნაკლები მნი'შვნელობა ჰქონდა, მაგრამ აქაც გამოიყო მეღვინეობა-მეღვინეობაში სპეციალიზებული სოფლები. XIX ს. 70-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში ვენახებს ეკავა 18300 დესეტინა. წლიურად აყენებდნენ საშუალოდ 2,5 მლნ ვედრო ღვინოს[15]. 1898 წელს აღმოსავლეთ საქართველოს 42072 მიწათმფლობელის საკუთრებაში იყო 20505 დეს. ვენახი. დასავლეთ საქართველოს 78275 მიწათმფლობელის საკუთრებაში კი 25294 დესეტინა ვენახი. აღმოსავლეთ საქართველოში მოიწიეს 3, 8 მლნ. ფუთი ყურძენი და დაყენეს 3, 9 ათასი ვედრო ღვინო. დასავლეთ საქართველოში შესაბამისად 2, 5 მლნ. ფ. ყურძენი და 2, 3 მლნ. ვედრო ღვინო. მთელს საქართველოში გამოხადეს 6 მლნ. გრადუსი სპირტი[16].

ქართული ღვინის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთ'ში გადიოდა. ეს თითქმის სანახევროდ ათავისუფლებდა მეტროპოლიას ძვირადღირებული ფრანგულ-იტალიური ღვინოების შემოტანისაგან, ვალუტის საგრძნობი ნაწილის უცხოეთ'ში გადინებისაგან. რუსეთის მთავრობა, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო იმით, რომ საქართველოში ვენახების ფართობი გაზრდილიყო. ღვინის ხარისხი გაუმჯობესებულიყო. ამიტომ როცა ფილოქსერა ამერიკაკავკასიაშიც გამოჩნდა, ვაზის ამ ახალი, ყველაზე უფრო საშიშ, მტერთან ბრძოლის მიზნით რუსულმა ხელისუფლებამ შექმნა ე. წ. საფილოქსერო კომიტეტი. მისმა ორგანიზატორებმა არაერთი სხდომა გამართეს ფილოქსერასთან ბრძოლის მეთოდების შესამუშავებლად. სტაროსელსკიმ და ანდრონიკაშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ მეღვინეობისათვის საჭირო იყო ვაზის გადაყვანა ამერიკულ საძირეზე. 1891 წელს სოფ. საქარაში კიდეც გაიმართა ამერიკული მწარე ვაზის სანერგე. 1894 წელს სანერგემ დაიწყო ამერიკული ვაზის ლერწმების გავრცელება.

სანერგე ყიდდა აგრეთვე უკვე დამენობილ და დაფესვიანებულ ვაზის ნერგებსაც. მალე ასეთივე საქმიანობა გააჩაღეს ქორეისუბნის, აღაიანის და კონდოლის სანერგეებმაც. საკუთარი სანერგეები მოაწყვეს ანანოვმა, მიურატმა, ნაკაშიძემ და ზოგიერთმა გლეხმაც კი. მალე სანერგეთა ფართობებმა 240 დესეტინას მიაღწია.

ქართველი ხალხი, თავადი, აზნაური და გლეხი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა ჩვენი ქვეყნის ძველთაძველი კულტურის – ვაზის გადასარჩენად. მეევნახეებმა ადვილად შეითვისეს ვაზის ამერიკულ საძირეზე დამყარების ხელოვნება და ევნახის მოვლის ახალი, რაციონალური მეთოდები. 1902 წელს იმერეთში უკვე აღირიცხა 1000 დესეტინა ახალი ევნახი. 1908 წლის ნამყენი ევნახების ფართობი უდრიდა: ქუთაისის მაზრაში – 4389 დეს., შორაპნის მაზრაში – 6100 დეს., სამეგრელოში – 276 დეს., გურიაში – 150 დეს., რაჭაში – 50 დეს., ლეჩხუმში – 35 დესეტინას[17]. ქართლ-კახეთში ფილოქსერა უფრო გვიან შეიჭრა, იქ ევნახების მასიური განახლება პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის შემდეგ მოხდა.

1909-1913 წწ. სტატისტიკური მასალის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში ევნახების ფართობი უდრიდა 21200 დეს., ყურძნის მოსავალი – 4 მლნ ფუთს (დესეტინაზე 187 ფ.), დააყენეს 3,2 მლნ. ვედრო ღვინო. აღნიშნულ წლებში საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის საშუალო წლიური სასაქონლო პროდუქცია, რომელიც საეკლესიო ოპერაციების აღრიცხვაში ხვდებოდა, უდრიდა 2,7 მლნ. ვედროს. აქედან 1,2 მლნ. ვედრო გადიოდა რუსეთში, ხოლო 1,5 მლნ. ვედრო ამიერკავკასიაში საღდებოდა. არამწარმოებელ სოფლებში გაყიდული ღვინო სტატისტიკაში არ ხვდებოდა[18]. საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის მთელი პროდუქციიდან ბაზარზე გადიოდა დაახლოებით 55-60%

მეღვინეობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინოების დაძველებას, მის დიდ მანძილზე ტრანსპორტირების საკითხს. ამისათვის კი ქვევრები და ტყავის რუმბები ნაკლებად გამოსადეგი აღმოჩნდა. იმდროინდელი სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სამრეწველო-საეკლესიო ხასიათის რაციონალური მეღვინეობა უნდა დაფუძნებულიყო ქართულ ტრადიციულ და ახალი ევროპული წესების ურთიერთთან შერწყმაზე. ეს უზრუნველყოფდა ღვინის მყარი ტიპების გამომუშავებას, შორეულ ბაზრებზე ღვინის შეუფერხებლად გატანას და რეალიზაციას.

ვიდრე მეღვინეობა ამ დონეს არ მიაღწევდა, ხშირი მოვლენა იყო ღვინის მაღალი მოსავლისა და მწარმოებელთა შემოსავლის შემცირება.. სააქციზო სამმართველოს მოხელეთა გადმოცემით, 1908 წელს კახეთში ყურძნის მოსავალი სარეკორდო იყო. კახელებს ყურძნის გადამუშავების, დამატებითი ჭურჭლის გამონახვის და სხვა საჭიროებისათვის დიდი თანხები დაეხარჯათ, რაც არ იქნაო ანაზღაურებული ღვინის მეტად დაბალი ფასების გამო. მევენახე-მეღვინეები უფრო კმაყოფილი დარჩნენ 1909 წლის მცირე მოსავლით, რადგან ამის წყალობით ღვინის ფასს მაღლა აუწევია და მწარმოებლებს წინა, უხვმოსავლიან წელთან შედარებით, მეტი შემოსავალი მიუღიათ[19]. სწორედ ასეთი არანორმალური მდგომარეობის აღმოფხვრის წინაპირობად მიაჩნდათ ღვინის დაძველების ევროპული წესებისა დანერგვა. მიღება ღვინის მყარი ტიპებისა, რომელნიც წლების განმავლობაში არ გაფუჭდებოდა და მწარმოებელს შესაძლებლობას მისცემდა მომხმარებლისათვის ეკარნახა ღვინოზე შედარებით მაღალი ფასები. მეღვინეობის ამგვარი გარდაქმნა იმ დროს ხელეწიფებოდათ თითქმის მხოლოდ მსხვილ მწარმოებლებს. გლეხები ამას შესძლებდნენ იმ შემთხვევაში, თუ ჩამოაყალიბებდნენ კოოპერატივებს, რომლებიც წევრთა მიერ ჩაბარებული ყურძნისაგან მაღალხარისხოვან ღვინოს დააყენებდნენ და თვით გაასაღებდნენ ახლო და შორეულ ბაზრებზე. სწორედ ასეთი კოოპერატივების, აგრეთვე აქციონერული საზოგადოების შექმნის პროპაგანდას დაუღალავად ეწეოდა ფოთის ქალაქის თავი ნ. ნიკოლაძე.

იმ დროს წვრილ მევენახე-მეღვინეთა კოოპერატივებსა და აქციონერულ საზოგადოებათა შექმნის თითქმის ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. მხოლოდ

მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები აყენებდნენ ღვინოს ევროპული წესით, რუსეთში გაჰქონდათ პროდუქცია და საკმაო მოგებასაც ღებულობდნენ.

მევენახეობა-მეღვინეობის ბაზაზე საქართველოში აღმოცენდა სპირტის გამოხდის ხელოვნება, თანდათან დაწინაურდა ჯერ არაყის, ხოლო მოგვიანებით კონიაკის წარმოება. კარგა ხანს წამყვანი იყო არყის შინამრეწველური დამზადება. რუსეთის მთავრობის მიერ სააქციზო გამოსაღების დაწესებამდე არაყის გამოხდას თითქმის ყველა მევენახე-მეღვინე დამოუკიდებლად ეწეოდა. 1873 წლიდან, მას შემდეგ რაც მთავრობამ ერთ გრადუს სპირტზე 5 კაპიკიანი გამოსაღები დააწესა, წერილი მწარმოებლებისათვის ეს დარგი ზარალიანი გახდა. ზოგი გლეხი, თავი რომ აერიდებინა სააქციზო გამოსაღებისათვის, ფარულად ხდიდა არაყს. უმრავლესობამ კი ხელი აიღო შინამრეწველობის ამ დარგზე. შინამრეწველური სარეწების ადგილს წერილი კაპიტალისტური საწარმოები იკავებდნენ.[20]

სპირტის შინამრეწველურ (კუსტარულ) საწარმოებზე ნათელ წარმოდგენას მოგვცემს მომდევნო ცხრილი[21]:

წლები	სპირტიანი დანადგარების რიცხვი	საწარმოებში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა	გამოშვებული პროდუქცია - ვედრო
		თბილისის გუბერნია	
1894	334	2638	134935
1895	712	2590	89948
1896	562	1929	124064
1897	420	1486	122260
1898	475	1564	100203
		ქუთაისის გუბერნია	
1894	717	2320	55899
1895	637	2070	53875
1896	399	1395	25334
1897	437	1480	55056
1898	376	1315	57778

XX ს. პირველ ათწლეულში სპირტის კუსტარული წარმოება განვითარების უფრო მაღალ დონეზე ავიდა. მთელ საქართველოში გამოხადეს სპირტი: 1907 წ. – 7,979683 გრადუსი. 1808 წ. – 10,708852 გრადუსი, 1909 წ. – 12,314237 გრადუსი.[22].

XIX-XX სს. მიჯნაზე რუსულ გუბერნიებში მარცელეულისაგან არაყის დამზადების ფართო მასშტაბი ჰქონდა მიღებული. მთავრობა მას ყოველნაირად ეხმარებოდა. რუსეთის პროტექციონისტული პოლიტიკა იყო იმის მიზეზი, რომ საქართველოში პურისა და ქერისაგან არყის გამოხდა ვერ განვითარდა. რუსეთის მთავრობა თავის ამ კოლონიაში ფართო გასაქანს აძლევდა მხოლოდ ღვინისა და ჭაჭისაგან სპირტის დამზადებას. საქართველოსა და ამიერკავკასიაში დამზადებული და გაწმენდილი (რექტიფიცირებული) სპირტი დიდი რაოდენობით გადიოდა რუსეთის დიდ ქალაქებში. 1903 წელს თბილისის სარექტიფიკაციო ქარხნებიდან რუსეთში გაიტანეს 4,5 მლნ გრადუსი სპირტი. მისი 79 % ექსპორტირებული იყო დავით სარაჯიშვილის მიერ.

მეცხოველეობა. საქართველოს მთიან ზონაში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს, მოსახლეობის კეთილდღეობის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა. შუა ზონასა და ბარის რეგიონებში კი მას ჰქონდა დამხმარე მნიშვნელობა.

ქართლ-კახეთში მეცხოველეობის განვითარება-გაფართოების მთავარი საფუძველი იყო ალპური საძოვრები და მოურწყავი ველები, რაც საზამთრო საძოვ-

რებს წარმოადგენდა. ბევრი პირუტყვი ჰყავდათ იმ სოფლებში, რომელთა მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა ესარგებლა როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო საძოვრებით. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ მის მთიანეთში საზაფხულო საძოვრები ბევრი იყო, საზამთრო საძოვრები კი მეტის მეტად მცირე. შედარებით მეტი პირუტყვი ჰყავდა სვანეთის, მთა-რაჭის, აფხაზეთისა და აჭარის მცხოვრებთ.

1872 წელს „სასოფლო გაზეთის" ერთ-ერთი კორესპოდენტი აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიაში ყოველ ას მცხოვრებზე მოდის 45 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, რუსეთში – 40 ს., ინგლისში – 28 ს., საფრანგეთში – 29 ს., პრუსიაში – 33 სული. მაგრამ ამიერკავკასიაში შინაური პირუტყვის პროდუქტიულობა სრულიად უნიშვნელოაო. მისი განცხადებით, ინგლისში ერთი ძროხის წლიური შემოსავალი უდრიდა 77 მანეთს, საფრანგეთში – 60 მან., პრუსიაში – 45 მან., რუსეთში 8 მან., ამიერკავკასიაში კი მხოლოდ 3,5 მანეთს. შინაური პირუტყვის, კერძოდ ძროხების პროდუქტიულობის ასამაღლებლად, კორესპოდენციის ავტორის (და ზოგ სხვათა) აზრით, საჭირო იყო მეცხოველეთა შორის ცოდნის გავრცელება. ევროპელთა გამოცდილების გადმონერგვა საქართველოსა და ამიერკავკასიაში[23].

გაზეთის კორესპოდენტი, რა თქმა უნდა, აჭარბებს. მეცხოველეობის დონე საქართველოში სულაც არ იყო ასე დაბალი. მაგრამ ფაქტია, რომ იმ დროს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა სანახევროდაც კი ვერ იყენებდა ამ დარგის განვითარების შესაძლებლობებს.

იმდროინდელ დამკვირვებელთა გადმოცემით, მეცხოველეობის ჩამორჩენილობის მიზეზი ის იყო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა შინაური პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. თივა და ჩალა-ბზე, რის მოგროვებასაც ახერხებდნენ მცხოვრებნი, საკმარისი არ იყო პირუტყვის გამოსაკვებად ზამთრის თვეებში.

მოსახლეობის მცირე ნაწილი, მართალია, ზრუნავდა ბუნებრივი სათიბების გაუმჯობესებაზე და ბალახთესვასაც მიმართავდა, მაგრამ საერთოდ სოფლის მეურნეობის ინტენსიურ კულტურათა ფართობის ზრდა ძირითადად სათიბ-საძოვრების ხარჯზე მიმდინარეობდა. 1909 წელს მთელ საქართველოში სათიბების ფართობი არ აღემატებოდა 98 ათას ჰექტარს, საიდანაც მიიღეს 12 მლნ. ფუთი თივა. 1917 წლისათვის სათიბების ფართობი შემცირდა 73 ათას ჰექტრამდე[24]. იგივე სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 1909 წელს მოსახლეობამ დააგროვა 59 მლნ. ფუთი ჩალა და ბზე. ზოგი საფურაჟედ იყენებდა მარცვლეულის (ქერი, სიმინდი და სხვა) მცირე ნაწილსაც. მაგრამ, საერთოდ, შინაური პირუტყვი არასაკმარისად მარაგდებოდა საზამთრო საკვებით.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ფართო მასშტაბით ეწეოდნენ მეცხვარეობას. ზაფხულობით მათი ფარები კავკასიონის მთათა ფერდობებზე იყო გაშლილი. ზამთრობით კი თუშები და ფშაველები ცხვრის ფარებს შირაქის ველზე აძოვებდნენ, მთიულ-მოხევეები კი ყიზლარის (ჩრდ. კავკასია) საძოვრებზე მიერეკებოდნენ. საზაფხულო და საზამთრო საძოვრები ურთიერთისაგან დიდი მანძილით იყო დაშორებული. მეცხოველეებს თავიანთი ჯოგ-ფარების გადარეკვა 100-150, 200-300 კილომეტრზე უხდებოდათ, რაც დიდ დროს მოითხოვდა და მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. მკაცრი, თოვლ-ყინვიანი ზამთარი მეცხვარეთათვის ნამდვილი უბედურება იყო. მაგალითად, 1898 წელს შირაქის ველზე დიდი თოვლი დაიდო, მთელი კვირა ცხვარი ბალახს თვალით ვერ ხედავდა. შიმშილით გაწყდა შირაქში მყოფი ფარების მესამედი. თბილისის გუბერნატორი თავის ანგარიშში წერდა, რომ ბევრი მეცხვარე სახლში დაბრუნდაო მარტო კომბლითა და დაღუპული ცხვრის ტყავებით.

ასეთი სიძნელეების მიუხედავად, მომთაბარული მეცხოველეობა საერთოდ და კერძოდ მეცხვარეობა, როგორც სწორად აღნიშნავდა ი. ანდრონიკაშვილი, ამ დარგის სასარგებლო, მომგებიან ფორმას წარმოადგენდა. კავკასიის მოურწყავი

ველების გამოყენება მხოლოდ საშამთრო საძოვრებად შეიძლებოდა და სახელმწიფო-საიჯარო ქირაც არ იყო დიდი. აღმოსავლეთ ქართველები ცხვარს „დალოცვილს“ უწოდებდნენ. მეცხვარეობას შემოსავლიან დარგად თელიდნენ და ძველი დროიდანვე ეწეოდნენ მეცხვარეობას. მაგრამ XIX საუკუნეში საეკონომო-საქონლო მნიშვნელობის მეცხვარეობის წარმოება ყველას როდი შეეძლო. საჭირო ხარჯების ზრდა სულ უფრო ამცირებდა წერილ მეცხვარეთა რიცხვს და ამ დარგს შემოსავლიანად ხდიდა მხოლოდ დიდი ფარების მფლობელთათვის.

1887 წელს აღმოსავლეთ საქართველოში აღირიცხა 1,4 მლნ ცხვარი. ერთ კომლზე საშუალოდ ყველაზე მეტი ცხვარი ჰყავდათ თიანეთის, დუშეთის და სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებს. ამ დარგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე თელავის (აქ შედიოდა თუშეთი), ბორჩალოსა და ახალციხის მოსახლეობისათვის. დასავლეთ საქართველოში მეცხვარეობა, როგორც გამოყოფილი დარგი, არც არსებობდა. 1887 წელს რეგიონის ყველა მაზრაში აღირიცხა 200 ათასი ცხვარი[25].

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, კერძოდ ხარი გამწვე ძალად გამოიყენებოდა მიწათმოქმედებაში, ამიტომ აშენებდნენ და სიბერემდე ინახავდნენ. ამ საქმეში ფართოდ იყენებდნენ ცხენსაც. სასურსათო მნიშვნელობა ჰქონდა ძროხას, თხას და ღორს. 1887 წელს დასავლეთ საქართველოში აღირიცხა: ხარი – 149414, კამეჩი – 27101, ცხენი – 58188, ძროხა – 135233, ცხვარი – 206000, თხა – 123 ათასი, ღორი – 199481, სულ ყველა სახის პირუტყვი – 908492 თავი[26].

მომდევნო ხანს მეცხოველეობას საერთოდ წინსვლა თითქმის არ ემჩნეოდა. 1899 წელს ქუთაისის გუბერნიაში აღირიცხა: ხარი და ძროხა – 286000, კამეჩი – 23350, ცხენი – 65330, ცხვარი – 147000, თხა – 65000, ღორი – 219000 თავი. იმავე წელს თბილისის გუბერნიაში აღმოჩნდა: ხარი და ძროხა – 357614, კამეჩი – 81000, ცხენი – 52807, ცხვარი – 1278000, თხა – 132000, ღორი – 47000 თავი[27].

1909-1913 წლებში მთელ საქართველოში ყოველწლიურად აღირიცხებოდა საშუალოდ: ცხენი – 134800, ხარი, ძროხა და ამ სახის ნამატი – 1268800, კამეჩი – 178400, ღორი და გოჭი – 700000, ცხვარი – 2145000, თხა – 233400 თავი. 1913 წელს ყველა სახის შინაური პირუტყვი აღირიცხა 3,6 მლნ თავი 1916 წლისათვის ომით გამოწვეული სიძნელეთა გამო, შემცირდა 2590000-მდე[28].

მეცხოველეობა პირუტყვის საერთო მოცულობითა და ღირებულებით მიწათმოქმედებას ჩამორჩებოდა, მაგრამ ამ დარგის საქონლიანობა გაცილებით მაღალი იყო. სტატისტიკაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ძირითადად სამიწათმოქმედო რეგიონებში, სადაც მეცხოველეობას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა, შინაური პირუტყვის რაოდენობა მცირდებოდა, მეცხოველეობის სპეციალიზებულ რაიონებში კი პირიქით – მარცვლეულს თითქმის არ თესავდნენ, მნიშვნელოვანწილად ნაკიდ პურეულის მოხმარებაზე იყენენ გადასული. მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქციის მთავარი მომხმარებელი მაინც ჩვენი ქალაქები და მრეწველობა იყო. შეეიცარული ყველი, რომელსაც საკმაოდ დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში, რუსეთში გადიოდა, ცხერის მატყლი კი უცხოეთში იგზავნებოდა.

XIX ს-ის 90-იან წლებში მარტო ბორჩალოს მაზრიდან სხვადასხვა ბაზრებში იგზავნებოდა ყოველწლიურად 15 ათასი თავი მსხვილფეხა რქიანი საქონელი. 30 ათასი ცხვარი. 15 ათასი ღორი, 90 ათასი ფუთი მატყლი, 100 ათასი ცალი დაუმუშავებელი ტყავი, 10 ათასი ფუთი ყველი[29]. 1894 წელს თიანეთის მაზრის მოსახლეობას გაუყიდია 200 ათასი მანეთის მატყლი და 45 ათასი მანეთის ყველარაქი[30]. დიდი რაოდენობით იძლეოდნენ სასაქონლო პროდუქციას სიღნაღის, დუშეთის, ახალქალაქის და სხვა მაზრები.

სასაქონლო მატყლის მნიშვნელოვანი ნაწილი რკინიგზაზე ხედებოდა. თბილისის სადგურიდან გაიგზავნა მატყლი: 1898 წ. – 63159 ფუთი, 1902 წ. – 135134 ფ., 1906 წ. 205570 ფუთი. 1899-1908 წლებში თბილისის სადგურიდან გამსაღებელი

ბაზრებისაკენ გაიგზავნა 1,3 მლნ ფუთი მატყლი, რომელიც ძირითადად დამზადებული იყო ბორჩალოს, თიანეთისა და სიღნაღის მაზრებში[31].

დასავლეთ საქართველოში შედარებით ნაკლები იყო მეცხვარეობის სასაქონლო პროდუქცია. 1910 წელს ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობას გასაყიდად გაუყვანია შინაური პირუტყვი: იარმარკებზე – 5573 თავი, მუდმივ ბაზარზე – 91083 თავი, სასაკლაოზე – 51017 თავი. ქუთაისის ფარგლებს გარეთ გაუყიდიათ 9 ათასი თავი პირუტყვი[32].

მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქციის რაოდენობაზე სრული და ზუსტი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ რაც გვაქვს ცხადყოფს ამ დარგის მაღალსაქონლიანობას. XIX ს. მიწურულს მარტო ქ. თბილისში საღდებოდა ყოველწლიურად 300-350 ათასი თავი მსხვილრქოსანი საქონელი. ბაზარზე გადიოდა მატყლის 85%, ტყავის უდიდესი ნაწილი. XX ს. დამდეგს ყოველწლიურად 1 მლნ. მანეთის მარტო შვეიცარული ყველი იყიდებოდა. ჩვენი ეარაუდით, მეცხოველეობის მთელი წლიური პროდუქციიდან (18,3 მლნ მანეთი) ბაზარზე გადიოდა 10 მლნ მანეთის საქონელი.

მეფრინველეობას ფეოდალიზმის ხანაში მისდევდნენ ძირითადად შინაური მოხმარებისათვის. XIX საუკუნეში ამ დარგმა თანდათან მიიღო სასაქონლო-საეჭრო ხასიათი. 90-იან წლებში გურია-სამეგრელოსა და ქვემო იმერეთში ყოველ კომლზე საშუალოდ ყავდათ 350-400 ფრთა ქათამი, ინდაური, ბატი და იხვი. ფრინველი და კვერცხი დიდი რაოდენობით ჩამოჰქონდათ რკინიგზის სადგურებში. მარტო თბილისში იგზავნებოდა ყოველწლიურად 525 ათასი ქათამი, 630 ათასი ეარია, 90 ათასი ინდაური. XX ს-ის დამდეგს დასავლეთ საქართველოდან ყოველწლიურად გასაყიდად გადიოდა 2,5 მლნ. მანეთის მეფრინველეობის პროდუქტები. 1,2 მლნ მანეთის კვერცხი ყოველწლიურად იგზავნებოდა ლონდონში, პარიზში, ბერლინსა და ჰამბურგში. 1913 წელს დასავლეთ საქართველოდან რკინიგზით გაიგზავნა 157 ათასი ფუთი კვერცხი[33].

მეაბრეშუმეობა საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ძველი დარგია და იგი იმთავითვე გამოირჩეოდა შედარებით მეტი საეაჭრო-სასაქონლო მნიშვნელობით. XVII-XVIII საუკუნეებში ქართველი ეაჭრები აბრეშუმს საცვლელ ღირებულებადაც კი იყენებდნენ, სპარსელ და რუს ეაჭრების საქონელში ფულის ნაცვლად აბრეშუმის გარკვეულ რაოდენობას აძლევდნენ. ქართველი მეფე-მთავრები დამპყრობლებს, არც თუ ი'შვიათად, ხარკს აბრეშუმის სახით უხდიდნენ. XIX საუკუნის 40-იან წლებში ყოველწლიურად ამზადებდნენ 1000-1500 ფუთ აბრეშუმის ძაფს. მომდევნო ათწლეულ'ში წარმოება 3-4 ათას ფუთამდე გაიზარდა. ერთი ფუთი აბრეშუმის ძაფი ხარისხის შესაბამისად 55-110 მანეთად იყიდებოდა. ძაფის დიდი ნაწილი რუსეთსა და უცხოეთში იგზავნებოდა. მცირე ნაწილს თვით შინამრეწველები იყენებდნენ ქსოვილების დასამზადებლად.

XIX ს. 70-იანი წლებიდან აბრეშუმის ძაფის შინამრეწველური წარმოება, ფაბრიკული ნაწარმის კონკურენციის გამო, დაეცა. ამის შემდეგ მეაბრეშუმეებს ძაფის ნაცვლად აბრეშუმის ნედლი, ან გამომშრალი პარკი გაჰქონდათ ბაზარზე. 80-იან წლებში აბრე'შუმის პარკის დამზადებას დასავლეთ საქართველოში 13-15 ათასი კომლი ეწეოდა. ნაკლები იყო მეაბრე'შუმე ოჯახთა რიცხვი აღ. საქართველოში. 1896 წელს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ ბაზარზე გაიტანა – 26 ათასი ფუთი 1897 წ. – 40 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი, თბილისის გუბერნიის მეაბრეშუმეებმა კი დაამზადეს 16-20 ათასი ფუთი სასაქონლო პროდუქცია. XX ს. პირველ ოცეულში დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეები ყოველწლიურად ამზადებდნენ 100-150 ათას ფუთ აბრეშუმის პარკს, რაც იძლეოდა 1,5-2 მლნ. მანეთის შემოსავალს. ამ დროისათვის მეაბრეშუმეობა დაწინაურდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. 1910 წელს თბილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოკრუგებში დაამზადეს 160 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი.

ნედლ პარკს გაშრობა-გამოხმობა სჭირდებოდა. ამას მინამრეწველთა უდიდესი ნაწილი ვერ ახერხებდა, ბაზარზე ნედლი პარკი გაჰქონდა. ზოგს მოწყობილი ჰქონდა პარკის გამოსაშრობი პრიმიტიული ფარდული. ბოლო დროს ინერგებოდა პარკის გაშრობა-გამოხმობის უფრო სრულყოფილი მეთოდები. 1908-1910 წლებში აბრეშუმის პარკის რამდენიმე ვაჭარ-შემსყიდველმა სამტრედიაში გამართა იტალიიდან შემოტანილი პარკის გამოსაშრობი ორი სადგური. მესამე ასეთივე სადგური მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ გახსნა სოფ. კუხში. მეოთხე კი ქუთაისში მოქმედებდა[34]. 1910 წელს ამიერკავკასიაში დაამზადეს 360000 ფუთი აბრეშუმის ნედლი პარკი, გამოშრობა-გახმობის პროცესში მისი წონა 120 ათას ფუთამდე შემცირდა. ერთი ფუთი გამომშრალი პარკი ბათუმში 48-52 მან. იყიდებოდა. ბათუმიდან მარსელში გაეიდა 26500 ფ. ხმელი პარკი, 93 ათასი ფუთი პარკი, მათ შორის 19 ათასი ფუთი ქუთაისის გუბერნიის, შეისყიდეს ნუხელმა მეაბრეშუმეებმა[35].

მეტროპოლიის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკები დიდი რაოდენობით საჭიროებდნენ ნედლეულს. ამიტომ რუსული ხელისუფლება ხელს უწყობდა სამხრეთ კავკასიაში მინამრეწველური მეაბრეშუმეობის გაფართოება-გაუმჯობესებას. ჯერ კიდევ 1887 წ. დაარსდა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური. მასთან მოეწყო თუთის ხის სანერგე ქიმიური, ზოოლოგიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები. 1902 წელს სადგურთან გაიხსნა მეაბრეშუმეობა-მეფუტკრეობის ერთთვიანი კურსები, რომელიც იმავე წელს გაიარა 68 კაცმა. მათ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა აიმაღლეს სადგურის ლაბორატორიებსა და საფუტკრეებში.

მეფუტკრეობას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ჩვენ-ოვის საინტერესო ეპოქაში მისი მასშტაბი და ხარისხი გაიზარდა, მაგრამ მკვეთრი გარდატეხა არ მომხდარა. ქართულმა რუხმა ფუტკარმა საკოველთაო ყურადღება დაიმსახურა, იგი საუკეთესოდ აღიარეს მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ თაფლისა და სანთლის წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლები ნელა იზრდებოდა. 1913 წელს საქართველოში აღირიცხა მეფუტკრეობის 6376 მეურნეობა და 53105 ძირი სკა. 1909 წელს მეფუტკრეებმა მიიღეს 35000 ფუთი თაფლი და 3700 ფუთი სანთელი. ბაზარზე გაიტანეს 15355 ფ. თაფლი და 3374 ფ. სანთელი, რაშიც აიღეს 129839 მანეთი[36].

მეთამბაქოეობა. XIX ს-ის 60-იან წლებამდე მეთამბაქოეობა როგორც მიწათმოქმედების დარგი, არსებითად არც არსებობდა. ჩრდილოეთის იმპერიას თამბაქოს მზა ნაწარმი თურქეთიდან შემოჰქონდა. 1860 წელს ოსმალეთის მთავრობამ, შემოსავლის გაზრდის მიზნით, მიიღო კანონი თამბაქოთი ვაჭრობის სახელმწიფოებრივი მონოპოლიის შემოღების შესახებ, რამაც ძალიან დააზარალა ლაზი, სომეხი და ბერძენი პლანტატორები. სამსუნელმა და ტრაპიზონელმა მეთამბაქოებმა მაზრა მეზობელ ამიერკავკასიაზე გადაიტანეს გაჩნდა იმედი, რომ რუსეთის მთავრობა შესაძლებლობას მისცემდა მათ აქ ქვეყანაში გაეგრძელებინათ ტრადიციული საქმიანობა. რუსული ხელისუფლება დაინტერესებული იყო მეთამბაქოეობის განვითარებით და ამიტომ არ დაუბრკოლებია ამ დარგის მიმდევართა თავის კოლონიაში ჩამოსახლება.

1877 წელს რუსეთის მთავრობამ სამხრეთ კავკასიაზე გააერცელა იმპორტული თამბაქოს არსებული საიმპერიო ბაჟი, რაც ფუთზე 14 მანეთს შეადგენდა. ამის შემდეგ არსებითად შეწყდა თურქული ნაწარმის შემოტანა და კავკასიელი მეთამბაქოები კონკურენციის გარეშე აღმოჩნდნენ, რამაც განაპირობა ამ დარგის სწრაფად განვითარება. საწყის ეტაპზე თამბაქოს ნათესებს შედარებით მეტი ადგილი ეკავა კახეთში, იმერეთსა და გურია-სამეგრელოში. XIX ს. 90-იანი წლებიდან მეთამბაქოეობაში წამყვანი გახდა აფხაზეთი.

XIX ს-ის 80-90-იან წლებში მეთამბაქოეობის გავრცელების მასშტაბები რეგიონების მიხედვით ასეთი იყო: თბილისის გუბერნიაში თამბაქოს პლანტაციების ფართობი შეადგენდა 300-500 დესეტინას, მოსავალი 14-37 ათას ფუთს; ქუთაისის

გუბერნიაში შესაბამისად 130-540 დეს. და 4-17 ათას ფუთს; ბათუმის ოლქში – 50-600 დეს. და 5-30 ფუთს; სოხუმის ოლქში 400-2600 დეს. და 17-80 ათას ფუთს[37].

1914 წელს მთელ სამხრეთ კავკასიაში თამბაქოს პლანტაციებს ეკავა 16600 დესეტინა. აქედან აფხაზეთში – 13107 დეს. (79%), თბილისის გუბერნიაში – 1316 დეს. (8%), ქუთაისის გუბერნიაში – 446 დეს. (2,7%), ბათუმის ოლქში – 1014 დეს. (6%), აზერბაიჯანში – 693 დეს. (4%), სომხეთში – 169 დეს. (1%)[38].

1909-1913 წლებში საქართველოს მეთამბაქოები წლიურად საშუალოდ ამზადებდნენ 568641 ფუთ თამბაქოს ფოთოლს, 1914 წელს დაამზადეს 802414 ფუთი, საიდანაც აფხაზეთის პლანტატორთა წილად მოდიოდა 602270 ფუთი[39]. მეთამბაქოების საშუალო წლიური პროდუქციის ღირებულება იყო 7,8 მლნ. მანეთი.

მეთამბაქოეობა წმინდა სავაჭრო-სამრეწველო დარგს წარმოადგენდა. სასაქონლოდ ბაზარზე გასატანად იწარმოებოდა პროდუქციის 99%. მთავრობის მიერ დამტკიცებული სააქციზო წესდების ძალით ფოთლადი თამბაქოს გაყიდვა შეიძლებოდა მხოლოდ თამბაქოს საწყობებსა და ფაბრიკების მფლობელებზე. მთავრობის წმინდა ფისკალურ-კოლონიალური ინტერესებიდან გამომდინარე ამ კანონმა მეთამბაქოეთა მასა არსებითად დაუმორჩილა თამბაქოს ფაბრიკებსა და საწყობების მეპატრონე მსხვილ ვაჭრებს, ე. ი. სააქციზო მოსაკრებელთა გადამხდელებს. სააქციზო სამართველოს მოხელეები მეთამბაქოებს ჩასჩიჩინებდნენ, რომ მათი პლანტაციები გათავისუფლებულია მთავრობის მხრიდან დაბეგვრისაგან, თავისუფლად ყიდიან პროდუქციას ვაჭარ-მრეწველებზე. მაგრამ მსხვილი და წვრილი პლანტატორებისაც კარგად ესმოდათ, რომ თამბაქოს მზა ნაწარმზე დადებული აქციზის მოსაკრებელი სახელმწიფოს მიჰქონდა არა შემსყიდველი ვაჭრებისა და ფაბრიკანტების ჯიბიდან, არამედ საბოლოო ანგარიშით თამბაქოს ფოთლის დამამზადებლებისა და მომხმარებელი მოსახლეობისაგან.

საქართველოში დამზადებული თამბაქოს ფოთლის დაახლოებით 15-20% ადგილობრივ (თბილისის) ფაბრიკებში ღებულობდა მწეველთათვის სასურველ ფორმას. დანარჩენი კი რუსეთსა და საზღვარგარეთ იგზავნებოდა. ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ გაეიდა თამბაქო: 1902 წ. – 166360 ფუთი, 1903 წ. – 207804 ფ., 1904 წ. – 229852 ფ., 1906 წ. – 331364 ფ., 1909 წ. – 339130 ფ., 1911 წ. – 484138 ფ., 1913 წ. – 529491 ფუთი[40]. ექსპორტში ლომის წილი აფხაზეთზე მოდიოდა. მაგალითად, 1911 წელს, სოხუმის ოლქიდან საზღვარგარეთ და რუსეთში გაიტანეს 470572 ფ. თამბაქო, სხვა რეგიონებიდან მხოლოდ 15 ათასი ფუთი. აფხაზეთი გადაიქცა მეთამბაქოების სპეციალიზებულ რეგიონად.

მებამბეობა. ბამბის კულტურას საქართველოში საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, მაგრამ ბამბის პლანტაციების ფართობი მკეთრად გაიზარდა XIX ს-ის 60-იანი წლების დამდეგს, მას შემდეგ რაც სამოქალაქო ომმა შეაფერხა ბამბის იმპორტი აშშ-დან. რუსმა ფაბრიკანტებმა დიდი მოთხოვნილება წამოუყენეს იმპერიის სამხრეთის რეგიონებს. ბამბის ფასმა სწრაფად აიწია, რამაც სტიმული მისცა მწარმოებელ მოსახლეობას, მათ შორის ქართველებს. ამ დრომდე მებამბეობა იყო საოჯახო მრეწველობის საფუძველი, ამის შემდეგ მან მიიღო სასაქონლო-სავაჭრო ხასიათი.

მებამბეობის ძირითადი რეგიონი იყო იმერეთი. XIX ს-ის შუახანებში აქ წლიურად საშუალოდ იღებდნენ 3 ათას ფუთ ბამბას, 1863 წელს მოიწიეს 10 ათასი, ხოლო 1864 წელს – 50 ათასი ფუთი. ქართული ბამბა გაჰქონდათ რუსეთში და მცირე რაოდენობით საზღვარგარეთაც. აშშ-მ სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ევროპასა და რუსეთში კვლავ დიდი რაოდენობით შემოიტანეს შედარებით იაფი და მაღალხარისხოვანი ამერიკული ბამბა, რასაც კონკურენცია ვერ გაუწია საქართველოს პროდუქციამ. ბამბის პლანტაციების ფართობი სწრაფად შემცირდა. XIX ს-ის 80-იან წლებში ბამბის ნათესების საშუალო წლიური პროდუქცია შეადგენდა 9 ათას ფუთს, საიდანაც 6 ათასი ფუთი იგზავნებოდა რუსეთში. 1903 წელს საქართველოში მოიწიეს სულ 12 ათასი ფუთი ბამბა და დაამზადეს

30 ათასი ფუთი ბამბის თესლი. 10 ათასი ფ. ბამბა გაიტანეს მოსკოვსა და ლოძ'ში, 20 ათასი ფ. თესლი კი პამბურგში. სადაც მისგან ზეთს ხდიდნენ[41].

რუსეთის ბამბეულის საქსოვი ფაბრიკები ძალიან დიდი რაოდენობის ნედლეულს საჭიროებდნენ, რასაც XIX-XX სს. მიჯნაზე 15-20 პროცენტითაც კი ვერ აკმაყოფილებდა შიგა იმპერიული მებამბეობა. მთავრობა, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო შუა აზიისა და სამხრეთ კავკასია'ში ბამბის პლანტაციების მაქსიმუმამდე გაფართოებით. რუს ფაბრიკანტთა აგენტებიც ოქროს ზოდებს აღუთქვამდნენ ამიერკავკასიელ მებამბეებს. 1895 წელს ერთ ფუთ უცხოურ ბამბაზე საბაჟო გამოსაღები გაიზარდა 3 მანეთამდე, 1900 წელს 4 მანეთამდე. ამან განამტკიცა იმპერიის მებამბეთა პოზიციები შინა ბაზარზე და გამოიწვია მებამბეობის სწრაფი აღმავლობა შუა აზიასა და ამიერკავკასია'ში.

XIX ს-ის 80-იან წლებში სამხრეთ კავკასია რუსეთის ცენტრს ყოველწლიურად საშუალოდ აწოდებდა 150 ათას ფუთ ბამბას, 1911 წ. კი მიაწოდა 18 მლნ ფუთი გაწმენდილი ბამბა, რომლის ღირებულება 15-16 მლნ მანეთს შეადგენდა[42]. ამ მხარეში მებამბეობის მთავარი რეგიონები იყო აზერბაიჯანი და სომხეთი. XX ს-ის 10-იან წლებში მებამბეობა სწრაფად დაწინაურდა საქართველოშიც.

1909 წ. ბამბის პლანტაციების ფართობი უდრიდა 5644 დესეტინას, მოსავალი – 72780 ფუთს; 1913 წ. შესაბამისად – 5700 დეს., 102900 ფ.; 1914 წ. – 11900 დეს., 152100 ფუთს[43]. ამ პერიოდში დარგის განვითარებით აღმოსავლეთ საქართველომ გაუსწრო დასავლეთს. აღმოსავლეთში მებამბეობის მთავარი რაიონები იყო ყარაია, ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრები. დასავლეთში ძირითად რეგიონად კვლავ რჩებოდა იმერეთი.

მეტროპოლია გარკვეულ თანხას ხარჯავდა სამხრეთის კოლონიებში მებამბეობის განვითარებისათვის. 1895 წლიდან სხვადასხვა რეგიონებში შენდებოდა ბამბის საჩვენებელი პლანტაციები. მათ ხელი უნდა შეეწყოთ ბამბის კულტურის არეალის გაფართოებისა და დარგის გაუმჯობესებისათვის. საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთებზე მთავარი ყურადღება ექცეოდა მწკრივად თესვას და პლანტაციების კულტივაციისათვის ცხენგაბმული გუთნის გამოყენებას. მაგრამ დადებითმა შედეგმა XX ს-ის ათიან წლებამდე დაიგვიანა.

მებამბეობის განვითარებაში თავის წვლილი შეჰქონდა საუფლისწულო მეურნეობებს. ბორჩალოს მაზრის გიაურ არხის მამულებში საუფლისწულო უწყებამ თანდათან გააფართოვა ბამბის პლანტაციები. 1912 წელს გიაური არხის მეურნეობის საკუთარი პლანტაციების ფართობი შეადგენდა 70 დეს. ხოლო მამულის მეიჯარეთა პლანტაციებისა – 450 დესეტინას. მიღებული ბამბის ნედლეულის გაწმენდა, ბარდნებად შეკვრა და რუსეთის შიდა გუბერნიებში გაგზავნა მამულის სამმართველოს მონოპოლიას წარმოადგენდა[44].

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ ბამბაზე მაღალი ბაჟი იყო დადებული, აშშ-დან შემოტანილი პროდუქცია XX ს-ის ათიან წლებშიც წარმატებით უწევდა კონკურენციას შუა აზია-ამიერკავკასიის მებამბეობის რეგიონებს თვით რუსეთის ბაზრებზე. ამის ძირითად მიზეზად მიაჩნდათ ის, რომ აშშ-ის აგრო-ტექნიკა მაღალი დონის იყო, ხოლო საქონლის თვითღირებულება დაბალი, რუსეთის სამხრეთში კი პირიქით. რუსი ფაბრიკანტები და მოხელეები საკვლევრს გამოთქვამდნენ ამიერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობის მისამართით, აცხადებდნენ, რომ მებამბეობის აგრო-ტექნიკური დონე დაბალია, მებამბეთა დიდი უმრავლესობა ვერ ახერხებს დარგის რაციონალიზაციას, მინიმალური ხარჯებით ვერ იღებს მაქსიმალურ მოსავალს. მოხელეები არაფერს ამბობდნენ იმაზე, რომ რუსული ხელისუფლება მატერიალურ-ფინანსურად ეხმარებოდა მხოლოდ მუღანისა და ყარაიას ველის რუს კოლონისტებს და ამიტომ ახერხებდნენ ისინი პლანტატორული მეურნეობის გაუმჯობესებას, სრულყოფილი აგროწესებისა და ტექნიკის დანერგვას[45].

1912 წელს თბილისში ჩატარდა მებამბეთა წარმომადგენლობის ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება საცდელი სადგურების ქსელის გაფართოების

შესახებ. მათ ფუნქციად გამოცხადდა ნიადაგების ნაყოფიერების შენარჩუნება-გაზრდა, თესლბრუნვის სწორი სისტემის დანერგვა, ნათესების მაენებლებთან ბრძოლის წარმართვა, პოპულარული ბროშურების გამოცემა. ყრილობამ გამოაქ-ვეყნა მოწოდება მთაერობისადმი მეტი დახმარება გაეწია მებამბეთათვის, უზრუ-ველეყო მათთვის იაფი კრედიტის გახსნა და ამით გადაერჩინა წერილი პლან-ტატორები ვაჭარ-შემსყიდველთა კაბალაში მოქცევისაგან[46].

1913 წლისათვის ამიერკავკასიაში ბამბის პლანტაციებს ეკავა 125 ათასი დე-სეტინა. დამზადებული პირველადი პროდუქცია თითქმის მთლიანად რუსეთში გადიოდა. იაფი ნედლეულის წყალობით რუსი ფაბრიკანტები სწრაფად მდიდ-რდებოდნენ, მებამბეობაში სპეციალიზებული მოსახლეობა კი დიდ ზარალს გა-ნიცდიდა იმით, რომ პურეულის ნათესთა ფართობი, სოფლის საბალახოები გაქ-რა და ხალხს სურსათ-სანოვაგე შემოაკლდა. ეს მოვლენა ყველაზე ნათლად გა-მოიკვეთა ქ. თბილისის მიმდებარე სოფლების მაგალითზე.

ბამბის მოსაველის პირველადი დამუშავება (გაწმენდა, დაწნეხვა, ბარდანე-ბად შეკვრა) ადგილზე მებამბეობის რაიონში სწარმოებდა. ამ საქმის სათავეში უმეტესწილად იდგნენ შემსყიდველი ვაჭრები და მეფაბრიკეთა აგენტები. პირვე-ლი მსოფლიო ომის წინ საქართველოში მოქმედებდა 16 ქარხანა, რომლებშიც იდგა 30 ჯინი, 8 ლინტერნი, 5 მექანიკური, 2 ჰიდრავლიკური და ერთი ხელის წნეხი[47]. 1909-1913 წწ. საქართველოს მებამბეობის საშუალო წლიური პროდუქცი-ის ღირებულება 1 მლნ მანეთს აჭარბებდა. დამზადებული ბამბა თითქმის მთლი-ანად ბაზარზე გადიოდა.

მეხილეობა, მებოსტნეობა და სხვა დარგები. ფეოდალურ საქართველოში მეხილეობა ფართო მასშტაბით არ გამოირჩეოდა. პროდუქტის ძირითადად ოჯახ-შიეე მოიხმარებოდა, ბაზარზე მცირე რაოდენობით გადიოდა.

XIX ს-ის პირველ ნახევარში მისი საქონლიანობა თანდათან გაიზარდა. 70-იან წლებში მეხილეობამ ზოგიერთ რაიონში სასაქონლო-სავაჭრო ხასიათი მიი-ღო. 1873 წლის ანგარიშში თბილისის გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ მეხილეო-ბას შედარებით მეტ ყურადღებას აქცევსო გორისა და ახალციხის მაზრების მო-სახლეობა. ბაზრის შედარებით მცირე მოთხოვნილება აფერხებსო ამ დარგის განვითარება-გაფართოებას.

1888 წელს ახალციხის მაზრაში ხილის ბაღების ფართობი 300 დეს. უდრი-და. ამ დარგის განვითარებით გამოირჩეოდნენ სოფლები – უდე, არალი, ადიგე-ნი, ვარხანი, უნცა, ტოლში, აწყური და სხვ. ძირითადად გაშენებული ჰქონდათ ვაშლისა და მსხლის ხეხილი. 1894 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ხილის ბაღების ფართობი შეადგენდა 5202 დესეტინას, მოსავალი კი – 168000 ფუთს. მთელი და სასაქონლო პროდუქციის 80% მოდიოდა გორისა და ახალციხის მაზ-რებზე. ცალკე ხილის ბაღები მხოლოდ ამ რეგიონში ჰქონდათ. სხვაგან ხეხილი გაბნეული იყო ეზოებსა და ვენახებში[48].

XIX ს-ის დასასრულისათვის მეხილეობა საკმაოდ იყო განვითარებული და-საველეთ საქართველოშიც. მწკრივზე გაშენებული ხილის ბაღები ჰქონდათ მხო-ლოდ ქ. ქუთაისის მიმდებარე სოფლებში (ქვეიტორი, ბანოჯა, რიონი, ჭობა). სხვა-გან ხეხილი ედგათ ვენახების პირზე, ეზოებსა და ბოსტნებში. ხილის მნიშვნე-ლოვანი ნაწილი ადგილზევე საღდებოდა. ბევრი კი იგზავნებოდა რუსეთში. რკი-ნიგზით გატანილ იქნა ხილი: 1897 წ. – 204319 ფუთი, 1900 წ., – 224655 ფუთი. ამ ხანებში საფუძველი ჩაეყარა საავაჭრო მეციტრუსეობასაც. მანდარინისა და ფორ-თოხლის ბაღები უკვე ჰქონდათ გაშენებული აჭარასა ად აფხაზეთში[49].

XX ს. პირველ 14 წლის განმავლობაში მეხილეობა საკმაოდ სწრაფად ვი-თარდებოდა. ბაღების ფართობი თანდათან იზრდებოდა სახნავ-სათესი მიწების ხარჯზე. მწკრივზე გაშენებული და კარგად მოვლილი ბაღები ჰქონდათ გორის მაზრის სოფლებში – ტყვიავში (200 დეს.), კარალეთში (200 დეს.), ქიწნისში (50 დეს.), ძევრ'ში (100 დეს.), ხელთუბანში, ბერბუკში, თორტიზაში და სხვაგან. მეხი-

ლეობაში სპეციალიზებული სოფლები ბევრი იყო ახალციხის, ქუთაისის, თბილისისა და დუშეთის მაზრებშიც. ათაბეგოვ-ქობლინსკის მასალების მიხედვით, 1909-1913 წწ. ახალციხის მაზრიდან ყოველწლიურად საშუალოდ გადიოდა ხილი: ყარსში – 24000 ფ., ალექსანდრეპოლში – 28000, ფ. ქერჩში – 8000 ფ., ოდესაში – 86000 ფ., ეარშავაში – 40000 ფუთი. ამავე პერიოდში აფხაზეთიდან ყოველწლიურად გემებით იგზავნებოდა 173000 ფ. ხილი. აჭარიდან კი – 50000 ფუთი[50].

1913 წელს ხილის ბაღების ფართობი უდრიდა: გორის მაზრაში – 4421 დეს. ახალციხის – 810 დეს., დუშეთის – 1302 დეს. ახალქალაქის – 525 დეს., ბორჩალოს – 263 დეს., თელავის – 287 დეს., თბილისის მაზრაში – 1790 დესეტინას, მთლიანად აღმოსავლეთ საქართველო'ში ხილის ბაღების ფართობი შეადგენდა 10 ათას დესეტინას[51]. დასავლეთ საქართველოს შესახებ სრული ცნობები არ გაგვაჩნია.

1909-1913 წწ. საქართველოს ხილის ბაღების საშუალო წლიური პროდუქცია შეადგენდა 5 მლნ ფუთს, რომლის ღირებულება უდრიდა 3,5 მლნ მანეთს[52]. მთელი პროდუქციის დაახლოებით ნახევარი ბაზარზე გადიოდა.

სასაქონლო-სავაჭრო მებოსტნეობა თავდაპირველად დიდი ქალაქების გარეუბნებში განვითარდა. მოგვიანებით ქალაქებიდან შორსაც. 1894 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ბოსტნებს ეკავა 3390 დესეტინა, აიღეს თითქმის 1 მლნ ფუთი ბოსტნეული, საიდანაც გაიყიდა 336450 ფუთი. კიდევ უფრო მეტი იყო ბოსტნების ფართობი დასავლეთ საქართველოში. ეს მხარე ნაადრევი ბოსტნეულით ამარაგებდა თბილისს, ბაქოსა და შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებს[53]. 1909-1913 წწ. მთელ საქართველოში ბოსტნების ფართობი 6500 დეს. უდრიდა. ყოველწლიურად საშუალოდ ღებულობდნენ 3,6 მლნ ფუთ პროდუქციას, რომლის ღირებულება 1,6 მლნ მანეთს შეადგენდა[54] და ძირითადად ბაზარზე გასატანად იყო გათვალისწინებული.

XIX ს. დამდეგს კარტოფილს სრულიად უმნიშვნელო ადგილი ეკავა, ასი წლის შემდეგ კი კარტოფილის ნათესებმა 7 ათას დესეტინას მიაღწია. ყოველწლიურად ღებულობდნენ საშუალოდ 2,4 მლნ. ფუთ პროდუქციას[55]. მისი დიდი ნაწილი ქალაქებში იყიდებოდა.

ხილ-ბოსტნეულისა და კარტოფილის დიდი ნაწილი რკინიგზით იგზავნებოდა ბაზრებზე. 1902-1903 წლებში ქ. თბილისმა რკინიგზით მიიღო 1,7 მლნ ფუთი ხილ-ბოსტნეული. საერთოდ ამიერკავკასიის რკინიგზაზე ქართული ხილ-ბოსტნეულის ბრუნვა შეადგენდა 1907 წ. 2 მლნ. ფუთს. რკინიგზით რუსეთში იქნა გატანილი: 1907 წ. – 267262 ფუთი, 1908 წ. – 303999 ფუთი. ინჟინერი ვასილევი აცხადებდა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიას საერთოდ შეეძლო რუსეთისათვის მიეწოდებინა გაცილებით მეტი ხილ-ბოსტნეული, მაგრამ იმის გამო, რომ რკინიგზაზე არ იყო ვაგონ-მაცივრები, ეს შესაძლებლობა იკარგებოდა, გადიოდა ძალიან მცირე რაოდენობის ამგვარი საქონელი[56].

ჩაის კულტურის დანერგვის ცდები რუსეთის იმპერიაში დაიწყო ჯერ კიდევ XIX ს. 30-40-იან წლებში. მ. ვორონცოვის წინადადებით ჩინეთიდან გამოწერილი ჩაის ბუჩქები თავდაპირველად დაირგა ნიკიტის ბაღში (ყირიმი). 1846 წელს ნიკიტის ბაღიდან გამოგზავნილი ჩაის რამდენიმე ათეული ნერგი გაახარეს დაყით დადიანისა და მამია გურიელის ბაღებში. 50-იან წლებში მიხეილ ერისთავმა ჩაის პატარა პლანტაცია გააშენა გურიაში, რომელმაც 1864 წელს ჩაის მზა პროდუქციის პირველი ნიმუში წარადგინა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში[57].

XIX ს. 80-იან წლებში რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების სხდომებზე დასავლეთ საქართველოში ჩაის პლანტაციათა გაშენების კომპეტენტურ დამცველად გამოვიდა ცნობილი მეტეოროლოგი და გეოგრაფოსი ა. ი. ვოეიკოვი. ამ იდეას მხარი დაუჭირა ზეიდლიცმა. მან ჩინეთიდან გამოიწერა ჩაის ბუჩქები და დარგა ჩაქვში. ამ საქმით ფრიად დაინტერესებული სოლოვეცოვის მამულში. მალე აქ გაშენდა პლანტაცია, რომელიც 400 ათას ჩაის ბუჩქს ითვლიდა.

სოლოვეცოვის წარმატებამ მიიპყრო იმპორტული ჩაით მოვაჭრე პოპოვისა და რომანოვთა საგვარეულოს, საუფლისწულო უწყების ყურადღება. ჯერ პირ-

ელმა და ცოტა მოგვიანებით მეორემ სამეცნიერო ექსპედიციები გაგზავნეს ჩინეთში, იაპონიასა და ინდოეთში. გამოირკვა, რომ ჩინეთის მეჩაიეობის რეგიონებისა და ბათუმ-ჩაქვის მიდამოების ბუნებრივი პირობები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. 1893 წელს პოპოვმა ჩინეთიდან ჩამოიყვანა ჩაის კულტურის 12 სპეციალისტი, რომლებმაც ჩაქვსა და სალიბაურში გააშენეს პლანტაციები. 1896 წელს პოპოვმა ჩაის მზა პროდუქციის ნიმუშები წარადგინა ნიჟნინოვგოროდის საერთაშორისო გამოფენაზე[58]. წარმატებით საქმიანობდა ამ დარგში აგრეთვე საუფლისწულო უწყება. მალე ამოქმედდნენ წერილი პლანტატორებიც.

ჩაის პლანტაციების ფართობი თანდათან გაიზარდა; 1893 წელს მათ ეკავა 8 დესეტინა; 1896 წ. – 30 დეს., 1898 წ. – 102 დეს., 1900 წ. – 215 დეს., 1905 წ. – 400 დეს., 1910 წ. – 641 დეს., 1913 წ. – 812 დეს., 1916 წ. – 894 დესეტინა. 1896 წელს მოიკრიფა 157 გირვანქა მწვანე ფოთოლი, 1905 წ. – 626605 გირვანქა. 1915 წ. – 1,5 მლნ გირვანქა. მეჩაიეობის სპეციალურ რაიონად აჭარა ყალიბდებოდა. ასეთივე ტენდენცია ჩნდებოდა გურიაში[59].

ოცდაერთ წლის გამოცდილებამ ბიზნესმენები და სხვა დამკვირვებლები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მეჩაიეობაში კაპიტალის მოგება არც ისე დიდი იყო და აქ არ წავიდოდა. „ჩაის კულტურა – წერდა ამ დარგის ერთ-ერთი პიონერი კაპიტალისტი პოპოვი – უნდა გადაიქცეს კუსტარულ საქმედ. მიზანშეწონილია დაინერგოს იგი ადგილობრივ მოსახლეობასა და გარედან მოსულ წვრილ მიწათმფლობელთა შორის". იგი წინადადებას იძლეოდა ჩაისათვის ეარგისი სახაზინო მიწები 1-2 დესეტინიან ნაკვეთებად დაეყოთ და იჯარით გაეცათ პოტენციურ პლანტატორებზე. ყოველ რაიონში გაემართათ ფაბრიკები წვრილ პლანტატორთა მიერ ჩაბარებული ჩაის ფოლის გადასამუშავებლად. პოპოვი საჭიროდ თვლიდა აგრეთვე აგრონომ-ინსტრუქტორთა კადრების მომზადებას, მოსახლეობაში მეჩაიეობის მოწინავე აგრო-წესების დანერგვას. მისი აზრით, საქართველოში ჩაისათვის ეარგისი მიწა 1500 ათას დესეტინას აჭარბებდა და თუ სახელმწიფო ამ დარგს სათანადო ყურადღებას მიაქცევდა, ძალიან მალე ჩაის მზა პროდუქციის ნაწილს საზღვარგარეთაც კი გაიტანდა[60].

გამოთქმული ვარაუდები იმდენად განუხორციელებელი დარჩა. დარგს არ მიუღია მასობრივი ხასიათი. მეჩაიეობა თავიდანვე კაპიტალისტურ ყაიდაზე დაინერგა და მოეწყო. 1900 წელს საუფლისწულო უწყებისა და პოპოვის ჩაის პლანტაციების ფართობი 186 დესეტინას უდრიდა, წერილი პლანტაციებისა – 29 დესეტინას. 1914 წელს ჩაის პლანტაციების ფართობი უდრიდა პირველთა 742 დეს., მეორეთა – 158 დესეტინას. რაც შეეხება ჩაის მზა პროდუქციის წარმოებას, იგი მთლიანად საუფლისწულო უწყებისა და პოპოვის ფაბრიკებში იყო კონცენტრირებული. 1900 წელს მათ დაამზადეს 5846 გირვანქა, 1914 წელს კი – 334204 გირვანქა ჩაი[61].

დამოწმებული მასალა ცხადყოფს, რომ ჩაის კულტურის დანერგვა-განვითარებაში წამყვან როლს მეტროპოლიის კაპიტალი ასრულებდა.

* * *

უფრო ნათლად, რომ წარმოვიდგინოთ სხვადასხვა დარგების როლი და მნიშვნელობა საქართველოს სოფლის მეურნეობასა და საეროოდ ეკონომიკაში, მივმართოთ შემაჯამებელ ცხრილს. რომელიც ასახავს 1909-1913 წლების მდგომარეობას[62].

	მეურნეობის დარგები	ნათესებისა და ნარგაევების ფართობი, დესეტინა	მთელი პროდუქცია, ფუთი	პროდუქციის ღირებულება, მანეთი
1.	მარცვლეულის მეურნეობა (პური, ქერი, სიმინდი, ლობიო და სხვ.).	708000	48891200	26.435900
	ჩალა და ბ'ხე	-	59256100	3.600000
2.	მეცხოველეობა	1600000 (საძოერები)	21000000	18264800
	მეფრინველეობა	-	897600	4.309500
	მეაბრეშუმეობა	-	200000	3.000000
	მეფუტკრეობა	-	38800	264500
	საოიბები	100548	14896000	1.787500
3.	მეეენახეობა	45000	10260000	12.312000
4.	მებაღეობა	15000	4.93000	3.451000
5.	მებოსტნეობა	6800	3575000	1.609000
	კარტოფილი	5600	2.401500	736600
6.	მეთამბაქოეობა	9650	589600	7.822900
	სხეა ნაკლებ მნიშ-ენელოვანი დარგები და მათი პროდუქცია	-	-	1.283800
	ჯამი	-	-	84.806500

ცხრილში დაფიქსირებული ციფრები ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი (მეტროპოლია) ხელს კია რ უწყობდა მარცველეული კულტურების მეურნეობათა გაფართოება-გაუმჯობესებას, არამედ ცდილობდა მათი ნათესების შემცირების ხარჯზე გაეზარდა თავისთვის საჭირო დარგების ფართობი, საქართველოს მოსახლეობა უფრთხილდებოდა ამ სტრატეგიულ დარგს: ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ფართობისა და პროდუქციის მოცულობით მარცვლეულის მეურნეობა პირველ ადგილს ინარჩუნებდა. მის შემდეგ სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ ყოფაში მეტ-ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა თანმიმდევრობით მეცხოველეობას (ესეც სტრატეგიული დარგია), მეეენახეობას, რომლის საფუძველზე თანდათან ფართოედებოდა მეტროპოლიისათვის ფრიად საჭირო ღვინისა და არაყ-კონიაკის წარმოება. დიდი მნიშვნელობა მოიპოვა მეთამბაქოეობამ და მეაბრეშუმეობამ. რამდენადმე ამაღლდა მებამბეობა-მებოსტნეობის ხვედრითი წონა. მეტროპოლია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მეჩაიეობას, იმედი ჰქონდა, რომ ქართული ჩაი გაათავისუფლებდა მას უცხოურ ჩაიზე ვალუტის ხარჯვისაგან.

საქართველოს სოფლის ძირითადი მწარმოებელი ძალა უკვე სოციალურად დიფერენცირებული გლეხობა იყო. მას ეკუთვნოდა მარცველეულის ნათესების დაახლოებით 80%, ბაღ-ვენახების 70%. თამბაქოსა და ბამბის პლანტაციების 40%. გლეხური მეურნეობა იძლეოდა სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის 70 პროცენტს. მაგრამ იმის გამო, რომ რუსული ხელისუფლება თავისი პოლიტიკით ბატონყმობის ნაშთებს გამძლეობას მატებდა, ჩვენი გლეხობა მნიშვნელოვნად სანადელო და საიჯარო მიწებს ამუშავებდა და მიწის რენტას, აგრეთვე არქაულ ღალას იხდიდა, მისი წილი სოფლის მეურნეობის სუფთა შემოსავალში ძალიან მცირდებოდა. სახაზინო პალატის მასალების მიხედვით 1914 წელს საქართველოს გლეხობის სუფთა შემოსავალი უდრიდა 5,5 მლნ მანეთს, სხვა კერ-

ძო მესაკუთრეებისა კი – 6,3 მლნ მანეთს. ასე, რომ გლეხთა შრომით შექმნილი ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი ხაზინისა და კერძო მიწათმფლობელთა ხელში გადადიოდა.

სასაქონლო-საეკონომო მიწათმოქმედებისა და დარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავების კვალობაზე თანდათან ფართოვდებოდა საქონელმიმოქცევა, იზრდებოდა როგორც შინა, ისე საგარეო ბრუნვა. კოლონიური საქართველო იმ ქვეყნების რიგში შედიოდა, სადაც წერილი საქონლური წარმოება ჭარბობდა და ამიტომ არაეკვივალენტური, მნიშვნელოვანწილად მოტყუებაზე დამყარებული ვაჭრობა კაპიტალიზმის გამარჯვების შემდეგაც შემორჩა. თვით გუბერნატორებისა და მაზრის უფროსების ანგარიშებში, იმდროინდელ გამოკვლევებსა დასხვა სახის მასალებში თითქმის ერთხმადაა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით მდიდრდებოდნენ ვაჭარ-შემსყიდველები და ნაკლებ სარგებლიანობას პოულობდნენ წერილი მწარმოებლები, რომლებიც ბაზარზე უშუალო გასვლას ვერ ახერხებდნენ. მათი საქონელი თავდაპირველად ვაჭარ-შემსყიდველთა ხელში ხვდებოდა, მხოლოდ თავადაზნაურთა მცირე ნაწილი, რაციონალიზატორი მემამულეები და ბურჟუაზია-ფერმერები ახერხებდნენ საკუთარ ფეხზე მტკიცედ დგომას. მათთან მიმართებაში სავაჭრო კაპიტალს დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებელი არსებობა-საქმიანობის უნარი, გადაქცეული იყო საწარმოო კაპიტალის აგენტად, ასრულებდა მიმოქცევის დამჩქარებლის ფუნქციას. ისიც ფაქტია, რომ საქართველოში არაერთი რაციონალიზატორი მეურნე გამოდიოდა არა მარტო წარმოების, არამედ ვაჭრობის ორგანიზატორის როლშიც. XIX-XX სს. მიჯნაზე მსხვილი საეკონომო ფირმები ჰქონდათ შექმნილი ზ. ჯორჯაძეს, ივ. მუხრანბატონს, რ. ვაჩნაძეს, ანდრონიკაშვილს, შერემეტევს, საუფლისწულო უწყებას და სხვებს.

წერილი მწარმოებელნი კი მწვავედ გრძნობდნენ თავის ზურგზე ვაჭარ-მევაჭრეთა საქმიანობის, არაეკვივალენტური ვაჭრობის უარყოფით შედეგებს. მედუქნეების აღვირახსნილობით აღშფოთებულმა თუშებმა სასოფლო საზოგადოების ყრილობაზე მიიღეს დადგენილება ალვანში არსებული დუქნების დახურვის შესახებ. ასეთი ფაქტები მოხდა ქიზიყში და საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

კაპიტალის არქაული ფორმების აღმოფხვრის, ვაჭარ-მევახშეებისაგან მოსახლეობის დაცვის შესახებ ბევრი იწერებოდა ქართულ პრესაში. პროგრესულ მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა უკვე 70-80-იანი წლებიდან იმ აზრის იყო, რომ რუსული ხელისუფლება და მეტროპოლიის კაპიტალი პრობლემას ვერ გადაჭრიდა. ვაჭარ-მევახშეთა უარყოფითი როლის აღმოფხვრას შესძლებდნენ წერილ მესაკუთრე-მწარმოებელთაგან შექმნილი საეკონომო-გამსაღებელი ამხანაგობები და საკრედიტო კოოპერატივები.

XX ს. 80-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უკვე საქმიანობდნენ თითო-ოროლა საეკონომო-საკრედიტო საზოგადოებები, რამაც კერძო ვაჭარ-მევახშეთა გარკვეული შეშფოთება გამოიწვია. XIX-XX სს. მიჯნაზე ასეთი საზოგადოებები გამრავლდა და მათი ოპერაციები რამდენადმე გაფართოვდა. წარმატებით საქმიანობდა ე. წ. „ქიზიყის დეპო", მეაბრეშუმეთა ამხანაგობები ქუთაისში, ხონში, კუხში. 1903 წელს ქუთაისის ამხანაგობაში გაერთიანებული იყო 2000 წევრი. მათი საპაიო კაპიტალი 20 ათას მანეთს შეადგენდა. ამხანაგობამ მეაბრეშუმეებს მიაწოდა 10 ათასი კოლოფი მური (თესლი), მწარმოებლებისაგან ნორმალურ ფასებში ჩაიბარა და საფრანგეთში გააგზავნა 9 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი. ამხანაგობის წლიურმა ბრუნვამ 300 ათასი მანეთი შეადგინა[63].

შედარებით უფრო ფართოდ და სასარგებლოდ საქმიანობდნენ საკრედიტო კოოპერატივები. 1900 წელს დასავლეთ საქართველოში ითვლებოდა 20 ამხანაგობა. მათში გაერთიანებული იყო 2637 წევრი, ამ კოოპერატივების საპაიო კაპიტალი უდრიდა 111722 მანეთს, ანაბრები და სესხები – 106000 მანეთს, სათადარიგო კაპიტალი 11377 მანეთს, წლიური სუფთა მოგება 15392 მანეთს[64].

კოოპერატიული მოძრაობა მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებით ფართო მასშტაბს ღებულობს XX ს-ის დამდეგიდან. მსხვილი კაპიტალის ყოველისშემძლეობას ბაზარზე, წვრილი მწარმოებელნი უპირისპირდებოდნენ თავიანთ გაერთიანებულ ძალასა და ნებისყოფას. ძირითადად ყალიბდებოდა საეჭრო და საკრედიტო კოოპერატივები. საწარმოო კოოპერატივები იქმნებოდა მხოლოდ მეორად დარგებში (მეღვინეობა, მეფეველეობა და სხვ.) და აქაც საქონლის თვითღირებულების დიდი ნაწილი იწარმოებოდა მეეენახე და მეცხოველე გლეხთა არა კოლექტიური, არამედ ინდივიდუალური შრომით. უდაოა, რომ ასეთი სახის კოოპერირებამ, თავისუფალ გაერთიანებათა შექმნამ განამტკიცა წვრილ მწარმოებელთა მდგომარეობა, შეაფერხა გლეხობის პროლეტარიატიზაციის პროცესი. ევროპა-ამერიკის კოოპერატივები ძირითადად იყო შეძლებული და საშუალო გლეხთა, აგრეთვე წვრილ კაპიტალისტ-ფერმერთა სამეურნეო ორგანიზაციის ფორმა, რომელიც უპირისპირდებოდა სამრეწველო კაპიტალის ტრესტებსა და სინდიკატებს და წვრილ მწარმოებელთა პროდუქციას ბაზარზე საქონელს კონკურენტუნარიანობას მატებდა. თავისუფალ კოოპერატიულ გაერთიანებათა გამრავლება პროგრესულ მოვლენად იყო მიჩნეული მთელ მსოფლიოში და ასეთად თვლიდნენ მას ქართველი მოღვაწეებიც.

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეთა პირველ ყრილობაზე (1909 წ.) საზოგადო მოღვაწე ვ. სანაძე აცხადებდა: თავისუფალი კონკურენცია იწვევს კაპიტალების კონცენტრაციას და მსხვილი წარმოების საოცარ ზრდას. წვრილ მეურნეთა წინაშე, როგორც დასავლეთში, ისე ჩვენთან დგას დილემა – ან შეეგუონ თავიანთ საცოდავ მდგომარეობას, ან გაუწოდონ ერთმანეთს ხელი და შექმნან ამხანაგობები. ეს უკანასკნელი გზა აირჩიეს დასავლეთ ევროპის წვრილმა მიწათმფლობელებმა და არც შემცდარან. ამიერკავკასიის წვრილ მეურნეთა მდგომარეობა გვიკარნახებს, რომ ჩვენ უნდა მივდიოთ დასავლეთ ევროპელთა მაგალითს. მაგრამ უცვლელად კი არ უნდა გადმოვნერგოთ ევროპული კოოპერაციის მზა ფორმები, არამედ შეეუხამოთ იგი ჩვენი ქვეყნის თავისებურებებს[65].

კოოპერირების იდეის პროპაგანდას გარკვეული შედეგი ჰქონდა. 1910 წელს საქართველოში არსებობდა 19 მომხმარებელი და 21 გამსაღებელი საზოგადოება. უფრო სწრაფად გაიზარდა საკრედიტო კოოპერატივების ქსელი. 1914 წ. 1 აპრილისათვის საქართველოში საქმიანობდა 195 საკრედიტო საზოგადოება და 84 ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. მათი წლიური ბალანსი 3,5 მლნ მანეთს უდრიდა. 1916 წელს საქართველოში არსებული 339 საკრედიტო საზოგადოება აერთიანებდა 12000 წევრს. მათი წლიური ბალანსი 5,6 მლნ მანეთს შეადგენდა[66].

კაპიტალისტურ ურთიერთობათა ბატონობის პირობებში მოქმედი კოოპერატიული გაერთიანებანი კაპიტალისტურ ელფერით იმოსებოდნენ. მათი ძირითადი ამოცანა იყო სოფლიდან განედევნათ არქაული ყაიდის ვაჭარ-მევენახეები და მონაწილეობა მიეღოთ ვაჭრობა-კრედიტის მაღალკაპიტალისტური ფორმების დამკვიდრებაში, რაც უზრუნველყოფდა ეკვივალენტურ ვაჭრობას და სასესხო კაპიტალის პროცენტის ნორმალიზაციას.

---

1. საქართველოს ცსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 8972, ფურც. 2-50.
2. სანკტ-პეტერბურგის სახ. არქივი, ფ. 1268, ანაწ. 16, საქ. 124, ფურც. 9.
3. გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 25-54.
4. იქვე, გვ. 73-77.
5. სანკტ-პეტერბურგის სახ. არქივი, ფ. 1268, ანაწ. 10, საქ. 110, გვ. 94.

6. ჰ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. 3, გვ. 11-15.
7. საქართველოს სცსა, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 291, ფურც. 14.
8. სანკტ-პეტერბურგის სახ. არქივი, ფ. 1233, ანაწ. 1, საქ. 159, ფურც. 2.
9. В. М. Четиркин, М. Н. Нерсесов, Продукция сельского хозяйства Закавказья, 1925 г., გვ. 8-11.
10. ი. უთურაშვილის ნარკვევი, იხ. ისტორიის ინსტიტუტი „შრომები", ტ. 6, ნაკ. 1, 1961, გვ. 189-191; საქართველოს სცსა, ფ. 17, საქ. 8770ა, ფ. 1-2.
11. ჰ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. 3, გვ. 227.
12. Обзор Тифлисской губернии за 1896 г. გვ. 9.
13. М. Валас, Виноделие в России, С-П., 1895, გვ. 150-152.
14. იქვე, გვ. 158.
15. იქვე, გვ. 31.
16. Обзор отраслей промышленности в Закавказском крае..., за 1901 г. Тифлис, 1902, გვ. 149-153.
17. ჟურ. „მოსავალი", 1910, ან. 4, გვ. 3.
18. Закавказье, Статистико-экономический сборник, Тб., 1925, გვ. 210.
19. საქართველოს სცსა, ფ. 370, საქ. 989, ფურც. 269.
20. Сборник статистических данных о земледелии и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края, вып. III, 1896 г., გვ. 102-105.
21. Сборник стат. сведений по Закавказскому краю, 1902 г., გვ. 194-195.
22. საქართველოს სცსა, ფ. 371, საქ. 989, ფურც. 31-39.
23. სასოფლო გაზეთი, 1872, №4, გვ. 5-7.
24. სტატისტიკური კრებული, 1909-1921 წწ. თბ., 1923, გვ. 34-35.
25. საქართველოს სცსა, ფ. 17, საქ. 9046, ფურც. 10-11; Обзор Кутаисской губернии за 1887 г., გვ. 6.
26. Обзор Кутаисской губернии за 1887 г., გვ. 6-7.
27. სტატისტიკურ ცნობათა კრებული (რუსულ ენაზე), თბ., 1902, გვ. 174-175.
28. სტატისტიკური კრებული, 1909-1921 წწ., თბ., 1923, გვ. 26-27.
29. Район Тифлисско-Карско-Эреванской железной дороги в экономическом и коммерческом отношении, გვ. 112-125.
30. საქართველოს სცსა, ფ. 17, საქ. 3624, ფურც. 60-66.
31. Труды первого Кавказского съезда сельских хозяев 15-24 ноябрь 1909 года, გვ. 348-349.
32. საქართველოს სცსა, ფ. 13, ანაწ. 15, საქ. 1275, ფურც. 65-73.
33. Обзор Кутаисской губернии за 1906 г., გვ. 33-34; Краткий обзор коммерческой деятельности Зак. железной дороги 1913 г., გვ. 78-83, 324.
34. მეაბრეშუმეობის კომიტეტის 1910 წლის ანგარიში, გვ. 33-30.
35. იქვე, გვ. 35.
36. Кавказский календарь на 1916 г., отдел общий, გვ. 110.
37. ჰ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. 4, გვ. 106, 150, 157, 165.
38. Закавказье, Статистико-экономический сборник, Тб., 1925, გვ. 238.
39. სტატისტიკური კრებული, 1909-1913 წწ., თბ., 1928 წ., გვ. 38.
40. Обзор отраслей промышленности... в 1912-1913 гг., გვ. 150-151.
41. Обзор Кутаисской губернии за 1903 г., გვ. 31.
42. Н. П. Гаратинов, Современные положение хлопководства в закавказском крае, Тб., 1912, გვ. 3-4.
43. სტატისტიკური კრებული, 1909-1921, თბ., 1923, გვ. 41-42.
44. სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივი, ფ. 515, ანაწ. 81, საქ. 808, ფურც. 1, 6, 17.
45. Кавказский календар, 1913 г., გვ. 380-381.
46. იქვე, გვ. 384-386.
47. Закавказье... გვ. 237.
48. საქართველოს სცსა, ფ. 17, საქ. 9046, ფურც. 9-10.

49. სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივი, ფ. 1233, ანაწ. 1, საქ. 159, ფურც. 5-6.
50. Кавказское хозяйство, 1913 г., №24, стр. 9; Закавказье..., გვ. 253-256.
51. საქართველოს სცსა, ფ. 17, საქ. 9305, ფურც. 4-5.
52. Продукция сельского хозяйства Закавказья, Тб., 1923, გვ. 12-13.
53. საქართველოს სცსა, ფ. 17, საქ. 9082ᵃ, ფურც. 6-7; სანკტ-პეტერბურგის სახ. არქივი, ფ. 1233, ანაწ. 1, საქ. 159, ფურც. 3.
54. Продукция ..., გვ. 12-13.
55. იქვე, გვ. 8-9.
56. Кавказское хозяйство, 1913 г., №11, გვ. 6-9.
57. სანკტ-პეტერბურგის სახ. არქივი, ფ. 515, ანაწ. 91, საქ. 142, ფურც. 1-2.
58. Обзор Кутаисской губернии за 1897 г., გვ. 19.
59. სანკტ-პეტერბურგის სახ. არქივი, ფ. 560, ანაწ. 26, საქ. 1393, ფურც. 4-5; სტატისტიკური კრებულ, 1909-1921 წწ., გვ. 40.
60. სანკტ-პეტერბურგის სახ. არქივი, ფ. 560, ანაწ. 26, საქ. 1393, ფურც. 5-12.
61. იქვე, გვ. 4-5.
62. В. М. Четиркин, М. Н. Нерсесов, Продукция сельского хозяйства в Закавказье, Тифлис, 1925 г., გვ. 8-11.
63. Обзор Кутаисской губернии за 1903 г. გვ. 39-40.
64. სანკტ-პეტერბურგის სახ. არქივი, ფ. 1233, ანაწ. 1, საქ. 159, ფურც. 20.
65. Труды первого Кавказского съезда сельских хозяев, 1909 г., გვ. 401-404.
66. ჟურ. „ეკონომისტი", 1925 წ., №3, გვ. 20-22.

მრეწველობის განვითარება საქართველოში და რუსეთის მთავრობის (მეტროპოლიის) პოზიცია

მრეწველობის მარტივ ფორმებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საქართველოში საოჯახო მრეწველობა და ხელოსნობა ფეოდალიზმის ეპოქაშიც საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. მეფე და თავადაზნაურნი შედარებით მსხვილ საწარმოებსაც ქმნიდნენ, სადაც ყმა გლეხები და ხელოსნებიც იყენენ დასაქმებული. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური და კულტურული განვითარების პირობები შეიცვალა. მოწინავე დასავლეთ ევროპის გავლენის ქვეშ მოქცეულ რუსეთში წარმოების და საქონელმიმოქცევის ფორმები იცვლებოდა და ეს სიახლე მეტროპოლიას თავის კოლონიებშიც ასე თუ ისე გადმოჰქონდა. XIX ს-ის 30-40-იანი წლებიდან საქართველოში შედარებით ნორმალური პირობები შეიქმნა მრეწველობის არქაული ფორმების მოდერნიზაციისათვის, იქმნება წმინდა კაპიტალისტური ხასიათის საწარმოებიც.

ხე-ტყის სამრეწველო დამუშავება. რუსეთმა, როგორც უკვე ითქვა, მიითვისა საქართველოს მიწის ფონდის ნახევარზე მეტი, რომლის 40% ტყეს ეკავა. ბუნებისაგან ნაბოძები ეს სიმდიდრე კარგ ბაზას ქმნიდა სამშენებლო მასალისა და საწვავის დამზადებისათვის. ხე-ტყის მრეწველობა თანდათან გაფართოვდა, მისი ფორმები დაიხვეწა, გაუმჯობესდა. რუსეთის ხაზინა და ქართველი მემამულენი თავიანთ კუთვნილ ტყეებში დიდი რაოდენობით ასაქმებდნენ გლეხ-მესარეწეებსა და ხელოსნებს. ხე-ტყის მესარეწეობის განვითარების მასშტაბითა და დონით პირველობდა ქართლი და ბორჯომის ხეობა. XIX ს. 70-80-იან წლებში, მიხვილ რომანოვის (რომლის საკუთრებაში აღმოჩნდა ბორჯომის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი), ციციშვილების, ჯაფარიშვილის და სხვათა ტყეებში მოიჯარე გლეხები

ეწეოდნენ ხის დამზადებას და ტიეებად შეკრულს აცურებდნენ მტკვარზე და თბილისში ხე-ტყის სახერხი ქარხნების მეპატრონეებზე ყიდდნენ. 80-90-იანი წლებიდან ხსენებულ მემამულეთა ტყეებში მომრავლდნენ ბურჟუა მოიჯარენი, რომლებმაც მესარეწე გლეხთა დიდი ნაწილი არსებითად დაქირაეებულ მუშებად გადააქციეს. 1894 წლის ანგარიშში გორის მაზრის უფროსი იმასაც აღნიშნავს, რომ გლეხთა ნაწილი ხე-ტყის ქარხნების მფლობელთაგან გარკვეული პირობით ავანსად იღებს ფულს და დამზადებულ-დაცურებულ ტიეებს (ხე-ტყეს) მექარხნეთა რწმუნებულებს აბარებს. 1899 წელს კი გორის მაზრის უფროსი წერდა, რომ გლეხთა საგრძნობი ნაწილი ტყეების მფლობელთა შეკვეთებს ასრულებს, ხის მასალის დამზადებისათვის ხელფასს მათგან იღებსო. გორის მაზრის ხე-ტყის სარეწებში ყოველწლიურად დასაქმებული იყო 4-7 ათასი კაცი. 1889 წელს მათ დაამზადეს და მტკვარზე თბილისამდე დააცურეს 4496 ტიეი, 1894 წელს 5 ათასი ტიეი, რომლის ღირებულება შეადგენდა 742 ათას მანეთს[1].

ხე-ტყის სარეწებში დიდი რაოდენობით იყო ჩაბმული აგრეთვე რიონის, ცხენისწყლის, ენგურის, კოდორის და სხვა მდინარეთა ხეობების გლეხობა. დასავლეთ საქართველოს ამ სახის ბიზნესში უკვე XIX ს. 70-იანი წლებიდან წამყვანი როლი კაპიტალის მფლობელებმა დაიკავეს. უშუალო მწარმოებელნი ქირაზე მუშაობდნენ. მექარხნეებისა და მათი აგენტების დაკვეთით ჩეხავდნენ ტყეებს გამოჰქონდათ მორები მდინარეთა პირზე და აცურებდნენ თვით ხე-ტყის ქარხნებამდე. ხე-ტყეს მოსახლეობა საკუთარი მოხმარებისათვისაც ამზადებდა, აშენებდნენ ფიცრულ სახლებს, საოჯახო ავეჯს და სხვ. რაჭაში ჩამოყალიბდა ხელოსან ხუროთა მრავალათასიანი კონტინგენტი, რომელნიც მეტ-ნაკლები რაოდენობით ხის სახლებს დაკვეთით აშენებდნენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება. XIX ს. 60-70-იან წლებამდე საქართველოში მეღვინეობა და მასთან ორგანულად დაკავშირებული სპირტის გამოხდა, თითქმის მთლიანად შინამრეწველთა ხელთ იყო. თავადი, აზნაური, მღვდელი, ბერი და გლეხი შინაური ძალებით ამზადებდა ღვინოსა და არაყს. მსხვილი მემამულენი ახერხებდნენ ალკოჰოლურ სასმელთა წარმოების მოდერნიზაციას, მისი სასაქონლო ნაწილის გაფართოებას.

არაერთი კახელი მემამულის ზვარი 50-60 ჰექტარზე გადაიჭიმა. მაღალი ხარისხის ღვინოებს ამზადებდნენ ჭავჭავაძეები, ანდრონიკაშვილები, აფხაზი, ვაჩნაძე, ვახვახიშვილი, ჩოლოყაშვილი, მაგრამ მათ შორისაც კი გამორჩეული იყო ზაქარია ჯორჯაძე, რომელმაც 70-იან წლებში დაიწყო ღვინის ევროპული წესით დაყენება, გააცნო რუსეთს კახური ღვინის მაღალი თვისებები, მიიღო პირველი ხარისხის ჯილდოები რუსეთში. პარიზის გამოფენაზე კი აიძულა ფრანგები კახური ღვინო დაეყენებინათ ბურგუნდიული ღვინის გვერდით. რუსეთის იმპერიის მეღვინეთა მეშატიანე მ. ბალასი ერთ დონეზე აყენებდა ზ. ჯორჯაძისა და უფრო გვიან კახეთში შექმნილი საუფლისწულო უწყების ქარხანა-სარდაფის ღვინოებს და აღნიშნავდა, რომ ეს ორი მეურნეობა-ქარხანა ტექნიკური აღჭურვილობით არაფრით ჩამოუვარდებოდა ევროპაში არსებულ ყველაზე მსხვილ მეევნახურ მეურნეობებსა და ღვინის ქარხნებს[2].

ქართლში ყველაზე მსხვილი მემამულე და 430 დესეტინა ზვრის პატრონი იყო ე. მუხრანბატონი, რომელსაც მაღალ დონეზე ჰქონდა დაყენებული მეღვინეობა. 1886 წ. მის მარანსა და ღვინის ქარხანაში ინახებოდა 50 ათასი ვედრო დაძველებული ღვინო. მოსკოვის გამოფენაზე მუხრანბატონის ღვინომ მიიღო „სახელმწიფო ღერბი". აღნიშნულ წელს ივ. მუხრანელმა ბაზარზე გაიტანა 30000 ვედრო ღვინო და 473 ვედრო სპირტი. მთელმა შემოსავალმა შეადგინა 244700 მანეთი, სუფთა მოგებამ კი – 121423 მანეთი[3].

XIX-XX სს. მიჯნაზე სამეგრელოში ღვინის მაღალტექნიკურად გამართული ქარხანა ჰქონდა სალომე დადიანს. იმერეთში (სალხინო და ვარციხე) დიდი ზვარი გააშენა აბგარ ონანოვმა და შექმნა ღვინისა და კონიაკის ქარხნები 1913-1915

წლებში, მან ბაზარზე გაიტანა 178 ათასი ბოთლი შამპანური, 86 ათასი ვედრო ღვინო, 987 ათასი გრადუსი კონიაკი. 1917-1918 წწ. მის ქარხანასა და მარანში აღმოჩნდა 80 ათასი ვედრო ღვინო. 250 ათასი ბოთლი შამპანური, 800 ათასი გრადუსი კონიაკი[4].

საქართველოში მეევნახეობა-მეღვინეობის მასშტაბით ყველას გაუსწრო რომანოვთა საგვარეულომ. XIX-XX სს. მიჯნაზე საუფლისწულო უწყების გამგებლობაში იყო 300-400 დეს. ვენახი. ყურძნის მიღება-დამუშავების, ღვინის დაძველებისათვის წინანდალში ააშენეს ცენტრალური ქარხანა-სარდაფი, რომელიც 200 ათას ვედრო ღვინოს იტევდა. აქ 1891 წლიდან მეღვინეობას ხელმძღვანელობდა ფრანგი სპეციალისტი მასონი, მისი მოადგილე იყო ვასილ ჯაფარიძე. მათ შექმნეს ევროპული წესით დაყენებული ქართული (კახური) სუფრის ღვინოების ყველა ძირითადი მარკა: წინანდალი (№45 და 64), მუკუზანი (№47 და 66), ნაფარეული (№48), თელიანი[5].

რუსეთის სახელმწიფო ხაზინა დიდ შემოსავალს იღებდა სპირტის შინამრეწველთაგან. 1873 წელს მოავრობამ ერთ გრადუს სპირტზე დააკანონა 5 კაპიკი გამოსაღები – ე. წ. „აქციზი", რამაც საგრძნობლად გაზარდა რუსეთის სახელწიფო ხაზინის შემოსავალი.

შინამრეწველურ და წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებში დამზადებული სპირტის უდიდესი ნაწილი ხვდებოდა მსხვილ სარეკტიფიკაციო ქარხნებში, რომელთა რიცხვი თანდათან გაიზარდა და წვრილი საწარმოები თავიანთ სანედლეულო ბაზად და დანამატად გადააქციეს[6].

XIX ს-ის სიგრძეზე საქართველოს მრეწველობაში წარმოების ორგანიზაციის მარტივი და რთული ფორმები თანაარსებობდა. პირველ ნახევარში დომინირებდა ხელოსნური წარმოება. მომდევნო ხანს გაფართოვდა ხელოსანთა ქონებრივ-სოციალური დიფერენციაციის პროცესი. 1865 წელს რუსული კანონის შესაბამისად განხორციელდა ხელოსანთა ამქრების რეორგანიზაცია, რამაც გასაქანი მისცა ხელოსანთა პირად ინიციატივას. წარმოების გაფართოებას. ფაქტი გახდა ხელოსნური საწარმოების კაპიტალისტური განვითარების ტენდენციის გაძლიერება.

1888 წელს საქართველოში აღირიცხა 4047 სახელოსნო. აქედან, 2333 საქმიანობდა ქალაქებში, 1714 – სოფელში. 1896 წელს საქართველოში არსებულ სახელოსნოებში დასაქმებული იყო 35 ათასი ხელოსანი ოსტატი, ქარგალი და შეგირდი. მძლავრდებოდნენ უსახელოსნო ხელოსნები (ხუროები, კალატოზები, მღებავები და სხვ.), რომელნიც თითქმის არ განსხვავდებოდნენ დაქირავებული მუშებისაგან. სახელოსნოს მფლობელი ოსტატ ხელოსანთა ნაწილი მეტ-ნაკლები შეძლების კაპიტალის მფლობელი ხდებოდა, ბურჟუაზიის რიგებში გადადიოდა, ქარგლები და შეგირდები დაქირავებული მუშები ხდებოდნენ.

1865 წელს საქართველოში უკვე არსებობდა 495 კაპიტალისტური საწარმო, მაგრამ უმრავლესობა მარტივი კოოპერაციის ტიპისა იყო, მანუფაქტურებისა გაცილებით ნაკლები. ფაბრიკა-ქარხნები კი თითებზე ჩამოითვლებოდა. მომდევნო ხანაში საკმაოდ სწრაფად დაწინაურდა მანქანური ინდუსტრია. ამ მიმართულებით მკვეთრი გარდატეხის მაუწყებელი რკინიგზების მშენებლობა იყო[7].

რკინიგზის მშენებლობა. რკინიგზის გამართვის საქმეს სათავეში ჩაუდგა თვით რუსული ხელისუფლება. რუსეთის ცარიზმი შედარებით მეტ ყურადღებას გზების გაყვანასა და კეთილმოწყობას თავდაპირველად სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით აქცევდა. ძირითადად ამ მოტივით გაიყვანეს სამხედრო გზა (თბილისი-ვლადიკავკაზი), შარაგზები და გზატკეცილები. ამავე ასპექტში დაისვა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის საკითხიც. ჯერ კიდევ 1857 წელს ინჟინერ-კაპიტანმა სტატკოვსკიმ დააჩაბუთა ბაქო-თბილისის რკინიგზის გამართვის მიზანშეწონილობა. იმავე წელს გაჩნდა თბილისი-ფოთის მაგისტრალის მშენებლობის იდეაც, მაგრამ ამ უკანასკნელის საჭიროებას ეკონომიკურ-კომერციული მნიშვნელობით ასაბუთებდნენ. მოსკოველმა კაპიტალისტმა კოკორევმა ორიეე

მოტივი შეაერთა და წინადადება წამოაყენა ფოთი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობისათვის აქციონერული კომპანიის ჩამოყალიბების შესახებ.

მალე პრობლემამ ოფიციალური ჟღერადობა შეიძინა. 1858 წელს მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ შუამდგომლობა აღძრა იმპერატორის წინაშე ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანის შესახებ. „რკინიგზა-აღნიშნავდა იგი – ამიერკავკასიისათვის იქნება იღიეე, რაც არის წყალი ნაყოფიერი, მაგრამ მზით გადამწვარი ველებისათვის. რკინიგზა გააღვიძებს ამ მხარის მწარმოებლურ ძალებს, გამოაჩენს უდიდეს სიმდიდრეს, რაც ამჟამად დაფარული და ჩვენგან გამოუყენებელია“. იმპერიის ცენტრი დაინტერესდა, რკინიგზის მშენებლობის საკითხი პერიფერიიდან პეტერბურგს გადაიტანეს, მაგრამ რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ თეორიული მუშაობა მიმდინარეობდა, პრაქტიკურად კი თითქმის არაფერი გაკეთებულა.

1864 წელს მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა იმპერატორის წინაშე კელავ აღძრა შუამდგომლობა ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის მშენებლობის შესახებ. იგი მართალია, ხაზს უსვამდა რკინიგზის სტრატეგიულ მნიშვნელობას, მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნავდა, რომ რკინიგზა, ტვირთების გადაზიდვის გაადვილება-გაიაფება, მოიზიდავს დასავლეთ ევროპულ ეაჭრებს და მოხდება ევრაზიის სავაჭრო-სატრანზიტო გზის გადმონაცვლება თურქეთიდან ამიერკავკასიაში, რაც ხელს შეუწყობსო სახელმწიფო-სახაზინო შემოსავლის გაზრდას.

კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების შუამდგომლობა რუსეთის უზენაესმა მთავრობამ ამჯერად დააკმაყოფილა. 1865 წელს სახელმწიფო ხაზინამ 3,2 მლნ მანეთი გამოყო იმ მიწების შესასყიდად, რომელშიც რკინიგზას უნდა გაეელო. შედგენილი გეგმა-პროექტის თანახმად წინასწარი სამუშაოები (ნიადაგის გასწორება, ხიდების აგება და სხვ.) ხაზინის ხარჯით 1870 წ. 1 იანვრისათვის უნდა დამთავრებულიყო, რის შემდეგ მუშაობას გააგრძელებდნენ უცხოელი კაპიტალისტები და სპეციალისტები. მალე ინგლისელმა ბიზნესმენებმა პარკინსმა და პაუერმა რუსეთის მთავრობას წარმოუდგინეს კონცესის და სათანადო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც დამტკიცდა 1867 წ. 2 ივნისს[8].

წინასწარ სამუშაოებზე რუსი მოხელეები და სპეციალისტები ფართოდ იყენებდნენ გლეხებისა და ჯარისკაცების თითქმის უფასო შრომას. მაგრამ 1869 წლამდე მაინც დაიხარჯა 2 მლნ მანეთი და მეფისნაცვალმა მოითხოვა დამატებითი დაფინანსება 3 მლნ მანეთის ოდენობით. უზენაეს მთავრობას ეჭვი შეეპარა კავკასიის ადმინისტრაციის სამშენებლო უნარში, დამატებითი თანხის გამოყოფაზე უარი უთხრა და ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის კონცესია ნაადრეად გადასცა ინგლისელ ბიზნესმენებს.

ინგლისელმა კონცესიონერებმა რკინიგზის მშენებლობის სათავეში თავის სპეციალისტები ჩააყენეს და თავისუფალი გარიგებით დიდი რაოდენობით მუშა ხელი მიიზიდეს. 1871 წელს, მაგალითად, მარტო გორის მაზრის ტერიტორიაზე დასაქმებული იყო 21 ათასი მუშა. ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზი, რომლის გაყვანა 23 მლნ მანეთი დაჯდა, ექსპლუატაციაში შევიდა 1872 წლის მეორე ნახევარში.

აფშერონის ნახევარკუნძულზე ნავთის სულ მზარდი რაოდენობით ამოღება და მისი ექსპორტის საჭიროება გადაუდებელ საქმედ ხდიდა ბაქოს დაკავშირებას რკინიგზით შავი ზღვის ნავსადგურებთან. 1879 წელს ამ ხაზის მშენებლობის კონცესია იმავე ინგლისელ ბიზნესმენებს გადაეცა, რომლებმაც ბაქო-თბილისის რკინიგზის ხაზი ექსპლუატაციაში შეიყვანა 1883 წ. აპრილში. ხოლო იმავე წლის მაისში დამთავრდა სამტრედია ბათუმის ხაზის მშენებლობაც. 1887 წელს ამოქმედდა ქუთაისი-ტყიბულის რკინიგზის ხაზი.

18 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის რკინიგზა ინგლისელ ბიზნესმენთა კომპანიის საკუთრებაში იყო, მისი მზარდი შემოსავლების წყაროს წარმოადგენდა. რუსულ ხელისუფლებას, გააჩნდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული კომპანია დიდ მოგებას ღებულობდა. რუსი სამხედროები იმაშიც კარგად ერკვეოდნენ, რომ

ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალს სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. რუსეთის მთავრობამ შეუძლებლად მიიჩნია მისი შემდგომი დატოვება უცხოელთა ხელში და 1889 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალი, მისი ყველა განშტოება გამოისყიდა, რუსეთის გზათა სამინისტროს დაუქვემდებარა[9].

ამიერკავკასიის რკინიგზის ტვირთბრუნვა სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ მოძრაობა ფერხდებოდა შორაპან-ხაშურის მონაკეთის ერთ ნაწილზე (ლიხის ქედი). ჯერ კიდევ ინგლისელთა კომპანიამ 1886 წელს შეადგინა წიფის გვირაბის პროექტი. მისი რეალიზაცია დაამთავრა რკინიგზის რუსულმა ადმინისტრაციამ 1890 წელს. რუსეთის ხელისუფლებამ დააფინანსა რკინიგზის მაგისტრალის გვერდით განშტოებათა მშენებლობა. 1894 წელს ამოქმედდა ხაშურ-ბორჯომის ხაზიც, 1895 წ. – თბილისი-ყარსის, იმავე წელს – შორაპან-ჭიათურის, 1902 წ. – ბორჯომ-ბაკურიანის, 1903 წ. – თბილისი-ალექსანდროპოლი-ერევნის ხაზები. რუსეთის მთავრობამ დიდი შემოსავლის მომტანად მიიჩნია და 21 მლნ მანეთი დააბანდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობაში, რომელიც დაიწყო 1900 წელს და დამთავრდა 6 წლის შემდეგ[10].

ამიერკავკასიაში, მართალია, ვერ დაინერგა რკინიგზის ორთქლმავლებისა და ვაგონების წარმოება, მაგრამ ჯერ ინგლისელთა კომპანია, შემდეგ კი რუსული ადმინისტრაცია იძულებული იყო შეექმნა და თანდათან გაეფართოებინა ორთქლმავალ-ვაგონთშემკეთებელი სახელოსნოები თბილისში, ხაშურსა და სამტრედიაში. 1883 წელს რკინიგზაზე მოძრაობდა 60 ორთლქმავალი და 2097 ვაგონი. თბილისის სახელოსნოები ფართო მასშტაბის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნად გადაიქცა, რომელიც ახერხებდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ყველა ნაწილის დამზადებას და დამონტაჟებას. თბილისში მოქმედმა ქარხანამ, რომლის საამქროებში სხვადასხვა დროს დასაქმებული იყო 2-4 ათასი მუშა, 1880 წელს შეასრულა 2,2 მლნ მანეთის სამუშაოები, 1904 წელს – 4,2 მლნ, 1913 წელს კი 5,5 მლნ მანეთის სარემონტო და სხვა სამუშაოები[11].

ამიერკავკასიის რკინიგზა, რომლის საექსპლუატაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაზე მოდიოდა, თვით იყო უმსხვილესი სახელმწიფო-კაპიტალისტური საწარმო, რომელიც ხაზინას დიდ შემოსავალს და სუფთა მოგებას აძლევდა. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა სტატისტიკა.

რკინიგზის მთელი შემოსავალი	სუფთა მოგება
1899 წ. 21,149912 მანეთი	10,573072 მანეთი
1900 წ. – 25,513893 მან.	12,955506 მან
1901 წ. – 26,651650 მან.	12,801557 მან.
1903 წ. – 28,885477 მან.	13,558571 მან.
1904 წ. – 31,825444 მან.	15,826254 მან.
1908 წ. – 32,288213 მან.	18,918441 მან.
1913 წ. – 35,515317 მან.	20,724045 მან.[12]

რუსეთის სახაზინო რკინიგზას ყველაზე მეტ შემოსავალსა და მოგებას აძლევდა სამხრეთ კავკასიაში მოპოვებული და უცხოეთში ექსპორტირებული ნავთობი და მანგანუმის მადანი. შემდეგ სიმინდი, ღვინო, ბრინჯი, ბამბა, ქვანახშირი, სამშენებლო ხე-ტყე და შეშა, მატყლი, სპილენძი, მინერალური წყლები, საკმაოდ დიდ შემოსავალს იძლეოდა მგზავრების გადაყვანაც.

მეტროპოლიის მთავრობას კონტროლს ვერავინ უწევდა კოლონიაში და იგი ფისკალური ინტერესების შესაბამისად, თითქმის უცერემონიოდ, მეტნაკლებად ადიდებდა სხვადასხვა საქონლის (ტვირთების) გადაზიდვის ტარიფს და ადგილობრივ მწარმოებელი ძალების ხარჯზე ზრდიდა ხაზინის შემოსავალს. მოგების უდი-

დეს ნაწილს რუსეთს ახმარდა, სამხრეთ კავკასიაში კი უმნიშვნელო ნაწილს სტოვებდა და მასაც ძირითადად რუს მოხელეებს აძლევდა ხელფასის სახით.

რუსეთის მთავრობის კოლონიურ-ეკონომიკური მიზანდასახულობის მიუხედავად რკინიგზამ დადებითი როლი შეასრულა. ხელი შეუწყო წარმოების აღმავლობას, გააადვილა საქონელმიმოქცევა, განამტკიცა ეკონომიკურ-კომერციული კავშირი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის. იმავე რკინიგზამ გაცილებით ხელსაყრელი პირობები შექმნა სასაქონლო პროდუქციის შავიზღვისპირზე ჩატანისა და ფოთი-ბათუმის პორტებით უცხოეთში ექსპორტისათვის.

კახეთი დიდხანს ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მიღმა რჩებოდა, რაც უარყოფილად მოქმედებდა ამ რეგიონის მწარმოებლური ძალების ამოქმედებასა და ზრდაზე. სასაქონლო პროდუქციის გადაზიდვა შარაგზებით უფრო ძვირი ჯდებოდა. ადიდებდა საქონლის თვითღირებულებას და ამცირებდა მის კონკურენტუნარიანობას. ბუნებრივია კახეთის მწარმოებელი მოსახლეობა აყენებდა კახეთის რკინიგზის მშენებლობის საკითხს. მაგრამ რუსეთის მთავრობას მიაჩნდა რომ ამ ხაზის გაყვანა ძალიან ძვირი დაჯდებოდა, მისი შემოსავალი დიდხანს ვერ დაფარავდა ხარჯებს და ამიტომ უარი თქვა ამ საქმეში კაპიტალის დაბანდებაზე. აუცილებელი გახდა საზოგადოებრივი ინიციატივა.

1892 წ. 21 დეკემბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულომ დაადგინა: 1) ასიგნებულ იქნას 150000 მანეთი მომავალი რკინიგზის ტრასის ტექნიკური გამოკვლევისათვის. 2) აღიძრას შუამავლობა გზათა სამინისტროს წინაშე თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობისათვის კახეთის რკინიგზის მშენებლობის კონცესიის მიცემის შესახებ. 3) შემუშავდეს ამ ხაზის გაყვანის ტექნიკურ-ფინანსური პროექტი. 4) დადგენილების სისრულეში მოყვანა დაეკისროს თავადაზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლს და სპეციალურ კომისიას. დადგენილების რეალიზაცია და პრაქტიკული საქმიანობა გაჭიანურდა. 1909 წელს, როგორც იქნა, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წოდებრივმა თვითმმართველობამ მიიღო კახეთის რკინიგზის მშენებლობის ნებართვა და თანაც მთავრობის მიერ გარანტირებული საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა. 1910 წელს უმაღლესად დამტკიცდა კახეთის რკინიგზის აქციონერული საზოგადოების წესდება. გამოიცა 1.8 მლნ. მანეთის აქცია და 12 მლნ. მანეთის ობლიგაცია, რომელთა რეალიზაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პეტერბურგელმა ბანკირებმა. კაპიტალით უზრუნველყოფილმა კომპანიამ საკმაოდ სწრაფად და ნაყოფიერად იმუშავა. კახეთის რკინიგზის ხაზი თბილისიდან ჩალაუბნის გადასავლით თელავამდე (178 ვერსი) გაიმართა 1911-1914 წლებში. მშენებლობაზე დაიხარჯა 17,8 მლნ. მანეთი. თავადაზნაურთა ლიდერების ეარაუდით კახეთის რკინიგზის ყოველწლიური ტვირთბრუნვა 11,6 მლნ. ფუთი იქნებოდა, ყოველწლიური სატარიფო გამოსაღები 2 მლნ. მანეთს მიაღწევდა. მაგრამ საომარი დროის სიძნელეთა პირობებში რკინიგზის ტვირთბრუნვა და ამდენად კომპანიის შემოსავალი მნიშვნელოვნად ნაკლები იყო ბიუჯეტით გათვალისწინებულზე[13].

გადამამუშავებელი მრეწველობა. მანქანური ტექნიკა საკმაოდ სწრაფად ინერგებოდა გადამამუშავებელ და სამთამადნო მრეწველობაში. მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციისა და მანუფაქტურის ტიპის საწარმოებს მნიშვნელოვანწილად ფაბრიკა-ქარხნები იკავებდა, მრეწველობის სფეროში ხელით შრომას მანქანები სცვლიდა.

1885 წელს საქართველოს გადამუშავებით მრეწველობაში აღირიცხა 416 კაპიტალისტური ტიპის საწარმო, რომლებშიც დასაქმებულმა 5453 მუშამ დაამზადა 8,3 მლნ. მანეთის პროდუქცია. ამ დროისათვის რამდენადმე დაწინაურდა სამთამადნო მრეწველობაც, შესამჩნევი გახდა მარგანეცის, ქვანახშირის და ფერადი ლითონების მოპოვების ზრდა, წარმოების გამსხვილების პროცესი. 1900 წელს საქართველოს გადამუშავებით მრეწველობაში მოქმედებდა 1362 წერილი კაპიტალისტური საწარმო (7400 მუშით და 1,1 მლნ წლიური პროდუქციით), 45 მანუფაქტურა (800

მუშით და 1,2 მლნ წლიური პროდუქციით) და 90 ფაბრიკა-ქარხანა, რომლებშიც დასაქმებული 15 ათასი მუშა ამზადებდა 27 მლნ. მანეთის პროდუქციას.

რუსეთის მთავრობის კოლონიურ-ეკონომიკური პოლიტიკა მრეწველობის ყველა დარგისადმი ერთგვაროვანი როდი იყო. ხელოვნურად ზღუდავდა მანქანათმშენებელი ქარხნების შექმნა-გაფართოებას, ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის ზოგი პროდუქტის ქარხნულ გადამუშავებას. ინდიფერენტული იყო ქვანახშირის მოპოვებისა და ფერადი ლითონების წარმოების მიმართ, გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდა მანგანუმის მოპოვებასა და ექსპორტს. საერთოდ კი, იმას ცდილობდა, რომ ყველა სფეროში დაეცვა ფისკალური ინტერესები – რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიეღო ადგილობრივი წარმოებიდან და სავაჭრო ოპერაციებიდან.

მეტროპოლია, მართალია, დიდ მოთხოვნილებას უყენებდა კავკასიურ ალკოჰოლურ სასმელებს, მაგრამ პურისა და ქერის არყის წარმოება შიგარუსეთის მონოპოლიად მიაჩნდა, სამხრეთ კავკასიაში ხელს უწყობდა ღვინის სპირტისა და კონიაკის წარმოებას. საქართველოში სპირტიანი სასმელების მანქანურ წარმოებაზე გადასვლა განხორციელდა XIX ს. 80-90-იან წლებში (დაინერგა გილიომეს, ნეიმანის, ბორმანის გასაფილტრი-სარექტიფიკაციო, შარანტის, დირუას საკონიაკე სპირტსახდელი აპარატები) ქარხანაში ეს ტექნიკა პირველად დაამონტაჟა თავის თბილისურ ქარხანაში დავით სარაჯიშვილმა 1886 წელს. მომდევნო ხანს იმავე თბილისში სარექტიფიკაციო ქარხნები გამართეს ნ. სიტოვმა, ა. სოგომანოვმა, მ. ხუბლაროვმა. დიდი მასშტაბით დ. სარაჯიშვილის ქარხანა გამოირჩეოდა. 1889 წელს მან გასაწმენდათ მიიღო 1,6 მილიონი გრადუსი ნედლეული და დაამზადა 1,5 მლნ გრადუსი სუფთა სპირტი. მალე დ. სარაჯიშვილმა შეისყიდა ხუბლაროვის ქარხანა, მთიანად განაახლა თავის სამი ქარხნის ტექნიკური მოწყობილობა. მან 1907 წელს დაამზადა 2,3 მლნ. გრადუსი სპირტი. 1909 წელს კი 3 მლნ. გრადუსი. ამ პერიოდში თბილისში მზადდებოდა 300-400 ათასი მან. ღირებულების გაწმენდილი სპირტი, საიდანაც დ. სარაჯიშვილის წილად მოდიოდა 85%. სარექტიფიკაციო ქარხნები შინამრეწველურ არაყსა და სპირტს იძენდნენ არა მარტო საქართველოში. მას ყიდულობდნენ აგრეთვე ერევნის, ბაქოს და ელიზავეტპოლის გუბერნიებში.

რექტიფიცირებული სპირტის გატანა-გასაღებას ახდენდნენ საბითუმო საწყობებიდან. 1908 წელს თბილისის საბითუმო საწყობიდან ადგილზე გაიყიდა და რუსეთში გაიგზავნა 21,7 მლნ. გრ. სპირტი. 1909 წელს რექტიფიცირებული სპირტის რეალიზაციაში დ. სარაჯიშვილის წილად მოდიოდა 50%. რუსეთში გატანილი 4,5 მლნ გრ. სპირტში ქართველი მრეწველის წილი უდრიდა 79%.

კონიაკის სამშობლო საფრანგეთი, ქალაქი კონიაკია. რუსეთში კი ამ ძვირფასი სასმელის დანერგვის პიონერი იყო დ. სარაჯიშვილი, რომელიც საფრანგეთში სწავლობდა, იქ მიიღო ქიმიის დოქტორის ხარისხი, დაეუფლა კონიაკის დამზადების ხელოვნებას. 1883 წ. დ. სარაჯიშვილმა კონიაკის პირველი ქარხანა გახსნა თბილისში. ქარხანა-საწყობში დასაძველებლად თანდათან მზარდი რაოდენობით შეჰქონდა რექტიფიცირებული სპირტი. 1894 წელს სარეალიზაციოდ გაიტანა 181252 გრ. კონიაკი. დ. სარაჯიშვილის შეგირდი იყო ნ. ტაიროვი, რომელმაც ერევანში გახსნა კონიაკის ქარხანა-საწყობი. 1901 წელს სამხრეთ კავკასიაში მოქმედებდა კონიაკის 6 ქარხანა, 1902 წ. – 9, 1905 წ. – 15, 1908 წ. – 21, 1914 წ. – 27 ქარხანა. 1903 წელს დაამზადეს და სარეალიზაციოდ გამოიტანეს 2,5 მლნ. გრადუსი. 1908 წ. – 6 მლნ. გრ., 1911 წ. – 8,5 მლნ. გრ., 1913 წ. – 9,9 მლნ. გრადუსი კონიაკი, რომლის ღირებულება 1,7 მლნ. მანეთს უდრიდა.

დ. სარაჯიშვილის საწყობ-სარდაფები და მუხის კასრები დასაძველებლად იტევდა 2,3 მლნ. გრ სპირტს. კონიაკი სარეალიზაციოდ გაქონდა როგორც კასრებით, ისე ბოთლებით. 1904 წელს კონიაკის ჩამოსხმა-გატანის 63% დ. სარაჯიშვილზე მოდიოდა, 1906 წელს მისი წილი გაიზარდა 82%. შემდეგ რამდენიმე ქარხანა გაიმართა, მაგრამ დ. სარაჯიშვილის ხვედრითი წილი 52%-ზე დაბლა არ

დაწეულა. თბილისის კონიაკის საწყობ-სარდაფებიდან გატანილი კონიაკის 80-90% რუსეთში ხვდებოდა, კონკურენციას უწეედა უცხოურს, ფრანგულსაც კი. ქართულ-კავკასიური კონიაკი მტკიცედ დამკვიდრდა რუსეთის ბაზარზე. კონიაკის ქართული ქარხნების მაღალხარისხოვანი პროდუქცია მეტროპოლიას მნიშვნელოვანწილად ათავისუფლებდა (ოქროს) ვალუტის ხარჯვისაგან[14].

შინამრეწველური მეცველეობა საქართველოში ძველისძველი, ტრადიციული დარგი იყო. ყველს ამზადებდნენ როგორც ძროხის, ისე ცხერის რძისგან. XIX-XX სს. მიჯნაზე საგრძნობლად გაფართოვდა ვაჭრული კაპიტალის დაბანდება მეცხოველეობის პროდუქტთა გადამამუშავებელ მრეწველობაში. თანდათან განვითარდა შვეიცარული ყველის წარმოება. გ. შადინოვი შვეიცარული ყველის წარმოების ისტორიას ორ პერიოდად ყოფდა. პირველს, რომელიც გრძელდებოდა 1862 წლიდან 1896 წლამდე პიონერულ წამოწყებათა დროს უწოდებდა. ამის შემდეგ, მისი განცხადებით, დაიწყო სამრეწველო პერიოდი, საქართველოში შვეიცარული მეთოდით დამზადებულმა ყველმა გზა გაიკაფა რუსეთის ბაზრებისაკენ.

კარგა ხანს რატომღაც მიაჩნდათ, რომ შვეიცარული ყველის დამზადება შეიძლებოდა მხოლოდ შვეიცარული და საერთოდ დასავლეთ ევროპული ჯიშიანი ძროხების რძისაგან. ის ძროხები კი, რომელნიც უცხოეთიდან შემოჰყავდათ, ძალიან ძვირი ჯდებოდა და მეძროხეობის ფერმის მოწყობა დიდ კაპიტალს მოითხოვდა, რაც ადიდებდა მეორადი პროდუქციის თვითღირებულებას, ამცირებდა საწარმოს მოგებას. XIX ს. 90-იან წლებში სოფ. ეორონცოვკის გლეხთა კოოპერატიულმა გაერთიანებამ ჩაატარა ექსპერიმენტული ცდები და ადგილობრივი ჯიშის ძროხის რძისაგან მაღალი ხარისხის შვეიცარული ყველი მიიღო. ყველა დარწმუნდა, რომ შვეიცარული ყველის წარმოება ადგილობრივი მოსახლეობისაგან საკმაოდ იაფად ნაყიდი რძისაგან შეიძლებოდა. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა წარმოების ხარჯები, პროდუქციის თვითღირებულება და შვეიცარული მეცველეობა ფრიად რენტაბელური გახადა. XX ს. დამდეგიდან წარმოების ამ დარგში საკმაოზე მეტი რაოდენობით ჩაებნენ ადგილობრივი და მოსული ბიზნესმენები, რომელთაც ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები ყველის ქარხნების ფართო ქსელით დაფარეს.

1909 წელს ბორჩალოს მაზრაში აღირიცხა შვეიცარული ყველის 48 ქარხანა. ფრიც ამეტერის 7 ქარხანა წლიურად აწარმოებდა 8200 ფუთ ყველს, პეტრე ამეტერის 5 ქარხანა – 6200 ფ., ნიკოლოზ კეზელის 2 ქარხანა – 3 ათას ფუთს, პეტრე ტალანოვის 3 ქარხანა – 6100 ფ., გ. შადინოვის 3 ქარხანა – 2700 ფ., კირილოვის ქარხანა – 1800 ფუთს და სხვ. იმავე ხანს ახალქალაქის მაზრაში რიფის ორი ქარხანა წლიურად ამზადებდა 4 ათას ფუთს, მოლოკანთა არტელის ქარხანა კი 2 ათას ფუთს. ყარსის ოკრუგში არსებული 14 ქარხნის წლიური პროდუქცია შეადგენდა 11 ათას ფუთს, არტაანის ოკრუგის 4 ქარხანა კი 4 ათას ფუთს. 1909 წელს შვეიცარული ყველის ქარხნებმა გამოუშვეს სულ 75 ათასი ფუთი ყველი, რომლის ღირებულება უდრიდა 1 მლნ მანეთს[15]. პროდუქციის მეტი ნაწილი რუსეთის დიდ ქალაქებში იგზავნებოდა. შვეიცარული მეთოდით დამზადებული ქართული ყველი წარმატებით უწეედა კონკურენციას ნამდვილ შვეიცარულს. რუსეთის მომხმარებელი საზოგადოება ქართულ პროდუქციას ქაღალდის ფულით – ასიგნაციებით ყიდულობდა. მეტროპოლია ვალუტის გადინებისაგან ნაწილობრივ მაინც თავისუფლდებოდა.

ისიც ფაქტია, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის ძველი ტრადიციული დარგი იყო მეაბრეშუმეობა. დამოუკიდებლობის ხანაში ამბრეშუმის ძაფის ამოხვევა და ქსოვილების დამზადება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. არის ცნობა, რომ ირან-ოსმალეთის მძლავრობის დროს ქართველი მეფენი ხარკს აბრეშუმითაც იხდიდნენ. ისიც ცნობილია, რომ ქართველი ვაჭრები რუსი ვაჭრების საქონლის ღირებულებას, არც თუ იშვიათად, ფულის ნაცვლად აბრეშუმით ფარავდნენ.

XIX ს-ის შუა ხანებიდან ახალი პერიოდი დაიწყო მეაბრეშუმეობის განვითარებაში. რუსეთის საფეიქრო ფაბრიკები დიდი რაოდენობით საჭიროებდნენ ნედლეულს და ნახევრად ნედლეულს. შემთხვევით არ იყო, რომ ოფიციალურმა დაწესებულებამ კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება დააინტერესა ამ დარგის განვითარებით. 1850 წელს მოიწვია ევროპელი სპეციალისტი ემერიკი. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფ. ლიჭინში გააშენა თუთის ხის პლანტაცია და აბრეშუმის ჭიის მოელა-დამუშავების საცდელ-საჩვენებელი პუნქტი, რომელთანაც შეიქმნა მეაბრეშუმეობის სკოლა.

ხსენებულ საზოგადოებას აქტიურობით გაასწრო სამეგრელოს ე. წ. ავტონომიის მთავარმა დავით დადიანმა. მან 1848 წელს საფრანგეთიდან გამოიწვია ა. როზმორდუკი, რომელმაც ზუგდიდში გამართა აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა. თვით დავით დადიანმა ამ პრესტიჟულ დარგში დააბანდა 8 ათასი მანეთი. ამის გარდა უფასოდ დაუთმო როზმორდუკს მიწის ნაკვეთი ფაბრიკისა და დამხმარე ნაგებობათა განსალაგებლად. ა. როზმორდუკმა დამხმარედ მოიწვია ორი ფრანგი სპეციალისტი, რომლებმაც ერთი წლის განმავლობაში ფაბრიკისათვის 20 მუშა ქალი მოამზადეს. დავით დადიანმა და როზმორდუკმა იტალიიდან შემოიტანეს მაღალხარისხოვანი აბრეშუმის თესლი და უფასოდ დაურიგეს სამეგრელოს მოსახლეობას. მალე საოჯახო მრეწველთა რიცხვი 16 ათას კომლამდე გაიზარდა, რომლებიც ყოველწლიურად ამზადებდნენ 15 ათას ფუთ აბრეშუმის პარკს. ნაწილი საზღვარგარეთ იგზავნებოდა, უფრო მეტს როზმორდუკის ფაბრიკა ამუშავებდა; 1852 წელს ამოახვიეს 30 ფუთი ძაფი. მომდევნო ხანს წარმოება გაიზარდა. აბრეშუმის ნახევარფაბრიკატი რუსეთში იგზავნებოდა[16].

როზმორდუკის მოღვაწეობის დროსვე ბერძენმა მარკო პოლიმ აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა გახსნა ორპირში. რამდენიმე ხნის შემდეგ ფაბრიკა გადავიდა გოხშტრაზერის მფლობელობაში. ფაბრიკაში მოქმედებდა ორთქლის მანქანა და 32 დაზგა, მუშაობდა 35-40 ქალი. ფაბრიკა წლიურად ამუშავებდა 4-5 ათას ფუთ პარკს და ახვევდა 1500 კილოგრამ აბრეშუმის ძაფს. ფაბრიკა ნედლეულის სიმცირის გამო დაიხურა 1865 წელს.

XIX ს. სამოციან წლებში აბრეშუმის პარკის შინამრეწველური დამზადება დაკნინდა. მიზეზი აბრეშუმის ჭიის სენი – პებრინი იყო. რუსეთიდან მდგომარეობის შესასწავლად და მეაბრეშუმეობის კრიზისიდან გამოყვანის მიზნით სამხრეთ კავკასიაში გამოგზავნეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს თანამშრომელი არხიპოვი და სპეციალისტი შაეროი. კარგა ხნის შემდეგ შაეროემა ხელისუფლებას წარუდგინა თავის მიელინებისა დ. საქმიანობის ვრცელი ანგარიში. მან მეაბრეშუმეობის კელავ აღორძინების წინაპირობად მიიჩნია ჯანსაღი თესლის შემოტანა და ტექნოლოგიის გაუმჯობესება. იმავდროულად მოითხოვა ქუთაისსა და ნუხაში მეაბრეშუმეობის საცდელ-საჩვენებელი სადგურების შექმნა. მთავრობის გადაწყვეტილებით ასეთი სადგური (ცენტრალური) მოეწყო თბილისში 1887 წელს. რამდენიმე რეგიონში გაიმართა მისი ფილიალები. მათ დადებითი როლი შეასრულეს მეაბრეშუმეობის გაფართოებაში. სწრაფად გაიზარდა აბრეშუმის პარკის დამზადება, რაც სწრაფად აისახა ფაბრიკული წარმოების ზრდაზე.

XIX ს-ის მიწურულს ქუთაისის გუბერნიაში მოქმედებდა ორი ძაფსაღები ფაბრიკა. მათში დასაქმებული 120 მუშა წლიურად ამზადებდა 75 ათასი მანეთის პროდუქციას. იმავე ხანს ქუთაისში ჩამოვიდა მოსკოვის ერთ-ერთი საეჭვო სახლის მეთაური ა. ილინი. მიზნად ჰქონდა აქ აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მოწყობა და ნახევარფაბრიკატის რუსეთის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკებისათვის მიწოდება. 1900 წელს სამტრედიაში კიდევ ამოქმედდა „ილინი და კომპანიის" ძაფსაღები ფაბრიკა. იგი ყველაზე მსხვილი და კეთილმოწყობილი საწარმო იყო სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. 1902 წელს ფაბრიკაში დამზადდა 50 ათასი მანეთის, ხოლო 1903 წელს 71 ათასი მანეთის აბრეშუმის ნახევარფაბრიკატი (ძაფი) და გაიგზავნა რუსეთში[17].

შიგა რუსეთში ბამბისა და შალის ქსოვილების წარმოება მაღალ დონეზე იდგა, მაგრამ რუსულ ხელისუფლებას არ შეუზღუდავს გ. მირზოეი, რომელმაც 70-იანი წლების დამდეგს თბილისში გამართა საფეიქრო ფაბრიკა. 1880-1886 წწ. ეს საწარმო იჯარით ჰქონდა აღებული ფრანგ რიშარს, შემდეგ კი გადაეიდა ჩითახოეის საკუთრებაში. ფაბრიკაში სხვადასხვა დროს დასაქმებული იყო 300-400 მუშა. წლიურად მზადდებოდა საშუალოდ 500 ათასი მანეთის პროდუქცია.

სამრეწველო საქმიანობაში დაბრკოლება არც გრ. ადელხანოვს შეხვედრია. 1875 წელს მან თბილისში გამართა ტყავის გადამამუშავებელი და ფეხსაცმლის დამამზადებელი ქარხანა. ადელხანოეი ერთ-ერთ უმსხვილეს მრეწველ კაპიტალისტად ითვლებოდა, მაგრამ გადაწყვიტა აქციების გამოშვების გზით კიდევ უფრო გაეფართოებინა წარმოება. იგი სათავეში ჩაუდგა ტყავისა და ქეჩის წარმოების კავკასიის სააქციო საზოგადოებას, რომლის ძირითადი კაპიტალი 1,5 მლნ. მანეთს შეადგენდა. 1900 წელს ამ კომპანიის ფაბრიკაში 1000 მუშა იყო დასაქმებული. დამზადდა 1,3 მლნ მანეთის პროდუქცია. 1913 წელს ფაბრიკამ გამოუშვა 1,5 მლნ, ხოლო 1915 წელს 2,5 მლნ. მანეთის პროდუქცია[18].

საქართველოში დამზადებული თამბაქოს ფოთლის უდიდესი ნაწილი რუსეთში იგზავნებოდა, მაგრამ ნედლეულის გადამუშავება თბილისის ფაბრიკებშიც ხდებოდა. 1864 წელს ითვლებოდა 15 საწარმო. მომდევნო ხანს ამ დარგშიც მოხდა ტექნიკური გადატრიალება და წარმოების კონცენტრაცია. გაბატონდა ოთხი ფირმა, რომელთა საწარმოებში დასაქმებულმა 2 ათასმა მუშამ 1900 წელს დაამზადა 1,3 მლნ მანეთის მზა თამბაქო და პაპიროსი.

საქართველოში, მართალია, არ შექმნილა მსხვილი მანქანათ-სამშენებლო ქარხნები, მაგრამ მეტროპოლია გარკვეულ გასაქანს აძლევდა წვრილ მექანიკურ საწარმოებს. 1900 წელს მოქმედებდა ლითონდასამუშავებელი 13 ქარხანა 919 მუშითა და 905 ათასი მანეთის საწარმოო სიმძლავრეებით. 1913 წლამდე მათი რიცხვი გაიზარდა 22-დე, გამოშვებული პროდუქცია კი 2,3 მლნ მანეთამდე. ჯერ კიდევ 1882 წელს გ. იარალოემა გამართა თუჯსადნობი და ხელთმოსახმარი იარაღ-მანქანების დასამზადებელი ქარხანა, რომელიც 1901 წელს აქციონერული საზოგადოების ხელში გადაეიდა. ამ ქარხანამ, რომელშიც სხვადასხვა დროს 150-200 მუშა იყო დასაქმებული, 1901 წელს გამოუშვა 154 ათასი მანეთის, 1903 წ. – 455 ათასი მანეთის პროდუქცია, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მარტივი მანქანები[19].

კაპიტალიზმისათვის საერთოდ დამახასიათებელია სამრეწველო წარმოების კონცენტრაცია დიდ ქალაქებში და სხვა ცენტრებში. კოლონიური საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი როდი იყო.

ფაბრიკა-ქარხნების 90% თავმოყრილი იყო თბილისში, ბათუმსა და ჭიათურაში.

ქ. ბათუმმა, თურქეთისაგან განთავისუფლების შემდეგ, სწრაფად დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი საქართველო-ამიერკავკასიის ეკონომიკაში, სამთამადნო მრეწველობის მიერ შექმნილი პროდუქციის უცხოეთის ბაზრებზე ექსპორტირებაში. ბათუმის მრეწველობა ძირითადად ბაქოს ნავთობის გადამუშავებას, საექსპორტოდ გამზადებას ემსახურებოდა. ბათუმის პორტიდან უცხოეთში იგზავნებოდა ჭიათურის მანგანუმის საგრძნობი ნაწილიც. 1887 წელს ბათუმში მოქმედმა ნავთის ჭურჭლის (ტარის) ქარხნებმა დაამზადეს 4,4 მლნ. მანეთის პროდუქცია, 9 ჯერ მეტი ვიდრე დასავლეთ საქართველოს ყველა სხვა ქარხნებმა ერთად[20].

რუსეთის სამრეწველო ბურჟუაზია სუსტი იყო. ვერ ახერხებდა ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებას. ამიტომ რუსეთის მთავრობა თავისუფალ გასაქანს აძლევდა დასავლეთ ევროპულ ფირმებს. დასავლური კაპიტალი მნიშვნელოვანწილად აკონტროლებდა რუსეთის ეკონომიკას, კერძოდ მრეწველობას. უცხოურმა კაპიტალმა საკმაოდ მტკიცე პოზიციები დაიკავა სამხრეთ კავკასიაშიც. XIX-XX სს. მიჯნაზე ბაქოს ნავთობის ექსპორტის 67% მოდიოდა ნობელის, როტშილდისა და მანთაშევის ფირმებზე, ისინი ბატონობდნენ ბათუმის მრეწველობა-

შიც. 1902 წელს ნაეთის ჭურჭლის დამამზადებელმა 8 ქარხანამ გამოუშვა 8,9 მლნ. მანეთის პროდუქცია. მომდევნო 2 წელიწადში კონკურენციაში განცდილი მარცხის შედეგად ოთხი მექარხნე გაკოტრდა, მათი საწარმოები დაიხურა, ან გაიყიდა. გაბატონებული აღმოჩნდა სამი მაგნატი. ყოველის შემძლეებად ითვლებოდნენ როტშილდი, ნობელი და მანთაშევი. ისინი ასაქმებდნენ 3-4 ათას მუშას, ამზადებდნენ 8-10 მლნ მანეთის პროდუქციას.

სამთამადნო წარმოება. წარმოების კონცენტრაცია საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა სამთამადნო მრეწველობის ყველა დარგში (მანგანუმი, ქვანახშირი, ნაეთი და სხვ.). ამ პროცესებში ნეგატიურად მონაწილეობდა რუსული ხელისუფლება, ის მეტროპოლიის ინტერესთა შესაბამისად მოქმედებდა. რუსეთის იმპერატორსა და მის მთავრობას იმპერიის მრეწველობაში დასაელეთ ევროპული კაპიტალის დაბანდება დადებით მოვლენად მიაჩნდათ, იმპერიის განაპირა ქვეყნების ეროვნული ბურჟუაზიის ეკონომიკურ მომძლავრებაში კი დიდ საფრთხეს ხედავდნენ, ეროვნული მოძრაობის გაძლიერების მატერიალური საფუძვლების მომზადებად აღიქვამდნენ.

ჭიათურის მანგანუმის საბადოთა ექსპლოატაცია 1879 წელს დაიწყო. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ თვით მადნიანი მიწების ქართველი მფლობელები. მისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს უცხოელმა კაპიტალისტებმა, კერძოდ რკინა-ფოლადის მწარმოებელმა ფირმებმა, რადგან ფერომანგანუმი აუცილებელი იყო მაღალხარისხოვანი მეტალის წარმოებისათვის. აკაკი წერეთელმა კარგად გაითვალისწინა უცხოელ კაპიტალისტთაგან მომდინარე საფრთხე და ზემო იმერეთის მოსახლეობას, მადნიანი მიწის ნაკვეთთა მფლობელებს, სიფრთხილისკენ მოუწოდა. „ეხლა, როდესაც ქვაგუნდის ციებ-ცხელება გაჩენილა ჩვენში, დიდი და პატარა ყველა თურმე განგაშებს. აი რა შეიძლება მოხდეს: ზოგი სიღარიბით, ზოგი სულ წასულობით, ზოგი უმეცრებით სულ ტყუილ უბრალოდ დაკარგავენ ამ საშეილიშვილო საქმეს და ისეთის ხელში ჩაგდებენ, რომ თვითონვე საშვილიშვილო უღელათ დაუწყეთ კისერზე. და ბოლოს „არ ვიცოდით", „არ გვეგონაო" იწყონ თავის მართლება, მაგრამ ეს ვეღარ მოეხმარება მათ მაშინ, როდესაც შავი ქვის პატრონები თვითონ შავ მუშებად გადაიქცევიან და სხვის სამოწყალოდ დარჩებიან". იქვე აკაკი ლაპარაკობს მთამადნეულით საქართველოს სიმდიდრეზე და მოუწოდებდა ქართველებს ხელიდან არ გაეშვათ იგი. „ეს ჩვენს ქვეყანას კეთილდღეობას მომატებს, თუ ჩვენ გვექნა და თუ ხელიდან გავუშვით დაგველუპაეს"[21].

ასეთივე აზრი გამოთქვეს სერგი მესხმა და სხვა პუბლიცისტებმა. ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა კეთილმეოფელი ზეგავლენა მოახდინა ჭიათურის რაიონის მანგანუმის საბადოთა მფლობელებზე. უცხოელ კაპიტალისტებთან ურთიერთობის დროს ძალიან ფრთხილობდნენ, თავს იკავებდნენ მადნიანი მიწის ნაკვეთების გაყიდვისაგან. ცდილობდნენ, და არც თუ წარუმატებლად, თვითვე მოეგვარებინათ მადნის ამოღება-გაყიდვის პრობლემები. ოცი წლის განმავლობაში მანგანუმის ამოღება-დახარისხების მონოპოლია ქართველმა მრეწველებმა შეინარჩუნეს. ისინივე ახერხებდნენ მადნის გადაზიდვას რკინიგზის სადგურებამდე (შორაპანი, გომი) მაგრამ ძალიან ძვირი უჯდებოდათ (ფუთზე 15-20 კაპიკი). შავი ზღვის ნავსადგურებიდან მანგანუმის ექსპორტის საქმეში გაბატონდნენ უცხოელი ბიზნესმენები.

ცდილობდნენ რა მანგანუმის თვითღირებულების შემცირებას, თავის საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მოგების გაზრდას, ქართველმა მრეწველებმა დასვეს შორაპან-ჭიათურის რკინიგზის გაყვანის საკითხი. მისი გადაჭრა დაგვიანდა, შორაპან-ჭიათურის ვიწროლიანდაგებიან რკინიგზაზე მოძრაობა გაიხსნა 1895 წელს. ეს ფაქტი მარგანეცის მრეწველებს მიულოცა მიწათმოქმედების მინისტრმა ა. ს. ერმოლოვმა. მადლობის სიტყვებს მოელოდა მათგან, მაგრამ მინისტრს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ რუსეთის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძირითადი მიზანი იყო ჭიათურის მრეწველთა

ხარჯზე ხაზინის შემოსავლის გადიდება და ამიტომ დააწესა ამ მოკლე გზაზე მანგანუმის გადაზიდვის უპრეცენდენტო ტარიფი – ფუთზე 10 კაპიკი.

ჭიათურის საბადოთა ექსპლოატაციაში, მადნის გაწმენდა-დახარისხებაში რკინიგზით გადაზიდვისა და საგარეო ბაზრებზე გატანაში სხვადასხვა სოციალური ძალები მონაწილეობდნენ. შექმნილ სიმდიდრეს, ღირებულებას ინაწილებდნენ: საბადოთა მფლობელები და მადნის მომპოვებელ-გადამამუშავებელნი (მიწის რენტა და სამრეწველო მოგება), სახელმწიფო ხაზინა (რკინიგზის ტარიფი), უცხოელი ექსპორტიორები (საავაჭრო მოგება), საკრედიტო დაწესებულებები (კაპიტალის პროცენტი). ჭიათურის მრეწველობის საერთო შემოსავლიდან თაეის წილს, ხელფასის სახით, იღებდნენ მუშები.

ჭიათურის ქართველ მრეწველებს სწორად ჰქონდათ აღქმული ობიექტური სინამდვილე, იცოდნენ, რომ საბანკო კრედიტის, რკინიგზის, ექსპორტიორთა მონაწილეობის გარეშე მარგანეცის საქმეს ლოგიკურ დასრულებამდე ვერ მიიყვანდნენ, მაგრამ ცდილობდნენ, რომ სხვათა ხარჯზე სამრეწველო მოგება გაეზარდათ. პირველ ხანებში ქართველმა მრეწველებმა ყურადღება გაამახვილეს უცხოელ ექსპორტიორთა წინააღმდეგ ბრძოლაზე, რადგან ისინი ითვისებდნენ შექმნილი ღირებულების უდიდეს ნაწილს.

უცხოელ ექსპორტიორთა არახელსაყრელი შუამავლობის თავიდან აცილებისა და მსოფლიო ბაზარზე უშუალოდ, დამოუკიდებლად გასელისათვის საჭირო იყო ქართველ მრეწველთა გაერთიანება. გიორგი ზდანოვიჩმა (მაიაშვილმა) წამოაყენა სინდიკატის ჩამოყალიბების იდეა. შემუშავებული წესდების ძირითადი მუხლები ასეთი იყო: 1) მარგანეცის ამოღებისა და გაყიდვის რეგულირების, აგრეთვე ამ საქონელზე ნორმალური ფასის დაწესების მიზნით, რაც საშუალებას მისცემს მრეწველებს დაფარონ წარმოების ხარჯები და მიიღონ საავაჭრო მოგებაც, ყალიბდება „მარგანეცის მრეწველთა სინდიკატი". 2) სინდიკატში შესელის უფლება აქვთ ცალკეულ მრეწველებსა და მრეწველთა ჯგუფებს, რომლებიც ეწევიან მარგანეცის ამოღება-დამუშავებას საკუთარ ან იჯარით აღებული საბადოებიდან. 6) წევრებს უფლება არ აქვთ მარგანეცი გაყიდონ დამოუკიდებლად, სინდიკატის გამგეობის ნებართვის გარეშე. 9) სინდიკატში გაერთიანებულ მრეწველთა მიერ მოპოვებულ მთელ მადანს ყიდის სინდიკატის გამგეობა. 32) გაერთიანების გამგეობას უფლება აქვს სინდიკატის სახელით გააფორმოს ყოველგვარი ხელშეკრულებანი მარგანეცის შენახვის, გადაზიდვის და გაყიდვის მიზნით[22].

წესდებიდან ეს ამონარიდი ცხადყოფს, რომ სინდიკატის დამპროექტებელთა მთავარი მიზანი იყო უცხოელ ექსპორტიორთა განდევნა, მანგანუმის აღგილობრივ მრეწველთა უშუალო გასელა მსოფლიო ბაზარზე და ქართულ მანგანუმზე მაღალი ფასის შენარჩუნება. მაგრამ ქართველ მრეწველთა ასეთი მიზანდასახულება მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის მთავრობისათვის. მან უარი თქვა წესდების დამტკიცებაზე. სინდიკატი არ შექმნილა.

მაგრამ ქართველ მრეწველთა გაერთიანების ცდები გრძელდებოდა. 1901 წ. ოქტომბერში გაფორმდა „ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ამხანაგობა". მალე ამის შემდეგ შეიქმნა ამხანაგობები „შრომა" და „იმედი". 1902 წელს ზემოხსენებულმა ამხანაგობებმა ურთიერთს შორის გააფორმეს ხელშეკრულება და ჩამოაყალიბეს ერთიანი საზოგადოება „შაეი ქვა". მის მიზნად გამოცხადდა მანგანუმის საქმის სწორი ორგანიზაცია, მადნის ხარისხის გაუმჯობესება, მანგანუმის ყიდვა-გაყიდვის ცენტრალიზაცია. აირჩიეს გამგეობა, რომლის ფუნქციებში შეეიდა: მოსამსახურეების და მუშების მიღება-დათხოვნა, საწყობებისა და გემების დაქირავება, მარგანეცის გატანა-გაყიდვა, მოგებისა და ზარალის აღნუსხვა, ყოველთვიური ბალანსებისა და წლიური ანგარიშების შედგენა. წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ სუფთა მოგების 10% გადაირიცხებოდა სათადარიგო კაპიტალის ფონდში. 1% გაიცემოდა გამგეობის წევრებსა და მოსამსახურეებზე ხელფასის სახით,

ბრამსბერგების გამართვას დიდი კაპიტალდაბანდებანი სჭირდებოდა, რაც ქართველ მრეწველთა დიდი ნაწილის შესაძლებლობას აღემატებოდა. ასეთ პირობებში თანდათან გაძლიერდა უცხოური კაპიტალის შემოტევა. წერილ მრეწველთა არა ერთი საბადო გერმანული და ფრანგული ფირმების ხელში გადავიდა.

გ. ზდანოვიჩი, კ. აბაშიძე, ალ. გამრეკელი და ქართველი ბურჟუაზიის სხვა ლიდერები თავგამოდებით იბრძოდნენ დასავლეთ ევროპული კაპიტალის „მშვიდობიანი" შემოტევის შესაჩერებლად. ცდილობდნენ სახელმწიფო და კერძო ბანკებისაგან კრედიტების მიღებას, წარმოების ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის გაზრდას. 1910 წელს კიტა აბაშიძე მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ზდანოვიჩს რამდენიმე წერილს უგზავნის. აუწყებს, რომ საკრედიტო დაწესებულებაში ჩემს საქმიანობას დადებითი შედეგი არ მოჰყოლიაო. იქვე შიშს ამჟღავნებდა, „თუ ჩვენ ეს საქმე (კრედიტის მიღება – ა. ბ.) ვერ გავაკეთეთ, უსათუოდ გაგვეცლება ხელიდან მადნების საქმე"-ო. 1911 წ. 25 თებერვალს კ. აბაშიძისაგან გ. ზდანოვიჩისათვის გაგზავნილი ბარათიდან ჩანს, რომ „რუსეთ-აზიის" ბანკმა უარი თქვა ქართველი მრეწველთათვის კრედიტის გახსნაზე[26].

1912 წელს გ. ზდანოვიჩმა დახმარება სთხოვა რუსეთის სამთამადნო საქმეთა დეპარტამენტს. გულისტკივილით აუწყებდა ამ დაწესებულების უფროსს, რომ სახელმწიფო ბანკი და კერძო საკრედიტო დაწესებულებანიც ერიდებიან ჭიათურელ მრეწველთათვის კრედიტის გახსნას, ურომლისოდაც შეუძლებელია უცხოელ კაპიტალისტთა მოგერიება. მაგრამ სამთო დეპარტამენტმაც ხელი დაიბანა, დახმარება არ გაუწია ჭიათურელ მრეწველებს, უარი უთხრა საბადოს გირაოს ქვეშ კრედიტის მიცემაზე. ამ წარუმატებლობის შესახებ ზდანოვიჩმა თავის მეგობარსა და თანაშემწეს, კ. აბაშიძეს აცნობა. ეს უკანასკნელი რამდენიმე ხნის შემდეგ გ. ზდანოვიჩს სწერდა: თქვენმა წერილმა ძალიან ამაღელვა. რა უნდა უყოს კაცმა უცხოელ ეჯარ-ექსპორტიორებს. მაგათთან ბრძოლა ჩვენთვის დაუსრულებელი· იქნება და უბედურება ის არის, რომ მთავრობაც მაგათ 'უჭერს მხარს..., **რუსეთის მთავრობის პოლიტიკამ მარგანეცის საქმეში მოიტანა ის ნაყოფი, რაც მოსალოდნელი იყო.** დღეს ჭიათურა ორი ნემცის (ლაპარაკია გერმანული ფირმის, „მანგანსინდიკატის" ლიდერებზე – ა. ბ.) ხელშია და აწი რაც უნდათ იმას იზამენ[27].

მართლაც გერმანელებმა და აგერთვე ფრანგმა კაპიტალისტებმა ხელთ ჩაიგდეს ჭიათურის მანგანუმის საბადოთა მნიშვნელოვანი ნაწილი. 1913 წლისათვის მათ საკუთრებაში იყო 750 დესეტინა, ადგილობრივ ქართველ მრეწველთა კონტროლქვეშ კი რჩებოდა 1124 დესეტინა. უცხოურ ფირმათა შორის სიმძლავრით გამოირჩეოდა გერმანელ ბიზნესმენთა აქციონერული საზოგადოებანი – „გელზენკირხენი" და „კავკასიის საბადოთა ამხანაგობა". პირველის წამყვანი აქციონერები იყვნენ გერმანიის ფინანსური კაპიტალის მაგნატები და თვით იმპერატორი ვილჰელმი. მეორე ფირმას ძირითადად აფინანსებდა გერმანიის მეტალურგიული ქარხნების მფლობელი, უგვირგვინო მეფე კრუპი. გერმანულმა ფირმებმა ხელთ იგდეს ექსპლუატაციაში უკვე შესული მანგანუმის საბადოთა ერთი მესამედი (დაახლოებით 600 დესეტინა) და საკმაოდ გააუმჯობესეს მაღაროებისა და მადნის გამაუხვებელი ფაბრიკების ტექნიკური აღჭურვილობა[28]. მსოფლიო ომის წინა ხანებში წლიურად უშვებდნენ 13-14 მლნ ფუთ გარეცხილ-გაუხვებულ მადანს და აწოდებდნენ გერმანიის მატალურგიულ ქარხნებს, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ არმიის მაღალხარისხოვანი სამხედრო ტექნიკით და იარაღით აღჭურვაში[29].

რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით უცხოური ფირმები გაბატონდნენ სპილენძის მადნის მოპოვება-გადამუშავების სფეროში. ადრე ალავერდის და შამბლუღის მადნიანი მიწები ქართველ მემამულეთა საკუთრებაში იყო. XIX ს. 70-იან წლებში ამ საბადოებს დაეპატრონა რუსეთის ხაზინა, მაგრამ წარმოებაში გამაუმჯობესებული ცელილებები არ შეუტანია. რუსი მოხელეები მადნის მოპო-

ვება-გადამუშავებაში ერეკლე მეორის ტრადიციას აგრძელებდნენ, წარმოებას ბერძენი ოსტატების მეშვეობით ეწეოდნენ, წლიურად 2-5 ათას ფუთ სუფთა სპილენძს ღებულობდნენ. 1888 წელს რუსულმა ხელისუფლებამ სპილენძის საბადოები იჯარით მისცა ფრანგ მრეწველებს, 1900 წელს კი საკუთრებაში გადასცა ფრანგულ ფირმას. წარმოება გააგრძელა „კავკასიის სამრეწველო-მეტალურგიულმა საზოგადოებამ".

იგივე ფრანგული ანონიმური საზოგადოება დაეპატრონა აგრეთვე ბათუმის ოლქში აღმოჩენილ სპილენძის საბადოებს და მონოპოლური მდგომარეობა მოიპოვა სამხრეთ კავკასიის ფერად მეტალურგიაში. ფრანგულმა ფირმამ 1900 წელს ქვემო ქართლის საბადოებიდან ამოიღო 537 ათასი ფუთი მადანი, 1913 წელს კი – 4,5 მლნ. ფუთი. ამავე პერიოდში სუფთა სპილენძის გამოდნობა 20 ათასიდან 224 ათას ფუთამდე გაიზარდა. კიდევ მეტი მასშტაბი მიიღო სპილენძის წარმოებამ ბათუმის ოლქში. ფრანგულმა ფირმამ მურღულის ხეობაში გაიყვანა კარგი გზატკეცილი, ხოლო გზის პირიდან საბადოებამდე, რომელიც ზღვის დონიდან 1200 მეტრზე მდებარეობდა, გამართა საპაერო-საბაგირო გზა. მაღაროები და ქარხანა აღიჭურვა იმდროინდელი სრულყოფილი ტექნიკით. ყველაფერ ამაზე ფრანგმა კაპიტალისტებმა, მართალია, 3,5 მლნ. მანეთი დახარჯეს, მაგრამ წარმოების რენტაბელობის წყალობით, საბრუნავი კაპიტალი მალე შეავსეს და მიიღეს მნიშვნელოვანი მოგება. 1903 წელს მოპოვებული 1 მლნ. ფ. მადნიდან 23 ათასი სუფთა სპილენძი მიიღეს, 1913 წელს კი 13 მილიონი ფ. მადნიდან 206 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი[30]. სამწუხაროდ, ეს ტერიტორია და მაღალრენტაბელური საწარმოები საბჭოურ-კომუნისტურმა იმპერიამ 1921 წელს თურქეთს დაუთმო.

საქართველოს ქვანახშირის საბადოებით არც რუსეთის მთავრობა დაინტერესებულა და არც უცხოური კაპიტალი. ტყიბულში მონოპოლიური მდგომარეობა მოიპოვა და შეინარჩუნა ქართველ ბიზნესმენთა აქციონერულმა საზოგადოება „ნახშირა"-მ, ფირმას წარმოებაში დასაქმებული ჰყავდა 500-700 მუშა. მათ 1903 წელს მიწის წიაღიდან ამოიღეს 3,9 მლნ ფუთი, 1914 წელს კი 4,2 მლნ. ფუთი ქვანახშირი[31].

1913 წელს საქართველოს მრეწველობის ყველა დარგში აღირიცხა 1638 კაპიტალისტური საწარმო. მათში დასაქმებული 41 ათასი მუშა და სპეციალისტი აწარმოებდა 57 მლნ. მანეთის პროდუქციას, რომლის 80% შედარებით მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებზე მოდიოდა. საქართველო რუსეთის კოლონია იყო, მაგრამ რუსული სახელმწიფო და კერძო კაპიტალი აკონტროლებდა მხოლოდ მრეწველობის 10-15%-ს. რამდენადმე მეტი იყო დასაელეთ ევროპული კაპიტალის ხვედრითი წილი. ფაბრიკა-ქარხნების 70-% ეკუთვნოდა ადგილობრივ ქართველ და სომეხ ბიზნესმენებს. კონკრეტული მასალა ცხადყოფს, რომ საქართველო კოლონია იყო, მაგრამ აქაც მიმდინარეობდა წარმოების კონცენტრაციის პროცესი. ინდივიდუალურ კაპიტალს ავიწროვებდა აქციონერული (კოლექტიური) კაპიტალი. ადგილობრივი ბიზნესმენები ახერხებდნენ რუსული და უცხოური კაპიტალისათვის თავისი გაერთიანებული ნებისყოფა და რესურსები დაპირისპირებინათ.

ვაჭრობა და კრედიტის ფორმები. დაახლოებით ასეთივე სიტუაცია იყო ვაჭრობისა და კრედიტის სფეროში. იქაც გარკვეულ კონკურენციას უწევდა ერთმანეთს რუსული, უცხოური და ადგილობრივი კაპიტალი. შინა წერილ ვაჭრობაში სჭარბობდა წვრილი დაქსაქსული და კოოპერატიული გაერთიანებანი. რუსეთთან საგაჭრო კავშირებს ახორციელებდნენ შედარებით მსხვილი კომერსანტები, ადგილობრივი ნაწარმის დასავლეთის ბაზარზე გატანის სფეროში თითქმის გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდათ მოპოვებული უცხოელ ექსპორტიორებს.

1900 წელს ქ. თბილისში მოქმედებდა 2282 საგაჭრო დაწესებულება, რომელთა ბრუნვა უდრიდა 45 მლნ. მანეთს. 10 ათასიდან 50 ათას მანეთამდე წლიური ბრუნვა ჰქონდა 574 საგაჭრო დაწესებულებას, 50 ათასიდან 500 ათას მანეთამდე ბრუნვა – 140 ფირმას. ნახევარი მილიონი მანეთი და მეტი წლიური ბრუნვა მხო-

ლოდ სამ მსხვილ ფირმას. საქართველოს სხვა ქალაქებსა და მაზრებში, მართალია, საქმიანობდნენ საშუალო სიდიდის (10 ათასიდან 50 ათას მანეთამდე ბრუნვის) სავაჭრო დაწესებულებები, მაგრამ უფრო მსხვილი ფირმები არ შექმნილა[32].

თბილისი იყო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის სავაჭრო ცენტრი. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სატრანზიტო ვაჭრობაშიც. აქ იყო დაფუძნებული იმ რუს ბიზნესმენთა საქონლის საწყობები და კანტორები, რომელნიც ფართო სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ სპარსეთში. ირანული საქონელიც, მნიშვნელოვანწილად, თბილისის გავლით შედიოდა რუსეთში.

საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის კომერციული ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან ძირითადად ბათუმისა და ფოთის პორტების მეშვეობით ხორციელდებოდა. აქ იყვნენ მოკალათებული უცხოელი, აგრეთვე ადგილობრივ ბიზნესმენთა ფირმები, რომლებიც აწარმოებდნენ საქონლის ექსპორტსა და იმპორტს. 1909-1913 წწ. საქართველოს ნავსადგურებით უცხოეთში ყოველწლიურად საშუალოდ გადიოდა 92 მლნ. ფუთი საქონელი, რომლის ღირებულება უდრიდა 47 მლნ. მანეთს. უცხოეთიდან კი შემოდიოდა 11,5 მლნ. მანეთის საქონელი. იმავე ნავსადგურებით რუსეთში ყოველწლიურად გადიოდა 14,5 მლნ. ფუთი, ხოლო რუსეთიდან შემოდიოდა 24 მლნ. ფუთი საქონელი. სამხრეთ კავკასიას, სამთამადნო მრეწველობის განვითარების (ნავთი, მარგანეცი) წყალობით, საგარეო ვაჭრობის აქტიური ბალანსი ჰქონდა.

კაპიტალისტური ურთიერთობის გაფართოების ერთ-ერთი შედეგი და გამოხატულება იყო კაპიტალისტური საკრედიტო სისტემის შექმნა.

1874-1876 წწ. მოქმედება დაიწყო თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკებმა. ისინი სესხებს (კრედიტს) სცემდნენ როგორც მიწის, ისე ქალაქის ნაგებობათა გირაოს ქვეშ. განსაკუთრებით ნაყოფიერად საქმიანობდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ბანკი, რომელსაც 30 წლის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. 1875-1900 წწ. თბილისის ბანკმა გასცა 45 მლნ. მანეთის გრძელვადიანი და 4,6 მლნ. მანეთის მოკლეევადიანი კრედიტი. თბილისის საადგილმამულო ბანკის საკრედიტო ოპერაციები მთელ სამხრეთ კავკასიაზე ვრცელდებოდა. 1914 წლისათვის თბილისის გუბერნიის მოსახლეობაზე ირიცხებოდა სესხი 25 მლნ. მანეთის ოდენობით. ბაქოს გუბერნიაზე – 18 მლნ., ელიზავეტპოლის გუბერნიაზე – 3,3 მლნ., ერევნის გუბერნიაზე – 2,5 მლნ., ბათუმის ოლქზე – 2,2 მლნ., სოხუმის ოკრუგზე – 2,8 მლნ. მანეთის კრედიტი[33].

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ბანკმა 1875-1914 წწ. გასცა 108 მლნ. მანეთის კრედიტი. ამ ხნის განმავლობაში მისი მთელი შემოსავალი შეადგენდა 13,6 მლნ. მანეთს, სუფთა მოგება კი 7,4 მლნ. მანეთს. მოგებიდან ბანკის სხვადასხვა სახის საოპერაციო ფონდების შესაქმნელად გადაიდო 2,6 მლნ მან., საქართველოს მოსახლეობის განათლებასა და კულტურას მოხმარდა 2,4 მლნ მან., სასოფლო-სამეურნეო კაპიტალში გადაირიცხა 870 ათასი მანეთი[34]. ქუთაისის ბანკის ოპერაციების მასშტაბი და მოგება 4-5 ჯერ ნაკლები იყო.

1872 წ. იანვარში საკრედიტო ოპერაციების წარმოება დაიწყო თბილისის კომერციულმა ბანკმა. მისი დამფუძნებლები და მსხვილი აქციონერები იყვნენ ე. დავითაშვილი, ა. ევანგულოვი, მ. ამირხანოვი, ა. ბაბანოსოვი, ი. ზუბალაშვილი, პ. ნადირაძე, ნ. ფრიდონოვი, პ. ნაკაშიძე და სხვები. ბანკის ძირითადი კაპიტალი XIX ს. 80-იან წლებში შეადგენდა 1 მლნ მანეთს, ხოლო XX ს. დამდეგს 2 მლნ მანეთამდე გაიზარდა. ბანკის ფუნქციები იყო: თამასუქებისა და სხვადასხვა სავაჭრო გარიგებათა დისკონტი. ფულის გადარიცხვა რუსეთისა და უცხოეთის ქალაქებში, სახელმწიფო და კერძო პროცენტიანი ქაღალდების და ძვირფასი ლითონების მიმოქცევა, ანაბრების მიღება და გაცემა კრედიტებისა, რაც ესოდენ საჭირო იყო ვაჭარ-მრეწველთა დიდი ნაწილისათვის.

კომერციულმა ბანკმა მალე მოიპოვა მოსახლეობის ნდობა. მასში შეტანილ იქნა ანაბრები: 1972 წ. – 5,5 მლნ მანეთი, 1890 წ. – 25,1 მლნ, 1885 წ. – 40 მლნ

მანეთი. პროცენტიანი ქაღალდების, თამასუქებისა და საქონლის გირაოს ქვეშ ბანკმა გასცა კრედიტები: 1878 წ. – 6,9 მლნ მანეთი, 1882 წ. – 8,3 მლნ, 1896 წ. – 15 მლნ. მანეთის ოდენობით. თბილისის კომერციული ბანკის ოპერაციათა დიდი მასშტაბი აისახებოდა მისი სალაროს ბრუნვის ზრდაში. 1872 წელს სალაროს დებეტი და კრედიტიც თითქმის თანაბარი იყო და უღრიდა 15 მლნ მანეთს. 1878 წ. – 44 მლნ, 1890 წ. – 80 მლნ, 1896 წელს 157 მლნ მანეთს. ბანკის დამფუძნებლებმა თავის კაპიტალზე დივიდენდების სახით მიიღეს: 1872 წელს -10%, 1882 წ. – 18%, 1900 წ. 18%. ასეთი მაღალი მოგების შედეგი იყო ბანკის აქციათა კურსის ზრდა. მისი 200 მანეთიანი აქცია თბილისის, პეტერბურგისა და მოსკოვის ბირჟაზე 1895-1900 წლებში იყიდებოდა 491-565 მანეთად[35].

XIX ს. 80-90-იან წლებში საქართველოს ქალაქებსა და ზოგიერთ დაბებში გაიხსნა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებანი, სახელმწიფო ბანკისა და რუსეთში მოქმედი კერძო ბანკების განყოფილებანი. ბანკების როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა XX ს-ის დამდეგიდან. ისინი აღარ კმაყოფილდებოდნენ კაპიტალისტთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის საშუამავლო ოპერაციებითა და კრედიტების გაცემით. თბილისის კომერციულ ბანკმა თავის ხარჯით უცხოეთში გაგზავნა: 1910 წელს – 4,8 მლნ. ფ. მანგანუმი. 1912 წ. – 10 მლნ. ფ., 1913 წ. – 7,7 მლნ. ფუთი მანგანუმი. ამ საქმეს ხელი მიჰყვეს რუსეთ-აზიისა და აზოვ-დონის ბანკებმა[36]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სათავადაზნაურო ბანკმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კახეთის რკინიგზის დაფინანსებასა და მშენებლობაში.

კაპიტალიზმის განვითარების, მისი ეკონომიკურ-სოციალური სისტემის შექმნის შედეგი იყო ურბანიზაციის პროცესის დაჩქარება. ქალაქის მოსახლეობის ზრდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. საქართველოს კოლონიური მდგომარეობის გამოხატულება იყო ჯერ ერთი, ის რომ სოფლის მეურნეობის განვითარებით რუსეთის დაწინაურებული გუბერნიების დონეზე იდგა, მრეწველობის განვითარებით კი დიდად ჩამორჩებოდა მეტროპოლიას. და მეორე – ბურჟუაზიის რიგებში სჭარბობდა რუსებისა და სხვა უცხოტომელ ბიზნესმენთა რიცხვი, მათ მიერ დაქირავებულთა შორის კი გაცილებით მეტი იყო ქართველი მუშების რაოდენობა. სხვა ტომელ კაპიტალისტებსა და ქართველ მუშებს შორის არსებობდა როგორც ეროვნული, ისე სოციალური ანტაგონიზმი. საქართველოს პროლეტარიატი ავსებდა გამანთავისუფლებელი მოძრაობის როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ ნაკადს.

---

1. საქართველოს სცსა, ფ. 17, საქ. 3621, ფურც. 32-34; ფ. 414, საქ. 3, ფურც. 395-396.
2. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, 1801-1921, თბ., 1999, გვ. 138-139.
3. ნ. ნიკოლაძის არქივი (ეროვნულ ბიბლიოთეკაში), საბ. №40/149.
4. საქართველოს სცსა, ფ. 1915, ან. 1, საქ. 2019, ფურც. 3-4.
5. კ. ჩარკეიანი,. მეღვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, 1960, გვ. 99-100.
6. Сборник статистических сведении по Закавказскому краю, 1902 г., გვ. 194-195.
7. ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 211-212.
8. А. Аргутинский-Долгоруков, История сооружения и эксплуатации Закавказской железной дороги, Тб., 1896, გვ. 11.
9. ა. არღუტინსკი-დოლგორუკოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.
10. Кавказский Календарь на 1914 год, отд. статистически.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 97-98.

12. Краткий обзор коммерческой деятельности Закавказской железной дороги за 1903 г. и 1913 г.
13. საქართველოს სცსა, ფ. 286, საქ. 1, ფურც. 1-4; ფ. 287, საქ. 177, ფურც. 253-267; საქ. 24, ფურც. 10-30.
14. მ. მირიანაშვილი, კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში (სპირტის, არყისა და კონიაკის წარმოება), თბ., 1980, გვ. 6-144.
15. ჟურ. „მაცნე", 1958, №1, გვ. 95-97.
16. ს. ბოცვაძე, საქართველოს მეაბრეშუმეობის მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური მიმოხილვა, ქუთაისი, 1958, გვ. 45-46.
17. იქვე, გვ. 67-68.
18. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 112-123.
19. იქვე, გვ. 91.
20. Обзор Кутаисской губернии за 1887 г., გვ. 16.
21. გაზ. „დროება", 1880, №5.
22. საქართველოს სცსა, ფ. 476, ანაწ. 1, 361, ფურც. 201.
23. Договор Общества «Шави ква», Кутаиси, 1902 г.
24. Статистика марганцевого дела, 1902 г., გვ. 48-51.
25. Статистика марганцевого дела за 1913 г., გვ. 8.
26. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, გ. ზდანოვიჩის არქივი, საბუთი 1802.
27. იქვე, საბუთი 2007.
28. გ. მარგიანი, სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რეფორმამდელ საქართველოში, თბ., 1968, გვ. 260-277.
29. საქართველოს სცსა, ფ. 417, საქ. 257, ფურც. 3-6.
30. Отчет Кавказского горного управления за 1913 г. გვ. 71-75.
31. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, გვ. 143-146.
32. Сборник статистических сведении по Закавказскому краю, 1902, გვ. 67-75.
33. Отчет Тиф. дв. земельного банка за 1914 г., გვ. 54-55.
34. Доклад по вопросу о развитии Тиф. банка, გვ. 12-13.
35. ჰ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. 2, გვ. 361-380.
36. Статистика марганцевого дела за 1913 г., გვ. 90-95.

თავი IV

რუსეთის კოლონიური პოლიტიკა რელიგიის, განათლებისა და კულტურის სფეროში

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში (XIX ს-ის II ნახევარი)

საქართველოში რუსული ეკლესიის მართვის სისტემის განმტკიცება და მისი შედეგები. როგორც უკვე აღინიშნა, XIX ს-ის II ნახევრისათვის რუსეთმა ფაქტობრივად და იურიდიულად დაიკანონა თავისი ბატონობა ამიერკავკასიაში, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა და შავი ზღვის სანაპიროზე.[1] 1864 წელს მთელი კავკასიის შემოერთების პროცესი დაასრულა. კავკასიის ომები მთიელთა მხრივ სარწმუნოებრივი, მიურიდიზმის ნიშნით წარიმართა და საღვთო ომში გადაიზარდა. კავკასიის ომის დასრულების შემდეგაც კავკასიის მთიელთა კონფესიური ანტაგონიზმი, ბუნებრივია, რუსეთის იმპერიისათვის დასაძლევ პრობლემას წარმოადგენდა. ამდენად, რუსეთის უმაღლესმა საერო და სასულიერო ხელისუფლებამ სარწმუნოებრივ ფაქტორს, კერძოდ მართლმადიდებლობას, რუსულ ეკლესიას ამ რეგიონის შემომტკიცებისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მისია დაკისრა. XIX ს-ის 60-იან წლებში იმპერიის უმაღლეს ხელისუფალთა მხრივ კავკასიის მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამია: „კავკასია უნდა დაიპყროთ ხელმეორედ და ამ შემთხვევაში სრულიად სხვა იარაღით. სასულიერო გამარჯვების გარეშე არ იქნება მყარი ფიზიკური დაპყრობა. ასეთი გამარჯვება არის სარწმუნოებრივი გამარჯვება".[2]

ცნობილია, რომ XIX საუკუნის შუა წლებში ნიკოლოზ I-ის (1825-1855 წწ.) საეკლესიო პოლიტიკამ გამოიწვია მთელი საეკლესიო უწყების – ცენტრალური, ეპარქიალური, სამრევლო თუ სამონასტრო მმართველობის ბიუროკრატიზაცია, რუსეთის იმპერიაში საბოლოოდ დამთავრდა სახელმწიფო ბიუროკრატიულ აპარატთან საეკლესიო მმართველობის სრული შერწყმა. ამ პერიოდში ჩამოყალიბებულმა ეკლესიის მართვის სისტემამ პრაქტიკულად 1917 წლამდე იარსება. ის გამოირჩეოდა იერარქიული ადმინისტრაციული სტრუქტურით: მართლმადიდებლური ეკლესიის სათავეში, რომელიც სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა, იდგა რუსეთის იმპერატორი. მას უშუალოდ ექვემდებარებოდა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი, რომლის საშუალებით უწმინდესი სინოდი ქეეჟნის იმპერატორთან ურთიერთობდა.[3] ობერ-პროკურორის კანცელარია განაგებდა სასულიერო კონსისტორიებს, რომლებიც თავის მხრივ მმართველობდნენ მათ უფლებამოსილებაში არსებულ ეკლესიებს, სასულიერო პირებს, ხოლო უწმინდესი სინოდის და მისი კანცელარიის მეშვეობით იმართებოდა რუსეთის ეპარქიები, საეკლესიოები, ეპარქიალური სახლები და ამ უწყებათა მომსახურე სასულიერო პირები.

უწმინდესი სინოდის განმგებლობაში უწყებრივად შედიოდა, აგრეთვე, ორი სინოდალური კანტორა: 1. მოსკოვის სამიტროპოლიტოს სინოდალური კანტორა; 2. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომელიც თბილისში მდებარეობდა და საქართველოს საეგზარქოსოს ბიუროკრატიულ აპარატს ემსახურებოდა. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელი იყო საქართველოს ეგზარქოსი.

საქართველოს საეგზარქოსო, როგორც ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის გარუსების საქმეში საყრდენი სასულიერო უწყება, იმპერიის კოლონიური მიზნების განხორციელებისათვის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა. რუსეთის ეკლესიის ამ საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი – საქართველოს ეგზარქოსი, დიდი უფლებამოსილებით სარგებლობდა. მისი კანდიდატურა საგანგებოდ შეირჩეოდა და უწმინდესი სინოდის წარდგინებით თანამდებობაზე რუსეთის იმპერატორის მიერ მტკიცდებოდა. რამ-

დენადაც რუსული ეკლესიის როლი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო, ეგზარქოსის თანამდებობას, როგორც რუსეთის სასულიერო ბიუროკრატიული ხელისუფლების წარმომადგენლისას, დიდი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. საქართველოს პირველი ეგზარქოსის, ვარლამ ერისთავის შემდეგ, ამ თანამდებობაზე რუსი ეროვნების, იმპერიის ინტერესების ერთგული პირები ინიშნებოდნენ. მათ არ იცოდნენ საკუთარი სამწყსოს ენა, ხშირ შემთხვევაში პატივს არ სცემდნენ ქართველი ხალხის ძირძველ კულტურას და ისტორიას. თავად ერთ-ერთი რუსი მკვლევარი აღნიშნავდა: „თუ რომელიმე ქართველი გადაწყვეტს რუსი ეგზარქოსების უზურპატორულ ქმედებებზე ნამდვილი ისტორიის დაწერას, გაწითლება მოგვიხდება, იმდენად არცხვენენ ისინი რუს სამღვდელოებას".[4]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საეგზარქოსოს ბიუროკრატიული აპარატის ფუნქციონირების ხარჯები რუსეთის სახელმწიფო ხაზინიდან არ ფინანსდებოდა. თანხები საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის საშტატო განრიგისა და სხვა საჭიროების უზრუნველსაყოფად გამოიყოფოდა საქართველოს საეგზარქოსოს შემოსავლებიდან და საეკლესიო ხაზინიდან.[5]

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის საშტატო განრიგს შეიმუშავებდა თავად კანტორა და უწმინდესი სინოდის წარდგინებით, საბოლოოდ ამტკიცებდა იმპერიის უმაღლესი ხელისუფალი.[6] საეგზარქოსოს კანცელარიისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შემადგენლობა, მომსახურე პერსონალის რაოდენობა, ხელფასები, ჩინები, საპენსიო განაკვეთი დროის მოთხოვნებისა და კონკრეტული გარემოებების შესაბამისად, რუსეთის უწმინდესი სინოდის ნებართვით იცვლებოდა.

XIX ს-ის II ნახევრისათვის რუსეთის იმპერიაში დამთავრდა საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის პროცესი, საეკლესიო მმართველობის ბიუროკრატიზაციის პარალელურად ის მოარგეს საეკლესიო მართვის რუსულ მოდელს და კავკასიის რეგიონში ერთმორწმუნე ქართველთა, მაჰმადიან მთიელთა, კავკასიის სხვადასხვა აღმსარებლობის მოსახლეობის რუსიფიკაციის და ასიმილაციის საკმაოდ ქმედით უწყებად აქციეს. ამ დროიდან საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკური მოღვაწეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში შეფასებულია ახალ ეტაპად, როდესაც თვალსაჩინო გახდა ის უმძიმესი შედეგები, რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა.[7]

XIX ს-ის II ნახევრისათვის საქართველოს საეგზარქოსო ადმინისტრაციულ-სტრუქტურულად შედგებოდა: საქართველოს (ქართლ-კახეთის) ეპარქიისაგან, რომელსაც განაგებდა უშუალოდ საქართველოს ეგზარქოსი; აგრეთვე, იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ეპარქიებისაგან. საქართველოს ეპარქიაში დაარსდა საეპიკარო (ქ. გორში), რომელსაც გორის ეპისკოპოსი განაგებდა. ეპარქიათა მმართველები, ეპისკოპოსები, რუსეთის უწმინდეს სინოდთან ურთიერთმიმართებას საქართველოს ეგზარქოსისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მეშვეობით ამყარებდნენ.[8] ეპარქიებში სასულიერო პირთა ხელდასხმა დაუშვებელი იყო .საეგზარქოსოს კანცელარიასთან და საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან შეთანხმების გარეშე. ეპარქიებში სრულყოფილი კონტროლის მიზნით, უწმინდესი სინოდის დადგენილებით, საშუალოდ ყოველ 10 ეკლესიაზე დაწესებული იყო ბლაღოჩინის, ანუ კეთილმოწესის შტატი, რომელიც სინოდალური კანტორის მიერ შედგენილი ინსტრუქციით მოქმედებდა და ევალებოდა საეკლესიო, სასულიერო პირთა მეთვალყურეობა.

საეგზარქოსოში მიმდინარე საეკლესიო მოვლენების, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ეპარქიების მმართველები ანგარიშვალდებულნი იყვნენ საქართველოს ეგზარქოსისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის, ხოლო ეს უკანასკნელი კი უშუალოდ რუსეთის უწმინდესი სინოდის წინაშე. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას ევალებოდა ყოველწლიურად ეპარქიათა

ანგარიშებზე დაყრდნობით უწმინდესი სინოდისათვის გაეგზავნა საეგზარქოსოში მიმდინარე საეკლესიო საკითხების შესახებ დეტალური ანგარიში.[9]

საქართველოს საეგზარქოსოში შემავალი ეპარქიების საზღვრები რუსეთის მიერ კავკასიაში დადგენილი ადმინისტრაციული დაყოფის საზღვრებს შეესაბამებოდა. ეპარქიათა საზღვრების ცვლილება, ძველის გაუქმება, ახლის შექმნა – ეს პროცესები, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციისა და რუსიფიკაციის მიზნით, გარკვეული პოლიტიკური, ადმინისტრაციული თუ მისიონერული მოსაზრებით (მისიების ინტერესების გათვალისწინებით) იგეგმებოდა.

XIX ს-ის II ნახევარში საქართველოს საეგზარქოსოში შემდეგი ადმინისტრაციული ცვლილებები აღინიშნა: 1851 წელს სამისიონერო საქმის უკეთ წარმართვის მოტივით შეიქმნა აფხაზეთის დამოუკიდებელი ეპარქია, რომლის მრევლი და ტერიტორია მანამდე იმერეთის ეპარქიაში შედიოდა. 1869-1885 წლებში ეს ეპარქია კვლავინდებურად იმერეთის ეპარქიის შემადგენლობაში შეიყვანეს; ხოლო 1885 წელს, სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით და იმპერატორის ბრძანებით, ისევ აღადგინეს სოხუმის ეპარქიის სახელწოდებით.

ქუთაისის გუბერნიასთან სამეგრელოს მიერთების შედეგად, 1874 წელს, ასევე გაუქმდა და იმერეთის ეპარქიას შეუერთდა სამეგრელოს დამოუკიდებელი საეპარქიო კათედრა. ამ უკანასკნელის ადგილას შეიქმნა საეკარო, რომელსაც სამეგრელოს ეპისკოპოსი განაგებდა. 1878 წელს გურიის ეპარქია მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ბერლინის შეთანხმების თანახმად, შემოერთებული ოლქების ხარჯზე. 1885 წელს გურიის და სამეგრელოს ეპარქიები გაერთიანდნენ. ახალ საეკლესიო-ადმინისტრაციულ უწყებას გურია-სამეგრელოს ეპარქია ეწოდა. 1875 წელს დაარსდა ელადიკავკაზის ეპარქია, რომელიც საეგზარქოსოს შემადგენლობაში შევიდა როგორც სავიკარო. 1885 წელს ელადიკავკაზის სავიკაროს მიუერთეს მოზდოკის, დაღესტნისა და თერგის ოლქები და ის საქართველოს საეგზარქოსოში შემავალ დამოუკიდებელ ეპარქიად გარდაქმნეს.[10]

ამრიგად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს საეგზარქოსო დაიყო ხუთ ეპარქიად: „1) საქართველოს ეპარქია (12 მონასტერი, 485 ეკლესია), რომლის შემადგენლობაში შედიოდა თბილისის, ბაქოს, ელიზავეტოპოლის და ერევნის გუბერნიები, ყარსის ოლქი, დაღესტნისა და იმიერკავკასიის რეგიონები; 2) იმერეთის ეპარქია (8 მონასტერი, 478 ეკლესია), რომელიც მოიცავდა ქუთაისის გუბერნიას, შორაპნისა და რაჭის მაზრებს; 3) ყლადიკავკაზის ეპარქია (2 მონასტერი, 122 ეკლესია), რომლის ფარგლებში იყო ჩრდილოეთ ოსეთი და თერგის ოლქი; 4) გურია-სამეგრელოს ეპარქია (5 მონასტერი, 407 ეკლესია), რომლის შემადგენლობაში შედიოდა ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრები და ბათუმის ოლქი; 5) სოხუმის ეპარქია (1 მონასტერი, 46 ეკლესია)".[11] საქართველოს ეპარქიის უშუალო მმართველად ითვლებოდა საქართველოს ეგზარქოსი. ამ ეპარქიაში მოქმედებდა მოზდოკის, ბაქოს, ერევნის, გორის და ალაევერდის (1886 წლიდან) სავიკაროები, ხოლო დასავლეთ საქართველოში იმერეთის ეპარქიაში 1875-1885 წლებში შეიქმნა მხოლოდ ერთი, სამეგრელოს საეკარო.

ეპარქიები რუსეთის იმპერიაში იყოფოდა 3 კლასად: პირველ კლასს განეკუთვნებოდნენ სამიტროპოლიტო, მეორეს საარქიეპისკოპოსო, ხოლო – მესამეს საეპისკოპოსო რანგის ეპარქიები.[12] ეპარქიის კლასის მიხედვით, ძირითადად, საშტატო და სახელფასო განრიგი დგინდებოდა. მაღალი კლასის ეპარქიის სასულიერო პირებს, შესაბამისად, მაღალი სახელფასო განრიგი უწესდებოდათ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საეგზარქოსოში პირველი კლასის ეპარქია არ არსებობდა. მეორე კლასს მხოლოდ საქართველოს (ქართლ-კახეთის) ეპარქია მიაკუთვნეს, ხოლო დანარჩენი მესამე კლასის ეპარქიებად ჩათვალეს. აღსანიშნავია, რომ 1863 წელს ეპარქიების კლასებად დაყოფა გაუქმდა.

XIX ს-ის II ნახევარში შეიცვალა საქართველოს ეგზარქოსის ტიტულატურა. 1858 წლიდან საქართველოს ეგზარქოსს, რომელიც აქამდე მიტროპოლიტის ხარისხს ატარებდა, მთავარეპისკოპოსის ხარისხი მიენიჭა. რუსეთის უწმინდეს სინოდში ოთხი მუდმივი წევრიდან მხოლოდ საქართველოს ეგზარქოსი იყო მთავარეპისკოპოსის ხარისხით წარმოდგენილი; დანარჩენი სამი – კიევის, სანკტ-პეტერბურგის და მოსკოვის სამიტროპოლიტოების მმართველები იყვნენ და მიტროპოლიტის ხარისხს ატარებდნენ. უწმინდეს სინოდში საქართველოს ეგზარქოსს კელავე მეოთხე ადგილი ეკავა. ამდენად, რუსეთის საეკლესიო იერარქიაში საქართველოს საეგზარქოსოს, ყოფილ ავტოკეფალურ ეკლესიას, უფრო დაბალი იერარქიული სტატუსი მიენიჭა, ვიდრე რუსეთის იმპერიის სამიტროპოლიტოებს.

XIX ს-ის II ნახევარში საქართველოს საეგზარქოსოში დასრულდა საეკლესიო მამულების სახაზინო ფონდში გადასვლის (სეკულარიზაცია) ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს-ის I ნახევარში დაიწყო. 1869 წელს აღმოსავლეთ საქართველოში, იმპერატორის ალექსანდრე II ბრძანებით, დასახლებული თუ დაუსახლებელი საეკლესიო მიწები, ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონება სამუდამოდ გადავიდა ხაზინის საკუთრებაში, ამასთან საეკლესიო გლეხებს სახაზინო გლეხების სტატუსი მიეცათ. იმერეთსა და გურიაში საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის პროცესი 1871 წელს დამთავრდა, ხოლო სამეგრელოში 1880 წელს. არასრული მონაცემებით, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საეკლესიო მიწების რაოდენობამ 539649 დესეტინა შეადგინა, საეკლესიო გლეხთა რაოდენობამ 15147 კომლი; საეკლესიო მიწების ფართი შეფასდა 680031250 მანეთად, რაც რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები იყო. სახელმწიფო ხაზინამ სოლიდური შემოსავალი გაიჩინა. საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონების წლიური შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში 68015125 მანეთით განისაზღვრა, აქედან საქართველოს საეგზარქოსოს ყოველწლიურად ამ მამულების საკომპენსაციოდ მხოლოდ 106000 მანეთი ეძლეოდა. საეკლესიო მამულების სეკულარიზაციით შეილახა საქართველოს ეკლესიის ქონებრივი დამოუკიდებლობა, სამღვდელოება პირდაპირ დამოკიდებული გახდა სახელმწიფო ხაზინაზე.[13]

რუსეთის ხელისუფლებამ სახელმწიფო ხაზინაში სოლიდური თანხების მოზიდვა სანთლის წარმოებითაც შეძლო. XIX საუკუნის I ნახევარში სანთლის წარმოება-გაყიდვის ოპერაციები კერძო პირებს აეკრძალათ და მთლიანად სამღვდელოების ხელში გადავიდა. ამონაგები თანხები ხელისუფლების მხრივ მკაცრად კონტროლდებოდა. ამავე საუკუნის II ნახევარში, 1866 წელს, უწმინდესი სინოდის ბრძანებულების საფუძველზე თბილისში დაარსდა სანთლის ქარხანა, რის შედეგადაც სანთლის წარმოება გაფართოვდა, ხოლო სახელმწიფო ხაზინაში მისი რეალიზაციით მიღებული შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა. ქარხანა სანთლით ამარაგებდა საქართველოს (ქართლ-კახეთის), იმერეთის და ელადიკავკაზის ეპარქიებს. 1895 წელს სანთლის ქარხანა იმერეთის ეპარქიაშიც ამოქმედდა.[14]

საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო შემოსავლებით სახელმწიფო ხაზინაში მობილიზებული თანხებიდან სასულიერო პირებს დაენიშნათ ჯამაგირი, ანუ ისინი, რუსული ეკლესიის მსახურთა მსგავსად, სახელმწიფო მოხელეებად გადაიქცნენ. საქართველოს საეგზარქოსოს ეპარქიებში მომსახურე სასულიერო პირთა ჯამაგირი განისაზღვრებოდა სამრევლოების რაოდენობის, ეპარქიის კლასის მიხედვით. საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო პირთა წლიური ჯამაგირი ჩამორჩებოდა რუსეთის შიდა გუბერნიების სამღვდელოების ანაზღაურებას. განსხვავდებოდა აგრეთვე ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების ჯამაგირიც. სასულიერო პირთა წლიური ანაზღაურება სიმცირის გამო სრულად ვერ უზრუნველყოფდა მათ მოთხოვნებს. ამიტომ სახელმწიფო კანონმდებლობით ძალაში დარჩა ნატურალური გადასახადი – დრამა (ხორბალი, ღვინო და ა. შ.), რომელიც სამღვდელოების სასარგებლოდ უნდა გაეღო მრევლს, ყველა კატეგორიის გლეხის თითოეულ კომლს. ამასთან, საღვთისმსახურო-რელიგიური მომსახურე-

ბისათვის მორწმუნე მღვდელს უხდიდა გარკვეულ თანხას. თავდაპირველად გადასახდელი თანხა სხვადასხვა ეპარქიებში განსხვავებული იყო, რადგან ის მრევლისა და მღვდლის შეთანხმებით დგინდებოდა. XIX ს-ის 80-იან წლებში საქართველოს საეგზარქოსოს გადაწყვეტილებით შემოიღეს რელიგიური კულტმსახურებისათვის გადასახდელი თანხის ერთიანი ნიხრი.[15]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გადასახადების დაწესებული ფორმა მეტად აკნინებდა სასულიერო პირების რეპუტაციას. ხშირ შემთხვევაში სამღვდელოების წარმომადგენლები გადასახადების აკრეფის მიზნით თავად დადიოდნენ ოჯახებში. მოსახლეობის დიდ ნაწილს, სიღარიბის გამო, საშუალება არ ჰქონდა გადაეხადა სავალდებულო-ნატურალური თუ ფულადი გადასახადი. სამღვდელოების გარკვეული ნაწილი საეკლესიო წეს-ჩვეულებებს საფასურის გარეშე არ ასრულებდა. ადგილი ჰქონდა გადასახადების ძალდატანებით ამოღების შემთხვევებს. სასულიერო პირთა ინგარების გამო XIX ს-ის II ნახევარში მნიშვნელოვნად შეირყა სამღვდელოთა ავტორიტეტი, მათი კავშირი მრევლთან, დაირღვა მათ შორის კეთილგანწყობა. ქართველი სამღვდელოების მოწინავე ნაწილი შექმნილი მდგომარეობის გამო შეშფოთებას გამოთქვამდა. 1899 წელს საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების ყრილობამ დასვა საკითხი გადასახადის ამოღების არასასურველი ფორმის შეცვლაზე. დადგინდა დაწესებული ნატურალური გადასახადი შეცვლილიყო ფულადით, თანხები შესულიყო ხაზინაში და მხოლოდ აქედან გაცემულიყო სასულიერო პირებზე. თუმცა, ხელისუფლებამ აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება გააჭიანურა.[16]

სამისიონერო საქმიანობა. XIX საუკუნის II ნახევარში კავკასიაში სამისიონერო საქმის გააქტიურებამ რუსეთის იმპერიისათვის სახელმწიფო მნიშვნელობა შეიძინა, რაც დაკავშირებული იყო კავკასიის ომების დამამთავრებელ ეტაპთან. იარაღით დაპყრობილი კავკასიელი მთიელების დამორჩილება, მათი რუსიფიკაცია და ასიმილაცია ქრისტიანული რელიგიის დახმარებით უნდა განხორციელებულიყო.

„ოსეთის სასულიერო კომისიამ", რომელმაც XIX ს-ის I ნახევარში კავკასიის მთიელ მოსახლეობაში ფართო სამისიონერო მოღვაწეობა გაშალა, ამ პერიოდისათვის თავისი მისია შეასრულა. ლიტერატურაში არსებული მონაცემების მიხედვით, 1851-1860 წლებში საქართველოს საეგზარქოსოს საზღვრებში მართლმადიდებლობაზე 20000 ადამიანი მოექცა.[17] მიუხედავად ამისა, კავკასიის რეგიონში სახეზე იყო მთიელთა განსაკუთრებული მიდრეკილებები მიურიდიზმისაკენ, აგრეთვე, მტრული დამოკიდებულება მართლმადიდებელი სამღვდელოების მიმართ. „ოსეთის სასულიერო კომისია" ეეღარ პასუხობდა რუსეთის იმპერიის კოლონიურ ინტერესებს.

კავკასიის მეფისნაცვალი ა. ბარიატინსკი (1856-1862) პეტერბურგში კავკასიის კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში, ასაბუთებდა რა კავკასიაში სამისიონერო სამუშაოების გააქტიურებისათვის განსაკუთრებული საზოგადოების დაარსების აუცილებლობას, აღნიშნავდა: „მართლმადიდებლური სარწმუნოება რუსეთის უმთავრეს სახალხო ძალას წარმოადგენს... საჭიროა რომ ყოველმა რუსმა თავისი სამშობლოს სადიდებლად ამაგი დასდოს და წვლილი შეიტანოს მართლმადიდებლობის გავრცელების საქმეში. ჩვენ გვჭირდება საერთო ძალისხმევა. რასაც ვერ გააკეთებს ერთი რუსი, იმას შეძლებს მთელი რუსეთი."[18] 1860 წელს გაუქმდა „ოსეთის სასულიერო კომისია", მის განკარგულებაში არსებული თანხები გადაეცა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას", რომელიც იმავე წელს დაარსდა. აღსანიშნავია, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა. ამ ორგანიზაციის მიზანი კავკასიის ადგილობრივ, მაჰმადიან მოსახლეობაში მართლმადიდებლობის გავრცელება, სარწმუნოების შეტანის გზით მათში რუსული მენტალობის ჩამოყალიბება და გარუსება იყო. საზოგადოების მატერიალური უზრუნველყოფისათვის რუსეთის სამეფო კარმა და სახელმწიფო ხაზინამ დიდძალი ფინანსური სახსრები გამოყო,

ამასთან, მთელი იმპერიის მასშტაბით ეკლესიებში დაიდგა ყულაბები შემოწირულობებისათვის, საზოგადოებას საკუთრებაში გადაეცა მიწები.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას" თავდაპირველად დროებითი კომიტეტი მართავდა, ხოლო მეურვეობა თავად იმპერატორის მეუღლემ ითავა. 1865 წელს მის თავმჯდომარედ კავკასიის მეფისნაცვალი დაინიშნა, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ საქართველოს ეგზარქოსი. ბუნებრივია, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების მხრივ განსაკუთრებული მხარდაჭერა, ამ ორგანიზაციის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე მიუთითებდა.

1885 წელს იმპერატორის მიერ დამტკიცებული ახალი წესდებით „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" სამისიონერო მოქმედების არეალი გაფართოვდა. კავკასიის მთიელების გარდა მისი მოღვაწეობა უნდა გაშლილიყო: საქართველოს მთიან რეგიონებში, ადრე ქრისტიანობაზე მოქცეულ ქართველ მთიელთა შორის (თუშეთში, ხევსურეთში, ფშაველში, სვანეთში), სადაც შემდგომ წარმართული ელემენტი გაძლიერდა; აგრეთვე, ოსმალეთის ბატონობის შედეგად გამაჰმადიანებულ მოსახლეობაში — საინგილოში, აფხაზეთში, სამცხე-ჯავახეთში. ახალი წესდებით თავმჯდომარის უფლებამოსილება საქართველოს ეგზარქოსს გადაეცა. „საზოგადოების" საქმიანობას ჩამოაცილეს კავკასიის მეფისნაცვალი.[19] აღსანიშნავია, რომ საზოგადოების საქმიანობა მიეძღვნა საქართველოს განმანათლებელს — წმინდა ნინოს, საზოგადოების წევრებისათვის დადგინდა წმინდა ნინოს ჯვრის ფორმის განსაკუთრებული ორდენი.[20]

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ" დადებითი როლი შეასრულა კავკასიის ხალხებში განათლების, კულტურის, ციეილური ელემენტის შეტანით, მაგრამ მისიეე დროშით გაიშალა კავკასიის მოსახლეობის რუსიფიკაცია. მისიონერებად ძირითადად რუსი ეროვნების სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულები იგზავნებოდნენ. დასაშვები იყო მისიების შემადგენლობაში არარუსი სამღვდელოების ჩართვაც. მათი შერჩევა პოლიტიკური და ზნეობრივი ნიშნით ხდებოდა. მისიონერთა ინსტრუქცია ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირის დამყარებას, ყოფითი ჭირ-ვარამის გაზიარებას ითვალისწინებდა, ამასთან, სასტიკად კრძალავდა რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის კრიტიკას.

საზოგადოების მოღვაწეობა ძირითადად შემდეგი მიმართულებით წარიმართა: I. წმინდა რელიგიურ-მისიონერული ხასიათის საქმიანობა, რაც გულისხმობდა ეკლესიების მშენებლობას, მთიან რეგიონებში მოღვაწე ადგილობრივ სასულიერო პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ადგილობრივ ენებზე წმინდა წერილის, საღვთისმეტყველო, რელიგიურ-ზნეობრივი შინაარსის წიგნების თარგმნას; II. საგანმანათლებლო მოღვაწეობა, ანუ მთიელთა დასახლებებში სკოლების მოწყობა, გამორჩეული მოსწავლეების სტიპენდიებით უზრუნველყოფა სწავლის გასაგრძელებლად, მათი რიგებიდან მისიონერთა კადრების მომზადება და ა.შ.

სამისიონერო მიზნებიდან გამომდინარე „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" სამრეველო სკოლებში საგნები ადგილობრივ ენებზე ისწავლებოდა. მასწავლებელთა კადრების უზრუნველსაყოფად, 1866 წელს, საზოგადოების ხარჯით, თბილისში გაიხსნა ალექსანდრეს სამასწავლებლო სკოლა. სამი წლის შემდეგ სკოლამ გამოუშვა 37 პედაგოგი, რომლებიც რუსულთან ერთად ადგილობრივ ენებსაც ფლობდნენ. 1871 წელს სამასწავლებლო სკოლა კავკასიის სასწავლო ოლქს დაუქვემდებარეს და ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტად გადააკეთეს.[21]

საზოგადოების სამისიონერო მოღვაწეობის შედეგად, 1910 წლისათვის, მისი დაარსების 50-ე წლისთავის ანგარიშში ასახული მონაცემების თანახმად, კავკასიაში 33547 ადამიანი გაქრისტიანდა.[22] განსაკუთრებული აქტიურობით მისიების მუშაობა აფხაზეთსა და საინგილოში წარიმართა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" სამისიონერო მოღვაწეობა აფხაზეთში, ძირითადად ქართველი სასულიერო პირების დახმარებით, საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობდა. აფხაზი ბავშვებისათვის გაიხსნა საეკლესიო სკოლები, სადაც ქრისტიანობის საფუძვლებს მშობლიურ ენაზე უნდა დაუფლებოდნენ. აფხაზური ანბანის უქონლობის გამო, ხელისუფლებამ ამგვარ სკოლებში სწავლება დროებით ქართულ ენაზე დაუშვა. 1864 წელს სპეციალურმა კომისიამ, ცნობილი ლინგვისტების ბარტოლომეისა და უსლარის ხელმძღვანელობით, რუსული ანბანის საფუძველზე შექმნა აფხაზური ანბანი. თუმცა აფხაზურ ენაზე საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნა, ამავე კომისიის გადაწყვეტილებით, შეუძლებლად იქნა მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ 1899 წელს აფხაზურ ენაზე მაინც ითარგმნა საეკლესიო ლიტურგიის ზოგიერთი ნიმუში, მაგრამ მათი გამოყენება ვერ მოხერხდა, თარგმანის უხეირობის გამო.[23]

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთში სამისიონერო საქმეს ქართველი სამღვდელოება სრულიად ჩამოაცილა. რუსიფიკაციის ფორსირებული ტემპების უზრუნველსაყოფად აფხაზეთში არსებული ყველა ეკლესია-მონასტერი რუს სამღვდელო პირებს გადაეცა.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობა საინგილოში, თავდაპირველად ასევე, ქართველ სასულიერო პირთა ხელშეწყობით წარიმართა, რის შედეგადაც ამაღლდა ქრისტიან ინგილოთა ეროვნული თვითშეგნება. XIX ს-ის 80-იან წლებში ქრისტიანული ეკლესიები აშენდა საინგილოს სოფლებში: კახში, ალიბეგოში, ჭურმუხში. საინგილოში ქართველთა ინტერესების შესატყვისად განეითარებული სამისიონერო მოღვაწეობის გამო ხელისუფლებამ გამოიწვია „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ქართველი მისიონერები. XIX ს-ის 90-იან წლებში ინგილოთა შორის სამისიონერო საქმიანობა ამ მხარის რუსიფიკაციის ნიშნით წარიმართა.[24]

XIX ს-ის 60-იანი წლების რეფორმები და რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში. როგორც აღვნიშნეთ, XIX ს-ის I ნახევარში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამღვდელოების, როგორც განსაკუთრებული წოდების, უფლებრივი და წოდებრივი მდგომარეობა, რამაც ის შეუვალ კასტად აქცია. ასეთ პირობებში, XIX საუკუნის 60-იან წლებში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, სასულიერო წოდების, როგორც განსაკუთრებული და თავისთავში ჩაკეტილი კასტის არსებობა ძველი დროის გადმონაშთად გამოიყურებოდა.[25] სარეფორმო სამუშაოები რუსეთის იმპერიის საეკლესიო წყობასაც შეეხო.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმებს, რომელმაც რუსეთის სახელმწიფოს ბურჟუაზიული ევოლუციის პროცესს დაუდო სათავე, უნდა დაერღვია რუსულ ეკლესიაში არსებული წოდებრივი კარჩაკეტილობა, შემოეტანა მასში საზოგადოებრივი ხასიათის შესამჩნევი ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ ეკლესია ამგვარი გარდაქმნების განხორციელებას დიდი ხალისით არ შეხვედრია. მას გაუჭირდა ახალ პირობებთან შეგუება, რის გამოც დროში გაიწელა, შეფერხდა საეკლესიო სტრუქტურების რეფორმირების პროცესი. რუსეთის ეკლესიაში ამ პერიოდში, ფაქტობრივად, გარდაქმნების იმიტაცია მიმდინარეობდა. დაწყებული რეფორმების დიდი ნაწილი XIX საუკუნის 80-იანი წლების პოლიტიკური რეაქციის პირობებში დასრულდა და რეალურად კონტრრეფორმების ელფერი მიიღო.[26] ბუნებრივია, რეფორმირების პროცესი იმპერიის პერიფერიულ და კოლონიურ რეგიონებში, მათ შორის საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო ცხოვრებაში, კიდევ უფრო დუნედ წარიმართა, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში.

1867 წლის 22 მაისის კანონით გაუქმდა სასულიერო თანამდებობაზე კადრების შერჩევის მემკვიდრეობითობის პრინციპი. 1869 წელს სასულიერო წოდების შვილებს მიეცათ პროფესიის არჩევის თავისუფლება, ასევე უნივერსიტეტში ჩაბარებისა და სახელმწიფო სამსახურის უფლება. თუმცა ეს კანონი 1879 წელს

კელაე გაუქმდა. შეიცვალა საშტატო განრიგი. მცირე სამრევლოების გაერთიანების ხარჯზე შეიქმნა მსხვილი სამრევლოები, რის გამოც სამღვდელოების დიდი ნაწილი შტატის გარეშე დარჩა. უშტატო სამღვდელოებისათვის დაწესდა საპენსიო უზრუნველყოფა. სასულიერო პირთა რიცხობრივი შემცირება წმინდა ფისკალურ მიზნებს პასუხობდა. რეფორმის შედეგად გაფართოვდა ეპარქიების უფლებამოსილება: ეპარქიების მმართველებმა მიიღეს ტაძრების მშენებლობის, ასევე სასულიერო პირთა ბერად აღკვეცის პროგატივა, არჩევითი გახდა სასულიერო უწყების ზოგიერთი თანამდებობა.

არჩევითობის პრინციპი თავდაპირველად, საცდელად, 1865-1866 წლებში რუსეთის მხოლოდ 16 ეპარქიაში შემოიღეს. საქართველოს საეგზარქოსოში ის, ცოტა უფრო მოგვიანებით, ასევე საცდელად, ჯერ თბილისში განხორციელდა. არჩევითი გახდა თბილისის საქალაქო ეკლესიების ბლაღოჩინის თანამდებობა, რომელიც მანამდე ეპარქიის მმართველის მიერ ინიშნებოდა. არჩევითი გახდა სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველების და მათი თანაშემწეების ვაკანსიები.

XIX ს-ის 80-იან წლებში ბლაღოჩინის თანამდებობაზე არჩევის ეს პრინციპი გაუქმდა. საქართველოს ეგზარქოსის იოანიკეს (1877-1882 წწ.) მოთხოვნით უწმინდესმა სინოდმა უარყო, აგრეთვე, საქართველოს სასულიერო სასწავლებლების მმართველების არჩევითობაც. საქართველოს ეგზარქოსის ხსენებული თხოვნა მოტივირებული იყო მოსაზრებით, რომ არჩევნების გზით სასულიერო სასწავლებლების ხელმძღვანელ თანამდებობაზე რუსი ეროვნების პირთა მოხვედრის შანსი საქართველოში თითქმის აღარ არსებობდა.[27]

XIX ს-ის 60-იან წლებში, რუსეთის იმპერიაში რეფორმების გატარების პერიოდში დაისვა საკითხი სასულიერო პირების, სამღვდელოების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის, თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებთან მათი მიმართების შესახებ. აღნიშნულ პერიოდში, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მიერ სამრეველოები მიჩნეულ იქნა იმ საზოგადოებრივ ერთეულად, რომელიც ეკლესიის წინაშე სოციალურ თუ საქველმოქმედო, სახალხო განათლებისა თუ ოჯახური ურთიერთმიმართების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრით უზრუნველყოფდა საეკლესიო ცხოვრების გამოცოცხლებას.

1864 წელს რუსეთის იმპერიაში დაწესდა საეკლესიო-სამრეველო სამზრუნველოების შექმნა, რომლის მიზანი იყო სამრეველოების კეთილმოწყობა, გამშვენიერება, დანგრეული ეკლესიების განახლება, მორწმუნეთა როგორც რელიგიურ-ზნეობრივი, ასევე მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ობოლთა და გაჭირვებულთა დახმარება. საქართველოს საეგზარქოსოში საეკლესიო-სამრეველო სამზრუნველოები მხოლოდ 1887 წელს შეიქმნა: ვერის იოანე ღვთისმეტყველის, ჩოღურეთის ნიკოლოზის, პეტრე-პაველეს სასაფლაოს, სოლოლაკის ამაღლების, დიდუბის და სხვა ეკლესიებთან. მოგვიანებით ეს დაწესებულება მთელ საქართველოში მომრავლდა. მართალია, საეკლესიო-სამრეველო სამზრუნველოებმა არ გაამართლეს ის იმედები, რაც მათი დაარსებისას არსებობდა, მაგრამ არ შეიძლება უარყოფა იმ სასარგებლო საქმისა, რომელიც მათ სამრეველოებში ეკლესიებისა და სკოლების შექმნაში, ცალკეული საქველმოქმედო ინიციატივების წარმართვაში გაიღეს.

რეფორმების შედეგად ეპარქიებს უფლება მიეცათ მოეწვიათ ეპარქიის სამღვდელოთა ყრილობები. ყრილობებს შეეძლოთ ემსჯელათ ეპარქიების ეკონომიკურ, სასულიერო სასწავლებლების სასწავლო-აღმზრდელობით საკითხებზე. თუმცა, გადაწყვეტილებების სისრულეში მოსაყვანად, ამგვარი ყრილობები საშუალებას არ ფლობდნენ.

საეკლესიო პრესა. საფუძველი ჩაეყარა საეკლესიო პრესას. ამ პერიოდში დაარსებულ უამრავ საეკლესიო პერიოდულ გამოცემებში ეკლესია ცდილობს ქრისტიანობის პოზიციებიდან გააშუქოს თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული საკითხები. საეკლესიო

ცხოვრებაში სამრევლოების როლის გააქტიურების მიზნით რუსეთის თითოეულ ეპარქიაში შეიქმნა პერიოდული საგამომცემლო ორგანო ჟურნალის სახით – „Епархиальные ведомости" („ეპარქიის უწყებანი"). ამ ჟურნალების ირგვლივ ყალიბდებოდა საეკლესიო საზოგადოება: ეპისკოპოსები, ბერ-მონაზონობა, დაბალი სამღვდელოება, მრევლი აკეთებდა განაცხადს, რომ ეკლესია შეძლებისდაგვარად პასუხობს დროის მოთხოვნებს, მხარს უჭერს მიმდინარე რეფორმებს.

საქართველოს საეგზარქოსოში პერიოდული ოფიციალური საგამომცემლო ორგანოს დაარსების აუცილებლობა დიდი ხანია იგრძნობოდა. თუმცა ამგვარი გამოცემა, რომელიც საქართველოს საეგზარქოსოს სამღვდელოებას და მრევლს ინფორმაციას მიაწოდებდა საქართველოში უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების გადაწყვეტილებების, საეკლესიო განათლების, სასულიერო სასწავლებლების, სამრევლო სკოლების, სამისიონერო საქმისა და ცალკეულ ეპარქიებში საეკლესიო მდგომარეობის შესახებ, XIX ს-ის I ნახევარში ვერ დაარსდა. სასულიერო-საღვთისმეტყველო და საეკლესიო ჟურნალი საქართველოში მხოლოდ XIX ს-ის 60-იან წლებში გამოიცა სახელწოდებით „საქართველოს სასულიერო მახარობელი". ის გამოდიოდა ქ. თბილისში, 1864-1868 წლებში, დეკანოზ გიორგი ხელიძის რედაქტორობით. ქართულ ენაზე გამოცემულ ყოველ ნომერს ერთვოდა რუსულენოვანი დამატება საკუთარი პაგინაციით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჟურნალი არ სარგებლობდა ზემდგომი სასულიერო ორგანოებისაგან შესაბამისი მხარდაჭერით, სახსრების სიმწირის გამო, ვერ მოხერხდა სათანადო დონეზე მისი საკადრო უზრუნველყოფა. ყოველივე ამის შედეგად, ჟურნალის არსებობა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა.

საქართველოს საეგზარქოსოს ოფიციალური ბეჭდური ორგანოს შექმნა, ამის შემდეგ, მხოლოდ 1891 წელს მოხერხდა, როდესაც დაარსდა სასულიერო გამოცემა სახელწოდებით "Духовный вестник грузинского экзархата" („საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე"). იგი საქართველოს საეგზარქოსოს ორკვირეულ ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა და 1916 წლამდე იარსება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მანამდე XIX ს-ის 80-იან წლებში იმერეთის ეპარქიაში, დაბა ზესტაფონში, ყვირილაში, დეკანოზ დავით ღამბაშიძის რედაქტორობით გამოვიდა ორკვირეული ქართული ჟურნალი „მწყემსი", 1885-1887 წლებში იგი ყოველკვირეული ორგანო იყო. 1885-1905 წლებში გამოიცა, აგრეთვე, „მწყემსის" რუსულენოვანი დამატება – „Пастырь". ჟურნალში იბეჭდებოდა რელიგიური შინაარსის წერილები, განმარტებები, საქართველოს ეკლესიის ისტორიის წარსული და თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემები. გამოცემა საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი გამოდგა და ხანგრძლივად (1910 წლამდე) იარსება, რამდენადაც პასუხობდა საქართველოს სამწყსოსა და მრევლის ადგილობრივ ინტერესებს. ის ყოველთვის იდგა ქართული ცნობიერების შენარჩუნების სადარაჯოზე, ამიტომ ჟურნალმა ადგილობრივი მოსახლეობის, მოწინავე ქართული სასულიერო და საერო საზოგადოების დიდი სიმპათია დაიმსახურა. ჟურნალი „მწყემსი" XIX ს-ის 80-იან წლებში საქართველოს საეგზარქოსოში პრაქტიკულად ერთადერთი სოლიდური საეკლესიო-სასულიერო ხასიათის ბეჭდური ორგანო იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო ჟურნალისტიკის განვითარება საქართველოში ბევრად ჩამორჩებოდა რუსეთის ეპარქიებში არსებულ მდგომარეობას, სადაც XIX ს-ის II ნახევარში შეიქმნა უამრავი სასულიერო ხასიათის გამოცემა. რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ ყველა ეპარქიას ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნდა. ასეთი ორგანოების დაარსება საქართველოში უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების მხრივ ინიცირებული არ იყო.

სასულიერო განათლება. XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთის შიდა გუბერნიებისაგან განსხვავებით, სადაც სასულიერო განათლების სისტემაში ოთხი

საფეხური არსებობდა, საქართველოში ფუნქციონირებდა მხოლოდ სამი: სასულიერო სემინარიები, სამაზრო სასწავლებლები და სამრეველო სკოლები.

სასულიერო განათლების უმაღლეს საფეხურს საქართველოში სემინარია-დამთავრებული წარჩინებული მოსწავლეები რუსეთის სასულიერო აკადემიებში გადიოდნენ. კიევის, პეტერბურგის, მოსკოვის, ყაზანის სასულიერო აკადემიები წარმოადგენდნენ რუსეთში საღვთისმეტყველო განათლების ძირითად ცენტრებს.

XIX ს-ის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიაში მიმდინარე რეფორმები ფორმალურად სასულიერო განათლების სფეროსაც შეეხო; ის ითვალისწინებდა არა სასულიერო განათლების სისტემის ძირეულ გარდაქმნას, არამედ არსობრივად იყო სასულიერო სასწავლებლების წესდებების და საშტატო განრიგის მორიგი ცელილება. 1867 წელს დამტკიცდა სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების, ხოლო 1869 წელს – სასულიერო აკადემიების ახალი შტატები და წესდებები. რეფორმირების ელემენტი მდგომარეობდა იმაში, რომ ამიერიდან სასწავლებლები ადმინისტრაციულად ეპარქიალურ მმართველობას დაუქვემდებარეს. შეიქმნა სპეციალური სასწავლო კომიტეტი, რომელსაც სათაეში ჩაუდგა არა საერო ჩინოვნიკი, არამედ სასულიერო პირი, რომელიც განსაზღვრავდა სწავლების მეთოდსა და შინაარსს. ახალი წესდებით სემინარიის რექტორის თანამდებობა არჩევითი იყო. სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში იქმნებოდა მმართველობა, რომლის კომპეტენციაში შედიოდა პედაგოგთა არჩევა. დემოკრატიზაციის ამ მცირეოდენ ელემენტს უნდა დაეფარა სასულიერო სასწავლებლებში სწავლების პროცესისა და შინაარსის მნიშვნელოვანი და წმინდა რეგრესიული ხასიათის ცვლილებები, კერძოდ: სემინარის კურსიდან ამოიღეს ბიბლიური ისტორია, ჰერმენევტიკა, საეკლესიო არქეოლოგია, პოლემიკური ღვთისმეტყველება – ანუ ის დისციპლინები, რომლებიც სემინარიელისაგან კრიტიკულ აზროვნებას ითხოვდა. სასულიერო სასწავლებლების კურსიდან გაუქმდა სამოქალაქო ისტორიის სწავლება. ამის ნაცვლად გაიზარდა კლასიკური ენების, წმინდა წერილის შესწავლის საათები. სემინარიის ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს ის ლიტერატურა, რომელსაც საგანმანათლებლო კურსთან არაფერი ჰქონდა საერთო.[28] საქართველოში სარეფორმო ცვლილებების გატარება უმრავლეს შემთხვევაში იგვიანებდა, მაგალითად: რუსეთის იმპერიაში მიღებული 1867 წლის სასულიერო სასწავლებლების ახალი სარეფორმო დებულება, საქართველოში მხოლოდ 1872 წლიდან გატარდა.

XIX ს-ის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიაში გამოიკვეთა სახალხო განათლების სფეროში რუსული ეკლესიის როლის მკვეთრი ზრდა. 1866 წელს უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის დ. ა. ტოლსტოის დანიშვნა სახალხო განათლების მინისტრის პოსტზე, ერთი ადამიანის ხელში ორი თანამდებობის თაემოყრა, მიუთითებდა XIX ს-ის 10-20-იანი წლების გოლიცინის ტრადიციებთან დაბრუნებას* და სახალხო განათლებაზე რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის გაელენის გაძლიერებას. რუსულ ეკლესიას განსაკუთრებული მისია დაეკისრა დაწყებითი განათლების სფეროში. სამრეველოების სამღვდელოებას დაევალა სამრეველო სკოლებში გლეხობის შვილებისათვის წერა-კითხვის სწავლებისა და პირველადი განათლებისათვის ზრუნვა.

---

* რუსეთის იმპერიაში 1817-1824 წლებში მოქმედებდა „სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტრო", რომელიც უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ა. ნ. გოლიცინის ინიციატივით ორი უწყების გაერთიანების შედეგად შეიქმნა. სამინისტროს მიზანი რუსეთის იმპერიის პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური საზოგადოებისათვის ერთიანი განათლების სისტემის მორგება, სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება იყო. მის უმთავრეს იდეას წარმოადგენდა დებულება: „ჭეშმარიტი განათლების საფუძველთა საფუძველი ქრისტიანული მსოფლმხედველობაა".

აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის II ნახევარში საქართველოში სასულიერო განათლების ქსელი ფართოვდება. სასულიერო სასწავლებლები არსებობს თბილისში, ქუთაისში, თელავში გორში, აგრეთვე, სამეგრელოში, გურიაში და სხვაგან. ნიშანდობლივია, რომ სასულიერო განათლების ქსელი ძირითადად, დაწყებითი სასულიერო სასწავლებლების ხარჯზე იზრდებოდა. ხელისუფლება საქართველოში საშუალო სასულიერო სასწავლებლების, განსაკუთრებით სემინარიების, გახსნის ინიციატივას ნაკლებად იჩენდა. XIX ს-ის 90-იან წლებამდე მთელ საქართველოში ერთადერთი — თბილისის სასულიერო სემინარია არსებობდა. 1894 წელს მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს სამღვდელოთა დიდი ძალისხმევით გამონახული ადგილობრივი ხარჯებით, გაიხსნა ქუთაისის სასულიერო სემინარია, რომელმაც მხოლოდ 1904 წლამდე იარსება.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ობიექტურმა თუ სუბიექტურმა პირობებმა განაპირობა საქართველოში ქალთა სასულიერო სასწავლებლების ფორმირება: 1866-1879 წლებში სამთაეროს მონასტერში დაარსდა ქალთა სასწავლებელი, რომელიც შემდგომ მცხეთიდან თბილისში გადაიტანეს და გადაკეთდა იოანიკეს ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლად. 1892 წელს ქალაქ ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსმა დააფუძნა ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი და სხვა.[29]

უნდა აღინიშნოს, რომ თუ რუსეთის შიდა გუბერნიებში სასულიერო სემინარია და სასწავლებლები სახელმწიფო ხაზინის ხარჯით არსებობდა, საქართველოში სასულიერო სემინარიები და სასულიერო სასწავლებლები საქართველოს საეგზარქოსოს ანუ ადგილობრივი ეკლესიის შემოსავლით ფუნქციონირებდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიაში „ინოროდცების" რუსიფიკაციისა და ასიმილაციის საქმეში განათლების სისტემას უზარმაზარი პოლიტიკური მისია ენიჭებოდა, ხელისუფლება მაინც არ იყო დაინტერესებული ნაციონალურ რეგიონებში ამ სისტემის ფინანსური მხარდაჭერით. საშუალო სასულიერო სასწავლებლების ფორმირება, რომლებიც მთავრობისაგან მეტ ხარჯებს მოითხოვდა, უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე დაწყებითი სასულიერო სკოლების, რომლებიც ძირითადად მოსახლეობის ხარჯებით იხსნებოდა. ბიუჯეტის სიმწირის გამო პედაგოგთა ანაზღაურება არასაკმარისი იყო, სასწავლებელთა კეთილმოწყობაზე თითქმის არავინ ზრუნავდა, ხშირ შემთხვევაში სკოლები კეთილმოუწყობელ შენობებში იხსნებოდა.

ქართული ენის დევნა სასულიერო სასწავლებლებში. XIX ს-ის 60-იან წლებში ქართული ენის სწავლება სახალხო სკოლებში საგრძნობლად შეიზღუდა. 1861 წელს გამოიცა დებულება „დაწყებითი სახალხო სასწავლებელთა შესახებ", რომლის მიხედვით საქართველოში ყველა ტიპის სასწავლებელში სწავლება რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. თუმცა, იმავე წელს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მიერ სამრევლო სკოლების შესახებ შედგენილი წესებით, ამ საზოგადოების სკოლების დაწყებით კლასებში ადგილობრივი ენების შესწავლა შენარჩუნდა.[30]

XIX ს-ის 70-იან წლებში თბილისის სასულიერო სემინარიასა და საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის შევიწროება სისტემურ მოვლენად გადაიქცა. ხშირ შემთხვევაში ეს საკმაოდ უხეში ფორმებით ხდებოდა. 1873 წელს უწმინდესი სინოდის ბრძანების თანახმად, ქართული ენა საშუალო სასულიერო სასწავლებლებში გაუქმდა, როგორც საკალდებულო საგანი. მისი სწავლება, როგორც ფაკულტატური საგნისა, თითქმის უხელფასოდ სხვა საგნის შტატის მასწავლებლის პრეროგატივა გახდა. ქართული ენის საათები ძირითადად რუსული ენის შესასწავლად იქნა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ ქართული ენის, ქართული საგალობლების არასათანადო შესწავლის ან მათი სრული უგულებელყოფის შედეგად თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული მღვდელთმსახურებისათვის სრულიად გამოუსადეგარი კადრები მზადდებოდა,

რომელთაც არ შეეძლოთ წირვა-ლოცვის ქართულად ჩატარება, ქართველ მრევლთან სათანადო კონტაქტის დამყარება.

საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში პრიორიტეტული მნიშვნელობა შეიძინა რუსული ენის შესწავლამ. 1875 წლის დადგენილებით რუსული ენის სწავლის პროცესში გაძლიერდა თვალსაჩინო სწავლების მეთოდი, მოსწავლეებს დაეალათ ურთიერთშორის საუბრისას რუსული ენის გამოყენება, სუსტ მოსწავლეებს დაენიშნათ დამატებითი საათები რუსულ ენაში მოსამზადებლად და ა. შ. 1879 წლის უწმინდესი სინოდის ბრძანების თანახმად, „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლების რუსული ენის მასწავლებლად მომავალში დანიშნული უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ აკადემიური განათლების მქონე რუსული წარმოშობის პირები".[31]

აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის 70-იან წლებში ქართული ენა გადაურჩა სასულიერო სასწავლებლებიდან სრულ განდევნას. მშობლიურ ენას თითოეულ კლასში 2-2 საათი დაეთმო და რუსული ენის შესწავლის პროცესში დამხმარე საგნის ფუნქცია დაეკისრა. რუსულის ასათვისებლად, ამ ეტაპზე, უპირატესობა მიენიჭა ე.წ. შედარებით მეთოდს, ანუ უცხო ენის შესწავლას მშობლიური ენის საშუალებით.[32]

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული აზრით, XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში შედარებით შეღავათიანი სასწავლო რეჟიმი და პირობები შეიქმნა. არჩევითობის გამო სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველები და მასწავლებელთა დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ. ბევრი მათგანი გამოირჩეოდა თავისი პროგრესული პედაგოგიური და საზოგადოებრივი იდეებით (თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი იყო იასე სულხანიშვილი, თბილისის სასულიერო სასწავლებლის – იაკობ გოგებაშვილი, თელავის – დავით დათოშვილი, ქუთაისის – გერასიმე კალანდარიშვილი; სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს კი – მიხეილ გურგენიძე ხელმძღვანელობდა). სასულიერო სასწავლებლების პედაგოგთა (თბილისის სასულიერო სემინარიაში – ნიკო ცხვედაძე, თომა ტურიევი, გიორგი იოსელიანი; გორის და თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები – პაელე ბერქანიძე, ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილები და სხვა) ზეგავლენით სასწავლებლების მოსწავლეებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ მოწინავე მოაზროვნეთა თხზულებებს, შეეთვისებინათ თანამედროვეობის პროგრესული იდეები.

პოლიტიკური რეაქცია რუსეთში და საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო ცხოვრება. ალექსანდრე II მკვლელობის შემდეგ, XIX ს-ის 80-იან წლებში რუსული ეკლესია იწყებს კონტრშეტევას იმ მცირეოდენი პროგრესული ცვლილებების წინააღმდეგ, რომელიც წინა ოცწლეულის რეფორმების პერიოდში განხორციელდა. ამ დროიდან, როდესაც მთელ იმპერიაში უმკაცრესი პოლიტიკური რეჟიმი დამყარდა, რუსეთის ეკლესიის განვითარებაშიც ახალი ეტაპი დაიწყო. სწორედ კონტრრეფორმებმა გამოიწვიეს ენერგიის მოზღვავება რუსეთის გაველენიან საეკლესიო მოღვაწეთა და ჩინოვნიკთა წრეებში. რეფორმების წლებში გამოვლენილი მათი დაბნეულობა და უსიცოცხლობა, შეიცვალა დაუცხრომელი მოღვაწეობით, რომელიც მიმართული იყო ეკლესიის დაკარგული ავტორიტეტისა და შერყეული პოზიციების განსამტკიცებლად.

როგორც უკვე აღინიშნა, XIX საუკუნის დასაწყისში ცარიზმმა დაასრულა ეკლესიის შეყვანა სახელმწიფო მმართველობის ბიუროკრატიულ აპარატში და თანდათან აამაღლა ეკლესიის სტატუსი სახელმწიფოში; ამავე საუკუნის ბოლოსათვის კი რუსეთის ეკლესია ითავსებს არსებული წეს-წყობილების დაცვის უმთავრეს იდეოლოგიურ ფუნქციას, თავისი ენერგიული მმართველის, უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის პობედონოსცევის (1880-1905 წწ.) ხელმძღვანელობით, იკავებს მტკიცე პოზიციას საშინაო პოლიტიკის პრინციპულად უმნიშვნელოვანე-

სი საკითხების გადაწყვეტაში. XIX საუკუნის 80-90-იანი წლები რუსეთის იმპერიაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ეპოქად შეიძლება ჩაითვალოს.[33] ამ ურთიერთმიმართებას კარგად გამოხატავს რუს საეკლესიო პირთა შემდეგი სიტყვები: „რუსეთის სახელმწიფო, მართლმადიდებლობა და თვითმპყრობელობა – ყოველივე ეს ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. ყველა საკითხი, რომელიც უკავშირდება სარწმუნოებას, ეკლესიას, ჩვენთან მართლმადიდებლურ რუსეთში, ამავე დროს სახელმწიფო საკითხის მნიშვნელობას იძენს."[34] სახელმწიფო პოლიტიკაში ეკლესიის როლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის დანიშვნა მინისტრთა კომიტეტის, აგრეთვე ბუჯეტითი სიტყვის უმაღლესი კომისიის წევრად, ობერ-პროკურორის ინიციატივით იმპერატორთან მღვდელმთავრების მუდმივი აუდიენციებისა და შეხვედრების ორგანიზება და ა.შ. გადაიდგა ნაბიჯები უმაღლესი საერო ბიუროკრატიისაგან ეკლესიის დამოუკიდებლობის გასაფართოებლად. 1881 წელს უწმინდესმა სინოდმა მიიღო უფლება იმპერატორის ჩარევის გარეშე გადაეწყვიტა ცალკეული საკითხები, მაგალითად: სასულიერო პირთათვის ჯილდოების მინიჭება, მონასტრების გახსნა, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში კერძო ხასიათის ცელილებების შეტანა და სხვა.[35]

XIX საუკუნის ბოლო ოცწლეულში კონტრრეფორმები, პოლიტიკური რეაქცია მეტად მწვავედ განხორციელდა რუსეთის განაპირა კოლონიურ ქვეყნებში. აქტუალური გახდა „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის" იდეა. რუსიფიკაცია, როგორც რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის მეთოდურად ჩამოყალიბებული, თეორიულად დასაბუთებული, ყველა კოლონიური ორგანიზმისათვის უნივერსალური პოლიტიკური სისტემა, მიმართული იყო სხვადასხვა ერების ეროვნული იდენტობისა და თავისებურებების, მათი მორალური და ინტელექტუალური ცხოვრების საპირისპიროდ. რუსეთის თვითმპყრობელობამ იერიში რამდენიმე მიმართულებით მიიტანა და იარაღად გამოიყენა: ა) სახელმწიფო პოლიტიკა, ბ) განათლების სისტემა, გ) რუსული ეკლესია; ამდენად, საქართველოს საეგზარქოსოს ცხოვრებაში კონტრრეფორმების პროცესი მეტისმეტი სიმძაფრით წარიმართა და საეკლესიო ცხოვრების ყველა სფეროზე აისახა.

სასულიერო სასწავლებლების ახალი წესდებით უარყვეს რეფორმების პერიოდში სასულიერო სასწავლებლებში დანერგილი დემოკრატიზმის მცირეოდენი საწყისები: გაუქმდა მასწავლებელთა არჩევითობა, გაძლიერდა ადმინისტრაცია და მღვდელმთავრების ძალაუფლება და ა. შ. XIX საუკუნის 80-იან წლებში რეაქციის პერიოდში თბილისის სასულიერო სემინარიიდან სხვადასხვა მიზეზით დაითხოვეს და განდევნეს როგორც ქართველი, ასევე რუსი ეროვნების პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები. მათ ნაცვლად კი უკიდურესად რეაქციონერი მასწავლებლები მიიღეს. საქართველოში სასულიერო სასწავლებლებში დამყარდა პოლიტიკური რეჟიმი, მეთვალყურეობა და მკაცრი კონტროლი თითოეულ მოსწავლეზე, მათ აეკრძალათ ლიბერალური მიმართულების ლიტერატურის კითხვა, გახშირდა სტუდენტთა და მოსწავლეთა განსაკუთრებით ქართველთა გარიცხვა სრულიად უბრალო მიზეზის გამო.[36] დაპირისპირებამ სასულიერო სასწავლებლების ადმინისტრაციასა და მოსწავლეებს შორის პიკს მიაღწია. 1894 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტის მიერ ამ სასწავლებლის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობის გამო სემინარია ერთი წლით დაიხურა. მისი გახსნის შემდეგ კი, XIX საუკუნის 90-იან წლებში, სემინარიაში კიდევ უფრო დამამცირებელი რეჟიმი დამყარდა: გაიზარდა ზედამხედველთა რიცხვი, გაამრავლეს ჯაშუშები და პროვოკატორები, ერთმანეთს გადაჰკიდეს სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები და ა.შ.[37]

სასულიერო განათლების როლი „ინოროდცების" რუსიფიკაციისა და ასიმილაციის პროცესში. XIX ს-ის 80-90-იან წლებში განათლების სფერომ და სკოლამ მთელს იმპერიაში ადგილობრივი ერების გადაგვარებისა და გარუსების მი-

სია იკისრა. სკოლა უნდა გამხდარიყო რუსული ცივილიზაციის დამნერგავი და ეროვნული კულტურის შემმუსვრელი იმპერიის განაპირა ეროვნულ რეგიონებში.

1880 წლის 20 ოქტომბრის ცირკულარი, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსმა იანოვსკიმ დაუგზავნა ხელქვეითებს, იუწყებოდა: „კავკასიაში რუსული სკოლების დაარსება და ადგილობრივ მკვიდრთა მოზიდვა მასში სასწავლებლად, უდავოდ უნდა ჩაითვალოს ამ მხარეში რუსული ცივილიზაციის განმტკიცების უმთავრეს საშუალებად...ეს ცივილიზაცია, რომელიც მიისწრაფვის შეიჭრას ხალხში და ვითარდება რაციონალურად მოწყობილი სკოლის საშუალებით, წინათ აქ არსებულ ცივილიზაციებზე უფრო მტკიცე აღმოჩნდება, რომელთა შესაცვლელადაც ის აქ მოვიდა".[38]

1881 წლის 13 იანვარს „დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმის" გამოქვეყნება საფუძვლად დაედო საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში განათლების სამინისტროს სახალხო დაწყებითი სკოლის სრულ რუსიფიკაციას. ამ გეგმით რუსული ენის სწავლება დაწყებით სკოლაში პირველივე წლის მეორე ნახევრიდან უნდა დაწყოთ, ხოლო მეორე წლიდან მოწაფეებს ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა შეესწავლათ. 1895 წლის ახალი წესდებით დაწყებითი სკოლიდან ადგილობრივი ენა სავსებით განიდევნა. საგნების შესწავლა რუსულ ენაზე ბავშვის სკოლაში შესვლის პირველსავე დღიდან დაწესდა. 90-იან წლებში რუსიფიკაციის პროცესის მეტი ეფექტურობისათვის მიზნობრივად დაინერგა ე. წ. „ნატურალური" (მუნჯური) მეთოდი, რომელიც თავდაპირველად ქუთაისის სახალხო სკოლის დირექტორმა ლეფიციკიმ გამოიყენა მის დაქვემდებარებაში მყოფ სკოლაში. ეს მეთოდი რუსულის შესასწავლად სრულიად კრძალავდა მშობლიური ენის გამოყენებას და ამით მიზნად ისახავდა მოსწავლის აზროვნების ენად რუსული გაეხადა.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი ინტელიგენციის თაოსნობით გაშლილი ბრძოლა ქართული ენის შენარჩუნებისათვის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა. საპროტესტო მოძრაობის შედეგად, ადგილობრივი მრეველის მომსახურების აუცილებლობის გათვალისწინებით სახელმწიფოს მხრივ პერიოდულად იცვლებოდა დამოკიდებულება სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის შესწავლის მიმართ. 1882 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში დაარსდა ქართული ენის კათედრა, 1883 წელს სემინარიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით ქართული საეკლესიო გალობა სავალდებულო საგნად შემოიღეს. ბუნებრივია, ამგვარი დათმობა ფორმალური და დროებითი იყო. მთელს იმპერიაში მიმდინარე რუსიფიკაციის პოლიტიკური კურსის შესაბამისად ქართული ეროვნული იდენტობის უმთავრესი მახასიათებლის – ენის, საგანმანათლებლო სისტემიდან განდევნა კვლავ გაგრძელდა.[39]

XIX საუკუნის 80-იან წლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა დაწყებით სასულიერო განათლებაზე. რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II მკვლელობის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის გამო მინისტრთა კომიტეტმა ერთხმად გამოხატა თვალსაზრისი, რომ ხალხის სასულიერო-ზნეობრივი განვითარება, რომელიც სახელმწიფოებრივი წყობის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს, მიღწევადია მხოლოდ სახალხო სკოლების მმართველობაში სამღვდელოების მონაწილეობის გზით. ამ დირექტივის რეალიზაცია ითავა უწმინდესი სინოდის მეტად ენერგიულმა ობერ-პროკურორმა კ. პ. პობედონოსცევმა. 1884 წელს შემუშავებულ იქნა „წესები საეკლესიო-სამრევლო სკოლების შესახებ", რომელმაც ამგვარ სკოლებს მიზნად დაუსახა ხალხის ფართო მასებში მართლმადიდებლობისა და პირველდაწყებითი განათლების შეტანა.[40]

1884 წელს სასულიერო სასწავლებელთა ახალი წესდების თანახმად, მზრუნველობა ეპარქიის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებზე დაეკისრა სამღვდელოებას. მათ მიეცათ დამოუკიდებელი ყრილობების მოწვევის უფლება, რომლებსაც უნდა აერჩიათ სასულიერო სასწავლებლებისა თუ სემინარიების

სასწავლო-სამეურვეო საბჭოები. ყრილობის დელეგატები აირჩეოდნენ სამრევლოს საბლაღოჩინო ოლქებიდან, 10 სამრეველოდან 1 დეპუტატი. ხმის უფლებით სარგებლობდნენ დიაკვნები და მეფსალმუნეებიც. სამღვდელოებას უფლება მიეცა ეზრუნა ქალთა განათლებაზე, აგრეთვე, ეპარქიის თანხებით გაეხსნა სასულიერო სკოლები და სასწავლებლები, სადაც არ შეიზღუდებოდა მშობლიურ ენაზე სწავლება.[41]

ამგვარი ყრილობების წყალობით საეკლესიო-სამრეველო სასწავლებლების რიცხვი გაიზარდა, იმატა მოსწავლეთა რაოდენობამ, კეთილმოეწყო ძველი სასწავლებლები, სასულიერო პირების მეურვეობა დაწესდა არა მარტო ობოლ ბავშვებზე, არამედ ღარიბი სასულიერო პირების შვილებზე, სკოლებისათვის აშენდა შენობები, გამოინახა მეტი სახსრები თითოეული მოსწავლის უზრუნველსაყოფად, სამღვდელოებამ იზრუნა მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სასულიერო სასწავლებლების პედაგოგების ხელფასზე ეპარქიის სახსრებიდან დანამატი დაურთო. საეკლესიო-სამრეველო სკოლები, განათლების სამინისტროს სახალხო სკოლებისაგან განსხვავებით, უმაღლეს სასულიერო ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ.

1885 წლიდან უწმინდესმა სინოდმა საქართველოს საეგზარქოსოსთვის ადგილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით საეკლესიო-სამრეველო სკოლების განსაკუთრებული „სასწავლო გეგმა" შეიმუშავა. საეკლესიო-სამრეველო სკოლა შეიძლებოდა ყოფილიყო 1 ან 2 კლასიანი. ქართულ სამრეველოებში ერთკლასიან სკოლებში 3 წლიანი სწავლება დადგინდა, საეგზარქოსოს რუსულ სამრეველო სკოლებში კი 2 წლიანი. ორკლასიანი საეკლესიო-სამრეველო სკოლები ოთხწლიან სწავლებას მოიცავდნენ. პროგრამა შემდეგი საგნებისგან შედგებოდა: სჯულის კანონი, მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა ადგილობრივი მოსწავლეებისათვის, ხოლო საეკლესიო-სლავური ენა რუსებისათვის, დაწყებითი არითმეტიკა. ორკლასიან სკოლებში ყოველივე ამას ერთოდა სამოქალაქო და საეკლესიო ისტორია. ზოგიერთ ამგვარ სკოლაში არსებობდა ხელსაქმის კლასებიც;

1885 წელს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება", იმპერატორის ბრძანების თანახმად, უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში გადავიდა. ამის გამო საზოგადოების სკოლებიც უწყებრივად საეკლესიო-სამრეველო სკოლებთან გააერთიანეს.[42]

გაიხსნა, აგრეთვე, საკვირაო და წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლები. სწავლება ხდებოდა სამრეველოების ხარჯით, ადგილობრივი მღვდლის დახმარებით ან ეპარქიის მღვდელმთავრის მიერ დანიშნული მასწავლებლის მეშვეობით, რომელიც სამრეველოს სასულიერო პირის ზედამხედველობით მუშაობდა. საქართველოს საეგზარქოსოში სამრეველო და საკვირაო სკოლებს შესაბამისი ეპარქიების სასწავლო საბჭოები განაგებდნენ, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ საქართველოს საეგზარქოსოს წინაშე.

რადგან ქართული ენის სწავლება საეკლესიო-სამრეველო სკოლებში არ იკრძალებოდა, საქართველოში მოთხოვნა ამ სკოლებზე განსაკუთრებით გაიზარდა. XIX საუკუნის მიწურულს საქართველოს ეპარქიაში საეკლესიო-სამრეველო სკოლების რიცხვმა სულ 103 შეადგინა, სოხუმის ეპარქიაში – 45, იმერეთის – 106, ხოლო გურია-სამეგრელოს ეპარქიაში – 127.[43]

შეიძლება ითქვას, XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთის იმპერიაში „ინოროდცების" რუსიფიკაციის ორი მოდელი არსებობდა. რუსიფიკაციის ორივე მოდელმა თავისი განსაკუთრებული ფუნქცია, ბუნებრივია, განათლების სფეროში შეასრულა. ძირითადი აქცენტი დაწყებით სკოლაზე გაკეთდა.

პირველი მოდელი პირდაპირ დაუკავშირდა განათლების სამინისტროს სახალხო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს: უხეში მეთოდებით სკოლისა და მოსახლეობის ტოტალურ რუსიფიკაციას, მათი გონებისა და აზროვნების შეცვლას. რუსული სკოლის მეშვეობით მშობლიური ენის აღმოფხვრისა და

რუსული ენის გაძლიერების გზით, განათლების ეს მოდელი მიზანმიმართულად იბრძოდა ქართული ენის გაუქმებისა და რუსულ ენაზე სწავლების დამკვიდრებისათვის, სკოლის მეშვეობით ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების შესაცვლელად.

მეორე მოდელი, რომელიც რუსიფიკაციის პროცესის რელიგიიდან დაწყებას გულისხმობდა, სასულიერო წოდების, განსაკუთრებით კი მისიონერთა გამოცდილების შედეგად შემუშავდა და ძირითადად დაინერგა სასულიერო სასწავლებლებსა და სკოლებში. ის ითვალისწინებდა, რუსეთის განაპირა კოლონიური რეგიონების არარუსი მოსახლეობის შერწყმას და ასიმილაციას რუს ხალხთან რელიგიური ფაქტორის, ამ შემთხვევაში იმპერიის პრიორიტეტული სახელმწიფო აღმსარებლობის – მართლმადიდებლობის დახმარებით. ეს მეთოდი დაწყებით სკოლაში რუსული ენის შესწავლას არ ანიჭებდა დიდ უპირატესობას, არამედ არარუს მოსახლეობაში რუსული მსოფლმხედველობის, ცხოვრების წესების, ზნე-ჩვეულებების, წყობის, რელიგიის დასანერგად საგანმანათლებლო ზემოქმედებას მშობლიურ ენაზე ახდენდა. ამ მოდელის თავისებურება იყო „ინოროდცების" გარუსება არა უხეში, შეტევითი მეთოდით, არამედ შეპარვით. თავდაპირველად ხდებოდა არარუს მოსახლეობში მშობლიური ენისა და რუსული სახელმწიფო რელიგიის გამოყენებით რუსული მენტალობის აღზრდა-ჩამოყალიბება, შემდგომ ეტაპზე კი რუსული ენის მეშვეობით რუსეთის იმპერიაში მათი სრული ასიმილაცია.

XIX საუკუნის განმავლობაში აღნიშნულმა მოდელმა სისტემურად ჩამოყალიბებული და დასაბუთებული სახე შეიძინა და რუსეთის პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური იმპერიის საზღვრების გაფართოებისა თუ შემოერთებული ტერიტორიების შემომტკიცების საქმეში მეტად ქმედითი როლი შეასრულა. XIX საუკუნის II ნახევარში, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, როდესაც რუსიფიკაციის პოლიტიკა სახელმწიფოს უმთავრესი მიმართულება გახდა, ეს მოდელი კავკასიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, რუსეთის ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოიყენებოდა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ამ მოდელის მიხედვით საქართველოში ძირითადად მუშაობდნენ „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" სკოლები, რომლებიც ეპარქიებსა და ცალკეულ სამრევლოებში ფუნქციონირებდნენ; XIX ს-ის 80-იანი წლებიდან აღნიშნულ მეთოდს იყენებენ საეკლესიო-სამრევლო და საკვირაო სკოლები.

რუსეთის ხელისუფლებისათვის ნათელი გახდა, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლები, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგებოდნენ „ინოროდცების" გარუსების დაგეგმილ ტემპებს. ამიტომ, XIX ს-ის 90-იან წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი შეეცადა თავის უწყებაში, კერძოდ განათლების სამინისტროს სახალხო სკოლების სისტემაში, გაეერთიანებინა დაწყებითი განათლების ყველა ტიპის სასწავლებლები: საეკლესიო-სამრევლო და საკვირაო სკოლები, აგრეთვე, თბილისის თვითმმართველობის სკოლები, რომლებშიც ქართული ენა, საეკლესიო-სამრევლო სკოლების მსგავსად, კელაეინდებურად ისწავლებოდა. საქალაქო სკოლებთან მიმართებაში იანოვსკიმ გამარჯვებას მიაღწია. რაც შეეხება საეკლესიო-სამრევლო სკოლების დაქვემდებარებას, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ამ ეტაპზე ეს ვერ შეძლო.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და იდეოლოგიური წნეხის არსებობის, გამძაფრებული რუსიფიკაციისა და ასიმილაციის პირობებში, საქართველოსათვის სასულიერო განათლების დადებითი შედეგებიც. რუსულ საღვთისმეტყველო სკოლებში, – სასულიერო სასწავლებლებში, სემინარიებსა და აკადემიებში, – აღიზარდა ქართველი სასულიერო ინტელიგენციისა, პროგრესული სამღვდელოების, ეროვნული და საზოგადო მოღვაწეების არაერთი წარმომადგენელი: პლატონ იოსელიანი, გაბრიელ ქიქოძე, დიმიტრი ბაქრაძე, მიხეილ (გობრონ) საბინინი, მოსე ჯანაშვილი, გიორგი (კირიონ) საძაგლიშვილი,

კალისტრატე ცინცაძე, პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, თედო ჟორდანია, ამბროსი ხელაია, ექვთიმე თაყაიშვილი, სერგი გორგაძე, ალექსანდრე ცაგარელი, კორნელი კეკელიძე და მრავალი სხვა. სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა მკვლევართა არაერთი თაობა, რომელთაც სპეციალური განათლება საისტორიო ლეთისმეტყველების, საეკლესიო არქეოლოგიის დარგში რუსეთის სხვადასხვა სასულიერო აკადემიებში შეიძინეს. მათი საზოგადოებრივი და ინტელექტუალური ცხოვრება მიეძღვნა საქართველოს კულტურული საგანძურის გამომზეურებასა და ქრისტიანულ სამყაროში საქართველოს ეკლესიის ადგილის წარმოჩენას, ქართველთა კონსოლიდაციის, ნაციონალური თვითგამორკვევისა და ეროვნული ცნობიერების ფორმირების პროცესში საქართველოს ეკლესიის, როგორც ერთ-ერთი განმსაზღვრელი და მნიშვნელოვანი ფენომენის ჩვენებას.

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოს მოსახლეობის ერთიანობის რღვევისა და ტომობრივი დაყოფისათვის. XIX საუკუნეში რუსეთი ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო ქართველი ხალხის ერთობის რღვევისა და ტომობრივი დაყოფისათვის. საქართველოს ზოგიერთი კუთხის მოსახლეობა – მეგრელები, სვანები, ხევსურები, აჭარლები – მიიჩნიეს არაქართული წარმოშობის ეთნოსებად. XIX საუკუნის II ნახევარში სკოლის რუსიფიკაციის შეფარული მეთოდი, რომელიც ეროვნულ რეგიონებში რუსული ენის შესწავლას მშობლიური ენის დახმარებით გულისხმობდა – სამეგრელოს, სვანეთის საეკლესიო-სამრევლო და სასულიერო სასწავლებლებშიც დაინერგა. ქართული ენის ნაცვლად ამ ხალხის დედაენად სვანური და მეგრული კუთხური მეტყველება ჩაითვალა. ამის გამო, XIX ს-ის II ნახევარში ხელისუფლებამ ამ რეგიონების სკოლებში ქართული ენა აკრძალა და რუსული ენის სწავლება შესაბამისად მეგრული ან სვანური დიალექტის დახმარებით დაადგინა. მეგრელებისა და სვანებისათვის, რომლებიც ქართულს მიიჩნევდნენ თავიანთ ფუძე ენად და, ბუნებრივია, ოდითგანვე ქართული დამწერლობით სარგებლობდნენ, დაიწყო ცალკე დამწერლობის შექმნა რუსული ალფაბეტის, ანუ რუსული გრაფიკის გამოყენებით. 1864 წელს სვანებისათვის შედგენილ იქნა „ლუშნუ ანბან“, რამაც ამ კუთხის მოსახლეობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. 1860 წელს რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი ანბანის გამოყენებით მეგრულად ითარგმნა ბიბლიის ცალკეული ადგილები. 1889 წელს თადა აშორდიამ, ასევე რუსული ალფაბეტის მიხედვით, შექმნა „მეგრული“ ანბანი, ხოლო 1892 წელს ლეეიციკისა და გრენის მიერ ხელახლა გამოგონილი მეგრული ანბანის საფუძველზე მეგრული სკოლებისათვის შეადგინეს რუსული ენის სახელმძღვანელო.

უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლების მითითებით წირვა-ლოცვის მეგრულ და სვანურ ენებზე ჩატარების, ბიბლიის ცალკეული ადგილების ამავე კუთხურ ენებზე თარგმნის მცდელობასაც არაერთხელ პქონდა ადგილი.[44] ბუნებრივია, ამგვარ ღონისძიებას ქართველი საზოგადოების აღშფოთება მოპყვა. სამეგრელოს მოსახლეობის პროტესტის შედეგად სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, ეპარქიის სამღვდელოებისა და მრევლის გამოკითხვით, დაადგინა ასეთი გარდაქმნის მიუღებლობა. დამტკიცდა ახალი სასწავლო გეგმა საეკლესიო-სამრეველო სკოლებისათვის, რომელშიც ქართულ ენას საკმაო რაოდენობის საათები დაეთმო.[45]

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში აფხაზეთის რუსიფიკაციის მიზნით რუსეთის მხრივ აშკარად გატარდა პოლიტიკა, რომელმაც საფუძველი გამოაცალა ქართულ-აფხაზურ კულტურულ ერთობას. რუსმა მოხელეებმა გააძლიერეს ანტიქართული საქმიანობა. ეპარქიის საზღვრები ადგილობრივი მოსახლეობის გარუსების განზრახვით ხშირად იცვლებოდა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1885 წელს აფხაზეთის ეპარქია, რომელიც 1869-1885 წლებში იმერეთის ეპარქიას ექვემდებარებოდა, ცალკე სოხუმის ეპარქიად გამოყვეს. ახლად შექმნილი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს ქართველი მღვდელმთავრები, რომლებმაც ათეული წლების განმავლობაში დიდი ამაგი დას-

დეს აფხაზეთში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენას. მისი მმართველობა უშუალოდ რუსების ხელში გადაეიდა. სოხუმის ეპარქიის შექმნა განპირობებული იყო საქართველოსაგან ამ რეგიონის ჩამოშორების განზრახვით. აფხაზეთის რუსიფიკაციისა და ასიმილაციის მიზნით რუსეთის იმპერიაში მზადდებოდა პროექტი სოხუმის ოლქის ყუბანის ოლქთან, შესაბამისად სოხუმის ეპარქიის, ყუბანის ეპარქიასთან მიერთების შესახებ.[46] XIX საუკუნის მოწურულს, 1898 წელს, უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით აფხაზეთში ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება ქართულის ნაცვლად სლავურ ენაზე დაკანონდა, აფხაზეთის ყველა ტიპის სასწავლებელში აიკრძალა ქართული ენის სწავლება. ხელისუფლების პოლიტიკას შესანიშნავად გამოხატავს 1900 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საიდუმლო მოხსენებაში გამოთქმული სიტყვები: „გამოვგლიჯოთ სკოლა და ეკლესია ხელიდან ქართველ სამღვდელოებას, რომ წირვა-ლოცვა ეკლესიებსა და სკოლებში სლავურ ენაზე ტარდებოდეს. ამ ღონისძიებით გადავარჩენთ ადგილობრივ მოსახლეობას ქართული გავლენისაგან."[47]

რელიგიური სექტები საქართველოში. XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის საკმაოდ მტკივნეული პრობლემა სექტებს შეეხება. XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოში ჩამოსახლებული მოლოკნების თემი ამაევ საუკუნის II ნახევარში ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ მომძლავრდა. მეფის ხელისუფლება ხელს უწყობდა მათი მიწებით უზრუნველყოფას. რაც შეეხება დუხობორებს, შიდასექტური დაპირისპირებისა და კრიზისის გამო, რუსეთის ხელისუფლებამ ისინი არაკეთილსაიმედოდ მიიჩნია, დაიწყო მათი დევნა. XIX ს-ის მიწურულს და XX ს-ის დასაწყისში დუხობორების ერთი ნაწილი კანადაში გადასახლდა. ამ გადასახლებით დუხობორთა რაოდენობა ამიერკავკასიაში, მათ შორის საქართველოში, საგრძნობლად შემცირდა. XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში არსებულ რუსულ სექტანტურ მიმდინარეობებს (მოლოკნებს, დუხობორებს და სხვა) დაემატა ახალი სექტა – ბაპტიზმი. 1867 წლის 20 აგვისტოს მდინარე მტკვარში ბაპტისტის, ვინმე მარტინ ქალვეისტის, მიერ მოლოკანთა თემის პრესვიტერის ნ. ი. ვორონინის მონათვლა საქართველოში ბაპტიზმის გავრცელების დასაწყისად ითვლება. ბაპტიზმი საქართველოში თავდაპირველად ძირითადად მოლოკანთა და გერმანელ კოლონისტთა შორის გავრცელდა. თუმცა შემდგომში ბაპტისტები, ისევე, როგორც ორმოცდაათიანელები, ადვენტისტები და სხვანი თავიანთი მოძღვრების გავრცელებას უფრო ფართოდ ცდილობდნენ.[48]

რუსეთის იმპერიაში გავრცელებული ახალი სექტანტური დაჯგუფებები ბაპტიზმი, შტუნდიზმი და სხვა სახელმწიფოს მიერ XIX ს-ის 90-იანი წლების ბოლოს „განსაკუთრებულად მავნე სექტებად" შეფასდა. დაიწყო მათ წინააღმდეგ მკაცრი რეპრესიები, ამ სექტების წარმომადგენელთა მასობრივი დაპატიმრება, გადასახლება რუსეთის განაპირა რეგიონებში, კერძოდ ჩრდილოეთ გუბერნიებში, ციმბირში და ამიერკავკასიაში. აღსანიშნავია, რომ ამგვარ ღონისძიებებს შედეგად რეპრესირებული სექტების გაძლიერება და გავრცელება მოჰყვა.[49]

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში რუსეთის ხელისუფლების მხრივ სამისიონერო მოღვაწეობის უმთავრესი პრიორიტეტი სწორედ სექტებთან ბრძოლა გახდა. XIX ს-ის II ნახევარში რუსეთში ჩატარებული მისიონერთა სამი ყრილობა (1887, 1891, 1897 წლები) მიეძღვნა იმპერიაში სექტანტური მოძრაობის გააქტიურების საკითხს, განისაზღვრა მათი საზიანო როლი ეკლესიისა და მრეველისათვის, დაისახა პრობლემის დაძლევის გზები.[50] თუმცა, აღსანიშნავია, რომ სექტანტობის ზრდის შეჩერება რუსეთის იმპერიაში ვერ მოხერხდა.

რუსული საეკლესიო-რელიგიური ორგანიზაციების იდეოლოგიური პროპაგანდა. XIX საუკუნის II ნახევარში განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა მართლმადიდებლური „საძმოების" მისიონერული მოღვაწეობა, რომლებიც იქმნებოდა რუსეთის განაპირა დაპყრობილ და შემოერთებულ ეროვნულ რეგიონებში და წარმოადგენდა იმპერიის საეკლესიო პოლიტიკის გატარებისათვის დასაყრდენ

იდეოლოგიურ ბაზას. ამგვარი „საძმოები“ ხელისუფლების მიერ სოლიდურად ფინანსდებოდა. მათი ძირითადი მიზანი იყო არამართლმადიდებლური აღმსარებლობისა და სექტების წარმომადგენლებს შორის მართლმადიდებლობის რელიგიური პროპაგანდა, რაც კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის გზით ხორციელდებოდა. საქართველოში 1880 წელს დაარსდა „წმინდა ანდრია პირველწოდებულის საძმო“, 1885 წელს „ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის საძმო“, ხოლო 1898 წელს კი „საეპარქიო-სამისიონერო სასულიერო-საგანმანათლებლო საძმო“. ამ ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში ძირითადად თბილისის გუბერნიის ფარგლებში წარიმართა. მათი მოღვაწეობა სხვადასხვა კულტურული თუ საგანმანათლებლო ინიციატივებით, არასაღვთისმსახურო რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათის საუბრების, სამლოცველო სახლების დაარსებით, საეკლესიო ბიბლიოთეკების და სამკითხველოების მოწყობით გამოიხატა. „საძმოების“ საქმიანობა განსაკუთრებით აქტიურად იმ უბნებსა და რეგიონებში სრულდებოდა, რომლის ირგელიე არამართლმადიდებლური სარწმუნოების მოსახლეობა ან რომელიმე სექტანტური თემი კომპაქტურად სახლობდა. უდაოდ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა „წმინდა ანდრია პირველწოდებულის საძმოს“ მოღვაწეობას, რომელიც მატერიალურად გაჭირვებულ თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტებს სწავლის ხარჯების დაფარვაში ეხმარებოდა; აღსანიშნავია, აგრეთვე, „საეპარქიო-სამისიონერო სასულიერო-საგანმანათლებლო საძმოს“ მიერ, თბილისში, ყაზანის ღვთისმშობლის მონასტერთან, რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილი შესანიშნავი საღვთისმეტყველო ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკისა და მასთან არსებული სამკითხველო დარბაზის გახსნა.[51] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ორგანიზაციების ძირითადი ფუნქცია, სამისიონერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის გარდა, საქართველოში რუსული საეკლესიო პოლიტიკის მიმდინარე პროცესებზე საიდუმლო მეთვალყურეობა იყო.

კათოლიკური ეკლესია საქართველოში. XIX ს-ის II ნახევარში რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად კელავ გრძელდება ქართველ კათოლიკეთა არმენიზაციის პროცესი. 1886 წელს მთავრობის დადგენილებით კათოლიკურ ეკლესიებში ქართულ ენაზე რიტის ჩატარება აიკრძალა. უფრო მოგვიანებით, 1893 წელს ქართული კათოლიკური ეკლესია სომხურ კათოლიკურ ტიპიკონს დაუკავშირეს და ფაქტობრივად ამ ეკლესიას მიუერთეს. კითხვის ნიშნის ქვეშ დაისვა ქართველ კათოლიკეთა ეროვნული იდენტობის საკითხი, დაიწყო პროპაგანდა მათი სომხური წარმოშობის შესახებ. სომეხ ისტორიკოსთა მიერ ინერგება თვალსაზრისი ქართული ეროვნების კათოლიკეების არარსებობის თაობაზე.[52]

ასეთ პირობებში, ქართველ კათოლიკეთა საკითხი საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური საკითხთაგანი გახდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, კათოლიკური აღმსარებლობის ქართველი მეცნიერის, მიხეილ თამარაშვილის მონოგრაფია „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, რომელიც ევროპის არქივებში მოპოვებულ უნიკალურ წყაროებზე დაყრდნობით შეიქმნა და ნათელი მოჰფინა საქართველოში კათოლიკობის გავრცელების პირობებსა და ამ ეკლესიის ისტორიას, საქართველოში კათოლიკური მრევლის არსებობის საუკუნეების ტრადიციას. მიხეილ თამარაშვილის აღნიშნული წიგნი, აგრეთვე, მისივე ნაშრომები – „პასუხად სომხის მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას“ და 1910 წელს რომში ფრანგულად გამოცემული – „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, ემსახურებოდა სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების გამთლიანებას.[53]

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოს მაჰმადიანი მოსახლეობის მიმართ. რუსეთის რელიგიური პოლიტიკის გამო უმძიმესი ზიანი მიადგა სამცხე-ჯავახეთის რეგიონს. მთელი XIX ს-ის განმავლობაში, ისტორიულად ქართული პროვინციის ოსმალეთისაგან შემოერთების ფაქტი ქართულმა საზოგადოებამ

აღიქვა, როგორც ამ რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის საქართველოს კულტურულ გარემოში დაბრუნების შესაძლებლობა. რუსეთის პოლიტიკის წყალობით, სამწუხაროდ, შედეგი საპირისპირო აღმოჩნდა. დაიწყო მაჰმადიანი ქართველების, როგორც ანტირუსული ელემენტის ძალდატანებითი გადასახლება თურქეთში, ხოლო გათავისუფლებულ ტერიტორიაზე – თურქეთიდან ლტოლვილი ბერძნების, განსაკუთრებით კი სომხების, როგორც პრორუსული ორიენტაციის ეთნიკური ჯგუფის, აგრეთვე, სხვადასხვა რუსული სექტების წარმომადგენელთა ჩამოსახლება და კოლონიზაცია.

მაჰმადიანი მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელიც ოსმალეთში არ გადასახლდა, გაიხსნა საერო და სასულიერო სკოლები (მედრესეები), რომლებშიც სწავლა ძირითადად თურქულად მიმდინარეობდა. რუსულის შესწავლას მაჰმადიანი მოსახლეობა უდიერად ეკიდებოდა. ქართული ენა ამ ძირძველი ქართული რეგიონის სასწავლებლების პროგრამაში რუსეთის ხელისუფლებამ შეგნებულად არ შეიტანა. ბრძოლა გამოეცხადა სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი ქართველების ეროვნულ იდენტობას. მათი იდენტობის შეფასება რუსეთის ხელისუფლების მხრივ მხოლოდ რელიგიური ნიშნით ხდებოდა. თურქულ ენაზე განათლებამიღებულ ქართველ მაჰმადიანებს რუსეთის სასწავლებლებში არ ღებულობდნენ, ისინი მუსლიმანურ ცენტრებში ბაქოში, სტამბოლსა და ერზრუმში აგრძელებდნენ სწავლას. ყოველივე ამის შედეგად, XIX საუკუნის II ნახევარში სამცხე-ჯავახეთში ჩამოყალიბდა პროთურქული ორიენტაციის ინტელიგენცია. თურქული ენის პოზიციები ამ რეგიონში საკმაოდ გაძლიერდა.[54]

სამონასტრო ცხოვრება. რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შედეგები XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოს საეგზარქოსოს სამონასტრო ცხოვრებაზედაც აისახა. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოს საეგზარქოსოში ქართული ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი გაუქმდა; ე.წ. შტატიანი მონასტრები სახელმწიფოსაგან ფინანსდებოდა, ნაწილი უშტატოდ დარჩა და შემოწირულობის ხარჯზე არსებობდა. რუსეთში მიღებული სამონასტრო კლასიფიკაციის მიხედვით საქართველოში პირველი კატეგორიის მონასტერი არ არსებობდა. ქართული მონასტრები ძირითადად მეორე და მესამე კატეგორიას მიაკუთვნეს. ქართულ მონასტრებში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთიდან ჩამოყვანილი ბერების რიცხვი. რუსულ ყაიდაზე გადაკეთდა მონასტრების დიდი ნაწილი. ქართველი ბერები დაითხოვეს საფარის, დრანდის, ბიჭვინთის, მამაკოდის მონასტრებიდან. მთლიანად რუსების ხელში გადავიდა ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერი. აფხაზეთში, კერძოდ, ახალ ათონში, 1875 წელს აშენდა რუსული სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მთელ ამიერკავკასიაში რუსული საეკლესიო პოლიტიკის საყრდენად იქცა.[55] ქართულ მონასტრებში ქართველ ბერ-მონაზონთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო დარჩენილ ნაწილზე საიდუმლო ზედამხედველობა დაწესდა. აქტიურად წარიმართა მონასტრების სლავურ ტიპიკონზე გადაყვანა.[56]

რუსეთის ხელისუფლების მხრივ სათანადო ყურადღება მოაკლდა საზღვარგარეთ ქართველთა კუთვნილ მონასტრებს, რომლებსაც საქართველოს მეფეები და მთავრები ყოველთვის დიდ დახმარებას უწევდნენ. საქართველოს მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ წმინდა მიწებზე არსებული საეკლესიები, ქართული ეკლესია-მონასტრები ფაქტობრივად უპატრონოდ დარჩა.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი ბერები იბრძოდნენ წმინდა მიწაზე ქართველთა კუთვნილი საეკლესიების, კერძოდ, ათონის მთაზე იერონის მონასტერის დასაბრუნებლად, რომელსაც ბერძენი ბერები დაეპატრონენ. ამ მიზნით, 1869 წელს იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსების კურთხევითა და შემოწირულობით ბერ-მონაზონი ბენედიქტე ბარკალაია 12 სასულიერო პირთან ერთად ათონის მთაზე გაემგზავრა. სამწუხაროდ, ქართველი ბერების წამოწყება, აღედგინათ ათონის იერონის მონასტერზე საქართველოს ისტორიული უფლება,

უშედეგოდ დამთავრდა, რადგან რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ამ ინიციატივას სათანადოდ მხარი არ დაუჭირა.[57]

რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში გატარებული საეკლესიო რეფორმის შედეგად დაკნინდა და შეირყა ტრადიციული საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება. მონასტერი გადაიქცა ამორფულ დაწესებულებად და ხშირ შემთხვევაში სადამსჯელო დაწესებულების ფუნქცია იტვირთა.

მონასტრებში საპყრობილეების მოწყობა რუსეთის საეკლესიო ცხოვრების ჩვეული მოვლენა იყო, რომელმაც აქ ოფიციალურად 1905 წლამდე იარსება. ეს იყო ადგილი, სადაც აპატიმრებდნენ სახელმწიფო წყობისა და მართლმადიდებლური ეკლესიის მტრებად შერაცხულ არაკეთილსაიმედო პირებს. რეალურად ამ საპყრობილეთა პატიმარი გაურკვეველი ვადით შესაძლოა აღმოჩენილიყო როგორც მეამბოხე, სახელმწიფო დამნაშავე, ასევე სამონასტრო განაწესის დამრღვევი მართლმადიდებელი ბერი, არასაიმედოდ შერაცხული სასულიერო პირი სხვადასხვა რელიგიური სექტისა და აღმსარებლობის ადამიანი უბრალო ქუჩის მაწანწალა თუ ფსიქიურად დაავადებული ავადმყოფი. სამონასტრო საპყრობილეს უფროსის მოვალეობას ამავე მონასტრის წინამძღვარი ასრულებდა, ხოლო ბერები სადამსჯელო რეჟიმს უზრუნველყოფდნენ. XIX საუკუნეში რუსეთში ყველაზე მსხვილი სამონასტრო საპყრობილეები სოლოვეცკისა და სუზდალის მონასტრებში ფუნქციონირებდა[58].

XIX საუკუნეში რუსეთში არსებული სამონასტრო ცხოვრების ეს პრაქტიკა საქართველოშიც დაინერგა. რუსულის მსგავსად საქართველოში არსებული ზოგიერთი მონასტერი გადასახლების ადგილად გადაიქცა. დამნაშავე პირებს მონასტერში მონანიებისა და იძულებითი შრომისათვის აგზავნიდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ამორალობაში დადანაშაულებულთა სამყოფელად ხირსის მონასტერი იყო შერჩეული, პოლიტიკურად არასაიმედო პირებს კი წმ. დავით გარეჯელის და შიომღვიმეს უდაბნოში აგზავნიდნენ. პატაკებს იძულებით განწესებულ პირთა ყოფაქცევის შესახებ მონასტრების წინამძღვრები ეგზარქოსის სახელზე ყოველ ოთხ თვეში ერთხელ აგზავნიდნენ, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი... — ყოველკვირეულად".[59]

ქართული საეკლესიო სიწმინდეების დატაცება-განადგურება. XIX საუკუნის II ნახევარში, ისევე როგორც ამავე ასწლეულის I ნახევარში საეკლესიო-კულტურული ფასეულობების თვითნებური ძარცვის, ქართველთა ეროვნული საგანძურის, საისტორიო და ხეროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლების მიმართ უდიერი დამოკიდებულების არაერთი შემთხვევა აღინიშნა. ეს საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ჩვეული მოვლენა იყო. განადგურდა ან კოლექციონერებზე გაიყიდა საეკლესიო ხელნაწერების დიდი ნაწილი, საეკლესიო მატერიალური კულტურის არაერთი ნიმუში.

საქართველოში მოღვაწე უმაღლესი საერო და სასულიერო პირების მხრივ ხშირი იყო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, ქართული კულტურის ნიმუშების დატაცების შემთხვევები. ეგზარქოსის ევსევი ილინსკის (1858-1877 წწ.) დროს, რომელიც თანამედროვეთა აღწერით, შორს იდგა სასულიერო პირისათვის დამახასიათებელი პატიოსნებისაგან, გაიძარცვა და კოლექციონერებზე გაიყიდა საქართველოს ყოფილი საკათალიკოსოს უძვირფასესი საეკლესიო სამოსელი, მდიდრული საეკლესიო აღჭურვილობა.

1869 წელს გელათის მონასტრიდან გაიტაცეს ტიხრული მინანქრით შესრულებული, მოოქროვილი ვერცხლის ჩუქურთმებიანი X საუკუნის ხახულის ხატი. ამ ხატის ორიგინალი რუსი კოლექციონერის ბოტკინის კერძო კოლექციაში აღმოჩნდა, ხოლო გელათის მონასტერში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ლევაშოვმა მხატვარ საზიკოვის მიერ შესრულებული ხახულის ხატის ასლი განათავსა. ქართველი საზოგადოების დიდი მონდომების შედეგად ხატის ფრაგმენტები მხოლოდ 1923 წელს დაუბრუნდა საქართველოს საგანძურს. გელათის მონასტრი-

დანეე, ეგზარქოს ეესეეის ნებართვით, რესტაურაციის მიზნით გაიტანეს XI საუკუნის ოქროთი მოჭედილი და მომინანქრებული ყდით გამშეენიერებული სახარება. გუბერნატორ ლეეაშოვის მითითებით ყდის ოქროს მოჭედილობა მხატვარ საზიკოვის ეერცხლის ნახელავით შეიცვალა, ხოლო თავად ორიგინალი პეტერბურგში სტროგანოვის კოლექციაში აღმოჩნდა. ამჟამად სახარების ყდის ერთი ნაწილი ბერლინის მუზეუმშია დაცული, მეორე კი ბელგიელი კოლექციონერის საკუთრებაა. ეესეეის ეგზარქოსობის დროს გაიძარცვა თბილისის სიონის, მცხეთის, ალაეერდის, ბოდბის, ჯუმათის, იოანე ნათლისმცემლის და სხვა მონასტრებში არსებული ძვირფასეულობა, ხატები. საქართველოს ეკლესიის საგანძურს დიდი ზიანი მიაყენეს ეგზარქოს პაელე ლებედეეის (1882-1887 წწ.) დროს, როდესაც მეტეხის ტაძრიდან დაიკარგა ღვთისმშობლის ოქროსკარედიანი ხატი. ეგზარქოსის მითითებით თბილისის სასულიერო სემინარიის ეზოში ცეცხლს მისცეს რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი.

ეგზარქოს პაელე რაეეის (1887-1892 წწ.) მიერ პეტერბურგიდან საგანგებოდ ჩამოყვანილმა ფოტოგრაფმა საბინ-გუსმა, რომელიც მხატვრად ასაღებდა თავს, დასაელეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან რესტაურაციის მიზნით გაიტანა მრავალი ხატი, რომელიც უკან აღარ დაუბრუნებია.[60]

XIX საუკუნის II ნახეეარში საქართველოდან გაზიდული საეკლესიო სიწმინდეებით, უძველესი ხელნაწერებით, ძვირფასი მანუსკრიპტებით, ძვირფასეულობით რუსეთში გამდიდრდა ბოტკინის, ზვენიგოროდსკის, სტროგანოვის და სხვათა კოლექციები, ამ საგანძურის ნაწილი კი ეეროპის ქვეყნების მუზეუმებში მოხვდა.

საქართველოს ეროვნული საგანძურის დაუზოგავმა ძარცვა-განადგურებამ ქართული კულტურული ელიტის უმნიშვნელოვანესი კონსოლიდაცია განაპირობა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი სხვადასხვა ტიპის „საზოგადოებები" (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაერცელებელი საზოგადოება, საეკლესიო მუზეუმი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ფილარმონიული საზოგადოება, დრამატული საზოგადოება და სხვა) ნათელყოფს ნაციონალური იდენტობის დასაცავად საზოგადოებრივი აქტიეობისა და ეროვნული ენერგიის გამოელინების საკმაოდ მაღალ ხარისხს.

განსაკუთრებული როლი „სიძველეთა" და „საეკლესიო ნაშთების" გადარჩენის საქმეში მიუძღვის, სწორედ, თბილისის საეკლესიო მუზეუმს, რომელიც 1888 წელს ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ინიციატიეით გაიხსნა და 1921 წლამდე იარსება. მისი მიზანი წესდებით განისაზღვრა და ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიაზე მიმოფანტულ სიძველეთა – ძველი ხელნაწერების, ნაბეჭდი წიგნების, საეკლესიო-სარიტუალო აღჭურვილობის, საეკლესიო სიწმინდეების, ეპიგრაფიკული ძეგლების, სიგელ-გუჯრებისა და სხვათა წარმოჩენას, შეკრებას, შენახვას, კვლეეასა და გამოქვეყნებას.[61]

საეკლესიო მუზეუმმა იკისრა საეკლესიო საგანძურის, აგრეთვე ქართველოლოგიური დარგების სამეცნიერო-კვლეეითი პროცესის კონსოლიდაციის, საისტორიო წყაროთა მოძიების და ერთიან სისტემაში მოყვანის, კეალიფიციური დამუშავების ფუნქცია. მისიეე საშუალებით უცხოელი მკვლეერები ეცნობოდნენ ჩეენს ისტორიულ განძსა და წარსულს.

XIX ს-ის II ნახეარი და XX ს-ის დასაწყისი საქართველოში გამოირჩეეა საეკლესიო ისტორიის დარგში კვლეეა-ძიების განსაკუთრებული გააქტიურებით. იქმნება მონოგრაფიები და გამოკვლეეები საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა პრობლემის შესახებ. ქართველმა მეცნიერებმა ახლებურად გაიაზრეს საქართველოს ეკლესიის მთელი რიგი პრობლემები და საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს საეკლესიო ისტორიოგრაფიული აზროვნების ახალ სკოლას. საისტორიო მემკვიდრეობა წმინდა სამეცნიერო ღირებულების გარდა, მყარ ნაციონალურ ნიადაგზე დადგა და ეროვნული თვითშეგნების გაღვიეების, კულტურუ-

ლი ტრადიციების აღდგენა-განმტკიცების, სიძველეების შესწავლისა და პოპულარიზაციის ფუნქცია შეიძინა.[62]

საღვთისმსახურო ტრადიცია. რაც შეეხება საღვთისმსახურო ტრადიციას, ის საქართველოს საეგზარქოსოს ეკლესიებში კელავ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაკანონებული სლავური წეს-განგებით გრძელდება. წირვა-ლოცვა რუსულ სამრეველოებში რუსულად, ხოლო ქართულში კი ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ლიტურგიის დროს არ მოიხსენიებოდნენ ქართველი წმინდანები – თამარ მეფე, დაავით აღმაშენებელი, ქეთევან დედოფალი და სხვები. ქართველ წმინდანთა სახელობის ცალკეული ეკლესიები გადააკეთეს რუსი წმინდანების სახელზე.[63] აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის II ნახევარში გაიშალა ეკლესია-მონასტრების სარესტავრაციო სამუშაოები, მაგრამ დაიწყო ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების რუსულ საეკლესიო არქიტექტურაში მიღებული ფორმების მიხედვით გადაკეთება. მასიური ხასიათი მიიღო ეკლესიებში ინტერიერის კირით შეთეთრებამ, რის გამოც უძველესი ქართული ფრესკული მხატვრობის არაერთი ნიმუში განადგურდა.

XIX საუკუნის მიწურულს რუსეთის იმპერიის უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების წრეებში მომწიფდა უკმაყოფილება ობერ-პროკურორისა და სასულიერო წრეების ურთიერთმიმართების ფორმების თაობაზე. ობერ-პროკურორის პობედონოსცევის პოლიტიკა ერთი მხრივ გარეგნულად განამტკიცებდა სამღვდელოების, როგორც წოდების, პოზიციებს, მეორე მხრივ კი უკიდურესად ამკაცრებდა მათზე კონტროლს, ახდენდა საეკლესიო მმართველობის პროფანაციას. XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში უმაღლესი სასულიერი ხელისუფლების ერთი ნაწილისათვის ნათელი გახდა, რომ რუსეთში საეკლესიო მმართველობის სისტემა რადიკალურ ცვლილებებს საჭიროებდა. 1891 წელს ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ, მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორმა არქიმანდრიტმა ანტონმა (ხრაპოვიცკი) და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელმა ტ.ი. ფილიპოვმა აღძრეს საკითხი რუსეთში პატრიარქობის აღდგენის შესახებ. თუმცა ეს საკითხი ამ პერიოდში უშედეგოდ დასრულდა.[64]

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფის მომხრე უნდა ყოფილიყო საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსი ვლადიმერ ბოგოიავლენსკი (1892-1898 წწ.), რომელმაც საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაცია მოითხოვა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მისი ხელშეწყობით 1894 წელს ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა უწმინდეს სინოდში გაგზავნა მოხსენება, რომელშიც ამხელდა ეგზარქოსების მიერ ქართული ეკლესიის შეეიწროებას, მოითხოვდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გაუქმებას, ეპარქიების რაოდენობის გაზრდას, ეგზარქოსად ქართველი მღვდელმთავრის დადგენას. ბუნებრივია, ეს მოთხოვნა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ უპასუხოდ დატოვა.[65]

ამრიგად, XIX ს-ის II ნახევარში საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკური მოღვაწეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში შეფასებულია ახალ ეტაპად, როდესაც თვალსაჩინო გახდა ის უმძიმესი შედეგები, რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა.

XIX ს-ის II ნახევრისათვის რუსეთის იმპერიაში დამთავრდა საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის პროცესი. საქართველოს საკათალიკოსოს ნაცვლად შექმნილი საქართველოს საეგზარქოსო მოარგეს საეკლესიო მართვის რუსულ მოდელს და ის კავკასიის რეგიონში ერთმორწმუნე ქართველთა, მაჰმადიან მთიელთა და კავკასიის სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის მოსახლეობის რუსიფიკაციის და ასიმილაციის საკმაოდ ქმედით უწყებად, სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის შემადგენელ ნაწილად იქცა. საქართველოს ეგზარქოსები, რომლებიც უშუალოდ რუსეთის უწმინდეს სინოდს ექვემდებარებოდნენ, რუსული კოლონიური პოლიტიკის გატარებისა და ძალაუფლების განმტკიცების პოლიტიკას ემსახურებოდნენ.

XIX საუკუნის II ნახევარში, განსაკუთრებით კი აღნიშნული საუკუნის ბოლო ოცწლეულში, რუსიფიკაცია, როგორც მეთოდურად ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემა, მიმართული ეროვნული თავისებურებების, ერის მორალური და ინტელექტუალური ცხოვრების საპირისპიროდ, საქართველოში საეკლესიო ცხოვრების ყველა სფეროზე აისახა.

რუსიფიკაციის პოლიტიკა განსაკუთრებული სიმძაფრით განათლების სისტემას შეეხო. სახალხო სკოლებში, ანუ ე.წ. განათლების სამინისტროს სისტემის სასწავლებლებში დამკვიდრებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, რომელიც გულისხმობდა უხეში მეთოდებით სკოლის რუსიფიკაციას, საქართველოში სხვადასხვა დროს სასულიერო სემინარიებსა და საშუალო სასულიერო სასწავლებლებშიც აღინიშნა. განათლების ამ მოდელის დანერგვა მიზანმიმართულად განაპირობებდა, უწყებრივად განათლების სამინისტროზე დაქვემდებარებულ სკოლებში, ქართული ენის გაუქმებას და რუსულ ენაზე სწავლების დამკვიდრებას, რუსული სკოლის მეშვეობით ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების შეცვლას, მის სრულ რუსიფიკაციას. ამ მიზნით, XIX ს-ის 80-იანი წლებიდან სახალხო სკოლებში დედა ენის შესწავლა არასაკალდებულოდ მიიჩნიეს, ხოლო 90-იან წლებში ქართული ენა სახალხო სკოლებიდან სრულიად განიდევნა. დაინერგა პედაგოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელი ე.წ. ნატურალური, ანუ როგორც ქართველმა საზოგადოებამ უწოდა „მუნჯური" მეთოდი. ის გულისხმობდა უცხო ენის, ამ შემთხვევაში რუსულის, შესწავლას მშობლიური ენის ჩარევის გარეშე.

განათლების განსხვავებული მოდელი იყო დამკვიდრებული დაწყებითი სასულიერო განათლების სისტემაში: „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" სამრევლო სკოლებში, XIX ს-ის 80-იანი წლებიდან საეკლესიო-სამრევლო, საკვირაო და წერა-კითხვის შემსწავლელ სკოლებში, რომლებიც უწყებრივად საქართველოს საეგზარქოსოს ექვემდებარებოდნენ და საქართველოს ეპარქიებში, ცალკეულ სამრევლოებში ფუნქციონირებდნენ. რუსიფიკაციის ეს მოდელი რუსეთში მისიონერების მიერ შემუშავდა. მისი თავისებურება იყო „ინოროდცების" გარუსება არა უხეში, შეტევითი მეთოდით, არამედ შეფარვით, მშობლიური ენისა და რუსული სახელმწიფო რელიგიის გამოყენებით. ის ითვალისწინებდა: არარუს მოსახლეობში მშობლიური ენის ზემოქმედებით რუსული მენტალობის, ცხოვრების წესის, ზნე-ჩვეულებების აღზრდა-ჩამოყალიბებას, შემდგომ ეტაპზე კი რუსული ენის მეშვეობით რუსეთის იმპერიაში მათ სრულ ასიმილაციას. აღნიშნული ტიპის სკოლებში ქართული ენის სწავლება შენარჩუნდა, ამის გამო მათზე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა. XIX ს-ის ბოლოს საეკლესიო-სამრევლო და საკვირაო სკოლებიდან ქართული ენის განდევნის, მათი სახალხო სკოლების საგანმანათლებლო სისტემაზე დაქვემდებარების მცდელობა აღინიშნა, თუმცა ამ ეტაპზე უშედეგოდ.

განათლების სისტემის რუსიფიკაციის ორივე მოდელი, საქართველოს სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში დადგენილი სწავლების მეთოდი ემსახურებოდა ქართველთა გარუსებისა და ადგილობრივი ჩინოვნიკური აპარატისათვის კადრების მომზადების პოლიტიკას. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებულ სასულიერო სასწავლებლებში განათლებას ეზიარა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, საქართველოს არაერთი ღირსეული ეროვნული მოღვაწე.

საეკლესიო-კულტურული ფასეულობების თვითნებური ძარცვა, ქართველთა ეროვნული საგანძურის, საისტორიო და ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლების მიმართ უდიერი დამოკიდებულება საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ჩვეული მოვლენა გახდა: განადგურდა ან კოლექციონერებზე გაიყიდა საეკლესიო ხელნაწერების დიდი ნაწილი, საეკლესიო მატერიალური კულტურის

არაერთი ნიმუში, ბევრ ეკლესიასა და მონასტერში კირით შეათეთრეს ქართველ წმინდანთა ფრესკები და ა.შ.

ქართველური წარმოშობის ეთნოსების – სვანების, მეგრელების, აჭარლების და სხვათა – არაქართველებად აღიარება, სვანური და მეგრული ანბანის ხელოვნურად შექმნა და საეკლესიო-სამრევლო სკოლებში მათი დამკვიდრების მცდელობა, საქართველოს ზემოთ აღნიშნული რეგიონების სასულიერო სასწავლებლების სასწავლო პროგრამებიდან ქართული ენის ამოღება, ქართულ-აფხაზური კულტურული ერთობის საპირისპიროდ მიმართული საეკლესიო პოლიტიკა საქართველოს ტომობრივ დაყოფას, გაუცხოებას და საქართველოს ეკლესიური და ეროვნული ერთობის რღვევას უწყობდა ხელს.

საეკლესიო მამულების, ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონების სახაზინო ფონდში გადასვლის ხანგრძლივი პროცესის დასრულებით XIX საუკუნის II ნახევარში საბოლოოდ მოისპო ეკლესიის ქონებრივი დამოუკიდებლობა. სასულიერო პირებს დაენიშნათ ჯამაგირი სახელმწიფო ხაზინიდან. რუსული ეკლესიის მსახურთა მსგავსად ისინი სახელმწიფო მოხელეებად იქცნენ, თუმცა ამ ეტაპზე პარალელურად კვლავ ძალაში დარჩა ნატურალური გადასახადი. გადასახადების დაწესებული ფორმა მეტად აკნინებდა სასულიერო პირების რეპუტაციას. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა გადასახადების ძალდატანებით ამოღების შემთხვევებს. სასულიერო პირთა ანგარების გამო XIX ს-ის II ნახევარში მნიშვნელოვნად შეირყა სასულიერო პირთა ავტორიტეტი, მათი კავშირი მრევლთან, დაირღვა მათ შორის კეთილგანწყობა.

---

1. მ. ეაჩნაძე, ე. გურული, რუსეთის ისტორია XX საუკუნე, თბ., 2003, გვ. 79.
2. ქ. პაელიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბილისი, 1995, გვ. 33; ე. ბუბულაშვილი, რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მისი შედეგები, კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 110.
3. История религии в России, под общей ред. Трофимчука, М., 2002, გვ. 150.
4. რუსი მკვლევრის ე. ბრაილის ეს ფრაზა ციტირებულია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: ე. ბუბულაშვილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, 2004, გვ. 102; შდრ.: საქართველოს ეკლესიის აკლება, მე-2 გამოცემა თბ., 1907, გვ. 8.
5. Е. К., Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, გვ. 63.
6. Р. Дубровравин, Очерк истории русской церкви, Спб., 1863, გვ. 291.
7. ე. ბუბულაშვილი, რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მისი შედეგები, კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 110-119.
8. Е. К., Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, გვ. 65.
9. იქვე, გვ. 57-59.
10. იქვე, გვ. 76-82.
11. ე. ბუბულაშვილი, რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მისი შედეგები, კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 116.
12. Р. Дубровравин, Очерк истории русской церкви, Спб., 1863, გვ. 193.

13. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს., თბ., 2002, გვ. 32.
14. ჭ. პაელიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი პირველი, თბ., 2008, გვ. 58-60.
15. ე. ბუბულაშვილი, რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მისი შედეგები, კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 112.
16. Е. К., Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, გვ. 252-253.
17. Русское православие: вехи истории, Москва, 1989, გვ. 336; История религии в России, под общей ред. Трофимчука, М., 2002, გვ. 150.
18. Е. К., Краткий очерк истории Грузинской Церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, გვ. 109.
19. ე. ბუბულაშვილი, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობის ისტორიდან, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2008, I, გვ. 258.
20. История Христианской церкви в XIX века, изд. А. П. Лопухина, т. 2, ч. II, Петроград, 1901, გვ. 653; Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1890 г., Тифлис, 1891.
21. Т. Татиев, Исторiческий очерк развития церковно-школьного дела грузинской епархии за 25 лет (1884-1909 гг.), Тифлис, 1913, გვ. 14-15.
22. Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг, Тифлис, 1910, გვ. 27.
23. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX საუკუნეებში, თბ., 2002, გვ. 125; ე. ბუბულაშვილი, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობის ისტორიდან, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2008, გვ. 260.
24. ე. წეერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003, გვ. 114.
25. История Христианской церкви в XIX века, изд. А. П. Лопухина, т. 2, ч. II, Петроград, 1901, გვ. 652.
26. Русское православие: вехи истории, Москва, 1989, გვ. 357.
27. Е. К., Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, გვ. 81-82.
28. Русское православие: вехи истории, Москва, 1989, გვ. 358-360.
29. რ. საყვარელიძე, ქალთა პედაგოგიური განათლება საქართველოში, თბილისი, 1958, გვ. 108; ნ. ქეცბაია, ქალთა განათლების მდგომარეობა საქართველოში მე-19 ს-ის II ნახევარში, კრებულში: კულტურის ისტორიის საკითხები, III, 1997, გვ. 98.
30. თ. გეანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და საერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება, კრებულში: ქართველური მემკვიდრეობა, 2001, V, გვ. 97.
31. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 440, საქ. №194. ფურც. 111.
32. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX ს.), თბ., 1951, გვ. 203.
33. Русское православие: вехи истории, Москва, 1989, გვ. 357; Религия и церковь в истории России, Москва,1975, გვ. 215.
34. Церковь в истории России (IX в.-1917 г.), Москва,1967, გვ. 284.
35. История религии в России, под общей ред. Трофимчука, М., 2002, გვ. 157-158.
36. მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX სს., თბ., 1987, გვ. 102.
37. ტ. კვიციანი, რუსეთის სასკოლო პოლიტიკა საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლებში, საისტორიო ძიებანი, IV, 2001, გვ. 153.

38. სცსსა, ფ. 17, ანაწ. 3, საქ. 300; ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX ს.), თბ., 1951, გვ. 91.
39. მ. ალექსიძე, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა თბილისის სასულიერო სემინარიაში (ბრძოლა ქართული ენისათვის), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ავტორეფერატი), თბ., 1998, გვ. 20.
40. Русское православие: вехи истории, Москва, 1989, გვ. 366.
41. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX ს.), თბ. 1951, გვ. 65; თ. ფხალაძე, ქართველი სამღვდელოების ბრძოლა მშობლიური ენის დაცვისათვის (XIX ს-ის ბოლო-XX ს-ის დასაწყისი), კრებულში: კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, IX, 2000, გვ. 74.
42. Т. Татиев, Исторический очерк развития церковно-школьного дела грузинской епархии за 25 лет (1884-1909 гг.), Тифлис, 1913, გვ. 16-17.
43. Е. К., Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, გვ. 217.
44. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX საუკუნეებში, თბ., 2002, გვ. 53-55.
45. თ. ჟორდანია, ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1901 წლებში, ქუთაისი, 1913, გვ. 17.
46. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX საუკუნეებში, თბ., 2002, გვ. 139-140.
47. ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, (1-1991 წ.) თბ., 2005, გვ. 590; ე. ბუბულაშვილი, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობის ისტორიდან, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2008, I, გვ. 262.
48. Н. М. Никольский, история русской церкви, Москва, изд. III, გვ. 427.
49. Церковь в истории России (IX в.-1917), Москва, 967, გვ. 282.
50. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX საუკუნეებში, თბ., 2002, გვ. 271, 281, 286.
51. Е. К., Краткий очерк истории Грузинской Церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, გვ. 154-155.
52. შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984.
53. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, თბ., 1902; მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას, ტფ., 1904; მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა, თბ., 1995.
54. შ. ლომსაძე, მესხეთი და მესხები, თბ., 2000, გვ. 60.
55. ე. კიკნაძე, ახალი ათონი – რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკის დასაჟრდენი ამიერკავკასიაში, ჟურნ. „ლოგოსი", 2003, №1.
56. ე. ბუბულაშვილი, რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მისი შედეგები, კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 116.
57. А. Натросв, Иверский монастырь на Афоне, Тифлис, 1909. А. Калиновский, Где правда, История Афонского монастыря, Спб.,1885. Краткая история Афонского-Иверского монастыря по грузинским источникам, Спб., 1884.
58. М. Н. Гернет, Монастырские тюрьмы, Религия и церковь в истории России, Москва, 1975, გვ. 192-193.
59. ლ. მირიანაშვილი, სამონასტრო ცხოვრების თავისებურებანი XIX საუკუნის საქართველოში, კრებულში: ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები, თბ., 2000, გვ. 47.

60. საქართველოს ეკლესიის აკლება, მე-2 გამოცემა თბილისი, 1907, გვ. 8-10; აგრეთვე: ე. ბუბულაშვილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 104-105. Н. Дурново, Судьбы Грузинской Церкви, Спб., 1907, გვ., 24-25.
61. Тифлисское церковное древнехранилище, Тиф., 1898, გვ. I-IV.
62. ხ. ქოქრაშვილი, ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის ძირითადი ტენდენციები (XIX ს-ის ბოლო-XX ს-ის დასაწყისი), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2007, I, გვ. 258-261.
63. ე. ბუბულაშვილი, რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მისი შედეგები, კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბილისი, 2005, გვ. 118.
64. История религии в России, под общей ред. Трофимчука, М., 2002, გვ. 159.
65. ე. ბუბულაშვილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004, გვ. 107.

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში 1900-1917 წლებში

სახელმწიფო ეკლესიის გავლენის შესუსტება. XIX-XX საუკუნეების გზაგასაყარზე, გარეგნულად მშვიდი ეპოქის დასასრულს, უკვე გამოიკვეთა იმ პრობლემათა კონტურები, რომელთაც ეკლესია XX საუკუნეში რევოლუციების ეპოქაში შეეჯახა. მცდელობა იმისა, რომ სინოდალური სისტემის პირობებში ეკლესიის მნიშვნელობა და აქტივობა ამაღლებულიყო, ამაო და ფუჭი აღმოჩნდა. რუსეთის ეკლესია ორგანიზებული იყო, როგორც ბიუროკრატიული დაწესებულება, სამღვდელოება დარჩა წოდებრივად განკერძოებული, ხშირ შემთხვევაში თვითკმარი წოდებრივი ინტერესების დამცველი. ვერ შედგა XIX საუკუნის II ნახევარში საერო და სასულიერო ხელისუფლების მხრივ რუსეთის იმპერიაში სამრევლოების აღორძინების მცდელობა.[1] ამასთანავე, ეკლესიის განმტკიცებისათვის მობილიზებულმა უზარმაზარმა თანხებმა ვერ გაამართლა, გამოიკვეთა საეკლესიო ეკონომიკის პარაზიტული ხასიათი.[2]

რუსეთ-იაპონიის ომმა ქვეყანა სერიოზული ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე მიიყვანა. 1905-1907 წლების რევოლუციამ, ხოლო შემდეგ პირველ მსოფლიო ომში რუსეთის ჩაბმამ ფორსირებულად გააღრმავა საერო და სასულიერო ხელისუფლების საერთო კრიზისი. ყოველივე ეს, XX საუკუნის დასაწყისში ეკლესიის გავლენის დაცემის, მისი დასუსტების, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის შინაგანი წინააღმდეგობის გაჩენის მიზეზი აღმოჩნდა.

XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში, როგორც მთელ იმპერიაში, ასევე, საქართველოში საზოგადოებრივ სარბიელზე ფეხს იკიდებს მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული იდეები. საქართველოში ყალიბდებიან რევოლუციური და სოციალ-დემოკრატიული ძალები, რომლებმაც ეროვნულთან შედარებით წინ წამოწიეს სოციალური საკითხი. XIX ს-ის 90-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დაწყებული იდეური მიმდინარეობების დიფერენციაციისა თუ კონსოლიდაციის პროცესი, XX ს-ის დამდეგს საქართველოში სხვადასხვა ხასიათის პოლიტიკური მიმდინარეობების, პარტიების ან მათი ორგანიზაციების შექმნით დასრულდა,[3] მაგალითად ჩამოყალიბდა: სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, სოციალ-დემოკრატიული, ესერული ორგანიზაციები და სხვა.

კავკასიაში სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურების გამო საქართველოს საეგზარქოსოს, როგორც იმპერიის განაპირა მხარის საეკლესიო

ადმინისტრაციულ ორგანოს, მოსახლეობაზე იდეოლოგიური ზემოქმედების, დაძაბული ეითარების განმუხტვის საპასუხისმგებლო ფუნქცია დაეკისრა. თუ აქამდე საქართველოს საეგზარქოსი ძირითადად ადგილობრივი თანხებით ფინანსდებოდა, XX ს-ის დასაწყისიდან დაიწყო მისთვის სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად სოლიდური თანხების გაცემა. გარდა დადგენილი თანხისა, საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლების მიერ დამატებითი ფულადი რესურსებიც გამოიყოფოდა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ხაზინიდან საქართველოს საეგზარქოსოზე გაცემულ დახმარებას ხშირად შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა. თუ კავკასიაში მღელვარებებს ჰქონდა ადგილი, მაშინ უწმინდესი სინოდი საქართველოს საეგზარქოსოს თანხებს წელიწადში რამოდენიმეჯერ ურიცხავდა.[4]

XX ს-ის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში მიმდინარე კრიზისისა და სოციალ-პოლიტიკური მოძრაობის აღმაღლობის პირობებში, საქართველოს საეგზარქოსოში გატარებული ღონისძიებები უმეტესად სამღვდელო პიროა წამახალისებელ ხასიათს ატარებდა. სამღვდელოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სახელმწიფოსაგან ეროჯერადი ფინანსური დახმარებები, მათი საპენსიო უზრუნველყოფის გაზრდა, საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობების ხელშეწყობა, ნათელყოფდა, რომ მოსახლეობაზე იდეოლოგიური ზემოქმედების შესანარჩუნებლად, სახელმწიფოს მხრივ, ისევ ეკლესიაზე და სამღვდელოებაზე გაკეთდა აქცენტი. გადაიდგა ნაბიჯები სამღვდელო პირთა ავტორიტეტის აღსადგენად. 1901 წელს გამოცემული ბრძანებულებით ქართველი სამღვდელოების მრავალწლიანი მოთხოვნა, საეკლესიო გადასახადების აკრეფის დამამცირებელი ფორმებისა და მეთოდების შეცვლის შესახებ, როგორც იქნა დაკმაყოფილდა: „დრამის“ ნატურალური გადასახადი ფულადით შეიცვალა, დადგინდა სამღვდელო პირთათვის სახელმწიფო ხაზინიდან მისი ხელფასთან ერთად გაცემა. თუმცა, 1902-1904 წლებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში გლეხთა მასიური გამოსვლები, საეკლესიო გადასახადის აკრძალვის მიზნით, მოწმობდა, რომ ცალკეული კომპრომისული ღონისძიებები ვერ ანელებდა ეკლესიასა და სამწყსოს შორის არსებულ კრიზისს.[5] საქართველოში განხორციელებული რუსული საეკლესიო პოლიტიკის შედეგად XIX-XX საუკუნეების დასაწყისში სახეზე იყო მოშლილი რელიგიური ცხოვრება, დახურული ქართული სასულიერო სკოლები, გაძარცული მრავალსაუკუნოვანი ტაძრები და მონასტრები, შემცირებული მრევლი.[6] ქვეყანაში აღმავალი სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის გამო, ხშირ შემთხვევაში, ეს კრიზისი სხვადასხვა პოლიტიკური ტენდენციების გავრცელებას უწყობდა ხელს.

XX ს-ის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში მუშათა მოძრაობის გააქტიურების, რევოლუციური მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიული იდეების დამკვიდრების წინააღმდეგ გამოყენებული საეკლესიო პროპაგანდა არაქმედუნარიანი გამოდგა. საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა ათეისტური შეხედულებები. ბუნებრივია, სამღვდელოება თავს არ ზოგავდა ამგვარი მსოფლმხედველობის აღმოფხვრისა და გასაქარწყლებლად. ამ მიზნით, ეკლესიის მიერ, მოსახლეობაში აქტიურად ერცელდებოდა სპეციალური ლიტერატურა, მაგალითად, თბილისში ქართველ სამღვდელო პირთა მხარდაჭერით ითარგმნა და გამოიცა ფრანგი პროფესორის ანატოლი ლერუა ბოლიეს ნაშრომები: „ქრისტიანობა და დემოკრატია“, „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ და ა. შ. ამგვარად, ეკლესია და სამღვდელოება, ერთი მხრივ, შეეცადა საზოგადოებისათვის ეჩვენებინა ქრისტიანული მსოფლმხედველობის ტოლერანტული ხასიათი, მისი მზადყოფნა ეპასუხა ახალი დროის მოთხოვნებისათვის, დადებითად შეხვედროდა დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების პროცესს; მეორე მხრივ კი, წარმოეჩინა ის სახიფათო ტენდენციები, რომელიც რევოლუციურ რადიკალიზმსა და ათეიზმს შეეძლო მოეტანა.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული შინაგანი წინააღმდეგობა რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდშიც გამჟღავნდა. ცარიზმი იძულე-

ბული გახდა გარკვეული დათმობებისათვის მიემართა სტაროობრიადცების, რასკოლნიკებისა და სხვადასხვა სექტების მიმართ. 1903-1905 წლებში იმპერატორმა გამოსცა რამოდენიმე მანიფესტი და ბრძანებულება, რომლებშიც საუბარი იყო „სახელმწიფო წყობის სრულყოფის" შესახებ. ამ დოკუმენტებში ხელისუფლება მიუთითებდა არამართლმადიდებლურ კონფესიებთან და რელიგიური მიმდინარეობებთან მიმართებაში კანონების გადასინჯვის აუცილებლობაზე. 1905 წლის 17 აპრილს გამოქვეყნებული მანიფესტით დაკანონდა რჯულთშემწყნარებლობა, მართლმადიდებლობიდან სხვა ქრისტიანულ აღმსარებლობებზე გადასვლის უფლება. ლეგალური არსებობისა და მოქმედების უფლებები მიიღეს სტაროობრიადცების, რასკოლნიკების, აგრეთვე სხვა სექტანტების ორგანიზაციებმა (სკოპცებისა და ხლისტების გარდა). ეს იყო ფორმალური დათმობა რუსეთის იმპერიის იმ ურყევი დოგმატის წინაშე, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება სხვადასხვა აღმსარებლობათა შორის ცნობდა მართლმადიდებლობის პრიორიტეტულობას, აღიარებდა მის, როგორც სახელმწიფო რელიგიის სტატუსს. 1905 წლის 17 ოქტომბერს, რევოლუციური მღელვარების პირველი ტალღის შემდეგ, გამოცემული მეფის მანიფესტით, სხვა თავისუფლებებთან ერთად, სახელმწიფომ „სინდისის თავისუფლება" აღიარა. ყოველივე ამის შედეგად, სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობების გააქტიურებამ, რუსეთის იმპერიაში მართლმადიდებლობის პოზიციების დასუსტებას საგრძნობლად შეუწყო ხელი.

ეკლესიაში მომწიფებული კრიზისის გამო, ხელისუფლების წინაშე წამოიჭრა უწმინდესი სინოდის რეორგანიზაციისა და საეკლესიო რეფორმების გატარების საკითხი. უმაღლეს სასულიერო და საერო წრეებში აქტუალური გახდა საუბარი რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში პატრიარქობის აღდგენის შესახებ.

საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის საკითხი 1900-1917 წლებში. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის არაერთი პროექტი შემუშავდა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს საეკლესიო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების მოშლას, საქართველოს კუთვნილი ტარიტორიების მიტაცებას, საეკლესიო იურისდიქციის ხელყოფასა და იერარქიულ დაკნინებას, რუსეთის იმპერიის სივრცეში კავკასიელთა ასიმილაციას.

XX საუკუნის დამდეგს, 1901 წელს, სოხუმის ეპისკოპოსმა არსენმა, აფხაზეთისაგან „სუფთა რუსული პროვინციის" შექმნის მიზნით, უწმინდესი სინოდის წინაშე საქართველოს საეგზარქოსოსაგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის საკითხი დააყენა. 1904 წელს ნიკოლოზ II ბრძანების თანახმად გაგრა და მისი მიმდებარე ტერიტორია სოხუმის ოლქს მოაცილეს და შავიზღვისპირეთის გუბერნიას მიუერთეს. თუმცა, რევოლუციური მოძრაობის გამძაფრების გამო ვერ მოხერხდა სოხუმის ოლქის საქართველოსაგან მთლიანად მოწყვეტა.[7]

1906 წლის განმაელობაში, პეტერბურგში, უწმინდესი სინოდის და სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი საკრებულოს II განყოფილების სხდომებზე, რომელზედაც საქართველოდან წარგზავნილი დელეგაცია საქართველოს ეკლესიის აეტოკეფალიის აღდგენის საკითხის განხილვას ითხოვდა, სამი განსხვავებული პროექტი შეიმუშავეს: პირველი პროექტით (1906 წლის იანვარი) დაიგეგმა საქართველოს საეგზარქოსოსა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გაუქმება, საქართველოს საეგზარქოსოს ნაცვლად უნდა შექმნილიყო დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის (მასში ზაქათალას ოლქიც შევიდოდა), იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიები. საქართველოს საეგზარქოსო'ში შემავალი ბაქოს, ერევნის, ელიზავეტოპოლისა და ყარსის ეპარქიებისაგან უნდა ჩამოყალიბებულიყო ერთი, ასევე, დამოუკიდებელი ეპარქია. თითოეულ ეპარქიას უნდა ყოლოდა საკუთარი მმართველობა პრესვიტერული საბჭოების სახით, რომელიც უშუალოდ უწმინდეს სინოდს დაექვემდებარებოდა. მეორე პროექტი (1906 წლის ივნისი) გულისხმობდა საეგზარქოსოს შენარჩუნებას, ხოლო

მესამე (1906 წლის დეკემბერი) საქართველოს საეგზარქოსოს ნაცელად სამიტროპოლიტო ოლქის შექმნას ითვალისწინებდა. როგორც ეხედავთ, ორ შემთხვევაში სარეფორმო სამუშაოები მიმართულ იქნა საეგზარქოსოს გაუქმებისაკენ, საქართველოს ეკლესიის იერარქიული დამცრობისა და ამით მისი მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმებისაკენ.[8]

1908 წელს კვლავ შემუშავდა ახალი პროექტი, რომელიც გულისხმობდა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებას და მის ტერიტორიაზე სამი დამოუკიდებელი ეპარქიის დაარსებას. მათ ეწოდებოდათ თბილისის (თბილისის, ბაქოს, ელიზავეტოპოლის, ერევნის გუბერნიების და ყარსის ოლქის ეპარქიები), ქუთაისის (ქუთაისის გუბერნია და გურია-ოზურგეთის მაზრა), სოხუმის (სოხუმის ოლქი, ზემო სვანეთი-ლეჩხუმის მაზრის ნაწილი, ბათუმის ოლქი) ეპარქიები.[9] პოლიტიკური დაძაბულობის თავიდან აცილების მოტივით, კავკასიის მეფისნაცვლის ი. ორორნცოვ-დაშკოვის თხოვნით, უწმინდესმა სინოდმა ამ ეტაპზე საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებისა და საეკლესიო-ადმინისტრაციული ხასიათის რეფორმებისაგან თავი შეიკავა.

1916 წლის განმავლობაში უწმინდესი სინოდი არაერთხელ მიუბრუნდა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტს. შემუშავებული გეგმით უნდა შექმნილიყო კავკასიის სამიტროპოლიტო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას როსტოვის-დონიდან ერზრუმამდე, მისი ცენტრი ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ქალაქში განთავსდებოდა. უქმდებოდა საქართველოს საეგზარქოსო, ხოლო საქართველოს ეკლესია მასში ერთ-ერთი ეპარქიის სტატუსით გაერთიანდებოდა. დაიგეგმა საქართველოს საეგზაროქოსოდან „არაქართული სამრევლოების" გამოყოფა. ეს ნაბიჯი პირველად აფხაზეთში მოისინჯა. კვლავ აქტუალური გახდა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფა, მისი მიერთება შავიზღვისპირეთის ეპარქიასთან. ეს საქართველოს საეკლესიო ორგანიზმიდან სოხუმის ოლქის – მისი კუთვნილი განუყრელი ნაწილის ჩამოჭრას ნიშნავდა.[10] ხელისუფლება გარკვეულ მხარდაჭერას მოელოდა აფხაზი მოსახლეობისაგან, მაგრამ ისინი ერთმნიშვნელოვნად გამოვიდნენ პროექტის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საეგზარქოსო ქართველი ხალხისათვის მისი დაარსებისთანავე სასურველი ორგანო არ იყო, მაგრამ იმ დროს არსებულ სიტუაციაში იგი საქართველოს ყველა ეპარქიას აერთიანებდა. ამასთან, „საქართველოს საეგზარქოსო" თავისი შინაარსით მიუთითებდა იმაზე, რომ „საქართველოს ეკლესია" ოდესღაც მაინც ყოფილა ავტოკეფალური. აღნიშნული რეფორმა და „საეგზარქოსოს" გაუქმება საბოლოოდ შლიდა ამ ხსოვნას და საქართველოს ეკლესიის გათავისუფლების გზაზე გადაულახავ ბარიერს აღმართავდა.[11] საეგზარქოსოს გაუქმების შესახებ ინფორმაციამ ქართველი საზოგადოება მეტად ააღელვა და სამართლიანად შეაძრწუნა. მდგომარეობის სირთულე გაითვალისწინა მაშინდელმა ეგზარქოსმა პლატონმა, რომელიც ქართველ სამღვდელოებას მიემხრო. ქართველი სამღვდელოებისა და ინტელგენციის ერთსულოვანმა პროტესტმა აიძულა უწმინდესი სინოდი განზრახვა შეეცვალა

ამგვარად, 1900-1917 წლებში საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმების საკითხი არაერთხელ დადგა დღის წესრიგში. ის მიზნად ისახავდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებელ ერთეულებად დაქუცმაცებას, ეპარქიათა შორის საუკუნეების მანძილზე არსებულ შემაკავშირებელ ეროვნულ საწყისის და საერთო საეკლესიო ტრადიციების განადგურებას. სოლიდარობის აღმოფხვრას ისეთი საერთო საეკლესიო საკითხების განხილვის დროს, როგორიცაა ადგილობრივი საეკლესიო კრებების მოწვევა, საეპისკოპოსო კათედრებზე კანდიდატების არჩევა, საეკლესიო აღზრდა და განათლება.

საეკლესიო-რელიგიური ორგანიზაციები თვითმპყრობელობის სამსახურში. მთელი იმპერიის მასშტაბით რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რელიგიური ორგანიზაციების მუშაობის წახალისებას. XX

საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობას აგრძელებს „საეპარქიო-სამისიონერო საძმო“, რომლის აქტიურ წევრებად გვეელინებიან უმაღლესი სასულიერო პირები, მათ შორის საქართველოს ეგზარქოსი.

1905 წლიდან მოქმედება დაიწყო „წესრიგის მომხრეთა პარტიამ“, რომლის სათავეში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი ი. ეოსტორგოეი და თბილისის მეორე სამისიონერო ეკლესიის წინამძღვარი ს. გოროდცევი იდგნენ. ორგანიზაციის საქმიანობა მიმართული იყო არა მარტო რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობის, არამედ ქართველთა ეროვნული ღირსების წინააღმდეგ, აღვიეებდა რუს და ქართველ ერებს შორის ეროვნულ შუღლსა და სიძულვილს.

1905 წელსვე კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის მითითებით, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების გენერალმა გრიაზნოვმა ჩამოაყალიბა „პატრიოტთა საზოგადოება“, რომელმაც გააერთიანა კავკასიის რუსი ეროვნების მეფის ხელისუფლების დამცველი, მართლმადიდებელი მრეველი. „საზოგადოება“ აქტიურად ატარებდა ლექცია-საუბრებს, ქადაგებებს, მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზს, აგრეთვე, მსელელობებს ქუჩებში, რაც სამწუხაროდ, მოსახლეობას შორის შეტაკებებით მთავრდებოდა.

1907-1912 წლებში თბილისში მოღვაწეობდა „რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოება“, რომელსაც თავად საქართველოს ეგზარქოსი ხელმძღვანელობდა. „საზოგადოება“ მოსახლეობაში თვითმპყრობელობისა და რუსული ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებას ემსახურებოდა.[12]

აღსანიშნავია, რომ რელიგიური იდეით შენიღბულ, რუსეთის იმპერიული და კოლონიური რაჟიმის მხარდამჭერ საზოგადოებებს ქართველი საზოგადოება იმოავითვე უნდობლად მოეკიდა.

სასულიერო განათლების მდგომარეობა საქართველოში. XX საუკუნის დასაწყისში სასულიერო განათლების სისტემაში რუსიფიკაციის პოლიტიკამ განსაკუთრებული ხასიათი შეიძინა. ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ქართული ენა, რომელიც საეკლესიო-სამრეველო სკოლებში, ანუ დაწყებით სასულიერო სასწავლებლებში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი, განედევნა და სწავლის პროცესი მხოლოდ რუსულ ენაზე წარემართა.

1902 წელს უწმინდესი სინოდის მიერ საქართველოს საეკლესიო-სამრეველო სკოლებისთვის დამტკიცდა ახალი სასწავლო გეგმა, რომელიც გულისხმობდა სამეგრელოს საეკლესიო-სამრეველო სკოლებიდან ქართულის, როგორც ეითომდა „მეგრელთათვის არამშობლიური და გაუგებარი“ ენის, განდევნას, ხოლო მის ნაცვლად რუსული ენის შემოღებას. სწავლების პირველ წლებში დასაშვებად მიიჩნეოდა მეგრული ენის გამოყენება რუსულის უკეთ დაუფლების მიზნით. ამ სასწავლო გეგმის განხორციელებას წინ აღუდგა სამეგრელოს მოსახლეობა და გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭო, რის გამოც ვერ მოხერხდა აღნიშნული გეგმის განხორციელება.

საეგზარქოსოს სასლიერო სასწავლებლების რევიზიის საფუზვველზე 1904 წელს გამოიცა უწმინდესი სინოდის განკარგულება. ის გულისხმობდა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საეკლესიო-სამრეველო სკოლებში რუსული ენის გაძლიერებას, ქართველ პედაგოგთა შემცირებას, ხოლო რუსი ეროვნების მასწავლებელთათვის საშტატო ეროეულის გაზრდას.[13]

საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო სკოლების ოლქის მეთვალყურემ, ეოსტორგოემ, რომელიც XX ს-ის დასაწყისში ამიერკავკასიის სასულიერო განათლების ხასიათს და სულისკვეთებას წარმართავდა, 1904 წელს, თავის საჯარო გამოსვლაში, ამ რეგიონის საეკლესიო სკოლის პრიორიტეტად სახელმწიფო ენის უფრო მეტად გაძლიერება დასახა. მეგრელების და სამურზაყანოელების (რომლებსაც არაქართველებად თვლიდა), ასევე აფხაზებისა და ოსების მისამართით, შენიშნავდა: „არ შეიძლება მათ ისწავლონ ქართული, გადაუდებელია სლავურს და

რუსულს ეუფლებოდნენ... თუ რომელიმე ხალხს არ გააჩნია სალიტერატურო ენა და სხვა ერებთან შერწყმა უწერია, დაე, შეერწყას ის რუს ხალხს და არ გააძლიეროს ამით სხვა ხალხები".[14] ნათელი იყო, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენას, ანუ რუსულს, ამიერკავკასიის მოსახლეობის სრული რუსიფიკაციის საქმეში კვლავ ერთერთი უმთავრესი ადგილი ენიჭებოდა.

აღსანიშნავია, რომ XX ს-ის დასაწყისში აფხაზეთში გატარებული სასულიერო განათლების პოლიტიკა კვლავ საფუძველს უმყარებდა ქართულ-აფხაზური ეროობის რღვევას, ხელს უწყობდა აფხაზური სეპარატიზმის ფორმირებას.

XX ს-ის დასაწყისში არ ცხრებოდა ქართველი ინტელიგენციის ბრძოლა საშუალო სასულიერო სასწავლებლებში, სასულიერო სემინარიებში ქართული ენის დასამკვიდრებლად. ამ პერიოდში სასულიერო სემინარიაში მოქმედებდა ჩუდეცკის (თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი რექტორი) მიერ შემოღებული პროგრამა, რაც მხოლოდ საეკლესიო ქართული ენის, ხუცური ანბანისა და მკადაგებლობის შესწავლას გულისხმობდა. ხელისუფლების თვალსაზრისით, საერო მწერლობის შესწავლა არ შეეფერებოდა სასულიერო სემინარიაში აღზრდის მიზანს. 1902 წელს ეგზარქოსმა ალექსიმ არ დაამტკიცა საგანგებო კომისიის მიერ სასულიერო სემინარიისათვის შედგენილი ქართული საერო მწერლობის პროგრამა.[15] აღსანიშნავია, აგრეთვე ო. გამზარდიასა და ვ. ბარნოვის მიერ შემუშავებული პროგრამები, რომლებიც სასულიერო სემინარიებში ქართული საერო ლიტერატურის, სიტყვიერების თეორიის, საქართველოს ისტორიის საგნების შესწავლის გაძლიერებას გულისხმობდა. XX ს-ში რევოლუციური მოძრაობის გააქტიურების პერიოდში საშუალო სასულიერო სასწავლებლებში ადგილი ჰქონდა ქართული საერო ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სწავლების შემოღების ცალკეულ შემთხვევებს. თუმცა უწმინდესი სინოდის 1904, 1909, 1912 წლების დადგენილებებით ეს მდგომარეობა კვლავ აღიკვეთა. ქართული ენისათვის ბრძოლა სასულიერო სემინარიებში მათი არსებობის ბოლო წლებამდე გრძელდებოდა.[16] საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ერთ-ერთი პირველი ღონისძიება სწორედ სასულიერო სასწავლებლებში სწავლების ქართულ ენაზე შემოღება იყო.

აღსანიშნავია, რომ XIX ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეთა შორის ფეხს იკიდებს რევოლუციური, სოციალ-დემოკრატიული იდეები, რასაც ხელისუფლებამ უკიდურესი რეაქციითა და რეჟიმის გამკაცრებით უპასუხა: სასწავლებლებში დაწესდა მკაცრი ცენზურა, სტუდენტებს ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე აეკრძალათ საცხოვრებელი ადგილის დატოვება. განსაკუთრებულად ურჩი ახალგაზრდების მიმართ გატარდა უკიდურესი რეპრესიები: სასწავლებლიდან გარიცხვა, დაპატიმრება და ა.შ. არსებული მონაცემებით, გარიცხულთა შორის ქართველი მოსწავლეები სჭარბობდნენ, მათ ნაცვლად რუსეთის სხვადასხვა სემინარიებიდან გამორიცხულ სტუდენტებს ღებულობდნენ.[17] 1905 წელს, სახალხო მღელვარების საბაბით, სამუდამოდ დახურეს ქუთაისის სასულიერო სემინარია, 300-მდე სემინარიელი სასწავლებლის გარეთ დარჩა.

განათლების სისტემის სრული რუსიფიკაციის პარალელურად საერო და სასულიერო ხელისუფლების მიერ, ქართული ეკლესიის ეროვნული იდენტობის შესაცვლელად, სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები იგეგმებოდა. 1899-1900 წლებში ქართველ სამღვდელოებას დაეკალა საეკლესიო საბუთების რუსულად წარმოება. 1900 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდეს მწვავე წინააღმდეგობის შედეგად ქართველმა სამღვდელოებამ მოიპოვა საეკლესიო საბუთების კვლავ მშობლიურ ენაზე წარმოების უფლება. 1912 წელს ფოსტა-ტელეგრაფის ინიციატივით უწმინდეს სინოდში ქართული საეკლესიო ბეჭდების რუსულით შეცვლის საკითხი დაისვა. უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით საეკლესიო ბეჭდები რუსული ზედწარწერით საქართველოს საეგზარქოსოში ხმარებაში 1917

წლიდან უნდა შემოსულიყო. თუმცა უკვე 1916 წლის აპრილიდან საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა საეგზარქოსოს ეკლესია-მონასტრებს უბრძანებდა ქართული ბეჭდების ტექსტების რუსულად თარგმნას ან ახლის დამზადებას რუსული ზედწარწერით. აღნიშვნას იმსახურებს, მიზანმიმართული რუსიფიკაციის ეროი დეტალიც: 1913 წლის 1 იანვრიდან ქართველ სამღვდელო პირებს ბაეშვების ნათლობის დროს მხოლოდ ისეთი სახელების დარქმევა ებრძანათ, რომლებსაც რუსული ეკლესია დღესასწაულობდა.[18]

საეკლესიო ჟურნალისტიკა. ჯერ კიდევ, XIX ს-ის II ნახევრიდან დაარსებული ცალკეული მნიშვნელოვანი საეკლესიო-რელიგიური ხასიათის გამოცემის გვერდით, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, გამოჩნდა ამავე შინაარსის გამოცემები. ზემოთ ეისაუბრეთ სასულიერო ხასიათის ჟურნალის „მწყემსი"-ს თაობაზე, რომელიც 1883-1910 წლებში გამოდიოდა დაბა ზესტაფონში. ასევე აღვნიშნეთ საქართველოს საეგზარქოსოს ოფიციალური ბეჭდური ორგანოს — "Духовный вестник грузинского экзархата" („საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე") შესახებ, რომელიც 1891-1916 წწ. არსებობდა.

1906 წელს თბილისში ავტოკეფალური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში გამოვიდა ყოველკვირეული ქართული გაზეთი „სიტყვა", 2-4 გვერდიანი რუსული დამატებით, მღვდელის, იოსებ ჩიჯავაძის რედაქტორობით. ეს იყო ქართველი სამღვდელოების ლიბერალური მიმართულების გაზეთი, რომელიც მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, ამასთანავე აშუქებდა თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა საჭირბოროტო პრობლემებს. სულ გამოვიდა 15 ნომერი. სამწუხაროდ, გაზეთმა მცირე ხანს იარსება, მაგრამ მის ფურცლებზე ასახული მასალები დღემდე არ კარგავს მნიშვნელობას საქართველოს ეკლესიის ისტორიის ამ მეტად საინტერესო პერიოდის გასაცნობად.

1906 წელს თბილისში გამოიცა ყოველკვირეული საეკლესიო- საზოგადოებრივი ჟურნალი „ჯვარი ვაზისა". მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო დ. მუღაშოვი-პაწაძე (მუღაშაშვილი-პაწაძე). ჟურნალის არსებობა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა, სულ 18 ნომერი დაისტამბა. ეს იყო კათოლიკური აღმსარებლობის სასულიერო ორგანო, რომელიც მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. მასში იბეჭდებოდა საგანმანათლებლო ხასიათის მასალა, წერილები საქართველოს ისტორიისა და სიძველეების შესახებ.

საინტერესოა ამ პერიოდში ქუთაისში გამოსული საეკლესიო პრესაც. 1908 წელს მღვდელმა სიმონ მჭედლიძემ დააარსა, როგორც ის თავად აღნიშნავს „სარწმუნოებრივ ზნეობრივ-საზოგადოებრივი გაზეთი" — „შინაური საქმეები", რომელიც 1916 წლამდე გამოდიოდა. გაზეთის მიზანი XX საუკუნეში ათეისტური აზროვნების მასიურად გავრცელების პირობებში საზოგადოების, სარწმუნოებისაკენ მობრუნება, ერის სულიერი კრიზისიდან გამოყვანის მცდელობა იყო. გაზეთის თემატიკა ღრმად ეროვნული მნიშვნელობის, პედაგოგიური ხასიათის და სხვა საკითხების ფართო სპექტრს მოიცავდა. სიმონ მჭედლიძის რედაქტორობით გამოიცემოდა, აგრეთვე, საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი „განთიადი". იგი მცირე ხნით გამოდიოდა, მაგრამ ჟურნალის ორიოდე ნომერი მაინც გვიქმნის წარმოდგენას მისი რედაქციისა და დამაარსებლის ეროვნულ სულისკვეთებაზე.[19]

საეკლესიო საგანძურის მითვისების მცდელობას ჰქონდა ადგილი XX ს-ის დასაწყისში, როდესაც 1901 წელს საქართველოს საეკლესიო ქონების მდგომარეობის შესწავლის მიზნით უწმინდესმა სინოდმა საქართველოში მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე პარასკევა უვაროვა მოაველინა. მის დასკვნაში საგანგებოდ აღინიშნა საქართველოს მოსახლეობის, სამღვდელოების გულგრილი დამოკიდებულება საეკლესიო სიძველეების მიმართ, რის შედეგადაც თითქოს განადგურდა საეკლესიო საგანძური, ქართული კულტურის არაერთი ნიმუში. ქართული საეკლესიო ქონების დაცვისა და გა-

დარჩენის საბაბით პარასკევა უვაროვა საეგზარქოსოსაგან საგანძურის რუსეთში გატანის ნებართვას ითხოვდა. საეკლესიო საგანძურის მითვისების ამ მცდელობას მწვავე წინააღმდეგობა გაუწია ქართველმა საზოგადოებამ. 1902 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) პროტესტის წერილით გამოეხმაურა პარასკევა უვაროვას მოთხოვნას. მისი განმარტებით, 1875 წელს საგანგებო კომისიის მიერ დადგენილი ნუსხა ყოველწლიურად საგანგებოდ მოწმდებოდა საეგზარქოსოს თანამშრომელთა მიერ, ხოლო საეკლესიო ნიეთებისადმი ქართველი სამღვდელოების უყურადღებო დამოკიდებულება კატეგორიულად იქნა უარყოფილი.[20]

ბუნებრივია, პარასკევა უვაროვას ბრალდება სრულიად უსაფუძველო იყო. ქართველი საზოგადოებისა და სამღვდელოების ინიციატივით საქართველოს ტერიტორიაზე უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესია-მონასტრებში სიწმინდეებისა და უძველესი ხელნაწერების შეკრება-გამოვლენა, ჯერ კიდევ, XIX ს-ის II ნახევარში დაიწყო. ქართული კულტურის საგანძურის დიდმა ნაწილმა თავი მოიყარა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საცავებსა და ბიბლიოთეკაში, საეკლესიო მუზეუმის სიძველეთსაცავში, უფრო მოგვიანებით კი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. XIX ს-ის ბოლოს და XX საუკუნის 10-იან წლებში ამ საზოგადოებების სიძველეთსაცავები არაერთი საყურადღებო ხელნაწერით, წიგნით, ალბომით, არქეოლოგიური მასალით, ნუმიზმატიკური კოლექციით შეივსო. ამ ძეგლების სოლიდური ნაწილი მაშინვე საგანგებოდ აღინუსხა და დღემდე ამშვენებს საქართველოს ეროვნულ საგანძურს.

* * *

რუსული საეკლესიო პოლიტიკის შედეგად საქართველოს რელიგიურ ცხოვრებაში შექმნილი ვითარების გამო ქართველი სამღვდელოების ოპოზიციური განწყობა XIX საუკუნის განმავლობაში არაერთხელ დაფიქსირდა. XX საუკუნის დასაწყისიდან სასულიერო ინტელიგენციის პროტესტი უფრო ღიად და აქტიურად გამოიხატა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით. „ავტოკეფალური მოძრაობა" საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მიმართულებად იქცა, რომელიც სულიერ საზრდოს აძლევდა და მორალურად ამხნევებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქართველი სამღვდელოების მონაწილეობის შესახებ უფრო დაწვრილებით მომდევნო თავში იქნება საუბარი.

---

1. **История религии в России, под общей ред. Трофимчука, М., 2002, გვ. 159; 161-162.**
2. **Н. М. Никольский, история русской церкви, Москва, изд. III, გვ. 404-412.**
3. ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წლებში, თბ., 1980, გვ. 164-196.
4. ქ. პაელიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბილისი, 1995, გვ. 25.
5. ქ. პაელიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი პირველი, თბილისი, 2008, გვ. 179-180.

6. Tonkmelis, Правда об автокефалии грузинской церкви(ответ Самуилову и К0), Кутаис, 1905; Дурново Н., Судьбы грузинской церкви, М., 1907, გვ. 7; ფანჯიკიძე, ქრისტიანობა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, თბ., 2005, გვ. 25.
7. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX საუკუნეებში, თბ., 2002, გვ. 158.
8. შ. ჯაფარიძე, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1906 წლის სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე, კულტურის ისტორიის საკითხები, ტ. 2, თბ., 1996; ხ. ქოქრაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი რუსეთის უწმინდეს სინოდში (1905-1907 წწ.), კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 2005, გვ. 244, 255.
9. ქ. პაელიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი პირველი, თბილისი, 2008, გვ. 250.
10. ქ. პაელიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი პირველი, თბილისი, 2008, გვ. 251-252.
11. ნ. პაპუაშვილი, საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის, თბ., 1996, გვ. 9.
12. ქ. პაელიაშვილი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი პირველი, თბილისი, 2008, გვ. 201-203; შ. ჯაფარიძე, რელიგიური ორგანიზაციები და მათი დანიშნულება 1905-1907 წლების რევოლუციის საქართველოში, კულტურის ისტორიის საკითხები, III, 1997, გვ. 102- 107.
13. ქ. პაელიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბილისი, 1995, გვ. 186.
14. И. Восторгов, Церковная школа в Закавказье, СПб., 1905, გვ. 26.
15. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX საუკუნეებში, თბ., 2002, გვ. 49.
16. მ. ალექსიძე, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა თბილისის სასულიერო სემინარიაში (ბრძოლა ქართული ენისათვის), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ავტორეფერატი), თბილისი, 1998, გვ. 14-16.
17. Из воспоминании русского учителя правословной Грузинско духовной семинарии, Москва, 1907, გვ. 4-5.
18. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს., თბილისი, გვ. 199-200.
19. დ. მელიქიშვილი, დასავლეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი გაზეთი „შინაური საქმეები" და „იმერეთის სარწმუნოებრივ განმათავისუფლებელი ძმობა წმინდანისა მთავარმოწამისა, ძლევამოსილისა საკვირველმოქმედისა გიორგისა", საქართველოს ეკლესიის ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხი (სვეტიცხოველობისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები), თბილისი, 1995 გვ. 66; ც. ჩხარტიშვილი, ქართული მართლმადიდებლური პრესა („შინაური საქმეები", „განთიადი"), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (3), 2008, გვ. 288-292.
20. ქ. პაელიაშვილი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი პირველი, თბილისი, 2008, გვ. 182-183.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სამსახურში აღმოჩნდა საგანმანათლებლო ტრადიციებით მდიდარი საქართველოს სასწავლო დაწესებულებები.

ცარიზმი დაპყრობილ ქვეყანას, უპირველესად, რუსიფიკატორული პოლიტიკით უნდა დაუფლებოდა. იარაღით დაპყრობილი საქართველო ქართველი ხალხის გარუსებით თუ იქცეოდა იმპერიის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად, მხოლოდ გარუსებული ქართველობა თუ იქნებოდა რუსული გუბერნიების მორჩილი მოსახლეობა. ეს მიზანდასახულობა მხოლოდ სკოლებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო, თუკი ამ სკოლებიდან სრულად განიდევნებოდა მშობლიური ენა და სწავლება რუსულ ენაზე დაწესდებოდა.

XIX-XX საუკუნეების რუსი მოღვაწეები, შემდეგში კი საბჭოთა ისტორიოგრაფია, ხშირად აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ დაპყრობისთანავე რუსეთის ხელისუფლებამ დააარსა სკოლები როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის გუბერნიებში, საშუალება მისცა ქართველ ხალხს მიეღო დაწყებითი და საშუალო განათლება, რის შემდეგაც მსურველები სწავლას გააგრძელებდნენ რუსულ თუ ევროპულ უნიველრსიტეტებში. ერთი მხრივ, ეს მართლაც იყო დადებითი მოვლენა, მაგრამ თუ სწავლების იმ რუსიფიკატორულ მეთოდებს გაიხსენებთ, რაც ამ სკოლებში იყო გამეფებული, თუკი იმპერიის კოლონიური პოლიტიკის ფარულ მიზნებს გაითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რას ემსახურებოდა რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა: ჰუმანიზმს, ქართველ ხალხზე ზრუნვას, თუ იგი იმპერიული პოლიტიკის ნაწილი იყო. პასუხი ადვილი გახდება, თუ გულდასმით გადავალებთ თვალს რუსული განათლების სისტემას 1801-1917 წლების მანძილზე, ვიდრე არ დაიწყო საქართველოში არსებული სკოლების გაეროვნების პროცესი.

როგორც აღვნიშნეთ, რუსული კოლონიური პოლიტიკა დაპყრობილ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, სამი მიმართულებით წარიმართა: პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო. რუსეთი სამივე ამ მიმართულებით იპყრობდა ქვეყანას – პოლიტიკურად – იარაღით, ეკონომიკურად – წარმოების კოლონიზაციით და იაფი ნედლეულის გაზიდვით, კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულება კი ძველთაძველი ქართული კულტურის ტრადიციების მოსპობითა და განათლების ახალი კერების რუსიფიკაციით იგეგმებოდა.

პირველი, რაც აჯანყებული ქართველების დასასჯელად რუსი ჩინოვნიკების მიერ იქნა გააზრებული, ეს იყო დამნაშავეთა მცირეწლოვანი შვილების გაგზავნა რუსულ სამხედრო (კადეტთა) სკოლებში და მათი გარუსება. ასე მაგალითად: 1820 წელს კავკასიის მთავარი შტაბის უფროსი წერდა საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ ერმოლოვს: „ხელმწიფე იმპერატორმა, თქვენი უდიდებულესობის განზრახვის თანახმად, უმაღლესად კეთილ ინება: მთიელ ხალხში, გურიაში, იმერეთში და სამეგრელოში მღელვარების უმთავრეს გამომწვევთა და მოღალატეთა შვილები, გაიგზავნონ აღსაზრდელად სამხედროთა ობლების განყოფილებაში, საიდანაც ისინი უნდა გადავიდნენ რუსეთის შიგნით განლაგებულ პოლკებში"[1].

საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელეები, როგორც თავად რუსებიც წერდნენ, იყვნენ ჩამორჩენილები, გაუნათლებლები და ანგარებიანი ადამიანები, ისინი არ იცნობდნენ ქართული კულტურის დიდ ტრადიციებს, იმ ძვირფას საუნჯეს, რითაც ჩვენი წინაპრები ყოველთვის ამაყად უსწორებდნენ მხარს ცივილიზებულ სამყაროს. ამ მოხელეებს საქართველო და ქართველი ხალხი ეგონათ რუსეთის მიერ დაპყრობილი, განვითარების დაბალ დონეზე მყოფი სხვა ხალხების მსგავსი და უაღრესად ჩამორჩენილი, ამიტომ თავი განმანათლებლებად, რუსული კულტურის მისიონერებად მიაჩნდათ. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ერეკლე II-ის დროს, XVIII საუკუნის ბოლოს ხომ, მხოლოდ თბილისში, სადაც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე 60 ათასი კაცი ცხოვრობდა, ოცამდე დაწყებითი სკოლა და ერ-

თი სემინარია იყო, ამასთან, აქ 5 კერძო სკოლაც არსებობდა, ფართოდ იყო გავრცელებული დამოუკიდებელი სწავლების პრაქტიკა.

მეფის მოხელეები ყველა არარუსს, რაც არ უნდა განათლება ჰქონოდათ მათ, საკუთარ ქვეყანაში მიღებული, მაინც გაუნათლებლად თელიდნენ. XIX ს-ის დასაწყისის საქართველოში რუსული ენა ცოტა ვინმემ თუ იცოდა, ესეც საკმარისი იყო რუს მოხელეთათვის ქართველი ხალხის კულტურა-განათლებისათვის ეჭვით რომ შეეხედათ. რუსი მოხელე, ისტორიკოსი ნ. დუბროვინი ირონიით წერდა იმერეთის მეფე – სოლომონ II-ზე, რომ ციციანოვს პასუხებს უგვიანებდა მისი მდივნის თბილისში წასვლის გამო, რადგან არც თვითონ და არც მისმა ახლობლებმა რუსული არ იცოდნენო. არც დუბროვინს და არც ციციანოვს (რომელსაც უფრო მეტად ევალებოდა მშობლიური ენის ცოდნა, ვიდრე სოლომონსა და მის გარემოცვას რუსულის) არ ესმოდათ ის მთავარი, რაც უნდა სცოდნოდა რუს მოხელეს – დიპლომატიის ენა, რის გამოც უჭიანურებდა პასუხს ციციანოვს სოლომონ II, რომელმაც, მართალია, არ იცოდა რუსული, მაგრამ მის გარემოცვაში ბევრი პოლიგლოტი იყო, რამდენიმე მათ შორის ახალი დამპყრობლის ენაც მშვენიერად იცოდნენ. დუბროვინი „განათლების ფრიად დაბალ დონეს" უწოდებს ქართველი ხალხისაგან რუსული ენის უცოდინრობას, რაც იმპერიული აზრის ჩვეულებრივი გამოელენა იყო და მეტი არაფერი[2].

1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მმართველად დანიშნული პ. კოვალენსკი, ერთი წლის შემდეგ წერდა: „შინაგან კეთილმოწყობას, მართლმსაჯულების წესს, ხალხის განათლებას... მიუხედავად ამ საგანზე ჩემი მეთვალყურეობისა, დღემდის დასაბამი არ ჰქონია"[3]. ამასვე იმეორებდნენ შემდეგში რუსი მოხელეები: ბურნაშოევი, ლიტვინოვი, მოძალევსკი, რომანოვსკი და სხვა მოხელეები. მათი სიტყვები და აზრებიც ქართველი ხალხის განათლებასა და კულტურაზე, კავკასიის აქტებმა შემოგვინახა. და ეს მაშინ, როდესაც ქართველი ისტორიკოსი, მამულიშვილი და რომანტიკოსი პიროვნება – პლატონ იოსელიანი ტკივილით წერდა: „ესრედ კეთილად დაწესებული სამეფო, ვითარცა საქართველოისა, სარწმუნოებითა, ეკლესიებითა, მონასტრებითა, მდივანბეგებითა და ხელოვნებითა, გუთნითა და ხვნითა, თესვითა და მკითა, პატიოსნებითა და ზრდილობით აღსავსე ესრეთ ბრწყინვალე სამეფოითა და ტახტითა და თავადაზნაურობითა, სამღვდელოთა წესითა და საეროსა სიმდიდრითა: თოფითა და ზარბაზნითა და ხალხის სიმხნითა და ვაჟკაცობითა ჩაბარდა სადმე დიდსა რუსეთის იმპერიასა"[4]. კოვალენსკი კი ამტკიცებდა, რომ 1801 წელს ხალხის განათლებას არავითარი დასაბამი არ ჰქონდა. ასეთი არდანახეა ქართველი ხალხის ღირსებისა ბუნებრივიც იყო იმ მოხელისათვის, რომელიც მექრთამეობისა და ბოროტმოქმედებისათვის აღექსანდრე I-მა არათუ გადააყენა, სამართალშიც მიაცემინა.

პირველი სკოლები, მათი სტრუქტურა და სასწავლო პროგრამები. პირველი სამთავრობო სკოლა თბილისში გაიხსნა 1802 წელს. იმდროინდელმა მთავარმართებელმა ციციანოვმა იმპერატორს მისწერა: „აქაური თავადაზნაურობის უკიდურესმა უვიცობამ, რომლის უმეტესმა ნაწილმა თავისი მშობლიური ენაც კი არ იცის წესების მიხედვით, მაიძულა მე საქმიანად შევდგომოდი საქართველოში განათლების პირველი სხივების შეტანის მოგვარებას..."[5].

ქართველი ხალხის განათლების საკითხი ამ ეტაპზე რუსეთს ნაკლებად რომ აღელვებდა, იქიდან ჩანს, რომ 1801 წლის 12 ნოემბრის უმაღლეს რესკრიპტში არაფერი იყო ნათქვამი განათლებაზე. ეს საქმე მთლიანად კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის პირად ინიციატივაზე იყო, ის კი, უმთავრესად, რუს მოხელეთა შვილებისა და კავკასიის „კეთილშობილთა" წოდების რუსულ განათლებაზე ზრუნავდა. მართალია, ხელისუფლება სამღვდელოებასაც აძლევდა უფლებას ეკლესია-მონასტრებთან კერძო სკოლების გახსნაზე, მაგრამ ეს უფლებაც ძნელი მისაღები იყო, ზოგჯერ ათეული წლებიც კი ჭირდებოდა ამგვარი სკოლის გახსნაზე ნებართვის მიღებას საერო პირებიდან, მხოლოდ „პოლიტიკურად

საიმედონი" თუ ახერხებდნენ მიეღოთ სკოლების გახსნის ნებართვა, და ესენიც, ძირითადად არაქართველები იყვნენ და სახელმწიფოს სასტიკი კონტროლის პირობებში მუშაობდნენ.

1802 წლის 22 სექტემბერს გახსნილ პირველ ქართულ სკოლაში 45 მოსწავლე სწავლობდა, სკოლის დირექტორი იყო ყარის მრჩეველი (ნადვორნი სოვეტნიკი) ორნველი, მასწავლებლებად რუსული მმართველობის კანცელარიის მოხელეები და რუსეთიდან მოწვეული სხვა პედაგოგები მუშაობდნენ, ქართულ ენას აქ უმნიშვნელო ადგილი ეჭირა და მას ქართული სასულიერო პირი – მამა გრიგოლი ასწავლიდა. მიუხედავად ამისა, სკოლას ეკისრებოდა რუსიფიკატორული მიზანი, აქ მხოლოდ ვაჟები სწავლობდნენ და სასწავლებელი ემორჩილებოდა რუსეთის განათლების სისტემას – მისი სწავლების მეთოდები თუ პროგრამები მთლიანად რუსული განათლების ტრადიციას ეყრდნობოდა. იმავე წელსვე, სასწავლებელმა მოულოდნელად თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. 1804 წელს რუსეთში შედგენილი ახალი საგანმანათლებლო წესდების შესაბამისად, საქართველოში გაიხსნა ახალი, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. სასწავლებელს – იმპერატორის მიერ ციციანოვისადმი გამოგზავნილი წერილით, უნდა ეარსება ჭარ-ბელაქნიდან შემოტანილი აბრეშუმის ღირებულებით – „ხარკის სახით" რომ დააწერა ამ მოხელემ ჭარ-ბელაქნის პროვინციას[6]. ამავე ხარკიდან უნდა გადადებულიყო 2200 მანეთი მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში კეთილშობილთა სასწავლებლის კურსდამთავრებული 8 ქართველის გასაგზავნად.

თუმცა ქართველ ბავშვებს, როგორც იმავე აქტებიდან ვგებულობთ, მშობლები არ აგზავნიდნენ მოსკოვში, მცირე ასაკის გამო, არც მოსკოვის უნივერსიტეტს აკმაყოფილებდა ის დონე, რაც ამ სასწავლებელს ჰქონდა, რადგან ის გიმნაზიის დონეს ვერ უთანაბრდებოდა, ამის გამო 1805 წლიდან სასწავლებლის პროგრამაში შეიტანეს ლათინური და გერმანული ენები.

კეთილშობილთა სასწავლებელს თავდაპირველად კარგი ავტორიტეტი ჰქონდა ქართველ ხალხში, აქ, მცირედ, მაგრამ მაინც ისწავლებოდა ქართული ენა, 1804-1811 წლებში დირექტორიც ქართველი იყო – ალექსანდრე პეტრიაშვილი, რასაც ხალხი აფასებდა, მაგრამ, როდესაც 1811 წელს ქართველი დირექტორი მოხსნეს და ქართული ენაც სრულიად გააძევეს, დაიწყო სკოლიდან მოსწავლეთა წასვლა და სასწავლებლის პრესტიჟის დაცემა. ხელისუფლებამ სამსახურში მიღების მთავარ პირობად ამ სასწავლებლის დამთავრება გამოაცხადა, მაგრამ ვერც ამან გამოასწორა მდგომარეობა. იგი თანდათან ზრდიდა სასწავლო საგნების ოდენობას და ცდილობდა ავტორიტეტის ასამაღლებლად სასწავლებელი გიმნაზიისათვის მიეახლოვებინა, ეს მხოლოდ 1830 წელს გახდა შესაძლებელი, როდესაც კეთილშობილთა სასწავლებელი თბილისის გიმნაზიად გადაკეთდა.

1817 წლის 1 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა სასულიერო სემინარია, დარეჯან დედოფლის ყოფილ სასახლეში. ერთდროულად დაარსდა სასულიერო სასწავლებელიც, როგორც სემინარიისთვის მოსამზადებელი საფეხური. თბილისის სემინარიამ 100 წელი იარსება (1917 წლამდე), თუმცა დროდადრო მისი რეორგანიზაცია ხდებოდა დროის მოთხოვნათა შესაბამისად. სემინარიას რუსული ადმინისტრაციის მიერ დანიშნული რუსი საეკლესიო მოღვაწენი ხელმძღვანელობდნენ. სწავლებაც რუსი პედაგოგებისა და რუსული პედაგოგიური მეთოდიკის შესაბამისად წარმოებდა. დაკანონებული იყო სწავლების მკაცრი, უხეში მეთოდები, სქოლასტიზმი და ზეპირობის სისტემა. მიუხედავად ამისა, ქართულ საზოგადოებაში სემინარიას გარკვეული ავტორიტეტი ჰქონდა. აქ აღიზარდნენ ეროვნული ინტელიგენციის ისეთი მოწინავე წარმომადგენლები, როგორიცაა ფილოსოფოსი და პედაგოგი სოლომონ დოდაშვილი, ისტორიკოსები – პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანია, მოსე ჯანაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, პუბლიცისტი ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ეპისკოპოსი გერასიმე ქიქოძე, გამოჩენილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, მწერლები: დანიელ ჭონქაძე, ლაურენტი არდაზიანი, ნიკო ლომოუ-

რი, სოფრომ მგალობლიშვილი, პროფესორი, ფილოლოგი და ისტორიკოსი ალექსანდრე ცაგარელი, პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი, პედაგოგები: გერასიმე ალანდარიშვილი, ნიკო ცხვედაძე და სხვები. სწორედ რუსული პედაგოგიური მეთოდიკა გახდა მისეული, რომ სემინარია ვერ ასრულებდა მის მთავარ მიზანს, ვერ იძლეოდა მართლმადიდებლურ ცოდნასა და ვერ უზრუნველყოფდა რწმენის განმტკიცებას. მკვლევარ გიორგი თავზიშვილს მოაქვს რუსი მწერლის ნ. გ. პომიალოვსკის თვალსაზრისი თბილისის სემინარიაში გამეფებული სწავლა-აღზრდის რეჟიმზე: „რელიგია, თუმცა ის არ ისწავლება სემინარიაში ცეცხლითა და მახვილით, როგორც ეს ჩვეულია მაჰმადის თაყვანისმცემლებს, მაგრამ მას ქადაგებენ როზგით, შიმშილით, თავიდან თმისგლეჯით, ცემით და ყურის აწვეით, მაგალითად, ლოხოვი ბრძანებს: „აიტაცონ მოწაფე ჰაერში, ცხვირის წინ დაუდვან საღეთო სჯული და იმავე დროს უძახონ ველური ხმით: „ისწავლე, ახლავე ისწავლე გაკვეთილი". ჩვენ ვეფიქრობთ, რომ სემინარიაში უფროსები ასეთი მოქცევით, თანდათანობით და შეუმჩნეველად, მაგრამ უაღრესად რადიკალური გზით, მიმართავენ თავის მოწაფეთა მსოფლმხედველობას სრული ათეიზმისაკენ". იგივე პომიალოვსკის მოჰქონდა სასწავლებლის შეგირდის – კარასის მაგალითი, რომელსაც ძალდატანებითმა სწავლებამ, ცუდმა სახელმძღვანელოებმა და მეთოდებმა ჩაუნერგა ანალიზისა და კრიტიკისმის უნარი, სარწმუნოებრივი გრძნობები გაუქრო და ათეისტად აქცია. ამით ხსნიდა რუსი მწერალი იმ ფაქტს, რომ თბილისის სემინარიიდან ამდენი თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი გამოვიდა, თანაც, ისინი არ გაჰყვნენ იმ გზას, რისთვისაც ამ სასწავლებელში შეეიდნენ[7].

ეს სასწავლებელი სწორედ ამ სისტემის გამო ზრდიდა არა მარტო მწერლებს, ისტორიკოსებს, ფოლკლორისტებსა და ფილოლოგებს, არამედ მარქსისტ-რევოლუციონერებს, ტერორისტებსაც კი, რომელთაც ადამიანების ხოცვა, ნგრევა და საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის ყოველგვარი სისასტიკის ჩადენა შეეძლოთ.

სხვა იყო ის სასულიერო სასწავლებლები, სადაც ქართველი სულიერი მამები და დედები მოღვაწეობდნენ, სადაც მოწაფეთა აღზრდაში ეროვნულ-კულტურული და ისტორიული ტრადიციები იყო გათვალისწინებული. მაგალითისათვის გამოდგება კ. ბოროზდინის მიერ სენაკის სასულიერო სასწავლებლის აღწერა. ეს სასწავლებელი აფხაზეთის მთავრის მეუღლეს – მენიკი დადიანს ეკუთვნოდა. რუსი მოხელე აღტაცებით წერდა მის აღსაზრდელებზე, ამბობდა, რომ ქართულთან ერთად აქ ბავშვებს რუსულ ენასაც ასწავლიდნენ[8].

სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლების შესანახ ფულს ხელისუფლება საქართველოს სასულიერო დიკასტერიის შემოსავლიდან, ფაქტიურად, ქართველი გლეხობის გადასახადიდან გასცემდა[9]. ამრიგად, ხელისუფლება არცერთ კაპიკს არ ხარჯავდა თავის ხაზინიდან საქართველოს განათლების სისტემაზე. ასე იყო 1830-იან წლებამდე. ამგვარი პოლიტიკა რომ გაეგრძელებინა, მთავრობა აარსებდა, ე. წ. „ურთიერთსწავლების" სკოლებს ღარიბებისათვის. ეს იყო ბელისა და ლანკასტერის პედაგოგიური მეთოდით მომუშავე სკოლა, სადაც მასწავლებლები თანაშემწეებად, მონიტორებად თვით მოსწავლეებს იყენებდნენ და ამიტომ არ მოითხოვდა დიდ ხარჯებს. პირველი ასეთი სკოლა გრაფ ტოლსტოის მითითებით გახსნა ერმოლოვმა 1820 წელს თბილისში, კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბთან[10].

კოლონიური რეჟიმის პირობებში, რუსი ადმინისტრაცია ახდენდა კავკასიის ხალხთა გარუსებასა და ასიმილაციას, ეროვნული სახის წართმევას თითოეული კულტურული ერისათვის, განსაკუთრებით კი ქართველებისათვის. ვინაიდან საქართველო და თბილისი კავკასიის ცენტრს წარმოადგენდა, ის ასახლებდა აქ რუსეთის სხვა გუბერნიებსა და საზღვარგარეთ მცხოვრებ სომხებს, განსაკუთრებით 20-იან წლებში, როდესაც თურქეთიდან და ირანიდან ლტოლვილი ბევრი სომეხი შემოვიდა და დასახლებული იქნა საქართველოში, დაისვა საკითხი სომხური სემინარიის გახსნაზე. 1836 წელს მთავარმართებელმა როზენმა სომეხთა პატრიარქ იოა-

ნესის თხოვნით მიმართა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს — ბლუდოვს თბილისში სომხური სემინარიის გახსნის შესახებ, რაც იმავე წელსვე განხორციელდა[11].

როგორც ცნობილია, ალექსანდრე I-მა 1804-1805 წლებში გაატარა საშინაო რეფორმები, მათ შორის იყო განათლების რეფორმაც.

წესდება სახალხო განათლების შესახებ 1804 წელს იქნა მიღებული. მის მიხედვით რუსეთი გაყოფილი იყო 6 სასწავლო ოლქად: პეტერბურგის, მოსკოვის, ვილნოს, დორპტის, ყაზანის, ხარკოვის, რომლებიც მზრუნველს ემორჩილებოდნენ. ეს მზრუნველები სასწავლებელთა მთავარსამმართველოში მუშაობდნენ და პეტერბურგში ცხოვრობდნენ, საიდანაც აკონტროლებდნენ სასწავლო ოლქს, ადგილებზე კი ამ ოლქებს მართავდნენ უნივერსიტეტის რექტორები. ვინაიდან საქართველო არც ამ ოლქებში შედიოდა და აქ არც უნივერსიტეტი იყო, ის სრულიად სტიქიურად იმართებოდა. 1814 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი მიაწერეს ყუბანის ოლქს და დაუქვემდებარეს ყაზანის უნივერსიტეტის რექტორს. 1819 წელს ყუბანის სასწავლო ოლქის მზრუნველი გახდა მ. კ. მაგნიცკი, რომელიც ცნობილია თავისი ფანატიზმითა და რუსული შოვინიზმით, რის გამოც მან ბრძოლა დაუწყო კეთილშობილთა სასწავლებელს, ზედმეტად თელიდა მას და სურდა მისი დახურვა. ეს რუსმა მმართველმა ერმოლოვმაც დაინახა, უკანონოდ ჩათვალა რუსი განმანათლებლის ასეთი ანტიქართული ქმედება და 1823 წლიდან ნებართვა გამოითხოვა უმაღლესი ხელისუფლებისაგან, რათა თბილისის სასწავლებელი გადასულიყო ხარკოვის სასწავლო ოლქისა და მისი უნივერსიტეტის რექტორის გამგებლობაში. 1840 წლამდე ასეც იყო.

1824 წელს უკიდურესი რეაქციონერის — გოლიცინის ნაცვლად არჩეულმა სახალხო განათლების ახალმა მინისტრმა — ა. შიშკოვმა არათუ მხარი დაუჭირა ლიბერალურ იდეოლოგიას, რომელიც ის-ის იყო ფეხს იდგამდა რუსეთის მოაზროვნე ელიტაში, არამედ კვლავ რეაქციული ლოზუნგები წამოაყენა. იგი განათლების სისტემის „ძირითად საწყისად" მიიჩნევდა იმპერიის მცირე ერთა არამშობლიურ, რუსულ ენაზე სწავლებას, ეს სისტემა აგებული უნდა ყოფილიყო წოდებრიობის, მართლმადიდებლობისა და დიდმპყრობელობის საფუძველზე.

რუსეთისა და ამიერკავკასიის სასწავლებელთა დებულებები. რუსეთის განათლების სისტემა ეფუძნებოდა მთავრობის მიერ შემუშავებულ სასწავლო დებულებებს. ამის მიხედვით დგებოდა სასწავლო დებულება კავკასიაშიც. 1829 წელს შემუშავდა „ამიერკავკასიის სასწავლებელთა დებულება", რომელიც იმავე წელს შემუშავებულ რუსეთის სასწავლებელთა მუშაობის დებულებას ეყრდნობოდა, რა თქმა უნდა, გარკვეული შესწორებით, რაც ადგილობრივი პირობების მიხედვით სკოლების მოწყობას გულისხმობდა. ამ დებულებით უნდა შექმნილიყო ერთი გიმნაზია თბილისში და სამაზრო სასწავლებელი თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ქუთაისში, გურიასა და სამეგრელოში აქაური მთავრის ნებართვით, რადგან სამეგრელო ჯერ კიდევ არ იყო რუსეთის შემადგენლობაში შესული. თბილისის გიმნაზია 1830 წელს გაიხსნა და დიდი როლი ითამაშა ქართული ეროვნული ცნობიერების გაღვიძებაში. აქაური მასწავლებლები და მოსწავლეები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოწინავე რიგებში ჩადგნენ, ხოლო 1832 წლის შეთქმულების იდეური ხელმძღვანელები სწორედ ამ სასწავლებლის პედაგოგები იყვნენ, მაგალითად სოლომონ დოდაშვილი, რომელმაც 1827 წელს დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი, იყო ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნების პირველი ფრთის აქტიური წარმომადგენელი; უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ 10-20-იანი წლების პეტერბურგში გავრცელებულმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ, მოწინავე რუსი მოაზროვნეების სასტიკმა დასჯამ 1825-1826 წლებში, პოლონეთის აჯანყების მესვეურთა ჩამოსახლებამ თბილისში, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი — საქართველოში არსებულმა კოლონიურმა რეჟიმმა ჩამოაყალიბა გიმნაზიაში ის მოწინავე თვალსაზრისი, რესპუბლიკური მსოფლმხედველობა, რაც მართალია, იგივე რეჟიმის სისასტიკის გამო, მკვეთრად არ გამოიკვეთა დოდაშვილის ნააზრევში, მაგ-

რამ მის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე დაკვირვებული თვალისთვის აშკარაა და ნათელი. ამ თვალსაზრისის უდაოდ გავლენაა მისი მოწაფის – ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებასა და გიმნაზიის ხელნაწერი ჟურნალის „Цветок Тифлисской гимназии"-ს თარგმნილ მასალებში.

რუსეთის ხელისუფლებისაგან გამომეტებული საგანმანათლებლო კერების გარდა, ქართველი ხალხის განათლებას ბევრი საშინაო თუ კერძო სკოლა ემსახურებოდა. თუმცა ამ სკოლებში არ იყო მოწყობილი სასწავლო სისტემა, მაგრამ მრავალი მათგანი თავისი აღმზრდელობითი მეთოდებით, ახალგაზრდობასე მოხდენილი დადებითი ზეგავლენით, მშობლიური ენის სწავლებისა და ეროვნული ხასიათით უფრო მეტად იზიდავდა მოსწავლეებს, ვიდრე სახაზინო სკოლები.

1832 წლის შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ, რუსულ ადმინისტრაციას უკვე აშინებდა კერძო და საშინაო სკოლების ეს ეროვნული სული, რის გამოც, 1834 წელს ბარონმა როზენმა გასცა ბრძანება რიგი ასეთი სასწავლებლების დახურვისა იმ საბაბით, რომ ისინი არ ეფუძნებოდნენ 1828 წლის წესდებას, არ ჰქონდათ მთავრობის ნებართვა – ასეთი ნებართვის აღება კი ძალზე გაძნელებული იყო და მხოლოდ იმისთვის იყო შემოღებული, რათა ამგვარი სკოლების არსებობა შეემცირებინათ. ამ დროიდან დაიწყო ქართველ სასულიერო პირთა და ერისკაცთა კერძო სკოლების რიცხვის შემცირება და მათ ნაცვლად რუსი და უცხოელი პირების მიერ დაარსებული კერძო სკოლებისა და პანსიონების რაოდენობის გაზრდა.

აქტების მიხედვით ეგებულობი, რომ 1843 წლიდან, მთავარმმართებელ ნეიდგარტის თხოვნით და ნიკოლოზ I-ის ნებართვით თბილისში გახსნილა რაევსკის ვაჟთა და მონასტირსკის (თბილისის სამაზრო სასწავლებლის შტატის ხედამხედველის მეუღლის) ქალთა პანსიონები, 1845 წელს ჰალესა და იანიცკის პანსიონები. 50-იან წლებში დიდი რაოდენობით კერძო სკოლები იხსნებოდა საქართველოში, თუმცა ამ სკოლებში სწავლების დონე სხვადასხვაგვარი იყო, მათი დამაარსებლის ცოდნის დონის შესაბამისად. ეს სკოლები უმთავრესად ქალაქებში არსდებოდა, საქართველოს სოფლებში არ იყო ასეთი საგანმანათლებლო კერები, აქ განათლებას ადგილობრივი სასულიერო პირები ემსახურებოდნენ, ეს იყო ძირითადად წერა-კითხვის შემსწავლელი ჯგუფები, რაც ქართველი ხალხის მასიურ სწავლა-განათლებას ვერ უზრუნველყოფდა. 1828 წლის წესდებით, თუ რუს ხალხს სამრევლო სკოლების გახსნის უფლება ჰქონდა, ეს უფლება 1829 წლის წესდებამ არ მისცა ქართველ ხალხს. ის მარტო სამაზრო და სხვა ქალაქებში ცნობდა სკოლების დაარსების შესაძლებლობას. ეს იყო რუსული შოვინისტური პოლიტიკის ნაწილი „ინოროდცებისადმი", რასაც რუსული, საბჭოური შოვინიზმის დირიჟორი და „უფროსი ძმის" გამორჩეულობის მქადაგებელი სტალინიც კი აკრიტიკებდა შემდგომში.

მართალია, 1829 წლის წესდება საგანმანათლებლო სისტემაში ამიერკავკასიის თავისებურებათა გათვალისწინებას ითხოვდა, მაგრამ ეს იყო ტყუილი. სინამდვილეში ის არ პასუხობდა არც ადგილობრივ მოთხოვნებს, არც ეთნოისტორიულ და ეთნოკულტურულ ტრადიციებს ითვალისწინებდა. ტერიტორიული ფაქტორიც კი არ იყო ჩადებული სკოლების განაწილების სისტემაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ დებულებით გათვალისწინებული სკოლების დიდი ნაწილი საერთოდ არ დაარსებულა. სწავლის მსურველთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სასწავლებლები. თვით ხელისუფლებისათვის გახდა ცხადი ამ წესდების უვარგისობა, რის გამოც მთავარმართებელ როზენის განკარგულებით და რუსეთის იმპამინდელი განათლების მინისტრის – უვაროვის თანხმობით 1834 წელს ახალი დებულება შემუშავდა, რომელიც 1835 წლის 12 მაისს დაამტკიცეს. ამ დებულების სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ გიმნაზიისა და სამაზრო სასწავლებლის პროგრამები უნდა დაახლოებულიყო, იგი ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის შვილების ქართულ ენაზე სწავლებას პირველ ორ კლა-

სში, სამაზრო სასწაელებლებში მესამე კლასში ეძლეოდათ პედაგოგებს უფლება, საჭიროების შემთხვევაში, მიემართათ დედა-ენისათვის, რათა ბავშვებისათვის უფრო კარგად განემარტათ სასწავლო მასალა, ამ დებულებით სამეგრელოს სკოლებში შემოდიოდა ქართული ენის სწავლება (მართალია ადგილობრივი ენა მეგრულია, მაგრამ ვინაიდან ამ ენაზე დამწერლობა არ არისო), ამასთანავე, წესდებამ დაუშვა 10 წარჩინებული ბავშვის გაგზავნის უფლება რუსეთის კადეტთა კორპუსში, 5-ის კი, თბილისის გიმნაზიიდან რუსულ უნივერსიტეტში.

ხელისუფლება, უპირველესად, ქართველი ხალხის გარუსების მიზანს ისახავდა საქართველოში არსებული სკოლების მეშვეობით, ადმინისტრაციულ სამსახურში ყველგან რუსული ენის საჭიროება განსაზღვრავდა სოციალური ზედაფენების მისწრაფებას რუსული განათლებისაკენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი ქალთა რუსულად აღზრდა იძენდა, ვინაიდან ისინი მომავალი დედები იქნებოდნენ და შვილებსაც რუსებად აღზრდიდნენ. პირველად 1830 წელს მთავარმართებელმა პასკევიჩმა გასცა ნებართვა ქალთა პანსიონის დაარსებაზე, რომელსაც კომერსანტ კასტელის ქერეი ხელმძღვანელობდა. მას პეტერბურგის ეკატერინეს სახელობის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ შექმნა ისეთი სასწავლო დაწესებულება, რომელიც ადგილობრივთა ყურადღებას მიიქცევდა. ხალხი მას კერძო ან საშინაო სკოლებს ამჯობინებდა. 1842 წელს, გოლოვინის მთავარმმართველობის დროს ეს პანსიონი ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად გადაკეთდა. თუ როგორ განათლებას აძლევდნენ ასეთი სასწავლებლები, კარგად ჩანს გრიგოლ ორბელიანის 1834 წელს მიწერილი წერილიდან ნინო ჭავჭავაძისადმი. მწერალს მხედველობაში ჰქონდა პ. ნ. ახვერდოვას პანსიონი, სადაც აღიზარდნენ ნინო ჭავჭავაძე და მისი დებიც: „მიებარნენ პანსიონში, სადაც ისწავლეს რამდენიმე ფრანგული სიტყვა და შესცვალეს რა ქოშები „ბაშმაკებით", ჰგონიათ, რომ დაამთავრეს აღზრდის კურსი. ნახევრად რუსები, ნახევრად ფრანგები, ნახევრად ქართველები, — ნუთუ მათ შეუძლიათ იყონ კეთილი ცოლები?"[12].

ასეთ ქალებზე წერდა ნიკოლოზ ბარათაშვილიც:

„ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ! —
„ჯანი გაეარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ეაამოთ ჩვენს საკუთარ გულს,
რის ქართველობა, რა ქართველობა,
მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?"

1846 წელს თბილისში დაარსებულმა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ გახსნა წმინდა ნინოს სასწავლებელი თბილისსა და ქუთაისში, მაგრამ ამ სკოლებში ისეთი მაღალი გადასახადები იყო, რომ მხოლოდ მაღალი სოციალური წოდების ქალიშვილები სწავლობდნენ.

სამხედრო, საპროფესიო და სხვა სასწავლებლები ემსახურებოდნენ ხელისუფლების კოლონიურ პოლიტიკას, ასრულებდნენ იმ დაკვეთას, რასაც მთავრობა აძლევდა მათ — მხარის სრული რუსიფიკაციისა და რუსეთის ბუნებრივ ნაწილად მისი გადაქცევისათვის. სკოლას უნდა გამოეზარდა შესაფერისი კადრები. ფაქტიურად არ შესრულდა 1835 წლის დებულების 22-ე და 53-ე პუნქტებიც, I და II კლასებში საგნების მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ.

მეფისნაცვალმა მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვმა თავის ლიბერალურ კოლონიურ პოლიტიკაში სცადა განათლების სისტემის ლიბერალიზაციაც. ამ მიზნით, მან 1848 წელს შექმნა კავკასიის სასწავლო ოლქი და შეიმუშავა ახალი დებულება კავკასიის სასწავლებელთა შესახებ. ამ ოლქის პირველი მზრუნველი იყო ვ. ნ. სემიონოვი, ხოლო 1852-წლიდან 1860 წლამდე ბარონი ა. პ. ნიკოლაი. ვორონცოვმა სცადა მთელი კავკასიის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური და პოლიტიკური მმართველობის ერთ სისტემაში გაერთიანების პარალელურად, მოეხდი-

ნა ასევე მთელი კავკასიის სასწავლო საქმის მმართველობის უნიფიცირება და გაერთიანება. კავკასიის სასწავლებლები უშუალოდ მეფისნაცვალს და განათლების მინისტრს ემორჩილებოდნენ. კავკასიაში სულ 5 სასწავლო დირექცია შეიქმნა, უშუალოდ საქართველოში კი 2 – თბილისისა და ქუთაისის. მის დროს გიმნაზია დაარსდა ქ. ქუთაისშიც. აქაც სწავლება ძირითადად რუსული და ზედმეტად მკაცრი იყო, რაც ეწინააღმდეგებოდა როგორც ქართულ პედაგოგიურ ტრადიციას, ასევე ხელს უშლიდა ახალგაზრდებში განათლების მაღალი დონის შეტანას, რაც კარგად ჩანს, თუნდაც ქუთაისის გიმნაზიის სასწავლო მეთოდების იმ აღწერით, რაც აკაკი წერეთელმა მოგვცა „ჩემს თაეგადასავალში". აკაკი წერს, რომ მის დროს, „სტოროჟებს" ყოველდღიურად თითო ურემი როზგი მოჰქონდათ ბავშვების გასაროზგად. „დღე არ იქნებოდა, რომ ყმაწვილების წიეილ-კიეილით იქაურობა არ გაყრუებულიყო". მისი თქმით, იყო შემთხვევა, როდესაც ერთ ყმაწვილს დღეში ოთხჯერ როზგაედნენ. ყმაწვილების თვითმკელელობისა და დასახიჩრების ფაქტებს გადმოგვცემს მწერალი, ამბობს, რომ „ლინეიკა" და როზგი იყო ის იარაღი, რითაც ბავშვებს ასე სძულდებოდათ არათუ სკოლა, ზოგჯერ სიცოცხლეც კი. სხვა ქართველი მწერლებიც უხვად გვაძლევენ ისეთ დოკუმენტურ მასალებს, სადაც XIX ს-ის საქართველოს სკოლებში გამეფებული არაპედაგოგიური მეთოდები არის აღწერილი. ეს სისტემა საქართველოში ემსახურებოდა ხელისუფლების მოთხოვნას – კავკასიის მართვა-გამგეობის სამეურნეო-ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და სამმართველო აპარატის გაფართოებისა და განმტკიცების მისეული გეგმა განეხორციელებინა ადგილობრივი, რუსული განათლებით აღჭურვილი და ხელისუფლების ერთგული მოხელეებით. ამდენად, არც ნიკოლოზ I-ისა და არც მიხეილ ვორონცოვის ლიბერალიზმისა და ლოიალობის გამოხატვა არ ყოფილა საგანმანათლებლო სისტემის გაფართოება საქართველოში, ის უფრო რუსულ ინტერესებს შეესაბამებოდა, რაც კარგად აჩვენა XIX ს-ის II ნახევრიდან დაწყებულმა ქართველი ხალხის საპროტესტო მოძრაობამ რაც მიმართული იყო ქართული სკოლების შექმნისა და ეროვნული განათლების ტრადიციების აღდგენისაკენ.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალი ძალით გაიშალა. მას სათავეში ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები – 60-იანთა სახელით („თერგდალეულები") ცნობილი მოღვაწეები ჩაუდგნენ. ამ ჯგუფის იდეური ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო. სწორედ მან დაინახა და იგრძნო ქართველთათვის განათლების მიღების, ეროვნული ცნობიერების გაღვიეებისათვის მშობლიურ ენაზე სწავლებისა და აღსრდის აუცილებლობა. მთელი ამ თაობისათვის მთავარი იყო სკოლების, ბიბლიოთეკების, სტამბებისა და ჟურნალ-გაზეთების დაარსება. ეს იყო ოთხი საყრდენი, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა ეროვნული კადრების აღზრდა, ხალხის გათვითცნობიერება და ქვეყნის „მყობადის შექმნა". ამგვარი დაწესებულებების შექმნის აუცილებლობის შესახებ პეტერბურგიდან წერდა ნიკო ნიკოლაძე მის ერთგულ მეგობარსა და თანამოაზრეს, თერგდალეულ კირილე ლორთქიფანიძეს. 60-იან წლებამდე ოფიციალური და კერძო სკოლები განათლების სფეროში სახელმწიფოს დაკვეთას და ინტერესებს ემსახურებოდნენ. 60-იანი წლებიდან თვით რუსეთში დაწყებულმა რევოლუციური მოძრაობის ტალღამ ერთგვარი დემოკრატიული ელემენტები შეიტანა განათლების სფეროში, თუმცა ეს რამდენიმე წელი გაგრძელდა, 1866 წლიდან დემოკრატია კელავ იმპერიული აგრესიით შეიცვალა. 1864 წელს რუსეთშიც და კავკასიაშიც ახალი სასწავლო დებულება შეიქმნა, რომელშიც უპირველესი ახალგაზრდებში რელიგიური და ზნეობრივი შეგნების განმტკიცება იყო, პრიორიტეტი მიენიჭა პირველდაწყებით სახალხო სკოლებს, რომლებსაც ხალხში განათლება უნდა შეეტანა. 1867 წელს ეს დებულება კელავ შეიცვალა. ახალი დებულება უნდა დაყრდნობოდა ძირითადად იმპერიულ კანონმდებლობას და განეხილა მასთან მიმართებაში ადგილობრივი თავისებურე-

ბებით გამოწვეული განსხვავებანი და მოენახა მათი გადაჭრის საშუალება. დებულების პირველ მუხლშიეე აშკარად გამოსჭვეიოდა აღნიშნული მიზანი: „Учебные заведения ведомства Министерства народного просвещения, находящиеся в Кавказском и Закавказском крае, руководствуются общим уставом 19 ноября 1864 года гимназий и прогимназий в Имерети; настоящее положение указывает только способ для вызываемых местным потребностями явлений "[13].

დებულებამ აღადგინა კავკასიის სასწავლო ოლქისა და მზრუნველის თანამდებობა, სადაც დაინიშნა განათლების ყოფილი ინსპექტორი – ნეეროვი[14]. დებულების მიხედვით, გადიდდა რუსული ენის სწავლებისათვის განკუთვნილი საათები, განისაზღვრა მასწავლებელთა პენსიები და ხელფასები. ამ დროს საქართველოში სამი გიმნაზია არსებობდა – ორი თბილისში და ერთიც ქუთაისში. საქართველოს გიმნაზიებში რუსული ენის საათები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე რუსეთში, ამასთანავე, აქ მოსწავლე რუს მოწაფეებს უფლება ჰქონდათ არ ესწავლათ ადგილობრივი ენები, რადგან ოლქის თანამშრომლები მიიჩნევდნენ, რომ ადგილობრივ დაწესებულებებში მუშაობისათვის რუსული ენაც ეყოფოდათ. ხელისუფლება ხომ ძირითადად თანამდებობებზე მათ ნიშნავდა და არ ითვალისწინებდა იმას, რომ ქართველი ხალხის დიდ ნაწილს, რომელსაც რუსული ენა არ ესმოდა, გაუჭირდებოდა ასეთ ადამიანებთან კონტაქტი. ხელისუფლება ხელს უშლიდა პროფესიული სკოლების დაარსებას, რაც ქართული სოფლის განვითარებას, ხელოსნობის დაწინაურებას დაეხმარებოდა.

როდესაც 1860-იან წლებში ილიას მეგობარმა და თანამოაზრემ კონსტანტინე მამაცაშვილმა გადაწყვიტა სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნა, გრიგოლ ორბელიანმა მოიწონა ეს გადაწყვეტილება. ქართველი მამულიშვილები ხედავდნენ, როგორ წაადგებოდა ქართულ სოფელს ამგვარი პროექტის განხორციელება, გლეხები სიამოვნებით მიაბარებდნენ თავიანთ შვილებს ამგვარ სკოლებში, მაგრამ მეფისნაცვალმა არ მისცა ამ საქმეს დასტური. გაზეთმა „Кавказ"-მა კი, რომლის რედაქტორი ფედოტ ბობილევი იყო, სწორედ რედაქტორის სტატიით დაგმო მამაცაშვილის პროექტი. მისი აზრით, ქართული სოფლის მეურნეობა, მისი ტრადიციები ისეთი დაბალი იყო, რომ ვერ უზრუნველყოფდა ამგვარი სკოლების ვერც არსებობას და ვერც მისი კადრების საჭიროებას ვერ ხედავდა.

მიუხედავად ასეთი ხელისშეშლისა, ცალკეული პროფესიული ორგანიზაციები და პიროვნებები მაინც აარსებდნენ სახელოსნო და პროფესიულ სასწავლებლებს, რაც ეხმარებოდა საქართველოში მიმდინარე ფეოდალური ურთიერთობის რღვევას და კაპიტალისტური გარდაქმნის პროცესს. ასეთი პროფესიული განყოფილებები იხსნებოდა სხვადასხვა სოფლების სკოლებთანაც, თუმცა ამგვარი ტიპის სკოლებით საქართველო მაინც ღარიბი იყო და XX საუკუნის 10-იან წლებშიც კელავ აქტიურად იდგა საკითხი მსგავსი სკოლების ქსელის შექმნისა და გაფართოების შესახებ.

ამდროინდელი ქართული ეროვნული ძალები უპირველეს როლს ანიჭებდნენ ქართველ დედას, რომელსაც უნდა აღეზარდა რწმენით, სიმართლითა და ვაუკაცობით გამორჩეული ადამიანები, რომ მომავლის საქართველო საიმედო ხელში მოხვედრილიყო. ილია ჭავჭავაძის „ქართლის დედა" იკმარებდა საიმისოდ, თუ რა დიდი როლი ეკისრებათ ქალებს მომავლის წინაშე: „დედავ, ისმინე ქართლის ვედრება, ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება, უკან რჩეს კვალი განათლებული".

XIX ს-ის II ნახევარში საქართველოში მრავლად არსებობდა როგორც ქალთა სახელმწიფო, ასევე კერძო სასწავლებლები. საქველმოქმედო დაწესებულებებთან იხსნებოდა სკოლები, სადაც ყმაწვილ ქალებს აძლევდნენ საჭირო განათლებას. თუ ამ სასწავლებლების ქსელიც და თვით სკოლების დონეც სუსტი იყო 60-იან წლებში, მომდევნო პერიოდში ის გაძლიერდა და მაღალ დონეზე ავი-

და, რაც იმითაც ჩანს, რომ ქართველი ქალები 70-იანი წლებიდან უკვე არიან რუსული და უცხოური უნივერსიტეტების სტუდენტები.

ამავე პერიოდში იზრდება სკოლების საერთო რიცხვი. თითქმის ნამდვილი ეროვნული მოძრაობა დაიწყო სკოლების გასახსნელად. საქართველოს სკოლებსა და დაბებში გაჭირვებული მოსახლეობა კაპიკ-კაპიკ აგროვებდა თანხებს სკოლების დასაფუძნებლად. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოში ეს მოძრაობა გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე აღმოსავლეთში, თუ მანამდე განათლების დონით აღმოსავლეთ საქართველო უსწრებდა დასავლეთს, ამჯერად პირიქით მოხდა. მთავრობა ხშირად ეუბნებოდა მოსახლეობას უარს სკოლების გახსნაზე, ვითომდა უსახსრობის გამო. როდესაც ხალხი თვითონ გამოძებნიდა საამისო ხარჯს, ნებართვის მიღებას სკოლის გახსნაზე მაინც დიდი დრო ჭირდებოდა, რაც განათლების გავრცელების საქმეს აფერხებდა[15]. საქმეს ისიც ართულებდა, რომ კერძო ხარჯებით გახსნილ სკოლებშიც მხოლოდ ისეთ მასწავლებლებს იწვევდნენ, რომელთაც პედაგოგობის უფლება ჰქონდათ, ასეთი კი 60-იანი წლების II ნახევარსა და 70-იან წლებში ისე ცოტანი იყვნენ, რომ მთავრობის ძიერ გახსნილ სკოლებსაც კი ვერ აკმაყოფილებდნენ. ამიტომ დაიწყო სამასწავლებლო სემინარიის დაარსება. სკოლის მოსწავლეებს რუსეთის განათლების მინისტრის 1868 წლის 22 აპრილის წესდებით დაუწესდათ გამოცდები სკოლაში მოსაწყობად. ამდროინდელი ქართული პრესა საესეა განათლების სისტემის კრიტიკით. განსაკუთრებით გაზეთი „დროება" და მისი მესვეურები – სერგეი მესხი და გიორგი წერეთელი აქტიურობდნენ. ისინი იწუნებდნენ როგორც პედაგოგთა კვალიფიკაციას, ასევე თვით სისტემას. რუსული განათლება ამ პერიოდში ეფუძნებოდა უშინსკის პედაგოგიურ პრინციპს – ხალხურობის, ნაციონალური აღზრდისა და სახალხო განათლების სისტემას – რაც უშინსკის თეორიის საფუძველი იყო, ცვლიდა ნ. პიროგოვის ზოგადკაცობრიული აღზრდის აბსტრაქტული იდეა, მაგრამ საქართველოში ნაციონალური აღზრდა, სამწუხაროდ, სულაც არ გულისხმობდა ეროვნული პედაგოგიური ტრადიციების საფუძვლების გამოყენებას, ის რუსულ აღზრდას და განათლებას ნიშნავდა. ქართველი ხალხი, მისი მოწინავე შვილები კარგად მიხვდნენ განათლებაში არსებულ ხარვეზებს. ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე", მიუხედავად მხოლოდ ერთი წლის არსებობისა, მტკივნეულად შეეხო ამ საკითხს.

1865 წელს იაკობ გოგებაშვილმა შექმნა „ქართული ანბანი", 1868 წელს კი „ბუნების კარი", რაც უდიდესი მოვლენა იყო ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში.

ილია ჭავჭავაძის და მისი თანამებრძოლების პედაგოგიური შეხედულებები, მთლიანად ეროვნულ ნიადაგს და ქართველი ხალხის საჭიროებას, მისი მომავლის ინტერესებს ეფუძნებოდა. მან სასტიკად გაილაშქრა რუსეთის კოლონიური საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართული ენის სწავლებიდან ამოღება მას უსამართლოდ მიაჩნდა და წერდა: „რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა"[16].

შოვინისტმა რუსმა მოხელეებმა კარგად იცოდნენ, რომ ენის გაუქმებით ისინი სპობდნენ ერის არსებით ნიშანს და ამიტომაც, როგორც სკოლებში, ისე დაწესებულებებში ქართულად სწავლა და ქართულ ენაზე საქმის წარმოება თანდათან მოსპეს. ქართული ენისა და ეთნოკულტურისადმი რუსეთის დამოკიდებულება კარგად ჩანს თბილისის სასულიერო სემინარიის მაგალითზე. როდესაც 1864 წლის 19 სექტემბერს ამ სასწავლებლის მოწაფეებმა, შემდეგში სახელგანთქმულმა მოღვაწეებმა – ვასილ პეტრიაშვილმა, ნიკოლოზ ინაშვილმა და დიმიტრი ჯანაშვილმა სემინარიის გამგეობის სახელზე განცხადება შეიტანეს ქართული ენის, ქართული სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიის ცალკე კათედრად გამოყოფისა და ამ საგნებში ქართველი მასწავლებლების დანიშვნის შესახებ, მათ უარი მიიღეს. საეკლესიო-ბიბლიურ ისტორიას სასწავლებელში ასწავლიდა თეოდორე ფავორსკი, რომელიც არ იცვ-

ნობდა ქართულ მასალებს, საქართველოს ეკლესიის ისტორიას, არ შეეძლო მათი გაცნობა, რადგან ქართული არ იცოდა. სემინარიის ხელმძღვანელობამ მსჯელობის საგნად აქცია მოწაფეთა განცხადება, მაგრამ საქმე არ გაუკეთებია. რამდენიმე ხნის შემდეგ სრულად მოსპო საქართველოს ისტორიის, ქართული ეკლესიის ისტორიის ცალკე საგნად სწავლება, მათ ნაცვლად მსოფლიო ისტორია, რუსეთის სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიები ისწავლებოდა. ქართული ენა, მართალია, დარჩა, მაგრამ ძალზე შემცირებული საათებით[17].

1860-1870-იან წლებშიც მდგომარეობა წინა ათწლეულებზე უკეთესი არ იყო ხელისუფლების ზეწოლის მხრივ საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო სისტემაზე: მთავრობა დიდ სიძუნწეს იჩენდა სკოლების გახსნის საკითხში. ყოველგვარ დაბრკოლებას ქმნიდა, რომ არ გახსნილიყო სასწავლებლები, განსაკუთრებით საშუალო ტიპისა, უმაღლეს სკოლებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არსებული სკოლები გამოყენებული იყო კოლონიური პოლიტიკის განსახორციელებლად, იდევნებოდა ქართული ენა და რუსული ენის გაძლიერებული სწავლებით ხდებოდა ხალხის გარუსების მცდელობა – ქართველი მოწაფეები ხშირად გამოთქვამდნენ პრეტენზიას ქართული ენისა და ისტორიის სწავლების არასახარბიელო დონის გამო, ეს დამსახურება იყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ლიდერებისა, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ ხალხის გამოსაფხიზლებლად, იმ ტენდენციების გამოსააშკარავებლად, რაც რუსულ დამპყრობლურ ინტერესებში შედიოდა და ქართველი ხალხის გადაგვარების მიზანს ემსახურებოდა. ეს სოციალური ძალა იყო ძირითადად ამდროინდელი ახალი თაობა, რომელთაც რადიკალიზმი ახასიათებდათ ამგვარ ბრძოლაში, განსხვავებით კონსერვატორი მოღვაწეებისა, რომლებიც ხელისუფლების შემოთავაზებულ პოლიტიკას უსიტყვოდ ანხორციელებდნენ და არ ცდილობდნენ ერისთვის საზიანო გადაწყვეტილებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. სწორედ ამის გამო, 1871 წელს, მოხდა საბოლოო განხეთქილება ამ ორ ფრთას შორის, გამძაფრდა „მამათა და შვილთა" ბრძოლა. ახალგაზრდებმა ვერ აპატიეს „მამებს" რომ არ შეასრულეს ხალხის დაკვეთა, ამ დროს საქართველოში ჩამოსულ იმპერატორს – ალექსანდრე II-ს თხოვეს არა უნივერსიტეტის, არამედ სამხედრო სასწავლებლის დაარსება, რაც თავად იმპერატორის სურვილი იყო. რუსეთის თვითმპყრობელობის კოლონიური, რუსიფიკატორული პოლიტიკა, რაც განსაკუთრებით ნათლად განათლების სისტემაში გამჟღავნდა, წააწყდა ქართველი ხალხის, მისი საუკეთესო შვილების მედგარ წინააღმდეგობას. ამ ბრძოლაში მთელი ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი გაერთიანდა.

ბრძოლა ქართულ ენაზე სწავლებისათვის. ცხადი იყო, რომ არც პრესით, არც მხოლოდ გამოსვლებით თუ მხატვრული შემოქმედებით არ შეიძლებოდა რუსული კოლონიური საგანმანათლებლო პოლიტიკის შეჩერება. საჭირო გახდა ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მშობლიური ენის დევნის შეჩერებას და ქართული კულტურის შემდგომ განვითარებას. ასეთი ინსტიტუციური დაწესებულება იყო 1879 წელს დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოება". ამ საზოგადოების მიერ XIX საუკუნის I ნახევარში არაოფიციალურად აღდგა ქართული სკოლა, „რომელიც ცარიზმის ახალი შემოტევის შედეგად რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, ახლა მას ძლიერი და საიმედო პატრონი აღმოუჩნდა"[18]. ამავე პერიოდში დაარსდა დრამატული საზოგადოება და აღსდგა ქართული თეატრი. 1877 წლის 3 მარტს გამოვიდა ილია ჭავჭავაძის „ივერია". 1879 წლიდან გაზეთი „ივერია" ჟურნალად გადაკეთდა და მან დიდი როლი ითამაშა ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთების გაზრდის, ერის განათლებისა და გათვითცნობიერების საქმეში. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდა დიდი ქართველი პედაგოგი და განმანათლებელი, ილიას სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი – იაკობ გოგებაშვილი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აარსებდა ქართულ სკოლებს არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისსა და ქუთაისის გუბერნიებში, არამედ ვლადიკავკაზში, ბაქოში და რუსეთის სხვა ქალაქებში, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, შემოწირულობებით აფინანსებდა ამ სკოლებს, რითაც დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებდა. ორგანიზაცია საქველმოქმედო იყო და კარგად ასახავდა ერის შეძლებულ და მოწინავე შვილების მზადყოფნას – შებრძოლებოდნენ იმპერიულ მიზნებს, მისთვის ქართველი ხალხის განათლებისა და კულტურის მაღალი დონე დაეპირისპირებინათ, როგორც საშუალება შემდეგში ქართველი ხალხის ეროვნულ ბრძოლაში გამარჯვებისა.

თუ 1867 წლის დებულება ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებას ითხოვდა, 1874 წელს კავკასიის სასწავლო ოლქი გადაეიდა ახალ დებულებაზე, რაც სრულიად გამორიცხავდა ამას, რადგან მიჩნეული იყო, რომ ეს თავისებურებანი აღარ არსებობდა, კავკასიის სკოლები მთლიანად რუსეთის იმპერიაში არსებულ განათლების სისტემას გაუთანაბრდა[19].

განსაკუთრებით მძიმე შეიქმნა ქართული სკოლების მდგომარეობა XIX ს-ის 80-იან წლებში. როგორც კავკასიის მმართველი დონდუკოვ-კორსაკოვი (1882-1890 წწ.), ისე კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, მხარის სრული რუსიფიკაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირშივე სპობდა ყოველივე „ქართულს" და ნაციონალისტურ-შოვინისტურ გრძნობებს აღეიძებდა არაქართულ მოსახლეობაში. ქართული ენის დევნა-შევიწროება, ეროვნული ჩაგვრა კიდევ უფრო გაძლიერდა გოლიცინის მმართველობის დროს (1897-1904 წწ.).

იანოვსკის სასწავლო გეგმით შემოღებული იქნა საქართველოს სკოლებში ყველა საგნის რუსულ ენაზე სწავლება და ყველაფერი გაკეთდა ხალხის გასარუსებლად. მისი პერიოდის საქართველოს სკოლებში ვერც სწავლების მეთოდიკა უძლებდა კრიტიკას. ე. წ. მუნჯური მეთოდით, პედაგოგები ხშირად სასაცილო და დამცირებულ მდგომარეობაში ეარდებოდნენ და შედეგს ვერ აღწევდნენ.

საქართველოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას კარგად ასახავს ცხრილი, რომელიც 1908 წელს ჟურნალ „განათლებაში" გამოქვეყნდა.

№№	სკოლები, რომლებშიც ასწავლიდნენ:	პროცენტულად					
		1878 წ.	1881 წ.	1889 წ.	1890 წ.	1900 წ.	1901 წ.
1	დედაენაზე	17.9	13.8	0.1	გაუქმებულია		
2	დედაენაზე რუსულის საშუალებით	32.3	34.0	27.1	27.1	13.3	11.9
3	მხოლოდ რუსულ ენაზე	49.8	52.2	72.8	72.9	86.7	88.1

ცხრილი ადასტურებს, რომ 1878 წლის 17,9%-ის ნაცვლად ქართულ ენაზე სწავლების მქონე სკოლები 1890 წელს სრულიად მოისპო, რუსულ ენაზე სწავლების მიმდევარი სკოლების რაოდენობა კი 49,8%-დან 1901 წლისათვის 88.1%-მდე გაიზარდა.

ე. წ. „მუნჯური მეთოდი", რომელიც განათლების სისტემის შოვინისტი მოხელეების – იანოვსკის, ზავადსკის, ლეონიკის, ტერ გასპარიანცის და სხვათა მიერ იყო შემოღებული, ბუნებრივად უარყოფდა დედა-ენის გამოყენებას. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი 1903 წლის ანგარიშში სწავლების ენის შესახებ წერდა: „ოლქის მმართველობისა და საერთოდ სკოლების დირექტორების ზრუნვის წყალობით და აგრეთვე რუსული ენის სწავლების დროს ეგრეთწოდებული ბუნებრივი მეთოდის ხმარებით, ამჟამად პირველ დასაწყისის სკოლების უმრავლეს ნაწილში (92,4%) სწავლება წარმოებს მარტო რუსულად, ხოლო ის-

ეთი სკოლები, სადაც სწავლება დედაენაზეა, ამჟამად სრულიად აღარაა"[20]. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი კი ამავე პერიოდის ქართულ სკოლაზე წერდა: „შეიყვანდნენ თუ არა ბავშვს სკოლაში, მაშინვე რუსულ ენაზე უწყებდნენ ულურტულს და ყველა საგანში ამ ენაზე აწამებდნენ კურსის დაწყებიდან დასრულებამდე. ქართულს ენას ან ადგილი არ ჰქონდა სრულიად, ან თითოოროლა გაკვეთილით ანელებდნენ გამწვავებულს ხალხის სიბრაზეს... თვით რუსული ენა ისწავლებოდა მუნჯური მეთოდით, დედა-ენის დაუხმარებლივ. ერთი სიტყვით, ყოველი სახალხო სკოლა ჩვენში წარმოადგენდა უკანასკნელს ჟამს რუსიფიკაციის და გადაგვარების ქარხანას"[21]. იგივე იაკობ გოგებაშვილს რუსული სწავლების შოვინისტურ ბუნებაზე ბევრი მაგალითი მოაქვს თავის ნაწერებში. ერთ-ერთი შემთხვევა, რომელსაც ის თავად შეესწრო, დიდმა პედაგოგმა ამგვარად აღწერა: „კავკასიის სასწავლო ოლქის ობერ-რევიზორმა დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას ინახულა ბათუმის ერთ-ერთი სასწავლებელი, სადაც 8 წლის ყმაწვილს მიმართა: შენ ვინ ხარ? – ქართველი, – თქვა პასუხად ბავშვმა. – ქართველი კი არა, რუსი ხარ, – თქვი, რუსი ვარ-თქო! ბავშვი გაშტერდა და დუმდა. რევიზორმა იფიქრა, აქ ნამდვილად სეპარატისტობაა დამალულიო. გაწყრა, გაგულისდა, წააელო ხელი ბავშვს. ანჯღრევდა და გაჯავრებით გაიძახოდა თავისას, შეშინებულმა ბავშვმა ძლივს წაილულლუღა: რუ... სი... ვარ... ხმამაღლა თქვი, რომ რუსი ხარ, – გაიძახოდა რევიზორი. შემკრთალმა ბავშვმა კარგა ხანს ვერ მოახერხა ხმის ამოღება, ბოლოს მოიკრიბა ძალ-ღონე და შეჰყვირა – რუსი ვარო, თან ქვითინი წასკდა. ასევე სწრაფად გაარუსა ამ ბატონმა სომხის ბავშვი, რომელიც იმ პირველთან იჯდა გვერდით"[22].

იანოვსკის რეაქციული საგანმანათლებლო პოლიტიკა კარგად ჩანს თბილისის სათავადაზნაურო ქართული სკოლისადმი დამოკიდებულებაში, რომლის გამგე 1894 წლიდან იყო გამოჩენილი მოღვაწე და პედაგოგი ექვთიმე თაყაიშვილი. მან მიმართა იანოვსკის – მთელი რიგი უფლებები მიენიჭებინა მისი სასწავლებლისათვის. მოხსენება 11 პუნქტად ჩამოაყალიბა, მაგრამ ოლქის გუბერნატორმა არცერთი პუნქტი არ დააკმაყოფილა[23]. განსაკუთრებით მან გაილაშქრა საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის სწავლების წინააღმდეგ. საქართველოს ისტორიას ის არ თელიდა საგნად, მიიჩნევდა, რომ 1801 წლამდე ეს იყო მსოფლიო ისტორიის ნაწილი, 1801 წ-დან კი – რუსეთის ისტორია[24].

ილია ჭავჭავაძე „ივერიის" შინაურ მიმოხილვაში 1881 წლის იანვარში, აკრიტიკებდა რა იანოვსკის, მიაჩნდა, რომ მისი შავრაზმული პოლიტიკა იყო იმპერიის კოლონიური მართვის მთლიანი სისტემის ნაწილი. ილიასა და იანოვსკის დავა, რომელიც მწერლის მწვავე პუბლიცისტური წერილით დასრულდა, მოხდა ქართული ენის სწავლების გამო. ილია აუცილებლობად თელიდა ქართველ ბავშვს ამ ენაზე დაეწყო სწავლა, იანოვსკი კი თელიდა, რომ რუსული ენა პირველი წლიდანვე უნდა ყოფილიყო შემოღებული. ილიას აზრით, „ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზე უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება[25]. იანოვსკი ილიასთან პაექრობაში რომ ვერაფერს გახდა, მეფისნაცვალთან აბეზღებდა მას, როგორც რუსული სახელმწიფო ენის სწავლების მოწინააღმდეგეს, რაც, მისი თქმით, ქართველი ხალხის ინტერესებსაც ეწინააღმდეგებოდა. ილიას გარდა, იანოვსკის ანტიქართულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ აღაშფოთა სხვა ქართველი მოღვაწეებიც. დიმიტრი ყიფიანი წერდა: „რომელიმე ერის ენის შეზღუდვა ნიშნავს მისი არსებობის შეზღუდვას. ქართველები ამისგან თავისუფალნი უნდა იყვნენო"[26]. იგივე აზრს გამოხატავდნენ: სერგეი მესხი, ივანე როსტომაშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, ნიკო ცხვედაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვები. საზოგადოებას აღაშფოთებდა იმ ქართველ რენეგატთა საქმიანობაც, რომელიც რუსულ შოვინისტურ მიზნებს ემსახურებოდა. ასეთი იყო გორის საოსტატო სემინარიაში ქართული სიტყვების რუსული ანბანით შესწავლის მეთოდის დამნერგავი, მასწავლებელი ნათიევი, რომელსაც ამ მეთოდის შემოღების

გამო ილია აკრიტიკებდა, ქართველი ხალხის მტერს უწოდებდა. ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ უსულგულო და უკანონოდ მოქმედი რუსი მოხელეების წინააღმდეგ უნდა ებრძოლა ქართველ ინტელიგენციას, არ უნდა დაეთმო მისთვის, რადგან კარგად ესმოდა ის მიზანი, რაც ამ მოქმედების მიღმა იმალებოდა. ამის მაგალითი იყო ერთი შემთხვევა.

1881 წელს, ქ.შ.წ.კ. გამაერცელებელი საზოგადოების ინიციატივით, გადაწყდა სკოლის გახსნა სოფ. წინარეხში. საზოგადოებამ ამ სკოლის გახსნის უფლება მიიღო თბილისის გენერალ-გუბერნატორისაგან, მაგრამ გუბერნიის სახალხო სკოლის დირექტორი – დარსი ითხოვდა – სკოლას ემუშაოა იანოვსკის სასწავლო გეგმის მიხედვით და არა წ.კ. გამაერცელებელი საზოგადოების წესდებით, რომელიც მხოლოდ მე-3 განყოფილებიდან ითხოვდა რუსული ენის სწავლებას, ხოლო სწავლას 4 წლით საზღვრავდა. იანოვსკის სასწავლო გეგმით, რუსული ენა I განყოფილებიდანვე უნდა დაწყებულიყო, სწავლა კი 3 კურსით იყო განსაზღვრული. დათმობაზე წავიდნენ იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლომოური და იოანე რატიშვილი, თუმცა იცოდნენ, რომ დარსკის მოქმედება უსამართლო იყო, მაგრამ სკოლის გახსნას ხელი რომ არ შეშლოდა, საჭიროდ მიიჩნიეს ასეთი ნაბიჯის გადადგმა. სკოლის გახსნის საკითხი 2 წელი ვერ გადაწყდა. 1883 წლის კრებაზე გოგებაშვილმა თქვა: „რატომ არ უნდა დაეუთმოთ? თქვენ, ბატონებო, რათ ბრძანებთ მაგას. საზოგადო სარგებლობისთვის საჭიროა კაცმა ხან აქეთ გადაუხვიოს პირდაპირ გზას, ხან იქით, გარემოებათა მიხედვით[27]. ილიამ კი გააკრიტიკა ასეთი გადაწყვეტილება და მტკიცე და რადიკალური მოთხოვნით გამოვიდა: „მე ვერ გამიგია, რა არის დათმობა ამ შემთხვევაში. ორში ერთი უნდა იყოს: ან კანონი, ან უკანონობა. თუ უკანონოდ გვექცევა, როგორ დაეუთმოთ, თუ კანონით მოქმედებს, რას დაგვითმობს, ან, კარგი, დაეუთმოთ, მკრე როდემდის დაეუთმოთ? სად არის საზღვარი, რომლის იქით დათმობას აღარ მოგვთხოვენ? პაჭიჭს რომ თავი მოვურღვიოთ, ბოლომდი სულ რღვევით წავა. თუ ერთხელ დაეუთმობთ, მეორედაც მოგიხდებათ დათმობა... ამ შემთხვევაში დირექტორისა და სამოსწავლო მთავრობის თვითნებობა მოქმედებს და არა კანონი. თუ კანონიერად ითხოვს, რასაც ითხოვს, მაგას ვერავინ დაათმობინებს. ჩვენც, რასაკვირველია, მოხელეს არ უნდა დაეუთმოთ იქ, სადაც იმისი ნება მოქმედობს".

ილია ამასაც უმატებდა თავის აზრს ამ მოხელეთა საქციელზე: „უმჯობესი არ იქნება, რომ ბარემ გვითხრან: სწავლა ნუ გინდათ, რას მიქარავთ, რას მიედ-მოედებით, რა თქვენი საქმეაო"[28].

რუსულ შოვინისტურ პოლიტიკას ქართველმა ხალხმა დაუპირისპირა გოგებაშვილის გენიალური „დედა-ენა". ამავე ავტორის „ბუნების კარი" და „რუსკოე სლოვო" – პასუხობდა რუსული სკოლის მესვეურთა მოთხოვნებს: ესწავლა დაპყრობილ ხალხს დამპყრობლის ენა, ოღონდ მას შემდეგ, როდესაც მის ენას, მისი ქვეყნის სულიერ ტრადიციებს კარგად შეისისხლხორცებდა. „დედა-ენა არის მთავარი ბურჯი ეროვნებისა", – ასე მიიჩნევდა დიდი იაკობ გოგებაშვილი. მოელი მისი აღზრდა-განათლების სისტემა ეროვნულ საფუძველზე, ქართველი ხალხის ეთნოისტორიულ ტრადიციებზე იდგა – პატრიოტიზმის აღზრდა უნდა ყოფილიყო ქართული სკოლის მიზანი, რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა ეს დიდი ადამიანი, რომელმაც ყველაფერი, პირადი ცხოვრებაც კი დათმო ხალხის სამსახურისთვის.

ამრიგად, XIX საუკუნის რუსული კოლონიური საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი არსი ასე შეიძლება გადმოვცეთ:

საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში 26 წლის მანძილზე – 1804–1830 წლებში მთავრობის მხოლოდ ერთადერთი სკოლა – კეთილშობილთა სასწავლებელი არსებობდა, რაზეც რუსეთს არცერთი კაპიკი არ დაუხარჯავს. თუმცა ეს სასწავლებელი მთავრობამ გახსნა არა მარტო ქართველთა, არამედ აქ მცხოვრები რუსი და სხვა ერების პრივილეგირებული წოდების შვილების განათლებ-

ლად, მაგრამ იგი ძირითადად რუსი მოხელეების აღსაზრდელად შეიქმნა. ამ სასწავ-ლებელში სწავლება ძირითადად რუსულ ენაზე წარმოებდა, ეს სასწავლებელი 1830 წელს გიმნაზიად გადაქცეულა, სადაც ისწავლებოდა მცირე საათებით, მაგრამ მაინც ქართულთან ერთად თურქულ-თათრული ენები, რითაც ცარიზმი ცდილობდა კავკა-სიის მთიელთა წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის უკეთ განხორციელებას, მაჰმა-დიანთა დამორჩილებასა და მათზე გაბატონებას.

თუ 60-იან წლებში ქართული ენის სწავლებას სკოლის პროგრამებში რა-ღაც ადგილი ეთმობოდა, 1873 წლის 22 ნოემბრის დებულებით იგი ძალზე შემ-ცირდა, 80-იან წლებში კი მთლიანად აიკრძალა. ქართული ენა პროგიმნაზიულ კლასებში დარჩა როგორც არასავალდებულო საგანი. რუსული ენის სიძნელე ქართველი მოსწავლეებისათვის, აიძულებდა მათ, დამთავრებამდე მიეტოვებინათ სკოლები. ამიტომ იყო, რომ თბილისის გიმნაზიაში 70-იან წლებში ქართველობა III ადგილზე იყო რაოდენობით სომხებისა და რუსების შემდეგ. შემცირდა მათი ოდენობა ქუთაისის გუბერნიაშიც.

XIX ს-ის I ნახევარში მთავრობას არცერთი დაწყებითი სასწავლებელი არ გაუხსნია საქართველოში, მხოლოდ 1848 და 1853 წლის დებულებით იყო განსაზ-ღვრული სახაზინო ხარჯით რამდენიმე დაწყებითი სკოლის გახსნა (ოზურგეთში, ყულევში, ონში, ქუთაისში და თიანეთში). სახალხო განათლების მასშტაბი გაი-ზარდა საგლეხო რეფორმის შემდეგ. სკოლების რუსიფიკაცია დაიწყო 1881 წლი-დან, მეფისნაცვლის მიხეილ რომანოვის მიერ, როდესაც გამოქვეყნდა „დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმა". ინტელიგენციამ დაიწყო ბრძოლა ამ გეგმის წინააღ-მდეგ, მაგრამ ეს ბრძოლა ხელისუფლების გამარჯვებით დასრულდა. 90-იან წლებ-ში დამკვიდრებულმა მუნჯურმა, ანუ ნატურალურმა მეთოდმა, რამაც გამოდევნა ქართველი მასწავლებლები სკოლიდან და გზა გაუხსნა არაქართველებს.

80-იანი წლებიდან ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა თბილისის საქა-ლაქო თვითმმართველობისთვის დაემორჩილებინა თბილისის სკოლები, მაგრამ ათწლიანი ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთის შინაგან საქმეთა, განათ-ლების მინისტრისა და მთავარმართებლის დახმარებით ქალაქის თვითმმართვე-ლობას ჩამოერთვა საქალაქო სკოლების ხელმძღვანელობა სასწავლო დარგში და გადაეცა სასწავლო ოლქს, რომელმაც ისინი რუსულ სკოლებად გადააქცია. ხელისუფლება კრძალავდა ქართულ ენაზე იმ საჯარო ლიცეუმის გამართვას, რასაც ხალხის გათვითცნობიერება-განათლების დანიშნულება ჰქონდა, მხოლოდ ისეთი ლექციების წაკითხვაზე იძლეოდა ნებართვას, რაც თვითმპყრობელობის ავტორიტეტს ზრდიდა. ხელისუფლება იბრძოდა საკერაო სკოლების, როგორც ხალხში პროგრესული იდეების გამავრცელებლის, წერა-კითხვისა და განათლე-ბის შემტანი ორგანიზაციის წინააღმდეგ. როდესაც 1891 წლის 4 სექტემბრის კა-ნონით ასეთი სკოლები სამღვდელოების ხელში გადავიდა, მთავრობა იბრძოდა სამღვდელოების ხელიდან მის გამოსაგლეჯად.

ქართველთა ეროვნული ნიშნით გათიშვის მცდელობა. ქართველი ხალხის დე-ნაციონალიზაციის გასაადვილებლად თვითმპყრობელობამ მიზნად დაისახა საქარ-თველოდან სამეგრელოს ჩამოშორება, ამ რეგიონში ქართული ენის და კულტურის აღმოფხვრა[29]. საამისოდ, შემოღებული იქნა მეგრული ანბანი და დაიწყო მეგრულის სწავლება ქართულის ნაცვლად. საღვთო წერილის მეგრულად თარგმნა და ღვთის-მსახურების არაქართულად შემოღება, ხალხმა მკრეხელობად ჩათვალა, დაიწყო სამრევლო სკოლების დაარსება, სადაც ქართულ ენაზე იყო სწავლა, მოსახლეობა უარს ამბობდა სახელმწიფო-სამინისტრო სკოლებზე, რაც ხელისუფლებასთან მის დაეას იწვევდა. ეინაიდან ასეთ პირობებში ხელისუფლება ქართული სკოლის გახ-სნის ნებართვას არ მისცემდა, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ხერხს მიმართა: 1884 წელს მან ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზიის (სათავადაზ-ნაურო გიმნაზია, დაარსდა 1880 წელს) პარალელური კლასები გახსნა ძველ სენაკ-ში, როგორც ქუთაისის სკოლის ფილიალი. სკოლის ინსპექტორად პატრიოტი და

გამოცდილი პედაგოგი – სიმონ ყიფიანი დაინიშნა, რომელმაც ქუთაისის სასწავ-ლებლიდან მოიწვია სენაკში – ივანე გოგოლაშვილი, ლ. ჩომახიძე და ილია აგლაძე. 1885 წლის 27 ოქტომბერს, სკოლის გახსნაზე სიტყვები წარმოთქვეს დიმიტრი ყიფი-ანმა, აკაკი წერეთელმა, ივანე მაჩაბელმა, ნიკო დადიანმა, მიხეილ ფალავამ, თავად სკოლის ინსპექტორმა – სამსონ ყიფიანმა. ზეიმმა ცარიზმის გამარუსებელი პოლი-ტიკის საწინააღმდეგო დემონსტრაციის სახე მიიღო[30]. 1903 წლის აპრილში, როდე-საც სამეგრელოში ჩაეიდა ეგზარქოსი ალექსი და ოლქის სამრეველო, საეკლესიო სკოლათა მეთვალყურე – ეოსტორგოვი, კარგად გამოჩნდა მოსახლეობის უკმაყოფი-ლება მუსჯური მეთოდისა და ქართული ენის სწავლების აკრძალვის გამო. რევო-ლუციის დროს (1905-1907 წლებში) მთავრობამ შეასუსტა ამგვარი არაქართული პო-ლიტიკა და შემდეგში კი ისევ გააძლიერა.

კიდევ უფრო მწვავე და ანტიქართული იყო მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკა აფხაზეთში. ყველაფერი კეთდებოდა მხარის სრული კოლონიზაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის გარუსებისათვის. ქართული კულტურული ნაკა-დისა და გავლენის შესაწყვეტად, გარდა ადმინისტრაციული ღონისძიებებისა, მთავრობა შენიღბულ საშუალებებსაც მიმართავდა: ცდილობდა აფხაზური ანბა-ნისა და დამწერლობის შექმნით აღეკვეთა იქ ქართული კულტურის გავლენა და ამის შედეგად გაეადვილებინა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება. აფხა-ზური სამრეველო სკოლებიდან, მთავრობის ბრძანებით განიდევნა ქართული ენა, აიკრძალა ქართულ ენაზე წერა-კითხვა. ასეთივე მცდელობა იყო აჭარაშიც. სა-დაც ქართველი ინტელიგენცია მტკიცედ აღდგა ამ პოლიტიკის წინააღმდეგ. წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით ბათუმში დაარსებულმა სკოლამ, ასევე ქერქო და სამრეველო სკოლებმა დიდი როლი შეასრულეს ეროვნული სუ-ლის აღორძინებაში აჭარელთა შორის. ბათუმის სკოლა-გიმნაზია, 1880 წელს და-არსდა და მის მუშაობაში დიდი წელილი შეიტანეს დიმიტრი ბაქრაძემ, ალექსან-დრე ნანეიშვილმა, მოსე ნათაძემ და სხვ.

სკოლის გახსნას თვით ილია ჭავჭავაძე დაესწრო, რითაც კარგად გამოჩ-ნდა ამ სკოლის დიდი ეროვნული მნიშვნელობა. ბათუმის გიმნაზიის გახსნით წ.კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაიწყო საქართველოში ახლადდაბრუნე-ბული კუთხის კულტურული შემომტკიცება, ხოლო 1883 წელს თბილისი-ბათუმის რკინიგზის გაყვანამ კიდევ უფრო განამტკიცა აჭარის ეკონომიკური და კულტუ-რული კავშირი დანარჩენ საქართველოსთან.

სწორედ ამიტომ ებრძოდა ხელისუფლება ამ დიდ ეროვნულ საზოგადოებას, ამიტომაც გაიმართა დავა ილია ჭავჭავაძესა და იანოვსკის შორის. ერთმანეთს ებ-რძოდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი მოხელე და ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესთა დამცველი და მოდარაჯე. ილიას გონიერებამ, ნიჭმა და კამათის ხელოვნებამ, შეერთებულმა სიმართლესა და ქართველი ერის სურ-ვილთან, ამ ბრძოლაში, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გაიმარჯვა.

ქართველი პედაგოგების კადრების მომზადება და მათი სოციალური მდგომარეობა. რუსეთის ანტიქართული, შოვინისტური პოლიტიკა გრძელდებოდა XX ს-შიც საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ აისახებო-და ქართველი პედაგოგებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებაში – მასწავლე-ბელთა ხელფასები იმდენად მინიმალური იყო, რომ ვერ უზრუნველყოფდა მათ არ-სებობას, ამას ეროხმად აღნიშნავდნენ როგორც სოციალისტური, ასევე ლიბერა-ლურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ-გაზეთებიც. საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები შეეხო საქართველოს სკოლებსაც, მოხდა მი-სი პოლიტიზირება, რამაც კიდევ უფრო დააზიანა საგანმანათლებლო სისტემა. დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ სადამსჯელო ექსპე-დიციების გაგზავნამ და მოსახლეობის განსაკუთრებული სისასტიკით აწიოკებამ, ქართველ ხალხში ბუნებრივად გააძლიერა ანტირუსული განწყობილება. მასწავ-ლებლები და სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეები ჩაებნენ ანტიცარისტულ

მოძრაობაში. ხელისუფლება სარგებლობდა შექმნილი სიტუაციით და უსაფუძველოდ სჯიდა პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგებს, ქლაედა, იჭერდა და აშინებდა ახალგაზრდობას. ქართველმა საზოგადოებამ მტკიცენეულად განიცადა პედაგოგის და მოწინავე მოაზროვნის – შიო ჩიტაძის მკელელობა 1906 წლის 5 ივლისს. 4 ივლისს, თბილისში, პეტრე დიდის ქუჩაზე, სათავადაზნაურო გიმნაზიის ახლოს ყუმბარით დაჭრეს თბილისის პოლიციმეისტერი მარტინოვი. პოლიციამ ალყა შემოარტყა სკოლის შენობას, შეიჭრა შიგ და გიმნაზიის დირექტორი ვერაგულად მოკლეს. მძიმედ დაჭრეს და დააპატიმრეს სასწავლებლის მოწინავე პედაგოგები – იუსტინე აბულაძე, ვარლამ ღლონტი და სხვ. „4 ივლისის ამბავი – ეს მთავრობის შურისძიება იყო", – წერდა გაზეთი „ახალი ცხოვრება" 1906 წლის 7 ივლისს[31]. ამ თემაზე წერა არც შემდეგ წლებში შეწყვეტილა. ამ ფაქტს მუდმივად იხსენებდნენ და რუსული ხელისუფლების ანტიქართულ ქმედებად თელიდნენ გაზეთები – „შრომა", „ამირანი" და „ისარი" – 1906-1908 წლებში.

მასწავლებელთა ხელფასებში იყო უსამართლოდ დაწესებული განსხვავებანიც. ქართული ენის მასწავლებლები სხვა საგნის მასწავლებლებზე დაბალ ხელფასს იღებდნენ[32]. 1906 წელს გამოცემული განათლების სამინისტროს ცირკულარით სკოლის მასწავლებელთა „პოლიტიკური და ზნეობრივი სიწმინდე და სანდოობა" სასტიკი მეთოდებით მოწმდებოდა. ამდროინდელი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი – რუდოლფი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლის ჩამოშორებას პოლიტიკისაგან. ასეთ მიდგომაში იყო ორმაგი სტანდარტი – ისინი, ვინც ბოლშევიკურ-სოციალისტური იდეოლოგიით აქეზებდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ მოსწავლეებს, მოუწოდებდნენ ტერორისა და დაუმორჩილებლობისაკენ, სასწავლო პროცესს შლიდნენ და ფაქტიურად სკოლას – რა თქმა უნდა, არ იყვნენ მართალნი და განათლების მაშინდელი მესვეურებისაგან სამართლიან კრიტიკას იმსახურებდნენ. მაგრამ პროგრესულად განწყობილი პედაგოგები თუ მოსწავლეები, რომლებიც ხედავდნენ რუსეთის ცარისტული ხელისუფლების ანტიქართულ პოლიტიკას, ქართული ენის და კულტურის დევნას, მიისწრაფოდნენ ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებისა და გამდიდრებისაკენ, იყვნენ პროგრესული ადამიანები და მათ წინააღმდეგ ტერორი უსამართლობა იყო. 1913 წელს მეფისნაცვალმა დაავალა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს სასწრაფოდ ჩამოეშორებინა უღირსი მასწავლებლები სკოლისაგან და მათ ნაცვლად ღირსეული პედაგოგები დაენიშნა[33]. ეს „ღირსეული პედაგოგები" რუსი მოხელეებისათვის იყვნენ რუსული ხელისუფლებისა და იდეოლოგიის ერთგული ადამიანები.

მასწავლებელთა სოციალურ და სულიერ შეეიწროვებაზე, მის პოლიტიკურ დევნასა და უილაჯო მდგომარეობაზე ხშირად წერდა წერილებსა და ლექსებს ქუთაისელი პედაგოგი და პოეტი ლადო ბზვანელი (ნაცელიშვილი), რის გამოც დიდმა ვაჟა-ფშაველამ მას ჟურნალ „განათლებაში" საპასუხო ლექსი მიუძღვნა:

„პასუხს თხოულობს სალამი,
საკაცობრიო წესია,
მადლობას გიძღვნი მუშაკო,
ამის გამო ეთქვი ლექსია...
რა ეუყოთ, მასწავლებელი
ღღეს არა ფასობს ჩვენშია,
სული გასუქდეს ბევრად სჯობს,
ვიდრე გასუქდეს ლეშია"[34].

საშინელ მდგომარეობაში იყვნენ აღსაზრდელებიც. მოსწავლეთა ერთი ნაწილი, სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ადვილად ეგებოდა ბოლშევიკი აგიტატორების ანკესზე, მეორე ნაწილი სკოლაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდა ჯეროვანი ცოდნის მიღებას, ამასთანავე, უმძიმესი სასწავლო გადასახადი, გაუმართავი სასწავლო პროცესი და პედაგოგიური მეთოდები, აზიანებდა სკოლას და, უპირატესად, აქ მოსწავლე ახალგაზრდობას.

XX საუკუნის პირველ ათწლეულში მწვავედ იდგა პედაგოგიური კადრების საკითხი. საქართველოში არსებული საოსტატო სემინარიები ვერც საკმაო განათლებას იძლეოდნენ და არც კმაროდნენ საჭირო კადრების აღსაზრდელად. ამიტომ დაისვა უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხი. ხალხი ითხოვდა სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას, რადგან ხელმოკლე ოჯახებს უჭირდათ შვილების გაგზავნა რუსეთში თუ ევროპის ქვეყნებში. 10-იან წლებში კი ეს პროცესი, მსოფლიო ომის გამო, უფრო გაძნელდა. ის კი არადა, ვინც წასული იყო სასწავლებლად, ისინიც უდიპლომოდ დაბრუნდნენ, რადგან ბევრმა მათგანმა გართულებული მდგომარეობის გამო ველარ შეძლო საომარ ეითარებაში მყოფ ქალაქებში სწავლა და სამშობლოში დაბრუნდა. მათ უჭირდათ სკოლაში პედაგოგად მოწყობა, საამისოდ საჭირო საბუთების წარდგენა. ამგვარი სიძნელეებისაგან თავისდაღწევას გულისხმობდა საქართველოში სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნა. ამ მოთხოვნის საფუძველზე 1906 წელს კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოსთან შეიქმნა „უმაღლესი სკოლის მომწყობ საქმეთა კომიტეტი", 1907 წელს ამ კომიტეტმა შეიმუშავა არა საქართველოს, არამედ კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების პროექტი, რომლის აღგილსამყოფელად კომიტეტის წევრებმა ჯერ ბაქო აირჩიეს, თუმცა საქმე გაჭიანურდა რამდენიმე წელს, ამას ომი დაერთო და ხსენებული რუსული უნივერსიტეტი ბაქოში მხოლოდ 1917 წელს იქნა დაარსებული. მაგრამ ეს იყო რუსული და არა ქართული უნივერსიტეტი, რასაც ქართველი ხალხი ითხოვდა, რის მიცემასაც რუსული ხელისუფლება არ აპირებდა. ქართველ მამულიშვილთა თავდადებული მცდელობით ეს საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდა, რაც იმპერია დაინგრა და დამოუკიდებელ ამიერკავკასიაში ეროვნულმა ინტერესებმა წინ წამოიწია, დაარსდა საქართველოს ეროვნული საბჭო (1917 წლის ნოემბერში), რომლის თანადგომით და ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე წარმომადგენლების თავდადებით 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ქართული უნივერსიტეტი დაფუძნდა თბილისში.

ოსური ენის სწავლებისა და ოსური სასწავლებლების გახსნის საკითხი. როგორც ვიცით, რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში უპირველესად გამოიხატა იმ ფაქტში, რომ ცარიზმმა ხელი შეუწყო არაქართული მოსახლეობის ქართული კულტურიდან გაუცხოებას, მის გარუსებასა და ჩამოშორებას საქართველოს სულიერი ცხოვრებისაგან. თუ XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მცხოვრები ოსები მთლიანად ქართულ ენას იყენებდნენ საურთიერთობოდ და სამწიგნობრო ენად, შემდეგში ეს ფაქტი ქართველების საწინააღმდეგოდ შეიცვალა. არა მარტო საქართველოში, ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ოსებში ეწეოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას და დიდ გაელენას ახდენდნენ მათზე. ამის მაგალითია: 1) საქართველოში, XIX ს-ის დასაწყისში იოანე იაღლუზიძის მიერ ქართული შრიფტით დაბეჭდილი ოსური სახარების გამოცემა, რაც ხელს უწყობდა ოსებში ქართული ენის ცოდნას – (იაღლუზიძე აღზრდილი იყო ქართველი მეფეების – ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარზე, კარგად იცოდა ქართული, რუსული და ოსური ენები); 2) 1830-1840-იან წლებში ოსეთის სასულიერო კომისიაში მუშაობდა დანიელ ჭონქაძე, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. თვით დანიელ ჭონქაძე ჯერ კავკასიის, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა ოსურ ენას; 3) 1814 წელს შექმნილმა „ოსეთში ქრისტიანობის აღმდგენელმა კომისიამ" და 1860 წელს დაარსებულმა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ" ოსებს აუკრძალა სწავლა ქართულ ენაზე, არამარტო ამას დასჯერდა, არამედ მათ ოსურ ენაზეც ეკრძალებოდათ სწავლა, რაც ოსთა გარუსების პროცესს ააქტიურებდა და რისი შედეგიც დღეს აშკარაა. ოსები ჩრდილოეთ კავკასიაში და საქართველოს შიდა ქართლის რეგიონებშიც ძირითადად გარუსებულნი არიან. ამაზე ქართველი მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძეც ხაზგასმით მიუთითებდა ოსების შესახებ დაწერილ ნაშრომში[35]. მე-

ფის ხელისუფლება გაქრისტიანების საბაბით არუსებდა ოსებს; ეს რაიონი ამ დროს რუსული ადმინისტრაციული დაყოფით გორის მაზრაში შედიოდა და აქ გახსნილი სკოლები, ბუნებრივად, ისევე როგორც მთლიანად საქართველოს სხვა ნაწილებში არსებული სკოლები, რუსული იყო. ქართული და ოსური ენის სწავლებას ძალზე მცირე ადგილი ეთმობოდა და ძირითადი საგნები რუსულად ისწავლებოდა. სახელმწიფო ტიპის სასწავლებლებთან ერთად სკოლების ერთი ნაწილი იყო სამრეველო და კერძო, თუმცა ამ სკოლების კადრები ძირითადად თბილისის სასულიერო და საოსტატო, ასევე გორის სემინარიაში მზადდებოდა და მასწავლებლები ქართველები ან ქართულის საუკეთესოდ მცოდნენი იყვნენ, მოსწავლეები სკოლების რუსიფიკაციის გამო, ნელ-ნელა შორდებოდნენ ქართულ ენას. მთავრობის დადგენილებით შიდა ქართლში მცხოვრები და ქართულად მოლაპარაკე ოსებისათვის – 1864-1870 წლებში ქართული ენა არასავალდებულო საგნად ითვლებოდა. ეს მაშინ, როდესაც აქაური მოსახლეობა მთავრობას გამუდმებით თხოვდა ოსური და ქართული ენების საავალდებულოდ სწავლებას, ქართულ ენაზე დაწერილ სახელმძღვანელოებს[36]. ოსი ბავშვები რუსულ ენას XIX საუკუნის ბოლოს გოგებაშვილის „Русское слово"-ს მიხედვით სწავლობდნენ, მთავრობამ აკრძალა ეს სახელმძღვანელო, რითაც მოუსპო მათ საშუალება რუსული ენის საშუალებით მშობლიური ოსური და ქართული ენები უკეთ შეესწავლათ. გოგებაშვილის „დედა-ენისა" და „რუსკოე სლოვოს" ნაცვლად ბავშვებს მისცეს კორხანიდის წიგნი, სადაც ჩართული იყო ბერძნული ტექსტები, რაც არც მასწავლებლებმა იცოდნენ და მოსწავლეებიც ვერ გებულობდნენ. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების აკრძალვამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სკოლებში. აღსაზრდელებიც და აღმზრდელებიც მის დაბრუნებას ითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ. რუსი მოხელის – ეოსტორგოვის ბრძანებით, XX საუკუნის დასაწყისში არა მარტო შიდა ქართლის ოსებში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც, ქართველებთან შერეულად და სრულად გაქართველებულ ოსთა შორისაც აიკრძალა ქართულად სწავლება, რასაც მწვავედ აკრიტიკებდა იაკობ გოგებაშვილი[37].

ქართველი ინტელიგენცია მტკიცედ იბრძოდა მშობლიურ ენაზე სწავლების უფლების მოპოვებისათვის, 900-იან და 10-იან წლებში ბევრი პოლემიკა გაიმართა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ხალხს, თვით ცალკეულ მოღვაწეთა შორის. ძირითადად ამ ეროვნულ საქმეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ასრულებდა. ამ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი ხელმძღვანელობდა. ეს იყო დიდი ეროვნული სულისკვეთების ადამიანი, რასაც პირადი ცხოვრებით, ქველმოქმედებით ამტკიცებდა. იგი როგორც საკუთარი, ასევე ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შემოსავლიდან აფინანსებდა მრავალ ნიჭიერ ახალგაზრდა სტუდენტს, იყო მათი სულიერი მეგობარი და მატერიალურად შემწე. მაგრამ ეს ადამიანი მაინც რუსულად აღზრდილი იყო, ბავშვობიდანვე ბრწყინვალე რუსულით ანცვიფრებდა რუს პედაგოგებს, შემდეგ ამას დაემატა რუსეთში სწავლა, რევოლუციური მოღვაწეობა, ურთიერთობები გამოჩენილ რუს პიროვნებებთან. ყოველივე ამან, ეს ძველი რევოლუციონერი რუსული ენისადმი განსაკუთრებული სიყვარულით განმსჭვალა, რის გამოცაა, რომ მის არქივში ძირითადად რუსულად დაწერილი დოკუმენტებია შემონახული, რაც ბუნებრივიც იყო ამ დროის ქართველებისათვის. მაგრამ როდესაც მან 900-იან წლებში ქუთაისში რუსული სპეციალური სკოლის გახსნა მოინდომა, როგორც წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარემ, ეროვნულმა საზოგადოებამ მას მკაცრი ბრძოლა გაუმართა. ცნობილი პედაგოგი იეანე გომელაური, რომელიც საკმაოდ იყო ცნობილი იმპერიის მასშტაბითაც (იგი იყო 1913 წლის 23 დეკემბერს პეტერბურგში გამართული რუსეთის სახალხო მასწავლებელთა ყრილობის დელეგატი და საორგანიზაციო კომიტეტის წევრი დიმიტრი უზნაძესთან ერთად) დაუპირისპირდა მას და მკაცრი წერილი მისწერა, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ნუ ღალატობთ დიდებულ

პრინციპს, რომელიც წმინდაა და ხელშეუხებელი ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის, ჭეშმარიტი ადამიანისთვის დედა-ენა უნდა იყოს გზა და ხიდი ადამიანთა სამყაროში გადასახედად; ამეების თქმა თქვენ არ გჭირდებათ ჩემგან, მაგრამ რა ექნა, რომ რაღაც მიზეზით სწორ გზას გადაცდით და ჩვენს ცხოვრებას დაღუპვის გზაზე აცურებთ... გადასინჯეთ თქვენი დადგენილება, ნუ აჩქარდებით, დეე, თუნდ ერთი წელიწადი კიდევ დააგვიანდეს სკოლის გახსნას, მით უმეტეს, რომ შენობას სექტემბრამდის ვერ მოასწრებთ, ოღონდ საერთო საქმეს ნურა ეკნება რა, ოღონდ კი თქვენი სახელი ამ შაუ საქმეს ნუ დაუკავშირდება შთამომაელობის სასაცილოდ და თქვენს დასამცირებლად!... გაუფრთხილდით თქვენს სახელს, რომელიც თქვენის გონიერებით აქამდის წმინდათ შეგინახავთ..."[38]. ასეთი მკაცრი და პრინციპული იყო ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი, რადგან კარგად იყო გააზრებული, რომ ეს საძირკველი იყო ქართველობისა, მისი სამომაელო არსებობისა და განვითარებისა. ამ მიზანს უნდა მომსახურებოდა ქართული სკოლა, რომელსაც ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, უკვე ხალხი აარსებდა, მას კი გვერდით ედგა და აგულოვნებდნენ მისი რჩეული შვილები, ისეთები, როგორიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ლუარსად ბოცვაძე, იოსებ ოცხელი, ალექსი ჭიჭინაძე, ილია ნაკაშიძე, შიო ჩიტაძე, იკანე როსტომაშვილი, მიხეილ ყიფიანი, დიმიტრი უზნაძე და სხვები. ამასთანავე, ქართველი პედაგოგები, ეროვნული ინტელიგენციის ეს საუკეთესო წარმომადგენლები, თავდაპირველად ებრძოდნენ რა კოლონიურ საგანმანათლებლო რეჟიმს, არ თაკილობდნენ მუშაობას არც საქართველოს პროვინციებში და არც მის გარეთ, თუკი ამას ერის ინტერესები ითხოვდა. როდესაც კავკაკში (რუსების ელადიკავკაკი; ქართველების – ძაუგი) მცხოვრებმა ქართველებმა ქართული სკოლის აშენება განიზრახეს და თხოვნა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებას წარუდგინეს, პროექტს ბევრი ადამიანი შეუერთდა: ესენი იყვნენ ქველმოქმედები, თვით ელადიკავკაკის ქართველობა, პედაგოგები, რომლებმაც მიაშურეს ჩრდილო კავკასიის ამ ქალაქს, რათა თანამოძმეთა შვილებისათვის ქართული ენა შეენარჩუნებინათ, აეცილებინათ მათთვის გარუსების საშინელი ხვედრი. ამ პედაგოგთა შორის იყო შესანიშნავი პედაგოგი და სწაელული, დიმიტრი ყიფიანის ნათესაკი და შვილის (ნიკოლოზის) აღმზრდელი, კავკაკის ქართული სკოლის პირველი დირექტორი – მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი. მანვე დიდი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას, მუშაობდა „საქართველოს მოამბეში", ილიას „ივერიაში", შექმნა ქართული შრიფტი ამ გაზეთისათვის, წერდა ცნობილ პუბლიცისტურ წერილებს, სახელმძღვანელოებს, მოგზაურობდა ჩრდილოეთ კავკასიაში და სწაელობდა აქაურთა ყოფას[39]. კავკაკშიკე მოღვაწეობდნენ: ლუარსაბ ბოცვაძე, პარმენ გოთუა, ტიტე კახიძე, ილარიონ ბაქრაძე, სვიმონ გაბაშვილი, ნიკოლოზ გვარამაძე და სხვები. ამ სკოლამ დიდი როლი ითამაშა, რუსული პოლიტიკით საქართველოდან განდევნილი ქართული მოსახლეობის ცხოვრებაში. საქართველოს მთიანი რეგიონების მცხოვრებლები – რაჭველები, იმერლები და სხვანი, მიწის სიმცირის გამო, იძულებულნი იყვნენ რუსეთში გადასახლებულიყვნენ. მთავრობა მათ ხელს უშლიდა საქართველოში დასახლებაში. აქ რუსები ჩამოჰყავდათ მხარის სრული გარუსებისათვის, აქაურ ქართველებს კი გარუსების მიზნითვე, რუსეთისკენ უხსნიდნენ გზას. ბევრი ქართველი ცხოვრობდა ნალჩიკში, კავკაკში, ალაგირში და სხვაგან, სადაც მათ გვარებიც კი გადაიკეთეს, რუსული ტრანსკრიპცია მისცეს ქართულ გვარებს. ამ დროს კავკაკის ქართულ სკოლას უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა მიეცა. მან შეაჩერა ქართველთა გარუსება, ბევრი სახელოვანი ადამიანი აღზარდა, რომლებიც შემდეგში წარმატებით მოღვაწეობდნენ საქართველოს კულტურულ და საზოგადოებრივ ასპარეზზე[40]. ქართული სკოლები დაარსდა ბაქოში, ნალჩიკში და სხვა არაქართულ ქალაქებში, ყველგან წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება, ქართველი ქველმოქმედები და ადგილობრივი ქართველები აფინანსებდნენ ქართულ სკოლებს, რუსული ხელისუფლება კი მათ საქმიანობაში კრიტიკულად, თავისი ინტერესების შესაბამისად ერეოდა.

პროგრესული რუსი პედაგოგები. ქართული სკოლების რუს პედაგოგთა უმეტესობა რუსული იმპერიული იდეოლოგიის მსახური და მატარებელი იყო. გამონაკლისი მათ შორის იმდენად იშვიათობას წარმოადგენდა, რომ არ შეიძლებოდა ქართველი ხალხის განსაკუთრებული სიყვარული და ყურადღება არ დაემსახურებინა. იაროსლავების, ვოსტორგოვების, რუდოლფის და სხვა რეაქციონერების გვერდით მოღვაწეობდნენ ჰუმანური, დემოკრატი პედაგოგებიც. ასეთი იყო დიმიტრი დიმიტრის ძე სემიონოვი, რომელიც გორის საოსტატო სემინარიაში მოღვაწეობდა და დადებითი როლი ითამაშა ამ სასწავლებლის აღსაზრდელთა ცხოვრებაში, მათ სულიერ ფორმირებაში. 1880 წელს სემიონოვი აცხადებდა: „პირველდაწყებითი სწავლა ყველა საგნისა ქართულ სახალხო სკოლებში უეჭველად უნდა იყოს სამშობლო ენაზე. ეს ისეთი აზრია, რომელსაც არავითარი მტკიცება არ ესაჭიროება". მიხეილ კეკელიძის წიგნში — „დ. დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში", ბევრი მაგალითია მოტანილი, რომელიც ამ კეთილშობილი ადამიანის ბუნებას, მის დიდ პედაგოგიურ ნიჭსა და მოღვაწეობის კეთილ შედეგებს გვაცნობს: მასზე წერდნენ როგორც ქართული პრესის ორგანოები („იბერია", „დროება", „სახალხო ფურცელი"), ასევე მისი აღსაზრდელებიც, რომელთა რიცხვში იყვნენ — მიხეილ ყიფიანი, ვაჟა-ფშაველა, სოფრომ მგალობლიშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, ლადო აღნიაშვილი და სხვები, რომელთაც თავიანთი მასწავლებლის და დირექტორისადმი დიდი სითბო და სიყვარული აკავშირებდათ. რაც შეეხება ლუკა რაზიკაშვილს, მომავალ დიდ პოეტს, სემიონოვი ყოველთვის აფრთხილებდა თურმე მასწავლებლებს — სათუთად მოქცეოდნენ ყმაწვილს, რადგან მასში ჩანდა, რომ „საქართველოს მომღერალი, გამოჩენილი პოეტი იქნებოდა"[4]. თუმცა სემიონოვის ასეთი საქმიანობა, პროგრესულად მოაზროვნე და კოლონიური რეჟიმისადმი რადიკალურად განწყობილ ქართველ მოსწავლეებსა და პედაგოგებთან მისი მეგობრობა, არ მოსწონდა ხელისუფლებას. მასზე ახდენდნენ ზეწოლას და ბოლოს, იძულებულიც გახადეს საქართველოდან წასულიყო. მასზე ზეწოლის შედეგად თელის მ. კეკელიძე სემიონოვის გამოსელას ქუთაისში გამართულ მასწავლებელთა შეკრებაზე, სადაც მხარი დაუჭირა რუსულის სწავლებას I კლასიდანვე, რასაც სხვა შემთხვევაში და ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ მის ციტატაშიც ის ებრძოდა. მსგავსი მაგალითი სხვაც ბევრი იძებნება.

ამრიგად, რუსეთის კოლონიური რეჟიმის პირობებში მოღვაწე საქართველოს სკოლების მუშაობის სტილი, მისი სულისკვეთება და მიზანი სრულად შეესაბამებოდა დამპყრობლის მიზნებს. აქ ცხადად ეჯახებოდა ერთმანეთს ორი ძალა: ხელისუფლების იმპერიული სული და ქართული ეროვნული იდეოლოგია. უამრავი მწვავე სიტუაცია წარმოიქმნებოდა, ბრძოლა იყო უკომპრომისო და ხანგრძლივი, მაგრამ 1917 წელს, იმპერიის დარღვევით და საქართველოს სკოლების გაეროვნებით, ეს პროცესი დასრულდა.

---

1. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, т. VI, часть I, Тиф., 1874, გვ. 36.
2. Дубровин, «Закавказье от 1803-1806 гг...», გვ. 448
3. П. Коваленский, «Записки о Грузии», Акты, I, გვ. 123.
4. პ. იოსელიანი, გიორგი მეცამეტის ცხოვრება, 1936, გვ. 204.
5. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, II, Тиф., 1868, стр. 196.
6. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, I, Тиф., 1866, стр. 196

7. გიორგი თავზიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I, იოსებ ბოცვაძის რედაქციით, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1974, გვ. 217-218.
8. К. Бороздин, Воспоминания, Мингрелия и Сванетия, გვ. 135.
9. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, IV, Тиф., 1870, გვ. 226.
10. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, VI, ч. I, Тиф., 1874, გვ. 137.
11. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, VIII, Тиф., 1881, გვ. 302; Гакстгаузен, Закавказский край, გვ. 14-15.
12. გრიგოლ ორბელიანი, წერილები, აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 34.
13. სცსსა, ფონდი 416, საქმე 458, ფ. 3.
14. ნ. პაპაეა, სახალხო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (1864-1900 წწ.), თბ., 1963, გვ. 26.
15. გ. თავზიშვილი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, გამომც. განაელება, თბილისი, 1977, გვ. 92.
16. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VI, 1927, გვ. 107.
17. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, პედაგოგიკის სამეცნიერო-კელეეითი ინსტიტუტის მასალების კრებული, I, თბ., 1937, გვ. 180-185.
18. ო. ქინქლაძე, ქართული პრესის საგანმანათლებლო პროგრამა, გამომც. განათლება, თბ., 1966, გვ. 50.
19. სცსსა, ფონდი 416, საქმე 500, ფ. Б-10
20. ტ. სარიშვილი, სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რეეოლუციამდელ საქართველოში, თბ., 1956, გვ. 10.
21. იაკობ გოგებაშვილი, რჩ. ნაწერები, ტ. 2, 1940, გვ. 426.
22. იაკობ გოგებაშვილი, რჩ. ნაწერები, ტ. 2, 1940, გვ. 37-38.
23. სცსსა, ფონდი 478, საქმე 15, ფ. 1-4.
24. სცსსა, ფონდი 478, საქმე 15, ფ. 112.
25. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII, 1928, გვ. 299.
26. გ. თავზიშვილი, რჩ. პედ. თხზულებანი, II, თბ., 1977, გვ. 222.
27. სცსსა, ფონდი 42, ქ.შ.წ.ქ. გამავრცელებელი საზოგადოების არქიეი, 1882 წლის ოქმი, გვ. 178-181.
28. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. XII, 1928 წ., გვ. 17.
29. ტ. ხუნდაძე, ცარიზმი და სახალხო განათლება საქართველოში 1801-1917 წ.წ. თბ., 1948, გვ. 10.
30. ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960, გვ. 27.
31. „მთავრობის შურისძიება", გაზეთი „ახალი ცხოვრება", №14, 1906 წლის 7 იელისი.
32. ტ. სარიშვილი, სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რეეოლუციამდელ საქართველოში, თბ., 1956 წ., გვ 52.
33. ეურნალი „განათლება, 1913 წ. №8, გვ. 161-166.
34. ეურნალი „განათლება, №5, 1915 წ., გვ. 407.
35. ზაქარია ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, გვ. 229.
36. სცსსა, ფ. 107, საქმე 539, ფონდი 141, საქმე 802, ფურც. 2,9, საქმე 857, საქმე 1094, ფ. 14-15, საქმე 953, ფ. 2.
37. იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 338.
38. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიეული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, გიორგი ზდანოვიჩის არქიეი, ფონდი №6416, საბუთი 1987.
39. გიორგი ღუდუშაური, მიხეილ ყიფიანი, თბ., „მერანი", 1986 წ. გვ. 3-66.
40. ვანო შადური – კაეკაზის ქართული სკოლა, თბ., 1990, გვ. 7-10.
41. მ. კეკელიძე, დ. დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში, თბ., 1965, გვ. 27

ქართული მწერლობა, თეატრი და პრესა რუსული კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ (XIX-XX სს.)

რუსეთის ბატონობის ორსაუკუნოვანი ეპოქა ძნელი იყო ქართული მწერლობისა და კულტურისათვის. ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს უხდებოდათ უმაკცრეს ცენზურასთან დაპირისპირება, კლასიკური რეალისტური ტრადიციების დასაცავად პიროვნული თავგანწირვა, რუსულ შოვინისტურ პოლიტიკასთან შებრძოლება და ეთნოკულტურული ღირებულებების ამგვარად შენარჩუნება. მაშინ, როდესაც სიტყვა „საქართველოს" ხმარებაც კი იკრძალებოდა, მიმდინარეობდა ქართველი ერის ასიმილაცია და რუსიფიკაცია, მოწინავე ქართული აზრი მტკიცედ უპირისპირდებოდა დამპყრობელი ქვეყნის ნებას, ეროვნულ ენერგიას გამოხატავდა ლიტერატურისა და ხელოვნების საშუალებით. კოლონიური და ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში, XIX-XX საუკუნეებში ქართველმა ხალხმა შექმნა დიდმნიშვნელოვანი და ღირებული კლასიკური ქართული მწერლობა, თეატრალური, მუსიკალური და ხელოვნების სხვა დარგთა შესანიშნავი ნიმუშები. ეს ურთულესი პროცესი იყო, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა ეროვნული ოპტიმიზმი და ნიჰილიზმი, კონიუნქტურა და წინააღმდეგობრივი სულისკვეთება, სადაც ეროვნული მისიის შესრულება მხოლოდ ერთეულების ხვედრი იყო, მათ მხრებზე გადადიოდა დამპყრობლის მძიმე უღლის საშინელება, მათი შემოქმედება იქცა ქართველი ერის სულიერ საზრდოდ განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

რუსეთთან დაახლოებას, ქართულ სამეფო კართან ერთად, საუკუნეების მანძილზე ესწრაფვოდა ქართული არისტოკრატიაც. იმ შედეგებმა, რაც ამ დაახლოებამ მოიტანა, უპირველესად ტყუილმა, რუსეთის მხრიდან ნათქვამმა სიყალბემ, მფარველობის ნაცვლად დაპყრობამ და ხალხის აწიოკებამ აღაშფოთა ამ არისტოკრატიის წარმომადგენლებიც. ბევრმა მათგანმა ქალმით, ზოგიერთმა კი ანტირუსულ აჯანყებებში უშუალო მონაწილეობით გამოხატა არა მარტო საკუთარი იმედგაცრუება, არამედ მთელი ერისაც. ისინი ხედავდნენ დაშლილ ქართულ საზოგადოებას, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საყოველთაო ნიჰილიზმის გაბატონებას, ერის სულიერად და ზნეობრივად დაქვეითებას და ამის მიზეზად სამართლიანად მიიჩნევდნენ კოლონიური უღლის საშინელებას, იძულებით მონურ ქედმოდრეკას დამპყრობლის წინაშე. გენერალი ივანე აფხაზი გრიგოლ ორბელიანთან საუბარში სწორად აანალიზებდა საქართველოში შექმნილ მდგომარეობას და მიზეზსაც სწორად ასახელებდა: **„აწინდელი ჩვენი საზოგადოება არის მკვდარი მამულისათვის. ჰსცხოვნებენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოდ. ყოველი ფიქრობს საკუთარი თავისა სარგებლობისათვის, რომელისა მისაღებად არა მიხედავენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა, ანგარება არის მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაც გვეკარგება პატიოსნება. გარნა ნუ გგონია, რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა. არა! ესე არ მხოლოდ ნაყოფი ოცდაათი წლის მორჩილებისა!**

ოცდაათი წელი დიდი დრო იყო ამ აზრის ჩამოსაყალიბებლად. ქართველ მოღვაწეთა წრეებში უკვე 800-იანი წლების დასაწყისიდანვე იცოდნენ, ამაო რომ იყო ჩრდილოელი მეზობლის იმედი, – მან საქართველოსთან ურთიერთობა „მეგობრობით" კი არა, დაპყრობითა და სახელმწიფოებრიობის მოსპობით დაიწყო, ასეთ ქვეყანას კი მეოცნებე საქართველო არ უკავშირებდა თავის იმედებს. რეალობა სასტიკი აღმოჩნდა. გაირკვა – მართლმადიდებელი ქრისტიანი მეზობელი ბევრით არაფრით განსხვავდებოდა იმ მაპმადიანი დამპყრობლებისაგან, რომელთა აგრესიის გამო მიისწრაფვოდა ქართველი ხალხი რუსეთისაკენ. ის კი არადა, უარესი იყო, თუ სპარსეთმა და ოსმალეთმა ნომინალურად მაინც დატოვა ქართული სახელმწიფოებრიობა, რუსეთმა ესეც მოსპო და ქვეყანა თავის გუბერნიებად აქცია.

რუსეთ-საქართველოს დაახლოებისათვის თავგადაკლული დიპლომატის – გარსევან ჭავჭავაძის ეჯი, პეტერბურგში დაბადებული და რუსეთის იმპერატორების ნათლული ალექსანდრე ჭავჭავაძეც მალე გაერკვა მომხდარში, ახალგაზრდა სახლიდანაც კი გაიქცა მთიულეთის აჯანყებაში ჩასაბმელად, საამისოდ მკაცრი სასჯელიც ელოდა ხელისუფლებისაგან, მაგრამ ნათლია იმპერატორმა გადაარჩინა. მიუხედავად დიდი სამხედრო რეგალიებისა, მაინც მოთქვამდა თავისუფლებადაკარგულ სამშობლოზე: **„მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის ჰმონებს გული, მისთვის გლახ-განწირული, მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული, მარად მეახ-ვლის წყლული“**[1] , – კვნესოდა ლექსით. მიუხედავად ამისა, ვერც მან და ვერც მეორე პოეტმა – გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა ვერ შეძლო მუნდირისათვის ეღალატა, ერთგულად არ მდგარიყო რუსული არმიის სამსახურში; თუ შემდგომში ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის განმანთავისუფლებელი ბრძოლის წარმატებას დამპყრობლის წინააღმდეგ მთელი კავკასიის ერთიან გამოსვლას უკავშირებდა, ორბელიანი კავკასიას გმირულად იპყრობდა, სხვა ქართველ სარდლებთან ერთად და რჩეულ ნადაელად მიართმევდა რუსეთს. მართალია, ქართველები წარსულში დაღესტნელთა თარეშით და მათ მიერ საქართველოში ჩადენილი დანაშაულობებით ამართლებდნენ თავიანთ ბრძოლას, მაგრამ საერთო მტრის წინააღმდეგ კავკასიის ძალების დაქსაქსვა მაინც ეხმარებოდა კოლონიური რეჟიმის განმტკიცებას საქართველოში. „გაორებული“ გრიგოლ ორბელიანიც პოეზიაში ამბობდა სიმართლეს, იმას, რაც მტკივნეულად ჰქონდა შეცნობილ-შეგრძნობილი: რუსეთი ვეშაპს ჰგავდა, პატარა ერებს რომ შთანთქავდა, მისი დამარცხება ზღაპრული გოლიათის დამარცხებას უდრიდა, რასაც მითიური გმირი თუ აღასრულებდა: **„ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი ერს დაძინებულს ხმა აღადგენდეს, რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით, უსულოდ ვეშაპს ძირსა დასცემდეს“**– წერდა იგი.[2] ბევრი კარგი მეტაფორისა და პოეტური განცდისათვის დაინდო გრიგოლ ორბელიანი ილია ჭავჭავაძემ და ქართული სიტყვის მეუფედ შერაცხა, თუმცა კარგად იცოდა მისი და მთელი ამ თაობის ქედმოხრილობა იმპერიული რუსეთის წინაშე. ეს გახდა მიზეზი ილიას დაპირისპირებისა სამხედრო ჩინების მომხვეჭელ, პატრიოტიზმისა და ლიბერალიზმის სასაცილოდ ამგდებ ქართველ მწერალთა „მამების“ დასისადმი. სამართლიანად მიიჩნევს აკაკი ბაქრაძე ლერმონტოვის „მწირის“ ილიასეულ თარგმანში შეტანილ ცვლილებას არა პოეტურ თავხედობად, არამედ ქართული არისტოკრატიის კონსერვატიზმსა და კონიუნქტურასთან დაპირისპირებად, რუსეთისაგან იმედის გაცრუების აღიარებად და XIX საუკუნის საქართველოს ვითარების შეფასებად.[3]

ლერმონტოვის აზრი „მწირის“ ფინალში, – რომ საქართველოს ღვთის წყალობა ეწყია რუსეთის სახით, ის ჰყვაოდა თავისი ბაღების ჩრდილში და მეგობრული ხიშტებით მოსაზღვრულს, აღარ ეშინოდა მტრებისა – ილიამ ასე შეცვალა: **„მას აქვთ, რაცა კურთხევა ღვთისა/ მიეცა ტანჯულს ივერიის ერს, / რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, –/ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს“**.

მართლაც, დიდი პროტესტი იყო გაცხადებული ამ თარგმანში, რუსეთის ბატონობით შეწუხებული ქართველი მკითხველის სმენას მისი მნაგერელის წყეულად რომ ჩაესმოდა.

თუ ერეკლე მეორის შვილიშვილი ვერ იყო სიმართლის ამგვარი პირდაპირობით მთქმელი და მხოლოდ სიკვდილის პირას მყოფმა აღიარა ერთ პატარა სტროფში, მისი სამშობლოც და პირადი ცხოვრებაც დაქცეული რომ იყო, ნიკოლოზ ბარათაშვილმა სცადა, ბიძაზე და სხვა თანამედროვე პოეტებზე უფრო ღრმად შეეხედა შექმნილი ვითარებისათვის და მოელენები მეტი სერიოზულობით განესაჯა. „ბედი ქართლისა“-ში მან პირდაპირ დახატა თავისუფლების დაკარგვის საშინელება, თანადგომა გამოუცხადა იმ ეროვნულ გმირებს, რომლებიც ამგვარად ფიქრობდნენ და რომელთაც საქართველოს რუსეთთან შეერთება ტრაგედიად მიაჩნდათ. სოლომონ ლიონიძისა და მისი მეუღლის – სოფიოს სახით,

თანამედროეებს დაუხატა მისაბაძი გმირები, რომლებიც პირად პატივს არასოდეს ანაცვალებდნენ ქვეყნის ბედნიერებას. იმ დროს, როდესაც ქართველი ქალები რუსეთის სამხედრო წრეების ჩინოვნიკებზე თხოვდებოდნენ და მათ გამო ხშირად ამბობდნენ უარს ნამდვილ სიყვარულსა და ქართულ ოჯახებზე, როდესაც უზრუნველად ცხოვრების სურვილით გარუსების ტენდენციები უკვე ღრმად იკვეთებოდა, ახალგაზრდა გენიოსმა სწორი გზა დასახა და შინაგანი პროტესტი გამოუცხადა ამ მაცნე ტენდენციას: **„რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული – /გალიაშია დატყვევებული! /და ველად იგი, ამხანაგთ შორის, /ჭირსა, ვით ლხინსა, ერთგვარ დაპმღერის! /ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება, /თუ მოაკლდება თავისუფლება!..“**[4]

თვით ამ პოემის დაწერა, ბარათაშვილის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერა, ლიონიძის აზრები ქართველი და რუსი ხალხების მოსალოდნელ შეუთავსებლობაზე, ამდროინდელი მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოხატვაა. სოლომონ ლიონიძეში პერსონიფიცირებული ეს აზრი განამტკიცა რუსული კოლონიალიზმის საშინელებამ, იმ სხეაობამ, მეფე ერეკლეს მიერ აღებულ პოლიტიკურ კურსსა და რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ დაპყრობილი საქართველოს მიმართ გატარებულ რეალურ პოლიტიკას შორის რომ იყო[5]. ამიტომ აქცია ბარათაშვილმა ლეგიტიმისტი სოლომონ ლიონიძე რესპუბლიკელად, როდესაც ათქმევინა: **„მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება, სხვას განუბოძო შენ ყმათ ცხოვრება, მისდევდე შენსა გულისკვეთებას და უარგუნვიდე თავისუფლებას“**-ო.

თავისუფლების თამამმა სულისკვეთებამ, შეერთებულმა ბარათაშვილის პოეზიის ლირიკულ სინატიფესა და საკაცობრიო იდეალების გენიალურ გააზრებასთან, აღაფრთოვანა, ალბათ, ილია ჭავჭავაძე, რომელსაც პეტერბურგში შემთხვევით ხელთ ჩაუვარდა ეს ლექსები და ღამე გაათენა მათ კითხვაში. თავისუფლების ნატვრის ის მუხტი, რაც ილიამ ქართულ პოეზიაში შემოიტანა, ბარათაშვილისეულ განცდასაც ეფუძნებოდა და იმ ისტორიულ სინამდვილესაც, რაც საქართველოს დაატყდა რუსული კოლონიალიზმის აგრესიითა და დაუნდობლობით, დამოუკიდებლობის დაკარგვითა და მონობის უღლით: **„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“**-ო, მონობის ჯამს რომ წარმოსთქვა, ალბათ, აქედან იღებდა სათავეს. ამ შეულეველი ღირებულების ოდა ილიას ბევრმა თანამებრძოლმა, მათ შორის აკაკიმაც შექმნა: **„მონას რად უნდა კრული სიცოცხლე, რისთვის აანთოს წმინდა ლამპარი?.. სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი..**

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში XIX საუკუნის II ნახევრიდან სწორედ მწერლობა აღმოჩნდა, ერის წინამძღოლად მწერლები იქცნენ. **„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ – რომ წარვუძღვე წინა ერსა!“** – ამბობდა ილია. და მართლაც, იმ დროს, როდესაც საქართველოს აღარ პქონდა სახელმწიფო, არ პყავდა ლეგიტიმური მეფე-სარდალი, სწორედ ილიამ შეასრულა ერის წინამძღოლის, სარდლის როლი. ის იყო გზისგამკვალავი, სულიერად დამპურებელი, ქვეყნისა და ერის ინტერესების მართლად დამცველი, მტრის მაცნე ხრიკების გამომძიებელი, საზოგადოებრივი დაწესებულებების დამაარსებელი, სხვადასხვა დარგში მოღვაწე... ილიას ერგო ხვედრი ახალი გზის დასაწყისისა, რომელსაც ქართველმა ხალხმა ილიას გზა უწოდა და ამ გზით სიარულს მიიჩნევს კეთილი მომავლის გარანტად.

ილია ისე იყო აღშფოთებული მეფის სატრაპთა არაადამიანური დამოკიდებულებით ქართველი ხალხისადმი, რომ თავის გულისწყრომას მათი საქციელის გამო მარტო წერილებში კი არა, პოეზიაშიც გამოხატავდა: **„ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა, /ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება“** – წერდა პოეტი „აჩრდილში“. ტირანი იმპერატორების დამცველ ე.წ. „კანვოე-

ლებს" ჰყავდათ ღედები. ილია მხოლოდ იმ ქართველ ღედებს ასხამდა ხოტბას, ვინც საკუთარი მამულისათვის თავგანწირულ გმირებს ზრდიდა და არა მოდალატეთა მშობლებს. რუსეთში მომსახურე ქართველი მებრძოლების ხილვა პოეტში მხოლოდ სიბრალულსა და მწუხარებას იწვევდა: **„ვსთქვი, თუ ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა? / შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ჩრდილოეთსა?_"**

„ქართველი სტუდენტების სიმღერა"-ში თვით პოეტის გრძნობა და მისწრაფება იყო ჩაქსოვილი – ოდესმე გამოდგომოდნენ დაობლებულ მამულს. ობლის მეტაფორა თავისუფლებადაკარგული საქართველოს მეტაფორა იყო ისევე, როგორც პატიმრის, ტყვის, ქაჯეთის ციხეში დამწყვდეული ნესტანის, კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანის და სხვა, რასაც ქართველი პოეტები რუსეთის საშინელი ცენზურის პირობებში თავიანთი ქვეყნის საეალალო მდგომარეობის გამოსახატავად იყენებდნენ. ილია მწარედ აკრიტიკებდა არამარტო რუს შოვინისტებს – კატკოვს, იანოვსკის, სხვა მათნაირ რუს ანტიქართველებს, არამედ საკუთარ თანამემამულეებსაც, რომლებიც მონებად ქცეულიყენენ, პიროვნული ღირსება დაეკარგათ: **„გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან, /მთავრის ღიმილზე პატიოსნებას /და დაჟანგებულ ბორკილზე ცვლიან /თავის მამულის თავისუფლებას"** – ასე ახასიათებდა პოეტი ღირსებადაკარგულ ქართველებს.

ისტორიის წინაშე კაპიტულაცია ცხადად ჩანდა 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ. არა მარტო ინტელიგენცია, დაბალი სოციალური ფენებიც გრძნობდნენ ქრისტიანული პათოსის მარცხს რუსეთთან კავშირის შემდეგ, ახალ რეალობას, რითაც დამპყრობელმა ქართველ ხალხს ქრისტიანობის ის სუროგატი შესთავაზა, სადაც პოლიტიკური ცბიერება, ექსპანსიონისტური სულისკვეთება და ბიუროკრატიული ავანტიურიზმი იყო გამეფებული. ყველაფერ ამას პატარა ერის კედომის პროცესი უნდა გაელრმავებინა, თუკი მას არ გამოაფხისლებდნენ ისეთი მოაზროვნე ქართველები როგორებიც ილია და მისი სხვა თანამებრძოლები იყვნენ. რუსეთი დიდი ძალისხმევით ცდილობდა ჩაეკლა ქართული სული, ნიჰილიზმით გაეჟღინთა იგი, დაერწმუნებინა ქართველობა, რომ არაფერი იყო მის წარსულში ისეთი, რითაც იამაყებდა, წარსული მხოლოდ ეთნოგრაფიული დეკორაცია იყო და მეტი არაფერი. ამიტომაც მოუწოდებდა ქართველებს „მოსკოესკი ვედომოსტის" რედაქტორი თეატრის სცენაზე გამოტანილი ისტორიული დროშა ცირკისთვის გადაეცათ. ცარიზმი ცდილობდა ქართველი ერის, როგორც ისტორიული სუბიექტის გაქრობას და გულდაგულ ახორციელებდა მის ასიმილაციას რუსულ სახელმწიფოში. ტრაგიკული იყო ვითარება, რუსეთის მორჩილებამ რომ შექმნა და რომელსაც გენერალი ივანე აფხაზი აღწერდა. ქართველ ერში აღარ იყო ღირსების, ეთნოკულტურული ღირებულებების დაცვის ნება, იგი გადაგვარებული, ფსევდოპიური, და ყალბად თავმომწონე, სახედაკარგული და თვითდაკონსერვებული იყო. ილია ჭავჭავაძე ერის ამ სულიერ ნგრევას და მეტაფიზიკურ კედომას აღუდგა წინ, ამისათვის არა მარტო ანთროპოლოგიური კარიკატურული ტიპაჟები შექმნა, არამედ ნაწილ-ნაწილ განიხილა ამ მოვლენათა გამომწვევი მიზეზები, გააკრიტიკა მტერიც და თვითკმაყოფილი მოყვარეცვს ყველაფერი კი არ შეიძლებოდა იმდროინდელ საზოგადოებას უდრტვინველად მიეღო. რუსული იმპერიული ხელისუფლება, ერის წინამძღოლის ფუნქციის გამო, მას მეტად საშიშ პიროვნებად მიიჩნევდა, ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი კი იმიტომ ებრძოდა, რომ სიცოცხლისათვის ბრძოლის უნარი დაკარგეოდა, კედომის პროცესში ჩაძირული ნებიერობდა და არ სურდა ამ ნირვანიდან ვინმეს გამოეყვანა. რუსულმა იმპერიამ – ეკლესიის თავისუფლების წართმევით, არისტოკრატიის გადაგვარებით, კოლონიური ჩაგერის პოლიტიკური და სოციალური ფორმებით, მთელი თავისი მახინჯი შოვინისტური პოლიტიკით შეძლო დისტანცია გაეზარდა ისტორიასა და ხალხს შორის, ილიას მსგავსებსა და უბრალოდ მოარსებე ქართველებს შორის. ამიტომაც დაჭირდა პოეტს განესაზღვრა ისტო-

რიის ფუნქცია, აღენიშნა, რომ წარსული ფესვებია, ეინც მას მოსწყდება, მოკ-ედება კიდეც. იგი ხმალამოღებული იცავდა ქართულ ენას, კულტურას, ქართველობას რუსი მძარცველებისაგან, რისთვისაც, დიდ ბერძენთა მსგავსად, ოსტრაკიზმით ემუქრებოდნენ. ეს რომ ვერ მოახერხეს, მოკლეს და ამით სცადეს საქართველოს მოკვლა, თუმცა ვერცერთი ვერ შეძლეს: ილია ჭავჭავაძემ თავისი სწორი და ღრმა აზროვნებით მოახერხა ერის სულიერი შედუღაბება და ისტორიულად დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს სხეულის შეკოწიწება.

როდესაც განათლების სფეროში კავკასიის ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ თავისი პროგრამა გამოაქვეყნა ენის სწავლების შესახებ, – როგორც იაკობ გოგებაშვილი იგონებდა, მთელმა ქართულმა საზოგადოებამ თვალი ილიას მიაპყრო იმ იმედით, რომ მხოლოდ ის შესძლებდა ღირსეულად გაემათრახებინა ქართული ენის მტრები. იანოვსკისა და ეგზარქოს იოანიკეს რეაქციული აზროვნების გამო, ილია ჭავჭავაძე 1881 წელს წერდა: „ჩვენ გვეგონა, რომ ახალი კარგი ამბები იქნებოდა, მაგრამ გამოვიდა, რომ სისტემა იგივეა და მარტო ხერხია სხვა... ტკბილმა იმედებმა ჩაილურის წყალი დალიეს. ღმერთო, გვიხსენ! რისგან გიხსნათ, მკითხავთ თქვენ, იმისგან, რომ... ერიპა! კინაღამ ღმერთი არ გამიწყრა და არ წამოეყრანტალე პასუხი! სულ გადამავიწყდა, რომ ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის რომ დიდმა სთქვას: „მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაიკმინდო“ და პატარამ მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამიეარდა ბრძანებისამებრ თქვენისა“.[6] ასეთი მძაფრი ირონიით ეწინააღმდეგებოდა და ამათრახებდა მაშინდელი რუსული კოლონიური, შავრაზმული პოლიტიკის გამტარებლებს დიდი მწერალი, სულისშემხუთველი ცენზურის პირობებშიც ახერხებდა და მძაფრ ფორმას აძლევდა სათქმელს. ის შეუპოვრად ებრძოდა რუს მოხელეთა სურვილს – მოეკლათ ერის ნიჭი, ჩაეხშოთ მისი ძალ-ღონე, ქართული ენის გაქრობით და ახალგაზრდა თაობის გარუსებით. ენისა და ერის უფლებას მწერალი უკანასკნელ ძალისხმევამდე იცავდა და გესლიანი სარკაზმით უმასპინძლდებოდა საქართველოში რეაქციული პოლიტიკის გამტარებლებს. მაგალითად კატკოვისადმი მისი პასუხიც კმარა. როდესაც ამ რუსმა ჩინოვნიკმა თავის გაზეთში, რუსული პრესის ფლაგმანად რომ ითვლებოდა, ქართველი ერის შეურაცხმყოფელი წერილი გამოაქვეყნა, ეს არ გაკეთებულა მხოლოდ ქართველების ეროვნული თავმოყვარეობის შესალახად. ის დაბეზღებაც იყო მთავრობის წინაშე: საქართველო არ ემორჩილება რუსეთს, თბილისში რაღაც ძველ ისტორიულ დროშებს აფრიალებენ, თეატრი არასაიმედოა და დასახური, მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ მეტი სიმკაცრით მოექცეს ქართველობას – ასეთი ქვეტექსტი გასდევდა კატკოვის მსჯელობას, რაც ასევე „მდიდრულად“ იყო შეზავებული ქართველთა დამცირებით, მისი წარსულის გაბიაბრუებით, ეროვნული ფასეულობების დაცინვით.

ილიამ „დროებაში“ გამოაქვეყნა საპასუხო წერილი, სადაც სასტიკად გაამათრახა რუსული შოვინიზმით მოწამლული, ხელისუფლების მაბეზღარა ლაქია – კატკოვი, რომელიც ქართველი ხალხის დასჯას ითხოვდა მისი წმიდათაწმინდა გრძნობის – სამშობლოს სიყვარულის გამო. ილია წერდა: „ყველაზე საშიში და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულის ნადები, სულის წყურვილი საქვეყნოდ გამოაფინოს. ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მაბეზღარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი, იმიტომ რომ მაბეზღარს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული კი იარაღაყრილია... თავისი დამქაშების შემწეობით ბ-ნ კატკოვს დიდი ბადე აქვს გაბმული რუსეთის სანაპირო ქვეყნებში... რაც კი უწმინდურება მოგროვდება ხოლმე მისი დამქაშების უწმინდურ გულში, სულ ერთიანად სანაპირო ქვეყნებიდან მიედინება ბ-ნ კატკოვისაკენ და შესაფერის სურვილებით გროვდება იმ თავახდილ და პირმოხეულ აუზში, რომელ-

საც „Московские Ведомости" – ჰქეიან!" – ასე გაბედულად ააშკარაეებდა და ამათრახებდა რუსეთის პრესის ამ ცენტრალურ ორგანოს და მისი რედაქტორის რეაქციონერობას ქართველი მწერალი. ეს დიდი გმირობა იყო ჰატარა, დაპყრობილი ქვეყნის მოღვაწისაგან, რომელიც მკაცრად აფრთხილებდა რუსული შოვინიზმის იდეოლოგს: ამაოდ დაშერებით, ვერა ძალი თავისი ქვეყნის სიყვარულს ვერ ამოჭკვეთს ქართველების გულიდან, ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმიაო.[7]

რუს იდეოლოგებს, სამწუხაროდ, ქართველი ნიჰილისტებიც ეხმარებოდნენ თავიანთი ანტიეროვნული იდეოლოგიითა და მოღვაწეობით. მათაც მკაცრად პასუხობდა ილია ჭავჭავაძე, რადგან იცოდა, რომ ნიჰილიზმი კლავდა და ბრძოლის უნარს ართმევდა კოლონიურ უღელში შებმულ, ისედაც სასოწარკვეთილ ქართველობას. 1881 წელს, პეტერბურგის ჟურნალ „Северный Вестник"-ში ერთი ამგვარი ქართველი მოღვაწის – ივანე ჯაბადარის სტატიები – „Письма о Грузии" დაიბეჭდა. წერილების ავტორი საქართველოს ისტორიულ წარსულს, ლიტერატურასა და კულტურას უარყოფითად აფასებდა და მის ადგილს მსოფლიო კულტურაში ვერ ხედავდა. ილიამ ამ მეტად ეულგარულ და ანტიეროვნულ მტკიცებებს დაუპირისპირა თავისი ჯანსაღი, კულტუროლოგიური თვალსაზრისით და თანამედროვე მეცნიერული თეორიებით განმტკიცებული კონცეფცია ერის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ წერილების სერიაში – „აი ისტორია". აქ მან ჩამოაყალიბა აზრი, რომ ქართველი ერის წარსული მის სიბერეზე კი არა, უძველეველ ტრადიციებსა და გამოცდილებაზე მეტყველებს, რითაც მას ყოველთვის შეუძლია იამაყოს და წარმატებული მომავლის ასაშენებლად გამოიყენოს განელილი გზა.

1859 წელს, სრულიად ჭაბუკმა აკაკიმ, პეტერბურგში გამგზავრებამდე, დაწერა ლექსი „ნავი". ნაეის ალეგორია მტრებისგან შეეიწროებულ, რუსეთთან თავშეფარებულ საქართველოს წარმოადგენდა. შუა ზღვაში მყოფმა ნაემა, რომელიც ქარის ძლიერი ქროლვით იღუპებოდა, შეელა თხოვა დიდ ხომალდს, რომელმაც მუდარა ისმინა და ჯაჭვით გამოიბა. ამან ქარი კიდევ უფრო გაარისხა, მაგრამ ხომალდთან ეეღარაფერს გახდა. ნაემა მოისვენა, შემოეცალა მტერი, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა. სუსტსა და ჰატარა ნავს თავზე მტვერსა და ნაგავს აყრის ის ხომალდი, რომელსაც მაგრად მიუჯაჭვაეს იგი: **„მაგრამ რაი, რომ თვით ის ხომალდი / მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს".**

ამით ერმა პოეტმა ნათლად გამოთქვა თავისი აღშფოთება რუსული კოლონიურ-შოვინისტური პოლიტიკის მიმართ. რუსებს აკაკი „სკვითებად" მოიხსენიებდა და ამით ამ ხალხს დამპყრობლურ სულისკვეთებაზე მიანიშნებდა. **„მერე სკვითებსაც შეხედა: „ამას ხომ ხედავთ თქვენაო? /არ მიჰყვეთ მაგის გზას და კვალს, არ გაირისხოთ ზენაო",–** წერდა ლექსში „სხვადასხვა ერი".[8]

პოლიტიკური რეაქციის ჟამს, XIX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ცენზურა განსაკუთრებით გამკაცრდა, აკაკი ხშირად მიმართავდა სკვითის ალეგორიას და სათქმელს ასე გამოხატავდა. 1884 წელს დაწერილ ლექსში – „სახალისო შაირი" – ქართველ ხალხს პოეტი ათქმევინებდა: **„მამა უცხონდა სკვითორელს, თავი კი მივსცე ხელადა! /თავის ოჯახში ბრიყვია, სხვისაში შედის ხელადა; / ხან იღრინება ძაღლივით, ხან იპარება მელადა. / ადარც კაცია, არც მხეცი, გამხდარა საეჭველადა, /ქვეყნის ცოდვა და ვარამი გარს შემორტყმია მცველადა– /ღმერთო, შენ გაასამართლე, შენ გიხმობთ დამფარველადა".**

თვითირონია და ერის ფსეედოლირებულებების კარიკატურულად წარმოჩენა, ილიას მსგავსად, აკაკის შემოქმედებასაც მთავარ ზოლად გასდევდა. „ბედნიერი ერის" პათოსს ეხმაურება აკაკის ლექსი სწავლულ კაცზე. მასში არის თვითმაყოფილი, გარუსებულ-გადაჯიშებული ქართველის კრიტიკა: **„ქართულ ტანისამოსსა, აბა რაღად იკადრებს, /სწავლული კაცი არის, ტანზე ფრაკი აცვია– /ვინც რუსული არ იცის, მთის ნადირსა ადარებს, /მუსაიფი არ უყვარს, ქართულში ზარმაცია– /გაბუტვით დადის, სიბრძნე აღარ ეტევა ყელში, /მთელ ნაცი-**

ას ის მოსწონს, მას სძულს მთელი ნაცია, /აი, სწავლული შვილი, სანატრი ამ სოფელში, /ქართველების შეხედვით ყოვლად კარგი კაცია!..“

ერის ასეთ გადაგვარებას აკაკი რუსულ კოლონიურ რეჟიმს აბრალებდა. საქართველო პოეტისათვის იყო დამპყრობლის მიერ დატყვევებული ნესტან-დარეჯანი, თავად ტარიელი, ფრიდონსა და ავთანდილს უხმობდა სატრფოს ქაჯეთიდან დასახსნელად. პოეტი მთელი ცხოვრება ებრძოდა რუსულ შოვინიზმს, ჩაგვრასა და დამცირებას. მისთვის თავისუფლება ბრძოლით მოსაპოვებელი ფასეულობა იყო: **„რაც ძალადობით წაიღეს, ვინ დააბრუნებს ნებითა? / ვინ ნახა თავისუფლება ტანჯვით და მოთმინებითა?!“**

ეკლესიიდან ქართული ენის გაძევებას, რუსული წირვა-ლოცვის შემოღებას ხალხში რწმენის დაქვეითება მოჰყვა, რასაც აკაკი განიცდიდა და ასახავდა თავის შემოქმედებაში. მისი აზრით, მართლმადიდებელი, მაგრამ დამპყრობელი და შოვინისტური სულისკვეთების რუსეთი ამას მიზანმიმართულად აკეთებდა: სულიერ საძირკველს აცლიდა ეროვნულ შენობას, ხალხს პირიდან ენას გლეჯდა და უფლის იმედსაც ართმევდა. ლექსში „რაჭა-ლეჩხუმი“ – აღნიშნული ეითარება პოეტურად ასე იყო გაცხადებული: **„ჯერ ეკლესიას ეძგერენ, თქვეს – „აქ მარხია ძაღლიო, /ჯერ ძირი გამოუთხარე, თუ გსურს დაიქცეს სახლიო... /ღვთის სავედრებლად რას ვარგა რაღაცა ძაღლის ენაო...“**

აკაკის მთელი პოეზია საესე იყო პროტესტით, თავსდატეხილი ეროვნული უბედურების მხატერულ სიტყვაში ვამოხატვით: **„თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ /და მაგდებენ საკირეში, /ურცხვად შვიდ-შვიდ პარასკევსა მითვლიან მე ერთ კვირაში. /მამა-პაპის სწორ გზაზედა სიარულსაც კი მიშლიან, /მაგიერად მათ მრუდ გზაზედ ფიანდაზებს ფეხთ მიშლიან!“** პოეტი ყველას მოუწოდებდა, მამა-პაპური გზა არ დაეგდოთ, არ გადაეხვიათ მრუდედ და არ შეერცხვინათ გმირი წინაპრების სახელი.

აკაკისაც, როგორც ბევრ ქართველ მწერალს XIX საუკუნეში: ეგონა, იყენენ კარგი და ცუდი რუსი მოხელეები, თავად აკაკის უყვარდა ეორონცოეი და მას „კარგ რუსად“ მიიჩნევდა, ასევე მოსწონდა იაკობ პოლონსკი და მასზეც აღფრთოვანებით წერდა („ეორონცოეის რუსი იყო და არათუ ეხლანდელი“), ეგონა, 80-იანი წლებიდან მოღვაწე რუსმა მოხელეებმა გადაუხვიეს ეორონცოეის გზას. რა თქმა უნდა, ეს პოეტური ილუზია იყო და მეტი არაფერი. ეორონცოეიც და სხვა მოხელეებიც რუსულ კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდნენ, ოღონდ სხვადასხვა მეთოდებით: ერთნი უხეშად, სამხედრო ჩექმის სიმკაცრით, მეორენი ცბიერად, შემპარავი და თვალისამხვევი დიპლომატიური სიმარჯვეით. ერთიც და მეორეც საქართველოს გარუსებას და რუსეთის იმპერიაში მის ბუნებრივ მოქცევას ისახავდა მიზნად. მიუხედავად ამგვარი გულუბრყვილობისა, რასაც ყოფითი საფუძველი ჰქონდა (აკაკი იცნობდა ეორონცოეის მეუღლეს და მისგან დიდი სიკეთე ახსოვდა, რაც „ჩემ თავგადასავალში“ აქვს აღწერილი), აკაკი შეურიგებელი იყო ზოგადად კოლონიური პოლიტიკის, დიდი ქვეყნის მიერ პატარების დაჩაგვრა-დამონების მიმართ. ლექსში „არაბი ფაშა“ იგი აღწერდა ასეთი ჩაგვრის ზოგად სურათს, მაგრამ სიმბოლურად საქართველო-რუსეთის ურთიერთობას გულისხმობდა. ამ ლირიკულ ტექსტში ეგვიპტელი გმირის – ახმედ-ბეის (1839-1911 წწ.) ბრძოლა იყო ასახული ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ, მისი მარცხით გამოწვეულ უკმაყოფილებას და კოლონიზატორთა უსამართლო პოლიტიკის სიძულვილს პოეტი დაუფარავად ამჟღავნებდა.[10]

აკაკი ილაშქრებდა რუსეთის შავრაზმული პოლიტიკის მხარდამჭერთა მიმართაც. მან ამხილა სენატორ გიორგი მუხრანსკის რეაქციული შინაარსის წიგნის ანტიქართული სულისკვეთება, მასში გატარებული აზრი დიდი ერების მიერ პატარა ერების ჩაყლაპვის შესახებ მავნედ და, მეტიც, ქართველი ხალხის ღალატად ჩათვალა, მიიჩნია, რომ ამ წიგნით მუხრანსკი „მოძმეთა სისხლში ისერიდა ხელს“[11]

ლექსებითა თუ წერილებით, აკაკი წერეთელმა დაგმო ისეთ შაერაზმელ მოხელეთა მოღვაწეობა, როგორებიც იყვნენ იანოვსკი, ვოსტორგოვი, კაეკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი. ხალხში გავრცელდა და დიდი მოწონება დაიმსახურა მისმა სატირულმა ლექსმა ლორის-მელიქოვზე. საერთოდ, აკაკი იყო ოსტატი პამფლეტის, სატირის, რასაც კარგად იყენებდა ქართველი ხალხის მტრების დასამცირებლად და მათზე შურისსაძიებლად. ილიასთან ერთად, მან საკადრისი პასუხი გასცა „მოსკოვური უწყებანის" რედაქტორს – კატკოვს. მას არ ეშინოდა ბრძოლის. ბნელი ძალებისა და საქართველოს მტრებისადმი იმდენი სიძულვილი ჰქონდა, სამსახურშიაც კი არ შეეიდა. უაღრესად გაჭირვებულს, მთელი ცხოვრების მანძილზე არასოდეს უმუშავია, რადგან მიაჩნდა, რომ ნეენში ყველა დაწესებულება იყო რუსული, ემსახურებოდა დამპყრობლის ინტერესებს და მტერთან არ უნდა ეთანამშრომლა. მატერიალურ გასაჭირში ჩავარდნილმა პოეტმა, ეს პოზიცია ბოლომდე შეინარჩუნა.

ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში დიდი როლი ითამაშა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაობის ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა – ნიკო ნიკოლაძემ. მან დიდი სულიერი გავლენა მოახდინა თანამედროვეებზე, უაღრესად მაღალი ერუდიციითა და ეროვნული ცნობიერებით მიიზიდა ისინი. ნიკოლაძის წერილებს „დროებაში" სულმოუთქმელად ელოდნენ მისი თაყვანისმცემლები, რაც ყურადღებიდან არ რჩებოდა მეფის ცენზურას. კაეკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი – ბარონი ნიკოლაი საცენზურო კომიტეტს ავალებდა: ფხიზლად ედევნებინათ თვალყური, რათა ნიკოლაძის ლიტერატურულ მოღვაწეობას მაინე ზეგავლენა არ ჰქონოდა სხვა ჟურნალ-გაზეთებზე. ნიკო ნიკოლაძე ფართო დიაპაზონის მოაზროვნე იყო, მას თვალსაჩინო ადგილი ეკავა არა მარტო ქართველ, არამედ რუს და ევროპელ მოაზროვნეთა შორის, იყო წამყვანი გამოცემების რედაქტორი და თანამშრომელი, მეგობრობდა მსოფლიოს ცნობილ ადამიანებთან. ამის მიუხედავად, იგი მთლიანად ეროვნული სულისკვეთების მქონე, ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი, ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნების მოღვაწე იყო. ნიკოლაძე აკრიტიკებდა რუსეთის სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკას, იმპერიულად მოაზროვნე და მოქმედ ბიუროკრატებს, რომელთაც საქართველოსათვის დაენანათ იმ ბურჟუაზიული რეფორმების მიცემა, რაც რუსეთში გატარდა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში. ამ რეფორმების დამალვამ, მისი აზრით, დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას. ასეთად მიაჩნდა საერობო რეფორმა, რომელსაც ქართველი ხალხი დიდხანს ითხოვდა და ელოდა, მაგრამ ამ მოლოდინმა 1917 წლამდე გასტანა და ნათლად აჩვენა რუსული იმპერიული ზრახვები დაპყრობილი ქვეყნის მიმართ. თავისი ქუთაისელი მეგობრის, დიმიტრი ნაზარიშვილის მსგავსად, მანაც დაწერა ერცელი ნარკვევი ერობის შესახებ, რომლის დასკვნაში იმედი გამოთქვა, რომ საქართველო მიიღებდა მას და ისევე განვითარდებოდა,როგორც რუსეთის ცენტრალური გუბერნიები მოვწყო ამ რეფორმის წყალობით – საავადმყოფოების,სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სხვა დაწესებულებების გახსნით.[12] მისი პუბლიცისტიკა ყოველთვის მწვავე იყო და მიზანს აღწევდა. რუსეთთან დაპირისპირებისას და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მთავარ იარაღად ერის სულიერ და ეკონომიკურ დაწინაურებას თვლიდა, ილეწოდა საქართველოში ეკონომიკის – მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დასაწინაურებლად. თავად შემოჰქონდა ქვეყანაში მცენარეთა და ცხოველთა საუკეთესო ჯიშები, ცდილობდა უცხოეთის მოწინავე ქვეყნებიდან გადმოეღო და საქართველოში დაენერგა სიახლეები. მან ააგო ფოთის პორტი, მიიჩნევდა, რომ ოდესმე ეს პორტი კონკურენციას გაუწევდა ოდესას, შეაერთებდა აღმოსავლეთ-დასავლეთს, დიდ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა ქართველ ხალხს. მისი იდეა იყო ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანა, რომელიც ჩრდილო კაეკასიის საბადოებსაც მიუერთდებოდა. ნიკოლაძემ დიდი ღვაწლი დასდო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაო-

ბას, ფაქტობრივად ქართველი ხალხის იდეური ბელადის როლი შეასრულა ილიას სიკვდილის შემდეგ, რაც გამოიხატა 1917 წელს დაარსებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპატიო თავმჯდომარედ მის არჩევაში, ეს პარტია კი დიდი ილიას თაოსნობით იყო შექმნილი. დამოუკიდებლობის დროს აქტიურად იბრძოდა საბჭოთა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ, სხვადასხვა დიპლომატიურ მისიებთან ჩართული იყო მოლაპარაკებებში, იყო გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად მოწყობილი შეხვედრების ორგანიზატორი და სხვ.

როდესაც XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა ნაწილი რუსეთ-საქართველოს დაკავშირებაში ხედავდა ევროპულ კულტურასთან ზიარების სიკეთეს, მეორე ნაწილს, კერძოდ, 60-იანელთა წარმომადგენლებს სხვა შეხედულებები ჰქონდათ. ისინი უფრო ფხიზლად და ობიექტურად განსჯიდნენ რეალობას, უფრო კარგად აანალიზებდნენ იმ შედეგებს, რაც ისტორიულად ჰქონდა მიღებული საქართველოს ევროპულ სამყაროსთან კავშირით და რასაც რუსეთის საშუალებით დამყარებული ურთიერთობით ღებულობდა ახალ ეპოქაში. მაგალითად, „დროების" რედაქტორი სერგეი მესხი, თავისი თაობის დამსახურებად საქართველოსათვის „მესამე გზის" მონახვას მიიჩნევდა. მისი აზრით, ეს იყო გზა ევროპისაკენ, რომელიც პირდაპირი კავშირით უნდა გავკვალათ ქართველებს და არა რუსეთის საშუალებით. მესხის აზრით, ევროპა გაცილებით განვითარებული და თავისუფლების შემცველი იყო, ვიდრე იმდროინდელი რუსეთი. უფრო გვიან, სხვა ქართველი მოღვაწეებიც (ა. ჯორჯაძე, გ. ქიქოძე, ვ. კოტეტიშვილი, გ. გვაზავა და სხვ.) მიიჩნევდნენ, რომ ჩვენმა ქვეყანამ რუსეთის მეშვეობით ევროპული კულტურის ნასუფრალი მიიღო, ხოლო თავად დიდი კულტურული მონაპოვარი ევროპული ქვეყნებისა, განზე დარჩა. სერგეი მესხი კი, 80-იანი წლების შუახანებში, ასე აფასებდა საკუთარი თაობის ევროპული გზის ძიებასა და ევროპულ კულტურულ დონეს: „ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატების წყარო ჯერჯერობით დასავლეთ ევროპა არის. ყველა ხალხი და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწაფებიან და აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის-თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგად და ჭეშმარიტად გაუცვნია და ღარიბ საზოგადოებას მხოლოდ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპულ სწავლა-მეცნიერებაშია განვითარებული და თავისი თვალით უნახავს და შეუსწავლია სილარიბის მომსპობელი და კეთილდღეობის მომნიჭებელი სახსრები.[13]

სერგეი მესხი იმ ქართველ პატრიოტებთან ერთად იბრძოდა საქართველოს თავისუფლებისათვის, რომლებიც „დროებისა" და „კრებულის" გარშემო შემოიკრიბნენ. სერგეი მესხის აზრით, ქართველ ერში უნდა ყოფილიყო ერთიანობა, სხვადასხვა სოციალური ფენა, ყველა კლასი უნდა გაერთიანებულიყო ერთი მისწრაფებით — საქართველო გაძლიერებული და კოლონიური ჩაგერისაგან გათავისუფლებული ეხილათ. „დროებაში" იგი ერცელ წერილს აქვეყნებდა შვეიცარიაზე, მის ხალხში თავისუფლების სიყვარულზე. პუბლიცისტი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ შვეიცარიაში თითქმის ყველა სახლზე ეწერა სიტყვები: „მამული და თავისუფლება" და „ამ ორი, ერთმანეთში განუყოფელი საგნისათვის ისინი არაფერს ზოგავენ".[14]

იოსებ ბოცვაძის სამართლიანი შენიშვნით, მესხის ეს სტრიქონები მხოლოდ შვეიცარიელთა დასახასიათებლად არ იწერებოდა. მას სურდა, ასეთივე გრძნობებით აღენთო ყველა ქართველის გული და მათ დევიზადაც გაეხადა საქართველოს კოლონიური უღლისაგან გათავისუფლების მოწოდება.[15]

რუსი დამპყრობლების ძალადობა განსაკუთრებით მწარედ იწვნია იმ მოსახლეობამ, რომელიც საქართველოს სამხედრო გზის მთელ პერიმეტრზე ცხოვრობდა. მოხევეებისა და მთიულების მიმართ ჩადენილი რუსი კოლონისტების სისას-

ტიკე თეით რუსი მოხელეების მიერვე შედგენილ კავკასიურ არქეოგრაფიულ აქტებსა და სხვა დოკუმენტურ მასალებშიც აისახა, ქართულ ლიტერატურაში კი ეს შემზარავი სურათები, თავის შემოქმედებაში, დიდი მხატვრული დამაჯერებლობითა და სიმძაფრით დახატა ალექსანდრე ყაზბეგმა. შეუბრალებლად ეპყრობოდნენ რუსის სალდათები ბეგარაზე გაყვანილ ხალხს. გზების გაწმენდისა და შეკეთებისას უამრავი ადამიანი იღუპებოდა – ცალკე შრომის სიმძიმით, ცალკე კიდეე – მოხელეთა სასტიკი ქცევით. ყველას, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, ეს კი ამაკ მთიელებში ხშირად ხდებოდა, კლაკდნენ, აუპატიურებდნენ ქალებს, აწიოკებდნენ ოჯახებს, ართმევდნენ ყველაფერს, რისი წართმეკაც შეიძლებოდა, სჯიდნენ თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს, შეურაცხყოფდნენ მათ ტრადიციებს, პიროვნულ ღირსებას, რაც ასე ძვირფასი იყო საქართველოს ამ კუთხის შვილებისათვის.

„ცოტა ლაპარაკის შემდეგ მოვიდნენ ყაზახები და წაუშინეს მათრახები ხალხს, რომელიც გაიშალა და წავიდნენ ურმების შესაბმელად.

– ურჯულოები ყოფილან, ლომისის მადლმა, ურჯულოები, ხარებს ჩლიქები წასცვიეადათ ამდენი მუშაობითა და მათგან კი შებრალება აღარ იქნა...

... ნაჩალნიკი ქალაქში ჩასულა და დაუბეზღებიხარ, ეხლა იქიდან კაცები გამოუგზავნია, რომ ცოცხალი თუ მკვდარი – იქ უნდა ჩაგიტანონ“.

„– ეგ ურჯულოები სტუმარზედაც ხელს გვაღებინებენ? არა, ნინიავ, არა! ჩვენი სოფლის სიკვდილი იქნება, რომ ერთი სტუმარი ვერ შეეინახოთ...“

„ჩვენ რუსეთისაგან მფარველობა გვინდოდა და მოულოდნელად ყმად კი გადაგიქეცით...“

„რად გვინდოდა ისინი, შენი კვნესამე? ათასჯერ ვეოფილვართ გაჭირვებაში, მაგრამ ჩვენვე მოგვიშორებია თავიდან, – წარმოთქვა რამდენიმე პირმა“... ეს ეპიზოდები ყაზბეგის ნაწარმოებებიდანაა. მწერალი ხატავს მთიულეთის ბრძოლას, ქართველების შეუდრეკელობასა და თავისუფლებისათვის თავგანწირვას, იგი სიბრალულს გამოთქვამს რუს მეომართა გამოც, რომლებიც უაზროდ იღუპებოდნენ სამშობლოსაგან შორს და ამ სისხლისღვრის მთავარ დამნაშავედ და დამგეგმავად რუსეთის იმპერიული სახელმწიფოს მესვეურებს მიიჩნევს.

ყაზბეგმა მხატვრულად გააცოცხლა ისტორიული ქრონიკები. მისი გმირები იტანჯებიან რუსეთის ტლანქი მმართველობით, მოხელეთა აღვირახსნილობითა და შეუბრალებლობით, ოჯახებში შიში ჩამდგარა, რუსეთის ეგზეკუციასთან ერთად. „– ვაიმე, დავიღუპეთ, რუსები თუ მოიყვანეს დასაყენებლად“, სასოწარკვეთილი წარმოთქვამენ დაუცველი ადამიანები, მოჩანს დაჩოქებული, მაგრამ მონობისადმი დიდი შინაგანი პროტესტით სავსე, ამაყი საქართველო, ძალით შემოსული „მოყვარე-მტერი“. ქართველის ზიზღი და შეურიგებლობა რუსი დამპყრობლებისადმი ყველაზე ნათლად ყაზბეგის რომანებში გამოვლინდა.

რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ იბრძოდნენ ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყაზბეგი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვები. ვაჟა ცდილობდა, ხელი შეეწყო გზის გაყვანისათვის მთაში, შებრძოლებოდა რუსეთის კოლონიურ პროექტს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მიწაზე რუსული დასახლებები უნდა შექმნილიყო. ვაჟას მონდომებით შეეიდა ცვლილებები ამ პროექტში და შირაქსა და კახეთში ფშაველების სოფლები შეიქმნა. ვაჟა განსაკუთრებით იყო შეძრული იმ რუსული იდეოლოგიის ერთგული ქართველების ანტიეროვნული საქმეებით, რომლებიც ებრძოდნენ ილია ჭავჭავაძეს, ზოგადად ეროვნულ ძალებს და რომლებმაც წიწამურის ტრაგედია დაატრიალეს. ვაჟას წერილები „ისარში“ – „ვერ მოკვლეს“ და „სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე“ საუკეთესოდ აჩვენებდა იმას, თუ როგორ გრძნობდა დიდი პოეტი რუსული იდეოლოგიის ახალი მიმართულების საშინელებას, რაც შემდეგში საბჭოურ ტოტალიტარულ რეჟიმს წარმოშობდა და ახალ არტახებში მოაქცევდა საქართველოს ეროვნულ სულს. ვაჟა ებრძოდა სოციალისტურ-ბოლშევიკურ იდეოლოგიას, კოს-

მოპოლიტიზმის დაპირისპირებას პატრიოტიზმთან, ეძებდა და ხალხს აჩვენებ
საქართველოს ისტორიულ წარსულში არსებულ ამ იდეების ჯანსაღ ფესვებ
იცოდა, რომ პარტიული, სოციალური თუ რელიგიურ-ეროვნული ნიშნით დაპ
რისპირება და ბრძოლა ქართველ ხალხს უფრო გათიშავდა და მის ეროვნულ
სხეულს დააქუცმაცებდა. წერილში „ვინ არის მართალი?" ვაჟა „მოსკოვური უ
ყებანის" იპერიალისტურ, დახაესებულ აზროვნებას აკრიტიკებდა, ჩამოთვლიდ
იმ წერილებს, სადაც რუსული იდეოლოგია ყველაზე ნათლად ჩანდა. „ღმერთმ
ჩვენ გვაშოროს ამისთანა ნასწავლები, ამგვარნი ქვეყნის მეთაურნი. ამ ჯურის
განათლებულთ მტკიცედ სწამთ, ჯერ ერთი ისა, რომ რუსეთი ძალიან და ძალი-
ან ძლიერი სახელმწიფოა, — ისეა მოწყობილი მისი შინაური საქმეები, არაფერს
ცვლილებას არ საჭიროებენ, თუ ცვლილება რამ მოხდაო, თქვენი მტერი, დაიღუ-
პება მთელი ქვეყანა, ომი უნდა განეაგრძოთ იმ დრომდე, ვიდრე იაპონიას სრუ-
ლიად არ წაელეკავთ, არ შევმუსრავთო. რუსის ხიშტი, რუსის სალდათი ყოველის
შემძლებელია, გინდ მშიერი იყოს, გინდ მაძღარი, გინდ ნასწავლი, გინდ უსწავ-
ლი... რომელი ერთი ჩამოგითვალოთ, ხოლო მოკლედ კი შემიძლიან გამოვხატო
მათი გონებრივი და ზნეობრივი ავლადიდების ფორმულა: სნეულს ქვა მოუხარ-
შეთ, ნახარში წვენი ახვრიპეთ, ქვა აკენტინეთ, მორჩა და გათავდა, საღ-სალამა-
თი დარჩებაო... გესმით?..." წერილს ლექსით ამთავრებდა პოეტი, სადაც ასეთი
სიტყვები ეწერა: **„ძალამ სთქვა: ჩემი კანონი ხიშტის წვერზედა სწერია, /ვინც მე
არ მაქებ-მადიდებს მე ვარ იმათი მტერია. /ურჩი ვერ დამემალება, როგორც მიმი-
ნოს მწყერია... /არა და ყველას ზურგზედა აგედინებათ მტვერია_"**

პოეტი გრძნობდა და წერდა, როგორი უუფლებო და დაბეჩავებული იყო
ადამიანი რუსული ბიუროკრატიის ხელში, ზარავდა „ბორკილი. დიდი მძიმე ბორ-
კილი, რომელიც უნდა დაედეას ადამიანის ბაგეს, მის ენას, რათა არ გამოაცხა-
დოს თავისი უკმაყოფილება, არა სთქვას ის, რაც უჭირს, რაც სტკივა, არამედ
იყოს ჩუმად, მოკრძალებით, მოწიწებით, მუნჯად, ცოცხალ-მკვდრად..."[16]

ქართულ მწერლობასა და ხელოვნებას, მთლიანად ქართველ ინტელიგენცი-
ას არანაკლებ მძიმე პერიოდი დაუდგა საბჭოთა იმპერიის ტოტალიტარული რე-
ჟიმის პირობებში. იდეური წნეხის ქვეშ მოქცეული სიტყვა და კულტურა თავისუ-
ფალ გასაქანს ვეღარ ჰპოვებდა, ნიჭიერი შემოქმედები ეძებდნენ გამოსავალს და
ხშირად რეპრესიების მსხვერპლნიც ხდებოდნენ.

1921 წლის თებერვალი ტრაგედიად იქცა თავისუფლებისმოყვარე ქართველი
ერისათვის. 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულმა დამოუკიდებლობამ ერის მო-
წინავე შვილების ოპტიმიზმი, შემოქმედებითი და სამოღვაწეო ინტერესები გა-
ზარდა. ერის წინაშე მომავლის ახალი პერსპექტივები გამოჩნდა. რუსეთის იმპე-
რიული ზრახვები „მშრომელი ხალხის" სახელით მოსულმა ბოლშევიკურმა ხე-
ლისუფლებამ არათუ შეამცირა, კიდევ უფრო გააძლიერა. რუსეთი იმპერიის რეა-
ნიმაციას ახდენდა და არ აპირებდა კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობასთან
შერიგებას. ასეც მოხდა. 25 თებერვლის აქტი მოასწავებდა საქართველოს ახალ
შესვლას საბჭოური რუსეთის კოლონიურ ველში, სადაც მას 70-წლოვანი მო-
ნობა ელოდა. ბოლშევიკური ცენზურა უფრო დაუნდობელი და ძალადობრივი
იყო, ვიდრე ცარიზმისდროინდელი. ურჩებს „ჩეკას" ჯურღმულებში, ან კატორღა-
სა და გულაგის ბანაკებში უსწორდებოდნენ. 20-30-იანი წლების რეპრესიებს ბევ-
რი ქართველი მწერალი და ხელოვანი შეეწირა. თუ თებერვლის აქტს კომუნის-
ტური პროპაგანდა საქართველოს გადარჩენას და გათავისუფლებას უწოდებდა,
ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილი მას უბედურებად, ერის ხელახალ და-
მონებად და თავისუფალი საქართველოს დაპყრობად მიიჩნევდა. კოჯორთან და
ტაბახმელასთან დაღუპულ ქართველ გმირებს ლექსებს უძღვნიდნენ და დასტი-
როდნენ პოეტები — კოტე მაყაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ალექსანდრე აბაშელი,
იოსებ გრიშაშვილი, კოლაუ ნადირაძე და სხვები.

სხვა გმირებთან ერთად დაღუპულ ქალიშვილს – მარო მაყაშვილს პოეტი კოტე მაყაშვილი ასე მიმართავდა: **„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი, /თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი... /ჩემო გმირო და წმინდანო გამამხნევე მშობელი, /სამშობლო თუ შენ, რომელი, ახ, ვიტირო რომელი?..“**

იოსებ გრიშაშვილი უფრო მკვეთრად გამოხატავდა ანტირუსულ პროტესტს: **„დღეს კი ქართველი გულში მუდამ წყევლას აჩაღებს /და სწყევლის იმას, ვინც ჩრდილოელ ველურ ყაჩაღებს /გაუღო კარი თერგდალეულ დარიალისა“...**[17]

სიტყვა „თერგდალეული “აქ სპეციალურადაა მოხმობილი და სიმბოლურად მიანიშნებს ბოლშევიკური რუსეთისაგან დიდი ეროვნული მიზნების მკელელობას, რასაც ემსახურებოდნენ ილია და მისი თაობის სხვა ქართველი პატრიოტები.

პოეტ კოლაუ ნადირაძის ლექსი კარიკატურულად წარმოადგენდა საკუთარი სამშობლოს დასაპყრობად შემოსულ მე-11 არმიის იდეურ ბელადს – სერგო ორჯონიკიძეს, რომელმაც „სიკვდილის ცელი“ აღმართა თავისუფლებისმოყვარე ქართველების წინააღმდეგ.

1921 წლის ბოლოს გამოსულ ჟურნალ „ხომალდში“ გამოქვეყნდა ალექსანდრე აბაშელის ლექსი – „შორეული ნაპირი“, სადაც მე-11 არმიის მიერ საქართველოს დაპყრობა და 25 თებერვლის აქტი კრწანისის ტრაგედიასთან იყო გაიგივებული: **„და ერის ტანჯვის გამომსახველი, იზრდება გულში ორი მწვერვალი, /ერთი ნაღველის ორი სახელი – კრწანისის ველი და თებერვალი.“**

იმავე ალექსანდრე აბაშელმა 1926 წელს გამოაქვეყნა ლექსი – „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“, სადაც პოეტმა დაგმო საქართველოში დამკვიდრებული ბოლშევიკური რეჟიმი, პოეზიის ნაცვლად, საგაზეთო სტატიების გალექსვის ტენდენცია. მისთვის მიუღებელი იყო პოეტური ნაწარმოებების კომპარტიის დირექტივებით შექმნა, არაფრისმთქმელი და ყალბი გრძნობების გადატანა ლიტერატურაში, რასაც გარდაცვლილ მეგობარს – ნოე ჩხიკვაძეს უმხელდა. ლექსი დაგმო კომპარტიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ და სპეციალური დადგენილება გამოიტანა, რათა სხვა პოეტებს „ჯერ ესწავლათ“ და მსგავსი სიმართლის თქმა აღარ მოენდომებინათ. მართლაც თამამი და ეპოქისათვის გმირული საქციელი იყო პოეტისაგან ამ სტრიქონების დაწერა იმ დროს, როდესაც სასტიკად იყენენ რეპრესირებულნი 1924 წლის გმირები, როდესაც ყველაფერი კომუნისტურ პროპაგანდას მოეცვა: **„მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, – / დაეცა ლოცვა და პოეზია, / მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი /და ახალს ჩრდილი შემოესია. / გაგიკვირდება: ლექსს რათ არ ჰშველის, – / რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად, / ციდან ქუხილი ბარათაშვილის, / მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა. / ახლა ქუხილი არ ისტამბება, / ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან, / ლექსი დაახრჩო წერილმა ამბებმა, – / ამონაწერმა გაზეთებიდან.“**

ისინი, ვინც ისტორიის დამწყების პრეტენზიით იყენენ მოსულნი, ეისაც წარსულის მთელი კლასიკური მემკვიდრეობა კრიტიკის საგნად ჰქონდათ ქცეული და მხოლოდ „მშრომელი მასების“ ხოტბას მიიჩნევდნენ ნამდვილი ხელოვნების საგნად, ვერც ამ ლექსს და ვერც მის ავტორს ვერ შეიწყნარებდნენ. მართლაც, 30-იანი წლების დასაწყისშივე „იდეური სისუსტის“ გამო, მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხეს დაუმორჩილებელი მწერლები, დახერიტეს და თვითმკელელობამდე მიიყვანეს თავისუფალი სიტყვის ოსტატები: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, პაოლო იაშვილი; ეს პროცესი მომდევნო ათწლეულებშიც გრძელდებოდა.

მათ შორის, ვინც ტრაგიკულად განიცადა საბჭოთა ხელისუფლების დიქტატი, იყო მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. ცნობილია მისი წერილი ლენინისადმი, სადაც გაკრიტიკებულია რუსული საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ქართველი ერისადმი. უფრო ადრე, კონსტანტინე გამსახურდიამ ამხილა რუსეთის მომხრე ქართველების იმედების უნიადაგობა, სულიერი თავისუფლებისაკენ მოუწოდა თავის ერს, კაცობრიობის საერთო ოჯახში საკუთარი გზით შესვლა,

ხიზნის გრძნობისაგან გათავისუფლება ურჩია. მწერლის აზრით, ქართველები არ უნდა დალოდებოდნენ სხეათა ბრძანებას, სხვების აჩრდილად არ უნდა ქცეულიყვნენ და თავად უნდა მოენახათ საკუთარი ბედი. ეს მოწოდება მწერალმა მაშინ გააკეთა (1922 წ.), როდესაც ქვეყანაში შემოჭრილი უხეში ძალა ის-ის იყო მკვიდრდებოდა და ბოლშევიკური რეჟიმი იმორჩილებდა ქართველ ხალხს.

„დიმიტრი ყიფიანს ეგონა: რუსის მეფე კარგია, რუსის მეფეს საქართველო უყვარს და პატივს სცემს საქართველოს თავადაზნაურობის ისტორიულ გარანტიებს, მხოლოდ რუსის მინისტრები არ ვარგანან.

ნოე ჟორდანია და არჩილ ჯორჯაძე ფიქრობდნენ ერთ დროს: არ ვარგა არც რუსის მეფე, არც რუსის მინისტრები, არც რუსის ჟანდარმერია, ყველანი მტრულად განწყობილნი არიან ჩვენდამი. კარგია რუსის დემოკრატია.

დღეს ზოგიერთები ფიქრობენ: ყველა-ყველა და, რუსის მსახიობები და რუსის მწერლები კულტურის წარმომადგენლები არიან. ჩვენ ისინი გვიყვარს.

ჩვენ სულ სხეანაირად ეფიქრობთ! ყველა კარგია თავის ადგილას, თავის დროსა და თავის ქვეყანაში: ჩვენ გვაქვს ჩვენი გეზი, ჩვენი მწერლობა, ჩვენი კულტურპოლიტიკა და ყველას იმდენად დავაფასებთ, რამდენადაც ისინი ჩვენ ანგარიშს გვიწევენ და სარგებლობას მოგვიტანენ."[18] ასე სჯიდა მწერალი. ეს თვალსაზრისი დღესაც აქტუალურია და ორი რუსეთის არსებობის მტკიცებას, მიუხედავად უსაფუძვლობისა, დღესაც გაიგონებთ. რა თქმა უნდა, საუბარია სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე და არა ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებზე. ამ ნიშნით კი რუსეთი მაროლაც ერთია.

ის, ვინც რუსულ აგრესიასა და რეპრესიებს შეეწირა და ვინც რუსულ შოვინიზმს, კოლონიურ-ექსპანსიურ პოლიტიკას მხატერული სახეებით აჩვენებდა, იყო მიხეილ ჯავახიშვილი. 1925 წელს დაწერილი მოთხრობა – „ლამბალო და ყაშა" კარგად ასახავდა არა მარტო რუსულ სამხედრო ავანტიურიზმს, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის ჩართულობასაც ამ ავანტიურაში. ნაწარმოების დასასრულს აღწერილია 1918 წლის ამბები, I მსოფლიო ომის ფინალი და რუსების გასელა დაკავებული ტერიტორიიდან – ურმიიდან. მწერალი რუსი ეპისკოპოსის ამბიციას ასე გადმოგვცემს: „– არ წავალ! სადაც რუსის წმინდა სისხლი დაიღვარა, რუსეთის გულიც იქ არის. არ წავალ! ვერ გამიბედავენ!..."

რუსეთის დამპყრობლურ გეგმებს აღმოსავლეთში და მთლიანად ამ სახელმწიფოს იმპერიულ ბუნებას გადმოგვცემს მწერალი ამ ნაწარმოებში. ყაშა ლაზარეს სახით ნაჩვენებია რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისა და იმპერიული ხელისუფლების საერთო მიზნები. „რუსული საქმე", რაც იმპერიის მუდმივ გაფართოებაში მდგომარეობდა, ეკლესიის მსახურთ არანაკლებ აწუხებდათ, ვიდრე დამპყრობელი არმიის რუს გენერლებს.[19]

რუსეთის აგრესიას ეხებოდა მწერლის მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობის გარკვეული ნაწილიც. ეს წერილები 1900-1910 წლებში იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. საბჭოურ რეჟიმთან მისმა შეუთანხმებლობამ, შემოქმედებითმა თავისუფლებამ კი მწერალს 1937 წლის ტრაგედია არგუნა.

საბჭოურ ტოტალიტარიზმს თავისუფალი შემოქმედებითი პრინციპებით ასევე უპირისპირდებოდნენ: პაელე ინგოროყვა, ლევან გოთუა, ოთარ ჩხეიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე და საბჭოთა პერიოდში მოღვაწე სხვა მწერლები. ისინი ახერხებდნენ რეჟიმის კრიტიკას, ქადაგებდნენ პიროვნულ თავისუფლებას, სიმბოლური სახეებით, პარაბოლა-მეტაფორებით ამბობდნენ სათქმელს, საუბრობდნენ ადამიანზე, მის მარადიულ სიხარულსა და მწუხარებაზე, ზნეობრივ ამაღლებასა და დაცემაზე, მშვენიერისა და მახინჯის ურთიერთობაზე, ობიექტურად აფასებდნენ ისტორიულ წარსულს. მაშინ, როდესაც ადამიანები ისჯებოდნენ სარწმუნოებრივი გრძნობების გამომჟღავნებისათვის, იკრძალებოდა ეკლესიური ცხოვრება – ნოდარ დუმბაძის გმირი, სასიკვდილო სარეცელზე იხილავს ქრისტეს და იტყვის: გიხილე და გიწამეო. მისი გმირების – ქურდული შენტალიტეტის

მქონე პიროვნებების აუტორიტეტის ჩვენებაც, მწერალს დასჭირდა იმ სამყაროსთან დასაპირისპირებლად, რაც საბჭოურმა რეალობამ შექმნა და რომელიც არანაკლებ უსამართლო და მახინჯი იყო, ვიდრე დამნაშაეეთა ცნობიერება.

საბჭოური ცხოვრების წესს მძაფრად აკრიტიკებდა ოთარ ჩხეიძის პროსა, მისი გმირები უპირისპირდებოდნენ მწერლისათვის მიუღებელ სულისშემხუთველ რეჟიმს და იდეურ დიქტატს. ასეთი მწერლები ხელისუფლებისაგან მუდმივ დევნასა და კონფრონტაციაში იყვნენ. ხელისუფლება ყველას „მოთეინიერებას" (აკაკი ბაქრაძის ტერმინი) როდი ახერხებდა.

ქართული თეატრი და კულტურული დაწესებულებანი რუსული კოლონიურ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ XIX საუკუნეში აღსდგა არა მარტო ქართული მწერლობა, არამედ კულტურის ყველა სფერო: განათლების სისტემა, თეატრი, მუსიკალური საზოგადოება, პრესა, საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომელთა მიზანი ეროვნული სულისა და ტრადიციების შენარჩუნება იყო. 1893 წელს „ივერიაში" ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენი ბანკები, ჩვენი საზოგადოებანი, – წერა-კითხვის გამავრცელებელი, დრამატული, ღარიბ-მოსწავლეთა შემწეობისათვის, ჩვენი სკოლები, ქართველთა წიგნთა გამომცემელი ამხანაგობა, – ყოველივე ესენი ერთად და თვითოეულად, ცალკე ჩვენის თვითმოქმედების, თავისთავის იმედის შვილები არიან და, როგორც ეხედავთ, თუმცა ტაატით, მაგრამ მაინც ძლიერდებიან და მატებით წინ მიდიან დღითი-დღე, ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ".[20]

განსაკუთრებული მნიშვნელობა, რუსული აგრესიის წინააღმდეგ ჰქონდა ქართულ თეატრს. ანტირუსული სულისკვეთებისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში თეატრმა უდიდესი როლი ითამაშა. ამ კულტურულ დაწესებულებას ყველაზე ახლო კავშირი ჰქონდა ხალხთან, ამიტომ შეეძლო დიდი ემოციური ზემოქმედების მოხდენა ადამიანებზე, მათში ეროვნული გრძნობების გაღვივება, საბრძოლო სულისკვეთების გაძლიერება. თეატრი იყო ერთადერთი ადგილი, „სადაც ქართული ენა საჯაროდ ისმოდა და საჯაროდ მოქმედებდა". ილია ოქრომჭედლიშვილისადმი მიწერილ წერილში ილია ჭავჭავაძე ამ სიტყვებს წერდა და დაბეჯითებით ამბობდა, რომ თეატრი ერთადერთი ეროვნული დაწესებულება იყო XIX საუკუნის ბოლო ოცწლეულში, რომლის გარეშე ერის წინსელა შეუძლებელი იქნებოდა: „ხომ იცი, თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალიზმის ნიშან-წყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა"...

ქართული თეატრის დაბადებამდე (1850 წ.), მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობის დროს, თბილისში არსებობდა რუსული თეატრალური დასი, რომლის მიზანი კარგად ჩანს ამ გაქნილი რუსი დიპლომატის მიერ პ.მ. ვოლკონსკისადმი 1849 წლის 14 ივნისს მიწერილ წერილში: „... Смотря на Русский театр в Тифлисс не как на одно только средство к удоволствию, имеющее важную цель, знакомство туземцев с русским языком, русскими нравами и постепенно слияние их с Россиею, я считаю долгом стараться о том, чтобы в Тифлиссе был хороший Русский театр."[21] აქედან ჩანს, რომ თეატრს რუსული ხელისუფლებისათვის კოლონიზატორული მისია ჰქონდა დაკისრებული, თუმცა რუსულმა დასმა ეს მისია ვერც შეასრულა და ვერც იხეირა. ასევე იტალიური ოპერის თეატრიც არ აღმოჩნდა დამონებული ქართველი ერის სულიერი მოთხოვნის სიმაღლეზე. ხალხი ითხოვდა ეროვნულ თეატრს, თავისი ტკივილისა და სიხარულის ქართული სპექტაკლებით გადმოცემას. 1879 წელს შეიქმნა მუდმივი თეატრალური დასი, რომელმაც გამორჩეული როლი ითამაშა რუსული კოლონიური პოლიტიკის მხილებასა და კრიტიკაში. თეატრალური დასები, თბილისის გარდა, ჩამოყალიბდა საქართველოს სხვა ქალაქებშიც: ქუთაისში და ბათუმში; სცენისმოყვარეთა ჯგუფები და თვითმოქმედების დრამატული წრეები იქმნებოდა არათუ ქალაქებსა და დაბებში, არამედ სოფლებშიც კი. სცენაზე მოღვაწე პატრიოტი მსახიობები და რეჟისორები: ვასო აბაშიძე, ლადო მეს-

ხიშეილი, ნატო გიბუნია, კოტე ყიფიანი, მაკო საფაროვა, კოტე მესხი, ეალერიან გუნია და სხვები — ქართული სიტყვით, მსახიობური ოსტატობით აშხელდნენ შოვინისტებს, ერს შეახსენებდნენ დიდ ისტორიულ წარსულს, ამხნევებდნენ მომავლისათვის ბრძოლაში. ქართულ თეატრში არსებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა სულისკვეთებამ დიდი როლი ითამაშა ჩვენი ერის გამოღვიძებისა და განთავისუფლებისათვის ბრძოლის წარმატებაში. თეატრის სცენაზე იდგმებოდა არა მარტო ქართული, არამედ ნათარგმნი პიესები, სადაც ნაჩვენები იყო დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლა, კოლონიური ჩაგვრისადმი, უნიჭო რუსი ჩინოვნიკებისადმი შეურიგებლობა. ასეთი იყო დავით ერისთავის „სამშობლო", გოგოლის „რევიზორი", შილერის „ყაჩაღები", ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო", ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი" და სხვა. ქართული თეატრალური დასის შექმნის შემდეგ თეატრი ეროვნულ მისიას ასრულებდა და ერის განმათავისუფლებელ სულისკვეთებას აღრმავებდა, ამიტომ ეშინოდა რუსეთს ასე ძალიან ქართული თეატრის და დავით ერისთავის „სამშობლოს" ცნობილმა წარმოდგენამაც, როდესაც მაყურებელი აღფრთოვანებული ტაშითა და სიხარულის ცრემლებით შეეგება სცენაზე გამოტანილ ქართულ დროშას, ასე აღაშფოთა „მოსკოვსკი ვედომოსტის" შავრაზმელი რედაქტორი — კატკოვი.

ქართული თეატრი იზიდავდა მაყურებელს სწორედ ეროვნული სულისკვეთების, რუსული მმართველობისადმი კრიტიკული ხასიათის გამო. საზოგადოება ყოველნაირად ცდილობდა შეენახა დასები, არ დაშვებულიყო ის ეროვნული დროშა, რაც ქართულმა თეატრმა აღმართა კოლონიურ საქართველოში.

ქართველი ერის დამცველის ფუნქცია ეკისრებოდა იმ საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებას, რომელიც საქართველოში არსდებოდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე: ღარიბ მოსწავლეთა და სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებებს ხელი უნდა შეეწყო ნიჭიერი, ღარიბი ახალგაზრდების სწავლა-განათლებისათვის. ქველმოქმედება ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილისათვის ცხოვრების წესი და ეროვნული ცნობიერების გამოხატულება ხდებოდა. სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნის ჟამს, რუსიფიკატორული პოლიტიკის დასაპირისპირებლად შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომლის ღვაწლი და როლი განუსაზღვრელია ჩვენი ერის ცხოვრებაში.

1875 წელს დაარსებული სათავადაზნაურო ბანკი, რომლის ხელმძღვანელი მთელი ათეული წლის მანძილზე იყო ილია ჭავჭავაძე, მიზნად ისახავდა ქვეყნის ეკონომიკურად გადარჩენას, ეროვნული საჭიროებების რეალიზაციას, იმ ღონისძიებათა გატარებას, რასაც რუსული ხელისუფლება არ განახორციელებდა საქართველოში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართველები „ინოროდცები" და „ტუზემცები" იყვნენ. ასეთები კი იმპერიისათვის არ ყოფილა იმგვარად ფასეული, როგორც რუსული მოსახლეობა, ისინი უნდა დასჯერებოდნენ იმას, რაც რუსეთმა გაუკეთა — გადაარჩინა მეზობლებისაგან ფიზიკურ განადგურებას, — ასე სჯიდა რუსული იდეოლოგია. მაგრამ ქართველებისათვის, უძველესი დროიდან, ფიზიკური სიცოცხლე არაფერი იყო სულიერ სიცოცხლესთან შედარებით, ეს ორი ფასეულობა უპირისპირდებოდა ერთმანეთს და ხალხი სულიერ გადარჩენას გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდა. რადგანაც მართლმადიდებელმა „მფარველმა" ამ სიცოცხლის ხელყოფა სცადა — ქართული ენის, მწერლობის, თეატრის, ისტორიის ხელყოფით, საქმე რთულად იყო. კატასტროფისაკენ მიმავალ ერს მოწინავე შვილები ჩაუდგნენ სათავეში, რათა სწორი გზით გაეყვანათ ისტორიულ მომავალში და უფსკრულში გადაჩეხვისაგან ეხსნათ.

ქართული პრესა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. რუსული კოლონიური პოლიტიკის მხილებაში დიდი როლი ითამაშა ქართულმა პრესამ. თუ საქართველოში არსებული რუსული პრესის ორგანოები მხარს უჭერდნენ ოფიციოზის საქმიანობას, ქართული პრესა შეუპოვრად აკრიტიკებდა რუსი მოხელეების შოვინისტურ ქმედებებს, ხელისუფლების უსამართლო დამოკიდებულებას ჩვენი ერის პრობ-

ლემებისადმი, ამკვიდრებდა პროგრესულ აზროვნებას, აღრმავებდა დამპყრობლებისადმი წინააღმდეგობის გრძნობას, მოუწოდებდა ქართველ ერს – არ შერიგებოდა მონობას, ებრძოლა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ეს მიზანი კარგად შეესრულა XIX საუკუნის II ნახევრიდან დაარსებულმა პერიოდულმა გამოცემებმა. 1863 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „საქართველოს მოამბე", რომლის მთავარი სულისკვეთება იყო ერის გამოფხიზლება და ეროვნული ენერგიის ამოძრავება ქართველი ერის განმანთავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით განსახორციელებლად. ქართველი პატრიოტები გაერთიანდნენ „ივერიის" გარშემოც, რომელიც ასევე ილია ჭავჭავაძემ დააარსა და რომელშიც 1877-1906 წლების მანძილზე ქართული ეროვნული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები თანამშრომლობდნენ: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, იაკობ გოგებაშვილი, ეკა-ფშაველა, დავით მიქელაძე, გიგა ყიფშიძე, გიორგი ლასხიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი და სხვები.

დიდი წვლილი შეიტანა რუსული შოვინიზმისა და კოლონიურ-დამპყრობლური პოლიტიკის მხილებაში გაზეთმა „დროებამ" (1866-1885 წწ.), რომელსაც სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი და ივანე მაჩაბელი.

ლიბერალ-დემოკრატიული აზროვნებით მომართული ქართული პრესა, ნამდვილი ბრძოლის ასპარეზი გახდა. მის ფურცლებზე ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ მინიშნებით – აკრიტიკებდნენ დამპყრობლის პოლიტიკას, მხარს უჭერდნენ მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა ბრძოლას კოლონიური უღლის დასამხობად, რითაც საკუთარ პოზიციასაც გამოხატავდნენ რუსეთის თვითმპყრობელობის მიმართ. 1896 წლის „ივერიის" პირველ ნომერში ილია გამოქმაგა ჩეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ასევე სპეციალური წერილი უძღვნა უნგრეთის განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურის – კოშუტის მოღვაწეობას.[22]

ილიამ მხარი დაუჭირა კუნძულ კრეტას ბრძოლას თურქეთის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად, გამოაქვეყნა წერილი – „საბერძნეთი და ოსმალეთი",[23] სადაც კოლონიური რეჟიმების არსებობა დაგმო, ხოლო იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებმაც ბერძენთა დასახმარებლად კრეტაზე წასვლა მოინდომეს და რჩევა ილიასაც ჰკითხეს, უპასუხა: ქედს ვიხრი თქვენი კეთილშობილური გადაწყვეტილების წინაშე, მაგრამ ჩვენი სამშობლო არანაკლებ დღეშია, მას კი თქვენი იმედი აქვსო, – ამიტომ ახალგაზრდებს ურჩია, დროებით თავი შეეკავებინათ ბერძენ-ოსმალთა ომში წასვლისაგან.

განსაკუთრებული აღმავლობით დაიწყო პრესის ორგანოების შექმნა XX საუკუნის დასაწყისიდან. 1906 წელს დახურული „ცნობის ფურცლის" შემდეგ გამოიცა „შრომა", რომელიც, ასევე პროგრესული აზრებისათვის, მალევე დახურა ცენზურამ. გაზეთები – „ისარი", „ამირანი", „დროება" ეძიებდა რუსეთის დიესრსიული პოლიტიკის ფაქტებს, ქართველი ხალხის ზურგს უკან შექმნილი და განხორციელებული ანტიქართული პროექტების შინაარსსა და მიზნებს აცნობდა მკითხველს; პრესა აქვეყნებდა იმ ფარული ვიზიტების ანგარიშებს, რომელსაც რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ წარმოგზავნილი აგენტები ახორციელებდნენ საქართველოში, ქართული მიწების ასათვისებლად და ქართველი ხალხისათვის საარსებო საშუალების წასართმევად.

ნიჭიერი და თამამი ქართველი პუბლიცისტები არანაკლებ დიდ როლს ასრულებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ვიდრე კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო, ცნობილი წარმომადგენლები. ხალხის გაცნობიერება, საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლება, საგანმანათლებლო მოძრაობის გააქტიურება მოწინავე ქართული ეროვნული პრესის მოღვაწეობის შედეგი იყო.

დემოკრატიული ჟურნალ-გაზეთების გამოცემას აბრკოლებდა კოლონიური ხელისუფლების მიერ დაწესებული მკაცრი ცენზურა. ცენზორები კრძალავდნენ ეთნოკულტურულ მოვლენებზე წერას, ქართველი ხალხისათვის ძვირფასი იდეა-

ლების გახმოვანებას. იხურებოდა გაზეთები, იჭერდნენ რედაქტორებსა და გაბედულ პუბლიცისტებს; ძველი პრესის ბევრ ნომერში ვხედებით ცარიელ გვერდებს, რაც უმკაცრესი ცენზურის შედეგია. მეფის მთავრობის მოხელეებმა ნებართვა არ მისცეს ნიკო ნიკოლაძეს გამოეცა გაზეთები – „რიონი" და „კანდელი" ქართულ ენაზე. ცენზორთა მითითებით, მახინჯდებოდა ის სტატიები, სადაც სიმართლე ეწერა. 1895 წელს ცენზურამ რვა თვით შეაჩერა ილიას „ივერიის" გამოცემა. პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ „ივერიის" რედაქტორი ილია ჭავჭავაძე და „ობზორის" რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე. ცარიზმი ეჭვის თვალით უყურებდა ყველა ქართველ ჟურნალისტს, რომელიც არ ეთანხმებოდა თვითმპყრობელურ-კოლონიური ჩაგვრისა და ძალადობის პოლიტიკას; XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ გააძლიერა კოლონიურ-დამპყრობლური პოლიტიკა საქართველოში, ქართული პრესა: ჟურნალი „ალდე", გაზეთები – „სახალხო საქმე", „საქართველო" და სხვები, ამხელდნენ იმპერიის ფარულ მიზნებს, ხალხს სიფხიზლისა და საკუთარი ქვეყნის ინტერესთა დაცვისაკენ მოუწოდებდნენ. განსაკუთრებით ეს ეხებოდა რუსულ პროექტებს – ტირიფონას ველზე სამხედრო პოლიგონის შექმნას და მუღანლოს ველზე ბამბის პლანტაციების გაშენებას. ამ ადგილებიდან უნდა აეყარათ ადგილობრივი მოსახლეობა და სანაცვლოდ სხვები ჩამოესახლებინათ. ამ პროექტების განხორციელება დიდ ზიანს მოუტანდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს[24]. ამ გაბედული მხილებისათვის პრესის ეს ორგანოები რამდენჯერმე დაიხურა. მიუხედავად ამისა, ქართული პრესა შეუპოვარი იყო რეჟიმთან ბრძოლაში. დახურული პრესის ორგანოების ნაცვლად, გამოდიოდა სახეშეცვლილი, მაგრამ იდეურად მტკიცე, ეროვნული ცნობიერებით აღჭურვილი ჟურნალ-გაზეთები და ეს პროცესი მიმდინარეობდა 1918 წლამდე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.

ამრიგად, რუსეთის ბატონობის ორი საუკუნის მანძილზე, იდეური შეზღუდულობისა და უმკაცრესი ცენზურის პირობებში, ქართული ლიტერატურა, ხელოვნება და კულტურული ცხოვრება მაინც ვითარდებოდა. ხშირად, წინააღმდეგობრივი ვითარება არათუ თრგუნავდა შემოქმედებით პათოსს – არამედ გაბედულებასა და მებრძოლ სულისკვეთებას ჰმატებდა მას. ფაქტია, რომ ლიტერატურამ და ხელოვნებამ განვითარების ახალ საფეხურს მიაღწია, შეიქმნა ნაწარმოებები, რამაც არა მარტო ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაც მოიპოვა. რაც მთავარია, ამ შემოქმედებითმა მემკვიდრეობამ, ქართველი ხალხის სულიერ განვითარებასთან ერთად, მისი ეროვნული თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის სულისკვეთებაც გაზარდა. მისი შედეგიცაა XX საუკუნის ბოლოს ხელახლა მოპოვებული თავისუფლება და რუსეთის ახალი აგრესიის წინააღმდეგ ჩვენი ერის თავგანწირული ბრძოლა, სწრაფვა მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დასაჭერად.

---

1. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი ერთ ტომად, თბ., 1975 წ., გვ. 24.
2. გრიგოლ ორბელიანი, აკაკი გაწერელიას და ჯუმბერ ჭუმბურიძის რედაქციით, შესავალი წერილებით, შენიშვნებითა და კომენტარებით, გამომცემლობა „მერანი", თბ., 1989 წ.
3. აკაკი ბაქრაძე – სკოლას, შემდგენელ-რედაქტორნი ამირან გომართელი და ლეონ ბრეგაძე, გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2004, გვ. 56.
4. ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი გაწერელიას რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1990, გვ. 70-80.

5. ლუიჯი მაგაროტო, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია, 1783-1801 წწ., თბ., 2007.
6. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ტფილისი, 1922 წელი.
7. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, გვ. 99-100.
8. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IX, გვ. 4-7.
9. აკაკი წერეთელი, თხზულებანი შვიდ ტომად, თბ., 1940, გვ. 223.
10. აკაკი წერეთელი, თხზ. ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1988, გვ. 57.
11. აკაკი წერეთელი, თხზ. ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1988, გვ. 251.
12. ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, დაკით გამეზარდაშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1960, გვ. 565-577.
13. სერგეი მესხი, ნაწერები, სამ ტომად, ტ. I, თბ., 1963, გვ. 108-109.
14. გიორგი აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 108.
15. იოსებ ბოცვაძე, პრესა და მწერლობა, თბ. 1976, გვ. 155.
16. ვაჟა-ფშაველა, რჩეული ნაწერები ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, გვ. 245-246.
17. იოსებ გრიშაშვილი, „აელაბარი", ჟურნალი „ცისარტყელა", 1920, №4.
18. კონსტანტინე გამსახურდია, ჩვენი კულტურპოლიტიკა, გაზეთი „ლომისი, 1922, №6.
19. მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. II, თბ., 2004, გვ. 328.
20. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VIII, გვ. 87.
21. Театр в Тифлисе, Тифлис, 1888, გვ. 49; ნათელა ურუშაძე, ქართული სათეატრო კრიტიკა, I, თბ., 1973, გვ. 1333.
22. გაზეთი „იბერია", 1895, №9.
23. გაზეთი „იბერია", 1897, №18.
24. ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 144.

თავი V

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX ს. 60-იანი წლებიდან 1921 წლამდე

თერგდალეულთა ეროვნული პროგრამა და საქმიანობა მისი რეალიზაციისათვის

XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს დაიწყო ქართველი ხალხის ანტირუსული მოძრაობის მეორე პერიოდი. მას საფუძველი მოუმზადა ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურმა განვითარებამ, გლეხთა აჯანყებებმა და მოწინავე ინტელიგენციის პროტესტანტულმა პოზიციამ. რუსეთის ცარიზმი იძულებული გახდა ბატონყმობა საქართველოშიც გაუქმებინა. პირადი თავისუფლება მიიღო ქართველმა გლეხობამ, რაც თავისუფალ შრომაზე დამყარებული კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის დამყარების და განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციის პირობა იყო.

ახალი ძალით და ფორმით გაგრძელდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, საკმაოდ აქტიურად ამოქმედდა თერგდალეულთა მიერ ჩამოყალიბებული ანტირუსული ფარული ორგანიზაცია „ახალგაზრდა საქართველო". ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ისტორიამ თერგდალეულებს დააკისრა ოცდათორმეტიანელებთაგან (სოლომონ დოდაშვილის, ალექსანდრე ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის) აღმართული თავისუფლების დროშის (რომელიც ძირს დაანარცხა რუსულმა ხელისუფლებამ) კელავ მაღლა აწევა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, შექმნილი პირობების შესაბამისად, გაფართოება.

სამთავროების გაუქმება და ანტირუსული აჯანყებები აფხაზეთსა და სვანეთში. რუსული ხელისუფლება ამ დროს ამთავრებდა კავკასიის და საქართველოს დაპყრობას. მის დღის წესრიგში დადგა სამთავროების გაუქმების საკითხი. საამისო განკარგულებას სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გაგარინისა და მისი ორი მოხელის მოკვლით უპასუხა. სამეგრელოს მთავრის ქერიეი ეკატერინე პროტესტით შეხვდა 1857 წელს სამთავროს გაუქმების გადაწყვეტილებას, რის გამოც რუსულმა ხელისუფლებამ სამეგრელოში რუსული მმართველობა კი შექმნა, მაგრამ სამთავროს ოფიციალური გაუქმება დავითის მემკვიდრის – ნიკოლოზ დადიანის სრულწლოვანების მიღწევამდე (1867 წ.) გადადო.

რუსეთ-ოსმალეთის 1953-1855 წწ. ომის დროს აფხაზეთის მთავარს მიხეილ შერვაშიძეს ღალატში დასდეს ბრალი. მაგრამ რუსმა მოხელეებმა ანგარიში გაუწიეს იმ ფაქტს, რომ მ. შერვაშიძე დიდი გავლენით სარგებლობდა უბიხების, ჯიქებისა და ჩერქეზებს შორის და შეიძლებოდა მისი გამოყენება ამ ურჩი ტომების მოსათვინიერებლად. ამ მოსაზრებით ღალატი თითქოს დაივიწყეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაამთავრა დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და ნახევარ მილიონამდე ჩრდილო კავკასიელი მთიელი აიძულა ოსმალეთში გადახვეწილიყო, აფხაზეთის სამთავროს არსებობის დღეებიც ამოიწურა. 1864 წ. ნოემბერში სამთავრო გააუქმეს, მიხეილ შერვაშიძე რუსეთს გადაასახლეს, რამაც აღგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია.

1865 წელს მ. შერვაშიძე რუსეთში გარდაიცვალა და აფხაზეთში ჩამოასვენეს. აფხაზებმა იარაღი აისხეს და მიხეილის ვაჟს, გიორგის შერისძიებისაკენ მოუწოდეს. რუსეთის ჯარმა დაამარცხა აჯანყებულთა რაზმები. რამდენიმე ასეული აფხაზი ბრძოლაში დაიღუპა. ათი ათას კაცამდე ოსმალეთში გადაიხვეწა. რუსულმა ხელისუფლებამ აგრარული რეფორმის გატარების დროს (1970 წ.) თითქოს სცადა აფხაზებთან მორიგება, მათი მოთვინიერება; მიწის ფონდის ერთი ნაწილის აფხაზ თავადაზნაურობასა და გლეხობას საკუთრებად გადაცემა

ალუთქვა, მაგრამ რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებამდე, 1877 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. ჯერ მოუთვინიერებელი აფსუების ტომი აფხაზეთში შემოჭრილ თურქთა ჯარის მხარეს დადგა, რასაც რუსულმა ხელისუფლებამ რეპრესიებით უპასუხა. 1878 წელს ოსმალეთში აღმოჩნდა აფსუა მუხაჯირთა მეორე ტალღა — დაახლოებით 20 ათასი კაცი. ადგილზე დარჩენილებს რუსულმა ხელისუფლებმ დამნაშავეის იარლიყი მიაკერა, მიწის საკუთრების უფლება ჩამოართვა.

1867 წელს რუსეთმა ოფიციალურად გააუქმა სამეგრელოს სამთავრო. თავისი ადმინისტრაციული კონტროლი დაამყარა თავისუფალ სვანეთზე. რუსმა მოხელეებმა თავისუფალი სვანეთის მოსახლეობის თემურ მფლობელობაში მყოფი მიწები უპატრონოდ მიიჩნიეს და რუსეთის სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადეს. 1875 წელს რუსულმა ხელისუფლებამ თავისუფალი სვანები დაბეგრა, შეაწერა საადგილმამულო გადასახადი, რამაც მოსახლეობის საყოველთაო პროტესტი გამოიწვია.

უბატონობას მიჩვეული თავისუფალი სვანეთი ვერ შეურიგდა რუსეთის კოლონიალურ რეჟიმს, მოხელეთა თვითნებობა-ბოროტმოქმედებას, ცდილობდა ტრადიციული თვითმმართველობის შენარჩუნებას. ანტირუსული აჯანყების ცეცხლი თავდაპირველად ლატალში აინთო, მალე მულახსა და სხვა თემებში გავრცელდა. ყასბულათ შერეაშიძის წინადადებით მულახის თემმა დაადგინა: თუ რუსული ხელისუფლება ხელს არ აიღებს ჩვენი მიწების მითვისებასა და დაბეგვრაზე, ყველამ იარაღი ავისხათ და თავისუფალ სვანთა უფლებები, წინაპართა მსგავსად, ბრძოლით დავიცვათო. რამდენიმე დღეში მულახელთა გადაწყვეტილებას თავისუფალ სვანეთის ყველა თემი შეურთდა. თითქმის მთელი ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა შეიარაღდა, 2 ათასიანი რაზმი კეირიკეს ეკლესიასთან დაბანაკდა. ხალხმა შალიანის ხატის წინაშე მუხლი მოიყარა და ფიცი დადო ერთსულოვნად ებრძოლა რუს მოხელეთა ავი ზრახვების ჩასაფუშავად, თავისუფლების შესანარჩუნებლად.

მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის ბრძანებით, ურჩ სვანთა დასამშვიდებლად დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა. გენერალი ციტოვიჩი შეხვდა აჯანყებულთა ათაციან დელეგაციას და აჯანყებულთა რაზმების დაშლა მოსთხოვა. საპასუხოდ თავისუფალ სვანთა მეთაურებმა განაცხადეს, რომ თავის მიწაწყალს არ დათმობდნენ, რუს მოხელეებს არ დაემორჩილებოდნენ. ამის შემდეგ თვით ქუთაისის ეიცე-გუბერნატორი მალოფეევი დაიძრა, ჯარის თანხლებით, ლატალის უღელტეხილისაკენ. სვანებმა გაცილებით მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული რუსეთის ჯარის წინააღმდეგ პირდაპირ ბრძოლას თავი მოარიდეს, საფრებში ჩასხდნენ. კვლავ განახლდა მოლაპარაკება. მალოფეევმა დაარწმუნა სვანთა რაზმის მეთაურები, რომ მთავრობა უარს ამბობს თავის განზრახვაზე და მიზნად მხოლოდ წესრიგის დამყარებას ისახავსო. სვანთა შეიარაღებული რაზმები დაიშალა, თითქორს აღსდგა მშვიდობა.

მაგრამ რუსულმა ხელისუფლებამ დაუშვებლად მიიჩნია აჯანყების მეთაურთა თავისუფლად დატოვება და შეუდგა „დამნაშავეთა" პატიმრობაში აყვანას. ათიოდე კაცი დააპატიმრეს. ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევესკი 1876 წ. იელისში სოფ. ხალდეს მიადგა და მოსახლეობისაგან მოითხოვა დამნაშავეებად შერაცხილი გ. გასეიანისა და ბ. ჯოხაძის გადაცემა. სოფელმა ასეთ მუხანათობაზე უარი თქვა. 40 შეიარაღებული მამაკაცი კოშკებში გამაგრდა. რუსთა რაზმი შეტევაზე გადავიდა. გაჩაღდა ბრძოლა, რომლის დროს დაიღუპა რუსული ასეულის ორი ოფიცერი და 23 ჯარისკაცი. ცოცხლად დარჩენილებმა ხალდე დატოვეს. სათანადო ინფორმაციის მიღებისთანავე რუსულმა ხელისუფლებამ თავხედი ხალდელების დასასჯელად ორი ბატალიონი გაგზავნა. 50 ხალდელი გმირულად იცავდა კოშკებს, საკმაოდ დიდ ზარალს აყენებდა მომხდურთ. 1876 წ. 27 აგვისტოს რუსთა ჯარმა გადამწყვეტი იერიში წამოიწყო. მესანგრეებმა ყველა კოშკი ააფეთქეს და დაანგრიეს, ლამაზი სოფელი მიწასთან გაასწორეს. ხალდელ რაზ-

მელთა მცირე ნაწილმა შეძლო ტყეში გახიზვნა. ადგილზე დარჩენილები რუსებმა დაატყვევეს, სოფლის გარე მოსამკელ ყანებს ცეცხლი წაუკიდეს.

მთებში გაქცეულ ხალდეელთა დევნა რამდენიმე თვე გაგრძელდა. 22 დაპატიმრებული სვანი სამხედრო სასამართლოს გადასცეს. მათ სიკვდილით დასჯა ემუქრებოდათ. მაგრამ თავისუფლებისათვის ამხედრებული სვანების დასაცავად ხმა აიმაღლა ქართველმა ინტელიგენციამ.

ხალდეს ტრაგედიას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ნ. ნიკოლაძე. მან „ტიფლისკი ვესტნიკ"-ში გამოაქვეყნა ერკელი წერილი, რომელშიც სვანთა აჯანყების მიზეზად რუსი მოხელეების უგუნურება და ბოროტმოქმედება გამოცხადა. მრავალი ექსცესებია მოსალოდნელი იმ ქვეყანაში, სადაც ადმინისტრაციის უმეცარი წარმომადგენელნი მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ ვინმე დაჩაგრონ, თავისი ბატონობა და უპირატესობა უხეში ძალის გამოყენებით განამტკიცონ. აკაკი წერეთელმა დაასაბუთა, რომ ხალდეს სისხლიანი ტრაგედია მთავრობის მოხელეთა არაადამიანური, უკანონო მოქმედების, ძალადობა-განუკითხაობის შედეგი იყო. რუს მოხელეთა ეს მწვავე კრიტიკა, რიკოშეტით რუსეთის უზენაესი მთავრობისაკენ მიდიოდა.

არაოფიციალურმა და ოფიციალურმა (დ. ლორთქიფანიძე, ლ. ღლონტი) დაცვამ ბრალდებული სვანები სიკვდილს გადაარჩინა. მაგრამ სასამართლომ სასჯელი მკაცრი გამოიტანა: 5 კაცს მიუსაჯა სამუდამო კატორღა, 12 კაცს – ციმბირში სამუდამო გადასახლება[1].

თერგდალეულთა ეროვნული იდეოლოგია და განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები XIX ს. 60-70-იან წლებშიც არ გამორიცხავდნენ ანტირუსულ შეიარაღებულ აჯანყებას. საყოველთაო დაუმორჩილებლობა და თავისუფლებისათვის სხვადასხვა ფორმით ბრძოლა მიაჩნდათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებელ წინაპირობად. მაგრამ იმასაც შიშობდნენ, რომ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში შეიარაღებული აჯანყება, მისი შედეგები ბუმერანგიეთ არ შებრუნებულიყო ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ნ. ნიკოლაძე წერდა: არსებულ პირობებში ქართული ნაციონალიზმის გაღრმავება, რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დაწყება, საქართველოს, ქართველ ერს მიიყვანდა იმ სასაკლაომდე, სადაც ამას წინათ (1863 წ.) ტყავი გააძრეს პოლონეთს და სადაც მთლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზეთს. ნ. ნიკოლაძის აზრით, ქართველ ხალხს ხელი უნდა აეღო გადამეტებულ ეროვნულ მისწრაფებაზე, საქართველო უნდა დასჯერებოდა რუსეთის იმპერიაში ავტონომიური სტატუსის მიღებას.

თითქმის ასევე მსჯელობდა თერგდალეულთა, ეროვნული მიმართულების მოღვაწეთა უმრავლესობა. ისინი ეწეოდნენ რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდასახვის, საქართველოს ავტონომიურ პოლიტიკურ ერთეულად მოწყობის იდეის პროპაგანდას, რომელსაც პროგრამული ფორმა მისცა ილია ჭავჭავაძემ. მან 1881 წელს „ივერიაში" გამოაქვეყნა სტატია – „შინაური მიმოხილვა", რომელშიც ეკითხულობთ: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, სადაც სხვადასხვა ერნი ცხოვრობენ... ამიტომ ერთ უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს სხვადასხვა რჯულის თუ სხვადასხვა ერის ტომნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ და მერე როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან... ყველას წინასწარ უნდა სცოდნოდა, რომ დღეს თუ ხვალ რუსეთი იძულებული შეიქმნება დაენიშნა საზღვარი სახელმწიფოს მოქმედებისა საზოგადოდ, ეროვნებისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალკე შემოფარგვლა" ამგვარ გარდასახვას მოითხოვდა, ილიას აზრით, არა მარტო სამართლიანობის პრინციპი, არამედ თვით რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებიც. იმპერიის განაპირა მხარეების, არა რუსი ერების და მათ შორის ქართველების უკმაყოფილების „ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოებრივი ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს (რუსეთისას – ა.ბ.) ეჭირა და ეროვნება,

რომელსაც თავის განსაკუთრებულ ცხოვრებაში თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, გულხელდაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი". ილიას განცხადებით, რუსეთს არ ექონდა დადგენილი, თუ სად თავდებოდა რუსეთის სახელმწიფოს უფლება და სად იწყებოდა განაპირა ერებისა.

იმავე სტატიაში ილია თავს ესხმის რუსეთის სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატს, კრიტიკის ქარტეხილში ატარებს რუს მოხელეებს, რომლებსაც სხვა ეროვნებათა დევნა-შეიწროება სახელმწიფო წარმატების ძირითად საფუძველად მიაჩნდათ. მათი მოქმედების შედეგი, თერგდალეულთა ლიდერის აზრით, ის იყო, რომ „რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზეც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალღონე, კეთილდღეობა, წარმატება.

იმ პერიოდის საერთაშორისო სამართალში უკვე დამკვიდრებული იყო ფედერაციისა და ავტონომიის ცნებები. ილია ჭავჭავაძე მკაცრი რუსული ცენზურის გამო, არც ახსენებს მათ. მაგრამ ფაქტია, რომ თერგდალეულთა აღიარებულ მეთაურს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა რუსეთის აბსოლუტურ-მონარქიული, უნიტარული სახელმწიფოს ფედერაციულ საწყისებზე რეორგანიზაცია. ამ ფედერაციაში საქართველო და სხვა განაპირა ქვეყნები უნდა შესულიყვნენ პოლიტიკურ-ავტონომიური ერთეულების სახით. ასეთი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნით მოიპოვებდა რუსეთის მთავრობა და რუსი ხალხი სხვა ერების ნდობას და პატივისცემას. ასეთი წყობა გახდებოდა ამ მრავალეროვანი სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერება-განვითარების საფუძველი[2].

1882 წელს გაუქმნდა მეფისნაცვლის ინსტიტუტი და მისი ადგილი კავკასიის მთავარმმართველმა დაიკავა. გამოიყო კომისია, რომელსაც უნდა შეედგინა მხარის ახლებური ადმინისტრაციული დაყოფისა და მართვა-გამგეობის ნაწილობრივი რეორგანიზაციის პროექტი. ილია ჭავჭავაძე მიესალმა ამგვარ წამოწყებას და იმედი გამოთქვა, რომ კომისია, უპირველეს ყოვლისა, იმუშავებდა სახელმწიფოსა და ერის უფლებრივი საზღვრების დადგენა-გამიჯვნაზე. თავის სტატიაში იგი წერდა, რომ სახელმწიფოს ინტერესი სრულიად არ მოითხოვს ეროვნებათა ბუნებრივი უფლების შეზღუდვას, ცენტრალური მმართველობა და ადგილობრივი (ეროვნული) თვითმმართველობა ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებოდნენ, არამედ ერთმანეთს ავსებდნენ და ამაგრებდნენ. კომისიამ იმაზეც უნდა იმსჯელოს, რუსეთის სახელმწიფოსა და იმპერიაში შემავალი ერების უფლებამოსილება სამართლიანად გაიმიჯნოსო. იმავდროულად ილიამ ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივ თვითმმართველობას, წინამძღოლებსა და დეპუტატებს მოუწოდა რუსეთის უზენაესი მთავრობის წინაშე აღეძრათ შუამდგომლობა საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების შესახებ[3].

რუსეთის მთავრობამ ქართველ თავადაზნაურობას შეზღუდული, კონტროლს დაქვემდებარებული, წოდებრივი თვითმმართველობა, მისი მოთვინიერების, მორჩილებაში მოყვანის მიზნით, მიანიჭა. ამგვარ თვითმმართველობას უფლება ჰქონდა თავადაზნაურთა წოდებრივი ინტერესები დაეცვა ამ ვიწრო საკითხებზე შუამდგომლობა აღეძრა, მაგრამ საერთო ეროვნული პრობლემების წინ წამოწევა, საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის ბოძებაზე შუამდგომლობის აღძვრა კანონ-დებულებაში არ თავსდებოდა და ამიტომ თავადაზნაურთა საკრებულო ვერ გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის მოწოდებას. ამ პრობლემაზე სჯა-ბაასი ვიწრო წრეში, ფარულ ორგანიზაციებსა და რუსეთის საზღვრებს მიღმა მიმდინარეობდა. არაერთი მოღვაწე არაოფიციალურ სიტუაციაში ანტირუსული აჯანყების იდეის პროპაგანდასაც ეწეოდა.

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის იდეის რეალიზაცია მეტისმეტად ძნელი იყო და ამიტომ ეროვნული პროგრამა დიდ დროზე გათვალა, ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს, საერთო მოქმედების ნიადაგის თეორიას დაუკავშირა. თერგდალეულთა ლიდერის აზრით, ყველა ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტის, უპირველეს ყოფლისა, ინტელიგენცი-

ის, მიზანი უნდა გამხდარიყო „ჩვენი დაცემულის ეინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოელის მოსალოდნელის ფათერაკისაგან". იგი სიამაყით აღნიშნავდა, რომ 60-იან წლებში სამოღვაწეოდ გამოსულმა ახალმა თაობამ მთავარი ყურადღება ჩვენი ეინაობის დაცვას, ეროვნულ საკითხს მიაქცია. ქართული პერიოდული პრესის თითქმის ყველა ორგანო, შესაძლებლობის ფარგლებში, ეროვნული მიმართულების „ბუკსა და ნაღარას" სცემდა. ყველა ჭეშმარიტი ლიბერალი დღესაც მარტო მაგ მიმართულების უნდა იყოს. ყველამ, ეისაც რა შეუძლია, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყველა განათლებული ქართველი მაგ მიმართულების სასწორზე უნდა აეწონოთ. ეროვნული მიმართულებისათვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილობაც მთელი ევროპის მეცნიერებითა და გამოცდილების ფარხმალით აღჭურვილი"[4].

თერგდალეულები, მართალია, ამჩნევედნენ რუსული ხელისუფლების მიერ გატარებული ბურჟუაზიული რეფორმების ნაკლს, მაგრამ აგრარული, სასამართლო და საერობო რეფორმები მაინც დადებით მოელენად მიაჩნდათ და მოითხოვდნენ ყველა მათგანის, რაც შეიძლება სრულად, საქართველოშიც გატარებას. რუსეთის მთავრობამ საქართველო, ქართველი ხალხი მოუმზადებლად მიიჩნია საერობო თვითმმართველობისა და არჩევით პრინციპზე დამყარებული სასამართლოსათვის. განსაკუთრებულ უნდობლობას უცხადებდა ქართველებისაგან შემდგარ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს. თერგდალეულები გმობდნენ რუსული ხელისუფლების ასეთ პოზიციას, იბრძოდნენ სამაზრო თვითმმართველობისა და დემოკრატიული სასამართლოსათვის.

რაკი რუსეთის მთავრობა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის ხსენებასაც დაუშვებლად თვლიდა, ქართველმა მოღვაწეებმა წინა პლანზე წამოსწიეს საერობო რეფორმის გატარების, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის (საგუბერნიო, სამაზრო, სათემო), ორგანოთა შექმნის საკითხი.

რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში ე.წ. „ზემსკაია რეფორმა" 1864 წელს გატარდა. მართალია, საგუბერნიო და სამაზრო თვითმმართველობის ორგანოებში უმრავლესობა თავადაზნაურთა წარმომადგენლობამ მოიპოვა, მაგრამ მის მიღმა არც ქალაქელთა და გლეხთა წარმომადგენლობა დარჩენილა. რუს ისტორიკოსთა საგრძნობი ნაწილი ერობას საერთო სახალხო დაწესებულებად აცხადებდა, მას აბსოლუტური მონარქიის საპირისპირო მოელენად აღიქვამდა და საერობო თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის გაფართოებას რუსეთის უკეთესი მომავლის საწინდრად მიიჩნევდა. ერობის ამგვარი შეფასება გაიზიარეს ქართველმა მოღვაწეებმა და თავიდანვე დაიწყეს ბრძოლა საერობო თვითმმართველობის მოპოვებისათვის. ამ საკითხზე რუსულ და ქართულ პრესაში სტატიები გამოაქვეყნეს ნ. ნიკოლაძემ, მ. თუმანიშვილმა და სხვა მოღვაწეებმა. ისინი საკმაოდ მკვეთრად დაუპირისპირდნენ რუს მოხელეთა რეაქციულ პოზიციას, მოითხოვდნენ ერობის უფლება-კომპეტენციის გაფართოებას და საქართველოში საერობო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნას.

რუსულ ბიუროკრატიასა და ლიბერალურ ინტელიგენციას შორის დაპირისპირებამ კულმინაციას რომ მიაღწია, ილია ჭავჭავაძემ ასეთი აზრი გამოთქვა: „თუ ერობის საქმე ისევ მოწყობილი, რომ იგი მართლა ერობდეს, უკეთესი ნატერა ამხანად მაინც. მეტის წადილი იქნება... ერობა ორკეცი რამ არის: ერთით მოვალეობაა და მეორეთი უფლება. ერთით – ტვირთია, რადგან ხარჯი, გადასახადი მოსდევს. მეორეთი – ღონეა სიკეთისა, რადგან ერი თვითონ პატრონობს თავის თავს. რაღა თქმა უნდა, ერობაში სანუკვარი უფრო მეორეა; ადამიანი ტვირთს ადვილად იკისრებს, როცა საჭიროა ეგ თავისთავისვე საკეთილოდ. მაშასადამე, აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული რა მოვდანი ექნება შემოზღუდული ერობას, რა ფართო გზა მოქმედებისა დაენიშნება და უკეთესი არჩევანი დაბრკოლდება თუ არა"[5].

ილიას ეს სტატია თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამის ნაწილი გახდა. იგი ცხადყოფს, რომ სამოციანელთა ლიდერი ერობაში ფართო შინაარს სდებდა; თუ გერმანელები, რუსები და ამერიკელები (შტატები) თვითმმართველობას მიწას – ტერიტორიას აძლევდნენ, ი. ჭავჭავაძემ თვითმმართველობის სუბიექტად ერი გამოაცხადა. სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ ქართველებმა „ზემსკაია რეფორმის" ქართულ შესატყვისად საერობო რეფორმა მიიჩნიეს. ისიც ცხადია, რომ ილიას არ მოსწონდა რუსეთის მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის დანამატის სახით არსებული „ზემსკოე სამოუპრავლენიე" და იბრძოდა ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი აღგილობრივი თვითმმართველობისათვის, რომელიც მისი ღრმა რწმენით, ნიადაგს მოამზადებდა ეროვნული ავტონომიისა და დამოუკიდებლობისათვის. რუსეთის ცარიზმი ასეთ ავტონომიაზე უარს უცხადებდა იმპერიის განაპირა ერებს და მათ შორის ქართველებს. რუსული ცენზურა პერიოდული პრესის ფურცლებზე ავტონომიის ცნებას არ აჭაჭანებდა. ქართველი პუბლიცისტები მხოლოდ იმას ახერხებდნენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოებში ავტონომიის შექმნა-საქმიანობის ისტორიას აშუქებდნენ, მკითხველს სტრიქონთა შორის ფარულად მიანიშნებდნენ, რომ საქართველოს თვითმმართველობასა და პოლიტიკურ ავტონომიაზე ოცნებობდნენ. ქაროული სახელმწიფოს აღდგენისათვის იბრძოდნენ.

„საქართველოს თავისუფლების ლიგა". თერგდალეულთა მიერ საფუძველჩაყრილი გამათავისუფთლებელი მოძრაობის იდეოლოგია ფართოდ გაერცელდა ხალხში და იგი აიტაცა მოსწავლე ახალგაზრდობამაც. ეროვნული იდეით განიმსჭვალნენ გიმნაზია-სემინარიების მოსწავლეები და რუსეთის უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტები. 1889 წელს სტუდენტთა სათვისტომოებმა კავშირი დაამყარეს ერთმანეთთან. ჩამოაყალიბეს ფარული ორგანიზაცია – „საქართველოს თავისუფლების ლიგა" და საკმაოდ ფართო მასშტაბიანი აგიტაცია-პროპაგანდა გაანალეს. პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, კიევის, ხარკოვის, ოდესის და სხვა უნივერსიტეტების ქართველმა სტუდენტებმა 1892 წელს, არდადაგების პერიოდში – 26-29 იელისს ქუთაისში ჩაატარეს პირველი გაერთიანებული ყრილობა. მის მუშაობაში წამყვან როლს ასრულებდნენ გიორგი გვაზავა, მიხეილ ხელთუფლიშვილი, ივანე ელიავილი, ვახტანგ ღამბაშიძე, ნიკოლოზ ჯაყელი, იაკობ ფანცხავა და სხვები.

ქუთაისის ყრილობამ რამდენიმე აქტუალურ საკითხზე იმსჯელა, დადგენილებაც მიიღო. ყრილობის მუშაობის ანგარიში დაიწერა, გამრავლდა და დაიგზავნა ყველა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ქართველი სტუდენტების სათვისტომოები არსებობდა. ეს დოკუმენტი გვაუწყებს, რომ ქართველ სტუდენტთა ფარულმა ორგანიზაციამ თავის მიზნად გამოაცხადა სამშობლოს სამსახური, რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს გათავისუფლება. ისიც ჩანს, რომ ყრილობის დელეგატთა უმრავლესობამ მოითხოვა ფარული ორგანიზაციის შექმნა თვით საქართველოში, რომელიც გამაერთიანებელ და საკოორდინაციო ცენტრის როლს შეასრულებდა. ყრილობის დადგენილების თანახმად სტუდენტებმა გააგრძელეს შემოქმედებითი საქმიანობა, შეადგინეს „თავისუფლების ლიგის" სამოქმედო პროგრამა, რომელშიც ნათქვამი იყო: საქართველო დაჩაგრულია, ქართველ ერს ემუქრებოდა მშობლიური ენის, ზნე-ჩვეულების, მიწა-წყლის დაკარგვის საფრთხე. ქართველი ხალხი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ ყოფილა მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ გამოსავალი მოუნახავს. მას არც ეხლა დაუკარგავს იმედი „თავისუფლების ლიგა" მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს გამოსვლას ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური განვითარების ფართო გზაზე, დარაზმოს ქართველი ხალხი თავისუფლებისათვის საბრძოლველად, რაც შეეხება სხვა ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოსახლებულთ, ჩვენ არც მათი ინტერესების უგულვებელყოფას ვაპირებთ. „ლიგის" იდეალია ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ყველა ეროვნებას მისცემს თავისუფლად განვითარების საშუალებას. მომავლის ამ საზოგადოებაში

ადგილი არ უნდა ჰქონდეს ეროვნების, რელიგიისა და რწმენის შევიწროებას. ერთი სიტყვით, „ლიგის“ სურვილია ემსახუროს არა მარტო ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, არამედ საერთო საკაცობრიო ცივილიზაციასაც.

1894 წელს რუსეთის ჟანდარმერიამ აღმოაჩინა და დაარბია „საქართველოს თავისუფლების ლიგა“. მისი ყველა აქტიური წევრი დააპატიმრეს. გამოძიებისა და რეპრესიების ქვეშ მოექცნენ: მიხეილ ხელთუფლიშვილი, ეარლამ ჭიჭინაძე, თედო სახოკია, შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), გიორგი დეკანოზიშვილი, იოსებ ჩარექიშვილი, ილია ჯიშკარიანი, ანტონ ელიზაროვი, გიორგი გვაზავა, ვახტანგ ღამბაშიძე, იაკობ ფანცხავა, დავით მდივანი, ივანე ელიავშვილი, ნიკოლოზ ჯაყელი, ნიკოლოზ ნაკაშიძე, დავით მიქელაძე, ფილიპე მახარაძე, ნოე ჟორდანია, ნიკოლოზ შენგელია, ივანე აბაშიძე, მიხეილ მირიანაშვილი, სიკოლარიძე, არქიპო მუსხელიშვილი, მიხეილ მელიქიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე და სხვები[6].

„საქართველოს თავისუფლების ლიგა“ იყო ეროვნულ-რევოლუციური ორგანიზაცია. მის წევრთა მსოფლმხედველობითი სხვადასხვაობა იყო იმის მიზეზი, რომ „ლიგა“ ვერ გადაიქცა მონოლითურ პარტიად. მოგვიანებით მისი ყოფილი წევრები აღმოჩნდნენ იდეურ-პოლიტიკურად განსხვავებულ პარტიებში. უმრავლესობა ეროვნული მიმართულების პარტიებში გაწევრიანდა. უმცირესობა მარქსისტულ პოზიციაზე დადგა და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ჩაწერა.

ეროვნული მიმართულების პარტიების ჩამოყალიბება და საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის პრობლემა 1903-1917 წლებში

რუსეთის აბსოლუტურ-მონარქიული, უნიტარულ-დესპოტური სახელმწიფო XIX-XX საუკუნეების მიჯნაზეც შეუცვლელად იდგა ანტისახალხო პოზიციაზე. ეს ფაქტი გავლენას ახდენდა პოლიტიკური პარტიების პროგრამულ დებულებებზე, მათი საქმიანობის ხასიათზე. კვლავ გრძელდებოდა რუსეთის მრავალეროვანი იმპერიის ფედერაციულ გაერთიანებად გარდაქმნის პროპაგანდა. ამ მიმართულებით კვლავ ლიდერობდა ი. ჭავჭავაძის „ივერია“, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა პირველი საერთო დემოკრატიული რევოლუციის წლებში.

„ივერიის“ პუბლიცისტებს სახელმწიფო მიაჩნდათ ზეკლასობრივ ორგანიზაციად, რომელიც ერის ძალას ემყარებოდა და მთელი ერის ინტერესებს იცავდა. ისინი იწუნებდნენ ცენტრალიზებული მართვა-გამგეობის მოდელს, განსაკუთრებით მიუღებლად თვლიდნენ მას მრავალეროვანი სახელმწიფოსათვის, მათი მთლიანობის დარღვევა აუცილებელი არაა, მაგრამ მიზანშეწონილიაო ერების უფლებამოსილების გამიჯვნა, მათი ავტონომიური პოლიტიკური ერთეულების სახით მოწყობა. ეს ერები „საერო საქმეების მოსაწყობად“ ერთად უნდა იყვნენ, თავიანთ შინაურ (ადგილობრივ) საქმეების მართვა-გამგეობაში კი ერთმანეთზე სრულებით არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი“[7].

გაზეთის პუბლიცისტები სიხარულით აუწყებდნენ მკითხველს, რომ რუსეთის ხალხებმა გაიღვიძეს, პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდნენ, დამფუძნებელი კრების მოწვევასა და საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი პარლამენტის არჩევას მოითხოვენო. „ივერიის“ რედაქციას არ აკმაყოფილებდა „ცენტრალიზმის საფუძველზე“ აგებული პარლამენტი. იგი ერების შუღლსა და წინააღმდეგობას ვერ აღმოფხვრის, ხალხის წარმომადგენლობა აგებული უნდა იყოს დეცენტრალიზაციის პრინციპზე. არარუს ეროვნებათა სურვილია ყველას ჰქონდეს „თავისი საკანონმდებლო პარლამენტი, თავისი ავტონომია“[8].

საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობის მსჯელობის საგანიც გახდა. წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულომ 24 წლის შემდეგ გაიხსენა ილია ჭავჭავაძის მოწოდება, ერის სურვილი და დაადგინა უზენაესი მთავრობის წინაშე აღეძრა შუამდგომლობა საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის ბოძების შესახებ.

„ივერიის" რედაქცია მიესალმა ამ ფაქტს, მიიჩნია იგი ილიასეული საერთო მოქმედების თეორიის რეალიზაციის მაუწყებელ მოვლენად. აღნიშნა, მართალია, კლასთა დაპირისპირება არსებობს, მაგრამ პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება შედის თავადაზნაურობის, სამღვდელოების, ბურჟუაზიის, მუშათა კლასის და გლეხობის საერთო ინტერესის სფეროში"[9].

ილია ჭავჭავაძის ეროვნული კონცეფციის მომხრეთა რიგებში მტკიცედ ჩადგა გაზეთების – „ცნობის ფურცელის" და „საქართველოს" გარს შემოკრებილი ინტელიგენციის ჯგუფი, რომელმაც ჩამოაყალიბა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. 1903 წელს პარიზში არსებულ გაზ. „საქართველოს" პირველ ნომერში გამოქვეყნდა რედაქციის „ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ", რომელშიც ამ ახალი პარტიის ეროვნული პროგრამაა გადმოცემული. მასში ეკითხულობთ: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის... ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ... გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანოების ჩარჩოებში, მაგრამ გვინდა შინაურ საქმეებში ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ"[10].

გაზეთის რედაქცია ფართოდ აყენებდა საკითხს. საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს შექმნას იგი რუსეთის მრავალეროვნული იმპერიის ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაციის უფრო დიდი პრობლემის შემადგენელ ნაწილად თვლიდა. ქართველი პუბლიცისტები რუს მოღვაწეებს აუწყებდნენ, რომ ჩვენი აზრით, საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ დიდ პრობლემასთან. მაგრამ საქართველოს ავტონომიის საკითხს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს; თუ საქართველოს ავტონომიის მოწყობისათვის უკვე არსებობს პირობები, საქმის გადადება სრულიად არაა საჭირო იმ დრომდე, ვიდრე ავტონომიისათვის მოემზადებიან იმპერიის სხვა ერები. არ ვაპირებთ გადავდოთ რუსეთის მთავრობისათვის სათანადო მოთხოვნის წარდგენა და საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ გარდასახვა[11].

ქართულ ნიადაგსმოწყვეტილი გაზ. „საქართველოს" რედაქცია დიდ გავლენას ვერ ახდენდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. საჭირო იყო მჭიდრო კავშირი საქართველოში მოქმედ ეროვნულ ძალებთან და მან შეძლო სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენელთა კონფერენციის ჩატარება ჟენევაში (1904 წ. აპრილი). მსჯელობა-განხილვის ძირითადი საგანი იყო ეროვნული საკითხი. საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას მხარი დაუჭირეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა, ანარქისტებმა და ესერებმა. ორიოდე დელეგატმა სეპარატისტული პოზიცია დაიკავა. განაცხადეს – ხელსაყრელ მომენტს უნდა დაველოდოთ და საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის უნდა ვიბრძოლოთო. ამის სურვილი ალბათ კონფერენციის სხვა მონაწილეებსაც ჰქონდათ, მაგრამ არსებულ პირობებში დაუშვებლად მიაჩნდათ ეროვნული რადიკალიზმით რუსეთის მთავრობისა და დემოკრატიული საზოგადოების გაღიზიანება. ამიტომ კონფერენციის რეზოლუციაში ყურადღება გამახვილდა დემოკრატიული და ფედერაციული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე. აღინიშნა, რომ ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა უნდა იყოს „ავტონომიური საქართველო სხვა ერებთან ფედერაციულად შეკავშირებული".

სოციალისტ-ფედერალისტებმა 1905 წელს ავტონომიის იდეის პროპაგანდა საქართველოში ცენზურის ზეწოლისაგან რამდენამდე განთავისუფლებელ გაზ.

„ცნობის ფურცელში“ გააგრძელეს. ისინი მწვავედ დაუპირისპირდნენ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ავტონომიის მოთხოვნა არ პასუხობდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის წარმატების ინტერესებს. მათი აზრით, ეროვნული ავტონომიების მოთხოვნა შეაფერხებდა სოციალურ-პოლიტიკურ განმათავისუფლებელ მოძრაობას, გააძნელებდა ცარიზმის დამხობას. არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი და სხვა ფედერალისტები ქართველ მარქსისტებს უკიჟინებდნენ, რომ ისინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეური საკვებით საზრდოობდნენ, დაკარგული ჰქონდათ დამოუკიდებელი აზროვნების, საკუთარი სამშობლოს ინტერესთა შეცნობის უნარი. ისინი დამაჯერებლად ასაბუთებდნენ, რომ დაჩაგრულ ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობა საერთო დემოკრატიული რევოლუციის შემადგენელი ნაწილი იყო და მას შეასუსტებდა არა პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა, არამედ ეროვნული საკითხის უგულებელყოფა, მისი სამართლიანად გადაჭრის სამომავლოდ გადადება.

რუსი ლიბერალები მიხვდნენ, რომ ანგარიში უნდა გაეწიათ განაპირა ერების ინტერესებისათვის, ისიც გააცნობიერეს – ავტონომიისა და ფედერაციის იდეა საფრთხეს არ უქმნიდა რუსეთის იმპერიის მთლიანობას. 1905 წ. სექტემბერში ჩატარდა რუსეთის ერობათა და მუნიციპალურ მოღვაწეთა კრება, რომლის დადგენილებაში, სხვასთან ერთად, შევიდა ასეთი მუხლიც: 1) როცა შეიქმნება სახალხო წარმომადგენლობითი დაწესებულება საკონსტიტუციო უფლებით, იმპერიის ერებს უნდა მიეცეს ადგილობრივ ავტონომიათა ორგანიზების უფლება. 2) ავტონომიური ოლქების დაარსება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ახალი კანონის გამოცემით უნდა გაფორმდეს. 3) ყოველი ავტონომიური ოლქის შინაგანი წყობის ხასიათს განსაზღვრავს ადგილობრივი საკანონმდებლო კრება, მაგრამ დაცული იქნება საერთო სარუსეთო ძირითადი კანონი და დებულება ავტონომიის უფლებების შესახებ.

ქართველი ავტონომისტ-ფედერალისტები მიესალმნენ რუს მოღვაწეთა ამ დადგენილებას, იგი რუსეთის დეცენტრალიზაციის საწყის ეტაპად, ფედერაციაავტონომიის პრინციპის პირველ დიდ გამარჯვებად გამოცხადდა. ქარიშხლიან 1905 წელს ქართველმა ხალხმა რუსეთის მთავრობას, მის კავკასიურ ადმინისტრაციას რეალური ძალმოსილებაც დაუმტკიცა; თითქმის ყველა მაზრაში დაამხო რუს მოხელეთა ბატონობა და შექმნა რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოები. გაჩნდა იმის რწმენა, რომ ხალხის მოთხოვნით მოწვეული დამფუძნებელი კრება არ დასჯერდებოდა წოდებრივი პრივილეგიების მოსპობას და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონის შესაბამისად შექმნილი ავტონომიური საქართველოს პარლამენტი გადაჭრიდა ქართველი ხალხის წინაშე მდგარ ყველა პრობლემას.

ქართველი სამღვდელოება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში

XIX საუკუნეში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სამღვდელოებაც აქტიურად მონაწილეობდა. იგი კიდევ უფრო გააქტიურდა პირველი რევოლუციის წლებში. სამღვდელოების ძირითადი მიზანი იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტის დაცემის, რწმენის შესუსტებისა და მრევლის უკმაყოფილების მიზეზად ქართველი ეპისკოპოსები და მღვდლები რუსეთის სინოდს, მის მიერ დანიშნულ საქართველოს ეგზარქოსის ანტიხალხურ ქმედებას და საერთოდ, ქართული ეკლესიის რუსიფიკაციას თვლიდნენ. ქარ-

თეელ მღვდელმთავრებს მდგომარეობის გამოსწორების წინაპირობად ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა მიაჩნდათ. ეპისკოპოსი დაეითი წერდა: ეგზარქოსები არ ზრუნავენ ეკლესიების კეთილმოწყობისათვის. სამღვდელოების მომზადება მხოლოდ რუსულ ენაზე სწარმოებს. სამრეველო სკოლებსა და სასულიერო სემინარიებს უსახაედენენ არა პედაგოგიურ მიზნებს, არამედ იყენებდნენ ქართველი სამღვდელოებისა და ხალხის გარუსების ინტერესებისათვის. ეგზარქოსები არ ერიდებიან ქართველთა ეროვნული გრძნობების შებღალვას, ცდილობენ გაითიშონ ქართველი ხალხი და ამით გააადვილონ მისი გარუსება.

1905 წლის თებერვალში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ გამართა საეკლესიო კრება, ჩამოაყალიბა მოთხოვნილებათა ნუსხა – „პეტიცია" და გაუგზავნა იგი რუსეთის უმაღლეს მთავრობას. რუსეთისა და განსაკუთრებით ამიერკავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე ფორმები, აღნიშნული იყო ამ პეტიციაში, პროტესტსა და დაგმობას იმსახურებს. მღვდელი, რომელიც ხალხთან ერთად უნდა იყოს ლხინსა და ჭირში, ქართველების თვალში გადაიქცა რაღაც საფრთხობელად, მიანიშნათ საიდუმლო პოლიციის აგენტებად, გადაცმულ ჟანდარმებად და ამიტომაც ებრძვიან მათ. ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ეკლესია წმიდათაწმიდათ ითელებოდა და რომელსაც 15 საუკუნის განმავლობაში ეყრდნობოდა ქართული სახელმწიფოებრიობა. დღეს რა ხდება, ნუთუ გადაუდგნენ ქრისტეს, მის მოძღვრებას? არა, ქართველები მართლმორწმუნე ქრისტიანებად რჩებიან, მაგრამ აღშფოთებული არიან თანამედროვე საეკლესიო წყობით.

ბოროტების ძირფესვიანად აღმოფხვრის, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, იმერეთის სამღვდელოების კრებამ მთავრობისაგან მოითხოვა: 1.აღდგეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 2. დაწესდეს კათოლიკოსისა და ეპისკოპოსების სამღვდელოთა კრებულისა და ხალხთა წარმომადგენლებისაგან არჩევა; 3. ჩატარდეს სასკოლო საქმის ძირეული რეფორმა, დაარსდეს მაღალი ტიპის ეროვნული სასულიერო სასწავლებელი; 4. სამღვდელოებას მიეცეს სიტყვის, ბეჭდვის, შეკრებისა და თავყრილობის თავისუფლება[12].

ერთი თვის შემდეგ თითქმის ანალოგიური მოთხოვნა რუსეთის მთავრობას გაუგზავნა გურია-სამეგრელოს სამღვდელოებამ. იმავე წლის აპრილში კი ქართლ-კახეთის სამღვდელოებამაც გადაწყვიტა საპროტესტო თავყრილობის ჩატარება და სათანადო თხოვნა ეგზარქოსს მიართვა. რაკი ნებართვის გაცემა განგებ გაჭიანურდა, ქართლ-კახეთის მღვდელმთავრები სანქციის გარეშე შეიკრიბნენ თბილისში და მოითხოვეს მისი კანონიერად აღიარება. ეგზარქოსი დათანხმდა და თვით მისცა ყრილობის მუშაობის გეგმა. მაგრამ მასში ჩამოყალიბებული არაარსებითი საკითხების განხილვაზე ყრილობამ დრო არ დაკარგა და ხელი მიჰყო მთავრობისათვის წარსადგენ მოთხოვნილებათა ნუსხის შედგენას.

საქართველოს ეგზარქოსმა ურჩი სამღვდელოების დასასჯელად პოლიციის რაზმი გაგზავნა. სტრაჟნიკები შეიჭრნენ სემინარიის შენობაში და ყრილობა დაარბიეს. ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენლები ცემა-ტყეპით გამოყარეს ქუჩაში. მიუხედავად ამ ვანდალური აქტისა, 1905 წლის 10 ივნისს პოლიციის მიერ დარბეული ყრილობის თავმჯდომარე ეგზარქოსთან გამოცხადდა და ქართლ-კახეთის სამღვდელოების მიერ შედგენილ მოთხოვნილებათა ნუსხა გადასცა. „პეტიციის" პრეამბულაში ლაპარაკი იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ძალდატანებით გაუქმების შესახებ. ქართველი სამღვდელოების ზნეობრივი და ქონებრივი უფლებების დარღვევაზე, ხალხისთვის უცხო საეკლესიო მმართველობის უარყოფით შედეგებზე. პეტიციონერთა აზრით, მხოლოდ თვითმმართველ ქართულ ეკლესიას შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება, ქართველი ერისა და ქვეყნის წინაშე თავისი ღვთაებრივი მოვალეობის შესრულება და ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოება მოითხოვდა:1.საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებას, მცხეთის საკათალიკოსოს თავის პირვანდელ საზღვრებში აღდგენას; 2. საეკლესიო თანამდებობის დაკავებაში არჩევი-

თობის პრინციპის დაკანონებას; 3. კათოლიკოსის თავმჯდომარეობით საქართველოს სინოდის შექმნას; 4. საქართველოს აეტოკეფალური ეკლესიისათვის ყველა იმ მამულების დაბრუნებას, რაც XIX საუკუნეში რუსეთის ხაზინამ მიისაკუთრა. მიმართვას ხელს აწერდა დარბეული საეკლესიო ყრილობის 472 მონაწილე[13].

ქართველი სამღვდელოების თხოვნა-პეტიციები რუსეთის იმპერიის უზენაეს ხელისუფლებას არც კი განუხილავს. ყველა დოკუმენტი შესასწავლად და დასკვნისათვის გადმოეგზავნა – საქართველოს ეგზარქოს ნიკოლოზს, რომელმაც შესრულა უმაღლესი ინსტანციების დავალება და რუსეთის სინოდს ვრცელი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა. მისი აზრით, ქართველი სამღვდელოების ყველა მოთხოვნილებათა ნუსხა შედგენილი იყო ერთი ძლიერი და გავლენიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის ხელმძღვანელობით. ამას ანგარიში უნდა გასწეოდა, უზენაესი მთავრობა გარკვეულ დათმობაზე უნდა წასულიყო. ეგზარქოს ნიკოლოზს დასაშვებად მიაჩნდა ქართული საეკლესიო ეპარქიებისაგან ერთი სამიტროპოლიტო ოლქის შექმნა. ხოლო თუ ქართველები არ დაკმაყოფილდებოდნენ მიტროპოლიტარული ავტონომიით და ახლაევ მოითხოვდნენ ავტოკეფალიას, სრულ საეკლესიო დამოუკიდებლობას, უარს ვერ დაეასაბუთებთ და იძულებული გაეხდებით ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას ავტოკეფალია მიეანიჭოთო[14].

რუსეთის სინოდს არ მოეწონა ეგზარქოს ნიკოლოზის მიერ დაკავებული კომპრომისული პოზიცია. მინისტრთა კაბინეტსაც დაუშვებლად მიაჩნდა ხელიდან გაეშვა – ქართველი ერის გარუსების ერთ-ერთი საუკეთესო იარაღი – ეკლესია. მთავრობამ საკითხის გარკვევა-გადაწყვეტისათვის, მართალია, შექმნა სპეციალური კომისია, მაგრამ მის თავმჯდომარეს მიანიშნა, რომ საქმე გაეჭიანურებინა.

უმაღლესი მთავრობისაგან პასუხის დაგვიანებამ ქართველი სამღვდელოებისა და საერო მოღვაწეთა აღშფოთება გამოიწვია. იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა ეგზარქოს ნიკოლოზს გულისწყრომით მოახსენა: კომისიის მოქმედება ქართველებს გვაიძულებს სინდისის, რწმენისა და საეკლესიო მმართველობის თავისუფლება (რითაც სარგებლობდენ ჩვენი მეზობელი სომხები, კათოლიკეები და მუსლიმანები) რუსულ ეკლესიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტით მოეიპოვოთო. ეს ასეც იქნება, თუ რუსული ხელისუფლება ანგარიშს არ გაუწევს ქართველი ხალხის საყოველთაო მოთხოვნას და მის ეკლესიას ავტოკეფალიას არ დაუბრუნებსო"[15].

საქართველოს „ავტოკეფალისტთა საზოგადოების" მიზანი იყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა, მისი ეროვნული ფორმისა და შინაარსის აღორძინება. ამ საზოგადოების საქმიანობაში წამყვან როლს ასრულებდნენ ეპისკოპოსები – კირიონი, ლეონიდი, პეტრე და დავითი. ავტოკეფალისტები განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც საქართველოდან გაიწვიეს ეგზარქოსი ნიკოლოზი და მის ადგილზე გამოაგზავნეს პირწავარდნილი რუსიფიკატორი ნიკონი. რათა დაესუსტებინა „ავტოკეფალისტთა საზოგადოება," ნიკონის წინადადების თანახმად, რუსეთის სინოდმა საქართველოდან „გაიწვია" ეპისკოპოსი კირიონი, დანიშნა იგი ლიტვის ეპარქიად. ამან აღაშფოთა ავტოკეფალიისათვის მებრძოლი ქართველი საზოგადოება, კატეგორიულად მოითხოვა ეგზარქოს ნიკონის საქართველოდან გაწვევა და უდანაშაულო კირიონის საქართველოში დაბრუნება. ულტიმატურული ტონით განაწყენებულმა სინოდის მესვეურებმა ჯავრი კირიონზე იყარეს, იგი უბრალო ბერად განაწესეს კურიაჟის მონასტერში (ხარკოვის გუბერნია).

1908 წ. 26 მაისს ეგზარქოსი ნიკონი თავისივე ბინაში მოკლეს უცნობმა პირებმა. ჟანდარმერია დარწმუნებული იყო, რომ მკვლელობა ქართველ ავტოკეფალისტთა მიერ იყო დაკვეთილი, მაგრამ კონკრეტულ დამნაშავეს ვერ მიაგნეს. ნიკონის მოკვლის შემდეგ საქართველოს ეკლესიის ეგზარქოსად დანიშნული ინოკენტი პოლიციის დაცვის ქვეშ აიყვანეს. მიუხედავად ამისა, ქართველი ავტოკე-

ფალისტები იმედოვნებდნენ, რომ ზეგაელენას მოახდენდნენ ახალ ეგზარქოსზე, სხვა რუს საეკლესიო მოღვაწეებზე და შეძლებდნენ თავისი მიზნის მიღწევას.

რუსი მღვდელმთავრების მცირე ნაწილი თითქოს პრინციპული მოწინააღმდეგე არ იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა, მაგრამ მოითხოვდა, რომ იგი დასაბუთებულიყო არა ისტორიულ-კანონიკურ უფლებებზე მითითებით, არამედ საქართველოს საეკლესიო წყობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ინტერესებით. მათ საპასუხოდ ეპისკოპოსი დავითი 1912 წელს წერდა: რუსი ეგზარქოსები გვერდს უელიან თავის პირდაპირ მოვალეობას და ძირითადად ემსახურებიან „რუსულ საქმეს", ქართველთა ასიმილაციის პოლიტიკას. საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა რუსეთის ბატონობის პირობებში მკვეთრად გაუარესდა. საქართველოს ეკლესიის კეთილდღეობის ამაღლების ინტერესი მოითხოვს სწორედ მისი დამოუკიდებლობის აღდგენას. ავტოკეფალიის მოწინააღმდეგენი, აღნიშნავდა ბოლოს დავითი, ფიქრობენ, რომ ეს იდეა აღმოცენდა სეპარატიზმის ნიადაგზე, ქართველებს, მართალია, სურთ შეინარჩუნონ თავისი ენა, კულტურა, ტრადიციული თავისებურებანი, მაგრამ განა ეს სეპარატიზმია? დაგვიმტკიცეთ, რომ ეროვნული თვითმყოფადობა ვერ უთავსდება ქრისტიანულ მოძღვრებას, რელიგიურ რწმენას, სახელმწიფოს ინტერესებს. ამის დამტკიცება შეუძლებელია. ქართველი ქართველადვე რჩება. ველიკორუსი შოვინისტები ტყუილად ნუ ოცნებობენ მის გარუსებაზე. ამდენად, ჩვენ ქართველები ისტორიული უფლებებიდან და პრაქტიკული, თანაც სამართლიანი მოსაზრებებიდან გამოვდივართ და ამიტომ ვითხოვთ დაჟინებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას[16].

ასეთი წერილები, განცხადებები, კარგად დასაბუთებული მოთხოვნები სხვაც ბევრი დაიწერა და გაიგზავნა იმპერიის ცენტრში, მაგრამ რუსეთის ცარიზმი და სინოდი მაინც უარს ამბობდნენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უფლების აღდგენაზე, მისი დამოუკიდებლობის აღიარებაზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში თავისებურად მუშაობდნენ სასულიერო სფეროს რეფორმაზე. რამდენიმე წელი მოანდომეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის შედგენას, რომელიც 1916 წელს წარედგინა დასამტკიცებლად უსენაეს მთავრობას. იგი ითვალისწინებდა რუსეთის იმპერიის დაყოფას რვა სამიტროპოლიტო ოლქად. მათ შორის ერთი იყო კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი, რომელშიც გაითქვიფებოდა საქართველოს საეგზარქოსო. განზრახული რეფორმის რეალიზაციის შედეგად კიდევ უფრო გაუარესდებოდა ქართველი სამღვდელოების უფლებრივი მდგომარეობა, მეტი საშუალებები შეიქმნებოდა ქართული ეკლესიისა და ხალხის რუსიფიკაციისათვის. ქართველმა პატრიოტებმა კარგად გამოიცნეს რეფორმატორთა დიდმპყრობელურ-შოვინისტური მიზანდასახულობა, ხმა აღიმაღლეს მართლმადიდებელი ეკლესიის ამგვარი რეორგანიზაციის წინააღმდეგ.

იმავე 1916 წლის დეკემბერში ქართველი სამღვდელოების კრებამ იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს მოსთხოვა: „განხორციელდეს სურვილი ქართველი ერისა, მის ეკლესიას თქვენი უდიდებულესობის ბრძანებითა და წყალობით დაუბრუნდეს ავტოკეფალია".[17] მაგრამ ეიდრე იმპერატორის კანცელარია'ში ამ მოთხოვნას განიხილავდნენ და დადგენილებას (ალბათ უარყოფითს) მოამზადებდნენ, მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეოლუცია. ქართველ ავტოკეფალისტთა საზოგადოებამ მყისვე და ოპერატიულად გამოიყენა რუსეთში პოლიტიკური წყობილების შეცვლის მომენტი. 1917 წ. 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოველის საყდარში შემდგარმა საეკლესიო კრებამ დაადგინა: 1. ვინაიდან საქართველოს ეკლესია არსებობდა დამოუკიდებლად, ჰქონდა მსოფლიო საეკლესიო კრებათა დასტური და სრულიად არაკანონიკურად შეაჩერეს მისი ავტოკეფალური მმართველობა; 2. ვინაიდან რუსეთის სახელმწიფოში დაწესდა ახალი მართვა-გამგეობა, რომელსაც აღარ შეესაბამება საქართველოს ეკლესიის უფლებაახდილად ყოფნა, დავადგინეთ, რომ განგრძობილ იქნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობა. ხოლო ეიდრე სრული კანონიერ

ნიადაგზე მოხდებოდეს საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსის არჩევა– საქართველოს ეკლესიის გამგედ დაინიშნოს სამღვდელო და საერთო პირთაგან შემდგარი დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდეს თაოსნობითმარეობით"[18].

1917 წ. 19 მარტს, ხალხით სავსე სიონის ტაძარში ქართულად წირვა-ლოცვა აღაელინა კათოლიკოსის მოსაყდრე ლეონიდემ. მანვე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ასე დასრულდა: „ქართველო ერო, ჩემო სანატრელო სამწყსო! ყურად ეიღოთ გათავისუფლებული ეკლესიის დედობრივი ძახილი. ფიცი და აღთქმა დაედოთ ქალმა და კაცმა, რომ მსხვერპლად შეეწირებით საყვარელ სამშობლოს და სულ მოკლე ხანში თავისუფალ ეკლესიას გვერდში ამოვუყენებთ თავისუფალ საქართველოს"[19].

ეპისკოპოს ლეონიდეს წინასწარი ხედვა, მრეველის წმინდა ფიცი და მიზანდასახულება ძალიან მალე აღსრულდა, განხორციელდა.

---

1. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, 1801-1921 წწ. თბ., 1999, გვ. 98-103.
2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 1, 1956 წ. გვ. 105-110.
3. იქვე, გვ. 195-198.
4. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 6, 1956 წ. გვ. 126-130.
5. იქვე, გვ. 135-136.
6. ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში, თბ., 1980, გვ. 153,164.
7. „იეერია", 1905 წ. 25 თებერვალი.
8. „იეერია", 1905 წ. № 44.
9. „იეერია", 1905 წ. № 62.
10. „საქართველო", 1903 წ. №1.
11. იქვე.
12. რუსეთის სცსა სანკტ-პეტერბურგში, ფ. 796, ანაწ. 186, საქ.704. ფურც. 2-23.
13. იქვე, ფურც. 42-48.
14. სანკტპეტერბურგის არქივი, ფ. 796, ანაწ. 186, საქ. 704. ფურც. 159-167.
15. იქვე, ფონდი 1579, საქ. 169, ფურც. 10-12.
16. სანკტ-პეტერბურგის არქივი, ფ. 796, ანაწ. 186, საქ. 704. ფურც. 4-9.
17. გა'ხ. „საქართველო", 1916 წ. 21 დეკემბერი.
18. იქვე, 1917 წ. 15 მარტი.
19. იქვე, 1917 წ. №67.

XIX-XX სს. მიჯნაზე, როგორც უკვე აღინიშნა, კოლონიალურ საქართველოში დაიწყო ანტირუსული გამათავისუფლებელი მოძრაობის მესამე პერიოდი. ჩამოყალიბდა ახალი ტიპის საზოგადოებრივი გაერთიანებანი, პოლიტიკური პარტიები. შეიქმნა კონცეფციები ერისა და სახელმწიფოს მართვის, მათი განვითარების ეტაპების შესახებ. ილია ჭავჭავაძემ, არჩილ ჯორჯაძემ, მიხეილ წერეთლმა და სხვა მოღვაწეებმა ისტორიულ ასპექტში, მთლიანობაში გააზრეს ერი და ეროვნული სახელმწიფო. აღნიშნეს, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვან პროცესში მთელი რიგი ფაქტორები მოქმედებდა; ეროვნულ თვითშეგნებას აღვიძებდა ქართული ენა, მწერლობა, ქრისტიანული ეკლესია, აღმავალი ეკონომიკა, ისტორიული ცხოვრების ერთიანობა საერთოდ, მაგრამ ერის მთავარი ნიშანი, მისი გამძლეობის ციხე-სიმაგრე სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია იყო. XII საუკუნეში, როცა ტომობრიობა და კუთხურობა თითქმის მთლიანად წაიშალა, ყველა ქართველი ერთიანი და განუყოფელი საქართველოს მზეს ფიცულობდა.

ილია ჭავჭავაძემ, მისმა თანამებრძოლებმა და საქმის გამგრძელებლებმა კარგად იცოდნენ, რომ ოქროს ხანის მომდევნო პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს, ქართველი ერის აღმავალი განვითარება ჯერ შეფერხდა, შემდეგ უკუპროცესიც დაიწყო. ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. მაგრამ მათი აზრით, გაერთიანება-განვითარების პოტენციური შესაძლებლობანი არსებობას გაგრძობდა არა მარტო XV-XVIII საუკუნეებში, არამედ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგაც. ამ ოპტიმიზმს მოწინავე ეროვნულ-სოციალურ იდეოლოგიას საფუძველს უმაგრებდა ქართველი ხალხის პრაქტიკული საქმიანობა, გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა, რომელიც XX ს-ის დამდეგიდან თანდათან კულმინაციას მიუახლოვდა. ქარიშხლიან 1905 წელს ქართველებმა მოითხოვეს არა მარტო წოდებრივი პრივილეგიების გაუქმება, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ავტონომიური რესპუბლიკის ფორმით.

ქართველმა ხალხმა რუსეთის ცარიზმის ბიუროკრატიულ აპარატს რეალური ძალაც აჩვენა, 1905 წელს თითქმის ყველა მაზრაში დაამხო რუსული ხელისუფლება და შექმნა რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოები. გაჩნდა რწმენა იმის შესახებ, რომ ხალხის მოთხოვნით მოწვეული დამფუძნებელი კრება და მისი დადგენილებით შექმნილი ავტონომიური საქართველოს პარლამენტი გადაჭრიდა ქართველი ხალხის წინაშე მდგარ ყველა პრობლემას.

მაგრამ რუსეთის ცარიზმმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა სისხლში ჩაახშეს საერთო დემოკრატიული რევოლუცია. 1907 წ. 30 აგვისტოს ქართველი ხალხის მტრებმა მოკლეს ილია ჭავჭავაძე. მაგრამ მისი საქმის გამგრძელებლებს ფარჩმალი არ დაუყრიათ. იმავე წელს ქართველი ხალხის წარმომადგენლებმა ჰააგის საერთაშორისო კონფერენციის წინაშე დააყენეს რუსეთის ცარიზმის მიერ ცალმხრივად დარღვეული გეორგიევსკის ტრაქტატის უფლებრივი ნორმების განახლების და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი. 1912 წელს კი, საქართველოს ეროვნული პარტიების რწმენება-დავალების შესაბამისად, ვარლამ გელოვანმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მოსთხოვა მიეღო დადგენილება საქართველოსათვის ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსის მინიჭების შესახებ. ამ მშვიდობიან აქტებს არსებითი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ იყო, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ეროვნული მიმართულების პარტიებმა სტრატეგიაც შეცვალეს და ტაქტიკაც.

ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი უარყოფდა პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტურ ხასიათს, მას ერების ომად აცხადებდა. ამ ომში რუსეთის გამარჯვებასა და მის დემოკრატიულ საფუძველზე რეორგანიზაციაზე დიდ იმედებს არ ამყარებდა. საზოგადოების უმეტესობას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინაპირობად გერმანია-ავსტრიის ბლოკის

გამარჯვება და რუსეთის მარცხი მიაჩნდა და ამიტომ წინა პლანზე წამოსწია ანტირუსული შეიარაღებული აჯანყების იდეა, რომლის რეალიზაცია გერმანიისაგან მიღებულ სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას დაუკავშირა.

ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ჯერ კიდევ 1913 წელს რუსული ხელისუფლებისაგან დევნილმა ქართველმა პატრიოტებმა ჟენევაში ჩამოაყალიბეს ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია – „თავისუფალი საქართველო", რომლის ყველაზე უფრო აქტიური წევრები იყვნენ: პეტრე სურგულაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, ლეო კერესელიძე, გერონტი ქიქოძე. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ამ ორგანიზაციის საფუძველზე შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი", რომელიც ჟენევიდან ბერლინში გადავიდა და მჭიდრო კონტაქტი დაამყარა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. გერმანული ორიენტაციის ამ ორგანიზაციას მიაჩნდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა ამ დიდ ომში რუსეთის დამარცხების გარეშე. სწორედ ამიტომ დაუკავშირდნენ რუსეთის მთავარ მოწინააღმდეგე გერმანიას, რომლის ინტერესებში შედიოდა მრავალეროვნული რუსეთის შინაგანი დაშლა, იმპერიის განაპირა რეგიონებში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება, მათი მოქცევა გერმანიის გაელენის სფეროში.

დამოუკიდებლობის კომიტეტის რწმენებით აღჭურვილი მიხეილ წერეთელი და გიორგი მაჩაბელი შეხვდნენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს და მათ წინაშე დასვეს შეკითხვა – გამარჯვებული გერმანია და მისი მოკავშირეები (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) დაეხმარებოდნენ თუ არა რუსეთის ჩაგერის ქვეშ მყოფ ქართველ ხალხს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. საპასუხოდ გრაფმა პურტალესმა უანაცხადა, რომ გერმანიის პოლიტიკა განისაზღვრებაო ქართველების მიერ ომის მსვლელობის დროს დაკავებული პოზიციის შესაბამისად. თუ ისინი აქტიურად იმოქმედებენ, სიძნელეებს შეუქმნიან რუსეთის მთავრობას, მის შეიარაღებულ ძალებს, გერმანია დაიცავს საქართველოს ინტერესებს, მხარს დაუჭერსო მის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. მ. წერეთელმა ივარაუდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული საქართველო ბრძოლის ველზე 50-ათასიან ლაშქარს გამოიყვანდა. გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებმა კი ივალდებულეს ამ ლაშქრის შეიარაღება, დაარწმუნეს მოლაპარაკების მეორე მხარე, რომ საომარი საჭურველის გარკვეული ნაწილი უკვე გადაგზავნილია ტრაპიზონის მიმართულებით და თუ სამხედრო პოლიტიკური ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდება, ქვემეხები, თოფები და ტყვია-წამალი გადაეცემაო რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველთა ლაშქარს[1].

მალე ამის შემდეგ დამკომმა გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან გააფორმა სათანადო ხელშეკრულება, რომელშიც დაფიქსირდა მუხლები იმის შესახებ, რომ ომში გამარჯვებული გერმანია დაეხმარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვაში[2].

ბერლინიდან დამკომის წევრები სტამბულისაკენ გაემართნენ. თურქეთის დედაქალაქში თავი მოიყარა სამ ათეულმა ქართველმა პატრიოტმა. ამ ჯგუფმა გერმანიის სტამბულელი ელჩისა და გავლენიანი მუსლიმან ქართველთა დახმარებით კავშირი დაამყარა ოსმალეთის მთავრობასთან, გააფორმა მასთან სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულება – „საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა და ამ ახალი სახელმწიფოს საზღვრების შესახებ". მასში აღინიშნა: ოსმალეთის მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას მის ისტორიულ-რეალური ტერიტორიის ფარგლებში, ხელს შეუწყობს რუსეთის ჯარისაგან გაწმენდილ ტერიტორიაზე საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას. აქვე აღინიშნა, რომ თურქეთის მთავრობა დაეხმარებოდა ქართველებს შეიარაღებული ძალების ფორმირებაში. უზრუნველყოფდა საქართველოს ამ დაბადების პროცესში მყოფ ჯარში გერმანიისა და ავსტორიის ტყვეობაში ჩავარდნილ ქართველების, აგრეთვე

მუსლიმანური და ქრისტიანული საქართველოდან გამოსულ მოხალისეთა ჩარიცხვას.. ხელშეკრულების მეცხრე მუხლის თანახმად ომის განმაელობაში თურქეთი ისარგებლებდა საქართველოს რკინიგზებითა და გზატკეცილებით. ომის დამთავრების შემდეგ კი ოსმალეთის მთავრობა დაუყოვნებლივ გაიყვანდა თავის ჯარებს საქართველოდან[3].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით გაგრძელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო უცხოეთში მოქმედ და საქართველოში არსებულ ორგანიზაციათა მჭიდრო კავშირი, მათი საქმიანობის კოორდინაცია. ამ მიზნით გერმანიიდან საქართველოში ჩამოვიდნენ მიხაკო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი. ქუთაისში გაიმართა თათბირი. მონაწილეობდნენ როგორც ეროვნული, ისე სოციალური მიმართულების პარტიათა წარმომადგენლები – სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ რცხილაძე, შალვა ამირეჯიბი, რეზო გაბაშვილი, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ევგენი გეგეჭკორი. გიორგი მაჩაბელმა მათ გააცნო გერმანიისა და თურქეთის მთავრობებთან გაფორმებული ხელშეკრულებანი და მოითხოვა გამოეხატათ თავიანთი პოზიცია. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პროგერმანულ ორიენტაციას. მათი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თბილისის ფილიალი, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ სპირიდონ კედია, დავით ეანჩაძე და რეზო გაბაშვილი[4].

1914 წლის ბოლოს მურღულთან გამართულ ბრძოლაში რუსეთის ჯარი დამარცხდა და პანიკურად დატოვა თავისი პოზიციები. თურქეთის არმიამ ჭოროხი გადმოლახა. აჭარაში შეიქმნა ანტირუსული აჯანყების შესაძლებლობა, მაგრამ დამოუკიდებლობის კომიტეტმა თავი შეიკავა დაუყოვნებელი შეტევისაგან იმის გამო, რომ მოხალისეთა ლეგიონი არც მრავალრიცხოვანი იყო და არც კარგად შეიარაღებული. დამკომმა სცადა მოხალისეთა კორპუსის ორგანიზება, მაგრამ ამას მხარი არ დაუჭირა ახალგაზრდა თურქთა ორგანიზაციამ და თვით ოსმალეთის მთავრობამაც, უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს.

პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიაში რამდენიმე ეროვნული ემიგრანტული კომიტეტი ჩამოყალიბდა. 1915 წლის ივნისში საქართველოსა და ფინეთის გამათავისუფლებელმა კომიტეტებმა დადეს შეთანხმება კავშირისა და ერთობლივი ბრძოლის შესახებ. 1916 წლის მარტში კი ჩამოყალიბდა რუსეთის დაჩაგრულ ეროვნებათა ლიგა, რომელსაც რუსეთის იმპერიის მასშტაბით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაციის ფუნქცია დაეკისრა. ლიგამ, სხვათა შორის, აშშ-ის პრეზიდენტ ვილსონსაც მიმართა, თანაგრძნობა-დახმარება სთხოვა. შეახსენა, რომ რუსეთის მთავრობა არ მოისვენებს, ვიდრე თავის მიზანს არ მიაღწევს. ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ და ევროპის სახელმწიფოებს – გვიშველეთ, გადაგვარჩინეთ სრული მოსპობისაგან. ამ მიმართვას ქართველი ერის სახელით ხელს აწერდა მიხეილ წერეთელი[5].

პირველი მსოფლიო ომის წლებში კიდევ უფრო ცხადი გახდა საქართველოს ტრაგედია, სინამდვილისა და სასურველის დაშორიშორება, ქართველი ხალხის გაორებული მოქმედება. იმ დროს, როცა ბევრი ქართველი გენერალი და ოფიცერი, თითქმის ორასი ათასი ჯარისკაცი რუსეთის არმიის გვერდ-გვერდ იბრძოდა, ეროვნული მიმართულების პარტიებსა და დამოუკიდებლობის კომიტეტში ორგანიზებული ინტელიგენცია, მისი თანამდგომი საზოგადოება ანტირუსულ აჯანყებას ამზადებდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა-განმტკიცების გეგმას ამუშავებდა. რუსეთის მთავრობა ფრონტზე მყოფი ქართველების თაეგამოდებას ბუნებრივ მოვლენად სთვლიდა, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლთ კი რეპრესიებით ემუქრებოდა. ჟანდარმერიისა და დაზვერვის მიერ მიკვლეულ მასალამ საფუძველი მისცა რუს დიდმპყრობელ შოვინისტებს აღვირახსნილი კამპანია გაეჩაღებინათ ქართველი ხალხის სეპარატისტულ მისწრაფებათა წინააღმდეგ. გააერცელეს ინფორმაცია, რომ აჭარლები

ელოდებიან თურქთა ჯარების მიახლოებას და აჯანყებისათვის ემზადებიან, ქრისტიანული საქართველოს აჯანყება კი გერმანელთა დესანტის გადმოსხმისთანავე დაიწყებოთ. პატრიოტებმა გაიაზრეს, რომ სრული სეპარატიზმი დიდ ხიფათს უმზადებდა ქართველებს. სინამდვილესა და სასურველის შეთანაწყობა მხოლოდ კომპრომისის გზით, ავტონომიის იდეის საფუძველზე შეიძლებოდა. ბევრ ქართველ მოღვაწეს მიაჩნდა, რომ გრანდიოზული ომით გამოწვეულ სიძნელეთა პირობებში რუსეთის ცარიზმი უფრო დამომობი გახდებოდა. თუ ქართველები კატეგორიულად მოითხოვდნენ ეროვნულ თვითმმართველობას, მეფის მთავრობა დააფასებდა ქართველი სამხედროების მიერ ფრონტზე დაღვრილ ზღვა სისხლს და საქართველოს იმპერიაში შემავალი ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსს უბოძებდა.

ეს იმედი კიდევ უფრო გამყარდა ცარიზმის დამხობის, რუსეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბებისა და თბილისში მისი ფილიალის — ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის შექმნის შემდეგ. მაგრამ დროებითმა მთავრობამ მართვა-გამგეობის გარდაქმნა ავტონომია-ფედერაციის პრინციპთა საფუძველზე გამოაცხადა რუსეთის დამფუძნებელი კრების პრეროგატივად, რომლის მოწვევა დაგვიანდა. ქართველი სამღვდელოება და ავტოკეფალისტთა საზოგადოება დამფუძნებელ კრებას არ დაელოდა. უკვე აღინიშნა, რომ 1917 წლის 12 მარტს ჩვენმა მღვდელმთავრებმა სვეტიცხოველის ტაძარში შეკრებილი საზოგადოების წინაშე საზეიმოდ გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. აუწყეს ქართველ ერსა და მრევლს, რომ საქართველოს ეკლესია დღეიდან განაგძობს ავტოკეფალურ ცხოვრებას. რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული გახდა დაედასტურებინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტი, მაგრამ სინოდის რჩევით გაკეთდა განცხადება, რომ საქართველოს ეკლესიის კანონიკური უფლება ვრცელდებოდა მხოლოდ ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებზე. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსთა და სხვა ეროვნებათა ეკლესიები სინოდის გამგებლობაში დარჩებიანო[6].

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების პოზიცია. მათ ერთხანს თითქმის მთლიანად უარყვეს მსოფლიო ომის დაწყების მომენტში აღებული დასაელური ორიენტაცია და საქართველოს უკეთესი მომავალი, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პრობლემა რუსეთის განახლების პროცესს დაუკავშირეს. გააძლიერეს ავტონომია-ფედერაციის იდეათა პროპაგანდა. ამ პროგრამას თავგამოდებით იცავდნენ გრიგოლ რცხილაძე, თედო ღლონტი, გიორგი გვაზავა და სხვა ეროვნული მოღვაწენი. ფედერალისტებისათვის ასეთი პოზიცია უცხო არ იყო, თავიდანვე ავტონომია-ფედერაციის პროგრამით მოველინენ პოლიტიკურ სამყაროს. ნიშანდობლივია, რომ ამ პროგრამას რამდენიმე თვეს ინარჩუნებდა 1917 წლის ივნისში გაფორმებული დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც. გ. გვაზავამ გაზ. „საქართველოში" გამოაქვეყნა სტატია — „საქართველოს ავტონომია". ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე კი ამავე საკითხზე გააკეთა მოხსენება. ყრილობის დადგენილებაში ჩაიწერა, რომ პარტია რუსეთის დამფუძნებელ კრებაში საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით გამოვა. იმასაც ეცდება, რომ რეალობა გახდეს საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრება და საქართველოს წარმომადგენლობა მომავალ საზავო კონფერენციაზე[7].

ამ გარდამტეხ მომენტში სოციალ-დემოკრატებიც თითქმის მთლიანად განიკურნენ ეროვნული ნიჰილიზმის სენისაგან. არსებითად დადგნენ საერთო მოქმედების ნიადაგზე. 1917 წლის აგვისტოს დამდეგს ჩატარდა ინტერპარტიული გაერთიანების, საინფორმაციო ბიუროს დამფუძნებელი კრება, რომელშიც ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი შეკიდა. მალე მას უწოდეს ინტერპარტიული საბჭო და აირჩიეს მისი აღმასრულებელი კომიტეტი. 1917 წ. 28 აგვისტოს

აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეექმნათ ინტერპარტიული საბჭოს საზოგადოებრივი ფილიალები და სწორი გზით წარემართათ გამოთავისუფლებელი მოძრაობა. სექტემბერში ინტერპარტიულმა საბჭომ თავისი წარმომადგენლები გაგზავნა საერთო სარუსეთო დემოკრატიულ თათბირზე და აკაკი ჩხენკელის მეშვეობით მოითხოვა საქართველოსათვის ავტონომიური სტატუსის მინიჭება. ინტერპარტიული საბჭოს ლიდერები დარწმუნებული იყვნენ, რუსეთის დამფუძნებელი კრება დააკმაყოფილებდა ქართველთა მოთხოვნას და მომზადებული რომ შეხვედროდნენ ამ მნიშვნელოვან მოვლენას, მიიღეს დადგენილება მოეწვიათ საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელიც აირჩევდა ოფიციალურ ორგანოს – ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილ ეროვნულ საბჭოს. ამ გარდამავალ პერიოდში ის შეასრულებდა ხელისუფლების ყველა ფუნქციას.

1917 წლის ოქტომბრის ბოლოს რუსეთის სოციალურ ძალთა და პოლიტიკური პარტიების მშვიდობიანი დაპირისპირება სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ლენინმა და ბოლშევიკებმა გამოიყენეს ხელსაყრელი სიტუაცია, დაამხეს დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და დაეუფლნენ ხელისუფლებას, დაამყარეს ერთპარტიული დიქტატურა. ქართველმა ხალხმა დაგმო ეს ძალადობა, გაემიჯნა ბოლშევიკთა არალეგიტიმურ ხელისუფლებას. საქართველოს მუშათა საბჭოებმა, რომელთა სათავეში სოციალ-დემოკრატიები (მენშევიკები) იდგნენ, ბოიკოტი გამოუცხადეს ბოლშევიკებს. მათ მიმართ კიდევ უფრო მტრული. შეურიგებელი პოზიცია დაიკავა ქართველმა თავადაზნაურობამ და ბურჟუაზიამ.

ამ კრიტიკულ მომენტში ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივმა ორგანიზაციამ 29 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება (რომლის საერთო ღირებულება 15 მილიონ მანეთს შეადგენდა), გამოეცხადებინა მთელი ქართველი ერის საკუთრებად და ჩაებარებინა საქართველოს თვითმმართველობის (პოლიტიკური ავტონომიის) საჯარო უფლებრივ ორგანოსათვის, როდესაც იგი შეიქმნებოდა.

თავადაზნაურთა ამ დადგენილებამ ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა. გაცილებით აქტიურად ამოქმედდა ინტერპარტიული საბჭო, დააჩქარა ეროვნული ყრილობის მოწვევა. მის მუშაობაში მონაწილეობდა ხალხის, მისი საზოგადოებრივ-პარტიული ორგანიზაციებისაგან არჩეული 384 დელეგატი. ყრილობის საქმიანობის ფორმა და შინაარსი, განსახილველ საკითხთა ფართო სპექტრი ცხადყოფს, რომ ამ ფორუმის მიზანი იყო მყარი საფუძვლების მომზადება ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის. 21 ნოემბერს ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომელშიც შევიდა 25 სოციალ-დემოკრატი, 10 სოციალ-ფედერალისტი, 9 – ეროვნულ-დემოკრატი, 6 – სოციალისტ-რევოლუციონერი, 4 – ალიონისტი. საბჭოში თითო-ოროლა წარმომადგენელი ჰყავდა ცალკ-ცალკე აფხაზეთს, სამაჩაბლოს, საინგილოს.

საქართველოს ეროვნული საბჭო 6 თვის განმავლობაში ფაქტობრივად ასრულებდა პარლამენტის ფუნქციას, ცდილობდა ეროვნული ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებათა რეალიზაციას, ჩაიბარა თავადაზნაურთა უძრავ-მოძრავი ქონება, პირველი ნაბიჯები გადადგა სკოლის, სასამართლოს, ადმინისტრაციის და ჯარის გაეროვნულობის (ნაციონალიზაციის) მიმართულებით. 1917 წ. 10 დეკემბრის სხდომაზე იმსჯელეს საკითხზე – როგორი ურთიერთობა უნდა დამყარებულიყო ეროვნულ საბჭოს და 1917 წლის 11 ნოემბერს შექმნილ ამიერკავკასიის მთავრობას შორის.

ამიერკავკასიის დროებით კოალიციურ მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს (მის აღმასრულებელ კომიტეტს) შორის პირველ ხანებში წინააღმდეგობა არ ყოფილა. ერთად უპირისპირდებოდნენ ბოლშევიკურ რუსეთს, ცდილობდნენ ამ რეგიონში დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებას. დემოკრატიასა და წესრიგს კი დიდ საფრთხეს უქმნიდა კავკასია-მცირე

ასიის ფრონტზე მყოფი, ბოლშევიკური აგიტაციით დაშლის გზაზე დამდგარი, მაგრამ მაინც ძლიერი რუსეთის არმია. ხანგრძლივი ომით მოღლილი დივიზიები და პოლკები თვითნებურად ტოვებდნენ პოზიციებს, ჯარისკაცები თავისი ქვეყნებისა და კუთხეებისკენ მიისწრაფოდნენ. გენერალი მაზნიაშვილი თავის მემუარებში წერს: „შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამიერკავკასიას და კერძოდ საქართველოს ორი მხრიდან მოელოდა საფრთხე: ერთი საფრთხე იყო ოსმალეთი, რომლის ჯარები უკან დახეული რუსეთის ჯარებს ფეხდაფეხ მისდევდნენ, მაგრამ ვიდრე ოსმალები ჩვენამდე მოაღწევდნენ, რუსეთის ჯარები გვაწვებოდნენ. ამ უკანდახეულ რუსეთის ჯარებს გზა თბილისზე ჰქონდათ. მოაღწევდნენ თბილისამდე და როგორც მტერი ალყაშემორტყმულ ქალაქს, გვიდგენდნენ სხვადასხვა მოთხოვნას... ერთხელ ისიც კი მოითხოვეს, რომ ამიერკავკასიის მთავრობა გადამდგარიყო და ხელისუფლება ჩაებარებინა (რუსეთის) არმიის საოლქო ყრილობისათვის"[8].

1918 წლის 5 იანვარს პირველი სხდომა ჩაატარა ბოლშევიკურ გადატრიალებამდე არჩეულმა რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ. მან უარი თქვა დაედასტურებინა საბჭოების ხელისუფლებისაგან გამოქვეყნებული დეკრეტები. ლენინის ბრძანებით დამფუძნებელი კრება გარეკეს, რამაც დასავლეთისა და რუსეთის დემოკრატიული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

საქართველოს ეროვნული პარტიების აზრით, საქართველო თავის ბედს ვერ დაუკავშირებდა ანარქიის ალყაში გახვეულ დიდ მეზობელს. რუსეთის დამფუძნებელი კრების ფერფლზე საქართველოს დამფუძნებელი კრება უნდა აღმოცენებულიყო. საქართველოს სოციალ-დემოკრატია კი იმის შემდეგაც არ ჰკარგავდა რუსეთში დემოკრატიული მართვა-გამგეობის აღდგენის იმედს და ახლად დაბადებული ამიერკავკასიის ფედერაცია მის შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა. მათ უარი თქვეს საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეაზე და მიმდინარე ეტაპზე ძირითად ამოცანად გამოაცხადეს ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს — სეიმის შექმნა. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას კი არ აკმაყოფილებდა ეფემერული პოლიტიკური გაერთიანება, ფორმირების პროცესში მყოფი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1918 წლის დამდეგიდან დაჟინებით ლაპარაკობდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აუცილებლობაზე. მაგრამ ამ მომენტში გაიმარჯვეს ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირის მომხრეებმა. სეიმმა საკანონმდებლო მუშაობა 1918 წ. 10 თებერვალს დაიწყო, იმ დღესვე აირჩია აღმასრულებელი ხელისუფლება, რომლის თავმჯდომარეობა მიანდო ევგენი გეგეჭკორს.

დამოუკიდებლობის დეკლარაცია, საქართველოს დროებითი პარლამენტი და დროებითი კოალიციური მთავრობა. 1918 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთი სეპარატულ საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან. საბჭოეთის წარმომადგენლობამ დააკმაყოფილა თურქეთის მოთხოვნილება, მას დაუთმო ძველი რუსეთისაგან შემოერთებული ბათუმისა და ყარსის ოლქები. ამიერკავკასიის მთავრობამ ამ გარიგებას პროტესტით უპასუხა. სპეციალური დელეგაცია გაიგზავნა ტრაპიზონში, რომელმაც თურქეთს უანეკსიო ზავი, 1914 წლის საზღვრების უცვლელად დატოვება მოსთხოვა. თურქეთმა უარყო ეს წინადადება და რუსეთისაგან დათმობილი ტერიტორიების დასაკავებლად ჯარი გამოგზავნა. აზერბაიჯანელებმა უარი თქვეს თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაზე. საქართველოსა და სომხეთის ახლად ჩამოყალიბებული ჯარის ნაწილები კი ომში დამარცხდნენ. 1918 წ. 22 აპრილს სეიმმა, მართალია, ამიერკავკაიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ ამან საქმე წაღმა ვერ შემოაბრუნა. თურქეთმა ომი გააგრძელა და ბათუმ-ყარსის ოლქებს აღარ დასჯერდა, მოახდინა ახალციხე-ახალქალაქის მაზრებისა და ერევნის გუბერნიის ერთი მესამედის ანექსია. ამიერკავკასიის ფედერაციას ფაროო ბზარები გაუჩნდა. 1918 წ. 26 მაისს, დილის 11 საათზე სეიმმა მიიღო უკანასკნელი დეკრეტი ამიერკავკასი-

ის ფედერაციის დაშლისა და სეიმის თვითლიკვიდაციის შესახებ. იმავე დღეს, საღამოს 5 საათზე საჯაროდ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რასაც მთავრობის სასახლეში შეკრებილი სახოგადოება მქუხარე ოვაციებით შეხვდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მთელმა ქართველმა ხალხმა იზეიმა. მხოლოდ ქართველმა ბოლშევიკებმა დაგმეს რუსეთისაგან გამოყოფის აქტი, თავიდანვე ომი გამოუცხადეს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას. სხვა პოლიტიკური პარტიები საერთო მოქმედების ნიადაგზე გაერთიანდნენ. მეტნაკლები წარმატებით მონაწილეობდნენ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში.

დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ნათქვამია: ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია, საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მისი პოლიტიკური ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველო ნეიტრალიტეტს აცხადებს, შეეცდება ყველა სახელმწიფოსთან დაამყაროს ნორმალური, თანაბარუფლებიანი ურთიერთობა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის პოლიტიკურ და სხვა უფლებებს. განვითარების თავისუფალ ასპარეზსს გაუხსნის თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებათა ჯგუფებს. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობას წარუძღვება ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ეროვნული საბჭოს წინაშე[9].

დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული საბჭო (პარლამენტი) შეიქმნა საქართველოს მიწაზე მცხოვრებ რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, ბერძნების, ებრაელების და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებით. საქართველოს პარლამენტმა, დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოს იურიდიული ნორმებისა და პრაქტიკის შესაბამისად, თავის ხელში აიღო საკანონმდებლო საქმიანობის ფუნქცია. ჩამოყალიბდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი კოალიციური მთავრობა. მის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე რამიშვილი (ძალიან მალე იგი შეცვალა ნოე ჟორდანიამ, ნ. რამიშვილმა კი ბოლომდე შეინარჩუნა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი). სამხედრო მინისტრად დაინიშნა გრიგოლ გიორგაძე, საგარეო საქმეთა მინისტრად – აკაკი ჩხენკელი, იუსტიციის მინისტრად – შალვა ალექსი-მესხიშვილი, ფინანსთა – გიორგი ჟურული, მიწათმოქმედების – ნოე ხომერიკი, გზათა – იოანე ლორთქიფანიძე, განათლების მინისტრად – გიორგი ლასხიშვილი.

პარლამენტსა და კოალიციურ მთავრობაში უმრავლესობა, მართალია, სოციალ-დემოკრატიას ეკუთვნოდა, მაგრამ სხვა პარტიათა წარმომადგენლები (გ. ლასხიშვილი, შ. ალექსი-მესხიშვილი, გ. ჟურული, ივ. ლორთქიფანიძე), რომლებმაც მინისტრთა პორტფელები მიიღეს, საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდნენ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაზე. კიდევ მეტ როლს ასრულებდნენ საკანონმდებლო მუშაობასა და ქვეყნის მართვა -გამგეობაში არასოციალისტურ პარტიათა დეპუტატები. ერთი სიტყვით, დამოუკიდებელ საქართველოში ნაყოფიერად მოქმედებდა მრავალპარტიული დემოკრატია.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი აქტი იყო გერმანიის შუამავლობით თურქეთთან საზავო ხელშეკრულების გაფორმება. ზავი, მართალია, მეტისმეტად მძიმე იყო (საქართველო თმობდა ბათუმის ოლქს. ახალციხე-ახალქალაქის მაზრების დიდ ნაწილს), მაგრამ თავიდან იქნა აცილებული საბჭოთა რუსეთისაგან მხარდაჭერილი და აგრესიულად განწყობილი ამ მეზობლისაგან საქართველოს სხვა ტერიტორიების ოკუპაციის საფრთხე.

1918 წლის მაისის ბოლოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გერმანიის წარმომადგენლობასთან გამართული მოლაპარაკების შედეგი იყო ორმხრივი ხელშეკრულების და მისი დამატებითი დოკუმენტების გაფორმება: საქართველო ნებას აძლევდა გერმანიას და მის მოკავშირეებს ომის დამთავრებამდე თავისუფლად ესარგებლათ საქართველოს რკინიგზებით და საზღვაო პორტე-

ბით. თავის მხრივ გერმანია კისრულობდა ვალდებულებას საქართველოსათვის გაეადვილებინა საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობანი, ნორმალურ ჩარჩოებში ჩაეყენებინა საქონლის ექსპორტი და იმპორტი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა პარიტეტულ საწყისებზე ქართულ-გერმანული სამთო-სამრეწველო აქციონერული საზოგადოების შექმნას, რომლის მიერ წარმოებული საქონლის გარდამეტის შესყიდვა-გატანის უფლებას გერმანია ღებულობდა. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით საქართველოში დაიშვებოდა გერმანული მარკა, როგორც მიმოქცევისა და გადახდის საშუალება. ასევე გერმანიამ გამოაცხადა სურვილი დახმარებოდა საქართველოს საზღვრების დაცვაში და მწვავე პრობლემების გადაჭრაში. მანვე 1918 წ. 27 აგვისტოს რუსეთს ხელი მოაწერინა ბრესტის ხელშეკრულების დამატებაზე, რომლის ერთ მუხლში ნათქვამი იყო, რომ რუსეთი თანახმაა გერმანიამ სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა და უშიშროება. ერთი სიტყვით, კაიზერული გერმანია 5 თვის განმავლობაში დადებით როლს ასრულებდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს შექმნა-განმტკიცების საქმეში.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ეროვნულ ნიადაგზე დადგომით, მართალია, მოიპოვა ინტელიგენციის დიდი ნაწილისა და მაღალი კლასების ნდობა, მაგრამ ბევრს შინ და გარეთაც, კელაე აშინებდა მისი სოციალური პროგრამა. არაბუნებრივად მიაჩნდათ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ხელისუფლებაში მისი ჰეგემონობა. ასეთთა საყურადღებოდ ნ. ჟორდანია აცხადებდა: დასავლეთ ევროპელ სოციალისტებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მართვა-გამგეობაში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ, ზოგან წამყვან როლსაც ასრულებენო, ხოლო პოლიტიკურ სისტემათა აე-კარგში ნაკლებად გათვითცნობიერებულ მუშებს ასე მიმართავდა: თქვენ ფიქრობთ, რომ რაკი მთავრობა სოციალ-დემოკრატიულია, მან უნდა განახორციელოს სოციალიზმი. მაგრამ ეს ბოლშევიკთა მცდარი თვალსაზრისია. ქართველი სოციალ-დემოკრატები სხვაგვარი შეხედულების ვართ. მიგვაჩნია, რომ განვითარების კაპიტალისტურ სტადიას ვერ გადავახტებით. ნაადრევად დაწყებული სოციალისტური მშენებლობის ექსპერიმენტი მოგვიტანს არა სოციალურ თავისუფლებას, არამედ სოციალურ რეაქციას, საზოგადოებრივი სიმდიდრის განადგურებას, სახალხო მეურნეობის მოშლას. ბურჟუაზიულ სახელმწიფოს სათავეში მყოფ ჩვენს პარტიას ეკონომიკურად ჩამორჩენილ საქართველოში ევალება კერძო ინიციატივის წახალისება, საწარმოო ძალთა განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება, რასაც სოციალ-დემოკრატიის პროგრამა-მინიმუმი ითვალისწინებსო.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ ეთანხმებოდა ამგვარ არგუმენტაციას, მიაჩნდა რომ ნ. ჟორდანია და მისი თანამოაზრეები ვერ შექმნიდნენ ეროვნული ერთიანობისა და ეროვნული ხსნის მთავრობას; საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სახელმწიფოებრიობას მოკლებულ ერს ხელახლა უნდა შეექმნა თანამედროეობის შესაფერისი მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, აღორძინებინა სოფლის მეურნეობა, განვითარებინა მრეწველობა, ვაჭრობისა და კრედიტის ფორმები, რაც არ შეეძლო ერის რომელიმე ნაწილს. ეს უდიდესი, საშვილიშვილო საქმე, ეროვნულ-დემოკრატების აზრით, „მთელი ქართველი ერის და ყველა მისი სოციალურ-პოლიტიკური ძალის მობილიზაციას მოითხოვდა". ამ ამოცანის შესრულება ხელეწიფებოდა ეროვნული ერთიანობის მთავრობას და მისი ორგანიზება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მისიას შეადგენსო.

ეს ვარაუდი არ გამართლდა. სოციალ-დემოკრატიამ ბოლომდე შეინარჩუნა წამყვანი პოზიცია საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ პრინციპული პოზიციით და პარლამენტის სხდომებზე კარგად დასაბუთებული წინადადებების გაკეთებით ზემოქმედება მოახდინა მმართველ პარტიაზე. სოციალ-დემოკრატიამ საგრძნობლად შეცვალა თავისი საამოქმედო პროგრამა, უარი თქვა ეიწრო კლასობრივ და პარტიულ პოზიციაზე, მიზნად დაისახა შეესუსტებინა სოციალური ანტაგონიზმი და კლასობრი-

ვი ბრძოლა, შეეცადა (და არც თუ წარუმატებლად) მიეღწია ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციისათვის, ყველა კლასი და პარტია ჩაება საერთო სამათლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში.

შინაგანი მშვიდობის და თანხმობა-თანადგომის დამყარებას ხელს უშლიდნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც ფაქტობრივად საბჭოთა რუსეთის აგენტებად გადაიქცნენ. ისინი გარკვეულ გავლენას ახდენდნენ მუშათა საბჭოებზე, აღვიძებდნენ გლეხთა უკმაყოფილებას, იწვევდნენ მის აჯანყებასაც კი. რევოლუციური ორგანიზაციების ნორმალურ, კანონიკურ ჩარჩოებში ჩაყენება კოალიციური ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად გადაიქცა. 1918 წ. 24 ივნისს გამართულ პარლამენტის სხდომაზე ნ. ჟორდანიამ აღნიშნა: მუშათა საბჭოები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები ერთხანს თვითნებურად მოქმედებდნენ, ითვისებდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას. სასიამოვნოა, რომ მათ მიიღეს გადაწყვეტილება ამ ფუნქციაზე უარის თქმის, მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების ახლად ჩამოყალიბებული მთავრობისათვის გადაცემის შესახებ. დადგა დრო პარლამენტმა და მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ადმინისტრაციული აპარატის ჩამოყალიბებას, ახალი სასამართლოს ორგანიზებას, შეიარაღებულ ძალთა რაოდენობის გაზრდას, მომწიფებული ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარებას.

1918 წ. 2 აგვისტოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი საგუბერნიო, საოლქო, სამაზრო ადმინისტრაციის შტატების შესახებ, რომლის შესაბამისად დაინიშნენ ყველა ინსტანციის კომისრები. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ გააკრიტიკა 2 აგვისტოს კანონი, დაიწუნა მის საფუძველზე შექმნილი ბიუროკრატიული აპარატი, მოითხოვა აგრეთვე თვითმმართველობის კანონპროექტის არსებითად გადამუშავება.

პარლამენტისა და მთავრობის უმრავლესობამ მიიღო სამართლიანი კრიტიკა. მყისვე გაუქმდა საქართველოს დაყოფა გუბერნიებად და გუბერნატორთა ინსტიტუტი. მოისპო სამაზრო კომისართა ავტორიტარული ხასიათის ხელისუფლება. გატარდა საერობო რეფორმა, ყველა მაზრაში დაიწყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზება. არჩევნების პროცესში, მართალია, ხმების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს, მაგრამ არც სხვა პარტიები დარჩენილან თვითმმართველობის მიღმა. თითქმის ყველა მაზრაში ჩამოყალიბდა მრავალპარტიული საკრებულოები და გამგეობები (აღმასრულებელი ორგანოები) განხორციელდა აგრეთვე. ჯერ კიდევ რუსეთის ბატონობის დროს შექმნილი საქალაქო თვითმმართველობიათა დემოკრატიზაცია. დიდი ცვლილებები მოხდა სასამართლო-წარმოების სფეროში. შეიქმნა ევროპული ყაიდის დამოუკიდებელი, თავისუფალი სასამართლო. ჩამოყალიბდა ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტი. ოდნავ მოგვიანებით, სათანადო კანონის შესაბამისად, ჩამოყალიბდა უზენაესი სასამართლო – სენატი. იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა განსაკუთრებული საკოდიფიკაციო განყოფილება, რომელიც 1919 წლის იანვრიდან რეგულარულად აქვეყნებდა „ოფიციალური კანონებისა და მთავრობის განკარგულებათა კრებულებს“[10].

ქართული სახელმწიფოს მშენებლებს კარგად ესმოდათ შეიარაღებული ძალის, ეროვნული არმიის დიდი მნიშვნელობა. ჯერ კიდევ 1915-1916 წლებში რუსეთის ჯარის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა ორი ქართული პოლკი. 1917 წელს სოციალ-დემოკრატიამ შექმნა სახალხო გვარდია. 1918 წ. 2 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სახალხო გვარდიის რეორგანიზაციისა და შეკვების შესახებ. ახლად შექმნილი სახელმწიფოს დაცვისათვის, რა თქმა უნდა, არ კმაროდა მოხალისეთაგან დაკომპლექტებული სახალხო გვარდია. გადაუდებელ ამოცანად გამოცხადდა რეგულარული არმიის ჩამოყალიბება, საერთოდ – სამხედრო სისტემის მაღალ დონეზე დაყენება. 1918 წ. 20 აგვისტოს პარლამენტმა დაამტკიცა ორი კანონ-დებულება: 1) საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო

მმართველობისა; 2) საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ. სწრაფად დაიწყო საქმიანობა მათი რეალიზაციისათვის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესასწავლად პარლამენტმა შექმნა სპეციალური კომისია. 1918 წ. 6 ოქტომბერს კრიტიკული შენიშვნები წარმოადგინა გენერალმა ილია ოდიშელიძემ. აქვე მიუთითა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებსა და საშუალებებზე. ხელისუფლება, მართალია, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ფულადი თანხები გამოეყო მუდმივი ჯარის, გვარდიისა და იუნკერ-ოფიცრების მოსამზადებელი სამხედრო სასწავლებლის საჭიროებისათვის, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის ქრონიკული დეფიციტურობის პირობებში შეიარაღებული ძალების დაფინანსება საჭირო მოცულობით ვერ ხერხდებოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში არასოდეს ყოფილა 30 ათასზე მეტი კაცი, გვარდიის პირადი შემადგენლობა კი გაცილებით ნაკლები იყო.

რუსეთისაგან გამოყოფისთანავე კიდევ უფრო აქტუალური გახდა ფრიად გამწვავებული აგრარული საკითხის გადაწყვეტა. ჯერ კიდევ 1917 წ. 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ. 1918 წ. 7 მარტს სეიმმა დაამტკიცა აგრარული კანონი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დააჩქარა საადგილმამულო კანონის რეალიზაცია. ეროვნული სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა რუსეთის სახაზინო და საუფლისწულო მიწები. ჩატარდა მსხვილი კერძო მამულების კონფისკაცია. ტყეებისა და საძოვრების გარდა სახელმწიფო საადგილმამულო ფონდში ჩაირიცხა 621 ათასი ჰა სახნავ-სათესი მიწა და ბალ-ვენახები, რომელიც საადგილმამულო კომიტეტებს იჯარით უნდა გაეცათ გლეხებზე.

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაიწყო მიწის სოციალიზაციის პროგრამა და მთავრობისაგან დაპროექტებული აგრარული რეფორმის მიმართულება, მოითხოვა გლეხობისათვის მიწის საკუთრებაში გადაცემა და საერთოდ კერძო საკუთრების დაკანონება. პარლამენტისა და მთავრობის უმრავლესობა დათმობაზე წავიდა. 1919 წ. 28 იანვარს დაამტკიცა ახალი საადგილმამულო კანონი. მოსახლეობის ყველა ფენა თავის განკარგულებაში ადრიდანვე მყოფი და ახლად მიღებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრედ გამოცხადდა. დაშვებულ იქნა მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა. ამის გამო ხელისუფლების უმრავლესობამ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების კრიტიკა დაიმსახურა. მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატებმა რეფორმის ნაკლად ის მიიჩნიეს, რომ მამულები შეუმცირეს კულტურულ-რაციონალური მეურნეობების შემქმნელებსაც (შედარებით მსხვილ მემამულეებსა და ბურჟუაზიას) და თანაც უსასყიდლოდ.

ორმხრივი კრიტიკა იყო იმის მიზეზი, რომ მთავრობის საადგილმამულო პოლიტიკამ, აგრარულმა რეფორმამ კომპრომისული ხასიათი მიიღო: მიწის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოებრივ საკუთრებად გამოცხადდა. ჩამორთმეული რაციონალური მამულების ბაზაზე შეიქმნა ეროვნული (სახელმწიფო) მეურნეობები. ეროვნულ მეურნეობებად გარდაიქმნა, სახელდობრ, რომანოვთა საგვარეულო მამულები (წინანდალი, მუკუზანი, ნაფარეული, მუხრაანი, გიაურ არხი, ყალაყალა, ეაჩვეი, ჩაქვი, ბორჯომი, სინოპი, დიოსკურია), ფრიდონოვის მამულები მანავსა და სკრაში, მანთაშევისა და არამიანცის მამულები ქვემო ქართლში, ანანოვის მეურნეობა ეარციხეში, სმეცკოვისა და იგუმნოვის მეურნეობა სოხუმის ოლქში. საკმაოდ ბევრი კაპიტალისტური მეურნეობა არსებითად ხელუხლებელი დარჩა: კუჩენბახმა თავის კერძო მიწები საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე შეინარჩუნა და 1918-1920 წლებშიც აგრძელებდა შეეიცარული ყველის წარმოებას. ამგვარადვე გააგრძელეს საქმიანობა მეძროხეობის ფერმებისა და ყველის ქარხნების სხვა მფლობელებმა, აგრეთვე დ. სარაჯიშვილმა, ჯ. წულუკიძემ, სულხანიშვილმა, მულინმა, დემეტრიეევმა და სხვ. მემამულეებმა. და მა-

ინც აგრარული რეფორმის გატარების შემდეგ მსხვილი ლატიფუნდიები მოისპო. მიწები შედარებით სამართლიანად განაწილდა მესაკუთრეთა შორის.

ერთი სიტყვით, 1919 წელს გატარებული აგრარული რეფორმა ბურჟუაზიული და ამაყდროულად დემოკრატიულიც იყო. მან დააკანონა მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის, ბატონყმობის ამ ეკონომიკური საფუძვლის ლიკვიდაცია. მეამულეებისათვის ნორმად დატოვებული 7-15 და 40 დესეტინა მიწა უკვე აღარ იყო საკმარისი გლეხობის ნახევრად ბატონყმური ექსპლოატაციის გაგრძელებისათვის. სამაგიეროდ, რეფორმამ ხელსაყრელი პირობები შექმნა თავისუფალ შრომაზე დამყარებული გლეხური, ფერმერული, კოოპერაციული და სახელმწიფო მეურნეობების განვითარებისათვის[11]. წითელი და თეთრი რუსეთისაგან გამოცხადებული ბოიკოტის პირობებში, გაცილებით მეტი დაბრკოლება შეიქმნა მრეწველობის სხვადასხვა დარგების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ამ დროსაც. ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ მის ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები რაოდენობით ცხოვრობდნენ აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვა ერთა ჯგუფები. რუსეთის მთავრობა მთელი საუკუნის მანძილზე ხელოვნურად ნერგავდა ამ სხვატომელებში ანტიქართულ განწყობილებას. ამგვარი პოლიტიკის უარყოფითი შედეგი უფრო ნათლად გამოიკვეთა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში. დაყოვნებული მოქმედების ბომბები დამანგრეველად ამოქმედდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

სოხუმის ოლქში აფხაზური სეპარატიზმის გააქტიურებას ხელი შეუწყო ადგილობრივმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, რომელიც ფაქტობრივად საბჭოთა რუსეთის აგენტურის როლს ასრულებდა. ანტიქართულმა ელემენტებმა თავისი შეიარაღებული რაზმებით დაიკავეს სოხუმი, ჩამოაყალიბეს აფხაზეთის ეროვნული საბჭო, რომელმაც საქართველოს მთავრობის მისამართით გააკეთა განცხადება, რომ სურვილი აქვს შექმნას აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო და საქართველოსთან დაამყაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. აფხაზთა სრული სეპარატიზმი საქართველოს ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, დაგმო. დასაშვებად სცნო აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობისათვის შინამმართველობაში მიეცა ავტონომია, მაგრამ სეპარატისტთა ლიდერებმა გაცილებით მეტი უფლებამოსილება, თითქმის სრული დამოუკიდებლობა მოითხოვეს. კონფლიქტი მშვიდობიანი მოლაპარაკებით ვერ ამოიფხვრა... საომარი ოპერაციები განაღდა.

საქართველოს სახალხო გვარდია შეტევაზე გადავიდა. სეპარატისტთა რაზმებმა მარცხი განიცადეს და დატოვეს სოხუმი. გენერალ გ. მაზნიაშვილის მეთაურობით მოქმედმა ჯარმა გაათავისუფლა გუდაუთა და გაგრა. მალე აიღო ადლერი, სოჭი და ტუაფსეც კი. ქართული ჯარის ამ დიდი გამარჯვების შემდეგ იკადრეს აფხაზმა სეპარატისტებმა მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა. მოხერხდა შეთანხმება, გაფორმდა „აფხაზეთის ავტონომიური აქტი“, რომელიც 1919 წ. 21 მარტს დამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ. ამდენად, თითქოს დამთავრდა აფხაზეთის ავტონომიის ჩამოყალიბების პროცესი, მაგრამ გაძნელდა ცენტრისა და ავტონომიის უფლება-კომპეტენციის იურიდიული და პრაქტიკული გამიჯვნა.

საბჭოურ-კომუნისტური რუსეთისაგან დამუხტულმა ოსებმა 1918 წელს ომი გააჩაღეს საქართველოსთან, აიღეს ცხინვალი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ჯუღელისა და კონიაშვილის რაზმებმა დაამარცხეს ოს აჯანყებულთა ბანდები, აიღეს ცხინვალი, მაგრამ ოსთა ანტიქართული მოძრაობა მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა. სეპარატიზმის ბაცილა გამძლე აღმოჩნდა. საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეექმნა XX-XXI სს. მიჯნაზე.

„დაკავი და იბატონე“-ს რუსულმა პოლიტიკამ ურთიერთობა დაძაბა ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა

სამხრეთ კავკასიაში რუსეთისაგან გამოყოფის საერთაშორისო პერიოდში. დავა ატყდა ტერიტორიების გამიჯვნა-გადასინჯვის პრობლემასთან დაკავშირებით.1918 წ. ოქტომბერში გაიმართა ამიერკავკასიის საერთაშორისო კონფერენცია. მონაწილეებმა პირველი რიგის ამოცანად მიიჩნიეს: 1) ამიერკავკასიის სახელმწიფოთა მიერ ურთიერთ იურიდიული ცნობა, 2) ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანი შეთანხმებით გადაწყვეტა, 3) სოლიდარულობა, ურთიერთმხარდამჭერი გამოსვლები იმ მიზნით, რომ უზრუნველყოთ დამოუკიდებელი რესპუბლიკების „დე-ფაქტო" და „დე-იურე" ცნობა. ამ შეთანხმების დადებითი შედეგი არ მოპყოლია. ამიერკავკასიის სამ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა არა თუ გაუმჯობესდა, გაუარესდა და მალე ომში გადაიზარდა.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხება სომხეთის მთავრობამ საქართველოს მარცხად აღიქვა. მიიჩნია, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი, გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ინგლის-საფრანგეთის დახმარებით საქართველოს ხარჯზე ხელი მოეთბო, მისი ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილს დაპატრონებოდა. სომხეთის მთავრობა ვერსალის საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებას არ დალოდებია, გამოუცხადებელი ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. მოახდინა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრათა გარკვეული ნაწილის ოკუპაცია. სხვა გამოსაავალი არ იყო და საქართველოს ჯარი კონტრშეტევაზე გადავიდა, სომხეთის ჯარის ნაწილებს უკან დაახევინა. სომხეთი სრული მარცხისაგან დიდმა ბრიტანეთმა იხსნა. მან იკისრა არბიტრის როლი და კიდეეც დააზავა მხარეები. სამმხრივი ხელშეკრულების თანახმად მოხდა საქართველოსა და სომხეთის შეიარაღებულ ძალთა დაშორება და შეიქმნა ლორეს ნეიტრალური ზონა.

დამოუკიდებლობის დეკლარაცია, როგორც ითქვა, ითვალისწინებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო არჩევნების ჩატარება დაგვიანდა.

დამფუძნებელი კრება. მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. 1918 წ. 22 ნოემბერს დროებითმა პარლამენტმა დაამტკიცა „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა". მასში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს ყველა პოლიტიკური პარტია და მათ შორის საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია, მაგრამ ქართველმა ბოლშევიკებმა ბოიკოტი გამოუცხადეს საქართველოს ამ ეროვნულ ფორუმს. სხვა პარტიები კი აქტიურად ჩაებნენ წინასაარჩევნო ბრძოლაში.

დამფუძნებელი კრების არჩევნების წინა დღეებში ნ. ჟორდანიამ განაცხადა: „დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო უკვე მიადგა იმ ადგილს, საიდანაც იწყება ხალხის ნორმალური განვითარება. დღეს უკვე გვაქვს გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური წყობა, მხოლოდ საჭიროა მიეცეთ მას იურიდიული, კონსტიტუციური ფორმა, რასაც შეასრულებს უახლოეს ხანს მოწვეული დამფუძნებელი კრება"[12].

არჩევნები 1919 წ. 14,15 და 16 თებერვალს მიმდინარეობდა. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ყველაზე მეტი დეპუტატი სოციალ-დემოკრატიამ გაიყვანა. ეროვნულ-დემოკრატებმა ეროვნულ ფორუმში შეიყვანეს 9 დეპუტატი (ნ.ნიკოლაძე, სპ. კედია, გ. გვაზავა, ე. თაყაიშვილი, ალ. ასათიანი და სხ.), სოციალისტ-ფედერალისტებმა – 8 (გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ფირცხალავა და სხვ.). ნაკლები იყო წარმომადგენლობა სოციალ-რევოლუციონერებისა და დაშნაკთა პარტიისა. დამფუძნებელი კრება დაკომპლექტდა 190 დეპუტატით.

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა 1919 წ. 1 მარტს ჩატარდა. მეორე, 14 მარტის სხდომაზე მთავრობის საქმიანობის ანგარიშით გამოვიდა ნ. ჟორდანია. მან მინისტრთა კაბინეტის მთავარ დამსახურებად ის გამოაცხადა, რომ საქართველო შესრდა რევოლუციის ბურჟუაზიულ ეტაპზე, შეიქმნა დემოკრატიული სახელმწიფო, მისი სტრუქტურები. იმავე სხდომაზე დაისვა დამფუძნებელი კრების წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნის საკითხი. რ. არსენიძემ განაცხადა: უკვე არსებული პრეზიდენტისა და პრაქტიკის

მიხედვით, შეგვიძლია ავირჩიოთ თავმჯდომარე, რომელიც თვითონ შეარჩევს მთავრობის წევრებს. თუმცა დამფუძნებელ კრებას იმის უფლებაც აქვს, რომ საპრეზიდენტო მმართველობა დააკანონოსო. ეროვნული ფორუმის უმრავლესობამ უარყო განსაკუთრებული, ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი პრეზიდენტის, სახელმწიფო მეთაურის არჩევის მიზანშეწონილობა. უმჯობესად მიიჩნია დანიშვნა მთავრობის თავმჯდომარისა, რომელიც გარე სამყაროს წინაშე საქართველოს სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილებით წარსდგებოდა.

სოციალ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ისევ ნოე ჟორდანიას კანდიდატურა დაასახელა. მას მხარი დაუჭირეს ეროვნულ-დემოკრატებმაც. სოციალისტ-ფედერალისტებისა და ესერთა ფრაქციებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. მაგრამ ამან ვერ დააბრკოლა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით პრემიერად ნ. ჟორდანიას არჩევა. 1919 წ. 21 მარტს მან გამოაცხადა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა: საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი — ე. გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლების მინისტრი — ნ. რამიშვილი; მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი — ნ. ხომერიკი და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი — კ. კანდელაკი.

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, მართალია, ნდობა გამოუცხადა ნ. ჟორდანიას, მაგრამ არ მოეწონა მისგან შედგენილი მინისტრთა კაბინეტი. კოალიციური მთავრობის ნაცვლად ერთგვაროვანი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბება. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, ევროპაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, რაკი დამფუძნებელ კრებაში აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა, უფლება ჰქონდა ერთპარტიული მთავრობა შეექმნა და ჩამოაყალიბა კიდეც. მაგრამ ამან გააძნელა პოლიტიკურ ძალთა კონსენსუსი, ოპოზიციის კონსტრუქციული საქმიანობა გარკვეული სიძნელეები შეიქმნა ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მუშაობაში. დამფუძნებელ კრებაში, კერძოდ, მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ ფრაქციებს შორის იმაზე გაცილებით მკაცრი ბრძოლა განაღდა, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი დროებით პარლამენტში.

დემოკრატიული სოციალიზმის პროგრამულ დებულებათა საფუძველზე უმრავლესობას მარცხნიდან აკრიტიკებდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციები. მათ გამოაცხადეს, რომ ბრძოლას გააგრძელებდნენ მთავრობისეული აგრარული რეფორმის წინააღმდეგ, დაიცავდნენ მიწის სოციალიზაციის თეორიას. მოითხოვდნენ წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესებას, უშუალო მწარმოებელთაგან შექმნილ კოოპერატივებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას. მემარცხენეები მხარს უჭერდნენ უპრეზიდენტო დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრებას და მის დეცენტრალიზაციას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლება-კომპეტენციის გაფართოებას.

დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციიდან აკრიტიკებდა ახალ მთავრობის სამოქმედო პროგრამას (და საერთოდ, სოციალისტური მიმართულების პარტიათა თვალსაზრისს) ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია. სპირიდონ კედია აცხადებდა, რომ სოციალ-დემოკრატები არც ფსიქოლოგიურად იყვნენ მომზადებულნი და არც იდეურ-პოლიტიკურად ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. ისინი ჯერ იმაშიც ვერ გარკვეულან, რომელი პრინციპი გაიხადონ სახელმძღვანელოთ, მოსკოვისა თუ პარიზისა. თუ აქამდე „რაიმე დადებითი იყო მთავრობის მოქმედებაში, ეს იმდენად ხდებოდა, რამდენადაც იგი ხანდახან უახლოვდებოდა თავის მოქმედებაში იმ ბურჟუაზიულ ზომებს, რომლის დიდი შემოქმედებითი როლი ცხოვრებითა და გამოცდილებით არის დადასტურებული. ხოლო რამდენადაც იგი ... წაისოციალისტ-რევოლუციონერებდა, იმდენად მეტ ზიანს აყენებდა ჩვენს შინაგან და საგარეო მდგომარეობას"[13].

კრიტიკოსები ყოველთვის როდი ახერხებდნენ მოვლენების ობიექტურად შეფასებას. არც მემარცხენე და არც მემარჯვენე ოპოზიცია თითქმის არაფერს ამბობდა იმის შესახებ, რომ მთავრობა ცდილობდა კომპრომისული ხაზის გატა-

რებას, შერეული საზოგადოებრივი წყობილების ორგანიზებას. მართალია, თავისუფალ გასაქანს აძლევდა კერძო ინიციატივას, კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ არც მოსახლეობის დაბალი ფენების სოციალური დაცვის საჭიროებას ივიწყებდა, არაფრით ზღუდავდა წერილ მწარმოებელთა კოოპერატიული გაერთიანების შექმნას.

1919 წ. 25 აპრილს დამტკიცდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტი. მის საფუძველზე მოხდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და მუდმივი კომისიების არჩევნები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკონსტიტუციო კომისიის კომპეტენტური პიროვნებებით დაკომპლექტებას. მასში მეტ-ნაკლები შემადგენლობით შეიყვანეს ყველა ფრაქციათა წარმომადგენელი. კომისია ერთი წელი მუშაობდა კონსტიტუციის პროექტის შედგენაზე, თითქმის ამდენივე ხანს გრძელდებოდა მისი განხილვა (შეესება, შესწორება), რაც დამფუძნებელი კრების ფრაქციათა მწვავე დებატების ვითარებაში მიმდინარეობდა. პარალელურად დამფუძნებელი კრება აღგენდა კონკრეტულ საკანონმდებლო აქტებს და მათ შესაბამისად მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა და დაწესებულება.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია. 1920 წლის დამდეგს კონსტიტუციის პროექტის ძირითადი მონახაზი უკვე არსებობდა და სტამბურადაც დაიბეჭდა, რომელსაც თან ეროვნული ერცელი განმარტებითი ბარათი. ირკვევა, რომ ცხარე კამათი მიმდინარეობდა სახელმწიფოს ფორმისა და შინაარსის გარშემო. ეროვნულ-დემოკრატია ახლა უკვე მოითხოვდა პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკანონებას. მისი აზრით უპრეზიდენტოდ აღმასრულებელი ხელისუფლება მოკლებული იქნებოდა სიმტკიცესა და ავტორიტეტს. თანაც მთავრობის კრიზისის დროს სახელმწიფოს არ ეყოლებოდა უზენაესი მეთაური. უმრავლესობამ გამოთქმული არგუმენტები უსაფუძვლოდ მიიჩნია. მისმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამერიკული მოდელი იდეალად არ მიგვაჩნიაო. მთავრობის კრიზისი საშიში არაა, რადგან იგი რამდენიმე დღე გრძელდება, თანაც ამ დროს სახელმწიფო აპარატი, მისი დაწესებულებები საქმიანობას შეუფერხებლად განაგრძობენო. ჩვენი პრაქტიკა ასახულია პროექტის 74, 75, 76 მუხლებში, რომელთა მიხედვით უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტის მიერ არჩეულ თავმჯდომარეს და ამ უკანასკნელის მიერ შერჩეულ მთავრობის წევრებს. მთავრობის თავმჯდომარე გარესამყაროსთან მიმართებაში იმავდროულად არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი.

ეასილ წერეთლის აზრით, საქართველოს გამოცხადება ნეიტრალურ სახელმწიფოდ არ იყო გამართლებული, ეს გააძნელებსო ჩვენი ქვეყნის საზღვრების აღდგენას. მან საჭიროდ მიიჩნია დეპუტატების საკანონმდებლო უფლების რეალური გარანტიები. ფაქტი არისო, რომ პარტიულმა დიქტატურამ საკანონმდებლო დაწესებულების წევრს „სრულად წაართვა კანონმდებლობითი დამოუკიდებლობა. იგი შებორკა პარტიული მანდატით". ბოლო უნდა მოეღოს პარტიულ ფანატიზმს, რაც ყველას მოსძულდაო. ე. წერეთელმა მხარი დაუჭირა კონსტიტუციის პროექტის დედააზრს იმის შესახებ, რომ საქართველო არის უნიტარული სახელმწიფო. ფედერალური მოწყობისათვის საფუძველი არ არსებობს, რადგან მოსახლეობის 80% ქართველები შეადგენენო. მიუხედავად ამისა, მან მიზანშეწონილად მიიჩნია სამუსლიმანო საქართველოს და აფხაზეთის ერთ ნაწილს, სადაც აფხაზები უმრავლესობას შეადგენდნენ, მინიჭებოდა ავტონომიური მართვის უფლება.

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, მართალია, შენიშვნები გამოთქვა, მაგრამ ფრიად სასიამოვნო ფაქტად მიიჩნია დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლად კონსტიტუციის პროექტის შემოსვლა და საერთოდ დადებითად შეაფასა იგი. „ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლებიდან გამომდინარეობს, რომ სუვერენობა თვით ხალხს ეკუთვნის... ამ კონსტიტუციით შექმნის ქართველი ერი

მომავალ კულტურას და ისტორიას. ... და ჩვენ თამამად წარვსდგებით მომავალი თაობის წინაშე"[14].

საბჭოური რუსეთის აშკარა აგრესიის დაწყების შემდეგ საკანონმდებლო მუშაობა კი არ შეწყდა, არამედ დაჩქარდა. მის მონაწილეებს საეჭვოდ მიანდათ ამ უთანასწორო ომში გამარჯვება და მომავალზე ფიქრობდნენ. თითქმის შეაჯამეს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთი მოკლე პერიოდი. დამფუძნებელმა კრებამ 1921 წ. 21 თებერვალს კონსტიტუცია დაამტკიცა თბილისის კარს მომდგარი რუსული არმიის ქვემეხთა გრიალის ფონზე და ქართულ სახელმწიფოს ძირითად კანონად აქცია, მომავალ თაობებს გადაულოცა.

პირველი კონსტიტუციით საქართველო ფუძნდებოდა როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი სახელმწიფო, მარადიული რესპუბლიკა. მერვე მუხლი ადადებდა: „კონსტიტუცია სახელმწიფო უზენაესი კანონია... კონსტიტუციის შესრულება, მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგებლობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლის მოვალეობას შეადგენს". კონსტიტუციაში შეტანილია დებულებები მოქალაქეობისა და მოქალაქეთა უფლებების, წოდებრივ განსხვავებათა მოსპობის, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის შესახებ. გამოცხადებულია, რომ მოქალაქეს აქვს სინდისის და რწმენის თავისუფლება, სიტყვის, შეკრებების, კავშირების შექმნის, გაფიცვების თავისუფლება.

კონსტიტუციის მეოთხე-მეხუთე თავებში განსაზღვრულია რესპუბლიკის პარლამენტისა და აღმასრულებული ხელისუფლების უფლებამოსილება; კანონის მიღება-გამოქვეყნების, მთავრობის შედგენის და საქმიანობის წესები. მეექვსე თავი ეძღვნება სასამართლოს, მეშვიდე – სახელმწიფოს ფინანსებს, მერვე – სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს, მეცხრე – სახელმწიფო თავდაცვას.

კონსტიტუციის მეათე თავში დაფიქსირებულია ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა უფლება-კომპეტენცია, მისი მოვალეობა ცენტრალური ხელისუფლების და ხალხის წინაშე. კონსტიტუცია ითვალისწინებდა აფხაზეთის, ბათუმის ოლქისა და ზაქათალის ოკრუგისათვის ავტონომიის მინიჭებას. სახელმწიფოს მოვალეობად გამოცხადებულია ზრუნვა მოქალაქეთა ღირსეული ცხოვრება-საქმიანობისათვის. უნდა შექმნილიყო შრომის ბირჟები, საშუამავლო კანტორები, უმუშევართა დახმარების საზოგადოებანი. სახელმწიფო თავის მნიშვნელოვან ფუნქციად აცხადებდა წერილი მწარმოებლის – სოფლის მეურნის, ხელოსნის, შინამრეწველის დაცვას, წარმოების ყველა საშუალების მაქსიმალურად ჩაყენებას ხალხის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის ამაღლების სამსახურში.

შედარებით-ისტორიული მეთოდის და სათანადო ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია იდგა იმდროინდელი დემოკრატიული მსოფლიო სამართლებრივი ნორმების და მეცნიერების დონეზე. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 1921 წლის კონსტიტუცია გამოდგა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის სამართლებრივ საფუძვლად.

დამფუძნებელი კრება, მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა, ბუნებრივია, დიდ ყურადღებას აქცევდა ეკონომიკური სამოქმედო პროგრამის სრულყოფას, რადგან ესმოდათ, რომ ამ სფეროში მიღწეულ წარმატებებზე იყო ძირითადად დამოკიდებული ხალხის კეთილდღეობა. სახელმწიფოს სიმტკიცე, მისი თავდაცვისუნარიანობის ამაღლება. ახალი მთავრობის პირველსავე დეკლარაციაში ალინიშნა: გაგრძელდება საადგილმამულო რეფორმის გატარება-სრულყოფა. ხელისუფლება ყოველნაირად შეუწყობს ხელს ინტენსიური სოფლის მეურნეობის აღორძინებას, მრეწველობის განვითარებას. არ ეაპირებთ დაბრკოლება შეეუქმნათ კაპიტალიზმს, წავახალისებთ კერძო ინიციატივას და ინდივიდუალურ წარმოებას, მაგრამ დიდ იმედებს ვამყარებთ აგრეთვე საზოგადოების თვითმოქმედებაზე. მთავრობა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობანი და კოოპერაციული გაერთიანებანი დღითი დღე მაგრდებიან. მთავრობის წევრთა სხვა მოხსენებები ცხადყოფს, რომ მათი აზრით, გარდამავალ ეპოქაში გასაქანი უნდა

მისცემოდა საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის: წვრილი კერძო მეურნეობა, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წარმოება, კოოპერაციული, მუნიციპალური და სახელმწიფო მეურნეობა, რომელიც უნდა ყოფილიყო, როგორც ოფიციალური ხელისუფლების, ისე მთელი საზოგადოების ზრუნვის საგანი. ყველა მათი წარმატებული საქმიანობით გახდებოდა შესაძლებელი ეკონომიკის აღმაყლობა, სოციალურ წინააღმდეგობათა შესუსტება და ხალხის კეთილდღეობის ამაღლება.

დასავლეთის სოციალ-დემოკრატია ქართველი თანამოაზრეების სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ბოლშევიკური ექსტრემიზმის ფონზე სწავლობდა. პირველს ამართლებდა, მეორეს გმობდა. 1920 წ. 20 ოქტომბერს ბელგიელი ემილ ვალდერვალდემ გამოაქვეყნა სტატია – „პირველი სოციალისტური მთავრობა", რომელშიც ეკითხულობთ: ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი, თუ სად, ევროპის რომელ ქალაქში შესდგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, სხვები – პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს და ბრიუსელს. მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქ ობილისზე? სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წყობილების მშენებლობა... ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლის ღვრის, არამედ ხალხის სუვერენული უფლებების აღიარებით, მისი ნებისყოფის სრული გამოვლინებით". ქართველი სოციალისტების მიერ განხორციელებული მშვიდობიანი რევოლუცია, მისი აზრით, იყო არა სოციალისტური, არამედ დემოკრატიული. დაახლოებით ასეთივე აზრი განაცხადა, აგრეთვე ინგლისელმა რამზეი მაკდონალდმა. ამ უკანასკნელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში „შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით". საქართველოში თავისუფლება მიეცაო კერძო ინიციატივას... მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი... თუ ერების თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელს კაცობრიობას თავისი მაღალი კულტურულობა და პოლიტიკური სიმწიფე"[15]. დასავლელი სოციალ-დემოკრატები, მართალია, არაფერს ამბობდნენ მემარჯვენე ოპოზიციის დამსახურებაზე, მაგრამ არსებითად მაინც სწორად აფასებდნენ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და ეროვნულ სულისკვეთებას.

საგარეო ორიენტაციის პრობლემა. საქართველოს პირველ რესპუბლიკას საფრთხეს უქმნიდა არა შინა ეკონომიკურ-სოციალური ვითარება და პოლიტიკური პარტიების დაპირისპირება, არამედ საგარეო სიტუაციის თანდათან მზარდი დაძაბულობა. ხელისუფლების საქმიანობაში გადამწყვეტი გახდა საგარეო ორიენტაციის პრობლემა, საიმედო მოკავშირის გამონახვის საკითხი.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამ, ანტანტის მიერ გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებამ არსებითად შეცვალა სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა განლაგება ახლო აღმოსავლეთში. საქართველოსათვის ამ ფაქტს, ერთი მხრივ ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა: დამარცხებული თურქეთი ოკუპირებული ტერიტორიებიდან გავიდა და საქართველომ აღიდგინა თავისი სუვერენული უფლებები ბათუმის ოლქსა და სამცხე-ჯავახეთზე. მეორე მხრივ, საქართველოს მოკავშირე გერმანიის მარცხი, ჩვენმა მეზობლებმა (დენიკინის რეჟიმი, წითელი რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი) აღიქვეს როგორც საქართველოს მარცხიც და მოინდომეს მის ხარჯზე თავიანთი ტერიტორიების გაფართოება.

ყველაზე ადრე გააქტიურდა დენიკინის რეჟიმი, შეტევაზე გადმოვიდა რუსეთის თეთრი არმია. დაიკავა ტუაფსე, სოჭი, შემოიჭრა გაგრის რაიონში. ქართველთა ლაშქარი კონტრშეტევაზე გადავიდა და თითქმის ფსოუმდე მიაღწია. დიდ ბრიტანეთს და მის მოკავშირეებს არ აწყობდათ ანტიბოლშევიკური ძალების ურთიერთ შორის ბრძოლა და შუამავლის როლი ინგლისის მისიამ იკისრა. რაკი გამარჯვებული მოკავშირეების მთავარი მიზანი ამ მომენტში წითელი რუსეთის დამარცხება და დემოკრატიული რუსეთის აღდგენა იყო, დიდი ბრიტანე-

თის მისიამ ზეწოლა გააძლიერა საქართველოს მთავრობაზე, აიძულა იგი ხელი მოეწერა დაზაევების ხელშეკრულებაზე, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ჯარის მდ. ბზიფის მარცხენა ნაირსზე დახევას და ნეიტრალური ზონის შექმნას.

იმის გამო, რომ წითელი და თეთრი იმპერიალიზმი, ლენინიცა და დენიკინიც, სხვადასხვა ფორმით რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის იბრძოდნენ, საქართველომ ორიენტაცია აიღო დემოკრატიულ და ცივილიზებულ დასავლეთზე. იმ დროს მიმდინარე ევერსალის საზავო კონფერენციაზე თავის წარმომადგენლებად გააგზავნა: ზ. ავალიშვილი, დ. დამბაშიძე, კ. ნხვიძე და ი. წერეთელი. ქართველთა დიპლომატიურმა დელეგაციამ არაერთხელ მიმართა მოკავშირეებს საერთოდ, ცალკეცალკე დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, აშშ-ს, იტალიის მთავრობებს, მოითხოვდა საქართველოს რესპუბლიკის „დე-იურე" ცნობას, მისთვის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების გაწევას, მაგრამ ამაოდ. ანტანტის სახელმწიფოები კარგა ხანს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისაგან თავს იკავებდნენ. მიზეზი ის იყო, რომ გამარჯვებულ მოკავშირეთა ძირითადი მიზანი რუსეთის საბჭოურ-კომუნისტური ხელისუფლების დამხობა, ამ ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების აღდგენა იყო, რაშიც თითქმის მთელ იმედს კოლჩაკისა და დენიკინის არმიებზე ამყარებდნენ. ეს გენერლები კი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" რეამინიციისათვის იბრძოდნენ და, ბუნებრივია, არ ცნობდნენ იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ ეროვნულ სახელმწიფოებს. ამიტომ გამარჯვებული მოკავშირეები ახლად შექმნილი დამოუკიდებელი რესპუბლიკების „დე-იურე" აღიარების საკითხს „საერთო რუსული" პრობლემის გადაწყვეტას უკავშირებდნენ.

1920 წლის დამდეგს წითელმა არმიამ თითქმის მთლიანად გაანადგურა დენიკინის ჯარი. ასეთ სიტუაციაში ანტანტის სახელმწიფოთა დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისადმი საგრძნობლად შეიცვალა. შესაძლებლად იქნა მიჩნეული ამ ერცელი რეგიონის გადაქცევა სანიტარულ კორდონად, მისი მეშვეობით სოციალიზმის სენისაგან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დაცვა. 1920 წლის იანვარში გამარჯვებულმა ანტანტამ „დე-ფაქტო" აღიარა ამიერკავკასიის რესპუბლიკები და მათ შორის საქართველო. ქართველებმა ზეიმით აღნიშნეს ეს დიდი დიპლომატიური წარმატება.

მაგრამ დასავლეთიდან მოსალოდნელი სამხედრო დახმარება იგვიანებდა. ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხე კი მოახლოვდა. 1920 წ. აპრილის ბოლოს წითელი არმია შეიჭრა აზერბაიჯანში და ეს ქვეყანა გაასაბჭოა. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავდადებული ბრძოლისაკენ მოეწოდა ჯარს, მთელ ქართველ ხალხს, დასავლეთს კი სამხედრო დახმარების თხოვნით მიმართა. 1920 წ. მაისის დამდეგს საქართველოს ჯარმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, დიდი ზარალი მიაყენა წითელ არმიას. ამ მომენტში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ წარმატებით იბრძოდა პოლონეთიც. ლენინმა შეუძლებლად მიიჩნია ერთდროულად ორ ფრონტზე ომი: და საქართველოსთან დაწყებული „კონფლიქტი" აღკვეთა, დაიწყო მასთან მშვიდობიანი მოლაპარაკება.

რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულება და მისი დარღვევა მოსკოვის მიერ. 1920 წ. 7 მაისს გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება: საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, მთელი სისრულით სცნო ქართველი ხალხისა და მის მიერ არჩეული ხელისუფლების სუვერენული უფლებები. რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნია თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის, სოხუმის, ზაქათალის ოლქები. სამაგიეროდ საქართველოს მთავრობამ იკისრა თავის ქვეყნიდან დაეთხოვა დიდი ბრიტანეთის ჯარის ქვედანაყოფები და ლეგალური არსებობა-საქმიანობის უფლება მისცა კომუნისტურ პარტიას. ქართველ ხალხს და მის მთავრობას არ ჰქონდა იმისი გარანტია, რომ საბჭოთა რუსეთი არ დაარღვევდა ხელშეკრულებას, მაგრამ შექმნილი მწვავე სიტუაციიდან უკეთესი გამოსავალი არ ჩანდა. სოციალისტ-ფერალისტური „სახალხო საქმის" რედაქცია წერდა, რომ „რუსეთის

იმპერიალიზმი ახალ სახეს იღებს". იგი შეეცდება გააგრძელოს ექსპანსია, მაგრამ ჯერჯერობით მისი მადა შეკვეცილია. ჩვენი სახელმწიფო შეიძლება გადაიქცეს იმ ბუფერად, რომლის დაცვა მიზანშეწონილი გახდება როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის ინტერესებისათვის. საქართველო გზა და ხიდი იქნება ევროპისა და აზიისაკენ"[16].

რუსეთ-პოლონეთის ომის დამთავრების შემდეგ დიდმა სახელმწიფოებმა ხელი აიღეს საბჭოური რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაზე. ინგლისმა თავისი ჯარები გაიყვანა ბათუმის ოლქიდან. ამ ტერიტორიაზე სრულად აღსდგა საქართველოს იურისდიქცია, რასაც ქართველი ხალხი სიხარულით შეხვედა. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს და დიდი ბრიტანეთის ჯარის ბათუმიდან გაყვანა იმის მაუწყებელიც იყო, რომ ანტანტის სახელმწიფოებმა უარი თქვეს კომუნისტურ რუსეთთან დაპირისპირებაზე, საქართველოსათვის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების გაწევაზე. საბჭოური ხელისუფლება მიხვედა ამას და რუსეთის კომპარტიამ მიიღო დადგენილება საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის, ინტერვენციის ამა თუ იმ ფორმით გამოყენების შესახებ.

1921 წ. 11-12 თებერვალს ღამით საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ „აჯანყდა" ლორეს რაიონის სომხური მოსახლეობის მცირე ნაწილი, 200 კაცი. მის „დასახმარებლად" ამხედრდა სომხეთში უკვე შემოსული 10 ათასამდე წითელარმიელი. ორიოდე დღის შემდეგ აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოიჭრა მე-11 წითელი არმია — 30-40 ათასი კაცი. საქართველოს რეგულარულმა არმიამ და სახალხო გვარდიამ თბილისის მისადგომებთან 18-22 თებერვალს გამართულ ბრძოლებში არა ერთი მარცხი მიაყენა მტერს, გაანადგურა და ტყვედ აიყვანა რამდენიმე ათასი წითელარმიელი. ქართველი მეომრების ფსიქოლოგიური განწყობა, პატრიოტული სულისკვეთება იმდენად მაღალი იყო, რომ შეეძლოთ მე-11 წითელი არმიის სრული განადგურება. მაგრამ რუსთა მოქმედ ჯარს ახალი დივიზიები ემატებოდა, ქართული ჯარის რეზერვები კი ამოიწურა. ქართული ჯარის მთავარსარდალმა გ. კვინიტაძემ და ნ. ჟორდანიამ შეაფასეს სიტუაცია. გადაწყვიტეს თითქმის ალყაში მოქცეულ თბილისში ბრძოლის გაგრძელებას ის სჯობდა, რომ დედაქალაქიდან ჯარი უნებლად გაეყვანათ და გადამწყვეტი ბრძოლა უფრო ხელსაყრელ პოზიციაზე გაეგრძელებინათ. ქართულმა ჯარმა თბილისი უზარალოდ დატოვა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიცია აღარ აღმოჩნდა, რადგან საქართველოში რუსეთის დივიზიები კავკასიის ქედის უღელტეხილებიდან და სოჭიდანაც შემოიჭრნენ. ამ მოელენების ცენტრში მყოფი, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე თავის ბრწყინვალე წიგნში წერს, რომ დასავლეთ საქართველოს ოკუპაციაში გადამწყვეტი როლი შეასრულა აფხაზეთის გზით შემოჭრილმა რუსეთის ჯარმა. „როდესაც საქართველოს მხედრობა გამაგრდა გურიისა და ბათუმის ოლქში, საქართველოს თავს დაესხა მოსკოვის მოკავშირე ოსმალეთი... საქართველო დამარცხდა ორ ომთან ბრძოლაში". მაგრამ ომში დამარცხებულმა ქართულმა მხედრობამ ის მაინც მოასწრო, რომ გენერალ გ. მაზნიაშვილისა და გრ. ლორთქიფანიძის მთავარსარდლობა-ხელმძღვანელობით აჭარიდან და ბათუმიდან თურქი ასკერები განდევნა, და ეს ტერიტორია საქართველოს შეუნარჩუნა[17].

ლენინს ომის დაწყებამდეც კი შესაძლებლად მიაჩნდა ნ. ჟორდანიასა და მისი მთავრობის ზოგიერთი წევრის დათმობაზე წაყვანა, მათთან კომპრომისული შეთანხმების გაფორმება. როცა რუსეთ-საქართველოს ომი არსებითად დამთავრებული იყო, საქართველოს კომპარტიის წარმომადგენლობამ ნ. ჟორდანიასა და მის რამდენიმე თანამოაზრეს შესთავაზა საქართველოში დარჩენა და სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე კომუნისტებთან თანამშრომლობა. 18 მარტს, ქუთაისში გამართულ ბოლო მოლაპარაკების დროს დამარცხებული საქართველოს დელეგაციამ განაცხადა, რომ კომპრომისული შეთანხმება გამორიცხულიყო. ქართველი ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და მთავრობა ერთადერთი კანონიე-

რი ხელისუფლებაა და სადაც არ უნდა იყოს, ასეთად დარჩება, ეიდრე ამას არ შეეწინააღმდეგება ქართველი ხალხის თავისუფლად გამოთქმული ნება-სურვილი. ამგვარად, უთანასწორო ომში დამარცხებული პატრიოტები სულით არ დაცემულან, მომავალზე ფიქრობდნენ. მიაჩნდათ, რომ უცხოეთში გახიზვნის შემდეგაც შეინარჩუნებდნენ უფლებამოსილებას და საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით გააგრძელებდნენ საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლას – „ან მშვიდობიანი ფორმით ან თოფ-ზარბაზნების ენით", რომლის პრეცენდენტი კომუნისტებმა შექმნეს[18]. ერთი სიტყვით, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერმა ხელისუფლებამ უარი თქვა კაპიტულაციაზე საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის მარიონეტობაზე. მისი ბევრი წევრი საფრანგეთს შეეფარა და იქ მიიღო ემიგრანტული მთავრობის სტატუსი. შეინარჩუნა კავშირი საქ'მობლოში დარჩენილ თანამოაზრეებთან და მათთან ერთად გააგრძელა ხანგრძლივი, მაგრამ იმედიანი ბრძოლა ქართველი ხალხის სუვერენული უფლებების აღდგენისათვის.

---

1. უკრაინის სცსა, ფ. 385, აღ.2, საქ. 24, ფურც. 10-12.
2. რ. გრძელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი, თბ., 1995, გვ. 6.
3. გ. გოცირიძე, ქართველი საზოგადოება და პირველი მსოფლიო ომი, თელავი, 1997, გვ. 13-15.
4. რ. გაბაშვილი, რაც გამახსენდა, იხ.: დაბრუნება, გ. შარაძის რედაქციით. ტ. III, 1992, გვ. 149-150.
5. ო. ჯანელიძე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სადოქტორო დისერტაცია, გვ. 71-73.
6. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001, გვ. 56-58.
7. იქვე, გვ. 64-65.
8. გ. მაჩნიაშვილი, მოგონებანი. თბ., 1990, გვ. 11-12.
9. საქაროველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921 წწ., თბ., 1990, გვ. 3-4.
10. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001, გვ. 110-112.
11. იქვე, გვ. 119-123.
12. საქართველოს სცსა, ფ. 1825, ანაწ. 1, საქ. 6. ფურც. 76-78.
13. საქართველოს სცსა, ფ. 1833, ანაწ. 1, ფურც. 35-37.
14. გაზ. „საქართველო", 1920, 26 ნოემბერი.
15. ციტირებულია ლ. თოიძის წიგნიდან: „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც", თბ., 1991, გვ. 82-83.
16. „სახალხო საქმე", 1920, №823.
17. გრიგოლ ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 222, 243.
18. იქვე, გვ. 244-245.

თავი VI

რუსეთის კოლონიური ბატონობის შემობრუნება საქართველოში საბჭოურ-კომუნისტური ფორმით

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრება

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია. XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო უკვე გადანაწილებული იყო ევროპის წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და მისი ხელმეორედ გადანაწილების საკითხი დადგა – ამას მოითხოვდა ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებლობა (გერმანია, რუსეთი), ზოგიერთის რევანშისტული მიდრეკილებები (საფრანგეთი) ან უკვე არსებული კოლონიალური იმპერიების შენარჩუნების სურვილი (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი). გერმანიას სერიოზულად აღელვებდა ის გარემოება, რომ მისი დინამიურად მზარდი ეკონომიკა მოკლებული იყო მნიშვნელოვან სანედლეულო წყაროებს და გასაღების ბაზრებს, მისთვის მიუღებელი იყო ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის თვალუწვდენელი კოლონიალური იმპერიები, რომლებიც იმავამად ამ ქვეყნების კეთილდღეობის მნიშვნელოვანი წყაროც იყო და მათი მრეწველობისათვის ჩინებული გასაღების ბაზარიც. კოლონიალიზმი XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არ ითვლებოდა „საუკუნის რუდიმენტად" და განვითარებული, დემოკრატიული პრინციპების მატარებელი ქვეყნები სულაც არ თელიდნენ სამარცხვინოდ, რომ ფლობდნენ ისეთ ქვეყნებს და ხალხებს, რომელთა ტერიტორიები მრავალჯერ ჭარბობდა მეტროპოლიას. მაგალითად, ინგლისის კოლონიალური იმპერია გადაჭიმული იყო მთელ მსოფლიოში. ის ფლობდა 33598,5 ათას კვ.კმ, სადაც ცხოვრობდა 393831,9 ათასი კაცი. საფრანგეთი – 10649,8 ათასი კვ.კმ, სადაც ცხოვრობდა 55031,5 ათასი კაცი. თვით ისეთი პატარა ქვეყნები, როგორიცაა ბელგია და ნიდერლანდები, XX საუკუნის დასაწყისში ფლობდნენ კოლონიებს, რომლებიც ტერიტორიითა და მოსახლეობით მრავალჯერ აღემატებოდა მეტროპოლიას[1].

უზარმაზარ კოლონიალურ იმპერიას ფლობდა რუსეთი. XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ აღიარებდა, რომ „XVI-XVII საუკუნეებში რუსეთის ცარიზმი, გამოხატავდა რა გაბატონებულ კლასთა ინტერესებს, იწყებს ფართო სამხედრო ლაშქრობებს აღმოსავლეთისაკენ. იგი მძარცველ ტორს ადებს შუა და ქვემო პოვოლჟიეს მიწებს, ახორციელებს ციმბირის დაპყრობას, აღწევს დიდ ოკეანეს, იჭრება უკრაინის მარცხენა მხარის ველებში... შავი და კასპიის ზღვის ნაპირებზე"[2].

მაგრამ რუსეთს ეს არ აკმაყოფილებდა. მისი მიზანი იყო კონსტანტინოპოლი და სრუტეები, რომლის დაპყრობის იმედითაც ის შეუერთდა საფრანგეთ-ინგლისის ალიანსს („ანტანტას"), რომელიც შეიქმნა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის „სამთა კავშირის" ტერიტორიული პრეტენზიების შესაჩერებლად. დღევანდელი პოზიციებიდანაც აშკარაა, რომ ეს სამხედრო კავშირები (ორივე მხრიდან) იყო იმპერიალისტური, აგრესიული, ემსახურებოდა გაბატონებული კლასების ინტერესებს და მიზნად ისახავდა მსოფლიოს ახალ გადანაწილებას.

ომისათვის ყველა ქვეყანას თავისი შორსგამიზნული აგრესიული გეგმა ჰქონდა და ყველა თავისებურად ემზადებოდა ამ ომისათვის. არავის შეეძლო წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელების ჩანაფიქრის შეცვლა.

მაგრამ გაჭიანურებულმა ომმა, დიდმა მსხვერპლმა, შიმშილობამ, ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელობის არაორგანიზებულობამ, ომისათვის მოუმზადებლობამ, უნიჭო სამხედრო ხელმძღვანელობამ ძალიან მალე დაავიწყა ხალხებს ომის დაწყების პირველი დღეების საყოველთაო ენთუზიაზმი. საბრძოლო ეიფო-

რია ძალიან მალე გულგატეხილობით შეიცვალა რუსეთშიც. ამ ქვეყანაში რევოლუციური კრიზისი მომწიფდა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატია ომის წლებში ომთან დაკავშირებულ საკითხებზე ერთი აზრის არ იყო. იყვნენ აშკარა თუ ფარული ობორონცები (უფრო რუსი ეროვნების სოციალ-დემოკრატები), იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ოცნებობდნენ "გადაექციათ მსოფლიო ომი – სამოქალაქო ომად!" მათ შორის პირველი იყო ვ. ი. ლენინი.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ევროპის პოლიტიკურ განვითარებაზე, მათ შორის პროლეტარიატის მოქმედებაზე დაკვირვებამ ვ. ი. ლენინი სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიის ჩამოყალიბებამდე მიიყვანა, რაც უკვე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა კ. მარქსის ორთოდოქსალური შეხედულებებისაგან. ვ. ი. ლენინი 1916 წელს დაწერილ თავის ნაშრომში „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადია" ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი უკვე გადაიქცა პარაზიტულ, ლპობად ფორმაციად, რომ მან უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები (რაღდენ გულუბრყვილო და აშკარად მცდარი აზრია დღევანდელი გადასახედიდან), გადაიქცა სოციალისტური რევოლუციის წინადღედ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა ქმნის მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის გადაულახავ წინააღმდეგობას, რაც იწვევს გააფთრებულ ბრძოლას მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის, იმპერიალისტური ომები უკვე რეალური ხდება, რაც ასუსტებს იმპერიალისტურ ძალებს და შესაძლებლობა იქმნება იმპერიალისტური ფრონტი (ჯაჭვი) წარმატებულად გაირღვეს იმ ქვეყანაში, სადაც ეს ფრონტი (ეს ჯაჭვი) ყველაზე უფრო სუსტია.

ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით ვ. ი. ლენინმა დაუშვა შესაძლებლობა (განსხვავებით კ. მარქსის მოსაზრებისაგან), რომ სოციალიზმმა შეიძლება გაიმარჯვოს რამდენიმე ან ერთ აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, თუ ამისათვის შეიქმნება ობიექტური და სუბიექტური პირობების ერთობლიობა, თუ რევოლუციური პროლეტარიატი იქნება დარაზმული რევოლუციური პარტიის გარშემო (უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრების გამოთქმიდან თითქმის ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ, როცა ლენინ-სტალინის ექსპერიმენტი აღმოსავლეთ ევროპაში კრახით დასრულდა, უკვე აშკარად საუბრობენ ლენინის ასეთი შეხედულების უსაფუძვლობაზე, თუმცა ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ მხოლოდ ამ ლენინური „რეცეპტით" მოხდა (და ხდებოდა) ბოლშევიკური თუ პროკომუნისტური პარტიების მიერ თავის ქვეყანაში პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღება და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობის საფუძველზე სოციალიზმის ძირითადი პრინციპების რეალიზება. სხვა გამოცდილება ისტორიის განვითარებამ ლენინურ სოციალიზმს არ არგუნა. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ სოციალიზმი არ არის მარტო მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა, სოციალიზმი არის კერძო საკუთრების მოსპობის საფუძველზე პროლეტარიატის მიერ საზოგადოების სოციალური თანასწორობის დამყარება.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატების იდეალები – ეროვნული თვითგამორკვევის უფლების აღიარება, რომელსაც ავტომატურად უნდა გამოეწვია სახელმწიფოს მრავალეროვანი მშრომელების, საერთაშორისო იმპერიალიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ პირველ რიგში პროლეტარიატის შეკავშირება, არც ისე ცხოველმყოველი აღმოჩნდა როგორც ეგონათ და პირველი მსოფლიო ომის წარუმატებლობა თითქმის ყველა მრავალეროვან სახელმწიფოს ძვირად დაუჯდა – დაიშალა ავსტრია-უნგრეთი, დაშლა დაემუქრა რუსეთის მრავალეროვან იმპერიასაც.

ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების უსურპაციის შემდეგ პირველი რაც მათ გააკეთეს – დამოუკიდებლობა მისცეს ფინეთს. ეს ისტორიული აქტი ი. ბ. სტალინის ხელით (უფრო სწორი ვიქნებით თუ ეიტყვით – სტალინის პირით) განხორციელდა. 1917 წლის 16 ნოემბერს ი. ბ. სტალინმა ფინეთის სდმპ ცრილობაზე ჰელსინფორსში სასეიმოდ განაცხადა ახალი კომუნისტიური ხელისუფლების ძი-

რითადი პრინციპები ეროვნულ საკითხში: „თავისი ცხოვრების მოწყობის სრული თავისუფლება ფინელი ხალხისათვის, ისე როგორც რუსეთის სხვა ხალხებისათვის! ფინეთის ხალხის ნებაყოფლობითი და პატიოსანი კავშირი რუს ხალხთან! არავითარი მეურეობა, არავითარი ზედამხედველობა ფინელ ხალხზე! ასეთია სახალხო კომისარიატის საბჭოს პოლიტიკის სახელმძღვანელო საწყისები"[3].

მაგრამ ძალიან მალე დაინახეს ბოლშევიკებმა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ეროვნული თვითგამორკვევის ლოზუნგი უფრო ძლიერად მოქმედებდა მშრომელთა შეგნებაზე, ვიდრე პროლეტარული სოლიდარობა, ან საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა, ეს განსაკუთრებით აშკარად გამოჩნდა, როცა ჩრდილოეთში — გერმანიის, ხოლო — სამხრეთში — თურქეთის აგრესიის შემდეგ ეროიმეორეს მიყოლებით დაიკარგა პოლონეთი, ბალტიისპირეთი, ამიერკავკასია. ბოლშევიკები ამ ვითარებას უკავშირებდნენ საგარეო ფაქტორს, ადგილობრივი შოვინისტური ძალების აქტიურობას, პროლეტარიატის არასათანადო პოლიტიკურ მომზადებას, რადგან 1917-1918 წლებში მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეა ჯერაც ცხოველმყოფელი იყო და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ამ იდეის ერთგული ადამიანებიც არ იყო ცოტა.

რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესები ამიერკავკასიასა და საქართველოში. ამიერკავკასიას რუსეთისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისი გამორჩეული გეოსტრატეგიული მდგომარეობა მნიშვნელოვანი იყო, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარს წარმოადგენდა, აბრეშუმის დიდი გზის მნიშვნელოვანი არტერია იყო, ჩრდილო კავკასიის შეურიგებელი ერების (ჩეჩნების, ადიღეველების და ა.შ.) განეიტრალების საშუალებას იძლეოდა. ამასთან, უმნიშვნელოვანესი სანედლეულო რეგიონი: ნავთობი, მარგანეცი, სუბტროპიკული კულტურები, მნიშვნელოვანი საზღვაო პორტები. მარტო ბაქოს ნავთობის საბადო XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს მოპოვების თითქმის ნახევარს იძლეობა. რა ფერისაც არ უნდა ყოფილიყო რუსეთი — „წითელი" თუ „თეთრი", ის ბაქოს ნავთობს არ დათმობდა უბრძოლველად, ხოლო ბაქოს ნავთობი აუტომატურად მოითხოვდა ბათუმსაც, კონტროლს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენზე. საბაბი ყოველთვის გამოჩნდებოდა, იქნებოდა ეს რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესები თუ პროლეტარიატის საერთაშორისო ძმობა. რუსი კომუნისტების ეს განწყობილება ასახულია ცნობილი ამიერკავკასიელი ბოლშევიკის, ამიერკავკასიაში კომუნისტური რუსეთის წარმომადგენელის; სტ. შაუმიანის ლენინისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ ბოლო წერილში: „ბაქოს ჩამოცილება რუსეთისაგან! — ეს ნიშნავს მას მიაყენო ყველაზე დიდი დარტყმა. თუ ჩვენ ელაპარაკობთ რუსეთის დამოუკიდებლობაზე, ხოლო საკუთარი სურვილით ნავთობის წყაროს გადაეცემთ ინგლისელებს, განა ამით ჩვენ არ ვუშვებთ უდიდეს დანაშაულს რუსეთის რევოლუციის წინაშე?"[4].

და მართლაც, მოაგვარა თუ არა კომუნისტურმა რუსეთმა თავისი „საქმეები" სამოქალაქო ომის ფრონტებზე, ამიერკავკასიისათვის მოიცალა, რომლის დაკარგვა სერიოზულად აღიზიანებდა რუსეთის ახალ მმართველ ელიტას. ამ განწყობას ჩინებულად ასახავდა კომუნისტური რუსეთის ოფიციოზების „პრავდისა" და „იზვესტიას" ტონი, კრიტიკული წერილების სიჭარბე, ამიერკავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის ტენდენციურობა, კომუნისტური პოზიციებიდან გაშუქება: „მენშევიკები ვილჰელმის სამსახურში", „მოქალაქე ჩხენკელი რუსი პატრიოტის როლში", „ჟორადანიას მოკავშირეები", „პოლიტიკური ვითარება საქართველოში" და ა.შ. ამ წერილების მთავარი შინაარსი ის იყო, რომ ქართველი მენშევიკები — რუსეთის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის მნიშვნელოვანი და ავანგარდული ნაწილი, რომელიც რამდენიმე თვის წინ რუსეთის რევოლუციის ერთგულებაზე იფიცებოდნენ და რუსეთის პროლეტარიატის ერთობლივ ინტერესებისათვის იბრძოდნენ, რახან რუსეთში ხელისუფლებას ჩამოაცილეს, განუდგნენ თავის იდეალებს, იმ პრინციპებს, რასაც საჯაროდ აღიარებ-

დნენ და წავიდნენ ამიერკავკასიის რუსეთისაგან ჩამოცილებაზე. კომუნისტური პრესა იხსენებდა ნ. ჟორდანიას, ა. ჩხენკელის საჯარო გამოსვლებს, სადაც ისინი რუსეთის ერთიანობის, რუსეთის მრავალეროვანი პროლეტარიატის მონოლიტურობაზე საუბრობდნენ[5].

1918 წლის ზაფხულში „პრავდამ" გამოაქვეყნა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის სამხარეო კომიტეტის მიერ თბილისში გავრცელებული პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „დადგა გადამწყვეტი წუთი. ხალხის გამყიდველებმა, რომლებიც მთელი რევოლუციის განმავლობაში ბოროტად იყენებდნენ თქვენს ნდობას, თქვენ ჩაგაგდეს მონობაში, თავს დაგატეხეს სიღატაკე და შიმშილი...ჩვენ კომუნისტი-ბოლშევიკები არაერთხელ გაფრთხილებდით თქვენ, რომ თქვენი ბელადები ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე, რამიშვილი და სხვები შეეიღოდნენ ერთ ბლოკში მუსლიმან ხანებთან და ბეგებთან... სანამ მენშევიკები ეეაჭრებიან გერმანელებსა და თურქებს, ბაქოს პროლეტარიატი ჭედავს იარაღს ხალხის მტრებისა და გამყიდველების წინააღმდეგ. ახლა, როცა მტრის ჩექმამ გათელა დამარცხებული ხალხი, ბაქოს პროლეტარიატი კავკასიის წითელ არმიასთან ერთად, დაიძრა რევოლუციური ლაშქრობით კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. მოგიწოდებთ იარაღით ხელში ებრძოლოთ კონტრრევოლუციას"[6].

ცოტა მოგვიანებით, ლადო დუმბაძე ატყობინებდა მოსკოვს: „ბათუმში დააპატიმრეს კომუნისტები. პროფსაბჭოს მდივანი მახარაძე, თუმანოვი. თავბერიძე, ბერძენიშვილი, კობახიძე, რამიშვილი, ნატალია ბაბახანოვა. ისინი აიყვანეს ბრიტანეთის კრეისერზე და ამტკიცებენ, რომ ისინი კონსტანტინოპოლში გადაიყვანეს. დააპატიმრეს გაზეთის „გოლოს ტრუდას" ამწყობები, ეძებენ „სუდი მილეთის" წევრებს. ითხოვენ, რომ თერგის ოლქიდან გამოიყვანონ ულობას ცხენოსანი კორპუსი და შეცვალონ ისინი ფეხოსნებით"[7].

სწორედ ასეთი და მათი მსგავსი კომუნისტების ინფორმაციები იკრიბებოდა კრემლის გაელენიან პირთა კაბინეტებში და საფუძვლად ედებოდა საქართველოს მიმართ განხორციელებულ მათ ყველა ქმედებას – იქნებოდა ეს საგაზეთო პუბლიკაცია თუ დიპლომატიური დემარში.

რუსი კომუნისტები არც მალავდნენ სამხრეთ კავკასიის მიმართ თავის პოლიტიკურ ინტერესს. რკპ (ბ) ცკას პოლიტბიუროს წევრი ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „რევოლუციისათვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულის, სათბობისა და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპისა და აზიის შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი-ბაქო, ბათუმი-თავრიზი, ბათუმი-თავრიზი-არზრუმი)... ბოლოს და ბოლოს ვინ მოიკიდებს ფეხს კავკასიაში, ვინ ისარგებლებს ნავთითა და აზიის სიღრმეში უაღრესად მნიშვნელოვანი გზებით, რევოლუცია თუ ანტანტა – ეს არის მთელი საკითხი"[8]. ეს სიტყვები კომენტარს არ საჭიროებენ.

ი. ბ. სტალინის ასეთი მკვეთრი შეფასებები, რა თქმა უნდა, კრემლის ლიდერების შორსგამიზნული გეგმების სიტყვიერი წარმოჩენა იყო – რახან ჯერჯერობით დასავლეთში არ გაუმართლათ (დამარცხდა საბჭოთა ხელისუფლება ბავარიასა და უნგრეთში, პოლონეთში განხორციელდა წარუმატებელი სამხედრო ჩარევა), ყურადღება კვლავ ამიერკავკასიის გასაბჭოებაზე გადაიტანეს და ამოცანა ჩინებლად განახორციელეს – 1920 წლის აპრილში თითქმის უბრძოლველად კვლავ დაიკავეს ბაქოს უნიკალური, ნავთობით მდიდარი რეგიონი, 1920 წლის ოქტომბერში თურქებისაგან შეშინებული სომხები ასევე უპრობლემოდ ჩაბარდნენ „თავიანთ ტრადიციულ სტრატეგიულ მოკავშირეს"- რუსეთს. მარტო დარჩა საქართველო...

ბოლშევიკურმა რუსეთმა ოსტატურად გამოიყენა რუსეთ-საქართველოს – 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მისთვის სასარგებლო მუხლები და განუწყვეტელი დიპლომატიური დემარშებით შეამზადა ნიადაგი საქართველოზე თავი-

სი სატელიტის – კომუნისტური სომხეთის პირდაპირი აგრესიისათვის.ასეთი აგრესია კომუნისტებს იდეოლოგიურად მუდამ შემზადებული და გამართლებული ჰქონდათ ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა: „ინტერნაციონალიზმი საქმით ერთია და მხოლოდ ერთი: თავდადებული მუშაობა საკუთარ ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის, რევოლუციური ბრძოლის გასაძლიერებლად, მხარდაჭერა (პროპაგანდით, თანაგრძნობით, მატერიალურად) ასეთივე ბრძოლის, ასეთივე ხაზისა და მარტოდმარტო მისი ყველა ქვეყანაში გამოუკლებლივ."[9]

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს უკვე დასაბუთებულია, რომ ლორეს პროეკაციაა,რომელიც საქართველოს ძალმომრეობით გასაბჭოებაში გადაიზარდა, რუსეთის სატელიტის, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაგეგმილი და მისი აგენტურის მიერ წარმატებით განხორციელებული ღონისძიება იყო, რომელსაც გარკვეულ ეტაპზე შეუერთდა რუსეთის XI არმია.[10]

ისევე როგორც პოლონეთის მიმართ აგრესიის დროს, როცა მოსკოვმა შექმნა რევოლუციური კომიტეტი ადგილობრივი წარმოშობის პროკომუნისტური პირებისაგან (მათ შორის ფ. ძერჟინსკიც იყო), 1921 წლის 16 თებერვალს შულავერში შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით (რომელიც თბილისში დიდი დაგვიანებით ჩამოვიდა). რეალურად ვითარებას XI არმიის სარდლობა და კავბიუროს უცველელი ხელმძღვანელი გ. კ. ორჯონიკიძე აკონტროლებდა, რომელიც თბილისში ასევე დაგვიანებით ჩამოვიდა. 25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები თბილისში შეიდნენ. სერგო ორჯონიკიძემ ბაქოდან გააგზავნა დეპეშა: „მოსკოვი, კრემლი, ლენინს, სტალინს, თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს".

ამრიგად: რუსეთის საქართველოში ხელმეორე შემობრუნება უზრუნველყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომმა ისტორიულმა ვითარებამ – რამაც ბიძგი მისცა რუსეთში კომუნისტურ გადატრიალებას და მისგან მომდინარე აგრესიას, შენიღბულს კომუნისტური იდეოლოგიის ფრაზეოლოგიითა და პოლიტიკით, მსოფლიო კოლონიალური სისტემის რეალიებმა – როცა ამერკაკასია მსოფლიოს მიერ აღიქმებოდა რუსეთის ინტერესების სფეროდ, საქართველოს უნიკალურმა გეოსტრატეგიულმა მდგომარეობამ რეგიონში – ბაქო-ბათუმის უნიკალური ნავთობსადენის დაუფლების ინტერესებმა და ა.შ.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია და მისი თავისებურება. მენშევიკების მიერ ნაჩქარევად დაცლილ კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში საქართველოს რევკომი განლაგდა. მასში შედიოდნენ: ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი, ბ. კვირკველია, ან. ნაზარეტიანი და სხვ.

პირველ რიგში სასწრაფოდ უნდა გაფორმებულიყო დიპლომატიური ხელშეკრულება ამნექსირებელსა და ანექსირებულს შორის, რომლებიც კომუნისტური იდეოლოგიით და ფრაზეოლოგიითაც ითვლებოდნენ „თანასწორ, სუვერენულ სოციალისტურ" სახელმწიფოებად. უკვე 1921 წლის 21 მაისს დაიდო სამოკავშირეო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება საქართველოსა და რსფსრ-ს შორის, რომლის ძალით საქართველო რუსეთთან სამხედრო და სამეურნეო კავშირში შეიდა. ხელშეკრულების მეორე მუხლით უნდა დადებულიყო სპეციალური ხელშეკრულება სამხედრო ორგანიზაციათა და სამხედრო ხელმძღვანელობის, ასევე სამეურნეო ორგანოების გაერთიანების შესახებ. ამ გაერთიანებული ორგანოების ხელმძღვანელობა უნდა განხორციელებულიყო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, სადაც საქართველოს შეეძლო გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი[11]. ფაქტობრივად, უკვე ამ ხელშეკრულებით, ამერკაკასიის ფედერაციისა და სსრკ-ს შექმნამდე, საქართველომ თავისი სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ატრიბუტები უკვე დაკარგა.

ახალმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაიწყო საბჭოთა სტრუქტურების ჩამოყალიბება. ადგილებზე იქმნებოდა რევკომები, რადგან საბჭოები – მართვის რუსული ფორმა, რომელიც მცირე ხნის განმავლობაში დემოკრატიულ საქართველოშიც ფუნქციონირებდა, 1921 წლისათვის აღარ არსებობდა და მათ შექმნას კი გარკვეული დრო სჭირდებოდა. დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იყო დაცა საქართველოში რევკომების, როგორც პოლიტიკური ორგანოების არსის შესახებ. თვლიდნენ, რომ ისინი იყვნენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა[12], ოღონ მიაჩნდა ის არატიპურ, საგანგებო ფორმად, რომლის აუცილებლობა შექმნა გარკვეულმა ვითარებამ[13]. ეს საგანგებო ორგანოები კომუნისტური პარტიის მიერ იქმნებოდა. მათ ხელთ ეპყრათ სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლება და მოწოდებულნი იყვნენ დაეთრგუნათ კომუნისტური რეჟიმის ყველა მოწინააღმდეგე, განემტკიცებინათ კომუნისტური დიქტატურა, მოემზადებინათ პირობები საქართველოში საბჭოთა რეჟიმის სრულად დამკვიდრებისათვის. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში აშკარად მიუთითებენ, რომ რევკომები რუსეთის კომუნისტური სახელმწიფოს საოკუპაციო რეჟიმის განსაკუთრებული ფორმა იყო[14].

საქართველოს რევკომმა შექმნა საბჭოთა საქართველოს პირველი მთავრობა. – სახალხო კომისართა საბჭო. მას ხელმძღვანელობდა ფილიპე მახარაძე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი იყო მ. ორახელაშვილი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ხელმძღვანელობდა ბ. კვირკველია, სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი იყო შ. ელიავა. სულ არსებობდა 15 სახალხო კომისარიატი.

პირველი, რაც გააკეთა სახალხო ხელისუფლებამ გააუქმა დემოკრატიული საქართველოს ყველა მონაპოვარი – დამფუძნებელი კრება დაშლილად გამოცხადდა, ასევე დაშალეს დემოკრატიული საქართველოს არმია და სახალხო გვარდია. 1921 წლის 22 მარტს გაუქმდა სასამართლოს არსებული სისტემა – სენატი და სხვა სასამართლო ორგანოები.

რევკომების მთავარი მახასიათებელი ძალადობა იყო. ეს არ იყო არჩევითი ორგანო. რევკომები ინიშნებოდნენ თბილისიდან. კადრების მწვავე დეფიციტის გამო (იმჟამად საქართველოს კომუნისტური პარტია ძლივს აერთიანებდა 9000 წევრს) რევკომების შემადგენლობაში ბევრგან შემთხვევითი პირები აღმოჩნდნენ. აი როგორ ახასიათებს ზემო სვანეთის რევკომს და მის თავმჯდომარეს სვანეთის აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი ილია ფალიანი: „მუშტი-კრივში განთქმული, ამპარტავანი, სრულიად განუვითარებელი", „სრულიად უცოდინარი არა თუ მარქსიზმში, არამედ თვით უბრალო ზერელე კომუნისტურ პროგრამაში".

დოკუმენტებში მოტანილია ფაქტები რევკომის წევრების მიერ უფლებების გადამეტების შესახებ: „ჩამორთმეული რევოლვერი გაიყიდა ძროხაში... მთელი მოტანილი საქონლიდან ნახევარი ოსეთში ნაქურდალ ცხენებსა და საქონელში გაჰყიდა" და ა.შ. დუშეთის მაზრის ეაზბეგის რევკომის მდივანი დაიჭირეს ყაჩაღობაში თანამონაწილეობის გამო. სენაკის მაზრის ერთ-ერთი სოფლის რევკომის 6 კაციანმა შემადგენლობამ ჯგუფურად გააუპატიურა კომუნისტი ქალი, რომელიც მაზრის პარტიულმა ორგანიზაციამ კომუნისტური აღმშენებლობის გასაძლიერებლად მიაელინა სოფელში. რევკომის ყველა წევრი დააპატიმრეს.

ბევრ შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლება იძულებული ხდებოდა ფორმალურად გამოესწორებინა თავისი ადგილობრივი ორგანოების უხეში მუშაობის შედეგები: თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ძალაუფლების გადამეტება. მაგალითად, ხონის მაზრაში ჭკუშურის რევკომს მიწა ჩამოუთმეია გერასიმე ჭაეჭავაძისათვის, რაც მისი ოჯახის არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა[15]. ხდებოდა სხვადასხვა გამოგონილი მიზეზით („რევოლუციის საჭიროებისათვის", „ხალხის ბედნიერებისათვის") უკანონო რეკვიზიციები – გამწვევი საქონლის, სახლების, საოჯახო ინვენტარის ჩამორთმევა. 1921 წლის აპრილში შინსახ კომისრის ბ. კვირკველიას ბრძანებით დაისაჯა ბორჩალოს რევკომი იმიტომ, რომ

„რეკომი ახდენს ცხენების და სხვა საქონლის რეკვიზიციას სრულიად უსაფუძვლოდ, რაც იწვევს უკმაყოფილებას"[16].

გასაბჭოებისთანავე ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, მისი მსახურები, მისი კუთვნილი ქონება. მაგალითად, მცხეთის წმ. ნინოს სახელობის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი ნინო ჩიოდა, რომ მონასტრის კუთვნილი მიწები წაართვეს სოფ. ძეგვში (5 დესეტინა მიწა) დაარბიეს სამონასტრო სახლი, გაიტაცეს წიგნები და ავეჯი.[17]

ძალადობაში რეკომებს არ ჩამოუვარდებოდნენ რუსეთის კავკასიის ცალკე არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები. რუსეთის ყოფილი XI არმიის საჯარისო შენაერთები დიდი ხნით დარჩნენ საქართველოში – ამას საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობისაგან, პირველ რიგში გ.კ. ორჯონიკიძისაგან მოითხოვდა ვ. ი .ლენინი: „სრულიად შეუძღებელია მეთერთმეტე არმიის დაბრუნება დამშეულ და გაძარცულ აზერბაიჯანში. მიიღეთ უაღრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმია დატოვებულ იქნეს საქართველოში..."[18].

რუსეთის არმიის მუდმივი ყოფნა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რა თქმა უნდა ოკუპაცია და ანექსიაა, ეს ჩინებულად იცოდნენ კრემლის ლიდერებმა, მაგრამ გამოსაავალი მაღე მოინახა – რუსეთის წითელი არმია – ეს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის მებრძოლი ავანგარდია საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მისი ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე – ეს ქართველი პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ძალაუფლების შენარჩუნების გარანტიაა, მეგობრული დახმარებაა, რათა საქართველოში აშენდეს სოციალისტური საზოგადოება.

იდეოლოგიური უზრუნველყოფა ამ ფაქტს კი პქონდა, მაგრამ რეალობა სულ სხვა იყო. რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები უაღრესად დიდ პრობლემებს უქმნიდნენ საქართველოს კომუნისტურ რეჟიმს. რუსეთი, რომელიც თავისი ისტორიის მანძილზე ყველაზე უფრო მწვავე სასურსათო კრიზისს განიცდიდა, ვერ ახერხებდა კავკასიის არმიის ნორმალურ მომარაგებას. ამიტომაც ჯარის შენახვა საქართველოს დაეკისრა: ოფიცრები განათავსეს თბილისის სასტუმროებში, რომლის ხარჯს საქართველოს ბიუჯეტი ფარაედა, ხოლო ჯარისკაცები – დისლოკაციის ადგილებზე სოფლად, მოსახლეობის ბინებში. ამან გამოიწვია ის, რომ რუსი ჯარისკაცები ხშირად მიმართავდნენ რეკვიზიციას, ართმევდნენ საქონელს, ხორბალს. ქართველი გლეხი ასეთ ეგზეკუციებს ვერ უძლებდა, ამიტომაც ასე ხშირი იყო საჩივრები წითელი არმიის ჯარისკაცთა თუ ოფიცერთა ძალადობაზე. სოფელ გოშიას მცხოვრებლები ჩიოდნენ წითელარმიელებისაგან შევიწროვების გამო[19], ქვემო მაჩხაანის მცხოვრებლები ცალკე კავკასიის არმიის ხელმძღვანელობის ყურადღებას მიაპყრობდნენ ჯარისკაცების მიერ ჩადენილ უკანონობაზე, საქონლის გატაცებაზე[20].

ძველ გაეაზში წითელარმიელთა შტაბი განათავსეს. ჯარი ცხენოსანი იყო და 600 კაცს ითვლიდა. ჯარისკაცები გლეხების ბინებში ჩაასახლეს და გლეხებს ასეთი დიდი რაოდენობა ჯარისკაცების გამოკვებას აიძულებდნენ. მარტო ჯარის ნაწილის ცხენების საკვებში სოფლის მიერ საზამთროთ მოგროვებული მთელი თივა დაიხარჯა, რამაც უდიდესი პრობლემები შეუქმნა სოფელს.

საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას დადგენებულმა რუსეთის სამხედრო ძალებმა მეტეორიეით გადაუქროლეს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს: ქარელში გადაიბუგა ანასტასია ჯანდიერის, ნინო ქიქოძისა და როდამ ბაგრატიონ-დაეითაშვილის მამულები[21]. დიდ ჯიხაიშში არ დაინდეს ნიკო ნიკოლაძის სახლ-კარი[22].

ულირსად იქცეოდა საქართველოში არაერთი რუსი ოფიცერი, რომელიც არ ეპუებოდა, ფორმალურად მაინც დამოუკიდებელი, საბჭოთა საქართველოს კანონებს და იმასაც კი არ კადრულობდა, რომ ელემენტარული სამხედრო სუბორდი-

ნაცია დაეცემა, ქედმაღლობდა, ტეხდა დებოშს[23]. ზოგიერთი კი აშკარად ეალერდა შოვინიზმს, ქართველებისადმი სიძულვილს[24].

ანტიქართული შეხედულებები და გეგმები ჰქონდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ატაშეს საქართველოში გენერალ სიტინს. მან 1921 წელს მოსკოვში გააგზავნა მოხსენება, რომლშიც ის დეტალურად აყალიბებდა საქართველოს დანაწილების საკუთარ გეგმას, უკვე მაშინ აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას ის თვლიდა რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესების გატარების მნიშვნელოვან საშუალებად.[25]

ახალი კომუნისტური ხელისუფლება ცდილობდა ქვეყანაში სტაბილური ვითარება შეექმნა, მაგრამ ამაოდ, რადგან თვით საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, მიუხედავად მისი სიმცირისა, არ იყო მონოლითურობა, შეიმჩნეოდა იდეური დაბნეულობა. მათი ხელისუფლება რუსულ იარაღზე იყო დამყარებული. კელაე ძლიერი იყო პოლიტიკური ოპოზიცია, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგით გამოდიოდა. აქტიურ მოქმედებას განაგრძობდნენ ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც ბრძოლის ლეგალურ და არალეგალურ ფორმებს იყენებდნენ. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა კი ლოიალობა გამოუცხადეს საბჭოთა რეჟიმს, რის გამოც გარკვეული უფლებები მიიღეს – ჰქონდათ საკუთარი გაზეთები, მათი ლიდერები თანამშრომლობდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან, ზოგიერთი მათგანი მოგვიანებით ხელმძღვანელ თანამდებობაზეც აღმოჩნდა.

პრობლემები საბჭოთა სისტემის დამკვიდრების გზაზე. საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში საქართველოში მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება მძიმე იყო. „ჩეკას" აგენტურული ცნობით, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმისადმი „გულგრილი და განუსაზღვრელია. მსხვილი ბურჟუაზია მენშევიკურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად კონტრრევოლუციურად არის განმსჭვალული... მენშევიკები აძლიერებენ და კიდეეაც გააძლიერებენ მუშაობას... არის სახელმწიფო ორგანოები და მნიშვნელოვანი სტრუქტურები, რომლებიც მთლიანად მენშევიკების ხელშია"[26].

ვ. ი. ლენინი თავის სადირექტიო წერილებში ქართველ კომუნისტებს ურჩევდა ბრმად არ გადაეწყვიტათ „რუსული შაბლონი", მაგრამ ქართველ კომუნისტებს არც უცდიათ რაიმე შეეცვალათ, ისინი რკპ (ბ) ერთგული წევრები იყვნენ და უსიტყვოდ ასრულებდნენ მოსკოვის ინსტრუქციებსა და გადაწყვეტილებებს. პრობლემები კი გასაბჭოების პირველ თვეებში უამრავი დაგროვდა: გადაუჭრელი ტერიტორიული პრეტენზიები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, მძიმე სოციალური ფონი, ანტისაბჭოთა პარტიების აქტიურობა, ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის სიძულვილი და სხვა არაერთი პრობლემა მოითხოვდა გადაწყვეტას.

სწორედ გადაუჭრელმა პრობლემებმა აიძულა ამიერკავკასიის ბოლშევიკების ლიდერი გ. კ. ორჯონიკიძე 1921 წლის ცხელ ზაფხულში, რკპ (ბ) ცკკასთან შეუთანხმებლად, ნალჩიკში დასასვენებლად მყოფი ი.ბ. სტალინი თბილისში მოეწვია.

კომუნისტური რუსეთის ერთ-ერთ ლიდერს თბილისში დახვდა პოლიტიკური კრიზისი, რადგან რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელობა სათანადოდ ვერ ატარებდა ცხოვრებაში კრემლის მიზანდასახულობებს, რის გამოც სტალინის წინადადებით ფილიპე მახარაძე გადააყენეს თანამდებობიდან და რევკომს სათავეში ჩაუდგა ბუდუ მდივანი - უფრო „ძლიერი ხელი".

სტალინი დაესწრო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და კავბიუროს სხდომებს, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ზეწოლით საქართველომ მეზობელ ქვეყნებს (თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს) დაუთმო თავისი ისტორიული ტერიტორიები – ლორე, ზაქათალა, კოლა-არტაანი, ართვინი და სხვ. საერთო დანაკარგმა შეადგინა 15 117,54 კვ. კმ., რომელზეც ცხოვრობდა დაახლოებით 262 137 კაცი[27].

1921 წლის 5 ივლისს სახაზინო თეატრში ი.ბ. სტალინი ამიერკავკასიის კომუნისტურ აქტივს შეხვდა და წაიკითხა მოხსენება: „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში", რომლის ძირითადი ლაიტმოტივი იყო – შევინარჩუნოთ საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობა – ასეთია კომუნისტების მორიგი ამოცანა, რომელსაც გვკარნახობს ამ ქვეყნის არსებობის კონკრეტული პირობები"[28].

თუმცა ეს დეკლარირებული განცხადება თავიდანვე ილუზორული იყო, რადგან საბჭოთა საქართველოს მმართველი პარტია, ფაქტობრივად, რკპ (ბ) ორგანული შემადგენელი ნაწილი, მისი დირექტივებით მოქმედი და ფაქტობრივად საოლქო კომიტეტის უფლებებით აღჭურვილ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც მტკიცედ ატარებდა „დემოკრატიული-ცენტრალიზმის" ლენინურ პრინციპებს. რკპ (ბ) სავალდებულო პროგრამული დებულებები მიუთითებდნენ: „რუსეთის კომუნისტური პარტიისა და მის ხელმძღვანელ დაწესებულებათა ყველა გადაწყვეტილება უსათუოდ სავალდებულოა პარტიის ყველა ნაწილისათვის, მიუხედავად მათი ნაციონალური შემადგენლობისა. უკრაინელი, ლიტველი კომუნისტების ცენტრალური კომიტეტები სარგებლობენ პარტიის საოლქო კომიტეტის უფლებებით და საესებით ემორჩილებიან კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს."[29] ამ ფუძემდებლური პრინციპებიდან გამომდინარე საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება აშკარად მარიონეტი იყო კრემლის ხელში.

კომუნისტური სულისკვეთებით და „რუსული შაბლონით" იყო გაჯერებული საქართველოს პირველი საბჭოთა კონსტიტუციაც, რომელიც გადატვირთული იყო კლასობრივი შეზღუდულობის პრინციპებით. პირველ რიგში დაწესებული იყო დისკრიმინაციული საარჩევნო ცენზი. არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებოდა 7 სოციალურ კატეგორიას: პირებს, რომლებიც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას, სამღვდელოებას, ვაჭრებს, კომერციულ შუამავლებს, ყოფილ პოლიციელებს, მეფის მთავრობისა და მენშევიკების ხელისუფლების სპეციალური ქვედანაყოფების თანამშრომლებს, ჟანდარმერიის მუშაკებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს[30].

საარჩევნო სისტემაც მთლიანად რუსულ ყაიდაზე იყო ჩამოყალიბებული, დეპუტატებს ირჩევდნენ ფაბრიკა-ქარხნებში – ეს ითვლებოდა პროლეტარული დემოკრატიის უმაღლეს მიღწევად. ყველაფერი კეთდებოდა, რომ ბოლშევიკების უპირატესობა საგრძნობი ყოფილიყო. მცირე ხნის განმავლობაში მემარცხენე-ფედერალისტების ფრაქციების არსებობა საბჭოებში ამ საბჭოების მიზანმიმართულებას ვერ ცვლიდა. რა თქმა უნდა, პიროვნების თავისუფლების არავითარი გარანტია არ არსებობდა. ამისთვის არ იყო მოწოდებული საბჭოთა სასამართლოც.

დემოკრატიული საქართველოს გაუქმებელი სასამართლო სისტემის ნაცვლად შეიქმნა რუსული შაბლონი – სახალხო სასამართლოები. 1921 წლის ივლისიდან დაიწყო ამ სასამართლოებისათვის მოსამართლეების არჩევნები, რომელიც ჩატარდა ასევე დისკრიმინაციულად, რადგან აქაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს (ზემოთ ნახსენები 7 კატეგორია) არ ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ამასთან, მოსამართლეთა უმრავლესობა იყო არაპროფესიონალი, დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელი და აქტიურად იცავდა კლასობრივი მიდგომის პრინციპებს საქმის წარმოების დროს. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან სოციალისტური საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი 1923 წელს თბილისის მე-4 რაიონის პარტიულ კრებაზე ასე აყალიბებდა საბჭოთა საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის არსს: „მუშური უნდა გახდეს სასამართლო, რაც იმას ნიშნავს რომ როცა მოსამართლის წინაშე დგას ბურჟუა და მუშა, სასამართლომ მუშა უნდა გააამართლოს". როცა შეეკითხნენ, მუშამ რომ ბურჟუას ცოლი გააუპატიუროს, როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლეო, სახალხო კომისარმა უპასუხა – ერთი კი არა, რამდენიმე ბურჟუას ცოლიც რომ გააუპატიუროს, სასამართლომ მუშას კეთილგანწყობა უნდა დაუმტკიცოს და გაამართლოსო[31].

სასამართლოსთან ერთად რუსული შაბლონით შეიქმნა სახალხო მილიცია. 1921 წლის 20 აპრილს განისაზღვრა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დებულება, ხოლო 1922 წლის 20 იანვარს მიიღეს მუშურ-გლეხური მილიციის დებულება. შეიქმნა შრომა-გასწორების ბანაკები, სადაც ათავსებდნენ საბჭოთა სისტემისათვის მიუღებელ პირებს, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ისე საბოტაჟში შემჩნეულებს. შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოს ტრიბუნალები, რომლებსაც უფლება ჰქონდათ გამოეტანათ სასჯელის უმაღლესი ზომა.

სერიოზული სიძნელეები შეხვდა საქართველოში წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნას – საქმე ძლიერ გაჭიანურდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა აზრი, რომ ქართული წითელი არმიის ფორმირებას აფერხებდა გ. კ. ორჯონიკიძე.[32] ახლად გამოვლენილი მასალების საფუძველზე დასტურდება, რომ ამ საქმეს სერიოზულად აფერხებდა რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ლ.დ. ტროცკი[33]. საქართველოში ეროვნული სამხედრო ფორმირებების რეალური შექმნის პროცესი დაიწყო 1923 წლიდან, მანამდე ერთადერთი ანგარიშგასაწევი სამხედრო ძალა რუსეთის ცალკე კავკასიის არმია იყო.

1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების დღესვე შეიქმნა კონტრრევოლუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისია, რომლის დროებით ხელმძღვანელად დაინიშნა რევკომის წევრი ელისაბედაშვილი.[34] ეს იმჟამად ყველაზე ეფექტიანად მომუშავე ორგანიზაცია იყო, სწრაფად შეიქმნა მისი სამაზრო და საქალაქო განყოფილებები, დაკომპლექტდა შტატები. პარალელურად ფუნქციონირებდა ამიერკავკასიის საგანგებო კომისია (ა/კ ფედერაციის შექმნამდე), რომელიც მოლიანად მოსკოეს ემორჩილებოდა. ორ კვირაში ერთხელ ისინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რევკომის ხელმძღვანელობას, ხოლო შემდეგ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს უგზავნიდნენ შემაჯამებელ ცნობებს, რომელშიც მიმოხილული იყო საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება, თვალყურს ადევნებდნენ საზოგადოების თვალსაზრისი წარმომადგენლების, ეკლესიის მოღვაწეების საქმიანეობას. ეს დღეს ჩინებული წყაროა 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის გააზრებისათვის.

ამრიგად, რუსეთმა, ქართველი კომუნისტების დახმარებით 1921 წლის 25 თებერვალს კვლავ დაიბრუნა ბატონობა საქართველოზე და ძალის გამოყენებით დააფუძნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკა.

---

1. Советская историческая энциклопедия, т. 7, 1965, გვ. 527.
2. სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში, თბ., 1938, გვ. 57.
3. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 4.
4. С. Шаумян, соч. М., 1958, გვ. 381.
5. Газ. «Правда», 1918 г. 25 сентября.
6. Газ. «Правда», 1918 г. 14 июня.
7. Государственный архив социально-политической истории РФ (ГАСПИ РФ), ф. 85, оп. 185, д. 7, л. 4.
8. ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 4, გვ. 444.
9. ვ.ი.ლენინი, თხზ, ტ. 24, გვ. 70.
10. ამის შესახებ იხ. ა. დაუშვილი, ლორეს პროვოკაცია. „ანალები", 2005 №2.

11. Революционные комитеты Грузии... Сб. док., Сухуми, 1963, გვ. 123-124.
12. ი. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 416.
13. უ. ბახტაძე, რეკომები საქართველოში, ჟ. „მნათობი", 1960, №12, გვ. 74.
14. კ. წენგუაშვილი, საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია, თბ., 2005, გვ. 34-35.
15. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 285, აღ. 1, ს. 163, ფურც. 57.
16. იქვე, ს. 37, ფურც. 80.
17. იქვე, ს. 163, ფურც. 170.
18. ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 45, გვ. 83.
19. საქართველოს უიცსა, ფ. 285, ს. 133, ფურც. 1.
20. იქვე, ფურც. 5.
21. საქართველოს უიცსა, ფ. 285, ს. 163, ფურც. 213.
22. იქვე. ფურც. 154.
23. იქვე, ფ, 600, ს. 360, ფურც. 235.
24. იქვე, ს. 67, ფურც. 12.
25. გ. გასვიანი, აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში, თბ., 2004, გვ. 309.
26. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, იქვე, ფ. 14. აღ. 1, ს. 37, ფურც. 125, ფურც. 138, ფურც. 152.
27. ციფრები დაჯამებულია ჩვენს მიერ. იხ.: ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1921-1923, თბ., 1999, გვ. 114.
28. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 107.
29. სკკპ... რეზოლუციებში, თბ., 1954, გვ. 565.
30. Революционные комитеты Грузии... Сб. док. Сухуми, 1963, გვ. 129-130.
31. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 13, აღ. 1, ს. 195, ფურც. 83.
32. ე. კუპატაძე, ქართული ეროვნული საჯარისო შენაერთების ისტორია; სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1993, გვ. 18.
33. ГАСПИ РФ, ф.17, оп. 3, д-397, л 5.
34. Революционные комитеты Грузии... Сб. док., Сухуми, 1963, გვ. 71.

საქართველოს ხელმეორე ოკუპაცია და ქართული საზოგადოებრივი აზრი

მასმედიის ბოლშევიკური პრინციპები. სანამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ოპოზიციაში იყო და მეფის ხელისუფლების დამხობას ცდილობდა, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი რადიკალური პოლიტიკური მიმდინარეობა, აღიარებდა ყველა დემოკრატიულ თავისუფლებებს – მათ შორის სიტყვის, პრესის, კავშირების თავისუფლებასაც. ეს მოთხოვნა ხაზგასმულია პარტიის პირველ პროგრამაში, სადაც მოითხოვენ – „სინდისის, **სიტყვის, პრესის,** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) კრებების, გაფიცვების და კავშირების შეუზღუდველ თავისუფლებას".[1]

მაგრამ, როგორც კი ბოლშევიკებმა ხელში აიღეს ძალაუფლება, მათ სასწრაფოდ შეცვალეს დამოკიდებულება „სიტყვის, პრესის თავისუფლების" ზოგად დემოკრატიულ ფასეულობისადმი. რუსეთის პირველ კონსტიტუციაში ხაზგასმულია: „**მშრომელებისათვის** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) თავისი შეხედულებების ჭეშმარიტად თავისუფლად გამოხატვის მიზნით რუსეთის სოციალისტური საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა... უზრუნველყოფს საბჭოთა მოქალაქეების უფლებას თავისუფლად მოაწყოს შეკრებები მიტინგები, მსელელობები და ა.შ. და ამ მიზ-

ნით გადასცემს **მუშათა კლასს და დარიბ გლეხობას** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) შენობებს განათებითა და გათბობით...[2]"

ოქტომბრის გადატრიალების შემდგომ გარკვეულ, მცირე პერიოდში რუსეთში გამოდიოდა მენშევიკების, ესერების და ზოგიერთი სხვა პოლიტიკური პარტიისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის გაზეთი, მაგრამ სამოქალაქო ომის მსვლელობის დროს ბოლშევიკებმა, სადაც კი შეძლეს, ყველგან დახურეს ოპოზიციური პრესა, ხოლო სამოქალაქო ომში გაბარჯვების შემდეგ – რუსეთში ტოტალურად აიკრძალა არაბოლშევიკური მიმართულების გამოცემები. ამ აკრძალვას ბოლშევიკები არ მიიჩნევდნენ პიროვნების თავისუფლების გამოვლენის შეზღუდვად და უკავშირებდნენ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, იმ აპრიორს, რომ ბოლშევიკების გარდა ყველა სხვა სოციალისტური თუ არასოციალისტური პარტია „იმპერიალისტების დაქირავებული აგენტურაა" და მათი არსებობა მშრომელთა ინტერესებისათვის საშიანია. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ სიტყვისა და პრესის თავისუფლების მოთხოვნა რუსეთის საბჭოთა ფედერაციაში, რომელიც მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული მტრებითაა შემოსაზღვრული, იყო ბურჟუაზიის უერთგულესი მსახურების, მენშევიკებისა და ესერების თავისუფლება – „ჩვენ თვითმკვლელობას არ ვაპირებთ, ამიტომაც ამას არ გავაკეთებთ" – წერდა ლენინი.[3]

მაგრამ აკრძალვის მიუხედავად, ოქტომბრის გადატრიალების შემდგომ პირველ ხანებში არალეგალურად რუსეთში ერცელდებოდა ანტიკომუნისტური ლიტერატურაც, პროკლამაციებიც, იმართებოდა მიტინგები, მსვლელობები და ა.შ.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საქართველოში რუსული გამოცდილება ყველა ფორმით გადმოინერგა. 1921 წელს ოკუპირებულ საქართველოში ნება დართეს საკუთარი გაზეთი ჰქონოდა ოპოზიციურ პარტიებს, მაგრამ მცირე ხნით(სოციალისტ-რევოლუციონერებს,სოციალისტ-ფედერალისტებს). შედარებით უფრო თავისუფლად მოქმედებდნენ კომუნისტებთან ალიანსში მყოფი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტია და მისი გაზეთები. რომ არ დაეკარგა კონტროლი ქვეყანაში არსებულ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებზე, 1922 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ ლიტერატურისა და გამომცემლობების მთავარი მმართველობა, რომლის მიზანი იყო „ყველა გამოსაქვეყნებლად და გასაერცელებლად დანიშნული ნაწარმოების, როგორც ხელნაწერის, ისე დაბეჭდილის წინასწარი განხილვა".[4] ეს ფაქტობრივად უკვე იყო ცენზურა. ყველა სამაზრო კომიტეტის განათლების განყოფილებასთან შეიქმნა ამ სამმართველოს ადგილობრივი ორგანიზაცია.

საბჭოთა ბოლშევიკური ისტორიოგრაფია გაგებით ეკიდებოდა საბჭოთა ცენზურას, პრესის თავისუფლების შელახვას. საბჭოთა ისტორიკოსები ამ პროცესს ასე ხსნიდნენ: „ადგილი ჰქონდა გაუმართავი, იდეურად სუსტი ნაწარმოებების გამოცემას, რომლებიც არასწორად აშუქებდნენ საბჭოთა სინამდვილეს".[5]

მიუხედავად სიმკაცრისა, ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს თავისუფალი ინფორმაციის არალეგალური საშუალებებით (პროკლამაციები, სპეციალური ბროშურები) გავრცელების სრული აკრძალვა. მართალია, მათი შესაძლებლობები ყოველთვის შესაბამისი იყო, მათ დევნიდა კომუნისტური რეჟიმის სპეცსამსახური. ხშირად ხდებოდა ამ ლიტერატურის კონფისკაცია.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში კომუნისტური ხელისუფლება ჯერ კიდევ ცდილობდა გარეგნულად შეენარჩუნებინა ზოგად დემოკრატიული პრინციპების მოჩვენებითი თავისუფლება და გარკვეულ ასპარეზს აძლევდა თავის ოპონენტებს გამოეყენებინათ სიტყვისა და შეკრებების თავისუფლება.

ბრძოლა სიტყვის თავისუფლებისათვის. 1921 წლის 10 აპრილს სახელმწიფო თეატრში შეიკრიბნენ ძალაუფლებას ძალით ჩამოცილებული ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები). კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში დაუფარავად არის შეფასებული კომუნისტური რუსეთის აგრესია: „საქართველოს დემოკ-

რატიული რესპუბლიკის საზღვრებში შემოიჭრა უცხო ქვეყნის არმია, რომელმაც ბრძოლით დაიკავა რესპუბლიკის მთელი ტერიტორია ფოილოდან შაე ზღვამდე და დაამყარა რეკომების ძალაუფლება".[6]

ამ განცხადებით ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად არის შეფასებული კომუნისტური რუსეთის ქმედება – ძალადობრივი ოკუპაციის ფაქტი.

მაგრამ რეზოლუციის შემდგომი ნაწილი, უკვე შემრიგებლურია. იმის ნაცვლად, რომ მოითხოვონ რუსეთის ჯარის მიერ საქართველოს ფარგლების უპირობო დატოვება, რეზოლუციაში ნათქვამია: 1. რამდენადაც საქართველოს რეკომი აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას და მისი პოლიტიკა მიმართული იქნება საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის განვითარება-განმტკიცებისაკენ; 2. რომ ის მზადაა შექმნას საქართველოს წითელი არმია; 3. რომ ახლო მომავალში მშრომელ მასებს მისცემს თავისუფალი არჩევნების უფლებას; 4. რომ საქართველოში არსებულ სოციალისტურ პარტიებს ექნებათ თავისუფალი ფუნქციონირების უფლება და ა.შ. და ა.შ., მაშინ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური ხაზი იქნებოდა „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ".[7]

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ანტიკომუნისტურ რეზოლუციებთან ერთად აქტიურობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თეალსაჩინო წარმომადგენლებიც. შემორჩენილია მათი ნააზრევი, რომელშიც დაგმობილია საბჭოთა რუსეთის აშკარა აგრესია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია გრ. ლორთქიფანიძის[8], დამფუძნებელი კრების წევრის მუშა ანდრო ჭიაბრიშვილის[9] და სხვათა შეხედულებები.

ა. ჭიაბრიშვილმა 1923 წელს, პატიმრობიდან, სამი წერილი გაუგზავნა ლ. ტროცკის, რომელშიც გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ახალ ოკუპაციას. საინტერესოა ა. ჭიაბრიშვილის მიერ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების შეფასება: „საბჭოთა საქართველოს პერიოდი ეს ოკუპაციაა კოლოსალური ეროვნული ჩაგვრით, რაც განპირობებულია ახალი ხელისუფლების არა სუბიექტური სურვილებით, არამედ მისი ობიექტური მდგომარეობით. ახალ ხელისუფლებას არ შეუძლია იყოს ეროვნული. მისი პირველყოფითი ცოდვაა ასეთი. რეკომიც და სახკომსაბჭოც ქართულია, მაგრამ ისინი არაქართველები არიან, რადგან საბჭოთა ხელისუფლებას წარმოადგენენ. ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ მოსახლეობის სურვილის წინააღმდეგ, ამიტომაც მათ მხარს მხოლოდ მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობანი უჭერდნენ".[10]

ამ წერილებში არის პოლიტიკური რჩევებიც – ბოლშევიკებმა ბოლომდე უნდა დაიცვან საქართველოს დამოუკიდებლობა, შექმნან ეროვნული საჯარისო ფორმირებები. ხაზგასმულია, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია არის ფიქცია და სინამდვილეში მოსკოვის პოლიტიკა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" აღდგენას ითვალისწინებს და ა.შ. და ა.შ.

თუმცა საქართველოში იყვნენ შეურიგებელი ოპოზიციის წარმომადგენლებიც – ეროვნულ-დემოკრატები. მართალია, მათთვის მიუღებელი იყო არალეგალური მუშაობა და თავის წევრებს კიდევაც მოუწოდეს – თავი შეეკავებინათ ბრძოლის არალეგალური ფორმებისაგან, მაგრამ პარტიის ერთი ნაწილი მაინც არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდული ძალა გახდა.[11]

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის, ბათუმში გამართული, სხდომაზე გადაწყდა არ გახიზნულიყვნენ უცხოეთში, დარჩენილიყვნენ საქართველოში და ქართველი ერის ხვედრი ბოლომდე გაეზიარებინათ.[12]

როგორც მიუთითებენ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აღიარებულმა ლიდერმა ს. კედიამ ბათუმშივე შეერია პარტიის ერთგული მხედრიონის წარმომადგენლები, თვალსაჩინო მხედართუფროსები და შესთავაზა მათ პარტიზანულ დაჯგუფებების შექმნასთან ერთად, არ მორიდებოდნენ საბჭოთა ჯარში სამსახურს, რათა შიგნიდან აეფეთქებინათ საბჭოთა სტრუქტურები.[13]

ეს მოსაზრება გაიზიარეს და, როგორც ჩვენი ბოლო დროის გამოკვლევები ადასტურებენ, საბჭოთა სამხედრო სტრუქტურებში ძალიან ბევრი პატრიოტი ოფიცერი იყო გაერთიანებული, მათგან ზოგიერთი იყო თავადაზნაურთა წრიდანაც. თუმცა ეროვნული ძალების იმედი – საბჭოთა სტრუქტურების შიგნიდან აფეთქება – ვერ გამართლდა, კოლონიალური რეჟიმისადმი მიცემულმა (თუნდაც არა გულწრფელმა) სამხედრო ფიცმა კი საბჭოთა ხელმძღვანელობას შეუქმნა იურიდიული საფუძველი ეჭვმიტანილი საბჭოთა ოფიცრობა ფიზიკურად გაენადგურებინა.[14]

განსხვავებული პოზიცია დაიკავა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ. 1921 წლის 27 თებერვალს შედგა დროებითი მთავარი კომიტეტის სხდომა, რომელმაც მიღებული რეზოლუციით მხარი დაუჭირა საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან თანამშრომლობა დაიწყო.[15]

მაგრამ მიუხედავად ამ მხარდაჭერისა, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს მაინც ჰქონდათ განსხვავებული აზრი საბჭოთა პოლიტიკის რიგ, ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხისადმი, განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის, ეროვნული საჯარისო ფორმირებებთან დაკავშირებით და ა.შ. ეს ორჭოფული დამოკიდებულება კარგად ჩანს კ. გამსახურდიას ღია წერილში, რომელიც მან ე. ი. ლენინს გაუგზავნა და სადაც მწერალმა, ერთი მხრივ, დაგმო რომ „წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტი სახელმწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები, რკინის გზა და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში სახელმწიფო ენა აღარ არის...“ და მეორე მხრივ, გაგებით მოეკიდა იმას, რომ „ღღვევანდელი რუსეთი უფრო დიდი მასშტაბით აწარმოებს მსოფლიოს პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანთა რკალში საქართველოს აკისრებს საკმაოდ რთულ მოვალეობას. საქართველო და ტფილისი უნდათ იმ ოპერაციების ბაზად გახადონ, რომელსაც აღმოსავლეთის გაკომუნისტების პოლიტიკა მოითხოვს“.[16]

საბჭოთა ხელისუფლებას მხარი დაუჭირეს ქართველმა მემარცხენე ესერებმაც.

შეუერიგებელი დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისადმი ქართველ ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს, პედაგოგებს, ინტელიგენციის ნაწილს, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას.

ქართველმა სტუდენტებმა, საქართველოს ოკუპაციისთანავე, მონაწილეობა მიიღეს ანტისაბჭოთა მიტინგებსა და თუ მსვლელობებში, დაბეჭდეს და გაავრცელეს არა ერთი არალეგალური ფურცელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა 1921 წელს გამოაქვეყნა უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიმართული ხელისუფლების პოლიტიკის საპროტესტო ფურცელი, სადაც მიუთითა: „გასული 25 თებერვლის შემდეგ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა ტლანქად გაითელა უცხო უხეში ძალის მიერ, ქართველ ერს დაუდგა მძიმე სამგლოვიარო დღეები“.[17]

ქართველი ახალგაზრდების ერთი ჯგუფის შეხედულებებია გამოხატული ახალგაზრდა მარქსისტთა მიერ გავრცელებულ პროკლამაციაში, რომელიც 1922 წლის 26 მაისის ზეიმის დღეებში დაიბეჭდა: „ჩვენ მტკიცე და შეურყეველ ბრძოლას ვაწარმოებთ, მთელ ქართველ ერთან ერთად, ოკუპანტების წინააღმდეგ, რადგან ჩვენ გვწამს, რომ ბრძოლა საქართველოსათვის, მისი დამოუკიდებლობისათვის, ამავ დროულად არის ბრძოლა სოციალიზმისათვის“.[18]

ქართველი პედაგოგებიც უარყოფითად შეხვდნენ საბჭოთა ოკუპაციას, რაც გამოვლინდა მათ გამოსვლებში, საპროტესტო წერილებში და ა.შ.

1922 წლის დასაწყისში მოსკოვის კომუნისტური ხელისუფლება გენუის საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენციისათვის ემზადებოდა. ამ დროს გენუის საერთაშორისო კონფერენციას, ქართველი ხალხის სახელით, მემორანდუმი გაუგზავნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაიამ), სადაც ნათქვამი იყო: „ოკუპანტები, მართალია ლამობენ შინ და გარეთ ყველანი

დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ეუწყის მე". საქართველოს სულიერი მამა მოითხოვდა: „დაუყოვნებლივ გაეგანილ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ დაცულ იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს ისეთი ფორმები სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება".[19]

საბჭოთა ხელისუფლებამ არ აპატია პატრიარქს ხალხისა და ქვეყნის სიყვარული. ცოტა მოგვიანებით, 1924 წლის მარტში, როცა თბილისში პატრიარქის შეურაცხმყოფელი უკანონო სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, რკპ (ბ) პოლიტბიურომ განიხილა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ლომინაძის 13 მარტის დეპეშა. სამწუხაროდ ამ დეპეშას ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ ვერც თბილისში და ვერც მოსკოვის არქივსაცავებში. თუმცა პოლიტბიუროს დადგენილების ტონი და შინაარსი მიანიშნებს, რომ ის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მომავალ ბედს ეხებოდა და საბჭოთა საქართველოს კომუნისტი ხელმძღვანელები მოსკოვს უთანხმებდნენ უზენაესი სასამართლოში მიმდინარე პროცესის განაჩენს.

რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ ი. ბ. სტალინის ჩარევით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით მიიღო შემდეგი ვერდიქტი: „პატრიარქ ამბროსის და საქართველოს სხვა სასულიერო წევრების მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის (უნდა ვიეარაუდოთ, რომ ბ. ლომინაძის დეპეშა სწორედ ამაზე თანხმობას ითხოვდა – ა.დ.), უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით. გთავაზობთ: 1.სასჯელის გამოტანისას შემოიფარგლეთ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით; 2. ყველა არსებული მასალა ეგზარქოს ამბროსის და სხვა სასულიერო პირების კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ გამოიყენეთ სპეციალურად ორგანიზებულ კამპანიის დროს პრესაში, რადიოში, განსაკუთრებით სოფლად და ა.შ".[20]

ამრიგად, აშკარაა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთის ახალი ოკუპაციისადმი , რამაც ძალიან მალე (1923 წლიდან) ეკლესიის მიმართ ლაგამამოუდებელი ძალადობა გამოიწვია. საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ ახალისებდა ქართული ეკლესიის შიგნით განხეთქილებას და ე.წ. „განახლების მოძრაობას", რამაც დამატებითი პრობლემები გაუჩინა ისედაც შეჭირვებულ ქართულ სამოციქულო ეკლესიას.

საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ძირითადი ნაწილი რომ ძლიერ უარყოფითად აფასებდა რუსეთის მხრიდან საქართველოს ხელახალ ოკუპაციას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობას, ეს კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ მარტო საპროტესტო წერილებით, რეზოლუციებით და პროკლამაციებით როდი იცოდა. საქართველოსა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის აგენტურა საკმაოდ ინფორმირებული იყო საზოგადოება'ში არსებული ანტიკომუნისტური განწყობილებების შესახებ და ამ ინფორმაციას დროულად აწვდიდა სათანადო ინსტანციებს. მაგალითად, უკვე ოკუპაციის პირველ თვეებ'ში დაფიქსირდა შემდეგი: „საშუალო ფენების დამოკიდებულება რევოლუციისადმი გულგრილი და მიუღებელია... ცდილობენ არ იცხოვრონ პოლიტიკით, მათთვის მთავარია ბევრი ფულის შოვნა, სულ ერთია რა გზით, რა საშუალებით. მსხვილი ბურჟუაზია მენშევიკურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად, კონტრრევოლუციურად არის განწყობილი. თუმცა გარეგნულად თავი ასე უჭირავს „Тише воды, ниже травы".[21]

აგენტურის ერთ-ერთ ანგარიშში მითითებულია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის ანტიკომუნისტურ შეხედულებებზეც. მას უთქვამს,

რომ „ბოლშევიკები – ეს თავაწყვეტილი მასაა, რომელშიც არ არის წესრიგი. ბოლშევიკები ვერანაირ წესრიგს ვერ შექმნიან – ეს თავაწყვეტილი გლეხუჭებია. დაე თვითონ შექმნან კულტურული მუშაობა, ხოლო ჩვენ მათ არ დავეხმარებით".[22]

„ჩეკას" აგენტები განსაკუთრებით ეჭვის თვალით უყურებდნენ და თვალს არ აშორებდნენ ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელებს, სამხედრო ინტელიგენციას, სოციალ-დემოკრატებს, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებს, ეროვნულ-დემოკრატებს. მათ სდევნიდნენ. ხშირად აპატიმრებდნენ. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი სეით დევდარიანი, რომელიც საქართველოში დარჩა და ცდილობდა გამოეყენებინა საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში ლეგალური მუშაობის შესაძლებლობები, 1921 წლის აპრილში სამტრედია-ხონის გზაზე გაანირეს. სასოფლო რევკომის თანამშრომლებმა ის გაჩხრიკეს, აღმოუჩინეს 6,5 მილიონი მანეთი და დააპატიმრეს. ჩაითვალა, რომ ეს თანხა მას სჭირდებოდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის გასაძლიერებლად.[23]

სეით დევდარიანის პოლიტიკური ფიგურა სხვამხრივაც არის საინტერესო. მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, სტალინის ფონდში მივაკვლიეთ ს. ორჯონიკიძისადმი გამოგზავნილ სტალინის საიდუმლო დეპეშას, რომლის შინაარსი მთლიანად სეით დევდარიანს ეხება და წერილის ავტორის კრიტიკულ შეფასებას შეიცავს: „შენ მეკითხები მე აზრს დევდარიანზე, აი ის -1) დევდარიანი, როგორც ჩანს, „სოციალისტისესკი ვესტნიკის" რედაქციის იმ ნაწილის თვალსაზრისზე დგას, რომელსაც სათაევში უდგას დანი, რომელმაც სულ ახლახან განაცხადა საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში ლეგალური ოპოზიციის იდეა. მენშევიკების ამ ნაწილს იმედი აქვს გახრწნას საბჭოთა ხელისუფლება ლეგალური ოპოზიციის საშუალებით და ფიქრობს ამავე მიზნით, დრო და დრო, თავის საქმიანობაში ბლოკი შეკრას ჩვენი პარტიის მემარცხენე და გლეხობის ოპოზიციურად განწყობილ ელემენტებთან, იმ მიზნით, რომ შემდეგ შეამზადონ პირობები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ დევდარიანი ამ პოზიციაზე დგას. 2) მე ეჭვიც არ მეპარება, რომ დევდარიანი და მისი ჯგუფი მენშევიზმის ყველაზე მავნე ელემენტია რუსეთში, განსაკუთრებით ახლა, ნეპის პირობებში. ჩემი რჩევაა – გამოიყენეთ დევდარიანი მოკლე ხნის მანძილზე, რათა გახრწნათ მენშევიკი მუშები, თუკი ასეთი ჯერ კიდევ დარჩა საქართველოში, ხოლო შემდეგ მოისროლეთ ის საზღვარგარეთ, აუცილებლად მოისროლეთ."[24]

ამ ამონარიდში აშკარაა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელების დამოკიდებულება თავისუფალი სიტყვის მიმართ – მათ ის კუდშეკვეცილი, მოჩვენებითი დემოკრატიაც არ მოსწონთ, თუ საქმე ეხება კომუნისტური რეჟიმის პოლიტიკური ძლიერების ურყევობისათვის საფრთხის შექმნას.

რა თქმა უნდა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები და რიგითი წევრები რუსეთის აგრესიას და ოკუპაციას „ინტერნაციონალურ დახმარებად", პროლეტარული სოლიდარობის გრძნობის გამოვლენად თვლიდნენ. მათ თანაუგრძნობდნენ ის პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური ძალები, რომლებიც თავიდანვე უარყოფითად შეხედნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას და საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციას.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების სასტიკად ჩახშობის, ანტიკომუნისტური პარტიების ლიკვიდაციის, პროლეტარიატის (წაიკითხე: საკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის) დიქტატურის განმტკიცების პარალელურად საქართველოს საზოგადოებრივი აზრი 1921 წლის თებერვლის მოვლენებს ოფიციალური პოზიციებიდან უდგებოდა, თუმცა ინტელიგენციის დიდ ნაწილში ფარულად მაინც დარჩა მტკიცე რწმენა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორე ოკუპაციის უსამართლობის შესახებ.

ამ და მომდევნო წლებში მხოლოდ დასავლეთ ევროპაში გახიზნული ქართული პოლიტიკური ელიტა განაგრძობდა ურყევად იმის მტკიცებას, რომ საბჭო-

თა რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია 1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. თუმცა საზღვარგარეთაც იყო მეტად საინტერესო შეხედულებები და მოსაზრებები, რომლებმაც უდიდესი მნიშვნელობა შეინარჩუნეს თანამედროვე პირობებშიც კი. მაგალითად, მიგეაჩნია მეტად საყურადღებოდ ცნობილი სოციალ-დემოკრატის ირაკლი წერეთლის შემდეგი შეფასება, რაც მან გააკეთა 1925 წელს პარიზში სოციალ-დემოკრატების შეხვედრაზე და სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას შეეხება: „ქართველმა ხალხმა უნდა კარგად შეაფასოს, თუ როგორ ეპყრობა მას ევროპა და ის როლიც, რასაც ასრულებს მის ცხოვრებაში რუსეთი... თუ კი საქართველო ააშენებს თავის პოლიტიკას ასეთი კონფლიქტების შესაძლებლობებზე (იგულისხმება რუსეთის შესაძლო კონფლიქტები მეზობლებთან – ა.დ.), თუ კი ის რუსეთს მისცემს საფუძველს, რომ რუსეთის ყოველი საგარეო პოლიტიკური გართულების შემთხვევაში საქართველო მას დაუპირისპირებს ხრიკებს, ეს აამხედრებს საქართველოს წინააღმდეგ არა მარტო ბოლშევიკურ, არამედ ყოველგვარ რუსეთს და ვინ იცის როგორ ბედს განუმზადებს საქართველოს ასეთი პოლიტიკა. ევროპა კი ასეთ პოლიტიკას აეანტურისტულად ჩათვლის."[25]

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საზოგადოებრიობამ (არაკომუნისტურმა) 1921 წლის 25 თებერვლის აქცია რუსეთის მხრიდან საქართველოს ახალ ოკუპაციად აღიქვა. ქართველი მოსახლეობის თვალსაზრისს გამოხატავდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურები, ანტიკომუნისტური პარტიების ლიდერები, ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, პედაგოგები, ახალგაზრდა თაობა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ, ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცების კვალდაკვალ, რუსეთის მიერ საქართველოს კომუნისტურ ანექსიაზე საქართველოში მხოლოდ არალეგალურად საუბრობდნენ.

---

1. სკკპ... რეზოლუციებში, თბ., 1954, გვ. 1.
2. Образование Союза Советских Социалистических Республик, сб. док. М., 1972, გვ. 45
3. В.И. Ленин, ПСС. т. 44, გვ. 79.
4. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, ს. 43, ფურც. 241.
5. ს. ბაბუნაშვილი, კულტურული მშენებლობა საქართველოში აღდგენით პერიოდში (1921-1925 წწ.), თბ., 1955, გვ. 57.
6. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 37, ფურც. 37.
7. იქვე.
8. ამის შესახებ დეტალურად იხ.: ა. ბენდიანიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველოზე" და ბრძოლა საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, თბ., 2007.
9. ამის შესახებ დეტალურად იხ.: კ. წენგუაშვილი საბჭოთა პოლიტპატიმრის წერილები ლ. ტროცკის, „ანალები", 2005, №2.
10. იქვე, გვ. 68.
11. ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 411-412.
12. ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია, თბ., 2002, გვ. 148.
13. იქვე, 149.

14. ამის შესახებ დეტალურად იხ.: ა. დაუშვილი, ქართული საბჭოთა საჯარისო ფორმირების შექმნის ისტორიისათვის (ხელნაწერი), გვ. 5.
15. ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია, 1921-1923, თბ., 1999, გვ. 377.
16. კ. გამსახურდია, ღია წერილი ვ.ი.ლენინს, იხ. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 419-420.
17. ვ. ნარიმანიძე, 1922 წლის 26 მაისის დღესასწაული თბილისში, საისტორიო ალმანახი „ალი", თბ., 2003, №19, გვ. 151.
18. იქვე.
19. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1953, თბ., 2001, გვ. 68.
20. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. №3, д. 426, л. 78.
21. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 1, ფურც. 9.
22. სუიცსა, ფ. 281, აღ. 2, ს. 17, ფურც. 5.
23. გაზ. „კომუნისტი", 1921, 14 აპრილი.
24. ГАСПИ РФ, ф. 558, оп. 11, д. 32, л. 45.
25. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 28, ფურც. 268.

საბჭოთა ინტერნაციონალისტური სახელმწიფო პოლიტიკა კოლონიალიზმის ელემენტებით

ეროვნული საკითხის მოწესრიგების რუსულ-კომუნისტური გამოცდილება. რუსეთის სოციალ-დემოკრატია თავიდანვე უნიტარული სახელმწიფოს მომხრე იყო. ოქტომბრის გადატრიალებამდე ლენინი პრინციპულად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც კი რაიმე ფორმით ცდილობდა საკუთარი ერის პროლეტარიატისათვის (მაგალითად, ბუნდი), ან საკუთარი ქვეყნისათვის რაიმე გამორჩეული უფლება მოეპოვებინა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. ლენინი საჯაროდ აცხადებდა: „სოციალიზმის მიზანია არა მარტო მოსპოს წვრილ სახელმწიფოებად ქაცობრიობის დაქსაქსულობა და ერთა ყოველგვარი განცალკევება, არა მარტო დააახლოოს ერები, არამედ მათი შერწყმაც მოახდინოს".[1]

მოგვიანებით ვ. ი. ლენინმა და ბოლშევიკებმა შეცვალეს ეს კატეგორიული მოთხოვნა და 1913 წელს, ი.ბ. სტალინმა, ლენინის დასტურით, თავის საპროგრამო ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" წამოაყენა და დაიცვა საოლქო ავტონომიის მოთხოვნა, როგორც აუცილებელი პუნქტი ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში.[2]

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ეროვნული პრობლემების განსაკუთრებულმა გამძაფრებამ ვ.ი.ლენინი და ბოლშევიკები მიიყვანა სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის აუცილებლობის აღიარებამდე. მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ პარტიულ დოკუმენტებში იქვე იყო გაცხადებული: „პარტია აყენებს როგორც ერთ-ერთ გარდამავალ ფორმას **სრული ერთიანობის** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) გზაზე საბჭოთა ტიპის მიხედვით მოწყობილ სახელმწიფოების ფედერაციულ გაერთიანებას".[3]

ამრიგად, სრული ერთიანობის გზა – გულისხმობს უნიტარულ სახელმწიფო გაერთიანებას მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, როცა ფედერალიზმი არის მხოლოდ „ფირნიში" და არა ფაქტობრივი ფედერაციული ურთიერთობა. ფედერაციის, როგორც სახელმწიფო ფორმის მნიშვნელობა კიდევ უფრო კნინდებოდა რუსეთში რეალური პარტიული (კომუნისტური) ურთიერთობებით, რომელიც საბჭოთა კომუნისტურ სახელმწიფოში თავიდანვე უზენაესი იყო, გულისხმობდა ცენტრისაღმი რეგიონალური ერთეულების ხელმძღვანელი პარტიუ-

ლი ორგანიზაციების უპირობო, უსიტყვო დამორჩილებას. ჯერ კიდევ 1919 წელს რკპ (ბ) III ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის მითითებული: „რუსეთის კომუნისტური პარტიისა და მის ხელმძღვანელ დაწესებულებათა ყველა გადაწყვეტილება უსათუოდ სავალდებულოა პარტიის ყველა ნაწილისათვის, მიუხედავად მათი ნაციონალური შემადგენლობისა. უკრაინელი, ლიტველი (იმ დროს ლიტვა იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა – ა.დ.) კომუნისტების ცენტრალური კომიტეტები სარგებლობენ პარტიის საოლქო კომიტეტის უფლებით და საკუთარი ემორჩილებიან კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს".[4]

ამრიგად, ამ შემთხვევაში ჩინებულად ჩანს, რომ ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ტერმინის შინაარსს – შეიძლება მისთვის ცენტრალური კომიტეტი გეწოდებინა, მაგრამ იგულისხმებოდა – საოლქო კომიტეტი, აქედან გამომდინარე, შეიძლება რესპუბლიკისთვისაც „დამოუკიდებელი" ეწოდებინათ, მაგრამ იგულისხმებოდა ოლქი ან ავტონომია. კომუნისტურ სახელმწიფოში, სადაც პარტიას თავიდანვე უზურპირებული ჰქონდა სახელმწიფო ძალაუფლება და პარტიის ცკ პოლიტბიურო წყვეტდა ყველა ძირითად თუ მეათეხარისხოვან საკითხს, ასეთი ვითარება სრულიად ლოგიკური ჩანს.

1920 წლის დეკემბერში – უკრაინასთან, 1921 წლის იანვარში ბელორუსიასთან საბჭოთა რუსეთმა გააფორმა სამოკავშირეო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება. ეს დოკუმენტები ითვალისწინებდნენ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების 7 უმნიშვნელოვანესი დარგის: სამხედრო და საზღვაო საქმის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, საგარეო ვაჭრობის, ფინანსების, შრომის, მიმოსელის გზების, ფოსტის, ტელეგრაფის მოსკოვისადმი უსიტყვო მორჩილებას.[5]

ამრიგად, საბჭოთა რუსეთს „დამოუკიდებელ და სუვერენულ საბჭოთა რესპუბლიკების" მიმართ ფაქტობრივად სუზერენის მდგომარეობა ჰქონდა და ეს ვითარება არავისში (კომუნისტებში, რა თქმა უნდა) არ იწვევდა გაკვირვებას.

საქართველოს ძალდატანებით „გასაბჭოების" შემდეგ საქართველოც იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაშიც სხვა დანარჩენი რესპუბლიკები: ფაქტობრივად მთლიანად დაექვემდებარა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს, რადგან საქართველოს კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ორგანული, შემადგენელი ნაწილი იყო რუსეთის კომპარტიისა და მის დირექტივებს უსიტყვოდ ასრულებდა.

ჩვენ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს 1921 წლის 5 იელისს თბილისის სახაზინო თეატრში პარტიული აქტივის წინაშე ი. ბ. სტალინის საზეიმო განცხადებამ: „შევინარჩუნოთ საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობა – ასეთია კომუნისტების მორიგი ამოცანა, რომელსაც გვაკარნახობს ამ ქვეყნის არსებობის კონკრეტული პირობები".[6]

ეს განცხადება ეწინააღმდეგება ყველაფერ იმას, რაც კეთდებოდა საქართველოს გასაბჭოებისთანავე და ასე რელიეფურად აისახა ვ.ი.ლენინის მიერ საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებში გამოგზავნილ წერილებსა თუ ცირკულარებში. 1921 წლის 18 აპრილს ს. ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ წერილში ის მიუთითებდა: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების შესახებ, რისი პროექტიც მუშავდება".[7]

აშკარაა, რომ არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოწყობის საკითხები მოსკოვში მუშავდებოდა. ვ. ი. ლენინსვე ეკუთვნის ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეაც[8], რომლის რეალიზაციაც ამიერკავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოებისთანავე დაიწყო და ეფუძნებოდა შემდეგ მოსაზრებებს: ეკონომიკურად ეროგვაროვანი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცალ-ცალკე არსებობა მიზანშეუწონელი იყო; ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტოპოგრაფიული ერთიანობა მოითხოვდა ამას; ა/კ ფედერაციის შექმნის აუცილებლობას აპირობებდა რთული საერთაშორისო ვითარება; ა/კ შემოსაზღვრული იყო ბურჟუაზიული სახელმწიფოებით, რომლებიც საფრთხეს უქ-

მნიდნენ სოციალიზმის მშენებლობას; ა/კ სახელმწიფოების გაერთიანება მმართველობის ხარჯებს შეამცირებდა; ა/კ ფედერაცია რეგიონში ეროვნულ მშვიდობიანობას უზრუნველყოფდა და ა.შ.[9]

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს უამრავი გამოკვლევა, რომელთა ავტორები ამტკიცებდნენ ამიერკავკასიის სახელმწიფოების გაერთიანების მიზანშეწონილობას და მის დადებით მნიშვნელობას (ი. კაჭარავა, ე. ესაია'შვილი, უ. სიდამონიძე და სხვ.), რაც საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდეგ რადიკალურად უარყოფითი შეხედულებით შეიცვალა (ლ. თოიძე, ფ. ლომაშვილი, შ. ვადაჭკორია, ვ. გურული და სხვ.).[10]

XXI საუკუნეში, როცა უკვე გვაქვს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ფორმირების გამოცდილება, როცა ცნობილია, როგორ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, წამყვანი ეკონომიკური დარგების გაერთიანების საფუძველზე ჩამოყალიბდა ძლიერი და მობილური ახალი ევროპა, როგორ თანდათან, აუღელვებლად დათმეს ევროპის დიდმა და ტრადიციულმა სახელმწიფოებმა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ატრიბუტიკა: საზღვრები, შლაგბაუმები და საბაჟოები და ბოლოს – ეროვნული ვალუტაც კი, აღარ უნდა გვიკვირდეს XX საუკუნის 20-იანი წლების კომუნისტების ფორსირებული სურვილი, მსოფლიო პროლეტარული რესპუბლიკის მშენებლობის გზაზე, პირველად ჯერ რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების გაერთიანებით დაეწყოთ ერთიანი, მონოლითური, ცენტრალიზებული მსოფლიო პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობა. საამისოდ მათი მთავარი არგუმენტი – საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო პროლეტარიატის ერთობლივი ბრძოლა, ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევი არგუმენტი იყო.

„ნაციონალ-უკლონიზმი“ საქართველოში. დღეს ახალ ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება, რომ ქართველი კომუნისტების ერთი ჯგუფი (საქ. კპ (ბ) ცკ 1921-1922 წლების შემადგენლობა) შეეწინააღმდეგა სტალინისა და ორჯონიკიძის მიერ ა/კ, საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების ფორსირებულ ტემპებს, პოლიტიკური თვალსაზრისით ნაადრევად ჩათვალა ის და მოითხოვა „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის“ შენარჩუნება, რის გამო მათ „კომუნისტი-პატრიოტების“ ზედწოდებაც კი დაიმსახურეს.[11]

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა, რომელიც შეეწინააღმდეგა ა/კ ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის შექმნის სტალინურ პროექტს – ფაქტობრივად იმ პირებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში კრემლის ფაქტიური აგენტურა იყო ამიერკავკასიასა და თბილისში, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას რუსეთთან ტრადიციული ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაწყვეტაში ადანაშაულებდა, რომელმაც შემოიყვანა საქართველოში რუსეთის XI არმია. ეს ადამიანები საქართველოს გასაბჭოებამდე სწორედ სერგო ორჯონიკიძის საშუალებით ამყარებდნენ ლენინთან და სტალინთან კავშირს (ამაზე მიუთითებს მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივის ს. ორჯონიკიძის ფონდში დაცული მათი პირადი დეპეშები) და მის უპირატესობას აღიარებდნენ. მაგრამ სერგო ორჯონიკიძის თბილისში დამკვიდრების შემდეგ ძალიან მალე მათ შორის დაძაბულობამ იჩინა თავი, რაც სერიოზულ კონფრონტაციაში გადაიზარდა: საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში წარმოიშვა „ნაციონალ-უკლონიზმი“ (ბ. მდივანი, ფ. მახარაძე, კ. ციხაძე, ლ. დუმბაძე და სხვ.) – ე.ი. დაჯგუფება ადამიანების, რომლებსაც ნაჩქარევად მიაჩნდათ მრავალეროვანი სახელმწიფოს ფორმირების პროცესი.

"ნაციონალ-უკლონისტები" მოითხოვდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებას (რაც შეიქმნა 1922 წელს), თვლიდნენ მას ზედმეტ რგოლად, მოითხოვდნენ „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებას“ (თუმცა ისინი არ მოითხოვდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დიქტატის მოსპობას).

„ნაციონალ-უკლონისტები“ თელიდნენ, რომ ახალი მრავალეროვანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნა, „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის“ მოშლა ხელს შეუშლიდა მათ ქართველ ინტელიგენციასთან ურთიერთობაში. მათ, როგორც ჩანს, ეგონათ, რომ იე. ჯაფარიშვილი, კ. გამსახურდია, კ. ნადირაძე, ვ. კოტეტიშვილი, შ. ნუცუბიძე, ა. შანიძე, მ. ბალანჩივაძე და სხვები მოტყუებულიყვნენ და ფაქტობრივ და ფორმალურ დამოუკიდებლობას შორის განსხვავებას ვერ დაინახავდნენ. ამ მხრივ მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება დამფუძნებელი კრების წევრის, სოციალ-დემოკრატის ა. ჭიაბრიშვილის მოსაზრება იმ ადამიანებზე, რომლებიც საქართველოს „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებისათვის“ იბრძოდნენ: „ისეთმა ხელმძღვანელებმა ეროვნული პოლიტიკისა, როგორიც არიან მახარაძე, ქაფთარაძე, ცინცაძე და სხვები, რომლებმაც არა ერთხელ მოხსნეს მატერიალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის რეკორდები, შემოიყვანეს საქართველოში რუსეთის არმია და ამით ამაყობდნენ (ბ. მდივანი თავადაც აღნიშნავდა, რომ საზღვრების შესახებ ხელშეკრულებებს ხელს ისე აწერდნენ, რომ არც კითხულობდნენ)“.[12]

ზუსტი და ობიექტური შეფასებაა, რადგან საქართველოსაგან ისტორიული ტერიტორიების ჩამოცილება სწორედ მათი თანხმობით და მათი ხელმოწერით მოხდა.

რაში იყო დაპირისპირების ჭეშმარიტი არსი?

ვ. ი. ლენინისათვის და ბოლშევიკური პარტიისათვის ეროვნული საკითხი მუდამ დაქვემდებარებული, მეორეხარისხოვანი საკითხი იყო. მათი პროგრამული მოთხოვნა „ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებაა“ (სწორედ მხოლოდ უფლების აღიარება და არა კოლონიის მეტროპოლიისაგან გამოყოფის თავისუფლება) ლენინის მიერ იმდენი პირობით იყო განსაზღვრული (პირველ რიგში – პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციური ბრძოლის ინტერესებით და ა.შ.), რომ ამ მოთხოვნიდან ფიქცია რჩებოდა.

როცა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ვ. ი. ლენინმა შექმნა რუსეთის სოციალისტური საბჭოთა ფედერაცია, შიგ გაერთიანდნენ ავტონომიური რესპუბლიკის უფლებებით რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ერები: ბაშკირები, თათრები, ყალმიკები, მთელი შუა აზია შევიდა რუსეთის შემადგენლობაში – თურქესტანის ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდებით. ეს ხალხები კი თავისი ისტორიული განვითარებით და კულტურით არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ სომხებს, ქართველებს, აზერბაიჯანელებს, უკრაინელებს.

დასტურდება, რომ საბჭოთა რუსეთის მთავარი კანონი (კონსტიტუცია) უშვებდა თავის შემადგენლობაში ახალი წევრების მიღებას, მხოლოდ იგივე უფლებებით რასაც ფლობენ თათრეთი, ბაშკირეთი და სხვა. ის არ ითვალისწინებდა ერთობლივი, ახალი სახელმწიფოს შექმნას.

ამიერკავკასიაში 1921-1922 წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკა, საქართველოს ლიდერების კრიტიკის მიუხედავად, მაინც შეიქმნა, მაგრამ პროცესი დაემთხვა სსრკ შექმნას, ამან კიდევ უფრო გაამძაფრა ურთიერთობა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კპ (ბ) ცკ შორის.

რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ საკავშირო სახელმწიფოს პროექტის შემუშავება ვ. კუიბიშევის ხელმძღვანელობით შექმნილ კომისიას დაავალა. უშუალოდ პროექტი შეიმუშავა ი.ბ. სტალინმა – პარტიის თეორეტიკოსმა ნაციონალურ საკითხში. ახალ ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ სტალინის პროექტი მთლიანად ეფუძნება ვ. ი. ლენინის იდეურ მემკვიდრეობას და ეროვნული საკითხის კომუნისტურ გადაწყვეტას (ჩვენი ღრმა რწმენით ამ საქმეში სტალინს არ ჰქონდა არც უფლება და არც თვითონ დაუშვებდა ლენინთან შეუთანხმებლად რაიმე ნოვაციის განხორციელებას. ამას შეეძლო მისი პოლიტიკური კარიერისათვის საბედისწერო შედეგი ჰქონოდა).

კომისიაში საქართველოს ბ. მდივანი წარმოადგენდა, რომელიც ყველა სხდომაზე გამოირჩეოდა კრიტიკული დამოკიდებულებით და ბევრ შენიშვნას იძლეოდა.[13]

როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სტალინის თეზისები განიხილა, სტალინის პროექტი გააკრიტიკეს. ნათელეს ის ნააღრევად და მოითხოვეს „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნება". ამ შემთხვევაში მათ, როგორც ჩანს დააყენეწყდათ მათ მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია, სადაც ხაზგასმული იყო: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აცხადებს თავის მტკიცე მზადყოფნას შეეიდეს ერთიან საერთაშორისო სოციალისტურ რესპუბლიკაში, როგორც კი შეიქმნება პირობები მისი შექმნისათვის".[14]

ამრიგად, „დამოუკიდებლობის ატრიბუტების" მქონე ქვეყანა აცხადებდა მზადყოფნას ეს „დამოუკიდებლობა", ეს სუვერენიტეტი გვერდზე მოესროლა მსოფლიო სოციალისტური რესპუბლიკის გულისათვის, ხოლო ასეთი საერთაშორისო მსოფლიო რესპუბლიკის შექმნა 1921-1925 წლებში ილუზია კი არა კომუნისტების რეალური საპროგრამო დებულება იყო. შეიძლება ეივარაუდოთ, რომ მსოფლიო იურიდიულ პრაქტიკაში ეს, ალბათ, ერთადერთი შემთხვევაა, როცა სუვერენული, დამოუკიდებელი რესპუბლიკა კონსტიტუციაში აფიქსირებს დაკარგოს ეს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, გარეგნულად მაინც, გამოვიდა „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის" შენარჩუნების დამცველად. ჩვენ არ ვიცით, რა „დამოუკიდებლობის ატრიბუტები" ჰქონდათ მათ მხედველობაში. განა XI არმიის მიერ ოკუპირებულ საქართველოში, რომლის პოლიტიკური ხელმძღვანელობა კრემლის დირექტივების საფუძველზე მოქმედებდა, რაიმე დამოუკიდებლობის ილუზია შეიძლება ყოფილიყო? მაგრამ ეს ფრაზა ზოგიერთ მეცნიერს აძლევს საფუძველს ამტკიცოს ბ. მდივანის, კ. ციხკაძის, ს. ქავთარაძის, მ. ოკუჯავას „პატრიოტობა".

როგორც აღინიშნა, ისინი ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებასაც მოითხოვდნენ და მიანნდათ ზედმეტ რგოლად ამიერკავკასიის პოლიტიკურ სისტემაში.

დავამ მოსკოვში გადაინაცვლა. ქართველმა „პროტესტანტებმა" შეძლეს ვ. ი. ლენინთან შეხვედრა, რომელმაც გაიზიარა მათი არგუმენტები და ლ. კამენევისადმი გაგზავნილ წერილში (1922 წლის 26 სექტემბერი) ის უკვე აყენებს მოთხოვნას, რომ არა რსფსრ-ს შემადგენლობაში შეეიდნენ სოციალისტური რესპუბლიკები (რასაც მოითხოვდა რსფსრს პირველი კონსტიტუცია), არამედ რსფსრს-თან ერთად შექმნან ახალი სახელმწიფო — ევროპისა და აზიის სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (შემდეგ ეს სახელწოდება შეიცვალა უფრო რეალურით — სსრკ).

1922 წლის ოქტომბრის პლენუმმა განიხილა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის საკითხი. მეტად საინტერესოა ისიც, რომ ლენინი 5 ოქტომბერს ესწრებოდა პლენუმის სხდომას, ხოლო 6 ოქტომბერს, როცა პლენუმმა უაღრესად საჭირო საკითხის განხილვა დაიწყო — ლენინი სახლში დარჩა. პლენუმს არ დესწრო ლ. დ. ტროცკიც — ისინიც ავადმყოფობის მიზეზით.

პლენუმზე ლენინის არყოფნამ ქართველ „პროტესტანტებში" იმედი აღძრა, რომ ისინი შეძლებდნენ სტალინის გაელენის განეიტრალებას და მათთვის სასურველი დადგენილების მიღებას. ეს კარგად ჩანს ბ. მდივნის წერილში ს. ქავთარაძისადმი, რომელიც მან მოსკოვიდან გამოგზავნა: „ლენინის ჩარევის შემდეგ (საიდან მოიტანა ეს? ლენინი ხომ პლენუმს არ ესწრებოდა? — ა.დ.) მათთვის სულის'შემხუთველი ატმოსფერო შეიცვალა და პლენუმმა დაგმო „ველიკოდერჟავნიკები", აჩვენა, რომ ცეკას გარკვეული ნაწილი მთლიანად უარყოფს ეროვნულ საკითხს და მთლიანად დაავადებულია „ველიკოდერჟავნიკული" ტენდენციებით, მაგრამ ამ ნაწილმა ისეთი სილა იწვნია (ვისგან? — ა.დ.), რომ მალე ვერ შეძლებენ სიროდან გამოძრომას".[15]

ვეარაუდობთ, რომ ასეთი ოპტიმიზმისათვის ბ. მდივანს არაეითარი საფუძველი არა ჰქონდა. ამაზე მიუთითებს ი.ბ. სტალინის პირადი წერილი ს.მ. კიროვისადმი, რომელიც 1922 წ. 17 ოქტომბრით თარიღდება: „საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წინადადება ნაადრევი გაერთიანების შესახებ პლენუმის მიერ ერთხმად იქნა უარყოფილი, საქართველოს ცეკას წარმომადგენელმა მდივანმა, როცა დაინახა პლენუმის ერთსულოვნება, იძულებული გახდა უარი ეთქვა საქართველოს ცეკას წინადადებაზე. პლენუმმა მიიღო, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, კომისიის წევრების სტალინის, ორჯონიკიძის, მიასნიკოვის და მოლოტოვის წინადადება ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნების და ამ უკანასკნელის გაერთიანებაზე რსფსრ, უკრაინისა და ბელორუსიასთან „რესპუბლიკების კავშირში".[16]

პლენუმის დადგენილების მიუხედავად, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა განაგრძობდა თავისი პრინციპების დაცვას და შეეცადა პარტიული სუბორდინაციის გვერდის აცილით (არა ცეკას მდივნის, არამედ პირადი ნაცნობობის გზით) გადაეცა თავისი კრიტიკული მოსაზრებები ლენინისათვის. ამან ოქტომბრის ბუნდოვანი დიდი გულისწყრომა გამოიწვია.

ამის გამო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა გადადგა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა რკპ (ბ) ისტორიაში).

საქართველოს კომპარტიის ახალი ხელმძღვანელობა (მ. კახიანი, ბ. ლომინაძე და სხვ.) ერთგულად ახორციელებდა რკპ (ბ) ცკ გენერალურ ხაზს, და რაც მთავარია, მკაცრ კრიტიკაში ატარებდა „ნაციონალ-უკლონისტების" საქმიანობას და აშკარა დეენასაც არ ერიდებოდა, რამაც პოლიტიკური ფონი საქართველოში საოცრად გააუარესა.

ამასობაში მოსკოვში, გორკის აგარაკზე, ვ.ი.ლენინმა დაიწყო სერიოზული, მაგრამ უსაფუძვლო ინტრიგა სტალინის წინააღმდეგ. იმჟამად უკვე გონებრივად ავადმყოფი ბელადი ცდილობდა შეეთხზა სერიოზული ბრალდება სტალინის წინააღმდეგ და ეს ბრალდება იყო მისი „ელიკოდერეკავიკობა", მცირე ერების უფლებების ინტერესების უგულვებელყოფა. ლენინის მტკიცებით გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ერების ისტორიული განვითარების სპეციფიკა., დაეცვათ მათი ღირსება და ა.შ. „აუცილებელია ერომანეთისაგან განვასხვავოთ მჩაგვრელი ერის ნაციონალიზმი და ჩაგრული ერის ნაციონალიზმი, დიდი ერის ნაციონალიზმი და პატარა ერის ნაციონალიზმი", ხომ სამარცხვინოა როცა ისმენ, „როგორ აბუჩად იგდებენ უცხოტომელებს, თუ როგორ უწოდებენ პოლონელს უსათუოდ „პოლიაჩიშკას", თუ როგორ ამასხარავებენ თათარს უსათუოდ „ჯიანაზის" შერქმევით, უკრაინელს – როგორც „ხოხოლს", ქართველს და დანარჩენ კავკასიელ უცხოტომელებს – როგორც „კაკაზსკი ჩელოვეკ".

1923 წლის დასაწყისში საბჭოთა ქვეყანა პარტიის XII ყრილობისათვის ემზადებოდა, ადგილებზე მიმდინარეობდა პარტიული დისკუსიები, კრებები, რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების ყრილობები. საქართველოში ბ. მდივანის ჯგუფი აქტიურად ემზადებოდა მომავალი ყრილობისათვის. ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის, იყვნენ ინფორმირებულნი ქართველი „პროტესტანტები"იმის შესახებ, რომ ლენინმა ტროცკის სთხოვა მათი ინტერესების დაცვა და რომ ლ.დ. ტროცკიმ ამაზე უარი განაცხადა. უფრო სავარაუდოა რომ – იცოდნენ.

ჯინგოიზმი[17] ქართულ პოლიტიკაში. საქართველოს კომპარტიის II ყრილობაზე (1923 წლის 14-18 მარტი), რომელმაც ერთ-ერთ საკითხად ეროვნული საკითხიც განიხილა (მომხსენებელი – შ. ელიავა), აქტიურმა ნაციონალ-უკლონისტმა, საბჭოთა საქართველოს ყოფილმა სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და რევოლუციამდე სტალინის პირადმა მეგობარმა ს. ქავთარაძემ თავის სიტყვაში საბჭოთა კავშირში ეროვნული ურთიერთობების დახასიათებისას იხმარა ტერმინი **ჯინგოიზმი** – იმპერიალიზმის ეკონომიკური პოლიტიკა კოლონიაში, და სწორედ მას შეუდარა რეალური ეკონომიკური ურთიერთობები, რაც გასაბჭოების შემდეგ დამყარდა მოსკოესა და საქართველოს შორის.[18]

მისმა ამ ტერმინმა „ეური მოჭრა“ რკპ (ბ) ცკ გენერალური ხაზის გამტარებლებს და მათ სასწრაფოდ მისცეს რეაქცია. შემთხვევით არ იყო, რომ ამ ტერმინზე პირველი რეპლიკა აფხაზეთის კომუნისტების ლიდერმა ნ. ლაკობამ გააკეთა. მან გააკრიტიკა ს. ქავთარაძის მცდელობა შეედარებინა ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობა კოლონიზატორობისათვის და მიანიშნა – ინგლისის კოლონიებს ისეთი უფლებები აქვთ, რომ შეუძლიათ დააწესონ საბაჟოები ინგლისის წინააღმდეგ, აქვთ პარლამენტები, რომლებიც ინგლისის პარლამენტს არ ემორჩილება. „მაშინ თქვას ქავთარაძემ, რომ ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტური პარტია იმდენსაც კი არ ვიძლევით, რასაც აძლევს კოლონიებს ინგლისი“.[19]

მეტად მნიშვნელოვნად გვეჩვენება ნ. ლაკობას შემდეგი შენიშვნა, რაც მისი აზრით ს. ქავთარაძის განცხადების გადამწონი უნდა ყოფილიყო: „აფხაზეთის დამოუკიდებლობა ისე განიხილება (იგულისხმება საქართველოში – ა.დ.), რომ მას ეკონომიკურად ქანცი გასწყდეს, რომ ილაჯგაწყვეტილი ქანაობდეს იმათ ხელში, ვისაც აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიაჩნია“.

ეს მეტად მრავალისმთქმელი შენიშვნაა – თუ კი შენ რუსეთის კოლონიზატორობაში ადანაშაულებ, მე – აფხაზეთის წარმომადგენელი, შენ გადანაშაულებ ისეთ კოლონიალიზმში, რომელიც აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლის. ამრიგად, აფხაზეთის კომუნისტების ლიდერის თვალსაზრისით მტკიცება, რომ საქართველოს განუყოფელი ნაწილია აფხაზეთი – ეს არის კოლონიზატორობა. როგორც ვხედავთ, უკვე 1923 წლიდან ეს თეზისი იყო აფხაზი სეპარატისტების შეიარაღებაში და მუდამ გამოიყენებოდა საქართველოს წინააღმდეგ, ზოგჯერ წარუმატებლად, ზოგჯერ წარმატებით, თუკი საქართველოს ხელისუფლება ოდნავ მაინც დაინიელებდა ცენტრის მხრიდან კოლონიზატორობის რაიმე შემთხვევის შესახებ.

ქავთარაძის რეპლიკას ასევე გამოეხმაურა მიასნიკოვი – ამიერკავკასიის კომუნისტების ერთ-ერთი ლიდერი და ფ. მახარაძის პირადი მტერი. მან დაგმო რაიმე ანალოგია ჯინგოიზმთან, საბჭოთა კავშირის შედარება კოლონიალიზმის რეციდივებთან, დაიცვა ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობა და განაცხადა „საზღვარგარეთ შექმნეს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ფედერაცია და ჩვენც კომუნისტური უნდა შეექმნათო“ – ამით მან პარიზში მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების წარმომადგენელთა ერთობლივი, ანტისაბჭოთა ალიანსზე მიანიშნა.[20]

შ. ელიავა, რომელიც ეროვნულ საკითხზე ძირითადი მომხსენებელი იყო, თავის საბოლოო სიტყვაში იძულებული გახდა პასუხი გაეცა ს. ქავთარაძისათვის და იმჟამად ყველაზე ძლიერი კოზირი მოიტანა – რსფსრ-ს მიერ ზაჰესის ასაშენებლად გამოყოფილი 750 ათასი ოქროს მანეთი, ქუთაისში ჩამოტანილი რუსეთის სანუქარი – მაუდის ფაბრიკა (რიგიდან I მსოფლიო ომის დროს ევაკუირებული, საკმაოდ მოძველებული). როცა ცენტრსა და რესპუბლიკას შორის ასეთი ურთიერთობაა, ჯინგოიზმი რაში ჩანსო – შეეკითხა ის ს. ქავთარაძეს. შ. ელიავას აზრით ს. ქავთარაძისათვის უპრიანი იყო ასჯერ დაეთმო ნაციონალიზმისათვის, ვიდრე დაეშვა კოლონიზატორობის უხეში შეცდომა.

როგორც ჩანს, „ნაციონალ-უკლონისტებმა“ საქართველოში ვითარება არ გაამწვავეს და ბ. მდივნის ჯგუფმა, გარკვეული ჩასწორებებით, მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ რეზოლუციას.[21] რეზოლუციაში კი ხაზგასმული იყო: „ყრილობა თვლის, რომ ამიერკავკასიის ხალხების გაერთიანება ამიერკავკასიის ფედერაციაში არის ერთადერთი შესაძლო ფორმა, რომელიც დაამყარებს ნაციონალურ მშვიდობას ამიერკავკასიაში და იქნება დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის აუცილებელი საფუძველი“.

ჯინგოიზმის პრობლემამ ა/კ ბოლშევიკური ორგანიზაციების II ყრილობაზეც გაიჟღერა. მართალია, აქ მას არ შეხებია ს. ქავთარაძე, მაგრამ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. კახიანმა სასტიკად გააკრიტიკა ყველა

ის, ეისაც შეეძლო შეედარებინა ცენტრსა და რესპუბლიკას შორის არსებული ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობები კოლონიზატორობასთან.[22]

რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობამ მოსკოვისათვის სასურველი რეზოლუციები მიიღო, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ აზერბაიჯანელი დელეგატის აგა-მალი-ოღლის გამოსვლა, რომელმაც დამოუკიდებლობის კომუნისტური გაგება განსაზღვრა (ეს კაცი ვ. კუიბიშევის იმ პარტიულ კომისიაში, რომელიც საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ საფუძვლებს ამუშავებდა, აზერბაიჯანს წარმოადგენდა). „რა არის დამოუკიდებლობა?", — ამ საკითხს უნდა მიეუდგეთ უქონელთა პოზიციიდან და განწყობილებებით. როგორ ესმით მათ დამოუკიდებლობა? — კულაკი გლეხს აზის თავზე. წაართვათ კულაკს მიწა და მიეცეთ უქონელ გლეხს. აი ეს არის დამოუკიდებლობა (აპლოდისმენტები. სიცილი)".[23]

როცა პარტიულ ელიტას ქვეყნის დამოუკიდებლობის ასეთი გაგება აქვს, რა თქმა უნდა, ოდნავი გადახვევა კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალისტური პრინციპებიდან აღიქმება მარქსიზმის ძირითადი დებულებების ღალატად, ეროვნულ საკითხში პარტიის გენერალური ხაზის გამრუდებად.

რკპ (ბ) XII ყრილობა. როგორც ჩანს, ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" იარაღს არ ყრიდნენ, ეარაუდობდნენ, რომ სიმართლეს რკპ (ბ) XII ყრილობაზე იპოვიდნენ. ყრილობისათვის სერიოზულად მოემზადა ი.ბ. სტალინიც — ეს ყრილობა მის ბიოგრაფიაში გამორჩეულია, მას ჭირდებოდა მაქსიმალური მობილიზაცია, რომ გამკლავებოდა პოლიტიკურ ოპონენტებს (პირველ რიგში ლ. დ. ტროცკის), რომელთაც მთავარი კოზირი — ვ.ი. ლენინის შენიშვნებით გაჯერებული „წერილი ყრილობას" და სუმბურული სტატია „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „აეტონომიზაციის" შესახებ" — ხელთ ჰქონდათ.

ი.ბ. სტალინმა მონახა „ოქროს შუალედი" და თავის თეზისებში და საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი ფაქტორი გამოიყო — „რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის გადმონაშთები" და „ნაციონალიზმის გადმონაშთები მთელ რიგ ხალხებში, რომლებმაც გადაიტანეს ჩაგვრის მძიმე უღელი".

ამასთანავე, სტალინმა ეროვნებათაშორისო ურთიერთობების განვითარების აუცილებელი პირობები ჩამოაყალიბა:

ა) ეროვნებათა მიმართ იძულების ყველა და ყოველგვარი ფორმის გადაჭრით უარყოფა;

ბ) თავისი ბედის მოწყობის საქმეში ხალხთა თანასწორობისა და სუვერენობის აღიარება;

გ) იმ დებულების აღიარება, რომ ხალხების მტკიცე გაერთიანება შეიძლება გატარდეს მხოლოდ თანამშრომლობისა და ნებაყოფლობის საწყისებზე;

დ) იმ ჭეშმარიტების აღიარება, რომ ასეთი გაერთიანების განხორციელება შესაძლებელია კაპიტალის ძალაუფლების დამხობის შემდეგ.[24]

სტალინმა თავის მოხსენებაში ქვა-ქვაზე არ დატოვა რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმისაგან, რომელსაც დააკისრა ეროვნებათაშორისო ურთიერთობის გართულების 3/4. „თუ მას გადამწყვეტ წინააღმდეგობას არ გავუწევთ, — მიუთითებდა კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, — აღმოჩდებით ყოფილი მპყრობელი ერის პროლეტარიატისა და წინათ დაჩაგრულ ერთა გლეხობას შორის გათიშვის სურათის წინაშე, რაც პროლეტარიატის დიქტატურისათვის ძირის გამოთხრა იქნება".

სტალინმა თავის მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო ერებს შორის ფაქტობრივი უთანასწორობის მოსპობას — ყველა ერისა და ეროვნების ხალხთა სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისათვის კეთილნაყოფიერი პირობების შექმნას, ეროვნულ ენებზე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებას და ა.შ.

ყრილობაზე ქართველი „პროტესტანტებიც“ გამოეცხადნენ. მაგრამ მათი გამოსვლები უფრო იყო თავდაცვითი, მათ ვერ შეძლეს ყრილობის საერთო განწყობილების შეცვლა, მით უფრო, რომ მათი მთავარი ლოზინგი – ლ. დ. ტროცკი დუმდა და საერთოდ ყრილობაზე, პლენარულ სხდომებზე, ის სიტყვით ეროვნული საკითხის გარშემო არ გამოსულა. ქართველების დასაცავად არც აზერბაიჯანიდან და არც სომხეთიდან გამოსულა ვინმე, რაც აშკარად მიუთითებს, რომ მათ არ აღელვებდათ ის, რასაც ასე თავდადებით იცავდნენ ქართველი „პროტესტანტები“.

სამაგიეროდ ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები“ ბევრი აკრიტიკეს: ა. ენუქიძემ, ე. სტურუამ, შ. ელიავამ, ს. ორჯონიკიძემ, გ. ზინოვიევმა. ამ უკანასკნელმა, შეიძლება ითქვას, „ანდერძი აუგო“ ბ. მდივანის ჯგუფს, როცა განაცხადა: „როცა ისინი აქ, სრულიად რუსეთის ყრილობაზე აყენებენ ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ მოთხოვნას, რასაც ისინი ესწრაფვიან, და მე მიმაჩნია, რომ ამას ისინი ვერ მიაღწევენ, მაგრამ მაინც – თუ კი მათ ამის საშუალება მიეცათ. ამ შემთხვევაში ძალიან დიდი საქმე აშკარად ნაკერებზე ჩაიხევა – ისინი დააყენებენ საკითხს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გაწყვეტის შესახებ, რის შესახებ წერილ-წერილი ხმები უკვე მოვისმინეთ... და უკლონისტები ყველა ქვეყნისა გაერთიანდებიან ამ საკითხის გარშემო.“[25]

ყრილობაზე გაიმართა ეროვნებათაშორისო საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური თათბირი („სექციის სხდომა“), რომლის დოკუმენტები დიდი ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო. ამ დოკუმენტის შესწავლისას აშკარაა ი. ბ. სტალინის განრისხება ლენინის ორპირობით, როცა აღნიშნა შემდეგი„... დიახ, პოლონელს არ შეიძლება ეუწოდოთ „პოლიაჩიშკა“, მაგრამ პოლონეთის ქვეყანა ხიშტით შეიძლება? პოლონეთის მოსინჯვა შეიძლება? როგორც ჩანს, ეროვნული თვითგამორკვევის თვალსაზრისით ამის გაკეთება შეიძლება? არ შეიძლება თურქესტანელს ეუწოდოთ „ტატარსკაია ლაპატა“, ძალიან კარგი, მაგრამ იქ რუსეთის ჯარების დატოვება შეიძლება?... არ შეიძლება ადამიანს ეუწოდოთ „კაპკასსკი ჩელოვეკ“, ხოლო ეროვნული თვითგამორკვევის თვალსაზრისით აქ ჯარების დატოვება შეიძლება?... ერების თვითგამორკვევის უფლებიდან გამომდინარე ამის გაკეთება არ შეიძლება. მაშ რაშია საქმე?“

და აი, სტალინის შეფასებაც: **„ჩვენ ზოგჯერ იძულებულნი ვართ წავიდეთ ეროვნული თვითგამორკვევის, მათი ინტერესების წინააღმდეგაც კი, რათა მუშებმა შეინარჩუნონ თავისი ძალაუფლება... ეს ჩვენი ბრალი კი არა, ჩვენი უბედურებაა, თვითგამორკვევის პირველი მოთხოვნა – ეს ჯარების გამოყვანაა. ამჟამად ჩვენ ასეთი ფუფუნების უფლებას თავს ვერ მივცემთ. ამაშია უბედურება“** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.).[26]

ამრიგად, რკპ (ბ) ცეკას გენერალური მდივანი დაუფარავად აცხადებდა, რომ კომუნისტური პარტიის იმჟამინდელი რეალური ეროვნული პოლიტიკა შორს იდგა ერთა თვითგამორკვევის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან, და რომ ეს კეთდებოდა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

ყრილობაზე სასტიკი დამარცხების შემდეგ, ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები“ გარეგნულად დაშოშმინდნენ, თუმცა თანამდებობა და მდგომარეობა დაკარგეს, მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას. 1924 წლის შემდეგ, როცა ლენინის გარდაცვალებამ მწყანე შუქი აუნთო სახელმწიფოში ბრძოლას ხელისუფლებისათვის, „ნაციონალ-უკლონისტების“ ერთი ჯგუფი: ს. ქავთარაძე, მ. ოკუჯავა, ლ. დუმბაძე და სხვები აშკარად დაადგნენ ტროცკის პოზიციაზე და უდიდესი ძალისხმევა მოახმარეს იმ საკითხების შესწავლას და განხილვას, თუ რატომ დამარცხდა კომუნისტური რევოლუცია გერმანიასა და ჩინეთში, როგორ ახორციელებდა სტალინის ხელმძღვანელობის რკპ (ბ) ცკ უმრავლესობა „თერმიდორს“ საბჭოთა კავშირში და კაპიტალიზმისაკენ იხრებოდა, როგორ იკვეთებდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა „ლენინის ანდერძს“ და ა.შ.

როგორც ცნობილია, ი.ბ. სტალინმა მოახერხა როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ოპოზიციის განადგურება და 30-იან წლებში სახელმწიფოსა და პარტიაში ერთპიროვნული ჰეგემონი გახდა. მან ძირითადად მოახერხა ქვეყნის ისეთი ინტერნაციონალიზაცია, სადაც უკვე 30.-იანი წლებიდან გარკვეული ყურადღება მიექცა ეროვნულ ფასეულობებს (მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გამო, ფაშიზმის საფრთხის ესკალაცია და ა.შ.), ხელი შეეწყო ნაციონალური კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებას.

რაც დრო გადიოდა სულ უფრო ნათელი ხდებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის მიზანშეუწონლობა, მისი ზედმეტობა. ჩაითვალა, რომ 30-იანი წლების შუა ხანებში ის ძირითადი პირობები, რომლებმაც ა/კ ფედერაციის შექმნის აუცილებლობა გამოიწვიეს, გაქრა, ხოლო ამიერკავკასიის ხალხები ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით განიმსჭვალნენ. ამიტომაც უკვე შეიძლებოდა მართვის ამ რგოლის გაუქმება. საქართველოს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების III საგანგებო ყრილობამ ა/კ ფედერაცია დაშლილად გამოაცხადა. საქართველო უშუალოდ შეეიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

მაგრამ, ის პოლიტიკური სუბორდინაცია, რაც დამკვიდრდა ცენტრსა და რეგიონებს შორის, არ შეცელილა – მმართველი კომუნისტური პარტია კვლავ რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანული ნაწილი იყო, თუმცა მას უკვე საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) ერქვა. კომუნისტური პარტიის ცკ პოლიტბიურო განსაზღვრავდა ნებისმიერი საბჭოთა რესპუბლიკის განვითარების მაგისტრალურ ხაზს – ადგილზე მხოლოდ მოსკოვის დადგენილებების უსიტყვო მორჩილება ევალებოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში იყო სანქციები.

ამრიგად აშკარაა, რომ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა, რომელმაც თვითონ შემოიყვანა საქართველოში XI არმია და ფეხქვეშ გათელა საქართველოს დამოუკიდებლობა, თავის 1922-1923 წლების ოფიციალურ გამოსვლებში ცდილობდა დაეცვა საქართველოს „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტი", წინააღმდეგი იყო სახელმწიფოებრივი გაერთიანების ნაჩქარევი ტემპის, ამაში კოლონიალიზმის ელემენტებს – ჯინგოიზმს ხედავდა.

მიგვაჩნია, რომ მათი ასეთი დამოკიდებულება ნაკარნახევი იყო შიდაპარტიული დაპირისპირებით, რადგან საბჭოთა სახელმწიფოში პარტიული სუბორდინაცია უკვე თავიდანვე მთლიანად გამორიცხავდა „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტს", ხოლო „ნაციონალ-უკლონისტები" თავის კრიტიკაში იფარგლებოდნენ მხოლოდ სახელმწიფოებრივი ურთიერთობებით და ამ კრიტიკას არ აერცელებდნენ პარტიულ ურთიერთობებზე, რაც მთლიანად გამორიცხავდა „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტს" და მკაცრად იყო რეგლამენტირებული.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის მცდელობას ჯინგოიზმით აეხსნათ მოსკოვსა და თბილისს შორის არსებული მდგომარეობა, დაუპირისპირდა აფხაზეთის პარტიული ელიტა, რითიც გაცხადდა, რომ მოსკოვისადმი საქართველოს ნებისმიერი კანონიერი პრეტენზიის დროს ამოქმედდებოდა „აფხაზეთის ფაქტორი" – მოსკოვის „ძლიერი არგუმენტი" საქართველოსთან დამოკიდებულებაში.

უკვე ამ პერიოდში გამოიკვეთა, რომ კოლონიალიზმის ელემენტებით გაჯერებული საბჭოთა ინტერნაციონალისტური პოლიტიკა, მისი ცხოველმყოფელობა მთლიანად დამოკიდებული იყო პარტიის ერთპიროვნული ლიდერის შეხედულებებსა და მოსაზრებებზე. ამ თეზისის რეალობა კარგად გამოჩნდა ი.ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ.

1. ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 19, გვ. 284-285.
2. ი. ბ. სტალინი. თხზ. ტ. 2, გვ. 393.
3. სკკპ... რეზოლუციებში, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 530.
4. იქვე, გვ. 565.
5. Образование Союза Советских Сошалистических Республик, сб. док. М., 1972, გვ. 167-169.
6. ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 5, გვ. 107.
7. В. И. Ленин. ПСС, т. 45, გვ. 106.
8. ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება, რომ ა/კ ფედერაციის შექმნის იდეა თვით ა/კ კომუნისტებს ეკუთვნოდათ, იხ.: ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923) თბ., 1999, გვ. 116.
9. ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923), თბ., 1999, გვ. 166-167.
10. ამ საკითხზე დეტალურად იხ.: კ. წენგუაშვილი, საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია, თბ., 2005, გვ. 50-67.
11. ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923) თბ., 1999; მ. სამსონიძე, საქართველო 1921-1991 წლებში, თბ., 2000, გვ. 2; გ. ციციშვილი, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წ. აჯანყების შესახებ, თბ., 2004, გვ. 25 და სხვ.
12. კ. წენგუაშვილი, ქართველი პოლიტპატიმრის წერილები ლ.დ. ტროცკის, „ანალები", 2005 № 2. გვ. 68.
13. ამის შესახებ იხ.: ა. დაუშვილი, სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი III („ქართული საქმე"), თბ., 2007.
14. Образование Союза Советских Социалистических Республик, сб. док., М., 1972, გვ. 238.
15. ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.
16. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 13, ს. 195, ფურც. 26.
17. ჯინგოიზმი – ტერმინი წარმოიშვა ინგლისში 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როცა გაჩნდა საფრთხე რუსეთის მხრიდან კონსტანტინოპოლის დაკავების. ამ ტერმინში მოიაზრება უკიდურესი შოვინისტური და იმპერიალისტური პოლიტიკა.
18. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 48, ფურც. 417.
19. იქვე, ფურც. 424-425.
20. იქვე, ფურც. 435.
21. იქვე, ფურც. 459.
22. იქვე, ფურც. 460.
23. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 13, ს. 254, ფურც. 79.
24. ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 5, გვ. 202.
25. X II съезд РКП (б), Стеногр. отчет, М., 1968, გვ. 610.
26. ГАСПИ РФ, ф. 50, оп. 1, д. 48, გვ. 63.

ანტიკოლონიური – ანტისაბჭოთა გამოსვლები საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში

ანტისაბჭოთა მოძრაობის დასაწყისი. საქართველოს ძალმომრეობით გასაბჭოებამ და რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაციამ, დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ნგრევამ ძალიან მალე გამოიწვია, და არ შეეძლო არ გამოეწვია, ანტისაბჭოთა მოძრაობა იმ კუთხეებსა და რეგიონებში, სადაც შეიქმნა სათანადო ობიექტური თუ სუბიექტური პირობები. დასტურდება, რომ ახალი საბჭოთა ხელისუფლება ბევრ შემთხვევაში, კადრების ნაკლებობის გამო, იძუ-

ლებული ხდებოდა დაყრდნობოდა და თავის სამსახურში ჩაეყენებინა შემთხვევითი, ზოგჯერ კრიმინალური წარსულის ადამიანები, რომლებიც ექსპლუატაციას უწევდნენ და საშინლად ლახავდნენ პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს, ჩაეფლნენ კორუფციაში და ძალაუფლებას ბოროტად იყენებდნენ.

ქართველობა, განსაკუთრებით ინტელიგენცია, რომელმაც დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდში მცირე ხნით მაინც იგრძნო დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრების ბედნიერება, ძნელად ეგუებოდა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორე ოკუპაციას და დამყარებულ კომუნისტურ რეჟიმს.

კომუნისტების ნაჩქარევმა მოძრაობამ, კელაე ერთიანი და ცენტრალიზებული გაეხადათ „მსოფლიო პროლეტარული რესპუბლიკა" – რა თქმა უნდა, გამოიწვიეს სამშობლოს ჭეშმარიტი და ერთგული შვილების პროტესტი. მათ არა მარტო ხმა აიმაღლეს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის იგნორირების გამო, არამედ იარაღდებოდნენ და პარტიზანულ ბრძოლებს უმართავდნენ ოკუპანტებს. პარტიზანულმა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო სვანეთში, კახეთსა და ხევსურეთში. ამ საქმეში უდიდესია საქართველოს ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების: სოციალ-დემოკრატების, განსაკუთრებით კი ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ლიდერებისა თუ რიგითი წევრების დამსახურება.

სვანეთის აჯანყება პირველია იმ ანტისაბჭოთა გამოსვლებს შორის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. სვანეთის აჯანყებამ თავის დროზე დიდი რეზონანსი გამოიწვია საზღვარგარეთაც.[1]

რა იყო მიზეზები, რამ გამოიწვია სვანეთში მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილება?

ამ მთიან მხარეში მძიმე სოციალური ვითარება გაუსაძლის პირობებს ქმნიდა. მოუსავლიანობის გამო მოსახლეობა უკიდურესად იყო გაჭირვებული. ამას ზედ დაერთო ახალი, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლების ლაგამამოუდებელი პარპაში (ასეთი ვითარება საქართველოს სხვა კუთხეებშიც შეიმჩნეოდა).

აჯანყების მონაწილენი მიუთითებდნენ ადგილობრივ მაზრევკომის მესვეურებისა და მოსამსახურეთა ბოროტმოქმედებას და მათ ინფანტილურ პოლიტიკაზე. ეს პოლიტიკა დაიწყო მაზრის ხელმძღვანელობამ „სახელმწიფო ქონების მითვისებით და ქურდობით, კერძო ინტერესებით ხალხის ხარჯით დაშტრაფვით (დოკუმენტის სტილი დაცულია – ა. დაუშვილი). მხოლოდ ერთი ან ორი თვის ბატონობით რევკომში – ქალიან-ბავშვიანად (როდესაც ხალხს ვერ გაეგო ეს მაზრევკომი სვანეთის, იყო, თუ ნავერიან-გუჯეჯიანების და სხვა უსაზღვრო ექსპლოატაციით, რითაც ადგილობრივი მაზრევკომი უმასპინძლდებოდა ხალხს".[2]

იმასაც მიუთითებდნენ, რომ რევკომის ხელმძღვანელმა მილიცია დააკომპლექტა ძველი კრიმინალებით, რევკომის ზოგიერთ წევრს – „იმდენი სისხლი ემართა", რომ საკუთარი სოფლიდან ვერც კი გამოდიოდა. მეტად საგულისხმოდ მიგვაჩნია აჯანყების აქტიური მონაწილის ბიძინა პირველის შემდეგი აღიარება: „რადგან რევკომის შემადგენლობა ყაჩაღური იყო, ხალხის დამოკიდებულებაც ასეთია – საბჭოთა მთავრობა ყაჩაღური მთავრობა ყოფილაო. საბჭოთა მთავრობის პრესტიჟი სვანეთში ადგილობრივი ადმინისტრაციის მოსამსახურეთა შემადგენლობამ დასცა".[3]

ამას დაემატა ანტისაბჭოთა პარტიების აქტიურობა. ფაქტები ადასტურებენ, რომ „ზემო სვანეთში მოქმედებდნენ პარტიზანული რაზმები, რომელთა ფორმირებას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ ეწეოდა. პარტიამ სვანეთში ეროვნულ-დემოკრატი სტუდენტების სამი ათეული გააგზავნა. შეიმუშავა შეიარაღებული რაზმების წესდება და ფიცი... პარტიის ცკ სვანეთის წარმომადგენლებს, ნესტორ გარდაფხაძეს და მოსესტრო დადეშქელიანს ქართლ-კახეთის კოოპერაციუ-

ლი კაეშირის ხელშეწყობით 10 მილიონი მანეთი გადასცა შეიარაღებული გა-მოსელის მოსამზადებლად".[4]

ადგილობრივი მილიციელის პ. იოსელიანის ცნობით ჯერ კიდევ აჯანყების დაწყებამდე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებმა სვანეთის თავადაზ-ნაურობასა და სამღვდელოების წარმომადგენლებში დიდი მუშაობა გააჩაღეს. მი-სი ვერსიით ზუგდიდიდან 350 წითელარმიელი გამოიგზავნა სვანეთის განსაიარა-ღებლად. ეს სვანეთში, როგორც ჩანს, შეიტყვეს და როგორც იოსელიანი აღნიშ-ნავს „სამღვდელოებამ და მათმა ხალხმა გასწიეს საშინელი პროპაგანდა ხალხში – ჯარი ნამუსს ახდის ხალხსო. 1921 წლის 28 ოქტომბერს ზემო სვანეთის სამ-ღვდელოება და აბრაგების ერთი ნაწილი დაეცა სამაზრო რევკომს და წითელ მუ-ლახს, რომ ამოეხოცათ პარტიული ამხანაგები და ხელში ჩაეგდოთ იარაღი. ეს ვერ განახორციელეს. დაიჭრა მხოლოდ განყოფილების გამგე და ერთი მილიციო-ნერი. დილით ადრე გაიღვიძა წითელმა მულახმა და დაიწყეს ციხეებიდან სროლა, დაეაზარალეთ, გაიქცნენ ჯვარისაკენ, სადაც აბრაგების ნაწილი უცდიდათ მათ, რომ ამოეხოცათ რუსები. ეროვნულმა პარტიამ გაუგზავნა რუსების წითელ ჯარს დელეგაცია, რომ ზემო-სვანები იარაღს საესებით ჩააბარებენ ჯარს და შეუძლიათ მოვიღნენ. ამ დროს საიდუმლო ბრძანებას იძლევა ბანდის მთავარი შტაბი, რომ როგორც კი მოხსნიან რუსები პოზიციებს, ყოველი მხრიდან დაიწყოს სროლა აბ-რაგების და გაეწყვიტათ რუსები, რაც განახორციელეს. ჩაიგდეს ხელში დიდძალი იარაღი და დაბრუნდნენ უკან. ახლა დაიწყეს შინაურების ადგილობრივი ადათის მიხედვით ხატზე დაფიცება ძალით და იარაღის დარიგება. ამისათვის, რომ მორე-ოდნენ სვანეთს, შეკიდნენ ჯერ ერთ საზოგადოებაში, დაატყვევეს ყველა და დაა-ფიცეს, ასე მოიქცნენ სხვაგან. სვანი ძალით იქნება თუ ნებით, ფიცის შემდეგ ფიცს არ დაარღვევს. შედგა 2000 კაცამდე შეიარაღებული, რომელიც წითელი მუ-ლახისაკენ გაეშურა. მულახმა 80 კაცით პასუხი გასცა. ალყა გაგრძელდა 5 კვი-რის განმავლობაში. იზარალა ჩვენმა მხარემ, საქონელი ამოუხოცეს. სამაგიეროდ მრავალი დაეჭვრით. ასე შერცხვენილი დაბრუნდა ბანდა კალაში, სადაც მოიწვიეს კონფერენცია, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ცაგერისა და ქუთაისის დაცემა. ეროვნულებმა (იგულისხმება ეროვნულ-დემოკრატები – ა. დაუშვილი) თავისი მი-ზანი კონფერენციაზე ვერ განახორციელეს. უმეტესობა უარზე დადგა. შემდეგ შედგა სოფ. ბეჩოში მღვდლებისა და მათი შვილების სამეფო ტახტი, რომლის მი-ზანია კონტრრევოლუციის გაფართოება და მთავრობის მოტეხვა. ჩვენ სვანეთის რევკომს ვემდურით. წითელი მულახი უკანასკნელი სისხლის წვეთებამდე იბრძვის. ბანდები ბეჩოში ემზადებიან ქუთაისსა და ლეხუმზე თავდასასხმელად. საჭიროა საჩქაროდ კარგი ძალა, რომ დიდ კონტრრევოლუციად არ გადაიქცეს".

როგორც ირკვევა, 80 სვანი ჩასაფრდა მიუდგომელ ადგილებზე და რუსის ჯარს ცეცხლით შეხვდა. მოულოდნელობის გამო საბჭოთა მხარემ 80 კაცი და-კარგა და იძულებული გახდა ჯვრისაკენ დაეხია. შემდეგ, როგორც ამტკიცებენ, ადგილობრივი მაზრევკომის ხელმძღვანელის ჩაგონებით, მეორე, უფრო ძლიერი ექსპედიცია შედგა და სვანეთზე წამოვიდა.[5]

საგანგებო კომისიის მოხსენებით ბარათებში მითითებულია, რომ სვანეთში „მიმდინარეობდა აშკარა ანტისაბჭოთა აჯანყება, აჯანყებულთა რიცხვი 1600 კა-ცამდე აღწევს. უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ეროვნულ-დემოკრატიული პარ-ტია... მოსახლეობა შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს საბჭოთა ხელისუფლე-ბის მიერ აჯანყების ლიკვიდაციისათვის გაგზავნილ ძალებს. აჯანყებას მიემხრო 1 უბნის რევკომის ყოფილი თავმჯდომარე სიმონ ქალდანი. შეინიშნება მაზრის მი-ლიციის თანამშრომელთა დიდი ნაწილის გადასვლა აჯანყებულთა მხარეზე".[6]

აჯანყება გაჭიანურდა. 1922 წლის 20 იანვარს საბჭოთა მთავრობისადმი წარსადგენი პეტიციის პირობები სვანეთის დეპუტატებმა: გ. ფარჯიანმა, ბ. აფრა-სიანმა, ს. ქურდიანმა და სხვებმა, თბილისში ჩამოიტანეს. ოფიციოზმმა, გაზეთმა „კომუნისტი" ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ ფაქტს: „ზემო სვანეთში სხვადასხვა

გვარეულობას შორის ატეხილი დავის წყალობით გლეხობას დღემდე არ შეეძლო მშვიდად მუშაობა. დელეგატები აცხადებენ, რომ ხალხი მთავრობას გადასცემს იმ პროფოკატორებს, რომლებიც სვანებს ამხედრებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ".[7]

პეტიციაში კი ხაზგასმული იყო ის შეცდომები და დარღვევები, რაც დაუშვეს საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა სვანეთში და რამაც გამოიწვია აჯანყება, პეტიციაში ჩამოყალიბებულია შემდეგი მოთხოვნები:

1. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს რევკომის წინაშე შეაჩეროს ჯარების შეყვანა, სანამ არ შესრულდება წამოყენებული მოთხოვნები;

2. შეიქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეისწავლის ადგილობრივი რევკომის საქმიანობას;

3. გაიხსნას გზები და სვანეთი დაუკავშირდეს დანარჩენ საქართველოს;

მიუხედავად მოლაპარაკებისა, ვერ მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტა და ბრძოლები 1922 წელსაც გაგრძელდა.

1922 წლის 15 მარტს ამბოხებულებმა გადმოლახეს უღელტეხილი და ჩამოვიდნენ ქვემო სვანეთში — ლენტეხში, ჩაღურისა და ლაშხეთის საგუშაგოებს დაეცნენ. კომუნისტები და წითელარმიელები განაიარაღეს და დაატყვევეს. შემდეგ წინსვლა გააგრძელეს და ცაგერს შეუტიეს. მაგრამ მისი აღება ვერ შეეძლეს და უკან დაიხიეს.[8]

ბრძოლა უთანასწორო ხასიათს იღებდა.1922 წლის 14 აპრილს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკამ და სვანეთის გლეხობის დეპუტაციამ მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის ძალით: „1. წითელი ჯარის ნაწილები შეელვენ ზემო სვანეთში, როცა ამას მთავრობა დაინახავს საჭიროდ; 2. მოხდება სვანეთის მოსახლეობის სრული განიარაღება (ჩამოთვლილია იარაღის სახეობა — ა. დაუშვილი), 3. მოძრაობის ბელადები უნდა ჩაბარდნენ მთავრობას, უკანასკნელი იძლევა სრულ გარანტიას, რომ მათ სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ დაემუქრება."[9]

საქართველოს საბჭოთა მთავრობა სვანებს დაპირდა: 1. ზემო სვანეთიდან შედგეს ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უშუალოდ დაუკავშირდება თბილისს; 2. დაინიშნება ზემო სვანეთის რევკომი 5 კაცის შემადგენლობით, მათ შორის ერთი აუცილებლად — ნესტორ გარდაფხაძე. სანამ რევკომის სხვა წევრები სვანეთში ჩავიდოდნენ, ნესტორ გარდაფხაძე უნდა ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი, რომელიც ჩაიბარებდა ძველი რევკომის საქმეებს; 3. სვანეთში ჩამოყალიბდება ადგილობრივი შერეული მილიცია. ნაწილი სვანებით დაკომპლექტდებოდა, ნაწილს შეავსებდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლები; 4. ზემო სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრი მულახის ნაცვლად გახდებოდა ბეჩო. გათვალისწინებული იყო ახალ ადმინისტრაციულ ცენტრში ზუგდიდიდან ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზის გაყვანა. 5. უნდა აღდგენილიყო სვანეთის ყველა სკოლა და გახსნილიყო ტექნიკუმი; 6. აუცილებლად უნდა გახსნილიყო გზები.

ამრიგად, პირველი ანტისაბჭოთა აჯანყება სვანეთში დასრულდა. საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო აჯანყების ლოკალიზება და მისი ნეიტრალიზება. თუმცა სვანეთში დანთებული ცეცხლი საქართველოს სხვა კუთხეებსაც გადაეკიდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გრძელდებოდა.

პარტიზანული მოძრაობის გაძლიერება. 1922 წლის ზაფხულში დიდი პარტიზანული მოძრაობა გაჩაღდა კახეთში. ტყეში გავიდა ქაქუცა ჩოლოყაშვილიც, რომელმაც საკმაოდ ორგანიზებული და ძლიერი პარტიზანული რაზმი შექმნა. მან ერთგული პირები გააგზავნა დუშეთისა და გორის მაზრებში ადგილობრივი პარტიზანული ჯგუფების შესაქმნელად. პარტიზანული მოძრაობა თანდათან იკრებდა ძალებს. მარტო დუშეთის მაზრის მუხრანის რაიონში ათობით პატრიოტი იყო ტყეში გახიზნული. ქაქუცას რაზმი ათ ჯგუფად იყო დაყოფილი და აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მოქმედებდა.

პარტიზანებს მოკავშირეები და თანამგძნობები თითქმის ყველა სოფელში ჰყავდათ. რიგითი ადამიანები ეხმარებოდნენ სამშობლოსათვის მებრძოლ ვაჟკაცებს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად გრძნობდნენ საბჭოთა მთავრობის მხრიდან მოსალოდნელი იყო მკაცრი რეპრესიები, ოჯახების აწიოკებაც კი.

განსაკუთრებით ბობოქრობდა მთის მოსახლეობა, რომლის თავისუფლებისმოყვარე სული კომუნისტურ რეჟიმს ვერ ეგუებოდა. აჯანყებისათვის აქ ყველა პირობა იყო შექმნილი. ამ პერიოდში ქაქუცას უკვე 500 კაცამდე ყავდა.

ხევსურეთში მეოფი ქაქუცასა და მისი რაზმის წინააღმდეგ რუსთა ჯარი დაიძრა. ქაქუცამ შესაფერისი ზომები მიიღო და ორწყალის მაღლობები დაიკავა. რუსების პირველი ცდა – ბრძოლით აეღოთ სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილი, სასტიკი მარცხით დამთავრდა. სასოწარკვეთილი სიღნაღის პოლიტსამმართველოს უფროსი თავის ხელმძღვანელებს ატყობინებდა: „ბანდიტების შეპყრობის გამიზნული ყველა ოპერაცია მთავრდება უშედეგოდ".[10]

პარტიზანების წარმატებამ ფრთები შეასხა ხევსურეთის მოსახლეობას. ყოველდღიურად იზრდებოდა აჯანყების მასშტაბები. ამას, რა თქმა უნდა, ვერ შეუწყობდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება. აჯანყებულთა წინააღმდეგ გადამჭრელი შეტევისათვის დაისახა ახალი სამოქმედო გეგმა, რაც ხევსურეთის სიღრმეში მსხვილი სამხედრო შენაერთის შეჭრას გულისხმობდა. ამავე დროს, „საქჩეკას" დაევალა ყველა საშუალებით ეცადა საკუთარი აგენტები შეეგზავნა შეფიცულთა რაზმში. ეს გაუადვილებდა მას პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლას.

ორწყალზე დამარცხებულმა სამთავრობო ჯარებმა პირდაპირ შეტევაზე ხელი აიღო და შემოვლითი შორი გზით სცადეს ხევსურეთში შესვლა. მათ დაიკავეს სოფელი აკუშო და იქიდან დაიწყეს ორწყალის მიდამოების დაბომბვა. თბილისიდან გააგზავნეს ქართული პოლკის ბატალიონი, კავკასიის მე-19 მსროლელი პოლკის ასეული, არმიის სასწავლო საკადრო პოლკის ასეული, ცალკე კავალერიის ბრიგადის რჩეული ესკადრონი და 37-ე აეტოჯავშნოსანი შენაერთი. შეტევა ავიაციითაც გააძლიერეს. მას უნდა დაეხვერა საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთი და საჭიროების შემთხვევაში დაებომბა აჯანყებულთა პოზიციები.[11]

საბჭოთა ჯარებმა ძალების ასეთი მობილიზაციის შემდეგ ბარისახოც აიღეს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ფშავში გადავიდა. ცენტრალურმა სარდლობამ თიანეთის მაზრის პარტიულ და სამხედრო სტრუქტურების ხელმძღვანელებს დააკავალეს ყველა გზისა და საცალფეხო ბილიკის ბლოკირება, უკან დახეული აჯანყებულების შეპყრობა და ლიკვიდირება.

1922-1923 წლებში სერიოზული პრობლემები შეექმნა საბჭოთა ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოშიც – გურიაში. პარტიზანულმა მოძრაობამ აქ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მისი ლიკვიდაციისათვის გაიგზავნა ქართული სამოსწავლო ბატალიონი. პარტიზანებმა შეძლეს ბატალიონის განადგურება და დახვრიტეს ბატალიონის ხელმძღვანელობა. ამის საპასუხოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა გურიაში და როგორც აღნიშნავდნენ „სასტიკად დასაჯა პოლიტიკური ბანდიტიზმის მეთაურები. სწრაფად იქნა აღდგენილი საზოგადოებრივი წესრიგი გურიაში".[12]

რეპრესიები ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ. პოლიტიკურ პარტიებში საბჭოთა მთავრობის მიერ პროვოცირებული დეზორგანიზაციული მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობდა: 1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს „ახალგაზრდა მარქსისტების" ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა. მარტში მიაგნეს და გაანადგურეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორი არალეგალური ტიპოგრაფია, „საქჩეკამ" დააპატიმრა ანტისაბჭოთა პარტიების სამაზრო ორგანიზაციები სენაკში, გორში, ფოთში, სოხუმში.[13]

1923 წლის აგვისტოში ჩატარდა სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა, რომელმაც პარტია დაშლილად გამოაცხადა.[14] უკვე 1923 წლის 28 ოქტომბერს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ პარტია დაშლილად

გამოაცხადა. სოციალისტ-ფედერალისტების მემარცხენე ნაწილი, რომლებიც თავიდანვე დადგნენ საბჭოთა პლატფორმაზე, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ პირველ ხანებში მაინც ჰქონდათ პრეტენზიები. ამ უთანხმოებას განსაკუთრებით იწვევდა საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის განუწყვეტელი იგნორირება. მაგრამ მალე ეს ჯგუფი მთლიანად გაითქვიფა კომუნისტური პარტიის რიგებში. მალე დაიშალა „ახალგაზრდა მარქსისტთა", „დაშნაკციუტუნის" სომხური ნაციონალისტური ორგანიზაცია და ა.შ. ანტისაბჭოთა პარტიები არალეგალურ მუშაობაზე გადავიდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ახლო მომავალში შეიძლება შექმნილიყო ისეთი საერთაშორისო ვითარება, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოში ანტისაბჭოთა სახალხო აჯანყების ძლევამოსილად დასრულებას. ამ მიზნით დაიწყო ინტენსიური მუშაობა.

დიდი ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზაციის იდეა დაიბადა საქართველოს ანექსიისა და ხელმეორე ოკუპაციისთანავე. საზღვარგარეთ გადახვეწილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურები მცდელობას არ აკლებდნენ გამოეწვიათ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მესვეურთა დაინტერესება საქართველოს ბედით, რომ მათ დაეგმოთ კომუნისტური რუსეთის მიერ განხორციელებული უკანონო აქტი, მაგრამ გამარჯვებული ანტანტის ხელმძღვანელები, თვითონაც უზარმაზარი კოლონიალური იმპერიების მფლობელები, ერთიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენაზე მეოცნებენი, თავისი დიდი პოლიტიკური თამაშის დროს ნაკლებად ითვალისწინებდნენ პატარა და, მათი აზრით, უმნიშვნელო ერების ინტერესებს.

ანტისაბჭოთა ბრძოლის გაძლიერება. 1922 წლის მაისში ჩამოყალიბდა ანტისაბჭოთა პარტიების ბლოკი – „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" (დამკომი), რომელიც შეიქმნა პარიტეტულ საწყისებზე. პარალელურად პატრიოტულმა ძალებმა საბჭოთა სტრუქტურებში, განსაკუთრებით სამხედრო ორგანიზაციაში შეაგზავნეს თავისი წარმომადგენლები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა დეზორგანიზაციის შეტანა საბჭოთა სამხედრო სტრუქტურებში, ეროვნული ძალების ინფორმირება და შექმნილი ვითარების ეროვნული ინტერესებისათვის გამოყენება. სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, პირიქით, მათი განზრახვა გამჟღავნდა და სახელოვანი ქართველი მხედართუფროსები: ალ. ანდრონიკაშვილი, ე. წულუკიძე, კ. აფხაზი, რ. მუსხელიშვილი, გ. ხიმშიაშვილი და სხვები დახვრიტეს.

ამის მიუხედავად, აჯანყებისათვის მზადება გრძელდებოდა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პარტიზანულ მოძრაობას, რაც რეპრესიების მიუხედავად, ძლიერდებოდა – კახეთში – ქ. ჩოლოყაშვილის რაზმები, ქართლში – ლაშქარაშვილის, ბორჯომის რაიონში – კასრაძის. სვანეთში – გარდაფხაძის, გურიაში – მათითაიშვილის და მუხაშავრიას და ა.შ.[15]

საქართველოში ანტისაბჭოთა მოძრაობის გასაძლიერებლად საზღვარგარეთიდან ჩამოვიდნენ ვ. ჯუღელი, ბ. ჩხიკვიშვილი, ბ. ცენტერაძე, ე. ნოდია. აჯანყების თარიღი რამდენჯერმე გადადეს.

აჯანყების ლიკვიდაციისათვის ემზადებოდა საბჭოთა ხელისუფლებაც. თავისი აგენტურული ცნობებით იგი კარგად იყო ინფორმირებული თუ რა ხდებოდა ოპოზიციის ბანაკში. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან აჯანყების პროვოცირების შესახებ. ამის აუცილებლობა აშკარაა იყო, რადგან ვერ მოხერხდა კომუნისტური დაპირებების შესრულება: მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაუსაძლის მდგომარეობაში იყო, თვითონ მმართველი პარტია – საქართველოს კომუნისტური პარტია, განიცდიდა შინაგან „რყევასა, და გაუბედაობას", სერიოზული პრობლემები იყო საქართველოს წითელ ჯარში, მილიციაში, თვითონ საქართველოს საგანგებო კომიტეტშიც კი. ვერ მოხერხდა სწრაფი ეკონომიკური აღმშენებლობის დაწყება, ინფლაციამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ქალაქი და სოფელი ერთნაირად განიცდიდა. აუცილებლად საჭირო იყო მოსახლეობის ყურადღების ანტისაბჭოთა აჯანყებაზე გადატანა, რომლის

ჩახშობის დროს შეეძლოთ უკონტროლოთ ფიზიკურად გაენადგურებინათ საბჭოთა ხელისუფლების ყველა შესაძლო ოპონენტი და ხოლო ამაზე პასუხს ხელისუფლებას არავინ მოთხოვდა.

პარალელურად სახალხო ძალები ამზადებდნენ სახალხო გამოსელას, მაგრამ 7 აგვისტოს დააპატიმრეს ვ. ჯ'ულელი. სისხლისსერის თაეიდან აცილების მიზნით ის იძულებული გახდა მოწოდებით მიემართა თანამებრძოლებისათეის, რომ აჯანყებაზე ხელი აეღოთ; მაგრამ აჯანყების შეჩერება 'უკვე აღარ შეიძლებოდა – მისი დაწყება ხელისუფლებასაც აწყობდა.

1924 წლის აჯანყება. წინასწარ შემ'უშავებული გეგმის მიხედვით აჯანყება თბილისში 'უნდა დაწყებულიეო, სადაც ადგილობრივ ძალებს ქ. ჩოლოყაშვილისა და მ. ლაშქარაშვილის შეიარაღებული ფორმირებები უნდა დახმარებოდნენ. ნაეარა'უდეეი იყო ვაზიანის საარტილერიო პოლკის განეიტრალება. თბილისში დაწყებული აჯანყება მთელ საქართველოში უნდა გაერცელებულიყო. თბილისის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბათუმს, რომელიც ივარაუდებოდა ევროპიდან საჭირო დახმარების მისაღებ პლაცდარმად. მაგრამ აჯანყების დაწყების რამდენიმე დღით ადრე ხელისუფლებამ ბათუმში დამატებითი სამხედრო ნაწილები შეიყვანა, რითიც სერიოზულად გააძნელა დასახული გეგმის რეალიზაცია და თავისი პოზიციები ამ ქალაქებში მნიშვნელოვნად განამტკიცა.

აჯანყებისათეის მზადება მიმდინარეობდა ქაქუცას რაზმშიც. 'უკვე 24 აგვისტოს მასთან, ტყეში მიეიდნენ „დამკომის წევრები: ს. ჭავჭავაძე, ი. ჯაეახიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, შ. ამირეჯიბი და ბოჭორიშვილი. ამასთან დაკავშირებით ქაქუცას რაზმში გაიმართა აღლუმი.

28 აგვისტოს ჭიათურასა და გარე კახეთში ნააღრეეი აჯანყება დაიწყო, რამაც გარკვეულად დაარღვია დასახული მიზნები და ხელი შეუწყო ხელისუფლების მობილიზებას. 'უკვე 29 აგვისტოს საქართველოს სხეადასხეა კუთხეში შეიარაღებული გამოსელები გაგრძელდა. განსაკუთრებით აქტიური იყო გურიის რეგიონი, სადაც აჯანყების წარმატება აშკარა ჩანდა.

ქაქუცას რაზმელები შეეიდნენ სოფელ პრიუტში, დაიკავეს წინარეთი. პარტიზანებმა შემდეგ აიღეს კავთისხეეი, ჩავიდნენ შიო მღვიმეში და მონასტრის მახლობლად დაბანაკდნენ. სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ წინასწარ განხორციელებული დამსჯელი ღონისძიებების გამო ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ვერ მიიღო ის 'შევსება, რასაც მოელოდა. მიუხედავად ამისა მან გააგრძელა წინსელა, გადავიდა არაგვის ხეობაში და 3-4 სექტემბერს დაიკავა დუშეთი.

დუშეთიდან წამოსულმა პარტიზანებმა 5 სექტემბერს აიღეს ერწო, მეორე დღეს კი სიმონიანთხევში სასტიკი ბრძოლა გაიაღდა. ამ ბრძოლაში ქაქუცამ მოწინააღმდეგის ორასამდე მებრძოლი დაატყვევა. ისინი განაიარაღეს და ქაქუცამ ყველა სახლში გაუშვა. აქედან რაზმი კახეთში გადაეიდა და ხეკგრძელასთან დაბანაკდა.

ამ დროს საბჭოთა ხელისუფლებას აჯანყების ძირითადი კერები 'უკვე ლიკვიდირებული ჰქონდა.

ქართველთა შეუთანხმებლობამ, იმან, რომ ზოგიერთ რაიონში აჯანყება დროზე ადრე დაიწყო, აჯანყებულთა რიგებში „ჩეკას“ აგენტების წარმატებულმა მოქმედებამ, მთავრობის მიერ დროულად განხორციელებულმა მობილიზაციამ, აჯანყების ხელმძღვანელების მხრიდან დაშვებულმა შეცდომებმა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების პასიურობამ სამშობლოს განთავისუფლებისათვის დაწყებული ღიდი ბრძოლა ტრაგიკული შედეგებით დაასრულა: ყვირილასთან ეაგონებში ჩაცხრილეს აჯანყების მონაწილენი, კომუნისტებმა ციხეებიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს ისინიც კი, ვინც აჯანყებების დროს პატიმრობაში იყო აყვანილი, გაანადგურეს თავადაზნაურული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი – სერგო ორჯონიკიძის ალიარებით 1000 თავადი და აზნაური, განსაკუთრებით სამხედრო ოფიცრები. ჩეკისტების მიერ პროეოცირებული ბოგანო გლეხები სოფლებში თა-

ეადაზნაურთა ოჯახებს აწიოკებდნენ, არ ინდობდნენ არც ქალებს და არც ბავშვებს. აჯანყება დამარცხდა.

აჯანყების შესახებ იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა იყო და დღესაც არის. ისტორიკოსები იმასაც აღნიშნავენ, რომ „აჯანყებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ნათელყო, რომ ქართველი ხალხი ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას არასოდეს შეურიგდებოდა და თავისუფლებისათვის თავგანწირვით იბრძოლებდა" (ფ. ლომაშვილი), და არიან ისეთები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ „1924 წლის აჯანყებამ დიდი უბედურების გარდა, რაიმე დადებითი შედეგები ქართველ ხალხს ვერ მოუტანა" (გ. ციციშვილი).

1924 წლის აგვისტოს მოვლენებს დიდი ყურადღება დაუთმო სკპ (ბ) ცკ ოქტომბრის პლენუმმა, რომელმაც მოისმინა სერგო ორჯონიკიძის ინფორმაცია და გამართა დისკუსია აჯანყების იმანენტური ბუნების გასარკვევად. პლენუმის წევრებს განსაკუთრებით აფრთხობდა გურიაში აჯანყებულთა შორის გლეხობის საკმაოდ დიდი პროცენტი. პლენუმზე ამ საკითხზე პირველად გ. ზინოვიევმა გააამახვილა ყურადღება – მან გურიის გლეხთა გამოსვლა კრონშტადტის აჯანყებას შეადარა.[16]

ლ. ტროცკიმ გურიის გლეხთა გამოსვლა ტამბოვის აჯანყებას შეადარა და მეტად საგულისხმო შენიშნა გააკეთა „ტამბოვის აჯანყება ეს არის აჯანყება გლეხების, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ძველი კულაკები, რომელთაც არ უნდოდათ განკულაკება, ახლა კი ჩვენ ვხედავთ გლეხობის მოძრაობას, რომელსაც ხელმძღვანელობენ ახალი კულაკები, რომლებსაც არ სურთ ხელი შეუშალონ კულაკად ჩამოყალიბებაში"[17].

საქართველოს სოფელში მიმდინარე მოვლენების ანალიზის საფუძველზე ი. ბ. სტალინმა საგულისხმო აღიარება გააკეთა: „საქართველოს ამბები საგულისხმო ამბებად უნდა მივიჩნიოთ. ის რაც საქართველოში მოხდა, შეიძლება მთელ რუსეთში განმეორდეს, თუ ძირფესვიანად არ შეეცელით თვით მიდგომას გლეხობისადმი, თუ არ შეექმნით პარტიასა და უპარტიოთა შორის სრული ნდობის ატმოსფეროს..."[18].

ერთი მახასიათებელი, რაც არ შეიძლება მკვლევარს არ მოხვდეს თვალში, არის ის, რომ არც ერთი ლიდერი არ ეხება შემდეგ საკითხს, რომ გურიის გლეხობამ შეიძლება აჯანყებას მხარი დაუჭირა არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების ფასების პოლიტიკის, ან გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, არამედ ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის იდეის რეალიზაციის მიზნით.

სერგო ორჯონიკიძემ პლენუმზე განაცხადა, რომ აჯანყებულ რეგიონებში მენშევიკების ზეგავლენა უაღრესად დიდი იყო თვით 1924 წელსაც კი. სწორედ ამაზე მიუთითებს მისი შემდგომი განცხადება – „1921 წელს ჩვენ შევედით საქართველოში, როცა ჩვენს წინააღმდეგ იყო მთელი მოსახლეობა, შეშინებული მენშევიკებისაგან. ჯერ კიდევ 1904-1905 წლებში კამათი და დაპირისპირება ჩვენსა და მენშევიკებს შორის მენშევიკების სასარგებლოდ გადაწყდა, მაშინ როდესაც ჩვენ ათეულობით, ყველაზე მეტი ასეულობით კაცს ვითვლიდით, მენშევიკებს რიგებში 15 000 კაცი ჰყავდათ, მაშინ როდესაც სტოკჰოლმისა და ლონდონის ყრილობებზე საქართველოდან ჩვენი პარტიის რიგებიდან არ შეგვეძლო თუნდაც ერთი დელეგატის გაგზავნა, მენშევიკები ორ ათეულ დელეგატს აგზავნიდნენ"[19].

მენშევიკების ზეგავლენის დასაბუთების მცდელობა ორჯონიკიძის მხრიდან, ჩვენი აზრით, იმის მიმანიშნებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას აუცილებლად სჭირდებოდა ერთხელ და საბოლოოდ გადაეჭრა ბოლშევიზმისა და მენშევიზმის პრინციპული დაპირისპირება ისეთი ძალისმიერი მეთოდით, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ამოძირკვავდა ამ მოძრაობის ნიშანწყალს საქართველოში და ამ მიზნის მისაღწევად აჯანყების პროვოცირება ყველაზე მისაღებ საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

აშკარაა, რომ კრემლის ლიდერების შეშფოთება გამოიწვია არა თვითონ აგვისტოს მოვლენებმა, რასაც ელოდნენ და მომზადებულნიც დაუხვდნენ, არა-

მედ ამ მოელენებში გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილის მონაწილეობამ. აგვისტოს მოელენებში კომუნისტური ხელისუფლება ეარაუდობდა პოლიტიკური, შეურიგებელი ოპოზიციის: მენშევიკების, ეროვნულ-პატრიოტული ძალების, თავადაზნაურობისა და ოფიცრობის ისეთ განადგურებას, რაც შექმნიდა „შიშის მარაგს" ამ ფენების მეხსიერებაში. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გლეხობის აგრესია მან თავისი პოლიტიკის შეცდომად აღიქვა და ამიტომაც იყო პლენუმზე ამ საკითხების მიმართ ასეთი ყურადღება.

რკპ (ბ) ცკ ოქტომბრის პლენუმზე ს. ორჯონიკიძეს დასჭირდა დიდი ექსკურსი იმისათვის, რომ პლენუმისათვის დაემტკიცებინა: ქართველი გლეხობა იბრძოდა არა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, არამედ მათი ამბოხების მიზეზი სოციალური პრობლემები, მოუწესრიგებელი ეკონომიკური ურთიერთობანი იყო. ს. ორჯონიკიძე ამტკიცებდა: „მენშევიკური მთავრობა გლეხობისაგან გადასახადს არ იღებდა, ჩვენ კი არცსუ მცირე გადასახადს ვახდევინებთ... აი აქ უნდა ვეძებოთ ჩვენი მარცხის მიზეზი ოზურგეთის რაიონში"[20].

თითქმის იგივე გაიმეორა ი. სტალინმა, როცა განაცხადა პლენუმზე: „რა უნდოდათ გლეხებს გურიაში? იაფი საქონელი, სიმინდის დიდი ფასი. გურია დასავლეთის საზღვარზეა, ის ხედავს საზღვარგარეთული საქონლის სიიაფეს ჩვენს საბჭოთა საქონელთან შედარებით, და მას უნდა რომ ჩვენი საქონლის ფასი შემცირდეს საზღვარგარეთულ ფასებამდე მაინც, ან სიმინდის ფასი გადიდდეს იმდენად, რომ შესაძლებელი გახდეს საბჭოთა საქონლის ხელსაყრელი გაყიდვა. ესაა ეკონომიკური საფუძველი გურიის აჯანყებისა საქართველოში"[21].

ჩვენი მოსაზრებების განმტკიცებას ხელს უწყობს 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილება, რომლის ანალიზი და შეფასება ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას „მხედველობიდან გამორჩა" და მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანილი საერთოდ არ იყო. მისი ავტორები კი არიან მოლოტოვი, ორჯონიკიძე და ზელენსკი[22].

დადგენილებაში აშკარად ჩანს, რომ 1924 წლის აგვისტოს მოელენების შედეგებმა გაამართლეს კომუნისტური ხელისუფლების მიზანდასახულობანი. პირველ რიგში ქართველ თავადაზნაურობასთან დაკავშირებით. მათზე დადგენილებაში სპეციალური პარაგრაფია, რომელშიც ნათქვამია: „თავადაზნაურობა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ სოციალური საფუძვლები გამოაცალა, ამიტომაც გაბოროტებულია, კონტრრევოლუციის დასაყრდენია, ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა უნდა გახდეს თავადაზნაურთა პოლიტიკური მნიშვნელობის განადგურება"[23]. ჩვენ აქ დაუმატებთ იმას, რაც აქ აბზაცებს შორის იკითხება – ფიზიკური განადგურებაც, რადგან ს. ორჯონიკიძის აღიარებით მოელენების დროს დახერეტილი 980 კაციდან 95% – თავადაზნაური იყო. ამრიგად, „შიშის მარაგი" კომუნისტებმა ჩინებულად დანერგეს საქართველოს სოფელში, რადგან მრავალი ასეული თავადაზნაურის სიცოცხლე – ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდა და ენერგიული ადამიანების ფიზიკური განადგურება სწორედ ის კრიტიკული მასაა, რაც აუცილებელია (როგორც ამას მკელევარი ს. ბილოკინი მიუთითებს), რომ საზოგადოების შეგნებაში რაოდენობრივი ცვლილებები გადაიზარდოს თვისებრივ ცვლილებებში[24].

ისიც საგულისხმოა, რომ დადგენილება უკვე განხორციელებულ რეპრესიებზე არ ჩერდება და ახალს გეგმავს: „...დავალოთ გლეხთა კომიტეტებს (სათემო შეკრებებს) მიიღონ თავადაზნაურთა გასახლების დადგენილება. ყურადღება მიაქციონ, რომ თავადაზნაურთა კონფისკაციის დროს **ქონების გარკვეული ნაწილი** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) გადაეცეს უქონელ გლეხობას[25]. ამრიგად, დადგენილება ახალ პროვოკირებას უკეთებს საქართველოს უქონელ გლეხობას, რომ მან გააგრძელოს რეპრესიების ტალღა თავადაზნაურთა მიმართ და რაც მას ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობასაც მისცემს.

ასევე მრავალისმეტყველია დადგენილების ის ნაწილი, რაც ქართველ ინტელიგენციას ეხება – „უკანასკნელმა მოელენებმა აჩვენა ქართველი ინტელიგენციის

ევროპაზე ორიენტაციის უპერსპექტივობა, რამაც უამრავი მსხვერპლი გამოიწვია. ამიტომაც შეიმჩნევა გარდატეხა და საბჭოთა ხელისუფლებისაკენ შემობრუნება".

დადგენილების ეს ნაწილი კიდევ ერთხელ მიუთითებს კომუნისტური რეჟიმის იმედებზე – ს. ორჯონიკიძე ხომ საუბრობდა პლენუმის ტრიბუნიდან, რომ საქართველოს მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია მცირედის გამოკლებით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი იყოო, ხოლო ორჯონიკიძის გამოსვლის მეორე დღესვე ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სასურველს უკვე რეალობად აცხადებს. ამრიგად, მაოი რეპრესიების მიზეზი თავადაზნაურობის, როგორც კლასის, ტოტალურ ლიკვიდაციასთან ერთად, მრავალრიცხოვანი ქართული ინტელიგენციის საბჭოთა პლატფორმაზე გადმოყვანა, ევროპული ორიენტაციიდან რუსულ-ბოლშევიკურ ორიენტაციაზე გადასვლა იყო. ამ პოლიტიკამ რომ გაუმართლა მის ინიციატორებს, ეს დაადასტურა სულ მალე საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა. მალე საბჭოთა რეჟიმთან ლოიალური დამოკიდებულების შესახებ განაცხადა საქართველოს საპატრიარქომაც.

რკპ (ბ) ცკ დადგენილება კონსტატაციას უკეთებს იმ ფაქტს, რომ „მენშევიკების გახრწნის პროცესმა მუშებში კეთილი ნაყოფი გამოიღო" და მიზნად ისახავს ამ პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებას „მენშევიკების ორგანიზაციების გასახრწნელად" და ფაქტია, რომ მათ ეს შეძლეს – რადგან 1924 წლის შემდეგ საქაროველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ვერც ერთ ეტაპზე ვერ აღორძინდა და საერთოდ გაქრა.

აშკარაა, რომ ახალი ფორმით რუსული კოლონიალიზმის დამყარებამ განაპირობა საქართველოში, კომუნისტური ხელისუფლების პირველსავე წლებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განეითარება. ბრძოლა დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იყო ქართველ პატრიოტების მთავარი მიზანი. მოსახლეობის ანტისამთავრობო გამოსვლებს, გარკვეულწილად, უზრუნველყოფდა ხელისუფლების უუნარობა სწრაფად გამოეყვანა ქვეყანა ეკონომიკური სტაგნაციიდან. დიდი სახალხო აჯანყება 1924 წელს მიზნად ისახავდა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას, თუმცა დგინდება სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან აჯანყების პროვოცირების ფაქტიც, რომლის მიზანი იყო მოსახლეობის ყურადღების გადატანა მძიმე სოციალური მდგომარეობიდან და „შიშის სინდრომის" დანერგვა. 1924 წელი – მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია საქართველოს ისტორიაში, ამის შემდეგ საქართველოში გარკვეულად იცვლება მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება, დამოკიდებულება ახალი სახელმწიფო სისტემისადმი.

---

1. გაზ. „კომუნისტი", 1922, 7 ივნისი.
2. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდგომში: საქართველოს უიცსა) ფ. 284, აღ. 1, ს. 8. ფურც. 26.
3. იქვე. ფურც. 35.
4. თ. ენდელაძე, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-1925), საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2003, გვ. 95.
5. საქართველოს უიცსა, ფ. 284, აღ. 1, ს. 32, ფურც. 50.
6. თ. ენდელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.
7. გაზ. „კომუნისტი", 1922 წ., 31 იანვარი.

8. ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ.428.
9. საქართველოს უიცსა, ფ.284, აღ. 1, ს. 8, ფურც. 21-22.
10. თ.ენდელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.
11. იქვე.
12. ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1958, გვ. 285.
13. თ. ენდელაძე; საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების ბრძოლა პარტიების დაშლისათვის – „ოვითლიკვიდაციისათვის", ალმანახი „ალიო" 2003, №19, გვ. 159.
14. ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო აღდგენით პერიოდში, თბ., 1958, გვ. 296-297.
15. იქვე, გვ. 300.
16. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 2, д. 151, л. 93.
17. იქვე, ფურც. 504-505.
18. ი. ბ. სტალინი, თხზ, ტ. 6 გვ. 361.
19. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 472, л . 21.
20. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 461, л. 32.
21. ი. ბ. სტალინი, თხზ, ტ. 6; გვ. 361.
22. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 472, л . 21.
23. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 461, л . 32.
24. С. Билокин, Механизм большевитского насилия, Киев, 2000, გვ. 21
25. ГАСПИ РФ, ф.17, оп. 3, д. 461, л. 32.

საქართველოს „ავტონომიზაცია" თუ „გაყინული" სეპარატიზმი

საბჭოთა „ავტონომიზაცია". საქართველოში კომუნისტურმა ხელისუფლებამ ეროვნული საკითხის მოწესრიგება კომუნისტური დოგმატიკის საფუძველზე გასაბჭოებისთანავე დაიწყო. ქართველ კომუნისტებს, რა თქმა უნდა, ისეთივე პოლიტიკა უნდა განეხორციელებინათ, რაც რუსეთის ფედერაციაში ეროვნულ ურთიერთობათა დარგში ხორციელდებოდა. და, მართლაც, ეს რუსული შაბლონი მათ დიდი გულმოდგინებით გადმოიტანეს საქართველოს სინამდვილეში.

საქართველოში ავტონომიური ერთეულების შექმნის საკითხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოს მესვეურთა წინაშეც იდგა და, გარკვეულად, გადაწყდა კიდეც იმით, რომ ისინი არ იყვნენ წინააღმდეგნი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ავტონომია მინიჭებოდა აფხაზეთს და „სამუსულმანო საქართველოს". ეს აისახა კიდეც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში.[1]

ავტონომიების შექმნა ეროვნული საკითხის მოსაგვარებლად – ეს რუსეთის კომუნისტური რევოლუციის გამოცდილება იყო, რასაც დიდ პროპაგანდას უწევდნენ და მიაჩნდათ ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად. ამიტომ, გასაგებია, რომ ქართველმა კომუნისტებმა საქართველოში საეროვნებათაშორისო პრობლემების გადაწყვეტა სწორედ ამ მეთოდით სცადეს. შეიქმნა შემდეგი ავტონომიური ერთეულები: აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

აფხაზეთის რევკომმა 1921 წლის 31 მარტს რადიოგრამა გააგზავნა მოსკოვში, ამიერკავკასიის რესპუბლიკების დედაქალაქებში, რომ „მშრომელთა ნებით იშვა ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა – აფხაზეთი. აფახაზეთის

მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობა საბოლოოდ გადაწყვეტს ხალხთა ბედს".[2]

1921 წლის 28 მაისს აფხაზეთის მშრომელთა პირველმა ყრილობამ განიხილა საკითხი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ და დაადასტურა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ეროვნულ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ ყრილობა მიესალმიება უმჯიდროეს კავშირსა და ძმურ ურთიერთობას ყველა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ხოლო „პირველ რიგში, კულტურით, ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობით და ყოფაცხოვრებით ყველაზე ახლო მდგომ საბჭოთა საქართველოს მუშებთან და გლეხებთან". იმავედროულად იყო მოარული აზრი დამოუკიდებელი აფხაზეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის მიზანშეწონილობის შესახებაც.

მართალია, აფხაზეთის კომუნისტი ლიდერები (ნ. ლაკობა, ე. ეშბა) მუდამ ხაზს უსვამდნენ, რომ აფხაზეთის ეს დამოუკიდებლობა იყო ფორმალური, „ფირნიში", რომლის მთავარი მიზანი იყო მენშევიკური საქართველოს პერიოდში ქართულ-აფხაზური შელახული, ტრადიციული მეგობრული ურთიერთობების აღდგენა-განვითარება, მაგრამ ფაქტი ერთია – აფხაზეთს მთელ იმჟამინდელ საბჭოთა სივრცეში მცირერიცხოვანი ეთნოსებიდან ერთადერთს მიენიჭა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის განსაკუთრებული უფლება, რაც არ მიანიჭეს რსფსრ-ს შემადგენლობაში მყოფ ისეთ მრავალრიცხოვან ხალხებსაც კი, როგორიც იყვნენ: ბაშკირები, ვოლგის თათრები, ყირიმელი თათრები, იაკუტები, მთელი შუა აზია გაერთიანებული იყო თურქესტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, იქ კი ცხოვრობდნენ უზბეკები, ტაჯიკები, ყირგიზები – უმდიდრესი კულტურისა და ცივილიზაციის ერები.

1921 წლის 23 ივლისს სოხუმში გაიმართა რკპ(ბ) აფხაზეთის ორგბიუროს, აფხაზეთის რევკომისა და სხვა ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირების თათბირი, სადაც ნ. ლაკობამ განაცხადა, რომ აუცილებლად მიაჩნია საქართველოსა და აფხაზეთის ფედერაციულ საფუძველზე გაერთიანება. თათბირზე აღინიშნა, რომ საქართველოს რევკომმა აფხაზ ხალხს „მაქსიმალური ავტონომიის უფლება მისცა".[3]

16 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დაიდო სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური ხელშეკრულება (კავშირი), რის საფუძველზეც გაერთიანდა ამ ორი რესპუბლიკის ბევრი სახალხო კომისარიატი და უწყება: სამხედრო, საფინანსო, სახალხო მეურნეობის, ფოსტა-ტელეგრაფის, იუსტიციის, საზღვაო ტრანსპორტის, საგანგებო კომისია, მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

ამ ხელშეკრულების მიხედვით, აფხაზეთი, ფაქტობრივად, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს ფლობდა და არაფრით განსხვავდებოდა სხვა ავტონომიური გაერთიანებებისაგან, მით უფრო, რომ მისი საოლქო პარტიული ორგანიზაცია – როგორც რეგიონალური ორგანიზაცია, მთლიანად ექვემდებარებოდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აჭარის ავტონომიის საკითხი კელავ დღის წესრიგში დადგა. ამას მოითხოვდა რუსეთ – თურქეთის 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში დადებული ხელშეკრულებაც.[4]

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით, რომელმაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოაცხადა აჭარის მეჯლისი. დეკრეტში აღნიშნული იყო, რომ მეჯლისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ რჩება აჭარის ასსრ საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევამდე.

შიდა ქართლში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა იყო კომუნისტების ხარკი ოსების იმ ანტისამთავრობო გამოსვლებისათვის, რასაც ისინი სისტემატურად ეწეოდნენ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების წინააღ-

მდეგ, თორემ ასეთი ავტონომიური წარმონაქმნის ფორმირებისათვის არც ისტორიული, არც სამართლებლივი და არც დემოგრაფიული საფუძვლები არ არსებობდა.

1921 წლის 6-8 სექტემბერს გამართულმა სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ განიხილა „სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევისა და პოლიტიკური მოწყობის საკითხი" და დაადგინა შექმნილიყო „სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ცენტრით ცხინვალში".

აღნიშნული მოთხოვნა იმდენად კურიოზული იყო (იმჟამად ოსების ისტორიულ სამშობლოში – ჩრდილოეთ კავკასიაში ოსების არავითარი ავტონომია არ არსებობდა), რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომაც კი შეუძლებლად ჩათვალა მისი დაკმაყოფილება.

1921 წლის 31 ოქტომბერს კავბიურომ მოისმინა შიდა ქართლში ოსების ტერიტორიული მოწყობის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მისი დედაქალაქის შესახებ კავბიუროს გადაწყვეტილება არ მიუღია. ეს საკითხი განიხილა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და დაადგინა, რომ ძველი ქართული ქალაქი ცხინვალი შესულიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, როგორც მისი ადმინისტრაციული ცენტრი. მაშინ ცხინვალის მოსახლეობაში ოსების წილი მხოლოდ 13,5 პროცენტი იყო.

1922 წლის 20 აპრილს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების ეროი ჯგუფის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელშიც ოსურ სოფლებთან ერთად გაერთიანდა 40 ქართული სოფელი და 1 ქალაქი (ცხინვალი), რომელშიც 20 ათასი ქართველი იყო და მხოლოდ 1100 ოსი.[5]

ბოლო წლებში ქართველმა ისტორიკოსებმა არაერთი დოკუმენტი გამოაქვეყნეს, რომლებშიც ნათლად არის გაცხადებული ბოლშევიკური რუსეთის დიპლომატიური თუ სამხედრო მოღვაწეების აშკარა სურვილები, რეკომენდაციები საქართველოში შექმნილი ავტონომიების მომავალი ბედის განსაზღვრის დროს. მათი შეხედულებები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ კრემლის ოფიციალურ მოსაზრებებს და უფრო სიახლოვეს ავლენდნენ მეფის რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის რეალიზატორთა მოსაზრებებთან და არ უნდა იყოს გამორიცხული მათი ალიანსი რუს დიდმპყრობელ-შოვინისტებთან, რითიც იმჟამად საკმაოდ მდიდარი იყო რუსეთის კომუნისტური პარტია. ავიღოთ მაგალითად, რუსი დიპლომატი კ. იუსტი. ის აჭარაში არსებული ვითარების განხილვის დროს ხმარობს ტერმინს „ქართული კოლონიზატორობა".[6] ასევე მიუთითებს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების სისუსტეზე. რუს დიპლომატს განსაკუთრებით აღიზიანებს, რომ აჭარაში ხდება პროქართული ორიენტაციის გაძლიერება – სწორედ ამაში ხედავდა ის „კოლონიზატორობას". იმ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების მკაცრი კრიტიკის შემდეგ, რომლებიც ამინდს ქმნიდნენ აჭარის „კოლონიზატორობაში", მის სიმპატიებს იმსახურებენ მხოლოდ ისინი, ვინც „მკაცრად ხელმძღვანელობს რსფსრ-დან მიღებული რეცეპტებით".

კიდევ უფრო შორს მიდიოდა საქართველოს ავტონომიებთან დაკავშირებით რუსი გენერალი პ. სიტინი – მან შექმნა საქართველოს დანაწილების საკუთარი გეგმა, მიიჩნია, რომ აფხაზეთის მოსახლეობა პლებისციტის შემთხვევაში (მას აკვიწყდება ან არ იცის, რომ აფხაზეთში მოსახლეობის ნახევარზე მეტი – ქართველი იყო) სიამოვნებით დაუჭერდა მხარს რსფსრ-თან ორგანულ კავშირს, რადგან რუსეთისათვის უაღრესად საჭირო სტრატეგიული და პოლიტიკური მოსაზრებით მქონე ამ მხარეს ის მნიშვნელობაც ჰქონდა, „რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხელში განკარგავდა ამ ქვეყნის მნიშვნელოვან სახალხო სიმდიდრეს, რაც დღეს ასე გაეერანებულია ქართველების მიერ".[7]

ამრიგად, აშკარაა, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა „ლენინური მეგობრობის“ მიუხედავად, რუსეთის დიპლომატებისა და სამხედრო მოღვაწეების გარკვეულ წრეებში საქართველოში მიმდინარე ეთნიკური პროცესების მიმართ აშკარა კოლონიზატორული ანუ „გათიშე და იბატონეს“ პრინციპები იყო გაბატონებული. ეს ტენდენციები ხან ძლიერედებოდა, ხანაც სუსტდებოდა – იმისდა მიხედვით თუ კრემლის პირველი ლიდერი როგორ ჩათვლიდა საჭიროდ.

დეცენტრალიზაციის პროცესები. 1925 წელს საქართველოში, გარკვეული პოლიტიკური ძალები, შეეცადნენ ეროვნულ (ეთნიკურ)-ტერიტორიული გამიჯვნის პროცესი გაელრმავებინათ, ცდილობდნენ ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნას, უკვე არსებული ავტონომიური ერთეულების სტატუსის შეცვლას, იყო ცენტრთან – თბილისთან ცალკეული რეგიონების ურთიერთობების გაუარესების ფაქტებიც.

1925 წლის 12 სექტემბერს გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა ლ. ბერიას წერილი „მეგრელ ავტონომისტების შესახებ“. ქართველი „ჩეკისტების“ ლიდერი ბრალს სდებდა მეგრელთა ერთ ჯგუფს (მ. დადიანს, ვ. ბუკიას, კ. კილასონიას, გ. ახალაიას) ავტონომიზაციის იდეით გატაცებაში, ამ იდეის პროპაგანდასა და საკავშირო ორგანოებში მათ მიერ გაგზავნილ წერილებში გამოხატულ არასახელმწიფოებრივ შეხედულებებში.

ქართულ პრესაში კომუნისტი ლიდერების ატეხილმა ამ ფუჭმა ალიაქოთმა აღაშფოთა ქართველი ინტელიგენცია, რომელმაც დაიხახა საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ შორსგამიზნული იმპერიული ხრიკების საფრთხე. კ. გამსახურდიას ინიციატივით ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, განსაკუთრებით სამეგრელოდან გამოსულები, შეიკრიბნენ რუსთაველის თეატრში და პროტესტი განაცხადეს ამ ანტიქართული ხრიკების გამო. დ. თოფურიძემ გამოაქვეყნა სტატია „სამეგრელო და აშორდისტები“, რომელშიც პოლიტიკანების აღნიშნული მცდელობა „ნიკოლოზის იმპერიალისტურ პოლიტიკას“ შეადარა.[8] ამ ეტაპზე საკითხზე საჯაროდ მსჯელობა შეწყდა.

სამეგრელოსათვის ავტონომიის მინიჭების მოსურნემ, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პარტიულმა ხელმძღვანელმა ი. ჟვანიამ დაიწყო თბილისსა და მოსკოვში სამეგრელოს ეთნოგრაფიული თავისებურებებით სპეკულაცია. იგი 1928 წლიდან აშკარად ტერიტორიული ავტონომიის უფლებებისათვის იბრძოდა. ამას ბიძგი მისცა 1928 წლის ზაფხულში საქართველოში მოსკოვიდან სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალური კომისიის ჩამოსვლამ, რომელსაც რკპ (ბ) ცკკის საკონტროლო კომისიის პასუხისმგებელი მუშაკი პშენიციხი ხელმძღვანელობდა. კომისიამ შემოიარა საქართველოს კუთხეები.

კომისიის მუშაობის შედეგები მოისმინა საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის I პლენუმმა, სადაც მოკრძალებულად გაიჟღერა ფრაზამ „სამეგრელოში მეგრულ ენაზე ბროშურების გამოცემის შესახებ“.[9]

უკვე პლენუმზე გამოიკვეთა პარტიული ხელმძღვანელების ორი მიმდინარეობა სამეგრელოში მეგრულ ენაზე წიგნებისა და ბროშურების გამოცემის შესახებ:1„იმის წინააღმდეგ, რომ მეგრელ გლეხს მიეცეთ რაიმე მეგრულ ენაზე, ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი არ უნდა ჰქონდეს“ და 2„თუ თქვენ დღეს გამოსცემთ ბროშურას მეგრულ ენაზე, ხვალ გაიხსნება ცხრაწლედი, ხოლო ზეგ – შექმნიან ავტონომიურ რესპუბლიკას“.[10]

ამ ორ დაჯგუფებას შორის იყო მუდმივი მწვავე პოლემიკა. მეტად საგულისხმოა, რომ „ავტონომისტები“ აპელაციას მუდამ მოსკოვში ეძებდნენ და ცდილობდნენ კრემლის ლიდერთა მხარდაჭერის მოპოვებას. ი. ჟვანიამ საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეს, მ. კლინინის სოხოეა დახმარება და, როგორც ამტკიცებენ, მასაც დაპირება მიუცია.

ქართველი პატრიოტები ცდილობდნენ ი. ჟვანიას სეპარატისტული მიდრეკილებები მოეთოკათ და თბილისის დახმარებით მართველობისაგან ჩამოეცილებინათ. და 1933 წლის 14 თებერვალს იგი დაკავებული თანამდებობიდან გადააყენეს.

20-იანი წლების შუა ხანებში სამეგრელოში მიმდინარე პროცესებმა შეაგუ-ლიანეს სომეხი სეპარატისტები მესხეთ-ჯავახეთში. აქაური კომუნისტი ლიდერე-ბი თბილისის წინაშე შეფარვით აყენებდნენ ავტონომიური უფლებების მინიჭე-ბის საკითხს. ავტონომიური ოლქის სტატუსის გადახედვას მოითხოვდნენ სამ-ხრეთ ოსეთის პარტიული ხელმძღვანელებიც. ისინი საქართველოს კომპარტიის ლიდერებს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მათ არ შეასრულეს წინასწარი დაპი-რება და რესპუბლიკის ნაცვლად მაი „შეაპარეს" ავტონომიური ოლქი.

სერიოზულად დაიძაბა ვითარება აჭარაშიც. საბჭოთა ხელისუფლებამ, პო-ლიტიკური მოსაზრებით, თურქეთთან შესაძლო ანტიიმპერიალისტური კავშირის იმედით, აქ ზედმეტი დათმობები გააკეთა.

კომუნისტური ხელისუფლების განწყობილებას თავის სასარგებლოდ იყენებ-და თახსინ ხიმშიაშვილი, რომელიც 1923 წლიდან აჭარის ავტონომიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გახდა. მან საბჭოთა ხელისუფლების გულის მოსაგებად დააპატიმრა მემედ აბაშიძე და მისი ოჯახი. აჭარის ტერიტორიიდან 15 ყველაზე აქტიური ბეგი გაასახლეს. მათ შორის ბევრი იყო ქართული ორიენტაციი-ის, სამაგიეროდ მან დაიახლოვა თურქოფილები. თ. ხიმშიაშვილის პროისლამის-ტური განწყობილებები დისონანს ქმნიდნენ თბილისსა და ბათუმს შორის.

მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა 1925 წლის 12 ოქტომბერს, როცა თ. ხიმშიაშვილმა ქედაში მოიწვია აჭარისტანის საბჭოების ცაკის მესამე სესია, რომელიც ანტიქართული გამოსვლებით გამოირჩეოდა. სხდომამ საქართველოსა და აჭარისტანს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ სპეციალური დად-გენილებაც კი მიიღო, სადაც ნათქვამი იყო: „მესამე სესია მწუხარებით აღნიშ-ნავს საქართველოს მთავრობის მიერ აჭარისტანის მიმართ თავიდანვე წარმოე-ბულ ნაციონალურ-შოვინისტური და კოლონური პოლიტიკის წარმოების გაგრძე-ლებას. საქართველოს მთავრობა თავის ნაციონალურ-კოლონიალურ პოლიტიკას არ იშლის..."[11]

ქედის რეზოლუციის ტონი და თ. ხიმშიაშვილის ზედმეტი სითამამე გვა-ფიქრებინებს მის რაღაც კავშირს გენერალ სიტინთან, დიპლომატ იუსტთან და სხვა რუს შოვინისტებთან, რომელთაგან ის, ალბათ, დახმარებას მოელოდა.

უხეშმა კომუნისტურმა ზეწოლამ, რაც გამოიხატა ტრადიციული ყოფის ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში, ათეისტური ბრძოლის უხეშ ფორმებში, ქალის სოციალური აქტივიზაციის მიზნით გადადგმულმა არაადეკვა-ტურმა ნაბიჯებმა (იგულისხმება ჩადრის ტარების ტრადიციის წინააღმდეგ მი-მართული მკაცრი ღონისძიებები) და ა.შ., 1928 წელს აჭარაში ამბოხება გამოიწ-ვია. ამბოხებულებმა დაიწყეს საბჭოთა სასაზღვრო საგუშაგოებზე თავდასხმები. ფაქტობრივად აჯანყებულები საბჭოთა რეგულარულ ძალებს დაუპირისპირდნენ. აჯანყებულებმა აიღეს ერთ-ერთი, 25-ე საგუშაგო და კონტროლი დაამყარეს გო-დერძის უღელტეხილზე.

ამბოხების ესკალაციასთან ერთად, შეიმჩნეოდა პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის ნერვიული დაძაბულობა. ბათუმში ჩავიდა ლ. ბერია. შექმნი-ლი ვითარება სასწრაფოდ აცნობეს ი.ბ. სტალინს. მან დაშიფრული დეპეშა გა-მოუგზავნა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხელმძღვანელობას, რომელშიც ნათქვამი იყო: „აშკარაა თქვენ დაუშვით შეცდომა" და მოითხოვა კონფლიქტის უსისხლოდ დასრულება.[12]

ამბოხებულებმა მთავრობას წაუყენეს მოთხოვნები: უნდა აღდგენილიყო შა-რიათის სასამართლო, კელაე გახსნილიყო მედრესები, გოგონებს არ უნდა ევ-ლოთ საბჭოთა სკოლაში, შეწყვეტილიყო რელიგიური დევნა, ჩადრის ახდის კამ-პანია და სხვ.

1929 წლის 25 მარტს გადაწყდა ამბოხების ლიკვიდაცია. საბჭოთა ჯარები ქედსა და ხულოში შეეიდნენ. ოპერაციას ლ. ბერია ხელმძღვანელობდა.

აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ თბილისიდან ბათუმში ჩაიდა თბილისის წარმომადგენლობითი დელეგაცია. ანტირელიგიური კამპანია ცოტა შენელდა. მაგრამ ის მთელი ძალით გაიშალა 30-იან წლებში. საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში წინა საუკუნეებში გარეშე მტრის მიერ ძალით მოხვეული წეს-ჩვეულებებისა და საყოფაცხოვრებო თავისებურებების შეზღუდვა, ერთიანი სოციალურ-კულტურული გარემოს შექმნა, უდავოდ, პასუხობდა ქართველი ერის ინტერესებს. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ამ პროცესის უსისხლოდ ჩატარება. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო მანქანა ძალის საშუალებით ახორციელებდა იმას, რაც ბუნებრივი გზით ადრე საუკუნეებში ვერ გაკეთდა.

მაგრამ საქართველოს ერთიანობის აშკარა თუ ფარული მტრები ყოველნაირად ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ საქართველოს ერთიანობისათვის. „ავტონომიზაცია", განსხვავებული ეთნოსებით დასახლებული საქართველოს რეგიონები ამისთვის ჩინებული საცდელი პოლიგონი იყო და ისინი, როგორც კი ამისათვის შეიქმნებოდა პირობები, ცდილობდნენ ეს ანტიქართული საქმეების გასაკეთებლად გამოეყენებინათ.

საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, მთელი 20-იანი წლების განმავლობაში, ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ორი დაპირისპირებული მიმდინარეობა არსებობდა: „კომპრომისული" და „სამართლიანი". ეროვნულ უმცირესობებთან, განსაკუთრებით აფხაზებთან დამოკიდებულებაში „კომპრომისული" მიმართულება (გ. სტურუა, ა. გეგეჭკორი და სხვ.) ითხოვდა დათმობებს, გარკვეულ პრივილეგიებს მათთვის, რომ მომხდარიყო მორიგება, ჰარმონიული ურთიერთობა კომპრომისების საშუალებით. მაგრამ, როგორც წესი, ეს დათმობები მუდამ ცალმხრივი იყო და ხშირ შემთხვევაში არ პასუხობდა ქართველი ერის ნაციონალურ ინტერესებს. „სამართლიანი" მიმართულების წარმომადგენლები (ა. ურუშაძე, თ. ჟღენტი, ვ. ბახტაძე და სხვები) კი მოითხოვდნენ სამართლიან დამოკიდებულებას საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებისადმი, წინააღმდეგი იყვნენ უპრინციპო კომპრომისებისა, რაც ხშირ შემთხვევაში აგულიანებდა ადგილობრივ სეპარატიზმს, აძლიერებდა დეცენტრალიზაციის ტენდენციებს. საქართველოს პარტიულ ყრილობებზე და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე იყო მუდმივი კამათი ამ ორ დაჯგუფებას შორის. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა (მ. კახიანი, ს. მამულია, ლ. ღოღობერიძე და სხვ.) ყოველთვის ვერ ახერხებდნენ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას და იხრებოდნენ კომპრომისული მიმართულებისაკენ.[13]

აფხაზეთის იმჟამინდელ ხელმძღვანელებს (ნ. ლაკობა, ე. ეშბა) სერიოზულად აღელვებდათ აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობა, სადაც ქართველების ხვედრითი წილი უპირატესი იყო, განსაკუთრებით სამურზაყანოში, ქალაქებსა და დაბებში. ისინი ცდილობდნენ ამ თანაფარდობის შეცვლას, რისთვისაც საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე 20-იანი წლების მეორე ნახევარში არაერთხელ დააყენეს საკითხი მაკედონიელი აფხაზების სამშობლოში გადმოსახლების შესახებ. ეს საკითხი რამდენჯერმე უშედეგოდ განიხილა საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ და აფხაზეთის ლიდერების ეს სურვილი სურვილად დარჩა.

სამაგიეროდ, საკავშირო ცაკის გადაწყვეტილებით და საქართველოს მთავრობის ძალისხმევით 1929 წელს საქართველო-აფხაზეთის სსრ-ს დაუბრუნეს რსფსრ-ს „პილენკოვოს მხარე" (268,15 კვ.მ, 3500 მოსახლეობით).[14]

ზედმეტი დათმობები, პრივილეგიები (განსაკუთრებით კადრების შერჩევისა და დაწინაურების დროს, სახელმწიფო სესხების მიცემისას, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზებისათვის სპეციალური ლიმიტების არსებობა და ა.შ.) აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ერთ ნაწილში არაჯანსაღ ტენდენციას აჩენდა. ისინი ეროვნებას იცვლიდნენ, ეწერებოდნენ აფხაზებად, რომ აღნიშნული

პრიეილეგიები მათაც მიეღოთ. ამის შესახებ იყო არაერთი ინფორმაცია, მაგრამ თბილისი ამ ფაქტებს იმჟამად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

რთული იყო მდგომარეობა სამხრეთ საქართველოში. არა მარტო მრავალეროვანი, არამედ მრავალკონფესიური მხარე სერიოზულ სიძნელეებს წარმოშობდა. რელიგიური მშვიდობის დამყარება, პოლიეთნიკურ საზოგადოებაში საეროვნებათაშორისო ურთიერთობის კომუნისტური პრინციპების დამკვიდრება ხანგძლივი, მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი შეიძლება ყოფილიყო. ამ შემთხვევაში კომუნისტურმა რეჟიმმა გამოიყენა მებრძოლი ათეიზმის მეთოდები, ულმერთოთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები, ანტირელიგიური აგიტაცია და პროპაგანდა.

გარდა ერიკულ უმცირესობათა ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებისა, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ენის შეთვისებას: იმისათვის, რომ არამკვიდრი ეროვნების წარმომადგენელმა ქვეყანაში თავი უცხოდ არ იგრძნოს, აქტიურად ჩაებას თავის მეორე სამშობლოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში, მან უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფო ენად ქართულ ენას აღიარებდა, თუმცა არ ზღუდავდა არაქართული ენების გამოყენებას ადგილებზე, ხელს უწყობდა ნაციონალური სკოლების მშენებლობას.

საქართველოს ხელისუფლების ამ მიმართულებით განხორციელებული პირველი მოკრძალებული ნაბიჯი იყო საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 28 მარტის დადგენილების რეალიზება, რომლის მიხედვით ახალციხის მაზრაში სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული ენა. ეთნოკონფლიქტების თავიდან ასაცილებლად ამ ეტაპზე მიზანშეწონილად ჩაითვალა შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გამიჯვნა ეროვნული ნიშნის საფუძველზე. დადგენილების მიხედვით მაზრის პარტიული ხელმძღვანელი აუცილებლად ქართული ენის მცოდნე უნდა ყოფილიყო. მას უნდა ჰყოლოდა ორი თანაშემწე – სომეხი და თურქი. რაიკომისა და აღმასკომის დადგენილებები აუცილებლად სამ ენაზე უნდა გამოქვეყნებულიყო. განისაზღვრა პარტიული და საბჭოთა სამაზრო ნომენკლატურის ეროვნული შემადგენლობაც, რაც რეგიონში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტერესებს ასახავდა.[15]

ძალიან მალე აშკარა გახდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მწირი შესაძლებლობები, მუდმივი შიში – მოსკოვის მიერ თბილისის მცდელობა შოვინისტურ პოლიტიკად არ აღქმულიყო, ადგილობრივი მოსახლეობის ფარული თუ აშკარა საბოტაჟი, შესაძლებლობას არ იძლეოდა ბოლომდე წარმატებით განხორციელებულიყო მიღებული დადგენილება. ამიტომაც თბილისმა უკან დახევა ამჯობინა – 1927 წელს ახალციხის მაზრაში სახელმწიფო ენად თურქული ენა გამოცხადდა, გადაისინჯა ადგილობრივი კადრების ეროვნული შემადგენლობაც ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

დიდი და სერიოზული მუშაობა განხორციელდა საქართველოში მცხოვრები ებრაელების, განსაკუთრებით ქართველი ებრაელების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შეიქმნა სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ვაჭრობას მიჩვეული ებრაელი მოსახლეობის მიწაზე დამაგრებას, აგრარულ ურთიერთობებში მათ ჩაბმას, ღარიბ-ღატაკ ებრაელებისაგან იქმნებოდა საბჭოთა მეურნეობები, რისთვისაც სახელმწიფო მათ აძლევდა მიწებს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს.

საქართველოს ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ცალკეული ნაკლოვანებების მიუხედავად, მისი ეროვნული პოლიტიკა მთლიანად შეესაბამებოდა საქართველოში მოსახლე ეთნიკური ჯგუფების ინტერესებს. ამიტომაც იგი მუდამ ამაყობდა მიღწევებით საეროვნებათაშორისო ურთიერთობის დარგში როგორც თბილისში პარტიულ ღონისძიებებზე, ისე მოსკოვშიც.

სეიდ კადიროვის ინციდენტი. 1928 წელს ზაფხულში, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, თბილისში ჩამოვიდა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისია პშენიჩნის ხელმძღვანელობით. მისი მიზანი იყო საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტის შესწავლა. კომისიამ შეისწავლა ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებში არსებული ვითარებაც, თუმცა ეროვნული საკითხის პრობლემების შესწავლა კომისიის მიზანს არ წარმოადგენდა და კომისიის ხელმძღვანელს მასზე არც გაუმახვილებია ყურადღება თავის ანგარიშში, რომელიც მან გააკეთა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის I პლენუმზე 1928 წლის 25 სექტემბერს. მხოლოდ ერთი ფრაზით აღნიშნა – „მრეწველობის განვითარება ძირითადად საქართველოს რაიონებში და სუსტად – ავტონომიურ რესპუბლიკებში".[16]

მაგრამ ცოტა მოგვიანებით, კომისიის რიგითმა წევრმა სეიდ კადიროვმა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე წარადგინა პირადი მოხსენებითი ბარათი, სადაც მკაცრად იყო გაკრიტიკებული და შეფასებული საქართველოს კომპარტიის ეროვნული პოლიტიკა.

ს. კადიროვს დეტალურად აქვს შესწავლილი ვითარება აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, აჭარასა და სამეგრელოში.[17]

ს. კადიროვი ეხება აჭარის პრობლემებს და ხულოს გამოსვლებთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: „საქმე ჩადრში კი არ იყო, არამედ იმაში, რომ აჭარლებს დაუხურეს მედრესები, ამასთან უკმაყოფილონი იყვნენ არა იმდენად იმით, რომ საღვთო რჯულის შესწავლა შეწყდა, არამედ იმით, რომ ხმარებიდან ამოიღეს არაბული ანბანი".[18]

სამხრეთ ოსეთში სტუმრობის დროს მისთვის გაუმხელიათ, რომ სურთ ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთება, ხოლო სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ თურქულენოვან მოსახლეობას უთქვამს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თვალით არ უნახავთ მაზრის ხელმძღვანელობა.

ს. კადიროვი საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას აბრალებდა სკპ (ბ) XII ყრილობის რეზოლუციის იგნორირებას, რომელიც მოითხოვდა მცირე ერებისა და ეთნიკური ჯგუფებისათვის სოციალურ-კულტურული განვითარებისათვის უპირატესი პირობების შექმნას, მათ ტერიტორიაზე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურული აღმშენებლობის ეფექტიანად განვითარებას.

ს. კადიროვის წერილმა უდიდესი რეზონანსი მოიპოვა. პარტიულ ფორუმებზე დაიწყეს „ქართული შოვინიზმის" კრიტიკა, ეროვნული საკითხით დაინტერესებამ არნახული მასშტაბები შეიძინა.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ს. კადიროვის წერილში ყველა ეროვნებაზე იყო საუბარი, ქართველების გარდა. საქართველო, რომელსაც კომუნისტურმა დიქტატურამ ძალდატანებით წაართვა დამოუკიდებლობა და რომელიც თავის ტერიტორიაზე თავის სუვერენულ უფლებებს სრულყოფილად ვერ ახორციელებდა, რომლის მკვიდრი, ქართველი მოსახლეობა არაფრით გამორჩეულ მდგომარეობაში არ იყო და ისევე განიცდიდა პროლეტარიატის დიქტატურის მარწუხებს, როგორც საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, არავის არ ახსოვდა. არ ხორციელდება მისი, თვით კომუნისტური კონსტიტუციის ფუძემდებლური მოთხოვნებიც კი – ვერ მოხერხდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის საყოველთაო დამკვიდრება.

გადაჭარბებულმა ინტერნაციონალიზმმა, წარამარა მოსკოვისკენ ყურებამ და მისი დირექტივებისადმი მონურმა მორჩილებამ, მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოში ქართული ეროვნული საქმის კეთების ის გაუბედავი მცდელობაც კი, რაც 20-იანი წლების შუა ხანებში შეიმჩნეოდა.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით რეგიონებში, რეალური ვითარების შესასწავლად და გასაანალიზებლად გააგზავნეს პარტიული

კომისიები, რომლებსაც ძირითადად ეროვნებათაშორისო ურთიერთობის არსებული მდგომარეობა უნდა შეესწავლათ.

შემოწმებამ ცხადყო, რომ თუ საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების ხელშეწყობით 1925 წელს საქართველოში არაქართული სკოლებიდან იყო: სომხური – 120, თურქული – 79, რუსული – 59, ოსური – 27, ბერძნული – 34, ებრაული – 3, ასირიული – 2, გერმანული – 12. ქურთული – 1. უკვე 1928 წლისათვის ეს მაჩვენებლები საგრძნობლად გაიზარდა: სომხური იყო 186, თურქული – 90, რუსული – 91, ოსური – 116, ბერძნული – 106, აფხაზური – 58, ებრაული – 5, გერმანული – 1 და ა.შ.[19]

ამ ფორმით საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა დაეკმაყოფილებინა საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის კულტურული მოთხოვნები.

კომისიამ შეისწავლა საქართველოში მცხოვრები ბერძნების, გერმანელების, ქურთი-იეზიდების და სხვა ეთნიკური ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხებიც.

მიღებული შედეგებით შეშფოთებული საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა „ქართულ ნაციონალიზმზე" ალაპარაკდა. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. კახიანი საქართველოს კპ(ბ) I ყრილობაზე (1929) აღნიშნავდა: „ქართული დიდმპყრობელობა ჩვენთან, რა თქმა უნდა, არის – ქართულ ინტელიგენციაში, ჩვენი აპარატის თანამშრომლებში. ცენტრალურ აპარატში სხედან ისეთი ადამიანები, რომლებიც უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ქართველებს და იეიწყებენ იმ 30-40 % არაქართველ მოსახლეობას, რომლებიც ჩვენ გვყავს. ამის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ გახურებული შანთით".[20]

საქართველოს დამფრთხალი პარტიული ხელმძღვანელობა 20-იანი წლების დასასრულს ხაზგასმით ცდილობდა ეჩვენებინა თავისი ტოლერანტობა, ლოიალობა. ეს პოლიტიკა ზოგჯერ აშკარად გადაჭარბებულ ფორმებს იღებდა. ტრადიციული გახდა ეროვნული ემიგრანტების წარმომადგენლების პერიოდული შეხვედრები, დისპუტები საეროვნებათაშორისო ურთიერთობის საკითხებზე. ამ შეკრებებს გაელვნიანი პარტიული ლიდერებიც ესწრებოდნენ.

საეროვნებათაშორისო ურთიერთობა 30-იან წლებში. 30-იანი წლების დასაწყისში საეროვნებათაშორისო ურთიერთობას ჯერ კიდევ ეტყობოდა ის კრიზისული ნიშნები, რაც დამახასიათებელი იყო 20-იანი წლების დასასრულისათვის, როცა დაიწყო საუბარი „ქართული შოვინიზმის" შესახებ. მაგრამ ი.ბ. სტალინის ერთპიროვნული ძალაუფლების დამკვიდრებამ ამ საქმეშიც გარკვეული კორექტივები შეიტანა. ყველაზე თვალნათლივ ეს აფხაზეთთან დაკავშირებით გამოვლინდა – 1931 წელს გამოსწორდა ის გაუგებრობა, რაც მდგომარეობდა აფხაზეთის ე.წ. „სახელშეკრულებო სტატუსის" მინიჭებაში, როდესაც ის ფაქტობრივად ავტონომიას წარმოადგენდა. 1931 წლის 4 თებერვალს აფხაზეთის საბჭოების I ყრილობაზე აფხაზეთის სტატუსი შეიცვალა – ის გახდა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში.[21]

ამრიგად, აღსდგა ისტორიული სამართლიანობა და საქართველოს ამ რეგიონზეც გავრცელდა ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობის ის საყოველთაოდ დამკვიდრებული პრინციპი, რაც დამახასიათებელი იყო რუსეთის ფედერაციის ეროვნებების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტრუქტურისათვის.

ამ გადაწყვეტილებით, აშკარად თუ ფარულად, უკმაყოფილო იყო აფხაზეთის ეთნოკრატია, მან წააქეზა აფხაზი მოსახლეობის ერთი ჯგუფი, რომელმაც 1931 წლის 23 თებერვალს გუდაუთაში მღელვარება გამოიწვია. სოფელ აჩანდარაში გლეხებმა დაიწყეს ანტისაბჭოთა გამოსვლები.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი გუდაუთის მოვლენების მიზეზად თვლიდა 1. ძველი ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას: 2. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სისუსტეს და მოუქნელ მუშაობას: 3. კულაკური შემოტევის გაძლიერებას: 4. პარტიის გენერალური ხაზის დამახინჯებას ადგი-

ლობრივი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მხრიდან; 5. მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრებს აფხაზეთის პარტიულ ხელმძღვანელობაში და ა.შ.[22] მიზეზთა შორის არსად ჩანს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი და მისი შეცვლით გამოწვეული უკმაყოფილება, არც კოლექტივიზაციის განხორციელების ძალდატანებით ფორმებსეა საუბარი.

ამბოხების შემდეგ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება უკვე აქტიურად ცდილობდა აფხაზური ენისა და სკოლის მიმართ ზრუნვის გაძლიერებას, რუსული ზეგავლენის მოძალების შესუსტებას. მიღებულ სპეციალურ დადგენილებაში ხაზგასმით იყო მითითებული აფხაზურ სკოლებში პირველ საფეხურზე აუცილებლად რუსულის ნაცვლად აფხაზური ენის სწავლების დანერგვა. გათვალისწინებული იყო აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებისაგან მუშათა კადრების მომზადება აფხაზეთის მზარდი სამრეწველო პოტენციალისათვის. ამ ეტაპზე დაძაბულობის ლიკვიდაცია უსისხლოდ მოხერხდა.

30-იანი წლების დასაწყისში გარკვეული დაძაბულება შეიმჩნეოდა საქართველოს სამხრეთ რეგიონში – მესხეთ – ჯავახეთშიც. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესის ფორსირებამ, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციაზე გადასვლამ, წრეგადასულმა რეპრესიებმა ამ კუთხეში ააღორძინეს თურქეთ'ში გადასახლების ტენდენციები. ამაში გარკვეული როლი ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერებასაც ენიჭებოდა. თურქეთში გადასახლების ტენდენცია შეიმჩნეოდა 1932 წლისაც. აქ დაფიქსირდა სერიოზული ეკონომიკური უკმაყოფილება.[23]

საქართველოს ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელმა შეცვალა დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრები ნაციონალური უმცირესობების მიმართ. განსხვავებით 20-იან წლებში წარმოებული საეროვნებათაშორისო პოლიტიკისა, როცა ცდილობდნენ საქართველოში მცხოვრები უამრავი ეთნიკური ჯგუფებისათვის შეექმნათ „სასათბურო" პირობები, ხშირ შემთხვევაში მკვიდრი მოსახლეობის ეროვნული ინტერესების ხარჯზე, ახალმა ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა საქართველოს დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ბაზაზე საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის, პირველ რიგში, ქართველებისათვისაც – სოციალური ყოფის მოწესრიგება: ხელფასის გადიდება, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მოგვარება, განათლების სისტემის განვითარება და განმტკიცება, მზარდი კულტურული მოთხოვნილების ჯეროვანი დაკმაყოფილება. მაგრამ ყოველად შეუძლებელი იყო მცირერიცხოვანი, გაფანტულად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისათვის სახელმწიფოს ხარჯზე შექმნილიყო მაქსიმალურად მისაღები პირობები მშობლიურ ენაზე განათლებისა და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

XX საუკუნის 30-იან წლებში მსოფლიოში ნაციონალ-სოციალისტური იდეების კულტივირებისა და ფაშიზმის საფრთხის გამო საბჭოთა კავშირში ნელა, მაგრამ საგრძნობლად იცვლებოდა დამოკიდებულება ეროვნული ფასეულობებისადმი. პოკროვსკის საისტორიო სკოლის მკაცრი კრიტიკის პირობებში ხდებოდა 20-იან წლებში შეკვიწროებული ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების რეაბილიტაცია, ეროვნული ფასეულოებების წინ წამოწევა, ეროვნული კულტურის მოღვაწეების ჯეროვანი დაფასება.

საქართველოს შესამჩნევმა სოციალურ-ეკონომიკურმა დაწინაურებამ 30-იანი წლების შუა ხანებში კეთილნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს შემადგენლობაში მყოფი აფხაზი და ოსი ეროვნების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზეც.

30-იანი წლების შუა ხანებში თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია აფხაზეთის ეკონომიკამ. რადიკალურად შეიცვალა მოსახლეობის კულტურული დონეც – ყოველწლიურად იხსნებოდა ახალი სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები. სოხუმში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ტექნიკუმები. აღიზარდა აფხაზი ეროვნების ინტელიგენცია. შეიქმნა პირობები აფხაზური

ენის, დამწერლობის, ლიტერატურის შექმნისა და განვითარებისათვის. აღსანიშნავია აფხაზეთის დიდი შვილის დიმიტრი გულიას მოღვაწეობა აფხაზური ენისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში. ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული ძმობის ტრადიციის განვითარებას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეპრესიებმა გარკვეულად შეაფერხა აფხაზეთის საერთო კულტურული წინსვლა.

1937 წელს აფხაზეთის ინტელიგენციის „ინიციატივით" და პარტიული ხელმძღვანელობის მხარდაჭერით განხორციელდა აფხაზური ანბანის ლათინურიდან ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის პროცესი. ეს გადაწყვეტილება მიიღო აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის X კონფერენციამ.

ომის წინა წლებში აფხაზეთში დიდი მუშაობა წარმოებდა დაჭაობებული მიწების ამოშრობისა და ასათვისებლად. ახალ მიწებზე ახალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იქმნებოდა. გადაწყდა ამ ტერიტორიაზე ახალშენების მოწყობა. მოახალშენეებისათვის უკვე 1939 წლისათვის აშენდა 597 საცხოვრებელი სახლი.

აღგილობრივი მოსახლეობა, როგორც ოფიციალური პრესა ამტკიცებდა „ობილად და მეგობრულად" სვლებოდა მოახალშენეებს. მთავრობა გარკვეულ ფინანსურ დახმარებასაც უწევდა მათ – 300 მანეთს სულზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთიდან გადმოსახლებულთა ერთმა ნაწილმა ვერ გაუძლო ახალ ბუნებრივ პირობებს და ძალიან მალე უკან დაბრუნდა.

30-იან წლებში აღმაველობა განიცადა აჭარის მრეწველობამ. 1933 წელს საბჭოთა კავშირში პირველად ბათუმში ამუშავდა ბუნებრივი საღებავების ქარხანა, ექსპლოატაციაში შევიდა დიდი სამკერვალო ფაბრიკა, ტუნგოს ზეთსახდელი ქარხანა, ჩაისა და ხილის გადამამუშავებელი საწარმოები, ციტრუსების კომბინატი, საფერმეტაციო ქარხანა.

სახე იცვალა შიდა ქართლის რეგიონმაც – სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა. კუთხემ, სადაც რევოლუციამდე არც ერთი სამრეწველო საწარმო არ იყო, ხოლო ოსი მოსახლეობა – წერა-კითხვის ცოდნას იყო მოკლებული, შეძლო მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა. აშენდა ცხინვალის ხე-ტყის კომბინატი, ჭურისხევის ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარახანა და გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, დიდ ლიახვზე აშენდა ელექტროსადგური.

პრობლემების მიუხედავად საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობა ქართველებთან ერთად მუხლჩაუხრელად იღვწოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

ამრიგად, ნათელია, რომ 20-იანი წლების დასასრულს საქართველოში ეროვნებათაშორისო ურთიერთობა დაძაბულია. დაგროვდა გადასაწყვეტი ბევრი საკითხი. პოლიეთნიკურ რეგიონებში აღინიშნა უკმაყოფილება. საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ ადგილობრივი ნაციონალისტების აქტიურობას ვერ რაფერი დაუპირისპირა, ვერც თეორიულად, ვერც პრაქტიკულად. ის აშკარად წავიდა დათმობებზე, რამაც საქართველოში. გარკვეულწილად, დეცენტრალიზაციის პროცესები გააძლიერა. აშკარა იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ უმკლავდებოდა ნაციონალისტურ სტიქიას. 20-იანი წლების ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც გულმოდგინედ ატარებდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება და რომელიც გამოიხატებოდა ლოიალობასა და დათმობებში, აშკარად ჩიხში შეავიდა. საჭირო იყო ამ პოლიტიკის რადიკალური შეცვლა, რაც გარკვეულწილად 30-იან წლებში განხორციელდა, როცა უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საერთო გაუმჯობესებას, ვიდრე ცალკეული ეროვნებებისათვის სასაობურო პირობების შექმნას. ეს გარკვეულ, შეჩნიღბულ უკმაყოფილებას ბადებდა, რაც აშკარად არ გამოითქმებოდა. სეპარატიზმი იატაკქვეშეთში გადავიდა, მისი ლიდერები კრემლში რადიკალურ ცვლილებებს ელოდნენ. ეს ცვლილებები სტალინის გარდაცვალებისთანავე დადგა.

1. საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, თბ., 1992, გვ. 30.
2. ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923), თბ., 1999, გვ. 114.
3. იქვე, გვ. 69.
4. Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1960, стр. 601.
5. ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.
6. აჭარა რუსი დიპლომატის თვალით.1921-1922. კ. იუსტის მოხსენება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს მ. ეაჩნაძემ და ე. გურულმა. თბ., 1998, გვ. 15-16.
7. გ. გასვიანი, აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში. თბ., 2004, გვ. 309; აჭარა რუსი დიპლომატის თვალით, 1921-1922; კ. იუსტის მოხსენება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს მ. ეაჩნაძემ და ე. გურულმა, თბ., 1998.
8. გაზ. „კომუნისტი", 1925 წ. 15 სექტემბერი.
9. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 5, ფურც. 108-109.
10. ა. დაუშვილი, დეცენტრალიზაციის პროცესები საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში, საისტორიო ალმანახი „კლიო", 2000, №9, გვ. 159.
11. ბათუმის სახელმწიფო არქივი, ფ. რ-4, აღ. 1, ს. 249, ფურც. 13.
12. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1974, გვ. 498.
13. გ. სურგულაძე, ეროვნული საკითხის ერთი ასპექტის გამო XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში, საისტორიო ალმანახი „კლიო", 2001, №10, გვ. 147.
14. ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.
15. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 363, ფურც. 61.
16. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 5, ფურც. 6.
17. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 425, ფურც. 4-35.
18. იქვე, ფურც. 206.
19. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 1, ფურც. 21.
20. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 150, ფურც. 98.
21. Газ. «Советская Абхазия» , 1931 г. 11 февраля.
22. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 33, ფურც. 67-68.
23. იქვე.

საბჭოთა ეკონომიკური კოლონიალიზმის არსი

საბჭოთა ეკონომიკის იდეოლოგიური საფუძვლები. მარქსიზმის კლასიკოსებისათვის ეკონომიკური დეტერმინიზმი არის საყოველთაო კანონი, რომელსაც ემორჩილება სხვა დანარჩენი. ისინი მიიჩნევენ, რომ უკვე ბურჟუაზიამ, თავისი საქმიანობით, მსოფლიო ეკონომიკა ერთ მთლიან ეკონომიკურ ინტერესს დაუკავშირა, შექმნა მსოფლიო ბაზარი – რაც, მათი აზრით, უდავოდ პროგრესია და ამ ეკონომიკური სისტემის დანგრევა არ შეიძლება. აქედან გამოდის მათი მთავარი მოთხოვნა, რომ პროლეტარიატმა კი არ უნდა დაანგრიოს ეს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, რაც ისტორიის ობიექტურმა განვითარებამ შექმნა, არამედ პირიქით – იმიტომ, რომ ის ერთადერთი ბოლომდე ინტერნაციონალური კლასია, რომლის ხელშია მსოფლიოს პროგრესული განვითარების მომავალი, როგორც კი ხელში აიღებს ძალაუფლებას, კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს ეკონომიკური ერთობა – არა ეკონომიკური დაქუცმაცება, არამედ მტკიცე ეკონომიკური ინტეგრაცია არის ყველა პროლეტარული პარტიის მთავარი ამოცანა. ფ. ენგელსი ხაზგასმით მიუთითებდა: „მსხვილმა მრეწველობამ უკვე იმით, რომ შექმნა მსოფლიო ბაზარი, ისე ღააკავშირა ერთმანეთთან დედამიწის ზურგზე ყველა ხალხი, გან-

საკუთრებით ცივილიზებული ხალხები, რომ თითოეული მათგანი დამოკიდებულია იმაზე, რაც ხდება მეორესთან".[1]

მაგრამ რა იქნება მომავალში? ნანატრ პროლეტარულ სახელმწიფოში? როგორი იქნება მისი ეკონომიკა? ამ შეკითხვაზე მარქსისტები ასე პასუხობდნენ: „...საზოგადოება კერძო კაპიტალისტებს ჩამოართმევს ყველა მწარმოებლურ ძალას და მიმოსელის საშუალებებს, აგრეთვე პროდუქტების გაცვლა-გამოცვლასა და განაწილებას, ამით, იგი ყველა ამის გამგებლობას გასწევს იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც გამომდინარეობს მოლიანად საზოგადოების რესურსებისა და მოთხოვნილებებიდან..."[2]

რუსი ბოლშევიკებისათვის ეს აქსიომა მისაღები იყო ყოველმხრივ – ის მარქსისტულ და, ამასთანავე, ეკონომიკურ ახსნას უძებნიდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" ტრადიციულ იმპერიულ იდეას და მკაცრად უპირისპირდებოდა ყველას, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, ვინც ეკონომიკურ დეტერმინიზმზე უფრო მაღლა ეროვნული მომენტის უპირატესობას აღიარებდა, ვისაც რუსეთის დრომოჭმული იმპერიის დაშლით საკუთარი ქვეყნის, ერის დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა სწყუროდა.

კომუნისტების მიერ ძალაუფლების უსურპირების შემდეგ ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ ეს „ერთიანი მსოფლიო მეურნეობა, რომელიც იმართება ერთი ცენტრიდან" (ვ.ი.ლენინის სიტყვები) – ეს ის რეალური ეკონომიკური პოლიტიკაა, რომლის მიზანია **უაპელაციოდ მართო სხვა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები**. უამრავი ფაქტი ადასტურებს, რომ ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ მიმდინარეობდა ჭეშმარიტი დიქტატი ე.წ. „მოკავშირე რესპუბლიკების" წიაღისეულების, ეროვნული სიმდიდრის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შედეგების მიმართ.

ეკონომიკური დეტერმინიზმის ეს კომუნისტური პრინციპები, რომლებსაც რუსეთი ატარებდა ჯერ ბალტიისპირეთის (1920 წლამდე), უკრაინის, აზერბაიჯანის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, გასაბჭოების შემდეგ მოსკოვმა გაავრცელა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაზეც. საქართველოს გასაბჭოების პირველსავე თვეებში ვ. ი. ლენინის დაშიფრული დეპეშები ორჯონიკიძისადმი ამაზე ხაზგასმით მიუთითებს: „რადაც უნდა დაჯდეს დაარჩარეთ პურის ჩამოტანა უკხოეთიდან საქართველოს კონცესიებზე, მარგანეცისა და სხვა გაცვლით".[3] „მთელი ძალღონით უნდა ეცადოთ განაახლოთ ეს ძველი კონცესიები, რაც შეიძლება მალე და ყოველნაირად შეეცადოთ, რომ დაიდოს ახლები, რათა კონცესიების სანაცვლოთ სურსათი **ვიშოვოთ**" (ხაზგასმა ჩვენია – ა. დაუშვილი).

არა „იშოვოთ", არამედ „ვიშოვოთ" – შიმშილობის მარწუხებში დარჩენილი რუსეთი ცდილობდა ძალით ანექსირებული საქართველოს (უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის) ბუნებრივი რესურსების უაპელაციო განკარგვით გადაეჭრა საკუთარი ეკონომიკური პრობლემები.

ამ მხრივ კიდევ უფრო კატეგორიულია ს. ორჯონიკიძის მიმართ ვ. ი. ლენინის მიერ 1921 წლის 5 აპრილს გაგზავნილი დეპეშა: „დაუდასტურა თუ არა საქართველოს საბჭოთა მთავრობამ იტალიელებს კონცესია ტყვარჩელის მაღაროზე; როდის, როგორია პირობები, მაცნობეთ მოკლედ ტელეგრაფით, უფრო დაწერილებით – წერილით, მეორე, ჭიათურის მარგანეცის მაღაროების შესახებ: გადაიყვანეს თუ არა გერმანელები მოიჯარეთ ან კონცესიონერთა მდგომარეობაზე, როდის, რა პირობით? მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ და ასეთ საკითხზე გადაწყვეტილება ძალიან სწრაფი იყოს. ამას გიგანტური მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვისაც და რუსეთისთვისაც, ვინაიდან კონცესიები, განსაკუთრებით იტალიასთან და გერმანიასთან, ისევე როგორც საქონლის გაცვლა ნავთობზე, უთუოდ დიდი მასშტაბითაა საჭირო ამ ქვეყნებთან, შემდეგ კი სხვებთანაც"[4].

ამრიგად, რუსეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე დაავალებას აძლევს კავბიუროს ხელმძღვანელს რუსეთის ეკონომიკური პრობლემების მოსაწესრიგებლად

– „დიდი მასშტაბით“ უზრუნველყოს ბაქოს ნავთობისა და ჭიათურის მარგანეცის უცხო ქვეყნების კონცესიონერებთან ეკონომიკური გარიგება. ასეთი შინაარსის დეპეშა „დამოუკიდებელი და სუვერენული“ რესპუბლიკის არსებობის ფუძემდებლური პრინციპების უხეში დარღვევაა.

ვ. ი. ლენინი თავის ამიერკავკასიელ მეგობრებს, უკვე სხვა წერილებში, საკმაოდ ენერგიულად ურჩევდა დაეწყოთ ეკონომიკური რესურსების გაერთიანება, რაც მუდამ იწვევს პოლიტიკური გაერთიანების აუცილებლობასაც. ერთ-ერთ წერილში ვ. ი. ლენინი წერდა: „მიღებული ცნობების მიხედვით, საქართველოში დარჩენილია საქართველოს სახელმწიფო ბანკი კვალიფიციურ მოსამსახურეთა მთელი შტატით და უცხოეთის წარმომადგენლობების ანაბრებით. თუ ეს სწორეა, საჭიროა შევინარჩუნოთ ბანკი, როგორც კრედიტის აპარატი საგარეო ვაჭრობისათვის და, შეიძლება, გადავაქციოთ იგი მთელი ამიერკავკასიის ბანკად ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკურ გაერთიანებასთან დაკავშირებით, რისი **პროექტიც მუშავდება** (ხაზგასმა ჩვენია – ა. დაუშვილი)[5].

მოსკოვის ეკონომიკური დიქტატი. ეკონომიკურ ცხოვრებაში ასეთი ჩარევა აღიზიანებდა ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელებს. ქართული „ნაციონალ-უკლონიზმის“ ერთ-ერთი საფუძველი სწორედ ეკონომიკური ცხოვრების დამოუკიდებლობის მოსპობაც იყო. ამიერკავკასიის ეკონომიკური გაერთიანების ლენინური იდეის ფორსირებამაც გაამწვავა პოლიტიკური ვითარება საქართველოში.

მოსკოვის დიქტატი ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორც ჩანს, არც სხვა რესპუბლიკებში მოსწონდათ. ეს უკმაყოფილება სხვადასხვა ფორუმზე ვლინდებოდა. მაგალითად, რკპ (ბ) XII ყრილობის უკრაინელი დელეგატი ქრისტო რაკოვსკი (ტროცკისტი) სტალინს სულ კრიჭაში ედგა და აკრიტიკებდა ყველა შესაძლო შემთხვევაში. მაშინ სტალინმა მას სპეციალურ, დახურულ სხდომაზე პირდაპირი შეკითხვა დაუსვა: „თქვენ მითხარით, ამხ. რაკოვსკი, რომ თქვენ წინააღმდეგი ხართ გაერთიანების – ამას მე გავიგებ. თქვენ მოგწყდათ ფრაზა – კონფედერაცია. თქვენ კავშირი არ გსურთ, თქვენ გინდათ კონფედერაცია – ამას მე გავიგებ. თქვენ თქვით პირდაპირ, რომ გინდათ დომბასში ხელმძღვანელობდეს არა ცენტრალური ხელისუფლება, არამედ უკრაინის მთავრობა?“ (ამდენი „შეკითხვით“ გულგახეთქილი ამხ. რაკოვსკი მაშინვე უარყოფს – „ეს მართალი არ არის“).[6]

ამრიგად, სტალინის სიტყვაში ორაზროვნად გაცხადებულია – ვინ უნდა მართოს დომბასი, ჭიათურა, ბაქო? ადგილობრივმა ხელისუფლებამ თუ ცენტრმა – მოსკოვმა?

ქრ. რაკოვსკის შეძრწუნებული პასუხი – „ეს მართალი არ არის“- იმას მიანიშნებს, რომ კომუნისტური ზედაფენა ჩინებულად ერკვეოდა – ლენინიზმის ძირითადი ეკონომიკური პრინციპი იყო ერთიანი და განუყოფელი ეკონომიკური ცხოვრება, რომ მხოლოდ მოსკოვის ხელმძღვანელობას ხელეწიფებოდა განესაზღვრა ნებისმიერი რესპუბლიკის – დიდისა თუ პატარის, ეკონომიკა, სწორედ მას უნდა შეემუშავებინა მისი ბიუჯეტი, ხარჯვითი ნაწილიც, ცხოვრების დონეც, ხელფასები, შემოსავალიც და გასავალიც. პარტიის XII ყრილობის შემდეგ ამ თემაზე სერიოზული კამათი აღარ ყოფილა – მოსკოვი უაპელაციოდ განკარგავდა ნებისმიერი რესპუბლიკის ეროვნულ სიმდიდრეებს – მიწას, წყალს, ბუნებრივ თუ ადამიანურ რესურსებს.

ეს რელიეფურად ჩანს ჭიათურის მარგანეცის მომავალთან დაკავშირებულ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს საქმიანობაში. ამ საკითხზე რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს ეს დადგენილებები და გადაწყვეტილებები დღემდე უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის. პოლიტბიუროს კი 1923 - 1929 წლებში ჭიათურის მარგანეცის ექსპორტთან, განსაკუთრებით კი კონცესიასთან დაკავშირებით 16-ჯერ განიხილა ჭიათურის მარგანეცის საკითხი. 1924 წელს – 9 ჯერ, ხოლო 1925 წელს – 5 ჯერ.

სულ პირველად პოლიტბიურო ჭიათურის კონცესიის საკითხს შეეხო 1923 წლის 10 ნოემბრის სხდომაზე. სიტყვით გამოვიდნენ ლიტვინოვი, ბოგდანოვი, ორჯონიკიძე, ელიავა.

მეტად საინტერესოა 1923 წლის 10 ნოემბრის დადგენილების ტექსტი : „დაევალოთ..., რომ მთავკონცესკომიტეტის დებულება შეიცვალოს ისე, რომ -უზრუნველყოფილი იყოს მოკავშირე რესპუბლიკების რეალური მონაწილეობა საკონცესიო ხელშეკრულებების წინასწარი ხელმოწერის პროცესებში".[7]

ასეთი დადგენილების მიღება მიანიშნებს იმას, რომ 1923 წლის ნოემბრამდე მოსკოვში განლაგებული მთავარი საკონცესიო კომიტეტის ხელმძღვანელობა მოკავშირე რესპუბლიკების კუთვნილ წიაღისეულს განკარგავდა ყოველგვარი შეთანხმებისა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსულტაციების გარეშე.

ჭიათურის მარგანეცზე კი იმჟამად დიდი მოთხოვნილება იყო. მსოფლიოში საუკეთესო ხარისხის, მეტალურგიისათვის მეტად საჭირო პროდუქტი, საქართველოში მოიპოვებოდა და მასზე, ჯერ კიდევ რევოლუციამდე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული გერმანიის მეტალურგია. გერმანელებს ჭიათურაში რამდენიმე მომპოვებელი ფირმა ჰქონდათ. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო ამხანაგობა „გეზელკირხენი".

რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს მასალების შესწავლა მიუთითებს, რომ ჭიათურის მარგანეცი პოლიტბიუროს ხელში თავისი შორსგამიზნული დიპლომატიური ურთიერთობების მოწესრიგების საშუალებაც გახდა, ამასთან საოცრად სურდათ რაც შეიძლება მომგებიანათ გაეყიდათ საკონცესიო უფლება და თანაც კონკურენციაც გამოეწვიათ გერმანელებსა და ამერიკელებს (პარიმანს) შორის.[8]

ძალიან მალე, უკვე 1924 წლის დეკემბერში პოლიტბიუროში,როგორც ჩანს, ჭიათურის მომავალ ბედთან დაკავშირებით იმძლავრა პროგერმანულმა განწყობილებებმა, რაც დადგენილებაშიც აისახა: „ჩაითვალოს მიზანშეწონილად უპირატესობის მინიჭება გერმანელებისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ კი მათი წინადადებები ამერიკელებთან შედარებით რამდენადმე ნაკლებ სარგებლიანი იქნება".[9]

შემდეგ კიდევ უფრო საინტერესოა: „შეატყობინეთ ჩიჩერინს გამოიძახოს რანცაუ (გერმანიის ელჩი – ა.დ.) და აცნობოს ჩვენი გადაწყვეტილება გერმანელების უპირატესობის შესახებ... დაევალოს მთავარ საკონცესიო კომიტეტს არაეითარ შემთხვევაში არ ჩაშალოს მოლაპარაკება ამერიკელებთან და ყოველმხრივ გააჭიანუროს იგი".

აქ ჩანებულად ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს, რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს ქართველი ხალხის ბუნებრივი სიმდიდრე და თვალთმაქცურ დიპლომატიურ თამაშს იწყებს. ძნელი ასახსნელია, თუ რატომ სურდა პოლიტბიუროს უპირატესობის მინიჭება გერმანული მხარისათვის. 20-იანი წლების შუა ხანებისათვის გერმანია ძალიან მტკივნეულად გამოდიოდა პირველი მსოფლიო ომის დროს განცდილი მარცხიდან. ქვეყანაში ეკონომიკური კოლაფსი იყო, უზარმაზარი რეპარაციები ანგრევდა ქვეყნის ეკონომიკას. რა თქმა უნდა, გერმანია ეკონომიკურ ბრძოლას იმჟამად ამერიკას ვერ მოუგებდა. მაგრამ შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ სწორედ იმიტომ, რომ გერმანიაში მძიმე ეკონომიკური ვითარება იყო, რაც ზრდიდა ქვეყანაში მემარცხენე განწყობილებებს, საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა შეენარჩუნებინა პარტნიორული ურთიერთობები, რაც მას გარკვეულწილად გერმანიის საქმეებში ჩარევის შესაძლებლობებს მისცემდა. იმჟამად რევოლუციის ექსპორტისათვის ყველაზე უფრო გერმანია იყო მზად.

მაგრამ მალე საქმეში ჩაერია ძლიერი კოსირი – ფული. 1924-1925 წლები საბჭოთა კავშირისათვისაც მძიმე წლებია: შიმშილი, სამეურნეო ნგრევა, მძიმე სოციალური ფონი. კომუნისტები ინდუსტრიალიზაციისათვის ემზადებოდნენ და მათ სასწრაფოდ სჭირდებოდათ მტკიცე და ბევრი საზღვარგარეთული ფული. 1925 წლის თებერვალში ამ მოთხოვნამ დადგენილებაშიც გაიჟღერა – „დადასტურდეს, რომ კონცესიონერის მიერ ხელშეკრულების დადების შემდეგ ორი კვი-

რის განმაელობაში ავანსის – 1 მილიონი დოლარის გადახდა არის ულტიმატიური მოთხოვნა".[10]

ასეთმა ულტიმატუმმა, როგორც ჩანს, დააფრთხო გერმანიის ხელისუფლება და მწვანე შუქი აუნთო „ჰარიმანს და კომპანიას". 1925 წლის 2 აპრილის დიდგენილება უკვე მიანიშნებს, რომ ჰარიმანთან მოლაპარაკება უკვე შორს არის წასული და პოლიტბიურო ძირითადად კმაყოფილია მოლაპარაკების შედეგებით, ხოლო „კლიენტის" შენარჩუნების მიზნით საბჭოთა მხარემ შეარბილა 1 მილიონი დოლარის ულტიმატიური მოთხოვნა და მისი გადახდა გაიწელა 4 წლის მანძილზე.[11]

წინააღმდეგობების მიუხედავად ჰარიმანთან საკონცესიო მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და 1925 წლის 12 ივნისს ჭიათურის მარგანეცის საბადოს დამუშავების უფლება ამერიკელებს გადაეცათ, მაგრამ ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის რეალობები კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას არ იძლეოდა. საბჭოთა ხელისუფლება აიძულებდა კონცესიონერს მკაცრად დამორჩილებოდა აღებულ ვალდებულებებს, მუდამ კრიტიკულად უდგებოდა კონცესიონერის თითოეულ ნაბიჯს, ერეოდა შიდასამეურნეო საქმიანობაში.1928 წელს საბჭოთა მთავრობამ ჭიათურის ამერიკული კონცესია გააუქმა და მისი დამუშავება საბჭოთა ორგანოებს (ცენტრს) გადასცა. მართალია, ჭიათურის მაღაროებში ქართველები მუშაობდნენ, საწარმოს ხელმძღვანელობაც ქართველები იყვნენ, მაგრამ ჭიათურის მარგანეცის ექსპორტი, მისგან მიღებული შემოსავალი საკავშირო ხაზინაში შედიოდა და საკავშირო მთავრობა განკარგავდა. რა თქმა უნდა, შემოსავლის გარკვეული ნაწილი საქართველოს უბრუნდებოდა საკავშირო მთავრობის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე.

როცა მოსკოვმა XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს გადაწყვიტა „ნეპის" პოლიტიკის შეჩერება, რომ ამით მოესპო შესაძლო ეკონომიკური საფუძველი ანტისაბჭოთა აჯანყებისათვის, კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის, დაკაბალებული რესპუბლიკებისათვის ამ აქციას დამატებით კიდევ ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ ამით განადგურდა „ნეპმანთა" კლასი-ფენა, რომელსაც შეეძლო საქართველოში დაეფინანსებინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

საქართველოში კი, კომუნისტური რეჟიმის მიუხედავად, კერძო სექტორი საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენდა XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში.1926 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოს მრეწველობაში არსებობდნენ „მექარხნე მეფაბრიკენი" – თვითმოქმედნი 35 კაცი, არათვითმოქმედნი – 228. აქედან 137 იყო ქალი. სოფლის მეურნეობაში კერძო კაპიტალის წარმომადგენლები ანუ „პატრონები სოფლის მეურნეობაში" – უფრო მრავალრიცხოვანი ჩანს. თვითმოქმედი „პატრონი" არის 14388, საიდანაც 3578 ქალია, მათ შორის ქართველია 8845, საიდანაც 2837 ქალია. კერძო ბიზნესის წარმომადგენლები იყვნენ შინამრეწველნი და ხელოსნები. მათი რაოდენობაა – თვითმოქმედი 2166 კაცი, არათვითმოქმედი – 5500 კაცი.[12]

მეტად საინტერესოა, რომ მეფაბრიკე-მექარხნეთა კატეგორიაში არიან „თვითმოქმედები" – ეს გულისხმობს კერძო ბიზნესს საკუთარი და საკუთარი ოჯახის წევრთა სამუშაო ძალის გამოყენებით. ეს გულისხმობს „მინი" ფაბრიკა-ქარხნებს, სინამდვილეში კი ინდივიდუალურ სახელოსნოებს, მეტად მერყეევი ეკონომიკური შესაძლებლობებით. აღწერის მონაცემებით ამ ტიპის სულ საქართველოში 35 „ფაბრიკა-ქარხანა" ყოფილა.

უფრო შთამბეჭდავია დაქირავებული შრომის გამომყენებელი მეწარმეების რიცხვი – 228. ყველა კატეგორიის მეწარმე (ფაბრიკანტი) 1926 წელს საქართველოს მრეწველობაში უდრის 263 კაცს.

სამაგიეროდ „მეპატრონეები" საკმაოდ ბევრია სოფლის მეურნეობაში და განსაკუთრებით საყურადღებოა არათვითმოქმედი მეპატრონის კატეგორია, ე.ი. მეპატრონე, რომელიც იყენებდა დაქირავებულ შრომას – ეს მაჩვენებელი უდრიდა 34 690 კაცს. უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლიტ-ეკონომიკურ ცხებაში „კულაკი",

20-იანი წლების დასასრულს, საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობა სწორედ ამ სოციალური კატეგორიის წარმომადგენლებს გააერთიანებდა.

რა საქმიანობას ეწეოდნენ ტოტალიტარული რეჟიმის პირველ ეტაპზე საქართველოს „ბურჟუები" და „ნეპმანები"? (ასე უწოდებდნენ ნეპის პერიოდში იმ პირებს, რომლებმაც შეძლეს საბჭოთა შეღავათებით სარგებლობა და კერძო ბიზნესი განაეითარეს).

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ კერძო პირებზე ოჯარით გასცა საკმაოდ ბევრი „ფაბრიკა და ქარხანა", სინამდვილეში ძირითადად 2-3 კაციანი საწარმოები. მაგალითად, ასეთი იყო ზლატოგორსკის ბამბის „ქარხანა", რომელშიც ხუთი მუშა იყო დასაქმებული. არუთინოვების სანის ქარხანაში მხოლოდ 2 კაცი მუშაობდა. თბილისში მოქმედებდა ოგანეზოვის ლიმონათის ქარხანა, მილიანცისა და კაზარიანცის ფეხსაცმლის სამკერვალო, ჯანაშვილის ჯაგრისის სახელოსნო, ეერგელიანცის საფეიქრო სახელოსნო და სხვა საწარმოები.[13]

ბათუმში 21 ნავთის ჩამომსხმელი სადგური იყო, რომლებსაც უამრავი რეზერვუარი ჰქონდა. ეს სადგურები ეკუთვნოდა ძმებს ნობელებს, მანთაშოვს, რუსეთ-კავკასიის საზოგადოებას, ბრიტანეთ-ბაქოს საზოგადოებას და სხვა ორგანიზაციებს. ამათ გარდა, ქალაქში იყო კაპლანის მექანიკური ქარხანა, ძმები არვანტიდების თუნუქის ყუთების საწარმო და ა.შ.[14] კერძო მცირე საწარმოები იყო გორში, თელავში, ახალციხესა და სხვა ქალაქებსა და დასახლებებში.

კერძო ბიზნესი, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, მთლიანად იყო რეგლამენტირებული და მისი თავისუფლება მოსენებითი იყო: სახელმწიფოს ეკონომიკური ბერკეტები მკაცრად ბოჭავდა ნებისმიერ მეწარმეს. ეკონომიკური თავისუფლება არ ერცელდებოდა საკრედიტო ფულად ურთიერთობებზე, საბანკო სისტემა მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო, საგადასახადო პოლიტიკით ის არეგულირებდა კერძო სექტორს. კერძო მეწარმე, ასეთ ვითარებაში ცდილობდა რაც შეიძლება მეტი მოგება მიეღო, ამიტომაც დასტურდება, რომ „ნეპმანები" ცდილობდნენ მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღებას.

კერძო ბიზნესი, რა რთულ ვითარებაშიც არ უნდა ყოფილიყო ის, იმდენ მოგებას კი იძლეოდა, რომ ახალ „მეწარმეებსა" და „ნეპმანებს" რიგით მუშებზე უკეთ ეცხოვრათ. 20-იანი წლების შუა ხანებიდან ხდება ეკონომიკური ცხოვრების სტაბილიზება, თბილისში საქალაქო ცხოვრება მოწესრიგდა, გაიხსნა ბევრი კერძო რესტორანი. მეწარმეები და მათი ოჯახის წევრები უკეთესად იცვამდნენ, ეტანებოდნენ „ცხოვრების სიამეებსაც".

სპეციალური ორგანოები ბურჟუაზიის ფარულ განწყობილებებზეც მიანიშნებდნენ: „მსხვილი ბურჟუაზია მენშევიკურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად კონტრრევოლუციურად არის შემართული."[15]

მსგავსი ინფორმაცია მიდიოდა კომუნისტური პარტიის ლიდერების ყურამდეც, სოციალური ვითარება 1924-1925 წლებში ქვეყანაში ისე შეიცვალა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, რომ ალაპარაკდნენ სოფლის ბურჟუაზიის – კულაკების მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეზე, ამტკიცებდნენ რომ მოხდა მათი ეკონომიკური შესაძლებლობების არნახული ზრდა, რაც მალე პოლიტიკურ მოთხოვნებშიც გადაიზრდებოდა, ბევრს საუბრობდნენ ნეპის შეწყვეტაზე, ზეინდუსტრიალიზაციაზე, კულაკების მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარებაზე.

სწორედ ვითარების შედეგი უნდა იყოს ის, რომ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის დავალებით სპეციალურმა კომისიამ 1926 წელს საიდუმლოდ შეისწავლა კერძო ბიზნესი საქართველოში, მისი რეალური მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. ეს მასალები დღემდე სამეცნიერო ბრუნვაში არ იყო შემოტანილი და ამ ინფორმაციას არ ფლობდა საქართველოს საისტორიო საზოგადოებრიობა. შედეგები კი მართლაც საინტერესო და დამაფიქრებელია.

დადგინდა, რომ 1924-1925 წლებში საბირჟო ოპერაციებში (ბრუნვაში) კერძო ბიზნესის მონაწილეობა უდრიდა 1 339 ათას მანეთს, რაც ბირჟის საერთო ბრუნვის 18 პროცენტი იყო. ვაჭრობაში კერძო პირების მონაწილეობა აღწევდა 8 პროცენტამდე. ამავე პერიოდში სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები კერძო პირებზე ყიდდნენ დაახლოებით მილიონი მანეთის პროდუქციას (აღირიცხა 24 ძლიერი ორგანიზაცია). 1924-1925 წლებში კერძო პირებმა ბირჟაზე გაყიდეს 650 ათასი მანეთის საქონელი.

საყურადღებოა კერძო კაპიტალის აქტიურობა სასოფლო-სამეურნეო სექტორში. ოფიციალური ინფორმაციით 1924-1925 წლებში საქართველოში დამზადებული 5 მილიონი ვედრო ღვინიდან მხოლოდ 700 ათასი იყო სახელმწიფო კოოპერაციული ორგანიზაციების, დანარჩენი კერძო პირებს ეკუთვნოდა. 800 ათასი ვედრო ღვინო კერძო პირებმა გაყიდეს ადგილობრივ ბაზარზე, გატანილია 1 მილიონი ვედრო. ასევე წამყვანია კერძო ბიზნესის წვლილი მეხილეობის დარგში – მათ მსხვილ პარტიებად გაყიდეს დაახლოებით ნახევარი მილიონი ფუთი ხილი. ასევე ლიდერობდა კერძო ბიზნესი ხორცის, თხილის, რძის პროდუქციის წარმოებაში.[16]

როგორც ვხედავთ, საბჭოთა ლიდერებს გარკვეული შეშფოთების საფუძველი უნდა ჰქონოდათ – მარტო საქართველოს მაგალითი მიუთითებს, რომ, მიუხედავად რეპრესიებისა, დრაკონული საგადასახადო კანონებისა და უამრავი შეზღუდვისა, კერძო კაპიტალი 20-იანი წლების შუა რიცხვებში მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა ეკონომიკაში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

მეტად საყურადღებოა შემდეგი ფაქტიც – შემოწმების დროს გაირკვა, რომ ყველა კერძო საწარმოში ხელფასი საშუალოდ 15 პროცენტით მეტი იყო შესაბამის სახელმწიფო საწარმოსთან შედარებით. ზოგიერთ საწარმოში ეს განსხვავება დაახლოებით 30% იყო. კონტროლიორებმა ისიც დააფიქსირეს, რომ იყო ხშირი შემთხვევები, როცა სახელმწიფო საწარმოებიდან მუშები გადადიოდნენ კერძო სექტორში. მოტანილია მაგალითი, რომ მექანიკური სახელოსნოს „ლითონის" ყველა მუშა გადავიდა კერძო საწარმოში, რადგან მათი ხელფასი სახელმწიფო საწარმოში იყო 50 მანეთი, კერძო სტრუქტურაში გადასვლის შემდეგ გახდა 84 მანეთი.

მთლიანად რომ განეკარგა საქართველოს ეკონომიკური რესურსები და, ამასთან, მუდამ ხელში ჰქონოდა ეკონომიკის მართვის ბერკეტები, ცენტრმა დაიწყო საქართველოში დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია. უკვე 1926 წლის მეორე ნახევარში ამუშავდა ახალი აბრეშუმის ძაფსახვევი და ძაფსაგრეხი ფაბრიკები ოზურგეთში, ხონში და თელავში. გაფართოვდა თბილისისა და სამტრედიის ამ პროფილის ფაბრიკები. მეაბრეშუმეობამ მიიღო მკვეთრად გამოხატული სამრეწველო ხასიათი. იმავე წლის დამლევს ამუშავდა ქუთაისის რეზინის და შულავერის ბამბის საპენტი ფაბრიკები.

ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში დასრულდა ზაჰესის მშენებლობა, მისი პირველი რიგი საზეიმოდ გაიხსნა 1927 წლის 27 ივნისს, ხოლო მეორე დღეს – 28 ივნისს ქუთაისის მახლობლად სოფ. ჭომას მიდამოებში მდ. რიონზე საძირკველი ჩაეყარა მძლავრი – რიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. ამავე პერიოდში შენდებოდა აჭარისწყლის (აწჰესი), აბაშის (აბჰესი) და ალაზნის ჰესები. 1926 წ. საქართველოში მუშაობდა 7 სასოფლო ელექტროსადგური. ადგილობრივი გლეხობის ძალებით აშენდა სოფ. ველისციხის, ხონის, შოეის, ონის, აბასთუმნის, ახალციხის, აწყურის ჰიდროელექტროსადგურები. მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია გამოიყენებოდა არა მარტო განათების, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (წისქვილი, ხე-ტყის ხერხვა და ა. შ.).

1926-1927 წლებში დამთავრდა თბილისის ლითონკონსტრუქციების და ლითოგრაფიული ქვის დამამზადებელი ქარხნების, მარელისის გრეხილ-ავეჯის ფაბრიკის, ბათუმის ხისდამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. საფუძველი ჩაეყარა თბილისის მაუდ-კამეოლის ფაბრიკას, სადგურ კასპის მახლობლად ცემენტის

ქარხნის მშენებლობას, ამუშავდა ფხოიური ქვანახშირის საბრიკეტო ფაბრიკა, საკავშირო მნიშვნელობის ბორჯომის საკასრე ქარხანა, 1928 წ. გორის საკონსერვო ქარხანა (რომლის პროდუქცია საექსპორტო იყო), სოფ. ქისთიბში დიატომიტის საფქვავი, მცხეთის ხე-ტყის ქარხნები; 1929 წ. — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ქუთაისის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, ნოსირის (სენაკის მაზრა) აგურ-კრამიტის და მოწამეთის კირის ქარხნები. გაფართოვდა ნავთობის საძიებო სამუშაოები კახეთსა და გურიაში. იტალია-ბელგიის საკონცესიო კომპანიამ 1927-1928 წლებში შირაქში გაჭრა 540 მ. სიღრმის ჭაბურღილი, მაგრამ ამით ამოიწურა მისი "მოღვაწეობა". 1930 წ. ამუშავდა თბილისის მაუდ-კამეოლის ფაბრიკა, ბაქო-ბათუმის ნავთსადენი. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ „ურღვევი საბჭოთა კავშირი" ეკონომიკურადაც ურღვევი გაეხადათ.

დაჩქარებულმა ინდუსტრიალიზაციამ საქართველოში მიგრაციული პროცესები გააძლიერა. მოკავშირე რესპუბლიკებიდან — რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა მიგრანტთა რიცხვი.[17] მიგრაციული პროცესების განვითარება ხელს უწყობდა მრავალეროვანი შრომითი კოლექტივების შექმნას, რაც თავის მხრივ აპირობებდა რუსული ენის ფუნქციების გაძლიერებას, ეს კი რუსიფიკაციის ძლიერ საშუალებას წარმოადგენდა.

ინდუსტრიალიზაციის ტემპები საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა 30-იანი წლებიდან. ცენტრი (მოსკოვი) თავისი გლობალური საგარეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებდა სახალხო მეურნეობის მოდერნიზაციას, რეკონსტრუქციას, აშენებდა მძიმე მრეწველობის გიგანტებს, რომ „დაწეოდა და გაესწრო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის გადაანგარიშებით". ამისკენ საბჭოთა ხელმძღვანელობას უბიძგებდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესების — მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის მზადება, მეორე მსოფლიო ომის მოახლოება. ი.ბ. სტალინი უკვე 1931 წლის ზაფხულში ეკონომიკურ თათბირზე საჯაროდ აცხადებდა: „ჩვენ 50-100 წლით ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავიარბინოთ, ან შეასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ".

ამიტომაც პირველ ხუთწლიან გეგმაში (1928-1932 წწ.) 30-იანი წლების დასაწყისიდან, როგორც უკვე აღინიშნა, კიდევ უფრო გააძლიერეს მრეწველობის ჯგუფის — წარმოების საშუალებათა წარმოების დარგების — განვითარება.

პირველ ხუთწლედში საქართველოში აშენდა ახალი თბოსადგურები, სამშენებლო მასალათა საწარმოები, მსუბუქი მრეწველობის რიგი ობიექტი და ა.შ. მიმდინარეობდა ქასპის ცემენტის ქარხნის, თბილისის ახალი მექანიკური, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების, ზაჰესი — 2-ის მშენებლობა. 1933 წელს ექსპლოატაციაში შეეიდა რიონჰესი, მიმდინარეობდა ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროს, ქუთაისის ბარიტის საბადოს ბაზაზე ლითოფონის ქარხნის და სხვა მნიშვნელოვანი საწარმოების მშენებლობა. ყველაფერმა ამან უზრუნველყო საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, უმუშევართა შემცირება. 1930 წელს უმუშევრობა, როგორც სოციალური მოვლენა, საქართველოში ოფიციალურად უკვე აღარ იყო რეგისტრირებული.

30-იანი წლების მეორე ნახევარში უფრო აქტუალური გახდა თავდაცვითი მრეწველობის დარგების განვითარება. ხუთწლედის ძირითად და გადამწყვეტ სამეურნეო ამოცანად დაისახა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, ახალი ტექნიკური ბაზის შექმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. უნდა დასრულებულიყო კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაცია მეურნეობის ყველა სფეროში.

ახალი ხუთწლიანი გეგმა (1933-1938 წწ.) ითვალისწინებდა საქართველოს ელექტრო-ენერგეტიკის შემდგომ განვითარებას, რაც საფუძველი უნდა გამხდარიყო მრეწველობის სხვა დარგებისათვის, დაგეგმილი იყო ხრამჰესის, რიონჰესის მეორე რიგის აგება, თბოსადგურების აშენება ტყვარჩელსა და შირაქში.

ეკონომიკის მართვის საბჭოთა, ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული სისტემა იმჟამად აღმაელობას განიცდიდა და ჯერ კიდევ ახერხებდა მართვის არაეკონომიკური, სუბიექტური მეთოდებით შედარებით მაღალი შედეგების მიღწევას. მეორე ხუთწლედში საქართველოს მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 108,2 პროცენტით გაიზარდა. ამ პერიოდში საქართველოში შეიქმნა ფეროშენადნობთა წარმოება, ექსპლოატაციაში შეეიდა ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობა, სვანეთში საწარმოო მნიშვნელობა მიეცა ოქროს მოპოვებას, დაიწყეს ნავთობის ამოღება მირზაანში და ა.შ.[18]

ეკონომიკური წარმატებები მრეწველობაში სოფლის არნახული ექსპლოატაციის ხარჯზე მოხდა. ამას კომუნისტი ლიდერები არც მალავდნენ: თავისუფალი ფინანსური შესაძლებლობების არარსებობის პირობებში სოფლის, განსაკუთრებით კი მისი შეძლებული ნაწილის (მდიდარი და საშუალო გლეხობის გარკვეული ფენა) ტოტალური გაძარცვის საფუძველზე მოხერხდა ის, რომ მრეწველობის განვითარების ტემპებით, ეკონომიკური მიღწევებით საბჭოთა კავშირი უკვე 1935 წელს მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე გავიდა – ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ ის იყო მეორე სახელმწიფო პროდუქციის წარმოების საერთო მაჩვენებლებით.

რუსეთის დიქტატი და კოლონიალური დამოკიდებულება განსაკუთრებით გამოვლინდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესის დროს. რუსული სოციალიზმის იდეალი – მოდერნიზებული რუსული თემი საბჭოთა რესპუბლიკებს კოლექტიური მეურნეობების სახით მოეელინა. საქართველოს სოფელში თემურ-კოლექტივისტური ურთიერთობები უკვე აღარ არსებობდა. აქ გაბატონებული იყო ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა, რა თქმა უნდა, აშკარა სოციალური განსხვავებებით: იყვნენ ღარიბი, საშუალო და მდიდარი გლეხები. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ კერძო სექტორი განსაკუთრებით ძლიერი იყო სწორედ სოფლის მეურნეობაში.

უკვე 20-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში გაჩნდა გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების სხვადასხვა ფორმა – კოლმეურნეობა-არტელი, კომუნა, მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა. კოოპერატივებში 1927 წლის ოქტომბრისათვის გაერთიანებული იყო 1454 გლეხური მეურნეობა, მათ შორის არტელებში 157, ამხანაგობებში კი 1195 მეურნეობა და ა. შ. იმ დროს არტელებში გაერთიანებისადმი მიდრეკილებას უფრო საშუალო გლეხობა იჩენდა, რაც აიხსნებოდა იმით, რომ არტელებს სახელმწიფოს "მზრუნველობით" გააჩნდათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

1929 წლის დამლეგიდან კომუნისტური პარტია გადავიდა შეძლებული გლეხობის ანუ „კულაკობის" შეზღუდვიდან მათი, როგორც კლასის (სოციალური ფენის) ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. გაუქმდა კანონები იჯარისა და შრომის დაქირავების შესახებ, მოიხსნა განკულაკების აკრძალვა, დამახინჯებული სახით ხორციელდებოდა კულაკობის, როგორც სოციალური ფენის, ლიკვიდაციის ყოვლად გაუმართლებელი პოლიტიკა. ერთმანეთში ურევდნენ კულაკსა და საშუალო გლეხს, რის გამოც განკულაკების მსხვერპლი ხდებოდა ზოგჯერ საშუალო გლეხიც. კულაკები აწყობდნენ აშკარა გამოსვლებს, საკოლმეურნეო მოძრაობის აქტივისტებს კლავდნენ, კოლმეურნეთა ნათესებს ანადგურებდნენ, ურჩევდნენ გლეხებს დაეხოცათ მუშა-საქონელი, რათა იგი არ გამხდარიყო კოლმეურნეობათა საკუთრება და ა.შ.[19]

მიუხედავად ძალადობრივი ფორსირებისა, საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობა გარკვეული თავისებურებებით მაინც გამოირჩეოდა. 1932 წლისათვის კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო გლეხური მეურნეობის მხოლოდ 36,1 პროცენტი, მათ სარგებლობაში იყო სათესი ფართობის მხოლოდ 29,6 პროცენტი, თუმცა 30-იანი წლების დასასრულს მოხერხდა საქართველოს სოფლად საკოლმეურნეო წყობილების მთლიანად დანერგვა.

რუსეთის და საკავშირო აგრარულ ბაზარზე საქართველოს ტოტალურად დასაკავშირებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკპ (ბ) 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებას, რომლის შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობამ აიღო ორიენტაცია ტექნიკურ და სუბტროპიკულ კულტურებზე: საქართველო გახდა საბჭოთა ბაზრისათვის ციტრუსების, ჩაის, ღვინის თითქმის მონოპოლიური მიმწოდებელი, იგი აწარმოებდა თამბაქოს, ტუნგოს, აბრეშუმის პარკის და სხვა ტექნიკური კულტურების მნიშვნელოვან ნაწილს, ეს კი საქართველოს სოფლის მეურნეობას გამორჩეულ მდგომარეობაში აყენებდა – ეს მონოპოლური ვითარება, საბჭოთა ბაზრის დაკარგვის შემთხვევაში, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდებდა ტექნიკური კულტურების მწარმოებელ რეგიონებს (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს – ჩაისა და ციტრუსების მწარმოებელ ძირითად ცენტრს). ეს ასევე მოხდა XX საუკუნის დასასრულს.

სიძნელეების მიუხედავად, საკოლმეურნეო სისტემა მაინც განმტკიცდა საქართველოში. გაჩნდნენ „მილიონერი" კოლმეურნეობები, რომლებსაც დიდი შემოსავლები ჰქონდათ. პირველ რიგში ესენი იყვნენ დასავლეთ საქართველოს მეციტრუსეობის და მეჩაიეობის კოლმეურნეობები.

მაგრამ არ ვიქნებით სამართლიანნი, თუ არ დავინახავთ გარკვეულ დადებით შედეგებს აგრარულ პოლიტიკაში. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს სოფლის ეკონომიკური აღორძინებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჭაობიანი ადგილების ამოშრობას, რაც სწორედ 30-იან წლებში დაიწყო და წარმატებით განხორციელდა. 1935 წლისათვის ამოშრობილი იყო: ფოთის რაიონში – 309 ჰექტარი, ხობის რაიონში – 5538 ჰექტარი, სენაკის რაიონში – 6621 ჰექტარი, აბაშის რაიონში – 1052 ჰექტარი, ლანჩხუთის როაიონში – 566 ჰექტარი, მახარაძის რაიონში – 520 ჰექტარი. ამოშრობილ მასივებში შენდებოდა ციტრუსების ბაღები, ჩაის პლანტაციები.

ხეხილის ბაღები და ახალი ვენახები შენდებოდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობას, რაც 1924 წელს დაიწყო. 1930 წელს ექსპლოატაციაში შევიდა 5400 ჰექტარი ახალი სარწყავი მასივი, უკვე 1933 წელს ირწყვებოდა 23 654 ჰექტარი ახლად ათვისებული მიწა. თესავდნენ ბამბას, რგავდნენ ხეხილს, აშენებდნენ ვენახის ნერგს. გორისა და კარალეთის რაიონებში შეიქმნა მეხილეობის ახალი საბჭოთა მეურნეობები, გაიხსნა ახალი სანერგე სადგურები, დიდი მუშაობა ჩატარდა სოფლების გარშემო ქარსაცავი ზოლების შესაქმნელად.[20]

სოფლის რადიკალურ – ეკონომიკურ გარდაქმნას გარკვეული სოციალური ცვლილებაც მოჰყვა – სოფლებში გაიხსნა სკოლები, ამბულატორიები, სასოფლო რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრებში ფუნქციონირებდნენ სტაციონალური საავადმყოფოები. თუმცა ნაკლიც ბევრი იყო – მთის არაქართული მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში ჭირდა კვალიფიციური კადრებით ადგილობრივი სკოლების, ჯანმრთელობის დაცვის კერების სპეციალისტებით დაკომპლექტება, ცუდად მარაგდებოდნენ სოფლები პირველადი მოთხოვნილების საქონლით.

---

1. ფ. ენგელსი, კომუნიზმის პრინციპები, იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 106.
2. იქვე.
3. ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 34.
4. იქვე, გვ. 90-91.
5. იქვე. გვ. 106.

6. ГАСПИ РФ, ф, 50, оп. 1, д. 48, л. 61.
7. ГАСПИ РФ, ф, 17, оп. 3, д. 391, л. 3.
8. ГАСПИ РФ, ф, 17, оп. 3, д. 474, л. 4.
9. იქვე, ფ. 17, აღ. 162, საქ. 2, ფურც. 7.
10. იქვე, ფურც. 56.
11. იქვე, ფურც. 101.
12. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა, თბ., 1930, გვ. 36-37.
13. ა. დაუშვილი, თბილისი – 1937, თბ., 1997, გვ. 19.
14. ა. დაუშვილი საეროვნებათაშორისო ურთიერთობა საქართველოში 1921-1941 წწ. თბ., 2000, გვ. 17
15. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 37, ფურც. 124.
16. იქვე, ფ. 14, აღ. 3, ს. 110, ფურც. 44.
17. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004, გვ. 82.
18. იქვე, გვ. 130.
19. იქვე, გვ. 132.
20. იქვე.

საქართველოს მოსახლეობის ფსიქო-სოციალური და კულტურული ევოლუცია

ახალი ადამიანის აღზრდა – როგორც მიზანი. მარქსისტული მოძღვრება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ადამიანის ფაქტორს, ახალი ადამიანის ფორმირებას. ფ. ენგელსის მიხედვით კომუნისტური აღზრდა „გულისხმობს ყოველმხრივ განვითარებული ნიჭის პატრონ ადამიანებს... აღზრდა, მაშასადამე, მათ გაათავისუფლებს იმ ცალმხრივობისაგან, რომელსაც შრომის თანამედროვე დანაწილება თავს ახვევს თითოეულ ცალკეულ ადამიანს. ამგვარად, კომუნისტურ საფუძველზე ორგანიზებული საზოგადოება შესაძლებლობას მისცემს თავის წევრებს ყოველმხრივ გამოიყენონ თავიანთი, ყოველმხრივად განვითარებული უნარი".[1]

საბჭოთა სისტემის ძალმომრეობით ექპორტირების შემდეგ მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლების მთავარი ამოცანა სულიერ სფეროში იყო ის, რომ დაეძლია ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ეროვნული კულტურული ღირებულებები, რომელიც რამენაირად ხელს შეუშლიდა „ერთიანი და განუყოფელი," მრავალეროვანი პროლეტარული სახელმწიფოს არსებობას: პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული, მშობლიური ტერიტორიის განუყოფლობისადმი ადამიანის ერთგულება, მამა-პაპათა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების, რელიგიური თუ კულტურული ფასეულობების ხსოვნა გამოცხადდა ატავიზმად. კომუნიზმის იდეოლოგებს სჭირდებოდათ ახალი „სუფთა დაფა", რომელზეც დაიწერებოდა, როგორც ამას ა.გერცენი ჩინებულად მიანიშნებდა „...ახალი აღთქმანი, ახალი რწმენის სიმბოლოების მსხვილად მოხაზული კონტურები".[2]

ეს ძნელად განსახორციელებელი ამოცანა იყო. მაგრამ ბოლშევიკებმა ამ ამოცანის რეალიზაცია შეძლეს.

მართალი იყო ნ. ბერდიაევი როცა ამტკიცებდა – „კ. მარქსმა შექმნა მითი პროლეტარიატზე... მარქსიზმი არ არის მარტო მეცნიერება და პოლიტიკა, ის ასევე არის რწმენა, რელიგია. ამას ეფუძნება მისი ძლევამოსილება".[3] მაგრამ საქართველოში, სადაც კომუნისტების მიერ ხელისუფლების ძალით დაპყრობის მომენტში, კომუნისტური პარტიის წევრი მხოლოდ 9 ათასი კაცი იყო, ხოლო ან-

ტიკომუნისტურად განწყობილი – საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი – ანტიკომუნისტური პარტიები, ბურჟუაზიის ყველა ფენა, სასულიერო წოდება, მდიდარი და შეძლებული გლეხობა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია – მეტად ძნელდებოდა ფ. ენგელსის „კომუნიზმის პრინციპებში“ ჩამოყალიბებული ახალი ადამიანის ფორმირების საკმაოდ რთული პროგრამის რეალიზება.

ამ რთულ საქმე'ში კი კომ'უნისტების მოთავარი მხარდამჭერი სიღარიბე იყო – 'უქონელი პროლეტარიატი და სოფლის ბოგანო გლეხობა სწორედ ის სოციალური დასაყრდენი გახდა, რასაც დაეფუძნა საქართველოში კომუნისტური იდეოლოგია და პრაქტიკა, ვისი ხელით და ვისი დახმარებითაც ხდებოდა კომუნისტური რევოლუცია კულტურასა და ფსიქოლოგიაში.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართველი საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით ინტელიგენცია, თავადაზნაურობა, სასულიერო ფენები აშკარად უარყოფითად შეხვდნენ საბჭოთა ინტერვენციას. აგენტურული ცნობებით 1921 წელს თბილისში საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ასეთი დამოკიდებულება იყო: 20 პროცენტი მომხრე, 44 პროცენტი – ინერტული, 36 პროცენტი აშკარად მტრული.[4]

რომ ეს, საბჭოთა ხელისუფლებისათვის უარყოფითი თანაფარდობა შეეცვალა მისთვის მისაღები პროპორციით და მოეხერხებინა საზოგადოების პოლიტიკურ-იდეური ერთიანობა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო მუშაობა ოთხი მიმართულებით: ახალი ადამიანის აღზრდა მარქსისტულ-ლენინური ცნობიერების საფუძველზე, ტრადიციული კულტურულ-რელიგიური ფასეულობების ნაცვლად საბ'ჭოთა' ფასეულობების დამკვიდრება, ინტელიგენციის ძველი ფენის შემორიგება ან ნეიტრალიზება, ინტელიგენციის პროსაბ'ჭოთა ფენის აღზრდა და გაძლიერება და მთავარი – საბ'ჭოთა აღზრდის კომპლექსური, ტოტალური სისტემის დამკვიდრებით ერთიანი, პროლეტარული სახელმწიფოს ერთგულების გრძნობისა და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული პიროვნების ქცევის ნორმების დანერგვა.

საბ'ჭოთა სკოლის ფორმირება დაიწყეს სკოლით – რადგან ის აღზრდის ძირითადი და მთავარი საშუალება იყო.

დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის სასკოლო სისტემა გამოცხადდა „შოვინისტურ-წერილბურჟუაზიულად“, რომელიც საჭიროებდა გადაუდებელ შეცვლას. არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ აჭარის საბ'ჭოების II ყრილობა'ზე, რომელზეც სწავლა-განათლების საკითხი იხილებოდა, ერთ-ერთმა დეპუტატმა მენშევიკების განათლების სისტემაზე აღნიშნა შემდეგი: „სწავლა-განათლება ან არ იყო, ან იყო ნაციონალისტურ-შოვინისტური“.[5]

საბ'ჭოთა საქართველოს მესვეურებმა თავიდანვე დაიწყეს სკოლის სისტემის რეორგანიზაცია. იმისათვის, რომ აღეზარდათ საბ'ჭოთა სისტემისადმი ღრმად ერთგული „ახალი ადამიანი“, საჭირო იყო სკოლის ტრადიციული ფორმის უკუგდება და ახალ იდეოლოგიურ და პედაგოგიურ პრინციპებზე „ახალი სკოლის“ ფორმირება. რუსეთში ეს ექსპერიმენტი 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებისთანავე დაიწყო და ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილებაც დაგროვდა. საქართველოს სინამდვილეში განათლების დარგში ეს „რუსული შაბლონიც“ უაპელაციოდ გადმოინერგა. ამ მიმართულებით მეტად საინტერესოა განათლების სახ.კომისრის მოადგილის და საქართველოში საბ'ჭოთა განათლების სისტემის დამკვიდრების ერთ-ერთი ორგანიზატორის მარიამ ორახელაშვილის თეზისები, რომელშიც განსაზღვრულია საქართველო'ში ახალგაზრდის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის რთული ამოცანა და ჩამოყალიბებულია ამ აღზრდის ძირითადი პრინციპები. თეზისების გაცნობა იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ, რომ სახეზეა: 1. საოჯახო აღზრდის სრული იგნორირება; 2. ინდივიდუალისტური ტენდენციების ნაცვლად კოლექტივისტური ტენდენციების დანერგვა-განვითარების მოთხოვნა; 3.სოციალური აღზრდის პრინციპების დამკვიდრება.

ამ ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, მარიამ ორახელაშვილი აყენებს ამოცანას: „ჩვენი მიზანია ისე მოვამზადოთ ბავშვები, რომ ისინი ჰარმონიულად

განვითარდნენ და შეიქმნან ახალი კომუნისტური საზოგადოების მკვიდრი წევრნი, გრძნობდნენ მჯიდრო კავშირს საზოგადოებასთან, შეიგნონ კომუნისტური ფსიქოლოგია და შრომის უნარი, რომელსაც შეუძლია თავისი ნებისყოფა და ინტერესი დაუქვემდებაროს კოლექტივის ინტერესს, რომელსაც ყოველ პირობებში შეუძლია იყოს კარგი ამხანაგი, მუშაობაში შეიტანოს თავისი ინიციატივა".[6]

მ. ორახელაშვილი თავის თეზისებში აყალიბებდა ბავშვის აღზრდის იდეალურ საბჭოთა სტრუქტურას, რომელმაც უნდა მოიცვას ბავშვის განვითარების სრული ციკლი: საბავშვო ბაღი, საბავშვო მოედნები, სკოლა, კლუბი ან საბავშვო სახლი (ინტერნატი), მთლიანი შრომის სკოლა. აღზრდის ყველა ამ კონკრეტული ფორმის მთავარი ამოცანა უნდა იყოს: „ეიწრო ეგოისტური ოჯახის გაერთიანების მოსპობა".[7]

ამ თეზისებით მ. ორახელაშვილი სრულ უნისონშია მარქსიზმის ძირითად დებულებებთან, რომლებიც მოითხოვენ ბავშვის აღზრდის სისტემის სოციალიზაციას, ოჯახური აღზრდის ლიკვიდაციას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა სწორედ ისეთი მსოფლმხედველობის ადამიანის ფორმირება, რომელიც თავისუფალი იქნება ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ხასიათის სიძნელეებმა შესაძლებლობა არ მისცა საბჭოთა ხელისუფლებას ბოლომდე განეხორციელებინა სკოლის სოციალიზაცია — ბავშვების ტოტალური აღზრდა სახელმწიფოს ხარჯზე, მისთვის ბავშვობიდან სოციალისტური, მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური იდეების კულტივირება. ბავშვი 20-30-იან წლებში ძირითადად ოჯახში იზრდებოდა და ოჯახი თავის ზეგავლენას ახდენდა ბავშვზე, მაგრამ სკოლის პედაგოგიური კადრების სელექციით, ამ სფეროში კომუნისტებისა და კომკავშირლების მიზიდვით, ახალი, საბჭოთა სასწავლო პროგრამების შემუშავებით, რომლებიც გაჟღენთილნი იყვნენ მარქსისტულ-ლენინური შეხედულებებით, კლასობრივი ბრძოლის თეორიით და ა.შ., სკოლების დაკავშირებით საწარმოებთან და საბჭოთა მეურნეობებთან — საბჭოთა ხელისუფლება ქმნიდა საფუძველს ახალი ტიპის ადამიანის ჩამოსაყალიბებლად. სწორედ საბჭოთა სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო რუსეთის მესიანისტური იდეის პროპაგანდაც.

პიროვნების კომუნისტური აღზრდის საქმეში საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი იყო წერა-კითხვის უცოდინრობა, რაც საქართველოშიც კი მოსახლეობის საკმაოდ დიდი პროცენტისათვის იყო დამახასიათებელი. ეს ჩინებული ფონი იყო კომუნისტური პროპაგანდისათვის. საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები წერა-კითხვის ელემენტარულ ჩვეულებთან ერთად, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძვლების პროპაგანდასაც ითვალისწინებდა. ეს პროპაგანდა მიმართული იყო, აგრეთვე, რუსეთის მესიანისტური მისიის იდეოლოგიურ უზრუნველსაყოფად, ახალი, კომუნისტური რუსეთის — როგორც საქართველოს ერთადერთი და განუყრელი მეგობრის ხატების შესაქმნელად.

უცოდინარი, გაუნათლებელი ადამიანებისათვის ადვილი იყო აეთვისებინათ ის, რასაც მას ასწავლიდნენ და უჩიჩინებდნენ, ამიტომაც საბჭოთა კომუნისტური პროპაგანდა ყველაზე ეფექტიანად სწორედ მოსახლეობის ამ ფენაზე ახდენდა ზეგავლენას. 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი 30-იან წლებში საბჭოთა სკოლის სისტემის განმტკიცებამ, სკოლებში პარტიული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების შექმნამ სკოლის „სოვეტიზაციის" პროცესი დაასრულა. საბჭოთა სკოლა 30-იანი წლების დასასრულს საბჭოთა სისტემის ერთგულ ახალგაზრდობას ზრდიდა.

უფრო რთულად იყო საქმე იმ ფენებთან და სოციალურ ჯგუფებთან დაკავშირებით, რომლებსაც მტკიცე და შეურყეველი რწმენა წარმოდგენები ჯერ კიდევ ცარიზმის პერიოდში ჰქონდათ და მათ არ შეეძლოთ ასე ადვილად შეეცვალათ ის კომუნისტურით, მარქსისტულ-ლენინურით.

ქართული ეკლესია და რუსული ტოტალიტარიზმი. ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია საქართველოში ერთ-ერთი ის ფუნდამენტი იყო, რომლის დასუსტების, დაკნინების გარეშე საქართველოში რუსული სოციალიზმის იდეურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები ვერ დამკვიდრდებოდა. მეორეს მხრივ, თვითონ კომუნისტური რეჟიმი ვერ მოითმენდა კონკურენტს სულიერების სფეროში – ბერდიაევის სწორი შენიშვნით, მარქსიზმი ხომ რელიგიაც იყო, რომელსაც თავისი „წმინდანები". „რწმენის სიმბოლოები" ჰქონდა. ტრადიციულ რელიგიასა და რუსულ კომუნისტურ იდეოლოგიას შორის კომპრომისი წარმოუდგენელი აღმოჩნდა. ამიტომაც ათეიზმის ქადაგება საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა. ამ საქმეში მთავარი იყო საქართველოს ეკლესიის ერთიანობის დანგრევა.

რკპ (ბ) ცკ მდივანი ე. მოლოტოვი სპეციალური დეპეშით ავალებდა საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას: „უნდა შეანჯღრიოთ ხუცები, დაუპირისპირეთ ზედა და ქვედა ფენების სამღვდელოება".[8]

საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ მონური მორჩილებით შეასრულა მოსკოვის დავალება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ – 1923 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანის მოწოდებით დაიწყო არნახული რეპრესიები საქართველოს ეკლესია-მონასტრების წინააღმდეგ, ჩამოართვეს რელიგიური სიწმინდეები, გახსნეს წმინდა მოწამეთა საფლავები, შეურაცხყვეს მღვდელ-მონაზონები, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დავანებული დიდი სიმდიდრე გაიგზავნა რუსეთში – დაშშეულთა დასახმარებლად, მოხმარდა საქართველოს ინდუსტრიალიზაციას, ხოლო ამ წმინდა განძიდან ბევრი სიწმინდე ზოგიერთი ხელმრუდე კომუნისტის ჯიბეშიც აღმოჩნდა.

ეკონომიკური ბერკეტების ჩამოართმევის შემდეგ, კომუნისტური სახელმწიფო შეეცადა რადიკალურად შეეზღუდა ეკლესიის ზეგავლენა პიროვნების სულიერ სამყაროზე, მოესპო რელიგიური ტრადიციები და რიტუალები. საბჭოთა პროპაგანდისტებით დაკომპლექტებული რაზმები ყოველმხრივ ცდილობდნენ რელიგიური რიტუალების შეცვლას ახალი – საბჭოთა ტრადიციებითა და რიტუალებით. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ კომკავშირლები. ისინი ცდილობდნენ დაენერგათ ახალი, საბჭოთა ტრადიციები: „კომკავშირული ქორწილი", „კომკავშირული შობა", „კომკავშირული ნათლობა". ეს ყველაფერი რუსეთში უკვე აპრობირებული ახალი საბჭოთა ცხოვრების გამოვლენა იყო. ფაბრიკა-ქარხნებში ტრადიციულად არსებულ რელიგიური კუთხეების ნაცვლად, სადაც ხატები და წმინდა წერილი იყო დავანებული, იცვლებოდა ლენინური კუთხეებით, კომუნისტი ბელადების სურათებით, კომუნისტური პარტიის მანიფესტით და რკპ (ბ) ცკ-ის დადგენილებებითა და ცირკულარებით. კომუნისტური ნათლობების დროს, რომლებშიც მონაწილეობდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ბავშვებს არქმევდნენ გამოგონილ სახელებს: ორჯონიკას, კიმს (ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აბრევიატურა), ელადლენს, ერკოპინას და ა.შ. ეს საბჭოთა პროპაგანდის გარკვეულ წარმატებებზე მიუთითებს, რადგან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკვე ბრმად მისდევდა შემოთავაზებულ სიახლეებს, იცავდა ახალ საბჭოთა ტრადიციებს (რევოლუციური თარიღების აღნიშვნა, პარტიული ბელადების იუბილეების აღნიშვნა და ა.შ.).

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნიდან აფეთქების პირველი ცდები გასაბჭოებისთანავე დაიწყო. საბჭოთა მთავრობა შეეცადა ეკლესიის ავტორიტეტული წევრების მატერიალური კეთილდღეობის შექმნით ისინი თავის მხარეზე გადმოეყვანა, დაპირისპირებინა ისინი შეურიგებელი სამღვდელოებისათვის.

ამასთან, არსებობს უამრავი მინიშნება, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ თვითრი თუ შავი სამღვდელოების წარმომადგენლებზე და ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებსაც აღწევ-

დნენ.ყველაფერი ეს ამზადებდა ნიადაგს, რუსეთის ეკლესიის მსგავსად საქართველოს ეკლესიაშიც განეითარებულიყო ე.წ. „განახლების" მოძრაობა.

„განახლების მოძრაობის" ლიდერების მიზანი იყო მართლმადიდებლური კანონიკით დამკვიდრებული რელიგიური რიტუალების იულიუსის კალენდრის ნაცვლად ახალ, გრიგორიანულ კალენდარზე გადაყვანა, სასულიერო პირთათვის ორჯერ ქორწინების უფლების დაკანონება, საეკლესიო რიტუალების გამარტივება და მათი შესასრულებელი დროის შემცირება და ა.შ. მიუთითებდნენ: „ეკლესია გაიყინა მკვდარ, დაძველებულ გარეგან ფორმათა შესრულებაში და ჩავარდა სწორედ იმ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა ფარისეველების სექტა ქრისტეს დროს და რომლის წინააღმდეგ გაილაშქრა ქრისტემ".[9]

„განახლების მოძრაობამ" ქართული ეკლესიისათვის საშიში ხასიათი მიიღო XX საუკუნის 20-იან წლებში, როცა ამ მოძრაობას ფეხი აუწყო რამდენიმე მღვდელმთავარმაც და ჩათვალეს, რომ მსოფლიოში, რადიკალური ცვლილებების პირობებში, ათეიზმის ბატონობის ხანაში, საჭირო იყო გარკვეული სიახლე, რომ ეკლესია მთლიანად არ განადგურებულიყო და მოეძებნა ევოლუციური განეითარების ახალი გზა.

ფანატიკურად განწყობილი ადამიანები ხშირად საოცრად უსამართლოდ იქცეოდნენ რელიგიის მსახურთა მიმართ: ძალით კრეჭდნენ, ძალით აიძულებდნენ შეეწყვიტათ ღვთისმსახურება. სასულიერო წოდებაშიც იყვნენ სუსტი ბუნების ადამიანები, რომლებიც თვითონაც ცდილობდნენ ლოიალურნი ყოფილიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ბეჭდავდნენ კომუნისტურ პრესაში მთავრობის საამებელ სტატიებს, რომლებშიც ჩირქს სცხებდნენ დედა-ეკლესიას, მის წმინდა სინოდს. შეიძლება ითქვას რომ, მართალია, 30-იან წლებში აშკარა დევნა და ბარბაროსული დამოკიდებულება ეკლესიისა და მისი მსახურების მიმართ შეწყდა, ათეიზმი მაინც ტოტალურად ბატონობდა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია – ტრადიციული ეკლესიის აშკარა მომხრეები მხოლოდ ღრმად მოხუცი ადამიანები, თვითონ სასულიერო წოდების ოჯახები დარჩნენ. საზოგადოების ძირითადი ნაწილი აშკარად ერიდებოდა რელიგიური რიტუალების შესრულებას და მათგან განსაკუთრებით შეუპოვარნი ფარულად – ოჯახში ცდილობდნენ დაეცვათ და შეესრულებინათ ტრადიციული საეკლესიო რიტუალები.

ქართველი ინტელიგენცია და საბჭოთა სახელმწიფო. კიდევ უფრო რთულად იყო საქმე ინტელიგენციასთან დაკავშირებით. საქართველოს კომუნისტური ოკუპაციის პერიოდისათვის მეტად მრავალრიცხოვანი და შემოქმედებითი თვალსაზრისით საინტერესო ინტელიგენცია ჰყავდა. ს. ორჯონიკიძე სამართლიანად მიუთითებდა 1924 წელს რკპ (ბ) ცკ ოქტომბრის პლენუმზე: „მრავალრიცხოვანი ქართველი ინტელიგენცია წინააღმდეგია საბჭოთა ხელისუფლებისა... საქმე იმაშია, რომ ქართველი ინტელიგენცია იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მას შეუძლია ჩინოვნიკების მიწოდება არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ამიერკავკასიისა და ასევე რუსეთისთვისაც."[10]

ქართველი ინტელიგენციის „აღზრდა" კომუნისტურ პრინციპებზე და მოსკოვის დიქტატის მეხოტბედ შედარებით რთულ ამოცანას წარმოადგენდა. თუმცა ძალიან მალე აქაც შესამჩნევი გახდა ადამიანური სისუსტეები, პირადი გამორჩენა, კონფორმიზმი, კარიერიზმი. დასტურდება ბევრი ქართველი ინტელიგენტის თანამშრომლობა მოსკოვის მარიონეტულ ქართულ ხელისუფლებასთან გასაბჭოების პირველი თვეებიდანვე.[11]

საბჭოთა ხელისუფლება, კერძო საკუთრებისა და მსხვილი ბიზნესის ლიკვიდაციის შემდეგ, ქვეყანაში ერთადერთ რეალურ მეცენატად და სპონსორად გადაიქცა, რის გამოც ხელოვნების კოლექტივისტური დარგების წარმომადგენლები (თეატრი, განსაკუთრებით კინო) იძულებულნი იყვნენ გაეკეთებინათ ყველაფერი, რომ ეს ერთადერთი რეალური სპონსორიც არ დაეკარგათ. ეს ძალიან კარგად

ჩანს ქართული კინოს მაგალითზე – ის ფაქტობრივად საბჭოთა ხელისუფლების წყალობით განვითარდა, ამიტომაც მისი პირველივე შედეგები კომუნისტური იდეოლოგიისათვის მისაღები იყო – „არსენა ჯორჯიაშვილი", „სურამის ციხე", განსაკუთრებით „წითელი ეშმაკუნები" თავისი სოციალური ელერადობით, რევოლუციური პათოსით მოლიანად შეესაბამებოდნენ კომუნისტური ეპოქის მოთხოვნებს.

მაგრამ გარეგნული, მოსვენებითი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლებას არ აკმაყოფილებდა. ის მოითხოვდა საბჭოთა სისტემის მეხოტბე და ღრმად ერთგულ მეცნიერებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს. ამაზე აშკარად მიანიშნებს გაზეთ „კომუნისტში" ინტელიგენციის შესახებ დაბეჭდილი ერთ-ერთი წერილი (წერილის ავტორია ვინმე „გ"), რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს შემდეგს: „ინტელიგენციამ, ყოველ შემთხვევაში მისმა დიდმა ნაწილმა, იმთავითვე აშკარად მტრული პოზიცია დაიკავა. ინტელიგენცია უკეთეს შემთხვევაში განზე იდგა, უფრო ხშირად კი შეგნებულად აფერხებდა ამ გრანდიოზულ აღმშენებლობით მუშაობას... ამ მოვლენის ახსნა უნდა ვეძებოდ დღევანდელი ინტელიგენციის უმრავლესობის ბურჟუაზიულ-ფეოდალურ კლასობრივ ხასიათში. ნაწილი ამ ინტელიგენციისა თვითმპყრობელობის დროს რევოლუციის მომხრეც იყო, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს რევოლუცია არ გასცდებოდა ერთგვარ საზღვრებს... რამდენადაც თვითონ ინტელიგენცია იქნებოდა ცხოვრებისა და პოლიტიკის ხელმძღვანელი. მეორე ნაწილს ჯერ-თომ გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი პოლიტიკასთან, მაგრამ რევოლუციის შემდგომ აშკარად გამოჩნდა მისი კავშირი დამხობილი საზოგადოების მთელ ორგანიზაციებთან. მეცნიერება იდეოლოგიური და ტექნიკურ-ორგანიზაციული იარაღი იყო გაბატონებული კლასების ხელში მშრომელი მასის დასამონებლად... ინტელიგენცია, როგორც საზოგადოებრივი კატეგორია, ფრიად მცირეე ძალას წარმოადგენს. ის ბოლოს და ბოლოს ეკუთვნება იმ კლასს, რომლის გამარჯვება მისთვის უდავო ფაქტი შეიქმნება...ინტელიგენციის ჯიუტობას ოქტომბრის შემდგომ ხანაში ასულდგმულებდა ის რწმენა, რომ პროლეტარიატის გამარჯვება წარმავალი იყო. როცა დარწმუნდა, რომ პროლეტარიატმა მტკიცედ აიღო ხელისუფლება, მაშინ ხდება მისი გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ"[12].

ეს იყო სერიოზული გაფრთხილება ძველი ინტელიგენციის, რომელმაც, განსაკუთრებით 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების სისხლში ჩახშობის შემდეგ, აშკარად ტაქტიკა შეცვალა და მისი დიდი უმრავლესობა ლოიალურ პოზიციაზე გადავიდა. ამის შესახებ რკპ (ბ) ცკკას 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებაც კი მიანიშნებს: „უკანასკნელმა მოვლენებმა აჩვენა ქართველ ინტელიგენციას **ევროპაზე ორიენტაციის უპერსპექტივობა** (ხაზგასმა ჩვენია-ა.დ.), რამაც უამრავი მსხვერპლი გამოიწვია. ამიტომაც შეიმჩნევა გარდატეხა და საბჭოთა ხელისუფლებისაკენ შემობრუნება".[13]

აშკარაა, რომ ორიენტაციის საკითხი მთავარი და განმსაზღვრელია. მოსკოვის დიდი სურვილი იყო ქართველი ინტელიგენცია საბოლოოდ დამშვიდობებოდა დასავლეთ ევროპასთან საქართველოს შესაძლო მჭიდრო კავშირის იდეას და რუსეთთან ურღვევი, ყოველმხრივი ურთიერთობის მეხოტბე გამხდარიყო. თუ ძველი ინტელიგენცია ამას არ გააკეთებდა, ალტერნატივაც მოიძებნა – საქართველოში დაიწყო ახალი ინტელიგენციის „აღზრდა". „პროლეტკულტი" გახდა ის ორგანიზაციული უჯრედი, რომელიც დაუპირისპირდა ტრადიციულ კულტურულ ფასეულობებს და ინტელიგენციის ძველი თაობიდან შემორჩენილ, პროკომუნისტურად განწყობილ კონფორმისტებთან ერთად დაიწყეს ახალი ქართული საბჭოთა კულტურის მშენებლობა.

კომუნისტური ორიენტაციის ადამიანებს ხელს უწყობდნენ უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობაში (შეიქმნა მუშფაკები), განსაკუთრებით ნიჭიერებს საზღვარგარეთ სასწავლებლადაც აგზავნიდნენ (მარტო 1923 წელს საზღვარგარეთ სასწავლებლად, სამეცნიერო სტაჟირებაზე სახელმწიფოს ხელშეწყობით გაიგზავნა 140-მდე ახალგაზრდა), ცნობილ მეცნიერებს: ივ. ჯავახიშვილს, ა. რაზმა-

ძეს, გ. ახელედიანს, იე. ბერიტაშვილს, ს. ჯაუხჩიშვილს; ხელოვანებს: დ. შევარდნაძეს, ქ. მაღალაშვილს, მ. თოიძეს, ი. ნიკოლაძეს და სხვებს – ცხოვრებისა და შემოქმედების იმ ეპოქისათვის შესაფერ საუკეთესო პირობებს უქმნიდნენ. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქართული კულტურისა და მეცნიერების დაახლოებით 140 დამსახურებული მოღვაწე იღებდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან სპეციალურ დახმარებას. ისინიც (მათი დიდი უმეტესობა) ცდილობდა ლოიალური ყოფილიყო და დაედასტურებინა თავისი მადლიერება.

1927 წლის 5 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში გაიმართა საქართველოს ინტელიგენციის შეკრება. ამ შეხვედრის ინიციატორი სწორედ ნიკო ნიკოლაძე იყო (ასე ჩანს ოფიციალურ პრესაში). ამ დიდ მამულიშვილს, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო XIX-XX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ განვითარებას, საქართველოს ინტელიგენციაში დიდი წონა და ფასი ჰქონდა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ „გარდამავალი ხანის შემდეგ ჩვენი ქვეყანა გამოდის მტკიცე აღმშენებლობის გზაზე...საქმის დიდი უმეტესობა, ცხრამეათედი მაინც, იმ გზით მიდის, რომელსაც ქართველი ინტელიგენცია მუდამ შენატროდა და შენატრის". გამოითქვა აზრი, რომ „ყველა ქართველი გვერდში ამოუდგება ჩვენს მთავრობას და მასთან ერთად იბრძოლებს იმ ავანტურისტების წინააღმდეგ, რომლებსაც უნდათ ახალი სისხლისღვრების გამოწვევა საქართველოში" (ი. მაჭავარიანი), „პოლიტიკურმა შეცდომამ გამოაღვიძა ჩვენი ინტელიგენცია. ახლა ინტელიგენციის მთლიანი ფრონტი ხელისუფლების წინააღმდეგ აღარ არსებობს" (იე. ლორფქიფანიძე). აქვეა გაცხადებული მიზანიც – „ამჟამად ჩვენს უმთავრეს ამოცანას უნდა შეადგენდეს იმ გზების გამონახვა, რომელიც საშუალებას მისცემს ინტელიგენციას პრაქტიკულად ჩაებას საბჭოთა აღმშენებლობაში" (ღ. თოფურიძე).[14]

შეკრების რეზოლუციაში 1924 წლის აჯანყებაც არის შეფასებული, გამოთქმულია ტოტალიტარული რეჟიმისათვის სრულიად მისაღები შეხედულებები: 1924 წლის აჯანყება „ეს იყო დამარცხება იმ გეზისა და ბრძოლის იმ მეთოდებისა, რომელნიც საქართველოს ემიგრაციამ თავიდანვე აიღო და რომლის გამო ქართველ ერს თავზე საშინელი უბედურება დაატყდა.. აშკარა შეიქმნა, რომ **ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები შეუთავსდეს იმ სისტემას, რომელშიც საქართველო ისტორიის განაჩენით არის მოქცეული** (ხაზგასმა ჩვენია – ა. დ.). ასეთი შეთავსება საბჭოთა სისტემასთან ჩვენთვის არ წარმოადგენს სიძნელეს, რადგან ქართველ ინტელიგენციას ყოველთვის ახასიათებდა რადიკალიზმი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში". ჩვენ ვთელით, რომ საქართველოს ინტელიგენციის (განსაკუთრებით შემოქმედებითი ინტელიგენციის) გარკვეულ ნაწილს ასეთი შეხედულება ჰქონდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, იყვნენ კომუნისტური იდეათვის თავდადებული ინტელიგენტებიც, როგორც პარტიულ ნომენკლატურაში დასაქმებული, ისე ე.წ. „წითელი პროფესურა" – ახალი გენერაციის ინტელიგენტები, მათ შორის თავისი საქმის ჩინებული მცოდნე ადამიანები, რომლებმაც უდიდესი ღვაწლი დასდეს ქართულ მეცნიერებას, კულტურასა და ხელოვნებას.

საბჭოთა ხელისუფლება ჩინებულად იყენებდა ქართულ ინტელიგენციაში გაერცელებულ ადამიანურ სისუსტეებს, პირად შემოქმედებით თუ სუბიექტურ გუნება-განწყობას და ახერხებდა ბევრი მათგანის გადმობირებას. საბჭოთა ხელისუფლების პირველივე თვეებიდან თანამშრომლობდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან პ. იაშვილი, გ. ტაბიძე, პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე. ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე და სხვ. განსაკუთრებით ადვილი იყო ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის „აფეთქება", რადგან პირადი დაპირისპირების უამრავი დინება და კონტრდინება არსებობდა.

მაგალითად, ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე გ. რობაქიძემ აღნიშნა, რომ ვაჟა ფშაველას შემდეგ ქართულ პოეზიაში სიცარიელე შეიმჩნეოდა. მაგრამ მისი აზრით, აი გამოჩნდა ქართულ პოეზიაში „ცისფერყანწელთა" ჯგუფი, რო-

მელმაც შეცვალა ვითარება. ამ ჯგუფში კი გაერთიანებული იყვნენ გრ. რობაქიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი. კრიტიკულად განწყობილი დამსწრის აზრით, გრ. რობაქიძის მოხსენების შინაარსი იყო შემდეგი – „უკვე დამარცხდა რუსთაველი და ჩვენგან იწყება ქართული პოეზიის განვითარება".[15]

კონსტანტინე გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა სერიოზულად გააკრიტიკეს გ. რობაქიძის პრეტენზიები: „ჩვენი დავა რობაქიძის ჯგუფთან არ ახალია... ქართულ ახალ თაობის სნეობრივი აღზრდის სახელით, საქართველოსა და რუსთაველის სახელით უნდა გებრძოლოთ თქვენ კაცი". გაგულისებული მწერალი პ. იაშვილს მიანიშნებდა – თქვენ „წითელ რუსეთთან დაძმობილებაზე" მღერიხართ და გინდათ თბილისი რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკის 'ბტაბად აქციოთ".[16]

„წითელ რუსეთთან დაძმობილების" მეხოტბეებს და ქართული ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებისა და განვითარება-აღორძინების მომხრეთა შორის დავა და კამათი შემდეგაც გრძელდებოდა. მაგრამ 20-იან წლების მეორე ნახევარში, საბჭოთა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის განმტკიცების პარალელურად, განმტკიცდა მისი იდეოლოგიური საფუძვლებიც. მათ შორის გაძლიერდნენ ის ადამიანები, ვინც საბჭოთა იდეოლოგიას იცავდა მეცნიერებასა და ხელოვნებაში: ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი, გ. მიწიშვილი, ბ. ულენტი და სხვები დადგნენ კომუნისტური იდეურობისათვის მებრძოლთა რიგებ'ში.

კომუნისტი ბ. ბუაჩიძე ენერგიულად დაუპირისპირდა პატრიოტულ, ქართულ ეროვნულ პოზიციაზე მდგომ ^წერლებს, რომლებმაც, მისი აზრით, „მიისაკუთრეს ყოფილი მწერალთა კავშირის ყველა ცუდი მხარე, მიკიბულ-მოკიბული ტრადიციები, კარჩაკეტილობა, საზოგადოებრივი ალღოს სიჩლუნგე, მემარჯვენეობა და სხვ.". ის ამტკიცებდა, რომ „ფედერაციაში გაერთიანებულნი არიან ის მწერლები, რომლებიც საბჭოთა არიან და ის მწერლებიც, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი საბჭოებისადმი, სოციალიზმის მ'შენებლობისადმი და ნეიტრალები". ის 'კვე ხმარობს ტერმინს – „რეაქციონერი მწერალი" და კრიტიკის ცეცხლში ატარებს „აკადემიურ მწერალთა ასოციაციას" – „ძველი დიდების" აღდგენის მოციქულობაში ნიჭი რომ დაეღალათ... მათ შემოიკრიბეს ყველა ის, ვისაც ყველაფერი წარსულში აქვს... პოლიტიკური ბანკროტობის შემდეგ აზნაურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მწერლობას შეაფარეს თავი".[17]

ასეთი მკაცრი განცხადება უკვე ა'მკარად 1937 წლის პრელუდიაა.

„ლიტერატურის ფრონტზე" ამ თავშეუკავებელ ბრძოლაში ჩათრეული აღმოჩნდა გენიალური გალაქტიონ ტაბიძეც. მან ასევე „კომუნისტში" გამოაქვეყნა – „წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი", რომელ'შიც ამტკიცებდა, რომ „ჩვენი და მსოფლიო ლიტერატურის ბედი გადაწყდა არა გუშინ, არამედ 1917 წელს". მან მხარი აუბა ქართულ მწერლობაში „მემარცხენეებს" და მოწინააღმდეგეს მიმართა: „თქვენი მემარჯვენე ფრთა ჯიუტად იცავს თავს დანგრეული პოზიციებიდან. ამით ხელოვნურად აკავებს პროცესს რევოლუციურ ლიტერატორთა ჯგუფის გაერთიანებისას, ცდილობს მისი განვითარების შენელებას... მე მიყვარს მასა, მიყვარს რევოლუცია, მიყვარს ისეთი ადამიანი, რომელიც ებრძვის ძველ ცხოვრებას".[18]

რა თქმა უნდა, მემარცხენე მწერლებს ოფიციალურ პრესაში არავინ არ გამოხმაურებია (სხვა პრესა კი 1930 წლის საქართველოში აღარ არსებობდა). საბჭოთა კრიტიკოსების მოთხოვნები, რა თქმა უნდა, ოფიციალურ პოზიციებს ასახავდა, რომელიც უკვე მოითხოვდა ლიტერატურის ფრონტისაგან საბჭოთა ცხოვრების პანეგირიკს, ახალი, კომუნისტური სულისკვეთებისა და ხელისუფლებისადმი ერთგული პიროვნების აღზრდას. სტალინური ფრაქცია, რომელიც 1930 წლისათვის გამარჯვებული გამოვიდა 'ბიდაპარტიული ბრძოლებიდან, უკვე ^ღარ მოითმენდა ქვეყანაში პლურალიზმს, აზრთა სხვადასხვაობას – ყველაფერი ერთ მი'სანს – სტალინურად დანახული სოციალიზმის მ'შენებლობას უნდა მოხმარებოდა და ამ საქმე'ში ახალი საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა, მართლაც, მნიშვნელოვანი იყო.

30-იანი წლების მეორე ნახევარში, ქართულ ლიტერატურაში გარდატეხა მოხდა – გაიმარჯვა კომუნისტურმა მსოფლმხედველობამ, ისინიც კი ვინც გარკვეულ დისტანციას ინარჩუნებდნენ, იძულებულნი გახდნენ ფეხი აეწყოთ ცხოვრებისათვის: კ. გამსახურდიამ დაწერა „ბელადი“, გ. ლეონიძემ „სტალინი – ბავშვობა და ყრმობა“, ხოლო მ. ჯავახიშვილის სცენარით გადაღებული მხატვრული ფილმი „არსენა“ შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა იდეოლოგიის გამარჯვების ქრესტომათიულ ნიმუშად, რადგან მასში არის რუსეთის ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის კრიტიკაც, რუსი და ქართველი მეამბოხე გლეხობის ძმური მეგობრობაც, არის ცარიზმის ინტერესების გამტარებელი ქართველი თავადაზნაურობაც და „მეორე რუსეთიც“ – დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი.

უფრო დრამატულად ჩატარდა „მემარჯვენეთა“ წინააღმდეგ ბრძოლა ქართულ საზოგადოებათმცოდნეობაში. განსაკუთრებით ებრძოდნენ ეროვნული ცნობიერებით განმსჭვალულ მოღვაწეებს. XX საუკუნის მეორე ნახევარში სერიოზული პრობლემები შეექმნა ივანე ჯავახიშვილს. 20-იანი წლების დასაწყისში მის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების ხაზგასმით „მზრუნველი“ დამოკიდებულება შეიცვალა აშკარა კრიტიკულით, რამაც მახინჯი ფორმები მიიღო და აიძულეს ღვაწლმოსილი პროფესორი მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტიდან წასულიყო.

შეიქმნა ისტორიკოსთა მარქსისტული სკოლა (გ. ნათაძე, ნ. ბერძენიშვილი, ნ. ჯანაშია და სხვ), რომელიც აღიარებდნენ ისტორიულ მატერიალიზმს, კლასთა ბრძოლას. ფართო პროპაგანდა ეწეოდა სტალინის დებულებას "მცირე ბოროტების" შესახებ, როცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა განიხილებოდა ძირითადად დადებით პრიზმაში. აკრიტიკებდნენ ცარიზმის ლაგამამოუდებელ კოლონიალიზმს, მაგრამ აქებდნენ რუსი და ქართველი ხალხების ტრადიციულ მეგობრობას, პროპაგანდას უწევდნენ „ორი რუსეთის“ იდეას, ისტორიულ პროცესებს ხსნიდნენ ისტორიული მატერიალიზმის კანონებით და კატეგორიებით.

საბჭოთა პატრიოტიზმის ფორმირება. იდეოლოგიური ბრძოლის მთავარი მიმართულება იყო ბრძოლა ეროვნულთან, ტრადიციულთან, რაც კომუნისტებმა გამოაცხადეს დრომოჭმულად, არქაულად. ეს, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა შორსგამიზნულ ამოცანას – პროლეტარიატის უეროვნებო საერთაშორისო სახელმწიფოს შექმნას, რომელშიც უნდა „გათქვეფილიყვნენ“- შერწყმულიყვნენ საბჭოთა ერები და შექმნილიყო ზეეროვნული ახალი ცივილიზაცია – პროლეტარული. ამიტომაც საბჭოთა კავშირის შექმნისთანავე კრემლის იდეოლოგებმა დაიწყეს მასირებული პროპაგანდა ახალი პატრიოტიზმის – საბჭოთა პატრიოტიზმის დასანერგად. ეს კი ურთულესი ამოცანა იყო – ქართული, უზბეკური, უკრაინული და ა.შ. პატრიოტიზმის ნაცვლად – საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობის აღზრდა. აქეთკენ იყო მიმართული საბჭოთა განათლების, ტოტალური პროპაგანდის მრავალრიცხოვანი ფორმები, სულიერ კულტურაზე ზემოქმედების გიგანტური საშუალებები (კინო, თეატრი. რადიო). განსაკუთრებით საბჭოთა არმიის შესაძლებლობები.

საბჭოთა არმია გადაიქცა ახალი, საბჭოთა ადამიანის ფორმირების მნიშვნელოვან საშუალებად. მართალია, დიდი სიძნელეების მიუხედავად, შეიქმნა ეროვნული სამხედრო ფორმირებები, მაგრამ ისინი ერთიან ცენტრალურ მმართველობას ექვემდებარებოდნენ. სამხედრო სწავლა-განათლება, პროპაგანდა უნიფიცირებული იყო და ახალგაზრდა ჯარისკაცები ფიცს დებდნენ არა თავისი ქვეყნის ერთგულებაზე, არამედ საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი ლიდერების ერთგულებაზე.

როგორც აღინიშნა, 30-იან წლებში, როცა პოლიტიკური ბრძოლები დასრულდა და გამარჯვებული გამოვიდა სტალინის ფრაქცია, ძირითადად მოისპო კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, განადგურდა კულაკობა როგორც კლასი, მოხერხდა ეკონომიკური სტაბილიზაცია და შესამჩნევი გახდა ეკონომიკური ზრდა, რამაც ბევრი სოციალური პრობლემის მეტ-ნაკლებად მოგვარება შეძლო. საბჭოთა პროპაგანდამ (სტალინის მითითებით) შეცვალა ორიენტირები

– გარკვეული ყურადღება დაეთმო ეროვნულ ფასეულობებს, შეწყდა ტოტალური ზეწოლა მართლმადიდებელ ეკლესიაზე ათეიზმის საყოველთაო ბატონობის პირობებში. ეს დაკავშირებული იყო ახალი მსოფლიო ომის მოახლოებასთან, ევროპაში ფაშიზმის საფრთხის გაძლიერებასთან, რამაც აუცილებლად მოითხოვა ეროვნული ფასეულობების მიმართ ყურადღების გაძლიერება. საისტორიო მეცნიერებაში დაიგმო პოკროვსკის სკოლა, საქართველოში გაიხსენეს და უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი, პატივი მიაგეს ილია ჭავჭავაძეს, სასტიკად დაისაჯა მისი მკვლელი – გ. ბერბიჭაშვილი, პომპეზურათ გადაიხადეს შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილე – საიუბილეოდ დაიბეჭდა ძვირფასი გამოცემები ქართულ და საბჭოთა კავშირის ხალხების ენებზე, შესრულდა პოემის რუსული თარგმანი (მათ შორის ბ. პასტერნაკის, შ. ნუცუბიძის და სხვების), საქართველოს კინოსტუდიამ გადაიღო პოემის მოტივებზე ფილმი „ქაჯეთი" და ა.შ.

იუბილეს დამაგვირგვინებელი აკორდი იყო საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პლენუმი თბილისში, რომელიც 1937 წლის დეკემბერში ჩატარდა. თბილისში ჩამოვიდნენ დემიან ბედნი, სერაფიმოვიჩი, იანკა კუპალა და საბჭოთა ხალხების ლიტერატურის სხვა წარმომადგენლები. 29 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგა საიუბილეო სხდომა. ბევრი იყო საუბარი რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის შესახებ, საბჭოთა ხალხების ურყევი ერთობის შესახებ.

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით დაიწყეს რუსული კულტურის მიღწევების პროპაგანდა. მ. გორკისა და ვ. მაიაკოვსკის პოეზიასთან ერთად უდიდესი პროპაგანდის ობიექტად იქცა მ. შოლოხოვის „წყნარი დონი" და „გატეხილი ყამირი", ალ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი" და სხვ. პროპაგანდა ეწეოდა საბჭოთა მიღწევებს მეცნიერების, ტექნიკის ყველა დარგში. „ჩელუსკინელების" საგმირო საქმეები მასობრივი აყვავების ობიექტი გახდა. ჩელუსკინის ეპოპეის გმირები თბილისშიც კი იყვნენ. რუსული კულტურის პროპაგანდას ემსახურებოდა საკავშირო გაზეთები, საკავშირო რადიო.

30-იანი წლების ბოლოს დაიწყო საქართველოსა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომით კოლექტივებს შორის „დამეგობრების" ტრადიცია, შრომაში შეჯიბრების, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკის დანერგვა. პირველები ამ საქმეში იყვნენ მახარაძისა და უკრაინის გენინსკის რაიონების მშრომელები. მათ ბევრი მიმდევარი გამოუჩნდათ. ასევე მოხდა მრეწველობაშიც: თბილისელი, ბაქოელი, ერევნელი მეფეხსაცმელეთა ურთიერთობები ბევრი საინტერესო სიახლის საფუძველი გახდა. მსგავსი მაგალითები უამრავია.

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური გაძლიერებისა და მორალურ-პოლიტიკური ერთობის მიღწევის კვალდაკვალ, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა კომუნისტურ პარტიასთან საბჭოთა ხალხების მჭიდრო ერთიანობის იდეის პროპაგანდამაც.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ი. ბ. სტალინის ფაქტორის შესახებ, მისი ქართული წარმოშობა, განსაკუთრებით საქართველოს დემოკრატიულ ფენებში, აძლიერებდა ერთიანი საბჭოთა რეჟიმისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას. მოსკოვიდან თბილისში ჩამოსული სხვადასხვა, უმაღლესი რანგის, ჩინოვნიკი მოსახლეობასთან შეხვედრების დროს აღნიშნავდა, რომ სტალინი – ქართველი ერის უდიდესი დამსახურებაა მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე.

სტალინის კულტის პროპაგანდის პირობებში მის განდიდებას ემსახურებოდა პროფესიონალი მწერლებისა და პოეტების საქმიანობაც. ქართველმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ თავისი გარკვეული წელილი შეიტანა პიროვნების კულტის იდეოლოგიური ფორმირების საქმეში. 1939 წელს, ი.ბ. სტალინის დაბადების 60 წლისთავის საიუბილეოდ, გამოქვეყნდა „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე", რომელშიც შეეიდა პ. იაშვილის, გ. ლეონიძის, ა. მაშაშვილის,

გ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ა. აბაშელის და სხვა პოეტებისა და სახალხო მთქმელების სტალინისადმი მიძღვნილი პანეგირიკები.

1937 წელს მოსკოვში მოეწყო ქართული ხელოვნების დეკადა. გაზეთმა „იზვესტიამ" ქართულ კულტურას აღფრთოვანებული წერილი მიუძღვნა. მოსკოველმა მაყურებელმა ნახა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მიღწევები ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ოპერას „აბესალომ და ეთერი" დიდ თეატრში დაესწრნენ ი.ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი და სხვა საბჭოთა ლიდერები.

30-იანი წლების დასასრულს, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების პარალელურად დაიწყო ინტელიგენციის ზედაფენის გულის მოგების კარგად აპრობირებული პრაქტიკა – საუკეთესო ბინები, აგარაკები, გაზრდილი ხელფასები, ჰონორარები, სტალინური პრემიები (პირველი პრემია 100 ათას საბჭოთა მანეთს უღრიდა). ყველაფერი ეს აპირობებდა საქართველოს ინტელიგენციის (ძირითადად შემოქმედი და ელიტარული ინტელიგენციის) მნიშვნელოვანი ნაწილის ლოიალობას, რაც ასე თვალსაჩინოდ გამოვლინდა მეორე მსოფლიო ომის პირობებში.

აშკარაა, რომ საქართველოს ინტელიგენციამ 1921 წლიდან მოყოლებული თანდათან განიცადა ევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლებისადმი შეურიგებელი პოზიცია ლოიალურ დამოკიდებულებით შეცვალა – ამას აპირობებდა საბჭოთა ხელისუფლების არა მარტო რეპრესიული პოლიტიკა, არამედ მისი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაც, როცა გარკვეულწილად ხელი შეეწყო მეცნიერების, კულტურის აღმავლობას. საბჭოთა ხელისუფლება ქვეყანაში ერთადერთი რეალური სპონსორი და დამფინანსებელი იყო, რის გამოც ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენი ცდილობდნენ გამოეყენებინათ მისი ეს შესაძლებლობები.

30-იანი წლების დასასრულს არა მარტო „პროლეტკულტიდან" გამოსული მოღვაწენი და „წითელი პროფესურა", არამედ ძველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც კი გარეგნულად დადგნენ საბჭოთა პლატფორმაზე და თავისი შემოქმედებით პროპაგანდას უწევდნენ საბჭოთა სისტემას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინტელიგენციამ გარეგნულად შეცვალა თავისი დამოკიდებულება საქართველოს ხელმეორე ანექსიის საკითხისადმი და გაიზიარა ი.ბ. სტალინის ახალი შეთავაზება – „მცირე ბოროტების" თეორია. ამ თეორიამ კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ტრადიციული ძმური ურთიერთობის მითის ჩამოყალიბებების საქმეში.

არ შეიძლება გამოირიცხოს კონფორმიზმის ზეგავლენაც, რისი დადასტურება ყოველთვის დოკუმენტურად ჭირს. თუმცა საბჭოთა ოფიციოზი 1937 წელს რეპრესირებულ ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის მიმართ არაერთხელ გამოთქვამდა ეჭვს მათი არაგულწრფელობის, საიდუმლო ანტისაბჭოთა განწყობილებების შესახებ. ეს დაადასტურეს ამ ინტელიგენტების შვილებმა და შვილიშვილებმა მრავალი ათეული წლის შემდეგ.

---

1. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1975, გვ. 108.
2. А. Герцен. Письмо из Франции и Италии. см.: Утопический социализм (хрестоматия), М., 1982, стр. 393.
3. Н. А. Бердяев, Истоки Русской революции, см.: Б.Г. Пашков, История России, XX век, М., 2000, с. 27.
4. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 1.
5. აჭარის სახელმწიფო არქივი, ფ. 3-4, აღ. 1. ს. 83, ფურც. 9.

6. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომში სუიცსა), ფ. 300, ს. 81. ფურც. 14-16.
7. იქვე, გვ. 17.
8. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 13, აღ. 1. საქ. 26, ფურც. 7.
9. ირ. არაბიძე, განახლების მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში, საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2005, გვ. 77-78.
10. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 2, д. 151, л. 511.
11. ამის შესახებ დეტალურად იხ. ა. დაუშვილი, საქართველოს ინტელიგენცია და ტოტალიტარული რეჟიმი (ეპიზოდი პირველი), "ანალები" 2007 №2.
12. გაზ. „კომუნისტი", 1923 წ. 29-30 მარტი.
13. ГАСПИ РФ, ф, 17, оп. 3, д. 461, л. 321.
14. გაზ. „კომუნისტი", 1927 წ., 7 აგვისტო.
15. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 5 იელისი.
16. იქვე, 6 იელისი.
17. გაზ. „კომუნისტი", 1927 წ., 27 მარტი.
18. გაზ. „კომუნისტი". 1930 წ., 9 აპრილი.

მასობრივი რეპრესიები საქართველოში 30-იანი წლების მეორე ნახევარში

კომუნისტური რეპრესიების იდეოლოგიური საფუძვლები. რეპრესიები რუსული კომუნიზმის პირველყოფითი (Первородный) ცოდვა იყო და არა მარტო მისი. რუსეთში ყველა რადიკალური რევოლუციური მოძრაობა თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ტერორს აქტიურად იყენებდა. თვითონ დიდი ჰუმანისტი ბ. ბელინსკიც კი აღიარებდა, რომ „... ღმერთის ათასწლოვანი მეუფება დედამიწაზე დამყარდება არა ჟირონდის ტკბილი და აღფრთოვანებული სიტყვებით, არამედ ტერორისტებით – ორლესული ხმლებით და საქმით რობესპიერის და სენ-ჟუსტების (აქ იგულისხმება საფრანგეთის რევოლუციის, იაკობინური დიქტატურის დროს განხორციელებული ტერორი – ა. დ.)[1].

რუსი ნაროდნიკების ე. შელგუნოვისა და მ. მიხაილოვის მოწოდებებში არაერთხელ დაფიქსირებულა, რომ თუ გლეხობისათვის მიწის გასანაწილებლად საჭიროა 100 ათასი მემამულის ამოხოცვა, ჩვენ ეს არ შეგვაშინებსო. ცნობილი ნაროდნიკი-თეორეტიკოსი პ. ტკაჩოვი იმასაც კი აღნიშნავდა, რომ თუ ახალი რუსეთის ასაშენებლად საჭირო იქნება 25 წელზე ზევით ყველა მცხოვრების თაყვების წაცლა, ეს აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო.[2]

აქედან გამომდინარე აღარ უნდა გაგვიკვირდეს ქართველი და ამიერკავკასიელი კომუნისტების ლიდერის მ. ორახელაშვილის შემდეგი განცხადება, რაც მან 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ გააკეთა: „ეს რომელი ღროდან გახდა ძალადობის ელემენტი ბოლშევიკებისათვის სამარცხვინო?"[3]

ცნობილია: კომუნისტური იდეოლოგია და პრაქტიკა რეპრესიებს არ გამორიცხავდა. კლასობრივი ბრძოლის თეორია, პროლეტარიატის დიქტატურა თავიდანვე გულისხმობდა დამარცხებული, მაგრამ არა ბოლომდე განადგურებული, კლასობრივი მტრის, პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მიმართულ დამთრგუნავ მოქმედებას. საზოგადოებათმცოდნეებმა ჩინებულად ახსნეს ბოლშევიკური ტერორის მექანიკა – „ტერორი დეეს თვითონ კომუნიზმის ბუნებაში... რადგან კომუნისტური მსოფლმხედველობის თავისებურება მუდამ იყო კლასობრივი სეგრეგაცია... ის ყოფს საზოგადოებას კლასებად და ერთმანეთს უპირისპირებს მათ"[4]. ამ სიტყვებით ავტორი, კიეველი მეცნიერი ს. ბილოკინი იმასაც აცხადებს, რომ

რამდენადაც კომუნიზმის მიზანია ახალი ადამიანის აღზრდა, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ჩამოყალიბება, ეინც ამ მიზანს დაექვემდებარება – მხოლოდ ის შეინარჩუნებს თავის ფიზიკურ არსებობას, ხოლო საზოგადოების შეურიგებელი ნაწილი – ექვემდებარება გადამუშავებას და ლიკვიდაციას. ასეთი ადამიანები კი მომავალი, „კომუნისტური საზოგადოებისათვის" ითვლებოდნენ რუდიმენტებად. ეს გადამუშაევება კი უნდა გაგრძელებულიყო მანამდე, სანამ საზოგადოებაში არ მოხდება ბალანსის შეცველა ანუ თეისებრიეი ცველილებები კომუნიზმის სასარგებლოდ და არ წარმოიშობოდა "შიშის სინდრომი", რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში საზოგადოების რეჟიმისადმი ლოიალობას უზრუნველყოფდა.

რუსული „წითელი" ტერორის გადმონერგვა საქართველოში – რუსეთის საქართველოში ახალი შემობრუნების ერთ-ერთი მახასიათებელია.

ახლად გასაბჭოებულ საქართველოში, როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ, საბჭოთა ხელისუფლებას ძლიერი სოციალური დასაყრდენი არ ჰქონდა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი „გულგრილად და კრიტიკულად" იყო მისდამი განწყობილი. საქართველოში სამოქალაქო ომი იმჟამად არ მომხდარა, თუმცა 1924 წლის აჯანყებამ გარკვეულწილად შეასრულა სამოქალაქო ომის ფუნქცია იმით, რომ ეროვნულ-პატრიოტული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურა.

შემდგომ წლებში, კომუნისტური საზოგადოების სტაბილიზაციის კვალდაკვალ, პარტიული და საზოგადოებრივ ორგანიზაციების (კომკავშირი. პროფკავშირი, პიონერთა ორგანიზაცია) განმტკიცების პარალელურად ჩამოყალიბდა „კომუნისტური პირდაპირობის სინდრომი" – უამრავი ფაქტი არსებობს იმისა, რომ კომუნისტები სხვადასხვა მიზეზის გამო ცდილობენ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, „ამხილონ", გამოააშკარაეონ ერთმანეთის ბიოგრაფიის ნაკლებად ცნობილი მხარეები. ასევე რეგლამენტით დაშვებულ ჩარჩოებში „თავისუფალ სიტყვას" კომუნისტები და კომკავშირელები აქტიურად წარმართავდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც მიაჩნდათ საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანი მხარეების ორგანიზატორად. რადგან ჯერ კიდევ ძლიერი იყო რწმენა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მიმართ, ყველა ნაკლი და მახინჯი მოელენა – „კლასობრივი მტრის" მცდელობად ითვლებოდა, ასეთ შემჩნეულ ადამიანებს აბეზღებდნენ, აგროვებდნენ კომპრომატებს. ისე, რომ 30-იანი წლების რეპრესიები გარკვეულწილად უკვე შემზადებული იყო არა მარტო მორალურ-ფსიქოლოგიურად, არამედ მისი ტექნიკაც და „ტექნოლოგიაც" კი დამუშავდა. რეპრესიებმა 30-იანი წლების მეორე ნახევარში განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა, რასაც აპირობებდა მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური პირობები.

საზოგადოების მართვის დიქტატორული მეთოდების გამო მოხდა გარკვეული ეკონომიკური სტაბილიზაცია, რაც სახალხო მეურნეობის გარკვეულ დინამიურ განვითარებაშიც აისახა. მაგრამ ამ სტაბილიზაციამ აშკარად აჩვენა სოციალიზმის საბჭოთა სისტემის თეორიულ პრინციპებსა და რეალურ ცხოვრებას შორის არსებული, ხშირ შემთხვევაში გადაულახავი წინააღმდეგობები. განსაკუთრებით ეკონომიკაში (შრომისნაყოფიერების დაბალი მაჩვენებლები, საწარმოებიდან მუშათა პერმანენტული დენადობა, საწარმოო პროცესის არაეფექტიანობა, პროდუქციის თვითღირებულების სიდიდე და ა.შ.). მიმდინარეობდა ეკონომიკის მართვა მეთოდებით, რაც მთლიანად გამორიცხავდა საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ პრინციპებს: ჯანსაღი კონკურენცია უგულვებელყოფილი იყო, თავისუფალი მეწარმეობა ჯერ შეიზღუდა, შემდეგ – სულ გააუქმეს, მატერიალური სტიმულირება შეიცვალა მორალურით. მაგრამ რახან უსაზღვრო იყო კომუნისტური იდეალების რწმენა, რეალური ცხოვრების მიერ წარმოშობილი ობიექტური ნაკლოვანებები ჩაითვალა არა მოძღვრების (თეორიის) შეცდომად, არამედ პრაქტიკული ცხოვრების (განვითარების, ზრდის) ნაკლოვანებად, რისი გამოსწორება სცადეს ძალის გამოყენებით.

ძალიან მალე წარმოიშვა წინააღმდეგობა სოციალიზმის კანონებსა და პიროვნების სუბიექტურ ბუნებას შორის. რა თქმა უნდა, იყვნენ იდეის ფანატიკურად ერთგული ადამიანები, მაგრამ მოსახლეობის ძირითად მასას არა მარტო საზოგა-

დოებრივი, არამედ ბევრ შემთხვევაში პირადი ინტერესებიც ამოძრავებდა. წარმოიშვა წინააღმდეგობა ადამიანის ინდივიდუალურ ბუნებასა და საზოგადოებაში გაბატონებულ კოლექტივისტურ იდეოლოგიურ პრინციპებს შორის. დაიწყო საუბარი „პიროვნების გადაგვარებაზე". ამ წინააღმდეგობის დაძლევაც ძალით სცადეს.

ტრაგიკული მოვლენების მთავარი კატალიზატორი იყო II მსოფლიო ომის მოახლოება. 30-იანი წლების შუა ხანებში გერმანიაში საბოლოოდ განმტკიცდა ნაცისტური იდეოლოგია და პოლიტიკა. ჰიტლერის ნაციონალისტურმა იდეამ გააერთიანა გერმანელები. დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები, მიუხედავად ანტიფაშისტური განწყობილებებისა და დემოკრატიისადმი ერთგულებისა, რეალურს ვერაფერს უპირისპირებდნენ მსოფლიოში აღმავალ ფაშისტურ დიქტატურას. დასავლეთის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ცდილობდა ფაშიზმისა და კომუნიზმის შეტაკებით საკუთარი ქვეყნებისათვის აეცილებინა შესაძლო სამხედრო კონფლიქტი. მათი წაყრუება, ნუმი ხელშეწყობა ჩინებულად გამოიყენა გერმანიამ საკუთარი პრეტენზიების დასამკვიდრებლად, ახალი ტერიტორიული გადანაწილების პოლიტიკის სარეალიზაციოდ.

საბჭოთა ხელისუფლება მიუღებელი იყო როგორც დემოკრატიული ქვეყნებისათვის, ისე ფაშისტური სახელმწიფოებისათვისაც. გერმანიას რუსეთის მიმართ ისეთი დრაკონული გეგმები პქონდა შემუშავებული, რომ მოსალოდნელ ომში რუსეთის დამარცხებას შეეძლო რუსი ერის, როგორც ეთნოსის. სრული ლიკვიდაცია გამოეწვია.

საბჭოთა კავშირი კი, თავისი ტერიტორიული სიდიდის მიუხედავად, შედარებით სუსტი იყო ეკონომიკურად, სამხედრო თვალსაზრისითაც. კომუნისტური პარტიის ამოცანა იყო უმოკლეს ვადებში მიეღწიათ არა მარტო დიდი ეკონომიკური ნახტომისათვის, არამედ საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისათვისაც, რაც გულისხმობდა ყოველგვარი ოპოზიციური ძალის ლიკვიდაციას, მომავალ ომში შესაძლო „მეხუთე კოლონის" პრაქტიკულ განადგურებას, საბჭოთა საზოგადოების ყველა არსებული ნაკლის ტერორის საშუალებით დაძლევას.

რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ადვილად ჩამოყალიბდა და მასობრივად გავრცელდა ცნება „ხალხის მტერი". ეს იყო მეტად ტევადი შინაარსის მქონე ტერმინი: ის გულისხმობდა პარტიულ ოპოზიციონერს, თანამდებობის ბოროტად გამომყენებელ პარტიულ თუ საბჭოთა ლიდერს, უპასუხისმგებლო სამეურნეო მუშაკს, კორუმპირებულ მოხელეს, ეროვნული იდეების მატარებელ ინტელიგენტს. ოფიციოზი ამ ტერმინში შემდეგ შინაარს დებდა: „თავიანთ მიზნად ისახავდნენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ნგრევას, ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების გამოთხრას, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის გაადვილებას, წითელი არმიის დამარცხების მომზადებას... სსრ კავშირის დანაწილებას... მუშებისა და კოლმეურნეების მონაპოვართა მოსპობას, სსრ კავშირში კაპიტალისტური მონობის აღდგენას".[5]

1934 წლის 1 დეკემბერს ლენინგრადში, სმოლნში ტერორისტმა მოკლა ს. მ. კიროვი – ი.ბ.სტალინის უერთგულესი მხარდამჭერი და პირადი მეგობარი. ეს მკვლელობა საბჭოთა ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გასანადგურებლად. ტერორისტული აქტი დაბრალდათ სტალინის პირად პოლიტიკურ ოპონენტებს. უკვე 1936 წელს მოსკოვში დაიწყო საჯარო პროცესები ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ.

მოსკოვის პროცესების დაწყებისთანავე საქართველოს სამრეწველო საწარმოებსა და შრომით ორგანიზაციებში იმართებოდა მიტინგები, სადაც სასტიკად გმობდნენ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ლიდერების ანტისაბჭოთა მოქმედებებს.

1937 წელი. ლ. ბერიას მითითებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ის ლიდერები და აქტივისტები, ვინც სხვადასხვა დროს მონაწილეობას იღებდნენ სტალინის საწინააღმდეგო ფრაქციებში („ნაციონალ-უკლონისტები" და სხვ.), იყვნენ ტროცკისტები, ემხრობოდნენ ბუხარინს, პარტიულ კრებებსა და დისპუტებ-

ზე პარტიის გენერალური ხაზის გარკვეული კრიტიკით გამოდიოდნენ – „შაე სიებში“ ჩაირიცხნენ.

1937 წლის ივლისში შედგა ბ. მდივნის, მ. ტოროშელიძის, მ. ოკუჯავას და სხვათა „ჯაშუშურ-დივერსიულ-გამცემლური ორგანიზაციის“ ღია პროცესი.

ამას მოჰყვა 1937 წლის სექტემბერში აჭარის „კონტრრევოლუციურ-საჯარიბო ცენტრის“ განადგურება. ეჭვმიტანილებს: ზ. ლორთქიფანიძეს, გ. რამიშვილს, შ. მაოიკაშვილს და სხვებს აბრალებდნენ, რომ მათ სურდათ „აჭარის დედა-სამშობლოსგან ჩამოცილება, აჭარაში კაპიტალისტური წყობის აღდგენა“.

მემარჯვენე „კონტრრევოლუციური ტერორისტულ-დივერსანტული მაენებლების პროცესი“ კი მიზნად ისახავდა სიღნაღის რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობაში მიცემას.

საბრალდებო დასკვნები და სტენოგრაფიული ანგარიშები, რომლებსაც ყველა კომუნისტური გაზეთი ბეჭდავდა, მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ აზრზე ტოტალურ ზემოქმედებას, ისტერიული ფსიქოზის განვითარებას. ამ ფსიქოზს ისიც აძლიერებდა, რომ სწორედ ამ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხდებოდა სერიოზული ავარიები, აფეთქებები, ხანძარები. 1935 წელს მეტად დიდი და გაუგებარი ავარიების სერია მოხდა ზაპესში, 1936-1937 წლებში ავარია მოხდა ჭიათურასა და ტყვარჩელში. სერიოზული ავარია მოხდა ტყიბულის ი.ბ. სტალინის სახ. შახტში, სადაც დაიღუპა სამი მუშა.[6]

პასუხისმგებლობის შიშმა, რაც ავადმყოფურად განვითარდა, ბევრი აიძულა ავარიები, წარუმატებლობა, ნაკლი – „ხალხის მტრების“ ხრიკებთან დაეკავშირებინა, იყო ერთმანეთის დასმენის, მცდარი ინფორმაციის გავრცელების მასობრივი შემთხვევები.

საქართველოში რეპრესირებულნი რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს: „უშუალოდ დამნაშავენი“, ე.ი. „ხალხის მტრები“. „მათი კუდები“, „მათი ახლობლები“ და „ზედმეტად გულმოდგინენი“. ამ უკანასკნელ კატეგორიაში შეეიდნენ ის ადამიანები, უფრო ხშირად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომლებმაც მთელი 1937 წლის რეპრესიების მექანიზმი მოამზადეს და განახორციელეს, მათ მხოლოდ 1937 წლის ნოემბერ-დეკემბერში მიეწერათ „საბჭოთა კანონიერების უხეში დარღვევები“ და კოლექტივში ახლა უკვე სხვებმა სწორედ მათ წინააღმდეგ მიმართეს რეპრესიის მახვილი.

მასობრივი ტერორის პირობებში უკიდურესად დაიძაბა ადამიანური ურთიერთობები, მათ შორის ნათესაური ურთიერთობებიც. იყო ფაქტები, როცა მამამ უარყო ტროცკისტი შვილი, ცოლმა – რეპრესირებული მეუღლე, ქმამ – ძმა.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად იყო კაცთმოყვარეობის ფაქტებიც: რეპრესირებული ოჯახებისადმი ფარული დახმარება, განადგურებული ოჯახების უპატრონოდ დარჩენილი ბავშვებისადმი ნათესაური მზრუნველობა და ა.შ.

საკუთარი თავის დაზღვევა, მოსალოდნელი პოლიტიკური საშიშროების თავიდან აცილება ადამიანებს ულირსი ქმედებისაკენ უბიძგებდა. პარტიული აქტივისტები ცდილობდნენ „ხალხის მტრების“ გამოვლენას, პარტიულ კრებებზე „ამძიმებდნენ“ ბრალდებებს, იხსენებდნენ ახალ მაკომპრომეტირებელ ფაქტებს, მხარს უჭერდნენ საბრალდებო დასკვნას და სხვ...[7]

პოლიტიკური პროცესის დროს ბრალდებულს ოფიციალურად არავინ იცავდა. უფრო ხშირად ის თვითონ იცავდა თავის თავს, თუ წინასწარ არ იყო შინსახკომის თანამშრომლების მიერ დაპატიმრებული. მაგრამ არის ცალკეული ფაქტები თანამშრომელთა მხრიდან ბრალდებულის მხარდაჭერის, ბრალდების უარყოფის, გვერდში ამოდგომისა. ეს კი იმ პერიოდში ძალიან სახიფათო იყო და ამიტომაც იშვიათად ხდებოდა.[8]

სადამსჯელო ორგანოების თანამშრომლები, აღჭურვილნი უმაღლესი ძალაუფლებით, დაპატიმრებულ პარტიულ, საბჭოთა ხელმძღვანელებზე, ინტელიგენციის

წარმომადგენლებზე საშინელ ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენდნენ და ასე იღებდნენ „აღიარებებს“. მაგალითად, ცნობილი ქართველი ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე „აღიარებდა“, რომ მან ზაპესის მშენებლობა „გაართულა და გააძნელა საამშენებლო სამუშაოების დიდი რაოდენობის არცთუ შაინცდამაინც აუცილებელი, დროებითი, დამხმარე კონსტრუქციების აშენებით“. მშენებელი ინჟინერი ბ. მიქელაძე კი „აღიარებდა“, რომ „მავნებლობის მიზნით საგენერატორო შენობა და მილგაყვანილობა მოთავსებული იყო თბილისი-ბათუმის რკინიგზის ხაზის – ხიდის მახლობლად, რაც წარმოშობდა საფრთხეს ხიდზე ნებისმიერი კატასტროფის შემთხვევაში და იქმნებოდა შესაძლებლობა დიდი ხნით მწყობრიდან გამოსულიყო ზაპესი“.[9]

საქართველოში რეპრესიები განსაკუთრებით გაძლიერდა 1937 წლის ოქტომბერში, როცა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა ლ. ბერიას მოხსენება რესპუბლიკაში მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების შესახებ. პლენუმზე საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებმა უპატაკეს პარტიას მასობრივი რეპრესიების კონკრეტული შედეგები. პლენუმის შემდეგ ი.ბ. სტალინისათვის გაგზავნილ საიდუმლო წერილში ლ. ბერია აზუსტებს 1937 წლის ოქტომბრამდე დაპატიმრებულთა რაოდენობას. ამ პერიოდისათვის დაპატიმრებული იყო 12000 კაცზე მეტი. დაპატიმრებულებიდან 5236 უკვე მსჯავრდადებული იყო „სამეულის“ მიერ. უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გაასამართლა – 910 კაცი, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებულმა განსაკუთრებულმა საბჭომ – 591, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ – 468, სამხედრო ტრიბუნალმა – 99, სახალხო სასამართლოებმა – 70. საქართველოს ციხეებში იმყოფებოდა 5 ათასი კაცი, მარტო თბილისში 2000. საქართველოს კომპარტიის რიგებიდან გაირიცხა 2500 კაცი. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 74 წევრიდან 41 „ხალხის მტერი“ აღმოჩნდა.[10]

რეპრესიები ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციულ სისტემასაც შეეხო, რამაც კადრების სერიოზული ნაკლებობა გამოიწვია. 1937 წელს ნომენკლატურულ თანამდებობაზე დააწინაურეს 4000 კაცი, მათ შორის რაიკომების და ქალაქკომების მდივნები, სახალხო კომისრები, კომისრის მოადგილეები, მსხვილი რესპუბლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აღმასკომების თავმჯდომარეები და ა.შ.[11]

1937 წლის რეპრესიების დროს დაისაჯნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელები: მ. ორახელაშვილი, ს. მამულია, ლ. ქართველიშვილი, გ. ეურულაშვილი, ლ. ღოღობერიძე, ბ. მდივანი, მ. ტოროშელიძე, მ. ოკუჯავა და სხვები. მათ შორის იყვნენ როგორც სტალინის პოლიტიკური ოპონენტები, ისე წარსულში მისი ერთგული მომხრეებიც.

მასობრივი რეპრესიების დროს მნიშვნელოვნად დაზარალდა საქართველოს ინტელიგენცია, განსაკუთრებით შემოქმედებითი. რეპრესირებულთა შორის იყვნენ: დიდი ქართველი მწერლები მიხეილ ჯავახიშვილი და ტიციან ტაბიძე, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე პაოლო იაშვილმა. მ. ორახელაშვილთან ახლო ნათესაური ურთიერთობა არ აპატიეს დიდ ქართველ დირიჟორს ევგენი მიქელაძეს. რეპრესიების ტალღამ გადაუარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, რუსთაველის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს, დახერიტეს სახელგანთქმული რეჟისორი სანდრო ახმეტელი, ცნობილი მეცნიერი ვ. კოტეტიშვილი და მრავალი სხვა.

პოლიტიკური წმენდა და რეპრესიები შეეხო წითელი არმიის ქართულ ნაწილებს: დააპატიმრეს დივიზიის მეთაურები თუხარელი და ქუთათელაძე, პოლკოვნიკი გედევანიშვილი და სხვები.

რეპრესიები განიცადეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ხელმძღვანელებმა, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: ვ. ლაკობამ, კ. ინალიფამ, დ.ჯერგენიამ, ს. ფილიამ, ი. ჯოჯიევმა, ვ. ხუბაევმა, გრ. სანაკოევმა და ბევრმა სხვამ.

რეპრესიების პირობებში ათასობით ქართველი გადაასახლეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ: ციმბირის, შორეული აღმოსაელეთის სპეციალურ ბანაკებში (მაგადანში, კალიმაზე და "გულაგის" სხვა ბანაკებში). მასობრივი რეპრესიების ერთ-ერთი ფარული მიზანი ხომ ისიც იყო, რომ ნელლეულით მდიდარ შორეული აღმოსაელეთის მიუვალ ტერიტორიებზე ასი ათასობით იაფი მუშა-ხელი შეეყვანათ, რათა იქ საბჭოთა ეკონომიკის ძლიერი დასაყრდენი შეექმნათ.

მასობრივმა რეპრესიებმა მთლიანად გაანადგურა ანტისტალინური ოპოზიციის ყველა ძირითადი მიმართულება, ყველა შესაძლო პოლიტიკური ოპონენტი, განამტკიცა ი.ბ. სტალინის დიქტატურა.

ახალი კონსტიტუცია. სწრაფად ცელად მსოფლიოსთან ერთად, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცელილებები და გარკვეული სოციალური ტრანსფორმაცია განიცადა საბჭოთა საზოგადოებამაც. ეს ცელილებები მის ძირითად კანონში — კონსტიტუციაშიც უნდა ასახულიყო. 1935 წლის 7 თებერვალს შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც უნდა გაეთვალისწინებინა საბჭოთა კავშირში შექმნილი ახალი პოლიტიკური და სოციალური რეალიები და მის საფუძველზე შეემუშავებინა კონსტიტუციის პროექტი. 1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოების სრულიად საკავშირო III ყრილობამ მიიღო სსრკ ახალი კონსტიტუცია. მასში აისახა მთელი რიგი ფორმალური სიახლე, რასაც არ ცნობდა პირველი საბჭოთა კონსტიტუცია — ეს იყო ლენინური საბჭოების სისტემისა და დემოკრატიის რიგი პრინციპის შეხამების ცდა (ფარული კენჭისყრა, პირდაპირი არჩევნები, ორპალატიანი უზენაესი საბჭო, არჩევნებში ყოველგვარი კლასობრივი შეზღუდვის გაუქმება, მოკავშირე რესპუბლიკის კავშირიდან თავისუფალი გასელის უფლება და ა.შ.).

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში დაიწყო ადგილობრივი კონსტიტუციების შემუშავება. საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების საგანგებო III ყრილობის დადგენილებას „ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ლიკვიდაციის შესახებ". მოსკოვის ლიდერებთან შეთანხმებული ეს გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების უშუალო შესელას, ზედმეტი ადმინისტრაციული რგოლის გაუქმებას.

ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ხელოვნური წარმონაქმნი საგრძნობლად ზღუდავდა ნაციონალური რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს და მუდამ კრიტიკის ობიექტი და დაპირისპირებების ასპარეზი იყო.

საქართველოს ახალი კონსტიტუცია 1937 წლის 13 თებერვალს სრულიად საქართველოს საბჭოების საგანგებო III ყრილობაზე მიიღეს. იგი ბრმად იმეორებდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ყველა ძირითად თეორიულ თუ პრაქტიკულ დებულებას — ამაშიც გაცხადდა მოსკოვისადმი უსიტყვო მორჩილების კომუნისტური პრაქტიკა.

ამ კონსტიტუციაშიც ხაზგასმული იყო, რომ საქართველო „ნებაყოფლობით გაერთიანდა" სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რისთვისაც ცენტრალურ ხელისუფლებას გადასცა თავისი უფლებების ნაწილი — ამით საკონსტიტუციო ძალმოსილება შეიძინა საქართველოს კოლონიალურმა სტატუსმა.

საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ კელავ დაადასტურა 1921 და 1927 წლების კონსტიტუციების ძირითადი პრინციპი — ქართული ენა კელავ სახელმწიფო ენად გამოცხადდა.

დაინერგა პირდაპირი და ფარული საარჩევნო სისტემა.

მაგრამ კომუნისტური პარტიის მონოპოლიური მმართველობის პირობებში არჩევნები მუდამ რეალური იყო. კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის სტალინური პრინციპი არ გულისხმობდა ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) სისტემების გამიჯვნას. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საკანონმდებლო სისტემაშიც, კონტროლის მექანიზმი კი მთლიანად პარტიის მიერ იყო უზურპირებული. მართალია, არჩევნების დროს დეპუტატობის კანდიდატები მოწინავე მუშები და გლეხები, თვალსაჩინო და ღირსეული მეცნიერები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ პოლიტიკურ ამინდს სესიებზე მუდამ პარტიული ნომენკლატურა ქმნიდა, ის აყალიბებდა კანონპროექტებს და წარუდგენდა დასამტკიცებლად.

ძალიან მალე საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი ლავრენტი ბერია გადაიყვანეს მოსკოვში – შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. მან თავისი ადგილი დაუთმო საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში პოლიტიკურ ტერორს აპირობებდა მოსკოვის კომუნისტური დიქტატისადმი ადგილობრივი კომუნისტების უსიტყვო მორჩილება და ის მავნე პრაქტიკა, რომ საქართველოში უაპელაციოდ ინერგებოდა რუსეთში და რუსეთისათვის შემუშავებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პროგრამები. რეპრესიები – ეს იყო ლოგიკური შედეგი კომუნისტური განვითარებისა – მას ყოველდღიურად წარმოშობდა საზოგადოების კომუნისტური განვითარების ობიექტური კანონი.

რუსეთთან თანაარსებობამ, მოსკოვისადმი მონურად ქედის მოხრამ, რუსული პოლიტიკური თუ სოციალური ცხოვრების წესის ბრმად გადმოღებამ გამოიწვია, და არ შეეძლო არ გამოეწვია, ყველა ის მახინჯი სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში.

მეორე მსოფლიო ომის წინ მოსკოვის საბჭოთა ხელისუფლება გამოდიოდა რუსეთის გლობალური პოლიტიკური ინტერესებიდან, რასაც უმორჩილებდა მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის დანარჩენი მოსახლეობის ინტერესებს, და ტერორის გზით შეეცადა საზოგადოების ისეთ კონსოლიდაციის მიღწევას, რაც უზრუნველყოფდა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთიანობას (პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სულიერ სფეროში) ისტორიაში არნახული ომის კვირაძალზე. ეს ამოცანა, როგორც ისტორია ადასტურებს, მოსკოვმა წარმატებით შეასრულა.

---

1. А. Белинский. Из писем В. П. Боткину. см.: Утопический социализм (хрестоматия), М., 1982, стр. 352.
2. С. Билокин, Механизм большевитского насилия, Киев, 2000, стр. 7.
3. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 9, ფურც. 215.
4. С. Билокин, Механизм большевитского насилия, Киев, 2000, с. 7.
5. საკ. კპ (ბ) ისტორია (მოკლე კურსი), თბ., 1852, გვ. 422.
6. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 10, ს. 15, ფურც. 58.
7. ა. დაუშვილი, თბილისი – 1937, თბ., 1997, გვ. 110-111.
8. იქვე. გვ. 127-128.
9. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 11; ს. 45, ფურც. 60.
10. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 11, ს. 152 (გ), ფურც. 171.
11. ა. დაუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

თავი VII

რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა XX საუკუნის მეორე ნახევარში

პოსტსტალინური ეპოქა: ხრუშჩოვი და საქართველო

რეპრესიების ახალი ტალღა. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ განამტკიცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა. მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ოკუპაცია. მსოფლიოს წამყვანმა სამმა ქვეყანამ (აშშ-მა, სსრ კავშირმა და დიდმა ბრიტანეთმა) გადაინაწილა გავლენის სფეროები – საბჭოთა კავშირის დახმარებით კომუნისტური ან პროკომუნისტური რეჟიმები დამყარდა აღმოსავლეთ გერმანიაში (გდრ), პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, რუმინეთში. უდიდესი წარმატება იყო, რომ 1949 წლის ოქტომბერში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა ჩინეთში – რამაც კომუნისტურ ბლოკს თითქმის მილიარდი მოსახლეობის მქონე სახელმწიფო შემატა.

პარალელურად მიმდინარეობდა ომით მიყენებული ნგრევის ლიკვიდაცია – რაც გეგმაზომიერად და სწრაფად განხორციელდა, თუმცა, რა თქმა უნდა, რიგითი მოქალაქეების მსხვერპლის ფასად. მართალია, 40-იანი წლების დასასრულს დაიწყო და 1953 წლამდე გრძელდებოდა ფართო მოხმარების საგნებზე სისტემატური, მართალია სიმბოლური ფასდაკლებები, მაგრამ ამ ფაქტმა მოსახლეობის დემოკრატიულ ფენებზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა და დიდხანს შემორჩა მათ მეხსიერებაში როგორც სტალინის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი შედეგი.

წარმატებული ომის შემდეგ სტალინი შეეცადა გული მოეგო მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელებისათვის და კიდევ ერთი ილუზია შეექმნა – დააყენა საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ. ეს ნაბიჯი, რა თქმა უნდა, საერთაშორისო არენაზე საბჭოთა კავშირის გავლენის კიდევ უფრო გაზრდას ითვალისწინებდა. მოკავშირე რესპუბლიკებში აღადგინეს დიდი ხნის წინათ გაუქმებული საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები (მათ უკვე სამინისტროებს უწოდებდნენ). მაგრამ უშედეგოდ – რუზველტის მემკვიდრე ტრუმენი ყოველმხრივ ცდილობდა მსოფლიოში საბჭოთა კავშირის ზეგავლენის ზრდა შეეჩერებინა და ამჟამადაც მოხერხდა გაეროში მხოლოდ ომით უაღრესად დაზარალებული ორი რესპუბლიკის – უკრაინისა და ბელორუსიის გაწევრიანება, თუმცა ისინი ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის სატელიტების როლს ასრულებდნენ.

ქართველთა გულის მოსაგებად, ომის შემდგომ პირველ წლებში, იყო მცდელობა ისტორიული ქართული ტერიტორიების – ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანის, ოლთისის დასაბრუნებლად. ამის შესახებ საბჭოთა ხელისუფლებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ოფიციალურადაც განაცხადა, ხოლო ქართველმა ისტორიკოსებმა (ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა) სპეციალური, მეცნიერულად დასაბუთებული წერილიც მოამზადეს, რაც ოფიციალურ პრესაში დაიბეჭდა, მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგოდ დამთავრდა (მოგვიანებით ხრუშჩოვი ქართველი ერის ზურგს უკან, თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსადგენად, ოფიციალურად უარს განაცხადებს ამ ტერიტორიებზე).

საქართველოსთვის ეს წლები უდიდესი აღმშენებლობის, ინდუსტრიალიზაციის განვითარების, ახალი ფაბრიკა-ქარხნების, ჰიდროელექტროსადგურების, წყალსაცავების მშენებლობის პერიოდი იყო. ქუთაისში ექსპლოატაციაში შევიდა აეტოგიგანტი, რუსთავში – ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი. აშენდა მეტალურგთა ქალაქი – რუსთავი, რომელიც კულტურის მნიშვნელოვანი კერა გახდა. მაგრამ მედალს მეორე მხარეც ჰქონდა – მრეწველობის ეს ორივე დარგი

საქართველოსათვის არატრადიციული იყო, საქართველოს არ შეეძლო სრულად მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ნებლეულით, მარაგ ნაწილებით თუ სამრეწველო კადრებით. რუსთავში დიდი რაოდენობით ჩამოვიდნენ მშენებელები, მეტალურგები, ქიმიკოსები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. რუსთავი ინტერნაციონალური ქალაქი გახდა. დაიწყო უფრო ინტენსიური, ეიდრე ომამდელ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკის გადახლართვის პროცესი სრულიად საკავშირო ეკონომიკასთან, რომლის მიზანი ურღვევი ეკონომიკური ღვედების შექმნა იყო.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების პარალელურად მსოფლიოში დაიწყო პროცესი, რასაც არ შეიძლება პრობლემები არ შეექმნა თვითონ საბჭოთა კავშირისათვის – დაიწყო დეკოლონიზაცია. 1947 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა ინდოეთმა. 50-იანი წლებიდან ეს პროცესი სულ უფრო და უფრო მასშტაბური გახდა: თავისუფლება მოიპოვეს აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის კოლონიალურმა ქვეყნებმა. ეს ფაქტები არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენოდათ საბჭოთა ხალხებს.

სწრაფად ცვლად მსოფლიოში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ფორმირებამ, საერთაშორისო არენაზე საბჭოთა იმპერიის წონისა და მნიშვნელობის ზრდამ, გამოიწვია მოსკოვის კრემლის ლიდერების ყურადღებისა და ინტერესების ცენტრის გადაადგილება შინაური პრობლემებიდან მსოფლიო გლობალურ პრობლემებზე. დაიმედებულები იმით, რომ საბჭოთა კავშირში საეროვნებათაშორისო ურთიერთობის სფეროში ყველაფერი მოწესრიგდა უკვე 30-იან წლებში, ხოლო მეორე მსოფლიო ომმა, მართლაც, აჩვენა და დაადასტურა საბჭოთა ხალხების მტკიცე თანადგომა, ურთიერთპატიეისცემა, ერთად ყოფნის სურვილი, საბჭოთა ლიდერებმა ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ პრობლემებს აშკარად მოაკლეს ყურადღება და ანგარიშს ნაკლებად უწევდნენ ეროვნულ რესპუბლიკებში მიმდინარე სოციალურ პროცესებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით რელიეფურად სტალინის გარდაცვალების შემდეგ გახდა შესამჩნევი.

სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში ახალი ძალით გაჩაღდა რეპრესიების ტალღა, რამაც საქართველოც მოიცვა. ბევრი მათგანი კელავ რუსეთის გეოსტრატეგიული და სამხედრო ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

მაგალითად, სამხედრო-სტრატეგიულ და პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა საქართველოდან, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და სხვა რაიონებიდან მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების შუა-აზიაში დეპორტაციის გაგრძელება. მესხეთ-ჯავახეთიდან მაჰმადიანი მოსახლეობის ტოტალური გასახლების შემდეგ (1944 წ.), გასახლების ოპერაცია კოდური სახელწოდებით „ეშელონი" განხორციელდა 1949 წლის 14 ივნისს ქალაქებში – თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთსა და გაგრაში. გასახლებულთა შორის იყვნენ თურქეთის და საბერძნეთის ქვეშევრდომი და იმხანად მოქალაქეობის გარეშე დარჩენილნი ან ყოფილი ქვეშევრდომები, საბჭოთა კავშირის მოქალაქენი, მათ გარდა სომეხი – „დაშნაკების" სახელით მოხსენიებული მოქალაქენი. ამ აქციის შედეგად სულ გაასახლეს 8285 ოჯახი – 36675 სული.[1]

აღნიშნული აქციის გაგრძელებად უნდა მიეჩნიოთ 1950-1951 წლებში საქართველოში განხორციელებული ახალი რეპრესიები. საქართველოდან შუა-აზიაში კიდევ გაასახლეს: 1950 წ. – 1273 ოჯახი, 4716 სული, ხოლო 1951 წ. – 2581 ოჯახი, 11458 სული, სულ 16 174 სული. ეს იყო ყოველად უმართებულო და მიუტევებელი რეპრესიები, რომელმაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.[2] რუსი მხედრიონის ინტერესებიდან გამომდინარე, დავით გარეჯის უდაბნოში 1948 წლის მაისში გაიხსნა სამხედრო პოლიგონი (რომელიც, სამწუხაროდ, აღარაევის გაუუქმებია და თვით 80-იან წლების მეორე ნახევრამდე მოქმედებდა როგორც სამხედრო სასწავლო პოლიგონი) და რამაც უდიდესი ზიანი მოუტანა ქართველთა ეროვნულ სიწმინდეს – დავით გარეჯის მონასტერს. ესეც ხაზგასმით მიუთი-

თებს, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლება უგულვებელყოფდა ქართველი ხალხის ეროვნულ სიწმინდეებს.

40-იანი წლების ბოლოს მოიფიქრეს „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმე". სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობის შესახებ", რის შედეგადაც მეგრელ ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფს წაუყენეს ადგილობრივი – მეგრული ნაციონალიზმის ბრალდება, რაც, პირველ რიგში, საკადრო პრობლემას უკავშირდებოდა. ამის გამო თანამდებობიდან გაანთავისუფლეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი, დააპატიმრეს მეორე მდივანი მ. ბარამია, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ა.რაფავა, რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ს. შონია და მისი მოადგილე ი. რაფავა, კომკავშირის ლიდერი მ.ზოდელავა, თბილისის ზოგიერთი რაიკომის მდივანი და სამეგრელოს რეგიონის ყველა რაიკომის მდივანი და სხვ. მათ ბრალად დასდეს ანტისაბჭოთა ჯგუფში მუშაობა და უცხოეთის ქვეყნების აგენტობა.[3]

ვარაუდობენ, რომ ეს აქცია მიზნად ისახავდა და ემსახურებოდა ბერიას ხელისუფლებისაგან ჩამოშორებას. დაპატიმრებულებს მოუხდათ მძიმე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედების გადატანა. მაგრამ სტალინის გარდაცვალების შემდეგ 1953 წლის 10 აპრილს სკკპ ცკ პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელმაც „მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის" საქმე ფალსიფიცირებულად გამოაცხადა.[4]

ი. ბ. სტალინის გარდაცვალებამ 1953 წლის 5 მარტს გამოიწვია ავტორიტარული სისტემის სერიოზული კრიზისი. ხელისუფლების სათავეში მოექცა ნ. ხრუშჩოვი.

გარკვეული, გარდამავალი პერიოდის შემდეგ, მან მიზნად დაისახა პიროვნების კულტის და მისი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა, პოლიტიკური ხელმძღვანელობის კოლექტიური პრინციპის რეალიზება, მაგრამ ეს ყველაფერი რჩებოდა ფორმალურ პრინციპად, რომელსაც დიდ მნიშვნელობას კომუნისტური პარტიის ბელადები არ ანიჭებდნენ. ქვეყანაში თანდათან მყარდებოდა ხრუშჩოვის ავტორიტარული რეჟიმი.

ახალმა ხელისუფლებამ სცადა სტალინური სისტემის ვითომდა ლიბერალიზაცია და დემოკრატიზაცია, მაგრამ არსებული პოლიტიკური სისტემის – ერთპარტიულობისა და კომუნისტური პარტიის ჰეგემონობის პირობებში ხრუშჩოვის „ახალ კურსს" არ შეეძლო არც დემოკრატიზაციის დამკვიდრება და არც ქვეყნის ლიბერალიზაცია.

სკკპ XX ყრილობა. 1956 წლის თებერვალში სკკპ XX ყრილობაზე ნ. ხრუშჩოვის მიერ გაკეთებული ანტისტალინური მოხსენება საფუძვლად დაედო ახალ ეტაპს საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში. საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით, დაიწყო „დათბობა", სტალინიზმის მარწუხების შესუსტება, მაგრამ ამ შეხედულებების მომხრეებს ავიწყდებათ, რომ ხრუშჩოვის მიერ დაწყებული კრიტიკა არ იყო ყოველისმომცველი – მან კომუნისტური ეპოქის საშინელებები მხოლოდ ერთ პიროვნებას – სტალინს დაუკავშირა, მაშინ როცა კომუნისტური დიქტატურის საშინელებანი რეჟიმის თანდაყოლილი თვისებურება იყო და ის არ შეიძლება მხოლოდ ერთი ადამიანის სურვილებზე ყოფილიყო დამოკიდებული.[5] ამასთან, ხრუშჩოვის კრიტიკა არ შეხებია ლენინს – რეპრესიული მექანიზმის ერთ-ერთ სულისჩამდგმელს, თვითონ კომუნისტურ პარტიას, ამ პოლიტიკის ერთგულად განმახორციელებელს, სხვა პოლიტიკურ ლიდერებს. ამრიგად, ხრუშჩოვის „ახალი კურსი" სტალინური სოციალიზმის საფუძვლებს კი არ ცვლიდა, არამედ მიზნად ისახავდა პირად ანგარიშსწორებას.

ეს ასევე აღიქვეს საქართველოში, სადაც უკვე თაობები აღიზარდნენ საბჭოთა სისტემის პირობებში, უდიდესი ძალისხმევით მოხერხდა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, უდიდესი მსხვერპლი მოითხოვა სოფლის კოლექტივიზაციამ. ყველაფერი ეს გადაიღახა, საბჭოთა ქვეყანა გამარჯვებული გამოვიდა სა-

ბედისწერო მეორე მსოფლიო ომიდან, სადაც ქართველობამ თავისი წარგზავნილების თითქმის ნახევარი დაკარგა. ყველა ამ საქმეში სტალინის წვლილი აშკარა იყო და საქართველოში რიგით ადამიანებს უსამართლობად ეჩვენებოდათ ის, რომ რეჟიმის ნაკლოვანებებზე პასუხს მხოლოდ სტალინს სთხოვდნენ, ძალიან ბევრმა სტალინის კრიტიკა აღიქვა როგორც მისი ქართული წარმოშობით გამოწვეული უსამართლო აქცია.

ი. სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა ქართველი ხალხის ლანძღვის საბაბად გადაიქცა, რის წინააღმდეგაც აღიმაღლა ხმა ქართველმა ახალგაზრდობამ, რომელიც აღზრდილი იყო „ლენინ-სტალინის საქმისადმი" ერთგულების სულისკვეთებით.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ხრუშჩოვის ანტისტალინური მოხსენება საიდუმლო იყო და ის საბჭოთა პრესაში არც გამოქვეყნდა, თბილისში მაინც ჩამოაღწია ინფორმაციამ, რამაც მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვია.

1956 წლის 9 მარტი. 5 მარტს, სტალინის გარადაცვალების დღეს, თბილისში, სანაპიროსთან აღმართულ სტალინის ძეგლთან თავი მოიყარეს ადამიანებმა, რომელთა შორის იყვნენ როგორც სტალინის მხურვალე მოტრფიალენი, ასევე ჭეშმარიტი მამულიშვილები, რომლებიც შეურაცხყოფილნი იყვნენ რუსული „დერჟიმორდული პოლიტიკით", უსამართლობის ახალი გამოვლენით. მომიტინგეები მოითხოვდნენ ნ. ხრუშჩოვის თანამდებობიდან გადაყენებას, ახალი მთავრობის შექმნას. მიტინგები გაიმართა გორში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში[6] ახალგაზრდების მნიშვნელოვანმა ნაწილმა სტალინის კრიტიკა აღიქვა ეროვნული ღირსების შეურაცხყოფად. სტალინის მონუმენტთან თბილისში გამოდიოდნენ მოსწავლეები, სტუდენტები, მუშები, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, რომლებიც საჯაროდ კითხულობდნენ ლექსებს, ამბობდნენ სიტყვებს.

იმ დღეებში თბილისში იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე. რამდენადაც ცნობილი იყო სტალინისა და ჩინეთის ლიდერის, მაო ძე დუნის მტკიცე მეგობრული ურთიერთობის შესახებ, დემონსტრანტთა ნაწილი მასთან შესახვედრად, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციისკენ გაემართა ერთი მიზნით, რომ სანაპიროზე, სტალინის მონუმენტთან გამართულ მიტინგში მასაც მიეღო მონაწილეობა. მაგრამ ჯუ დემ ავადმყოფობის გამო მიტინგზე გაგზავნა თავისი წარმომადგენელი, რომელმაც მოკლე სიტყვა წარმოთქვა.[7]

დაძაბულ მდგომარეობასთან დაკავშირებით თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების პოლიტსამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი, რომელმაც ფაქტობრივად თავის ხელში აიღო „უწესრიგობის" აღკვეთის საქმე, რესპუბლიკის ხელმძღვანელების აზრის სრული იგნორირებით, ნ. ხრუშოვის ბრძანებით, ქალაქებში შემოიყვანეს სამხედრო ნაწილი და ჯავშან-ტექნიკა.

მანიფესტაციამ თბილისში კულმინაციას მიაღწია 1956 წლის 9 მარტს, ღამით, როდესაც ახალგაზრდების ერთი ჯგუფი გაემართა კავშირგაბმულობის სახლისაკენ, რათა მიკროფონით გამოეცხადებინათ მიტინგის ზოგიერთი მოთხოვნები. მაგრამ რუსთაველის პროსპექტზე, კავშირგაბმულობის სახლთან ისინი შენობაში არა თუ შეუშვეს, არამედ მომიტინგეებს ტყვია დაუშინეს და ჩახოცეს. ტყვიებით დაიცხრილა სასტუმრო „თბილისის" კედლები. სანაპიროსკენ უკანდახეულთ დაახვედრეს ტანკები, მათ ალყა შემოარტყეს.

მშვიდობიანი მომიტინგეები უიარაღონი იყვნენ, ამიტომაც არ იყო არცერთი მოკლული სამხედროებს შორის. ცეცხლსასროლი იარაღით 9 მარტს დაიღუპა, როგორც ეს დოკუმენტურად დადგინდა უკანასკნელ ხანს, 23 კაცი, მათგან იყო საშუალო სასწავლებლის რამდენიმე მოსწავლე, 4 მუშა, 2 სტუდენტი და ა.შ. ოფიციალური ცნობით დაიჭრა 36, მათ შორის 22 კავშირგაბმულობის სახლთან.[8]

1956 წლის 9 მარტის დემონსტრაციებისა და მანიფესტაციის დროს და ტრაგედიის შემდეგ გაჩნდა მთავრობის საწინააღმდეგო ხელნაწერი ფურცლები

და დაბეჭდილი პროკლამაციები, რომლებიც ი. სტალინის პიროვნების და მოღვაწეობის დაცვასთან ერთად, უკვე აშკარად აკრიტიკებდნენ საბჭოთა სისტემას, მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, გმობდნენ ტირანიას.

შემდეგ დაიწყო გამოძიება, დააპატიმრეს 318 და ხანგძლივ იზოლაციაში ამყოფეს 290 კაცი. მარტის ამბებთან დაკავშირებით რესპუბლიკის რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკი[9] გაათავისუფლეს თანამდებობებიდან, ზოგიერთი გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან და კომკავშირიდან. სამაგიეროდ დაუსჯელნი დარჩნენ რუსი გენერლები, რომელთა ბრძანებით იქნა გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი უიარაღო ახალგაზრდობის წინააღმდეგ.

ქართველი ახალგაზრდობის 1956 წლის 9 მარტის გამოსელა იყო ანტისამთავრობო პროტესტი ეროვნული შეფერილობით, რომელიც იცავდა ი. სტალინის იდეებსა და სახელს, რომელსაც თითქოს უმართებულოდ მიაწერდნენ 30-იანი წლების უკანონო რეპრესიებს. ამ ტრაგედიის შეფასებისას არსებობდა ორგვარი პოზიცია — ერთი ოფიციალური, არაობიექტური, რომელიც წარმოადგენდა პასუხისმგებლობის აცილების ცდას და მეორე, ობიექტური, მომდინარე ხალხისგან, საზოგადოებრივი აზრისაგან. კრემლმა 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია თბილისში შეაფასა, როგორც ანტისაბჭოთა, ნაციონალისტური, კონტრრევოლუციური ხასიათის გამოსელა.

9 მარტის ისტორიული მნიშვნელობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შეფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს კი იყო საქართველოში საბჭოთა სისტემის ეროზიის დასაწყისი. 9 მარტს სტალინს საბოლოოდ შეეწირა ქართველთა სისხლი (ნიშანდობლივი და გარკვეულწილად, ალბათ, ფატალურიც, რომ 1902 წლის 9 მარტს, ბათუმში პირველად დაიღვარა სტალინის „მიზეზით" ქართველთა სისხლი). იმ დღეს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა და სწამდა საბჭოთა სისტემა, სტალინის პიროვნების დამსახურება, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ჭეშმარიტება — სერიოზულად დაეჭვდა იმ რეჟიმის არსში, რომელსაც შეეძლო ასე უსამართლოდ გაეწირა და დაეხვრიტა საბჭოთა სისტემის ჭეშმარიტი შემოქმედი ხალხი მხოლოდ იმიტომ, რომ ერთგულება გამოიჩინა იმ პრინციპების მიმართ, რასაც ეს სახელმწიფო ათწლეულების განმავლობაში მას უნერგავდა. აქედან დაიწყო საბჭოთა ღირებულებების დევალვაცია, თანდათან ფასი დაკარგა ყველა მითმა და ლეგენდამ, რაც საბჭოთა სისტემასთან იყო დაკავშირებული. ეს პროცესები საქართველოში თანდათან ძლიერდებოდა და ეუფლებოდა საქართველოს საზოგადოებას, რაც მოგვიანებით სერიოზულ კრიზისში გადაიზარდა.

მართალია, საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები შეეცადნენ (და მათ ეს წარმატებით შეძლეს), რომ 9 მარტის ტრაგედიის შედეგები, განსაკუთრებით მისი უარყოფითი მორალურ-ფსიქოლოგიური ზეგავლენა, ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო ქართული საზოგადოების საერთო განწყობილებაზე, არ გამოწვეია საზოგადოებრივი დეპრესია, გაუთავებელი გლოვის სურვილი, რომ არ ჩამკედარიყო ქვეყანაში შემოქმედებითი იმპულსები, მეცნიერება, თეატრი, მუსიკა.

ამაში მას ცენტრალური ხელისუფლებაც დაეხმარა: გრძნობდა რა პირად პასუხისმგებლობას თბილისში დატრიალებულ მოვლენებზე, ნ. ხრუშჩოვი, შეშინებული იმ რეზონანსით, რაც თბილისის ამბებმა გამოიწვია საზღვარგარეთ, წაიდა კომპრომისზე — საქართველოში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებაზე ნება დართო. ჯერ ერთი, გამოყვეს ხარჯები და საზეიმოდ აღნიშნეს თბილისის დაარსების 1500 წლისთავი. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს გამოჩენილ ქართველი მსახიობებსა და რეჟისორებს (ვ. გოძიაშვილს, ო. დიმიტრიადის, ს. ზაქარიაძეს, ი. სუხიშვილს და ა. მაჭავარიანს). ლენინური პრემიის პირველი ლაურეატი ისტორიის დარგში გახდა ქართველი, აკად. გ. მელიქიშვილი (1957). გატარდა ღონისძიებების სერია, რომლის მიზანი იყო სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაჯანსაღება. გაიხსნა თბილისის ელ-

მაეალმშენებელი ქარხანა, განახლდა დიდი ხნით დაკონსერვებული თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა. საქართველოში ცხოვრება თითქოს ჩვეული რიტმით მიედინებოდა, მაგრამ ქართველთა ცნობიერებაში რუსული სოციალიზმის მიმართ ნდობა სერიოზულად შეირყა.

მოსკოვმაც თბილისის ტრაგედიიდან გარკვეული დასკვნა გამოიტანა – აშკარა იყო, რომ გარკვეულ პირობებში მოკავშირე რესპუბლიკები არ დაემორჩილებოდნენ ცენტრის დიქტატს. ამის თავიდან ასაცილებლად პირველ რიგში მიზანშეწონილად ჩაითვალა ეროვნული საჯარისო ფორმირებების გაუქმება. ნ. ხრუშჩოვის ბრძანებით დაშალეს მეორე მსოფლიო ომში საგმირო საქმეებით გამორჩეული ქართული საჯარისო შენაერთები (414-ე ანაპის სახელობის ოთხგზის წითელდროშოვანი დივიზია), ქართველი გენერლები და ოფიცრები იძულებითი წესით ჩამოაშორეს შეიარაღებულ ძალებს და გადააყენეს.

სწორედ ნ. ხრუშჩოვმა დაიწყო საქართველოს ხელისუფლებასთან მომაეალი პოლიტიკური გართულებების დროს „აფხაზეთის კოზირის" გასათამაშებლად ნიადაგის აქტიური შემზადება. ის ჩინებულად იყენებდა იმას, რომ ერთ-ერთი მისი აგენტი ბიჭვინთაში მდებარეობდა და ამის გამო ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობასთან პირადი ურთიერთობები ჰქონდა. დასტურდება, რომ ნ. ხრუშჩოვი სისტემატიურად აქეზებდა მათ ქართველების წინააღმდეგ, აწვეთებდა მათ აზრს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებ[9]. სწორედ ხრუშჩოვის წაქეზებით და ხელის'შეწყობით აფხაზების შენიღბულმა სეპარატისტმა ლიდერებმა საკუთარი ანბანის გრაფიკა ქართულიდან კვლავ „კირილიცაზე" გადაიყვანეს, რითიც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი ძველი აფხაზების მემკვიდრეები აღარ არიან – რადგან ძველი აფხაზები სწორედ ქართული ერთიანი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი შემადგენელნი იყვნენ და ქართული დამწერლობით სარგებლობდნენ.

სპეციალურ ლიტერატურაში ისიც არის ცნობილი, თუ როგორ აპირებდა ნ. ხრუშჩოვი ქართველების გადასახლებას შუა აზიაში მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც მითიურმა კორველმა დამსვენებელმა წყალტუბოში ქართველებს თურქოფილობა და თურქეთან შეერთების სურვილი დააბრალა.[10]

ყველაფერი ეს აშკარად მიუთითებდა, რომ ხრუშჩოვის „დათბობა" მხოლოდ მოჩვენებითი იყო (გავიხსენოთ ნ. ხრუშჩოვის ბრძანებით უნგრეთში 1956 წელს შეყვანილი საბჭოთა ტანკები და უნგრელების განმათავისუფლებელი ბრძოლის სისხლში ჩახშობა). პირიქით, მის დროს საბჭოთა სისტემა კიდევ უფრო ოდიოზური გახდა, სწორედ მან გაუკეთა პროვოცირება „კარიბის კრიზისს", რითიც მსოფლიო თერმობირთვული კატასტროფის წინაშე დააყენა. ამიტომაც საქართველოში ყველა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ნ.ხრუშოვის პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორებას.

---

1. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004. გვ. 262.
2. იქვე. გვ. 263,
3. А. Мгеладзе. Сталин – каким я его знал. Тб., 2001, стр.193-194.
4. Лаврентий Берия. 1953. документы, М.,1999, стр. 37-38.
5. С. Билокин. Механизм большевитского насилия. Киев. 2000. стр. 7.
6. შ. ნოხაძე, 1956, ტრაგიკული 9 მარტი, თბ., 1992, გვ. 8-9.
7. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004. გვ. 262.
8. იქვე.
9. Д. Струва. Сталин, Хрущов, Брежнев. Тб.,1995. стр. 45.
10. იქვე. გვ. 47.

ვოლუნტარისტული პოლიტიკის შედეგები. საქართველოში საბჭოთა სისტემის ეროზიას ხელი იმანაც შეუწყო, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ დაჰკარგა რეალობის შეგრძნება და ხრუშჩოვის ზეგავლენით მიიღო უტოპიური „კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა", რომელიც 1980 წლისათვის საბჭოთა ქვეყანაში კომუნისტური სისტემის გამარჯვებას ითვალისწინებდა: „უახლოეს ათწლეულში (1961-1970 წლებში) საბჭოთა კავშირი, რომელიც ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ გაუსწრებს კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრ და მდიდარ ქვეყანას – ამერიკის შეერთებულ შტატებს; მნიშვნელოვნად ამაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურულ-ტექნიკური დონე, ყველასთვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური შეძლება; ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გადაიქცევა მაღალნაყოფიერ და მაღალშემოსავლიან მეურნეობად; ძირითადად დაკმაყოფილდება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი კეთილმოწყობილ ბინაზე; გაქრება მძიმე ფიზიკური შრომა; სსრ კავშირი ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა გახდება. მეორე ათწლეულის შედეგად (1971-1980 წლებში) შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვეს მთელი მოსახლეობისათვის; საბჭოთა საზოგადოება უშუალოდ მიეა მოთხოვნილებათა მიხედვით განაწილების პრინციპის განხორციელებასთან, მოხდება თანდათან გადასვლა ერთიან საერთო-სახალხო საკუთრებაზე. ამრიგად, სსრ კავშირში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება".[1]

თავიდან ბოლომდე ეკონომიკურად მცდარი და სოციალურად ილუზორული დოკუმენტი ვარაუდობდა სულ რაღაც ოც წელწადში ქვეყანაში ისეთ ფანტასტიკურ ეკონომიკურ აღმავლობას, რის საფუძველზეც განხორციელდებოდა კომუნისტური პრინციპი: „თითოეულისაგან – უნარის მიხედვით, თითოეულს – მოთხოვნილების მიხედვით!"

ხრუშჩოვის ვოლუნტარისტულმა პოლიტიკამ სიძნელეები შექმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად შენელდა შრომის ნაყოფიერების ზრდა, ყოველ დახარჯულ მანეთზე პროდუქციის უკუგება, ჭიანურდებოდა ახალი სამრეწველო ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლა, ნელა ინერგებოდა წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, ეკონომიკური დაგეგმვის დროს ხშირი იყო შეცდომები, ადგილი ჰქონდა სუბიექტივიზმის შემთხვევებს, ეკონომიკური კანონების უგულებელყოფას, წარმოებული პროდუქცია იყო დაბალი ხარისხის, საერთოდ ნაკლებად ექცეოდა ყურადღება დიზაინს, პროდუქციის იერსახეს.

ამის მიზეზი იყო არა მარტო ხრუშჩოვის ვოლუნტარისტული მართვის მეთოდები, არამედ სტალინური სოციალიზმის ეკონომიკური განვითარების საფუძვლები, რომელიც მოკლებული იყო დინამიურობას, კერძო ინიციატივას, ჯანსაღ კონკურენციას და მთლიანად სახელმწიფო-კაპიტალიზმის პრინციპებს ეფუძნებოდა.

ყოველივე ამის საპიროსპიროდ, დასავლეთში თანდათან იწყებოდა და ყოველწლიურად ძალას იკრებდა ახალი სამრეწველო რევოლუცია. საბჭოთა პროპაგანდის საწინააღმდეგოდ, რომელიც განუხრელად ამტკიცებდა – „დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნები ეკონომიკურ კრიზისში არიანო", იქ მიმდინარეობდა გრანდიოზული ძვრები ეკონომიკის ყველა დარგში.

საბჭოთა კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ (ლ. ბრეჟნევი, ა.კოსიგინი და სხვ.) არსებული ნაკლოვანებები და დარღვევები ხრუშჩოვის მიერ „კოლექტიური მართვის ლენინური პრინციპების" დარღვევებს დაუკავშირა და ხრუშჩოვის მიერ განხორციელებული ბევრი ნოვაცია გააუქმა – აღდგა დარგობრივი სამინისტროები, ხელოვნურად გამსხვილებული რაიონები დაშალეს, გაერთიანდნენ პარტიუ-

ლი სტრუქტურებიც. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დაიწყეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების განხორციელება.

ეკონომიკური დაკაბალების გაძლიერება. ეკონომიკური რეფორმის რეალიზაციის მოტივით ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობდა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკურ დაკაბალებას, რაც გულისხმობდა მრეწველობის ისეთი სტრუქტურული დარგების განვითარებას, რომლებსაც უშუალოდ რესპუბლიკაში სანედლეულო ბაზა ნაკლებად ჰქონდათ და ძირითადად შემოტანილ ნედლეულსა და მოწყობილობებზე იქნებოდნენ დამოკიდებული. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა 50-იანი წლების დასასრულიდან, როცა თბილისში გაიხსნა თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, რომელიც ძირითადად რუსეთიდან შემოტანილი ნედლეულით არსებობდა. 60-70 – იან წლებში საქართველოში ძალიან ბევრი ისეთი საწარმო აშენდა, რომლებიც ძლიერი ეკონომიკური ღერძებით იყვნენ დაკავშირებული რუსეთთან – ასეთები იყო ძირითადად ელექტროტექნიკური პროფილის საწარმოები.

ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის პირობებში ეკონომიკური კავშირები განუწყვეტლივ ი'ზრდებოდა: საქართველოში შემოდიოდა სტრატეგიული ნედლეული: გაზი, ნავთობი, ხორბალი, ელექტროენერგია და სხვ. საქართველოდან გადიოდა: მარგანეცი, სპილენძის მადანი, ფეროშენადნობები, ელმავლები, ელექტროტექნიკური, მანქანათმშენებლობისა და ჩარხმშენებლობის პროდუქცია. ეს უკანასკნელნი არ გამოირჩეოდნენ ძალიან მაღალი ხარისხით, მაგრამ გათვლილი იყო საბჭოთა მომხმარებელზე და მას აუცილებლად იღებდნენ საბჭოთა კავშირის საწარმოები, რადგან ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომლექსის პირობებში არსებობდა იძულებითი ინტეგრაცია

გაძლიერდა ეკონომიკური კავშირები უშუალოდ სამრეწველო კოლექტივებს შორის. 60-70-იან წლებში საქართველოში ძნელად მოიძებნებოდა სამრეწველო შრომითი კოლექტივი, რომელსაც მრავალმხრივი კავშირი არ ჰქონოდა საბჭოთა კავშირის მონათესავე საწარმოებთან. მაგალითად, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა მოტორ-კომპრესორებს, პნევმატურ სარქველებს და სხვა მნიშვნელოვან დეტალებს იღებდა ნიეფერკასკისა და დნეპროძერჟინსკის ელმავალმშენებელი ქარხნებიდან. თბილისის №31 ქარხანა, რომელიც სამხედრო თვითმფრინავებს უშვებდა, მთლიანად საკავშირო კოოპერირებას ეფუძნებოდა. რუსთავის ქიმიური კომბინატის კარბიდის საწარმო საბჭოთა კავშირის 35 ქალაქიდან იღებდა საჭირო დანადგარებს. თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი" საბჭოთა კავშირის 240 საწარმოდან იღებდა საჭირო ნედლეულს და ნახევარფაბრიკატს.[2]

იგივე მიზნები ჰქონდა „საუკუნო მშენებლობებს" – ენგურის ჰიდროენერგეტიკული გიგანტის მშენებლობა მხოლოდ ერთიანი ეკონომიკური სისტემის საშუალებით იყო შესაძლებელი, დაფინანსება, ტექნიკური უზრუნველყოფა, კადრები – ყველაფერი ეს ცენტრალური მომარაგებით ხდებოდა. ამას თან ერთვოდა სპეციალისტთა კადრების მიგრაცია, რაც სახეს უცვლიდა საქართველოს დემოგრაფიულ სტრუქტურას. ასეთი მშენებლობების ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს იყო. მაგალითად, საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრში რუსთავში, მისი სამრეწველო პროფილის გამო, სამუშაოდ და საცხოვრებლად ჩამოდიოდნენ მიგრანტები რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან. თუმცა ეს პროცესები წინა პერიოდთან შედარებით შესამჩნევი უკვე აღარ იყო. 1970 წელს საქართველოს მიგრაციულ ნაკადში მარტო რუსეთის ფედერაციიდან შემოვიდა 11 461 ახალმოსახლე[3].

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მაღნეულის კომბინატის მშენებლობა, რომელიც ასევე საკავშირო დარგობრივ სამინისტროს ეკუთვნოდა. ის ადგილობრივ ფერად ლითონებს გადაამუშავებდა. ეს უნიკალური საბადო უხვად შეიცავდა სპილენძს, ტყვიას, ბარიტს, თუთიას და ა.შ. პროდუქციის ძირითად ნაწილს ასევე საკავშირო ხელისუფლება განკარგავდა.[4]

საქართველოში წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაწილიც საბჭოთა ბაზრისათვის იყო გამიზნული: როგორც სამრეწველო პროდუქცია, ისე განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო ნედლეული: ღვინო, ჩაი, ციტრუსები, მინერალური წყლები და სხვ. ძირითადად საბჭოთა ბაზარზე ერცელდებოდა. ამგვარად, საქართველო ეკონომიკურ ღვედებში იყო მოქცეული – მისი სამრეწველო პროდუქცია, მართალია, არცთუ მაღალი ხარისხის, მაგრამ საკმაოდ მრავალფეროვანი, აუცილებლად უნდა გაყიდულიყო საბჭოთა კავშირის ბაზარზე, ის გათვლილი იყო საბჭოთა, უპრეტენზიო მომხმარებელზე. საქართველოს პროდუქციის გარკვეული ნაწილი იგზავნებოდა მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში, ესეც ძირითადად სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, მაგრამ ეს ხდებოდა მკაცრად განსაზღვრული ეკონომიკური კოოპერაციით, რაც მოსკოვიდან იგეგმებოდა და ადგილობრივ ხელისუფლებას მასში რაიმე სერიოზული კორექტივის შეტანის შესაძლებლობები არ ჰქონდა.

საქართველო სუბტროპიკული ხილის, ყურძნის, ციტრუსების, ჩაის და სხვა კულტურების საბჭოთა კავშირის ძირითადი დამამზადებელი იყო. დასავლეთ საქართველოში ციტრუსების წარმოება სოფლის მეურნეობის მთავარი და წამყვანი მიმართულება იყო: თუ 1960 წელს ციტრუსების პლანტაცია გაშენებული იყო 9, 3 ათას ჰექტარზე, 1970 წელს – უკვე 16,3 ათას ჰექტარზე. ასევე გაიზარდა ჩაის პლანტაციების საერთო მოცულობაც: თუ 1960 წელს მან შეადგინა 55,6 ათასი ჰექტარი, 1970 წელს – უკვე 64,8 ათასი ჰექტარი. ყოველწლიურად იზრდებოდა ვენახების ფართობი – საქართველოს ღვინისა და კონიაკის მნიშვნელოვანი მომწოდებელი იყო და მისი ძირითადი ბაზარი – რსფსრ იყო.[5] მისი დაკარგვა უდავოდ გამოიწვევდა ქვეყანაში ეკონომიკურ კოლაფსს.

ყველაფერი ეს იმისათვის კეთდებოდა, რომ საბჭოთა კავშირისათვის შეექმნათ ერთიანობის ეკონომიკური საფუძველი, რომ არ დაშლილიყო მთლიანი ეკონომიკური ორგანიზმი, არ დაბადებოდათ რესპუბლიკებს კავშირიდან გასვლის სურვილი.

ახალი პოლიტიკური ღვედები. მაგრამ მოსკოვისათვის ესეც არ იყო საკმარისი. მას საქართველოში ისეთი აღგილობრივი ხელმძღვანელობა სჭირდებოდა, რომელიც უფრო მოქნილად და უფრო შემტევად განახორციელებდა კრემლის ლიდერების პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ჩანაფიქრს. მოსკოვს განსაკუთრებით აღელვებდა უკვე აშკარად შესამჩნევი საბჭოთა ინტელიგენციის, განსაკუთრებით ეროვნული ინტელიგენციის რიგებში ფარული ანტიკომუნისტური განწყობილებების, პატრიოტული სულიკვეთების გაძლიერება. შემთხვევითი არ არის, რომ 1972 წლის 22 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტმის მიერ მიღებულ დადგენილებაში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ", ხაზგასმით აღინიშნა ნაციონალიზმის რეციდივების არსებობა ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის ერთ ნაწილში.[6]

საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა ე. შევარდნაძე. მან თავის მოვალეობად დაისახა კრემლის მიზანდასახულობათა უპირობო შესრულება, საქართველოში საბჭოთა იდეოლოგიის განმტკიცება და განსაკუთრებით რუსეთთან საქართველოს ისტორიული ურთიერთობების მხოლოდ დადებითი ასპექტების წამოწევა და ძისი პროპაგანდა.

ე. შევარდნაძემ თავისი ეკონომიკური ნოვაციებით კიდევ უფრო მტკიცედ მიაჯაჭვა საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა სისტემას. მის მიერ განხორციელებული ეკონომიკური ექსპერიმენტები: „აბაშის ექსპერიმენტი", „ფოთის ექსპერიმენტი" მხოლოდ კრემლთან საკუთარი აუტორიტეტის განმტკიცებას ისახავდა მიზნად და არავითარ მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგებს ქვეყანას არ აძლევდა.

მოსკოვი რომ დაერწმუნებინა თავის სრულ ლოიალობაში, საქართველოს კომპარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ იდეოლოგიურ მუშაობაში განსაკუთრე-

ბული აქცენტი ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის პროპაგანდის გაძლიერებაზე გააკეთა. 1972 წელი – საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის 50-წლის იუბილეს დაემთხვა. პარტიულ-პროპაგანდისტული მუშაობის მთავარი ძალისხმევა ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრიობის, რუს ხალხთა საუკუნო კავშირის პროპაგანადას, საქართველოს ისტორიაში რუსეთის განსაკუთრებული როლის წარმოჩენას მოახმარეს. უშუალოდ ცკ პირველი მდივნის მიერ გადაისინაჯა რუსეთთან საქართველოს შეერთების შეფასების ცნობილი სტალინური ფორმულა – როგორც „მცირე ბოროტება" და მის ნაცვლად კატეგორიულად გაცხადდა „საქართველოში მზის ჩრდილოეთიდან ამოსვლის" კონცეფცია. ყველასთვის აშკარა იყო, თუ რას ითვალისწინებდა ეს ხატოვანი გამონათქვამი. ამან ქართველი ინტელიგენციის აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამ კონცეფციის მეცნიერულად დასაბუთებას შეეცადნენ.[7]

ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრებისათვის იყო მოწოდებული მეორე მნიშვნელოვანი დადგენილებაც: „მაენე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" (1975 წ.). ქართული ეროვნული, განსაკუთრებით რელიგიური ტრადიციების შესრულების ნაცვლად ქართველ ხალხს სთავაზობდნენ აღენიშნათ „ტრადიციული შრომითი დღესასწაულები, კომუნისტური შაბათობანი, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, მუშად და კოლმეურნედ კურთხევა და ა.შ."[8]

ამ დადგენილებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, მიუხედავად ყოველმხრივი მცდელობისა, მან ვერც ერთი ტრადიციული წეს-ჩვეულება, რომლის წინააღმდეგაც დადგენილება იყო მიმართული, ვერ აღმოფხვრა. სამაგიეროდ გასაგები გახდა, რომ საქართველოს კომპარტიის ახალი ხელმძღვანელობა ცდილობდა ეროვნული ცნობიერების შესუსტებას.

ბრძოლა ეროვნულ ცნობიერებასთან. რელიგიური ტრადიციების, ფაქტობრივად კი ქართული სულიერების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის აღსაყდრების შემდეგ (1977 წ.), რადგან ახალმა კათოლიკოს-პატრიარქმა მიზნად დაისახა ქართველების მართლმადიდებლური ეკლესიისაკენ შემობრუნება. ქვეყანაში წმინდა წიგნის ზეგავლენის გაძლიერება, სულიერების, სათნოების პროპაგანდა. მისი შინაარსიანი, გულმხურვალე ქადაგებები სიონის საკათედრო ტაძარში ბევრ ახალგაზრდას იზიდავდა, რაც სერიოზულად აღელვებდა საქართველოს პარტიულ, კომკავშირულ ხელმძღვანელობასა და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს. მოიფიქრეს სხვადასხვა ღონისძიება რესპუბლიკაში ათეისტური პროპაგანდის გასაძლიერებლად.

მოსკოვის ხელმძღვანელთა გულისმოგებას ისახავდა მიზნად, აგრეთვე, დადგენილება „რუსეთის სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (1973 წ.). საერთოდ, 70-იან წლებში მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლება ფორსირებული ტემპით ცდილობდა ახალი იდეოლოგიური პოსტულატებით განემტკიცებინა და მართლაც ურღვევი გაეხადა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო. ამ მიზნის სარეალიზაციოდ გამოიგონეს დოქტრინა – „საბჭოთა ხალხის, როგორც ახალი ისტორიული ერთობის შესახებ". ამ ფსევდოთეორიის აეტორები დოგმატურად ამტკიცებდნენ, რომ დაიწყო და მიმდინარეობს საბჭოთა ერების შერწყმა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრანდიოზულმა შედეგებმა უკვე შეადგინა საბჭოთა ერები და ეროვნებები, რომლებიც წარმატებით აშენებენ „განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას" – ამ უკანასკნელი დოგმის შეთავაზება გამოიწვია იმან, რომ საბჭოთა საზოგადოება სულ უფრო უახლოვდებოდა ნ. ხრუშჩოვის მიერ დაპირებულ კომუნიზმის ხანას, მაგრამ ქვეყანაში, პროდუქციის სიუხვისა და სოციალურ-ეკონომიკური წარმატებების ნაცვლად, უამრავმა გადაულახავმა პრობლემამ იჩინა თავი.

უდიდესი ძალისხმევით მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა დაენერგა დოგმა „ორენოვნების შესახებ", რაც გულისხმობდა რუსული ენისა და მშობლიური ენის პარალელურ თანაარსებობას. ეს, ფაქტობრივად, მხოლოდ არარუს ეროვნებებზე გათვლილი ღონისძიება, აშკარად რუსიფიკატორული პოლიტიკის აღორძინება იყო, რადგან ეს მოთხოვნა არ ეროვნებებზე — ისინი „ერთენოვანი" რჩებოდნენ ყველა იმ რესპუბლიკაშიც კი, სადაც ათეული წელი ცხოვრობდნენ და ადგილობრივ ენაზე საუბარი კი არა, მისი გაგებაც კი არ შეეძლოთ. მიუხედავად ამისა, დიპლომიანი ლაქიების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების უზარმაზარი არმია ცდილობდა ამ დოგმის პროპაგანდა-რეალიზებას. ზოგ რესპუბლიკაში (მაგალითად, უკრაინაში, ბელორუსიაში, შუა აზიაში) ამ ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. საქართველოში კი ამ იდეის პროპაგანდა სერიოზულად აღაშფოთებდა ქართველ ინტელიგენციას, ახალგაზრდობას. მით უფრო, რომ ცენტრის მითითების საფუძველზე ეროვნულ რესპუბლიკებში სულ უფრო და უფრო მცირდებოდა გამოყოფილი საათების რაოდენობა ეროვნული ისტორიის, გეოგრაფიის, ლიტერატურის შესასწავლად. სამაგიეროდ იზრდებოდა საათები „საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიაში", რაც ფაქტობრივად „რუსეთის ისტორია" იყო და მიზნად ისახავდა რუსეთის კულტურისა და ისტორიისადმი მონური ქედმოხრის გრძნობით აღზრდას. პროტესტმაც არ დააყოვნა...

რომ შეექმნათ მოჩვენებითი წინსვლის ილუზია, მოსკოვის ლიდერებმა გადაწყვიტეს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღება, როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე მოკავშირე რესპუბლიკებისათვის. ეს ახალი საბჭოთა კონსტიტუციები, ზოგადი რიტორიკის გარდა, დიდად არაფრით განსხვავდებოდნენ 1936 წლის კონსტიტუციისაგან, განსაკუთრებით პიროვნების დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიების თვალსაზრისით. მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტებში, „სტალინური" კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ამოიღეს მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსის მუხლი. ამ ფაქტმა უკიდურესად ააღელვა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია: უმაღლეს სასწავლებებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში საქ.კპ ცკ წარმომადგენლებს განუმარტავდნენ ასეთი გადაწყვეტილების მაგვნე ხასიათს. მიუხედავად ამისა, 1978 წლის 14 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაიწყო საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა. შეიქმნა საფრთხე, რომ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს კონსტიტუციიდან ამოიღებდნენ. მოწინავე ინტელიგენციის მიერ დარაზმული თბილისის სტუდენტობა ქუჩაში გამოვიდა. მთავრობის სახლთან გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. ქართველი ახალგაზრდები მოითხოვდნენ ეროვნული ენის ინტერესების დაცვას. ყოველ წუთს შეიძლება ვითარება უმართავი გამხდარიყო. საქართველოდან მოსკოვში ლ.ბრეჟნევს აცნობეს თბილისში შექმნილი ვითარება: მოსკოვი იძულებული გახდა უკან დაეხია. ქართველი ახალგაზრდობის გმირობამ ქართულ ენას კონსტიტუციაში კვლავ დაუმკვიდრა სახელმწიფო სტატუსი.

აფხაზური „კოზირი" კრემლის ხელში. მაგრამ მოსკოვმა ძალიან მალე შური იძია ქართველებზე ამ სითამამისათვის და საკუთარი მარცხისათვის. რუსეთის ანტიქართული ძალების ხელშეწყობით 1978 წელს სერიოზული დაძაბულობა შეიქმნა აფხაზეთში, ძირძველ ქართულ კუთხეში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, მოსკოვი ფარულად მუდამ აღვიზებდა აფხაზეთში ანტიქართულ განწყობილებებს: პოლიტიკურ და კულტურულ ორიენტაციაში, კადრების შერჩევასა და განაწილებაში და ა.შ. აფხაზეთის ახალ კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესის დროს ადგილობრივმა ეთნოკრატიის სეპარატისტულად განწყობილმა ლიდერებმა მიიღეს წერილი საკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც აფხაზების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების ყველა დანაშაული ქართველ ერს დააბრალეს. მოითხოვდნენ აფხაზეთის სტატუსის შეცვლას. ვითარება დაიძაბა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი ყოველნაირად მალავდა

წერილის შინაარს, მაგრამ ის ცნობილი გახდა ქართველი ინტელიგენციისათვის, რომელმაც მოითხოვა წერილში მოტანილი ინსინუაციების დასაბუთებული უარყოფა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ აფხაზ ლიდერებთან მორიგება ამჯობინა და მოსკოვთან შეთანხმებით ერთობლივად შემუშავდა სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი: „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებების შესახებ", რომელიც მიიღეს 1978 წლის ივნისში. დადგენილება ითვალისწინებდა ავტონომიურ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. მაგრამ დადგენილება ფაქტობრივად ამკვიდრებდა რეგიონში აფხაზი ეთნოკრატიის შეუზღუდველ ძალაუფლებას, რიგი ღონისძიება აშკარად ლახავდა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ინტერესს: სოხუმის პედინსტიტუტი, რომელშიც უმრავლესობა ქართველი პედაგოგები და სტუდენტები იყვნენ, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთდა, აფხაზეთში შეიქმნა დამოუკიდებელი ტელევიზია, რომელსაც მთლიანად ეთნოკრატია აკონტროლებდა და ა.შ. ამ დადგენილების ნეგატიური ასპექტები მოგვიანებით აშკარად გამოვლინდა.

---

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, სკკპ XXII ყრილობის მასალები. თბ., 1962, გვ. 455-456.
2. ა. დაუშვილი. საეროვნებათაშორისო ურთიერთობა საქართველოში 1921-1985 წ.წ. სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1999, გვ. 292.
3. Итоги Всесоюзной переписи населения. М., 1971. с. 36.
4. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004. გვ. 299.
5. იქვე.
6. იდეოლოგიური მუშაობის საკითხები, თბ., 1983, გვ. 9
7. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004. გვ. 308.
8. იდეოლოგიური მუშაობის საკითხები. თბ., 1983, გვ. 165.

ეროვნული ცნობიერების განვითარება და გაძლიერება

დეკოლონიზაციის მსოფლიო პროცესები. 60-70-იან წლებში მსოფლიოში მოხდა კარდინალური ძვრები, რომლებმაც მოითხოვეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც რადიკალურად შეცვლილიყო საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ინდუსტრიული განვითარების შედეგად დასავლეთ ევროპასა და ჩრ. ამერიკაში ჩამოყალიბდა პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოება, რომელმაც უზრუნველყო თავისი მოქალაქეების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საუკეთესო პირობები, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული კრიტერიუმების რეალიზება. პიროვნების სამოქალაქო უფლებები გარანტირებული იყო. პროლეტარიატის, როგორც სოციალური კლასის, მნიშვნელობა ამ საზოგადოებაში ყო-

ველწლიურად მცირდებოდა და ბოლოს გაქრა კიდეც როგორც კლასი, რითაც სოციალური დასაყრდენი გამოეცალა რადიკალურ კომუნისტურ მოძრაობას. დასავლეთ ევროპის კომუნისტებს შორის გაჩნდა „ევროკომუნიზმის" ერესი, შეხედულებათა სისტემა, რაც საგრძნობლად განსხვავდებოდა მოსკოვის იდეოლოგიის პოლიტიკური შეხედულებებისაგან, და ზოგ შემთხვევაში, გლობალური პოლიტიკური პროცესების შეფასების დროს, აშკარად და რადიკალურად უპირისპირდებოდა კიდეც მათ.

70-იან წლებში მსოფლიოში, თითქმის დასრულდა დეკოლონიზაციის გლობალური პროცესი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროს ეგიდით აზიის, ამერიკის, აფრიკის კონტინენტებზე ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების (მაგალითად, ინდოეთის, ბირმის, ლაოსის, ეგვიპტის, მაროკოს, ტუნისის, ალჟირის, კვიპროსის, მალტის და ა.შ.) შექმნის პერმანენტული პროცესი თავის ლოგიკურ დაგვირგვინებას ელოდა და მოსკოვის განუსაზღვრელ დიქტატურაზე მთლიანად დამოკიდებული (მოკავშირე რესპუბლიკების) და ნახევრად დამოკიდებული (სოციალისტური ბანაკის) ქვეყნების ეროვნულ-პატრიოტულ ძალებში იმედებს აღძრავდა, რომ უკვე შორს არ იყო სანუკვარი თავისუფლება.

70-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარად შესამჩნევი გახდა საბჭოთა სახელმწიფოს (სოციალისტური ბანაკის ძირითადი ღერძის) ეკონომიკური ჩამორჩენა დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით. დასავლეთში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები, ელექტროტექნიკური მრეწველობის არნახული განვითარება, ახალი სისტემის გამოთვლითი მანქანები, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ. ზრდიდა ამ ქვეყნების, როგორც მსოფლიოში ტექნიკური პროგრესის მთავარი ძალის, მნიშვნელობას.

ძვირად უჯდებოდა საბჭოთა ქვეყანას „ზესახელმწიფოს" პოლიტიკური იმიჯი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მოსკოვისადმი ლოიალურად განწყობილი რეჟიმების, „ანტიიმპერიალისტური" ძალების – სინამდვილეში კი საერთაშორისო დაძაბულობის კერების (ლიბია, ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა, მოზამბიკა, ეთიოპია და სხვ.) მხარდაჭერა, მატერიალური და, რაც მთავარია, სამხედრო დახმარება. საბჭოთა კავშირი სულ უფრო დაემსგავსა რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას, რომელიც მხოლოდ იმპერიული ამბიციებით მოქმედებდა და საერთოდ არ უწევდა ანგარიშს საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის ინტერესებს, ეკონომიკურ თუ სულიერ მოთხოვნებს. ასეთი დამოკიდებულებით მოსკოვის კრემლის ხელმძღვანელობამ სულ გააბათილა ის ილუზიები, რაც მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ფორმირების დროს მის ორგანიზატორებს ჰქონდათ – ერთიანი ძალისხმევით შეექმნათ ღირსეული და ბედნიერი ცხოვრება მშრომელთა დიდი უმრავლესობისათვის.

დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები ცდილობდნენ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის შემდგომი ექსპანსიის შეჩერებას, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცევას, იმის მიღწევას, რომ საბჭოთა სახელმწიფოს შეეწყვიტა მხარდაჭერა და დახმარება ტერორისტების მფარველი დიქტატორული რეჟიმებისათვის.

ამ მიზნით შეიქმნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), რომელმაც მიზნად დაისახა შემაჯამებელი დოკუმენტის შემუშავება. 1973-1975 წლებში მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკება ევროპისა და ჩრ.ამერიკის სახელმწიფოებს შორის. 1975 წ. 1 აგვისტოს ჰელსინკში, კონგრესების სასახლეში ხელი მოაწერეს „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის დასკვნით აქტს", რომელიც აღიარებდა ომისშემდგომი სახელმწიფო საზღვრების ურღვევობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, ევროპის უშიშროებას, ადამიანთა უფლებათა დეკლარაციის მოთხოვნების უპირობო აღიარებას და შესრულებას, ინფორმაციების გაცვლას, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის დარგში ქვეყნებს შორის ინტენსიური კავშირების განვითარებას.

საბჭოთა კავშირმა და მისმა სატელიტებმა ევროპაში, მართალია, ხელი მოაწერეს ამ დასკვნით აქტს, მაგრამ არც კი უცდიათ მისი პრინციპების რეალიზება, განსაკუთრებით კი პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების მსოფლიოში აღიარებული კრიტერიუმების საკუთარ ქვეყანაში დამკვიდრება. საბჭოთა სისტემა კვლავ „დახურულ საზოგადოებად" რჩებოდა თავისი, 30-იან წლებში ჩამოყალიბებული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი პრინციპებით.

დისიდენტური მოძრაობა. მაგრამ საბჭოთა საზოგადოებაში უკვე არსებობდნენ ძალები, რომლებიც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდნენ. ესენი ახალგაზრდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელები იყვნენ. მათ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში შექმნეს ანტისაბჭოთა პოზიციებზე მდგომი არალეგალური ჯგუფები.

უკვე 60-იანი წლების დასასრულს თბილისში შეიქმნა არალეგალური ორგანიზაცია „ეროვნული თვითშეგნების აღორძინება" (ე. ღლონტი და სხვ.). ახალგაზრდა ინტელიგენტთა ეს დაჯგუფება უშიშროების ორგანოების რეპრესიის მსხვერპლი გახდა.[1]

1974 წ. თბილისში შეიქმნა „ადამიანის უფლებათა დაცვის" საინიციატივო ჯგუფი (ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ე. რცხილაძე და სხვ.) როცა 1976 წელის 12 მაისს მოსკოვში ჩამოყალიბდა „ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულების ხელშემწყობი ჯგუფი", თბილისის „ადამიანის უფლებათა დაცვის" ჯგუფი გადაკეთდა „ჰელსინკის ჯგუფად". მათ გამოსცეს ლიტერატურული ჟურნალი „ოქროს საწმისი" (სულ ოთხი ნომერი) და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს მოამბე", მაგრამ, ეს გამოცემები იყო ხელნაწერი, ვრცელდებოდა მხოლოდ ძალიან ერთგულ ადამიანთა შორის, ტირაჟიც იყო ძალიან მცირე. ჯგუფის წევრებს განუწყვეტლივ უთვალთვალებდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და ამიტომ მათი პროპაგანდისტული შესაძლებლობები ერთობ შეზღუდული იყო.[2]

მაგრამ სულ სხვა იყო ის ძლიერი ტენდენციები და აშკარა პროტესტი, რაც 70-იან წლებში შეიმჩნეოდა ქართულ ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში.

70-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თავის მოთხრობებში, ლექსებში ილაშქრებდნენ პიროვნების უფლებების შელახვის, რუსიფიკაციის პოლიტიკის გაძლიერების წინააღმდეგ, იღვწოდნენ ეროვნული თვითშეგნების აღამაღლებლად, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებებისათვის. რამდენადაც მათი მოღვაწეობა უფრო ლეგალური იყო, ამიტომ მოსახლეობაზე ზემოქმედების შედეგები – უფრო შთამბეჭდავი და ძლიერიც.

ახალი სულისკვეთების მწერლებს შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს ვ. ურჯუმელაშვილი და მისი რომანი „ფერისცვალება", რ. ჯაფარიძის ნარკვევი „ადამიანთა მორჩილი ზღვა", გ. ფანჯიკიძის „თეალი პატიოსანი", რომლებშიც მხილებული იყო თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების წყლულები, არსებული სულისშემხუთველი ვითარება, პიროვნების სულიერი კაშანი.[3]

70-80-იანი წლების საქართველოს ინტელიგენციის დემოკრატიულ თვალსაზრისს და რეჟიმისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავდა მწერალი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე. მისი ობიექტური, პატრიოტული და უკომპრომისო სტატიები და პუბლიკაციები, საინტერესო საჯარო გამოსვლები მოსწონდა საზოგადოებას. ის თავის გამოსვლებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ობიექტურად აშუქებდა.

დიდი დამსახურება მიუძღვის რ. თაბუკაშვილის პატრიოტულ კინო-პუბლიცისტიკას. მისი „ალპიური ვარსკვლავი", „ვიტორიო სელა" და სხვა დოკუმენტური ფილმები სწორედ პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების პრობლემებს ეხებოდა. ეს ფილმები ამტკიცებდნენ ეროვნულ ცნობიერებას, პატრიოტიზმს, ჰუმანიზმის იდეალებს.[4]

ქართული კინოს, ქართული თეატრის, ქორეოგრაფიის აღმაველობა და საერთაშორისო აღიარება, უდავოდ ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას,

აყალიბებდა გადაულახავ კონფლიქტს არსებულ სინამდვილესთან, საზოგადოების სხვადასხვა ფენაში წარმოშობდა რადიკალური განახლების სურვილს და მისი რეალიზაციის აუცილებლობის მოთხოვნილებას. ინტელიგენციის ცალკეულმა წარმომადგენელმა საბჭოთა სინამდვილის, კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური დიქტატის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი გამოხატა საბჭოთა ქვეყნიდან გაქცევით. სხვადასხვა მიზეზით საშობლო დატოვეს მსახიობმა ნუგზარ შარიამ, დირიჟორმა ე. ჟორდანიამ და მსოფლიოში ცნობილმა პიანისტმა ლექსო თორაძემ.

აღსანიშნავია მწერლისა და მეცნიერის, ე. კოტეტიშვილის ინიციატივით დაწყებული „ფოლკლორული საღამოების" მნიშვნელობა, რომელმაც არა მარტო ხელი შეუწყო ახალი სახალხო მთქმელების, შემსრულებლების გამოელენას, არამედ უზრუნველყო ძლიერი პატრიოტული გრძნობების განვითარება, ეროვნული თვითშეგნების ამაღლება.[5]

იდეოლოგიური დიქტატის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება გაერცელდა ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ლიტერატორები ცდილობდნენ კომუნისტური დოგმატიკის მსხვრევას, თავისუფალი სიტყვის თქმას, შეფარვით, ეზოპეს ენით ისინი თავიანთ თხზულებებში ცდილობდნენ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემის ახლებურად გაშუქებას. იყო მცდელობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ობიექტური, არაკომუნისტური, არანეგატიური შეფასების (ისტორიკოსები უ.სიდამონიძე, ა.ბენდიანიშვილი), დოგმატიკას ფილოსოფიაში ებრძოდნენ ფილოსოფოსი მ. მამარდაშვილი და სხვ., თუმცა ასეთ მცდელობას, როგორც წესი, ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული ზემოქმედება მოჰყვებოდა ხოლმე.

ყველაფერმა ამან შეამზადა მსოფლმხედველობითი საფუძვლები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალუმი აღმავლობისათვის. ამ პერიოდში მისი ჰეგემონი და საჭვომპყრობელი საქართველოს ინტელიგენცია იყო, რომელიც საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლის რადიკალური ფორმების გამორიცხვით, ცდილობდა საზოგადოების ევოლუციას სულიერი განწმენდის გზით.

ასევე ფიქრობდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც, რომელიც ქვეყანაში თანდათან სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას იხვეჭდა.

ამრიგად, ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ ძირითადად მოხერხდა 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ეროვნული ცნობიერების განვითარება და განმტკიცება.

---

1. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004. გვ. 324.
2. იქვე.
3. იქვე, გვ.325.
4. იქვე.
5. იქვე, გვ.326.

„ბოროტების იმპერია“. 70-იანი წლების ბოლოს საბჭოთა პოლიტიკური ელიტა აშკარად კარგაევდა რეალიზმის გრძნობას, გერონტოკრატიის მახინჯი მმართველობის შედეგები ქვეყანაში სულ უფრო საცნაური გახდა. აღლანეთში საბჭოთა გავლენის განსამტკიცებლად, 1979 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირმა ამ ქვეყანაში სამხედრო შენაერთები შეიყვანა, რითიც მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა თავისი იმპერიალისტური ბუნება. ამან გამოიწვია უდიდესი პოლიტიკური მღელვარება მსოფლიოში, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატები, მოითხოვდნენ საბჭოთა ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანას აღლანეთიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციებით იმუქრებოდნენ. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა მსოფლიოს საზოგადოებრიობის მოთხოვნა, რის გამოც დასავლეთის სამყარომ რადიკალურად გაამძაფრა დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

საბჭოთა აგრესიის ესკალაციას მსოფლიოში დაუპირისპირდნენ დასავლეთის სამყაროს ძლიერი პოლიტიკური ლიდერები: რონალდ რეიგანი (აშშ), მარგარეტ ტეტჩერი (დიდი ბრიტანეთი), ფრანსუა მიტერანი (საფრანგეთი), ჰელმუტ კოლი (გფრ) და სხვები, რომლებმაც მიზნად დაისახეს არა მარტო საბჭოთა აგრესიის ფარული თუ აშკარა ექსპანსიის შეჩერება, არამედ „ბოროტების იმპერიის“ (ასე უწოდა რ. რეიგანმა საბჭოთა კავშირს თავის ერთ-ერთ გამოსვლაში) საერთოდ დასამარება.

ხელისუფლებაში რონალდ რეიგანის მოსელისთანავე, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შეიმუშავა საბჭოთა იმპერიასთან ურთიერთობის ეფექტური პოლიტიკური კურსი, რომელსაც მიზანმიმართულად ახორციელებდა: ეს იყო მოწინააღმდეგის ეკონომიკური გამოფიტვის, გამალებული შეიარაღებით მისი მოქანცვის, ეკონომიკური გაკოტრების კურსი. ამ კურსმა თავისი შედეგები მალე გამოიღო.

სამხედრო მოქმედება აღლანეთში საბჭოთა კავშირს, მართლაც, კოლოსალური თანხები უჯდებოდა. ძალიან მალე აშკარა გახდა, რომ ომი ხანგძლივი და მომქანცველი იქნებოდა. აღლანელი მოჯახედები, ამერიკული იარაღის გამოყენებით, ჩინებულად ებრძოდნენ საბჭოთა ოკუპანტებს. აღლანეთში საქართველოდან იძულებით გაწვეული ათასობით ახალგაზრდა იბრძოდა. ომში დაღუპულთა თუთიის კუბოები საიდუმლო ეითარებაში მოჰქონდათ სამშობლოში და უჩუმრად ასაფლავებდნენ. საქართველომაც უდიდესი ადამიანური მსხერპლი გაიღო ამ უაზრო ომში.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელისუფლება იმ წლებში განაგრძობდა მოსკოვის ხელისუფლების ნებისმიერი ღონისძიების მხარდაჭერის, აუცილებლად მოწონების და უკრიტიკოდ მიღების ტრადიციულ პოლიტიკას. პირიქით, ისინი ასევე აქტიურად ჩაებნენ იმ ულირს და შეუფერებელ ღონისძიებაში, რასაც ლ. ი. ბრეჟნევის პიროვნების კულტის დამკვიდრება ერქვა და რასაც მთელი პარტიული-პროპაგანდისტული მანქანა ყველა ხერხით ცდილობდა. საქართველოს პარტიული ხელმძღვანელის ზღვარგადაცილებული ლიქნი აღიზიანებდა ქართველ ინტელიგენციას, საზოგადოებას.[1]

მაგრამ, საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აქცევდა ქართული საზოგადოების მოსაზრებებს და მოსკოვის გულის მოსაგებად სულ უფრო და უფრო ახალ, ინტერნაციონალისტური ღონისძიებების ჩასატარებლად საბაბს ეძებდა. გადაწყდა გამორჩეული პომპეზურობით აღენიშნათ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილე.

ამ გადაწყვეტილებამ გააღიზიანა ქართველი ინტელიგენცია – ეს ეწინააღმდეგებოდა თავის დროზე თვით პირველი კომუნისტების მიერ გამოთქმულ შეხე-

ღულებებს მეფის რუსეთის კავკასიაში დამკვიდრების – როგორც „უმცირესი ბოროტების“ შესახებ. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც იმედოვნებდა, რომ ასეთი პრორუსული აქცია ახალ ასიგნებებს, დამატებით შეღავათებსა და პრივილეგიებს მოუტანდა რესპუბლიკას, არ ისმენდა თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კელეეითი ინსტიტუტების (ისტორიისა და ეთნოგრაფიის, ფილოსოფიის, ლიტერატურის და სხვ.) კოლექტივების სამართლიან პროტესტს. ქართველი მეცნიერები პარტიულ ფუნქციონერებს ლოგიკურად უმტკიცებდნენ, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი ის თარიღი არ არის, რომელიც ზარ-ზეიმით უნდა აღნიშნოს ღირსეულმა ხალხმა. პარტიული ნომენკლატურა მაინც შეუვალი იყო. რა თქმა უნდა, მას ამ საქმეში მხარდამჭერიც ჰყავდა – ლოიალურად განწყობილი ინტელიგენცია: დაიბეჭდა არა ერთი საიუბილეო პუბლიკაცია, კინო-სტუდია „ქართულ ფილმს“ დაუკვეთეს მრავალსერიანი ისტორიული ფილმი „წიგნი ფიცისა“, რაც საკავშირო ტელევიზიით გადაიცა. ქართველი მოქანდაკეები მუშაობდნენ უამრავ პროექტზე, რომელსაც უნდა უკვდავეყო რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ეს ისტორიული თარიღი.[2]

ქართველ ინტელიგენციასთან ერთად ამ პომპეზური დღესასწაულის წინააღმდეგ ილაშქრებდა სტუდენტი ახალგაზრდობა, რომლიც პროტესტის უფრო რადიკალურ ფორმებს იყენებდა, – აწყობდნენ ქუჩის აქციებს. მილიციამ პატრიოტი ახალგაზრდები დააპატიმრა (გ. ჭანტურია, ი. წერეთელ, თ. ჩხეიძე, ლ. შაკიაშვილი და სხვ.).

1982 წლის 7 ნოემბერს, საზეიმო აღლუმზე გაციოდა და მალე გარდაიცვალა ლ. ი. ბრეჟნევი. მსოფლიო იმედოვნებდა, რომ საბჭოთა კავშირში რადიკალურად შეიცვლებოდა ვითარება. მაგრამ სკკპ პოლიტბიუროს გერონტოკრატიას რადიკალური ცვლილები არ უნდოდა. სკკპ ცკ გენერალურ მდივნად და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს მოხუცებული ი. ანდროპოვი, წლების განმავლობაში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი. ის რადიკალურად მემარცხენე შეხედულებების მატარებელი კაცი იყო, მიაჩნდა, რომ დისციპლინის განმტკიცება, უკანონობის აღმოფხვრა, წესრიგის დამყარება ყველგან და ყველაფერში, დაეხმარებოდა ქვეყანას კრიზისული ვითარება დაეძლია. მაგრამ მან დასახული მიზნების რეალიზაცია ვერ მოახერხა.

ავადმყოფობამ ი. ანდროპოეს ხელი შეუშალა თბილისში ჩამოსულიყო და მონაწილეობა მიეღო იმ გრანდიოზულ დღესასწაულში, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ მოაწყო გეორგიევსკის ტრაქტატის საიუბილეოდ. ახლადგახსნილ „უნიკალურ მოედანზე“ სამხედრო პარადი და მრავალსაათიანი სახალხო დემონსტრაცია გაჯერებული იყო პომპეზური სანახაობებით, კოსტუმირებული დადგმებით. ეს ყველაფერი კომუნისტური რეჟიმის მზის ჩასვენებაზე უფრო მიუთითებდა, ვიდრე ქვეყნის ძლიერებაზე: ყველაფერი იყო ხელოვნური და ყალბი.

ი. ანდროპოეი მალე (1984 წ.) გარდაიცვალა. საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი გახდა მოხუცებული ნ. ი. ჩერნენკო – ყოველად უფერული პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც თავისი ჯანმრთელობით საბჭოთა სისტემის რეალურ მდგომარეობას განასახიერებდა.1985 წლის აპრილში ისიც გარდაიცვალა. საბჭოთა პარტიულ და სახელმწიფო გერონტოკრატიას არავითარი ცვლილება არ უნდოდა, მათ საკუთარი მდგომარეობა და პრივილეგიები უფრო აღელვებდათ.

„გარდაქმნა“. 1985 წლის 23 აპრილს შედგა სკკპ ცკ პლენუმი, რომელზეც საბჭოთა კავშირის კპ ცკ გენერალურ მდივნად აირჩიეს მ. ს. გორბაჩოვი, შედარებით ახალგაზრდა, საშლეარგარეთ გარკვეული ავტორიტეტის მქონე, პოლიტიკური მოღვაწე. საბჭოთა საზოგადოება, პირველ რიგში ინტელიგენცია, მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. მდგომარეობა ქვეყანაში უმძიმესი იყო: ეკონომიკური კრიზისის ნიშნები აშკარად ჩანდა: დაცარიელდა მაღაზიების თაროები, ხელფასების დასაქონლება ვეღარ ხდებოდა, „ნაეთობდოლარები“ აღარ ქმაროდა პირვე-

ლადი მოთხოვნილების საგნების, სურსათის საზღვარგარეთ შესაძენად. უზარმაზარი რიგები სურსათის მაღაზიებთან საბჭოთა ყოფის დამახასიათებელი ნიშანი გახდა. მდგომარეობიდან გამოსელა რადიკალურ, მაგრამ კარგად მოფიქრებულ და პერსპექტივაზე გათვლილ ეფექტურ პოლიტიკას საჭიროებდა. ასეთი რადიკალური ღონისძიებების რეალიზაცია უკვე დაიწყეს კომუნისტურ ჩინეთში, რასაც პირველი თვალსაჩინო შედეგები მოჰქონდა.

სკკპ ცკ ახალმა ხელმძღვანელობამ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას შესთავაზა „გარდაქმნა" – პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც მოკლე დროში რადიკალურად უნდა შეეცვალა საბჭოთა კავშირის იერსახე.

რადიკალური განახლება სწორედ ეკონომიკას სჭირდებოდა. პროპაგანდას უწევდნენ დევიზს: „ეკონომიკა ეკონომიკური უნდა იყოს!", ფიქრობდნენ, რომ მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის ენთუზიაზმს გააცოცხლებდნენ, მაგრამ უამრავი დაპირებებითა და ფუჭი სიტყვებით გაბეზრებული საბჭოთა მოქალაქე საოცარ ინერტულობას იჩენდა. ქვეყანაში უიმედობამ დაისადგურა. რუსეთში კატასტროფული ხასიათი მიიღო ლოთობამ.

1985 წლის ზაფხულში სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება ითვალისწინებდა ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და გამოყენების შეზღუდვას, ქვეყანაში „ჯანსაღი ცხოვრების" წესის დამკვიდრებას. საზოგადოებას შესთავაზეს უალკოჰოლო დღეობები, ქორწილები. სერიოზულად საუბრობდნენ და უამრავი სტატია და ტელეგადაცემა მიეძღვნა ლიმონათით და გამაგრილებელი სასმელებით ჩატარებულ კომკავშირულ ქორწილებს. ეს აშკარად იმპერიული დიქტატი იყო, რომელიც არ ითვალისწინებდა მეღვინეობის ცნობილი ცენტრების (საქართველოს, მოლდავეთის) მოსახლეობის ეკონომიკურ ინტერესებს. დადგენილებამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მეღვინეობა-მევენახეობას. შემცირდა ღვინის დამზადების მოცულობა, ქართულ ყურძენზე მოთხოვნილებამ იკლო. კახელი გლეხი იძულებული გახდა ვენახი აეჩეხა და საზამორო დაეთესა.

მ. ს. გორბაჩოვი თავიდანვე ცდილობდა საერთაშორისო დაძაბულობის, გამალებული შეიარაღების შენელებას, რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემდა უზარმაზარი თანხები საშინაო პრობლემების მოსაგვარებლად გამოეყენებინა. კვლავ გრძელდებოდა ომი აღღანეთში, რომელიც უზარმაზარი თანხა უჯდებოდა ქვეყანას, გრძელდებოდა კუბის, არაბული ქვეყნების, პროსაბჭოთა რეჟიმებისადმი დახმარება. ქვეყნის შერეული ეკონომიკა ამდენ ხარჯს უკვე ვეღარ უძლებდა.

გორბაჩოვის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი ახალ პიროვნებას უნდა განეხორციელებინა. 1985 წლის ივნისის შუა რიცხვებში მ. გორბაჩოვმა თავისი საგარეო პოლიტიკური კურსის რეალიზაცია ე. შევარდნაძეს შესთავაზა. 2 ივლისს სკკპ ცკ პოლიტბიურომ ე. ა. შევარდნაძე პოლიტბიუროს წევრად აირჩია და რეკომენდაცია მისცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. ამ გადაწყვეტილებას საქართველოში კმაყოფილებით შეხვდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ჯ. ი.პატიაშვილი.

ანტისაბჭოთა განწყობილებების ზრდა. მ. გორბაჩოვის მმართველობის პირველ ხანებში იქმნებოდა განახლების ილუზია. მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში ცდილობდნენ ეკონომიკური ნოვაციების ამოქმედებას, ახალი ექსპერიმენტების რეალიზებას, მაგრამ შესამჩნევი შედეგი არ ჩანდა. ეკონომიკა სტაგნაციიდან ვერ გამოვიდა.

არსებული წყობილების კრიტიკის თვალსაზრისით ყველაზე უფრო ეფექტური და შინაარსიანი გამოდგა პუბლიცისტიკა: იდეოლოგიური წნეხის შესუსტებამ საბჭოთა ჟურნალ-გაზეთები საინტერესო გახადა. ტოტალურად დაიწყეს სტალინური პერიოდის კრიტიკა. „საჯაროობის" პოლიტიკა გულისხმობდა ყველა გასაი-

ღუმლოებული საკითხისა და მოელენის საჯარო ანალიზს. განსაკუთრებით ბევრს წერდნენ ი. სტალინისა და ლ. ბერიას დანაშაულობების შესახებ. ბეტსელერად გადაიქცა ა. რიბაკოვის „არბატის შვილები", რომელიც სტალინიზმის შავბნელ მხარეებს ეხებოდა. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ქართველი რეჟისორის თ. აბულაძის მხატერულმა ფილმმა „მონანიება".ეს ღრმა, შინაარსიანი, პიროვნების სულიერი დამონების წინააღმდეგ მიმართული შედეერი კანის საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი აღინიშნა და მ. გორბაჩოვის „გარდაქმნის" პოლიტიკური კურსის „საეიზიტო ბარათად" გადაიქცა.[3]

1986 წლის 26 აპრილს მოხდა კატასტროფა – აფეთქდა ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის მე-4 გენერატორი. რადიაცია ატმოსფეროში გავრცელდა. ევროპაში განგაში ატეხეს. საბჭოთა მთავრობა კი დუმდა, რომ 1 მაისის დღესასწაულისათვის მზადებას ხელი არ შეშლოდა. მხოლოდ დიდი დაგეიანებით საბჭოთა მთავრობამ შეატყობინა თავის მოსახლეობას მწარე სიმართლე. გორბაჩოვის „საჯაროობამ" გამოცდას ვერ გაუძლო. მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც გროედებოდა მატერიალური სახსრები ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო ფონდისათვის, ასობით ქართველი მაშველი მონაწილეობდა ავარიის შედეგების ლიკვიდაციაში. ბევრი მათგანი დააეადდა კიდეც. რადიაციულმა ღრუბელმა საქართველოს ტერიტორიამდეც შემოაღწია, დასავლეთ საქართველოს რიგი რაიონი სუსტი რადიაციული დასხეევების არედ გადაიქცა.[4]

ჩერნობილის ავარია უდიდესი მორალური და მატერიალური დარტყმა იყო კომუნისტური რეჟიმისათვის: ის მისი აგონიის დასაწყისი გახდა.

1986 წლის ზაფხულში ჟურნალ „ნაშ სოერემენნიკ"-ის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა ცნობილი და საქართველოშიც პოპულარული მწერლის ვიქტორ ასტაფიევის „ციმორების ჭერა საქართველოში" – დოკუმენტური „მოთხრობა" (მოთხრობა მას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს), რომელიც აღსავსე იყო საქართველოს შესახებ ტყუილ-მართალით. ქართველი ადამიანებისათვის ღირსებაშემლახავი ტონით მწერალი უაპელაციოდ აკრიტიკებდა ქართველი კაცის ცხოერების წესს, მის ყოფას. რუს მწერალს საქართველოში აღიზიანებდა ყველაფერი: ქართველის ცხოერების მაღალი დონე (იმ წლებში რუს მწერლებსა და ჟურნალისტებს საერთოდ აღიზიანებდათ ამიერკავკასიის მოსახლეობის ცხოერების შედარებით მაღალი დონე), მისი მდიდრული სახლი, ავეჯი, მოელილი ეზო-კარი, უხვი სუფრა. რა თქმა უნდა, ნაწარმოებში დაფიქსირებული იყო რიგი ნეგატიური მოელენა და ფაქტი, რაც 80-იანი წლების საქართველოში, მართლაც, შეიმჩნეოდა და ჭეშმარიტი მამულიშვილების გულისწყრომას იწვევდა, მაგრამ რუსი მწერლის მიერ გამომწვეეი ფორმით გაკეთებული „წკიპურტები" საქართველოს ინტელექტუალურმა საზოგადოებამ შეურაცხყოფად მიიღო. საქართველოში ამ „ნაწარმოებით" გამოწვეული უარყოფითი რეაქცია დიდი იყო. ქართული საზოგადოებრივი აზრი ბობოქრობდა. ქართველი მწერლების პროტესტს მოსკოეში მწერალთა კავშირის პლენუმზე რუსი მწერლების (ვ. რასპუტინის და სხვათა) კიდეე უფრო ცინიკური გამოსელები მოჰყეა. ქართველმა მწერლებმა დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი. შეგნებულად თუ შეუგნებლად რუსმა მწერლებმა მონახეს ჩინებული გზა საბჭოთა კავშირის დაშლის ხელშესაწყობად – საეროვნებათაშორისო ურთიერთობის გამწვაეება. საქართველოში ანტისაბჭოთა ტენდენციები კიდეე უფრო გაძლიერდა.

იმ წლებში შედარებით წარმატებული იყო სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკური საქმიანობა. ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შეევარდნაძე რადიკალურად განსხვავდებოდა ა. გრომიკოსაგან – ღრმად ოფიციალურ, პედანტ, უკომპრომისო პოლიტიკური მოღვაწისაგან. ე. შეევარდნაძის პიროვნული თვისებები აპირობებდნენ საერთაშორისო მოლაპარაკებების ეფექტიანობას. თანდათან საბჭოთა კავშირი თითქმის ყველა პარამეტრში თმობდა პოზიციას: იქნებოდა ეს ავღანეთის პრობლემა, მდგომარეობა აღმოსაელეთ ევროპაში, პიროვნების უფლე-

ბების აღიარება და დაცვა, ებრაელების ისრაელში რეპატრიაციის თუ შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების საკითხები. დაიწყეს ავღანეთის ომის საერთაშორისო მოლაპარაკებათა საფუძველზე „ღირსეულად დასრულებისათვის“ სრუნვა.

ეროვნული მოძრაობის გაძლიერება. „ახალი აზროვნებიდან“ გამომდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოშიც მოხდა. 1987 წელს 11 დეკემბერს, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებში, შეიქმნა არაფორმალური გაერთიანება „ილია ჭავჭავაძის სახ. საზოგადოება“. ეს იყო პირველი ლეგალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოში. საზოგადოების შექმნის ინიციატორები იყვნენ გიორგი ჭანტურია და გურამ მამულია, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩამოშორდნენ საზოგადოებას, ლიდერები გახდნენ ზ. ჭავჭავაძე, თ. ჩხეიძე, კ. კახაძე. შექმნისთანავე საზოგადოებამ ჩაატარა რამდენიმე ანტისაბჭოთა ღონისძიება: ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში, მოაწყო მასობრივი აქციები დაეით გარეჯის უნიკალური სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად და ა.შ.[5].

ხელისუფლებამ მათ საპირისპიროდ შექმნა „შოთა რუსთაველის საზოგადოება“ პოეტ ირ. აბაშიძის ხელმძღვანელობით, რომელიც ძირითადად ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ინტელიგენციით შეივსო.

საქართველოში შეიქმნა საზოგადოება „მემორიალი“ (თ.ბუაჩიძე), რომელიც იღვწოდა საბჭოთა წლებში რეპრესირებული მოქალაქეების პოლიტიკური რეაბილიტაციისათვის, მათი ოჯახების სოციალური დაცვის საკითხების მოსაგვარებლად.

აღდგა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გ. ჭანტურია, ი. სარიშვილი, მ. გიორგაძე და სხვ.). დისიდენტმა ირ. წერეთელმა შექმნა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია. მასობრივად იქმნებოდა სხვადასხვა არაფორმალური ორგანიზაციები და პარტიები. საქართველოში პოლიტიკური ბუმი დაიწყო, საზოგადოების პოლიტიზაცია ტოტალურად მიმდინარეობდა.

ქართველმა ახალგაზრდებმა, არაფორმალურმა ორგანიზაციებმა და ჯგუფებმა უპირველესად ეროვნულ ფასეულობაზე სრუნვა დაიწყეს: არაფორმალები დაეპირისპირდნენ ტრანსკავკასიის მაგისტრალის მშენებლობის იდეას, ხუდონეს მშენებლობას – იმ მოსაზრებით, რომ ეს რადიკალურად შეცვლიდა ეკოლოგიურ ბალანსს რეგიონში და გამოიწვევდა ან გააძლიერებდა მეწყერულ პროცესებს. ახალგაზრდები აპროტესტებდნენ საზღვრისპირა რეგიონებში ქართული მიწების უკანონო განიავების ფაქტებს, აიძულებდნენ მთავრობას სერიოზულად ესრუნა მეწყერით დაზარალებული აჭარელი და სვანი მოსახლეობის ქვემო ქართლში ჩასასახლებლად და ა.შ.

არაფორმალები წინ აღუდგნენ მოსკოვის არამართლზომიერ პოზიციას, რომელიც მისთვის მოულოდნელი „გარდაქმნის“ მასშტაბებისა და შესაძლო შედეგებით შეშინებული, უკვე ცდილობდა შეენარჩუნებინა საბჭოთა სახელმწიფოს ერთიანობა. ხელისუფლებამ სცადა კონსტიტუციიდან ამოეღო ის პუნქტი, რაც რესპუბლიკას კავშირიდან თავისუფლად გასელის შესაძლებლობას აძლევდა. ახალი პროექტით ეს უფლება მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას ენიჭებოდა. სხვა კონსტიტუციური ცვლილებები და დამატებები, რასაც პროექტი ითვალისწინებდა, ასევე, ლახავდნენ მოკავშირე რესპუბლიკის კანონიერ უფლებებს. განსაკუთრებით ეს ეხებოდა რესპუბლიკაში სამხედრო წესების გამოცხადებას, მართვის განსაკუთრებული ფორმების შემოღებას და ა.შ.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის გამოქვეყნებისთანავე საქართველოში დაიწყო საპროტესტო მოძრაობა. საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო რადიკალური გახდა. 1988 წლის 12 ნოემბერს არაფორმალების მიერ თბილისში მოეწყო არნახული საპროტესტო აქცია, რომელშიც 100 ათასი კაცი მონაწილეობდა. გადაიკეტა რუსთაველის, გურამიშვილის, ჭავჭავაძის ქუჩები. აქცია დასრულდა მიტინგით იპოდრომზე. მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმული იყო აუცილებელი მოთხოვნა: დემონსტრაციებისა და ქუჩაში მსვლელობების თავისუფლება,

საკონსტიტუციო ცვლილებების დაუშვებლობა, სვანეთში გიგანტური წყალსაცავების და პესების მშენებლობის შეწყვეტა.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება, შეშინებული არაფორმალების აქტივობით, დათმობებზე წავიდა და 19 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ ნაწილობრივ გაითვალისწინა არაფორმალთა კანონიერი მოთხოვნები. მაგრამ ახალგაზრდებს იმედი არა ჰქონდათ, რომ მოსკოვი გაითვალისწინებდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას, ამიტომაც თბილისში საპროტესტო აქციები გრძელდებოდა. აქციის დროს, 25 ნოემბერს მოქალაქე გაბრიელ ისაკაძემ მთავრობის სასახლის თავზე მოფრიალე წითელი დროშა ჩამოაგდო. ამისათვის ის დააპატიმრეს.

29 ნოემბერს მოსკოვიდან მ. გორბაჩოვის დავალებით დარეკა ე. შევარდნაძემ, რომელმაც აღუთქვა მომიტინგეებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ყველა მათ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. მიტინგი შეწყდა. მაგრამ დესოვეტიზაციის პროცესი საქართველოში შეუნელებლად მიექანებოდა წინ, ოფიციალური ხელისუფლება სულ უფრო ნაკლებად აკონტროლებდა ვითარებას ქვეყანაში.

---

1. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004, გვ. 329
2. იქვე.
3. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004, გვ. 338.
4. იქვე.
5. ი. ჭაეჭაეაძის საზოგადოების წერილობითი ინფორმაცია.

1989 წლის 9 აპრილი

სეპარატისტული ტენდენციები საქართველოში. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, ავტონომიურ რეგიონებში გამოცოცხლდნენ სეპარატისტული ძალებიც, რომლებსაც რუსეთის რეაქცია ასაზრდოებდა. მათ ჩინებულად ისარგებლეს მოსკოვის მასმედიაში, რუსეთის ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში შექმნილი ანტიქართული, ანტისტალინური განწყობილებით და დაიწყეს ქართველების აშკარად კრიტიკა, საბჭოთა ხელისუფლების ყველა ცოდვა და დანაშაული ქართველ ერსა და საქართველოს მიაწერეს, 30-იანი წლების რიგი რადიკალური ადმინისტრაციული ღონისძიება თუ აქცია საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შელახვად გამოაცხადეს. ამრიგად, მოსკოვმა ჩინებულად გამოიყენა „აფხაზური კარტი", რომელიც მთელი საბჭოთა ეპოქის განმავლობაში დამოკლეს მახვილივით მუდამ საქართველოს ხელისუფლების თავზე ეკიდა.

ეს სეპარატისტული განწყობილება გამოვლინდა გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში აფხაზეთის ნაციონალისტების თავყრილობაზე. აქ 1989 წლის 18 მარტს 30 000 აფხაზი შეიკრიბა. რუსეთის რეაქციული ძალების მიერ წაქეზებულმა სეპარატისტებმა თავყრილობაზე მიიღეს ე.წ. „ლიხნის მიმართვა", რომელშიც ისტორიული ფაქტების გაყალბებით მოცემული იყო საქართველო-აფხაზეთის ის-

ტორიული ურთიერთობის რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხი. სეპარატისტები შეეცადნენ ეჩვენებინათ აფხაზეთის მიმართ საქართველოს „ძალმომრეობის, ყოველმხრივი შეზღუდვის, ჩაგვრის, კულტურული ასიმილაციის მცდელობის, რეპრესიული პოლიტიკის გატარების“ პროცესი და ითხოვდნენ საკავშირო მთავრობის დახმარებას, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას და ა.შ.[1] თავისი მოქმედებით აფხაზი სეპარატისტები აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა კონსტიტუციას, უპირისპირდებოდნენ ქართველი და აფხაზი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას. ეს წერილი დაეგზავნა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობას, დაიბეჭდა აფხაზურ პრესაში.

სეპარატისტების მიმართვის შესახებ თბილისში არაფორმალებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ძალიან მალე გაიგეს. საქართველოს კომუნისტურ ხელმძღვანელობას ჰქონდა შანსი ეოფილიყო „აფხაზური პრობლემის“ მოგვარების ავანგარდში – მოეთხოვა ოფიციალურად მოსკოვისაგან საბჭოთა კონსტიტუციის დაცვა. აფხაზური სეპარატიზმის ალაგმვა, მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა დროს კარგავდა, აქტიურ მოქმედებაზე არ გადადიოდა.

25 მარტს თბილისში, ვაკის პარკში შედგა თბილისის საზოგადოებრიობის დიდი მიტინგი, რომელზეც განიხილეს აფხაზეთის სეპარატისტების ახალი გამოხდომა. მიტინგმა საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა მიმდინარე მოვლენების ობიექტურად გაშუქება და შეფასება, სეპარატისტების უკანონო მოქმედებების აღსაკვეთათ გადამწყვეტი ზომების მიღება.[2]

26 მარტს საქკპ ცკ ბიურომ განიხილა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები, მაგრამ სხდომაზე ვერ გაბედეს სეპარატისტთა ლიხნის აქციაში მონაწილე კომუნისტი ხელმძღვანელების პარტიული დასჯა, მხოლოდ სიტყვით დაგმეს აფხაზეთის სტატუსის შეცვლის უკანონო მცდელობა.

ქართული საზოგადოებრივი აზრი კი ღელავდა. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში ინტელიგენციის შეკრებებზე მიმდინარეობდა მსჯელობა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით. თვით აფხაზეთშიც „ლიხნის მიმართვა“ დაგმო აღგილობრივმა ქართველობამ. გალში 25 მარტს შედგა გრანდიოზული მიტინგი. რამდენიმე დღის შემდეგ გაგრაში შეიკრიბნენ საქართველოს ერთიანობის მხურვალე დამცველები. მიტინგები მოეწყო სოხუმსა და ლესელიძეში. მიტინგის მონაწილეები მოითხოვდნენ საქართველოს ხელისუფლებისაგან აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ ენერგიულ მოქმედებას.

30 მარტს სოხუმში ჩავიდნენ საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები: ჯ. პატიაშვილი, გ. ანჩაბაძე, ნ. ფოფხაძე, ბ. ნიკოლსკი, ო. ჩერქეზია. საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა პრობლემის მოწესრიგებას. ამ მიზნით თბილისში ჯ. პატიაშვილი შეხვდა არაფორმალურ ლიდერებს: ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას და სთხოვა მათ მიეცათ შესაძლებლობა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობისათვის პრობლემა მოეგვარებინა, არ გაემწვავებინათ დედაქალაქში პოლიტიკური სიტუაცია.

მაგრამ, უკვე 4 აპრილიდან დაიწყო თბილისის ახალგაზრდებისა და სტუდენტების მიტინგების სერია: ჯერ სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ პროტესტანტები. თუ პირველ მიტინგზე არაფორმალები აქტიურობდნენ, უნივერსიტეტში საკითხის ყოველმხრივ განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელები: ა. ბაქრაძე, მ.მაჭავარიანი, ჯ. ჩარკვიანი, ლ. ალექსიძე და სხვ. ქართველმა ინტელიგენციამ ხელისუფლებას კატეგორიულად მოსთხოვა ყოველმხრივ მოეწესრიგებინა აფხაზეთის პრობლემა.

იმავე დღეს, 4 აპრილს, საღამოს 7 საათზე თბილისის უნივერსიტეტში შედგა სტიქიური მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია აფხაზეთის ასსრ პრობლემასთან დაკავშირებით. რეზოლუცია მოითხოვდა ეროვნულ დაუმორჩი-

ლებლობას, საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას, ქვეყანაში ავტონომიური ფორმირებების გაუქმებას. ამრიგად, ქართველი ინტელიგენციის ზომიერ, აწონდაწონილ პოზიციას დაუპირისპირდა რადიკალური იდეოლოგია, ეგზალტირებულ მასაზე გათვლილი არარეალისტური პოლიტიკა.

მთავრობაზე ზემოქმედების მიზნით გადაწყდა მთავრობის სახლის წინ ხალხმრავალი მიტინგის მოწყობა. ეს იდეა ეკუთვნოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას", რომლის ფაქტიური ლიდერი ზ. ჭავჭავაძე იყო. 4-5 აპრილს მიტინგის მსვლელობას სწორედ ეს არაფორმალური დაჯგუფება აკონტროლებდა და მიტინგის ძირითადი შინაარსი აფხაზი სეპარატისტების უკანონო მოქმედების ალაგმვა იყო, რაც საქართველოს ხელისუფლებას ყველა არსებული კანონიერი ხერხებით უნდა განეხორციელებინა.

6 აპრილს მიტინგზე ინიციატიკა უფრო რადიკალების – ი. წერეთლის, გ. ჭანტურიას ხელში გადავიდა. აფხაზეთის პრობლემატიკა, რა თქმა უნდა, მიტინგის დღის წესრიგში დარჩა, მაგრამ ის დაჩრდილა მომიტინგეების, განსაკუთრებით კი მიტინგის ახალი ხელმძღვანელების ულტრარადიკალურმა გამოსვლებმა და გამონათქვამებმა. მიტინგზე გამოჩნდა ლოზუნგები და ტრანსპარანტები, რომლებიც მოითხოვდნენ: „რუსეთის იმპერიის დაშლას", „საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას" „საქართველოს გამოსვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან", „საქართველოში გაეროს ჯარების შემოყვანას", „ავტონომიური რესპუბლიკების გაუქმებას" და ა.შ. ანტისაბჭოთა ლოზუნგებმა, მიტინგზე დამსწრე რიგითი ადამიანების ეგზალტაციის წარმატებულმა მცდელობამ დააფრთხო საქართველოს ფაქტიური ხელისუფლება, რომელიც ვითარების ასე გამწვავებას აღარ მოელოდა.

მართლაც, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა შეეცადა საკითხის საკუთარი ძალებით მოწესრიგებას: 5 აპრილს სოხუმში ჩატარდა პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელსაც ჯ. პატიაშვილიც ესწრებოდა. პლენუმზე საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლეს ბორის ადლეიბა და მის ნაცვლად აირჩიეს ვლ. ხიშბა. სოხუმში გამოქვეყნდა აფხაზი და აფხაზეთში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების ერთობლივი წერილი, რომელიც მოითხოვდა არსებული გაუგებრობის დაუყოვნებლივ მოწესრიგებას, აფხაზი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის ტრადიციის განვითარებასა და განმტკიცებას.

მაგრამ თბილისში მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე კელავ პოპულარული იყო რადიკალური მოთხოვნები. მიტინგის ორგანიზატორები მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდნენ.

აქციის ხელმძღვანელები არ დაკმაყოფილდნენ ქალაქის ცენტრში ანტისამთავრობო მიტინგით. მათ თავისი წარმომადგენლები გააგზავნეს თბილისის საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ატარებდნენ მიტინგებს დაუმორჩილებლობის მოთხოვნით, მოუწოდებდნენ მუშებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას შეეწყვიტათ მუშაობა, სწავლა, შეერთებოდნენ ეროვნული დაუმორჩილებლობის აქციას. თბილისში ცხოვრება ყოველდღიურად უფრო და უფრო პარალიზებული ხდებოდა. შეწყდა მეცადინეობა სკოლებში, მოსწავლეები მიტინგზე იკრიბებოდნენ. დედაქალაქის ცენტრში შეწყდა მოძრაობა. მილიონიანი დედაქალაქის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება ფაქტიურად ჩაკედა.

იმჟამად საჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლება ქვეყანაში არ იყო: სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე თანმხლებ პირებთან ერთად ინგლისში იმყოფებოდნენ. სკკპ ცკ მეორე მდივანი, ეგორ ლიგაჩოვი – მიელინებაში იყო. თბილისში შექმნილი ვითარების შესახებ მას 7 აპრილს შეატყობინეს და უთხრეს, რომ თბილისიდან მოდის ჯ. პატიაშვილის ინფორმაცია, რომელშიც ხაზგასმულია: „მდგომარეობა ვითარდება უფრო მწვავედ– მიდის უწყვეტი მიტინგები, გაისმის კომუნისტებისათვის ანგარიშის გასწორების მუ-

ქარები, მოითხოვენ საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლას, მომზადებულია მიმართვა გაეროს ჯარების შემოყვანის თაობაზე".[3]

7 აპრილს, მოსკოვში, შეიკრიბა სკკპ ცკ პოლიტბიუროს სამუშაო თათბირი. თათბირმა მიიღო რეკომენდაცია, რომელიც მოუწოდებდა საქართველოს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებს მიტინგის მონაწილეებთან უშუალო მოლაპარაკებით მიეღწიათ ვითარების განმუხტვისათვის, გაეძღვერებინათ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების დაცვა.[4]

გვიან ღამით სახელმწიფო დელეგაციაც ჩამოფრინდა. „ვნუკოვო-2-ის " დარბაზში მ. გორბაჩოვთან შეხვედრისთანავე თბილისის საკითხი განიხილეს. მ. გორბაჩოვს ამ შეხვედრაზე უთქვამს: თბილისში რა ხდება „ჯერჯერობით არ არის ცნობილი, როგორც ჩანს, პატიაშვილს რაღაც ჩაეარდნა მოუვიდა". ამ არაოფიციალური შეხვედრის დროს მ. გორბაჩოვმა დაავალა ე. შევარდნაძეს და ვ. რასუმოვსკის 8 აპრილს თბილისში გამგზავრება და მდგომარეობის მოწესრიგება. ე. შევარდნაძე და ვ. რაზუმოვსკი თბილისში იმ დღეს არ ჩამოვიდნენ, რადგან საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა ამის აუცილებლობას არ გრძნობდა.

ვითარება კი თბილისში უმართავი გახდა. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებთან საპროტესტო მიტინგის მონაწილე არაფორმალურმა ორგანიზაციებმა მოაწყვეს პიკეტები, მოუწოდებდნენ სტუდენტებს შეეწყვიტათ სწავლა. შეიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კომიტეტი, დაიწყეს ფულადი სახსრების შეგროვება,

ადგილზე დაიღუპა 16 კაცი, ქალები და გოგონები. შემდეგ მათ კიდევ რამდენიმე დაემატა.[6]

ქალაქში საგანგებო წესები და კომენდანტის საათი შემოიღეს. თბილისში გლოვა დაიწყო.

სასწრაფოდ ჩამოფრინდნენ ე. შევარდნაძე და ვ. რაზუმოვსკი. მათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ინტელიგენციასთან შეხვედრის დროს, სცადეს ტრაგიკულ მოვლენაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებისათვის დააკისრებინათ. 14 აპრილს საქ. კპ ცკ პლენუმმა დააკმაყოფილა ჯ. პატიაშვილის თხოვნა გადადგომის შესახებ. ასევე გადადგნენ თანამდებობიდან საბჭოთა საქართველოს სხვა ხელმძღვანელებიც.

პლენუმმა საქ.კპ ცკ პირველ მდივნად აირჩია გ. გუმბარიძე, რომელიც მანამდე საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობდა. მან ვერარ შეძლო შეეჩერებინა საქართველოში კომუნისტური რეჟიმის აღსასრულის შეუნელებელი მოახლოება.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა შეეცადა შეესუსტებინა ტრაგიკული მოვლენით გამოწვეული უარყოფითი რეზონანსი მსოფლიოში. მაგრამ მსოფლიომ მაინც გაიგო ყველაფერი – როგორც საქარველოს საინფორმაციო წყაროების, ისე რუსეთის დემოკრატიული ორიენტაციის ჟურნალისტების და ადამიანის უფლებების დამცველთა საშუალებით (ა.სახაროვი, ი. როსტი და სხვ.).

1989 წლის 25 მაისს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობაზე საქართველოს დეპუტაციამ (ე. შენგელაია, თ. გამყრელიძე, ე. ადეიძე, ჯ. პატიაშვილი თ. ბუაჩიძე, ა. ბაქრაძე და სხვები) მოითხოვა თბილისის ტრაგიკული მოვლენებზე პასუხისმგებლობის საკითხის ყრილობის დღის წესრიგში შეტანა. მაოი მამხილებელი გამოსვლები ხელს უწყობდა ტრაგიკულ მოვლენებზე ობიექტური ინფორმაციის გაერცელებას.

9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა საქართველოს უახლეს ისტორიაში უაღრესად დიდია: მან ცხადყო საბჭოთა პოლიტიკური სისტემის აგონია და საბოლოო კრახი, განაპირობა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის პროცესის მოახლოება. მაგრამ მოხდა მეორე მნიშვნელოვანი გარემოებაც – მან მეტად აშკარად და მეტად უხეში ფორმით დაუპირისპირა რუსეთის სახელმწიფო ქართველებს, რუსეთის მხედრიონი საქართველოს. საქართველო კავკასიაში მარტო დარჩა. ეს ჩინებულად შეიგნო საქართველოს ყველა მტერმა და არაკეთილისმყოფელმა.

საქართველოში სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას იძენდნენ ულტრა-რადიკალები.

ულტრარადიკალები ნაციონალისტურ იდეოლოგიას აერცელებდნენ: მიტინგებზე ხშირად გაისმოდა საბჭოთა ხელისუფლების კრიტიკა ავტონომიური რესპუბლიკების ხელოვნურად შექმნის, არაქართველი მოსახლეობისადმი ზედმეტად ლოიალობის, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების შებღალვის, საქართველოს ზოგიერთ საზღვრისპირა რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დემოგრაფიული ვითარების ხელოვნურად შეცვლის ბრალდებით.

არაფორმალების ასეთ განცხადებებს მოჰყვა ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, აფხაზეთში ნაციონალისტური ტენდენციების კიდევ უფრო გაძლიერება. საბჭოთა კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ფარული აგენტურა აქტიურად ცდილობდა საქართველოს ეროვნული მოძრაობისათვის შეექმნა სახიფათო ალტერნატივა. აფხაზეთის სახალხო ფრონტი „აიდგილარა", სამხრეთ ოსეთის „ადამონ ნიხასი", ქვემო ქართლის სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობის ექსტრემისტული ნაწილი ნაციონალისტურ მოთხოვნებს აყენებდნენ.

საბჭოთა სპეცსამსახურების ანტიქართული საქმიანობის გაძლიერება. ასეთ რთულ საეროვნებათაშორისო ურთიერთობის ფონზე 1989 წლის ზაფხულში ვითარება კიდევ დაიძაბა აფხაზეთში. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების I ყრილობაზე აფხაზეთის დეპუტატის ვ. არძინბას ტენდენციური, ანტიქართული სიტყვები

საქართველოს საზოგადოებრიობის პროტესტს იწვევდა. აფხაზი ნაციონალისტები ჩინებულად გრძნობდნენ, რომ რუსეთის რეაქცია საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა ძალას დაუჭერდა მხარს. მათი ორიენტაცია უშეცდომო და იმედის მომტანი აღმოჩნდა. 9 აპრილის შემდეგ აფხაზეთის უნივერსიტეტში ქართველი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის გაუსაძლისი ვითარება შეიქმნა. გამოსავალი მოიძებნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის შექმნით. ამ საბაბით ანტიქართულმა ძალებმა მოაწყვეს პროვოკაცია. სოხუმის ქართველი მოსახლეობა, ინტელიგენცია აქტიურად ჩაება სეპარატისტების წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობაში, მათ გამოაცხადეს გაფიცვა.

აფხაზმა ექსტრემისტებმა ისარგებლეს ცენტრალური ხელისუფლების წაყრუებით და მოაწყვეს სოხუმის რიგი ორგანიზაციის, მათ შორის სოხუმის I სკოლაში შეხიზნული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის დარბევა.[7] ვითარება უმართავი გახდა. 16 ივლისს სოხუმის შესასვლელთან, გუმისთას ხიდთან მოხდა შეტაკება აფხაზებსა და ქართველებს შორის. შეტაკება მოხდა სხვა ადგილებშიც. იყო მსხვერპლი. მღელვარება გრძელდებოდა გულრიფშში, ოჩამჩირის და გალის რაიონებში. საქართველოს ფაქტიურმა მთავრობამ ამ ტრაგიკულ ვითარებაში სრული უსუსურობა გამოაცხადა. აშკარა იყო, რომ ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთმა სეპარატისტებზე აიღო ორიენტაცია.

25-26 აგვისტოს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაუკითხავად, სოხუმში არაფორმალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, გაიმართა კავკასიის ხალხთა I ყრილობა. მიიღეს დადგენილება კავკასიის მთიელ ხალხთა სათათბიროს შექმნის შესახებ, რომელიც მოამზადებდა პირობებს კავკასიის მთიელი ხალხის სახელმწიფოს შესაქმნელად. ამ „სახელმწიფოს" დედაქალაქად სოხუმი გამოცხადდა.

აფხაზეთში ვითარების გამძაფრებასთან ერთად ანტიქართული ძალები და მოსკოვის სპეცსამსახურები ამოქმედდნენ სხვაგანაც: უზბეკეთში, ფერგანაში ცხოვრობდნენ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მესხეთელი თურქები, რომლებიც ადგილობრივმა მოსახლეობამ, პროვოკატორების წაქეზებით, დაარბია და საცხოვრებელი ადგილებიდან აპყარა. გაჩნდა საქართველოში მრავალათასიანი მაჰმადიანი მოსახლეობის შემოსვლის საფრთხე, რის შესახებაც ქართულ საზოგადოებას სხვადასხვა, რადიკალურად განსხვავებული აზრი ჰქონდა.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება მდგომარეობიდან განმუხტვას ხედავდა უზენაესი საბჭოს არჩევნებში, რაც 1990 წლის 25 მარტს დაინიშნა.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა სეპარატისტული მოძრაობა შიდა ქართლის ოსურ მოსახლეობაში. „ადამონ ნიხასის" ექსტრემისტული ხელმძღვანელები, რუსი რეაქციონერებისაგან წაქეზებულნი, აძლიერებდნენ ანტიქართულ აგიტაციას და მოითხოვდნენ ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნას. მათ აშკარად მხარს უჭერდა საკავშირო პრესა და ტელევიზია, რომლებიც ოსებს „დაჩაგრულ მხარედ" აცხადებდნენ.

საქართველოში კარგად ხედავდნენ, რომ შორს აღარ იყო სასურველი თავისუფლება. ინტელიგენციის გონიერი ნაწილი ცდილობდა ამ პროცესებისათვის უფრო ცივილური, ნაკლებად მტკივნეული და მშვიდობიანი ხასიათი მიეცა. მაგრამ ამ დროისათვის მათი ზეგავლენა საგრძნობლად შესუსტებული იყო. ვითარებას მთლიანად ულტრა-რადიკალები აკონტროლებდნენ.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება აშკარად გრძნობდა, რომ ძალაუფლებას კარგავდა, ამიტომ ავტორიტეტის ასამაღლებლად ცდილობდა ისეთი ნაბიჯები გადადგა, რაც მოსახლეობის თვალში შებღალულ ავტორიტეტს გამოასწორებდა. მნიშვნელოვანია, რომ მათი დავალებით ქართველი ისტორიკოსების ერთმა ჯგუფმა (ლ. თოიძე, უ. სიდამონიძე და სხვ.) შეისწავლეს და დაასაბუთეს რუსეთის მხრიდან 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტი. ამის საფუძველზე 9 მარტს საქართველოს

უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუ-ვერენიტეტის შესახებ", სადაც საბჭოთა რუსეთის არმიების შემოჭრა გამოცხად-და ინტერვენციად და ფაქტობრივ ანექსიად.[8]

მაგრამ რადიკალურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართვე-ლოს ფაქტობრივი ხელისუფლების აღარ სჯეროდა.

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა პოლი-ტიკურმა გაერთიანებამ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" (ზ. გამ-სახურდიას პოლიტიკური გაერთიანება). მან უზენაეს საბჭოში მიიღო 155 ადგი-ლი. კომუნისტურმა პარტიამ – 64, სახალხო ფრონტმა – 12 და ა.შ.[9]

ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნა 1990 წლის 14 ნოემბერს თბილისში. სესიამ მიიღო საქართველოს უზენაესი საბჭოს მიმართვე-ბი: „მსოფლიოს ხალხებს", „სრულიად საქართველოს", „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავ-რობათა მეთაურების პარიზის კონფერენციას". ამ მიმართვებში საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო აუწყებდა მსოფლიო თანამეგობრობას, ქარ-თველ ხალხს, რომ საქართველომ „მოიპოვა შესაძლებლობა აერჩია ის გზა, რო-მელმაც იგი ევროპის ხალხების ოჯახში უნდა დააბრუნოს".

სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზ. გამსახურდია აირჩიეს. აღდგა სახელმწიფო სიმბოლიკაც – გერბი (შეიდქიმიანი ვარკვლავი თეთრი გიორგის გამოსახულებით), დროშა – წითელის ნაცვლად სამფეროვანი გახდა (ზედა ნა-წილში თეთრი და შავი ზოლი შინდისფერ ფონზე) და პიმნი (კ. ფოცხვერაშვი-ლის „დიდება").

საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება დაემხო.

---

1. გ. ყორანაშვილი, 9 აპრილი: მითი და სინამდვილე, თბ., 2001, გვ. 30.
2. იქვე, გვ. 31.
3. ე. ლიგაჩოვი, წიგნიდან „გორბაჩოვის გამოცანა", თბ., 1999, გვ. 29.
4. იქვე.
5. ა. სონღულაშვილი, 9 აპრილი, თბ., 1999, გვ. 46.
6. იქვე, გვ. 54.
7. იქვე, გვ. 40.
8. დ. მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, ქუთაისი, 1999, გვ. 23.
9. იქვე. გვ. 243.

პოსტსაბჭოთა რუსეთის ნეოკოლონიალიზმი და ახალი საქართველო

ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ფორმირება. რუსეთის გარკვეული პოლიტიკური ძალები თავიდანვე უარყოფითად შეხვდნენ საქართველოს დამოუ-კიდებლობას და ყველა საშუალება გამოიყენეს, რომ მისთვის თავს მოეხვიათ როული, გადაუჭრელი პრობლემები, საქართველოში შეექმნათ დაძაბულობის კერ-რები, გაელვივებინათ დაპირისპირება საქართველოს პოლიტიკურ დაჯგუფებათა

შორის, შეეგულიანებინათ საქართველოში პოტენციაში არსებული ყველა სეპარატისტული ძალა. ზ. გამსახურდიას ხელისუფლების ფორმირებისთანავე კრემლის ანტიქართულმა ძალებმა მოახერხეს სამაჩაბლოში საკმაოდ სერიოზული პრობლემების შექმნა. უკონტროლო სამხედრო ფორმირებები არბევდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ქმნიდნენ ფეთქებად საშიშ ვითარებას. ზ. გამსახურდიას ხელისუფლებამ ვერ გამოიყენა თავის სასარგებლოდ ის გარემოება, რომ ოსი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა და, აქედან გამომდინარე, მათ ინტერესებში არ იყო კონფლიქტის გაღრმავება, ქართველებთან ურთიერთობების გაფუჭება. ხელისუფლებამ არ გამოიყენა მათი საშუამავლო შესაძლებლობები, ვერ დაუპირისპირა ეს მნიშვნელოვანი ძალა სამაჩაბლოში მცხოვრებ სეპარატისტების ქმედებებს, პირიქით – წაუყრუა და შესაძლებლობა მისცა საქართველოს გარკვეულ, აგრესიულ ძალებს, რომ გაენაღვლებინათ ანტიოსური ფსიქოზი, რის გამოც სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით თბილისში მცხოვრები ოსი ეროვნების მოსახლეობა (მათ შორის ძალიან ბევრი თიოქმის გაქართველებული ან ქართული ორიენტაციის მქონე) იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააღიზიანა რუსეთის მხედრიონი. ისინი ჩინებულად ახერხებდნენ საქართველოს დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების ინტერესების თავის სასარგებლოდ გამოყენებას, აიარაღებდნენ ორივე მხარეს და ჩინებულად შეამზადეს პირობები სამოქალაქო ომისათვის, რაც საქართველოში გაჩაღდა კიდეც როგორც კი 1991 წლის ნოემბერ-დეკემბერში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ. ელცინის ინიციატივით შეიქმნა ახალი პოლიტიკური გაერთიანება – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა.

1992 წლის 6 იანვარს საქართველოში ძალის გამოყენებით დაემხო არსებული კანონიერი ხელისუფლება. სამხედრო საბჭომ ჩამოაყალიბა დროებითი მთავრობა თენგიზ სიგუას ხელმძღვანელობით. სულ მალე საქართველოში ჩამოვიდა ე. შევარდნაძე, რომელიც ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფო მოღვაწეთა მხარდაჭერით სარგებლობდა და ის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გახდა.

1992 წლის 31 იელისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თავის 179-ე წევრად მიიღო საქართველოს რესპუბლიკა, აღიარა მისი სუვერენიტეტი და რაც მთავარია, ტერიტორიული მთლიანობა.

ახალი სახელმწიფოს მშენებლობა და ქვეყნის საერთაშორისო აღიარების პროცესი მიმდინარეობდა მწვავე სამოქალაქო დაპირისპირების, აფხაზეთსა და ცხინვალის ოლქში ეთნოკონფლიქტების გამწვავებისა და საომარი მოქმედების მიმდინარეობის ფონზე, რომელთა მთავარი და ძირითადი ინსპირატორი რუსეთის მხედრიონი იყო. ქართველთა დაპირისპირება ახალ ძალებს მატებდა აფხაზ სეპარატისტებს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელშიც უმეტესობა სეპარატისტი იყო, უხეშად არღვევდა აფხაზეთის კონსტიტუციას, საქართველოს ერთიანობის მომხრე დეპუტაციის ინტერესებსა და კანონიერი მოთხოვნილებების იგნორირებას ახდენდა, იღებდა საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობისათვის მიუღებელ გადაწყვეტილებებს, აშკარად ეწეოდა დაძაბულობის ესკალაციას.

1992 წ. 25 ივნისს ე. შევარდნაძე ქ. სოჭში შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს ბ. ელცინს და მათ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება შიდა ქართლში პოლიტიკური ვითარების მოსაწესრიგებლად. „ეუთოს" ეგიდით რეგიონში განხორციელდა სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც ვითარებას ოლქში სტაბილურს შექმნიდა. სამმხრივი სამშვიდობო ძალები (ქართველები, რუსები, ოსები) უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის უშიშროებას და რეგიონში სტაბილურობას. ამ გადაწყვეტილებამ ცხინვალის პრობლემა მხოლოდ დააკონსერვა, ამ ტერიტორიის

მნიშვნელოვან ნაწილზე საქართველოს იურისდიქცია არც მაშინ და არც შემდეგ აღარ ერცელდებოდა, თუმცა რუსეთი აღიარებდა ამ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციას.

1992 წლის ზაფხულში გამწვავდა ურთიერთობა გალის რაიონში. გარკვეული ძალები თავს ესხმოდნენ მატარებლების შემადგენლობებს, იძარცვებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის კუთვნილი მატარებლების შემადგენლობები.

ომი აფხაზეთში. 14 აგვისტოს საქართველოს შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები აფხაზეთში შეეიდნენ. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თ. კიტოვანმა არ გაითვალისწინა მიღებული დირექტივები. აფხაზური გვარდიის ფორმირებებმა მათ გზა გადაუღობეს. მოხდა შეტაკება. იყო მსხვერპლი. ქართული ჯარის შესვლა გახდა საბაბი ომისათვის, რომლისთვისაც წინასწარ ემზადებოდნენ სეპარატისტი ლიდერები, მითუმეტეს, როგორც ირკვევა, არ შესრულდა არძინბასთან მიღწეული შეთანხმება რკინიგზის დაცვასთან დაკავშირებით – ქართული ჯარის ნაწილები არ უნდა შესულიყვნენ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებში. საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობისაგან ამ პირობის დარღვევამ გამოიწვია მოროდიორობის ფაქტები, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა საბაბად გამოიყენეს. დაიწყო ომი აფხაზეთში

ამ ომმაც ვერ გააერთიანა ქართველები. ამას დაემატა ისიც, რომ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ადრევე შექმნილმა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" პოლიტიკურმა ლიდერებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი აფხაზ სეპარატისტებს.

ომი გაჭიანურდა. ამ ომში აშკარად გამოვლინდა რუსეთის არაგულწრფელი, აშკარად ტენდენციური დამოკიდებულება. მიუხედავად საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ გაჟღერებული რიტორიკისა, რუსეთის გარკვეული ძალები იარაღით ამარაგებდნენ აფხაზ სეპარატისტებს, თვალს ხუჭავდნენ კონფლიქტურ რეგიონში ჩეჩენი და კაზაკი მოხალისეების უკონტროლო თარეშზე.

მდგომარეობის მოსაწესრიგებლად რუსეთის და საქართველოს ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს სამმხრივი შეხვედრა მოსკოვში. ე. შევარდნაძის, ბ. ელცინისა და ე. არძინბას შეხვედრის დროს მიაღწიეს შეთანხმებას კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დამყარების შესახებ. 5 სექტემბრიდან უნდა შეწყვეტილიყო ყველა საომარი მოქმედება, კონტროლისა და ინსპექციისათვის უნდა შეექმნათ სპეციალური კომისიები და ა.შ.

ასეთი შეთანხმება შემდგომში არა ერთხელ დაიდო, მაგრამ არცერთი არ შესრულდა. რუსეთის უმოქმედობისა და წაყრუების გამო სეპარატისტები აშკარად იმყარებდნენ პოზიციებს.

რუსეთის გარკვეული პოლიტიკური ძალების მხარდაჭერით და ხელისშეწყობით (დღეს ეს უკვე აშკარაა) აფხაზმა სეპარატისტებმა ომში წარმატებას მიაღწიეს და სოხუმი 1993 წლის 27 სექტემბერს დაიკავეს. ეს პერიოდი დაემთხვა შიდაპოლიტიკურ გართულებას, სამოქალაქო დაპირისპირება ძლიერდება, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მომხრეები იკავებდნენ რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებს. ე. შევარდნაძის ერთადერთი ხსნა „დსთ" ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური დახმარება იყო. მან, მართლაც, მიმართა მათ დახმარებისათვის. ამან გაამწვავა შიდაპოლიტიკური კრიზისი საქართველოში, სამთავრობო კოალიცია დაიშალა: ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ დაგმო რუსეთთან თანამშრომლობა და დსთ-ში შესვლა. მაგრამ პარლამენტის უმრავლესობამ – 117 დეპუტატმა მაინც ე. შევარდნაძის ახალ კურსს დაუჭირა მხარი.

საქართველოს ამ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას რუსეთმა სამხედრო დახმარებით უპასუხა: ადმირალ ბალტინის საზღვაო – სადესანტო ნაწილები ფოთში გადასხდნენ. მალე ისინი აკონტროლებდნენ დასავლეთ საქართველოს სტრატეგიულ ობიტექტებს. 8 ნოემბერს რუსეთის ჯარები ზუგდიდში შეეიდნენ. ე. შე-

ეარდნაძე შეხვდა ადმირალ ბალტინს, დაისახა ერთობლივი სამხედრო ოპერაციების განხორციელების გეგმა.

ამ დახმარებამ გადაარჩინა საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება: მისი სამხედრო ძალები თანდათან იბრუნებდნენ დაკარგულ პოზიციებს. მათ დაიკავეს ხობი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, მარტვილი, ლანჩხუთი, ოზურგეთი. დასავლეთ საქართველოში მდგომარეობის მოსაწესრიგებლად შეიქმნა სპეციალური სამთავრობო სტრუქტურა – დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციის ზონის დროებითი კომიტეტი. მას სათავეში ჩაუყენეს გ. ლომაძე. მალე სამთავრობო ჯარები ჩხოროწყუში შეეიდნენ, 6 ნოემბერს კი ზუგდიდიც დაიკავეს.

საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით 1994 წლის 4 აპრილს მოსკოვში მოხერხდა აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ხელმოწერა. გადაწყდა ძალთა დაშორიშორების საკითხიც. შეიქმნა 24 კილომეტრიანი უშიშროების ზონა მდ. ენგურის ორივე სანაპიროზე, განისაზღვრა გაეროს სამშვიდობო კონტინგენტის ფუნქციებიც. ეს მისია უნდა შეესრულებინა დსთ-ს სახელმწიფოთა გაერთიანებულ ჯარებს. სინამდვილეში ამ ფუნქციის შესრულება დაიწყეს რუსეთის სამხედრო შენაერთებმა, რადგან სპეციალური ქვედანაყოფების შენახვის შესაძლებლობა სხვა ქვეყნებს არ ჰქონდათ. მთავრობის ეს გადაწყვეტილება საპარლამენტო ოპოზიციის სერიოზულ კრიტიკას იწვევდა: იმ ქვეყნის „სამშვიდობოების" იმედად ყოფნა, რომელმაც ოფიციალურად, თუ არაოფიციალურად აქტიური მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოშორების პროცესის დაჩქარებაში, რეალისტურად მოაზროვნე ქართველ პოლიტიკოსებში სერიოზულ ეჭვებს წარმოშობდა.

პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა. აფხაზეთში წარუმატებლობამ, სამაჩაბლოში დაკონსერვებულმა კონფლიქტმა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი მთელი სიმწვავით დააყენა. ყველასათვის აშკარა იყო, რომ საუკუნეების მანძილზე რუსეთზე ძალით ორიენტირებულ საქართველოს არჩევანი უნდა გაეკეთებინა. რუსეთის, როგორც განუსაზღვრელი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე, ძლიერი პოლიტიკური პარტნიორის ხატება საქართველოში, საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში უკვე დიდი ხანია გაფერმკრთალდა. 9 აპრილის ტრაგედიის დრამატული მოგონებებიც ქართველობას რუსეთის სახელმწიფო მანქანის მიმართ ნდობით არ განაწყობდა, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობდნენ, რომ საქართველოს გამორჩეული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მისი მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკურ ელიტას კომპრომისზე არ წაიყვანდა და საქართველოს „თავის ნებაზე" არ გაუშვებდა. მით უფრო, რომ საქართველოზე პოლიტიკური ზემოქმედების ძლიერი ბერკეტებიც ჰქონდა აფხაზეთში, შიდა ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში.

საქართველოს ხელისუფლებამ იმჟამად აირჩია დაბალანსებული პოლიტიკური ურთიერთობა: კეთილმეზობლობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ყველას კანონიერი ინტერესის გათვალისწინება, ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა.

ამ საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე. 1994 წლის 4 მარტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე ოფიციალური ვიზიტით ეწვია ამერიკის შეერთებულ შტატებს, შეხვდა პრეზიდენტ ბ. კლინტონს, რომელმაც დახმარება და მხარდაჭერა აღუთქვა. მიაღწიეს შეთანხმებას საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვან პრობლემების გადაწყვეტის საქმეში აშშ დახმარების შესახებ. ე.შევარდნაძე იყო კანადაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში.

პარალელურად ინტენსიური დიპლომატიური მუშაობა მიმდინარეობდა რუსეთთან – საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ რუსეთის გარეშე შიდაპოლიტიკურ პრობლემებს ვერ მოაწესრიგებდნენ, ვერ აღადგენდნენ დარღვეულ ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს მესვეურთა დაბალანსებულ პოლიტიკაში

იყო „გადახრების" პერიოდები ხან ერთი მხრისკენ (რუსეთი), ხან მეორე (დასავლეთი) მხრისკენ. ჯერ კიდევ იმედს აღძრავდა ბ. ელცინი – დემოკრატიული რუსეთის ლიდერი. 1994 წლის 3 თებერვალს რუსეთის ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად ის თბილისში ჩამოვიდა. ამ ვიზიტმა დაბადა დიდი იმედი ქართველებში, რომ „დემოკრატიული რუსეთი" ხელს შეუწყობდა საქართველოს ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მშენებლობაში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. დაიდო მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (ე. წ. „ჩარჩო ხელშეკრულება"). მაგრამ რუსეთმა, უკვე იმჟამად, საქართველოს მიმართ სწორი საგარეო პოლიტიკური კურსი ვერ შეიმუშავა. მართალია, მისი სამშვიდობო ძალები იდგნენ აფხაზეთში, ჰქონდა სამხედრო ბაზები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საქართველოს უმაღლესი ხელისუფლება აღიარებდა და პატივს სცემდა რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებს რეგიონში, რუსეთი მაინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობის საქმეში დაინტერესებას არ ავლენდა, პირიქით, რუსეთის რეაქციული ძალების წაქეზებით აფხაზი და ოსი სეპარატისტები იმტკიცებდნენ პოზიციებს, აფხაზებს მოსკოვში თავისი წარმომადგენლობაც კი გაუხნეს.

მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტმა, რომლის დიდი უმრავლესობა კარგად ხედავდა რუსეთის არაგულწრფელობას საქართველოსთან პოლიტიკურ ურთიერთობაში, მაინც რატიფიკაცია გაუკეთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას (1996 წლის იანვარი), რომ ეჩვენებინა რუსეთის პოლიტიკური ელიტისათვის ქართველი ერის კეთილგანწყობა. ხელშეკრულება არეგულირებდა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და, რაც რუსეთისათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო – სამხედრო ურთიერთობებს. რუსეთის პარლამენტმა არც კი განიხილა აღნიშნული ხელშეკრულება. ეს რუსეთის სახელმწიფო დუმის დიდი შეცდომა იყო.

1996 წლის 19 მარტს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი. ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას, სადაც ორივე მხარემ „გამოხატა ორმხრივი სწრაფვა მომავალშიც ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საქართველოსა და რუსეთს შორის ტრადიციული მეგობრული კავშირების განმტკიცებას". ხელი მოეწერა სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობის ხელშეკრულებას, ყურადღება გამახვილდა აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების საკითხებზეც. ამ ხელშეკრულებაზე თბილისი დიდ იმედებს ამყარებდა.

რუსეთის აგრესიული გეგმები. მაგრამ 90-იანი წლების შუა ხანებში ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ნავთობკომპანიების აქტიურობამ სამხრეთ კავკასიაში სერიოზულად დააფრთხო რუსეთი: აშკარა ხდებოდა, რომ ამერიკა და დასავლეთი ალტერნატიული ენერგომატარებლების მნიშვნელოვანი წყაროს ძიებაში თავის ყურადღებას კასპიისა და თენგიზის (ყაზახეთი) უნიკალურ საბადოებზე ამახვილებდნენ და მისი ექსპლოატაციის დაწყებისათვის ემზადებოდნენ. დასავლეთის ეკონომიკური ინტერესი კავკასიაში ნიშნავდა ამ რეგიონში რუსეთის ტრადიციული გეოსტრატეგიული პოზიციის შესუსტებას, მომავალში მთლიანად ამოძირკვასაც კი. კავკასიის სახელმწიფოების მესვეურთა განცხადებები რუსეთის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინების შესახებ, რუსეთის პოლიტიკურ ელიტას არ ამშვიდებდა. რუსეთის შეშფოთება დასავლეთის აქტიურობით რეგიონში უკვე 1997 წელს გამოვლინდა. რუსეთის გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა ფარული დახმარებებით გააძლიერეს და გაათავხედეს საქართველოში სეპარატისტები აფხაზეთში, რომლებიც არცერთ დათმობაზე არ მიდიოდნენ.

ბ. ელცინის მმართველობის ბოლო ხანებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობა კვლავ დაძაბული იყო. ოფიციალურ განცხადებებს მეგობრობასა და კეთილმეზობლობის შესახებ რეალური საქმეები არ მოჰყვა. ვითარება ვერ განმუხტა საქართველოში ბ. ელცინის ერთგული პიროვნების, დსთ-ს აღმასრულებელი მდივნის ბორის ბერეზოვსკის ჩამოსვლამ და მისმა მეგობრულმა რიტორიკამ. ის

ძალიან მალე გადააყენეს და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. ამის მიზეზი ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე მოვლენები იყო. ჩეჩნეთში განმტკიცებული ეროვნული ხელისუფლება, უკონტროლო სამხედრო შენაერთები, არაბი დაქირავებულები ქმნიდნენ დაძაბულობის კერებს, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ რუსეთის ინტერესებს ჩრდილო კავკასიაში. იჩქერიის (ჩეჩნეთის) სახელმწიფო აშკარად დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა და ამ მიზნით რადიკალურ ნაბიჯებსაც დგამდა.

1999 წლის 9 აგვისტოს რუსეთის მოიერიშე თვითმფრინავებმა დაბომბეს ზემო ომალო, დაიჭრა სამი ადამიანი. რუსეთი უარეყოფდა თავის დანაშაულს, მაგრამ იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო კომისიაში, რომელსაც უნდა დაედგინა საქმის ჭეშმარიტი ვითარება. რუსეთი სულ უფრო და უფრო აძლიერებდა ზეწოლას საქართველოს ხელისუფლებაზე: 1999 წლის ბოლოს დაიწყო საუბარი რუსეთ-საქართველოს შორის საგიზო რეჟიმის შემოღების შესახებ, დეკემბრის თვეში რუსეთის თვითმფრინავებმა კიდევ ორჯერ დაარღვიეს საქართველოს საზღვარი, დაბომბეს სოფელი შატილი, მიმდებარე ტერიტორია.

ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ საქართველოს პარლამენტი წინააღმდეგი იყო ქვეყნის პრეზიდენტი მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა თათბირზე წასულიყო. მაგრამ ე. შევარდნაძე იმედოვნებდა, რომ რუსეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ვ.პუტინი მოახერხებდა ყველა გაურკვეველი და პრობლემური საკითხის მოგვარებას კეთილმეზობლურად, ურთიერთინტერესების გათვალისწინებით.

სულ უფრო აშკარად ჩანდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ რუსეთის ძალისხმევის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ ვერ ხერხდებოდა რუსეთის რეაქციული ძალების ანტიქართული მცდელობების განეიტრალება.

რუსეთის ოფიციალური წრეები კი გარეგნულად მუდამ აღიარებდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მოუწოდებდნენ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს კონსენსუსისაკენ, რუსეთის ოფიციალური პირები თვალთმაქცურად აცხადებდნენ „არ შეიძლება იქ დიდხანს არსებობდეს ხელისუფლება რუსეთის ხიშტების დახმარებით" (თავდაცვის მინისტრი პ. გრაჩოვი). მაგრამ რეალურ პოლიტიკაში ისინი სხვაგვარად იქცეოდნენ. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ როგორც სამართლიანად აღიარა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. კოზირევმა: „რუსეთს არ აქვს პოლიტიკა აფხაზურ კონფლიქტში და ის, რომ ეს ხორცს ვერ ისხამს — იმიტომ ხდება, რომ თავს ინებს განსხვავებანი მოქმედებაში".

რუსეთის „სამშვიდობო ძალები" აფხაზეთში არაფერს აკეთებდნენ თავგასული სეპარატისტების მიერ გაჩაღებული ეთნოწმენდისა და ქართველთა გენოციდის შესაჩერებლად. გალის რაიონში, მთელ აფხაზეთში პერიოდულად ტარდებოდა სადამსჯელო ოპერაციები.

პარალელურად მიმდინარეობდა შიდა ქართლში, ცხინვალის რეგიონში, არსებული კონფლიქტის დარეგულირება. დაკონსერვებული კონფლიქტი შედარებით უწყინარი ჩანდა, მას აკონტროლებდა ეუთოს დამკვირვებლების ჯგუფი, ევროკავშირი აქტიურად ცდილობდა კონფლიქტის ყოველმხრივ მოწესრიგებას. მოსახლეობის სიმშვიდეს იცავდნენ შერეული სამშვიდობო ძალები (საქართველოს-ოსეთის-რუსეთის სამხედრო ნაწილების სპეცკონტინგენტი). გარკვეული პოლიტიკური შედეგები ჰქონდა ე. შევარდნაძის პერიოდულ შეხვედრებს ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლებასთან ლიკანში (1996 წ.), ჯაყაში (1998 წ.). ასეთი შეხვედრები ზრდიდნენ ნდობის ფაქტორს, მაგრამ ვერ ხერხდებოდა კონფლიქტის ყოველმხრივი დარეგულირება, რეგიონის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში.

1996 წლის 16 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა მემორანდუმს ქართულ და ოსურ მხარეებს შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთდნობის

პრინციპების შესახებ. გარკვეულ იმედებს წარმოშობდა ჩრ. ოსეთის – ალანიის პრეზიდენტის საშუამავლო საქმიანობა დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთგაგების მისაღწევად. ყველაფერმა ამან გარკვეული პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის პირობები შექმნა, რიგითი მოქალაქის ცხოვრება შედარებით მშვიდი გახადა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეროვნული ამოცანა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ჭიანურდებოდა. რუსეთი სულ უფრო აშკარად ავლენდა თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხისადმი.

უკვე აშკარა გახდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიღწევისათვის უშედეგოდ მიმდინარე ბრძოლა მხოლოდ მაშინ დასრულდებოდა წარმატებით, როცა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა უნარიანად გამოიყენებდა თავისი საზღვარგარეთელი მეგობრების უამრავ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ დახმარებას და მოახერხებდა კანონიერი საშუალებებით თავისი ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენას.

ამ მიზნის მიღწევამდე ქართულ დიპლომატიას რთული ამოცანების გადაწყვეტა უხდებოდა. პირველ რიგში საჭირო იყო რუსეთის „ორმაგი სტანდარტების" პოლიტიკის ნეიტრალიზება.

სწორედ რუსეთის ასეთმა არაგულწრფელმა პოლიტიკამ აიძულა საქართველოს ხელისუფლება 1997 წლის ოქტომბერში დსთ სახელმწიფოების კიშინიოვის სამიტზე მკვეთრი განცხადება გაეკეთებინა. საქართველოს პროტესტი ეხებოდა იმ აუიოტაჟს, რაც გამოიწვია რუსეთში საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის ტრანსპორტირების მსოფლიო მნიშვნელობის პროექტების შემუშავებამ. რუსეთის მასმედიამ და ზოგიერთმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ეს ეკონომიკური პროექტები ანტირუსულ აქციადაც კი მონათლა. საქართველოს პროტესტი შეეხო იმასაც, რომ რუსეთი ბლოკავდა საქართველოსათვის კუთვნილ წილს სსრკ შეიარაღებიდან, რაც ოფიციალური გაანგარიშებით 2,5 მილიარდი ამერიკული დოლარის ეკვივალენტი იყო.

კიშინიოვის სამიტზე რუსული მხარის კრიტიკით სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დელეგაციის ხელმძღვანელებიც გამოვიდნენ, რის გამოც რუსეთის პრეზიდენტი ბ. ელცინი იძულებული გახდა ელიარებინა „რუსეთის ხელისუფლება, მართლაც, რაღაცაში დამნაშავეა და რაღაც ვერ გაითვალისწინა".

რაც დრო გადიოდა რუსეთის მხარე ცდილობდა დსთ-ს ორგანიზაცია გადაექცია ხან კოლექტიური უსაფრთხოების კავშირად (ანუ სამხედრო ბლოკად), ხანაც მისი ეგიდით შეექმნა ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურები. საქართველოს წარმომადგენლები მუდამ დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ რუსეთის მხარის ყველა ასეთ ინიციატივას. ეკონომიკური ინტეგრაცია, რაც მართლაც შეუწყობდა ხელს ამ ქვეყნების დაახლოებას, დსთ-ს სივრცეში არ მოხერხდა.

ჩრდილო კავკასიაში ვითარების გამწვავებამ, 1999 წელს ჩეჩნეთში სამხედრო აქციების განახლებამ, ჩეჩნეთის შეიარაღებული რაზმების წარუმატებლობამ და რუსი სამხედროების სადამსჯელო ოპერაციებმა საქართველოს სასაზღვრო ზოლში (პანკისის ხეობა) ჩეჩენი ლტოლვილები შემოიყვანა. მათ შენიღბულად ჩეჩენი „ბოევიკებიც" გადმოპყენენ. რუსეთის მხარე ცდილობდა ჩეჩნეთის კონფლიქტი საქართველოს ტერიტორიაზე გადმოეტანა და საქართველოც ჩაეთრია ამ ომში. საქართველოს მთავრობა კატეგორიულად აღუდგა წინ ამ მცდელობას. ამას მოჰყვა სასაზღვრო პროვოკაციები, „გამოუცნობი" თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების უკონტროლო სადაზვერვო ოპერაციები, იყო ბომბების ჩამოგდების შემთხვევებიც. რუსეთში ანტიქართული ისტერია აგორდა. დაიწყეს საუბარი პანკისიდან ჩეჩენი „ბოევიკების" რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლის, მათ მიერ ტერორისტული აქტების ორგანიზების, პანკისში „ბოევიკების" მოსამზადებელი ცენტრების არსებობის შესახებ.

აშკარა იყო, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერმანენტული გაუარესება დსთ-ში საქართველოს ეროვნულ ფორმალურ ხასიათს ანიჭებდა. ამ ორგანიზაციის იმედი საქართველოს მესვეურებს უკვე აღარ ჰქონდათ.

კურსი დასავლეთის პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე. ასეთ ვითარებაში საქართველოს სჭირდებოდა რეალური მოკავშირე და მეგობარი, რომელიც უზრუნველყოფდა მისი შეიარაღებული ძალების გარდაქმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, თავიდან აიცილებდა გარეშე საფრთხეს, დაეხმარებოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. საქართველოს საზოგადოებრივი აზრი მუდამ იხრებოდა ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო გაერთიანებასთან (ნატო) პარტნიორული ურთიერთობებისაკენ. ამ სამხედრო ორგანიზაციასთან პირველი კონტაქტები შედგა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთანავე: ნატოს სამხედრო დელეგაციები სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ საქართველოში. შემდეგ საქართველო შეურთდა ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის". ამ პროგრამის მეშვეობით ხორციელდებოდა ქართული ჯარის გარკვეული შენართების ტექნიკური აღჭურვა, ოფიცრების მომზადება, ნატოს სამხედრო წვრთნებში მონაწილეობა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ქართული ბატალიონი მონაწილეობდა ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში ყოფილ იუგოსლავიაში.

საქართველოსადმი ნატოს მესვეურების ყურადღება ყოველწლიურად იზრდებოდა.1998 წლის სექტემბერში საქართველოში ჩამოვიდა ნატოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა. მან განაცხადა: „ჩვენ კავკასიას მივიჩნევთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონად, სადაც უშუალო ინტერესები გვაქვს". ხ. სოლანა შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, პარალამენტის თავმჯდომარეს.

ამ შეხვედრის შემდეგ ნატოსთან პარტნიორობამ უფრო გეგმაზომიერი და ინტენსიური ხასიათი მიიღო. აშკარა ჩანდა, რომ მალე საქართველო ნატოში გაწევრიანების საკითხსაც დააყენებდა.

ევროსტრუქტურებთან თანამშრომლობა გულისხმობდა ინტენსიურ კავშირს ევროპარლამენტთან, ევროკავშირთან. სტრასბურგი მუდამ ეხმარებოდა საქართველოს სხვადასხვა სოციალური პროგრამების რეალიზაციით, გრანტებით, კონსულტაციებით. საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „სასურსათო უ'ხრუნველყოფის პროგრამას", „განსაკუთრებული ფინანსური დახმარების პროგრამას" და ა.შ.

1996 წლის ზაფხულ'ში ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველო სტუმრის სტატუსით მიიწვიეს. ამას მოჰყვა ევროგაერთიანებასთან საქართველოს დიდი შეთანხმება, რაც ითვალისწინებდა პოლიტიკურ დიალოგს, ეკონომიკურ თანამშრომლობას, სამართლებრივ, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობებს, თანამშრომლობას დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავების საქმეში. ევროკავშირის დელეგაციები ჩამოდიოდნენ საქართველოში, ეცნობოდნენ ქვეყნის მიღწევებს, რადიკალური ეკონომიკური, სამართლებრივი რეფორმების რეალიზაციის შედეგებს.

1997 წელს საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველო მზადაა ევროკავშირში შესასვლელად.

1999 წლის 27 იანვარს ევროპის საბჭოს საპალამენტო ასამბლეამ საქართველო თავის მორიგ წევრად მიიღო. 27 აპრილს შედგა წევრად მიღების ოფიციალური ცერემონია.

საქართველო ევროპასთან, დასავლეთის სამყაროსთან მჭიდრო თანამშრომლობის გზას დაადგა.

საქართველოს პოლიტიკური ვექტორის აშკარად დასავლეთისკენ მიბრუნება არ მოეწონა რუსეთის ხელისუფლებას. ამ პერიოდში რუსეთმა ჩინებულად ისარგებლა მსოფლიო ბაზარზე ენერგომატარებლების ფასების პერმანენტული ზრდით, რადიკალურად გაიუმჯობესა საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები,

აღადგინა სამხედრო სტრუქტურები და კელავ პრეტენზიები განაცხადა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს პოლიტიკურ იმიჯზე, რაც რეგიონში აშკარა ჰეგემონიას გულისხმობდა. მას არ მოსწონდა აღმოსავლეთით ნატოს გაფართოების შორსგამიზნული გეგმები, ამას თელიდა თავისი გეოსტრატეგიული ინტერესების შებღალვად და ნატოსთან თანამშრომლობის მოსურნე ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, აშკარად, არაორაზროვნად ემუქრებოდა, დააწესა საეიზო რეჟიმი, უამრავი პროვოკაცია ემუქრებოდა.

ამ რთულ საერთაშორისო ეითარებაში საქართველოში კიდევ ერთხელ, „ვარდების რევოლუციის" შედეგად, შეიცვალა ხელისუფლება. პირველ ხანებში საქართველოს ახალ პრეზიდენტს მ. სააკაშვილს ჰქონდა ილუზია, რომ მოხერხდებოდა უმტკივნეულოდ ცხინვალის რეგიონის პრობლემის მოგვარება, რომ რუსეთი ხელს აღარ შეუშლიდა საქართველოს კანონიერ სურვილს – აღედგინა ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთის პრეზიდენტთან რამდენიმე შეხვედრამ მ. სააკაშვილს განუმტკიცა იმედი, რომ „როგორც მე არ ვერევი იმაში, თუ რა ხდება რუსეთში, ისე რუსეთი არ ერევა და არც ჩაერევა იმაში, რაც საქართველოში ხდება".

2004 წლის იელის-აგვისტოში დაძაბულობამ რეგიონში აპოგეას მიაღწია. საქართველოს გაზეთები უკვე წერდნენ: „აგონიაში მყოფი სეპარატისტული რეჟიმის უგუნური პოლიტიკა მხოლოდ დააჩქარებს მის აღსასრულს".

მაგრამ იმედები არ გამართლდა. რუსეთის სამხედრო მანქანა, განსაკუთრებით კი ცხინვალის მიდამოებში განლაგებული „მშვიდობისმყოფელები", ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ საქართველოსთვის აღედგინა თავისი ტერიტორიული მთლიანობა. უფრო მეტიც – ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით მათ რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭეს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის არაკონტროლირებადი ტერიტორიის მოსახლეობას.

არ გამართლდა იმედი აფხაზეთშიც – ახალი დე-ფაქტო პრეზიდენტი ბაღაფში ე. არძინბაზე კიდევ უფრო შეუვალი აღმოჩნდა და ყველა საშუალებებით ცდილობდა რუსეთის ზეგავლენა განემტკიცებინა რეგიონ'ში, მკვიდრად დაენერგა რუსული კაპიტალი. აფხაზეთში უაპელაციოდ გადამთიელებზე პყიდდნენ ქართველთა უძრავ ქონებას, ფაბრიკებს, ქარხნებს, სანატორიუმებს, პანსიონატებს და ა.შ.

აშკარა იყო, რომ რუსეთი არ ცელიდა თავის ტრადიციულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, ის კვლავ მხოლოდ სიტყვით აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ფაქტობრივად კი მხარს უჭერდა და ყოველმხრივ ახალისებდა აფხაზი და ოსი სეპარატისტების კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს. საჭირო იყო ხანგრძლივი და სერიოზული მუშაობა რუსეთის ხელისუფლებასთან.

ამის აუცილებლობას მ. სააკაშვილი აშკარად გრძნობდა, რადგან მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი სწორედ რუსეთში შედგა. 2004 წლის 11 თებერვალს, პრეზიდენტად გახდომის შემდეგ სულ რამდენიმე დღეში საქართველოს სახელმწიფოს მეთაური კრემლში თავის კოლეგას შეხვდა. საქართველოს გაზეთები აღფრთოვანებული წერდნენ: „საქართველოსა და რუსეთს შორის დათბობის პერიოდი დაიწყო", „სააკაშვილმა, როგორც ჩანს, შესძლო პუტინის მოხიბლვა" და ა.შ. თვითონ საქართველოს პრეზიდენტიც აცხადებდა: „იქაურ საზოგადოებას აქვს შინაგანი მოთხოვნილება, რომ ჩვენმა ქვეყნებმა იმეგობრონ... რუსეთთან პრობლემები არ მექნება... არ მადგეს წარსულის ტვირთი".

მაგრამ 2004 წლის ცხინვალის კრიზისმა და შემდეგდროინდელმა მოვლენებმა აფხაზეთსა და შიდა ქართლში აშკარა გახადა, რომ რუსეთის ტრადიციული პოლიტიკა საქართველოს ამ რეგიონების მიმართ არ შეცვლილა, რომ კიდევ უფრო გაძლიერდა სეპარატისტებისადმი მხარდაჭერა. რუსეთი საერთაშორისო ნორმების დარღვევით კვლავ აგრძელებდა კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები აფხაზი და ოსი მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქის პასპორტების გაცემას და ახლა უკვე „რუსეთის მოქალაქეების" დაცვის საბაბით თბილისს მუდამ რეპრესიული ღონისძიებების გატარებით ემუქრებოდა. რუსეთმა ემბარგო დაუწესა

ქართულ სამრეწველო საქონელს და ამით გასაღების ბაზარი მოისპო, ეკონომიკური დარტყმა მიაყენა საქართველოს. გამოგონილი საბაბით მრავალი ქართველის დეპორტაცია გამოაცხადა და ძალის გამოყენებით ისინი ქვეყნიდან გააძევა. ყველაფერმა ამან აიძულა საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი საჯაროდ განეცხადებინა – „რუსეთი ჩვენი არაკეთილი მეზობელია".

სამაგიეროდ წარმატებით ვითარდებოდა ყოველმხრივი ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. უკვე 2004 წლის 25 თებერვალს პრეზიდენტი სააკაშვილი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. ბუშს. ამ შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა: „იწყება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენი ურთიერთობის სრულიად ახალი ეტაპი".

და, მართლაც, ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც დამოუკიდებლობის ყველა ეტაპზე მეგობრულად ეხმარებოდა და მუდამ მხარში ედგა საქართველოს მოსახლეობას ახალი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში, კელავაც განაგრძობდა მატერიალურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას როგორც საერთაშორისო ფორუმებზე, ისე კონკრეტული ეკონომიკური თუ სამხედრო პროგრამებით, რომელთა მიზანი ძლიერი და ერთიანი საქართველოს მშენებლობა იყო. ამერიკის შეერთებული შტატების ქმედითი დახმარების შედეგად საქართველოს საჯარისო ფორმირებანი მიუახლოვდნენ „ნატოს" სტანდარტებს, მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების გვერდით ისინი წარმატებით ასრულებდნენ თავის მხედრულ ვალდებულებებს ერაყში, კოსოვოში, ავღანეთში.

აშშ-მ უამრავი გრანტი გამოყო საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების პროპაგანდისა და დამკვიდრებისათვის, განსაკუთრებით მსრუნველობას იჩენდნენ პენიტენციალური სისტემის მოსაწესრიგებლად, ქართული სასამართლო მოდელის დასავლურ სისტემაზე გადასაყვანად.

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ 2005 წლის 10 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ბუში მეუღლით ერთად თბილისს ეწვია. ეს, პირველ რიგში, ქართველი ხალხის მიერ მეორე მსოფლიო ომში გაწეული დიდი წვლილის აღიარება იყო, და მეორე, ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ ნდობასა და მხარდაჭერას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები უწევდა საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის საქმეში. ქართველმა ხალხმა ჩვეული პატივით მიიღო ამერიკის დიდი ხალხის პრეზიდენტი, მოხიბლა თავისი სტუმართმოყვარეობით და საზეიმო შეხვედრაზე შემდეგი სიტყვები ათქმევინა: „დამოუკიდებლობის გზა არ არის იოლი, მაგრამ თქვენ არ მოგიწევთ მისი მარტო გავლა. ამერიკელები პატივს სცემენ თქვენ მამაც არჩევანს – თავისუფლების მოპოვების სურვილს. თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს შენებისას ამერიკელი ხალხი თქვენს გვერდითაა."

ახალ თვისებრივ სიმაღლეზე ავიდა საქართველოს ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან. მ. სააკაშვილის ოფიციალურმა ვიზიტმა დიდ ბრიტანეთში ცხადყო ინგლისის მმართველი წრეების ინტერესი საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესებისადმი. ინგლისში საქართველოს პრეზიდენტი მიიღო გაერთიანებული სამეფოს დედოფალმა ელისაბედ II, საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა პრემიერ-მინისტრ ტ. ბლერს.

წარმატებით დასრულდა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი საფრანგეთში. ჟ. შირაკთან შეხვედრაზე საფრანგეთის პრეზიდენტმა სრული მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

საქართველომ გააგრძელა ნაყოფიერი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობა ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან: მ. სააკაშვილი იმყოფებოდა იტალიაში და შეხვდა პრემიერ-მინისტრ ს. ბერლუსკონის, იყო ჰოლანდიაში, სხვა ქვეყნებში. მოგვიანებით წარმატებით დასრულდა მ. სააკაშვილის ვიზიტი ისრაელში, სადაც საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა ა. შარონს.

წარმატებით გრძელდებოდა საქართველოს ტრადიციული ურთიერთობა დსთ-ს ქვეყნებთან და პირველ რიგში მეზობლებთან: აზერბაიჯანთან, სომხეთთან. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ი. ალიევი არაერთხელ იმყოფებოდა საქართველოში, ხელი მოეწერა მნიშვნელოვან სახელმწიფო დოკუმენტებს. 2005 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტებმა საზეიმოდ გახსნეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობმაგისტრალი, რამაც მნიშვნელოვნად უნდა წასწიოს წინ სამივე ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები.

განსაკურებით მრავალმხრივი და მჭიდროა ურთიერთობა უკრაინის სახელმწიფოსთან. უკრაინის 2004 წლის დეკემბრის „ნარინჯისფერი რევოლუცია" პოლიტოლოგებმა „ვარდების რევოლუციის" ანალოგიად გამოაცხადეს, რომლის მიზანი უკრაინაში დასავლური დემოკრატიული ფასეულობების განვითარება იყო. საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების ოფიციალური თუ არაოფიციალური ვიზიტები, ახალი ერთობლივი დეკლარაციები აშკარად მიუთითებდნენ, რომ ამ ორი ქვეყნის ხელისუფლება მზად იყო ერთობლივად ააშენოს ევროპული დემოკრატია საკუთარ სახელმწიფოებში.

Vსაქართველოს ახალი ხელმძღვანელობის ყველაზე მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური მიღწევა – რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულების დადება იყო. საქართველოში 200 წლიანი სამხედრო ყოფნის შემდეგ რუსეთის სამხედრო ბაზებმა დატოვეს საქართველოს ტერიტორია.

რამ მიღწევამ კიდევ უფრო გააღიზიანა რუსეთში საქართველოსადმი განწყობილი მტრული ძალები. კიდევ უფრო გაძლიერდა ანტიქართული ფსიქოზი მოსკოვის მმართველ ელიტაში, რაც როგორც სეპარატისტული რეჟიმებისადმი მხარდაჭერის გაძლიერებაში, ისე ხშირ ენერგოდიევერსიებში, გამოიხატა. ყველაფერი კეთდებოდა საქართველოს დასაშინებლად და დასაჩოქებლად.

საქართველოს კურსი დასავლეთის დემოკრატიულ ფასეულობებზე – ურყეია. ამას ვერ შეაჩერებს ვერავითარი მცდელობა, ძალისმიერი ზეწოლა, შეიარაღებული აგრესიაც კი! მით უფრო, რომ დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები, ზესახელმწიფოებრივი გაერთიანებების, ნატოს, ეუთოს, ევროკავშირის ხელმძღვანელები ერთხმად აცხადებენ მზადყოფნას ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი ქართველ ხალხს დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

თავი VIII

რუსული კოლონიალიზმის არსი

რუსეთის სახელმწიფოს იმპერიული წელთაღრიცხვა ოფიციალურად 1721 წელს იწყება. ამ წელს ჩრდილოეთის ომში გამარჯვების შემდეგ, პეტრე I-მა რუსული „царь"-ის ტიტული უარყო და დასავლური იმპერატორის სტატუსი მიიღო. რუსეთი იმპერიად იწოდა.

იმპერია რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენია. როგორც წესი, ისინი არ იქმნებიან ერთბაშად და ერთი ხელის დაკერით. რუსეთის იმპერიულობასაც საფუძველი გაცილებით ადრე ჩაეყარა.

იმპერიული იდეა – იდეა მართლმადიდებლური სამეფოს შექმნისა, რუსეთის დიდმა მთავარმა ივანე III-მ (1465-1505 წწ.) დაცემული ბიზანტიისაგან იმემკვიდრა. რუსეთმა ბიზანტიის გერბის, ორთავიანი არწივის – ეკლესიისა და სახელმწიფოს სიმფონიის სიმბოლოს რუსეთში გადმოტანით თავი კონსტანტინოპოლის მემკვიდრედ გამოაცხადა და მესამე რომის ფუნქცია იტვირთა*. იდეა – „მოსკოვი – მესამე რომია" არა მხოლოდ იდეოლოგიურ საფუძვლად, თვით რუსული სახელმწიფოებრიობის არსებობის აზრადაც იქცა.

რუსული მესიანიზმის კონცეფციით, რუსეთს მსოფლიოში განსაკუთრებული ამოცანა აკისრია. იგი უნდა იქცეს ქრისტიან ხალხთა სამყაროსეული ძმობის „მიწიერ სამეფოდ." რუსეთის მეფე წარმოიდგინება ღვთის მიერ რჩეულ მმართველად, რომელიც თავს ყველა ქრისტიანთა ხელმწიფედ მიიჩნევს და მიზნად ისახავს მსოფლიოს ქრისტიანი ხალხების გაერთიანებას, სამყაროს სხვა ბინადართა მონათელას. აღნიშნავს ინგლისელი მკვლევარი ჯ. დანკინი წიგნში „რუსული მესიანობა: მესამე რომი, რეფორმაცია, კომუნიზმი და სხვა"[1].

მართლმადიდებლური იმპერიული იდეის განმსაზღვრელ ღერძს ქრისტიანთა ძმობის, მართლმადიდებლური აღმსარებლობის ხალხთა ხსნისა და დაცვის იდეოლოგია შეადგენდა. სწორედ ეს იდეოლოგია უნდა ეწინამძღვრა რუსეთს, რომლის თანახმად, ახალი მიწების საკუთარ სახელმწიფოში მოქცევა მართლმადიდებელი სამყაროს საზღვრების გაფართოებასა და მართლმადიდებელი ხალხის რაოდენობრივ ზრდას ნიშნავდა.

იმპერიის ესქატოლოგიურ მართლმადიდებლურ იდეას მოგვიანებით ეტატიზმი ჩაენაცვლა, რელიგიური და სახელმწიფოებრივი პარადიგმები ერთმანეთს შეერწყა. იმპერიულობის სახელმწიფოებრივი გაგება სრულიად სხვა პრინციპებს, პირველ რიგში, გეოსტრატეგიულ მიზნებსა და ინტერესებს დაეფუძნა. სარწმუნოებრივმა მოტივმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და მართლმადიდებლობა იმპერიულობის ერთადერთი საფუძველიდან, მის ერთ-ერთ ნაწილად იქცა. თუ თავიდან რუსეთის სახელმწიფოებრივი ძლიერება მართლმადიდებლობის გავლენას დაუკავშირდა, შემდეგში მართლმადიდებლობა სახელმწიფოს ძლიერებაში ჰპოვებდა გამოხატულებას. სახელმწიფო საკრალიზებული, ხოლო რუსობა ეთნიკურის ნაცვლად, სახელმწიფოებრივი მახასიათებელი ხდებოდა[2].

მონღოლთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან ქანცგაწყვეტილ რუსეთს დიდი დრო დასჭირდა, რათა შეექმნა ახალი და ძლიერი სახელმწიფო. ქვეყანა, შეიძლება ითქვას, ხელახლა დაიბადა. თუმცა, იმავე მონღოლური ოქროს ურდო-

---

* ზოგიერთი მეცნიერი ამ მოსაზრებას ისტორიულ მითს უწოდებს. მაგალითად, უკრაინელი ისტორიკოსი ს. კულჩიცკი აღნიშნავს, რომ თუნდა ბიზანტიის მემკვიდრეობის დაბრუნებაზე მხოლოდ XVIII-XIX ს.ს. გამოიყენებოდა, როგორც დასუსტებული ოსმალეთის იმპერიის შთანთქმის პოლიტიკის იდეოლოგიური დასაბუთება. და რომ XV-XVI ს.ს. მოსკოვის მიზანი, პირველ რიგში, სხვა, – ოქროს ურდოს იმპერიის მემკვიდრეობის დაუფლება იყო (http://inismi.ru/translation/225113.html).

საგან გადმოღებულ-შეთვისებულმა აზიური ტიპის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ-მა წყობამ („ცივილიზაციის აზიური კოდი"), მონღოლ-თათართა გამოცდილების გამოყენებამ სამხედრო, ადმინისტრაციული მოწყობის, საგადასახადო სისტემის, კომუნიკაციის, საერთაშორისო ვაჭრობისა და სხვ სფეროში, რუსეთს შესაძლებლობა მისცა შეექმნა ძლიერი არმია და მისი მეშვეობით საზღვრების მთელ პერიმეტრზე დაპყრობითი პოლიტიკა წამოეწყო[3]. ივანე კალიტა ქვეყნის ცენტრალიზაციას ფულის ქისით აძლიერებდა, ივანე მესამე – პოლიტიკოსის ხელოვნებით, ივანე მრისხანე ჯალათის ნაჯახით. XVIII საუკუნის ბოლოდან იმპერიის ხელისუფალნი ფართოდ მიმართავდნენ სახელმწიფოს დიპლომატიურ არსენალში დამკვიდრებულ ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, როგორიც იყო შანტაჟი, გადაბირება, დაშინება, მოსყიდვა, მოტყუება და სხვ.[4].

რუსეთის იმპერიული პროექტი თავდაპირველად ნელა და უმნიშვნელო წარმატებით ეითარდებოდა. როცა XV საუკუნის ბოლოს, საოკეანო აფრიანი გემებით, ვასკო და გამა ინდოეთს, ხოლო ქრისტეფორე კოლუმბი ამერიკის ნაპირს მიადგა და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა სათავე დაუდო კოლონიური იმპერიების წარმოშობის ახალ გლობალურ პროცესს, რუსეთის სამდინარო გალერეებს დინების საწინააღმდეგოდ ჯერ კიდევ ბურლაკები მიათრევდნენ. ქვეყანას იმ დროს ფაქტობრივად ზღვაც არ ჰქონდა და არც საზღვაო ხომალდები გააჩნდა. ასეთ რუსეთს ვერ ექნებოდა ზღვებისა და ოკეანეების მიღმა სამფლობელოების ხელში ჩაგდების პრეტენზია. იგი ვერ შეედრებოდა ვერც ესპანეთს, ვერც პორტუგალიასა და ჰოლანდიას, რომლებმაც გაკვალეს გზები ახალი სამყაროსაკენ და კოლონიების დაარსებას შეუდგნენ. რუსეთი მოკლებული იყო თავისი საზღვრების დასავლეთით დიდად გაფართოების შესაძლებლობას. ჩრდილოეთით წასასვლელი არსაით იყო. რჩებოდა ორი – აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულება, საითკენაც წინსვლა შედარებით იოლი ჩანდა. XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთს კოლონიების დაპყრობის უფრო მეტი შესაძლებლობები გაუჩნდა, ევროპის ქვეყნებს უკვე ათვისებული ჰქონდათ ამერიკის, აზიისა თუ აფრიკის კონტინენტთა დიდი ნაწილი და ამ სივრცეში რუსეთისათვის ადგილი აღარ რჩებოდა. რუსეთი კელავაც ახლომდებარე ტერიტორიებისა და ხალხების შემოერთებას უნდა დასჯერებოდა.

რუსული კოლონიალიზმის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე იმპერიის საზღვრების განერცობა იყო. რუსეთი ეწეოდა დაპყრობით ომებს, იერთებდა ახალ მიწებს, ძლიერდებოდა, თავის ორბიტაში აქცევდა სულ უფრო მეტ ტერიტორიებს და მოსახლეობას. ახალი სამფლობელოების შემოერთების ამ პროცესს, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა, ხან „собирание земель" დაერქვა, ხანაც „расширение границ," ან კიდევ „активная внешная политика," მაგრამ არა თავისი ნამდვილი სახელი – ექსპანსია. მაშინ, როდესაც, სწორედ დაპყრობები, მასშტაბური ტერიტორიული ექსპანსია იყო რუსეთის ტოტალური სტრატეგია და სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მკვებავი წყარო. რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახალი მიწების ათვისებასთან, მიღწეებთან და წარუმატებლობებთან უცხოტომელთა ინტეგრაციისა და ასიმილაციის სფეროში.

ვ. ლუჩევსკიდან მოყოლებული, მრავალი რუსი მეცნიერი რუსეთის ექსპანსიას მისი „ბუნებრივი საზღვრებისაკენ" მისწრაფებით ხსნიდა, ამ საზღვრებად კი დასავლეთით ბალტიის ზღვა და აღმოსავლეთით წყნარი ოკეანე მიიჩნეოდა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ რუსი ერის ფორმირების ისტორიულ არეალს, რომელიც ვოლგას, დონსა და კარპატებს შორის სივრცეს მოიცავდა, ძნელია „ბუნებრივი" ეწოდოს ციმბირის დაპყრობას ან კავკასიონის ქედის გადმოლახვას, რამაც რუსეთი ევებერთელა ევრაზიულ სახელმწიფოდ გადააქცია და „სლავური ბირთვიდან" ცენტრალურ ევროპამდე, წყნარ ოკეანემდე და შუა აზიამდე განაკრცო.

რუსული კოლონიალიზმის თავისებურებებს ამ სახელმწიფოს გეოსტრატეგია, იმპერიის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული განვითარების მიმართულება, დონე და ხასიათი განსაზღვრავდა. ქვეყნის შიდა ვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო საგარეო რეალობაც. საგარეო რეალობაში ამ შემთხვევაში ორი ასპექტი უნდა გამოიყოს: 1. რუსეთის მფლობელობაში შემავალი ხალხების მდგომარეობა იმპერიაში მოქცევის წინაპერიოდში და 2. რუსეთის კოლონიური სამფლობელოების ადგილმდებარეობა, მათი სიახლოვე ევროპულ თუ აზიურ სამყაროსთან.

რუსეთის მიერ დაპყრობილი ხალხები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდნენ განვითარების დონით, ენით, კულტურით, აღმსარებლობით, სახელმწიფოებრიობის ტრადიციითა და სხვ. თუ ერთნი ჯერ კიდევ მომთაბარე და პატრიარქალური ცხოვრებით ცხოვრობდნენ, სხვებს, მაგალითად საქართველოს, სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ტრადიცია, თვითმყოფადი კულტურა, ქრისტიანული ცივილიზაცია და მყარი ეროვნული იდენტობა გააჩნდა. და ეს იყო არა მხოლოდ წარსულში. მართალია, საქართველომ ახალ დროში ერთიანობა ველარ შეინარჩუნა, მაგრამ საკუთარი სახელმწიფოებრიობა არ დაუკარგავს. ქართული სამეფო-სამთავროები – ეს პატარა საქართველოები, ცალკე სახელმწიფოებრივი ერთეულები იყვნენ და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის აქტიურად ფეხისმოკიდებამდე არსებობას განაგრძობდნენ. აუცილებელია ითქვას, რომ იმ ხალხების უმეტესობა, რომელთა ხვედრი რუსეთის კოლონიური უღელი აღმოჩნდა, რომანოვთა იმპერიის წიაღში ინკორპორირებისას, შინა ომების, მეზობელ აგრესიულ სახელმწიფოთა თავდასხმებითა თუ სხვა ფაქტორების გამო დაშლა-დაქუცმაცების პროცესს განიცდიდა და დასუსტებული იყო.

ყოველი იმპერია ძალმომრეობის უშუალო პროდუქტია. იგი გარემომცველ ხალხებთან შეტაკებებში, მეზობელ თუ შორეულ სახელმწიფოებთან ჭიდილსა და გამარჯვებებში იბადება. ასე შეიქმნა რუსეთის იმპერიაც.

ცნობილი მკვლევარი იური აფანასიევი აღნიშნავს: „რუსეთს მუდმივად ახასიათებს აგრესიულობა და ექსპანსიონიზმი, რომელიც სათავეს მოსკოვის ამაღლების დროიდან იღებს. რუსეთი ყოველთვის ცხოვრობდა დაპყრობებით, ახალი მიწების შემოერთებით. რუსეთის ისტორიაში შედარებით მცირე პერიოდიც არ ყოფილა ომების გარეშე: იპყრობდნენ ან იცავდნენ. და არასოდეს ფიქრობდნენ იმაზე, რომ უკეთ მოეწყოთ ეს ტერიტორიები, არამედ პირიქით, – რაც შეიძლება მეტი დაეპყროთ"[5].

პირველი ნაბიჯი რუსეთის იმპერიის ჩამოყალიბების გზაზე იყო ყაზანის სახანოს დაპყრობა 1552 წელს. ამას მოჰყვა ჯერ ეოლგისპირეთისა და შემდეგ ციმბირის კოლონიზაცია, რამაც მოსკოვის დიდი სამთავრო პოლიეთნიკურ რუსეთის სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა. XVII საუკუნის შუა ხანებში რუსეთის კონტროლსა და გაელენას დაექვემდებარა უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი კიევითურთ. აღმოსავლეთის მიმართულებით რუსმა პირველმკვლევარებმა წყნარ ოკეანემდე მიაღწიეს და ალიასკის ათვისებას შეუდგნენ. ახალი მიწების ათვისება რუსულ მხატვრულ თუ ისტორიულ ლიტერატურაში პეროიკულ ფერებშია გადმოცემული, მაგრამ რეალური სურათი ხშირად სხვა იყო. ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი კაზაკთა და მეთოფეთა რაზმები უმოწყალოდ ანადგურებდნენ აბორიგენებს.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ჩრდილოეთის ხანგრძლივ ომში წარმატებამ რუსეთს შესაძლებლობა მისცა, დაუფლებოდა ბალტიისპირეთს, მომდევნო პერიოდში კი ყირიმსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს. იმპერიის შემადგენლობაში მოექცა ევროპის ვრცელი ტერიტორიები, რომლებიც ადრე რეჩ პოსპოლიტასა და ოსმალეთის სულთანს ექვემდებარებოდა. ლომის წილი მიიღო რუსეთმა პოლონეთის სამგზის დანაწილებითაც.

პეტრე I-მა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა, რათა თავისი ქვეყნის გაელენა ჩინეთსა და ინდოეთამდე განეერცო, შთამომაელობას კი ანდერძად დაუტოვა: „მე რუსეთი ნაკადულად ვიხილე, მაგრამ მდინარედ დავტოვე; ჩემი მემკვიდრეები მას ზღვად გადააქცევენ, რომელიც გაანაყოფიერებს გაღატაკებულ ევროპას."

ისტორიკოსთა ნაწილი პეტრეს ანდერძს შეთითხნილ დოკუმენტად მიიჩნევს და მის ნამდვილ ავტორად პარიზში მცხოვრებ პოლონელ ემიგრანტს მიხეილ სოკოლნიცკის ასახელებს. „ანდერძის" ტექსტი პირველად ნაპოლეონ ბონაპარტეს მითითებით 1812 წელს დაიბეჭდა. იგი შესულია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელის ლეზიურის ხელმოუწერლად გამოცემულ წიგნში „რუსეთის ძლიერების განეითარება"[6]. არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, არსებობდა თუ არა სინამდვილეში ამგვარი ანდერძი. ფაქტია, რომ რუსეთის პირველ იმპერატორს გიგანტური დაპყრობითი გეგმები გააჩნდა, რომელთა ნაწილის განხორციელება თვითონვე მოახერხა.

XIX საუკუნე რუსეთის იმპერიამ სამხრეთ კავკასიის დაპყრობით დაიწყო. ჯერ ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და მიეერთა, მერე კი დასავლეთ საქართველოსა და მაჰმადიანურ სახანოებს მიდგა. ირანისა და ოსმალეთის არაერთგზის დამარცხებით რუსეთმა ორივე მათგანს რეგიონიდან ფეხი ამოუკვეთა და ამ მხარის სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა. დიდი ძალა, ენერგია, ადამიანური და ფინანსური რესურსები შეალია ცარიზმმა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ძლევასა და დაპყრობას ხანგრძლივ ომში, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტხანს გაგრძელდა.

1809 წელს რუსეთმა შეეცია აიძულა, ფინეთი მისთვის დაეთმო. ფინეთის არცთუ ვრცელი, მაგრამ მნიშვნელოვანი მიწა-წყალი ორთაეიანი არწივის ფრთებმა დაფარა. XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთი მტკიცედ დამკვიდრდა წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ხოლო 80-იანი წლებისათვის დაასრულა შუა აზიის ინკორპორაცია. რუსეთი უზარმაზარ კოლონიურ იმპერიად მოგვეელინა, რომლის ტერიტორია 22,4 მილიონ კვადრატულ კილომეტრს (დედამიწის ერთ მეექვსედს) მოიცავდა, ხოლო მოსახლეობა 1897 წლის აღწერით 128,2 მილიონ სულს შეადგენდა.

საინტერესოა აღინიშნოს: რუსეთი ყოველთვის ახერხებდა შეენარჩუნებინა დაპყრობილი ტერიტორიები. იგი იშვიათად კარგავდა ერთხელ ხელში ჩაგდებულ მიწა-წყალს. ამის უმთავრეს მიზეზად მკვლევარნი იმ ფაქტს ასახელებენ, რომ პოლიტიკურ ათვისებას თან სდევდა მასშტაბური კოლონიზაცია. კოლონიზაცია ძირითადად განაპირა მხარეთა ეთნიკური ექსპანსია იყო, მაგრამ იმავდროულად იგი ამაღლებდა შემოერთებული სამფლობელოების რენტაბელობას, თუნდაც იმით, რომ პერიფერიებს სახელმწიფოსთან ეკონომიკურ კავშირში რთავდა და ხელს უწყობდა იმპერიის ფარგლებში ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებას[7]. გამოთვლილია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ორ მილიონზე მეტმა ახალმოსახლემ გადაინაცელა რუსეთის ცენტრალური ოლქებიდან სამხრეთით, ჯერ ტყის სტეპში და შემდგომ საკუთრივ სტეპებში. ამ პერიოდში დაახლოებით 400 ათასი კაცი გადასახლდა ციმბირში. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში სამხრეთისაკენ ადგილგადანაცელებულთ კიდევ 12-13 მილიონი ადამიანი დაემატა, ხოლო ციმბირსა და შუა აზიის სტეპებში 5 მილიონამდე კაცი იქნა მიგრირებული[8].

ისტორიულად რუსეთს მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავდა. ხელისუფლება ამ ფაქტორს მარჯვედ იყენებდა ახალი ტერიტორიების ათვისების პროცესში, ფართოდ მიმართავდა კოლონიზაციას.

საქართველოში კოლონიზაციის პროცესს ერთი თავისებურება გააჩნდა. აქ რუს მოახალშენეთა გარდა, იმპერიის მთავრობამ 1818-1819 წლებში გერმანელი კოლონისტები ჩამოასახლა, იმავე საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს კი ჩვენი ქვეყნის უცხოტომელთა რიცხვი ოსმალეთიდან ლტოლვილი რამდენიმე ათასი სომხის ხარჯზე გაზარდა. რუსეთის გუბერნიებიდან მოსახლეობის მიგრაცია საქართველოს ტერიტორიაზე ცარიზმის დამხობამდე ფაქტობრივად არ შეწყვეტილა.

შემთხვევით არ წერდა ცნობილი ისტორიკოსი ე. კლუჩევსკი, რომ რუსეთის მთელი ისტორია ეს კოლონიზაციის ისტორიაა. „რუსეთის ისტორია – ისტორიაა ქვეყნისა, რომელიც კოლონიზირდება"[9], – ასე ერთმნიშვნელოვნად გამოიყო მეცნიერმა რუსეთის ცხოვრების ფუძემდებლური თავისებურება და იმპერიის ყველაზე ნიშანდობლივი მხარე.

ლევ გუმილიოვის სიტყვითაც თუ ვიტყვით, რუსი ხალხი „სუპერეთნოსად" სწორედ კოლონიზაციის პროცესში ჩამოყალიბდა[10].

იმპერიის მშენებლობა რუსი ხალხის ბედად იქცა. შენიშნავს თანამედროვე რუსი მკვლევარი ანდრეი ბოროვსკი 2004 წელს გამოცემული თავისი გახმაურებული წიგნის „Крах империи. Курс неизвестной истории"-ს ანოტაციაში.

რუსეთის იმპერიის ხელისუფალნი, ჩვეულებრივ, არ ჩქარობდნენ დაემსხვერიათ დაპყრობილ ხალხთა ადმინისტრაციული აპარატი. დროებით მაინც მას ხელუხლებლად ტოვებდნენ და ემაყოფილდებოდნენ ცენტრალური მმართველობის პეტერბურგში ან მოსკოვში გადატანით. მაგალითად, პოლონეთს 1831 წლამდე ჰქონდა კონსტიტუცია და ეროვნული სეიმი საკანონმდებლო უფლებით საშინაო საქმეებში. ასეთივე კონსტიტუცია გააჩნდა ფინეთს, ვიდრე 1899 წელს მის მოქმედებას შეაჩერებდნენ. არსებობდა ხივის სახანო, ბუხარის საემირატო და სხვ. რიჩარდ პაიპსი მიუთითებს, რომ ეს არ ნიშნავდა არარუსთათვის რაიმე უფლებას თვითმმართველობაზე და ძირითადად პერსონალის უკმარობით აიხსნება[11].

რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში ერთი შეხედვით, მართლაც შეიმჩნევა ასიმეტრიული პრინციპი. რომანოვთა იმპერია აერთიანებდა პოლონეთის სამეფოს, ფინეთის ავტონომიას, კავკასიის სამეფოისნაცვლოს, ხივის სახანოს, ბუხარის საემირატოს, ციმბირის გუბერნიებსა და სხვ. მაგრამ, ასეთ პირობებშიც კი, სახელმწიფო უნიტარიზმს ინარჩუნებდა. ცენტრალიზაცია იმდენად ძლიერი იყო, რომ ასიმეტრიის პრინციპი ხშირად ირღვეოდა. ავტონომიურობასაც დიდწილად ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

საკუთრივ საქართველოსთან მიმართებაში, კოლონიური ხალხებისადმი რუსეთის იმპერიის დამოკიდებულების ზოგადი პრინციპები მხოლოდ ნაწილობრივ თუ იყო დაცული.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიის არსის უცხოელი მკვლევრები თუ ანალიტიკოსები ნაკლებად ითვალისწინებენ ქართულ მასალას. მაგალითად, რასაც რ. პაიპსი დაპყრობილი ხალხების ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ცარიზმის დამოკიდებულებაზე ამბობს, არ მტკიცდება არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ საქართველოს მაგალითზე. ქართლ-კახეთში არათუ ეროვნული ადმინისტრაცია შეინარჩუნეს, ქართველი მეფის ინსტიტუტი დე ფაქტო იმაზე ადრე გააუქმეს, ვიდრე თბილისში რუსული საგუბერნიო მმართველობა ოფიციალურად გამოცხადდებოდა.

ამასთან, იმის შიშით, რომ გაუქმებული ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ბაგრატიონთა დინასტია ხელახლა არ აღედგინათ, თვითმპყრობელობამ სამეფო ოჯახის თითქმის ყველა წევრი რუსეთში გადაასახლა. სამშობლოში შემთხვევით ერთადერთი უფლისწული – გრიგოლ იოანეს ძე დარჩენოდათ. აჯანყებულმა კახეთის მოსახლეობამ 1812 წელს ამით ისარგებლა და გრიგოლ ბაგრატიონი მეფედ გამოაცხადა[12].

1810 წელს რუსეთის ჯარმა იმერეთი დაიპყრო. სოლომონ I ტახტს ჩამოაშორეს. მეფობა მოშალეს და ბაგრატიონთა აქაური შტოს წარმომადგენლებიც რუსეთის გზას გაუყენეს. სამეფოს ნაცელად ოლქად დამცრობილ იმერეთშიც იმთავითვე რუსული მმართველობა დამყარდა.

ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ დასავლეთ საქართველოს მცირე სამთავროები (სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის, სვანეთის), რომელთა მთავრები დროებით მართლაც დატოვეს „თანამდებობებზე," თუმცა ყველა მათგანი რუსთხელმწიფის ერთგულებაზე დააფიცეს და იმპერიის ქვეშევრდომობაში

მიიღეს. სამთავროთა აეტონომიურობა მოჩვენებითი იყო. ზუგდიდში, ოზურგეთსა თუ სოხუმში რუსული გარნიზონების ჩაყენება მთავართა შეზღუდულ ხელისუფლებას ნომინალურს ხდიდა. მალე ეს ადგილობრივი ფორმალური მმართველობაც თეითმპყრობელობის კავკასიურ ინტერესებთან შეუსაბამო აღმოჩნდა და ლიკვიდირებულ იქნა[13].

რუსეთის იმპერიის სტრუქტურული აღნაგობა თავისებური იყო და დიდად განსხვავდებოდა, ვთქვათ, ბრიტანეთის იმპერიისაგან. რუსეთს ინგლისივით არ ჰქონია დომინიონები და პროტექტორატები. შესაბამისად, რომანოვთა იმპერიის სამფლობელოების აღსანიშნავად სპეციფიკური ტერმინოლოგია გამოიყენება: განაპირა მხარე, პერიფერია, ფრონტირი, კოლონია. ჩამოთვლილთაგან ყველაზე ადრინდელია ცნება „განაპირა მხარე". იგი თავდაპირველად გეოგრაფიული შინაარსით გამოიყენებოდა, ივანე მრისხანეს დროიდან (1533-1584 წწ.) კი ტერმინში პოლიტიკური აქცენტიც იკვეთება. იმპერიულ რუსეთში განაპირეობა ამა თუ იმ ტერიტორიის ცენტრიდან დაშორებას კი აღარ აღნიშნავდა, არამედ ცენტრზე – მეტროპოლიაზე დაქვემდებარებას გულისხმობდა. ასეთივე დატვირთვა გააჩნდა ცნებას „პერიფერია," ხოლო იმავე შინაარსის ტერმინი „ფრონტირი" გვიანდელია და ფიგურირებს თანამედროვე პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში. რაც შეეხება „კოლონიას," მისი გაგება, მას შემდეგ, რაც კოლონიალიზმი მსოფლიო ისტორიულ მოვლენად ჩამოყალიბდა, აღარ შეცვლილა.

რუსეთში დაპყრობილი ტერიტორიებისა და ქვეყნების მართვა-გამგეობის სისტემა რამდენადმე ორიგინალური იყო და ევროპული იმპერიებისაგან განირჩეოდა. თუ ბრიტანეთში კოლონიების საქმეთა სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანამდებობა 1768 წელს შემოიღეს, ხოლო XIX საუკუნის შუა ხანებში კოლონიების საქმეთა სამინისტრო ჩამოყალიბდა, რუსეთში მსგავსი ერთიანი ცენტრალური სტრუქტურა არ არსებულა.

ინგლისის კოლონიები ორი ტიპისა იყო – დაპყრობილი და გადასახლებულების. პირველნი, სადაც „ფერადკანიანი" მოსახლეობა ჭარბობდა, პოლიტიკური აეტონომიებით არ სარგებლობდნენ და იმპერატორის სახელით ბრიტანეთის მთავრობის მიერ იმართებოდნენ. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფუნქციებს ამ კოლონიურ სამფლობელოებში გუბერნატორი ასრულებდა. ე.წ. ტუზემცების ადმინისტრაცია შეზღუდული თეითმმართველობით სარგებლობდა და აღჭურვილი იყო გარკვეული სასამართლო და პოლიციური უფლებამოსილებით. იგი ბუფერის როლს ასრულებდა ევროპელთა უმაღლეს ხელისუფლებასა და დაპყრობილ ადგილობრივ მოსახლეობას შორის. მართვის ამგვარი სისტემა ირიბ ანუ არაპირდაპირ მმართველობად იწოდებოდა. კოლონიებმა, რომლებშიც გადასახლებულნი უმრავლესობას ან მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ, პოლიტიკური აეტონომიები და დომინიონის სტატუსი მოიპოვეს (კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის კავშირი). მათ საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი, მთავრობა, არმია და ფინანსები გააჩნდათ, თუმცა ეჭვემდებარებოდნენ მეტროპოლიის მიერ დანიშნულ გუბერნატორის კონტროლს.

საფრანგეთი თავის კოლონიურ სამფლობელოებს ძირითადად პირდაპირი მართვის მეთოდით, არმიისა და პოლიციის დახმარებით განაგებდა. გერმანიის კოლონიებში ხელისუფლებას სრულად ფლობდა ბერლინის მიერ დანიშნული გუბერნატორი. გერმანელები შეადგენდნენ კოლონიური ადმინისტრაციის უმაღლეს და საშუალო რგოლებს, კოლონიური ჯარებისა და პოლიციის მეთაურთა შემადგენლობას. დაბალი ადმინისტრაცია, როგორც წესი, ადგილობრივი წიგნიერი მოსახლეობის წარმომადგენელთაგან კომპლექტდებოდა. ზოგიერთ კოლონიაში (კამერუნი, ბურუნდი და სხვ.) გერმანელებმა შეინარჩუნეს ადგილობრივ ბელადთა და მმართველთა ძალაუფლება, მაგრამ ისინი მკაცრ კონტროლქვეშ აყვანილ მოქცეული.

რუსეთში პერიფერიებთან დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა საგარეო პოლიტიკურ, გეოსტრატეგიულ, ეკონომიკურ, რელიგიურ და სხვა მოტივებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ ტერიტორიის იმპერიის შემადგენლობაში ჩართულობასა და ინტეგრაციის ხასიათს.

როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთის ზოგიერთ პერიფერიას თვითმმართველობის უფლება გაუჩნდა, მაგრამ ზოგადად ერთობ შეზღუდული უფლებათა კომპეტენციის ფარგლები სხვადასხვა დაპყრობილი ხალხისთვის სხვადასხვა იყო. მაგალითად, ფინეთს, რომელსაც მანამდე სახელმწიფოებრიობა არ ჰქონია და რომანოვთა იმპერიის შემადგენლობაში რუსეთსა და შვედეთს შორის 1809 წელს გაფორმებული ფრიდრიხსჰამის ზავის თანახმად ავტონომიური უფლებით შეიყვანა, ჰყავდა საკუთარი მთავრობა, ჰქონდა საკუთარი კანონები, გაუჩნდა თავისი ეროვნული ვალუტა, სახელმწიფო ენა (ფინური და შვედური), დამოუკიდებელი ბიუჯეტი და სასამართლო სისტემა. ფინეთის მცხოვრებნი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობის გარდა ფინეთის ქვეშევრდომთა სტატუსსაც ფლობდნენ და სხვა, მაშინ როდესაც, აქ ჩამოთვლილ უფლებათაგან ერთ-ერთიც კი მიუწვდომელი იყო, ეთქვათ, ციმბირის, შუა აზიისა და კავკასიის ხალხებისათვის.

ცალკეული განაპირა მხარის საქმეთა გასაძღოლად ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციების გარდა, მეტროპოლიის ცენტრში სპეციალური დაწესებულებები – კომიტეტები იყო შექმნილი. არსებობდა ციმბირის ორი კომიტეტი, დასავლეთ გუბერნიების საქმეთა კომიტეტი, პოლონეთის სამეფოს საქმეთა კომიტეტი და სხვა, რომლებსაც „ტერიტორიულ" ან „ეროვნულ კომიტეტებს" უწოდებდნენ. საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ხალხების საქმეები თავიდან ამიერკავკასიის საქმეთა კომიტეტს ებარა, ხოლო 1845-1882 წ.წ. არსებობდა კავკასიის კომიტეტი. ძირითადად საიმპერიო მინისტრებისაგან დაკომპლექტებული ამ კომიტეტის თავმჯდომარეები სხვადასხვა დროს იყვნენ სამხედრო მინისტრი ა. ჩერნიშევი, ჟანდარმთა შეფი ა. ორლოვი და გრაფი პ. იგნატიევი[14].

საქართველოს დაპყრობის შემდგომ მხარის უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი რუსი მთავარმართებელი გახდა. ამ პოსტზე, როგორც წესი, მაღალი რანგის რუსი სამხედროები – გენერლები ინიშნებოდნენ. სამხედრო მოხელენი ედგნენ სათავეში მაზრებსაც, ქალაქებსაც და სასამართლო დაწესებულებებსაც. მართვა-გამგებლობის ასეთი ორგანიზაცია იურიდიულად რუსეთის იმპერიის კანონმდებლობას შეესაბამებოდა და იმეორებდა საგუბერნიო მმართველობის 1775 წლის დებულებას, მაგრამ ფაქტობრივად იგი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი იყო. რუსული მმართველობა საქართველოში იყო ძალაუფლება და არა ხელისუფლება*.

1845 წლიდან კავკასიას სამეფისნაცვლოს სტატუსი მიენიჭა, მაგრამ ამ გარდაქმნას მხარის მმართველობის კოლონიური ხასიათი დიდად არ შეუცვლია. მართვის სტილი და მეთოდი კელავაც სამხედრო-პოლიციური ყაიდისა იყო. XIX საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთ კავკასიის მართვა-გამგეობის სისტემაში გარკვეული კორექტივები შეიტანა, თუმცა რეფორმამ მთლიანად ვერ გამიჯნა სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა. საოკუპაციო რეჟიმი, ნაწილობრივ მაინც ძალმოსილებას ინარჩუნებდა. ბათუმის ოლქს განაგებდა სამხედრო გუბერნატორი, სამხედროები იდგნენ სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგების სათავეში და სხვ.[15].

ქვეშევრდომი მოსახლეობის, მათ შორის დაპყრობილი ხალხებისადმი გარკვეულ დათმობებს თვითმპყრობელობას მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური მარცხი, ქვეყნის შიგნით შექმნილი კრიზისული სიტუაცია ან იმპერიულ მონობა-

---

* ამ ორი ცნების სოციო-ლინგვისტური განსხვავებულობისა და დაპირისპირებულობის შესახებ კარგი ხანია აღნიშნულია გეოპოლიტიკურ თუ კულტუროლოგიურ გამოკვლევებში. იხ. ჯ. კაშია, ნაციონალ-ტოტალიტარული პერესტროიკა საქართველოში, ჟურნ. „იბერია," 1992, №1, გვ. 16.

ში ჩაეარდნილი არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაქანება აიძულებდა (ყირიმის ომის წაგებას ბატონყმობის გაუქმება მოჰყვა, სახელმწიფო სათათბიროს დაარსებას წინ იაპონიასთან დამარცხება და პირველი სახალხო რევოლუციის ბობოქარი ტალღები უძღოდა).

უნდა აღინიშნოს, რომ ღრმა პოლიტიკური კრიზისის ვითარებაშიც კი ხელისუფლება თანაბარ უფლებებს როდი ანიჭებდა მეტროპოლიისა და კოლონიების მცხოვრებთ. საქართველოსთან მიმართებაში მეფის მთავრობის ლიბერალური დათმობები ან დიდად ჭიანურდებოდა ან კიდევ სანახევროდ ხორციელდებოდა. მაგალითად, გლეხობის მემამულეთა ყმობიდან განთავისუფლება ჩვენში რუსეთში ამ რეფორმის გამოცხადებიდან (1861 წლის 19 თებერვალი) მხოლოდ ათი წლის შემდეგ დასრულდა (ბატონყმობა საქართველოში ეტაპობრივად გაუქმდა. 1864 წელს იგი თბილისის გუბერნიას შეეხო, მომდევნო წელს განთავისუფლდა ქუთაისის გუბერნიის (იმერეთი, რაჭა, გურია) ყმური მოსახლეობა. სამეგრელოში საგლეხო რეფორმა 1866 წელს, აფხაზეთში 1870, ხოლო სვანეთში 1871 წელს იქნა გატარებული).

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმებიდან საქართველოს არ არგუნეს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი — ერობა. სასამართლო რეფორმა კი ისე შეიკვეცა, რომ აქ არც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოუღიათ და არც მოსამართლეთა არჩევითობა.

კავკასიამ და მათ შორის საქართველომ, შეიძლება ითქვას, საიმპერიო ხელისუფლებას ძალით გამოსტაცა სადეპუტატო უფლება. რც 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით და არც იმავე წლის ბოლოს გამოქვეყნებული არჩევნების დებულებით სახელმწიფო სათათბიროში აქაური დეპუტატების მონაწილეობა გათვალისწინებული არ ყოფილა. ცნობილია, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად კავკასიის ერების დელეგაცია პეტერბურგს გაემგზავრა. საქართველოდან დელეგაციის შემადგენლობაში ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი ჟურული შედიოდნენ. სახელმწიფო საბჭოს უმაღლეს კომისიაში ილია ჭავჭავაძემ კატეგორიულად მოითხოვა კავკასიის მონაწილეობა იმპერიის საკანონმდებლო ორგანოს ფორმირებაში და განაცხადა: „თუ ეს არ მოხდა, ... ახალ შეურაცხყოფას ველარ მოითმენს ჩვენი ხალხი და თქვენ იძულებულნი იქნებით, ზღვა სისხლი დაღვაროთ თქვენი სალდათებისა აღშფოთებული კავკასიის მოსახლეობასთან ბრძოლაშიო"[16].

დელეგაციის ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო. კავკასიას სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა.

ცარიზმის დამხობის შემდეგ, 1917 წელს რუსეთის დროებითმა მთავრობამ განახორციელა მნიშვნელოვანი გარდაქმნები, იმპერიის მასშტაბით აღმოფხვრა ყველა სახის დისკრიმინაცია რასობრივი, ეროვნული და რელიგიური თვალსაზრისით. მთელ მოსახლეობას მიენიჭა თანაბარი საარჩევნო უფლება და სხვ. მაგრამ ამ დემოკრატიულმა იმპერიულმა ხელისუფლებამაც კი საქართველოს ეკლესიას სრული ავტოკეფალია არ დაუკანონა და ტერიტორიული შემოფარგვლის გარეშე, მისი მხოლოდ ეროვნული ხასიათი აღიარა.

XIX საუკუნის დამდეგს ბაგრატიონთა სამეფო ტახტის მოშლითა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში თავის საწყის მიზანს ფაქტობრივად მიაღწია. მისთვის ახლა არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რა დასახელებით შევიდოდა აღმოსავლეთ საქართველო იმპერიის ფარგლებში. აწ უკვე ყოფილ სამეფოს ოფიციალურად გუბერნიის სტატუსი მიეკუთვნა, ანუ კავკასიონის ქედს გადმოღმა დაპყრობილი და იმპერიასთან მიერთებული მიწა-წყალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით რუსეთის ცენტრალურ რეგიონებს გაუთანაბრდა. როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთში დამყარებულ რუსულ საოკუპაციო რეჟიმს თავდაპირველად „საქართველოს უზენაესი მთავრობა" უწოდეს. ეს, ცხადია, ერთგვარი ტაქტიკური სვლა იყო. სახელმწიფოებრიობაწართმეულ ერს, პირველ ხანებში მაინც, თუნდაც გა-

რეგნული სახით, თეითიდენტიფიკაციის რაღაც ფორმა უნდა შერჩენოდა. ჯერ-ჯერობით საჭირო იყო, რომ ქართველებს, თუნდაც ვირტუალურად, თავი ეელაე საქართველოს ხელისუფლების წიაღში წარმოედგინათ.

სახელწოდება პირობითი იყო და ქართველთა უკიდურესობამდე დამცრობილ ეროვნულ ღირსებას მხოლოდ მონეენებითად ესალბუნებოდა, რადგან ეს მმართველობა არაფრით განსხვავდებოდა რუსეთში მოქმედი ჩვეულებრივი მართვა-გამგეობის წესისაგან. საქართველოსათვის ახალი და განსხვავებული, ტერიტორიის მაზრებად თუ დისტანციებად დაყოფაც იმპერიის ტრადიციულ სტრუქტურას შეესაბამებოდა. ამ ფონზე აშკარა ცინიზმად აღიქმება იმპერატორ ალექსანდრე I-ის დავალება საქართველოს მთავარმართებლად დანიშნულ გენერალ კნორინგისადმი, რომ ამ უკანასკნელს მხარის რუსული მმართველობა ქართველი ხალხის „ზნე-ჩვეულებასთან და გუნება-განწყობილებასთან" შეეხამებინა. (120 წლის შემდეგ ზუსტად ასეთივე დავალებას მიიღებს საქართველოს რევკომი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან. ე. ლენინი სერგო ორჯონიკიძისადმი მიწერილ წერილსა თუ დეპეშაში ხაზგასმით მიუთითებს, რომ საქართველოს კომუნისტებმა შაბლონურად არ გაიმეორონ რუსული გამოცდილება, შეუფარდონ იგი ადგილობრივ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს. „ბრმად კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, ...ადგილობრივ უნდა გამოიყენოთ 1917-1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი და გაკეთილები," „მოძღვრავდა" პროლეტარიატის ბელადი ქართველ ბოლშევიკებს[17].

ადგილზე კი რა ხდებოდა? როგორ ხორციელდებოდა ცხოვრებაში უმაღლესი ხელისუფლებისაგან მომდინარე დავალება? საქართველოს რუსული ადმინისტრაცია უპირატესობას მთავარმართებელ პ. ციციანოვის „ფორმულას" ანიჭებდა, რომელიც ასე გამოითქვა: „ვისაც ქუხილი ხელთ უპყრია, ბრძანებაც იმას შეეფერის, ხოლო სუსტის საქმე მორჩილებაა"[18]. იგივე ციციანოვი პირდაპირ აცხადებდა: „მმართველობის სისტემა რომ შეეცვალოთ და შეეუგუოთ ხალხის მოთხოვნილებას, საქმე უფრო გაფუჭდება. ხალხში შეიპარება აზრი, რომ მთავრობა სუსტია და აღარ დაგეემორჩილებაო."

არანაკლებ მკაფიოდაა გამოხატული იმპერიულ-კოლონიური პოლიტიკის არსი მთავარმართებელ პასკევიჩის სიტყვებში: „იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ ხალხი რუსეთის სულს მიეუახლოოთ და მის ზნე-ხასიათს რა შეცვლის, თუ არა რუსეთის მმართველობა"[19].

1831 წელს სამხრეთ კავკასიაში სარევიზიოდ გამოგზავნილი სენატორი ე. მენსიკოვი საიმპერიო ხელისუფლებას დაბეჯითებით ურჩევდა: რეგიონში რუსული მპყრობელობის გაძლიერებისათვის აუცილებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა: „რუსების კოლონიზაცია, რუსი მოხელეებისათვის ადგილობრივი მამულების საკუთრებაში გადაცემა, მთელი მხარის გარუსება, ალეგორიულად რომ ეთქვათ, რუსეთთან მჭიდროდ შეკავშირება"[20].

6. დობროლიუბოვის სიტყვითაც, „ჩვენი მმართველობა კავკასიაში სრულიადაც არ ყოფილა შეხამებული ადგილობრივ მოთხოვნილებებთან და ურთიერთობებთან"[21]. საქართველოსა და კავკასიაში რეალურად ციციანოვ-პასკევიჩების მიერ გახმოვანებული პრინციპები ტარდებოდა და არა იმპერატორის ვითომ ლიბერალური მითითებები. ამას ცხადყოფს კავკასიის სარევიზიოდ ჩამოსული დიდმოხელის პოზენის აღიარება. თავის დასკვნაში პოზენი წერდა: მმართველობის წესი არ შეეხამება არც ხალხის აზრებს, რწმენას და ჩვეულებებს[22].

რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება საქართველოს იმთავითვე დაპყრობილ, კოლონიურ სამფლობელოდ მიიჩნეოდა, მაგრამ ამ ტერმინის ოფიციალური დამკვიდრებისაგან თავს იკავებდა. უფრო რესპექტაბელურად გამოიყურებოდა ფორმულა „იმპერიის შემადგენლობაში საკუთარი ნებით შესული." ეს გარემოება ქართველი ხალხის უუფლებო მდგომარეობასა და მძიმე ყოფას ოდნავადაც არ ცვლიდა, სხვებისთვის კი (მაგალითად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის) შეიძლე-

ბოდა სატყუარა გამხდარიყო. საქართველოსათვის არც ერთი იყო შეღავათი და არც მეორე, მაგრამ მოგვიანებით, განსაკუთრებით 1900-1917 წლებში, დებულება, რომ საქართველომ თავისი ბედი თვითონ დაუკავშირა რუსეთს, აქტიურად იყენებდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები.

იმპერიის შემადგენლობაში „ნებაყოფლობით" ინკორპორაცია ერთობ საინტერესო ფენომენია და ღირს, რომ მასზე უფრო ვრცლად შეეჩერდეთ.

ყველა დროის რუსეთის სახელმწიფოს ერთი თვისება ახასიათებს: იგი განგებ მალავს თავის ნამდვილ ზრახვებს და ესწრაფვის საკუთარი სიავე და ბოროტება სხვათა თვალში სათნოებად გაასაღოს; თავად მუდამ მოძალადე და დამპყრობელი, მცირერიცხოვან ერთა მოსარჩლედ და მფარველად წარმოჩნდეს. საილუსტრაციოდ მივმართოთ ფაქტებს:

ოსმალეთის წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიაში მოკავშირის მაძიებელმა თეოდორე ივანეს-ძემ 1585 წელს კახეთში თავისი ელჩი რუსინ დანილოვი გამოგზავნა. რუსთა ხელმწიფე პოლიტიკურ კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა ალექსანდრე კახთა მეფეს. წინადადება კახეთის ინტერესებსაც ეხმიანებოდა. მოძალადე თურქთაგან დასაცავად ალექსანდრემ ეს მომენტი სასარგებლოდ მიიჩნია და რუს დესპანს მოსკოვში საკუთარი ელჩებიც გააყოლა. კახეთის მეფე „თავს უდებდა" მოსკოვის ხელმწიფეს და მისგან მფარველობას ითხოვდა. ალექსანდრეს „აჯამ" თეოდორე მეფე დიდად გაახარა. კახეთთან ურთიერთდამოკიდებულების ანუ მფარველობა-ხელდებულების ხასიათის გარკვევა-დაზუსტების მიზნით, საქართველოში ახალი ელჩობა მოაელინეს.

რუსი დიპლომატები საგანგებოდ იყენენ გაფრთხილებულნი, რომ კახეთთან დაახლოების საქმეში მოსკოვის ინიციატივაზე ხმა არ ამოეღოთ. სხვა არსებითი ხასიათის მოსაზრებათა გვერდით, ამას მოითხოვდა საქმის ფორმალური მხარეც: კახეთის მეფე მოსკოვის მეფის ხელდებული ხდებოდა. ამიტომ მასვე შეშვენოდა როგორც „აჯა და მოხსენება," ისე საამისო წინასწარი მოსამზადებელი საქმიანობაც. ეს დაკვირვება ცნობილ ისტორიკოსს ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის[23].

ელჩებმა თან ჩამოიტანეს მოსკოეს შემუშავებული ფიცის ტექსტი. ფიცი ალექსანდრემ, მისმა შვილებმა და დარბაისლებმა მიიღეს რუსეთის მეფის ერთგულებაზე. ფიცში სურათი ისეა დახატული, თითქოს კახეთის მეფემ ხელმწიფეს „თავი დაუკრა," ელჩები გაუგზავნა და ითხოვა კახეთი თავის ხელქვეშ დაეჭირა. რუსთხელმწიფემ კი „აჯა" შეიწყალა და მფარველობის ხელი დასდო. ვინც მხოლოდ ამ დოკუმენტს —„წიგნი ფიცისას" იცნობს, ჰგონია რომ რუსეთს კახეთთან მიმართებაში მარტოოდენ კეთილშობილება ამოძრავებდა და სხვა რამ განზრახვა არ ჰქონია.

რუსეთის მხარე იყო ინიციატორი ქართლ-კახეთის სამეფოს თავის მფარველობაში მიღებისა XVIII საუკუნის 80-იან წლებშიც. გეორგიევსკის ტრაქტატის პრეამბულაში კი, ისე როგორც ხსენებულ ფიცის წიგნში, მთხოვნელად ქართველი მეფეა წარმოდგენილი.

პირმოთნეობით და ცბიერებით იყო აღსავსე იმპერატორ ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტიც, რომელიც საქვეყნოდ აცხადებდა: „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა ფარგლების გავრცელებისათვის ქვეყნიერებაზე ისედაც უდიდესი იმპერიისა ეკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებინებს ჩვენ საღმრთო მოვალეობას, ყურად ვიღეთ რა ტანჯულთა მუდარა, მათი ნაღველის განსაქარვებლად დაეაწესოთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შეძლებს მართლმსაჯულების დამყარებას, უზრუნველყოფს პირად და ქონებრივ უშიშროებას, კანონით ყველას დაცვას."

კიდევ უფრო დაფარვით, თორემ არსებითად ცარიზმის გზას ადგა ბოლშევიკური რუსეთიც. 1922 წელს, სსრ კავშირის შექმნისას, რათა ცარიზმის იმპერიისაგან განთავისუფლებული არარუსი ერების ახალ, საბჭოთა იმპერიაში თავ-

სმოხვეული გაერთიანება შეენიღბათ, ლენინმა მოითხოვა: რუს ხალხთან შემდგომი დაახლოების ინიციატივა ქვემოდან – წინათ ჩაგრული ხალხებისაგან წამოსულიყო, რაც განხორციელდა კიდეც.

იგივე პოლიტიკა გრძელდება დღესაც. ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მესვეურთა და აფხაზ სეპარატისტთა რუსეთისაკენ სწრაფვა მის შემადგენლობაში შესვლის მიზნით, ინიციატივის ქვემოდან წამოსვლის ცარისტულ-ლენინური გეგმის მოდერნიზებული ვარიანტია. თორემ, ეჭვგარეშეა, ამ სწრაფვასაც რუსეთი ახალისებს[24]. ამ ღებულების სისწორე კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთის თავდასხმამ საქართველოზე 2008 წლის აგვისტოში.

ფაქტობრივი მასალის ანალიზი მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ რუსეთი თავის სამფლობელოების გაფართოებისას ერთ „უნივერსალურ" ხერხს მიმართავდა. იგი ნაბიჯ-ნაბიჯ, წლების განმავლობაში უახლოვდებოდა მიზანში ამოღებულ მსხვერპლს. ათასგვარი დაპირებითა და დაიმედებით თავს ახვევდა მოწვენებით მფარველობას, რომელიც თანდათან ქვეშევრდომობის რანგში გადაჰყავდა. მომდევნო ეტაპი ქვეშევრდომი ქვეყნის გეგმაზომიერი დასუსტებისა და დაუძლურების ღონისძიებები იყო, რასაც რუსეთის ხელისუფლება მოქნილად და ტექნიკურად ახორციელებდა. ასე, საბოლოოდ ძალაგამოცლილი და სიკვდილის პირას მისული ქვეშევრდომები იძულებულნი ხდებოდნენ, თავის გადასარჩენად რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ეთხოვათ[25].

ამ მხრივ დამახასიათებელია უკრაინის 1654 წლის პერეიასლავის რადა და მომდევნო ისტორია, ყაბარდოს, ქართლ-კახეთისა და სხვა მაგალითები.

რუსეთის იმპერიის ტერიტორიული გაფართოება, თუ „ნებაყოფლობით" შესვლას გამოვრიცხავთ, ძირითადად ორი გზით წარმოებდა: 1. დაუცველი მიწა-წყლის ან შედარებით სუსტი ქვეყნის სამხედრო ძალით დაპყრობა; 2. სხვა სახელმწიფოთათვის მათ მიერ აღრე მიტაცებული სამფლობელოების წართმევა.

ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ისტორიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა დასვა რიტორიკული კითხვა: „რუსეთი მოდიოდა კავკასიაში თუ ერევლე მეორეს მიჰყავდა"?

ამ კითხვაზე ასე შეიძლება ვუპასუხოთ. რუსეთი მოიწევდა სამხრეთისაკენ. ხან ჩქარი, ხანაც ნელი სვლით უახლოვდებოდა კავკასიას. ქართველები მის მეგზურად იქცნენ, მაგრამ მარტო გზები და ბილიკები კი არ ასწავლეს მაღალ ქედზე გადმოსასვლელად, არამედ რუსეთის არმიას გაუხსნეს „კავკასიის თერმოპილები" – ალანთა კარი, რომლის გასაღების ერთპიროვნული ფლობა დიდი კოზირი იყო ქართველ ხელისუფალთა ხელში. ეს კარები ამიერიდან ქართველთა დაუკითხავად რუსეთსაც შეეძლო გაეღო, რადგან გასაღების „დუბლიკატი," თუ შეიძლება ასე ითქვას, მას ქართველებმა ჩააბარეს.

მას შემდგომ, რაც რუსეთმა იმერეთის სამეფოც დაიპყრო და დასავლეთ საქართველოშიც ფეხი მტკიცედ მოიკიდა, რეალური მდგომარეობის დამალვა დიდად საჭირო აღარ იყო. ამასთან, ახალ იმპერატორ ნიკოლოზ I-ს, განსხვავებით ალექსანდრე I-ისაგან, თავალთმაქცობის პოლიტიკა ნაკლებად ჭირდებოდა. 1827 წელს ოფიციალურად ითქვა ის, რაც აქამდე არსებითად იმალებოდა. რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ნ. კანკრინმა, კავკასიის საკითხებზე იმპერატორისათვის წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნა: „...არა უსაფუძვლოდ ამიერკავკასიის პროვინციები შეიძლება წოდებულ იქნან ჩვენ **კოლონიებად** (ხაზგასმა ჩემია, – ო. ჯ.), რომლებმაც სამხრეთის ჰავის ნაწარმით სახელმწიფოს უნდა მოუტანონ მეტად მნიშვნელოვანი სარგებლობა"[26]. იგივე კანკრინს ეკუთვნოდა აზრი, რომ სამხრეთ კავკასია არ ჩაერთოთ უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში და ოფიციალურად განეხილათ იგი, როგორც კოლონია[27].

1828 წელს, სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეებისა და მხარის ეკონომიკური მდგომარეობის შემსწავლელმა კომისიამ თავის ოთხტომიანი ნაშრომის წინასიტყვაობაში ჩაწერა: „ამიერკავკასიისათვის რუსეთის კოლონიის დარ-

ქმევა, პირველად აღიარებული, გზას უხსნის იქაურ სამფლობელოებზე ყოველ-გვარ განზრახვებს; ეს სწორედ ის წერტილია, საიდანაც უნდა ეუცქიროთ მათ და ყველა მოქმედებათა სისტემას მიმართულება ვაძლიოთ"[28].

უშუალოდ საქართველოსთან მიმართებაში სიტყვა კოლონიას იყენებდა მთავარმართებელი ი. პასკევიჩი[29]. როგორც რუსეთის კოლონიებზე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე XIX საუკუნის 30-იან წლებში ბევრს წერდა იმპერიის მმართველი წრეების ინტერესების გამომხატველი ჟურნალი „სინ ოტეჩესტვა"[30].

მეფისნაცვლობის დაწესებით სამხრეთ კავკასიაში რუსეთის კოლონიური მმართველობის ერთიანი ცენტრი შეიქმნა. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ იმ ხანად, ნიკოლოზ I-ის განკარგულებით მომზადებულ „ალჟირში ფრანგული და კავკასიაში რუსული მმართველობის შედარებით მიმოხილვაში" ამიერკავკასია პირდაპირ იყო სახელდებული რუსეთის კოლონიად. ხაზს უსვამდა რა ალჟირსა და კავკასიაში სამხედრო-სამოქალაქო მართვა-გამგეობის სისტემათა მსგავსებას, „მიმოხილვაში" აღნიშნული იყო: ალჟირის გენერალ-გუბერნატორის „არასრულ ხელისუფლებასთან" შედარებით კავკასიის მეფისნაცვალი აღჭურვილია განსაკუთრებული და საგანგებო ხელისუფლებით მმართველობის ყველა სფეროში"[31].

მეფის მთავრობის მოხელე ვ. დინგელშტედტი 1860 წელს გამოცემულ წიგნში აღნიშნავდა: „ამიერკავკასია მოპოვებულ იქნა იარაღით. მაგრამ ამ მხარის მორალური დაპყრობა ჯერ არ დამთავრებულა. ...მხოლოდ ამის შემდეგ მოგვიტანს ეს **კოლონია** (ხაზი ჩემია – ო. ჯ.) სარგებლობას და აანაზღაურებს იმ სისხლსა და ფულს, რაც დაჯდა მისი მოპოვება"[32].

რუსული კოლონიალიზმი თავისი არსით რამდენადმე ემთხვევა დასავლურ ანალოგს, მაგრამ მნიშვნელოვანწილად განსხვავდება კიდეც მისგან. რუსეთს – მეფისდროინდელსაც და დღევანდელსაც, არცთუ უსაფუძვლოდ „დერჟავას" უწოდებენ. „დერჟავა" რუსული წარმოშობის სიტყვაა და ვ. დალის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად (ტ. I, გვ. 431), ციხე-სიმაგრეს, ძალას, სიმყარეს, მტკიცე, საიმედო კავშირს, მპყრობელობას, ძლიერებას, დამოუკიდებელ მფლობელობას, სახელმწიფოს, ხალხსა და მის ხელისუფლებას აღნიშნავს და სხვა არაერთი მნიშვნელობაცა აქვს. პოლიტიკური თვალსაზრისით კი იგი რუსეთის სახელმწიფოს ძალმოსილებას, მის იმპერიულ ბუნებასა და ხასიათს გამოხატავს. ეს ტერმინი იმდენად სისხლხორცეულადაა დაკავშირებული რუსულ რეალობასთან, რომ ცნება „დერჟავა" იმპერიის დიდმპყრობელური პოლიტიკის სპეციფიკურ რუსულ ფორმადაა მიჩნეული.

რუსული კოლონიური პოლიტიკა განირჩეოდა აპართეიდისაგან, მაგრამ უახლოვდებოდა ესპანურ ენკომიენდას, თუ გამოვიცხავთ იმ გარემოებას, რომ ეს უკანასკნელი კათოლიციზმის ექსპანსიას ეფუძნებოდა, რუსეთის იმპერიისათვის კი ნიშანდობლივი იყო ზრუნვა მართლმადიდებლობის გავრცელებისათვის. რუსეთის იმპერიულ-კოლონიური პოლიტიკის ზოგადი და სპეციფიკური მახასიათებლების დასადგენად მივმართოთ შედარებით ანალიზს.

ყოველ სახელმწიფოს კოლონიური სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად თითქმის ერთი და იგივე მიზნები ამოძრავებდა. მათგან უმთავრესი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები იყო. რომელს მიენიჭებოდა პრიორიტეტი, ამას კონკრეტული სახელმწიფოს წინაშე მდგარი საგარეო-პოლიტიკური ამოცანები ან შიდა ვითარება განსაზღვრავდა.

ცნობილია, რომ ევროპის ქვეყნები შორეულ მიწებზე ჯერ ვაჭრებს გზავნიდნენ, შემდეგ მქადაგებლებს, ხოლო ბოლოს არმიას გადასხამდნენ. რუსები, როგორც წესი, უშუალოდ დეგმირთა დესანტით იწყებდნენ[33].

ინგლისის კოლონიურ სამფლობელოთა ერთი ნაწილი კერძო პირების ან კომპანიების (განსაკუთრებით ოსტ-ინდოეთის კომპანიის) მიერ იყო დაარსებული. რუსეთში კოლონიურ ექსპანსიას სახელმწიფო ახორციელებდა. თუ არ ჩავთვლით ვაჭარ სტროგანოვების მიერ ერმაკის რაზმების დაქირავებას და დასავ-

ლეთ ციმბირის დაპყრობას, ახალ ტერიტორიებსა და ქვეყნებს რუსეთის იმპერიის სახელით ძირითადად მისი საჯარისო შენაერთები იმორჩილებდნენ.

არმიას მთავარი როლი ეკისრებოდა რომანოვთა სახელმწიფოს გაფართოებაში. სამხედრო ძალა იყო ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი იმპერიის შენარჩუნებაშიც. ბრიტანეთის იმპერიას უფრო მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა ინდოეთში, ვიდრე რუსეთს კავკასიაში. მაგალითად, საქართველოს არა მხოლოდ საგუბერნიო ცენტრებში, არამედ სამაზრო ქალაქებშიც კი რუსეთის არმიის შეიარაღებული ნაწილები იდგნენ და იცავდნენ საოკუპაციო რეჟიმს. ამ ჯარმა არაერთხელ სისხლის კალო დაატრიალა დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში. გადაწვა და ნაცარტუტად აქცია კახეთის, ფშავ-ხევსურეთის, რაჭის, იმერეთის, გურიის ათეულობით სოფელი და სხვა დასახლებული პუნქტი. და ეს არა მხოლოდ საქართველოში შემოსელის პირველ ხანებში, არამედ უფრო გვიანაც, რისი დასტურიცაა სვანური მაღალმთიანი სოფლის ხალდეს ტრაგედია (1876 წ.) და ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო ექსპედიცია 1905 წელს.

მეფის რუსეთის ჯარზე საუბარი საქართველოში შეუძლებელია ეგზეკუციების გახსენების გარეშე. ეს იყო დაუმორჩილებელ მოსახლეობასთან ანგარიშსწორების რუსული მეთოდი, რომელიც სამხედრო ნაწილების სოფლებში განლაგებას და ოჯახებში ჯარისკაცთა ჩასახლებას ითვალისწინებდა. დაავით ბატონიშვილი გადმოგვცემს: „საცა გავლიდიან რუსნი, ამჭივრებდიან სოფლელთა ცემით, ტაცებით და რთმევითა, თეინიერ თეთრისა. საცა მივიდიან რუსნი იყო ვაებაი მათი ზედა მით, რამეთუ პსცემდიან დედაკაცთა და ართმევდიან პურთა ძალითა"[34]. ეგზეკუციებს ჯარისკაცთა თუ ოფიცერთა მხრიდან თან ახლდა ადგილობრივ მცხოვრებთა აბუჩად აგდების, პიროვნული და ოჯახური ღირსების შეურაცხყოფის, ქონების წართმევისა თუ განადგურების აუტანელი პროცესი, რაც შაე ლაქად შემორჩა რუსული კოლონიალიზმის ისტორიას საქართველოში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველ თავადაზნაურთა ერთი ნაწილი ჩადგა რუსეთის სამხედრო სამსახურში და მეფის არმიის ოფიცერთა რიგები შეავსო. იმპერიის შეიარაღებულ ძალებში ასეულობით გენერალი და სხვა მაღალი რანგის ქართველი სამხედრო მოითელება, რომლებიც თავიანთი საბრძოლო მამაცობით განადიდებდნენ სახელმწიფოს ძლიერებას და სახელს უხვეჭდნენ რუსულ იარაღს. უამრავ რიგით ქართველს, სახალხო ლაშქრისა თუ მილიციის რაზმების შემადგენლობაში, მოხალისედ თუ მწყობრის ჯარისკაცთა სახით, რუსების მხარდამხარ, არაერთგზის მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ, ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე. სისხლი დაუღვრია და თავიც გაუწირავს, მაგრამ, ყოველივეს მიუხედავად, საქართველომ ვერასოდეს დაიმსახურა რუსეთის ჯარის კეთილგანწყობა.

ქართველთა სიძულვილი თითქოს მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა წითელმა არმიამ. მის რიგებში, ომისა თუ მშვიდობის დროს, ქართველებიც ეწეოდნენ სამხედრო სამსახურს და არცთუ ურიგოდ, მაგრამ ეს არმია, როგორც სსრ კავშირის საყრდენი ძალა, დაუნდობლად ახშობდა ქართველი ერის ყოველ მისწრაფებას თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ (XX საუკუნის 20-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, 1956 წლის 9 მარტი, 1989 წლის 9 აპრილი, 2008 წლის აგვისტო).

ა. არბატოვის სიტყვით, რუსეთი მუდამ სამხედრო-პოლიტიკური იმპერია იყო. იგი კოლონიებს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მსოფლიო მასშტაბით თავისი პოლიტიკური, სამხედრო ძლიერებისა და როლის გაზრდისათვის იძენდა[35].

ცხადია, ყოველი ახალი სამფლობელო ამა თუ იმ იმპერიის პოლიტიკურ წონასა და გავლენას ამაღლებდა, ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობებსა და ძალთა განლაგებაში მის ავტორიტეტს განამტკიცებდა, მაგრამ მეტროპოლიებისთვის დაპყრობილი ტერიტორიების არც ეკონომიკური მნიშვნელობა ყოფილა მე-

ორეხარისხოვანი. შემოერთებული მიწა-წყლის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლუატაცია, კოლონიების გადაქცევა იაფი ნედლეულისა და სამუშაო ძალის წყაროდ, ასევე კაპიტალის მომგებიანი დაბანდების ობიექტებად ტიპური იყო ახალი დროის ყველა იმპერიისათვის და მათ შორის არც რუსეთი ყოფილა გამონაკლისი.

როცა კავკასიონის ქედი გადმოლახა, აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო, ხოლო შემდეგ ირანსა და ოსმალეთს სამხრეთ კავკასიის ადრე მიტაცებული ტერიტორიები დაათმობინა, რუსეთის იმპერია ამით, უპირველეს ყოვლისა, თავის სამხედრო-სტრატეგიულ ამოცანებს წყვეტდა, რეგიონში მეტოქე მაჰმადიანურ სახელმწიფოებს ავიწროებდა და აზიაში შესაღწევად საიმედო პლაცდარმს იქმნიდა. მაგრამ, პარალელურად, პეტერბურგსა თუ მოსკოვში მხარის სამეურნეო-ეკონომიკური და კოლონიური ათვისების პროექტებიც ითხზეებოდა და ეტაპობრივად პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა.

დღეს აღარავისთვისაა საკაძათო, რომ ცარიზმი ინფრასტრუქტურას პერიფერიებში ძირითადად საკუთარი საჭიროებისათვის ქმნიდა, რომ მეფის მთავრობას რკინიგზა საქართველოში ადგილობრივ მკვიდრთა მომსახურების გაუმჯობესებისა და კომფორტისათვის არ გაჰყავდა და არც ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი აუგია მხარის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. ერთიცა და მეორეც, უწინარესად, იმპერიის ინტერესებში შედიოდა, მის სტრატეგიულ და ეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდა. ამასთან, ისიც სათქმელია, რომ კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას გზები გაჰყავდა უკიდურეს შემთხვევაში, როცა ამას წმინდა სამხედრო ან მმართველობის საჭიროება მოითხოვდა და ამ საქმეს არცთუ დიდ თანხებს ახმარდა. ალექსანდრე დიუმა შენიშნავდა: „რუსეთს ომი (კავკასიონის დაპყრობა) დაუჯდა ას მილიონზე მეტი და გზის გაყვანისათვის სამი ათასი ფრანკი ძლივს იქნა გადადებულიო"[36]. მართალია, როდესაც იმპერია დაიშალა, რუსეთს რკინიგზა თუ ნავთობსადენი თან არ წაუღია (ეს შეუძლებელიც იყო) და ახლა ისინი ქართველებისა და აზერბაიჯანლების საკუთრებაა, მაგრამ ეს მარტივი ლოგიკაა და ასეც უნდა იყოს. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, რა უნდა ექნათ ბრიტანელებს, რომლებმაც ინდოეთში რკინიგზის იმაზე ბევრად მეტი (30 ათასი კმ. სიგრძის) ქსელი გაიყვანეს, ვიდრე საკუთრივ ინგლისში?

იმპერიულ სახელმწიფოთა ტიპოლოგიისას მკვლევარნი, ჩვეულებრივ, ორი სახის იმპერიას განარჩევენ: 1. კონტინენტური (ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, ოსმალეთის) და 2. ზღვისიქითური (ესპანეთის, პორტუგალიის, ბრიტანეთის, საფრანგეთის). რუსეთს იმპერიათა პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ, რადგან დაპყრობილი ტერიტორიები უშუალოდ ეკვროდა მეტროპოლიას.

რუსეთის კოლონიური იმპერია, მართლაც, სხვა მსგავსი სახელმწიფოებრივი ერთეულებისაგან ძირეულად განსხვავდებოდა ტერიტორიის მთლიანობითა და კომპაქტურობით. მას არ ჰქონია გეოგრაფიულად დიდად დაშორებული, ზღვებისა და ოკეანეების მიღმა სამფლობელოები (1744 წლიდან რუსეთის კოლონია იყო ალიასკა („რუსეთის ამერიკა"), რომელიც მეფის მთავრობამ 1867 წელს ამერიკის შტატების კავშირს მიჰყიდა). რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური სივრცე მეტროპოლიის მომიჯნავე, მეზობელ ტერიტორიებზე განსახლებული ხალხებისა და ქვეყნებისაგან შედგებოდა, რომლებიც იმპერიის შემადგენლობაში ძირითადად დაპყრობითი გზით მოექცნენ.

ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, „რუსეთის უპირატესობა ის არის, რომ მისი კოლონიები ერთად არის თავმოყრილი. ყველა რუსეთს ესაზღვრება და გეოგრაფიულად ერთი სხეულია"[37].

რუსეთის იმპერიული გაფართოება, მეზობელ ტერიტორიებზე მისი „გადაცოცება" და დაპყრობილი მიწების ერთიან სახელმწიფოს შემადგენლობაში ინკორპორაცია, ექსპანსიის აღმოსავლურ ტიპად მიიჩნევა. ასეთი ტიპისა იყვნენ არაბთა სახალიფო, ოსმალეთის, ავსტრია-უნგრეთის იმპერიები.

საგარეო ექსპანსიის დასაელური მოდელი, როგორც წესი, მეტროპოლიის – ნაციონალური სახელმწიფოსა და კოლონიური სამფლობელოების გამოყოფას გულისხმობს. ამ ნიშნით, რუსეთი კლასიკური სახის მეტროპოლიად ვერ აღიქმება. იგი ეთნიკური თვალსაზრისით არასოდეს ყოფილა ჰომოგენური და ვითარდებოდა როგორც ერთიანი მრავალეროვნული სახელმწიფო.

რუსეთს გააჩნდა მეტროპოლიისათვის ნიშანდობლივი ზოგიერთი მახასიათებელი, მათ შორის: ის იყო იმპერიის პოლიტიკური ცენტრი, სწორედ აქ შემუშავებული კანონები, სახელმწიფოებრივი მმართველობის პრინციპები, ნორმები, მართლმსაჯულების სისტემა და სხვა, ერცელდებოდა და ინერგებოდა იმპერიის დანარჩენ ნაწილებში. რუსული, როგორც მეტროპოლიის ენა, იქცა იმპერიის სახელმწიფო ენად. რუსეთიდან იგზავნებოდა კადრები დაპყრობილი ხალხების ადმინისტრაციული რგოლების დასაკომპლექტებად, აქ იერიდა თავს ფისკალური გადასახადები და შემოსაელები. აქედან ხორციელდებოდა პერიფერიების ეკონომიკური ექსპანსია, კოლონიზაცია და ა.შ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოლონიური სამფლობელოების ექსპლუატაციით მიღებული სახსრები არ ყოფილა ცენტრალური ბიუჯეტის მუდმივი საფუძველი, არცთუ იშვიათად ინვესტიციები განაპირა მხარეებში ცენტრიდან მიემართებოდა და სხვ.

ა. კაპელერი მიიჩნევს, რომ დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებისადმი ტერმინ „კოლონიების" გამოყენების შემთხვევაშიც. თუ აზიური დაპყრობილი ტერიტორიების დიდი ნაწილი (ციმბირი, თურქესტანი,) უდავოდ კოლონიები იყვნენ, ამის თქმა ძნელია რუსეთის ნრდილოდასაელეთ პერიფერიებზე – ფინეთზე, პოლონეთსა და ბალტიისპირულ პროვინციებზე, რომლებიც ეკონომიკური და კულტურის თვალსაზრისით გაცილებით მაღლა იდგნენ რუსულ ცენტრზე[38].

ა. კაპელერი აქ არაფერს ამბობს სამხრეთ კავკასიისა და საკუთრივ საქართველოს შესახებ, რომლებიც იმპერიის ცენტრზე თავიანთი უუფლებო დაქვემდებარებით (ადგილობრივი ადმინისტრაციის სრული მოშლა-განადგურება, უცხო სასამართლო სისტემის დანერგვა და ა.შ.), მმართველობის სამხედრო-პოლიციური ხასიათით, ეკონომიკური ექსპლუატაციის ხარისხით, მხარის დემოგრაფიული ექსპანსიის, ეროვნული ჩაგვრის, ასიმილაციისა და სხვა ნიშნით კოლონიურ სამფლობელოებს წარმოადგენდნენ.

რუსული ცნობიერებით, მხარე, სადაც ცხოვრობენ რუსები, სადაც ერცელდება რუსული მართვა-გამგებლობა – უკვე რუსეთია. მნიშვნელობა არა აქვს, ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის მიწა გუშინ, ვინ მკვიდრობდა აქ რუსების მოსელამდე ან როგორ აღმოჩნდა ეს ტერიტორია მათი იმპერიის ფარგლებში. მთავარია, რომ მათზე რუსთხელმწიფის ფაქტობრივი იურისდიქცია ვრცელდებოდეს. ყოველი დაპყრობილი სამფლობელო, ოქნება იგი უშუალოდ რუსეთის მეზობლად თუ რამდენადმე დაშორებით, რუსულ მიწად იწოდება და წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს, მის ერთგვარ „გაგრძელებას"[39].

ზოგიერთი მკელევარი იმპერიულ რუსეთთან მიმართებაში დღესაც ერიდება გამოიყენოს ტერმინები დაპყრობა, კოლონიზაცია, რუსიფიკაცია და სხვ. მათი აზრით, ეს ცნებები ძალმომრეობისა და სხვა ხალხების დამორჩილების ნიშნებს შეიცავს, შეუსაბამოა რუსეთის ციეილიზაციისათვის და თითქოს არ ყოფილა დამახასიათებელი რომანოვთა იმპერიისათვის[40]. არაერთ ნაშრომში ხსენებული ტერმინოლოგიის ნაცვლად გვხვდება უფრო ზოგადი შინაარსის სიტყვა „ათვისება," რაც მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს რუსეთის იმპერიის გაფართოების არსს და მოვლენას სრულყოფილად ვერ ხსნის.

რუსეთის იმპერიაზე მსჯელობისას, მრავალი ავტორის ნააზრევში (ა. ეტკინდი, დ. ხოსკინგი, დ. ფურმანი) შეხვდებით ფრაზას: „შეუძლებელია გაარკვიო, სად მთავრდება მეტროპოლია და სად იწყება კოლონიები." უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შეხედულება ცალმხრივი მსჯელობის ნაყოფია. რუსეთს თავის

ცენტრიან-პერიფერიებიანად ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულად რუსეთის მკვიდრი ან ცნობიერად რუსი აღიქვამდა. ეს მათ სწამდათ, რომ რუსეთის სახელმწიფოს საზღვარი გადის იქ, სადაც გადის იმპერიის არმიის წინა ხაზი[41]. ყურადღებით ჩავხედოთ, რას წერს ა. პუშკინი თავის ცნობილ ნაწარმოებში „მოგზაურობა არზრუმში." „-აი, არაფჩაი, მითხრა კაზაკმა. არაფჩაი! ჩვენი საზღვარია... უცნაური გრძნობით გავქუსლე მდინარისაკენ. ჯერ არასოდეს მენახა უცხოთა მიწა. საზღვარი ჩემთვის იყო რაღაც იდუმალი. ... თავმომწონედ შევაგელვე ცხენი მდინარეში და გავედი თურქულ ნაპირზე, მაგრამ ეს ნაპირიც უკვე შემოეერთებინა ჩვენს ჯარს: მე ჯერ კიდევ რუსეთში ვიმყოფებოდი"[42].

დაპყრობილი ქვეყნების მცხოვრებთათვის ეს ასე არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ქართველმა იცოდა, სად გადიოდა საქართველოს ისტორიული საზღვარი ანუ სად მთავრდებოდა მისი სამშობლო და სად იწყებოდა სხვისი. ეს საზღვარი ჩრდილოეთით მდინარე თერგი იყო. XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შემთხვევით არ გაჩენილა ცნება „თერგდალეული." ტერმინი ხომ იმ ადამიანებს აღნიშნავდა, რომლებიც გასცდნენ საკუთარი სამშობლოს ფარგლებს, მისი საზღვარი – თერგი გადაიარეს, რათა უმაღლეს განათლებას საქართველოს მიღმა – რუსეთში დაუფლებოდნენ.

იმპერიის შიდა საზღვრებს მეფის ხელისუფლება საგანგებოდ ულიდა და აუქმებდა. ამით იგი არარუსი ხალხების ისტორიულ მეხსიერებას უტეხდა. თუ დაპყრობილ ხალხებს დააკიწყებდი, სად ცხოვრობდა მათი წინაპარი და მამა-პაპათა სამკვიდროს მოუშლიდი, მათი ასიმილაცია უფრო გაადვილდებოდა.

ცარიზმის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენდა, იმპერიის ყველა ქვეშევრდომს, განურჩევლად ეროვნებისა, რუსეთი სამშობლოდ ეცნო და ეღიარებინა. უცხოტომელთათვის ეს ნიშნავდა, რომ დედა მიეტოვებინათ და ღვიძლად დედინაცვალი მიეღოთ. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, იმპერიის ხელისუფლება ყოველთვის როდი აღწევდა მიზანს. როცა ვაჟა-ფშაველა წერდა, „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილებაო," ცხადია, კარგად იცოდა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო კარგახანია აღარ არსებობდა, მაგრამ ქართველის გულში საქართველოს სამშობლოდ განცდის გრძნობა არ უნდა ჩამქედარიყო. პოეტი აქეთკენ მოუწოდებდა, ამ სულისკვეთებას აღვიძებდა.

მას შემდეგ, რაც 1881 წელს ნაროდოვოლცებმა იმპერატორი ალექსანდრე II სიცოცხლეს გამოასალმეს და რუსეთში პოლიტიკური რეაქციის ხანა დაიწყო, სახელწოდება „საქართველო" საერთოდ აიკრძალა. ცენზურა ფხიზლად დარაჯობდა პრესაში ეროვნულობაზე, სამშობლოზე, ქართველთა ეროვნულ სრულფასოვნებაზე მიმთითებელი მასალების, ფრაზების, სიტყვების გამოყენებასაც კი[43]. აუცილებელი გახდა ეზოპეს ენით სარგებლობა, ალეგორიის, ამბის შორეულ წარსულში გადატანისა და სხვა ხერხების გამოყენება. ქვეყანაში, რომელშიც ითქვა: „როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა", „პატარა," „მცირე" სამშობლოს ცნების გამოყენების აუცილებლობა წარმოიშვა. თუ ვინმე შეედავებოდათ, მიუგებდნენ: „არ უარვყოფთ, რუსეთიც ჩვენი სამშობლოა, ოღონდ დიდი. მცირე სამშობლო კი საქართველოა".

ყოველი დიდი იმპერიისათვის მეტნაკლებად დამახასიათებელი იყო სწრაფვა დაპყრობილი ხალხების ასიმილაციისაკენ. კოლონიური მოსახლეობის მეტროპოლიის ეთნოსთან ენობრივი შერწყმა იმპერიული სახელმწიფოს ერთობისა და სიმტკიცის მნიშვნელოვან პირობად მიიჩნეოდა. ცნობილია მადიარიზაცია, გერმანიზაცია, რუსიფიკაცია და სხვ. ბრიტანეთის იმპერიაც თავის კოლონიებში, ვთქვათ ინდოეთში, ავრცელებდა ინგლისურ ენას, ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოითხოვდა, ესაუბრათ ინგლისურად და სხვ., მაგრამ მას არასოდეს უცდია, ბრიტანელებად, მითუფრო ინგლისელებად ექცია ინდუსები.

რუსული კოლონიალიზმი თავის გამოხატულებას მნიშვნელოვანწილად რუსიფიკაციაში პპოვებდა. რუსიფიკაციის ფენომენს, როგორც რომანოვთა იმპერიის

კოლონიური პოლიტიკის ნიშანდობლივ თვისებას, ბოლო დროს დასავლურ თუ რუსულ პოლიტიკურ ლიტერატურაში სპეციალური გამოკვლევები მიეძღვნა.

პროფესორი ა. მილერი ჩვენთვის საინტერესო ცნების ორ სახესხვაობას გამოჰყოფს და მათ ამგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: პირველი – ზემოქმედება ინდივიდზე ან ადამიანთა ჯგუფზე მათი რუსიფიკაციის მიზნით; მეორე – ინდივიდის ან ჯგუფის მიერ „რუსობის" ამა თუ იმ თვისების მიღება. ამასთან, მკვლევარი ერიდება რუსიფიკაციის უკიდურეს – მხოლოდ ძალადობრივ ან მხოლოდ ნებაყოფლობით პროცესზე საუბარს და აღწერს მის ნაირგვარ გამოვლინებას მიზანდასახულობიდან თუ სიტუაციიდან გამომდინარე[44].

ლ. ტიხომიროვი განასხვავებს რუსიფიკაციის „სახელმწიფოებრივ" და „ნაციონალურ" გაგებას. მისი აზრით, სახელმწიფოებრივად გარუსება არარუსი ხალხების იმპერიისადმი ერთგული სამსახურითა და ამ სამსახურისათვის აუცილებელი რუსული ენის ცოდნით შემოიფარგლებოდა. ნაციონალური რუსიფიკაცია კი რუსი ხალხის რწმენასთან შეერთებას, რუსული ცნობიერებით გამსჭვალვას და რუსულ ყოფასთან თანაზიარობას გულისხმობდა[45].

ე. ვეინერმანი ცნების ველს კიდევ უფრო აფართოებს და მიუთითებს პოლიტიკურ, ენობრივ, რელიგიურ, კულტურულ და ეთნიკურ რუსიფიკაციებზე[46]. სხვები რუსად ქცევისა და რუსიფიკაციის (обруссение, руссификация) დეფინიციებისათვის ლინგვისტურ ძიებებს მიმართავენ და სხვ. მაგრამ, როგორც არ უნდა განიმარტოს ეს ტერმინები, ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თავად მოვლენის არსი, რომელიც თვით საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც კი სწორად იყო გაგებული. რუსიფიკაცია ადგილობრივი ეროვნული კულტურის დათრგუნვას და სანაცვლოდ რუსული ენისა და კულტურის იძულებით დანერგვას ეწოდებოდა. იგი აღნიშნავდა სახელმწიფო პოლიტიკას, მიმართულს იმპერიის არარუსი ხალხების ტოტალური დენაციონალიზაციისა და ასიმილაციისაკენ.

ისტორიკოსი ლ. სემენნიკოვი აღნიშნავს: მართალია, რუსეთის ახლად შემოერთებულ ტერიტორიებზე ხორციელდებოდა „ადაპტაციის გარკვეული პროცესი," მაგრამ იმპერიაში შენარჩუნებული იყო „ლოიალობისა და კულტურული პლურალიზმის ატმოსფერო"[47].

რუსეთის იმპერიის მასშტაბით ერთიანი რუსიფიკატორული პოლიტიკის არსებობას ზემოხსენებული ა. მილერიც უარყოფს[48], მაგრამ იმპერიის სხვადასხვა პერიფერიისათვის საერთო პოლიტიკის არარსებობა ამგვარი პოლიტიკის საერთოდ არსებობას რიდი გამორიცხავს.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი გუბერნიად გამოცხადების დღიდანვე აღმოსავლეთ საქართველოში ქართული ენა გამოიდევნა მართვა-გამგეობის სისტემიდან და მართლმსაჯულების სფეროდან. რუსულმა ადმინისტრაციამ დაიწყო საქართველოში არსებული განათლების კერების – სკოლების დახურვა. პერიოდული პრესა იმ დროს ჯერ კიდევ არ გამოდიოდა. ამდენად, ქართულმა არამარტო სახელმწიფო ენის ფუნქცია დაკარგა, არამედ მისი გამოყენების არეც უკიდურესად შევიწროვდა. დედა ენას საოჯახო ენად ქცევის საფრთხე დაემუქრა.

იგივე განმეორდა იმერეთის სამეფოს დაპყრობისა და სამთავროთა აეტონომიების მოშლის შემდგომ დასავლეთ საქართველოშიც. ასე დაედო სათავე ჩვენს ქვეყანაში რუსიფიკაციის პროცესს, რომელიც ცარიზმის დამხობამდე არ შეწყვეტილა (რუსიფიკაცია ინტენსიურად ხორციელდებოდა სსრ კავშირშიც).

ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციის გაძლიერების მიზნით ხელისუფლება მიმართავდა მხარის ინტენსიურ კოლონიზაციას – იმპერიის შიდა გუბერნიებიდან რუსი კოლონისტების ჩამოსახლებას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათ კომპაქტურად დამკვიდრებას და რუსულენოვანი ანკლავების შექმნას. ამ დემოგრაფიულ ექსპანსიას პარალელურად, რეგიონში მეფის მთავრობის დასაყრდენი ბაზის გაფართოების მიზანიც ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ კოლონიზაციის პროცესმა მეორე ამოცანა უფრო შეასრულა, ვიდრე პირველი. „ეარგისი

მიწის ყოველი მტკაველი, რომლებიც მჭიდროდაა დაკავებული გადმოსახლებულებით, წარმოადგენს ამ მხარეში რუსეთის საყრდენს," – აღნიშნულია კავკასიის მეფისნაცვლის ი. ვორონცოვ-დაშკოვის მიერ 1907 წელს იმპერატორისათვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში[49].

კოლონისტების ჩამოსახლება ვერ გამოდგა ქართველთა გარუსებისათვის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორი. თვით რუს ავტორებს ხაზგასმული აქვთ, რომ რუსული საზოგადოების ასიმილატორული პოტენციალი შედარებით სუსტი იყო[50]. როდესაც ეს ითქმის საზოგადოებაზე, რომელშიც, ცხადია, განათლებულ ადამიანთა სიმრავლეც იგულისხმება, გასაგებია, რა ძალის მქონე იქნებოდა ამ მხრივ უწიგნური რუსი გლეხობა. კოლონისტთა აბსოლუტურ უმრავლესობას კი სწორედ ასეთი კატეგორიის ხალხი შეადგენდა.

რუსიფიკატორული პოლიტიკის მთავარი გამტარებლები იმპერიაში სახელმწიფო ინსტიტუციები იყვნენ, კერძოდ სკოლა, არმია და ეკლესია.

სკოლასა და საქართველოში ჩამოყალიბებული განათლების რუსული სისტემის ირგვლივ ნაშრომის ამ ნაწილში კიდევ გვექნება საუბარი. წინამდებარე წიგნის სათანადო თავში რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკაც დაწვრილებითაა გაშუქებული, ამიტომ აქ მოკლედ ვიტყვით:

ეკლესია თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის, სახელდობრ, რუსიფიკაციის მნიშვნელოვანი იარაღი იყო. საქართველოში გამოგზავნილ რუს სამღვდელოებს – ეგზარქოსებს, სასულიერო სემინარიათა მესვეურებსა და სხვ. ისევე ევალებოდათ იმპერიის მიზანდასახულობათა განხორციელებაზე ზრუნვა, როგორც სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს. მართალია, საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანა იყო და ქართველი ხალხის აღმსარებლობა თანხვედებოდა იმპერიის გაბატონებულ რელიგიას, მაგრამ ქართულ და რუსულ ეკლესიათა წესგანგებაში უამრავი სხვაობა არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი საქართველოს ეკლესიის შეუვალობასა და ხელშეუხებლობას აღიარებდა, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ 1811 წელს ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და მისი რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა დაიწყო[51].

ღვთისმსახურების რუსულ ტიპიკონზე გადაყვანა თუ ქართულ ტაძრებში სლავური საგალობლების დამკვიდრების ცდები რუსიფიკაციის ისეთივე ღონისძიებები იყო, როგორც მმართველობისა და მართლმსაჯულების სისტემიდან მშობლიური ენის გამოდევნა, ქართული გვარების რუსული დაბოლოებებით შეცვლა და სხვ.

რუსეთში მართლმადიდებლობა არცთუ იშვიათად რუსობასთან იყო გაიგივებული და იმპერიის არარუსი მართლმადიდებელი ეთნოსები სხვებზე მეტ ზეწოლას განიცდიდნენ რუსიფიკაციის მიზნით[52].

„რად ცდილობთ ჩვენს გარუსებას? ეს ხომ არასოდეს მოხდება: ხალხი, რომელსაც თავის ენაზე მეოთხე-მეხუთე საუკუნეებიდან აქვს ბიბლია, მდიდარი საეკლესიო-საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა და უაღრესად განვითარებული ენა, განა შეიძლება გარუსდეს?" – მიმართავდა იმ ხანად ახალგაზრდა მღვდელმსახური, შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე საქართველოს ეგზარქოს ნიკონს[53].

თავის საქმიანობაში მართლმადიდებელი მისიონერები (ოსეთის სასულიერო კომისია, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება) უწმინდესი სინოდის ინსტრუქციების გარდა იმპერატოროა განკარგულებებითა და მთავრობის დადგენილებებით ხელმძღვანელობდნენ. წარმართთა, მუსულმანთა თუ ბუდისტთა მართლმადიდებლურ რჯულზე გადმოყვანა მათი გარუსების მიზანს ემსახურებოდა. სამისიონერო მოღვაწეობის შედეგად რუსეთის ეკლესიის მრევლი რამდენჯერმე გაიზარდა. თუ პეტრე I-ის დროს იმპერიაში 15 მილიონი მართლმადიდებელი ცხოვრობდა, 1915 წლისათვის ამ რიცხვმა 115 მილიონი შეადგინა[54].

რაც შეეხება არმიას, როგორც რუსიფიკაციის აგენტს, ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქართული არისტოკრატიული წოდება – თავადაზნაურობა, რომელიც საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდგომ ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩა, არ გაურბოდა იმპერიის სამხედრო სამსახურს და ქართულ ჩოხაზე ეპოლეტები თუ პაგონებიც მშვენიერად მოირგო. არმიაში სამსახური, მით უფრო სამეთაურო თანამდებობებზე ყოფნა, შესაბამის სამხედრო განათლებას მოითხოვდა. ასეთი საწაელებლები კი კადეტთა, პაჟთა თუ სხვ. კორპუსები და სამხედრო გიმნაზიები იყო, რომლებშიც სწავლა ყმაწვილობის ასაკიდან იწყებოდა. მეფის ხელისუფლებამ ამ სასწავლებელთა კარი ფართოდ გაულო დაპყრობილი ხალხების ზედა ფენას. დავით კლდიაშვილი, რომელსაც სწორედ ასეთი სკოლა ჰქონდა გავლილი, გადმოგვცემს: „ყოველ წლობით მთავრობას მიჰყავდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან თავადაზნაურთა ორმოცი-ორმოცი ბავშვი სამხედრო სასწავლებლებში, კორპუსებში. მიჰყავდა ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ და კიდეკაც მი'სანს აღწევდა ხოლმე, რადგან რუსეთში, სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვი ივიწყებდა ქართულ ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდან-ფეხებამდე გარუსებული"[55].

ამასთან, თუ ომი არ წარმოებდა, ქართველი ოფიცრები, როგორც წესი, სამსახურს საქართველოს ფარგლებს გარეთ დისლოცირებულ ნაწილებში გადიოდნენ. ხანგრძლივად მშობლიური გარემოსაგან დაშორება, რუსულ ან რუსულენოვან საზოგადოებაში ტრიალი, არცთუ იშვიათად რუს ასულებზე დაქორწინება და სხვ. ახალგაზრდა ქართველ სამხედროებს გაუცხოებისა და ეროვნული იდენტობის შეცვლისაკენ უბიძგებდა.

ქართველებს არ ჩვეოდათ ფიცის გატეხა. რაკი სამხედრო სამსახურში შესვლისას მეფის ერთგულებაზე ფიცს მიიღებდნენ, მას განუხრელად იცავდნენ და ასრულებდნენ. სამხედრო ფიცის ერთგულება იმპერიისადმი არა მხოლოდ ლოიალობას, არამედ თავდადებასაც გულისხმობდა. ეს გარემოება დამატებით ფაქტორს ქმნიდა ცნობიერად რუსობისათვის.

ქართული დაბალი წოდებისათვის რუსის ჯარი, საქართველოში მისი ქცევიდან გამომდინარე, დიდხანს საფრთხობელად რჩებოდა. გლეხებს, ხელოსნებსა და სხვ. შიშის ზარს სცემდა ყოველი ცნობა სალდათად გაწვევის თაობაზე. ამ ნიადაგზე ჩვენში არაერთი და ორი მღელვარებაა ცნობილი. ჯარში გამწესება კარგა ხანს სასჯელის ფორმას წარმოადგენდა.

რუსეთის არმია წოდებრივ პრინციპზე იყო აგებული. მეთაურთა შემადგენლობა მხოლოდ თავადაზნაურობისაგან კომპლექტდებოდა, ჯარისკაცობა კი უმთავრესად მეტროპოლიის ყმური მოსახლეობის მოვალეობა იყო. მშვიდობიანობის დროს იმპერიის მთავრობა ერიდებოდა ქართველი გლეხობის რეკრუტში გაყვანას. სამხედრო რეფორმამ სამხედრო ბეგარა იმპერიის მთელი მამაკაცი მოსახლეობისათვის სავალდებულო გახადა. ეს წესი საქართველოში XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამოქმედდა. ამიერიდან ჯარისკაცის ფარაჯა ქართველ გლეხსა და მუშასაც უნდა მოერგო, მაგრამ რეფორმისშემდგომ არმიაში სამსახურის ვადა საგრძნობლად შემცირდა. დროის ეს მონაკვეთი კი გარუსების საფრთხეს ნაკლებად შეიცავდა. ამდენად, საქართველოს მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობის, – მშრომელი მოსახლეობის არმიის მეშვეობით ეროვნული გადაგვარება შეუძლებელი აღმოჩნდა.

რუსიფიკატორული პოლიტიკის მიზანი იმპერიის არარუსი მოსახლეობის დამორჩილება, იმპერიული რეჟიმისადმი ლოიალობისა და რუსთხელმწიფისადმი ერთგულქვეშევრდომული სულისკვეთების მიღწევა-დამკვიდრება იყო. რუსიფიკაცია უცხოტომელთა ეთნიკურად რუსად ქცევაზე მეტად არარუსთა მიერ იმპერიის ფასეულობებისა და ნორმების მიღება-გათავისებას, იმპერიის პრინციპებისა და ცხოვრების დადგენილი წესისადმი შეგუებას, მენტალურად რუსობას, „რუსულად ფიქრს, ლაპარაკსა და აზროვნებას" გულისხმობდა.

იმპერიის ხელისუფლება სხვადასხვა საშუალების გამოყენებით კოლონიურ სამფლობელოებში ქმნიდა იმგვარ გარემოს, რომელშიც მოქცეული ადამიანი დიმიტრი ყიფიანივით იტყოდა: „მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა-პურით, რომელსაც ვჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარ-ტომობითა და მოძმეთა ენით." ქართული მაღალი სოციალური წრის ამ განწყობას მკაფიოდ წარმოაჩენს აკაკი წერეთელიც. პოემაში „ეორონცოეი" ავტორი დიმიტრი ყიფიანს ათქმევინებს: „რომ ეროვნული შეგერჩეს ელ-ფერი და რუსი ვიყოთ პოლიტიკურად, აი, რა გვინდა... სხვა არაფერი"*. საბედნიეროდ, იმავე პერიოდის საქართველოში იყო სხვა, ჯანსაღი აზრი და შეხედულება, რომელსაც სერგი მესხი ასე გამოთქვამდა: „ჩვენ გვინდა ცოცხალ-ვიყოთ ჩვენის ენით, ჩვენის ხასიათით, ჩვენის ჩვეულებით, ჩვენის ქვეყნით. ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ ჩვენის ნაციონალურის, განსაკუთრებულის თვისებითა"[56]. ილია ჭავჭავაძე კი გარუსებისაკენ მიდრეკილ მედროვეებს აფრთხილებდა: „დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც ულირსი, თითონ იმათგანაც კი, ვინც ეხლა სიხარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე და ულოლოებს"[57].

რუსეთის ერთგული სამსახური და ქართული ვინაობის შენახვა – ამ ორი ძირეულად განსხვავებული და შეუთავსებელი ცნების შეთავსება უხდებოდა დაპყრობილ საქართველოს. „ჩვენობა და უცხოობა ოუმცა ერთმანეთს იშვენენდნენ, მაგრამ გულში-კი ერთმანეთთან ვერ ჰრიგდებოდნენო," წერდა ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე[58]. „თავადაზნაურობა იძულებული იყო შეურიგებელი შეერიგებია, ქართულ ეროვნულ ინტერესსა და რუსულ მონარქიას შორის შემათანხმებელი ხაზი მოენახა. ეს იყო გაორება. თუ ეროვნული შეგნება ქართველთა სული და გული იყო, რუსეთის ერთგულება იძულებით აუცილებლობას წარმოადგენდა," აღნიშნავდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარი ისიდორე მანწკავა[59].

რუსეთში მონარქისა და იმპერიისადმი პოლიტიკურ ლოიალობას, ასევე წოდებრივ კუთვნილებას უფრო არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ეთნიკური ან კონფესიონალური ჯგუფის წევრობას[60]. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს რუსეთის იმპერიული ელიტის გახსნილობა. თუ მეტროპოლიის დიდგვაროვანთა ერთობლიობაში შეღწევა თითქმის შეუძლებელი იყო, საიმპერიო არისტოკრატიაში ადგილის დაკავება დიდად არ ჭირდა. მეტიც, მეფის ხელისუფლება ამ პროცესს კიდევაც ახალისებდა. XVI საუკუნიდან მოყოლებული, არარუსული ელიტის იმპერიის უმაღლეს წრეებში კოოპტაცია რუსეთის იმპერიის მთლიანობის ძირითად პრინციპად იყო მიჩნეული[61].

თუ დაპყრობილ ხალხს გააჩნდა რუსული თავადაზნაურობის მოდელის შესაბამისი, ყმა-მამულის მფლობელი, თვითმყოფადი, მაღალი კულტურის მქონე ზედაფენა, რომელიც ლოიალობას გამოუცხადებდა რუსთხელმწიფესა და მმართველ დინასტიას, მას სტატუსით სატიტულო ერის თავადაზნაურობას უთანაბრებდნენ. ამ ფენის წარმომადგენლებს გზა ეხსნებოდათ უმაღლესი იერარქიისაკენ.

რუსეთის სახელმწიფოს გაფართოების კვალდაკვალ, იმპერიის თავადაზნაურობას ჯერ ეოლგის თათართა მუსულმანური ელიტა შეემატა, XVIII საუკუნეში იგი ბალტიისპირელი გერმანელი აზნაურობითა და პოლონური შლიახტით შეივსო, მომდევნო პერიოდში კი ფინურ-შვედური, რუმინულ-ბესარაბიული და ქართველი თავადაზნაურობის, ასევე, გარკვეული შეზღუდვით, ყირიმის, სამხრეთ

---

* აქ აღნიშნულის თვალსაჩინო გაგრძელებად მოსჩანს ქართველი ბოლშევიკების ერთი ჯგუფის – „ნაციონალ-უკლონისტების" პოზიციაც, შეენარჩუნებინათ 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი და სახელმწიფოებრიობა მოშლილი საქართველოსათვის „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტი."

კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ეთნოსის მუსულმანური არისტოკრატიის ხარჯზე გაიზარდა.

რომანოვთა იმპერია არ ყოფილა აგებული რასობრივი უპირატესობის პრინციპზე. თუ ინდიელთა ტომის ბელადი ან აფრიკული რომელიმე კლანის ლიდერი სრულიად უუფლებო იყო თეთრკანიან ევროპელ გადასახლებულთან შედარებით, კავკასიელ თავადს ან შუააზიელ ბაის რუსეთის იმპერიის სოციალურ იერარქიაში გაცილებით მაღალი ადგილი ეკავათ, ვიდრე რუს გლეხსა თუ მეშჩანინს. თუ ინგლისელები ერიდებოდნენ და გაურბოდნენ დაპყრობილი ინდოეთის მოსახლეობასთან შერეულ ქორწინებებს, რუსეთის ხელისუფლება ამ პროცესს, მაგალითად საქართველოში, ერთგვარად კიდევაც ახალისებდა.

რუსეთის იმპერიულ ელიტაში შედარებით იოლად გაიკაფა გზა ქართველმა წარჩინებულმა წოდებამ. ახლად დაპყრობილი ქვეყნის არისტოკრატიის მიმხრობა-გადაბირება ცარიზმის ინტერესებშიც შედიოდა, რათა იგი რეგიონში თავის სოციალ-პოლიტიკურ დასაყრდენად გაეხადა. ამ მიზანს ემსახურებოდა ქართველი თავადაზნაურობის რანგით რუს მემამულე-პომეშჩიკებთან გათანაბრება და მათთვის წოდებრივი უპირატესობის შენარჩუნება, აგრეთვე, სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოების შექმნა 1803 წელს თბილისის, ხოლო 1851 წელს ქუთაისის გუბერნიაში და სხვ.

ქართველ დიდებულთა ნაწილი უმტკივნეულოდ ჩაედგა იმპერიის სამსახურში, დაევით ბატონიშვილის სიტყვით თუ ვიტყვით, „მიეროვნენ რუსთა." თავადაზნაურობის უფრო დიდი ნაწილი რუსეთის კოლონიურ რეჟიმს იარაღით დაუპირისპირდა, აჯანყება-შეთქმულებებით ქვეყნის განთავისუფლება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 1832 წლის შეთქმულების ჩაეარდნის შემდეგ ამ ნაწილის ფრონდისტული მიდრეკილებანიც მინელდა და ოპოზიციური განწყობილებაც ძირითადად ჩაქრა. მოსახლეობის ზედაფენის უმრავლესობამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და კონფორმიზმის გზას დაადგა.

მკვლევარნი ამ რეალობის ასახსნელად, ფეოდალური არისტოკრატიისათვის მეტნაკლებად დამახასიათებელი კოლაბორაციონიზმის გარდა, ფსიქოლოგიურ ფაქტორზეც მიუთითებენ. საინტერესოდ გვეჩვენება ქართველი ფილოსოფოსის აეთო ჯოხაძის დაკვირვება. იგი წერს: ქართლ-კახეთის ევროპულ ყაიდაზე რეფორმატორ სამეფო კართან დაპირისპირებული თავადაზნაურობა შინაგანად გაორებული იყო. [მას „ევროპაში დაბრუნებაც" უნდოდა და „აზიაში დარჩენაც." „რუსეთის ევრაზიული იმპერია კი სწორედ ამ წინააღმდეგობრივი მისწრაფების შესატყვის სახელმწიფო სისტემას განასახიერებდა. რუსი ჩინოვნიკის და ჯარისკაცის მუნდირმა ქართულ ზეპურ საზოგადოებას ქრისტიანული დასავლეთის ნაირსახეობის ილუზია შეუქმნა და მისი „ევროპელობის" ამბიცია დააკმაყოფილა, სინამდვილეში კი ამ მუნდირის მიღმა... დასავლეთის სრული ანტიპოდი იმალებოდა"[62].]

სავსებით მართალი იყო ეახტანგ კოტეტიშვილი, როდესაც წერდა: XIX საუკუნეში ჩვენი „გაევროპიელება გარუსებას უფრო ჰგავდა, რაც უარესია"[63].

როგორც აღინიშნა, ეროვნული წარმომაველობა რუსეთის იმპერიაში არ ყოფილა ხელისშემშლელი გარემოება თვით ყველაზე მაღალი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად. ნიკოლოზ I-ს ეკუთვნის ფრაზა: „არ არსებობს კარგი რუსი და ცუდი გერმანელი. არიან კარგი და ცუდი ქვეშევრდომები." თვითმპყრობელობის აღსასრულამდე რომანოვთა იმპერიაში პიროვნების პოლიტიკური ლოიალობა და მაღალი სოციალური სტატუსი, რუსულენოვნების საფუძველზე, ნებისმიერი კარიერის უმთავრეს წინაპირობად რჩებოდა. ამით აიხსნება, რომ რუსეთის მინისტრებს შორის მუდმივად იყვნენ გერმანელები, თათრები, სომხები. პოლონელებს, ქართველებს, ფინელებს მაღალი თანამდებობანი ეკავათ სამხედრო იერარქიაში, სარდლობდნენ იმპერიის არმიებს, მეთაურობდნენ არმიების შტაბებსა თუ კორპუსებს. არაერთი კოლონიური ხალხის წარმომადგენელი შედიოდა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში და სხვ.

ქართული არისტოკრატიის ერთი ნაწილის საიმპერიო ხელისუფლებასთან დაახლოებას და თავადაზნაურობის ბევრი წარმომადგენლის წარმატებულ ინტეგრაციას რუსეთის საზოგადოების უმაღლეს წრეებთან ოდნავადაც არ გაუზრდია მეფის მთავრობის კეთილგანწყობა საქართველოსადმი. ამით არ გაზრდილა არც ქართველი ხალხის პოლიტიკური ლოიალობა რუსთხელმწიფისა თუ მმართველი დინასტიისადმი.

ქართველი ერი ავი დედინაცვლის გერის მდგომარეობაში რჩებოდა. სამსონ ფირცხალავას სიტყვით, რუსეთის იმპერიაში არარუსი ერების არსებობა „უკანონობად და დანაშაულად იყო მიჩნეული. „ინოროდცებს" ითმენდნენ, მხოლოდ ითმენდნენ იმის მოლოდინში, რომ ისინი ყველანი მალე გარუსდებოდნენ."

დაპყრობილ ხალხთაგან ბევრი ეწინააღმდეგებოდა ეროვნული მეობის შეცელას, იბრძოდა და რითაც შეეძლო, იცავდა საკუთარ ვინაობას. როგორც განდის არ უნდოდა ინგლისელობა და შამილს რუსობა, ასევე ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო რუსად ქცევა. მისთვის არათუ გარუსება, რუსულ ტანსაცმელში გამოწყობაც კი საზოთირო იყო. „ქართველის ტალავრის იერი სრულად სხვაა. რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოების" – ამბობს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების" გმირი მოხევე ლელთ ღუნია.

ნიკო ნიკოლაძის სიტყვით: „ყველა ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს... რუსს ვერავინ გაანემცებს, ქართველს ვერაკაცი გაარუსებს, შესაძლებელია ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპუნი ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ შაპკა დაახურო, ქალამნის მაგიერ – წაღა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველის დარჩება"[64].

გარუსება ეროვნული ფესვებისაგან მოწყვეტას, ქართული იდენტობის დაკარგვას, სხვად ქცევას ნიშნავდა. ამ სხვად ქცევის შიში რომ ჰქონდა საქართველოს, ამიტომაც დაეძებდნენ მისი მეფეები დამხმარე ძალას ევროპასა თუ რუსეთში მხსნელის, მფარველისა და მოკავშირის სახით.

თუ XVI-XVIII საუკუნებში ქართველთა გადაგვარების საშიშროებას „ოსმალობა" და „ყიზილბაშობა" ქმნიდა და ჩვენი წინაპარნი ირაზმებოდნენ დევიზით „ნუ გათათრდები," XIX საუკუნიდან ქართველ ხალხს რუსიფიკაციის რეალური საფრთხე დაემუქრა. შემოტევა ყოელისმომცველი, მასშტაბური და ინტენსიური იყო, მაგრამ ძლიერმა გენმა, ძირძველმა თვითმყოფადმა კულტურამ, ეროვნული ტრადიციების სიმტკიცემ, მართლმადიდებლურ რწმენაში ურყეობამ და მოწინავე საზოგადოების თავგანწირულმა ბრძოლამ ქართველი ერი ამ განსაცდელისაგან გადაარჩინა. მისმა დიდმა და საუკეთესო ნაწილმა მტკიცე ეროვნული თვითშეგნება, შეურყვნელი სულიერება და ტრადიციული იერსახე შეინარჩუნა.

ყოველი იმპერია თავის ზრდა-განვითარებაში მინიმუმ სამ ძირითად ეტაპს გადის. ეს ეტაპებია: 1. ანექსია, 2. კოლონიზაცია, 3. ინტეგრაცია. რუსეთის იმპერიის მიერ სხვა ხალხების ანექსიასა და კოლონიზაციაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება დაპყრობილი ხალხების იმპერიაში ინტეგრაციას, იგი ყველაზე ხანგრძლივი და რთული პროცესია, – ძნელად მისაღწევი, მაგრამ აუცილებელი ამოცანაა. იმპერიულ სახელმწიფოთა გამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა დიდწილად ინტეგრაციის ხარისხზეა დამოკიდებული. იმპერიის ხელისუფლება, ჩვეულებრივ, დაპყრობილი ხალხების გაერთიანებისათვის ძალმომრეობა-კომპრომისების გარდა სატიტულო ერის ენას, მეტროპოლიის კულტურის ზეგავლენას, იდეოლოგიასა და სხვა საშუალებებს იყენებს.

რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ რუსეთის იმპერიაში?

მიუხედავად დიდი პოტენციისა, რომელიც განსაკუთრებით XIX საუკუნეში გამოვლინდა, რუსეთის კულტურას არ შეეძლო უზრუნველეყო იმპერიის ცივილიზაციურად არაერთგვაროვანი და განსხვავებული მოსახლეობის ინტეგრირება ერთი საერთო კულტურის ნიადაგზე.

რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, იმის მიუხედავად, რომ მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა, ვერ მოახერხა სხვადასხვა კონფესიის – ქრისტიანული, მუსულმანური, ბუდისტური აღმსარებლობის ხალხებისა თუ წარმართი ტომების გაერთიანება ერთიან რელიგიურ საფუძველზე.

სახელმწიფოს კოლონიალური ძალისხმევის მიუხედავად, რუსული ენა დარჩა მხოლოდ იმპერიის მოსახლეობის ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებად და იგი ვერ იქცა რუსი და არარუსი ხალხების შემაკავშირებელ დულაბად. არც საქმის წარმოებისა და სასამართლო სისტემის უნიფიკაცია, არც ერთიანი სამართლებრივი და ეკონომიკური სივრცე გამხდარა რუსეთის იმპერიის სტაბილურობისა და სიმტკიცის განმსაზღვრელი ფაქტორი.

მაშ, რას ეფუძნებოდა რომანოვთა იმპერიის – დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული, სოციოკულტურული თვალსაზრისით მოზაიკური, სრულიად განსხვავებული სულიერი ღირებულებების, სოციალური წყობის, კულტურის, ტრადიციისა და ცხოვრების წესის მქონე ადამიანთა ესოდენ მასშტაბური კონგლომერატის ერთობა?

რუსეთის კოლონიური იმპერიის მონოლითურობას ძირითადად სახელმწიფოს უნიტარული ხასიათი, დესპოტიზმი, მკაცრი ცენტრალიზაცია და სამხედრო ძალა განაპირობებდა. პირველი მსოფლიო ომის დროს, როგორც კი ეს მთავარი ბურჯები დასუსტდა, იმპერიის მთლიანობასაც ბზარი გაუჩნდა. ცარიზმის დამხობამ ბზარი ნაპრალად გადააქცია და 1917-1918 წლებში რუსეთის იმპერია დაიშალა. დაპყრობილი ხალხები გამთავისუფლდნენ. არავერთმა მათგანმა, მათ შორის საქართველომ, საკუთარი სუვერენობა აღიდგინა და დამოუკიდებელი ცხოვრების მშენებლობას შეუდგა.

ამრიგად, კოლონიალიზმის, მათ შორის რუსული კოლონიალიზმის უზოგადესი ნიშნები შეიძლება ექსპანსიით, დაპყრობილ ხალხებზე სამხედრო-პოლიციური ზეწოლით, ასიმილაციის მცდელობით, ეროვნული ჩაგვრითა და ეკონომიკური ექსპლუატაციით შემოეფარგლოთ. ამასთან, ბევრი თანამედროვე მკვლევარი იმპერიების, მათ რიცხვში რომანოვთა იმპერიის დახასიათებისას, რამდენიმე საერთო მარკერს გამოყოფს. კერძოდ: 1. იმპერია არასოდეს ღალატობს თავის მოკავშირეს; 2. იმპერია მშვიდობაა; 3. იმპერია ხიბლია (მიზიდულობაა); 4. მეტროპოლიები კოლონიების მიმართ ცივილიზატორის როლში გვევლინებიან („თეთრი ადამიანის ტვირთი") და 5. იმპერიაში მოქცევას კოლონიური ხალხებისათვის აქვს პროგრესული მნიშვნელობა.

ქვემოთ თითოეულ ამ დებულებას ცალ-ცალკე განვიხილავთ და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მაგალითზე ვაჩვენებთ, რამდენად შეესაბამებიან ისინი რეალობას. ამ საკითხების კვლევისას კიდევ უფრო სრულად გაშუქდება რუსული კოლონიალიზმის ფენომენი, ხაზგასმით წარმოჩნდება რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის ბუნება და ხასიათი.

„იმპერია არასოდეს ღალატობს თავის მოკავშირეს". რუსეთის იმპერიული მსერა კავკასიონის მაღალ ქედს XV საუკუნის ბოლო მეოთხედში გადმოეცალო. პირველი სამხრეთკავკასიური ქვეყანა, რომელთანაც რუსეთმა ურთიერთობა დაამყარა, კახეთის სამეფო იყო. ირანისა თუ დაღესტნის აგრესიისაგან შეწუხებული კახეთი ამ დროს დამხმარესა და მოკავშირეს დაეძებდა. მოკავშირის ხელი ქრისტიანულ კახეთს აღმავლობის გზაზე მდგომმა რუსეთის ერთმორწმუნე სახელმწიფომ გამოუწოდა.

ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, ისტორიულმა ვითარებამ „სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წამოსული მოსკოვის რუსეთისა და მტრული გარემოცვით შეეიწროებული კახეთის რეალური საგარეო პოლიტიკური ინტერესები ერთი-მეორეს შეუთანხმა"[65].

ელჩობათა არაერთგზის გაცვლის შემდგომ, 1587-1589 წლებში რუსეთსა და კახეთს შორის პოლიტიკური კავშირი გაფორმდა. კახეთის სამეფო რუსეთის

მფარველობაში შევიდა. კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1574-1605 წ.წ.) ხელი მოაწერა ცნობილ "ფიცის წიგნს" და რუსთხელმწიფისგან "წყალობის სიგელი" მიიღო. ამ უკანასკნელ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი კახეთს მტრებისაგან საიმედოდ დაიცავდა: „И мы грамоту твою приняти велели есмя и ее выслушали милостиво и тебя, Александра князя, и твою землю Иверскую по твоему челобитью под свою царскую руку приняли есмя и держати тебя и твою землю в своем царскою рукою хотим и оберегати тебя и твою землю ото всяких твоих недругов"[66].

მიუხედავად მტკიცე დაპირებისა, კახეთის სამეფომ რუსეთისგან რეალური სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა ვერ მიიღო.

მოსკოვის სამეფო კარზე კახეთიდან წარგზავნილი არაერთი ელჩობა ამაოდ ითხოვდა ჯარის ნაწილებით დახმარებას. რუსეთს საქართველოში სამხედრო ძალა აღარ გამოუგზავნია. არადა, რუსის ჯარის თანადგომას აქაურ ხელისუფალთათვის სამხედრო დანიშნულების გარდა დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგალითად, 1604 წელს, კახეთში მყოფმა რუსმა ელჩებმა ბატონიშვილ გიორგი ალექსანდრეს-ძეს 40 კაციანი მცველთა რაზმი მიაშველეს. რუსთა ამ მცირერიცხოვან შენაერთს კახელები თვალისჩინიერით უფრთხილდებოდნენ. ან რა განსაკუთრებული ძალა უნდა ყოფილიყო მებრძოლთა ორი ოცეული, მაგრამ იგი მაინც "მოკავშირის" გვერდში დგომის ეფექტს ქმნიდა და ადგილობრივთა საბრძოლო შემართებასაც მნიშვნელოვნად ამაღლებდა. ქართველებმა მამაცურად იბრძოლეს და ძეგამს მოახლოებული ოსმალო ფაშები სასტიკად დაამარცხეს.

სპარსეთ-ოსმალეთის გამუდმებული თავდასხმებითა თუ ლეკთა შემოსევებისაგან დასუსტებულ კახეთსა და ქართლს იმედის თვალი ისევ ერთმორწმუნე რუსეთისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი. მოსკოვიდან კი დიდი ხნის განმავლობაში დაპირების მეტი არაფერი ისმოდა.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში რუსეთი კვლავ გამოჩნდა კავკასიურ ასპარეზზე. ამჯერად ურთიერთობა რუსეთსა და ქართლის სამეფოს შორის გაიბა. ქართლის პოლიტიკურ წრეებში ჩაისახა იმედი, რომ რუსეთის თანადგომით შესაძლებელი გახდებოდა ირანის ბატონობისაგან თავდაღწევა. ირანის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების დასაწყებად დამხმარე ძალებს დაეძებდა პეტრე პირველიც. ქართლისა და რუსეთის ინტერესების დამთხვევას ამ ქვეყნებს შორის 1720 წელს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარება მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ აქეთ დახმარების მაგიერად, ქართლის მეფე ვახტანგ VI, 20 ათასიანი ჯარით თეიმონ ამოუდგა მხარში 1722 წელს კასპიისპირეთისაკენ სალაშქროდ დაძრულ პეტრე I-ს.

რუსეთის იმპერატორმა ქართლთან გაფორმებული სამხედრო კავშირის პირობა დაარღვია, ლაშქრობა მოულოდნელად შეწყვიტა და ქართული მხედრობა მოწინააღმდეგეს პირისპირ შეატოვა. პეტრე I-მა ფაქტობრივად გაწირა თავისი მოკავშირე, რაც ქართლის მეფეს არა მარტო ტახტის დაკარგვის, სამშობლოდან გადახვეწის ფასადაც დაუჯდა. საკუთრივ ქართლში ჯერ ოსმალობა, შემდეგ კი ყიზილბაშობა დამყარდა.

ამ ამბებიდან ოთხ ათეულზე მეტი წლის შემდეგ რუსეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი წამოიწყო. პეტერბურგის საიმპერიო კარი შავი ზღვის სანაპიროს დაპყრობასა და ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვებას ესწრაფოდა, მაგრამ ომის ნამდვილ მიზანს მალავდა, აცხადებდა, პორტას „ქრისტეს სარწმუნოებისათვის" ევრბძვიო და ბალკანეთისა და კავკასიის ხალხებს სულთანზე ამხედრებდა.

ოსმალეთთან ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორესა და იმერეთის ტახტის მფლობელ სოლომონ პირველსაც თავთავიანთი ანგარიშები გააჩნდათ და ომში ჩაბმაზე თანხმობა გამოთქვეს. ოღონდ წინაპირობად ორივე მათგანმა საქართველოში რუსეთის სამხედრო შენაერთების გამოგზავნა მოითხოვა.

რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო და საქართველოსაკენ ჯარის ნაწილების ეტაპობრივად გამოგზავნას შეუდგა. 1769 წლის აგვისტოში ყიზლარ-მოზდოკის გზით ჯერ 480 კაციანი სამხედრო რაზმი შემოვიდა, ხოლო მცირე ხანში ასკაციანი აეანგარდით დარიალიდან გენერალმა ტოტლებენმა შემოაღწია. მომდევნო წლის გაზაფხულისათვის საქართველოში მყოფი რუსეთის სამხედრო შენაერთები უკვე 3800 მებრძოლს ითვლიდა.

1770 წლის აპრილში ერეკლე II-მ და გენერალმა ტოტლებენმა გაერთიანებული ძალებით გეზი ახალციხისაკენ აიღეს და აწყურის ციხეს მიადგნენ. ტოტლებენი ლაშქრობას ისედაც აჭიანურებდა, აწყურთან კი შემდგომ წინსვლაზე უარი განაცხადა და ბრძოლის ველს საერთოდ გაეცალა. მემატიანე ომან ხერხეულიძე მოგვითხრობს:

„წარმოუვლინა იმპერატრიცა ეკატერინა მეორემ რუსეთის უძლეველი მხედრობა მხედართმთავრობასა ქვეშე ღენერალ-მაიორის გრაფ ტოტლებენისა, შეითქვნენ და წარვიდნენ ახალციხეზედ. ...ჩააგდეს შური ბოროტთა კაცთა და უსიდევლნენ გრაფ ტოტლებენსა აესა სიტყვასა და ამის ძალით შემოსწერა გრაფ ტოტლებენი მეფესა.

ხოლო სხვანი იტყვიან – აგრძელებს მეისტორიე – არა თუ ენის ზიდვა იქმნა ესე, არამედ დაფარულისა ძალით, რომელიცა აქვნდა განზრახვა გრაფ ტოტლებენსა გულსა შორის თვისისა. ...მიატოვა მეფე, რომელიც თუ დამარცხდებოდა, ტოტლებენი აღასრულებდა მაშინ საქართველოსა ზედა რეცა წადილსა გულისა თვისისასა"[67].

მარტოდ დარჩენილი ერეკლე, რომელმაც ასპინძის ბრძოლაში მაინც წარმატებით სძლია მოწინააღმდეგეს, მოკავშირე რუსის ჯარის მდგომარეობაზე წუხდა და გაიძახოდა: „უმჯობესი არს აქა სიკვდილი ჩემი, ვიდრემდის ამათგან (ოსმალთაგან – ო. ჯ.) რუსეთის მხედრობას ვუნოს რამეო"[68]. რუსები უენებლად გავიდნენ სამშვიდობოს.

ჯაჯახეთიდან ქართლში დაბრუნებულმა ტოტლებენმა ერეკლე II-ის საწინააღმდეგო კამპანია გააჩაღა, დაიკავა რამდენიმე ციხე-ქალაქი და მოსახლეობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ძალით აფიცებდა. რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთს ამჯერად არაფერში გამოდგომია. ტოტლებენს აღმოსავლეთ ქართველთა მხარდამხარ არც ერთ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. ერეკლე II იძულებული გახდა რუსეთის ხელისუფლებისათვის ტოტლებენის საქართველოდან გაწვევა ეთხოვა.

სანამ პეტერბურგში დარწმუნდებოდნენ, რომ თავიანთი სარდალი საქართველოში „რუსეთს უფრო სირცხვილს უხვევდა, ვიდრე სახელს"[69] და აქედან გაიწვევდნენ, ტოტლებენმა მცირე შევსება მიიღო და მთელი ჯარით (4 ათასი კაცი) 1770 წლის ივნისში იმერეთში გადავიდა. სოლომონ I-მა რუსთა მისვლამდე ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები თურქ დამპყრობთაგან საკუთარი ძალებით გაათავისუფლა და ქუთაისსაც ალყა შემოარტყა.

რუსები იმერეთის მეფეს ბაღდათის ციხის აღებაში დაეხმარნენ. ოსმალურმა გარნიზონმა იარაღი დიდი ბრძოლის გარეშე დაყარა. რუს-ქართველთა გაერთიანებულმა მხედრობამ ქუთაისს შეუტია. მტერი აქაც რამდენიმე დღეში დანებდა, მაგრამ ტოტლებენმა თურქი მეციხოვნენი ქალაქიდან გააპარა. გენერალი იმერეთშიც თვითნებობდა, მეფეს ანგარიშს აღარ უწევდა, საერთო ენა მის მოწინააღმდეგე მთავრებთან გამონახა და ისინი სოლომონ პირველს წაჰკიდა[70].

გენერალმა ტოტლებენმა რუსულ იარაღს სახელი დიდად ვერც დასავლეთ საქართველოში გაუთქვა. მან წარმატებით ვერც გადატრიალების გზით ერეკლე მეორის ტახტიდან ჩამოშორებისა და ქართლ-კახეთის მცხოვრებთა რუსეთის ერთგულებაზე დაფიცების დავალება შეასრულა[71].

1771 წლის დამდეგს ტოტლებენი, რომელსაც ომან ხერხეულიძის სიტყვით, „ცუდად დაუჯდა ტლინკეა თავისი და უსარგებლოდ საქართველოსა შინა"[72], რუ-

სეთში დააბრუნეს. სინამდვილეში ტოტლებენი არაფის დაუსჯია და გაწეული სამსახურიც საკმაოდ დაუფასდა. ეკატერინე მეორემ მას მკერდზე საკუთარი ხელით მიაბნია ალექსანდრე ნეველის ორდენი და გენერალ-პორუჩიკის წოდებაც უბოძა[73].

ტოტლებენის შემცველელად საქართველოში გენერალი სუხოტინი გამოიგზავნა. დავალების არსი იგივე დარჩა. ახალ სარდალს უფრო ფრთხილად უნდა ემოქმედა, რომ რუსეთის საიდუმლო გეგმა ბოლომდე არ გამჟღავნებულიყო.

სუხოტინმა არ გაითვალისწინა ერეკლე მეორის რჩევა და ახალციხეზე შეტევის ნაცვლად, 1771 წლის ზაფხულში ფოთის ალყა წამოიწყო. ოპერაცია წარუმატებელი გამოდგა. თაკარა სიცხეში კოლხეთის ჭაობიან დაბლობზე ჯარსაც და სარდალსაც ციებ-ცხელება შეეყარათ. ოქტომბერში გენერალმა ფოთს ალყა მოხსნა. ორიოდე თვეში ეკატერინე II-მ რუსეთის ჯარის საქართველოდან გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო. 1771 წლის იენისში რუსთა უკანასკნელმა სამხედრო შენაერთმა საქართველოს საზღვრები დატოვა. რუსეთ-ოსმალეთის ომი ამის შემდეგ კიდევ სამ წელიწადს გრძელდებოდა. რუსეთისაგან პროვოცირებული და შემდეგ მიტოვებული ქართველი მეფეები თავიანთი ქვეყნებითურთ მწვავე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ. თურქებმა ქობულეთის მხარე (ქვემო გურია) მიიტაცეს. გართულდა ქართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობაც, რომელმაც ოსმალეთიც გადაიმტერა და ირანის ნდობაც დაკარგა.

როგორც ცნობილია, 1783 წლის იელისში რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის „მეგობრობის ხელშეკრულება" გაფორმდა. ქართული სამეფო სუვერენული საგარეო-პოლიტიკური უფლებების დათმობის სანაცვლოდ რუსეთის მფარველობაში შეეიდა და გარეშე მტერთაგან დაცვის საიმედო დაპირება მიიღო. გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთმა კიდევ ერთხელ იკალდებულა საქართველოში ჯარის გამოგზავნა.

ტრაქტატის მეორე სეპარატული მუხლის შესაბამისად, რუსეთის ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით 1783 წლის ნოემბერში ქართლ-კახეთში შემოვიდა (ეს ზარბაზნები პირველად მომდევნო წლის იანვარში, ტრაქტატის რატიფიკაციის აღსანიშნავად გამოიყენეს და 200-ჯერ დააქუხეს).

ახალ რუსულ შენაერთებს ერეკლე მეორის კარზე რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენლად დანიშნული პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვი მეთაურობდა. ერეკლესა და ბურნაშოვს შორის ნორმალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. რუსი რეზიდენტი, რომელმაც თავისი თანადროული ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის სურათიც აღწერა, დიდად აფასებდა მეფე ერეკლეს ნიჭსა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. ერეკლეც, ტოტლებენისაგან განსხვავებით, ბურნაშოვს არ ემდურებოდა.

ერეკლე II-ის რუსეთზე ორიენტაციამ და ჩრდილოელი მეზობლის მფარველობაში შესვლამ ქართლ-კახეთის პრობლემები კიდევ უფრო გაამძაფრა. გეორგიევსკის ტრაქტატმა ირან-ოსმალეთის გარდა სამხრეთ კავკასიის სახანოების აღშფოთებაც გამოიწვია. ოსმალეთი საქართველოს მისადგომებთან ჯარების შეგროვებას შეუდგა. სულთნის დავალებით, ახალციხის ფაშამ ქართლზე თავდასხმები გააჩაღა. უფრო გააქტიურდნენ მოთარეშე ლეკები. ერეკლეს მისი ემადნაფიცი მაჰმადიანი მმართველებიც ეურჩებოდნენ.

ქართველი მეფე ეფექტურად იყენებდა რუსულ პოლკებს. 1784 წელს რუს-ქართველთა ჯარებმა ჭარ-ბელაქანს შეუტიეს და ლეკებზე გამარჯვება მოიპოვეს. ერეკლემ განჯის სახანოზეც ძველი ბატონობა აღიდგინა. 1785 წელს ქართველებმა და რუსებმა ახალციხის საფაშოდან შემოჭრილ ლეკებს სურამის მახლობლად გზა შეუკრეს და სასტიკად დაამარცხეს. ამ ოპერაციას მაიორი სენენბერგი ხელმძღვანელობდა, რომელმაც „ოთხი საათის ბრძოლასა შინა ამოწყვიტა და დაარჩო მდინარესა შინა ათას ხუთასამდინ" მოწინააღმდეგე[74] და სხვ. მაგრამ წარმატებები ეპიზოდური იყო. საქართველოში მყოფი რუსთა მცირერიცხოვანი სამხედრო ძალა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის არ კმაროდა. მაგალითად, ერეკ-

ლემ ვერ შეძლო გამკლავებოდა აღარიელ ომარ-ხანს, რომელმაც 1785 წელს თითქმის მთელი მისი სამეფო მოიცარეშა. ახტალის საწარმო გაძარცვა და დაარბია, ხელთ დიდი სიმდიდრე იგდო და 800-ზე მეტი ტყვეც წაიყვანა.

ერეკლე რუსეთისაგან დამატებით ჯარს ითხოვდა, მაგრამ უშედეგოდ. „მფარველი" მხოლოდ იმედებით კვებავდა ხელდებულს. 1787 წელს, ოსმალეთთან მოახლოებული ომის წინ, ეკატერინე მეორემ საქართველოდან თავისი ორი ბატალიონიც გაიყვანა. რუსის ჯარმა ერეკლე მეორე ამჯერადაც ბრძოლის ველზე მიატოვა. ბურნაშოვის ბრძანება სამშობლოში დაბრუნების შესახებ განჯა-ყარაბაღზე ქართველ მეფესთან ერთად ლაშქრობის დროს მოუვიდა, ისიც სასწრაფოდ აიყარა და რუსეთს მიაშურა. „ყოველთა მტერთა ჩვენთა საკინელ ეიქმენითო," — ამაოდ შესჩიოდა ერეკლე გრიგოლ პოტიომკინს.

ერთმორწმუნე მოკავშირის თანადგომა ქართლ-კახეთისათვის განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელი გახდა XVIII საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან, მეტადრე მას შემდეგ, რაც აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა ირანის ტახტზე პოზიციები განიმტკიცა, თითქმის მთელი აზერბაიჯანი დაიმორჩილა და მიზანში აღმოსავლეთ საქართველო ამოიღო.

ერეკლე მეორემ რუსეთის მთავრობას შექმნილი კრიტიკული ვითარება აცნობა და დროული დახმარება ითხოვა. რუსეთი მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯებით შემოიფარგლა და ხელდებულ ქვეყანას სამხედრო ძალა არ მიაშველა.

ქართლ-კახეთზე თავდასხმის წინ ირანისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, გამოგზავნიდა თუ არა რუსეთი ჯარს საქართველოში. შაჰმა მისთვის ესოდენ საგულისხმო ინფორმაცია კავკასიაში განლაგებული რუსეთის არმიის სარდლობისაგან მოიპოვა და გულდამშვიდებული, რომ ჩრდილოელი მეტოქე ამჯერად მას ხელს არ შეუშლიდა, თბილისისაკენ დაიძრა. რამდენი გადაუხადეს ირანელებმა გენერალ გუდოვიჩს, ცნობილი არ არის, მაგრამ სანუქრების გარეშე რომ ამ საქმეს არ ჩაუვლია, ფაქტია[75].

რუსეთის მოიმედე ერეკლე დიდი ბრძოლისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა, მცირერიცხოვანი ძალებით კი მტრის მოგერიება ვერ მოხერხდა. 1795 წლის სექტემბერში ირანელებმა თბილისი აიღეს, გაძარცვეს და მოაოხრეს. რუსთა ორი ბატალიონი გენერალ პ. ზუბოვის წინამძღოლობით საქართველოში მხოლოდ ამ ამბების შემდეგ, 1795 წლის დეკემბერში გამოჩნდა. მომდევნო წლის გაზაფხულზე რუსეთმა ქართველებისა და სამხრეთ კავკასიის სხვა ხალხების ერთი ნაწილის მხარდაჭერით ირანზე ლაშქრობა წამოიწყო, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის რამდენიმე ქალაქიც დაიკავა, მაგრამ ეკატერინე II-ის გარდაცვალებამ იმპერიის გეგმებში არსებითი კორექტივები შეიტანა. ახალმა იმპერატორმა პავლემ ირანში დაწყებული ლაშქრობა მოშალა. მისივე ნებით, მალე რუსეთის სამხედრო ნაწილებმა ქართლ-კახეთიც დატოვეს.

XIX საუკუნიდან დაყრობილი საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. როდესაც 1917 წლის თებერვალში თვითმპყრობელობა დაემხო, რომანოვთა ერცელმა იმპერიამ რღვევა იწყო. განაპირა ხალხებში თავისუფლებისათვის მოძრაობა გააქტიურდა. ოქტომბერში რუსეთში ხელისუფლებას ბოლშევიკები დაეუფლნენ. ლენინი, მართალია ახალი, პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა, მაგრამ საბჭოთა რუსეთი, ფაქტობრივად, მეფის რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე იყო. ყოველ შემთხვევაში იგი იმპერიის ტერიტორიულ მემკვიდრეობაზე უარის თქმას არ აპირებდა.

1918 წლის მარტში, როდესაც სამხრეთ კავკასია, და მათ შორის საქართველო, იურიდიულად ჯერ კიდევ რუსეთს ჩამოშორებული არ ყოფილა, ბოლშევიკურმა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან დადებული ზავით, გაწირა არათუ მოკავშირე, არამედ სახელმწიფოს ნაწილად მიჩნეული საქართველოსა და სომხეთის ინტერესები. ამ ქვეყნების კუთვნილი მიწა-წყლის — ბათუმის, არდაგანისა და ყარსის ოლქების ოსმალეთისათვის გადაცემა, რომელმაც გამოუს-

წორებელი ზიანი მიაყენა ქართველი და სომეხი ხალხების ეროვნულ ინტერესებს, რუსეთის მხრიდან ღალატის აშკარა გამოვლინება იყო.

ამრიგად, თვალსაზრისი, რომ იმპერია არასოდეს ღალატობს მოკავშირეს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მაგალითით არ დასტურდება. უფრო – პირიქით. რუსეთი იმდენად ითვალისწინებდა და იცავდა თავისი მოკავშირე საქართველოს ინტერესებს, რამდენადაც ეს ინტერესები კონკრეტულ შემთხვევაში თანხვედებოდნენ იმპერიის მასშტაბურ მიზნებსა და ამოცანებს.

საკუთარი მისწრაფებების არათუ საზიანოდ, რისკის ფასადაც კი, რუსეთს თავი არასოდეს გამოუდია მოკავშირე ქვეყნის მხარდასაჭერად. ზემოთ აღწერილ არც ერთ შემთხვევაში, როდესაც რუსეთის ღალატის შედეგად საქართველოს ცალკეული სამეფოები თუ ხალხი მძიმე განსაცდელში ჩავარდა, იმპერიის მესვეურთ მათდამი მორალური თანაგრძნობაც არ გამოუხატავთ, არ უგრძნიათ საკუთარი წილი პასუხისმგებლობისა საქართველოზე თავსდატეხილი უბედურების გამო და არ ცდილან მდგომარეობის გამოსწორებას.

მოკავშირის ინტერესების უღალატობის პრინციპთან ერთად იმპერიულ ტრადიციად მიჩნეულია „სიტყვის ერთგულება"[76], მაგრამ აქაც რუსეთის იმპერიის მაგალითი სრულიად საწინააღმდეგოს გვიდასტურებს.

რუსეთი იყო და არის სახელმწიფო, რომლის ნდობა მეტის-მეტად სარისკოა. მან არაერთხელ გატეხა სიტყვა, დაარღვია მოკავშირისა თუ ხელდებული ქვეყნისთვის მიცემული დაპირება. მეტიც, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ფარატინა ქაღალდად აქცია საქართველოსთან დადებული და უმაღლესად დამტკიცებული გეორგიევსკის ტრაქტატი, უმუხთლა მოკავშირეს და იგი არა თუ დაიცვა და დაიფარა, არამედ დაიპყრო და ხანგრძლივ კოლონიურ მონობაში ჩააგდო. ზუსტად ასევე მოიქცა ბოლშევიკური რუსეთის მეთაური ვ. ლენინი. მანაც უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება და მომდევნო წლის თებერვალ-მარტში ქვეყანა ოკუპაცია-ანექსიის გზით კიდევ ერთხელ რუსეთის გავლენას დაუქვემდებარა.

საქართველოს მაგალითი თვალნათლივ აღასტურებს უინსტონ ჩერჩილის ცნობილ სიტყვებს: „რუსებთან დადებული ხელშეკრულების ფასი არ აღემატება იმ ქაღალდის ფურცლის ფასს, რომელზეც იგია დაბეჭდილი."

„იმპერია მშვიდობაა". ეს ფრთიანი გამოთქმა საფრანგეთის იმპერატორს ნაპოლეონ მესამეს ეკუთვნის. მან იგი თავის დროზე წინასაარჩევნო ლოზუნგის სახით გამოიყენა და არჩევნების დამთავრებისთანავე დაივიწყა. მიუხედავად ამისა, ფრაზა ისტორიას შემორჩა და სამუდამოდ იქვე დარჩებოდა, რომ იგი თანამედროვე რუს აეტორებს არ გახსენებოდათ და არ გაეცოცხლებინათ.

მაინც რისთვის დასჭირდათ ამ ძველი ფრაზის აქტუალიზება XXI საუკუნის რეალობაში? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთგვარი ნოსტალგია დღეს დანგრეულ იმპერიულ რუსეთზე და იმავდროულად პროპაგანდა საბჭოური იმპერიის ასაღორძინებლად. მართალია, ვინც ამას წერს, მშვენივრად იცის, რომ მტკიცება რუსეთის იმპერიის მშვიდობისმყოფლობის შესახებ მითია და სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ მათთვის ეს არ არის არსებითი. მათთვის მთავარია სხვები დაარწმუნონ, სხვებს აღუძრან რუსეთთან კელავ შეკავშირების სურვილი და მისწრაფება.

ამ ფონზე მაინც ვნახოთ, რა მშვიდობა მოუტანა რუსეთის იმპერიამ ჩვენს ხალხს და ჩვენს ქვეყანას.

საქართველოში გაბატონებიდან სულ რაღაც საუკუნენახევარში რუსეთმა (სსრ კავშირის ჩათვლით) 11 დიდი ომი გადაიხადა, რომელთა საერთო ხანგრძლივობა 25 წელს აღემატება. მათგან შვიდი ომის ფრონტის ხაზი საქართველოზეც გადიოდა. ამ ომებში მონაწილე ჩვენს თანამემამულე მრავალრიცხოვან გენერლებსა და ოფიცრებზე რომ არაფერი ითქვას, რამდენი ქართველი მოლაშქრე, ჯარისკაცი, მებრძოლი გაიწვიეს, რამდენი დაიღუპა, რამდენი უგზო-უკ-

ელოდ დაიკარგა, რამდენი დასახიჩრდა. რამდენი ოჯახი დაიქცა და განადგურდა, რამდენ სახლში ჩაქრა კერა?

XIX საუკუნის პირველი ნახევარი აღსავსეა აჯანყებებით რუსეთის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ. რამდენი ამაყი და ქედუხრელი ქართველი შეაჯედა თავისუფლებისათვის ბრძოლას, რამდენი ჩამოახრჩეს, რამდენი გადაასახლეს სამშობლოდან, რამდენი ბორკილდადებული გაუყვანეს შორეული კატორღის გზას, რამდენი იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო? ეინ დათვალა რუსეთის პირველი რევოლუციის დროსა და მომდევნო ხანაში საქართველოში დატრიალებული რეაქციული ქარბორბალას უთვალავი მსხვერპლი? აი, რუსული იმპერიული მშვიდობა საქართველოში.

წინამდებარე თემაზე საუბრისას შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ილია ჭავჭავაძის სიტყვები მისი ცნობილი სტატიიდან, რომელსაც აქვე დავიმოწმებთ: „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილზე. გაჩქრა ცვცხლი, რომელიც სწვავდა და ბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩა"[77].

მაგრამ დაკვირვებით წავიკითხოთ, ვის და რას ეხება დიდი მწერლის ეს გამონათქვამი. პუბლიცისტური წერილი „ასი წლის წინათ," რომლიდანაც ჩვენ ეს ამონარიდი მოვიტანეთ, ილია ჭავჭავაძემ 1899 წლის 26 ნოემბერს დაბეჭდა გაზეთ „იესერიაში." იმ დღეს სუსტად ერთი საუკუნე შესრულდა, რაც მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის თხოვნის საფუძველზე თბილისში რუსეთის სამხედრო პოლკი შემოვიდა. საგაზეთო წერილს ამგვარი ქვესათაურიცა აქვს: „პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში." ილია სწორედ ამ ფაქტის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და მას „ღირსახსოვარ დღეს" უწოდებს, იმ ჯარზე ლაპარაკობს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს დამხმარე, მოკავშირე ძალად მოველინა და, რომელსაც „კელაე სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიეგება... დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშით ფრთაშესხმული." ამიტომაც მიეგება აღტაცებით დიდი თუ პატარა დედაქალაქში შემოსულ რუსულ სამხედრო შენაერთს, ამიტომაც მოუწყო მას შთამბეჭდავი დახვედრა.

მწერალს მხედველობაში არ ჰქონია საქართველოში რუსეთის ჯარის ყოფნა მთელი საუკუნის განმავლობაში. იგი ჯერ კიდევ ქართულ სახელმწიფოში — ქართლ-კახეთის სამეფოში მფარველი ქვეყნიდან მოწვეულ ჯარსე საუბრობს და არა ცარიზმის იმ არმიებზე, რომლებიც ჩვენში 1801 წლის შემდეგ საქართველოს დაპყრობა-დამონების მიზნით შემოდიოდნენ.

თუ როგორი აზრისა იყო ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნიდან საქართველოში დამკვიდრებულ რუსეთის სამხედრო ძალაზე, რა მშვიდობა და შვება მოუტანა მან ქართველ ხალხს, უფრო ნათლად წარმოგვიჩენს პოეტის მიერ მ. ლერმონტოვის „მწირის" ერთი ცნობული სტროფის თარგმანი. დედანში წერია:

„И божья благадать сашла
На Грузию – Она цвела
С тех пор в стени своих садов,
Не опасаяся врагов,
За гранью дружеских штиков."

ილია ჭავჭავაძის თარგმანში ეკითხულობთ:

„მას აქვთ, რაცა კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს იესერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს."

ვინც ირწმუნებოდა, რუსულმა იარაღმა მშვიდობა და ბედნიერება მოუტანა საქართველოსო, ილიაც იმას უსურვებდა მათვე ასკეცად[78].

სტატიაში, რომელიც სპეციალურად XIX საუკუნეს ეძღვნება და ამ ასწლეულის დამსახურებას აანალიზებს, ილია ჭავჭავაძე ერთი სიტყვითაც არ ახსენებს რუსეთს, უბრალო მინიშნებითაც არ მიანიშნებს მის დადებით როლზე მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში. სხვა წერილში კი, რომელსაც „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?" ჰქვია, მწერალი რუსეთის იმპერიაში მოქცეული საქართველოს ყოფასა და მდგომარეობას ასე გვიხატავს: „ამ სამოთხე ქვეყანაში (საქართველოში – ო.ჯ.) მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელვეა, ხორცი ადნება"[79]. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების" გმირს ლელთ ღუნიას (და ზოგადად – ქართველს) არ მოსწონს იმპერიის მიერ დამკვიდრებული „ცარიელი მშვიდობა." „ცარიალ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის," ამბობს იგი და უკმაყოფილოა, რომ „რუსობაჩი... გაუქმდის ადრინდალ დაწყობაი, ...წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წეთ-წყობაი"[80].

ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ ქვეყანაში კი ისევე და ისევე იწერება: რუსეთის დამკვიდრება სამხრეთ კავკასიაში ყველასათვის სასარგებლო იყო. ადგილობრივმა მოსახლეობამ მიიღო იმპერიული ხელისუფლება. ერთნი ამას აღტაცებით, მეორენი შვებით, მესამენი მორჩილებით, სხვები საერთოდ გულგრილად შეხვდნენ. ამ ხალხებს გამოუმუშავედათ ისტორიული ჩვევა – ეცხოვრათ იმპერიაში იმპერიული ხელისუფლების ქვეშ, რომელმაც შეძლო ბრძოლებისა და შეხლა-შემოხლის ნაცვლად შეექმნა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის პირობები და სხვ.[81].

სამართლიანობა მოითხოვს, დავეთანხმოთ, რომ, რუსეთის იმპერიის პირობებში მართლაც აღიკვეთა გარეშე მტერთა თავდასხმები, შეწყდა ფეოდალური შინაომები, მაგრამ „გათიშე და იბატონეს" პრინციპით მომქმედი მეფის ხელისუფლება თვითონვე ახალისებდა ხალხთა დაპირისპირებას ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე, შურს სთესდა ერთა შორის, რისი მკაფიო მაგალითებია თბილისსა თუ ბაქოში განხორციელებული სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა, ებრაელთა „პოგრომები" რუსეთის არაერთ ქალაქში და სხვ.

„სხვათათვის დიდი XIX საუკუნე," ანუ ქრონოლოგიურად საქართველოში რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდი, ჩვენი ქვეყნისთვის იმდენად არა მშვიდობით აღინიშნა, რამდენადაც კოლონიური ჩაგვრის, ეკონომიკური დაკაბალეების, ასიმილაციისა და ქართველთა ეროვნული გადაგვარების უშედეგო მცდელობით.

და თუ მაინც ჩავთვლით, რომ საკუთარი მეობის შესანარჩუნებლად ქართველი ხალხის შეიარაღებულ ბრძოლებსა და ზემოთ ხსენებულ რუსეთის იმპერიის ომებს შორის პერიოდში ცხოვრებას მართლაც ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რა მსხვერპლის გაღება მოუწია ჩვენს ქვეყანას ამ მშვიდობისათვის, – რომ ეს მშვიდობა წართმეული ეროვნული თავისუფლებისა და გაუქმებული სახელმწიფოებრიობის საფასური იყოს.

„იმპერია ხიბლია". სსრ კავშირის დაშლით იმპერიების ეპოქა, არსებითად, წარსულს ჩაბარდა, მაგრამ იმპერიის ფენომენის კვლევა და ანალიზი კვლავაც ინტენსიურად გრძელდება. ეს თემა განსაკუთრებით პოპულარულია რუსეთში. ამ ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო წრეების, ასევე ინტელიგენციის წარმომადგენლები ვერ გათავისუფლებულან იმპერიული ამბიციისაგან და დღემდე შეპყრობილნი არიან რუსეთის იმპერიის რესტავრაციის იდეით. მათთვის იმპერია რუსეთის სიდიადის სიმბოლო და ეროვნული სიამაყის საგანია. მრავალი რუსი პუბლიცისტი, ისტორიკოსი თუ პოლიტოლოგი პოსტფაქტუმ ცდილობს შეალამაზოს რუსეთის იმპერიული წარსული, ესწრაფვის გამიჯნოს მისგან კოლონიური ექსპლუატაციისა და ეროვნული ჩაგვრის ფურცლები და რომანოვთა იმპერია სა-

ერთო კეთილდღეობისა და აყვავებისათვის გაერთიანებული მეგობარი ხალხების სიმბიოზად დახატოს[82].

ამავე ჭრილში შეიძლება განვიხილოთ ს. ბუროვსკის თვალსაზრისიც, რომ იმპერიები მხოლოდ ძალადობით კი არ იქმნება, არამედ ხიბლითაც. რომ იმპერიულმა ეთნოსმა იცის და შეუძლია ის, რაც არ იციან და არ ძალუძთ სხვებს. „თუ საგნებს თავის სახელებს დავარქმევთ, – ეს არის ხიბლი უფრო მაღალი კულტურის," წერს ბუროვსკი და დასძენს: „ჩვენ, რუსები, იმპერიული ხალხი, – რუსეთის იმპერიის შემომქმედი ხალხი ვართ. ...ჩვენ ვიყავით მოწინავე ხალხი და სხვებისთვის მიგვქონდა ის, რაც მათ აკლდათ"[83]. ამ დებულებაზე დაყრდნობით, მაეანნი საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ესა თუ ის განაპირა მხარე რუსეთს მახვილით კი არ დაეპყროს და დაემორჩილებინოს, არამედ სულით.

საუბარი განსაკუთრებულ ხიბლზე, მიმზიდველობაზე, მაღალ რუსულ სულსა და კულტურაზე, როგორც რუსეთის იმპერიის შექმნის წანამძღვრებზე, მეტისმეტად გაზვიადებულია. იგი შორსაა სიმართლისაგან და წარმოადგენს იმპერიის შემადგენლობაში სხვადასხვა ხალხის „ნებაყოფლობით შესვლის" ზემოთ განხილული შეხედულების ვარიაციას.

როცა კახეთის, ქართლის ან ქართლ-კახეთის მეფეები რუსეთელმწიფეს უკავშირდებოდნენ და მფრველობას ითხოვდნენ, არც ერთ მათგანს თვალს რუსეთის იმპერიის ხიბლი არ სჭრიდა. ქართველი ხელისუფალნი არც რუსული კულტურის ბრწყინვალეობას მიუსიდავს ჩრდილოეთისაკენ. ჩვენს მეფეებსა და პოლიტიკოსებს რუსეთის იმპერიაში შესვლის, მის ნაწილად გახდომის სურვილი კი არ ამოძრავებდათ, არამედ მაჰმადიანური აგრესიისაგან თავიანთი სამშობლოს გადარჩენის, ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისა და შენარჩუნების ამოცანა. სწორედ სამშობლოს ხსნისათვის გზების ძიებამ მიიყვანა ქართველობა ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოსთან, რომელიც სხვათა დაუპატიჟებლადაც მოიწვევდა კავკასიისაკენ. საყოველთაოდ ცნობილია, ერეკლე მეორის დესპანი რუსეთის საიმპერიო კარს მას შემდეგ მიადგა, რაც ქართლ-კახეთის სამეფომ ევროპაში საიმედო მფარველი და მოკავშირე ვერ გამონახა. დასავლეთის რომელიმე ძლიერ ქვეყანას ქართლ-კახეთისათვის რომ რეალური დახმარება აღმოეჩინა, რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატი გამოირიცხებოდა. ერეკლე რუსეთზე მეტად ევროპისაკენ იყურებოდა, სამეფოს დასავლურ ყაიდაზე მოდერნიზაციისათვის ილვწოდა. იმ პერიოდში საქართველოში მყოფი რუსი პოლკოვნიკი ბურნაშოვი გვიმოწმებს: „ერეკლე მეფე ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ"[84].

ვერ უარვყოფთ, რომ საქართველოში შემოსვლის პერიოდში რუსეთის იმპერია წინ იდგა და მრავალი პარამეტრით აღემატებოდა ქართლ-კახეთისა თუ იმერეთის სამეფოებს, მაგრამ მაშინაც და XIX საუკუნის დამდეგსაც, მხოლოდ გარეგნული ბრწყინვალეობით გამორჩეული რუსეთი დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ ბარბაროსულ ქვეყნად მიიჩნეოდა[85]. საკმარისია მკითხველი გაეცნოს ბარონესა დე სტალის რუსეთში მოგზაურობის ამსახველ ჩანაწერებს, მარკიზ დე კიუსტინის ცნობილ წიგნს რუსეთზე, რომ ამაში თვალნათლივ და ღრმად დარწმუნდეს.

მაშ, როდისღა მოიხიბლა საქართველო რუსეთის იმპერიით? იქნებ მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა იგი დაიპყრო და თავს კოლონიური ბატონობა მოახვია მისთვის უცხო სამხედრო-პოლიციური რეჟიმის სახით? XIX საუკუნის პირველი მესამედის გაუთავებელი ომები თვითმპყრობელობის იმპერიული უღლისაგან თავდასაღწევად რაღაც არ ჰგავს იმპერიით მოხიბლული ხალხის ქცევასა და მოქმედებას, – უფრო პირიქით.

მრავალრიცხოვანი ფაქტები, დოკუმენტური წყაროები მოწმობენ, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციამ ქართველი საზოგადოების ყველა ფენა შეაშფოთა. სამეფო ოჯახებისა და ტახტმოშლილი ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლების გარდა, რუსული მმართველობის დამკვიდრებას

მტრულად შეხვდა ქართველი წარჩინებული წოდება, მთელი ადგილობრივი მოსახლეობა. უკმაყოფილო იყო ქართველი თავადობა. ამ ძირძველ, არისტოკრატ წოდებას მირონცხებული მეფის ნაცვლად ახლა უეიცი მოხელე გაუბატონეს, რაც ერთობ შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა პატიემოყვარე, ქედმაღალ ფეოდალთათვის. ამასთან, მათ დაკარგეს სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახური და ერთ დროს შემოსაველიანი სამემკვიდრეო თანამდებობათა მფლობელნი, ამიერიდან რუს ჩინოვნიკთა უუფლებო ხელქვეითებად იქცნენ. სათავადოთა სისტემის თანდათანობით მოშლამ ქართველ მემამულეთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას საფუძველი გამოაცალა. ამგვარმა შეზღუდვებმა და შეეიწროებამ თავადობა ახალ რეჟიმთან დაპირისპირებულ ძალად აქცია.

თავადებთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი აზნაურთა ფენაც ვერაფრით მოხიბლა საქართველოს რუსეთის იმპერიაში გაერთიანებამ. მართალია, საიმპერიო ხელისუფლებამ მოგვიანებით აზნაურები თავადთა ყმობისაგან გაანთავისუფლა და უფლებრივად მათთანვე გაათანაბრა, მაგრამ ამას აზნაურობის მატერიალურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ არ უმოქმედია. ჯერაც ეიწრო იყო ასპარეზი, სადაც ქართველი აზნაური გაუქმებული მოურაობის თუ სხვა მისთვის დაკარგული საკარისკაცო თანამდებობის კომპენსაციას ჰპოვებდა.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ქართველი სამღვდელოებაც. იმერეთის ეკლესიის ავტოკეფალიის მოშლის გარდა, მეფის მთავრობამ ეკლესიას ყმა-მამულის დიდი ნაწილი ჩამოართვა, რომელიც ხაზინის გამგებლობაში გადასცა და სხვა.

რუსული მმართველობის დაწესებით ქართველი გლეხკაცობა სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლებას მოელოდა, რაც მეტისმეტად ხელმოკლე ამ ფენისათვის ეკონომიკურად წელში გამართვის წინაპირობად აღიქმებოდა, მაგრამ ეს იმედი მალე გაცრუვდა, გლეხობა კოლონიური რეჟიმის მოწინააღმდეგე ბანაკს შეუერთდა.

ახალი იმპერიული ხელისუფლება თავიდან ყველაზე უფრო მისაღები ეჯართა წრისათვის აღმოჩნდა, რომელშიც უმთავრესად უცხო ელემენტი ჭარბობდა. ქვეყნის შიგნით ფეოდალური საბაჟოების ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო აღებმიცემობის გააქტიურებას, გაიოლდა იმპერიის საეჯრო ცენტრებთან კავშირი და სხვა, თუმცა მალე საზოგადოების ამ ფენასაც განიხილლა დაეტყო, რადგან მთავრობამ ეჯრებსაც გაზრდილი გადასახადები დააკისრა.

„რუსის მთავრობამ ვერ მოხიბლა ადგილობრივი (კავკასიის – ო. ჯ.) მცხოვრებლები ვერც სამართლიანობით და ვერც თავისი სამხედრო დიდების მიმზიდველობით. ადგილობრივი მკვიდრნი არ ლაპარაკობენ, რომ მონღოლები და სპარსელები სჯობიან რუსებს, მაგრამ ისინი არ მალავენ, რომ რუსები ვერ სჯობიან ადგილობრივ მკვიდრთ," აღიარებდა ა. გერცენის „კოლოკოლი"[86].

ქართველობა იმპერიაში კოლონიური ცხოვრებით განსაკუთრებით არც მ. ვორონცოვის მეფისნაცვლობის და არც მის შემდგომ პერიოდში ყოფილა აღფრთოვანებული. ამ მხრივ აკაკი წერეთელი ერთ მეტად საგულისხმო ფაქტს გადმოგვცემს. პოეტი წერს, რომ XIX საუკუნის 50-60-იან წლებში ქართველი სტუდენტები თავისი დროის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს ბაძავდნენ, როგორებიც იყვნენ გარიბალდი, ბოკლი, კოშუტი და „სულიერადაც და გარეგნობით მათ დამსგავსებას ცდილობდნენ"[87]. როგორც ვხედავთ, არც აქ მოსჩანს რუსული კულტურისა და სულის ხიბლი.

რაც შეეხება სამშობლოდან გადასახლებული ბატონიშვილების, ქართველი მაღალი წოდების წარმომადგენელთა ჩართვას რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრებაში, იმპერიის სამხედრო თუ სამოქალაქო კარიერაში, – ეს იძულებითი კომპრომისის, თვითგადარჩენის ინსტიქტის, არსებულ მდგომარეობაზე მათი მორგების მაჩვენებელი უფროა, ვიდრე იმპერიის ხიბლისა და მიმზიდველობის. სათქმელია ისიც, რომ ამ ქართველ დიდებულთა უშუალო წინაპრებს მაღალი თანამდებობანი არც ირანის შაჰის კარზე კლებიათ. ბევრი მათგანისათვის შაჰის ხალა-

თი არანაკლები წყალობა იყო, ვიდრე რუსეთის საიმპერიო ორდენი და არც შაპების მიერ მათთვის ბოძებული სამფლობელოები დაუდებდა ტოლს რუსეთის იმპერატორის პენსიებსა თუ ჯილდოდ გაცემულ ყმა-მამულს.

რუსეთის იმპერიას თუ რამ აკლდა თავისი რეაქციული ბუნების, დესპოტიზმისა და უხეში ძალმომრეობის გამო, სწორედ მიმზიდველობა იყო. ორთავიანი არწივის ფრთებქვეშ თავის შეფარებას საკუთარი ნებით არავინ ცდილობდა, რადგან სინამდვილეში ამ ფრთებქვეშ მოხვედრა ცარიზმის ბრჭყალებში ჩავარდნას ნიშნავდა. ამითაც აიხსნება, რომ რომანოვთა იმპერიაში შემავალი განაპირა ხალხები მუდმივად მისგან გაქცევა-განშორებას ესწრაფოდნენ. ფინეთიც კი, რომელიც იმპერიაში მეტი უფლებით იყო აღჭურვილი და ავტონომიითაც სარგებლობდა, თვითმპყრობელობისაგან სრულ თავისუფლებას ეშურებოდა.

რუსეთის სახელმწიფო სხვა ხალხებისათვის სამაგალითო და მიმზიდველი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ მეფის მთავრობა მოსახლეობას ადამიანური ცხოვრების პირობებს შეუქმნიდა, „ხალხთა საპერობილედ" ქცეულ საკუთარ ქვეყანაში ეროვნულ და მოქალაქეობრივ თავისუფლებას დაამკვიდრებდა. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, მათ შორის საქართველოშიც, ცხადია, ამჩნევდნენ იმპერიის მანკიერებებს და თუ საშუალება მიეცემოდათ, ხელისუფლებას ზომიერი დათმობებისაკენ მოუწოდებდნენ. სანიმუშოდ შეიძლება დავიმოწმოთ ცნობილი იურისტის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ლიდერის გიორგი გვაზავას საყურადღებო პუბლიკაცია, რომელიც მან 1909 წელს გაზეთ „იბერიის" ფურცლებზე გამოაქვეყნა. ქართველი მოღვაწე ასეთ რეკომენდაციას აძლევდა იმპერიის მმართველ რეჟიმს: „რუსეთი აღმოსავლეთისაკენ იწევა. მიდის მცირე აზიაში და ოდესმე უნდა შეიძინოს გასავალი ინდოეთის ოკეანეში. ამ მოძრაობისათვის საჭიროა რუსეთმა გაითქვას სახელი თავისუფალ სახელმწიფოსი, უნდა დაიმსახუროს სიყვარული და ნდობა აღმოსავლეთის ერებისა, რომლებიც უფრო მუსულმანები არიან. ამის მიხედვით საქართველოს თავისუფლება დიდ სახელს გაუთქვამს რუსეთს და ასწევს მის პრესტიჟს აღმოსავლეთში. ამავე დროს საქართველო გახდება მართლა საიმედო ბაზა მთელი რუსეთის სამერმისო მოძრაობისა აღმოსავლეთში"[88]. გ. გვაზავა ვარაუდობდა, „ეს პერსპექტივა ისეთი დიდმნიშვნელოვანია, რომ მან არ იქნება ზეგავლენა არ იქონიოს რუსეთის შეგნებულ პოლიტიკაზეო," მაგრამ მისი და სხვა მსგავსი რჩევები უყურადღებოდ რჩებოდა. რუსეთის იმპერიაში თვითმპყრობელობის აღსასრულამდე ამ კუთხით არსებითად არაფერი შეცვლილა.

პირველი მსოფლიო ომის დროს საკმარისი გახდა სახელმწიფოს სამხედრო ძალა გამოსცლოდა და მეფის ხელისუფლება დამხობილიყო, რომ ევრანაირმა ხიბლმა განაპირა ხალხები რუსეთის შემადგენლობაში ვეღარ დააკავა. რომანოვთა იმპერია რამდენიმე თვეში დაინგრა და დაიშალა.

„თეთრი ადამიანის ტვირთი" („white man's burden"). დასავლურ კოლონიურ იმპერიებს სხვა მრავალთაგან, ერთი საერთო თვისებაც ახასიათებდათ. თავიანთ დაპყრობებს ისინი პროგრესისა და ცივილიზაციის სახელით ამართლებდნენ და ჩაგრულ ხალხებზე ბატონობას კულტურტრეგერულ მოღვაწეობად წარმოაჩენდნენ. კოლონიური პოლიტიკის მესვეურები ახალ ტერიტორიებზე შეღწევას აქაურობის დაპყრობა-დამონებად არ აღიქვამდნენ. მათი წარმოდგენით, ეს იყო ძალისხმევა მოწინავე ფასეულობების გავრცელება-დამკვიდრებისათვის, რომელიც თითქოს განგების ნებით, ევროპელთა მეშვეობით ხორციელდებოდა. მრავალ ევროპელს კოლონიალიზმი იმ აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩამორჩენილი ხალხების ცივილიზაციურ მიღწევებთან ზიარება.

იმპერიების ეს ეთითმცდა მესიანური ფუნქცია, სინამდვილეში კი კოლონიების მკვიდრ მოსახლეობაზე დამპყრობთა ეროვნული თუ რასობრივი უპირატესობის აშკარა ხაზგასმა, ლიტერატურაში „თეთრი ადამიანის ტვირთადაა" სახელდებული.

ამგვარ ცნობიერებას საფუძველი ინგლისში ჩაეყარა. ინგლისს კოლონიური ახალშენები ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან გააჩნდა, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კოლონიურმა პოლიტიკამ ქვეყნისათვის ახალი მნიშვნელობა შეიძინა. თუ აქამდე ზოგიერთი მოღვაწე მიიჩნეოდა, რომ უცხოეთში მდებარე სამფლობელოები მათზე გაწეული ხარჯის გამო ბრიტანეთს დიდ ტვირთად აწვა და არცოუ იშვიათად ამგვარი სამფლობელოების დაარსება კერძო პირების ან კომპანიების ინიციატივა იყო, ახლა მიწებისა და ტერიტორიების ხელში ჩაგდება სახელმწიფო პოლიტიკის არსებით შემადგენლად იქცა.

ეკონომიკურმა დაწინაურებამ, მსოფლიო ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებამ და პირველობის შენარჩუნების სურვილმა, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების მზარდმა მეტოქეობამ, ბრიტანელ პოლიტიკოსებს კოლონიური ექსპანსიის გაძლიერებისაკენ უბიძგა. 1854 წელს ლონდონში კოლონიების სამინისტრო შეიქმნა. ბრიტანეთში თანდათან მკვიდრდება იმპერიული აზროვნების კულტი, რომელშიც ლომის წილი კოლონიურ დაპყრობებს განეკუთვნებოდა. ამ დროიდან კოლონიების თემა, კოლონიური იმპერია დიდი ბრიტანეთის ეროვნული, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ყოფის უმნიშვნელოვანეს ნაწილად გვეელინება. სახელმწიფოსათვის იმპერიალისტური პოლიტიკა (იმპერიალიზმი – როგორც მას ინგლისში უწოდებდნენ) სოციალ-ეკონომიკური სტაბილურობისა და მატერიალური კეთილდღეობის საწინდარს წარმოადგენდა. საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერებაში კი ეს იყო მესიანური ფუნქცია, ე.წ. „თეთრი ადამიანის ტვირთი"[89].

ბრიტანეთის იმპერიული იდეის ეს ხატოვანი ფორმულირება ინგლისის კოლონიური რეჟიმის მორალურ გამართლებას ემსახურებოდა. მასში განმანათლებლური მესიანიზმი და სხვა ხალხებისადმი ლმობიერი დამოკიდებულების თვალსაზრისი შერწყმული იყო ანგლოსაქსური რასის განსაკუთრებულობასთან. გენეტიკური უპირატესობა თითქოს ინგლისელებს უფლებას აძლევდა, ებატონათ სხვებზე მათივე კეთილდღეობისათვის. თითქოს კოლონიური ექსპანსია დამორჩილებულთა ძარცვა და მათთან აგარიშსწორება კი არ იყო, არამედ მძიმე ტვირთი, რომელიც ფიზიკურ და მატერიალურ დანახარჯებთან ერთად ზრახვათა სიწრფელეს და ისეთ თვისებებსაც მოითხოვდა, როგორიცაა მოვალეობის გრძნობა, ალტრუიზმი და თვითშეწირვა.

იმპერიული მენტალიტეტისათვის შეუვალი ჭეშმარიტება იყო, რომ ბრიტანეთს ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა მსოფლიოს განვითარებაში მრავალრიცხოვანი ხალხების ბარბაროსობისაგან გათავისუფლებითა და ცივილიზაციის გზაზე გამოყვანით. მიიჩნეოდა, რომ „იმპერიალიზმმა ცივილიზაციას, კერძოდ ქრისტიანობას აზიარა მსოფლიო ნაკლებად იღბლიანი და განვითარებული ხალხები"[90]. კოლონიურ მოსახლეობაზე ბრიტანელთა ბატონობის სამართლიანობისა მტკიცედ სწამდა ნებისმიერი მიმართულების ინგლისელ პოლიტიკოსს, მეცნიერებისა თუ კულტურის მოღვაწეს[91]. მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ყოველივე ამასთან ერთად, შეეძლოთ თვალი გაესწორებინათ სიმართლისათვის. მაგალითად, ცნობილი პოლონური წარმოშობის ანთროპოლოგი ე. მალინოვსკი, რომელმაც სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ბრიტანეთის კოლონიალიზმის სამსახურში გაატარა, აფასებდა რა ევროპის ისტორიულ როლს კოლონიათა ხალხების ცხოვრებაში, წერდა: „ჩვენ აღფრთოვანებით ელაპარაკობთ „დასავლეთის ცივილიზაციის განვითარებაზე," ...„თეთრი ადამიანის ტვირთზე," სინამდვილეში კი მომავლის ისტორიკოსებს მოუწევთ იმის აღნიშვნა, რომ წარსულში ევროპელები ზოგჯერ ამა თუ იმ კუნძულის მთელ მცხოვრებლებს ულეტდნენ, ახდენდნენ ქონების ექსპროპრირებას და შემოიღეს მონობა, თავისი ყველაზე სასტიკი ფორმებით... ეჭვგარეშეა, რომ ევროპელებთან კონტაქტების შედეგად ტრაგიკული იყო ადგილობრივი რასების ბედი"[92].

კოლონიური სინამდვილის შუქ-ჩრდილებს კარგად ამჩნევდნენ მოწინავე ქართველი მოღვაწე-მოაზროვნენი. კერძოდ, ეხებოდა რა ტუნისისა და ალჟირის საფრანგეთთან ურთიერთობის საკითხს, თავის ერთ-ერთ მიმოხილვაში ილია ჭავჭავაძე წერდა: „იტყვიან. მათ გასანათლებლად შეიტანა თავისი ხელმწიფება საფრანგეთმაო. მაგრამ ეს ხომ ძალად მაცხონეობა გამოდის. ანდა ცეცხლითა და ზარბაზნით ვის გაუგონია ცივილიზაციის შეტანა რომელიმე ქვეყანაში?"[93].

ვნახოთ, როგორი იყო რუსეთის იმპერიის მიმართება თავის კოლონიურ სამფლობელოებთან და პირველ რიგში საქართველოს მოსახლეობასთან ამ კუთხით.

პეტრე პირველიდან მოყოლებული რუსეთი მუდმივად ცდილობდა ქცეულიყო ევროპულ ქვეყნად, ან არადა მიმსგავსებოდა მაინც დაწინაურებულ დასავლულ მეზობლებს. ამ გონიერი მმართველის არაერთი ღონისძიება მიზნად ისახავდა, დაეძლია რუსეთის ჩამორჩენა და იგი გვერდით ამოეყენებინა თავისი დროის ძლიერი და მოწინავე სახელმწიფოებისათვის. მიუხედავად ამისა, რუსეთი ვერ გახდა „დასავლეთი." პეტრე პირველის რეფორმების შედეგად მხოლოდ ის გახდა შესაძლებელი, რომ „რუსეთი ტრანსფორმირებულ, მოდერნიზებულ აღმოსავლეთად გადაქცეულიყო"[94]. რუსეთი ევროპას ბაძავდა, მისი ისტორიული გამოცდილების გამოყენება სურდა. ევროპის ქვეყნებმა დაპყრობების გზით კოლონიებში „თავიანთი სამყაროები" შექმნეს საკუთარი ენით, ადათ-ჩვეულებით, იდეალებით, კანონებით: ესპანეთმა ლათინური ამერიკის, პორტუგალიამ – ბრაზილიის, ინგლისმა – ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიისა თუ ახალი ზელანდიის სახით. რუსეთსაც თავის თვალუწვდენელ იმპერიაში საერთო ენაზე, რელიგიასა და კულტურაზე დაფუძნებული „დიდი რუსული სამყაროს" შექმნა სურდა. იმპერიის მთელი ტერიტორია ერთიან სოციალურ, ადმინისტრაციულ და სამართლებრივ სივრცედ უნდა ქცეულიყო. რუსეთმა დაპყრობილ ტერიტორიებზე ვერ შეძლო შეექმნა ერთიანი და მთლიანი „რუსული სამყარო." რუსეთის იმპერია ჭრელი იყო ეთნიკურად, ენობრივად, რელიგიურად, კულტურულად. მათი გაერთიანება-გამთლიანება შეუძლებელი იყო. „რას უნდა გაემთლიანებინა და გაეერთიანებინა სამი დიდი რელიგია, რომელიც რუსეთის იმპერიაში მოქმედებდა – ქრისტიანობა, ისლამი და ბუდიზმი? როგორ უნდა გაერთიანებულიყო ისეთი ძირეულად განსხვავებული ენები, როგორიც ქართულია, სომხურია, სლავური და ციმბირის ხალხების ენებია? როგორ შეირწყმებოდა ერთ კულტურად კავკასიური, შუაზიური, ბალტიისპირული, სლავური კულტურები?"[95].

რუსი ისტორიკოსი ნ. კოსტომაროვი პეტრე I-ის მისწრაფებაში – გაეფართოებინა იმპერიის ფარგლები და მოეპოვებინა მისთვის სათანადო ადგილი ევროპული ქვეყნების რიგში, ერთის მხრივ, რუსეთის საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევის სურვილს ხედავდა. მეორეს მხრივ კი აღნიშნავდა, რომ პეტრე დაინტერესებული იყო, შეეტანა დასავლეთიდან მიღებული ევროპული ცივილიზაციის ნაყოფი აღმოსავლეთის ხალხებში, რომლებიც რუსეთთან შედარებით კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ[96].

XVIII საუკუნის დამდეგს, სანკტ-პეტერბურგის დაარსებით პეტრე პირველმა ფანჯარა გასჭრა ევროპაში. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, ამ ერთი ფანჯრიდან შემოსული, რუსულ პრიზმაში გარდატეხილი სხივი, როგორ გადაწყვეტებოდა იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეს, მათ შორის კავკასიონის ქედსაც, რომ, ეთქვათ, საქართველოსთვისაც ევროპული ნათელი მოეფინა.

ევროპული ცივილიზაციის შუქმა რუსეთზე გამოელით ჩვენს ქვეყანაში გვიან შემოაღწია. „ამ ბოლო დროს, პეტრე დიდისგან გამოჭრილ სარკმელში, თუმცა ძლიერად შემოაშუქა ევროპიდან განათლებამ, მაგრამ მაინც კიდევ ბევრია დარჩენილი სიბნელის ოაზისი," აღნიშნავდა აკაკი წერეთელი სანკტ-პეტერბურგის დაარსებიდან თითქმის 180 წლის შემდეგ დაწერილ პუბლიცისტურ სტატიაში[97].

რუსეთი თავის დაპყრობილ კავკასიის სამფლობელოებს ზარბაზნების გარდა „ფრაკითაც გამოეცხადა" და აქ ევროპელობას ჩემულობდა, როცა საკუთრივ

ევროპაში იგი მუდამ აზიად რჩებოდა. ნ. ბერდიაევის სიტყვით: „რუსი ხალხი არც წმინდა ევროპელია და არც წმინდა აზიელი. რუსეთი სამყაროს მთელი ნაწილია, ეებერთელა აღმოსავლეთ-დასავლეთი, იგი აერთიანებს ორ სამყაროს; რუსი კაცის სულში ყოველთვის ორი საწყისი – აღმოსაელური და დასაელური ებრძოდა ერთმანეთს"[98]. ეს ვითომ ევროპული სახელმწიფო ნამდვილი ევროპისათვის შიშისა და საფრთხის მომგვრელი მრისხანე გოლიათი იყო. ცნობილია, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში (1815 წ. საღვთო კავშირის შექმნიდან ყირიმის ომამდე) რუსეთი ევროპის ჟანდარმის როლსაც ასრულებდა და მისი „ევროპულობაც" დიდწილად ამით განისაზღვრებოდა.

„ევროპაში ჩვენ ხიზნები და მონები ვიყავით, აზიაში კი ბატონებად წარესდგებით. ევროპაში ჩვენ თათრები ვიყავით, ხოლო აზიაში ჩვენც ევროპელები ვართ. მისია, ჩვენი ცივილიზატორული მისია აზიაში განგვაწყობს და გაგვიტაცებს იქეთკენ, ოღონდ დაიწყოს მოძრაობა,"– წერდა თ. დოსტოევსკი თავის დღიურში[99].

ნ. იადრინცევის სიტყვით, „რუსეთმა ძველ მივარდნილ ადგილებში, სადაც მონადირე და მომთაბარე ტომები დაეხეტებოდნენ, სათავე დაუდო კულტურას, წარმოშვა ევროპული მოქალაქეობრიობა." ამავე აზრს აგრძელებდა მ. ვენიუკოვიც, როცა წერდა: „შუა აზიის ხალხებს ამიერიდან ისევე შეუძლიათ თავი მოწინავე ერებთან დაახლოებულად მიიჩნიონ, როგორც ჩვენი საუკუნის (XIX საუკუნე, – ო.ჯ.) დასაწყისში კავკასიური ტომები, ხოლო გასული საუკუნის ბოლოს ინდუსები მიიჩნევედნენ"[100].

თვალსაზრისი, რომ იმპერიაში მოქცეულ მთელ რიგ ხალხებს რუსეთი განმანათლებლად მოევლინა, უცხო არ ყოფილა რუსული ცნობიერებისათვის. რუსული იმპერიული იდეაც მნიშვნელოვანწილად ამ სულისკვეთებით საზრდოობდა. მართალია, ინტელიგენციის ნაწილი დასცინოდა განსაკუთრებულობის რუსულ რწმენას, მაგრამ მეორე ნაწილს ამ იდეისა მტკიცედ სწამდა, თუმცა მისი მკაფიოდ ახსნა არასოდეს შეეძლო. ამასთან, იყვნენ ადამიანები, რომლებიც სიტყვით თუ საქმით ემსახურებოდნენ სახელმწიფო რანგში აყვანილ მესიანისტურ სულსა და იდეოლოგიას. იმპერიის აპოლოგეტი არაერთი რუსი მოაზროვნე სლავური რასის გამორჩეულობას და სხვა ხალხებზე მისი აღმატებულობის შეხედულებას ამკვიდრებდა. მაგალითად, ცნობილი ნაშრომის „რუსეთი და ევროპის" ავტორი ნ. დანილევსკი სლავებს მსოფლიოში უმაღლეს კულტურულ-ისტორიულ ტიპად, მომავლის რჩეულ რასად აცხადებდა და რუსეთს მთელი სლავური სამყაროს გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა.

გამიზნული პოლიტიკის ნაწილი იყო, როდესაც გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის" რედაქტორი გ. კატკოვი, პერიოდული გამოცემები „გრაჟდანინი", „ნოვოე ერემია," მათი მესვეურები და ბევრი სხვა პუბლიცისტი პროგრესის სახელით გზას უკაფავდნენ ველიკორუსულ დიდმპყრობელურ შოვინიზმს[101]. თავის დროზე სწორად შენიშნავდა გერონტი ქიქოძე. წერდა: რუსული ნაციონალიზმისა და მესიანიზმის საფუძველი უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე ისტორიულ-ფილოსოფიური და, რომ „მისტიკური ბუნების მიუხედავად, მას საგრძნობლად უდიოდა ყაზახური ჩექმების სუნი"[102]. თანამედროვე რუსეთში ბევრს კვლავაც სჯერა: სადაც არ უნდა შესულიყვნენ რუსები, ყველგან აშენებდნენ და ასწავლიდნენ. და რომ ამ იმპერიულმა თესლმა მოგვცა და დღემდე იძლევა საესებით მაღალხარისხოვან აღმონაცენს[103].

რუსეთის საზოგადოების გამორჩეულობითი დამოკიდებულება აღმოსავლეთის ხალხებისადმი კარგახანია შემჩნეულია დასავლურ ისტორიოგრაფიაში. მაგალითად, ამერიკელი მკვლევარი რ. კარკლინსი მიუთითებს: შუა აზიაში რუსები, ჩვეულებრივ, საკუთარ თავს „კულტურის მატარებლად" მიიჩნევენ. მათი აზრით, რუსეთმა ხელი შეუწყო ამ რეგიონის განათლებასა და მოდერნიზაციას. შესაბამისად, მათი მიმართება ადგილობრივი მოსახლეობისადმი მფარველურია და რამდენადმე რასობრივი უპირატესობის ხასიათს ატარებს[104].

როგორი ევროპული განათლება და ცივილიზაცია უნდა შემოეტანა რუსეთის იმპერიას ჩვენში, როდესაც იგი დასავლეთს დიდად ჩამორჩებოდა არა მარტო ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრებით, არამედ კულტურის თვალსაზრისითაც, ცარიზმი კი ამ ჩამორჩენილობის კომპენსირებას იარაღის ძალით ეწეოდა? უნდა დავეთანხმოთ რუს ავტორს მ. ტლოსტანოვას, რომელიც აღნიშნავს: რუსეთის იმპერია თავის არაევროპული კოლონიების მიმართ კარიკატურული „ცივილიზატორის" როლს ასრულებდა.

საქართველოს რუს მმართველებსა და იერარქებს არ უყვარდათ, ზოგიერთს კიდეკაც სძულდა ის ქვეყანა, რომელსაც განაგებდა. მექრთამე, მძარცველი, ლოთი და მრუში იყო სასამართლო და ადმინისტრაციულ მოხელეთა უმეტესობა. ისინი არა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოებრიობას უტეხდნენ სახელს, არამედ საზოგადოდ, რუსი ადამიანის სახელსაც ქართველთა თვალში უარყოფითად წარმოაჩენდნენ. „ისიც დიდ სიკეთედ ჩაითვლებოდა, საქართველოში დანიშნულ რუს მოხელეებს მოთხოვნის მინიმუმი მაინც რომ დაეკმაყოფილებინათ, ოღონავ მაინც რომ ჰყვარებოდათ საქმე ან იდეა," წერდა იოანე ჯავახიშვილი[105].

რუს მოხელე-ჩინოვნიკთა უმსგავსო საქმიანობის დამადასტურებელი ფაქტები უხვადაა დაცული საისტორიო წყაროებში. დავიმოწმებთ ზოგიერთ მათგანს.

1803 წელს მთავარმართებლად დანიშნული თავადი პ. ციციანოვი თანამდებობიდან გადაყენებულ საქართველოს მმართველ კოვალენსკის მიმართავდა: „ოქვენის ქმედებით შეურაცხყოფილ ქართველები და აიძულეთ, იმდენად შეზიზღებოდათ მმართველობა, რომ კიდეც ეიხილე გონებათა სასტიკი რყევა, რუსთა მმართველობისადმი ამხედრებული"[106]. საქართველოში ჩამოსვლიდან ახლო ხანებში, გრაფი პასკევიჩი რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღიარებს: „საუბედუროდ, სულ მალე შევამჩნიე, რომ გარეგანი სახე კეთილმოწყობისა მხოლოდ ჩქმალავდა ერთობ მნიშვნელოვან და დიდი ხნის ფესვგადგმულ უწესრიგობებსა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს"[107].

კავკასიის რუსული ადმინისტრაციის სარეკვიზიოდ თბილისში გამოგზავნილი სენატორები, გრაფი კუტაისოვი და მენშიკოვი ამგვარ ატესტაციას აძლევენ რუს მოხელეებს და მათ მოღვაწეობას საქართველოში: „ამიერკავკასიის მხარის არც ერთ დაწესებულებაში, საქმეთწარმოების ფორმებსა და წესებში, კანონის დადგენილი წესრიგის ნატამალიც არ მოიპოვება. ...აღმასრულებელი ექსპედიცია, ნაცვლად იმისა, რომ თვალ-ყურს ადევნებდეს კანონების აღსრულებას, თავად არ ასრულებს მათ. იგი სასამართლოსა და ძიების გარეშე ართმევდა კერძო პირებს უძრავ ქონებას და სხვ."[108].

დაპყრობილი ხალხებისა და შემოერთებული ტერიტორიებისადმი დიდი ინტერესით არც რუსეთის იმპერატორები გამოირჩეოდნენ. მაგალითად, ალექსანდრე I ისე აღესრულა, თვალით არ უნახავს ერთმორწმუნე საქართველო, რომელიც, მისი მანიფესტის თანახმად, თურმე იმიტომ შეუერთა რუსეთს, რომ ეს ტანჯული ქვეყანაც ელირსოს „კეთილმმართველობას, ჩამოვარდეს მშვიდობიანობა, მართლმსაჯულება პირადი და ქონებრივი უშიშროება." დაპყრობილი საქართველო ტახტზე ასვლიდან მხოლოდ 12 წლის შემდგომ, 1837 წელს მოინახულა რუსეთის მომდევნო ხელმწიფემ ნიკოლოზ I-მა. ალექსანდრე II სასტიკად დევნიდა უკრაინულ ენას, სისხლში ჩაახშო პოლონეთის აჯანყება, ებრძოდა პოლონელთა კათოლიკურ რწმენასა და იდეალებს. ალექსანდრე III-ს არც პოლონელები უყვარდა და არც ებრაელები, ეჯვით უყურებდა მალოროსებს, სძაგდა ყველა „ინოროდეცი"[109].

საერო ხელისუფალთ არც მათი ავან-ჩავანი რუსი ეგზარქოსები ჩამორჩებოდნენ. მათ მიითვისეს და საქართველოდან გაიტანეს ქართული ეკლესიის დიდძალი სიმდიდრე, ძვირფასი ხატები, ჯვრები, სამკაულები და სხვ. მიხეილ თამარაშვილის გამოანგარიშებით, მხოლოდ ეკლესიებიდან რუსეთის მთავრობამ საქართველოს 137 მილიონ ექვსასი ათასი მანეთის ქონება წაართვა[110].

რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ საქართველოში დამკვიდრებისთანავე ხელთ იგდო ბაგრატიონთა სამეფო თუ საუფლისწულო მამულები, რომლებიც ხაზინის მფლობელობაში გადაეცა. ხაზინა დაეპატრონა ასევე ურჩ ქართველ თავადაზნაურთა და ეკლესიისაგან ჩამორთმეულ დიდძალ სიმდიდრესაც. საკუთრივ კავკასიის რუსი მმართველები ისაკუთრებდნენ ათასობით პექტარ მიწა-წყალს დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში და სხვ.

მეფის რუსეთის ბატონობის 117 წლის განმავლობაში საქართველომ 20 უმაღლესი რუსი მოხელე გამოიცვალა. არც ერთი მათგანი ქართველი ხალხის ცხოვრების ავკარგით, მისი ისტორიითა და კულტურით სერიოზულად არ დაინტერესებულა. „აქაურ მოხელეებში ერთიც არ გეგულება, რომელსაც არამცთუ შეესწავლა ჩვენი ქვეყანა, არამედ ამისი სურვილი ჰქონოდეს და ამის საჭიროება ეგრძნოს" – წერდა ილია ჭავჭავაძე. მართლაც, კავკასიის მთავარმართებლები თუ მეფისნაცვლები აქ რამდენიმე წლიანი სამსახურის შემდეგ ისე ტოვებდნენ საქართველოს, რომ ქართულ ენაზე წინადადების არათუ წარმოთქმა, გაგებაც არ შეეძლოთ. ბევრი რუსი მაღალი რანგის მმართველი, არათუ XIX საუკუნის დასაწყისში, უფრო გვიანაც, დუშეთს თუშეთიდან, ხოლო ჭოროხს ჩოლოქიდან ვერ არჩევდა.

რუსი მოხელეები თავის შეურაცხყოფილად გრძნობდნენ, როცა უძველესი ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლებს, ეკლესია-მონასტრებსა და სხვ. ეცნობოდნენ. რუსი სამღვდელოები ათეთრებდნენ ტაძართა ფრესკებით შემკობილ კედლებს, რათა მათი სიძველისა და შთამბეჭდაობის კვალი დაეფარათ. საქართველოს „განმანათლებელ" რომანოვთა იმპერიის ჩინოვნიკების დამოკიდებულება, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდებოდა ინდოეთში დასაქმებული მათი ინგლისელი კოლეგების ქცევისაგან.

ბრიტანეთის ხელისუფლებას თავის კოლონიურ ადმინისტრაციასთან დაწესებული ჰქონდა „მთავრობის ეთნოგრაფის" თანამდებობა. კოლონიურ მოხელეებს სპეციალურად ამზადებდნენ, მათ მოეთხოვებოდათ ადგილობრივი ენის, კულტურის, ტრადიციებისა და ადათ-ჩვეულების ცოდნა და სხვ.[111]. ინგლისელები აღტაცებაში მოჰყავდა ინდოეთის წარსულს, უძველეს ხანაში ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკის, კულტურის მაღალ დონეს. ბრიტანელ მეცნიერებს აზრადაც არ მოსვლიათ ინდური კულტურული მემკვიდრეობის მიჩქმალვა, პირიქით, გულმოდგინედ შეუდგნენ მის შესწავლას, ანალიზსა და აღორძინებას, რაც დადასტურებულია თანამედროვე ინდურ ისტორიოგრაფიაში[112]. კავკასიის კოლონიზაციის მიზნით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მხარის მეცნიერული შესწავლა რუსეთის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებმაც დაიწყეს. რეგიონში დაარსდა პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი, მათ შორის, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, კავკასიის საქმიო საზოგადოება, კავკასიის მუზეუმი, კავკასიის არქეოგრაფიული კომისია და სხვ. განათლებისა თუ კულტურის ეს კერები უპირველეს ყოვლისა მეტროპოლიის კოლონიურ ინტერესებს ემსახურებოდა და მისი იმპერიული ზრახვების მყარი დასაყრდენი იყო კავკასიაში[113].

რუსეთის საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ერთობ ზერელე წარმოდგენა ჰქონდა იმპერიის ცივილიზატორული როლის შესახებ განაპირა ხალხების ცხოვრებაში. ამას ჩინებულად ცხადყოფს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები." მოთხრობაში პოდპორუჩიკის სახით რუსეთის არმიის ოფიცრის ტიპია დახატული. ამ კატეგორიის ადამიანებს წესით გარკვეული განათლება უნდა ჰქონოდათ. მაგრამ როგორი წიგნიერი კაცი იყო „მგზავრის წერილების" პოდპორუჩიკი, კარგად მეღავნდება მის საუბარში ნაწარმოების ავტორთან. რუსი ოფიცრის თვისებებიდან მკაფიოდ იკვეთება მისი „გაუნათლებლობა, უმეცრება, სიბრიყვე, ეშმაკობა, გამომძალველობა, მედიდურობა და აგრესიულობა"[114].

მას თავის შეხედულება აქვს განათლებაზეც, მაგრამ ჩვენ ამჯერად რუსი ოფიცრის აზრი ცივილიზაციაზე გვაინტერესებს.

— „თქვენში ცივილიზაცია რიგორ მიდის? — ეკითხება პოდპორუჩიკი ილია. „რამდენი გენერლები გყოლებათ თქვენ, ქართველებს?

— იქნება ერთი ოცი ოდე მოგროედეს.

— რაო, ოციოდეო! ...ო, ო, ეგ დიდი საქმეა, ... —ამ ერთ მუჭა ხალხში და ოციოდე გენერალი! არა მჯერა...

— ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა?

— იქნება სამოცდაათი.

— შეიდს წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. ...თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოცდაათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი იქნება"[115].

საქართველოში, როგორც რუსეთის კოლონიურ, განაპირა მხარეში, იმპერიის „ცივილიზატორული" მისიის ნათელსაყოფად საკმარისია ზოგადად თვალი გადაეყარეთ ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას ამ რეგიონში და მისი პრაქტიკული განხორციელების გზას.

თვითმპყრობელობის აღსასრულამდე რუსეთი ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო იმპერიულ სახელმწიფოთა შორის არა მარტო კოლონიებში, არამედ მეტროპოლიაშიც კი განათლების მიზნებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო მანვენებლებით. თავის ხანგრძლივად დეფიციტური ბიუჯეტიდან მეფის მთავრობა განათლების საჭიროებისათვის ერთ პროცენტსაც კი არ ხარჯავდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო განათლების სისტემა მოწოდებული იყო აღეზარდა, როგორც მოსწავლე, ისე სტუდენტი ახალგაზრდობა იმპერიისადმი ლოიალური და რუსთხელმწიფისადმი ერთგულქვეშევრდომული გრძნობით, ცარიზმს განათლებული ადამიანების სიმრავლის ეშინოდა. ერნივნა, უმეცრებაში პყოლოდა მთელი ქვეყანა, ვიდრე თავი ეტეხა განათლებით გონებაგახსნილი მასების მიერ წინა პლანზე წამოწეული სოციალური, ეროვნული და სხვა საჭირბოროტო პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვით.

განათლების სფეროში რუსეთის ხელისუფლების მიზანი არ სცდებოდა დაპყრობილ ხალხებში ელემენტარული წიგნიერების გავრცელების ამოცანას. იმპერიის მასშტაბით უზარმაზარი ბიუროკრატიული სამოხელეო სისტემის მხოლოდ რუსი ჩინოვნიკებით დაკომპლექტება შეუძლებელი იყო. ამდენად, მმართველობის თვენდაც ქვედა რგოლში ადგილობრივი კადრების მოზიდვა და დასაქმება აუცილებელი ხდებოდა. რაკი საქმის წარმოების ენა ცენტრშიც და პერიფერიებშიც რუსული იყო, მოხელეს იმპერიის ნებისმიერ კუთხეში, სოფლად თუ ქალაქად, მთაში თუ ბარში, რუსულის ცოდნა სჭირდებოდა. მეფის მთავრობის მიერ გახსნილი პირველდაწყებითი სკოლების დანიშნულებაც ციმბირში, შუა აზიასა თუ საქართველოში, არსებითად, რუსულ ენაზე წერა-კითხვის სწავლებით შემოიფარგლებოდა. ნიშანდობლივია რუსეთის სახელმწიფო საბჭოს იმდროინდელი რეკომენდაცია, რომელშიც მითითებული იყო: მცეზიდათ სკოლაში არისტოკრატიული წოდების ბავშვები, ესწავლებინათ მათთვის რუსული ენის ძირითადი საფუძვლები და არითმეტიკა, ხოლო 12 წლის ასაკს მიტანებულნი გაეგზავნათ მოსკოვსა და პეტერბურგში სამხედრო თუ სამოქალაქო სასწავლებლებში. სწავლადასრულებული ახალგაზრდებს ხუთი წელი რუსეთში სამსახური ევალებოდათ და კავკასიაში დაბრუნება მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ[116].

ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოში საფუძველად კოლონიური მიზნები ედო. სკოლას ადგილობრივი მმართველობისათვის საჭირო მოხელეთა მომზადების პარალელურად ხალხის გარუსებისათვის ხელშეწყობა ეკისრებოდა.

პირველი რუსული დაწყებითი სასწავლებელი თბილისში 1802 წელს დაარსდა, მაგრამ მალევე დაიხურა, რადგან მოწაფეებმა ვერ დაძლიეს უცხო რუსული

ენა. 1804 წელს დაფუძნდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. განათლების ეს კერა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მთავრობის მიერ გახსნილი ერთადერთი სასწავლებელი იყო საქართველოში და მთელს სამხრეთ კავკასიაში, თუმცა მის შესანახად ხაზინას არც ერთი კაპიკი არ დაუხარჯავს[117]. თავიდან ეს სასწავლებელი ორკლასიანი იყო, ხოლო ოცდაანი წლებიდან ექვსკლასიანად გადაკეთდა. ყრმა ქართველ თავადაზნაურთა გვერდით აქ სწავლობდნენ მუსულმანი ბეგების, სომეხი მელიქების, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ნაიბთა, საქართველოს რუსული ადმინისტრაციის მოხელეთა შვილები და სხვ. მთავარი ყურადღება რუსული ენისა და საგნების რუსულ ენაზე შესწავლას ექცეოდა. საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის მკვლევარი ტ. ხუნდაძე შენიშნავს: „სასწავლებლის დაარსება მთავრობის მიერ გამოწვეული იყო არა თვითმპყრობელობის სურვილით, გაენათლებია ჩვენი ქვეყანა (ამაზე ცარიზმი ყველგან ნაკლებად ზრუნავდა), არამედ იმ აუცილებელი საჭიროებით, რომელსაც ცარიზმის სახელმწიფო აპარატი მოითხოვდა — ჰყოლოდა მას „რუსულად განათლებული," რუსული კანონების მცოდნე მოხელეები"[118]. საქართველოს მთავარმართებელი პ. ციციანოვი იმპერატორ ალექსანდრე I-ისათვის გაგზავნილ მოხსენებაში მიუთითებდა: „აუცილებელმა საჭიროებამ რუსული ენისა იმ ქვეყანაში, სადაც სამართლისწარმოება ამ ენაზე მიმდინარეობს, სიმცირემ თარჯიმნებისა... მაიძულა მე შემომეტანა საქართველოში განათლების პირველი სხივებიო"[119].

კეთილშობილთა სასწავლებელი მხოლოდ ადგილობრივი პრივილეგირებული წოდების შვილებისათვის იყო გათვალისწინებული. მოწაფეთა რაოდენობა დიდი არ ყოფილა. რაც შეეხება მასწავლებლებს, მათ უმრავლესობას სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნდა. სკოლა მკაცრ რეჟიმს ექვემდებარებოდა, სწავლების მეთოდებიც არაპედაგოგიური და ნაკლებ მიმზიდველი იყო. დიმიტრი ყიფიანი, რომელიც XIX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს ჯერ თბილისის სასულიერო, ხოლო შემდეგ კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლობდა, თავის მემუარებში აღნიშნავდა: „მთელი მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე ორი უმთავრესი და ამასთან ერთადერთი წესით გამოიხატებოდა. გაკვეთილების სწავლა ზეპირად, ე.ი. შეუგნებლად — მექანიკურად და ყოველი დანაშაულისათვის ხელის გულზე სახაზავის ცემით"[120]. ეს რუსული „პედაგოგიური მეთოდი," ასე ფართოდ რომ გამოიყენებოდა ორივე ამ სასწავლებელში, არც შემდგომ წლებში უარყოფიათ. მეტიც, იგი საქართველოს დანარჩენ სკოლებშიც გაავრცელეს.

XIX საუკუნის 50-იან წლებში გიმნაზიებში დამკვიდრებული იყო მოსწავლის ცემის უმსგავსო წესი. „ჯგუფს ერთი უფროსი პყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშვს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა"[121]. აკაკი წერეთლის სიტყვით, „იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო. გიმნაზიებშიც, რასაკვირველია, პირველი ადგილი ეჭირა. ...„როტაში" არ უნდებოდათ იმდენი წკეპლა, რაც თვითეულ კლასში. „სტოროჟებს" ურმებით მიჰქონდათ ყოველდღე ახალ-ახალი"[122].

მასწავლებლებისაგან „არც ერთი თბილი სიტყვა, არც ერთი მამობრივი დარიგება არ გაგვიგონია. ისინი ჩვენზე მარტო შიშით, ტუქსვით, დასჯით მოქმედებდნენ," იგონებდა ნიკო ნიკოლაძე[123].

სკოლა ერთგვარ საფრთხობელად იქცა. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით გაზეთი „დროება": „ჩვენი დედ-მამები ემუქრებიან თავიანთ შვილებს, რომ „შკოლაში დაგაჭკვიანებენო" და მართლაც, ჩვენ ზოგიერთ სასწავლებელს „და მაჭკვიანებელი" ხასიათი აქვს. ...ამნაირ შკოლებში თავიანთი შემოქმედებით ყმაწვილებში აჭკნობენ ყოველს კაცურს ნდობას, ფიქრს და გრძნობას: იქ ყმაწვილები ისეთ მდგომარეობამდის მიაღწევენ ხოლმე, რომ იმათ ყველაფერზე გული უცრუდებათ და არც ერთ საგანზე ცხოველის აზრის წარმოთქმა და ფიქრი აღარ შეუძლიანთ"[124]. ამ მოკლე საგაზეთო მასალიდანაც ნათლად სჩანს, რომ ცარიზმისდროინდელი რუსული სკოლა უგულებელყოფდა ბავშვის „ზნე-ხასია

თის წერთნას," ანუ, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა – „ეაცის გააღამიანებას" და მოზარდს ვერც სათანადო ცოდნა-განათლებას აძლევდა.

სკოლებში ბავშვია ცემით დასჯა, განსაკუთრებით სახაზაეის ხელისგულსე დარტყმა, XIX საუკუნის 80-იან წლებშიც იყო შემორჩენილი. ამაეე პერიოდ'ში ქუთაისის გიმნაზია'ში არსებულ მდგომარეობას შთამბეჭდავად აკოცხლებს სამსონ ფირცხალაეა. „მოწაფეთა და მასწაელებელთა შუა ხიდი იყო ჩატეხილი. მოსწაელეი სძულდათ მასწაელებელი... მასწაელებლებლებს ისე უეურებდნენ, როგორც მტრებს," გადმოგეცემს პუბლიცისტი. ს. ფირცხალაეა ამის მიზეზად, სრულიად სამართლიანად, სწაელების მეთოდების უეარგისობას და იმას ასახელებს, რომ „მასწაელებლები უცხონი იყენენ და ადგილობრივ მცხოვრებლებს უნდობლად და უგულოდ უყურებდნენ. ...სულ რუსი მასწაელებლები გეყავდა, რომლებიც რუსულად გეწერთნიდნენ, რუსული სულს და შეგნებას გეინერგავდნენ. ...გეიკრძალაედნენ ჩვენი თავისოეის ქართველები გეეწოდებინა. ...თუ ორიოდე არარუსი მასწაელებელი იყო, ისინიც გარუსების პოლიტიკას აწარმოებდნენ"[125].

განათლების სისტემა მთლიანად თვითმპყრობელობის სამსახურში იყო ჩაყენებული. ცარიზმის ანტიხალხური საგანმანათლებლო კურსი, როგორც კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, მიმართული იყო იმპერიის განაპირა ხალხების ასიმილაციისაკენ. ცხადია, ამ პოლიტიკას იმპერიის სათანადო სტრუქტურებ'ში თავისი თეორეტიკოსები და იდეოლოგებიც ჰყავდნენ, რომლებიც ამ'შავებდნენ, ხეეწდნენ პრაქტიკული მოქმედების ფორმებსა და მეთოდებს. მაგალითად გამოდგება რეაქციონერი კალმოსანი გ. კატკოეი და მისი ებადაღებული „მოსკოვსკიე ვედომოსტი." კატკოეი ზიზღით უეურებდა და დასცინოდა დაჩაგრული ერების ნაციონალურ-კულტურულ წამოწყებებს, მათ ტრადიციებს, ენას. არარუსი ხალხები მას მხოლოდ ისტორიის შავ მასალად წარმოედგინა[126].

მეტროპოლიიდან მიღებული დავალება კარგად ჰქონდათ შეგნებული კავკასიის სასწაელო ოლქისა და სასწავლო დაწესებულებათა მესეეურებს. ისინი მოქმედებდნენ ინსტრუქციით, რომელშიც აღნიშნული იყო: „კავკასიაში რუსულ სკოლას ორგეარი მიზანი აქვს: ეროის მხრივ, მისცეს ტუზემცებს საკაცობრიო განეითარება, მეორეს მხრივ კი, ნელნელა შეამზადონ ინოროდცები მთლიან რუსულ ოჯახთან შესადეღებლად საერთო ინტერესებითა და მისწრაფებებით"[127].

ცარიზმი და მისი მოხელეები განმანათლებლურ მისიად მიიჩნევდნენ რუსული დამწერლობის საფუძველზე სვანური თუ მეგრული ანბანების შექმნას, რაც მათთეის არაეის უთხოეია და არც ამის საჭიროება არსებულა. ეს ღონისძიება ქართველი ხალხის მთლიანობის საზიანოდ იყო მოფიქრებული და იმით „მაროლდებოდა," რომ თითქოს მეგრელები და სვანები ქართველები არ იყენენ და ცალკე ეროვნებებს წარმოადგენდნენ. ხელისუფლება ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ერის გათიშვა-დანაწევრებას, რომ საამისოდ დიდძალ სახსრებს გამოიყოფდა და მათ ხარჯეას არ ერიდებოდა. სვანური ანბანი – „ლუშნუ ანბან" 1864 წელს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების დავალებით ბარტლომეიმ შეიმუშავა[128], ხოლო მეგრული ანბანის შედგენა, იმპერიის ცენტრიდან საქართველოში სპეციალურად გამოგზავნილ, პეტერბურგის უნიეერსიტეტის აღმოსაელური ენების ფაკულტეტის კანდიდატს ა. გრენს მიენდო. ინსტრუქცია ანბანის შესადგენად რუსეთის მეცნიერებათა აკადემია'ში აკადემიკოს რადლოეის ხელმძღეანელობით მომზადდა. „Мингрельская азбука"-ს „შემომქმედი" გრენი თვითონეე წერდა: „ამ ანბანის გამოცემისას მე მხედველობაში მქონდა, თუმცა არაპირდაპირ, როგორმე ნაციონალური ბრძოლისათეის გამომეწვია მეგრელები, რომლებიც უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან ითელებიან და, მართლაც, ასეთი ბრძოლა შეუძლებელია საკუთარი, ნაციონალური ანბანის გარე'შე, რომლითაც მეგრელი თაეის აზრებს ისე გამოხატავს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვეევაში ქართველი"[129].

ანბანის შექმნის შემდეგ მეგრულად საღვთო წიგნების თარგმნაც დაიწყეს. მომდევნო ნაბიჯი სამეგრელოს ეკლესიებში ღვთისმსახურების მეგრულ ენაზე გადაყვანა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ საქმეს წარმატება არ ეწერა. ადგილობრივი მოსახლეობა, სამღვდელოების დიდი ნაწილი, მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება წინ აღუდგა რუს „ცივილიზატორთა" ლინგვისტურ ექსპანსიას, ამხილა მისი ჭეშმარიტი არსი და დაგმო ცარიზმის მზაკვრული წამოწყება. „მეგრული და სვანური ანბანების შექმნის ცდები აშკარა პროვოკაცია იყო და ერთადერთ მიზანს, ქართველი ერის მთლიანობის დარღვევას ემსახურებოდა"[130]. ამიტომაც, პრაქტიკულად გამოუყენებელი დარჩა მეგრულ, აფხაზურ და სვანურ ენებზე გამოცემული სამრეველო სკოლებისათვის გამიზნული პირველდაწყებითი სახელმძღვანელოები. ეს წიგნები ისტორიას შემორჩენენ, როგორც სულიერ სფეროში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მამხილებელი დოკუმენტური წყაროები.

„საქართველო დაცემულია. ...ამ უკანასკნელმა საუკუნემ, რომელიც სულ სხვაგვარ პოლიტიკას დაადგა, სულიც შეუბორკა ქართველობას და ხორციც; ხორციელად ვითომ მშვიდობა მიანიჭა, მაგრამ ყოველგვარი მისი მოქმედება, ყოველი ბიჯის გადადგმა მიმართული იყო, რომ სული გაეხრწნა, მოეკლა და კიდევაც მიაღწია მიზანს. ...დღეანდელი ქართველები სულითაც შებღალული ვართ და ხორციოთაც," შენიშნავდა აკაკი წერეთელი[131].

მართლაც, ცარიზმი უხეშად სდევნიდა დაპყრობილ ხალხთა სულიერ მოძრაობას, რადგან, ფ. ტიუტჩევის სიტყვით, თვითონ მოკლებული იყო ყოველგვარ სულიერ შინაარსს და ეყრდნობოდა მხოლოდ მატერიალურ ძალას. ასეთ ვითარებაში, მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველო „რუსეთის ნასუფრალით იკვებებოდა"[132]. ნიკო მარი ჯერ კიდევ 1906 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებულ ნაშრომში „История Грузии, культурно-исторический набросок (გვ. 14-15), აღნიშნავდა, რომ „რუსული მთავრობის მიერ საქართველოს სკოლებზე დახარჯული მთელი შრომა უნდა მიჩნეულ იქნეს ქართველი ხალხის განათლების საქმისათვის არა მარტო უსარგებლოდ, არამედ პირდაპირ მავნედ" და დასძენდა: „მთელი ეს სისტემა ისე იყო გაანგარიშებული, რომ ქართველები სამუდამოდ ამოეშალათ რუსეთის კულტურული ხალხების რიცხვიდანო."

რუსეთის იმპერია რომ თავის კოლონიურ სამფლობელოებში ცივილიზაციის გავრცელებისთვის არ იყო მოწოდებული და განათლების, ლიბერალიზმის, ხალხთა განთავისუფლების ნიღბით ახალი ტერიტორიების დაპყრობას, ყოველგვარ ძალადობასა და ჩაგვრას ახორციელებდა[133], კარგად იყო ცნობილი პროგრესულად მოაზროვნე არაერთი რუსი მოღვაწისათვის. ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს მაგალითი, თუ როგორ ურჩევდა ერთ-ერთი მათგანი იმპერატორ ალექსანდრე III-ს: „თქვენი ხელმწიფება დაამკვიდრეთ კულტურით და კეთილის გამგეობით, და მაშინ ხელმწიფებას თქვენის ენისას წინ არა დაუდგება — რაო"[134].

მიხეილ წერეთელი წერდა: „როგორი კულტურაც შემოიტანა რუსეთმა — ჩვენ კარგად ვიცით! რა კულტურა უნდა შემოეტანა ჯარს, ჩინოვნიკობასა და მექრთამეებს? რა კულტურა უნდა შემოეტანა ციციანოს, რომლის იდეალიც კაცების თავის კვეთა იყო და სიტყვა-პასუხი — დედ-მამის სულის გინება! რომელი კულტურისანი კაცი იყო კოვალენსკი და სხვა ჩინოვნიკები, რომელთაც მექრთამეობისა, ქალების საიდუმლო ჭერეტისა და ლოთობის მეტი არა აგონდებოდათ რა?"[135].

„გაგონილა, რომ თავად არაფრის მქონენ მოგცეს რამე? ყვავს რა აქეს, კაჭკაჭს რა მისცესო. ...კულტურას მოკლებული სკვითი საქართველოს როგორ გააკულტუროსნებდა! ...ჩვენში სკვითმა შემოიტანა მათრახი და ხიშტი, ღერბი და მარკა, ჯვარ-მენდალ-აპელატი; გაგვიბატონა ჩინოვნიკი, სწავლების მუნჯური მეთოდი. მოგვისია ხულიგანი და წმინდა წყლის რუსი, — და ეს არის უმაღლესი კულტურის შემოტანა"[136].

ერთობ საგულისხმო ფაქტს გადმოგვცემს კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის თვალსაჩინო მოხელე კ. ბოროზდინი. ირკვევა, რომ ქრთამი, როგორც

თანამდებობის პირის მოსასყიდი საშუალება, ჩვენში რუსებს დაუმკვიდრებიათ. ბორობ'ზდინის სიტყვით, მეფისნაცვლის კანცელარიამ მოიჯარადრე აკოფაშვილს ქუთაისში პოსპიტლის აშენება დაუკვეთა. ამ უკანასკნელმა წარადგინა ხარჯთაღრიცხვის პროექტი, რომელშიც ასეთი მუხლიც იყო: ხუთასი თუმანი „საალერსოდ" („для ласки"). მოიჯარადრემ განმარტა, რომ ეს თანხა გათვალისწინებული იყო მოხელეთა მოსაქრთამად და თუ მას არ გაიღებდნენ, მშენებლობა უფრო ძვირი დაჯდებოდა. ვორონცოვმა დოკუმენტი ისე დაამტკიცა, რომ პროექტიდან ხსენებული მუხლი არ ამოუღია[137]. იმპერიული რეჟიმის დროს ქრთამს რომ დიდი გასავალი ჰქონდა, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებშიც, მკაფიოდ მოწმობს ყარაბაღის ერთ-ერთი მკვიდრის ფრაზა, რომელიც მას ჯიბეზე ხელის დაკვრით წარმოუთქვამს: „მე კარგად ვიცი რუსული კანონი, იგი აქ ჯიბეში ბევრი მაქვსო"[138].

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ა. ფადეევიც ადასტურებს, რომ იმპერიის ჩინოვნიკებმა საქართველოში მოიტანეს რუსული ბიუროკრატიის უარესი ტრადიციები: ხაზინის ქურდობა, მექრთამეობა, საქმის შემზარავი გაჭანჭლება, დაბალი თანამდებობის პირთა გამყიდველობა და ზემდგომთა თვითნებობა[139].

„საზოგადო ხასიათი რუსეთის პოლიტიკისა იმგვარი იყო, რაგვარიც უნდა ეოფილიყო ტლანქ, უკულტურო და ნახევრად აზიური ქვეყნის პოლიტიკა. ... რუსეთი პატარა ერებზე იმარჯვებდა, ხოლო არავითარი უნარი არა ჰქონდა მოქალაქეობრივ წესის დამკვიდრებისა, არა ჰქონდა საორგანიზაციო ნიჭი, არა ჰქვადა მომზადებული სახელმწიფო მოღვაწენი. ერთი სიტყვით, რუსეთი არ იყო მაღალი კულტურის წარმომადგენელი და ამიტომ არ შეეწყნარეს იგი ქართველებმაც," აღნიშნავდა არჩილ ჯორჯაძე[140].

როცა რუსეთის ცივილიზატორულ როლს ამგვარად ახასიათებდნენ, ქართველ მოღვაწეთათვის, რა თქმა უნდა, კარგად იყო ცნობილი რა სიმაღლეს მიაღწია რუსეთის კულტურამ, ლიტერატურამ, მეცნიერებამ და სხვ. XIX საუკუნეში. არაერთ გამოჩენილ ქართველ მოღვაწესა თუ მოაზროვნეს უმაღლესი განათლება რუსეთის უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული. ისინი ნაზიარევი იყვნენ მოწინავე რუსული კულტურის მიღწევებს და დიდადაც აფასებდნენ ამ ფენომენს.

ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მისი თაობა „აღზრდილი და განსწავლული იყო რუსულს მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიც, ისიც რუსულის შემწეობით"[141], მაგრამ, ერთია რუსეთის კულტურა ზოგადად და სხვაა რუსეთის იმპერიის წვლილი დაპყრობილ ქვეყნებსა და ხალხებში ამ კულტურის გავრცელებაში. იმპერიის მიზანი არასოდეს ყოფილა დამონებულ ხალხთა კულტურული დაწინაურება. მეფის მთავრობას ყველაზე მეტად განათლებული ინოროდცების სიმრავლე აფრთხობდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ცარიზმმა თავისი განმანათლებლური მისია საქართველოში XIX საუკუნის დამდეგს თბილისში ორკლასიანი დაწყებითი სასწავლების გახსნით დაიწყო და ისე დაასრულა 1917 წლის მარტში, რომ ქართველ ხალხს უნივერსიტეტი არ აღირსა.

რუსეთს არ შეეძლო შეესრულებინა ის როლი საქართველოში, რასაც ასრულებდა, ეოქვათ, ინგლისი ინდოეთში. ცარიზმს არ დაუნერგავს იმ დონის ცივილიზაცია ჩვენს ქვეყანაში და არ შეუქმნია განვითარების იმგვარი პირობები, რომ მათ თავისუფლების წართმევა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმება გადაეწონოს.

რუსეთის იმპერიის ცივილიზატორული ფუნქცია განაპირა ხალხებზე მეტროპოლიის ბატონობის შენარჩუნების ერთ-ერთი ხერხი იყო. თუ დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობა იმპერიული ეთნოსის კულტურის უპირატესობას ირწმუნებდა და თვითონაც ამ კულტურის მორჩილი მიმდევი და თანაზიარი გახდებოდა, ამით ინოროდცების ლოიალობა კოლონიური რეჟიმისადმი მნიშვნელოვნად უნდა განმტკიცებულიყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთი დღესაც არ თმობს იმპერიულ ამბიციას. კელავ ცდილობს შეინარჩუნოს გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებზე, არ ივიწყებს თავის „ცივილიზატორულ" მისიასაც, რასაც თვალნათლივ მოწმობს ყოფილი პრეზიდენტის ვ. პუტინის ყოველწლიური მიმართვა ქვეყნის მოქალაქეებისადმი. 2005 წლის ამგვარი მიმართვის ტექსტში ხაზგასმულია: „ევრაზიის კონტინენტზე უდავოდ უნდა გაგრძელდეს რუსი ერის ცივილიზატორული მისია. მისი მიზანია, რომ ეროვნულ ინტერესებზე გამრავლებული დემოკრატიული ღირებულებანი ამდიდრებდნენ და ამტკიცებდნენ ჩვენს ისტორიულ ერთობას"[142].

„იმპერიის პროგრესული მნიშვნელობა კოლონიური ხალხებისათვის." კოლონიალიზმმა ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, ასეულობით მილიონი ადამიანის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული იერსახე. კოლონიური დაპყრობები განსაკუთრებული სისასტიკით ხორციელდებოდა. დაპყრობათა პროცესში თუ შემდგომ, ულმობელი ექსპლუატაციისა და ანტიკოლონიური აჯანყებების დროს მილიონობით ადამიანი დაიღუპა. კოლონიალიზმმა მისაგან თავდაღწეულ ქვეყნებს მემკვიდრეობით უძნელესი სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ეთნიკური პრობლემები დაუტოვა, რომელთა გადაწყვეტა დიდწილად განსაზღვრავს მათ დღევანდელობასა თუ მომავალს. სასაზღვრო თუ ტერიტორიული დავები, სახელმწიფოთაშორისი თუ ეთნიკური კონფლიქტები მნიშვნელოვანწილად იმპერიულ დაპყრობებს უკავშირდება და სათავეს კოლონიურ წარსულში იღებს.

ესაუბრობთ რა კოლონიალიზმის ნეგატიურ გამოვლინებებზე, უსამართლობა იქნება არ აღვნიშნოთ ის წარმატებები და ობიექტურად დადებითი ტენდენციები, რაც ასევე დაკავშირებულია იმპერიულ სახელმწიფოთა კოლონიურ ბატონობასთან. კოლონიური ხალხებისათვის იმპერიათა პროგრესული მნიშვნელობა ზოგად შტრიხებში რამდენიმე არსებითი მომენტით განისაზღვრება: ყოფილ კოლონიებში გავრცელდა მოწინავე ცივილიზაციური მიღწევები, საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე სახელმწიფოებრიობას, დაინერგა ეკონომიკური საქმიანობის ახალი, პროგრესული ფორმები, დამკვიდრდა ლიბერალური და დემოკრატიული ფასეულობანი და სხვ. კოლონიალიზმმა, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, დაჩქარა დაპყრობილი ხალხების პოლიტიკური გამოღვიძების პროცესი, ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას და ბრძოლას ეროვნული სუვერენიტეტისათვის. ყოველივე ამას კი შედეგად მსოფლიო კოლონიური სისტემის დაშლა და ათეულობით ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოშობა მოჰყვა.

ეს განზოგადებანი უფრო დასავლეთ ევროპული იმპერიების ისტორიულ გამოცდილებას ასახავს. მათი შექანიკურად რუსეთის იმპერიაზე გადატანა გაუმართლებელია, რადგან რუსეთი დაწინაურებულ დასავლეთს დიდად ჩამორჩებოდა თავისი შესაძლებლობებით. ამასთან, განსხვავებული იყო ისტორიული რეალობაც რომანოვთა იმპერიის პერიფერიებსა და ევროპულ სახელმწიფოთა კოლონიურ სამფლობელოებში. ამიტომ, საბოლოო დასკვნებისას ამ და სხვა სპეციფიკის გათვალისწინება აუცილებელია.

მაგალითად, ზემოთაც აღინიშნა, რომ მეტროპოლია თავის კოლონიებში, უპირველესად საკუთარი საჭიროებისათვის, ჰქმნიდა გარკვეულ ინფრასტრუქტურას, გაჰყავდა გზები, რკინიგზა, ტელეფონი, ტელეგრაფი, აგებდა ამა თუ იმ დანიშნულების ნაგებობებს და სხვ., მაგრამ, ერთია, როცა იმპერიის ცენტრი ამას აკეთებდა სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით უაღრესად ჩამორჩენილ პერიფერიაში, — ხალხში, რომელსაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების არანაირი ტრადიცია არ ჰქონია და დამოუკიდებლად ცივილიზაციის ხსენებული დონეს მართლაც ვერ შეწევდებოდა და სულ სხვაა თვითმყოფადი კულტურის მქონე ხალხი და ქვეყანა, რომელსაც წარსულში საკუთარი ძალითა და უნარით განვითარების

სხვებზე არანაკლები სიმაღლისათვის მიუღწეია, შემდეგ კი ჟამთა სიავის გამო დაწინაურებულ სახელმწიფოებს ჩამორჩენია. ასეთი იყო საქართველო და ქართველობა – აღმოსავლური რენესანსის პიონერი, უნიკალური კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის შემოქმედი ერი და ქვეყანა შუა საუკუნეების ეპოქაში.

ახალ დროში (XIX-XX საუკუნეები), რომლის ერთი ნიშანდობლივი თვისება ინვესტიციების ფართო მოძრაობა და კაპიტალის დაბანდება იყო, ეს კაპიტალი შუამავლის (ამ შემთხვევაში რუსეთის იმპერიული ხელისუფლების) გარეშეც თავისუფლად გაიკელვედა გზას სამხრეთ კავკასიისაკენაც და გვერდს არ აუვლიდა ორი კონტინენტის – ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე საქართველოს. ინფრასტრუქტურის იმ ელემენტარული დონის ნაცვლად, რომელიც საქართველოში შეიქმნა რუსეთის კოლონიური ბატონობის საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, აქ უფრო მოკლე დროში გაცილებით მეტის და უკეთესის მიღწევა შეიძლებოდა. აკი ასეც მოხდა სსრ კავშირის დაშლის შემდგომ სულ რაღაც 10-15 წელიწადში.

როცა ყოფილი კოლონიური ხალხების ისტორიაში ევროპულ იმპერიათა დადებით როლს აანალიზებენ, დასავლელი ავტორები მიანიშნებენ ერთ საღღეისოდ მეტად აქტუალურ გარემოებაზეც. სახელდობრ, დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობაში დასავლურ ღირებულებათა პატივისცემის, მათ შორის, კანონის უზენაესობის აღიარების, ლიბერალიზმის პრინციპებისადმი ადაპტაციისა და სხვა მნიშვნელოვან თვისებათა ფორმირებაზე, რამაც ამ ხალხებს პოსტკოლონიური ცხოვრების დასავლური გზით ტრანსფორმაცია გაუადვილა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა სამუელ ჰანთინგტონის თვალსაზრისი, რომელიც „ბრიტანეთის კოლონიად ყოფნის გამოცდილებას" დემოკრატიზაციის პროცესის ხელშემწყობ ფაქტორად განიხილავს[143], რასაც ვერ ვიტყვით რუსეთის ბატონობას თავდაღწეული ქვეყნების კოლონიურ გამოცდილებაზე.

რუსი მკვლევარი ა. საველიევი ამაოდ ცდილობს ს. ჰანთინგტონის ზემოხსენებული შეხედულება რუსეთის იმპერიასა და მის ყოფილ პერიფერიებზეც გაავრცელოს. ნაშრომში „ერი და სახელმწიფო" იგი აღნიშნავს: რუსეთის იმპერიულმა მოდელმა არაერთ ხალხს საშუალება მისცა, გამხდარიყო მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი და ტრადიციებისაგან მოუწყვეტლივ, რბილ ფორმებში, გაეველო კულტურული მოდერნიზაციის პროცესი[144]. ძნელი დასაჯერებელია, რომ ბალტიის ხალხებს ან, თუნდაც, საქართველოს დასავლური ტიპის სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში რუსული იმპერიული გამოცდილება დაეხმარათ.

საქართველოსთან მიმართებაში ასევე შეუსაბამოა ბ. შაპტალოვის თვალსაზრისიც, რომ რუსეთი აღმოსავლეთის ხალხების აზიური ცივილიზაციიდან ევროპულში ტრანსფორმაციას ანხორციელებდა[145]. ქართულ სინამდვილეში უფრო პირიქით იყო. ბიზანტიის დაცემის შემდგომ ევროპულ ორბიტას მოწყვეტილ საქართველოს დასავლეთთან უშუალოდ დაკავშირების გზას ჯერ მაჰმადიანური გარემოცვა, ხოლო XIX საუკუნიდან რუსეთი უკეტავდა. რუსული კოლონიური რეჟიმი ჩვენი ქვეყნის ნამდვილ ევროპულ განვითარებას, დაჩქარების ნაცვლად, საგრძნობლად აფერხებდა და სხვ.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა, რა თქმა უნდა, ვერ მიიჩნევა ქართველი ხალხის ისტორიის საუკეთესო და ყველაზე ბედნიერ მონაკვეთად, მაგრამ უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ რუსეთის მფლობელობაში მოქცევამ, მეფის მთავრობის იმპერიული მიზანსწრაფვის საპირისპიროდ, საქართველოსათვის ობიექტურად რიგი დადებითი შედეგიც გამოიღო, რაც ასევე ისტორიული განვითარების აუცილებლობითაც იყო განპირობებული.

კერძოდ, აღიკვეთა მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოთა აგრესიის საფრთხე და შეწყდა ლეკთა გაუთაყვებელი თავდასხმები, ბოლო მოეღო კარჩაკეტილობას, ტყვეის სყიდვასა და ფეოდალურ შინაომებს; გაირღვა ჩვენი ქვეყნის ირგვლივ საუკუნეთა მანძილზე დახშული რკალი და საქართველოს გარე სამყაროსთან დაკავშირების ხელახალი შანსი გაუჩნდა. სათავადოების ლიკვიდაციამ,

ბატონყმობის გაუქმებამ და პროგრესული განვითარების ხელშემწყობმა ბურჟუაზიულმა რეფორმებმა საქართველოსაც სოციალური და ეკონომიკური წინსვლის საშუალება შეუქმნეს. უმთავრესად იმპერიის მიზნებისათვის, მაგრამ მაინც გაკეთილ იქნა გზები და აიგო სარკინიგზო მაგისტრალი. გაჩნდა ახალი დასახლებული პუნქტები, გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი და განმტკიცდა კავშირი ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს შორის. საქართველო გაეცნო და ეზიარა რუსეთის მოწინავე კულტურას, თვალი გაუსწორა დასავლური ცივილიზაციის მიღწევებს და სხვ.

ცარიზმის დაპყრობითი ომების შედეგად კავკასიაში მშობლიურ წიაღს დაუბრუნდა ადრე თურქთაგან მიტაცებული ქართული სამფლობელოები და შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება, მისი გაერთიანება. ქართული მიწა-წყლის შემოერთებით რუსეთი რეგიონში მეტოქე ირან-ოსმალეთს სჯაბნიდა და თავის იმპერიულ საზღვრებს აფართოებდა, საქართველოსათვის კი ამ ღირსახსოვარ მოვლენას ისტორიული სამართლიანობის აღდგენის გარდა პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნდა: იგი თავს აღწევდა ხანგრძლივ დაქსაქსულობა-გათიშულობას და პოლიტიკურად შეკავშირებული ეროვნული კონსოლიდაციის გზაზე გამოდიოდა.

მართალია, თვითმპყრობელობის პოლიტიკურ ნებას არ თანხვდებოდა, მაგრამ რუსეთის საქართველოში დამკვიდრებიდან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ქართველმა ერმა წართმეული თავისუფლების სანაცვლოდ ეროვნული და ტერიტორიული გამთლიანება, სოციალური და ეკონომიკური აღმავლობა მოახერხა. ამ ეტაპზე მეტროპოლიის პოზიტიური როლი დაპყრობილი ქვეყნის ცხოვრებაში არსებითად ამოიწურა. ცარიზმის შემდგომმა მპყრობელობამ საქართველოში ცალმხრივად უარყოფითი ხასიათი შეიძინა და იგი ერის პროგრესული განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცა.

თუ ზემოთქმულს შეეჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ: საქართველოში რუსეთის ბატონობის დადებითი შედეგები ოდნავადაც ვერ აქარწყლებდა თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკისა და საბჭოური ტოტალიტარიზმის ნეგატიურ გამოვლინებებს. ამიტომაც იბრძოდა ქართველი ერი ასე თავგანწირვით საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად და წართმეული თავისუფლების დასაბრუნებლად.

---

1. http://www.washprofile.org/?q=ru/node/7582
2. htpp://svlourie.narod.ru/metamorphoses/russ-empire.htm
3. А. Каппелер, Россия многонациональная империя, М., 2000, стр. 43.
4. О. Джапелидзе, Грузинский вопрос в Петербурге, „Литературная Грузия," №1-3, 2003, გვ. 50.
5. http://forum.bakililar.az/lofiversion/index.php/t12481.html
6. М. Геллер, История российской империи, М., 2004, გვ. 75.
7. Б. Шапталов, Русская экспансия, М., 2005, გვ. 67.
8. Пайпс Р. Россия при старом режиме, М., 2006, გვ. 30.
9. В. Ключевский, соч. в девяти томах, т. I, М., 1987, გვ. 50.
10. http://www.archipelag.ru/agenda/strateg/ideologisation/ot-sobirania/
11. Пайпс Р. Россия при старом режиме, М., 2006, გვ. 344.
12. ნ. ჯაველიშვილი, გრიგოლ I – უკანასკნელი ქართველი მეფე, თბ., 2008.
13. ო. ჯანელიძე, საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, თბ., 2002, გვ. 77.

14. Г. Г. Лисицина, Кавказский комитет – высшее государственное учреждение для управления Кавказом (1845-1882), წიგნში – Россия и Кавказ: сквозь два столетия, СПб., 2001, გვ. 154.
15. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს რუსული მმართველობის სისტემაში ჩადებული კოლონიურ-რუსიფიკატორული კოდი, საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნ. 1, თბ., 2007, გვ. 53, 67.
16. გ. ჟურული, ილიასთან შორი-ახლოს დგომით (ფურცლები ჩემი თაეგადასავლის რეეულიდან), წიგნში – ილია ემიგრანტთა თეალით, I, თბ., 1996, გვ. 114.
17. ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 399.
18. ა. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ. 83.
19. С.Эсадзе, Историческая записка об управлении кавказом, т. I, Тб., 1907, გვ. 67.
20. Колониальная политика русского царизма в Азербайджане в 20-60-х годах XIX в. Часть I, М.-Л., 1936. გვ. 231-232.
21. ა. სურგულაძე, რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 214.
22. С.Эсадзе, Историческая записка об управлении кавказом, т.I, Тб., 1907, გვ. 81.
23. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 10-22.
24. ო. ჯანელიძე, ორი რუსეთი. მითი და რეალობა, საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნ. 1, თბ., 2007, გვ. 10-12.
25. მ. სამსონაძე, საქართველოში კოლონიური მმართველობის დასაწყისი, საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნ. 1, თბ., 2007, გვ. 37.
26. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ.,1954, გვ. 215.
27. gnp://mion.isu.ru/pub/domeshek_li/dameshek_2.html
28. Обзор российских владений за Кавказом, М., 1836, ч. I, გვ. 12-13. ციტირებულია წიგნიდან – ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბ., 1940, გვ. 5.
29. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, VII, №108.
30. А. Фадеев. Россия и Кавказ первой трети XIX в. М., 1960, გვ. 73.
31. Брат Ротердамий, Политика Российской империи в Азербайджане. http://forum.bakililar.az/lofiversion/index.php/t12481.html
32. Дингельштедт В. Водовладения и ирригация, М. 1860, გვ. 2.
33. С. Ю. Кравченко, Затексты. Бремя белого человека. http://www.netslova. ru/kravcenko_S/zatekxty.html
34. დაეით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 23.
35. http:www.arbatov.ru/mono1.shtml#13
36. ი. მანწკავა, ქართული ასროვნების განვითარება მე-19 საუკუნეში, პარიზი, 1936, გვ. 31.
37. ა. ბაქრაძე, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1989, გვ. 253.
38. Андреас Каппелер, Мазепинцы, Малороссы, Хохлы: Украинцы в этнической иерархии Российской империи. http://litopys.narod.ru/vzaimo/vz11.htm
39. Кауфман А.А., Переселение и колонизация, СПб., 1905, გვ. 6-7.
40. http:/russkysam.narod.ru/11-13.htm
41. hipp://svlourie.narod.ru/metamorphoses/russ-empire.htm
42. პ. ბუხრაშვილი, რუსული კოლონიალური ცნობიერება და ამიერკავკასიის ეთნოპოლიტიკური რეალობა, „ამირანი, II, 2000, გვ. 73.
43. მ. ტაბიძე, ენობრივი ცენზურა, როგორც ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, „ქართველური მემკვიდრეობა," VIII, ქუთაისი, 2004, გვ. 201.
44. А. Миллер, Русификации: класифицировать и понять. http://www.saratov.irris.ru/empires/docs/millernev/doc
45. Л. Тихомиров, Русское дело и обруссение. http://revs 904.chat.ru/book/tohomir/mitrfan/htm
46. http://litopys.narod.ru/vzaimo/vz11.htm
47. Л. Семенников, Россия в мировом сообществе цивилизации, М., 1998, გვ. 145, 183.
48. А. Миллер, Русификации: класифицировать и понять. http://www.saratov.irris.ru/empires/docs/millernev/doc

49. დ. ჯუმბურიძე, რუსული დასახლებები საქართველოში (XIX-XX სს.) და „გადასახლებულთა საიმპერატორო ამიერკავკასიის განყოფილება," საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნ. I, თბ., 2007, გვ. 90.
50. А. Миллер, Русификации: класифицировать и понять. http://www.saratov.irris.ru/empires/docs/millernev/doc
51. ხ. ქოქრაშვილი, რუსეთის რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი, საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნ. 1, თბ., 2007, გვ. 129.
52. Андреас Каппелер, Мазепинцы, Малороссы, Хохлы: Украйнцы в этнической иерархии Российской империи. http://litopys.narod.ru/vzaimo/vz11.htm
53. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001, გვ. 131.
54. Сторчак В. М. Мессианство как социокультурный и идеологический феномен России, автореферат диссертации на соискание ученой степени доктора философских наук, М., 2007, გვ. 7.
55. დ. ელდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984, გვ. 12.
56. ს. მესხი, ახალი წელიწადი, გაზ. „დროება," 1879 წ., №1.
57. ი. ჭაეჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თხზ. სრული კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 533.
58 ი. ჭაეჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1986, გვ. 184.
59. ი. მანწკავა, ქართული აზროვნების განვითარება მე-19 საუკუნეში, პარიზი, 1936, გვ. 75.
60. Андреас Каппелер, Мазепинцы, Малороссы, Хохлы: Украйнцы в этнической иерархии Российской империи. http://litopys.narod.ru/vzaimo/vz11.htm
61. იქვე.
62. ა. ჯოხაძე, მსგავსი იზიდავს მსგავსს, ხელნაწერი.
63. ვ. კოტეტიშვილი, აზიისაკენ, წიგნში – ევროპა თუ აზია? თბ., 1997, გვ. 200.
64. ა. ბაქრაძე, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1989, გვ. 76-77.
65. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 236.
66. მ. ვაჩნაძე, ე. გურული, რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ, თბ., 2007, გვ. 13.
67. ომან ხერხეულიძე, მეფობა ერეკლე მეორისა, თბ., 1989, გვ. 79.
68. იქვე, გვ. 80.
69. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 656.
70. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся по Грузии. Под ред. А. Цагарели, т.I , М. 1891, გვ. 176.
71. ვ. გურული, ერთმორწმუნე რუსეთი, თბ., 2008, გვ. 78-80.
72. ომან ხერხეულიძე, მეფობა ერეკლე მეორისა, თბ., 1989, გვ. 80.
73. http://syw-cwg.narod.ru/bgr_Totl.html.
74. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 702.
75. იქვე, გვ. 759.
76. В. Тихонов, Общая теория империи, http://imperya.by/theory.html?id+15
77. ი. ჭაეჭავაძე, ასი წლის წინათ, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 186.
78. რ. ჩხეიძე, ბედი პაელე ინგოროყვასი, თბ., 2003, გვ. 397.
79. ი. ჭაეჭავაძე, რა გითხრათ? რით გაგახაროთ? რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 174.
80. ი. ჭაეჭავაძე, მგზავრის წერილები, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 24.
81.В. В. Дагоев, Политические архетипы в отношениях между Россией и Закавказьем, http://www.niis.ru/01Staml
82. С. Марочкин, Русские и империя, http:/www.netda.ru/sborniki/rustroj/rs- maroh.htm#a
83. А. М. Буровский, Крах империи. Курс неизвестной истории, М., 2004, გვ. 11-16.
84. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 527.
85. Россия первой половины XIX в. глазами иностранцев, Ленинград, 1991, გვ. 21.

86. ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962, გვ. 310.
87. ა. წერეთელი, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1990, გვ. 507.
88. გაზ. „ეეერია," 1909 წ., 5, 12 იანვარი.
89. ი. მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004, გვ. 226, 235.
90. ე. ჰეიეუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., 2004, გვ. 202.
91. ი. მენთეშაშვილი, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციათა ურთიერთშეხება ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის საქმიანობის პერიოდში, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997, გვ. 32.
92. ი. ცინცაძე, ინგლისის კოლონიური მმართველობის პრინციპები, თბ., 1978, გვ. 27.
93. ი. ჭავჭავაძე, პოლიტიკური მიმოხილვა, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 570.
94. მ. კალანდაძე, რუსეთის ისტორიის პერიოდიზაცია, კრებულში – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2008, გვ. 200.
95. ა. ბაქრაძე, ილია და აკაკი, თბ., 1992, გვ. 256.
96. Н. Костомаров, Русская история в жизнеописаниях ее главнейших деятелей, М., 2004, გვ. 189.
97. ა. წერეთელი, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1990, გვ. 422.
98. Н. Бердяев, Русская идея, Париж, 1971, გვ. 6.
99. Достоевский Ф. М. Полн. собр. соч., т. 27, М., 1984, გვ. 36, 38.
100. http://www.demoscopc.ru/weekly/knigi/s&r/vishn9.pdf#search
101. ა. სურგულაძე, რუსეთი XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 554-556.
102. გ. ქიქოძე, დასავლეთის კარები, გაზ. „საქართველო," 1916 წ., №279, წიგნში – ევროპა თუ აზია? თბ., გვ. 331.
103. П. Романов, Станет ли Россия снова империей, http://www.rian.ru/authors/20070122/59469925-nrint.html
104. R. Karklins, Etnic relations in the USSR, Boston, გვ. 73.
105. ი. ჯაფახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში," 1986, № 2-3. გვ. 160.
106. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, II, Тиф., 1868, გვ. 20.
107. Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, VII, გვ. 18.
108. ი. ჯაფახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში," 1986, № 2-3. გვ. 160.
109. М. Геллер, История российской империи, М., 2003, გვ. 179.
110. მ. თამარაშვილი, საქართველოს ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 441.
111. ი. ცინცაძე, ინგლისის კოლონიური მმართველობის პრინციპები, თბ., 1978, გვ. 23.
112. ი. მენთეშაშვილი, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ციეილიზაციათა ურთიერთშეხება ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის საქმიანობის პერიოდში, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997, გვ. 35.
113. გ. ნიაიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2003, გვ. 159.
114. ვ. გურული, ილიადან ილიამდე, თბ., 2006, გვ. 21.
115. ი. ჭავჭავაძე, მგზავრის წერილები, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 19.
116. http://forum.bakililar.az/lofiversion/index.php/t12481.html
117. ტ. ხუნდაძე, ცარიზმი და სახალხო განათლება საქართველოში, თბ., 1948, გვ. 4.
118. ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბ., 1940, გვ. 15.
119. იქვე, გვ. 15.
120. დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 18-19.
121. ა. წერეთელი, ნიმი თაეგადასავალი, ქართული პროზა, წიგნი IX, თბ., 1985, გვ. 56.
122. იქვე, გვ. 58.

123. ნ. ნიკოლაძე, მოგონებები, თბ., 1984, გვ. 42.
124. გაზ. „დროება," 1866 წ., № 24.
125. ს. ფირცხალაავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988, გვ. 17-19.
126. ა. სურგულაძე, რუსეთი XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 553.
127. ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბ., 1940, გვ. 18.
128. ა. გელოვანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ., 2003, გვ. 347.
129. ტრ. რუხაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბ., 1940, გვ. 104.
130. თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება, კრებულში – ქართველური მემკვიდრეობა, ტ. V, ქუთაისი, 2001, გვ. 102.
131. ა. წერეთელი, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1990, გვ. 418.
132. ა. წერეთელი, ჩემი თაყვანისცემა, ქართული პროზა, წიგნი IX, თბ., 1985, გვ. 89.
133. К. Маркс и Ф. Энгельс, соч., изд. II, т. XXII, გვ. 259.
134. ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ.VI, თბ., 1997, გვ. 454.
135. ჟურნ. „ნიშადური," 1908, №44, 18 მაისი.
136. ჟურნ. „ნიშადური," 1908, №46, 1 ივნისი.
137. კ. ბოროხდინი, სამეგრელო და სვანეთი 1854-1861 წწ., თბ., 1934, გვ. 56-57.
138. მ. თადუმაძე, იმპერიული პოლიტიკა და ნაციონალური მენტალიტეტი, ალმანახი „ალიო," 2005, № 28, გვ. 185-186.
139. А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., М., 1960, გვ. 243.
140. ა. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ. 89.
141. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, თბ., 1986, გვ. 278.
142. http://www.pravozashita.ru/info/arhive/putin_2005.shtml
143. ს. დუნდუა, ლიბერალური დემოკრატია და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესი თანამედროვე საქართველოში, თბ., 2001, გვ. 8-9.
144. А. Савелиев, Нация и государство, http:/www.savelev.ru/book/?ch=93
145. Б. Шапталов, Русская экспансия, М., 2005, გვ. 74.

Aleksandre Bendianishvili, Aleksandre Daushvili,
Mikheil Samsonadze, Dodo Chumburidze,
Khatuna Kokrashvili, Otar Djanelidze

Russian Colonization in Georgia

In 2006 The National Scientific Fund of Georgia approved our project. In the course of working on the grant project our authors analyzed and studied the special literature being kept in the archives and book depositories of Georgia and got acquainted with the opinions of the modern Russian and European scholars via the Internet about the peculiarities of the Russian colonialism. Maintaining all the achieved information they created the original, generalizing work in which the two century history of the Russian colonialism has been reflected and objectively analyzed.

While working on the theme, the group used the complex forms and methods of investigation. The problem was examined from different aspects – economical, political, cultural and social. All the characteristics were studied and analyzed. A great number of interesting materials was revealed. A lot of well-known historical facts and events were analyzed on the basis of the new methodologies. The huge source-studying work being carried out during the two years helped to fulfill all the mentioned above.

The Internet editions and the special literature having been bought with the help of the Fund was of a great support for using the international experience and avoid the mistakes and deficiencies of the other scholars.

The investigation proved that: the main defining mark of the Russian colonization is spreading the boundaries of the Empire at the expanse of the neighboring territories. This multicentury process of annexing the new lands was called first the "collecting of the lands" then "widening" of the boarders or sometimes "the active external foreign policy", but not its proper name - expansion. Namely the invasions, annexes, the large-scale territorial expansion was the total strategy of Russia and the main nourishing source for the development.

The territorial widening of the Russian Empire was performed be means of: 1. Capture of the unprotected lands or comparatively weak countries and 2) Depriving of the other states of the estates having been captured by them earlier. The significant part was given to the army on all the stages of history; irrespective of it was it the "White army" or the "Red Army."

In 1801 Russia craftily violated the treaty of patronage of Georgia and other different treaties. All this was performed through deception, against the will of all the classes and layers of the country. Russia using force and violence illegally annexed one of the oldest Christian States of the world, deprived it of its sovereignty and independence.

Thousands of Russian soldiers and officers were sent to the occupied country; their provision with the food, accommodation, transport etc laid heavily on the shoulders of the Georgian population being ruined by the invasions of Aga-Mahmad-Khan and other invaders. All this took away a lot of physical strength and material wealth.

One of the main targets of Russia was achieving of the superiority in trade and it wanted to fulfill it with the help of Georgia. Thus, its aim was to destroy the existing Georgian manufacturing potential, the product of which was imported to the Russian market. Due to the tax-free flow of the foreign goods it easily did it, though the Russian trade did not benefit from it.

In Georgia the artisan trends were highly developed and among them the most difficult was the weapon-producing etc. But that was the oriental type of the artisanship and for the Russians it was not acceptable.

Thus, they started to oppress the local artisans by means of inviting the new type of workers from Europe and Russia. Those arrangements were carried out not only against the Georgian artisans, but the Georgian customers as well.

For the treasury and alien elements were needed numerous products not produced in Georgia. F.E. Metal constructions, alcoholic beverages, decoration material etc. The government tried to encourage the development of such trends through different aids or support. But this support and privileges mainly concerned the Russian and Foreign businessmen, rarely the Armenians and practically never the Georgians. Because of the one-sided tendencies and such kind of encouragement the government often incurred losses, as the attention was chiefly paid to the producing of the half fabricates in Georgia for the Russian factories and by no means the ready-made production, being able to compete with the Russian production. Because of this approach was abolished the manufacture of the broadcloth having been built by the local authorities, which were supported by the vice-gerent of the Russian Tsar M.S. Vorontsov.

The Russians always exaggerated their abilities. One of the main spheres of their interests in Georgia was providing Metropolis with the warm country products having in Georgia a certain tradition and together with it to implement the trade unknown to this region.

One of the first, out of this process was Castel Silk factory, which had to support the development of silk and afterwards manufacture it. This mill experienced a lot of difficulties and finally it was closed. The second analogues initiative is the sugar production, which was launched by several local merchants-businessmen in 1837. They got numerous privileges: Importing a tax-free sugar raw-material, the vast lands for cultivating sugar cane etc. For some period the factory worked on the basis of the foreign material, the profit was big, but soon afterwards the factory owners announced bankruptcy, as the climate of Georgia was not good for cultivating of the product., but in return the development of the vine growth, bee-keeping and tobacco manufacturing were more or less successful, though most of its initiators suffered a setback at the end of the century.

Russia conquered Georgia politically and economically. After annexing Georgia by the monarch of Russia, the system of the governance formed by the Metropolis authorities in the remote province of the Empire, underwent three periods of change and evolution. The chronological frame is the following: 1.1801-1842; 2.1843-1882; 3.1883-1917.

In all the three periods the main aim of the Metropolis was to use the colonial-economical advantages of the country and make country's natural riches and farming to work for it and at the same time Russianize the Georgian people. Only the colonial-Russianization policy and the methods of practical realization were slightly changed.

In the first and second periods the result of this policy was appropriation of the Georgian kings' lands, feuds, estates of the Bagrationis and the nobles- participants of the anti-Russian rebellions and the ancestral lands of the Georgian church by the Russian State treasury. More than a half of the Georgian land appeared in the hands of the Metropolis authorities and more than a half of the Georgian peasantry became the direct object of its exploitation.

In the third period, in spite of the strengthening of the Russia's economical superiority, as the State treasury possessed the railway stations, ports and strategic objects, the Russian businessmen and foreign capitalists having the support of the Russian government were extremely active. They created big, rationally constructed farms, factories and mills. Objectively it was positive, but unfortunately the Russian government used all this for taking in bondage the local population. The church reform having been carried out in Georgia aimed to form a maximally controlled by the State church organization with the Russian mode church service and sermon. This was fulfilled stage by stage in several directions. It meant the main structural reorganization of the Georgian church, commutation of the church payments, secularization of the church estates, improving of the conditions of the lower clergy and the divine service and the alteration of the theological education system. As a result of these reforms the oldest autocephaly of the Georgian church was abolished, the traditional structural-administrational structure was ruined, was introduced a position of the Exarches, who subdued directly only to the Russian holly

synod and served performing of the colonial policy of Russia in Georgia and strengthening of the Romanovs' ruling.

The church-cultural treasures were robbed. As a result of the negligence of the Russian authorities and their participation the national treasure of Georgia was ruined, the greatest part of the books possessed by the Georgian church were sold to the collectors, in a number of churches the frescos of the Georgian saints were whitewashed. The Georgian language and culture were persecuted; everything was made to suppress the national self-awareness and its change into the Russian one. The Russian colonial policy was reflected in the system of education. The Russian school was turned into the instrument of Russianization. The Russian State policy tried to Russianize the multinational population of the Empire and was the active conductor of the same policy in Georgia. The national values, the Georgian every day life and culture were declined and the Russian moral and traditions replaced it. Theatre and the official press also were in the Russian service.

The Russian colonial authorities in Georgia were conducting, an aggressive, incorrect demographic policy. If before, the multinational Georgian State managed to integrate foreign ethnos, Russia broke this natural process, turning the Russian language into the State language of the nations living in Georgia, Russia deprived the Georgian language its function. The aliens

(Armenians, Greeks, Ossetians, Germans) were deported to Georgia from the different parts of the Russian empire. In different parts of Georgia were intensively settling the Russians and the process of Russianization of the non-Georgian population was under way.

Russia inspired escalation of separatism in the higher political layers and developing of the anti-Georgian psychosis. With the aim of aggravating the demographic situation of Georgia, Russia established special tax committee the objectives of which were moving of the newsletters from the inner provinces of Russia and their settling on the territory of Georgia. It has to be stressed, that when the Russian government refused to give free lands to the Georgians, it gave the long-time credit with a great pleasure and created the perfect living conditions for the non-Georgian people willing to dwell in Georgia.

The Georgian people failed to adjust to the Russian Great-Power Chauvinist policy and several times raised their voices against the Russianization colonial policy. In 1801-1820 several anti-Russian rebellions took place. In 1932 the Georgian patriotic movement took an organized form, but the associates of the authorities outstripped them and dispersed the secret society.

The carrier of the national liberation ideas was the Georgian literature, theatre, publicism. The XIX-XXth century Georgian literature is the perfect illustration for the uncompromised struggle of the Georgian people with the Russian violent policy. In 60-ies of the XIXth century started a new period of the national-liberation movement, which was led by the White Guards. From the beginning of the XXth century the liberation movement became refined from the ideological and political point of view and was crowned with the success at the end of the World War I.

In 1918-1921 the first Georgian Republic successfully functioned, but the Soviet Russia turned into a serious danger for Georgia.

On 25th of February 1921 the Russian Communists being obsessed by the idea of the world proletariat Revolution with the help of the Georgian Bolsheviks violently overthrew the Democratic Republic of Georgia and occupied the whole country. The Russians illegally forced the Georgian communists to turn over to the neighbouring countries significant part of the Georgian territories.

In Georgia the marionette communist government was formed, the certain members obviously saw, that the Soviet Russia was limiting the sovereignty of Georgia, its independence and rudely poke into its inner affairs, which in their opinions equaled to "the Djingoism" (colonial economical policy of England), about which was many times officially announced. Those party authorities (National-Uklonists) were soon pushed aside from the government,

though the violation of sovereignty of the national Republics by Moscow was clear for the Kremlin leaders (F.E. I Stalin), but it was explained by the desire of the proletariat to keep the power and the ideas of the world proletariat revolution.

After the Sovetization of Georgia the structures being approbated in Russia, economical principles and structures were totally implemented in Georgia.

This came into fierce opposition to the free liberal market relations and democratic values being approbated in the West. The new authorities aimed establishment of the Proletariat dictate, to be more exact dictate of the communist party, realization of the voluntarist economical and social programs and rearing up of the humans having the Communist Weltanschauung.

The new military political aggression at first was opposed by the national forces: The rebellions of Svaneti (1921-1922), Khevsureti (1922) and of August of 1924 are the examples of how the Georgian patriots struggled for the democratic values failing to adjust to the communist regime.

The far-going Great-Power chauvinist plans served the "Autonomization" purpose being performed by the Russian dictate. It in some respect closed the Abkhazian and Ossetian separatism, thus giving Moscow the perfect "trump" of using it for its personal benefit in case of tension with Tbilisi.

After the barbaric suppression of the rebellion of 1924 and the forceful collectivization, at the expense of the robbed peasantry, especially after the rapid industrialization and forceful collectivization, the Soviet Power managed to reach the Social-Economic stability, being revealed in building of the new factories and mills, cities and villages, development of the social infrastructure, promotion of culture and science; this removed outwardly a fierce opposition between the regime and the society, though the national-liberation idea in Georgia never died. It was reflected in literature, arts, and social sciences.

Against those being in opposition with the regime, different forms of repressions were used from the very start, especially cruel was the reprisal with the "enemies of people" the representatives of the creative intelligentsia (1937). Step by step together with the strengthening of the Soviet economic and political systems political and economical ides grew and became stronger.

The collection farming of Georgia was fully oriented to the Soviet market and breaking of these contacts would make unbearable the economic life of Georgia – This policy had to guarantee the eternal being of Georgia in the whole and integrated Soviet Union.

New factories and mills, building of cities strengthened the demographic aggression. From different towns of Russia came to work people of non-Georgian ethnic origin and settled here. Moscow did not give them and opportunity of performing the effective policy of consolidation in the State organism of the non-Georgian regions of Georgia. The Russianization of those regions had place.

After the death of I. Stalin the results of the anti-Georgian policy of N. Khrushchov (Encouraging of the local separatism, barbaric oppression of the crowded meeting march on the 9th of 1956) objectively stimulated the revival of the national-liberation movement in Georgia.

In 1972 Moscow decided to find a leader conducting their interests better.

The aim of E. Shevardnadze was to make the political-economical straps even tighter and Russia's being in Georgia even more steadfast.

He is the author of the famous phrase "The sun rises in the North". During his governance the struggle against the national consciousness, traditional values became fiercer. The educational policy has been started by Cathalicos-Patriarch of Georgia Ilia II since that time, whose aim was to develop and strengthen the Orthodox consciousness of Georgia.

Voluntarist economics and social projects the ambitions and pretensions of the Moscow leaders exhausted and weakened the Soviet State, which more and more resembled the modernized Russian Empire "The Empire of Evil" (R. Reagan). It strengthened the national-

liberation movement. As an alternative to this movement Russia activated the old "trump" – separatism.

Abkhazian and Ossetian separatists used to find their patrons in the Russian special services and Kremlin offices. The outrageous pretences of Abkhazia were inspired by Russia, which resulted in the protest marches by the Georgian. On 9th of April of 1989 the armed forces of Russia cruelly dispersed the meeting in Tbilisi taking away dozens of Georgian lives.

In Georgia started the agony of the Soviet Power and in October 1990 it was overthrown. A new leader (Z. Gamsakhurdia) supposed to coincide the interests of new Russia of (B. Eltsin) and new Georgia, but in vain.

The special services of Russia being frightened with the weakening of their positions in the Trans Caucasus. supported breaking out of the civil war in Georgia and opposition of the Georgians. The Ossetian and Abkhazian separatists used this situation for their personal benefit.

The civil war was equally damaging for the Georgian, Abkhazian and Ossetian peaceful population. New hearths of tension were formed.

After the overturn of the legal government of Z. Gamsakhurdia in the period of E. Shevardnadze's governance, the representatives of a certain segment of the Russian special services and authorities tried their bests to create destabilization in Georgia.

It was impossible to find a common language with Russia, which recognized the territorial integrity of Georgia only in words, but in reality encouraged separatism and stimulated inner political tension. The "weak" Russia of Eltsin and afterwards the Great-Power follower Putin during the period of his governance did nothing to keep his promises, but on the contrary, he several times violated Georgian borders, bombed the Georgian region and villages. After the "Rose Revolution" a weak hope of establishing the good neibghouring relations emerged, but once more in vain. The obviously pro-west position of the new authorities of Georgia, the course of rapprochement with the USA, NATO, Europe and political and military structures irritated the Russian government, now freely using the economic embargo against Georgia, forceful deporting of the Georgians from Russia and obviously supported separatism (the latter oppressed it in blood in his own country).

Anyway, Russia managed and deceived the Georgian authorities and involved them into the fatal provocation and launched the wide-scale attack against Georgia, occupied the Georgian towns and villages, bombed Tbilisi, Gori and occupied the third part of the Georgian territories.

Thus, the both Russian Empires (the "Whites" and the "Reds") had one and the same purpose: To turn Georgia into an economic appendix of Russia and Russianize the population of the country. This main aim was fulfilled by the both Empires using the ideological-political forms and methods different only outwardly.

შინაარსი

შესავალი (ო. ჯანელიძე) 3

თავი I. საქართველოს ანექსია და რუსეთის კოლონიური პოლიტიკა XIX ს. I ნახევარში 14

რუსეთის ინტერესები საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში (მ. სამსონაძე) 14

საქართველოში კოლონიური მმართველობის დასაწყისი (მ. სამსონაძე) 26

რუსეთის რელიგიური პოლიტიკა საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი) (ხ. ქოქრაშვილი) 39

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ა. ბენდიანიშვილი) 55

თავი II. რუსეთის კოლონიალურ-ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში XIX ს-ის I ნახევარში (მ. სამსონაძე) 74

რუსული კოლონიური პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში 81

ქართული ხელოსნობა და რუსული კოლონიური ხელისუფლება 88

კოლონიური რეჟიმის ძალისხმევა ახალი ყაიდის, შედარებით მოზრდილი სამრეწველო საწარმოთა დასანერგად 107

თავი III. რუსული პოლიტიკური და კოლონიურ-ეკონომიკური სისტემის განმტკიცება საქართველოში (1864-1904) 136

რუსეთის დიფერენციული პოლიტიკა საქართველოში (დ. ჭუმბურიძე) 136

რუსული მმართველობის სისტემაში ჩადებული კოლონიურ-რუსიფიკატორული კოდი (ა. ბენდიანიშვილი) 147

რუსეთის მიერ საქართველოს მაწის ფონდის მითვისება და დემოგრაფიული ექსპანსია (ა. ბენდიანიშვილი) 164

რუსული დასახლებები საქართველოში (XIX-XX სს.) და „გადმოსახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება" (დ. ჭუმბურიძე) 189

XIX ს. 60-70-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური რეფორმების კოლონიური არსი (ა. ბენდიანიშვილი) 216

რუსეთის კოლონიურ-ეკონომიკური პოლიტიკა და
საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი
სპეციალიზაცია (ა. ბენდიანიშვილი)..... 224

მრეწველობის განვითარება საქართველოში და რუსეთის
მთავრობის (მეტროპოლიის) პოზიცია (ა. ბენდიანიშვილი)..... 247

**თავი IV. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა რელიგიის,
განათლებისა და კულტურის სფეროში**..... 265

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში
(XIX ს-ის II ნახევარი) (ხ. ქოქრაშვილი)..... 265

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში
1900-1917 წლებში (ხ. ქოქრაშვილი)..... 292

განათლების სისტემა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის
სამსახურში (დ. ჭუმბურიძე)..... 301

ქართული მწერლობა, თეატრი და პრესა რუსული კოლონიური
პოლიტიკის წინააღმდეგ (XIX-XX სს.) (დ. ჭუმბურიძე)..... 323

**თავი V. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობა XIX ს. 60-იანი წლებიდან 1921 წლამდე** (ა. ბენდიანიშვილი)..... 341

თერგდალეულთა ეროვნული პროგრამა და
საქმიანობა მისი რეალიზაციისათვის..... 341

ეროვნული მიმართულების პარტიების ჩამოყალიბება და საქართველოს
პოლიტიკური ავტონომიის პრობლემა 1903-1917 წლებში..... 347

ქართველი სამღვდელოება ეროვნულ-განმათავისუფლებელ
მოძრაობაში..... 349

საქართველოს პირველი რესპუბლიკა..... 354

**თავი VI. რუსეთის კოლონიური ბატონობის შემობრუნება
საქართველოში საბჭოურ-კომუნისტური ფორმით** (ა. დაუშვილი)..... 373

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება..... 373

საქართველოს ხელმეორე ოკუპაცია და
ქართული საზოგადოებრივი აზრი..... 383

საბჭოთა ინტერნაციონალისტური სახელმწიფო პოლიტიკა
კოლონიალიზმის ელემენტებით..... 390

ანტიკოლონიური – ანტისაბჭოთა გამოსვლები საქართველოში
XX საუკუნის 20-იან წლებში..... 400

საქართველოს „ავტონომიზაცია“ თუ „გაყინული“ სეპარატიზმი 410

საბჭოთა ეკონომიკური კოლონიალიზმის არსი 421

საქართველოს მოსახლეობის ფსიქო-სოციალური
და კულტურული ევოლუცია 431

მასობრივი რეპრესიები საქართველოში 30-იანი წლების
მეორე ნახევარში 442

**თავი VII. რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა
XX საუკუნის მეორე ნახევარში (ა. დაუშვილი) 449**

პოსტსტალინური ეპოქა: ხრუშჩოვი და საქართველო 449

ეკონომიკური და იდეოლოგიური ღონეების გაძლიერება 455

ეროვნული ცნობიერების განვითარება და გაძლიერება 460

საბჭოთა იმპერიის კრახი 464

1989 წლის 9 აპრილი 469

პოსტსაბჭოთა რუსეთის ნეოკოლონიალიზმი
და ახალი საქართველო 475

თავი VIII. რუსული კოლონიალიზმის არსი (ო. ჯანელიძე) 486

Aleksandre Bendianishvili, Aleksandre Daushvili,
Mikheil Samsonadze, Dodo Chumburidze,
Khatuna Kokrashvili, Otar Djanelidze

RUSSIAN COLONIZATION IN GEORGIA 536